Chkhatarashvili G., Glascock M. „Obsidian at Kobuleti (Western Georgia): Evidence for early human contact in Western Transcaucasia during the early Holocene.“ *Archaeological Research in Asia, 29* 2022: 1-8.

Chkhatarashvili, G., Manko, V., Kakhidze, A., Esakiya, K., Chichinadze, M., Kulkova, M., Strelcov, M. „South-East Black Sea coast in early Holocene period (according to interdisciplinary investigations in Kobuleti site).“ *Sprawozdania Archeologiczne 72 (2)* (2020): 213-230.

Dittermore, M. „The soundings at M'lefaat.“ In: Braidwood, L.S., Braidwood, R.J., Howe, B., Reed, C.A., Watson, P.J. (Eds.). *Prehistoric Archaeology along The Zagros Flanks. Oriental Institute Publications 105.* The University of Chicago, Chicago, 1983. 671-692.

Doronicheva, E.V., Kulkova, M.A., Shackley, S.M. „Raw material exploitation, transport, and mobility in the Northern Caucasus Eastern Micoquian.“ *PaleoAnthropology* ი. ჹ.: 1-45.

Doronicheva, E.V., Shackley, M.S. „Obsidian exploitation strategies in the Middle and Upper Paleolithic of the Northern Caucasus: new data from Mezmaiskaya cave.“ *PaleoAnthropology* 2014: 565-585.

Esakiya, K., Chkhatarashvili, G., Kakhidze, A. „Complex analysis of the stone industries at the Kobuleti Early Holocene site (in Russian).“ *Tyragetia. Seria Noua , vol. XIV (XXIX)* (2020): 71-76.

Frahm, E., Feinberg, J.M., Schmidt-Magee, B.A., Wilkinson, K.N., Gasparyan, B., Yeritsyan, B., Adler, D.S. „Middle Paleolithic toolstone procurement behaviors at Lusakert cave 1, Hrazdan valley, Armenia.“ *Journal of Human Evolution, 91* 2016: 73-92.

G, Chkhatarashvili. „Preistoriuli epokhis arkheologiuri dzeglebi Pichvnaris hemogarensi (in Georgian).“ *Pichvnari VIII*. Batumi, 2023. 9-23.

Glascock, M.D. „A systematic approach to geochemical sourcing of obsidian artifacts.“ *Sci. Cult. 6 (2)* (2020): 35-46.

Gratuze B., Rova E. „ew data on different patterns of obsidian procurement in Georgia (Southern Caucasus) during the Chalcolithic, Bronze and Iron Age Periods.“ *Archaeological Research in Asia 32* (2022): 1-17.

Hole, F. *Studies in the Archaeological History of the Deh Luran Plain. The Excavation of Chagha Sefid. Memories of the Museum of Anthropology*. University of Michigan, Ann Arbor, 1977.

Howe, B. „Karim Shahir.“ In: Braidwood, L.S., Braidwood, R.J., Howe, B., Reed, C. A., Watson, P.J. (Eds.). *Prehistoric Archaeology along the Zagros Flanks. Oriental Institute Publications 105*. The University of Chicago, Chicago, 1983. 23-154.

Kuzmin, Y.V. „Obsidian as a commodity to investigate human migrations in the Upper Paleolithic, Neolithic and Paleomethal of Northeast Asia.“ *Quaternary International, 442* 2017: 5-11.

Kuzmin, Y.V., Kulakov, S.A., Glascock, M.D., Budnitsky, S.Y., Grebennikov, A.V. „Poster presented at the International Obsidian Conference (IOC).“ *Where is the source? In search of unknown primary obsidian locale in northern Caucasus*. Engaru, Japan, 2023.

L, Nebieridze. *Neolithic of western georgia (in Georgian)*. Tbilisi, 1972.

L., Nebieridze. *Darkveti multilayer rockshelter (in Georgian)*. Tbilisi, 1978.

M., Gabunia. *Javakhetis mezolituri kultura (in Georgian)*. Tbilisi, 2001.

Manko V., Chkhatarashvili G. „ Kvirike: The Early Holocene site in Western Georgia.“ *Revista Arheologica XVIII(2* (2022): 5-16.

Manko V., Chkhatarashvili G. „Transcaucasia and Neolithic of South of Eastern Europe.“ *Arheologia N 2* (2022): 19-53.

N. Berdzenishvili, L. Nebieridze. „Kvis khanis namosakhlari k'int'rishis kheobashi (in Georgian).“ *Samkhret-dasavlet sakartvelos dzeglebi,* 1964: 7-16.

Ono, A. „Two patterns of obsidian exploitation in the Upper Paleolithic of the Japanese Islands.“ *The Dolní Věstonice Studies. Mikukov Anthropological Meeting*. 2014. 41-44.

Piperno, M., Collina, C., Gallotti, R., Raynal, J.P., Kieffer, G., Le Bourdonnec, F.-X., Poupeau, G., Geraads, D. „Obsidian exploitation and utilization during the Oldowan at Melka Kunture

(Ethiopia).“ *Interdisciplinary Approaches to the Oldowan (Hovers, E., Braun, D.R. (Eds.),*. Dordrecht, 2009. 111-128.

Reimer P. J., Austin W. E. N., Bard E., +38 authors, and Talamo S. „The IntCal20 Northern Hemisphere Radiocarbon Age Calibration Curve (0–55 cal kBP).“ *Radiocarbon 62(4):* (2020): 725–757.

S., Gogitidze. *Samkhret-aghmosavlet shavizghvisp'iretis neolituri k'ult'ura (in Georgian)*. Tbilisi, 1978.

– . *Samkhret-aghmosavlet shavizghvisp'iretis neolituri k'ult'ura (in Georgian)*. Tbilisi, 1978.

– . *The archaeological sites of the stone age in the Kintrishi valley (in Georgian)*. Batumi, 2008.

V., Doronicheva E. „The spread of Homo sapiens and regional mobility in the Early Upper Paleolithic in the Caucasus and the Levant.“ (ed.), n M. V. Bankovich. *Obrazy i znaki v traditsiyakh Yuzhnoy i Yugo-Zapadnoy Azii. Sbornik muzeya antropologii i etnografii LXI. Muzey antropologii i etnografii im. Petra Velikogo (Kunstkamera).* Sankt-Peterburg: Rossiyskaya Akademiya Nauk, 2015. 221-226.

Varoutsikos, B., Mgeladze, A., Chahoud, J., Gabunia, M., Agapishvili, T., Martin, L., Chataigner, C. „From the Mesolithic to the chalcolithic in the South Caucasus: New data from the Bavra Ablari rock shelter.“ In: Batmaz, A., Bedianashvili, G., Michalewicz, A., Robinson, A. (Eds.). *Context and Connection: Essays on the Archaeology of the Ancient near East in Honour of Antonio Sagona*. Leuven, 2017. 233-255.

ანგლოამერიკული სამართლის გავლენა ქართული სამოქალაქო სამართლის რეფორმის პროცესზე

გიორგი ამირანაშვილი
სამართლის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ელ-ფოსტა: giorgi.amiranashvili@tsu.ge
ORCID: 0000-0003-1097-0126

აბსტრაქტი: საქართველოში საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებამ ხელი შეუწყო არა მხოლოდ წარმოებისა და ვაჭრობის განვითარებას, არამედ, ასევე, სახელმწიფოს ეკონომიკურ დაახლოებას სხვა ქვეყნებთან, მათ შორის, აშშ-სთან. ამ ურთიერთობის ჯერ კიდევ ჩამოყალიბების ეტაპზე იყო მსჯელობა, რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ სამართლებრივი ნორმების ცოდნას, რომლებიც ამ ორ სახელმწიფოში ვაჭრობასა და ბიზნესს არეგულირებს.

1990-იანი წლების საქართველოში, კონტინენტურ-ევროპულ სამართალთან შედარებით, საერთო სამართლის ნაკლებად შესწავლის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ასახელებენ იმას, რომ საქართველო, ათეული წლის განმავლობაში, სოციალისტური სამართლის სისტემას განეკუთვნებოდა და არ იყო ინტერესი ანგლოამერიკული სამართლის მიმართ. შემდგომ კი, ვითარება აბსოლუტურად შეიცვალა. ქართული სამართლის რეფორმის პროცესში, მკვიდრდებოდა ნორმები როგორც კონტინენტურ-ევროპული, ისე საერთო სამართლიდან, რაც დღის წესრიგში აყენებდა საქართველოსთვის იმ დროისათვის ძალიან საინტერესო, მაგრამ ნაკლებად ცნობილი, ანგლოამერიკული სისტემის შესწავლასა და გამოკვლევას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსზე მომუშავე კომისიას ანგლოამერიკულ სამართალთან მიმართებით განსაკუთრებული ინტერესი არ გამოუხატავს. სავარაუდოდ, აღნიშნულის მიზეზი იყო ის, რომ პოსტსაბჭოთა სივრცის გარდამავალი პერიოდის საზოგადოებებს არ სთავაზობდნენ ანგლოსაქსური მოდელის აღებას, რამდენადაც, მათთვის აუცილებლად თვლიდნენ, კონტინენტურ-ევროპული ტრადიციების შესაბამისად, უფლება-მოვალეობების გამოხატვის სიზუსტესა და კომპაქტურობას.

ამის მიუხედავად, რეფორმის დასაწყისშივე იყო გარკვეული საუბარი ანგლოამერიკულ სამართალთან ქართული სამართლის თავსებადობის თაობაზე. მაგალითისათვის, ანგლოამერიკული სამართლის ნაკვალევი სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნაწილში ნაკლებად შეინიშნება, თუმცა, ზოგიერთ ინსტიტუტზე გარკვეული ზეგავლენა მაინც არის თვალშისაცემი, რადგან, მათზე მუშაობისას, კომისია ანგლოამერიკული სამართლის დებულებებსაც ეცნობოდა.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ქართულ სამოქალაქო სამართალზე საერთო სამართლის გავლენის ანალიზი, რაც სიახლე უნდა იყოს იმ კუთხით, რომ ქართულ ლიტერატურაში ეს საკითხი, უპირატესად, გაშუქებულია ევროპული, კერძოდ კი, გერმანული სამართლის კონტექსტში, რაც საინტერესოს ხდის კონტინენტურ-ევროპული სამართლისგან განსხვავებული სამართლებრივი სისტემის ჭრილში თემატიკის განხილვას.

საკვანძო სიტყვები: ანგლოამერიკული სამართალი; კონტინენტურ-ევროპული სამართალი; საქართველო; სამოქალაქო სამართალი; სამართლის რეფორმა.

* * *

შესავალი: საქართველოში საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებამ ხელი შეუწყო არა მარტო წარმოებისა და ვაჭრობის განვითარებას, არამედ, აგრეთვე, ქვეყნის ეკონომიკურ დაახლოებას სხვა სახელმწიფოებთან, მათ შორის, ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ამ ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობის განმტკიცების მნიშვნელოვან ხელშემწყობ პირობას წარმოადგენდა საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 11 დეკემბრის დადგენილებით რატიფიცირებული 1994 წლის 7 მარტის ხელშეკრულება „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ“ (ლილუაშვილი, 1997: 31). ამ დოკუმენტს წინ უსწრებდა 1992 წლის 27 ივნისის ხელშეკრულება „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის ინვესტიციების ხელშეწყობის შესახებ“. გარდა ზემოხსენებულისა, მოგვიანებით, კერძოდ, 2007 წლის 20 ივნისს, ხელი მოეწერა ჩარჩო შეთანხმებას „საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ვაჭრობისა და ინვესტიციების შესახებ“. აღნიშნული ურთიერთობის ჯერ კიდევ ჩამოყალიბების ეტაპზე იყო საუბარი იმაზე, რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ სამართლებრივი ნორმების ცოდნას, რომლებიც ამ ორ ქვეყანაში ვაჭრობასა და ბიზნესს აწესრიგებს (ლილუაშვილი, 1997: 32).

1990-იანი წლების საქართველოში, კონტინენტური ევროპის სამართალთან შედარებით, საერთო სამართლის ნაკლებად შესწავლის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად ასახელებენ იმას, რომ საქართველო, ათეული წლის განმავლობაში, სოციალისტური სამართლის სისტემას მიეკუთვნებოდა და არ იყო ინტერესი საერთო სამართლის მიმართ. შემდეგ კი, მდგომარეობა სრულიად შეიცვალა. ქართული სამართლის რეფორმის პროცესში, მკვიდრდებოდა ნორმები როგორც კონტინენტური ევროპის, ისე საერთო სამართლიდან, რაც დღის წესრიგში აყენებდა საქართველოსთვის იმ დროისთვის ძალზე საინტერესო, მაგრამ ნაკლებად ცნობილი, საერთო სამართლის სისტემის შესწავლასა და გამოკვლევას (ლილუაშვილი, 1997: 32).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შემმუშავებელ კომისიას ინგლისურ-ამერიკული სამართლის მიმართ განსაკუთრებული დაინტერესება არ გამოუვლენია (ზოიძე, 1999: 14-15). ალბათ, ამის მიზეზი ის იყო, რომ პოსტსაბჭოთა სივრცის გარდამავალი პერიოდის საზოგადოებებს არ სთავაზობდნენ ანგლოსაქსური მოდელის აღებას, რამდენადაც, მათთვის აუცილებლად თვლიდნენ, კონტინენტური ევროპის ტრადიციების შესაბამისად, უფლება-მოვალეობების გამოხატვის სიზუსტესა და კომპაქტურობას. შესაბამისად, პრაგმატული და, არავითარ შემთხვევაში, სტრუქტურული პოზიციებიდან გამომდინარე, მხარს უჭერდნენ ცნებების თვალსაზრისით ზუსტ კოდიფიკაციებს და ყველა, ვინც იმჟამად მუშაობდა ქართულ კანონმდებლობაზე, იმედოვნებდა, რომ ეს საქართველოს ნათელი მომავლისთვის საუკეთესო წვლილი იქნებოდა (კნიპერი, 1994: 191). ამდენად, გარდამავალი პერიოდის საზოგადოებებისათვის მნიშვნელოვნად მიაჩნდათ მათი სამოქალაქო და ეკონომიკური სამართლის დაწვრილებითი კოდიფიცირება, ამასთან, ისინი არ უნდა დაყრდნობოდნენ პრეცედენტულ სამართალსა და ხელშეკრულების გაფორმების ხელოვნების განვითარებას. ორივეს, ცხადია, საჭიროდ თვლიდნენ და ფიქრობდნენ, რომ მათი დროც მოვიდოდა (კნიპერი, 1996: 30). აღსანიშნავია ისიც, რომ ძველ ქართულ სამართალზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ბერძნულ-რომაულმა სამართალმა (ზოიძე, 2005: 53), რომელიც სწორედ თანამედროვე ევროპული სამართლის საფუძველს წარმოადგენს (ზოიძე, 2005: 36).

მიუხედავად ამისა, რეფორმის საწყის ეტაპზე, იყო გარკვეული მსჯელობა საერთო სამართალთან ქართული სამართლის თავსებადობის შესახებ (ზოიძე, 1999: 14). მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნაწილში საერთო სამართლის კვალი ნაკლებად შეინიშნება, თუმცა, გარიგებებზე გარკვეული გავლენა მაინც არის შესამჩნევი, რამდენადაც, კომისია, მათზე მუშაობისას, საერთო სამართალში არსებულ დებულებებსაც ეცნობოდა (ზოიძე, 1999: 17-18).

სტატიის მიზანია ქართულ სამოქალაქო სამართალზე ანგლოამერიკული სამართლის გავლენის განხილვა, რაც სიახლეს უნდა წარმოადგენდეს იმ თვალსაზრისით, რომ ქართულ წყაროებში ეს თემატიკა, ძირითადად, გაშუქებულია ევროპული, საკუთრივ კი, გერმანული სამართლის ფონზე, რაც საინტერესოს ხდის კონტინენტური ევროპისაგან განსხვავებული სამართლებრივი სისტემის ჭრილში საკითხის შესწავლას. მითუმეტეს, უკანასკნელ წლებში, შეიმჩნევა საერთო სამართლის

ოჯახის სივრცისათვის დამახასიათებელი ცალკეული სამართლებრივი ინსტიტუტისა, თუ ნორმის რეცეფცია ქართულ კანონმდებლობაში (ამირანაშვილი, 2016: 70).

მეთოდები: წინამდებარე ნაშრომში დასმული საკითხის კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძვლად გამოყენებულია როგორც ზოგადმეცნიერული – ისტორიული, სისტემური, ანალიზის, სინთეზისა და ლოგიკური, ასევე, სპეციალური – დოგმატური და შედარებითსამართლებრივი კვლევის მეთოდები.

კერძოდ, სტატიაში შესწავლილია 1990-იან წლებში არსებული მოსაზრებები ქართულ სამართალზე ანგლოამერიკული სამართლის გავლენის თაობაზე. აღნიშნული დაკვირვებები შეჯერებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიღებიდან თითქმის 20 წლის გასვლის შემდგომ ამავე საკითხზე გამოთქმულ შეხედულებებთან და გამოტანილია შესაბამისი დასკვნები.

მსჯელობა: საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მიღებულ იქნა 1997 წლის 26 ივნისს. ამავე წლის 24 ნოემბერს, ქართული სამოქალაქო კოდექსის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, გერმანელი (ბრემენელი) პროფესორი როლფ კნიპერი თავის მოხსენებაში „რამდენიმე მოსაზრება საქართველოში კერძო სამართლის დარგში რეფორმის განხორციელების შესახებ“ აღნიშნავდა შემდეგს: კოდიფიკაციამ, ნაცვლად დაუწერელი ან არაკოდიფიცირებული სამართლისა, როგორც ერთ-ერთმა საკამათო საკითხთაგანმა, თითქოს დაკარგა თავისი სიმწვავე. კერძოდ, საკითხმა, ტრანსფორმაციის ქვეყნებს კონტინენტურ-ევროპული თუ ანგლოსაქსური სამართლებრივი სისტემისათვის უნდა მიემართათ, ე.ი., გერმანელი სოციოლოგის, მაქს ვებერის ფორმულირებით – სამართლებრივი განვითარება უნდა განხორციელდეს სისტემატური კოდიფიკაციების ბაზაზე, ე.ი., „ნორმათა ჩაკეტილი, წინააღმდეგობრიობისაგან თავისუფალი და სრულყოფილი კომპლექსის საფუძველზე“ თუ მეტადრე „ამორფულად ემპირიული და პრეიუდიციული სამართლის საფუძველზე“ (კნიპერი, 1998: 74).

მისი თქმით, ვებერმა ღიად დატოვა კითხვა, ბაზრის კერძო მონაწილეთა ქვეყანაში მოქმედ და (პოლიტიკურად) დიდი გავლენის მქონე ჯგუფებისათვის ერთი კონცეფცია იქნებოდა უფრო მომგებიანი, თუ მეორე. ტრანსფორმაციის პროცესში მყოფ საზოგადოებებში, რომლებშიც ბაზრის კერძო მონაწილენი, როგორც მნიშვნელოვანი ეკონომიკური ფაქტორი, ჯერ კიდევ წარმოსაშობია, ეს საკითხი გადასაწყვეტია. გამოცდილება იმაზე მიუთითებს, რომ ეს – პოლიტიკურად ყოველმხრივ სასურველი – პროცესი სისტემური კოდიფიკაციისა მისთვის სახასიათო სიცხადითა და სამართლებრივი სიმყარის საშუალებით განხორციელდება (კნიპერი, 1998: 74).

ძირითადი მახასიათებელი ისაა, რომ დაპირისპირება უფრო მეთოდისა და ფორმისმიერია, ვიდრე არსობრივი. არ არსებობს ისეთი კონტინენტურ-ევროპული სამართალი, რომელიც არსებითი პრინციპებითა და გადაწყვეტილებებით „ანგლოსაქსურისაგან“ განსხვავდებოდეს. სამოქალაქო სამართალი ეფუძნება აქაც და იქაც საკუთრებას, ხელშეკრულებას, დელიქტს, უსაფუძვლო გამდიდრებას, ოჯახსა და მემკვიდრეობას (კნიპერი, 1998: 74-75).

საქართველოში შემუშავებულ იქნა და უმეტესწილად ძალაში შევიდა მატერიალური და პროცესუალური კერძო სამართლის სისტემური კოდიფიკაციები. იმავდროულადვე აშკარაა, რომ ეს ორიენტირება არც ანგლოსაქსურ ინვესტორებსა თუ საადვოკატო სამსახურებს და არც ამერიკის აკადემიურ ან იურიდიულ პროფესიულ ინსტიტუტებთან თანამშრომლობას უღობავს გზას. ეს მით უფრო ასეა, რომ ძირითადი ორიენტაციის გზით წარმოიშვა არა გერმანული ან ჰოლანდიური კანონების ასლები, არა „ტრანსპლანტაციები“, არამედ სრულიად თავისთავადი და სახასიათო ნორმები, რომლებიც თავის სპეციფიკურ დინამიკას, კერძოდ, პრაქტიკულ მოქმედებაში ავლენს (კნიპერი, 1998: 75).

დაისვა თუ არა საქართველოში სამართლის რეფორმის საკითხი, იმთავითვე გაჩნდა კითხვა, თუ რომელ სამართლებრივ ოჯახში დაედო ბინა ქართულ სამართალს. ამ კითხვაზე პასუხი თვით ქართული სამართლის ისტორიულმა წარსულმა გასცა და დღეისათვის შეიძლება ითქვას, რომ საქართველო კონტინენტური ევროპის სამართლებრივი ოჯახის ქვეყანაა. თუმცა, რეფორმის დასაწყისში იყო ცალკეული დისკუსია საერთო სამართალთან ქართული სამართლის ურთიერთობის

შესახებ. იხსენებენ კერძო სამართლის მაშინდელ ისტორიას, როცა პარლამენტში დებატებამდე სერიოზული კამათი იყო იმის შესახებ, რომელი სისტემით მოეხდინათ სამეწარმეო (საკორპორაციო) ურთიერთობათა მოწესრიგება. ევროპული სტანდარტებით შემუშავებულ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის გვერდით გაჩნდა ქართული სავაჭრო კოდექსის აშშ-ის სავაჭრო კოდექსის მსგავსი ვარიანტი. პარლამენტმა განიხილა მხოლოდ ევროპული მოდელის პროექტი, რომელიც კარგა ხანი (1994 წლის 28 ოქტომბრიდან 2021 წლის 2 აგვისტომდე) მოქმედებდა, როგორც კანონი „მეწარმეთა შესახებ“. დიდი ძალისხმევა არ დასჭირდა იმას, რომ სავაჭრო კოდექსის იდეა, თანაც ამერიკულის მსგავსი, უარყოფილიყო. სავაჭრო კოდექსის ამერიკული ვარიანტი შეუძლებელი იყო, თანხმობაში მოსულიყო სამოქალაქო სამართალთან. ის გამოიწვევდა კერძო სამართლის ორგანიზმში განხეთქილებას და, ამდენად, სამოქალაქო და სავაჭრო სამართლის მოწესრიგების სფეროთა ერთმანეთში აღრევა-დაპირისპირებას. საქმე ისაა, რომ მთელი რიგი ურთიერთობები, რომლებსაც ამერიკული სავაჭრო კოდექსი აწესრიგებს, ტრადიციულად, ევროპულ სამართალში (ქართულშიც) სამოქალაქო სამართლით წესრიგდება. ამის მაგალითად ნასყიდობის ინსტიტუტიც საკმარისია. ევროპულ კერძო სამართალში სამოქალაქო სამართალი საგნობრივი თვალსაზრისითაც მკვეთრადაა გამიჯნული სამეწარმეო (საკორპორაციო), სავაჭრო სამართლისაგან. როგორც ჩანს, პოზიტიური სამართლის ქვეყნებში კოდიფიკაციის გზით გაცილებით ადვილია აღნიშნულის განხორციელება, ვიდრე ეს პრეცედენტული სამართლის ქვეყნებშია შესაძლებელი. რა უნდა ყოფილიყო უცხო სამართლის ასეთი უშედეგო გადმონერგვის საფუძველი? ამას ბევრად განაპირობებს პოლიტიკურ-კულტურული კავშირები განვითარებულ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებთან. ასეთი ქვეყნების რიგში განსაკუთრებით გამოიკვეთა საქართველოს ურთიერთობა აშშ-სა და გერმანიასთან (ზოიძე, 1999: 15).

ორმხრივი ურთიერთთანამშრომლობის დასტურია ის, რომ ქართველები დაინტერესდნენ მოცემული ქვეყნების სამართლებრივი კულტურით. იმ პერიოდშივე მრავლად შეინიშნებოდა აშშ-ისა თუ გერმანიის უნივერსიტეტებში იურისპრუდენციითა თუ კულტურის სხვა დარგებით გატაცებული ქართველი ახალგაზრდები. თავის მხრივ, საქართველოშიც მრავლად შეიძლებოდა ამერიკელი თუ ევროპელი იურისტების ხილვა. საქართველოში სამართლის ექსპორტისათვის ბრძოლაში დიდი უპირატესობით იმარჯვებს ევროპული იურისპრუდენცია, რასაც ხელს უწყობს რეფორმამდელი სამართლის ისტორიული სულისკვეთება (ზოიძე, 1999: 15).

ვინაიდან საკანონმდებლო დონეზე ვერ მოხერხდა ამერიკული სამართლის რეცეფცია საქართველოში, იმავე პერიოდში გამოიკვეთა ამ რეცეფციის უფრო მარჯვე გზა, როგორიცაა იურიდიული პრაქტიკის მეშვეობით მისი დამკვიდრება, რაც შეძლეს პრაქტიკოსმა იურისტებმა. ამ შემთხვევაში, მხედველობაში აქვთ სამართლის რეცეფცია ხელშეკრულებათა დონეზე. ამას ემატება საბაზრო ეკონომიკის ის სფერო, რომელშიც უმეტესწილად ამერიკული ინვესტიციები ჩაიდო. ამ შემთხვევაშიც გამოჩნდა ამერიკული სამართლის არსებითი თვისება, რომ ის პრაქტიკიდან მოსული სამართალია (ზოიძე, 1999: 15).

ქართული სამართალი კვლავაც რჩება როგორც პოზიტიური სამართალი, მაგრამ ჯერ კიდევ იმდროინდელი მოვლენებიდან აშკარად ჩანდა პრაქტიკოსი იურისტის როლის ზრდა სამართალქმნადობის პროცესში, რაზეც ზემოთ იყო უკვე ყურადღება გამახვილებული (ზოიძე, 1999: 15).

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველომ თანაბრად ისარგებლა აშშ-ის თანადგომითა და ევროპული კავშირის სახელმწიფოებთან, მათ შორის, გერმანიასთან, თანამშრომლობით. სამართლის სფეროებში აშკარად შესაცნობია ორივე ქვეყნის გავლენა, თუ თვალი გადაევლება რეფორმირებულ კანონმდებლობას. აღნიშნული ვრცელდება, მათ შორის, სამოქალაქო კოდექსის მატერიალურსამართლებრივ საფუძვლებზე. იურისტები დღემდე აგრძელებენ ორივე სამართლებრივი წრიდან, მაშასადამე, საერთო სამართლისა და კონტინენტურ-ევროპული სივრციდან, თანამშრომლობას კონსულტაციების სახით, სამართლისა და მართლმსაჯულების რეფორმების ხელშეწყობის მიზნით (დეპე, 2016: 40-41).

თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ როდესაც საუბარია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ევროპეიზაციის როლსა და მნიშვნელობაზე, ევროპეიზაცია, თავის თავში, გარკვეულ ღირებულებებზე დაყრდნობას ნიშნავს. ასეთი სახის ღირებულებისთვის ქვეყანას აუცილებლად უნდა გააჩ-

ნდეს სამართლებრივი წარსული, რაც, საბოლოო ჯამში, მის არჩევანში მთავარ როლს ითამაშებს. აღნიშნულის საფუძველზე, ქვეყანა თავად გადაწყვეტს, გახდეს კონტინენტური სამართლისა თუ საერთო სამართლის ოჯახში შემავალი ქვეყანა. საქართველომ, თავისი წარსულიდან გამომდინარე, არჩევანი პირველ მათგანზე შეაჩერა (ჯორბენაძე, 2014: 68).

საერთო სამართლის ქვეყნების მთავარი ღირებულება, სამართლებრივი კუთხით, სასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკაა. აღნიშნული ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს, საერთო სამართლის ქვეყნებში არ არის წარმოდგენილი კანონები, პირიქით, კანონები მათ გააჩნიათ, თუმცა, მათში არ ვლინდება ნორმის მოქმედების დაკონკრეტებული ხასიათი. დღესდღეობით, საერთო სამართლის ქვეყნების გამოცდილების გაზიარებისთვის მნიშვნელოვანია, ქვეყანას არანაკლებ სასამართლო პრეცედენტები გააჩნდეს უხვი რაოდენობით. რა მოუწესრიგებელი ვითარება იქნებოდა საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საერთო სამართლის ფუძემდებლური პრინციპები რომ ამოქმედებულიყო. ქვეყანას, რომელსაც არათუ სასამართლო პრაქტიკა, არამედ, კანონიც კი არ გააჩნდა ჩამოყალიბებული სახით, თითოეული დავის გადაწყვეტა ახალი პრეცედენტებისა და, შესაბამისად, მოქმედების განხორციელების ახალი მიმართულების საფუძველი გახდებოდა. აღნიშნული კი, თავის მხრივ, ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოიწვევდა ერთგვარ ნონსენსს (ჯორბენაძე, 2014: 73).

მიუხედავად თავისი დახვეწილობისა და გარეგნული მიმზიდველობისა, რაც, უწინარეს ყოვლისა, საერთო სამართლის სისტემის დინამიკურობასა და მოქნილობაში გამოიხატება, საერთო სამართლის მეთოდებისა და სამართლებრივი ტრადიციების დამკვიდრება საქართველოში შეუძლებელია, ვიდრე იარსებებენ კონტინენტური ევროპის ტრადიციებზე გაზრდილი იურისტები. საქართველოს არა ჰყავს საერთო სამართლის მეთოდოლოგიაზე აღზრდილი იმ კვალიფიკაციისა და იმ რაოდენობის ადვოკატები თუ მოსამართლეები, რომელთაც შეეძლებათ ხელშეკრულებებისა თუ სასამართლო გადაწყვეტილებების იმგვარად მომზადება და გაფორმება, რომ მათ კანონის ნორმათა შეცვლის პრეტენზია ჰქონდეთ. ამ რეალობას კანონშემოქმედმა თვალი უნდა გაუსწოროს და სამართალგამომყენებლებს კოდიფიცირებული სამართალი შესთავაზოს (ჭანტურია, 2016: 14-15).

მაშასადამე, საქართველო, ტრადიციულად, მისი სამართლებრივი სისტემის თვალსაზრისით, კონტინენტურ-ევროპული სამართლის ოჯახს მიეკუთვნებოდა. ეს ტენდენცია დამახასიათებელი იყო არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ, მთელი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისთვის, რომელიც რომანულ-გერმანული სამართლის დიდ ზეგავლენას განიცდიდა (ბურდული, 2016: 10).

სწორედ ამ პოლიტიკურ-სამართლებრივი ისტორიული საფუძვლით იქნა განპირობებული, რომ ქვეყნის მაშინდელმა ხელისუფლებამ გეზი ევროპული სამართლის რეცეფციისაკენ აიღო. საქართველოს იმდროინდელი პოლიტიკური ელიტის გერმანიის მაღალი პოლიტიკური წრის წარმომადგენლებთან სიახლოვის გამო კი, აქცენტი სწორედ გერმანული სამართლის რეცეფციაზე გაკეთდა. თუმცა, ამას არა მხოლოდ პოლიტიკური ან პერსონალური, არამედ, იურიდიული და სამართლებრივ-კულტურული ფენომენიც ედო საფუძვლად: ქართველი იურისტების სამართლებრივი აზროვნების სტილი გერმანულთან იდგა ახლოს. ენის ცოდნა, გერმანული სამართლის სისტემის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის ფლობა, სხვადასხვა გერმანული ორგანიზაციის აქტიური ჩართვა და მონაწილეობა საქართველოს კანონშემოქმედების პროცესში, საკანონმდებლო ინიციატივების მხარდამჭერი პროექტების განხორციელება განაპირობებდა იმას, რომ საბოლოო ჯამში, დამოუკიდებლობამოპოვებულმა ქვეყანამ გერმანული სამართლის საფუძველზე ჩამოყალიბებული საკანონმდებლო კონსტრუქცია შექმნა. ეს სრული მოცულობით შეეხო ქართულ კერძო სამართალს (ბურდული, 2016: 10-11).

დასკვნები: წინამდებარე ნაშრომში წარმოჩნდა, თუ რა დაკვირვებები ჰქონდათ 1990-იან წლებში ქართულ სამართალზე საერთო სამართლის გავლენის შესახებ. კერძოდ, როგორც განვითარებული მსჯელობიდან გამოიკვეთა, რეფორმის დასაწყისშივე იყო გარკვეული საუბარი ანგლოამერიკულ სამართალთან ქართული სამართლის თავსებადობის თაობაზე. მართალია, საერთო სამართლის ნაკვალევი სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნაწილში ნაკლებად შეინიშნება, თუმცა, ზოგიერთ ინსტიტუტზე გარკვეული ზეგავლენა მაინც არის თვალშისაცემი, რადგან, მათზე მუშაობისას, კო-

მისია ანგლოამერიკული სამართლის დებულებებსაც ეცნობოდა. ისიც უნდა ითქვას, რომ უკვე იმ პერიოდში ესმეოდა ხაზი, რომ თანდათანობით ხდებოდა კონტინენტურ-ევროპული და ანგლოამერიკული სამართლის დაახლოება. ოცდამეერთე საუკუნე სწორედ ამ დაახლოების აღმასვლად ესახებოდათ, მით უფრო, რომ სამართლის უამრავი საკვანძო დანაწესი მათ მაშინაც საერთო ჰქონდათ (ზოიძე, 1999: 25).

ამასთანავე, სტატიაში შეჯერებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიღებიდან თითქმის ორი ათეული წლის გასვლის შემდეგ გამოთქმული მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, საიდანაც ვლინდება, რომ ქართულ კანონმდებლობაზე ანგლოამერიკული სამართლის თვალსაჩინო გავლენების მიუხედავად, საქართველოს სამართლებრივი სისტემა ცალსახად კონტინენტურ-ევროპული სამართლის ოჯახის კუთვნილებაა.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

ამირანაშვილი, გ. (2016). გარიგების ფორმის მიმართ არსებული მოთხოვნების ზოგიერთი თავისებურება ამერიკულ სამართალში. *„სამართლის ჟურნალი“ (№2, გვ. 69-78).* თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა;

ბურდული, ი. (2016). სამეწარმეო სამართლის განვითარების ძირითადი ტენდენციები. რედ: ბურდული, ი. *თანამედროვე ქართული სამეწარმეო სამართლის განვითარება (რეფორმის ძირითადი ასპექტები). (გვ. 7-48).* თბილისი: გამომცემლობა „იურისტების სამყარო“;

დეპე, ი. (2016). საქართველოს სამოქალაქო და კომერციული სამართლის რეფორმები (ბოლო დროს განვითარებული მოვლენების მიმოხილვა საკუთრების უფლების მიხედვით). *საერთაშორისო კონფერენციის „საკუთრება და სამართლებრივი სტაბილურობა: საკუთრების ცნების ტრანსფორმაცია“ მასალების კრებული (5-6 ნოემბერი, 2015).* გვ. 40-49. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ზოიძე, ბ. (2005). ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში. თბილისი: საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი;

ზოიძე, ბ. (1999). საერთო (ინგლისურ-ამერიკული) სამართლის გავლენა ქართულ სამოქალაქო კოდექსზე. *ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“ (პირველი-მეორე კვარტალი, გვ. 14-25).* თბილისი: ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი;

კნიპერი, რ. (1994). კოდიფიკაციის მეთოდები და კონცეფციები გარდამავალი პერიოდის საზოგადოებებში (საქართველოს მდგომარეობის გათვალისწინებით). *საერთაშორისო კონფერენციის „სამართლის რეფორმა საქართველოში“ მასალები (23-25 მაისი, 1994).* გვ. 176-191. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა;

კნიპერი, რ. (1996). მოსაზრებანი სამართლებრივი რეფორმის თაობაზე. პროფესორ სერგო ჯორბენაძის პატივსაცემად. რედ-ები: კნიპერი, რ. ჭანტურია ლ. *სერგო ჯორბენაძე 70: საიუბილეო კრებული. (გვ. 21-31).* თბილისი: გამომცემლობა „ნორმა“;

კნიპერი, რ. (1998). რამოდენიმე მოსაზრება საქართველოში კერძო სამართლის დარგში რეფორმის განხორციელების შესახებ. *ჟურნალი „მაცნე“: სამართლის სერია (№1, გვ. 73-81).* თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემია;

ლილუაშვილი, გ. (1997). ნასყიდობა აშშ-ს ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსის მიხედვით. *სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „სამართალი“ (№11-12, ნოემბერი-დეკემბერი, გვ. 31-36).* თბილისი: საგამომცემლო პოლიგრაფიული კომპლექსი „სამშობლო“;

ჭანტურია, ლ. (2016). ქართული სამართალი და განვითარების ალტერნატივები. *ოთარ გამყრელიძე 80: საიუბილეო სამეცნიერო კრებული. (გვ. 11-22).* თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“;

ჯორბენაძე, ს. (2014). საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, როგორც ქართული კერძო სამართლის ევროპეიზაციის ნიმუში (ძირითადი პრინციპები და თავისებურებანი). *საერთაშორისო ინტერდისციპლინარული კონფერენცია ევროპული ღირებულებები და იდენტობა: მოხსენებები (16-17-18 ივნისი, 2014).* გვ. 68-80. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

THE INFLUENCE OF ANGLO-AMERICAN LAW ON THE PROCESS OF CIVIL LAW REFORM IN GEORGIA

GIORGI AMIRANASHVILI
PhD in Law, Assistant Professor at
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
E-Mail: giorgi.amiranashvili@tsu.ge
ORCID: 0000-0003-1097-0126

Abstract: Establishment of market economy in Georgia has facilitated the development of production and trade, as well as economic convergence of the country with other states, among them, with the United States of America. At the formation stage of the mentioned above relationship, it was already discussed that knowledge of the legal norms, regulating the trade and business in these two countries, should have been given greater importance.

In Georgia, in 1990-s, as compared with the law of continental Europe, one of the main reasons for lower level of study of common law was the fact that Georgia, during the decades, belonged to the socialistic legal system and there was no interest towards the common law. And then, the situation has completely changed. In the process of reformation of the Georgian law, the norms were being introduced from the continental Europe, as well as from common law, raising the issue of study and research of very interesting, but less known for Georgia by that time, common law system.

The Commission, working on the drafting of the Civil Code of Georgia, has not demonstrated particular interest towards the Anglo-American law. Probably, the reason for the above attitude was the fact that societies of transition period of post-soviet space were not offered to take the Anglo-Saxon model, as far as the precision and compactness of expression of obligations was considered as necessary for them, in accordance with the traditions of continental Europe.

Nevertheless, at the initial stage of reform, there was some discussion about compatibility of Georgian law to the common law. For example, in general part of the Civil Code, the footprints of common law are less observed, however, certain influence on the transactions is still noticeable, as the Commission, in the process of working, was also getting familiar with the provisions effective in the common law.

The aim of the paper is to discuss the influence of Anglo-American law on Georgian civil law. This should be a novelty in the sense that in Georgian sources this topic is mainly covered against the backdrop of European, and specifically German law, which makes it interesting to study the experience of a legal system different from that of Continental Europe.

Keywords: Common Law; Continental Law; Georgia; Civil Law; Law Reform.

* * *

Introduction. The establishment of a market economy in Georgia has facilitated not only the development of production and trade but also the country's economic integration with other states, including the United States. A significant factor supporting the strengthening of economic relations between these two countries was the agreement signed on March 7, 1994, titled „Treaty Between the Government of the Republic of Georgia and the Government of the United States of America Concerning the Encouragement and Reciprocal Protection of Investment", which was ratified by the Georgian Parliament on December 11, 1996 (Liluashvili, 1997: 31). This document was preceded by the June 27, 1992 agreement titled „Treaty Between the Government of the Republic of Georgia and the Government of the United States of America Concerning Investment Promotion". Additionally, on June 20, 2007, a framework agreement titled „United States-Georgia Trade and Investment Framework Agreement" was signed.

Even during the initial stages of developing this relationship, it was acknowledged that understanding the legal norms governing trade and business in both countries held great significance (Liluashvili, 1997: 32).

One of the main reasons for the limited study of common law in Georgia during the 1990s – as compared to Continental European law – was the fact that, for decades, Georgia had belonged to the socialist legal system and had shown little interest in common law. However, the situation changed entirely. In the process of reforming Georgian law, norms from both Continental European and common law traditions began to be introduced. This, in turn, placed on the agenda the study and examination of the common law system, which at the time was highly relevant but still relatively unfamiliar in Georgia (Liluashvili, 1997: 32).

The commission that drafted Georgia's Civil Code did not express any particular interest in Anglo-American law (Zoidze, 1999: 14-15). Likely, this was because post-Soviet transitional societies were not being offered the Anglo-Saxon model, as it was considered essential for them to adopt the precision and compactness in expressing rights and obligations that are characteristic of Continental European traditions. Consequently, from a pragmatic – but never structural – perspective, support was given to codifications that were conceptually precise. Everyone involved in working on Georgian legislation at that time hoped this would be the best contribution to Georgia's bright future (Knipper, 1994: 191).

Thus, for transitional societies, detailed codification of their civil and economic law was considered important. At the same time, they were advised not to rely on case law or the art of contract drafting. While both were certainly deemed necessary, it was believed that their time would come (Knieper, 1996: 30).

It is also worth noting that ancient Georgian law was significantly influenced by Greco-Roman law (Zoidze, 2005: 53), which forms the foundation of modern European law (Zoidze, 2005: 36).

Nevertheless, at the initial stage of the reform, there was some discussion about the compatibility of Georgian law with common law (Zoidze, 1999: 14). For example, while the general part of the Civil Code shows little trace of common law, certain influences are still noticeable in the section on transactions, as the commission consulted provisions from common law in the process of working on them (Zoidze, 1999: 17-18).

The aim of this article is to examine the influence of Anglo-American law on Georgian civil law. This presents a novel perspective because this topic has mostly been addressed in Georgian sources in the context of European – and specifically German – law, making it particularly interesting to explore the issue through the lens of a legal system that differs from Continental Europe. This is especially relevant today, as in recent years we have seen the reception of certain legal institutions or norms from the common law family into Georgian legislation (Amiranashvili, 2016: 70).

Methods. This paper employs both general scientific and specialized research methods as the methodological foundation for examining the issue at hand. The general scientific methods include historical, systematic, analytical, synthetic, and logical approaches, while the specialized methods include dogmatic and comparative legal research.

Specifically, the article examines opinions from the 1990s regarding the influence of Anglo-American law on Georgian law. These observations are then compared with views expressed on the same topic nearly 20 years after the adoption of the Civil Code of Georgia, and relevant conclusions are drawn.

Discussion. The Civil Code of Georgia was adopted on June 26, 1997. On November 24 of the same year, one of the key architects of the Georgian Civil Code, German (from Bremen) professor Rolf Knieper, noted the following in his report titled *„Some Reflections on Implementing Private Law Reform in Georgia"*:

Codification, as an alternative to unwritten or uncodified law – once a controversial issue – seems to have lost its sharpness. Specifically, the question of whether countries undergoing transformation should adopt a Continental European or Anglo-Saxon legal system – formulated by the German sociologist

Max Weber – remains relevant. According to Weber, legal development should be based on systematic codifications, i.e., a „closed, contradiction-free and comprehensive system of norms", rather than on a „formless, empirical and precedent-based law" (Knieper, 1998: 74).

He noted that Weber left open the question of which legal concept – one or the other – would be more advantageous for countries with private market participants and politically influential groups. In societies undergoing transformation, where private market participants are still emerging as key economic actors, this question remains to be resolved. Experience indicates that this politically desirable process will be best implemented through systematic codification, offering legal clarity and stability (Knieper, 1998: 74).

The core distinction lies more in method and form than in substance. There is no Continental European legal system that, in terms of essential principles and decisions, fundamentally differs from Anglo-Saxon law. Civil law in both traditions is based on property, contracts, torts, unjust enrichment, family law, and inheritance (Knipper, 1998: 74-75).

In Georgia, systematic codifications of both substantive and procedural private law were developed and largely entered into force. At the same time, it is clear that this orientation does not hinder cooperation with Anglo-Saxon investors or legal services, nor with American academic or legal professional institutions. This is especially true since the primary orientation did not result in copies or „transplants" of German or Dutch laws, but rather in wholly original and characteristic norms that exhibit their specific dynamic in practice (Knieper, 1998: 75).

From the moment the question of legal reform arose in Georgia, the question of which legal family Georgian law belongs to also emerged. This question was answered by Georgia's own legal history. Today, it can be said that Georgia is part of the Continental European legal family. Nevertheless, at the start of the reform process, there was some discussion about Georgia's relationship to common law. Some recall the history of private law, where, prior to parliamentary debates, serious disputes arose about which system should regulate entrepreneurial (corporate) relations. Alongside the law „On Entrepreneurs", drafted to European standards, there appeared a version of the Georgian Commercial Code resembling the U.S. Uniform Commercial Code. Parliament only considered the European model, which remained in effect for a long time (from October 28, 1994, to August 2, 2021) as the „Law on Entrepreneurs". It did not take much effort to reject the idea of a commercial code modeled after the American one. An American-style commercial code would have been incompatible with civil law, causing a rupture in the organism of private law and leading to confusion and conflict between civil and commercial law domains.

The issue is that many of the relationships regulated by the U.S. Commercial Code are traditionally governed by civil law in European legal systems – including in Georgia. The institution of sales contracts is one example. In European private law, civil law is clearly separated from entrepreneurial (corporate) and commercial law in terms of subject matter. It appears that in countries with positive (statutory) law, it is easier to achieve this separation through codification than it is in precedent-based legal systems.

What was the basis for such an ineffective transplant of foreign law? Much of it stems from political and cultural ties with developed market economy countries. Among these, Georgia's relationships with the U.S. and Germany have been particularly significant (Zoidze, 1999: 15).

A sign of mutual cooperation is the Georgian interest in the legal cultures of these countries. At that time, many young Georgians studied law and other disciplines in American or German universities. In turn, it was common to see American or European lawyers in Georgia. In the contest to export law to Georgia, European jurisprudence has prevailed, thanks in part to the historical spirit of pre-reform Georgian law (Zoidze, 1999: 15).

Since it was not possible to formally adopt American law at the legislative level, a more pragmatic route emerged: its introduction through legal practice, achieved by practicing lawyers. Here, the reception of law refers to the contractual level. This is complemented by the market economy sectors that primarily attracted American investment. In those cases, American law revealed its essential feature: it is law derived from practice (Zoidze, 1999: 15).

Georgian law remains positive law, but already at that time the growing role of practicing lawyers in the law-making process became evident, as previously noted (Zoidze, 1999: 15).

Thus, it can be said that Georgia has benefited from both the support of the United States and cooperation with EU states, including Germany. In the field of law, the influence of both legal traditions is evident when reviewing reformed legislation. This also applies to the substantive legal foundations of the Civil Code. Lawyers continue to engage in consultation and cooperation with representatives of both legal traditions – common law and Continental European law – to support legal and judicial reforms (Deppe, 2016: 40-41).

However, when discussing the role and significance of the Europeanization of Georgia's Civil Code, it should be considered that Europeanization inherently involves adherence to certain values. For such values to take root, a country must have a legal past, which ultimately plays a decisive role in its choice. On that basis, a country can determine whether it belongs to the Continental or Common Law family. Georgia, based on its history, has opted for the former (Jorbenadze, 2014: 68).

The central legal value in common law countries is judicial precedent. However, this should not be understood to mean that common law countries do not have statutes – they do. But these statutes do not usually embody the detailed application of norms. For a country to benefit from common law experience today, it must have a wealth of judicial precedents. Imagine the chaos if Georgia, upon gaining independence, had attempted to implement fundamental common law principles. A country without established judicial practice – and not even well-formed legislation – would have faced the need to create new precedents and legal directions with each case. This would have led to legal uncertainty and confusion in daily life (Jorbenadze, 2014: 73).

Despite its sophistication and external appeal – especially due to the dynamism and flexibility of the common law system – it is impossible to establish common law methods and traditions in Georgia as long as the legal profession is shaped by Continental European traditions. Georgia does not have lawyers or judges, in either the necessary number or qualification, trained in the common law methodology, capable of drafting contracts or judgments in ways that could set binding precedents or challenge existing statutes. Lawmakers must face this reality and offer codified law to those who interpret and apply the law (Chanturia, 2016: 14-15).

Thus, traditionally, from the perspective of its legal system, Georgia belonged to the Continental European legal family. This trend was characteristic not only of Georgia but also of all of Central and Eastern Europe, which was under the strong influence of Romano-Germanic law (Burduli, 2016: 10).

It was precisely this political-legal historical foundation that determined the course taken by the country's then-government toward the reception of European law. Due to the close ties between Georgia's political elite at the time and representatives of Germany's high political circles, the focus was placed specifically on the reception of German law. However, this was based not only on political or personal factors but also on legal and legal-cultural phenomena: the legal thinking style of Georgian jurists was closely aligned with that of the German tradition. Knowledge of the language, comprehensive familiarity with the German legal system, active involvement and participation of various German organizations in Georgia's legislative process, and the implementation of projects supporting legislative initiatives – all contributed to the fact that, ultimately, the newly independent country developed a legislative framework based on German law. This applied in full to Georgian private law (Burduli, 2016: 10-11).

Conclusions. This paper has presented the observations made in the 1990s regarding the influence of common law on Georgian law. Specifically, as emerged from the discussion, there was some initial discourse at the beginning of the reform about the compatibility of Georgian law with Anglo-American law. Although traces of common law are less evident in the general part of the Civil Code, some influence on certain legal institutions is still noticeable, since during their development, the commission also reviewed provisions from Anglo-American law. It should also be noted that even at that time, it was emphasized that a gradual convergence between Continental European and Anglo-American

legal systems was underway. The 21st century was seen as a period of such convergence, especially considering that even then, many key legal norms were already shared between the systems (Zoidze, 1999: 25).

Furthermore, the article incorporates opinions expressed nearly two decades after the adoption of Georgia's Civil Code, which reveal that despite the noticeable influence of Anglo-American law on Georgian legislation, Georgia's legal system unequivocally belongs to the Continental European legal family.

Bibliography:

Amiranashvili, G. (2016). Some Characteristics of Formal Requirements for a Legal Transaction in American Law. *Journal of Law* (No. 2, pp. 69-78). Tbilisi: Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press;

Burduli, I. (2016). Main Trends in the Development of Entrepreneurial Law. Ed.: Burduli, I. *Development of Modern Georgian Entrepreneurial Law (Key Aspects of Reform)*. (pp. 7-48). Tbilisi: *World of Lawyers* Publishing House;

Deppe, J. (2016). Reforms of Civil and Commercial Law in Georgia (Review of Recent Developments Based on Property Law). Collection of Materials of the International Conference *„Ownership and the legal stability: Transforming the concept of ownership"* (November 5-6, 2015). pp. 40-49. Tbilisi: Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press;

Zoizde, B. (2005). Reception of European Private Law in Georgia. Tbilisi: Publishing and Printing Center for Educational Affairs;

Zoizde, B. (1999). The Influence of Anglo-American Common Law on the Georgian Civil Code. *Georgian Law Review* (First-Second Quarter, pp. 14-25). Tbilisi: Georgian-European Policy and Legal Advice Centre;

Knieper, R. (1994). Methods of Codification and Concepts of the Transitory Period Societies (Regarding the Case that of Georgia). Materials of the International Conference *„The Legal Reform in Georgia"* (May 23-25, 1994). pp. 176-191. Tbilisi: Tbilisi University Press;

Knieper, R. (1996). Opinions on Legal Reform. In Honor of Professor Sergo Jorbenadze. Eds.: Knieper, R.; Chanturia, L. *Sergo Jorbenadze 70: Jubilee Collection*. (pp. 21-31). Tbilisi: *Norma* Publishing House;

Knieper, R. (1998). Some Opinions on the Implementation of Reform in the Field of Private Law in Georgia. *„Matsne"*: Legal Series (No. 1, pp. 73-81). Tbilisi: Georgian Academy of Sciences;

Liluashvili, G. (1997). Sale According to Uniform Commercial Code of the US. Scientific-Practical Journal *Law* (Nos. 11-12, November-December, pp. 31-36). Tbilisi: Publishing and Printing Complex *Samshoblo*;

Chanturia, L. (2016). Georgian Law and Alternatives of Development. *Otar Gamkrelidze 80: Jubilee Scientific Collection*. (pp. 11-22). Tbilisi: *Meridiani* Publishing House;

Jorbenadze, S. (2014). The Civil Code of Georgia as a Model of Europeanization of Georgian Private Law (Basic Principles and Characteristics). International Interdisciplinary Conference *European Values and Identity: Proceedings* (June 16-17-18, 2014). pp. 68-80. Tbilisi: Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press.

კონსტანტინე ჩერნენკოს რელიგიური პოლიტიკა (1984-1985 წწ.)

ეთერ ბოკელავაძე
ისტორიის დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ელ-ფოსტა: eter.bokelavadze@yahoo.com
ORCID: 0000-0001-5497-7915

აბსტრაქტი: სტატიაში განხილულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, კონსტანტინე ჩერნენკოს რელიგიური პოლიტიკა, მისი ძირითადი მიზნები, დამახასიათებელი თავისებურებები და შედეგები. 80-იანი წლების პირველი ნახევრის საბჭოთა სისტემის გავლენა რელიგიური ორგანიზაციებისა და მორწმუნე ადამიანების ცხოვრებაზე. ხელისუფლების დამოკიდებულება ათეისტური პოლიტიკისადმი დაუმორჩილებელი რელიგიური ორგანიზაციებისადმი და მათ მიმართ გატარებული ღონისძიებები. სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა საბჭოს, მიუნხენის „სამიზდატის“ არქივის, პრესის მასალებისა და სხვა ისტორიული წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე, შესწავლილია საბჭოთა ლიდერის ყველაზე ხანმოკლე მმართველობის რეპრესიული ხასიათი, ქრისტიანულ ეკლესიასთან ურთიერთობის ფორმები და რელიგიური პოლიტიკის განხორციელების მეთოდები.

საკვანძო სიტყვები: საბჭოთა კავშირი, კონსტანტინე ჩერნენკო, რელიგია, პოლიტიკა, ეკლესია

* * *

შესავალი: საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკა არაერთი მკვლევრის ინტერესის საგანს წარმოადგენს როგორც თანამედროვე ქართულ, ისე, რუსულ და ევროპულ სამეცნიერო სივრცეში. საკითხის აქტუალობის ზრდას ხელს უწყობს იმ ისტორიული წყაროების გამოვლენა, რომლებიც საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში მკვლევართათვის არ იყო ხელმისაწვდომი. აღსანიშნავია ის, რომ გამოქვეყნებულ ნაშრომთა დიდი ნაწილი, ძირითადად, ი. სტალინის, ნ. ხრუშჩოვის, ლ. ბრეჟნევის, ი. ანდროპოვისა და მ. გორბაჩოვის პოლიტიკის შესწავლას ეძღვნება. შედარებით ნაკლები ყურადღება აქვს დათმობილი კ. ჩერნენკოს ურთიერთობას რელიგიურ ორგანიზაციებთან. აღნიშნული, ვფიქრობთ, მისი მმართველობის ხანმოკლე პერიოდითაა განპირობებული. ვინაიდან, მიჩნეულია, რომ მისი ხელმძღვანელ პოზიციაზე მოღვაწეობის პერიოდში არსებითად არაფერი შეცვლილა საბჭოთა სახელმწიფოს ცხოვრებაში. თუმცა, ისტორიული დოკუმენტების ანალიზის შედეგად, მიგვაჩნია, რომ კ. ჩერნენკოს პოლიტიკას რელიგიის სფეროში, მიუხედავად იმისა, რომ იგი წინამორბედთა კურსის პრაქტიკულ გაგრძელებას წარმოადგენდა, მაინც გააჩნდა ინდივიდუალური ხასიათი.

ჩვენ უკვე მივუძღვენით ნაშრომები ლ. ბრეჟნევის, ი. ანდროპოვისა და მ. გორბაჩოვის რელიგიური პოლიტიკის კვლევას. წინამდებარე სტატიის მიზანს კი კ. ჩერნენკოს მმართველობის პირობებში, სახელისუფლებო აპარატის მიერ რელიგიის სფეროში მიღებული გადაწყვეტილებების, გატარებული ღონისძიებებისა და ქრისტიანული ეკლესიისა და მორწმუნე საზოგადოების მდგომარეობის განხილვა წარმოადგენს.

მეთოდები: ნაშრომი ეფუძნება ისტორიულ-შემეცნებით, კონტენტ-ანალიზის, ბიოგრაფიული და შედარებითი კვლევის მეთოდებს.

მსჯელობა: 1984 წლის 18 თებერვალს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმმა კომიტეტის გენერალურ მდივნად კონსტანტინე ჩერნენკო აირ-

ჩია. ჩერნენკოს კანდიდატურა XX ს-ის 80-იანი წლების პირველ ნახევარში პარტიის გათვლებით, ალბათ ყველაზე მისაღები იყო, ორი უმთავრესი ფაქტორის გამო:

მისი პოლიტიკური მსოფლმხედველობა ზედმიწევნით კარგად პასუხობდა პარტიულ იდეოლოგიას და მოთხოვნებს. ლენინური იდეოლოგიისა და „განვითარებული სოციალიზმის“ მშენებლობის პრინციპების ერთგული დაცვა სწორედ მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მთავარ კრედოს წარმოადგენდა.

მისი კარიერა ჯერ კიდევ 20-იანი წლების ბოლოდან და 30-იანი წლების დასაწყისიდან უკავშირდებოდა იდეოლოგიური მუშაობისა და პროპაგანდა-აგიტაციის სფეროს (1929-1930 წლებში იყო კრასნოიარსკის მხარის ნოვისელოვის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე; 1948 წლიდან მოლდავეთის კომპარტიის ცკ-ის პროპაგანდისა და აგიტაციის გამგე). კარგად იყო დახელოვნებული პარტიული იდეოლოგიის გატარებისთვის საჭირო მექანიზმების გამოყენების საქმეში.

ჩერნენკოს ხელმძღვანელობა, პარტიისთვის სავარაუდოდ, არჩეული მსოფლმხედველობისა და წინამორბედი ლიდერების პოლიტიკური კურსის შენარჩუნების გარანტს წარმოადგენდა, იმავდროულად, იდეოლოგიური სფეროს გაძლიერების იმედით.

1984 წლის 18 თებერვლის პლენუმზე ჩერნენკომ განაცხადა: „ახალი სამყაროს შენება ნიშნავს დაუცხრომლად ვზრუნავდეთ ახალი სამყაროს ადამიანის ჩამოყალიბებისთვის, მისი იდეურ-ზნეობრივი ზრდისათვის. პარტია ეცდება, ეს მუშაობა მთლიანად შეესაბამებოდეს განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის დიდი და რთული ამოცანების ხასიათს“ (ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვა... 1984:2).

ამრიგად, 1984 წლისათვის, საბჭოთა ხელისუფლებას სახელმწიფოს წარმატებული მომავლის საწინდრად კვლავ სოციალიზმის მშენებლობა ესახებოდა. თუმცა, კარგად იაზრებდა არსებული კრიზისების დაძლევის აუცილებლობასაც. კრიზისის დაძლევის გზად კი, პირველ რიგში, ახალი საბჭოთა ადამიანის ჩამოყალიბებას მიიჩნევდა, რომლის მსოფლაღქმა და ცნობიერება მთლიანად უნდა ყოფილიყო მორგებული კომუნისტურ იდეებს, გამოხატული პრაქტიკული მოქმედებებით – საბჭოთა სახელმწიფოს განვითარებისთვის თავდაუზოგავი შრომითა და გარჯით.

ჩერნენკოს ხელისუფლებამ მალევე დაიწყო საპროგრამო იდეების განხორციელებისათვის მუშაობა. 1984 წლის ივლისში გამოიცა მისი განკარგულება კომკავშირის მუშაობის შესახებ, რომელიც კომკავშირისგან მოითხოვდა, რომ არა მხოლოდ გაეძლიერებინა თავისი როლი სკოლაში საგანმანათლებლო პროცესებში, არამედ „დაეხურა იდეოლოგიის ნაკლებობის შეღწევის ყველა არხი...“. შეიმუშავეთ და დანერგეთ ზომების სისტემა... ისე, რომ დასვენების ყველა ფორმა ხელს უწყობდეს ... ათეისტური გემოვნების განვითარებას“ – მოუწოდებდა იგი (Горшкова, 2001: 44). ბრძანებიდან ჩანს, რომ კომკავშირის წევრებს პირადად უნდა ეზრუნათ ახალგაზრდების არა მხოლოდ ათეისტურ განათლებაზე, არამედ მათი დასვენების მართვაზეც. აღნიშნული სხვა არაფერია, თუ არა პირველ რიგში, იდეოლოგიური კრიზისის გამოვლინება და შემდეგ, მმართველი ძალების მიერ ხავსზე მოჭიდება, დრომოჭმული იდეოლოგიის გადასარჩენად.

იდეოლოგიური ბრძოლის ხაზზე მთავარ წინააღმდეგობას ხელისუფლება კვლავ რელიგიური ორგანიზაციებისგან და თემებისგან აწყდებოდა. სარწმუნოების მიმართ საზოგადოების გაზრდილი ინტერესი ერთ-ერთ მთავარ წინაღობას წარმოადგენდა, რომელსაც მოცემული პერიოდისათვის უკვე შეუქცევადი ხასიათი ჰქონდა. ლ. ბრეჟნევისა და ი. ანდროპოვის მიერ რელიგიის სფეროში გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, რელიგიის გავლენა საბჭოთა საზოგადოებაში არა თუ შესუსტდა, არამედ, პირიქით, მორწმუნეებში კიდევ უფრო გაძლიერდა პირადი რწმენა. რელიგიისადმი ნეიტრალურად განწყობილ ადამიანებში კი გაჩნდა სარწმუნოების მიმართ ინტერესი და სურვილი. მოქალაქეებმა დაიწყეს ტაძრებში სიარული, ღვთისმსახურებებზე დასწრება, ნელ-ნელა იზრდებოდა სამღვდელო პირთა რიცხვი, ეს ყველაფერი კი იმ პირობებში, როცა ადამიანის მიერ რწმენის ღიად აღიარება ხშირად სერიოზული პრობლემების საფუძველი ხდებოდა. ხელისუფლებისთვის განსაკუთრებით შემაშფოთებელი იყო ეკლესია-მონასტრებში კომუნისტური პარტიის წევრების შემჩნევა. ცხადია, მსგავსი შემთხვევები რეაგირების გარეშე არ დარჩენილა, თუმცა, ის ფაქტი, რომ თავად კომუნისტური პარტიის წევრები იჩენდნენ ინტერესს სარწმუნოების მიმართ და ეს ინტერესი გამომდინარეობდა არა პარტიული დავალებიდან, არამედ პირადი დამოკიდებულებიდან, ნათლად გამოხატავდა საბჭოთა სისტემის კრახს.

რუსი მკვლევრის, ა.ი. გორშკოვას სამართლიანი შეფასებით, კ. ჩერნენკოს მოკლევადიანი რეჟიმი (წინამორბედთან შედარებით) უფრო მკაცრი აღმოჩნდა რელიგიასთან მიმართებაში (Горшкова, 2001:44). ერთ-ერთ მაგალითად მას მოჰყავს დანილოვის მონასტრის ინციდენტი.

დანილოვის, იგივე წმინდა დანიელის მონასტერი რუსეთის უმნიშვნელოვანეს სასულიერო კერას წარმოადგენდა, რომელიც XIII ს-ში, მოსკოვის მთავრის, წმინდა დანიელის (ალექსანდრე ნეველის უმცროსი ვაჟი) მიერ, ღირსი დანიელ მესვეტის სახელზე იყო აგებული. ეს იყო პირველი მამათა მონასტერი მოსკოვში, სადაც გადმოცემის მიხედვით, მოსკოვის მთავარი გარდაცვალების წინ ბერად აღიკვეცა და შემდეგ მის მიერ აგებულ მონასტერში დაკრძალეს. ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, სწორედ დანილოვის მონასტერში დაარსდა მოსკოვის სამთავროს პირველი სამთავარეპისკოპოსო. გეოგრაფიული მდებარეობიდან და მასში დაცული სიწმინდეებიდან გამომდინარე, მონასტერი ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა რუსეთის როგორც მართლმადიდებელი ეკლესიის, ისე სახელმწიფოს ისტორიაში (Московский Данилов монастырь).

1918 წელს მონასტერი ოფიციალურად დახურეს, თუმცა, მონასტრის ძმებმა, მათი წინამძღვრის, მთავარეპისკოპოს თეოდორეს (პოზდეევსკი) წინამძღოლობით, შეძლეს სამონასტრო ცხოვრების შენარჩუნება. აღსანიშნავია ის, რომ მთავარეპისკოპოსი თეოდორე იყო ე.წ. ობნოვლენთა მოძრაობასთან ყოველგვარი კომპრომისის მოწინააღმდეგე, რომელმაც უარი თქვა მათთან შეთანხმებაზე. საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის მიმართ შეურიგებელი პოზიციების გამო იგი არაერთხელ აღმოჩნდა პატიმრობაში. დანილოვის მონასტრის საძმო სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა ბოლშევიკურ ხელისუფლებას. ამიტომ 1929 წელს ხელისუფლებამ მიიღო დადგენილება მონასტრის დახურვის შესახებ. 1930 წელს კი მის ტერიტორიაზე რეპრესირებული ოჯახების შვილებისთვის გახსნეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის იზოლატორი. 1932 წელს დახურეს მონასტრის აღდგომის წმინდა ტაძრის განახლების სახელობის ტაძარიც. აქედან იკარგება მონასტრის ერთ-ერთი მთავარი სიწმინდე – წმინდა დანიელის ცხედარიც. 1937 წელს მთავარეპისკოპოსი თეოდორე და ძმების უმრავლესობა დახვრიტეს (Московский Данилов монастырь).

1982 წელს, ბრეჟნევის მმართველობის წლებში, ეკლესიისადმი ფასადური კეთილგანწყობის დემონსტრირების პირობებში, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რუსეთის ეკლესიას დაბრუნებოდა წმინდა დანიელის დანგრეული მონასტერი, თუმცა, მონასტრის შენობების ოფიციალური გადაცემა 1983 წელს მოხდა. ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ იქ სამონასტრო თემის შექმნა არ მომხდარიყო და დაჟინებით მოითხოვა, რომ მონასტრის გადაცემა მომხდარიყო ექსკლუზიურად ადმინისტრაციული საჭიროებისთვის (Кострюков, 2018). დანილოვის მონასტრის შესახებ საყურადღებოა ერთი ფაქტი, რომელიც უშუალოდ კ. ჩერნენკოს სახელს უკავშირდება. მისი ხელისუფლების მხრიდან იყო მცდელობა, გაეუქმებინათ გადაწყვეტილება მონასტრის ნანგრევებიდან აღდგენის შესახებ. ეკლესიამ მიიღო ბრძანება – არ გაეხსნა მონასტერი და მხოლოდ იმ დაპირების შემდეგ, რომ იქ არ იქნებოდა მონასტერი, არამედ მხოლოდ ეკლესიის ადმინისტრაციული ცენტრი საგარეო საეკლესიო ურთიერთობის დეპარტამენტის შტაბბინით (რომლის საქმიანობაც მომგებიანი იყო საბჭოთა ხელისუფლებისთვის), მოიხსნა აღდგენითი სამუშაოების აკრძალვა. მონასტერი, რეალურად, მხოლოდ რუსეთის გაქრისტიანების 1000 წლისთავზე, 1989 წელს აღდგა (Горшкова, 2001: 44).

მონასტრის ისტორიიდან და ჩერნენკოს პოლიტიკური შეხედულებებიდან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ მისთვის მიუღებელი იყო მოსკოვში სულიერებისა და ისეთი მძლავრი, ანტიკომუნისტური კერის აღდგენა, როგორიც დანილოვის მონასტერი იყო. ეკლესიისადმი მზარდი ინტერესის პირობებში, სამონასტრო თემის აღორძინება დანილოვის მონასტერში იქნებოდა რუსეთის ეკლესიასა და მოსახლეობაზე გავლენის მნიშვნელოვანი შესუსტების საწინდარი. რომ აღარაფერი ვთქვათ ათეისტური პოლიტიკის კრახზე. შესაბამისად, კ. ჩერნენკოს ადმინისტრაციამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მონასტერს ძველი როლი და ფუნქცია არ დაბრუნებოდა.

ხელისუფლების განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ აღმოჩნდა სსრკ-ის კიდევ ერთი მონასტერი – დასავლეთ უკრაინის ტერიტორიაზე მდებარე პოჩაევის ლავრა, გამორჩეული თავისი ისტორიითა და პოზიციებით.

პოჩაევის მონასტერი, დანილოვის მსგავსად, XIII საუკუნეშია დაარსებული. ყველაზე გავრცელებული ვერსიის მიხედვით, იგი კიევ-პეჩორის მონასტრის ბერების მიერ აიგო, რომლებმაც 1237-

1240 წლებში მონღოლთა შემოსევების დროს დატოვეს თავიანთი სავანე და ვოლინის მხარეს მიაშურეს. (Хоинацкий, Крижановский, 1897: 34) მონასტრის გაზრდა და გაძლიერება XVI – XVIII სს-ებს უკავშირდება. XVIII ს-ში აშენდა მონასტრის მთავარი ტაძარი – ღვთისმშობლის მიძინების სახელობის (1771-1791 წწ), სატრაპეზო და კელიები. 1730 წლიდან არსებობდა პოჩაევის სტამბაც. დროთა განმავლობაში მონასტერმა მნიშვნელოვანი როლი შეიძინა აღმოსავლეთ სლავების ისტორიაში და იგი მართლმადიდებელ და კათოლიკე სლავებს შორის სერიოზული დავის საგნად იქცა.

ჯერ კიდევ რეჩ-პოსპოლიტას არსებობის პერიოდში (1569-1795 წწ.), რომის კათოლიკური ეკლესია აქტიურად ცდილობდა სლავურ მიწებზე კათოლიციზმის გავრცელებას, რაშიც უდიდესი როლი შეასრულეს იეზუიტებმა. შედეგად, 1596 წელს „ბრესტის უნიით“ მართლმადიდებელი ეპარქიების ეპისკოპოსები, მათ შორის, უკრაინის ტერიტორიიდან, გადავიდნენ რომის პაპის დაქვემდებარებაში. ასე ჩაეყარა საფუძველი უკრაინის ბერძნულ-კათოლიკურ ეკლესიას, რომელსაც უნიატურ ეკლესიას უწოდებდნენ. უნია გავრცელდა ვოლინის მხარეშიც, თუმცა, პოჩაევის ლავრა მტკიცედ იდგა აღმოსავლურ-მართლმადიდებლურ მრწამსზე (Хоинацкий, Крижановский, 1897:55). 1713 წლიდან მონასტრის ხელმძღვანელობა გადავიდა უნიატების ხელში, რაც თავისთავად ნიშნავდა პაპის გამარჯვებას მოცემულ ტერიტორიებზე. მონასტერი 1831 წლამდე უნიატური იყო და ბასილიანთა ორდენის ერთ-ერთ ცენტრს წარმოადგენდა.

ცნობილია, რომ 1830-1831 წლებში რუსეთის წინააღმდეგ პოლონეთის აჯანყების დროს მონასტრის ბასილიელი ბერები მონაწილეობას იღებდნენ აჯანყებაში. აჯანყების დამარცხების შემდეგ, 1831 წელს იმპერატორ ნიკოლოზ I-ის ბრძანებით, მონასტერი გადაეცა მართლმადიდებელ ეკლესიას, რუსეთის წმინდა სინოდის იურისდიქციის ქვეშ. ბასილიელი ბერები იძულებული გახდნენ, დაეტოვებინათ მონასტერი (Бушуев & Лойко, 2008). 1939 წლის სექტემბრის მეორე ნახევარში პოჩაევი, რომელიც ომთაშორის პერიოდში პოლონეთის რესპუბლიკის ვოლინის სავოევოდოში მდებარეობდა, წითელი არმიის მიერ იქნა ოკუპირებული. იმავე წლის ნოემბერში დასავლეთ უკრაინის სსრკ-სთან შეერთების შემდეგ, ამ ტერიტორიაზე არსებული მართლმადიდებლური ეპარქიები გადაეცა მოსკოვის საპატრიარქოს იურისდიქციას. 1941 წლის 30 ივნისს პოჩაევი დაიკავეს გერმანულმა ჯარებმა. 1941 წლის 18 აგვისტოს ეპისკოპოსები, რომლებიც ნომინალურად დარჩნენ მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში, შეიკრიბნენ ლავრაში და ეყრდნობოდნენ რა 1917-1918 წლების ადგილობრივი კრების დადგენილებას და 1918 წლის სექტემბრის ცნობას უკრაინის ეკლესიის ავტონომიური სტატუსის აღიარების შესახებ (რომელიც 1922 წელს დაადასტურა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა ტიხონმა) გამოაცხადეს უკრაინის ავტონომიური მართლმადიდებლური ეკლესიის შექმნა. 1941 წლის 25 ნოემბერს პოჩაევის ლავრის ეპისკოპოსთა ახალმა საბჭომ უკრაინის ეგზარქოსად აირჩია მიტროპოლიტი ალექსი (ჰრომადსკი).

ამგვარად, XX ს-ის 40-იანი წლებისთვის რუსეთის ეკლესიამ ასე თუ ისე, შეძლო პოჩაევის ლავრის შენარჩუნება. თუმცა, მისი გავლენა მონასტერზე არ იყო ძლიერი და კვლავ შეიცავდა საფრთხეებს. ბოლშევიკური ხელისუფლების მმართველობის პირობებში, როდესაც უკრაინელი ავტოკეფალისტები ნაციონალიზმსა და ანტისაბჭოთა ქმედებებში იყვნენ ბრალდებულნი, ცხადია ხელისუფლებისთვის პოჩაევის ლავრაც ინტერესის საგანს წარმოადგენდა, თუმცა, მონასტრისთვის ყველაზე მძიმე 60-იანი წლები და ხრუშჩოვის მმართველობა აღმოჩნდა. ხელისუფლებამ დაიწყო პირდაპირი ზეწოლა ლავრასთან დაკავშირებულ ყველა ადამიანზე: ბერებზე, ახალბედებზე, მომლოცველებზე. პოლიცია იყენებდა სასტიკ მეთოდებს ბერების მიმართ (მიუხედავად მათი წოდებისა და ასაკისა), შეიქმნა სამედიცინო კომისიები – ფიზიკურად და გონებრივად ჯანმრთელი ბერები ხშირად იძულებით გადაჰყავდათ ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში; სამხედრო სამსახურისთვის შეუსაბამო ბერები შეიძლებოდა ძალით შეეყვანათ შეიარაღებულ ძალებში, ფიზიკური ანგარიშსწორება, სასამართლო პროცესი, დაპატიმრება, ციხეებსა და ბანაკებში გაგზავნა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. რეპრესიები გავრცელდა ლავრის მრევლსა და მომლოცველებზეც, წმინდა კარიბჭის (ახლანდელი სასულიერო სემინარია) აღმართის მახლობლად შენობაში „ათეიზმის მუზეუმი“ მოეწყო. მომლოცველთა სასტუმრო კი ფსიქიატრიულ საავადმყოფოდ გადაკეთდა (Родзянко, 2015).

მონასტრის შევიწროება გაგრძელდა ჩვენს საკვლევ პერიოდშიც. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა გერმანელი ისტორიკოსის – გერდ შტრიკერის ნაშრომი, „რუსეთის მართლმადიდე-

ბელი ეკლესია საბჭოთა პერიოდში (1917-1991)“ რომელიც წარმოადგენს საბჭოთა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობების ისტორიის ამსახველი დოკუმენტების კრებულს. ავტორს ნაშრომში მოჰყავს მიუნხენში არსებული „სამიზდატის“ არქივში დაცული 1984 წლის მაისით დათარიღებული დოკუმენტი – მოხსენება ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ტერნოპოლის რეგიონის პოჩაევის ლავრაში ბერებისა და მომლოცველების მიმართ განხორციელებული რეპრესიების შესახებ. დოკუმენტი თვითმხილველის პირით აღწერს მონასტრის მდგომარეობას 1984 წლისათვის: „ადგილობრივი მოსახლეობის ისტორიებიდან შევიტყვეთ, რომ 1983 წლის ბოლოდან ლავრა ზეწოლას განიცდიდა ხელისუფლებისგან. ეს შემოტევა გამოიხატება არა მარტო ბერებთან, არამედ მომლოცველებთან მიმართებაშიც, რაშიც ჩვენ თვითონაც მალე დავრწმუნდით. 1984 წლის 20 მაისს, წმინდა ნიკოლოზის დღესასწაულზე, საღამოს ღვთისმსახურების დროს სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილი პოლიციის თანამშრომლები შევიდნენ მონასტრის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში და დაიწყეს მომლოცველთა საბუთების შემოწმება. ზოგიერთი პოლიციელი ნასვამი იყო. განსაკუთრებით აქტიურობდა ლეიტენანტი ივან სტეპანოვიჩ მოროზოვსკი, რომელიც 1983 წლის ბოლოს დაინიშნა პოჩაევსკის შინაგან საქმეთა დეპარტამენტის პასპორტის განყოფილების უფროსად. ის არამარტო ახალგაზრდებს, არამედ მოხუც ქალებსაც სთხოვდა საბუთებს და სამების საკათედრო ტაძარში ღვთისმსახურების დასასრულს ხალხს წიხლებით აძევებდნენ ეკლესიიდან.“ დოკუმენტის ავტორი ასახელებს აგრეთვე, მომლოცველთა დაკავებისა და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გაგზავნის ფაქტებსაც (Штриккер, 1995:278).

როგორც ვხედავთ, მმართველი ძალის ხელწერა წინამორბედებთან შედარებით, დიდად არ შეცვლილა. შეიცვალა მხოლოდ რეპრესიების ხარისხი, მოცემული პერიოდისათვის არსებული ზოგადი და რელიგიური ვითარების გათვალისწინებით. ვფიქრობთ, საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან პოჩაევის მონასტრისადმი განსაკუთრებულ კონტროლსა და ხისტ დამოკიდებულებას კიდევ ერთი მიზეზი განაპირობებდა. კერძოდ, კათოლიკური ეკლესიისა და უშუალოდ მისი პოლონელი პაპის იოანე პავლე II-ის აქტიური მცდელობა აღმოსავლეთის სლავებში კათოლიციზმის აღორძინებისათვის, რამაც სერიოზული გავლენა იქონია სსრკ-ს ხელისუფლების რელიგიურ პოლიტიკაზე.

კ. ჩერნენკოს მმართველობის პერიოდში რელიგიისადმი ხისტმა და რეპრესიულმა პოლიტიკამ შესაბამისი შედეგი გამოიღო. ამ კუთხით ჩვენთვის საინტერესოა სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა საბჭოს თავმჯდომარის კ.მ. ხარჩევის საინფორმაციო ცნობა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, რომელიც 1985 წლის 28 თებერვლით თარიღდება და ეხება ქვეყანაში რელიგიური მდგომარეობისა და კულტების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისობის საკითხებს (1980-1984 წწ.). დოკუმენტი წარმოადგენს ერთგვარ ანგარიშს სკკპ ცენტრალური კომიტეტის სახელზე და აღწერს 1980-1984 წლებში სსრკ-ში არსებულ რთულ ვითარებას რელიგიის სფეროში. კ.მ. ხარჩევი წერს: „რიგ ადგილებში მორწმუნეებს არ აქვთ შესაძლებლობა, მშვიდად დააკმაყოფილონ თავიანთი რელიგიური მოთხოვნილებები. მათ კანონის შესაბამისად არ ეძლევათ უფლება, ჰქონდეთ ამისათვის საჭირო პირობები და ეკრძალებათ თავიანთი საზოგადოებების რეგისტრაცია და სალოცავი შენობების შეძენა. ათასობით დასახლებაში სხვადასხვა კონფესიის მორწმუნეთა ჯგუფები წირვას არალეგალურად ატარებენ. ბევრი მათგანი წლების განმავლობაში ითხოვს ორგანიზაციების რეგისტრაციას, მაგრამ მათი მოთხოვნები, როგორც წესი, უსაფუძვლოდ უარყოფილია (მოლდავეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთის, უზბეკეთის, საქართველოს, აზერბაიჯანის სსრ, უკრაინის სსრ-ისა და რსფსრ-ის მთელი რიგი რეგიონები). ლეგიტიმურად მოქმედ რელიგიურ საზოგადოებებს ხშირად ეკრძალებათ ღვთისმსახურების სახლების შეკეთება, ელექტრო განათების გამოყენება ან მღვდლის მოწვევა. არის რელიგიური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლების ან საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გარიცხვის, მორწმუნეებისთვის კარგი მუშაობისთვის წახალისების ჩამორთმევისა და სხვა უფლებების შელახვის შემთხვევები. ზოგიერთი თანამდებობის პირი არ აკეთებს სათანადო დასკვნებს წარსულის გაკვეთილებიდან, როდესაც ადგილი ჰქონდა კანონის უხეშ დარღვევას ეკლესიასთან და მორწმუნეებთან მიმართებაში, რომლის უარყოფითი შედეგებიც დიდი ხნის განმავლობაში იგრძნობა“ (Харчев, 2010:167). დოკუმენტის ავტორი ასახელებს კონკრეტულ ადგილებსა (ლიტვის, მოლდავეთის, ბელარუსის და სხვ. ტერიტორიებზე) და შემთხვევებს, სადაც მორწმუნეებს არ ეძლეოდათ ჩამორთმეული ეკლესიების (მათ შორის, დამ-

წვარი) დაბრუნების შესაძლებლობა და აღნიშნავს, რომ საბჭომ (იგულისხმება რელიგიის საქმეთა საბჭო – ე.ბ.) არაერთხელ მიიღო ზომები ადგილობრივი მოხელეების მიერ ჩადენილი ქმედებების აღსაკვეთად, მაგრამ ადგილობრივი ხელისუფლება უგულებელყოფს საბჭოს რეკომენდაციებსა და გადაწყვეტილებებს (Харчев, 2010:170). კ.მ. ხარჩევი მის მიერ აღწერილ ვითარებაში სერიოზულ საფრთხეებს ხედავს და ცდილობს, ცენტრალური კომიტეტის ყურადღება გაამახვილოს შემდეგზე: „ეკლესიების, მონასტრებისა და სამლოცველო სახლების დაუსაბუთებელმა დახურვამ, მორწმუნეთა უფლებების დარღვევამ გააძლიერა ექსტრემისტული ელემენტების საქმიანობა რელიგიურ გაერთიანებებში, განსაკუთრებით, სექტანტობასა და კათოლიციზმში. ბაპტიზმის ყველაზე რეაქციულმა ელემენტებმა შექმნეს მიწისქვეშა რელიგიური ცენტრი – ე.წ. ევანგელურ ქრისტიან ბაპტისტთა ეკლესიათა საბჭო, რომელსაც მხარი დაუჭირა 550-ზე მეტმა სხვადასხვა ასოციაციამ, რომლებიც 25 ათასზე მეტ მორწმუნეს ითვლიდა“. ასევე, მოხდა ისეთი არასასურველი მოვლენა, როგორიცაა მართლმადიდებელი მორწმუნეების (ყველაზე მშვიდობიანი რელიგიის წარმომადგენლები) სექტანტობის პოზიციებზე გადასვლა (ბელარუსი, უკრაინა, რსფსრ)“ (Харчев, 2010: 168). ყველაზე დიდ საფრთხეს კი ხარჩევი ხედავს იმაში, რომ არსებული ვითარების შესახებ კარგად იყვნენ ინფორმირებული სსრკ-ის საგარეო ოპონენტები. „ეს ყველაფერი იდეოლოგიური მტრის ხელშია, რომელიც მთელი ძალით ცდილობს გააძლიეროს რელიგიური ცხოვრება, აღადგინოს რელიგიურ-ნაციონალისტური განწყობები ჩვენი ქვეყნის ცალკეულ რეგიონებში და გაართულოს ეკლესია-სახელმწიფოს შორის დამყარებული ნორმალური ურთიერთობა. ბოლო დროს მტერი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ რადიოპროპაგანდაში განსაკუთრებით უსვამს ხაზს სიყალბეს იმის შესახებ, რომ სსრკ-ში მორწმუნეთა უფლებები და სსრკ-ს კონსტიტუციით გათვალისწინებული სინდისის თავისუფლების გარანტიები ირღვევა“ (Харчев, 2010:170).

ფაქტია, რელიგიის საქმეთა საბჭოს წარმომადგენლებსა და მის თავმჯდომარეს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული რელიგიასთან ურთიერთობის სფეროში არსებული სიმწვავე, მისი გამომწვევი მიზეზები და მოსალოდნელი შედეგები და მაქსიმალურად ცდილობდა ცენტრალური ხელისუფლების ყურადღების მიპყრობას საჭირო ღონისძიებებზე. შექმნილი მდგომარეობის მთავარ მიზეზად ხარჩევი ადგილობრივი ხელისუფლების შეცდომებს ასახელებს და ცენტრალურ კომიტეტს შეახსენებს კ. ჩერნენკოს მითითებებს იმის შესახებ, რომ ძალადობრივი ზომები მორწმუნეების მიმართ საზიანოა და „ათეიზმის გავრცელება შესაძლებელია არა რელიგიის აკრძალვის შედეგად, არამედ მორწმუნეების თანმიმდევრული დარწმუნებითა და აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვით“ (Харчев, 2010:170). შექმნილი ვითარებიდან გამოსავალს კი, რელიგიის საქმეთა საბჭოს თავმჯდომარე ყველა პარტიული და საბჭოთა ორგანოების ლიდერების მხრიდან რელიგიისა და ეკლესიის საკითხებში პოლიტიკურად კორექტულ მიდგომაზე ორიენტირებაში ხედავს (Харчев, 2010: 170).

მოყვანილი დოკუმენტიდან იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს რელიგიის სფეროში არსებული მწვავე ვითარება ადგილობრივ ხელისუფლებათა თვითნებური ქმედებებით არის განპირობებული და ცენტრალურ ხელისუფლებას უჭირს პროცესების მართვა საკავშირო რესპუბლიკებში. გამორიცხული არ არის, რომ ცალკეული ინციდენტების შემთხვევაში ცენტრს, სხვადასხვა მიზეზით, ხელიდან **გაქცეოდა** მართვის სადავეები, თუმცა, ნაკლებ წარმოსადგენია, რომ 1980-1984 წლებში და განსაკუთრებით, 1982-1984 წლებში, როცა სსრკ-ს კგბ-ს ლიდერი ი. ანდროპოვი მართავდა, ცენტრი არ ყოფილიყო საქმის კურსში რესპუბლიკებში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით და დაეშვა რომელიმე ადგილობრივი ხელისუფლების მიერ სახელმწიფო პოლიტიკის წინააღმდეგ მოქმედება, ან მსგავსი პრეცედენტის შემთხვევაში, არ მოეხდინა შესაბამისი რეაგირება. ვფიქრობთ, ადგილობრივი მმართველები ზუსტად ცენტრალური ხელისუფლების დირექტივებს ასრულებდნენ, ხოლო ზემოთ მოყვანილ დოკუმენტში მათი „განტევების ვაცად“ წარმოჩენა ხარჩევის მხრიდან უბრალოდ ტაქტიკაა, დიპლომატიური გზით დაანახვოს ცენტრალურ კომიტეტს რელიგიური პოლიტიკის ხარვეზები და მისი გამოსწორებისთვის საჭირო მიდგომები.

დასკვნა: ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია, თავისუფლად ვთქვათ, რომ საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკა, კონსტანტინე ჩერნენკოს მმართველობის პერი-

ოდში, აგრძელებს ლ. ბრეჟნევისა და ი. ანდროპოვის პოლიტიკის ხაზს, თუმცა, გაცილებით მეტი სიხისტით, რამაც შედეგად ეკლესია-სახელმწიფოს შორის ურთიერთობები კვლავ ჩიხში შეიყვანა. მოხმობილი წყაროებიდან ჩანს, რომ პარტია არ აპირებდა ანტირელიგიურ პოლიტიკაზე უარის თქმას. გარკვეულ პერიოდში სცადა გონივრული სტრატეგიების შემუშავება, მაგრამ ტოტალიტარულმა პრინციპებმა მაინც გადაწონა კომპრომისი. საბოლოო ჯამში, 80-იანი წლების პირველ ნახევარში საბჭოთა კავშირში რელიგიის მდგომარეობა დაუახლოვდა 60-იან წლებში არსებულ მდგომარეობას, იმ განსხვავებით, რომ ახლა რელიგიური თემები და ორგანიზაციები გაცილებით უფრო აქტიურ წინააღმდეგობას უწევდნენ მმართველ ძალებს და მხარდამჭერიც უფრო მეტი ჰყავდათ ქვეყნის ფარგლებს გარეთ. დაპირისპირების ესკალაცია და სისტემის კოლაფსი ალბათ გარდაუვალი იქნებოდა, რომ არა 1985 წლის მარტში გენერალური მდივნის გარდაცვალება და საკადრო ცვლილებები.

1985 წლიდან სკკპ-ს ცენტრალურ კომიტეტს მიხეილ გორბაჩოვი ჩაუდგა სათავეში, რომლის მმართველობითაც დაიწყო ახალი ეტაპი საბჭოთა კავშირის ისტორიაში.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

კომუნისტური..., (1984). *„კომუნისტური აღმშენებლობისა და მშვიდობის გზით“, გაზეთი „კომუნისტი“, 1984, 15 თებერვალი, N40,* გვ. 4, თბილისი

ჩერნენკო., (1984). *ამხანაგ კ. უ ჩერნენკოს სიტყვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის 14 თებერვლის პლენუმზე,* გაზეთი „კომუნისტი“, 1984, 14 თებერვალი, N39, გვ. 2, თბილისი

Горшкова А. И., (2001). *Государство и русская православная церковь в 1940--1990-х гг.(По материалам «Журнала Московской патриархии»,),* А.И. Горшкова // Документ. Архив. История. Современность : сб. науч. тр. – Вып. 1. – Екатеринбург, 2001. – С. 32 – 51.

Московский Данилов монастырь, *История монастыря*

https://msdm.ru/istoriya–monastyrya

Родзянко еп. Василий (2015). епископ Василий, Моя судьба (воспоминания), сост. Д.В. Гливинского. – М. : Изд. Сретенского ставропигиального мужского монастыря, 2015. – 416 с.

https://azbyka.ru/otechnik/Vasilij–Rodzyanko/moja-sudba-vospominanija/№sel=1156:9,1156:9

Харчев., (1985). 1985 г., 28 февраля. – Информационная записка председателя Совета по делам религий при СМ СССР К.М. Харчева в ЦК КПСС. – Религиозная обстановка в стране и вопросы соблюдения законодательства о культах (1980–1984 гг.) (извлечение), К. Харчев, ГАРФ. Ф. Р.-6991. Оп. 5. Д. 3263. Л. 52–58; *История государственно-конфессиональных отношений в России (X – начало XXI века) : хрестоматия в 2 ч. / сост. Ю.П. Зуев; под общ. ред. Ю.П. Зуева, В.В. Шмидта. Часть II: XX – начало XXI века.* – М.: Изд-во РАГС; ИД «Медиа-Пром», 2010. – 288 с.

file:///C:/Users/user/Desktop/Eto/1—1.pdf

Хоинацкий А.О., (1897). Крижановский Г.Я., Почаевская Успенская лавра. Историческое-описание, Почаев,

https://msdm.ru/istoriya–monastyrya

Чистый М. Б. (2024). К 40-летию избрания К.У. Черненко Генеральным Секретарем ЦК КПСС, https://kprf.ru/history/party/227358.html

Штриккер Г., (1995). Русская Православная Церковь в советское время (1917-1991). Материалы и документы по истории отношений между государством и Церковью, 400 с. 245. М.: «Пропилеи»,

http://www.krotov.info/acts/20/1920/shtric–00.htm

RELIGIOUS POLICY OF KONSTANTIN CHERNENKO (1984-1985)

ETER BOKELAVADZE
PhD in History
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
E-Mail: eter.bokelavadze@yahoo.com
ORCID: 0000-0001-5497-7915

Abstract: The article examines the religious policy of the General Secretary of the Central Committee of the Communist Party of the Soviet Union, Konstantin Chernenko, its main goals, characteristic features and the results. The influence of the Soviet system of the first half of the 80s on the lives of religious organizations and believers. The attitude of the authorities towards religious organizations that did not obey the atheistic policy and the measures taken against them. Based on the materials of the Council for Religious Affairs under the Council of Ministers of the USSR, Samizdat Archive, press materials and other historical sources and scientific literature, the repressive nature of the Soviet leader's shortest reign, the forms of relations with the Christian Church and the methods of implementing religious policy have been studied.

Key words: The Soviet Union, Konstantin Chernenko, religion, politics, church

* * *

Introduction: The religious policy of the Soviet government attracts interest of many researchers in today's scientific circles of Georgia, Russia and Europe. The urgency of the issue is facilitated by the discovery of historical sources that were not available and accessible for researchers during the existence of the Soviet Union. It is noteworthy that the majority of published works are mainly devoted to the study of the policies of I. Stalin, N. Khrushchev, L. Brezhnev, I. Andropov and M. Gorbachev. Relatively less attention has been paid to K. Chernenko's relations with religious organizations. We believe that this is due to the short period of his rule, since it is considered that no significant changes took place in the life of the Soviet state during his tenure in a leading position. However, as a result of the analysis of historical documents, we believe that K. Chernenko's policy in the field of the religion, although it represented a practical continuation of the course of his predecessors, still was of individual character.

We have already dedicated works to the study of the religious policy of L. Brezhnev, I. Andropov and M. Gorbachev. The purpose of the present article is to discuss the decisions made by the state apparatus under K. Chernenko in the field of religion, the measures taken, and the state of the Christian Church and the believers.

Methods: The work is based on historical-cognitive, content analysis, biographical and comparative research methods.

Discussion: On February 18, 1984, the Extraordinary Plenum of the Central Committee of the Communist Party of the Soviet Union elected Konstantin Chernenko as the General Secretary of the Committee. Chernenko's candidacy. The first half of the 1980s, according to the party's estimations, was probably the most acceptable, due to two main factors:

His political principles totally met the party's ideology and requirements. Faithful adherence to Leninist ideology and the principles of building „developed socialism" was the main credo of his life and work.

His career, from the late 1920s and early 1930s, was connected with ideological work and propaganda/agitation (in 1929-1930 he was the head of the propaganda and agitation department of the Noviselov district committee of Krasnoyarsk region; since 1948, the head of propaganda and agitation department of the Central Committee of the Communist Party of Moldova). He was good in how to use mechanisms necessary for the implementation of party ideology.

Chernenko's leadership was supposed to guarantee the preservation of the chosen principles and political course of the previous leaders for the party, at the same time hoping to strengthen the ideological sphere. At the plenum of February 18, 1984, Chernenko declared: „ To build a new world means tirelessly to attend to the moulding of the people of the new world, to their ideological and moral advancement. the Party will seek to bring this work fully into line with the nature of the big and complex tasks of perfecting developed socialism" (Speech of Comrade K. U. hernenko... 1984:2).

Thus, by 1984, the Soviet government still saw the construction of socialism as precondition for the successful future of the state. However, it was also well aware of the need to overcome the existing crises and for this of outmost importance was formation of a new Soviet person, whose world outlook and consciousness would completely correspond to communist ideas, expressed in practical actions – selfless work and dedication for the development of the Soviet state.

Chernenko's government soon began working to implement the program ideas. In July 1984, his decree on the work of the Komsomol was issued, which required the Komsomol not only to strengthen its role in educational processes in schools, but also to „close all channels serving for the lack of ideology...". „Develop and implement a system of measures... so that all forms of leisure contribute to the development of... atheistic tastes" – he urged (Gorshkova, 2001: 44). It is clear from the decree that Komsomol members were to personally take care not only of the atheistic education of young people, but also of managing their leisure. This is nothing else than the manifestation of an ideological crisis; the ruling forces were catching a straw in order to save an outdated ideology.

The main opposition to the government's ideology still were religious organizations and communities. The increased interest of the society in religion was one of the main obstacles, which by this time had already become irreversible. Despite the measures taken by L. Brezhnev and I. Andropov in the field of religion, the influence of religion in Soviet society did not weaken, but on the contrary, faith of people became even stronger. Even people who were neutral towards religion began to show interest and desire for religion. Citizens began to go to churches, attend services, and the number of clergymen gradually increased, and all this under conditions when a person's open confession of faith often became the basis for serious problems. The government was especially concerned about the seeing of members of the Communist Party in churches and monasteries. Of course, such cases did not go unnoticed, however, the fact that members of the Communist Party themselves showed interest in religion, and this interest stemmed not from party duties, but from personal attitudes, clearly demonstrated the collapse of the Soviet system.

According to Russian researcher A.I. Gorshkova, the short-term regime of K. Chernenko (compared to his predecessor) turned out to be stricter in relation to the religion (Горшкова, 2001:44). As one example, she cites the incident at the Danilov Monastery.

Danilov Monastery, also known as the St. Daniel Monastery, was the most important religious center in Russia, which was built in the 13th century by the Moscow prince, St. Daniel (the youngest son of Alexander Nevsky), in the name of the *Saint Daniel the Stylite*. This was the first monastery in Moscow, where, according to legend, a prince of Moscow took monastic vows before his death and was later buried in the monastery he built. According to one version, it was in the Danilov Monastery where the first eparchy of the Moscow principality was founded. Due to its geographical location and the relics preserved within it, the monastery has always played a major role in the history of both the Russian Orthodox Church and the state (Moscow Danilov Monastery).

In 1918, the monastery was officially closed, however, the monks, under the leadership of their superior, Archbishop Theodore (Pozdeevsky), managed to maintain monastic life. It is noteworthy that Archbishop Theodore was an opponent of any compromise with the so-called Obnovlensky movement, who

refused to come to an agreement with them. Due to his irreconcilable positions towards the policy of the Soviet government, he was repeatedly imprisoned. Congregation of the Danilov Monastery used to create serious problems for the Bolshevik government. Therefore, in 1929, the government issued a decree on the closure of the monastery. In 1930, a detention facility for the children of dissidents was opened on its territory. In 1932, the monastery's Church of Resurrection was also closed. One of the main relics of the monastery, the body of Saint Daniel, was also lost as a result. In 1937, Archbishop Theodore and most of the brothers were shot (Moscow Danilov Monastery).

In 1982, during the Brezhnev rule, when attitude towards the church was „favored", a decision was made to return the ruined St. Daniel Monastery to Russian Church, although the official transfer of the monastery buildings took place in 1983. The authorities did everything to prevent the creation of a monastic community there and insisted that the monastery be transferred exclusively for administrative needs (Kostrukov, 2018). One fact is noteworthy about the Danilov Monastery, which is directly related to the name of K. Chernenko. His government attempted to cancel the decision to rebuild the monastery from the ruins. The church received an order not to open the monastery, and only after the promise that there would not be a monastery there, but only an administrative center of the church with the headquarters of the Department for External Church Relations (whose activities were profitable for the Soviet government), the ban on restoration work was lifted. The monastery was actually restored only in 1989, on the 1000th anniversary of the Christianization of Russia (Gorshkova, 2001: 44).

According to the history of the monastery and Chernenko's political views, it is obvious that he was against restoration of such a powerful, anti-communist center in Moscow such as the Danilov Monastery was. Under the growing interest to the church, the revival of the monastic community in the Danilov Monastery would be a prerequisite for a significant weakening of State's influence on the Russian Church and the population; not to mention the collapse of atheistic policy. Accordingly, K. Chernenko's administration did its best to prevent the monastery from returning to its old role and function.

Another monastery -the Pochaiv Lavra, located in Western Ukraine, distinguished by its history and position, appeared under special attention of the authorities.

The Pochaiv Monastery, like Danilov, was founded in the 13th century. According to the most common version, it was built by monks from the Kiev-Pechor Monastery, who left their abode during the Mongol invasions in 1237-1240 and fled to the Volyn. (Khoinatsky, Kryzhanovsky, 1897: 34) The expansion and strengthening of the monastery is associated with the 16th-18th centuries. In the 18th century, the main church of the monastery of the Assumption of the Virgin Mary (1771-1791), the refectory and the cells were built. Since 1730, the Pochaiv printing house has also existed. Over time, the monastery has acquired an important role in the history of the Eastern Slavs and has become the subject of serious disputes between the Orthodox and Catholic Slavs.

Even during the existence of the Polish-Lithuanian Commonwealth (1569–1795), the Roman Catholic Church was actively trying to spread Catholicism in the Slavic lands, in which the Jesuits used to play a big role. As a result, in 1596, with the „Union of Brest", the bishops of the Orthodox dioceses, including those from the territory of Ukraine, passed under the jurisdiction of the Pope. Thus, was laid the foundation of the Ukrainian Greek Catholic Church, which was called the Uniate Church. The Uniate also spread to the Volyn region, although the Pochaiv Lavra firmly adhered to the Eastern Orthodox faith (Khoinatsky, Kryzhanovsky, 1897:55). Since 1713, the leadership of the monastery passed into the hands of the Uniates, which in itself meant the victory of the Pope in these territories. The monastery was Uniate until 1831 and was one of the centers of the Basilian Order.

It is known that during the Polish uprising against Russia in 1830-1831, the Basilian monks of the monastery used to take part in the uprising. After the defeat of the uprising, in 1831, by order of Emperor Nicholas I, the monastery was transferred to the Orthodox Church under the jurisdiction of the Russian Holy Synod. The Basilian monks were forced to leave the monastery (Bushuev & Loyko, 2008). In the second half of September 1939, Pochaiv, which during the interwar period was located in the Volyn Voivodeship of the Polish Republic, was occupied by the Red Army. After the annexation of Western Ukraine to the

USSR in November of the same year, the Orthodox dioceses in this territory were transferred to the jurisdiction of Moscow Patriarchate. On June 30, 1941, Pochaiv was occupied by German troops. On August 18, 1941, the bishops, who nominally remained under the jurisdiction of Moscow Patriarchate, gathered at the Lavra and, relying on the decree of the Local Council of 1917-1918 and decree of September 1918 on recognizing the autonomous status of the Ukrainian Church (confirmed in 1922 by Patriarch Tikhon of Moscow and All Russia), proclaimed the creation of the Autonomous Orthodox Church of Ukraine. On November 25, 1941, the new Council of Bishops of the Pochaiv Lavra elected Metropolitan Alexy (Hromadsky) as Exarch of Ukraine.

Thus, by the 1940s, Russian Church had managed to preserve the Pochaiv Lavra anyhow. However, its influence on the monastery was not strong and still contained threats. Under the rule of the Bolshevik government, when the Ukrainian autocephalists were accused of nationalism and anti-Soviet activities, the Pochaiv Lavra was of course also of interest to the authorities, but the most difficult years for the monastery were the 1960s and the Khrushchev regime. The authorities began to exert direct pressure on everyone connected with the Lavra: monks, novices, pilgrims. The police used brutal methods against the monks (regardless of their rank and age), medical commissions were created – physically and mentally healthy monks were often forcibly transferred to psychiatric hospitals; Monks who were unfit for military service could be forcibly drafted into the armed forces; physical punishment, trials, arrests became of a common character. Repressions also touched the Lavra parish and pilgrims; a „Museum of Atheism" was established in a building near the ascent of the Holy Gates (now the Theological Seminary). The pilgrims' hotel was converted into a psychiatric hospital (Rodzianko, 2015).

The persecution of the monastery continued during our research period. Of particular interest to us is the work of the German historian Gerd Stryker, „The Russian Orthodox Church in the Soviet Period (1917-1991)," which is a collection of documents reflecting the history of relations between the Soviet state and the Church. The author cites in the work a document dated May 1984, preserved in the „Samizdat" archive in Munich – a report on the repressions carried out by the local authorities against monks and pilgrims in the Pochaiv Lavra in the Ternopil region. The document describes the situation of the monastery in 1984 through the eyes of an eyewitness: „We learned from the stories of the local population that since the end of 1983 the Lavra had been under pressure from the authorities. This attack was manifested not only in relation to the monks, but also in relation to the pilgrims, as we ourselves soon became convinced of. On May 20, 1984, on the feast of St. Nicholas, during the evening service, police officers dressed in civilian clothes entered the monastery's Assumption Cathedral and began checking the documents of the pilgrims. Some of the police officers were drunk. Lieutenant Ivan Stepanovich Morozovsky, who was appointed head of the passport department of the Pochaevsk Department of Internal Affairs at the end of 1983, was especially active. He asked not only young people but also old women for their documents, and at the end of the service, he kicked people out from the church." The author of the document also mentions the facts of pilgrims being arrested and sent to a psychiatric hospital (Shtricker, 1995:278).

As we can see, the way of behavior of the ruling power has not changed much compared to its predecessors. Only the degree of repression has changed, taking into account the general and religious situation prevailing at that time. We believe that there was another reason for the special control and strict attitude of the Soviet authorities towards the Pochaiv Monastery. Namely, the active efforts of the Catholic Church and its Polish Pope John Paul II to revive Catholicism among the Eastern Slavs, which had a serious impact on the religious policy of the USSR authorities.

During the reign of K. Chernenko, the rigid and repressive policy towards the religion brought about corresponding results. In this regard, the information note of the Chairman of the Council for Religious Affairs under the Council of Ministers of the USSR, K.M. Kharchev, to the Central Committee of the CPSU, dated February 28, 1985, is of interest to us, which concerns the religious situation in the country and the issues of compliance with the legislation on cults (1980–1984). The document is a kind of report on behalf of the CPSU Central Committee and describes the difficult situation in the field of religion in the USSR in 1980-1984. K.M. Kharchev writes: „In a number of places, believers are not able to peacefully satisfy their

religious needs. They are not legally allowed to have the necessary conditions for this and are prohibited from registering their communities and purchasing religious buildings. In thousands of settlements, groups of believers of various confessions hold services illegally. Many of them have been requesting registration of their organizations for years, but their requests are usually rejected without grounds (Moldavian, Tajik, Turkmen, Uzbekistan, Georgian, Azerbaijani SSR, Ukrainian SSR and a number of regions of the RSFSR). Legitimately operating religious communities are often prohibited from repairing places of worship, using power supply or inviting a priest. There are cases of dismissal from work or expulsion from educational institutions on religious grounds; believers are being deprived of incentives for good work; other cases of abuse also take place. Some officials do not learn the lesson from the past, when gross violations of the law in relation to the Church and believers, resulted in negative consequences for a long time" (Kharchev, 2010:167).

The author of the document names specific places (in Lithuania, Moldova, Belarus, etc.) and cases where believers were not given the opportunity to return confiscated churches (including burned ones) and notes that the Council (meaning the Council for Religious Affairs – E.B.) has repeatedly taken measures to prevent actions committed by local officials, but the local authorities ignore the Council's recommendations and decisions (Kharchev, 2010:170). K.M. Kharchev sees serious dangers in the situation he describes and tries to draw the Central Committee's attention to the following: „The unjustified closure of churches, monasteries and houses of prayer, the violation of the rights of believers have strengthened the activities of extremist elements in religious associations, especially in sectarianism and Catholicism. The most reactionary elements of Baptistism have created an underground religious center – the so-called „Council of Evangelical Christian Baptist Churches", which was supported by more than 550 different associations, counting more than 25 thousand believers". Also, such an undesirable phenomenon as the transition of Orthodox believers (representatives of the most peaceful religion) to sectarian positions (Belarus, Ukraine, RSFSR) has occurred" (Kharchev, 2010: 168).

The greatest danger, according to Kharchev, is that the USSR's foreign opponents were well informed about the current situation. „All this is in the hands of the ideological enemy, who tries its best to strengthen religious life, restore religious-nationalist sentiments in certain regions of our country, and complicate the normal relations established between the church and the state. Recently, the enemy, in his radio propaganda against the Soviet Union, has been particularly emphasizing the falsehood that the rights of believers and the guarantees of freedom of conscience provided for by the USSR Constitution are being violated in the USSR" (Kharchev, 2010:170).

The fact is that the representatives of the Council for Religious Affairs and its Chairman were well aware of the acuteness of relations with religion, its causes and expected consequences, and tried their best to draw the attention of the central government to the necessary measures. Kharchev names the mistakes of local authorities as the main reason for the current situation and reminds the Central Committee of K. Chernenko's instructions that violent measures against believers are harmful and that „atheism can be spread not as a result of the ban on religion, but by consistent persuading of believers and involving them in active public life" (Kharchev, 2010:170). The Chairman of the Council for Religious Affairs sees the solution to the current situation in correct approaches of the leaders of all party and Soviet bodies towards religion and the church issues (Kharchev, 2010: 170).

The document cited gives the impression that the acute situation in the sphere of religion is due to the arbitrary actions of local authorities and that the central government finds it difficult to manage the processes in the Union republics. It is not excluded that in the case of individual incidents, the center, for various reasons, lost control of the reins of government, however, it is less conceivable that in 1980-1984 and especially in 1982-1984, when the leader of the KGB of the USSR I. Andropov was in power, the center was not aware of the situation in the republics and did not allow any local authorities to act against state policy, or in the case of a similar precedent, did not respond appropriately. We believe that the local rulers were strictly following the directives of the central government, and presenting them as „scapegoats" in the document cited above is simply a tactic of Kharchev to show diplomatically the Central Committee the outcomes of religious policy and the ways of its correction.

Conclusion: Based on all the above, we can say that the religious policy of the Soviet government, during the reign of Konstantin Chernenko, is the same as of the policy of L. Brezhnev and I. Andropov, however, much more rigid, what made the relations between the church and the state to reach a deadlock. From the cited sources it can be seen that the party did not intend to abandon the anti-religious policy. At a certain period, it was trying to develop reasonable strategies, but totalitarian principles still outweighed the compromise. Ultimately, in the first half of the 80s, the situation of religion in the Soviet Union became similar to the one of the 60s, with the difference that now religious communities and organizations were much more actively resisting the ruling forces and had more supporters outside the country. The escalation of the conflict and the collapse of the system would probably have been inevitable if not for the death of the General Secretary in March 1985 and personnel changes. Since 1985, the Central Committee of the CPSU has been headed by Mikhail Gorbachev, under whose rule a new stage in the history of the Soviet Union began.

Bibliography:

Communist.., (1984). „*the Path of Communist Reconstruction and Peace", the newspaper „Communist"*, 1984, February 15, N40, p. 4, Tbilisi

Chernenko., (1984). *Speech of Comrade K. U. Chernenko at the Plenum of the Central Committee of the CPSU on February 14, 1984, the newspaper „Communist", 1984, February 14*, N39, p. 2, Tbilisi

Gorshkova A. I., (2001*). State and Russian Orthodox Church in the 1940--1990s (Based on the materials of the „Journal of the Moscow Patriarchate*",), A. I. Gorshkova // Document. Archive. History. Modernity: collection of scientific papers – Issue 1. – Ekaterinburg, 2001. – P. 32 – 51.

Kharchev., (1985). 1985, February 28. – Information note of the Chairman of the Council for Religious Affairs under the USSR Council of Ministers K. M. Kharchev to the Central Committee of the CPSU. – The Religious Situation in the Country and Issues of Compliance with Legislation on Cults (1980–1984) (extract), K. Kharchev, GARF. F. R.-6991. Op. 5. D. 3263. L. 52–58; History of State-Confessional Relations in Russia (10th – Early 21st Century): a reader in 2 parts / compiled by Yu. P. Zuev; under the general editorship of Yu. P. Zuev, V. V. Schmidt. Part II: 20th – early 21st centuries. – Moscow: RAGS Publishing House; ID „MediaProm", 2010. – 288 p.

file:///C:/Users/user/Desktop/Eto/1—1.pdf

Khoinetsky A. O., (1897). Krizhanovsky G. Ya., Pochaiv Assumption Lavra. Historical Description, Pochaiv,

https://msdm.ru/istoriya–monastyrya

Moscow Danilov Monastery, History of the Monastery

https://msdm.ru/istoriya–monastyrya

Rodzianko Bishop Vasily (2015). Bishop Vasily, My Destiny (memories), compiled by D.V. Glivinsky. – M.: Publishing House of the Sretensky Stavropegic Monastery, 2015. – 416 p

https://azbyka.ru/otechnik/Vasilij–Rodzyanko/moja-sudba-vospominanija/№sel=1156:9,1156:9

Chisty M. B. (2024). On the 40th Anniversary of the Election of K.U. Chernenko General Secretary of the Central Committee of the CPSU

https://kprf.ru/history/party/227358.html

Shtrikker G., (1995). Russian Orthodox Church in Soviet times (1917-1991). Materials and documents on the history of relations between the state and the Church, 400 p. 245. M.: „Propylaea", http://www.krotov.info/acts/20/1920/shtric–00.htm

შავიზღვისპირეთი – ცივილიზაციის თეორია და მდგრადი განვითარება

ელენე გეგეშიძე
კულტუროლოგიის აკადემიური დოქტორი,
მოწვეული პროფესორი, მეცნიერი-მკვლევარი, თსუ,
საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ
მეფის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ელ-ფოსტა: elene.gegeshidze@tsu.ge
ORCID: 0009-0000-6507-544X

აბსტრაქტი: როგორც ცნობილია, ცივილიზაცია საზოგადოების კულტურული განვითარების უმაღლესი საფეხურია. ის ხასიათდება კარგად ორგანიზებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურებით, რომლის მთავარი მამოძრავებელი ძალაა სულიერების, განათლების ელემენტები. ისინი ყალიბდებოდა „გონიერი ადამიანის“ და გარემომცველი სამყაროს ხანგრძლივი, შემოქმედებითი ურთიერთობის პროცესში. ის მოიცავს არა მარტო სახელმწიფოებრივი, დემოკრატიული მართვის პრინციპებს, რწმენა-წარმოდგენების სისტემას, არამედ ზნეობრივ ნორმებს, ყოველდღიურობის რეგლამენტაციებს. მათ საფუძველზე ყალიბდებოდა ურთიერთობა ადამიანებსა და ცალკეულ სოციალურ ჯგუფებს შორის, ჯერ ოჯახში, და შემდგომ გვარში, თემში, ტომსა და ტომთა კავშირებს შორის, რაც საფუძველი გახლდათ სახელმწიფოს, უპირატესად ქალაქ-სახელმწიფოების წარმოშობისა. ქალაქ-სახელმწიფოების, მათი ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარება უშუალოდ განაპირობა დამწერლობის წარმოშობამ, რომლის გარეშე წარმოუდგენელია ცივილიზაციის ფორმირების პროცესი. ცივილიზაციის მიზანია კაცობრიობის კეთილდღეობა, ადამიანის ცხოვრების კულტურული დონის ამაღლება, უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

თანამედროვე კულტუროლოგიაში უდიდესი მნიშვნელობა ექცევა ცივილიზაციების თეორიას და კულტურის ისტორიას, მათი მომავალი ხვედრის გააზრებას, რაშიც მოიაზრება ამა თუ იმ ქვეყნის მდგრადი განვითარება, რომლის კონტექსტშიც იგულისხმება განვითარება არსებულ რესურსებზე დაყრდნობით, ზიანის მიყენების გარეშე. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში დაბეჯითებით საუბრობენ XXI ს. ე.წ. მეხუთე თაობის თანამედროვე ლოკალური ცივილიზაციების თავისებურებაზე, ცივილიზაციის მომავალზე, მისი განვითარების პერსპექტივა ჯერჯერობით ბუნდოვანია. ამჟამად ქვეყნად კვლავ მიმდინარეობს „ცივილიზაციური ომები“. დასავლური (ევროპული) და აღმოსავლური (აზიური) კულტურების, ქრისტიანების და მუსლიმების დაპირისპირება, რაც ჩვენი პლანეტის მომავალზე ოპტიმისტური დასკვნების გაკეთების საშუალებას ნაკლებად იძლევა.

21-ე საუკუნეში ნებისმიერი ქვეყნის განვითარების ერთადერთ უალტერნატივო გზად მდგრადი განვითარება იქნა მიჩნეული, რომელიც არის განუწყვეტელი ცვლილებების პროცესი. შავიზღვისპირეთის ეკოტურიზმი საქართველოსთვის არის ბუნებრივი და სოციო-კულტურული რესურსების კონსერვაციის მექანიზმი და ასევე მდგრადი განვითარების საშუალება. ეკოტურიზმს ოთხი მთავარი ქვაკუთხედი გააჩნია: განვითარების მდგრადობა, ეკონომიკური სარგებლიანობა, ტრადიციებისა და ადგილისათვის დამახასიათებელი ცხოვრების სტილის შენარჩუნება და საგანმანათლებლო კომპეტენციები, რის საფუძველზეც შესაძლებელია არა მარტო შავიზღვისპირეთის რეგიონის, არამედ სრულიად საქართველოს პროგრესული განვითარება.

საკვანძო სიტყვები: ცივილიზაცია, მდგრადი განვითარება, ტრადიციები, ეკოტურიზმი.

* * *

შესავალი: თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში შავიზღვისპირეთის სივრცე პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ არეალში განსაკუთრებული ყურადღების საგანს წარმოადგენს. ეს ვრცელი რეგიონი, უძველესი დროიდან სხვადასხვა ცივილიზაციათა თანხვედრის არეალია. ისტო-

რიული ფაქტია, რომ შავიზღვისპირეთში თავს იყრიდნენ ჩრდილოეთისა და სამხრეთის, აღმოსავლეთის და დასავლეთისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი და განუწყვეტლივ ურთიერთქმედებდნენ, როგორც ერთმანეთზე, ისე ადგილობრივ სამყაროზე და ამიტომაც, შავიზღვისპირეთის როლი განსაკუთრებულია საქართველოს სიძლიერისთვის, რადგან სწორედ ამ რეგიონში, მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო ყველაზე მეტად არის შესაძლებელი ტურიზმის განვითარება, რომელიც თანამედროვე გლობალიზაციის პერიოდში ყველაზე მაღალშემოსავლიანი ბიზნესია მსოფლიოში.

შავიზღვისპრეთის მდგრადი განვითარება უნდა უზრუნველყოფდეს სოციალური, კულტურული და ეკონომიკური კრიტერიუმების ჰარმონიულ შერწყმას. რაც არა მარტო ბუნებრივი და კულტურული რესურსების შენარჩუნების შესაძლებლობას მოგვცემს, არამედ მათი განვითარების წინა პირობა გახდება.

დისკუსია/შედეგები: მეცნიერთა მტკიცებულებით პირველი ცივილიზაციის წარმოქმნა რამდენიმე ათასწლეულის წინ აზიის, აფრიკის და ევროპის ტერიტორიებზე მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ცივილიზაციების ფორმირება სხვადასხვა დროში და ეპოქაში ხდებოდა, მათი განვითარების პროცესში ბევრი რამ საერთო იყო და სწორედ ეს საერთო ხაზი გახდა კაცობრიობის პროგრესის და კულტურული განვითარების პლაცდარმი. მსოფლიოს უძველესი ცივილიზაციის რეიტინგებში საქართველო მესამე საპატიო ადგილზე გავიდა, რასაც ადასტურებს ამერიკული ონლაინ – პლატფორმა (რომელიც ქსელის მომხმარებელთა კვლევის შედეგებს წარმოადგენს (топ-10) კულტურაზე, განათლებაზე, ისტორიაზე, თანამედროვე კომუნიკაციებსა და სხვადასხვა სფეროებზე. საიტი ფუნქციონირებს 2005 წლიდან დღემდე და ამ ხნის განმავლობაში მის ბაზაში მილიონობით სხვადასხვა რეიტინგები შეიკრიბა). საიტის TheTopTens ინფორმაციით, უძველესი ცივილიზაციის რეიტინგის პირველ ადგილზე საბერძნეთია, ხოლო მეორე პოზიცია დაიკავა ეგვიპტემ. რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, საქართველომ საპატიო მესამე ადგილი მოიპოვა თავისი უძველესი ტრადიციებით, უძველესი ცივილიზაციით, დამწერლობით, უძველესი ისტორიებით. აღნიშნული საიტის მომხმარებლები წერდნენ, „რომ საქართველო არის ულამაზესი ქვეყანა, რომელიც ღვთისმშობლის წილხვედრია, ეს არის სამშობლო ღვინისა და ყველის, უნიკალური ისტორიებით და უძველესი დამწერლობით, ეს არის ქვეყანა საოცრად მამაცი ხალხით და უმდიდრესი კულტურით“ (კოდუა, 2001, გვ. 24).

საქართველოში უამრავ უცხოელს უმოგზაურია, ბევრ მათგანს რაღაც პერიოდი უცხოვრია კიდეც ჩვენს ქვეყანაში. ზოგიერთი მათგანი თავიანთ ჩანაწერებში წერდა, რომ история началась именного с этого места (Уайт, 1997, გვ. 36), რომ ქართული ცეკვა და სიმღერა უნიკალურია და ამ ყველაფერს ხელს უწყობს საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, ბევრი ასეთი ჩანაწერი დარჩა ისტორიაში, რასაც ადასტურებს უამრავი საარქივო დოკუმენტური მასალები, არა მარტო საქართველოში არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

საქართველოს შავიზღვისპირეთი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, დღესაც რჩება მსოფლიოს განსხვავებულ კულტურათა და ცივილიზაციათა თავშეყრისა და გზაგასაყარის ცენტრად. მსოფლიოს ეს რეგიონი ფუნქციურად დღესაც მნიშვნელოვანია თავისი ეროვნულ-კონფესიური, კულტურული მრავალფეროვნების და რეგიონის პოლიტიკური აქტივობების გათვალისწინებით. სწორედ აქედან – საქართველოს ამ რეგიონიდან იწყება დასავლეთი და აღმოსავლეთი, აქ იკვეთება ცივილიზაციები, რელიგიური განშტოებები, მათ შორის ქრისტიანული (მართლმადიდებლური, კათოლიკური, გრიგორიანული) და ისლამური (სუნიტური და შიიტური) მიმდინარეობები; თავმოყრილია უძველესი წარმოშობის და კონფესიების ხალხი (ებრაელები, ქურთები, იეზიდები, ასირიელები და ა.შ.), და ამ მრავალფეროვნების მხრივ, ამ „კულტურათაშორის ცენტრში“ (სახელმწიფოს წიაღში) სრული, ისტორიული სიმშვიდეა – უნიკალური ტოლერანტობაა. ეს ფაქტორიც, ცივილიზაციათა დიალოგში, შემეცნების თვალსაზრისით, მსოფლიოსთვის მნიშვნელოვანია, შესასწავლი და შესაფასებელია. როგორც განსხვავებული ინტერესების გეოგრაფიულ გზაგასაყარს, ჩვენ „რაღაც“ გეოპოლიტიკური მისია და ფუნქცია მართლაც გვაკისრია. ისტორიულმა ჟამთასვლამ დაამტკიცა, რომ თანამედროვე

კულტურები ჩამოყალიბებულია მრავალრიცხოვანი და ხანგრძლივი ურთიერთქმედების შედეგად.

საქართველოს თამამად შეუძლია უთხრას მსოფლიოს, რომ მას თვითმყოფადი კულტურის საკუთარი, დამოუკიდებელი ისტორია გააჩნია, რომლის საფუძვლებიც ევროპის ცივილიზაციის ისტორიაზე ძველია. და ის მხოლოდ მართლმადიდებლური კულტურით არ განისაზღვრება, რადგან სცილდება რელიგიის ფაქტორს და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელია – ადამიანის არსებობის და აზროვნების ყველა სფეროში. ეს თვითმყოფადი კულტურა, დოკუმენტურად კარგად აისახა ყველაზე უტყუარ და წარმომადგენლობით სფეროში – ხალხურ პოეზიაში, სიმღერასა და ცეკვაში, როგორც ეროვნული ფილოსოფიის, არისტოკრატიზმის, რაინდობის და ზოგადად, საკაცობრიო ფასეულობათა უმთავრესი ღირებულებების გამომხატველი. თვალსაჩინო კულტურულ მრავალფეროვნებასთან ერთად არსებობს ერთიანი გლობალური ცივილიზაცია, დაფუძნებული ტოლერანტობისა და თავისუფლების საერთო ფასეულობებზე. მისი აზრით, გლობალური ცივილიზაცია გამოირჩევა საპირისპირო აზრებისადმი შემწყნარებლობით, კულტურული მრავალფეროვნებისადმი პატივისცემით, „ადამიანის ფუნდამენტური, უნივერსალური უფლებებისადმი“ ერთგულებით. ეს გლობალიზაცია ემყარება იმის რწმენას, რომ საჭიროა მივესალმებოდეთ ადამიანური კულტურების მრავალფეროვნებას და არ გვეშინოდეს მისი. მრავალი ომი წარმოიშვა იმის გამო, რომ ადამიანებს ეშინოდათ იმათი, ვისაც თავიანთგან განსხვავებულად თვლიდნენ, მხოლოდ კულტურათა დიალოგის გზით შეიძლება დაძლეულ იქნას ასეთი შიში.

ქართული ცივილიზაციის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია რელიგია, რომელიც ყოველთვის გვევლინება, როგორც მისი სახის ერთ-ერთი ჩამომყალიბებელი და განმსაზღვრელი ფაქტორი. ასევე, ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფეროა ადამიანის ცხოვრებაში – ადამიანისა და ღმერთის ურთიერთობების ფენომენი, რომელიც ხშირად განსაზღვრავს თავად ადამიანის დამოკიდებულებას არსებული გარემოსა და რეალობისადმი, საკუთარ როლს მასში.

კულტურას ქმნის საზოგადოება. იგი გამოხატავს მის ხასიათს, მენტალიტეტს და ისევე, როგორც თითოეული ადამიანი მენტალიტეტით განუმეორებელია, ყოველი კულტურაც ორიგინალური და უნიკალურია. როდესაც ლაპარაკია კულტურაზე, თავისთავად იგულისხმება ადამიანი და საზოგადოება, რადგან ეს სამი ცნება წარმოადგენს ერთ განუყოფელ მთლიანობას. მათი შექმნა ურთიერთთანადროულია. ადამიანის, საზოგადოებისა და კულტურის დაშორება წარმოუდგენელია, რადგან იგი ერთარსის სამი სახეა. კულტურა ადამიანისა და საზოგადოების გარეშე და პირიქით, ადამიანი საზოგადოებისა და კულტურის გარეშე წარმოუდგენელია (გეგეშიძე, 2013, გვ. 65).

კულტურა ადამიანის შვილია, ცივილიზაცია კი მისი შვილიშვილი, რადგან ცივილიზაციას უშუალოდ ადამიანები არ ქმნიან, მას კულტურათა ურთიერთობა ქმნის. თუ კულტურა წარმოადგენს ადამიანთა საზოგადოებას, ცივილიზაცია კულტურათა საზოგადოებაა. როგორც ერთ კაცს არ შეუძლია კულტურის შექმნა, ისე ერთ კულტურას არ შეუძლია ცივილიზაციის შექმნა. თუმცა, შეიძლება ერთი კულტურა იქცეს ცივილიზაციად, მაგრამ ამას მხოლოდ სხვა კულტურებთან ურთიერთობაში მოახერხებს იმ მიზეზით, რომ იგი თავისიანად ვერ ჩათვლის ვერავის და განცალკევებული დარჩება. ცივილიზაცია არის სივრცე, რომელიც ყალიბდება კულტურათა ურთიერთობაში. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი კულტურათა ცივილიზაციებად დაჯგუფებაში ენიჭება კონფლიქტს, როგორც აქტიური ურთიერთობის სახეს. იგი ახდენს კულტურათა იდენტიფიკაციას და დებს მათ შორის წყალგამყოფს, ანუ საზღვარს ავლებს „ჩვენიანსა“ და „სხვას“ შორის. კონფლიქტი მიზეზ-შედეგობრივია. მისი მიზეზი ხდება საზოგადოების განსხვავებულ მიზანთა ურთიერთშეჯახება, ხოლო კონფლიქტის შედეგია საზოგადოების მოწესრიგება, რადგან კონფლიქტის შედეგი განსაზღვრავს საზოგადოების მომავალ ცხოვრებას (კოდუა, 2001, გვ. 21).

საქართველო, გეოგრაფიული თვალსაზრისით, დღესაც რჩება მსოფლიოს განსხვავებულ კულტურათა და ცივილიზაციათა თავშეყრისა და გზაგასაყარის ცენტრად (მეტრეველი, 2008, გვ. 46). მსოფლიოს ეს გეოგრაფიული რეგიონი ფუნქციურად დღესაც მნიშვნელოვანია თავისი ეროვნულ-კონფესიური, კულტურული მრავალფეროვნების და რეგიონის პოლიტიკური აქტივობების გათვალისწინებით. ხელოვნებისა და დამწერლობის წარმოშობასთან ერთად ადამიანის შესაძლებლობები ამ მხრივ მნიშვნელოვნად გაფართოვდა. სატრანსპორტო საშუალებათა

განვითარებამ, წიგნის ბეჭდვამ ეს უნარი კიდევ უფრო გაზარდა, XX საუკუნეში კი – ტელეგრაფის, ტელეფონის, რადიოს, ტელევიზიისა და სხვა საინფორმაციო საშუალებათა მეშვეობით ის, ფაქტობრივად, უსაზღვრო გახდა. თანამედროვე კულტუროლოგიაში ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა და გავლენიანია სიმბოლური სკოლა, რომლის ჩამოყალიბება ზემოთ ნახსენებმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მძლავრმა განვითარებამ განაპირობა. ადამიანს გარს არტყია არა რეალური, არამედ ხელოვნური, სიმბოლური სამყარო.

სიმბოლური აზროვნების, როგორც ადამიანისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი უმთავრესი ნიშნის შესახებ მეცნიერებს სხვადასხვა მოსაზრება აქვთ. მათ შორის ყურადსაღებია ამერიკული კულტურული ანთროპოლოგიის თვალსაჩინო წარმომადგენლის ლესლი უაიტის განსაზღვრება: „კულტურა წარმოადგენს საგანთა და მოვლენათა კლასს, დამოკიდებულს მხოლოდ ადამიანისათვის დამახასიათებელ უნარზე – სიმბოლური მნიშვნელობა მიანიჭოს აზრებს, მოქმედებებს, საგნებს, ანუ მოახდინოს მათი სიმბოლიზაცია და აღიქვას ამ სიმბოლოთა მნიშვნელობა''. ასეთ საგნებსა და მოვლენებს იგი სიმბოლატებს უწოდებს. სიმბოლატებია იდეები, რწმენა-წარმოდგენები, ურთიერთობანი, ენა, შრომის იარაღი, ნივთები და ა. შ. (Уайт, 1997, გვ. 98) უაიტის განსაზღვრებაში მნიშვნელოვანია აგრეთვე ის, რომ სიმბოლატების განხილვა შესაძლებელია მხოლოდ ექსტრასომატურ კონტექსტში, რადგან სიმბოლატთა სომატურ კონტექსტში განხილვა სცილდება კულტუროლოგიის საზღვრებს და ფსიქოლოგიის კომპეტენციაში შედის.

ჩვენთვის საამაყოა, რომ ქართველ ადამიანს იზოლირებულად არასოდეს უცხოვრია და ჩვენს კულტურაზე სრულად ბუნებრივ გავლენას ახდენდნენ მითოლოგიური და აღმოსავლურ თუ ელინისტური კულტურები. სწორედაც, ამ ფაქტებიდან გამომდინარე ქართულ კულტურას თავისი თვითმყოფადი ხასიათით და სხვადასხვა ეპოქაში მისი სახეცვლილების ბუნებით მსოფლიო კულტურის ისტორიაში განსაკუთრებული, განუმეორებელი ადგილი უჭირავს. ამის დასამტკიცებლად ჩვენი კულტურის უძველესი გამოვლენის – ქართული ცეკვისა და სიმღერის თვალის გადავლებაც საკმარისია. პლასტიკურობით, დრამატიზმით და გრაციოზულობით მსოფლიო ქორეოგრაფიის მარგალიტს წარმოადგენენ. ასევე ეროვნული განძია უნატიფესი საცხოვრებელი სახლები და ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება.

თუ კიდევ ერთხელ გავიხსენებთ და მსოფლიო კულტურის ყველაზე თვალსაჩინო ძეგლებს შევუპირისპირებთ განუმეორებელ ჩუქურთმებს, ასევე მის უდიდებულესობას სწორედ რომ ლექსიკურად უმდიდრეს ჩვენს ჩუქურთმოვან ენას და ამ ენაზე შექმნილ მსოფლიო შედევრებს: „ვეფხისტყაოსანს“, „ვეფხისა და მოყმის ბალადას“, ვაჟასა და გალაკტიონის პოეზიას... შეგვიძლია თამამად ვუწოდოთ მსოფლიო კულტურის დიდ ტაძარში ქართულ კულტურას სანუკვარი სიტყვა „თვითმყოფადი“ (მიშველაძე, 2012, გვ. 105).

აკადემიკოსს როინ მეტრეველის ისტორიულ ნარკვევში „კავკასიური ცივილიზაცია მსოფლიო გლობალიზაციის პროცესების კონტექსტში“ განხილულია, რომ კავკასიას ევრაზიულ სივრცეში განსაკუთრებული ადგილი უკავია; დასმულია ამოცანა, რომ მსოფლიო საერთო გლობალიზაციის სისტემაში არ დაიკარგოს კავკასიური ცივილიზაცია, ინტეგრაციის შეუქცევადი პროცესი ისე უნდა წარიმართოს, რომ კულტურული საუნჯეები, რაც ასე უხვად გააჩნია ქართველ ხალხს, გადარჩეს და დარჩეს მსოფლიო საგანძურში.

ყველაფრის მიუხედავად, საქართველოს შეუძლია თამამად უთხრას მსოფლიოს, რომ მას თვითმყოფადი კულტურის საკუთარი, დამოუკიდებელი ისტორია გააჩნია, რომლის საფუძვლებიც ევროპის ცივილიზაციის ისტორიაზე ძველია. და ის მხოლოდ მართლმადიდებლური კულტურით არ განისაზღვრება, რადგან სცილდება რელიგიის ფაქტორს და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელია – ადამიანის არსებობის და აზროვნების ყველა სფეროში. ეს თვითმყოფადი კულტურა, დოკუმენტურად კარგად აისახა ყველაზე უტყუარ და წარმომადგენლობით სფეროში – ხელოვნებაში, პოეზიაში, სიმღერაში, ცეკვაში კულინარიაში და სპორტში, როგორც ეროვნული ფილოსოფიის, არისტოკრატიზმის, რაინდობის და ზოგადად, საკაცობრიო ფასეულობათა უმთავრესი ღირებულებების გამომხატველი.

კულტურათა ურთიერთმოქმედების, კერძოდ, დიალოგის კულტურის მეთოდოლოგია თავის შრომებში შემუშავებული აქვს მ. ბახტინს, რომლის მიხედვითაც დიალოგი, ეს არის ამ პროცესში

მონაწილეთა ურთიერთგაგება, ამავე დროს, თავისი აზრის, თავისის სხვაში შენარჩუნება (მასთან შერწყმა) და დისტანციის შენარჩუნება (თავისი ადგილის შენარჩუნება). დიალოგი ყოველთვის განვითარება და ურთიერთმოქმედებაა. ეს არის გაერთიანება და არა დაშლა. დიალოგი საზოგადოების საერთო კულტურის მაჩვენებელია. „დიალოგი თვითმიზანია და არა საშუალება. ყოფნა უკვე ნიშნავს დიალოგურ ურთიერთობას. როცა დიალოგი მთავრდება, ყველაფერი მთავრდება“ (Бахтин, 1986, გვ. 48). მ. ბახტინის მიხედვით, თითოეული კულტურა სხვა კულტურასთან თანაარსებობს და კულტურაში დიადი მოვლენები მხოლოდ სხვადასხვა კულტურათა დიალოგში, მათი გადაკვეთის წერტილში იბადება. ერთი კულტურის უნარი აითვისოს მეორის მიღწევები, მისი სიცოცხლისუნარიანობის ერთ-ერთი წყაროა. „უცხო კულტურა მხოლოდ სხვა კულტურის თვალში იხსნება მთელი სისრულით და სიღრმით... ერთის აზრი თავის სიღრმეებს ავლენს სხვა, უცხო აზრთან შეხვედრისას, მასთან შეხებისას... მათ შორის თითქოსდა დიალოგი იწყება, რომელიც გადალახავს ამ აზრთა, ამ კულტურათა ჩაკეტილობასა და ცალმხრივობას... ორი კულტურის ასეთი დიალოგური შეხვედრისას ისინი ერთმანეთს არ ერწყმიან და არ ერევიან, მაგრამ ურთიერთმდიდრდებიან“ (Бахтин, 1986, გვ. 49). ორი კულტურის დიალოგი ორივე მხარისთვის ნაყოფიერია. „ჩვენ უცხო კულტურას ახალ კითხვებს ვუსვამთ, ისეთს, რომელიც მას თავისი თავისთვის არ დაუსვამს, ვეძებთ მასთან პასუხებს ამ ჩვენს კითხვებზე, და უცხო კულტურა გვპასუხობს, ხსნის ჩვენს წინაშე თავის ახალ მხარეებს, ახალ ზნეობრივ სივრცეებს“ (Бахтин, 1986, გვ. 49).

არცერთ ქვეყანას არ ძალუძს იარსებოს და განვითარდეს თავისი მეზობლებისგან იზოლირებულად. კულტურათა დიალოგი კაცობრიობის განვითარებაში ყოველთვის მთავარი ფაქტორი იყო და ასეთივეა დღესაც. საუკუნეებისა და ათასწლეულების მანძილზე ხდებოდა კულტურათა ურთიერთგამდიდრება, რომლისგანაც კაცობრიობის ცივილიზაციის უნიკალური მოზაიკა ლაგდებოდა. კულტურათა ურთიერთზემოქმედების, დიალოგის პროცესს რთული და არათანაბარი ხასიათი აქვს. რა თქმა უნდა, ბევრი რამ დამოკიდებულია კულტურის განვითარების სტადიათა თანაფარდობაზე, დაგროვილ გამოცდილებაზე. თითოეული ნაციონალური კულტურის სიღრმეში დიფერენცირებულად ვითარდება კულტურის სხვადასხვა კომპონენტი.

გლობალიზაციის ჩარჩოებში იზრდება კულტურათა საერთაშორისო დიალოგი. საერთაშორისო კულტურული დიალოგი აძლიერებს ხალხთა შორის ურთიერთგაგებას და საკუთარი ნაციონალური სახის უკეთ შეცნობის შესაძლებლობას იძლევა. თუ ადრე ეგონათ, რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურები ერთმანეთს არ გადაკვეთდნენ, დღეს, როგორც არასდროს, იკვეთება მათი ურთიერთშეხებისა და ურთიერთგავლენის წერტილები. საუბარია არა მხოლოდ ურთიერთმოქმედებაზე, არამედ ურთიერთშევსებასა და გამდიდრებაზე. დიალოგური განვითარება ისეთი ცნებისა როგორიცაა „კულტურა“, კულტურათა საერთაშორისო დიალოგის ნაწილს უნდა წარმოადგენდეს. აქვე მინდა მოკლედ შევეხო ქართული კულტურის სიახლოვეს სხვა ერების კულტურასთან (გეგეშიძე, 2013, გვ. 67).

ქართული კულტურა ისეთ უძველეს კულტურათა რიგშია, რომლებიც მსოფლიო ცივილიზაციის ხერხემალს ქმნის. ჩვენი კულტურის ისტორიის ერთ-ერთი განსაკუთრებული ნიშან-თვისება ის არის, რომ ქართული საზოგადოება არასოდეს იყო ჩაკეტილი საზოგადოება. მაგალითად „ვეფხისტყაოსანი“, იგი არ არის კარჩაკეტილი ქვეყნის წიაღიდან აღმოცენებული. ესაა გახსნილი ქვეყნის ფართო თვალსაწიერის წიაღში დაბადებული ქმნილება. საქართველოს, როგორც ევროპასა და აზიას შორის მდებარე გზაჯვარედინს, მუდმივად ჰქონდა ღრმა კულტურული და სულიერი კავშირები მაღალი კულტურის მქონე დიდ ერებთან. არაერთი გამოკვლევა და ლიტერატურული სახის წერილი მიეძღვნა ქართულ-ევროპულ ლიტერატურულ ურთიერთობებსაც.

ქართველობა, სულ ცოტა საბას დროიდან, აქტიურად, სრული შეგნებით ისწრაფვის ევროპასთან კავშირისაკენ, მისი სულიერი პროფილი ძირითადად ევროპულ კულტურასთან ურთიერთობით ჩამოიქნა და ამდენად ჩვენთვის მუდამ მნიშვნელოვანია ევროპულ კულტურასთან სიახლოვე.

საქართველოს დასავლეთთან მიმართებაში (და არა მარტო) საკვანძო მომენტად მიჩნეულია IV საუკუნე. დრო, როდესაც შემოვიდა ქრისტიანობა. ამ რელიგიამ მთლიანად შეცვალა ევროპის ბედი. იგი იქცა დასავლური კულტურის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებლად. დასავლეთთან კულტურული ურთიერთობის აუცილებლობაზე მიგვანიშნებდნენ ილია ჭავჭავაძე, სერგი მესხი, (ეს

უკანასკნელი განსაკუთრებით ამერიკული განათლების სისტემით იყო აღფრთოვანებული) ნიკო ნიკოლაძე, არჩილ ჯორჯაძე და სხვები (რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა). ისინი მხარს უბამდნენ ყველა პროგრესულ დასავლურ წამოწყებას, უნდა მომხდარიყო ევროპული სიახლეების მორგება ქართულ სინამდვილესთან, რათა ამ სინთეზის შედეგად მიღებული ნაყოფი სიცოცხლისუნარიანი ყოფილიყო.

დასკვნის სახით კი მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ კულტურათა დიალოგი აუცილებელია, როგორც კაცობრიობის თვითგადარჩენის პირობა. მართალია, თანამედროვე მსოფლიოში კულტურათა დიალოგი რთული, და ხანდახან მტკივნეული პროცესია, მაგრამ აუცილებელია ოპტიმალური ურთიერთქმედების უზრუნველყოფა, ხალხთა და კულტურათა დიალოგი უნდა ხდებოდეს ამ ურთიერთქმედების მონაწილე თითოეული მხარის ინტერესების გათვალისწინებით, აგრეთვე საზოგადოების, სახელმწიფოს, მსოფლიო თანამეგობრობის ინტერესთა გათვალისწინებით.

გაეროს ყველა წევრი ქვეყანა თანხმდება იმაზე, რომ უკეთესი და უფრო მდგრადი მომავლის მისაღწევად საჭიროა გაეროს კომისიის მიერ შემუშავებული 17 მიზნისა და 169 ინდიკატორის ნაკრების გათვალისწინება. რაც ჩვენს მიზნებსა ჩვენ წინაშე არსებულ თანამედროვე გლობალურ გამოწვევებს ეხება: სიღარიბის, უთანასწორობის, კეთილდღეობის, მშვიდობისა და სამართლიანობის საკითხებს, ასევე კლიმატურ და ეკოლოგიურ გამოწვევებს. ეს მიზნები მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს და იმისთვის, რომ არავინ დარჩეს მათ მიღმა, მნიშვნელოვანია, თითოეული ეს მიზანი და ინდიკატორი 2030 წლამდე შესრულდეს, რათა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურმა და კარგად ორგანიზებულმა მდგრადმა განვითარებამ, რომელიც მეცნიერთა დაკვირვებით სწორედაც შავიზღვისპირეთის რეგიონზეა ორიენტირებული, რაც საქართველოს მოსახლეობას მოუტანს კეთილდღეობას და ავტორიტეტს მსოფლიო არენაზე.

ბიბლიოგრაფია:

http:\\www, d. h. (2025).

Бахтин, М. (1986). *„Эстетика словесного творчества“.* „Планета“: Москва.

Уайт, Л. (1997). *„Наука о культуре – В кн.: Антология исследований культуры“, Т. 1.* . СПБ: Ретербург.

გეგეშიძე, ე. (2013). *ქართველური მემკვიდრეობა, ტ. 17.* ქუთაისი: აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

კვიციანი, ჯ. (2012). *კავკასიაში ეთნიკური ვითარების და ცივილიზაციური კუთვნილების შესახებ.* „უნუვერსალი“: თბილისი.

კოდუა, ე. (2001). *კულტურის სოციოლოგია.* თბილისი: ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო.

მეტრეველი, რ. (2008). *კავკასიური ცივილიზაცია მსოფლიო გლობალიზაციური პროცესების კონტექსტში.* „არტანუჯი“: თბილისი.

მიშველაძე, რ. (2012). *კულტურა და თანამედროვეობა.* თბილისი: სტუ.

BLACK SEA COAST – CIVILIZATION THEORY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT

ELENE GEGESHIDZE
PhD in Cultural Studies
Ivited lecturer, scientist-researcher, TSU,
Associate Professor at St. King Tamar University
of Patriarchate of Georgia.
E-Mail: elene.gegeshidze@tsu.ge
ORCID: 0009-0000-6507-544X

Abstract: As it is known, civilization is the highest level of cultural development of society. It is characterized by well-organized socio-economic and political structures, the main driving force of which are the elements of spirituality and education. They were formed in the process of long-term, creative disconnection between the „intelligent person“ and the surrounding world. It includes not only the principles of state, democratic management, the system of beliefs and beliefs, but also moral norms, everyday regulations. Based on them, the relationship between people and individual social groups was formed, first in the family and then between the clan, community, tribe and tribal connections, which became the basis for the origin of the state, mainly city-states. The further development of city-states, their economy and culture *were* directly determined by the origin of writing, without which the process of civilization formation is unthinkable. The goal of civilization is the well-being of mankind, raising the cultural level of human life, ensuring security.

In modern culturology, the greatest attention is paid to the theory of civilizations and the history of culture, to understanding their future fate, in special scientific literature, they talk about the peculiarity of the contemporary local civilizations of the so-called „fifth generation“ of the XXI century, the future of civilization, the outlook of its development is still unclear. Currently, „civilization wars“ are still going on in the country. The confrontation between Western (European) and Eastern (Asian) cultures, Christians and Muslims, which makes it less possible to make optimistic conclusions about the future of our planet.

In the 21st century, sustainable development has been considered as an alternative way of development of any country. For Georgia, Black Sea ecotourism is a mechanism of conservation of natural and socio-cultural resources, as well as a means of sustainable development. Ecotourism has four main cornerstones: sustainability of development, economic usefulness, preservation of traditions and lifestyle specific to the place, and educational competences, on the basis of which it is possible to develop Georgia's progressive development.

Key words: civilization, sustainable development, traditions, ecotourism.

* * *

Introduction. In the conditions of modern globalization, the Black Sea region is a subject of special attention in the political, economic and cultural spheres. This vast region has been an area of convergence of various civilizations since ancient times. It is a historical fact that the Black Sea region is where the peculiarities of the Mediterranean and the South, East and West converged and continuously interacted with each other and with the local world, and therefore, the role of the Black Sea region is special for the strength of Georgia, because it is in this region, due to its geographical location, that the development of tourism is most possible, which is the most profitable business in the world in the era of modern globalization.

The sustainable development of the Black Sea region should ensure a harmonious combination of social, cultural and economic criteria. Which will not only allow us to preserve natural and cultural resources, but will also become a prerequisite for their development.

Discussion/Results. According to scientists, the emergence of the first civilization took place several millennia ago in the territories of Asia, Africa and Europe. Despite the fact that the formation of these civilizations took place in different times and eras, there were many things in common in the process of their development, and it was this common line that became the springboard for the progress and cultural development of mankind. Georgia took an honorable third place in the ratings of the world's oldest civilizations, as confirmed by the American online platform (which presents the results of a survey of network users (top-10) on culture, education, history, modern communications and various fields. The site has been operating since 2005 and during this time millions of different ratings have been collected in its database). According to the site „TheTopTens", Greece is in first place in the rating of the oldest civilizations, and Egypt took second place. As for our country, Georgia took an honorable third place with its ancient traditions, ancient civilization, writing, and ancient history. Users of the aforementioned site wrote, „Georgia is a beautiful country, which is the lot of the Virgin Mary, it is the homeland of wine and cheese, with unique stories and ancient writing, it is a country with amazingly brave people and the richest culture" (Kodua, 2001, p. 24).

Many foreigners have traveled to Georgia, many of whom have even lived in our country for some time. Some of them wrote in their notes that „история началась именного с этого места" (history began from this very place), (Уайт, 1997, p. 36), that Georgian dance and singing are unique and that all this is facilitated by the geographical location of Georgia. Many such records have remained in history, which is confirmed by numerous archival documentary materials, not only in Georgia but also abroad.

The Black Sea region of Georgia, with its geographical location, still remains a center of convergence and crossroads of different cultures and civilizations of the world. This region of the world is still functionally important today, taking into account its national-confessional, cultural diversity and political activities of the region. It is from here – this region of Georgia that the West and the East begin, civilizations, religious branches, including Christian (Orthodox, Catholic, Gregorian) and Islamic (Sunni and Shiite) movements intersect here; peoples of ancient origin and confessions (Jews, Kurds, Yazidis, Assyrians, etc.) are gathered, and in terms of this diversity, in this „intercultural center" (in the bosom of the state) there is complete, historical peace – there is unique tolerance. This factor, in terms of knowledge, is also important for the world in the dialogue of civilizations, to be studied and evaluated. As a geographical crossroads of different interests, we do have a „certain" geopolitical mission and function. Historical time has proven that modern cultures are formed as a result of numerous and long-term interactions.

Georgia can boldly tell the world that it has its own, independent history of an original culture, the foundations of which are older than the history of European civilization. And it is not defined only by Orthodox culture, because it goes beyond the factor of religion and is a bearer of universal human values – in all spheres of human existence and thought. This original culture is well documented in the most authentic and representative sphere – in folk poetry, song and dance, as an expression of the most important values of national philosophy, aristocracy, chivalry and, in general, human values. Along with visible cultural diversity, there is a single global civilization, based on the common values of tolerance and freedom. In his opinion, global civilization is characterized by tolerance of opposing views, respect for cultural diversity, and commitment to „fundamental, universal human rights." This globalization is based on the belief that we should welcome the diversity of human cultures and not fear it. Many wars have arisen because people were afraid of those they considered different from them, and only through dialogue between cultures can such fear be overcome.

Religion is one of the components of Georgian civilization, which always appears as one of its shaping and defining factors. It is also one of the most important spheres in human life – the phenomenon of the relationship between man and God, which often determines the attitude of man to the existing environment and reaCulture is created by society. It expresses its character, mentality, and just as each person is unique in mentality, each culture is original and unique. When talking about culture, it naturally means man and society, because these three concepts represent one indivisible whole. Their creation is simultaneous. The separation of man, society and culture is unthinkable, because they are three

aspects of the same essence. Culture is unthinkable without man and society, and vice versa, man is unthinkable without society and culture (Gegeshidze, 2013, p. 65).lity, his own role in it.

Culture is the child of man, and civilization is his grandson, because civilization is not created directly by people, but by the relationship of cultures. If culture is a society of people, then civilization is a society of cultures. Just as one man cannot create a culture, so one culture cannot create a civilization. However, one culture can become a civilization, but it will only be able to do this in relations with other cultures for the reason that it cannot consider anyone as its own and will remain separate. Civilization is a space that is formed in the relations of cultures. One of the important roles in the grouping of cultures into civilizations is assigned to conflict as a form of active relationship. It identifies cultures and establishes a watershed between them, that is, draws a border between „ours“ and „others“. Conflict is cause-and-effect. Its cause is the clash of different goals of society, and the result of the conflict is the regulation of society, because the outcome of the conflict determines the future life of society (Kodua, 2001, p. 21).

Georgia, from a geographical point of view, still remains the center of convergence and crossroads of different cultures and civilizations of the world (Metreveli, 2008:46). This geographical region of the world is still functionally important today, considering its national-confessional, cultural diversity and political activities of the region. It is from here – from Georgia that the West and the East begin, civilizations, religious branches intersect here, including Christian (Orthodox, Catholic, Gregorian) and Islamic (Sunni and Shiite) movements; peoples of ancient origin and confessions are gathered (Jews, Kurds, Yazidis, Assyrians, etc.), and in terms of this diversity, in this „intercultural center“ (in the bosom of the state) there is complete, historical peace – there is unique tolerance. This factor, in the dialogue of civilizations, from the point of view of cognition, is important for the world, it is worth studying and evaluating. As a geographical crossroads of different interests, we have a „some“ geopolitical mission and function. With the emergence of fine arts and writing, human capabilities in this regard have significantly expanded. The development of means of transport, book printing have further increased this ability, and in the 20th century, through the telegraph, telephone, radio, television and other information means, it has become practically limitless. One of the youngest and most influential in modern culturology is the symbolic school, the formation of which was conditioned by the powerful development of mass media mentioned above. Man is surrounded not by a real, but by an artificial, symbolic world.

Scientists have different opinions about symbolic thinking as one of the main features characteristic of humans. Among them, the definition of Leslie White, a prominent representative of American cultural anthropology, is noteworthy: „Culture is a class of objects and phenomena that depends solely on the ability characteristic of humans – to give symbolic meaning to thoughts, actions, objects, that is, to symbolize them and perceive the meaning of these symbols.“ He calls such objects and phenomena symbologies. Symbologies are ideas, beliefs-concepts, relationships, language, tools of labor, objects, etc. (White, 1997, p. 98) It is also important in White's definition that symbologies can be discussed only in an extrasomatic context, since the discussion of symbologies in a somatic context goes beyond the boundaries of culturology and falls within the competence of psychology.

We are proud that the Georgian people have never lived in isolation and our culture has been completely naturally influenced by mythological and oriental or Hellenistic cultures. It is precisely because of these facts that Georgian culture, with its original character and the nature of its transformation in different eras, occupies a special, unique place in the history of world culture. To prove this, it is enough to look at the ancient manifestations of our culture – Georgian dance and song. With their plasticity, drama and grace, they represent the pearls of world choreography. Also, the most exquisite residential buildings and Georgian church architecture are national treasures.

If we recall once again and contrast the most visible monuments of world culture with inimitable carvings, as well as His Majesty, precisely our lexical richest carved language and the world masterpieces created in this language: „Vepkhistaqaosan“, „Ballad of the Tiger and the Young Man“, the poetry of Vazha and Galaktioni... we can boldly call the cherished word of Georgian culture „self-sufficient“ in the great temple of world culture (Mishveladze, 2012, p. 105)

In the historical essay „Caucasian Civilization in the Context of World Globalization Processes“ by Academician Roin Metreveli, it is discussed that the Caucasus occupies a special place in the Eurasian space; the task is set that the Caucasian civilization should not be lost in the global globalization system, the irreversible process of integration should be carried out in such a way that the cultural treasures that the Georgian people possess so abundantly are preserved and remain in the world treasury.

Despite everything, Georgia can boldly tell the world that it has its own, independent history of an original culture, the foundations of which are older than the history of European civilization. And it is not defined only by Orthodox culture, because it goes beyond the factor of religion and is a bearer of universal human values – in all spheres of human existence and thought. This original culture, documented well in the most authentic and representative spheres – in art, poetry, singing, dancing, cooking and sports, as an expression of the main values of national philosophy, aristocracy, chivalry and, in general, human values.

The methodology of the interaction of cultures, in particular, the culture of dialogue, was developed in his works by M. Bakhtin, according to which dialogue is the mutual understanding of the participants in this process, at the same time, maintaining one's own opinion, one's own in the other (merging with it) and maintaining distance (maintaining one's place). Dialogue is always development and interaction. It is unification, not disintegration. Dialogue is an indicator of the common culture of society. „Dialogue is an end in itself, not a means. Being already means dialogical relations. When the dialogue ends, everything ends“ (Бахтин, 1986, p. 48). According to M. Bakhtin, each culture coexists with other cultures, and great events in culture are born only in the dialogue of different cultures, at the point of their intersection. The ability of one culture to absorb the achievements of another is one of the sources of its vitality. „A foreign culture only opens up in its fullness and depth in the eyes of another culture... The thought of one reveals its depths when it meets another, foreign thought, when it comes into contact with it..., as if a dialogue begins between them, which overcomes the closedness and one-sidedness of these thoughts, these cultures... In such a dialogical meeting of two cultures, they do not merge and do not interfere with each other, but are mutually enriched“ (Bakhtin, 1986, p. 49). The dialogue of two cultures is fruitful for both sides. „We ask the foreign culture new questions, such as it does not ask itself, we seek answers to our questions with it, and the foreign culture answers us, opens up new sides of itself, new moral spaces before us“ (Bakhtin, 1986, p. 49).

No country can exist and develop in isolation from its neighbors. The dialogue of cultures has always been a key factor in the development of humanity and remains so today. Over the centuries and millennia, cultures have enriched each other, from which a unique mosaic of human civilization has emerged. The process of interaction and dialogue between cultures is complex and uneven. Of course, much depends on the ratio of the stages of cultural development and the accumulated experience. In the depths of each national culture, various components of culture develop in a differentiated manner.

Within the framework of globalization, international dialogue of cultures is growing. International cultural dialogue strengthens mutual understanding between peoples and provides an opportunity to better understand one's own national identity. If earlier it was thought that the cultures of the East and the West would not intersect, today, as never before, their points of contact and mutual influence are becoming apparent. It is not only about interaction, but also about mutual complementation and enrichment. The dialogical development of such a concept as „culture“ should be part of the international dialogue of cultures. Here I would also like to briefly touch on the proximity of Georgian culture to the cultures of other nations (Gegeshidze, 2013, p. 67).

Georgian culture is among the ancient cultures that form the backbone of world civilization. One of the special features of our cultural history is that Georgian society has never been a closed society. For example, „The Knight in the Panther's Skin“ did not emerge from the depths of a closed country. It is a creation born from the wide horizons of an open country. Georgia, as a crossroads between Europe and Asia, has always had deep cultural and spiritual ties with great nations of high culture. More than one study and literary work has been devoted to Georgian-European literary relations.

Georgians, at least since the time of Saba, have been actively and consciously striving for union with Europe. Their spiritual profile has been shaped primarily by their relationship with European culture, and therefore, proximity to European culture has always been important to us.

The 4th century is considered a key moment in Georgia's relationship with the West (and not only). The time when Christianity entered. This religion completely changed the fate of Europe. It became one of the main characteristics of Western culture. The necessity of cultural relations with the West was pointed out by Ilia Chavchavadze, Sergi Meskhi, (the latter was especially impressed by the American education system), Niko Nikoladze, Archil Jorjadze and others (whose list would take us far). They supported all progressive Western initiatives, European innovations had to be adapted to Georgian reality, so that the fruits of this synthesis were viable.

In conclusion, I would like to emphasize that the dialogue of cultures is necessary as a condition for the self-preservation of humanity. Although the dialogue of cultures in the modern world is a difficult and sometimes painful process, it is necessary to ensure optimal interaction. The dialogue of peoples and cultures should take place taking into account the interests of each party participating in this interaction, as well as the interests of society, the state, and the world community.

All UN member states agree that in order to achieve a better and more sustainable future, it is necessary to take into account the 17 goals and 169 indicators developed by the UN Commission. As for our goals, they relate to the modern global challenges we face: issues of poverty, inequality, well-being, peace and justice, as well as climate and environmental challenges. These goals are closely interconnected and in order to ensure that no one is left behind, it is important that each of these goals and indicators is fulfilled by 2030, so that the economical and well-organized sustainable development of our country, which, according to scientists, is focused precisely on the Black Sea region, will bring prosperity and authority to.

Bibliography:

http:\\www, d. h. (2025).

Бахтин, М. (1986). *„Эстетика словесного творчества“.* „Планета“: Москва.

Уайт, Л. (1997). *„Наука о культуре – В кн.: Антология исследований культуры“, Т. 1. .* СПБ: Ретербург.

Gegeshidze, E. (2013). Georgian Heritage, Vol. 17. Kutaisi: Ak. Tsereteli State University Publishing House.

Kvitsiani, J. (2012). On the ethnic situation and civilizational affiliation in the Caucasus. „Universal“: Tbilisi.

Kodua, E. (2001). Sociology of Culture. Tbilisi: Open Society Georgia Foundation.

Metreveli, R. (2008). Caucasian Civilization in the Context of World Globalization Processes. „Artanuj“: Tbilisi.

Mishveladze, R. (2012). Culture and Modernity. Tbilisi: GTU.

შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება, საქართველოს თანამედროვე გეოპოლიტიკურ კონტექსტში

გელა გიორგაძე
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,
ასისტენტ-პროფესორი
ელ-ფოსტა: gela.giorgadze@ciu.edu.ge
ORCID: 0000-0003-0094-555X

მირანდა მიქაძე
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,
ასისტენტ-პროფესორი
ელ-ფოსტა: miranda.mikadze@ciu.edu.ge
ORCID: 000-0003-0540-1615

თინათინ ჯავახიშვილი
პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო
პროგრამის დოქტორანტი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ელ-ფოსტა: tinatin.javakhishvili@ciu.edu.ge
ORCID: 0009-0006-7658-9052

„We are thus located in this region, in a triple complex, where the influences from Central Europe; from the South, from the Balkans; from the East, from the Russian and Asian steppes intersect“
Gheorghe I. Brătianu

აბსტრაქტი: შავი ზღვა გარკვეულწილად წარმოადგენს ბუნებრივ ხიდს, რომელიც ევროპას ცენტრალურ აზიასთან და ახლო აღმოსავლეთთან აკავშირებს. უსაფრთხოების თვალსაზრისით, შავ ზღვას ყოველთვის გააჩნდა სტრატეგიული მნიშვნელობა, ვინაიდან წარმოადგენდა მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ და ეკონომიკურ გზაჯვარედინს.

ათწლეულების განმავლობაში, შავი ზღვის რეგიონმა უმნიშვნელოვანესი დატვირთვა შეიძინა, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც 2014 წელს რუსეთის ფედერაციამ, უკრაინის ტერიტორიის, ყირიმის ნახევარკუნძულის ოკუპაცია განახორციელა, ხოლო 2022 წელს უკრაინაში სრულმასშტაბიანი სამხედრო კამპანია წამოიწყო, რომელიც რუსული მხრიდან სპეციალურ სამხედრო ოპერაციად იქნა მოხსენიებული.

სტატია მიზნად ისახავს, შავი ზღვის რეგიონში, უსაფრთხოების მექანიზმების ეფექტურობის გაანალიზებას, შესაბამისად გამოყენებულ იქნა „სეკურიტიზაციის“ და „ძალთა ბალანსის“ თეორიები, ხოლო კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებულ იქნა სამაგიდო კვლევისა და ანალიზის მეთოდები. გაანალიზებულია რელევანტური ქართული და უცხოენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა, ასევე, შავი ზღვის უსაფრთხოების პოლიტიკასთან დაკავშირებული დოკუმენტები, რომლის საფუძველზეც შემუშავდა ორი საკვლევი კითხვა:

რა ფაქტორები განსაზღვრავენ შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებას ?

რა განაპირობებს საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკის დეტერმინანტებს, შავი ზღვის უსაფრთხოების კონტექსტში ?

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ შავი ზღვის საკითხი ქართულ პოლიტიკურ სივრცეში აქტუალურია, შესაბამისად რეგიონში მიმდინარე მოვლენებს აქტიურად ეთმობა ყურადღება. ზემოაღნიშნულთან ერთად მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რეგიონს ენიჭება გეოსტრატეგიული მნიშვნელობა. კვლევის შედეგად იკვეთება, რომ რაც უფრო აქტუალურია საერთაშორისო ინტერესი შავი ზღვის მიმართ, მით უფრო მნიშვნელოვანი ხდება შავ ზღვაში მიმდინარე მოვლენები, საქართველოს უსაფრთხოებისთვის.

საკვანძო სიტყვები: *საქართველო, შავი ზღვა, უსაფრთხოების პოლიტიკა, გამოწვევები.*

* * *

შესავალი: ცივი ომის დასრულების შემდეგ, შავი ზღვის რეგიონმა აქტიურად მიიქცია ყურადღება. რეგიონში ძალთა ბალანსის ცვლამ და ახალი კონფლიქტების წარმოქმნამ, ვითარება რადიკალურად შეცვალა. თანამედროვე მსოფლიოში აქტორთა შორის ურთიერთდამოკიდებულება მკვეთრად გაზრდილია, შესაბამისად გლობალურ დონეზე სტაბილურობის შენარჩუნებას უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება. მიუხედავად საერთაშორისო დონეზე ურთიერთდამოკიდებულების ზრდისა, რაც გლობალიზაციის პროცესიდან მომდინარეობს, მონაწილე აქტორთა შორის, შეინიშნება საერთო ინტერესების მიმართ შეუთანხმებლობა. ფაქტია, რომ რეგიონში მოქმედ აქტორებს, ესაჭიროებათ საერთო შეხების წერტილის პოვნა, რომელიც დაეფუძნება კონსტრუქციული დიალოგის რეჟიმს. ცივი ომის პერიოდის შემდგომ, საერთაშორისო არენაზე განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, დასავლეთსა და რუსეთის ფედერაციას შორის დაპირისპირების ერთ-ერთ არეალს, შავი ზღვის რეგიონი წარმოადგენს, რომელიც ძალაუფლებისთვის ბრძოლის თეატრად გვევლინება.

2014 წლამდე, რუსეთის ფედერაციის მიერ წარმოებული აგრესიული პოლიტიკა გაჯერებული იყო, როგორც უშუალო სამხედრო კამპანიებით, ასევე საინფორმაციო სივრცეში წარმოებული კიბერ თავდასხმებით და ენერგო – ეკონომიკური მიმართულებით ექსპანსიური მიდგომებით. მიუხედავად იმისა, რომ შავი ზღვის რეგიონზე სამხედრო უპირატესობის მოპოვებით, რეგიონის სტაბილურობა გაცილებით მოწყვლადი ხდება, უსაფრთხოების კუთხით არსებული გამოწვევები ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ყურადღების ცენტრში არ მოქცეულა.

2022 წლის მადრიდის სამიტი, შესაძლებელია გარკვეულწილად მიჩნეულ იქნეს შავი ზღვის რეგიონის, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მხრიდან, საფრთხის აღქმის ამთვლელ წერტილად, შესაბამისად სტრატეგიული კონცეფციის ფარგლებში, შავი ზღვის რეგიონთან მიმართებით ჩნდება ჩანაწერი, რომელიც მის სტრატეგიულ მნიშვნელობას უსვამს ხაზს. შესაბამისია რუსული მხარის პოზიციაც, რომელიც რეგიონში დასავლეთის ზეგავლენის ზრდას, ასევე საფრთხედ აღიქვამს.

XXI საუკუნეში, გლობალური კონკურენციის პირობებში, მსოფლიო ახალი გამოწვევების წინაშე დგას. ცივი ომის დასრულების შემდგომ, მსოფლიო მასშტაბით მშვიდობის შენარჩუნება, კვლავ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. არსებულ ვითარებაში, თანამედროვე საერთაშორისო გამოწვევების ფონზე, უსაფრთხოების საკითხი, განსხვავებულ მიდგომებს მოითხოვს. უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად დაგვანახა, რომ ძლიერი სახელმწიფოები იღწვიან სისტემაში არსებულ ძალთა ბალანსის შესანარჩუნებლად. ფაქტია, რომ რუსეთის ფედერაციის ფართომასშტაბიანმა სამხედრო კამპანიამ, არა მხოლოდ შეცვალა შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების გარემო, არამედ აუცილებელი გახადა ევროატლანტიკური უსაფრთხოების არქიტექტურის გადახედვა.

კვლევის თეორიული საფუძვლები:

ნაშრომში გამოყენებულია შემდეგი თეორიული საფუძვლები: „ძალთა ბალანსის თეორია“ – რეალიზმის სკოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კონცეფციაა, რომელიც მთავარ საყრდენს საერთაშორისო ურთიერთობების ანარქიული სისტემიდან იღებს, ამიტომაც თვითგადარჩენის პრინციპების საფუძველზე სახელმწიფოები საკუთარი უსაფრთხოებისა და დამოუკიდებლობისთვის იბრძვიან. ზემოაღნიშნულ პრინციპებზე დაყრდნობით, სახელმწიფოები სხვა სახელმწიფოებთან ერთად, ცდილობენ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებას (Walt, 1985).

„სეკურიტიზაციის თეორია/კოპენჰაგენის სკოლა“ – განიხილავს, თუ რამდენად ფართოა საფრთხეების იდენტიფიკაციის ფაქტორი უსაფრთხოების სექტორში და წარმოადგენს ეკონომიკურ და საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, რომელთაც შეუძლიათ სრულად შეცვალონ სამყაროს გეოეკონომიკური ლანდშაფტი (Buzan, 1998).

„სოლ კოენის გეოპოლიტიკური თეორია“ – მსოფლიოს ყოფს ერთიან გეოპოლიტიკურ იერარქიულ სისტემად, რომლის შემადგენელ ელემენტებსაც, როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური ფაქტორები წარმოადგენენ, როგორებიცაა: რეგიონები, არეალი, შიდა ეროვნული აქტორები, სახელმწიფოები და ა.შ. მსოფლიო პოლიტიკური სივრცე გეოგრაფმა დაყო ორ ძირითად გეოსტრატეგიულ არეალად: საზღვაო და სახმელეთო, რომლებშიც სხვადასხვა აქტორები ერთიანდებიან (Cohen, 2003).

გეოპოლიტიკური თვალსაზრისით შავი ზღვის რეგიონი „უსაფრთხოების კომპლექსს“ წარმოადგენს, რომელიც ინტერესთა კვეთაშია როგორც რეგიონულ, ასევე საერთაშორისო სახელმწიფოებთან, რომელსაც ემატება საერთაშორისო ორგანიზაციები (Kayser & Navy , 2021).

გეოპოლიტიკური მდგომარეობის ცვალებადობა თითქმის ყველა სფეროში აისახა თუმცა, თანამედროვე გეოპოლიტიკური პროცესები, არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, რადიკალური ცვლილებების აუცილებლობაზე მეტყველებენ (Doroshko & Iuliia , 2021). სტატიის ფარგლებში დასახული მიზნების მისაღწევად, მნიშვნელოვანია საზღვაო არეალისა და მასში შემავალი შავი ზღვის რეგიონის წარმოჩენა.

შავი ზღვის რეგიონთან მიმართებით საკითხი აქტუალობას არ კარგავს, შესაბამისად გეოპოლიტიკური თეორიებიც ყურადღებას რეგიონის მიმართ ამახვილებენ. სპაიკმენისა და კენანის ნაშრომებში, რეგიონს განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება და ასახავს ე.წ. ციხე-სიმაგრის მნიშვნელობას, რომლის ფარგლებშიც, საზღვაო და სახმელეთო მიმართულებების ჩაკეტვა მოიაზრება (მაისაია, 2003).

შავი ზღვის რეგიონში არსებული კონფლიქტები, დიდ გავლენას ახდენს საერთაშორისო უსაფრთხოების არქიტექტურაზე. საქართველო რეგიონში, გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ხელსაყრელ სატრანსპორტო კვანძს წარმოადგენს. ბაქო-სუფსისა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენების მშენებლობამ, რომელიც დასავლეთ ევროპასა და აღმოსავლეთ აზიას აკავშირებს, საქართველოსადმი ინტერესი კიდევ უფრო გაზარდა. წლების განმავლობაში რეგიონი, ევროპისკენ ენერგორესურსის გადაადგილების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან არეალს წარმოადგენდა, რამაც ცხადია რეგიონული და გლობალური ძალების ინტერესთა კვეთა გამოიწვია.

ინგლისელი გეოპოლიტიკოსის ჰელფორდ ჯონ მაკინდერის მოსაზრებით, მსოფლიოს ცენტრს ევრაზიის კონტინენტი წარმოადგენს, რომლის ცენტრშიც მდებარეობს კავკასია და სწორედ ამიტომ, კავკასია აღიქმება „მსოფლიოს გულად“ (Heartland), რომლის დამორჩილების შემთხვევაშიც, მსოფლიოზე კონტროლის დამყარება ხდება შესაძლებელი. 1919 წელს მაკინდერი წიგნში „დემოკრატიული იდეალები და რეალობა“ აღნიშნავდა: „ის ვინც აკონტროლებს აღმოსავლეთ ევროპას, ბატონობს მსოფლიოს გულზე, ხოლო ის ვინც ბატონობს მსოფლიოს გულზე, ბატონობს მსოფლიო კუნძულზე, აქედან გამომდინარე ის ვინც ბატონობს მსოფლიო კუნძულზე, ბატონობს მსოფლიოზე“ (Mackinde, 1962). აქვე აღსანიშნავია, რომ ნიკოლას სპიკმენის თეორიის თანახმად, „მსოფლიოს გულის“ ნეიტრალიზაციის ერთადერთი საშუალება გახლდათ მის გარშემო არსებული რკალის ე.წ. შიდა ნახევარმთვარის, ანუ რიმლანდის (დასავლეთ ევროპა, ახლო აღმოსავლეთი, სამხრეთი და სამხრეთ – აღმოსავლეთი აზია) კონტროლი, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთის სხვა ქვეყნების მიერ, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფდა საბჭოთა, ანუ კომუნისტური საფრთხის ექსპანსიის შეჩერებას (შეკავების პოლიტიკა), (სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი– ცნობარი, 2004).

შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება გლობალურ პოლიტიკაში

უძველესი დროიდან რეგიონი გამოირჩეოდა მუდმივი არასტაბილურობით, რომელიც ეფუძნებოდა მრავალფეროვან გამოწვევებს და რომლებიც მომდინარეობდნენ განსხვავებული ეთნიკური, იდეოლოგიური, რელიგიური, კომერციული და სხვა ინტერესების გადაკვეთიდან. რეგიონის

არასტაბილურობა, „მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე დიდი შეიარაღებული კონფლიქტის“ ფონზე, გაცილებით აქცენტირებულად წარმოგვიდგება (დუმიტრესკუ, 2023).

თანამედროვე მსოფლიოში, შავი ზღვის რეგიონი, ისე როგორც არასდროს, გახდა მსხვილი გეოპოლიტიკური ინტერესების გადაკვეთის წერტილი, ვინაიდან ის ერთდროულად წარმოადგენს, როგორც განვითარების მნიშვნელოვან კონფიგურაციას, ასევე საფრთხის ქვეშ აყენებს შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების არქიტექტურას. რუსეთის ფედერაციის მიერ ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსიამ, ცალსახად შეცვალა ძალთა ბალანსი, რომლის ფარგლებშიც უპირატესობა რუსეთის ფედერაციის მხარესაა.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფედერაციის მხრიდან შავი ზღვის რეგიონში ჰეგემონიის მოპოვების მცდელობა, აფხაზეთის ოკუპაციის პერიოდიდან იწყება, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი გახდა შავი ზღვის მონაკვეთის მისაკუთრება. შავი ზღვის რეგიონის განსაკუთრებული გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, ის ყოველთვის იყო და იქნება საერთაშორისო ასპარეზზე დავის და განხილვის საკითხი.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსისთვის, შავი ზღვის რეგიონს განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ერთი მხრივ წარმოადგენს მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტს და მეორე მხრივ იძლევა რუსეთის ფედერაციის მხრიდან წარმოებული აგრესიული პოლიტიკის მოგერიების შესაძლებლობას.

შავი ზღვის რეგიონთან მიმართებით არსებულ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ დღის წესრიგზე, საკმაო გავლენას ახდენენ რუსეთის ფედერაციისა და თურქეთის რესპუბლიკის ამბიციები. აქტორები ცდილობენ რეგიონში პირველობის მოპოვებას, ხოლო ისტორიას ზემოაღნიშნულ აქტორებს შორის არაერთი დაძაბული ვითარება ახსოვს. გეოპოლიტიკური ცვლილებების ფონზე, რუსეთის ფედერაციის მიერ წარმოებული პოლიტიკა, გარკვეულწილად მცდელობაა, ერთი მხრივ შეინარჩუნოს გავლენა მეზობელ სახელმწიფოებზე და მეორე მხრივ არ დაუშვას შავის ზღვის რეგიონში, გარე ძალების აქტიურობა. შავი ზღვის ფლოტი, საკმაოდ მაღალი დონის საფრთხის მატარებელია ეროვნული უსაფრთხოებისთვის, შესაბამისად თავდაცვითი სისტემების გაძლიერება, მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს.

საქართველოს როლი შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების კონტექსტში

მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების ფონზე, აღსანიშნავია, რომ ტექნოლოგიური განვითარებისა და გლობალიზაციის პარალელურად, შეიცვალა უსაფრთხოების არქიტექტურა, რომელიც თავის არსში გულისხმობს სახელმწიფოთა ურთიერთთანამშრომლობით უზრუნველყოფილ უსაფრთხოებას. უსაფრთხოება მრავალგანზომილებიანია და მოიცავს სამხედრო, ენერგეტიკულ, სატრანსპორტო, სასურსათო, ეკონომიკურ, სოციალურ, ფინანსურ თუ ეკოლოგიურ სივრცეს.

ზემოაღნიშნული კომპონენტები ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და რომელიმე ელემენტის მნიშვნელოვანი დასუსტება ან გაძლიერება, სხვა ელემენტებზეც ახდენს გავლენას. შავი ზღვის რეგიონი ერთმანეთთან აკავშირებს კასპიის ზღვის, ეგეოსის ზღვისა და ხმელთაშუა ზღვის აუზებს. ის არის ერთგვარი დერეფანი ერთი მხრივ ინდუსტრიულად განვითარებულ სტაბილურ ევროპასა და განვითარებად არასტაბილურ, თუმცა რესურსებით მდიდარ აზიას შორის. შესაბამისად, რეგიონს უმნიშვნელოვანესი როლი უკავია, როგორც სავაჭრო, აგრეთვე სატრანსპორტო თუ პოლიტიკური კუთხით.

საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია კონსტიტუციური ვალდებულებაა. საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლში აღნიშნულია: „კონსტიტუციურმა ორგანოებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღონ ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად“ (საქართველოს კონსტიტუცია). ამასთან, საქართველოს ყველა სახელმწიფო დოკუმენტში ცალსახად აღნიშნულია, რომ ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია, უმთავრესი პრიორიტეტია. ქართველ ხალხს მტკიცედ სჯერა, რომ ევროკავშირისა და ნატო-ს წევრობა საქართველოს უსაფრთხოების, განვითარებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის უმთავრესი გარანტია, რომელიც საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის არჩევანს ეფუძნება.

საქართველო ჩართულია ევროპული და ევროატლანტიკური კოლექტიური უსაფრთხოების მშენებლობის პროცესში და აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში და სამხედრო წვრთნებში. საქართველოსთვის შავი ზღვა არის ერთ-ერთი შეხების წერტილი ევროპასთან და ასევე, მნიშვნელოვანი სივრცეა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. საქართველო ყოველწლიურად უფრო მეტ ყურადღებას უთმობს შავი ზღვის აუზს და რეგიონის უსაფრთხოებას, რაც კარგად ჩანს საქართველოს სახელმწიფო დოკუმენტებში, რომლებსაც ქვემოთ განვიხილავთ.

„საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია“ (საქართველო ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, 2011) პარლამენტმა 2011 წლის 23 დეკემბერს დაამტკიცა, რომელმაც 2005 წელს მიღებული კონცეფცია ჩაანაცვლა. დოკუმენტი განმარტავს, ფუნდამენტურ ეროვნულ ღირებულებებსა და ეროვნულ ინტერესებს, აყალიბებს ქვეყნის უსაფრთხო განვითარების ხედვას, განსაზღვრავს მის წინაშე არსებულ საფრთხეებს, რისკებსა და გამოწვევებს და ადგენს უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შესავალში აღნიშნულია, რომ რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიამ გააუარესა კავკასიის რეგიონში და არა მხოლოდ, უსაფრთხოების გარემო. საქართველოსთვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს, რეგიონში მშვიდობის შენარჩუნება. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ საქართველო ევროპული და ევროატლანტიკური სივრცის ნაწილია და შესაბამისად, მისი უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანია ევროპაში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესები, კერძოდ, ნატო-ს და ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოება. უსაფრთხოების კონცეფციაში განმარტებულია საქართველოს ეროვნული ინტერესები, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებაზე უშუალო გავლენას ახდენს ევროპაში, შავი ზღვის რეგიონსა და კავკასიაში მიმდინარე პროცესები. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია შუა აზიასა და ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესების გავლენაც, ხოლო ამ რეგიონებში სტაბილურობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება და არსებული უთანხმოებების მშვიდობიანი მოგვარება, საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სატრანზიტო ფუნქციის გაძლიერება, საქართველოს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს და აძლევს შესაძლებლობას, აქტიურად ჩაერთოს საერთაშორისო ენერგეტიკულ, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო პროექტებში. ამასთან, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის საქართველოს პრიორიტეტია ენერგო და სატრანსპორტო გზების დივერსიფიკაცია, ვინაიდან საქართველოს ენერგეტიკული პოტენციალის ზრდა დადებით გავლენას ახდენს, როგორც ქვეყნის უსაფრთხოებასა და ეკონომიკურ განვითარებაზე, ასევე მოქალაქეთა კეთილდღეობაზე.

დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ სამ უმნიშვნელოვანეს რეგიონულ ენერგეტიკულ პროექტს: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენს, ბაქო-თბილისი-ერზერუმის და ბაქო – სუფსის გაზსადენებს არ გააჩნიათ მხოლოდ ეკონომიკური განზომილება, არამედ ზემოაღნიშნული პროექტები, მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ემსახურება რეგიონში სტაბილურობის განმტკიცებასაც. საქართველოს წინაშე არსებულ საფრთხეებზე, რისკებსა და გამოწვევებზე, აღნიშნულია, რომ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის პრიორიტეტულია ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის განმტკიცება, ხოლო ზემოაღნიშნულის მისაღწევად აუცილებელია ენერგომატარებლების დივერსიფიკაციის შენარჩუნება.

დასკვნა: შავი ზღვის რეგიონში ძალთა ბალანსის ცვლამ, ცალსახაა, რომ გააუარესა უსაფრთხოების გარემო და გაზარდა რეგიონში ახალი კონფლიქტების წარმოქმნის რისკი. შესაძლებელია ითქვას, რომ ყირიმის ნახევარკუნძულის ოკუპაციით, რუსეთის ფედერაციამ შავი ზღვის რეგიონში სტრატეგიული უპირატესობა მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფედერაციიდან მომდინარე საფრთხეების შეკავებას არაერთი აქტორი ცდილობს, თუმცა, ერთიანი ძლიერი სტრატეგია ან ხედვა ამ დრომდე არ არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი და ნატო, რუსეთის დესტრუქციულ ქმედებებს საფრთხედ აღიქვამენ, შავი ზღვის რეგიონში რუსეთის პოზიციები იმდენად მძლავრია, რომ საჭიროა შავი ზღვის რეგიონში ახალი ფორმატის ჩამოყალიბება, რომელშიც ჩაერთვება რეგიონის ყველა სახელმწიფო. ასევე მნიშვნელოვანია გააქტიურდეს მსჯელობა, რათა დაისახოს ახალი გზები და მეთოდები, რუსული მხარის პოზიციების შესასუსტებლად.

რუსეთისა და თურქეთის მიერ შავი ზღვის აუზის სეკურიტიზაცია, გულისხმობს რეგიონის ჩაკეტვას, შესაბამისად, რეგიონულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები მსოფლიო პო-

ლიტიკისა და რეგიონული აქტორების პრიორიტეტულ საკითხებს შორისაა. რეგიონში მიმდინარე მოვლენების ფონზე, მნიშვნელოვანია, აქტიური მუშაობა წარიმართოს საქართველოს საზღვაო ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით. პორტების განვითარება საქართველოს მისცემს შესაძლებლობას, შეასრულოს დასავლეთისა და აღმოსავლეთის დამაკავშირებელი „ჰაბის“ ფუნქცია. ცალსახაა, რომ შავი ზღვის რეგიონის მიმართ ინტერესი გაზრდილია, შესაბამისად საქართველოს, რეგიონში უსაფრთხოების განმტკიცების კუთხით, მნიშვნელოვანი როლი ეკისრება.

საქართველოსა და უკრაინისათვის, შავი ზღვის რეგიონში არსებული გამოწვევები წარმოადგენს, როგორც საფრთხეს ეროვნული უსაფრთხოებისათვის, ასევე შესაძლებლობას, ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან თანამშრომლობის გაღრმავებისათვის.

საქართველო, როგორც შავი ზღვის რეგიონის ქვეყანა, რეგიონში წარმოდგენილია მცირე ტერიტორიებით, მოსახლეობის დაბალი რიცხოვნობით, მზარდი, თუმცა სუსტი ეკონომიკით, ოკუპირებული ტერიტორიებითა და მწირი სამხედრო რესურსით. მიუხედავად აღნიშნული მახასიათებლებისა საქართველოს გააჩნია პოტენციალი დაიკავოს ღირსეული ადგილი შავი ზღვის რეგიონის წევრ სახელმწიფოებთან ერთად და ზემოქმედება მოახდინოს შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების არქიტექტურაზე.

შავი ზღვის საკითხი, ქართულ პოლიტიკურ სივრცეში გააქტიურებულია, შესაბამისად მეტი ყურადღება ეთმობა რეგიონში მიმდინარე მოვლენებს. ამავე დროს, გამოკვეთილია რეგიონის გეოსტრატეგიული მნიშვნელობა. შავი ზღვის რეგიონში ნატოს შემდგომი გაფართოება, არსებული საფრთხეებისა და გამოწვევების შესაკავებლად, ეფექტურ ნაბიჯად ჩაითვლებოდა.

Bibliography:

Buzan, B. (1998). *Security: A new framework for analysis.*

Cohen, S. B. (2003). *Geopolitics of the world system.* Rowman & Littlefield.

Doroshko, M., & Iuliia , T. (2021). Baltic–Black Sea Area as a Geopolitical Reality: Does It Exist? *Środkowoeuropejskie Studia Polityczne 1*, 107-136.

Kayser, S., & Navy , C. (2021). *Geopolitics of the Black Sea.* Maritime security center of excellence.

Mackinde, H. J. (1962). *Democratic ideals and reality.* Diane Publishing.

Walt. (1985). Alliance formation and the balance of world power. *International security 9, no. 4*.

მაისაია, ვ. (2003). *შავი ზღვის აუზის გეოსტრატეგიული ბალანსის პოლიტიკური ასპექტები.* პარიზი: ქართულ-ევროპული ინსტიტუტი.

საქართველო ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. (2011). მოპოვებული https://mod.gov.ge/ge/page/70/saqartvelos-erovnuli-usafrtxoebis-koncefcia-დან

სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი–ცნობარი. (2004).

THE SECURITY OF THE BLACK SEA REGION IN THE CURRENT GEOPOLITICAL CONTEXT OF GEORGIA

GELA GIORGADZE
PhD in Political Science
Assistant Professor at Caucasus International University
E-Mail: gela.giorgadze@ciu.edu.ge
ORCID: 0000-0003-0094-555X

MIRANDA MIKADZE
PhD in Political Science
Assistant Professor at Caucasus International University
E-Mail: miranda.mikadze@ciu.edu.ge
ORCID: 000-0003-0540-1615

TINATIN JAVAKHISHVILI
Doctoral Student in the Political Science Doctoral Program
Caucasus International University
E-Mail: tinatin.javakhishvili@ciu.edu.ge
ORCID: 0009-0006-7658-9052

„We are thus located in this region, in a triple complex, where the influences from Central Europe; from the South, from the Balkans; from the East, from the Russian and Asian steppes intersect".
Gheorghe I. Brătianu

Abstract: The Black Sea forms a sort of natural bridge between Europe and Central Asia and the Middle East. From a security perspective, the Black Sea has always been of strategic importance. It is a major geopolitical and economic crossroads.

The Black Sea region has acquired significant importance over the decades, particularly following the Russian Federation's occupation of the Ukrainian Crimean Peninsula in 2014 and the subsequent full – scale military campaign in Ukraine in 2022, which the Russian side designated as a special military operation.

The article's objective is to analyse the effectiveness of security mechanisms in the Black Sea region. To this end, the theories of „securitization" and „balance of power" were utilised and desk research and analysis methods were employed as research tools. A comprehensive analysis of relevant Georgian and foreign – language scientific literature, along with other documents pertaining to Black Sea security policy, was conducted. This analysis informed the formulation of two research questions:

what factors determine the security of the Black Sea region ?

what are the factors that determine Georgia's security policy in the context of Black Sea security ?

The research revealed that the Black Sea issue is relevant in the Georgian political space and that active attention is paid to the ongoing events in the region. Furthermore, it is imperative to acknowledge the geostrategic significance of the region. The research indicates a direct correlation between the international interest in the Black Sea and the significance of events in the Black Sea for Georgia's security.

Keywords: Georgia, Black Sea, security policy, challenges.

* * *

Introduction. Following the conclusion of the Cold War, the Black Sea region has attracted a growing level of attention. The shifting balance of power in the region and the emergence of new conflicts have radically changed the situation. In the contemporary world, the degree of interdependence between actors has increased dramatically, and therefore the maintenance of global stability is of crucial importance. Despite the increasing interdependence at the international level resulting from the globalisation process, there is a lack of consensus among participating actors regarding common interests. It is an incontrovertible fact that actors operating within the region must establish a foundation of agreement based upon a regime of constructive dialogue. In the period following the Cold War, the Black Sea region emerged as a significant theatre of confrontation between the West and the Russian Federation. This area has been characterised by a struggle for power, reflecting broader geopolitical dynamics in the international arena.

Until 2014, the Russian Federation pursued an aggressive policy that was characterised by a combination of military campaigns, cyberattacks in the information space and expansionist approaches in the energy and economic sectors. Despite the fact that the acquisition of military superiority over the Black Sea region renders the region's stability significantly more vulnerable, the security challenges have not become the primary focus of the North Atlantic Alliance.

The 2022 Madrid Summit can be regarded as a notable inflection point in the North Atlantic Alliance's perception of threats to the Black Sea region. Within the framework of the Strategic Concept, a note is made regarding the Black Sea region, underscoring its strategic significance. The standpoint of the Russian side is also pertinent, as it regards the augmentation of Western influence in the region as a threat.

In the contemporary era, characterised by global competition, the world is confronted with novel challenges. In the aftermath of the Cold War, the maintenance of global peace remains an urgent issue. In the contemporary international context, characterised by a myriad of challenges, the issue of security demands nuanced approaches. Recent events in Ukraine have demonstrated that powerful states are engaged in efforts to preserve the balance of power within the global system. The Russian Federation's large-scale military campaign has had a profound impact on the security environment in the Black Sea region, necessitating a re-evaluation of the Euro-Atlantic security architecture.

Theoretical foundations of the study.

The following theoretical foundations are used in the work:

The concept of „balance of power theory" is of particular significance within the paradigm of realism. This theoretical framework is predicated upon the anarchic system of international relations and states, as entities, are motivated to prioritise their own security and independence in order to ensure their survival. In accordance with the aforementioned principles, states, in conjunction with one another, endeavour to act in their own interests (Walt, 1985).

The concept of „Securitization Theory/Copenhagen School" is examined in relation to the pervasiveness of the threat identification factor within the domain of security, encompassing both economic and social security dimensions. The potential for such factors to profoundly alter the geo-economic landscape of the world is a salient point of discussion (Buzan, 1998).

In his seminal work, Sol Cohen proposes a novel geopolitical theory that seeks to unify the global landscape into a single, comprehensive geopolitical hierarchy. This theoretical framework encompasses a diverse array of constituent elements, including regions, areas, domestic national actors and states, among others. By incorporating both subjective and objective factors, Cohen's theoretical model offers a comprehensive and nuanced perspective on the dynamics of geopolitical systems. The geographer divided the world's political space into two main geostrategic areas: maritime and terrestrial, in which various actors are united (Cohen, 2003).

From a geopolitical perspective, the Black Sea region is considered to be a „security complex", situated at the intersection of interests among regional and international states, in addition to international organisations (Kayser & Navy, 2021).

The evolving geopolitical landscape has permeated myriad sectors, yet contemporary geopolitical dynamics, in consideration of the prevailing circumstances, underscore the imperative for substantial transformations (Doroshko & Iuliia, 2021). In order to achieve the goals set out in the framework of the article, it is important to present the maritime area and the Black Sea region included in it.

The issue of the Black Sea region remains salient, with geopolitical theories also focusing on the region. In the works of Spykman and Kennan, the region is given special strategic importance and reflects the importance of the so-called „fortress", within which the blocking of maritime and land routes is considered (Maisaia, 2003).

The ongoing conflicts in the Black Sea region have a considerable impact on the international security architecture. Georgia's strategic geographical location renders it an optimal transport hub within the region. The construction of the Baku-Supsa and Baku-Tbilisi-Ceyhan oil pipelines, which connect Western Europe and East Asia, has further increased interest in Georgia. For many years, the region has played a pivotal role in the transportation of energy resources to Europe, a fact that has undeniably resulted in a convergence of interests among regional and global powers.

According to the English geopolitician Halford John Mackinder, the centre of the world is the continent of Eurasia, at the centre of which is the Caucasus. Consequently, the Caucasus is perceived as the „Heartland", if it is subdued, control over the world becomes possible. In 1919, Mackinder published his seminal work „Democratic Ideals and Reality", in which he articulated his geopolitical vision. As Mackinder (1962) asserts, „He who controls Eastern Europe, rules the heartland of the world, and he who rules the heartland of the world, rules the world island, hence he who rules the world island, rules the world". It is also noteworthy that, according to the theory of Nicholas Speakman, the only method of neutralising the „heartland of the world" was to create a so-called arc around it. The concept of the Rimland, as defined by the Dictionary of Social and Political Terms (2004), refers to the region encompassing Western Europe, the Middle East, South and Southeast Asia, which was subject to the control of the United States and other Western countries. This region was considered to be of significant strategic importance due to its proximity to and potential for interaction with the Soviet Union, a nation regarded as being under the influence of communism. The implementation of containment policy aimed to mitigate the spread of communist ideologies and to prevent the further advancement of the Soviet threat.

Security of the Black Sea Region in Global Politics

Since time immemorial, the region has been characterised by persistent instability, arising from a variety of challenges and the intersection of different ethnic, ideological, religious, commercial and other interests. The ongoing instability in the region is further compounded by the ongoing armed conflict, which has been described as the largest since World War II (Dumitrescu, 2023).

In the contemporary world, the Black Sea region has become an increasingly significant nexus of major geopolitical interests, concurrently signifying both a pivotal developmental configuration and a potential threat to the security architecture of the Black Sea region. It is evident that the incorporation of the Crimean peninsula into the Russian Federation has resulted in a notable shift in the global balance of power, a development that has favoured the Russian Federation.

It is noteworthy that the Russian Federation's endeavours to assert dominance in the Black Sea region can be traced back to the period of the occupation of Abkhazia, during which it became possible to appropriate a section of the Black Sea. The Black Sea region's distinctive geopolitical context has rendered it a perpetual and contentious subject in the international arena.

For the North Atlantic Alliance, the Black Sea region is of particular strategic importance, as it represents a guarantee of peace and stability, whilst also providing an opportunity to repel the aggressive policy pursued by the Russian Federation.

The political and economic agenda in relation to the Black Sea region is significantly influenced by the ambitions of the Russian Federation and the Republic of Turkey. The actors are endeavouring to gain primacy in the region and history remembers a number of tense situations between the aforemen-

tioned actors. In the context of contemporary geopolitical developments, the policy pursued by the Russian Federation can be understood as an effort to preserve its influence over neighbouring states, while concurrently seeking to thwart the activities of external forces within the Black Sea region. The Black Sea Fleet poses a relatively elevated level of threat to national security, consequently the reinforcement of defence systems is a pivotal consideration.

Georgia's role in the security context of the Black Sea region

In light of contemporary global events, it is noteworthy that concomitant with technological development and globalisation, there has been a shift in the security architecture, which in essence implies security ensured through mutual cooperation between states. Security is a multidimensional concept, encompassing military, energy, transport, food, economic, social, financial and ecological domains.

The components under consideration are interconnected in a complex manner, such that a significant weakening or strengthening of one component also affects the others. The Black Sea region is characterised by its connection to the Caspian Sea, the Aegean Sea and the Mediterranean Sea basins. The region functions as a conduit between the industrially developed and stable Europe on the one hand and the developing unstable, but resource-rich Asia on the other. Consequently, the region assumes a pivotal function with regard to trade, transportation, and politics.

Georgia's integration into European and Euro-Atlantic structures is a constitutional obligation. Article 78 of the Constitution of Georgia stipulates: as outlined in the Constitution of Georgia, the constitutional bodies are mandated to employ all available measures to facilitate the comprehensive incorporation of Georgia into both the European Union and the North Atlantic Treaty Organization within the scope of their respective authorities. Moreover, all state documents of Georgia explicitly state that the country's European and Euro-Atlantic integration is a top priority. The Georgian people are convinced that accession to the European Union and NATO is the primary assurance of Georgia's security, progress and affluence, a conviction that is firmly anchored in the decision of the majority of the Georgian population. Georgia is involved in the process of building European and Euro-Atlantic collective security and has participated actively in international peacekeeping missions and military exercises. For Georgia, the Black Sea constitutes a pivotal point of contact with Europe and plays a crucial role in ensuring security. An examination of Georgian state documents reveals a marked increase in the country's focus on the Black Sea Basin and the security of the region. This heightened engagement is indicative of a shift in Georgia's strategic priorities, a topic that will be explored in the following discussion.

The National Security Concept of Georgia (2011) was approved by the Parliament on 23 (rd) December 2011, thus superseding the 2005 concept. The document elucidates the fundamental national values and national interests, formulating a vision for the country's secure development. It identifies the threats, risks and challenges it faces and establishes the main directions of security policy. As stated in the introduction to the National Security Concept, there has been a deterioration in the security environment in the Caucasus region and beyond, as a result of military aggression on the part of the Russian Federation. The most significant factor for Georgia is the maintenance of peace in the region. The document under scrutiny places particular emphasis on Georgia's affiliation with the European and Euro-Atlantic regions. Consequently, it asserts that the ongoing integration processes within Europe, most notably the expansion of NATO and the European Union towards the east, hold significant importance for Georgia's security. The Security Concept elucidates the national interests of Georgia, emphasising that the ongoing processes in Europe, the Black Sea region and the Caucasus region exert a direct influence on Georgia's national security. Furthermore, the repercussions of ongoing processes in Central Asia and the Middle East merit consideration, as does the maintenance of stability and security in these regions, in addition to the peaceful resolution of existing disagreements, for the benefit of Georgia. The enhancement of the transit function confers upon Georgia a particular significance, thereby enabling its active involvement in international energy, transport and communication initiatives. Moreover, the document observes that Georgia's primary objective in ensuring energy security is the diversification of

energy and transport routes. This is due to the fact that the augmentation of Georgia's energy potential exerts a favourable influence on both the nation's security and economic development, in addition to the well-being of its citizens.

The document under scrutiny places particular emphasis on the three most significant regional energy projects: the Baku-Tbilisi-Ceyhan oil pipeline, the Baku-Tbilisi-Erzurum and Baku-Supsa gas pipelines. These projects, it is asserted, possess not only an economic dimension, but also serve to enhance stability in the region due to their considerable importance. In addressing the threats, risks and challenges confronting Georgia, it is imperative to recognise that enhancing the nation's energy independence is paramount to ensuring its national security. To this end, it is essential to maintain the diversification of energy carriers.

Conclusion. The redistribution of power in the Black Sea region has evidently exacerbated the prevailing security environment, thereby engendering an elevated risk of new conflicts in the region. It can be posited that by occupying the Crimean peninsula, the Russian Federation has gained a strategic advantage in the Black Sea region. It is important to acknowledge the efforts of various actors who are attempting to address the challenges posed by the Russian Federation. However, it is evident that there is a lack of a cohesive, robust strategy or a clearly defined vision to guide these efforts. Despite the fact that the European Union and NATO perceive Russia's destructive actions as a threat, Russia's positions in the Black Sea region are so strong that it is necessary to establish a new format in the Black Sea region, which will involve all the states of the region. It is imperative to enhance the discourse in order to identify novel approaches and methodologies that could potentially undermine the positions held by the Russian side.

The securitization of the Black Sea basin by Russia and Turkey implies the closure of the region, and issues related to regional security are among the priority issues of world politics and regional actors. In light of the ongoing developments in the region, it is imperative to prioritise the enhancement of Georgia's maritime infrastructure. The development of ports will enable Georgia to fulfil the function of a „hub" connecting the West and the East. It is evident that there has been a notable increase in the level of interest in the Black Sea region. Consequently, Georgia is poised to play a pivotal role in enhancing security measures in the region.

For Georgia and Ukraine, the challenges in the Black Sea region represent a dual threat to national security and an opportunity to deepen cooperation with Euro-Atlantic structures.

Georgia, a country in the Black Sea region, is characterised by several factors that are pertinent to its regional representation. These include the presence of small territories, a low population density, an economy in its growth phase that is yet to attain strength, the occupation of certain territories, and limited military resources. Notwithstanding these characteristics, Georgia has the potential to occupy a worthy place among the member states of the Black Sea region and to influence the security architecture of the Black Sea region.

The Black Sea issue has become a more prominent topic in Georgian political discourse, consequently garnering increased attention from observers. Concurrently, the geostrategic significance of the region has been emphasised. The expansion of NATO in the Black Sea region has been identified as a potential strategy for addressing current threats and challenges.

Bibliography:

1. Buzan, B. (1998). Security: A new framework for analysis;
2. Cohen, S. B. (2003). Geopolitics of the world system. Rowman & Littlefield;
3. Doroshko, M., & Iuliia , T. (2021). Baltic–Black Sea Area as a Geopolitical Reality: Does It Exist? Środkowoeuropejskie Studia Polityczne 1, 107-136;
4. Kayser, S., & Navy , C. (2021). Geopolitics of the Black Sea. Maritime security center of excellence;

5. Mackinde, H. J. (1962). Democratic ideals and reality. Diane Publishing;
6. Walt. (1985). Alliance formation and the balance of world power. International security 9, no. 4;
7. Maisaia, V. (2003). Political Aspects of the Geostrategic Balance of the Black Sea Basin. Paris: Georgian-European Institute;
8. Georgia National Security Concept. (2011). Retrieved, https://mod.gov.ge/ge/page/70/saqartve-los-erovnuli-usafrtxoebis-koncefcia;
9. Dictionary-reference of social and political terms. (2004).

2022-2024 რუსეთ-უკრაინის ომი და საერთაშორისო უსაფრთხოების გარემო ბირთვული იარაღის გამოყენების საფრთხის ფონზე: SWOT ანალიზი

ალიკა გუჩუა
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ელ-ფოსტა: alika–guchua@ciu.edu.ge
ORCID: 0000-0003-0347-9574

მარიკა ნაკაშიძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო
ურთიერთობების და საერთაშორისო უსაფრთხოების მაგისტრანტი
ელ-ფოსტა: marika.nakashidze@ciu.edu.ge
ORCID: 0009-0007-1910-4108

აბსტრაქტი: 21-ე საუკუნემ მოახდინა ტრანსფორმაცია გლობალურ ასპარეზზე, თავისი ახალი საფრთხეებით, გამოწვევებითა და სირთულეებით. საერთაშორისო უსაფრთხოების წინაშე სულ უფრო ახალი საფრთხეები და გამოწვევები ჩნდება, რომელიც საჭიროებს დროულ რეაგირებას და ქმედითი ზომების მიღებას სახელმწიფოების, რეგიონული და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან. საერთაშორისო უსაფრთხოების სტაბილურობას ასუსტებს მსოფლიოში მიმდინარე ომები, შეიარაღებული კონფლიქტები, პანდემიები, საერთაშორისო ტერორიზმი, ეკონომიკური კონფლიქტები, ასიმეტრიული საფრთხეები, არასახელმწიფოებრივი აგრესიული აქტორები, კლიმატის ცვლილების პროცესი. მიმდინარე რუსეთ-უკრაინის ომი მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს გლობალური უსაფრთხოებისათვის. რადგან ბირთვული იარაღის გამოყენების ან ატომიული ელექტრო სადგურების კრიტიკულად დაზიენბის შემთხვევაში მოხდება რადიაციის გავრცელება, რომელსაც საზღვრები არ გააჩნია. რუსეთის ოფიციალური პირების ღია განცხადებები და ბირთვული მუქარა უფრო რეალისტური ხდება რუსეთის ბირთვული დოქტრინის ცვლილებით. რუსეთის მიერ ბირთვული დოქტრინის ცვლილება წარმოადგენს მნიშვნელოვან გზავნილს დასავლეთისათვის და განსაკუთრებით უკრაინისათვის, რადგან ბირთვული იარაღის დარტყმის სამიზნე იქნება უკრაინის ტერიტორია, რომელსაც თავდაცვის მიზნით უწევს რუსეთის ტერიტორიაზე განახორციელოს გარკვეული სამხედრო მოქმედებები. ახალი დოქტრინის შედეგად კი რუსეთს შეუძლია ბირთვული იარაღის გამოყენება მაშინ თუ კი მის წინააღმდეგ ან მისი საკავშირო სახელმწიფოს ბელარუსის წინააღმდეგ აგრესიის შემთხვევაში მათ შორის, თუ მოწინააღმდეგე, ჩვეულებრივი შეიარაღების გამოყენებით, კრიტიკულ საფრთხეს შეუქმნის რუსეთის სუვერენიტეტს. აღნიშნულიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია საკითხის უკეთ შესწავლა და გაანალიზება. ნაშრომის მიზანია მიმდინარე რუსეთ-უკრაინის ომის გავლენის წარმოჩენა საერთაშორისო უსაფრთხოების პოლიტიკაში, ასევე გაავანალიზოთ თუ რამდენად რეალურია რუსეთის მხრიდან ბირთვული იარაღის გამოყენება. კვლევის პროცესში გამოყენებულია პოლიტიკის ანალიზის მეთოდი, კონტენტ ანალიზი და SWOT ანალიზი რუსეთ-უკრაინის საერთო საომარი პროცესების ფორმატში. კვლევის პროცესში გამოყენებულია ძალთა ბალანსის თეორია, სეკიურიტიზაციის თეორია, გეოსტრატეგიული ბალანსის თეორია, ბირთვული ტეტორის თეორია და თანამშრომლობითი უსაფრთხოების თეორია.

საკვანძო სიტყვები: ბირთვული იარაღი, რუსეთ-უკრაინის ომი, საერთაშორისო უსაფრთხოება, გეოპოლიტიკა.

* * *

შესავალი. 2024 წლის 24 თებერვალს რუსეთის თავდასხვა უკარინაზე და სრულმასშტაბიანი ომის დაწყება გახდა ერთ-ერთი ნიშვნელოვანი მოვლენა თანამედროვე საერთაშორისო ურთი-

ერთობებში. რადგან აღნიშნულმა ომმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მრავალ ფაქტორზე. ამ ყველაფრის წინაპირობა ჯერ კიდევ 2014 წელს დაიწყო ყირიმის ანექსიით და დონბასის რეგიონში შეიარაღებული დაპირისპირებით. ეს ომი გახდა ევროპაში ყველაზე მასშტაბური შეიარაღებული კონფლიქტი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა არა მხოლოდ ამ ორ ქვეყანაზე, არამედ მთელ მსოფლიო წესრიგზე. უკიდურესად დაიძაბა პოლიტიკური ურთიერთობები დასავლეთსა და რუსეთს შორის, ენერგოუსაფრთხოების საკითხი კიდევ უფრო აქტუალური გახდა იმ ფონზე როდესაც რუსეთი თავის აგრესიულ მოქმედებებს და პოლიტიკას ზრდიდა უკარინის წინააღმდე, რასაც დაავლეთის მზრიდან საპასუხოდ შესაბამისი სანქციები მოჰყვა და ევროპის ქვეყნებმა ნელნელა ეტაპობრივად დაიწყეს რუსულ ენერგო რესურსებზე დამოკიდებულების შემცირება. მსოფლიოში უსაფრთხოების გარემო უარესდება, დიდი სახელმწიფოების მტრობა იზრდება და ბირთვული იარაღის გაუვრცელების პოლიტიკა ახალი გამოწვევების წინაშე დგება (Miller, 2024), შესაბამისად იზრდება ბირთვული იარაღის გამოყენების საფრთხეც რუსეთ უკრაინის ომის ფორმატში და მსოფლიოში სხვა მოსალოდნელი კონფლიქტების ფონზე.

რუსეთი ომის მსვლელობისას მაქსიმალურად ცდილობს უკრაინის უფრო მეტი ტერიტორიის დაკავებას და სტრატეგიული ობიექტების ხელში ჩაგდებას. თავდაპირველი მიზანი მიუღწეველია უკრიანის სრული ტერიტორიის ოკუპაციის, რაშიც უდიდესი დამსახურებაა უკრაინელი ხალხის ბრძოლისუნარიანობის და დასავლეთის მხარდაჭერის. რომელიც უკრაინას შეიარაღებით, საბრძოლო მასალებით, ეკონომიკურად, პოლიტიკურად და ჰუმანიტარულად უდიდეს მხარდაჭერას ახდენს. რუსეთსა და უკრაინას შორის ომი აერთიანებს ოცდამეერთე საუკუნის ტექნოლოგიას მეორე მსოფლიო ომის ტაქტიკასთან, პირველი მსოფლიო ომის დამანგრეველ ჰუმანიტარულ შედეგებთან, რაც ყველა ომის დამახასიათებელი ნიშანია. 2024 წლის თებერვლის მონაცემებით, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის (OHCHR) ოფისმა დაადასტურა უკრაინაში 10,582 მშვიდობიანი მოქალაქის სიკვდილი, რაც ემთხვევა მასშტაბურ ჰუმანიტარულ კრიზისს, რადგან ათასობით უკრაინელი გახდა იძულებით გადაადგილებული და 17.3 მილიონზე მეტმა ადამიანმა დატოვა ქვეყანა (Liang, 2025). ათი ათასობით უდანაშაულო სამოქალაქო პირი და უკრაინელი სამხედრო შეეწირა ამ უსამართო ომს. რომლის რეალური მიზეზი ომის დაწყებისას რუსეთმა პროპაგანდისტულად შენიღმა და ყველაფერი უკრაინის მოქმედ მთავრობას დააბრალა. როგორც ყველა სხვა ომში რომელიც რუსეთ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაუწყია თითქმის ყველგან მოწინააღმდე მხარეს ფაშისტებად მოიხსენიებდა, არც უკრაინა ყოფილა გამონაკლისი ამ მხრივ. რუსეთი თავისი იპერიალისტური ზრახვების დაკმაყოფილებას ცდილობს სხვა სახელმწიფოების ტერიტორიების მიტაცებით და ოკუპაციით, რაც მათ გეოპოლიტიკურ კოდში დევს. შესაბამისად ისინი, როგორც ყოველთვის ყველა გზით და საშუალებით ცდილობენ სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიის მიტაცებას ჰიბრიდული ომის და სამხედრო აგრესიის გამოყენებით. მათთვის არ არსებობს პოლიტიკური ხელშეკრულება თუ ის მათ ინტერესებს არ ემსახურება.

რუსეთი მსოფლიოში უდიდესი ბირთვული სახელმწიფოა რომელსაც 2024 წლის მარტის მონაცემებით, რუსეთს, სავარაუდოდ 5,580 ქობინი ჰქონდა, მათ შორის მნიშვნელოვანი არასტრატეგიული ბირთვული არსენალი დაახლოებით 1,558 ქობინი. პუტინი სულ უფრო ხშირად იყენებდა და იყენებს რუსეთის ბირთვულ არსენალს დაშინებისთვის, რათა დასავლეთზე ზეწოლა მოეხდინა უკრაინისთვის სამხედრო და დიპლომატიური მხარდაჭერის გამო, 2022 წლის თებერვალში უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ (Milles, 2024). რუსეთმა თავისი იარაღი მაღალ მზადყოფნაში მოიყვანა, გამოსცადა და განალაგა ბირთვული იარაღის გადამტანი ახალი მიწოდების სისტემები, დაიმუქრა ბირთვული ტესტირების განახლებით და შეაჩერა მონაწილეობა შეერთებულ შტატებთან ბირთვული იარაღის კონტროლის შესახებ ძირითად ხელშეკრულებაში.

რუსეთ-უკრაინის ომის საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის ფორმატში: მოკლე მიმოხილვა

2022 წლის თებერვალში რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრამ და უკრაინის შემდგომმა წინააღმდეგობამ რუსეთის აგრესიის მიმართ, უამრავი მსჯელობის და ანალიზის წარმოქმნას საფუძველი ჩაუყარა. კონფლიქტში ბირთვული იარაღის როლის მრავალ ანალიზში ხაზი გაესვა ომში ახალ ბირთვულ დინამიკას და შეფასდა ომის შედეგები ბირთვული პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტში, მათ

შორის გლობალურ ბირთვულ წესრიგის; ბირთვული იარაღის სარგებლიანობის ფორმატში კონფლიქტში; ბირთვული იძულების ეფექტურობაზე; გავრცელების სამომავლო მოდელებზე, ასევე ბირთვული იარაღისა და საერთაშორისო პოლიტიკის უფრო ფართო თეორიებზე (Bell, 2024).

რუსეთ-უკრაინის ომის მიმდინარეობის და ბუნების ასახსნელად შეგვიძლია საერთაშორისო ურთიერთობების გარკვეული თეორიები მოვიყვანოთ. საერთაშორისო ურთიერთობების თეორია მიზნად ისახავს პოლიტიკის შემქმნელებს მიაწოდოს ინფორმაცია, რათა მათ სახელმწიფოებრივი ქცევის შესახებ უფრო ინფორმირებული გადაწყვეტილებები მიიღონ. მაგალითად, ავიღოთ კითხვა, თუ რამ გამოიწვია ეს ომი. ზოგი იტყვის, რომ ეს იმიტომ ხდება, რომ ვლადიმერ პუტინი არის უკიდურესად ირაციონალური მოთამაშე, რომელმაც ომი დაიწყო დამახინჯებული იმპერიული ფანტაზიის საფუძველზე, რომელიც უარყოფს უკრაინის, როგორც სუვერენული სახელმწიფოს არსებობას. სხვები ამტკიცებენ, რომ არ უნდა გაგვიკვირდეს შეჭრა, რადგან რუსეთი არის რევიზიონისტული ძალა, რომელიც უკმაყოფილოა ევროპული უსაფრთხოების ამჟამინდელი არქიტექტურით და რეაგირებს ნატოს მუდმივ გაფართოებაზე თავისი საზღვრებისკენ ცივი ომის დასრულების შემდეგ. გარკვეულწილად, ეს პასუხები იმეორებს ტრადიციულ და ყველაზე პოპულარულ საერთაშორისო ურთიერთობების თეორიულ მიდგომებს: ლიბერალიზმს, კონსტრუქტივიზმს და რეალიზმს. ლიბერალური პოზიცია ამტკიცებს, რომ რადგან არსებული გლობალური წესრიგი გარანტირებულია სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის გასაძლიერებლად შექმნილი საერთაშორისო ინსტიტუტებით და რადგან ჩვენ ვცხოვრობთ მაღალ ურთიერთდამოკიდებულ სამყაროში, ასეთი მასშტაბის ომის დაწყება იმდენად კონტრპროდუქტიულია, რომ ის შეიძლება მხოლოდ ირაციონალური (ან ძალიან არაგონივრული) გადაწყვეტილების შედეგი იყოს. ამრიგად, მას აქვს ძალიან შეზღუდული შესაძლებლობა ახსნას რუსეთის ქმედებები. კონსტრუქტივიზმი გვთავაზობს ალტერნატიულ ანალიზს საერთაშორისო ურთიერთობების მატერიალური და არა იდეოლოგიური ფაქტორების როლის შესახებ. ძალიან მარტივად რომ ვთქვათ, ეს სასარგებლოა, რადგან უკეთეს წარმოდგენას გვიქმნის რუსეთის ხელმძღვანელობის აზროვნებასა და უკრაინაში შეჭრის „ირაციონალურ“ გადაწყვეტილებაზე. მაგალითად, რუსეთის სულ უფრო ანტაგონისტური ქცევა დიდი ხანია განიხილება, როგორც „თავდაჯერებულობის განახლებული განცდა და ცივი ომის შემდეგ განცდილი დამცირებისგან გამოჯანმრთელება“ (Greminger and Vsetner, 2022:8). თუმცა, რადგან ამ ომს ძალიან ძლიერი მატერიალური განზომილებები აქვს, ეს მხოლოდ ახსნის ნაწილია.

თუ სახელმწიფოების ქცევის ასახსნელად რეალიზმს მივმართავთ, საერთაშორისო პოლიტიკის შესახებ ძალიან საღ აზრზე დაყრდნობით და საკმაოდ პესიმისტურ ხედვას აღმოვაჩენთ. ამ მიდგომის თანახმად, სახელმწიფოს საბოლოო მიზანი გადარჩენაა. შესაბამისად, სახელმწიფოებს შორის ძალაუფლების პოლიტიკა გავლენის სფეროებს ქმნის, რაც საერთაშორისო ურთიერთობების ნაგულისხმევი რეჟიმია. ამიტომ, რეალისტები უკრაინაში არსებული ვითარებით არ არიან გაკვირვებულნი. ისინი კლასიკური „უსაფრთხოების დილემის“ გამოვლინებას ხედავენ (ანუ სახელმწიფო, რომელიც ცდილობს საკუთარი უსაფრთხოების გაზრდას, რადგან მეზობელი სახელმწიფოების ქმედებებით საფრთხეს გრძნობს) (Greminger and Vsetner, 2022:9). თუმცა აქ უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის რეალური პოლიტიკა არა უკრაინისგან მომდინარე საფრთხის აღმოფხვრა იყო არამდედ მისი იმპერიალისტური ინტერესების დაკმაყოფილება. რადგან უკრაინა მას არანაირად არ დაემუქრებია და მითუმეტეს უკრაინის ნატოში გაწევრიანების საკითხი პირდაპირ დღის წესრიგში არ იდგა, რადგან უკრაინას როგორც ომის დასაწყისამდე მას შემდეგაც ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი ფერორმების და პოლიტიკის კუთხით ნატო-ს გაწევრიანების კრიტერიუმების შესასრულებლად. თუმცა ამ ომმა უკრაინას მისცა დამატებითი ფანჯარა გასაწევრინებლად თუ ნატო მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას და ეს იქნება პრაქგმატული მიდგომა რუსეთის აგრესიული პოლიტიკის შესაკავებლად. თუმცა რუსეთ თავის მხრივ აქვს გარკვეული მოთხოვნები რომელთა შორის არის უკრაინის ნეიტრალური სტატუსის მინიჭება და სამხედრო-პოლიტიკურ ალინსებში გაწევრინებაზე ურის თქმა. რაც ნამშდვილა არ არის რუსეთის პრეროგატივა, მაგრამ მისი ულტიმატუმი შესაბამისია. რასაც თან სდევს ბირთვული იარაღის გამოყენების და დაშინების პოლიტიკა. რომელსაც უკრაინა საკმაოდ კარგად პასუხობს და არ უშინდება რუსეთის მსგავს განცხადებებს.

ამ მოკლე მიმოხილვიდან ჩანს, რომ რეალიზმი საუკეთესოდ შეეფერება უკრაინაში ომის ირგვლივ მიმდინარე გეოპოლიტიკური სიტუაციის ასახსნელად. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბოლოო ჯამში, ყველა ეს თეორია გამარტივებულია, რათა დაგვეხმაროს რთული გლობალური პოლიტიკის გააზრებაში ისეთი კონცეპტუალური ჩარჩოს შექმნით, რომელიც მოვლენებს უფრო გასაგებს და გარკვეულწილად უფრო პროგნოზირებადს გახდის. მნიშვნელოვანი გახლავთ ისიც, რომ დროთა განმავლობაში, ზოგიერთი თეორია შეიძლება უფრო აქტუალური ჩანდეს, ვიდრე სხვები. ამიტომ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ანალიზის ფორმატში სხვადასხვა თეორიის გამოყენებით არსებული ვითრების და მოსალოდნელი შედეგების ანალიზი. მითუმეტეს როდესაც ამ ომში ფარდოთ ფიგურირებს ბირთვული დაშინების თეორია და ძალთა ბალანსის თეორია, ჰიბრიდული ომის თეორია და ა.შ. რამდენიმე მნიშვნელოვანი თეორია, რომელთა გარეშეც უსაფრთხოების საერთო სურათის განზომილების ფორმირებაც შეუძლებელია.

2022 წლის 24 თებერვალს დაწყებულ ომს შეუძლია მნიშვნელოვნად და გრძელვადიან პერსპექტივაში შეცვალოს მსოფლიო წესრიგი; გარდა ამისა, სამხედრო ძალის გამოყენება არღვევს საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ წესებს. რუსეთის შეჭრამ ათიათასობით ადამიანი იმსხვერპლა, მილიონობით ადამიანი იძულებით გადაადგილდა, ინფრასტრუქტურას ასობით მილიარდი ევროს ზარალი მიაყენა და მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მსოფლიო წესრიგზე უხეში თავდასხმა წარმოადგენს. მსოფლიო ლიდერების უმეტესობა ახლა ახალ მსოფლიო წესრიგზე საუბრობს. უკრაინელი ხალხის მტკიცე წინააღმდეგობამ საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერა გააძლიერა და ნატოს და ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმრავლესობა დააახლოვა. ომის დანაშაულები არა მხოლოდ ომის „თანმდევი პროდუქტია“, არამედ რუსული ომის აუცილებელი ელემენტია. რუსული ძალები არა მხოლოდ სამხედრო სამიზნეებს, არამედ სამოქალაქო ინფრასტრუქტურასაც ესხმიან თავს, რაც უდანაშაულო მოსახლეობას უზარმაზარ ტანჯვას იწვევს. რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი, თავისი მასშტაბით, პოსტსაბჭოთა სივრცის საზღვრებს სცდება და გავლენას ახდენს გლობალურ მსოფლიო წესრიგზე (Benedek, 2024: 560). ასევე უნდა ღინიშნოს, რომ რუსეთ-უკრაინის ომი ნებისყოფისა და იარაღის შეჯიბრებების გარდა, მომავლის გამოცდის პოლიგონსაც წარმოადგენს. უკრაინაში კონფლიქტი უნიკალურ გამოცდის პოლიგონად, ერთგვარ საშინელ სილიკონის ველად იქცა, სადაც ბოლო ოცი წლის ტექნოლოგიური ინოვაციები აგრესიულად ექსპერიმენტდება. მას „ტექნოლოგიურ“ ბრძოლას უწოდებენ, სადაც სამხედრო ძალისხმევა მუდმივად ძლიერდება ახლად შემუშავებული აპლიკაციებით, თანამედროვე ტექნოლოგიებითა და ურყევი ადამიანური ნებით (Liang, 2025).

რუსეთის ბირთვული დოქტრინის ცვლილება

2024 წლის 25 სექტემბერს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა უშიშროების საბჭოს მიმართა წინადადებით, რომ შეიცვალოს რუსეთის ბირთვული დოქტრინა და რუსეთს ბირთვული იარაღის გამოყენება შეეძლოს იმ შემთხვევაშიც, თუ მის საზღვარს მასობრივად გადაკვეთენ ფრთოსანი რაკეტები, დრონები და სხვა მფრინავი ობიექტები (ლიკლიკაძე, 2024). რუსეთის უშიშროების საბჭოს სხდომა წელიწადში ორჯერ იმართება და მოცემულ შემთხვევაში ბირთვული შეკავების პოლიტიკას მიეძღვნა. რომლის თანახმადაც რუსეთი იღებს უკიდურეს ზომებს მათი უსაფრთხოების დასაცავად, რომლის ფარგლებშიც გამოყენებული იქნება ბირთვული იარაღი და ბირთვული ძალები. შესაბამისად ისმის კითხვა რამდენად შეუძლია რუსეთს ბირთვული იარაღი გამოყენოს უკაინის წინააღმდეგ ახალი დოქტრინის თანახმად.

ბირთვული დოქტრინის ცვლილების აუცულებლობა განაპირობა უკრაინის მხრიდან გააქტიურებუმლა შეტევებმა დრონების საშუალებით რუსეთის ტერიტორიის სიღრმეში რომლებიც უტევენ სამხედრო ობიეტებს, სტრატეგიული დანიშნულების ობიექტებს, მნიშვნელოვანი თავდასხმები ხორციელდება იარაღის საწყობებს, სამეთაურო შტაბებს და შეიარაღების კონცენტრაციის ადგილებზე. შესაბამისად მომავალში მოსალოდნელია აქტიური თავდასხმების განხორციელება ავია ბაზებზე სადაც რუსეთის სტრატეგიული გამანადგურებელებია და ა.შ. როგორც ცნობილია უკრაინას აშშ-ბი და დიდი ბრიტანეთი მიაწვდიან შორი მოქმედების საკუთარი წარმოდების რაკეტების, რომლითაც რუსეთს შეუტევს სიღრმეში უკრაინა სამხედრო უპირატესობის მოსაპოვებლად. საუ-

ბარია 300 კილომეტრამდე ფრენის სიშორის ამერიკულ ATACMS-ის რაკეტებზე და ანგლო-ფრანგულ Storm Shadow რაკეტებზე 560 კილომეტრამდე მოქმედების რადიუსით, რომელთა გამოყენებაც რუსეთის ტერიტორიის სიღრმეში, უკრაინის ხელისუფლების აზრით, დააჩქარებს უკრაინის გამარჯვებას (ლიკლიკაძე, 2024).

მნიშვნელოვანია განვიხილოთ 2020 წელს მიღებული დოქტრინა, რომელიც რუსეთის მიერ საპასუხო ბირთვული დარტყმის გამოყენებას ითვალისწინებს იმ შემთხვევაში, თუ მტერი მასობრივი განადგურების იარაღს გამოიყენებს რუსეთის ან მოკავშირეების ტერიტორიაზე შემდეგ შემთხვევებში: თუ მოწინააღმდეგის თავდასხმის სამიზნეა სახელმწიფო ან სამხედრო ობიექტები, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს ბირთვული დარტყმის განხორციელებას და იმ შემთხვევაში თუ რუსეთს არსებობისთვის ეგზისტენციალური საფრთხე შეექმნება. პუტინის გადაწყვეტილებით რუსეთის და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ არსებული სამხედრო საფრთხეების და მუქარის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ბირთვული ძალების შესაძლო გაოყენების არსებული დოქტრინის ცვლილება.

19 ნოემბერს რუსეთმა ოფიციალურად მიიღო სექტემბერში გამოცხადებული ახალი ბირთვული იარაღის დოქტრინა. ახალი პოლიტიკა ითვალისწინებს, რომ რუსეთს შეუძლია ბირთვული იარაღის გამოყენება მის ტერიტორიაზე არაბირთვული შეიარაღების მქონე სახელმწიფოს მიერ თავდასხმის საპასუხოდ, რომელსაც მხარს უჭერს ბირთვული შეიარაღების მქონე სახელმწიფო. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტები კამათობენ იმაზე, თუ რამდენად ახალია დოქტრინა წარსულში მსგავსი განცხადებების შემდეგ, მნიშვნელოვანია სერიოზულად აღვიქვათ ბირთვული საფრთხე და მის უკან არსებული ესკალაციის განზრახვა. International Campaign to Abolish Nuclear Weapons – ICAN-მა დაგმო ახალი დოქტრინა, როდესაც ის სექტემბერში გამოცხადდა და განაცხადა: „რუსეთის ბირთვული დოქტრინის დღევანდელი განახლებები, რომლებიც განსაზღვრავს, თუ როდის გამოიყენებს რუსეთი ბირთვულ იარაღს, სახიფათოდ ბუნდოვანია. ისინი შლის ზღვარს ჩვეულებრივ და ბირთვულ თავდასხმას შორის და ძირს უთხრის პროგნოზირებადობას, რაც ზრდის ბირთვული ომის რისკს“ (New Russian doctrine increases possible nuclear weapons use scenarios, 2024:1).

განახლებულ რედაქციაში ბირთვული დოქტრინის პუტინის განცხადებით „ბირთვული იარაღის გამოყენება მოხდება რუსეთზე არა მხოლოდ ბირთვული, არამედ ჩვეულებრივი იარაღით მასიური თავდასხმის შემთხვევაში. ამასთან, „რუსეთის ფედერაციაზე ერთობლივ თავდასხმად“ ჩაითვლება „ბირთვული სახელმწიფოს მონაწილეობით ან მხარდაჭერით ნებისმიერი არაბირთვული სახელმწიფოს აგრესია რუსეთის წინააღმდეგ“ (ლიკლიკაძე, 2024). აღნიშნულ რედაქციაში განსაზღვრულია ძირითადი პირობები რომლის თანახმადაც მოხდება რუსეთ უფლება ექნება გამოიყენოს თავის არსენალში არსებული ბირთვული შეიარაღება. ოგორც ვლადიმერ პუტინმა განაცხადა „ასეთ შესაძლებლობას საჰაერო-კოსმოსური შეტევითი საშუალებების მასირებული სტარტისა და მათ მიერ ჩვენი სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის შესახებ სანდო ინფორმაციის მიღებისთანავე განვიხილავთ“ (ლიკლიკაძე, 2024). პუტინის თანახმად, ასეთ საშუალებებს განეკუთვნება სტრატეგიული და ტაქტიკური ავიაციის შემადგენლობაში არსებული თვითმფრინავები, ფრთოსანი რაკეტები, დრონები, ჰიპერბგერითი და სხვა სახის მფრინავი აპარატები. ასევე, პუტინმა აღნიშნა, რომ „ვიტოვებთ უფლებას, გამოვიყენოთ ბირთვული იარაღი რუსეთისა და ბელარუსის, როგორც საკავშირო სახელმწიფოს წევრი ქვეყნის წინააღმდეგ აგრესიის შემთხვევაში. ბელარუსის მხარესთან, ბელარუსის პრეზიდენტთან ყველა ეს საკითხი შეთანხმებულია. მათ შორის, თუ მოწინააღმდეგე, ჩვეულებრივი შეიარაღების გამოყენებით, კრიტიკულ საფრთხეს შეუქმნის ჩვენს სუვერენიტეტს“ (ლიკლიკაძე, 2024). პუტინთან ერთად ბირთვული იარაღის გამოყენების შესახებ რუსეთის პოლიტიკური ინსტებლიშმეტი გამუდმებით აკეთებს განცხადებას, რომლის მაგალითად შეგვიძლია რუსეთის ექს-პრეზიდენტის და ამჟამიდენილი რუსეთის უშიშროების საბჭოს თავჯდომარის მოადგილის განცხადებებიც მოვიყვანით რომელიც უკრაინას ბირთვული იარაღის განადგურებით ემუქრება. იგე რიტორიკა აქვს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს სერგეი ლავროვს, ხოლო რაც შეეხება პროპაგანდისტულ ტელევიზიებს და საინფორმაციობს ისინი სულ იმუქრებიან და კიდევაც პირდაპირი მოთხოვნით გამოდიან ბირთვული იარაღი იქნას გაოყენებული. რაც თავისთვად ზრდის ბირთვული იარაღის გამოყენების ალბათობას მცირე მუხტით, კონკრეტულ შემთხვევაში ტაქტიკური ბირთვული იარაღით. კონფლიქტის ბოლო სამი წლის განმავლობაში მუდმივად ჩნდებოდა კითხვა, შეეძლო თუ არა რუ-

სეთს უკრაინის ბრძოლის ველზე ტაქტიკური ბირთვული იარაღის გამოყენება. დიდი შვიდეულის წევრებმა, მათ შორის ბირთვულმა სახელმწიფოებმა საფრანგეთმა, აშშ-მ და დიდმა ბრიტანეთმა, რუსეთის ბირთვული პოზიცია „უპასუხისმგებლო“ და „მიუღებლად“ შეაფასეს. 2023 წლის ივნისში ნატოს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა დაგმო რუსეთის „უგუნური ბირთვული რიტორიკა“, რომელსაც მას მერე ახალი გენერალური მდივანი მარკ რუტეც იზიარებს (Mills, 2024:2) უნდა აღინიშნოს, რომ პუტინმა გააფრთხილა დასავლეთი, რომ მათ უკრაინას არ გადასცენ შორის რადიუსის მოქმედების სარაკეტო სისტემები, ხოლო თუ ეს მოხდება მაშინ ეს რუსეთისთვის იქნება ღია სიგნალი, რომ ნატოს და ევროკავშირის ქვეყნები უშუალოდ იქნებიან მონაწილები უკრაინის კონფლიქტში. მისი განცხადებით ესეთი რამ თუ მოხდა რუსეთს მოუწევს და იძულებული იქნება, წარმოქმნილი საფრთხეებიდან გამოდინარე მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. რაც ძალიან ცუდ და გარდაუვალ შედეგებს მოუტანს უკრაინას და მის მოსახლეობას.

რუსეთ-უკრაინის ომი და ბირთვული შეკავების პოლიტიკა

უკრაინის რთული მდგომარეობა განპირობა მისმა არასწორმა ბირთვულმა ისტორიამ რომლის თანახმადაც 1994 წელს უკრაინამ გადაწყვიტა დაეთმო უზარმაზარი ბირთვული არსენალი, რომელიც მას მემკვიდრეობით საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჰქონდა მიღებული. მიუხედავად გარკვეული ზეწოლისა მას ქონდა არჩევანი უარი ეთქვა ბირთვულ იარაღზე ან დაეტოვებინა. მათ შორის მიუხედავად იმისა, რომ ამას თან ახლდა გარკვეული სირთულეები უკრაინის ლიდერებს უნდა მიეღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება და დაეტოვებინათ ბირთვული არსენალი. საბოლოოდ, უკრაინამ გადაწყვიტა დაეთმო თავისი ბირთვული მემკვიდრეობა და შეუერთდა ბირთვული იარაღის არმქონე სახელმწიფოს, როგორც არაბირთვული იარაღის მქონე სახელმწიფო, განსაკუთრებით იმიტომ, რომ მას სურდა საერთაშორისო საზოგადოებაში გარკვეული მხარდაჭერის მოპოვება და დახმარების. საწინააღმდეგო შემთხვევაში შესაძლებელი იყო მისი დასანქცირება. ეს რა მოტივით იქნებოდა ნაკარნახევი განსაკუთრებული მნიშვნელობა არ აქვს რადგან თუ ამას მოინდომებდნენ კიდევაც გააკატარებდნენ შესაბამის პოლიტიკას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ განიარაღების სანაცვლოდ უკრაინას შეთანხმების თანახმად პირდებოდნენ უსაფრთხოების გარანტიებს, მისი სუვერენიტეტის, საზღვრების ხელშეუხებლობისა და უკრაინის წინააღმდეგ ძალის, ან ბირთვული თუ სხვა სახის, გამოყენებისგან დაცვას. რაც ე.წ. ბუდაპეშტის მემორანდუმში იყო გათვალისწინებული სამი ბირთვული სახელმწიფოს მირ შეერთებული შტატების, გაერთიანებული სამეფოს და რუსეთის ფედერაციის. ეს დოკუმენტი გახდა საერთაშორისო გაუვრცელებლობის რეჟიმის განუყოფელი ნაწილი. 2014 წელს ის ერთ-ერთმა ხელმომწერმა სახელმწიფომ რუსეთმა, უხეშად დაარღვია, ხოლო 2022 წელს – განახლებული აგრესიით და სისასტიკით, რასაც თან ახლდა ბირთვული საფრთხეები. შედეგად, ზიანდება გაუვრცელებლობის რეჟიმის სანდოობა და უსაფრთხოების გარანტიების ღირებულება, როგორც გაუვრცელებლობის პოლიტიკის ინსტრუმენტისა.

რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის შემდეგ, შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის შეიარაღების კონტროლისა და შეიარაღების შემცირების პერსპექტივები კიდევ უფრო ბუნდოვანია. შეერთებული შტატები და რუსეთი თითქმის არ საუბრობენ ერთმანეთთან. რაც მნიშვნელოვან პრობლემას ქმნის ბირთვული უსაფრთხოების საკითხში. ბოლო სტრატეგიული შეიარაღების შემცირების ხელშეკრულების, New START-ის, ვადა 2026 წლის თებერვალში იწურება და შემდგომი შეთანხმების მოლაპარაკების პერსპექტივის არარსებობის გამო, მსოფლიო შესაძლოა აღმოჩნდეს ერთი შეიარაღების კონტროლის ხელშეკრულების გარეშე, რომელიც ხუთი ათწლეულის განმავლობაში პირველად შეზღუდავს მსოფლიოში უდიდეს ბირთვულ არსენალებს. შეიარაღების კონტროლის სფეროში პროგრესის არარსებობა, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო დააწვება გლობალურ ბირთვულ წესრიგს.

უკრაინის ომმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია და დაარტყა ბირთვული შეკავების სისტემას, ანუ ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობისა და შეიარაღების კონტროლის. თუ რუსეთსა და ნატოს შორის შეკავება არის კარგი მაგალითი იმისა, თუ როგორ მუშაობს ბირთვული შეკავება. უკრაინის შემთხვევა იმის დემონსტრირებაა, თუ რა ემართება ქვეყანას, რომელიც არ არის დაცული ბირთვული შეკავების სისტემით, არც საკუთარი და არც მოკავშირის მიერ (Budjeryn, 2024). უკრაინაში ომი უპრეცედენტო გამოწვევაა ბირთვული ენერგიის მართვის სისტემისთვის. რუსეთის

მიერ შექმნილ და მანიპულირებად მრავალ ბირთვულ საფრთხეს შორისაა ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურისა და მისი აკრძალული ზონის აღება და ოკუპაცია 2022 წლის თებერვალ-მარტში და ევროპის უდიდესი ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგურისა და ენერჰოდარის ოკუპაციის გაგრძელება. უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს წინა თავდასხმებისგან რამდენიმე ფაქტორი განასხვავებს. პირველ რიგში, აქამდე არცერთი სამხედრო თავდასხმა არ განხორციელებულა ისეთ დიდ, მოქმედ ატომურ ელექტროსადგურზე, როგორიცაა ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგური, რომლის რეაქტორის ბირთვებსა და ადგილზე არსებულ საცავებში დასხივებული ბირთვული საწვავის მნიშვნელოვანი მარაგი ინახება. ეს ფუნდამენტურ განსხვავებას წარმოადგენს წინა თავდასხმებისგან. ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგურისა და ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურების ადგილებზე განთავსებულია ისეთი ობიექტები, როგორიცაა მოქმედი ატომური ელექტროსადგურები და გამოყენებული (დასხივებული) ბირთვული საწვავის საცავი, რაც ნიშნავს, რომ იქ არსებული რადიოაქტიურობის საერთო რაოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე ადრე თავდასხმის ქვეშ მყოფ ნებისმიერ ბირთვულ ობიექტზე იყო (Fedchenko, 2023:4).

რუსეთი თავისი აგრესიული ომით ცდილობს საკუთარი საზღვრების გაფართოებას და გავლენის. ის არამარტო ტეროტირიისთვის იბრძვის არამედ უკრაინაში არსებული ძვირფასი და იშვითი მინერალების ხელში ჩასაგდებად, რადგან სწორედაც ის სახელმწიფო იქნება გავლენის ცენტი უახლოეს მომავალში რომლისაც ექნება დიდი მარაგები და რესურსები აღნიშნული მინერალების. თანამედროვე ინდუსტრიას სამხედრო მიმართულებით, დრონების წამოებისათვის, სარაკეტო სისტემების, სატელიტების, კომპიუტერული ტექნოლოგიების, მობილური და ა.შ. აუცილებელია ძვირფასი და იშვითი მინერალები. რომლის მარაგებზე მნიშვნელოვი კონტორლი მსოფლიოს მასშტაბით სხვადასხვა კონტინეტზე უკვე მოახდინა ჩინეთმა. შესაბამისად რუსეთს აგრესიული პოლიტიკა ამ საკითსაც მნიშვნელოვნად უკავშირდება ცალკე უკრაინის ტერიტორიაზე არსებულ ურანის საბადოებთან ერთად. ბირთვული ტაქტიკური იარაღის გამოყენების საფრთხე რუსეთის მხრიდან სულ უფრო მზარდია იმის ფონზე როდესაც მას ფრონტის ხაზზე მნიშვნელოვანი წარმატებები არ გააჩნია. თუ რუსეთის უფრო მეტად შევიწროება მოხდა ფრონტის ხაზზე და მას მოუწია ოკუპირებულები ტერიტორიების დატოვება ის დიდი ალბათობის მზად არის გამოიყენოს ბირთვული ტაქტიკური იარაღი უკრაინული ჯარის და მოსახლეობის წინააღმდეგ

რუსეთ-უკრაინის ომის SWOT ანალიზი

წინამდებარე SWOT ანალიზი მიზნად ისახავს რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების წარმოჩენას. ანალიზი წარმოადგენს სიტუაციის შეფასებას 2024 წლის მდგომარეობით, როდესაც კონფლიქტი კვლავ გრძელდება და მისი დინამიკა და შედეგები განაგრძობს განვითარებას, რასაც ბირთვული უსაფრთხოების საკითხები ემატება.

I. უკრაინის ძლიერი მხარეები (Strengths)

1. საერთაშორისო მხარდაჭერა და სოლიდარობა:

უკრაინამ მოიპოვა უპრეცედენტო დიპლომატიური, ფინანსური და სამხედრო მხარდაჭერა დასავლეთისა და მსოფლიოს მრავალი ქვეყნისგან. ნატოს წევრი ქვეყნები, განსაკუთრებით აშშ, დიდი ბრიტანეთი და ევროკავშირის სახელმწიფოები, უზრუნველყოფენ უკრაინას თანამედროვე შეიარაღებით, სადაზვერვო ინფორმაციით და ეკონომიკური დახმარებით. ეს მხარდაჭერა გადამწყვეტი აღმოჩნდა უკრაინის წინააღმდეგობის უნარის შენარჩუნებისთვის.

2. ეროვნული ერთობა და მაღალი საბრძოლო სულისკვეთება:

რუსეთის შეჭრის საპასუხოდ, უკრაინელმა ხალხმა გამოავლინა განსაცვიფრებელი ეროვნული ერთობა და წინააღმდეგობის გაწევის სურვილი. პრეზიდენტ ზელენსკის ლიდერობამ და უკრაინელი ხალხის მედეგობამ განამტკიცა სამოქალაქო საზოგადოება და სამხედრო ძალები. უკრაინელების პატრიოტიზმი და საკუთარი მიწის დაცვის მზაობა მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური უპირატესობაა.

3. სამხედრო გამოცდილება და ადაპტაცია:

2014 წლიდან მოყოლებული დონბასში მიმდინარე კონფლიქტის შედეგად უკრაინელმა სამხედროებმა მიიღეს მნიშვნელოვანი საბრძოლო გამოცდილება. ომის განმავლობაში უკრაინულმა ძალებმა აჩვენეს შთამბეჭდავი უნარი სწრაფად აითვისონ დასავლური შეიარაღება და შეიმუშაონ ინოვაციური ტაქტიკა, მათ შორის დრონების ეფექტური გამოყენების კუთხით. მათი მოქნილობა და შეგუების უნარი მკვეთრად აღემატება რუსეთის უფრო ხისტ სამხედრო სტრუქტურას.

4. სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობა:

უკრაინის ტერიტორიისა და ლანდშაფტის ცოდნა ადგილობრივი ძალებისთვის მნიშვნელოვან უპირატესობას წარმოადგენს. გარდა ამისა, მისი გეოგრაფიული მდებარეობა ევროპის გულში ნიშნავს, რომ ლოჯისტიკური მარშრუტები დასავლური დახმარებისათვის შედარებით მოკლეა, განსაკუთრებით დასავლეთ უკრაინაში.

I. რუსეთის ძლიერი მხარეები (Strengths)

1. რესურსების უპირატესობა:

რუსეთს გააჩნია მნიშვნელოვანი რაოდენობრივი უპირატესობა სამხედრო პერსონალის, ტექნიკისა და ფინანსური რესურსების თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ მან განიცადა მნიშვნელოვანი დანაკარგები, რუსეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს აქვს შეიარაღების მასობრივი წარმოების შესაძლებლობა, განსაკუთრებით არტილერიის ჭურვებისა და დრონების მიმართულებით.

2. ენერგეტიკული ბერკეტები:

რუსეთი რჩება ენერგორესურსების, განსაკუთრებით ბუნებრივი აირის, მსხვილ მიმწოდებლად ევროპის ბევრი ქვეყნისთვის. მიუხედავად ევროპის მცდელობისა შეამციროს დამოკიდებულება რუსულ ენერგიაზე, ეს ბერკეტი კვლავ აძლევს მოსკოვს გარკვეულ გავლენას საერთაშორისო არენაზე.

3. ბირთვული შეკავების ფაქტორი:

რუსეთი არის ბირთვული სახელმწიფო, რაც შეზღუდავს დასავლეთის პირდაპირი ჩარევის მასშტაბებს კონფლიქტში. კრემლი პერიოდულად იყენებს ბირთვული ესკალაციის რიტორიკას, როგორც ფსიქოლოგიური ზეწოლის ინსტრუმენტს.

4. საინფორმაციო ომის შესაძლებლობები:

რუსეთმა განავითარა მძლავრი პროპაგანდისტული აპარატი, რომელიც აქტიურად მუშაობს როგორც საკუთარი მოსახლეობის მხარდაჭერის შესანარჩუნებლად, ასევე საერთაშორისო აუდიტორიაზე გავლენის მოსახდენად. რუსული დეზინფორმაციის კამპანიები მიზნად ისახავს დასავლეთში უკრაინისადმი მხარდაჭერის შესუსტებას და კონფლიქტის შესახებ ალტერნატიული ნარატივების შექმნას.

II. უკრაინის სუსტი მხარეები (Weaknesses)

1. რესურსების სიმცირე და დამოკიდებულება დასავლურ დახმარებაზე:

უკრაინა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საერთაშორისო დახმარებაზე როგორც სამხედრო აღჭურვილობის, ასევე ფინანსური რესურსების თვალსაზრისით. ეს დამოკიდებულება ქმნის მოწყვლადობას, განსაკუთრებით თუ დასავლური მხარდაჭერა შემცირდება პოლიტიკური ცვლილებებისა თუ „დახმარების დაღლილობის“ გამო.

2. დემოგრაფიული გამოწვევები და მიგრაცია:

ომის შედეგად მილიონობით უკრაინელი იძულებული გახდა დაეტოვებინა საკუთარი სახლი, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ. ეს მასობრივი გადაადგილება იწვევს სამუშაო ძალის დეფიციტს, დემოგრაფიულ პრობლემებს და სოციალურ-ეკონომიკურ გამოწვევებს.

3. კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაზიანება:

რუსეთის მიერ უკრაინის ენერგეტიკული და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სისტემატური დაბომბვა იწვევს სერიოზულ პრობლემებს როგორც სამხედრო ოპერაციებისთვის, ასევე სამოქალაქო მოსახლეობისთვის. ენერგომომარაგების შეფერხებები განსაკუთრებით პრობლემურია ზამთრის პერიოდში.

4. კორუფციისა და ინსტიტუციური გამოწვევები:

მიუხედავად მნიშვნელოვანი პროგრესისა, კორუფცია და ინსტიტუციური სისუსტეები ისტორიულად პრობლემას წარმოადგენდა უკრაინაში. ომის პირობებშიც კი, ამ საკითხებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს რესურსების ეფექტურ განაწილებაზე და სამხედრო ოპერაციების ეფექტიანობაზე.

5. საჰაერო სივრცის დაუცველობა – ცის ჩკეტვა:

ომის დაწვებიდან რუსეთ გააჩნია საჰაერო იპირატესობა და დომინირება, რაც ასუსტებს უკრაინის შიარაღებული ძალების შესაძლებლობებს. ანტისაჰაერო სისტემების სიმწირე და კონკრეტულად ბალისტიკური რაკეტების გადამჭერების არ არსებობა მნიშვნელოვანი გამოწვევაა უკაინისათვის. მაშინ როდესაც საუბარია ბირთვული იარაღის გამოყენების საფრთხეზე რაკეტ საწინააღდეგებო სისტემების არსებობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. საფრთხეს წარმოადგენს ასევე რუსული სამხედრო თვითმფრინევები და უპილოტო საფრენი აპარატები, კამიკაძე დრონები.

II. რუსეთის სუსტი მხარეები (Weaknesses)

1. საერთაშორისო იზოლაცია და სანქციები:

რუსეთი დაექვემდებარა უპრეცედენტო ეკონომიკურ სანქციებს და დიპლომატიურ იზოლაციას. ეს სანქციები ზღუდავს მისი ეკონომიკის განვითარებას, განსაკუთრებით მაღალტექნოლოგიურ სექტორებში, და ართულებს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ფუნქციონირებას.

2. სამხედრო დანაკარგები და პერსონალის პრობლემები:

რუსეთმა განიცადა მნიშვნელოვანი დანაკარგები როგორც სამხედრო პერსონალის, ასევე ტექნიკის მხრივ. პრობლემებია მორალურ-ფსიქოლოგიური მზადყოფნისა და მოტივაციის კუთხითაც. მობილიზაციამ გამოიწვია სოციალური დაძაბულობა და გააძლიერა ემიგრაცია.

3. ლოჯისტიკური და კომანდირების პრობლემები:

რუსეთის სამხედრო ძალებმა ომის განმავლობაში გამოავლინეს სერიოზული პრობლემები ლოჯისტიკის, კომუნიკაციისა და კოორდინაციის კუთხით. კორუფცია და არაეფექტური მენეჯმენტი ხელს უშლის სამხედრო პოტენციალის სრულ რეალიზებას.

4. ეკონომიკური გამოწვევები:

მიუხედავად იმისა, რომ რუსული ეკონომიკა აჩვენებს მოულოდნელ მდგრადობას სანქციების მიმართ, გრძელვადიან პერსპექტივაში იგი დგას სერიოზული გამოწვევების წინაშე. ეკონომიკის მილიტარიზაცია, იზოლაცია გლობალური ტექნოლოგიური განვითარებისგან და დამოკიდებულება ენერგორესურსების ექსპორტზე ქმნის სტრუქტურულ პრობლემებს.

5. საჰაერო სივრცის დაუცველობა – ცის ჩკეტვა:

რუსეთის გარკვეული უირატესობის მიუხედავად მასაც მნიშვნელოვანი გამოწვევები გააჩიანი საჰაერო სივრცის დაუცველობის მხრივ რადგან უკრაინა უტევს მას ამერიკული, გერმანუ, ფრანგული და სხვა ევროპული სახელმწიფოების წარმოებული სხვადასხვა ტიპის რაკეტებით. რუსეთისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს, ასევე უპილოტო საფრენი აპარატები და დრონები.

III. უკრაინის შესაძლებლობები (Opportunities)

1. ევროატლანტიკური ინტეგრაციის პერსპექტივა:

უკრაინა მიიღო ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი და გააქტიურდა დიალოგი ნატოში გაწევრიანების პერსპექტივებზე. ევროკავშირთან და ნატოსთან დაახლოების პროცესი შეიძლება დაჩქარდეს კონფლიქტის შედეგად, რაც მნიშვნელოვანი გრძელვადიანი უსაფრთხოებისა და ეკონომიკური განვითარების გარანტი იქნება.

2. ეკონომიკური რეკონსტრუქცია და მოდერნიზაცია:

ომის დასრულების შემდეგ, უკრაინას ექნება შესაძლებლობა განახორციელოს მასშტაბური რეკონსტრუქცია საერთაშორისო მხარდაჭერით. ეს პროცესი შეიძლება გახდეს კატალიზატორი ქვეყნის ეკონომიკის მოდერნიზაციისთვის და ახალი, უფრო მდგრადი და ინოვაციური ეკონომიკური მოდელის შექმნისთვის.

3. სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის განვითარება:

უკრაინამ ომის პერიოდში განავითარა მნიშვნელოვანი შესაძლებლობები სამხედრო ტექნოლოგიების, განსაკუთრებით დრონებისა და კიბერ-უსაფრთხოების სფეროში. ამ გამოცდილების კაპიტალიზაცია შეიძლება მოხდეს ძლიერი სამხედრო-სამრეწველო სექტორის ჩამოყალიბებით, რაც ხელს შეუწყობს როგორც ეროვნულ უსაფრთხოებას, ასევე ეკონომიკურ განვითარებას.

4. ნაციონალური იდენტობის განმტკიცება:

ომი გახდა კატალიზატორი უკრაინული ნაციონალური იდენტობის გაძლიერებისთვის და რუსული კულტურული გავლენისგან გათავისუფლებისთვის. ეს პროცესი ხელს უწყობს ერთიანი, დემოკრატიული და ევროპული უკრაინის ფორმირებას.

5. ბირთვული იარაღის შექმნა:

ომის მსვლელობის პროცესში რამდენჯერმე გაესვა ხაზი უკრაინის მხრიდან, რომ თუ მათ არ ექნებათ უსაფრთხოების გარანტიები მათ მოუწევთ ბირთვული იარაღის შექმნაზე მუშაობა, რომლის გამოცდილება და ტექნოლოგიებიც გააჩნიათ, რაც ზრდის აბათობას მათ მიერ ბირთვული იარაღის შექმნაზე მუშაობის დაწყების. უკრაინამ ეს თუ შეძლო დასავლეთის მხარდაჭერით და ჩართულობით მაშინ მას ექნა მნიშვნელოვანი უსაფრთხოების გარანტიები.

III. რუსეთის შესაძლებლობები (Opportunities)

1. გეოპოლიტიკური რეორიენტაცია:

რუსეთი აღრმავებს ურთიერთობებს ისეთ სახელმწიფოებთან, როგორიცაა ჩინეთი, ინდოეთი, ჩრდილოეთ კორეა, ირანი და სხვა ქვეყნები, რომლებიც არ უერთდებიან დასავლურ სანქციებს. ეს ალიანსები როგორც დღეს, ასევე მომავალში შეიძლება გახდეს სანქციების გვერდის ავლის და ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარების საშუალება.

2. იმპორტჩანაცვლებისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის გაძლიერება:

სანქციებმა შეიძლება სტიმული მისცეს რუსეთის ეკონომიკურ დივერსიფიკაციას და შიდა წარმოების განვითარებას. გარკვეულ სფეროებში, მაგალითად სოფლის მეურნეობაში, რუსეთმა უკვე მიაღწია მნიშვნელოვან პროგრესს იმპორტჩანაცვლების კუთხით.

3. ახალი სავაჭრო და ენერგეტიკული მარშრუტები:

ევროპასთან ურთიერთობების გაუარესების ფონზე, რუსეთი აქტიურად ავითარებს ენერგეტიკულ და სავაჭრო თანამშრომლობას აზიის ქვეყნებთან. ამ მიმართულებით ინფრასტრუქტურის განვითარება გრძელვადიან პერსპექტივაში შეიძლება მნიშვნელოვანი გახდეს.

4. სამხედრო გამოცდილებისა და ტექნოლოგიების განვითარება:

მიუხედავად სირთულეებისა, ომი რუსეთს აძლევს რეალურ საბრძოლო პირობებში სამხედრო აღჭურვილობისა და ტაქტიკის ტესტირების შესაძლებლობას. ეს გამოცდილება შეიძლება გამოყენებულ იქნას სამხედრო რეფორმებისა და ახალი ტექნოლოგიების განვითარებისთვის.

5. ომის ვექტორი სხვა რეგიონში გადამისამართება:

რუსეთ შეუძლია სხვადასხვა რეგიონში და განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის პროვოცირება, სადაც აშშ-ს და დასავლეთის ინტერესებია. შესაბამისად ეს იმას, ნიშნავს, რომ უკრინას ნაწილობრივ მოაკლდება შეიარაღება და დაფინანსება, ასევე სადაზვერვო თუ სხვა სახის მხარდაჭერა. რაც რუსეთს მისცემ შედარებით უპირატესობას საომარი მოქმედებებისას.

IV. უკრაინისათვის მომდინარე საფრთხეები (Threats)

1. კონფლიქტის გაჭიანურება და „დაღლილობის“ ფაქტორი:

ომის გახანგრძლივება იწვევს ადამიანურ, ეკონომიკურ და სოციალურ დანაკარგებს. არსებობს რისკი, რომ დროთა განმავლობაში შემცირდეს საერთაშორისო ყურადღება და მხარდაჭერა უკრაინის მიმართ, განსაკუთრებით თუ სხვა გლობალური კრიზისები წამოიჭრება.

2. ტერიტორიული დანაკარგები და გაყინული კონფლიქტი:

ერთ-ერთი საფრთხეა კონფლიქტის დასრულება ისეთი სცენარით, რომელიც გულისხმობს ტერიტორიების დაკარგვას ან „გაყინულ კონფლიქტს“, რაც შეაფერხებს ქვეყნის მშვიდობიან განვითარებასა და საერთაშორისო ინტეგრაციას.

3. დემოგრაფიული კრიზისი და „ტვინების გადინება“:

ხანგრძლივი ომი და არასტაბილურობა იწვევს მოსახლეობის ემიგრაციას, განსაკუთრებით ახალგაზრდებისა და კვალიფიციური სპეციალისტების. ეს „ტვინების გადინება“ შეიძლება გახდეს მნიშვნელოვანი გამოწვევა ომის შემდგომი აღდგენისა და განვითარებისთვის.

4. სოციალური და პოლიტიკური დესტაბილიზაცია:

ეკონომიკური სირთულეები, ომით გამოწვეული ტრავმა და სოციალური დაძაბულობა ქმნის პოლიტიკური არასტაბილურობის რისკებს. რეკონსტრუქციის პროცესში შეიძლება გაჩნდეს უთანხმოება პრიორიტეტებისა და რესურსების განაწილების შესახებ.

5. ახალი რეგიონული კონფლიქტი:

უკრაინისათვის მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს ახალი რეგიონული კონფლიქტის გაღვივება რომელშიც ჩართული იქნება აშშ-ს და ევროკავშირის პარტნიორი სახელმწიფო, ეს გამოიწვევს უკრაინისადმი გარკვეული დახმარების შემცირება, რაც დაასუსტებს მის სამხედრო შესაძლებლობებს, ისედაც მწირი სამხედრო რესურსებით პირობებში.

6. ტაქტიკური ბირთვული იარაღის გამოყენების საფრთხე:

ტაქტიკური ბირთვული იარაღის გამოყენების საფრთხე სულ უფრო იზრდება რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის რიტორიკის შედეგად. ამას ემატება ის ფაქტორი, რომ აღნიშნული იარაღი ბელორუსშისაცაა განთავსებული, რაც ზრის აღნიშნული იარაღის გამოყენების რისკებს. ასევე, თუ მოხდა რუსული შიარაღებული ძალების შევიწროობა და მათ მოუწიათ დაკავებული ტერიტორიების დატოვება იზრდება ალბათობა ტაქტიკური ბირთვული იარაღის გამოყენების რადგან რუსეთი ამ ომიდან დამარცხებული არ გამოვა, რაც მის საერთაშორისო როლს და პრესტიჟს შელახავს.

IV. რუსეთისათვის მომდინარე საფრთხეები (Threats)

1. გრძელვადიანი ეკონომიკური და ტექნოლოგიური ჩამორჩენა:

სანქციები და საერთაშორისო იზოლაცია დროთა განმავლობაში იწვევს ტექნოლოგიურ ჩამორჩენას გლობალურ ეკონომიკაში. განსაკუთრებით პრობლემურია მაღალტექნოლოგიური სექტორების განვითარება დასავლურ ტექნოლოგიებზე შეზღუდული წვდომის პირობებში.

2. პოლიტიკური არასტაბილურობა და სოციალური დაძაბულობა:

ომის გაჭიანურებამ, ეკონომიკურმა პრობლემებმა და ადამიანური დანაკარგების ზრდამ შეიძლება გამოიწვიოს შიდა უკმაყოფილება და პოლიტიკური არასტაბილურობა. ავტორიტარული კონტროლის გაძლიერება მოკლევადიან პერსპექტივაში ეფექტურია, მაგრამ გრძელვადიან პერიოდში შეიძლება გაზარდოს დაძაბულობა.

3. გეოპოლიტიკური პოზიციების შესუსტება:

რუსეთის მიერ უკრაინაში ომის წამოწყებამ გამოიწვია ნატოს გაძლიერება და კონსოლიდაცია. ფინეთისა და შვედეთის გაწევრიანება ალიანსში ცვლის სტრატეგიულ ბალანსს რუსეთის საზღვრებთან. რუსეთის გავლენა პოსტსაბჭოთა სივრცეშიც შემცირდა, განსაკუთრებით სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში.

4. ჩინეთზე დამოკიდებულების ზრდა:

დასავლეთთან ურთიერთობების გაუარესების ფონზე, რუსეთი სულ უფრო დამოკიდებული ხდება ჩინეთზე ეკონომიკური და პოლიტიკური მხარდაჭერის თვალსაზრისით. ეს ასიმეტრიული ურთიერთობა დროთა განმავლობაში შეიძლება გახდეს პრობლემური რუსეთის სუვერენიტეტისთვის.

5. სტრატეგიული ობიექტების დაზიანება:

უკრაინის მხრიდან გააქტიურებული შეტევების ფონზე და დასავლეთის მხრიდან მოსალოდნელი შორი რადიუსის რაკეთების გამოყენების ნებართვის მიცემა პირდაპირ საფრთხე უქმნის რუსეთს სტრატეგიული ობიეტქტების დაცვის მხრივ. რასაც ემატება უკრაინის მხრიდან უპილოტო დრონების გამოყენება რომელთა მოქმედების რადიუსს ნელნელა ზრდის უკრაინა. ამავე დროს უკრაინის მიერ საკუთარი წარმოების შორს მოქმედი სარაკეტო სისტემების წარმოება მნიშვნელოვანი გამოწვევაა რუსეთისთვის.

6. რუსეთის მხრიდან ტაქტიკური ბირთვული იარაღის გამოყენება:

თუ რუსეთმა გამოიყენა ტაქტიკური ბირთვული იარაღი საომარი მოქმედებებისას უკრაინის წინააღმდეგ, მაშინ ამას მოჰყვება საერთაშორისო სანქციების გაზრდა, იზოლაციონიზმის პოლიტიკის გატარება და დასავლეთის მხრიდან უფრო აგრესიული პოლიტიკის წარმოება. მოხდება უკრაინისათვის მეტი შემტევი შეიარაღების გადაცემა. ასევე, შორი რადიუსის სარაკეთო სიტემების მიწოდება და გამოყენების ნებართვის მიცემა. ეს ავტომატურად გამოიწვევს ნავთობზე ფასების დაწევას დასავლეთის ზეწოლის შედეგად, რაც რუსეთის ეკონომიკას და სამხედრო მრეწველობას პირდაპირ არტყამს.

მოკლე შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ რუსეთ-უკრაინის ომი წარმოადგენს კომპლექსურ კონფლიქტს მრავალი ცვლადით, რომელიც გავლენას ახდენს როგორც უშუალოდ ჩართულ მხარეებზე, ასევე მთელ საერთაშორისო სისტემაზე. SWOT ანალიზი გვიჩვენებს, რომ ორივე მხარეს აქვს როგორც მნიშვნელოვანი ძლიერი მხარეები, ასევე სერიოზული გამოწვევები. შესაბამისად კონფლიქტის დინამიკაზეა დამოკიდებული თუ მას დამატებით როგორი გავლენა ექნება რეგიონულ და გლობალურ უსაფრთხოებაზე. საომარ მოქმედებებში ახალი ტექნოლოგიების გამოყენებამ საომარი მოქმედბების პროგრნოზირება კიდევ უფრო გაართულა, რადგან ამ შემთხვევაში სტრატეგიული ინიციატივა ხშირად ცვალებადია.

უკრაინის მთავარი ძალა მის უპრეცედენტო საერთაშორისო მხარდაჭერასა და ეროვნულ ერთობაში მდგომარეობს, ხოლო რუსეთი ეყრდნობა თავის მატერიალურ რესურსებსა და ენერგეტიკულ ბერკეტებს, ასევე ახდენს მისი სტრატეგიული პარტნიორების მხარდაჭერის მობილიზებას. ამა-

ვდროულად, ორივე მხარე დგას მნიშვნელოვანი რისკების წინაშე, რომლებიც უკავშირდება კონფლიქტის გახანგრძლივებას, ეკონომიკურ პრობლემებს და სოციალურ დესტაბილიზაციას.

დასკვნა

რუსეთი-უკრაინის ომის შედეგად რამდენიმე უსაფრთხოების გაზომილება გამოიკვეთა გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური მიმართულებით. მათგან შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე ფაქტორი: ბირთვული უსაფრთხოების საკითხი, სასურსათო უსაფრთხოების საკითხი, კიბერუსაფრთხოების საკითხი, ჰიბრიდული და საინფორმაციო უსაფრთხოების ფორმატში რომელიც კიდევ უფრო გაიზარდა, გეოპოლიტიკური გავლენის ცენტრებისათვის ბრძოლის მიმართულებით, უკრაინის ძვირფასი და იშვიათი მინერალების საკითხი, როგორც რესურსებისათვის ბრძოლის ვექტორი. გეოპოლიტიკური დომინირებისათვის წარმოებული ომი რუსეთის მხრიდან იმ შედეგებით არ წარიმართა, როგორც კრემლის ხელმძღვანელობა გეგმავდა. შესაბამისად მათ მოუწიათ უფრო მეტი დანაკარგების გაღება ფინანსური, სამხედრო თუ ადამიანური თვათსაზრისით, რაც მათთის ძალიან პოლიტიკური კუთხით საკმაოდ დიდი დარტყმა აღმოჩნდა რადგან ისინი არ მოელოდნენ, რომ ომი ოთხ წელზე მეტ ხანს გაგრძელდებოდა. ამ ომმა რუსეთის გამოფიტვა გამოიწვია თუმცა არა ბოლომდე, რაც მას აიძულებდა ომის წარმოებაზე უარის თქმას. რუსეთთან ერთად აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ომის შედეგად უკრაინაც და მისი ჯარიც გამოიფიტა თუმცა აქაც არა ბოლომდე, სწორედაც უკრაინელი ხალხის და დასავლეთის მხარდაჭერის დამსახურებით. სწორედაც ყურადღება უნდა განმახვილდეს იმ ფაქტორზეც რომელზეც ანალიტიკოსების, სამხედრო ექსპერტების, დარგის სპეციალისტების თუ რიგი ადამიანებისგან დაისმის კითხვა თუ რატომ არ აძლევს დასავლეთი უკრაინას შორი რადიუსის სარაკეტო სისტემებს და უფრო მძვლავრ სარაკეტო შეიარაღებას. რაზეც სწორედაც მიუთითებს ბირთვული უსაფრთხოების საკითხი რადგან, რუსეთის პრეზიდენტი და მისი პოლიტიკური ისტებლიშმენტი ხშირად უსვამენ ხაზს, რომ რუსეთი თუ მას ეს დასჭირდა მზად არის გამოიყენოს ბირთვული იარაღი უკრაინის წინააღმდეგ. მათ ასევე აღიშნეს, რომ თუ მოხდება რუსეთის ქალაქების და სტრატეგიული ობიექტების დასავლური და ამერიკული იარაღით დაბომბვა, რომელიც მძლავრი აფეთქების მუხტის მატარებელი იქნება და შორი რადიუსის მფრენი, მათ მოუწევთ საკმაოდ ხისტი ზომების მიღება ბირთვული იარაღის გამოყენებით.

სწორედ აღიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოახდინა რუსეთმა ბელორუსში ტაქტიკური ბირთვული იარაღის განთავსება, რაც პირდაპირ პოლიტიკური ნაბიჯი იყო. ამავე დროს ამ ნაბიჯით რუსეთმა ბელორუსს მისცა გარკვეული უსაფრთხოების გარანტიები, რასაც მისი ლიდერი ომის დაწყებიდან მოყოლებული ითხოვდა რადგან ხაზს უსვამდა ნატო-სგან მომდინარე საფრთხეებზე ბელორუსის წინააღმდეგ და რომ ის დაუცველი იყო თუ მოხდებოდა სამხედრო ესკალაცია. რუსეთის მხრიდან ტაქტიკური ბირთვული იარაღის გამოყენების საფრთხე კვლავ არსებობს, რადგან მისი აფეთქების შედეგად მოხდენა უკრაინის მცირე ტერიტორიის განადგურება, ეს შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი სამხედრო ობიექტები, მცირე ზომის დასახლებები, სტრატეგიული დანიშნულების ობიექტები და ა.შ. რაც ერთის მხრივ არ გამოიწვევს დიდი რაოდენობით რადიაციის გამოფრქვევას რომელიც მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს ნატო-ს სახელმწიფოების მოსახლეობას თუ ევროკავშირის. რადგან საომარი მოქმედებები მიმდინარეობს უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილში და რუსეთი არ გამოიყენებს მას წესით დასავლეთ უკრაინაში, მათ შორის ნაკლებად სავარაუდოა რუსეთმა ის კიევის დასაბომბად გამოიყენოს. რადგან ამაზე დასავლეთის და აშშ-ს რეაქცია საკმაოდ ხისტი იქნება, რაც რუსეთისთვის საკმაოდ მძიმე დასასრულს ნიშნავს, რადგან ის იმ მხარდაჭერასაც დაკარგავს რომელიც გააჩნია გარკვეული სახელმწიფოების მხრიდან. რასაც თუ ნებით არ იზამენ რუსეთის მომხრე რიგი სახელმწიფოები დასავლეთი და აშშ-ბი აიძულებენ დიპლომატიური გზით, სანქციების დაწესებით თუ საერთაშორიო ორგანიზაციებიდან მათი გარიცხვით და ა.შ. ეს იქნება ომის უმძიმესი დანაშაული იმ ყველაფრის მიუხედავად, რასაც რუსეთი ჩადის უკრაინის წინააღმდეგ. რუსეთი ღიად მოქმედებს და არ ერიდება ომის დანაშაულის ჩადენას რომლის ნათელი მაგალითია ბუჩა და სხვა ქალაქები თუ დასახლებები. სწორედ აქედან გამომდინარე მისი ლიდერები ღიად აცხადებენ, რომ მზად არიან ბირთვული იარაღის გამოყენებისათვის, რაც რეგიონული და გლობალური უსაფრთხოების განზომილებას საკმაოდ რთული გამოწვევის წინაშე აყენებს. შესა-

ბამისად უნდა გაიზარდოს რუსეთზე ზეწოლა არამარტო დასავლეთის და აშშ-ს მხრიდან არამედ მსოფლიოს დანარჩები გეოპოლიტიკური გავლენის ცენტრების მხრიდან რათა რუსეთმა არ გამოიყენოს თავისი ბირთვული ტაქტიკური შეიარაღება, რომლის გამოყენება უფრო მეტად სავარაუდოა ვიდრე მისი ბირთვული არსენალის სხვა ბევრად მძლავრი შეიარაღების. ცივლიზებულმა სამყარომ, არ უნდა დაუშვას რუსეთის მხრიდან ბირთვული იარაღის გამოყენება ყველა პოლიტიკური და საერთაშორისო მექანიზმის გამოყენებით.

ბიბლიოგრაფია:

ლიკლიკაძე, კ., 2024. „პუტინის მორიგი ბირთვული მუქარა – რა წერია განახლებულ დოქტრინაში?“, რადიო თავისუფლება, თბილისი. https://www.radiotavisupleba.ge

Bell, M. S., 2024. „The Russia-Ukraine War and Nuclear Weapons: Evaluating Familiar Insights“, Journal for Peace and Nuclear Disarmament, Taylor & Francis. https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/25751654.2024.2425379№d1e275

Benedek, K, J., 2024. „The security and military context of the Russia–Ukraine war“, Hungarian Journal of Legal Studies. Volume/Issue: Volume 64: Issue 4

Budjeryn, M. 2024. „Russia’s Invasion of Ukraine and Its Impact on the Global Nuclear Order.“ Belfer Center for Science and International Affairs, Harvard Kennedy School. https://www.belfercenter.org/publication/russias-invasion-ukraine-and-its-impact-global-nuclear-order

Greminger, Th., and Vsetner, T., 2022. „The Russia-Ukraine War’s Implications for Global Security: A First Multi-issue Analysis“, The Geneva Centre for Security Policy (GCSP). ISBN: 978-2-88947-401-1.

Liang, C. S., 2025. „Emerging Threats: Will the Use of New Technologies in the Russian-Ukraine War Transform the Capabilities of Terrorists?“, Published by Centre of Excellence Defence Against Terrorism (COE-DAT), Ankara. https://www.tmmm.tsk.tr/publication/researches/20-UKR–RUSwarEffectsCT.pdf

Miller, N., 2024. „ The Future of Nuclear Proliferation after the War in Ukraine“, Proliferation Papers, No. 67, Ifri. SECURITY STUDIES CENTER.

Mills, C., 2024. „Russia’s use of nuclear threats during the Ukraine conflict“, House of Commons Library. Research Briefing Number 9825

Fedchenko, V., 2023. Nuclear Security During Armed Conflict: Lessins From Ukraine“, Stockholm Internatinal Peace Research Institute SIPRI.

New Russian doctrine increases possible nuclear weapons use scenarios, 2024. The International Campaign to Abolish Nuclear Weapons (ICAN). https://www.icanw.org/new–russian–doctrine–increases–possible–nuclear–weapons–use–scenarios

2022-2024 RUSSIA-UKRAINE WAR AND THE INTERNATIONAL SECURITY ENVIRONMENT AGAINST THE BACKGROUND OF THE THREAT OF THE USE OF NUCLEAR WEAPONS: SWOT ANALYSIS

ALIKA GUCHUA
Doctor of Political Science, Associate Professor at
Caucasus International University
E-mail: alika–guchua@ciu.edu.ge
ORCID: 0000-0003-0347-9574

MARIKA NAKASHIDZE
Master Student of International Relations and
International Security at Caucasus International University
E-mail: marika.nakashidze@ciu.edu.ge
ORCID: 0009-0007-1910-4108

Abstract: The 21st century has transformed the global arena with its new threats, challenges and complexities. International security faces more and more new threats and challenges. All this requires a timely response and taking effective measures by states, regional and international organizations. The stability of international security is weakened by ongoing wars, armed conflicts, pandemics, international terrorism, economic conflicts, asymmetric threats, non-state aggressive actors, and the climate change process. The ongoing Russia-Ukraine war is a significant challenge for global security. Because, in case of critical damage as a result of the use of nuclear weapons or nuclear power plants, there will be a spread of radiation that has no borders. Open statements by Russian officials and nuclear threats are becoming more realistic as Russia's nuclear doctrine changes. The change of the nuclear doctrine by Russia is an important message for the West and especially for Ukraine, because the target of the nuclear weapon strike will be the territory of Ukraine, which has to carry out certain military actions on the territory of Russia for the purpose of self-defense. As a result of the new doctrine, Russia can use nuclear weapons if an adversary against it or its ally Belarus, using conventional weapons, poses a critical threat to Russian sovereignty. Based on this, it is important to better study and analyze the issue. The aim of the paper is to present the impact of the current Russia-Ukraine war on international security policy, as well as to assess how plausible it is for Russia to use nuclear weapons. The research process used the method of policy analysis, content analysis, and SWOT analysis in the format of the common Russian-Ukrainian war processes. The theory of the balance of power, the theory of securitization, the theory of geostrategic balance, the theory of nuclear power, the theory of cooperative security are used in the research process.

Keywords: Nuclear weapons, Russia-Ukraine war, International security, Geopolitics.

* * *

Introduction. On February 24, 2024, Russia's attack on Ukraine and the beginning of a full-scale war became one of the most significant events in modern international relations. This war has had a substantial impact on numerous factors. The preconditions for this conflict began back in 2014 with the annexation of Crimea and the armed clashes in the Donbas region. It has since evolved into the largest armed conflict in Europe since World War II, profoundly affecting not only the two countries involved but also the entire global order. Political relations between the West and Russia have become extremely strained. Energy security has grown even more relevant amid Russia's increasingly aggressive actions

and policies against Ukraine. In response, the West has imposed corresponding sanctions, and European countries have gradually begun reducing their dependence on Russian energy resources. The global security environment is deteriorating, great power hostility is increasing, and non-proliferation policy is facing new challenges(Miller, 2024). Accordingly, the threat of nuclear weapons use in the context of the Russian-Ukrainian war and other potential conflicts around the world is also growing.

During the course of the war, Russia has attempted to occupy more Ukrainian territory and seize strategic assets. However, its initial goal of fully occupying Ukraine remains unachieved – thanks largely to the resilience and fighting spirit of the Ukrainian people, along with significant support from the West. This support has come in the form of military aid, ammunition, economic assistance, political backing, and humanitarian help. The war between Russia and Ukraine combines twenty-first-century technology with the tactics of World War II, the pace of World War I, and the devastating humanitarian consequences that are the hallmark of all wars. As of February 2024, the Office of the United Nations High Commissioner for Human Rights (OHCHR) has verified 10,582 civilian deaths in Ukraine, which coincides with a massive humanitarian crisis, as thousands of Ukrainians have been internally displaced and more than 17.3 million have fled the country (Liang, 2025). The true cause of the conflict was masked by Russian propaganda at the onset of the war, with the blame placed entirely on Ukraine's current government. As in nearly every other war initiated by Russia since World War II, the opposing side was labeled as fascist – and Ukraine was no exception. Russia seeks to fulfill its imperialist ambitions by seizing and occupying the territories of other nations, which is deeply embedded in its geopolitical code. As a result, it continues – as always – to pursue the annexation of foreign lands through hybrid warfare and military aggression. For Russia, no political agreement holds value unless it serves its own interests.

Russia is the world's largest nuclear power, with an estimated 5,580 warheads as of March 2024, including a significant non-strategic nuclear arsenal of approximately 1,558 warheads. Putin has increasingly used Russia's nuclear arsenal as a means of intimidation to pressure the West into providing military and diplomatic support to Ukraine since Russia's invasion of Ukraine in February 2022 (Milles, 2024). Russia has placed its weapons on high alert, tested and deployed new nuclear weapon delivery systems, threatened to resume nuclear testing, and suspended its participation in a major nuclear arms control treaty with the United States.

A brief overview of the Russia-Ukraine war in the format of international relations theory

The February 2022 Russian invasion of Ukraine and Ukraine's subsequent resistance to Russian aggression have triggered reams of analysis. Many analyses of the role of nuclear weapons in the conflict have emphasized novel nuclear dynamics within the war and made assessments of the implications of the war for various aspects of nuclear politics, including the global nuclear order; the utility of nuclear weapons in the conflict; the effectiveness of nuclear coercion; future patterns of proliferation; broader theories about nuclear weapons and international politics (Bell, 2024).

The nature and trajectory of the Russo-Ukrainian war can be explained by a few international relations theories. The goal of international relations theory is to arm decision-makers with knowledge to enable them to make better choices regarding the conduct of states. Consider the issue of what led to this conflict. There are others who contend that the reason for this is that Vladimir Putin, a very irrational player, initiated the war on the basis of a warped imperial vision that rejects Ukraine's status as an independent state. Others contend that as Russia is a revisionist nation unhappy with the current European security framework and responding to NATO's ongoing expansion along its borders since the end of the Cold War, we shouldn't be shocked by the invasion. The oldest and most widely accepted theoretical stances on international relations – liberalism, constructivism, and realism – are somewhat echoed in these responses. Since we live in a highly interdependent world and the current global order is ensured by international institutions created to promote cooperation between states, the liberal position contends

that starting a war of this size is so counterproductive that it can only be the product of an irrational (or extremely unreasonable) decision. As a result, its capacity to explain Russian behaviour is severely constrained. An alternative perspective on the significance of material rather than ideological aspects in international relations is provided by constructivism. In a nutshell, it is helpful because it helps us comprehend the Russian leadership's reasoning behind the „irrational" invasion of Ukraine. It has long been believed, for instance, that Russia's growing hostility is „a renewed sense of self-confidence and recovery from the humiliations experienced after the Cold War „ (Greminger and Vsetner, 2022:8). This is only a portion of the answer, though, because this war has very strong material dimensions.

A very sound and somewhat gloomy perspective on international politics can be found if we look to realism to explain state behaviour. This method holds that a state's survival is its main objective. As a result, the default mode of international relations is the creation of zones of influence through power politics between states. Thus, the situation in Ukraine does not surprise realists. They witness an example of the well-known „security dilemma" – a state that aims to strengthen its own defences because it perceives that its neighbours are posing a threat. (Greminger and Vsetner, 2022:9) However, it should be noted here that Russia's real policy was not so much about eliminating the threat posed by Ukraine, but rather about satisfying its imperialist interests. Because Ukraine did not threaten it in any way, and even more so, the question of Ukraine's accession to NATO was not directly on the agenda, because Ukraine, both before and after the war, has much to do in terms of forms and policies to meet the criteria for NATO membership. However, this war has given Ukraine an additional window to join NATO, if NATO decides to do so, and this will be a pragmatic approach to containing Russia's aggressive policy. However, Russia, for its part, has certain demands, including granting Ukraine neutral status and refusing to join military-political alliances. Which is not necessarily Russia's prerogative, but its ultimatum is appropriate. Which is accompanied by a policy of using nuclear weapons and intimidation. To which Ukraine responds quite adequately and is not afraid of such statements from Russia.

This succinct summary makes it abundantly evident that realism is the most appropriate theory to explain the geopolitical circumstances surrounding the conflict in Ukraine. It should be highlighted, nevertheless, that all of these theories are ultimately oversimplified to aid in our comprehension of the intricacies of global politics, establishing a conceptual framework that helps make events more comprehensible and, to some degree, predictable. It is also important that over time, some theories may seem more relevant than others. Therefore, it is important to analyze the current dynamics and expected consequences using different theories in the format of political analysis. Especially when this war is shrouded in nuclear deterrence theory and balance of power theory, hybrid war theory, etc. Several important theories without which the formation of an overall security picture is impossible.

In addition to violating the basic principles of international law, the conflict that started on February 24, 2022, has the potential to drastically and permanently alter the global order.One Tens of thousands of people have been killed, millions have been displaced, hundreds of billions of euros have been spent on infrastructure destruction, and the Russian invasion has been a heinous assault on the post-World War II global order. Nowadays, the majority of international leaders discuss a new global order. The remarkable resilience of the Ukrainian people has inspired international solidarity and strengthened ties between most NATO and EU member states. War crimes are an integral part of Russian combat, not merely a „by-product" of conflict. Russian soldiers are wreaking havoc on innocent communities by striking civilian infrastructure in addition to military targets. Due to its immense scope, the Russian-Ukrainian conflict transcends the boundaries of post-Soviet space and has ramifications for the global order (Benedek, 2024: 560). It should also be noted that the Russia-Ukraine war, in addition to being a contest of wills and weapons, is also a testing ground for the future. The conflict in Ukraine has turned into a unique testing ground, a dreadful Silicon Valley of sorts, aggressively experimenting with the technology innovations of the last twenty years. It has been called a „technology" battle, with the war effort being continuously strengthened by freshly created applications, state-of-the-art technologies, and unwavering human will (Liang, 2025).

Changes in Russia's nuclear doctrine

On September 25, 2024, Russian President Vladimir Putin proposed to the Security Council that Russia's nuclear doctrine be revised to allow the use of nuclear weapons even in cases where its borders are massively crossed by cruise missiles, drones, and other flying objects (Liklikadze, 2024). The Russian Security Council convenes twice a year, and in this particular case, the session was dedicated to nuclear deterrence policy. According to the proposed changes, Russia reserves the right to take extreme measures to protect its national security, including the use of nuclear weapons and nuclear forces. This raises the question: to what extent can Russia employ nuclear weapons against Ukraine under the new doctrine?

The necessity to amend Russia's nuclear doctrine has been driven by Ukraine's increasingly intensified drone attacks deep inside Russian territory. These attacks target military installations, strategic sites, and include significant strikes on weapons depots, command centers, and areas of concentrated military assets. As a result, future attacks are anticipated on airbases housing Russia's strategic bombers and other critical infrastructure. It is known that the United States and the United Kingdom plan to supply Ukraine with long-range precision-guided missiles, enabling Ukraine to strike deeper into Russian territory in pursuit of military superiority. Specifically, these include the American ATACMS missiles with a range of up to 300 kilometers, and the Anglo-French Storm Shadow missiles with a range of up to 560 kilometers. According to Ukrainian authorities, the use of such weapons within Russian territory is expected to accelerate Ukraine's path to victory (Liklikadze, 2024).

It is important to examine the nuclear doctrine adopted by Russia in 2020, which provides for a retaliatory nuclear strike in cases where an adversary uses weapons of mass destruction against Russian territory or that of its allies. The doctrine also permits the use of nuclear weapons if an enemy attack targets state or military facilities whose destruction could undermine Russia's ability to launch a nuclear response, or if the existence of the Russian state faces an existential threat. According to President Putin, given the military threats and challenges currently posed against Russia and its allies, it is essential to revise the existing doctrine to allow broader conditions for the potential use of nuclear forces.

In the revised edition of Russia's nuclear doctrine, President Vladimir Putin stated that nuclear weapons may be used not only in response to a nuclear attack on Russia, but also in the event of a massive conventional assault. Furthermore, „any aggression against Russia by a non-nuclear state, if carried out with the involvement or support of a nuclear-armed state, will be considered a 'joint attack against the Russian Federation'" (Liklikadze, 2024).

A new nuclear weapons doctrine proposed in September was formally adopted by Russia on November 19. According to the new doctrine, if a non-nuclear-armed state supported by a nuclear-armed state attacks Russia's territory, Russia may respond with nuclear weapons. It is crucial to take the nuclear threat and the increasing intent behind it seriously, even though analysts disagree about how new the doctrine is in comparison to previous declarations of a similar nature. ICAN condemned the new doctrine when it was announced in September, saying: „Today's updates to Russia's nuclear doctrine outlining when Russia would use nuclear weapons are dangerously ambiguous. They blur the line between conventional and nuclear attack and undermine predictability, increasing the risk of nuclear war" (New Russian doctrine increases possible nuclear weapons use scenarios, 2024).

The updated doctrine outlines the core conditions under which Russia would be entitled to employ nuclear weapons from its arsenal. As President Putin noted, „We will consider such an option immediately upon receiving reliable information about the mass launch of air and space-based strike assets and their crossing of our national borders" (Liklikadze, 2024).According to Putin, these strike assets include aircraft within strategic and tactical aviation, cruise missiles, drones, hypersonic weapons, and other types of airborne systems. He further emphasized, „We reserve the right to use nuclear weapons in the event of aggression not only against Russia, but also against Belarus, as a member of the Union State. All these matters have been coordinated with the Belarusian side, including with President Lukashenko – particularly in cases where conventional weapons used by an adversary pose a critical

threat to our sovereignty“ (Liklikadze, 2024).Beyond Putin himself, the potential use of nuclear weapons has become a recurring theme in public statements by key figures in Russia's political and security establishment. For instance, former President and current Deputy Chairman of the Russian Security Council has repeatedly threatened Ukraine with nuclear annihilation. Foreign Minister Sergey Lavrov has echoed similar rhetoric. Russian state-controlled media and propaganda outlets consistently amplify these narratives, frequently issuing nuclear threats and even calling outright for the use of nuclear weapons. This kind of discourse significantly increases the perceived risk of a limited nuclear strike, particularly through the deployment of low-yield tactical nuclear weapons under specific battlefield circumstances. The question of whether Russia could resort to the use of tactical nuclear weapons on the battlefield in Ukraine has also invariably arisen over the last three years of the conflict. Members of the G7, including nuclear powers France, the US and UK, have called Russia's nuclear posturing „irresponsible“ and „unacceptable“. In June 2023, former NATO Secretary General Jens Stoltenberg condemned Russia's „reckless nuclear rhetoric“, a view that has since been shared by the new Secretary General Mark Rutte (Mills, 2024:2). It is also worth noting that President Putin has explicitly warned Western countries against transferring medium-range missile systems to Ukraine. According to him, if such transfers occur, Russia will interpret this as a clear signal that NATO and EU member states are directly participating in the conflict. In that case, he said, Russia will be forced – out of necessity arising from the emerging threats – to take appropriate action. He warned that such a development would have dire and irreversible consequences for Ukraine and its population.

The Russia-Ukraine War and the Policy of Nuclear Deterrence

Ukraine's difficult situation is due to its flawed nuclear history, which led Ukraine to decide in 1994 to give up the huge nuclear arsenal it inherited from the collapse of the Soviet Union. Despite some pressure, it had a choice to either give up its nuclear weapons or keep them. Despite some difficulties, Ukraine's leaders had to make the appropriate decision and give up its nuclear arsenal. Ultimately, Ukraine decided to give up its nuclear legacy and join the non-nuclear states as a non-nuclear state, especially because it wanted to receive some support and assistance from the international community. Otherwise, it could be subject to sanctions. What motives dictated this does not really matter, because if they wanted to do so, they would have implemented the corresponding policy. However, it should be noted that in exchange for disarmament, Ukraine was promised security guarantees, protection from the use of force, nuclear or otherwise, against Ukraine, according to the agreement. This was envisaged in the so-called Budapest Memorandum between the three nuclear powers: the United States, Great Britain and the Russian Federation. This document has become an integral part of the international non-proliferation regime. In 2014, one of the signatory states, Russia, grossly violated it, and in 2022 – with new aggression and cruelty, accompanied by nuclear threats. As a result, the credibility of the non-proliferation regime and the value of security guarantees as an instrument of non-proliferation policy are undermined.

After Russia's invasion of Ukraine, the prospects for arms control and arms reduction between the United States and Russia have become even more ambiguous. The United States and Russia hardly talk to each other. This creates a significant problem for nuclear security. The latest treaty to reduce strategic offensive weapons, New START, expires in February 2026, and without the prospect of a follow-on agreement, the world could find itself without a single arms control treaty that would limit the world's largest nuclear arsenals for the first time in five decades. The lack of progress on arms control will surely further deteriorate the global nuclear order.

The conflict in Ukraine represents a setback to the arms control and nuclear nonproliferation components of the System of Nuclear Abstinence. The crucible of Ukraine is a case study of what happens to a nation that is not shielded by a nuclear deterrent, whether it be its own or one provided by an ally, even if restraint between Russia and NATO may be a good illustration of how nuclear deterrence op-

ყირიმის ომის პერიოდში საომარი მოქმედებების ზონაში მოექცა დასავლეთ საქართველო, მათ შორის აფხაზეთისა და სამეგრელოს სამთავროები. აფხაზეთის მთავარმა მიხეილ შარვაშიძემ რუსეთს დიდი სამსახური გაუწია, რისთვისაც იმპერატორმა იგი თეთრი არწივის ორდენით დააჯილდოვა. ამის მიუხედავად 1856 წელს კავკასიის მეფისნაცვალმა ნ. მურავიოვმა ყირიმის ომის დროს თითქოს მიხეილ შარვაშიძის ღალატის გამო აფხაზეთის სამთავროს გაუქმების საკითხი აღძრა, მაგრამ იმპერატორმა ალექსანდრე II-მ შუამდგომლობა იმჟამად არ მიიღო. რადგან ომი ჩრდილოეთ კავკასიაში გრძელდებოდა, შესაბამისად, ცარიზმს მიხეილ შარვაშიძე ჯერ კიდევ სჭირდებოდა. იმპერატორმა აფხაზეთის მთავრის ღალატი არ სცნო დამტკიცებულად და ეს საქმე კვლავ მიყუჩდა (ხორავა, 2004:46). რუსეთმა მოხერხებულად გამოიყენა 1856 წელს სოციალურ ნიადაგზე დაწყებული აჯანყება სამეგრელოში და სამთავრო მმართველობა გააუქმა, ხოლო 1864 წელს დასავლეთ კავკასიის დაპყრობის შემდეგ ვითარება შეიცვალა. რუსეთის ხელისუფლებას უკვე ჰქონდა შემუშავებული კავკასიის კოლონიზაციის გეგმა, რომელიც შავი ზღვის აფხაზეთის სანაპიროზე კაზაკების დასახლებას ითვალისწინებდა. აღნიშნულის განხორციელება მთავრის ხელისუფლებისა და მიწისმფლობელი მკვიდრი მოსახლეობის პირობებში შეუძლებელი იქნებოდა (ძიძარია, 1982:250-252), ამიტომ ალექსანდრე II-მ მიიღო აფხაზეთის სამთავროს გაუქმებისა და აფხაზეთში რუსული მმართველობის შემოღების გადაწყვეტილება (სცსსა, ფ. 416, ა. 3, ს. 177, ფურც. 48). აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი მიხეილ შარვაშიძე, რომელმაც თავის დროზე რუსეთს დიდი სამსახური გაუწია, სამშობლოდან ვორონეჟში გადაასახლეს, სადაც 1866 წ. გარდაიცვალა კიდეც. ანდერძისამებრ იგი აფხაზეთში ჩამოასვენეს და მოქვის ტაძარში დაკრძალეს (ხორავა, 2011:280 – 284).

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის დაპყრობის შემდეგ ვითარება შეიცვალა. „მრავალწლიანი ომი, რომელსაც აწარმოებდა რუსეთი კავკასიის დამორჩილების მიზნით, დასრულდა. მისი ერთ-ერთი შედეგი იყო მთიელთა მასობრივი გადასახლება თურქეთში, რომელიც გადასახლებულთათვის ეროვნულ ტრაგედიად გადაიქცა (История внешней политики России, 1999:67). რუსეთის ხელისუფლებას უკვე ჰქონდა შემუშავებული კავკასიის კოლონიზაციის გეგმა, რომელიც შავი ზღვის სანაპიროზე კაზაკების დასახლებას ითვალისწინებდა. თუ რეალურად რა მიზნები ჰქონდა ცარიზმს აფხაზეთში, ნათელს ხდის ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის დ. სვიატოპოლკ-მირსკის კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსის კარცოვისადმი 1864 წ. გაგზავნილი წერილი: „თუ აფხაზების ნაწილი სამთავროს გაუქმების შემდეგ თურქეთში გადასახლებას მოისურვებს, ჩვენ ამას ხელი არ უნდა შევუშალოთ“ (ჯანაშია, 1988:7). რუსეთის პოლიტიკა აფხაზეთში არც ამის შემდეგ შეცვლილა. სოხუმის ოკრუგის უფროსი 1900 წელს ქუთაისის გუბერნატორს მიმართავდა: „რუსეთის კოლონიზაციას მხარეში პოლიტიკური თვალსაზრისით აქვს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. მით უფრო, რომ აფხაზები, როგორც ოკრუგის ძირითადი მოსახლეობა, დღემდე რჩება უკიდურესად დაბალკულტურულ ეროვნებად განვითარების დონით, მერყევია რელიგიური რწმენით, არაერთხელ გამოავლინა თავისი პოლიტიკური არაკეთილსაიმედოობა... ეს მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას, საუკეთესო საშუალებად უნდა ვცნოთ მხარის კოლონიზაცია რუსი მოსახლეობით“ (ქცა, ფ. 186, ა. 1, ს. 69, ფურც. 11-12).

რუსეთის ხელისუფლებამ მონდომებით შეადგინა აფხაზთა გასახლების გეგმა. განისაზღვრა 4500 ოჯახის გასახლება. ამ საკითხში რუსეთმა ოსმალეთთან საერთო ენა გამონახა, ანალოგიური იქნება ორი იმპერიის დამოკიდებულება მოგვიანებით აჭარელთა გადასახლების საკითხში. რუსეთისა და ოსმალეთის თანამშრომლობა აფხაზებისა და სხვა კავკასიელი ხალხების მუჰაჯირობის საქმეში შემთხვევითი არ ყოფილა. თუ რუსეთი აბორიგენი მოსახლეობის გასახლებით კოლონიზაციის საქმეს „აწესრიგებდა“, თურქეთს სურდა მთიელები დაებინავებინა დაუსახლებელ და ნაკლებად დასახლებულ ადგილებში, აეთვისებინა ის ტერიტორიები, თანაც რუსეთის საზღვისპირა რაიონებში. ამ კონტინგენტს სულთანი გამოიყენებდა როგორც იმპერიაში მიმდინარე ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ჩასახშობად, ისე რუსეთის წინააღმდეგ მოსალოდნელ ომში (აჩუგბა, 1988:15).

აფხაზთა გადასახლების პირველი ტალღა განხორციელდაა 1867 წელს. მთავრობამ „გეგმა“ ბოლომდე მაინც ვერ შეასრულა – დაგეგმილი 4500 ოჯახის ნაცვლად ოსმალეთში გადასახლდა 3358 ოჯახი, 19.342 სული (სცსსა, ფ. 545, ა. 1, ს. 91, ფურც. 205-250; ხორავა, 2011:73). სამწუხაროდ, აფხაზთა გადასახლების პროცესი ამით არ დასრულებულა.

XIX საუკუნის 70-იან წლებში ბალკანეთის პრობლემის გამწვავებამ რუსეთ-ოსმალეთის მორიგი ომი გარდაუვალი გახადა. რუსეთი ტრადიციულად მხარს უჭერდა ბალკანეთის სლავი ხალხების განმათავისუფლებელ ბრძოლას. 1875 წელს ბალკანეთზე დაწყებულ აჯანყებას ოსმალებმა მკაცრი დამსჯელი ღონისძიებებით უპასუხეს. რუსეთი აჯანყებულთა „დასაცავად“ გამოვიდა. ქართული პრესა, კერძოდ კი „ივერია“ და „დროება“, განსაკუთრებული ყურადღებით მიმოიხილავდა ბალკანეთის საკითხის ირგვლივ შექმნილ ვითარებას, მისდამი ევროპის დიდი სახელმწიფოების დამოკიდებულებას. „დროება“ მოწინავეში „ომის საქმე“ წერდა: „ოსმალეთი არცერთ იმ წინადადებაზე არ დათანხმებულა, რომელიც სტამბოლის კონფერენციამ წარუდგინა... ვერა გააწყო რა... კონფერენციის დაშლა მოასწავებს იმას, რომ რუსეთი და ოსმალო ახლა თავის ნებაზედ იქნებიან მიშვებულნი, შეუძლიათ პირდაპირ ომი გამოუცხადონ ერთმანეთს...“ (დროება, N14, 12 იანვარი 1877).

თუ როგორი პოზიცია უნდა დაეჭირა ქართველობას მოსალოდნელი ომის დროს, ამასთან დაკავშირებით ნ. ნიკოლაძე წერდა: „ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენი ქვეყნის სახელი, სიკეთე და მომავალი ჩვენს საკუთარ საქციელზეა დამოკიდებული. ნუ შევირცხვენთ დღემდე პატივცემულს სახელს... ნუ დავიმალვით სოროში. ჩვენი გონიერი, წესიერი და პატიოსანი საქციელი მაღლა ასწევს საქართველოს სახელს და მტერსა და მოყვარეს დაანახებს, რომ ჩვენი ხალხი სიყვარულის, პატივისცემის, მორიდების და კეთილდღეობის ღირსია“ („დროება“ N37, 6 აპრილი 1877). ე.ი მოსალოდნელ ომში ქართველი საზოგადოება, იმედოვნებდა რა ოსმალთაგან მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნებას, მზად იყო მხარი დაეჭირა რუსეთისათვის.

1877 წლის 12(24) აპრილს რუსეთ-ოსმალეთის ახალი ომი დაიწყო. ომის დაწყებისთანავე საბრძოლო მოქმედებები ორ ფრონტზე – ბალკანეთსა და კავკასიაში დაიწყო. ფრონტების რუსეთის მხრიდან ხელმძღვანელობდნენ იმპერატორის ძმები: ბალკანეთის ფრონტს დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე სარდლობდა, ხოლო კავკასიის ფრონტს დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე. ფრონტებს განსხვავებული სტრატეგიული მიზნები ჰქონდა დასახული. რუსული სარდლობის გეგმით კავკასიის ფრონტს უნდა დაებანდებინა მაქსიმალურად ოსმალთა ძალები ანატოლიაში და აეღო ყარსი, ერზრუმი და ბათუმი.

კავკასიის ფრონტზე 1877 წლის გაზაფხულიდან მძაფრი ბრძოლები გაჩაღდა, ოქტომბრისთვის ოსმალთა ძირითადი ძალები დამარცხებული იყვნენ, ხოლო რუსეთის არმიამ რამდენიმე ასეული კილომეტრით წაიწია წინ ოსმალეთის სიღრმეში (История России, 2003: 212), თუმცა ასეთივე წარმატებული ვერ გამოდგა რუსული არმიისა და ქართველი მოხალისეების შემდეგი წინსვლა ბათუმის მიმართულებით.

ოზურგეთიდან ბათუმის მიმართულებით შეტევაზე გადასულ ოზურგეთის რაზმს გენერალ-ლეიტენანტი ივან ოკლობჟიო მეთაურობდა. ომის გამოცხადების პირველსავე დღეს რაზმმა გადალახა მდ. ჩოლოქი და ძლიერი ბრძოლები გააჩაღა მუხაესტატესა და ხუცუბნის მიმართულებით. ამიერიდან ოზურგეთის რაზმს, რომელიც ქობულეთის ტერიტორიაზე აწარმოებდა ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლებს, ქობულეთის რაზმი ეწოდა. შეტევამ გაჭიანურებული ხასიათი მიიღო. რთულ რელიეფს ერთვოდა უამინდობა, საქმეს ართულებდა ისიც, რომ ზღვაზე ოსმალებს ჰქონდათ აშკარა უპირატესობა. ამის გამო ბრძოლები ბათუმის მიმართულებით იმდენად ნელა წარიმართა, რომ ციხისძირს ქობულეთის რაზმმა მხოლოდ 1877 წლის ივლისის დასაწყისში მიაღწია. საქმეს ვერც კავკასიის ჯარების მთავარსარდლის მიხეილ რომანოვის ბრძოლის წინა ხაზზე (სოფ. მუხაესტატესთან) სტუმრობამ უშველა. კავკასიის ფრონტის მთავარსარდლობა ვერ ითმენდა ბათუმის მიმართულებით შექმნილ ვითარებას და მდგომარეობის გამოსწორებას დაჟინებით ცდილობდა. მაგრამ რუსეთის ჯარებს დიდი წარმატებები ჰქონდა ბალკანეთში, სადაც მათ აიღეს პლევნა და კონსტანტინოპოლს მიუახლოვდნენ. გადამწყვეტ წარმატებას მიაღწიეს კავკასიის ფრონტის ძირითად მიმართულებაზე – აიღეს ძლიერი ყარსის ციხე-სიმაგრე. ყარსისა და პლევნის დაცემის შემდეგ ოსმალეთმა დაჰკარგა ომის წარმატებით დასრულების იმედი და ევროპის სახელმწიფოებს მიმა-

რთა რუსეთთან საზავო მოლაპარაკებაზე შუამდგომლობის მოთხოვნით (Мегрелидзе, 1969:88). ბალკანეთისა და კავკასიის ფრონტებზე მოპოვებული გამარჯვებების შედეგი ის იყო, რომ 1878 წლის იანვრისათვის რუსეთის ჯარები ბალკანეთიდან სტამბოლს მიუახლოვდნენ, ხოლო კავკასიის ფრონტზე ყარსის დაკავების შემდეგ არზრუმისაკენ გზა გაეხსნათ. როგორც ჩრდილოეთიდან, ისე სამხრეთ-დასავლეთიდან სტამბოლს სერიოზული საფრთხე დაემუქრა. ოსმალეთი იძულებული გახდა, დაზავებაზე დაეწყო ფიქრი. სულთანს სურდა, თავიდან აეცილებინა რუსეთის ჯარების შეტევა სტამბოლზე, თუმცა იმასაც გრძნობდა, რომ ალექსანდრე II ბრძოლებში დაღუპული უამრავი ოფიცრისა და ჯარისკაცის სისხლის სანაცვლოდ დიდ დათმობებს მოითხოვდა. იმპერატორმა ბალკანეთისა და კავკასიის ფრონტის მთავარსარდლებს წინასწარ გაუგზავნა ინსტრუქცია, რომლის მიხედვითაც მათ უნდა ემოქმედათ, თუ ოსმალო სარდლები დაზავების წინადადებით მიმართავდნენ (გურული,2018:370).

რუსეთის მხარემ თავისი მოთხოვნები გადასცა მოწინააღმდეგე მხარეს. ოსმალეთს უნდა დაეტოვებინა არზრუმი, ბაიაზეთი და ბათუმი. მოლაპარაკებების პარალელურად კვლავ გრძელდებოდა საომარი ოპერაციები, რომელშიც წარმატებით შეტევას განაგრძობდა რუსეთის არმია. ამან აიძულა სულთანი დაეკმაყოფილებინა გამარჯვებულის მოთხოვნები. 19 (31) იანვარს ადრიანოპოლში მხარეებმა ხელი მოაწერეს ომის შეწყვეტისა და მომავალი საზავო ხელშეკრულების ძირითად პრინციპებზე შეთანხმებას (История внешней политики России, 1997 :208). 1878 წლის თებერვალში სან-სტეფანოში დაიწყო საზავო ხელშეკრულებაზე მოლაპარაკებები. რუსეთის მხარეს წარმოადგენდა ნ. იგნატიევი (რუსეთის ყოფილი ელჩი კონსტანტინეპოლში) და პ. ნელიდოვი, ხოლო ოსმალთა მხარეს საფვეტ-ფაშა და სადულაჰ ფაშა. ოსმალეთის დიპლომატები ცდილობდნენ, გაეჭიანურებინათ მოლაპარაკების პროცესი, რადგან იმედოვნებდნენ წინასწარი შეთანხმების პირობების გადასინჯვას ევროპის ქვეყნების მხარდაჭერით. თავის მხრივ რუსული დიპლომატიაც ხვდებოდა, რომ ხელშეკრულების გაფორმება აიძულებდა ევროპას ეცნო მისი პირობები. რამდენიმე დღის დაძაბული დაპირისპირების შემდეგ, 1878 წლის 19 თებერვალს (3 მარტს) გაფორმდა საზავო ხელშეკრულება, რომლის პირობები სრულიად შეესაბამებოდა გამარჯვებული რუსეთის ინტერესებს. სან-სტეფანოს საზავო პირობებით ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ვითარება რუსეთის მოთხოვნების შესაბამისად წყდებოდა – სერბია, ჩერნოგორია და რუმინეთი დამოუკიდებლობას ღებულობდა. ბულგარეთს ენიჭებოდა სამთავროს სტატუსი (დამოუკიდებელი მთავრობით) ოსმალეთის მფარველობაში. ომის შედეგად მიღებული ზარალისათვის რუსეთმა მოითხოვა და ბრწყინვალე პორტა ვალდებულებას იღებდა მისთვის გადაეხადა:

ა) 900 მილიონი მანეთი სამხედრო ხარჯებისათვის (არმიის შენახვის, სურსათის, სამხედრო დაკვეთების ხარჯები);

ბ) 400 მილიონი მანეთი რუსეთის სამხრეთისათვის მიყენებული ზარალისათვის (ვაჭრობის, მრეწველობისა და რკინიგზაზე მიყენებული ზიანისათვის);

გ) 100 მილიონი მანეთი კავკასიაში შეჭრის დროს მიყენებული ზარალისათვის;

დ) 10 მილიონი მანეთი თურქეთში რუსეთის ქვეშევრდომებისა და რუსულ დაწესებულებებზე მიყენებული ზიანისათვის.

სულ ათას ოთხას ათი მილიონი მანეთი (Сборник договоров России с другими государствами (1856-1917), 1952:168-169).

ითვალისწინებდა რა ოსმალეთის მძიმე ფინანსურ მდგომარეობას და სულთნის სურვილს, რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე II დათანხმდა გადასახდელი თანხის ძირითადი ნაწილის სანაცვლოდ მიეღო ტერიტორიული დათმობები. ოსმალეთი გადასახდელი თანხის 2/3 სანაცვლოდ უთმობდა რუსეთს სამხრეთ ბესარაბიას, ხოლო კავკასიაში – ყარსს, არდაგანს, ბაიაზეთსა და ბათუმს (Троицкий,1999:170). აღნიშნული ტერიტორიები ეძლეოდა რუსეთს ათას ასი მილიონი მანეთის სანაცვლოდ.

ოსმალეთის წარმომადგენლები, ხედავდნენ რა, რომ რუსეთი დათმობაზე წასვლას არ აპირებდა, იძულებული იყვნენ, დათანხმებოდნენ და ეცნოთ გრაფ ნ. იგნატიევის შეთავაზებული საზავო პირობები და სასაზღვრო ხაზი. სანაცვლოდ ოსმალებმა მოითხოვეს კონტრიბუციის რაოდენობის 40 შემცირება. რუსეთის წარმომადგენლებმა ტერიტორიული დათმობები, რომლებიც მოიცავდა ყა-

რსს, ბათუმს, არტაანსა, ყაგიზმანს, ბაიაზეთს) შეაფასეს 1100 მლნ. ფრანკად, ხოლო 300 მილიონი ოსმალებს უნდა გადაეხადათ ნაღდი სახით (Игнатьев, 1916:228).

სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების XXI სტატიით რუსეთისათვის გადაცემული ტერიტორიების მოსახლეობას, მათ ვისაც გადასახლების სურვილი ექნებოდათ, შეეძლოთ, გაეყიდათ თავიანთი უძრავი ქონება ხელშეკრულების რატიფიცირებიდან 3 წლის განმავლობაში.

ამრიგად, რუსეთმა აიძულა თურქები, დაეთმოთ ის ტერიტორიები, რომელზეც საუბარი იყო პირველი კავკასიური პროექტით: ბათუმი, ყარსი, ბაიაზეთი და მთელი ტერიტორია სოღანლუღის ქედის ჩათვლით (Мегрелидзе,1969:101).

სან-სტეფანოს საზავო პირობები რუსეთის სერიოზულ წარმატებებს აკანონებდა როგორც ბალკანეთში, ისე კავკასიაში, რაც მიუღებელი იყო ევროპის სახელმწიფოებისათვის, განსაკუთრებით ინგლისისათვის.

1877 წ. დასასრულს დიდი ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკის მესვეურები და სამხედრო წრეებიც სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ბათუმზე კონტროლის საკითხს და ამიტომ შეშფოთებულნი იყვნენ კავკასიის ფრონტზე რუსეთის წარმატებებით. მათ განსაკუთრებით ის აწუხებდათ, რომ რუსეთის არმიის მიერ ბათუმის აღება რუსეთის დიპლომატიას შედარებით გაუადვილებდა დაეთანხმებინა რუსეთთან ბათუმის შეერთების მოწინააღმდეგეები (ჩხეიძე, 1974:33). მას (დიდ ბრიტანეთს) მხარს უჭერდნენ ავსტრია-უნგრეთი და საფრანგეთი. ევროპის სახელმწიფოთა უკმაყოფილება მხოლოდ პროტესტით როდი შემოიფარგლებოდა, მათ ომისათვის მზადება აშკარად დაიწყეს. განსაკუთრებით აქტიურობდა ინგლისი. პრემიერ-მინისტრ ბიკონსფილდის (დიზრაელის) შუამდგომლობით დედოფალმა ვიქტორიამ 1878 წლის მარტის ბოლოს თადარიგში მყოფთა მობილიზაცია გამოაცხადა. ინგლისის გემები დარდანელისაკენ დაიძრნენ (Восточный вопрос во внешний политике России, 1978:226). რუსეთი ახალი დიდი ომის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა – ამიტომ დათანხმდა სან-სტეფანოს საზავო პირობების გადასინჯვას ევროპის სახელმწიფოთა კონგრესზე. 1878 წ. ომის განახლება საჭირო აღარ გახდა. ომით დასუსტებული და იზოლაციაში მყოფი რუსეთი დათმობებზე წავიდა. ეს ინგლისის დიპლომატიის დიდ წარმატებას წარმოადგენდა.

1878 წლის 1 (13) ივნისს ბერლინში გაიხსნა ევროპის სახელმწიფოთა კონგრესი, რომელსაც უნდა გადაესინჯა სან-სტეფანოს ზავის პირობები. ესწრებოდნენ რუსეთის, ოსმალეთის, ინგლისის, გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, საფრანგეთისა და იტალიის დელეგაციები. კონგრესის მსვლელობისას გამოირკვა, რომ რუსეთი ფაქტობრივად საერთაშორისო იზოლაციაში მოექცა და იძულებული გახდა, სერიოზულ დათმობებზე წასულიყო. განსაკუთრებით სერიოზული წინააღმდეგობა წარმოიშვა ბათუმის საკითხის გამო. ინგლისს არ სურდა ასეთი სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობის ცენტრი რუსეთს გადასცემოდა. ამაზე გორშჩაკოვს უპასუხნია, რომ რუსეთი თმობს არზრუმს, ბაიაზეთს, ალაშკერტის ხეობას. მას ისიც აღუნიშნავს, რომ ეს ინგლისის სავაჭრო ინტერესებს პასუხობდა, რადგან ამ უკანასკნელზე გადიოდა მთავარი სავაჭრო გზა სპარსეთისაკენ. იქვე იგი მიუთითებდა, რომ ბათუმი ცხადდებოდა თავისუფალ ქალაქად, მასზე რუსეთის სუვერენული უფლებების დაწესებით. ბათუმის ასეთი სტატუსი პასუხობდა ყველა მოვაჭრე ქვეყნის, უფრო მეტად კი ბრიტანეთის ინტერესებს, რომელსაც ყველაზე დიდი სავაჭრო ფლოტი გააჩნდა. გორშჩაკოვი პირდაპირ ამბობდა, რომ რაღა აქვს ინგლისს სადავო – ბათუმის საკითხი ხომ მის ინტერესების შესაბამისად მოგვარდაო. გორშჩაკოვის ეს განცხადება მიუთითებდა რუსეთის შიშზე – ბათუმის საკითხში კიდევ არ წასწყდომოდა ინგლისის მხრიდან წინააღმდეგობას ("Голос", 1878:N5; ჩხეიძე, 1974:91).

ამგვარად, ინგლისის დელეგაციამ თავდაპირველად სცადა, არ დაეშვა არანაირი ფორმით რუსეთისათვის ბათუმის გადაცემა, მაგრამ წააწყდა რა აღნიშნულ საკითხში რუსეთის დელეგაციის მტკიცე პოზიციას... შემდეგ წინადადება წამოაყენა, რომ შეექმნათ ბათუმის (ლაზეთის) „დამოუკიდებელი სახანო" მასზე საერთაშორისო კონტროლით. ასეთ შემთხვევაში რუსეთს პორტით სარგებლობის შეზღუდული უფლება ექნებოდა. ბოლოს ბიკონსფილდი შეჩერდა ბათუმის თავისუფალ პორტად გამოცხადების იდეაზე იმ პირობით, თუ იგი იქნებოდა „მხოლოდ კომერციული" („გაუმაგრებელი", „შეუიარაღებელი") პორტი, მაგრამ რუსეთმა მიაღწია ბათუმისათვის „არსებითად კომერციული" პორტის სტატუსის მიღებას, რაც იმ პირობებში რუსეთის დელეგაციის გარკვეულ

წარმატებად უნდა იქნას მიჩნეული. რუსეთშიც ბევრს მიაჩნდა, რომ ბათუმის საკითხში რუსეთმა კონგრესზე წარმატებას მიაღწია (ჩხეიძე, 1974:114).

საბოლოოდ ბათუმი რუსეთს გადაეცა პორტო-ფრანკოს თავისუფალი სავაჭრო ნავსადგურის სტატუსით. ინგლისის დელეგაცია დათანხმდა ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადებას იმ მიზნით, რომ მომავალში ქალაქი რუსეთის წინააღმდეგ სამხედრო და ეკონომიკური შეტევისათვის გამოეყენებინა.

მაგრამ ბათუმი ჯერ კიდევ ოსმალთა ხელში რჩებოდა. ბათუმის გადაცემის საკითხის საბოლოოდ შესათანხმებლად შედგა რუსეთ-ოსმალეთის ერთობლივი კომისია. შერეული კომისიის სხდომა გაიმართა ქალაქ ქუთაისში 1878 წლის 12-20 აგვისტოს. ოსმალეთის მხარე ვალდებულებას იღებდა, ბათუმიდან ჯარები გაეყვანა 25 აგვისტოსათვის. 25 აგვისტოს 11:00 საათზე რუსთა და ქართველთა ჯარი ბათუმში შევიდა. კავკასიის მეფისნაცვალმა დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ იმპერატორ ალექსანდრე II-მ ეს დეპეშით მიულოცა – „Имею счастье поздравить Ваше Императорское величество с занятием Батума“ (Троицкий, 1999:100).

სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულებამ და ბერლინის ტრაქტატმა საბოლოოდ მაინც ვერ მოაგვარა რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა. 1879 წლის იანვარში კონსტანტინოპოლში მიმდინარეობდა მოლაპარაკებები. რუსეთის მხარეს წარმოადგენდა საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სულთნის კარზე ალექსეი ლობანოვ-როსტოვსკი, ხოლო ბრწყინვალე პორტას წარმოადგენდნენ ოსმალეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ალი ყარათეოდორ-ფაშა და სულთნის მინისტრი და სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ალი-ფაშა. 1879 წლის 27 იანვარს (8 თებერვალს) სტამბოლში ხელი მოაწერეს რუსეთ-ოსმალეთის ახალ სამშვიდობო საზავო ხელშეკრულებას. შეთანხმება მოიცავს 12 სტატიას და გარკვეულად აზუსტებს ბერლინის ტრაქტატის ზოგიერთ მუხლს.

რუსეთ-ოსმალეთის 1879 წლის 8 თებერვლის სტამბოლის ხელშეკრულებამ ძალაში დატოვა ბერლინის ტრაქტატით განსაზღვრული რუსეთ-ოსმალეთის საზღვარი აზიაში (გურული, 2018:391).

ამრიგად, 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში მოპოვებულმა სამხედრო წარმატებებმა რუსულ დიპლომატიას შესაძლებლობა მისცა ოსმალეთისაგან მნიშვნელოვანი დათმობები მოეთხოვა როგორც ბალკანეთში, ისე კავკასიაში. ამ ვითარებას გამოხატავდა 1878 წლის სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულება. ევროპის სახელმწიფოების მუქარით რუსეთი იძულებული გახდა, დათანხმებოდა აღნიშნული პირობების ბერლინის კონგრესზე გადასინჯვას, სადაც მას სერიოზულ დათმობებზე წასვლაც მოუწია, თუმცა შეინარჩუნა ქ. ბათუმი (მართალია პორტო-ფრანკოს სტატუსით) და საქართველოსა და სომხეთის ისტორიული ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი, რითაც გაცილებით განიმტკიცა როგორც ეკონომიკური, ისე სამხედრო-სტრატეგიული პოზიციები კავკასიასა და შავიზღვისპირეთში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „დროება“ N14, 12 იანვარი, 1877
2. „დროება“ N37, 6 აპრილი 1877
3. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 416, საქმე 177
4. სცსსა, ფ.545,ა.1,ს.91
5. ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 186, საქმე 69.

6. აჩუგბა, 1988: – აჩუგბა თ., აფხაზთა დასახლება აჭარაში, ბათუმი.

7. გურული, 2018: გურული ვ., საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918), თბილისი

8. ჩხეიძე, 1974 : – ჩხეიძე ა., საქართველო რუსეთის, საფრანგეთისა და ინგლისის აღმოსავლურ პოლიტიკაში მე-18 საუკუნის დასასრულს, ქართული დიპლომატია, 9, თბილისი.

9. ჯანაშია, 1988 : – ჯანაშია ს., გიორგი შარვაშიძე, შრომები, VI, თბილისი.

10. ხორავა, 2004 : – ხორავა ბ., აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობა, თბილისი.

11. ხორავა, 2011 : – ხორავა ბ., აფხაზეთის სამთავროს გაუქმება და მიხეილ შარვაშიძე, თბილისი.

12. Дзидзария, 1982: – Дзидзария Г. , мохаджирство и проблемы истории Абхазии XIX столетия, Сухуми;

13. Мегрелидзе,1955: – Мегрелидзе Ш., Грузия в руско-турецкой войне 1877-1878 гг., Батуми.

14. История России, 2003 : – История России, т. 1, Москва.
15. Голос 1878: Голос, N5, 1878
16. Игнатиев 1916: Игнатиев Н. П., Сан-Стефано, Записки, Санкт-Петербург, 1916
17. История внешней политики России 1999: История внешней политики
18. Коленковский ...1939: Коленковский И. В., Белолипецкий В., Русско – турецкая война 1877-1878 гг., Москва 1939
19. Восточный вопрос во внешней политике России 1978 : Восточный вопрос во внешней политике России (конец XVIII – начало XX века)Москва 1978

RUSSIAN GEOPOLITICS IN THE CAUCASUS IN THE SECOND HALF OF THE 19TH CENTURY AND GEORGIA

JEMAL KARALIDZE
PhD in History, Professor at Batumi Shota
Rustaveli State University
E-mail: jemal.karalidze@bsu.edu.ge
ORCID: 0000-0002-7179-0455

Abstract. The Caucasus, as a region of significant geostrategic importance, has consistently attracted the attention of major powers seeking to exert influence in Eurasia. From the eighteenth century onward, alongside the Ottoman Empire and Iran, an increasingly powerful Russian state also became involved in the struggle for hegemony over the Caucasus. Russia skillfully exploited, on the one hand, the socio-economic and political challenges of the Caucasian peoples themselves, and, on the other hand, the favorable international circumstances. As a result, by annexing the Kingdom of Kartli-Kakheti in the early nineteenth century, it gained a decisive advantage in the contest for dominance in the Caucasus. Gradually, Russia expanded and consolidated its influence both in the Caucasus and along the Black Sea coast.

Although Russia's defeat in the Crimean War (1853–1856) temporarily weakened its position in the Black Sea basin, by the 1870s it had restored its influence. Its victory in the Russo-Turkish War of 1877–1878 further strengthened Russia's position not only in the Caucasus but also in the Balkans. According to the Treaty of Berlin, the regions of Batumi, Kars, and Ardahan were ceded to Russia. While Batumi was initially transferred to the Russian Empire under the status of a *porto-franco* (a free port) – a status unilaterally abolished by Russia in 1886 – the acquisition of one of the most important Black Sea ports provided the empire with vast opportunities to expand its influence in the Near East.

Alongside this territorial expansion, Russia pursued a systematic policy aimed at the comprehensive economic, political, and demographic integration of the Caucasus, in accordance with its colonial interests. The most severe consequence of this policy in the second half of the nineteenth century was the mass, forced displacement and exile – known as *muhajirism* – of the indigenous Caucasian peoples, including the Adyghe, Abkhazians, and and of the Muslim Georgians (Ajarians, Klarjs)

Key words: Caucasus, Russia, Ottoman Empire, Georgia, *Muhajirism*, Geopolitical Interests

* * *

Introduction. Due to the extremely significant geostrategic location of the Caucasus, it has been, since time immemorial, a primary target for powerful states, both near and distant, seeking to gain influence worldwide. It should be noted that there has not been a single state striving for world hegemony that has not attempted to subjugate the Caucasus. In the struggle for influence in the Caucasus, Georgia was assigned a decisive role due to its central location.

The Caucasus, owing to its particularly strategic location, always attracted the attention of states competing for world hegemony. Due to its central location in the Caucasus, Georgia played a special role, representing the key to the Caucasus. From the 16th century onward, three great powers – the Ottoman Empire, Persia, and Russia – confronted each other to gain dominance in the Caucasus. From the 18th century, as a result of objective and subjective factors, Russia's superiority in this confrontation became evident. At the beginning of the 19th century, Russia skillfully exploited the favorable situation and, with the conquest of Kartli-Kakheti, firmly established its foothold in Transcaucasia. In the early 19th century, Russia successfully exploited the favorable circumstances and, through the conquest of

Kartli-Kakheti, firmly established its position in Transcaucasia. During the first third of the 19th century, through successful wars with the Ottoman Empire and Persia, Russia expanded its influence in the Caucasus and the Black Sea region in general.

Review of Sources and Literature. Regarding the issues examined in the present article, there exist valuable sources (archival materials, press accounts, foreign travelers' accounts) and historiography (works by Sh. Megrelidze, V. Sichinava, A. Chkheidze, V. Guruli, O. Turmanidze, and others), which have been taken into account in this study.

Methodology. In accordance with the research objectives and tasks, the following types of methods have been employed in this work: linguistic analysis, source analysis, comparative analysis, systems analysis, comparative-historical method, logical analysis, and others.

Discussion. Since ancient times, numerous rivals have competed with one another for dominant influence in the Caucasus. From the 15th-16th centuries, three powerful states confronted each other in this truly significant geostrategic region: the Ottoman Empire, Persia, and Russia. Russia successfully exploited every opportunity – the problems of the Caucasian peoples and their attitudes toward Russia, the weakening of its rivals, and favorable international circumstances – and by the beginning of the 19th century had achieved significant success in the struggle for primacy in the Caucasus. The Ottoman Empire persistently attempted to maintain its existing positions. This circumstance determined the intense Russo-Ottoman confrontation throughout the 19th century, which resulted in wars between them during the first third of the 19th century: 1806-1812 and 1828-1829.

By the end of the 1840s, the „Eastern Question" intensified once again, occupying a central place among Russia's foreign policy problems. In such circumstances, the strategic importance of the Caucasus increased even further. Russia couldn't contemplate large-scale expansion in the Black Sea and Caspian Sea basins without dominating the Caucasus.

Russia intended to establish dominance in the Near East at the expense of the weakened Ottoman Empire. England and France also had significant economic and political interests in the Near East and sought to expel Russia from Crimea and the Caucasus. The activism of Nicholas I provoked a rapprochement between England and France. Austria-Hungary also opposed Russia over influence in the Balkans. Thus, by the early 1850s, Russia found itself in virtual political isolation. Nicholas I and his entourage, however, persistently sought to initiate war with the Ottoman Empire. The problem that intensified over the „Holy Lands" and Russia's undiplomatic actions precipitated the Russo-Ottoman War in June 1853.

On June 21, 1853, Russian troops crossed the Prut River and invaded Moldavia without declaring war. For a certain period, there remained hope that the conflict would be resolved peacefully. To this end, a conference was convened in Vienna in September 1853 with the participation of England, France, Austria, and Prussia. The „Vienna Note" was drafted, which envisioned a peaceful resolution to the Russo-Ottoman conflict. Russia accepted this proposal, but the Ottoman Empire, incited by English and French envoys, refused and demanded that Russia evacuate the occupied territories. On October 1, the Ottoman Empire declared war on Russia, and on October 20, Russia declared war on the Ottoman Empire. The next Russo-Ottoman war began, into which European countries would subsequently be drawn. It entered history under the name of the Crimean War, which concluded with the Treaty of Paris on March 18, 1856. The treaty conditions were harsh for Russia. It returned the fortress of Kars with adjacent territories to the Ottoman Empire; Article XI of the treaty declared the Black Sea an open sea for the ships of all countries. Russia was prohibited from building fortifications on the Black Sea. The Allies could have inflicted an even more severe blow on Russia, but failed to exploit the favorable situation.

During the Crimean War, Western Georgia, including the principalities of Abkhazia and Samegrelo, fell within the zone of military operations. The Abkhazian Prince Mikhail Sharvashidze rendered great

service to Russia, for which the Emperor awarded him the Order of the White Eagle. Despite this, in 1856, the Viceroy of the Caucasus, N. Muravyov, raised the question of abolishing the Abkhazian principality on the grounds of Mikhail Sharvashidze's alleged betrayal during the Crimean War, but Emperor Alexander II did not accept the petition at that time. Since the war continued in the North Caucasus, Tsarism still needed Mikhail Sharvashidze. The Emperor did not recognize the Abkhazian prince's betrayal as proven, and the matter was again shelved (Khorava, 2004:46). Russia skillfully exploited the 1856 uprising in Samegrelo, which began on social grounds, and abolished the principality's governance. In 1864, after the conquest of the Western Caucasus, the situation changed. The Russian authorities had already developed a plan for the colonization of the Caucasus, which envisioned settling Cossacks along the Abkhazian coast of the Black Sea. The implementation of this plan would have been impossible under conditions where princely authority and indigenous landowning populations existed (Dzidzaria, 1982:250-252). Therefore, Alexander II made the decision to abolish the Abkhazian principality and introduce Russian administration in Abkhazia (Central State Historical Archive, Fund 416, Series 3, File 177, Sheet 48). The last Abkhazian prince, Mikhail Sharvashidze, who had rendered great service to Russia in his time, was resettled from his homeland to Voronezh, where he died in 1866. According to his will, he was brought back to Abkhazia and buried in Mokvi Cathedral (Khorava, 2011:280-284).

After the conquest of the Northwestern Caucasus, the situation changed. „The long war that Russia waged to subjugate the Caucasus came to an end. One of its consequences was the mass resettlement of mountain peoples to Turkey, which became a national tragedy for the resettled populations" (History of Russian Foreign Policy, 1999:67). The Russian authorities had already developed a plan for the colonization of the Caucasus, which envisioned settling Cossacks along the Black Sea coast. What Tsarism's actual objectives in Abkhazia were is clarified by a letter sent in 1864 by the Governor-General of Kutaisi, D. Sviatopolsk-Mirsky, to the Chief of Staff of the Caucasian Army, Kartsov: „If, after the abolition of the principality, some of the Abkhazians wish to resettle in Turkey, we should not prevent this" (Janashia, 1988:7). Russia's policy in Abkhazia did not change thereafter. In 1900, the head of the Sukhumi District addressed the Governor of Kutaisi: „The colonization of Russia in the region has great state significance from a political perspective, especially since the Abkhazians, as the district's primary population, remain an extremely low-cultured nationality in terms of developmental level, vacillate in religious belief, and have repeatedly demonstrated their political unreliability... This requires special attention, and the best means should be recognized as the colonization of the region with the Russian population" (Georgian Central Archive, Fund 186, Series 1, File 69, Sheets 11-12).

The Russian authorities diligently compiled a plan for the resettlement of Abkhazians. The resettlement of 4,500 families was designated. Russia found common ground with the Ottoman Empire on this issue; the attitude of the two empires toward the resettlement of Adjarians would be analogous later. The cooperation between Russia and the Ottoman Empire in the muhajir (migration) affairs of Abkhazians and other Caucasian peoples was not coincidental. While Russia was „organizing" colonization through the resettlement of indigenous populations, Turkey wanted to settle mountain peoples in uninhabited and sparsely populated areas, to develop those territories, particularly in border regions with Russia. The Sultan would use this contingent both to suppress national liberation movements occurring in the empire and in the anticipated war against Russia (Achugba, 1988:15).

The first wave of Abkhazian resettlement was carried out in 1867. The government nevertheless failed to fully implement the „plan" – instead of the planned 4,500 families, 3,358 families comprising 19,342 souls were resettled to the Ottoman Empire (Central State Historical Archive, Fund 545, Series 1, File 91, Sheets 205-250; Khorava, 2011:73). Unfortunately, the process of Abkhazian resettlement did not end there.

In the 1870s, the intensification of the Balkan problem made another Russo-Ottoman war inevitable. Russia traditionally supported the liberation struggle of the Slavic peoples of the Balkans. In 1875, the Ottomans responded to the uprising that began in the Balkans with harsh punitive measures. Russia came forward to „defend" the rebels. The Georgian press, particularly *Iveria* and *Droeba*, paid special

attention to reviewing the situation created around the Balkan question and the attitudes of Europe's great powers toward it. *Droeba* wrote in its editorial „The Matter of War": „The Ottoman Empire did not agree to any of the proposals presented by the Constantinople Conference... The dissolution of the conference... teaches us that Russia and the Ottoman Empire will now be left to their own devices; they can directly declare war on each other..." (*Droeba*, No. 14, January 12, 1877).

Regarding what position Georgian society should take during the anticipated war, N. Nikoladze wrote: „Let us not forget that the name, well-being, and future of our country depend on our own actions. Let us not disgrace the name honored until today... Let us not hide in the shadows. Our wise, proper, and honorable conduct will elevate Georgia's name and show friend and foe alike that our people are worthy of love, respect, moderation, and prosperity" (*Droeba*, No. 37, April 6, 1877). That is, Georgian society, hoping for the return of territories seized by the Ottomans, was prepared to support Russia in the anticipated war.

On April 12 (24), 1877, a new Russo-Ottoman war began. Immediately upon the outbreak of war, military operations commenced on two fronts – the Balkans and the Caucasus. The Russian Emperor's brothers commanded the fronts: Grand Duke Nikolai Nikolaevich commanded the Balkan Front, while Grand Duke Mikhail Nikolaevich commanded the Caucasian Front. The fronts had different strategic objectives. According to the Russian command's plan, the Caucasian Front was to engage maximum Ottoman forces in Anatolia and capture Kars, Erzurum, and Batumi.

Intensive battles erupted on the Caucasian Front starting in spring 1877; by October, the main Ottoman forces had been defeated, and the Russian army advanced several hundred kilometers deep into Ottoman territory (History of Russia, 2003:212), although the subsequent advance of the Russian army and Georgian volunteers toward Batumi was not equally successful.

The Ozurgeti Detachment advancing from Ozurgeti toward Batumi was commanded by Lieutenant General Ivan Oklobzhio. On the very first day of the war declaration, the detachment crossed the Chorokhi River and engaged in intense battles in the direction of Mukhaestates and Khutsub. From then on, the Ozurgeti Detachment, conducting battles against the Ottomans on Kobuleti territory, was called the Kobuleti Detachment. The offensive took on a protracted character. Difficult terrain was compounded by bad weather, and matters were further complicated by the Ottomans' clear superiority at sea. Due to this, battles in the Batumi direction proceeded so slowly that the Kobuleti Detachment reached Tsikhisdziri only at the beginning of July 1877. Even a visit to the front line (near the village of Mukhaestates) by Mikhail Romanov, Commander-in-Chief of Caucasian Forces, did not help matters. The Caucasian Front command could not tolerate the situation created in the Batumi direction and persistently attempted to rectify the situation. However, Russian forces had achieved great successes in the Balkans, where they captured Plevna and approached Constantinople. They achieved decisive success on the main direction of the Caucasian Front – capturing the powerful fortress of Kars. After the fall of Kars and Plevna, the Ottoman Empire lost hope of successfully concluding the war and appealed to European states with a request for mediation in peace negotiations with Russia (Megrelidze, 1969:88). The result of the victories achieved on the Balkan and Caucasian fronts was that by January 1878, Russian forces from the Balkans approached Istanbul, while on the Caucasian Front, after the capture of Kars, the road to Erzurum was opened. Istanbul faced serious threats from both the north and southwest. The Ottoman Empire was forced to consider making peace. The Sultan wanted to prevent Russian forces from attacking Istanbul, though he also realized that Alexander II would demand major concessions in exchange for the blood of countless officers and soldiers killed in battles. The Emperor sent advance instructions to the commanders-in-chief of the Balkan and Caucasian fronts, according to which they should act if Ottoman commanders approached them with peace proposals (Guruli, 2018:370).

The Russian side conveyed its demands to the opposing side. The Ottoman Empire was to abandon Erzurum, Bayazet, and Batumi. Parallel to the negotiations, military operations continued, in which the Russian army continued its successful offensive. This forced the Sultan to satisfy the victor's demands. On January 19 (31), the sides signed an agreement in Adrianople on the cessation of war and the

basic principles of the future peace treaty (History of Russian Foreign Policy, 1997:208). In February 1878, negotiations began in San Stefano on the peace treaty. The Russian side was represented by N. Ignatiev (Russia's former ambassador to Constantinople) and P. Nelidov, while the Ottoman side was represented by Safvet Pasha and Sadullah Pasha. Ottoman diplomats attempted to prolong the negotiation process because they hoped for a revision of the preliminary agreement's conditions with European countries' support. For its part, Russian diplomacy also understood that the formalization of the treaty would compel Europe to recognize its conditions. After several days of tense confrontation, on February 19 (March 3), 1878, a peace treaty was concluded whose conditions fully corresponded to the interests of victorious Russia. According to the San Stefano peace conditions, the situation on the Balkan Peninsula was resolved in accordance with Russia's demands – Serbia, Montenegro, and Romania gained independence. Bulgaria was granted principality status (with independent government) under Ottoman protection. For damages incurred as a result of the war, Russia demanded and the Sublime Porte undertook to pay:

a) 900 million rubles for military expenses (costs of maintaining the army, provisions, military orders);

b) 400 million rubles for damages inflicted on southern Russia (damages to trade, industry, and railways);

c) 100 million rubles for damages inflicted during the invasion of the Caucasus;

d) 10 million rubles for damages inflicted on Russian subjects and Russian institutions in Turkey.

In total, one billion four hundred ten million rubles (Collection of Russia's Treaties with Other States (1856-1917), 1952:168-169).

Taking into account the Ottoman Empire's difficult financial situation and the Sultan's wishes, Emperor Alexander II of Russia agreed to accept territorial concessions in exchange for the major part of the payment. In exchange for 2/3 of the payable amount, the Ottoman Empire ceded to Russia southern Bessarabia, and in the Caucasus, Kars, Ardahan, Bayazet, and Batumi (Troitsky, 1999:170). These territories were given to Russia in exchange for one billion one hundred million rubles.

Ottoman representatives, seeing that Russia did not intend to make concessions, were forced to agree and recognize the peace conditions and border line proposed by Count N. Ignatiev. In return, the Ottomans demanded a reduction of the contribution amount by 40%. Russian representatives assessed the territorial concessions, which included Kars, Batumi, Artaan, and Kaghizman, Bayazet, at 1,100 million francs, while the Ottomans were to pay 300 million in cash (Ignatiev, 1916:228).

According to Article XXI of the San Stefano Peace Treaty, populations of territories transferred to Russia who wished to resettle could sell their immovable property within three years of the treaty's ratification.

Thus, Russia forced the Turks to cede the territories discussed in the first Caucasian project: Batumi, Kars, Bayazet, and the entire territory, including the Soghanlugi Ridge (Megrelidze, 1969:101).

The San Stefano peace conditions legitimized Russia's serious successes both in the Balkans and the Caucasus, which was unacceptable to European states, particularly England.

At the end of 1877, Great Britain's foreign policy officials and military circles attached serious importance to the question of control over Batumi and were therefore alarmed by Russia's successes on the Caucasian Front. They were particularly troubled that the Russian army's capture of Batumi would make it relatively easier for Russian diplomacy to persuade opponents of Batumi's annexation to Russia to agree (Chkheidze, 1974:33). It was supported by Austria-Hungary and France. European states' dissatisfaction was not limited merely to protest; they openly began preparing for war. England was particularly active. Through the mediation of Prime Minister Beaconsfield (Disraeli), Queen Victoria declared the mobilization of reserves at the end of March 1878. English ships moved toward the Dardanelles (The Eastern Question in Russian Foreign Policy, 1978:226). Russia found itself facing the threat of a new major war; therefore, it agreed to the revision of the San Stefano peace conditions at a congress of European states. In 1878, the renewal of war became unnecessary. Russia, weakened by war and in isolation, made concessions. This represented a great success for English diplomacy.

On June 1 (13), 1878, the Congress of European States opened in Berlin, which was to revise the conditions of the San Stefano Treaty. Delegations from Russia, the Ottoman Empire, England, Germany, Austria-Hungary, France, and Italy were present. During the congress proceedings, it became clear that Russia was, in fact, in international isolation and was forced to make serious concessions. Particularly serious opposition arose over the question of Batumi. England did not want such a strategically and economically significant center transferred to Russia. To this, Gorchakov responded that Russia was ceding Erzurum, Bayazet, and the Alashkert Valley. He also noted that this served England's commercial interests, as the main trade route to Persia passed through the latter. There, he indicated that Batumi would be declared a free city, with the establishment of Russia's sovereign rights over it. Such a status for Batumi served the interests of all trading countries, and even more so Britain's interests, which possessed the largest merchant fleet. Gorchakov directly stated: What does England have to dispute – the Batumi question is being resolved in accordance with its interests. Gorchakov's statement indicated Russia's fear that England might yet raise opposition on the Batumi question (*Golos*, 1878: No. 5; Chkheidze, 1974:91).

Thus, the English delegation initially attempted to prevent Batumi's transfer to Russia in any form, but, encountering the firm position of the Russian delegation on this issue, then proposed the creation of an „independent khanate" of Batumi (Lazistan) under international control. In such a case, Russia would have limited rights to use the port. Finally, Beaconsfield settled on the idea of declaring Batumi a free port, on condition that it would be „only a commercial" ("unfortified," „unarmed") port, but Russia succeeded in obtaining for Batumi the status of an „essentially commercial" port, which under those circumstances should be considered a certain success for the Russian delegation. Many in Russia also believed that Russia had achieved success on the Batumi question at the congress (Chkheidze, 1974:114).

Ultimately, Batumi was transferred to Russia with the status of a free commercial port with porto-franco privileges. The English delegation agreed to Batumi's declaration as a porto-franco with the intention of using the city in the future for military and economic attacks against Russia.

But Batumi still remained in Ottoman hands. A joint Russo-Ottoman commission was established to finalize the question of Batumi's transfer. The mixed commission's meeting was held in the city of Kutaisi from August 12-20, 1878. The Ottoman side undertook to withdraw troops from Batumi by August 25. On August 25 at 11:00 a.m., Russian and Georgian forces entered Batumi. The Viceroy of the Caucasus, Grand Duke Mikhail Nikolaevich, congratulated Emperor Alexander II with a telegram: „I have the honor to congratulate Your Imperial Majesty on the occupation of Batumi" (Troitsky, 1999:100).

The San Stefano Peace Treaty and the Berlin Treaty still did not ultimately resolve Russo-Ottoman relations. In January 1879, negotiations were taking place in Constantinople. The Russian side was represented by the extraordinary and plenipotentiary ambassador to the Sultan's court, Alexei Lobanov-Rostovsky, while the Sublime Porte was represented by Ottoman Foreign Minister Ali Karatheodori Pasha and the Sultan's minister and Chairman of the State Council, Ali Pasha. On January 27 (February 8), 1879, a new Russo-Ottoman peace treaty was signed in Istanbul. The agreement comprises 12 articles and, to some extent, clarifies certain articles of the Berlin Treaty.

The Constantinople Treaty of February 8, 1879, between Russia and the Ottoman Empire left in force the Russo-Ottoman border in Asia as defined by the Berlin Treaty (Guruli, 2018:391).

Thus, the military successes achieved in the 1877-1878 Russo-Ottoman War allowed Russian diplomacy to demand significant concessions from the Ottoman Empire both in the Balkans and the Caucasus. This situation was expressed in the San Stefano Peace Treaty of 1878. Under the threat from European states, Russia was forced to agree to the revision of these conditions at the Berlin Congress, where it also had to make serious concessions, though it retained the city of Batumi (albeit with porto-franco status) and a significant portion of the historical territories of Georgia and Armenia, thereby substantially strengthening both its economic and military-strategic positions in the Caucasus and the Black Sea region.

References:

1. *„Droeba* „[Time], No. 14, January 12, 1877.
2. *„Droeba* „[Time], No. 37, April 6, 1877.
3. Central State Historical Archive of Georgia, Fund 416, File 177.
4. Central State Historical Archive of Georgia, Fund 545, Series 1, File 91.
5. Kutaisi Central Archive, Fund 186, File 69.
6. Achugba, T. (1988). *The Resettlement of Abkhazians in Adjara*. Batumi.
7. Guruli, V. (2018). *Modern History of Georgia (1801-1918)*. Tbilisi.
8. Chkheidze, A. (1974). Georgia in the Eastern Policy of Russia, France and England at the End of the 18th Century. In *Georgian Diplomacy*, Vol. 9. Tbilisi.
9. Janashia, S. (1988). Giorgi Sharvashidze. In *Works*, Vol. VI. Tbilisi.
10. Khorava, B. (2004). *The Muhajir Migration of Abkhazians in 1867*. Tbilisi.
11. Khorava, B. (2011). *The Abolition of the Abkhazian Principality and Mikheil Sharvashidze*. Tbilisi.
12. Dzidzaria, G. (1982). *Muhajirism and Problems of Abkhazian History in the 19th Century*. Sukhumi.
13. Megrelidze, Sh. (1969). *Georgia in the Russo-Turkish War of 1877-1878*. Batumi.
14. *History of Russia* (2003). Vol. 1. Moscow.
15. *„Golos*"[The Voice], No. 5, 1878.
16. Ignatiev, N. P. (1916). *San Stefano: Notes*. St. Petersburg.
17. *History of Russian Foreign Policy* (1999). Moscow.
18. Kolenkovskii, I. V., & Belolipetskii, V. (1939). *The Russo-Turkish War of 1877-1878*. Moscow.
19. *The Eastern Question in Russian Foreign Policy: End of the 18th to Beginning of the 20th Century* (1978). Moscow.
20. Troitsky, N. A. (1999). *Russia in the 19th Century: A Course of Lectures*. Moscow.
21. *Collection of Russia's Treaties with Other States (1856-1917)* (1952). Moscow.

აფხაზთა იძულებითი მიგრაცია/მუჰაჯირობა თურქეთში: ისტორია, ადაპტაცია და იდენტობის შენარჩუნების პრობლემები

ნატალია ლაზბა
ისტორიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ელ-ფოსტა: Natalia.lazba@bsu.edu.ge
ORCID: 0009-0005-0380-6303

ინეზა ზოიძე
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი,
ასოცირებული პროფესორი, ბათუმის შოთა
რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ელ-ფოსტა: Ineza.zodze@bsu.edu.ge
ORCID: 0000-0002-3354-4069

აბსტრაქტი: სტატიაში განხილული და გაანალიზებულია აფხაზთა იძულებითი მიგრაციის/მუჰაჯირობის გამომწვევი მიზეზები, ისტორიული და პოლიტიკური კონტექსტები, რამაც განაპირობა მათ მიერ მიმღები ქვეყნის არჩევა მიგრაციის ობიექტად. გარდა ამისა, ყურადღება გამახვილებულია სხვა კულტურულ, სოციალურ, ეკონომიკურ მიზეზებზე, რამაც განსაკუთრებული გავლენა მოახდინა მუჰაჯირთა ცხოვრების სხვადასხვა ასპექტზე.

დეტალურადაა განხილული რუსეთის იმპერიის კოლონიალისტური ინტერესები კავკასიის მიმართ მეცხრამეტე საუკუნეში. რომლის მიზანი იყო კავკასია ექცია თავის ორგანულ და განუყოფელ ნაწილად, რისთვისაც საჭირო იყო კავკასიის ფართომასშტაბიანი კოლონიზაცია, რომელიც ვერ განხორციელდებოდა თავისუფალი მიწის ფონდის გარეშე („არასანდო და არასასურველი'' მობინადრეების გარეშე). სწორედ, ეს იყო კავკასიის არაერთი ეთნიკური ჯგუფის, მათ შორის აფხაზთა მშობლიური ადგილებიდან აყრისა და ოსმალეთში გადასახლების ერთ-ერთი მიზეზი.

ისტორიულ კონტექსტთან ერთად გაანალიზებულია მიგრაციის ის პროცესები, რაც აისახა მიგრანტთა ადაპტაციისა და იდენტობის შენარჩუნების პროცესებში.

კვლევის შედეგად (საველე მუშაობა, სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი) დადგინდა, რომ თურქეთის ხელისუფლების მიერ წლების მანძილზე მკაცრი და თანმიმდევრული ასიმილაციის პოლიტიკის მიუხედავად, აფხაზებმა უცხო სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ გარემოში კონსერვაციის გზით შეინარჩუნეს არათუ თავიანთი ისტორია, იდენტობა, მორალურ-ეთიკური კოდექსი, ენა და მისი დიალექტები, ფოლკლორი, არამედ ტრადიციული კულტურის ის ნაწილიც, რაც ისტორიულ სამშობლოში დავიწყებასაა მიცემული.

საკვანძო სიტყვები. მუჰაჯირობა-მიგრაცია, კოლონიალიზმი, ისტორია, პოლიტიკა, ადაპტაცია იდენტობა.

* * *

სტატიის შესავალი. მიგრაციის პროცესები კაცობრიობის ისტორიის თანმხლები მოვლენაა. ადამიანების მობილობა დაკავშირებულია უამრავ მიზეზთან: ეკონომიკურ, პოლიტიკურ, ეკოლოგიურ, სოციალურ, კულტურულ და ა.შ. გამომდინარე, აქედან აღნიშნულ პროცესებს თან ახლდა განსხვავებული და მრავალმხრივი პროცესის ამსახველი შედეგები. კაცობრიობის განვითარებისა და ცხოვრების ახალ ეტაპზე ასვლის კვალდაკვალ იცვლება პოლიტიკური გარემო, ინტერესთა სფეროები, სახელმწიფოების შესაძლებლობები და ძალთა ბალანსი, კულტურა, ეკონომიკა, რაც მიგრაციის ფენომენს უწყვეტ პროცესად აქცევს და ყველა ეპოქაში არ კარგავს მის აქტუალობას.

შესაბამისად, პრობლემის განხილვისას გადააზრებული იქნა სხვადასხვა საკითხები „რა მიზეზი განსაზღვრავს მოსახლეობის მოძრაობას, ამ პროცესის შედეგები?, „რატომ იწყებს მოსახლეობის ნაწილი მიგრაციას და სხვები კი რჩება“?, როგორია მიგრაციის შედეგები მიმღები და გამგზავნი თემებისთვის? (Hollifield., 2000) აღნიშნული საკითხები საკვანძოა პროცესის და მისი შედეგების განხილვისას.

ზოგადად, მიგრაცია წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცივილიზაციურ პრობლემას და განიხილება არა მხოლოდ, როგორც ადამიანების მარტივი მექანიკური გადაადგილება, არამედ როგორც რთული სოციალური პროცესი, რომელიც გავლენას ახდენს პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და ა.შ. ცხოვრების მრავალ ასპექტზე.

ტრანსკონტინენტალური და ტრანსრეგიონული მიგრაციები კანონზომიერი პროცესებია ცივილიზაციების განვითარების პროცესში. ერთ-ერთ ასეთ გადაადგილებას წარმოადგენს კავკასიელი ხალხების დეპორტაცია (იძულებითი გადაადგილება) თავისი ისტორიული სამშობლოდან მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულია მუჰაჯირობის სახელწოდებით.

„მუჰაჯირობა – ეს არის არა უბრალოდ ცხოვრების რთული ეპიზოდი, არამედ უმძიმესი ეროვნული ტრაგედია, რამაც გამოიწვია აფხაზთა სწრაფი შემცირება თავისსავე სამშობლოში და დააყენა აფხაზი ხალხი ფიზიკური განადგურების საშიშროების წინაშე'' (ინალ-იფა, 1990, გვ. 145-146).

შესაბამისად, ჩვენ მიზანს წარმოადგენს პრობლემის სიღრმისეული ანალიზი, როგორც ისტორიული, ასევე თანამედროვეობის კონტექსტის გათვალისწინებით. თურქეთში აფხაზ მუჰაჯირთა იდენტობის, ინტეგრაციისა და ადაპტაციის საკითხების შესწავლა და გაანალიზება.

მეთოდები. კვლევის ემპირიულ საფუძველს წარმოადგენს თურქეთში აფხაზებით დასახლებულ სოფლებში მუჰაჯირობის პროცესთან დაკავშირებული საკითხების საველე პირობებში შესწავლა, საველე მუშაობა შესრულდა „უშუალო დაკვირვებისა“ და ინფორმატორთა ინტერვიურების მეთოდით. გამოყენებული იქნა ისეთი ტექნიკები როგორიცაა „ფოკუს ჯგუფები“ და ჩაღრმავებული ინტერვიუები. მოვახდინეთ ჯგუფური და ინდივიდუალური შეხვედრები. მოგვეცა მასალების შეგროვების შესაძლებლობა და მონაცემთა ანალიზის საფუძველზე დადგინდა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით ძირითადი ტენდენციების დინამიკა. ასევე, განხილული და გაანალიზებული იქნა სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული თეორიული მასალები.

საკითხის განხილვა და მთავარი მიგნებები. XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე კავკასიაში განუწყვეტელი ომების შედეგად რუსეთმა დაიქვემდებარა რეგიონი. მისი მიზანი იყო ის ექცია თავის ორგანულ და განუყოფელ ნაწილად, რისთვისაც საჭირო იყო კავკასიის ფართომასშტაბიანი კოლონიზაცია, რომელიც ვერ განხორციელდებოდა თავისუფალი მიწის ფონდის გარეშე („არასანდო და არასასურველ'' მობინადრეების გარეშე). სწორედ, ეს იყო კავკასიის არაერთი ერის, მათ შორის აფხაზთა მშობლიური ადგილებიდან აყრისა და ოსმალეთში გადასახლების ერთ-ერთი მიზეზი.

კოლონიალურმა პოლიტიკამ, რაც ითვალისწინებდა დეპორტაციებს ასიმილაციის მიზნით, XIX საუკუნეში კავკასია აქცია მსოფლიოს ერთ-ერთ მძლავრ კონფლიქტოგენურ რეგიონად. სამხედრო-კოლონიზატორული პოლიტიკის გატარებით იმსხვრეოდა ტრადიციული სოციო-კულტურული ინსტიტუტები, ხდებოდა ხალხის იდეოლოგიური დეზორიეტაცია.

შედეგად, XIX საუკუნეში კავკასიის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი აღმოჩნდა ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში. ხოლო იმ ტერიტორიაზე, საიდანაც წამოვიდნენ, მოხდა ეთნიკური რუკის მნიშვნელოვანი ცვლილებები. მუჰაჯირობა ყველაზე ტრაგიკული ფურცელი აღმოჩნდა კავკასიის ხალხებისთვის. აღნიშნული მიგრაციული პროცესის მასშტაბურობამ მძლავრი გავლენა იქონია რეგიონის გეოპოლიტიკურ და ეთნოდემოგრაფიულ ვითარებაზე. ისტორიკოსის ძიძარიას მიხედვით აღნიშნულ პერიოდში კავკასია დატოვა მილიონამდე ადამიანმა, მათ შორის ასი ათასი აფხაზი იყო (ძიძარია, 1982, გვ. 98-99).

იძულებითი მიგრაციის შედეგი იყო დიდი აფხაზური დიასპორის გაჩენა ახლო აღმოსავლეთის რიგ ქვეყნებში: ოსმალეთის იმპერიაში, სირიაში, იორდანიაში, ლიბანში, ეგვიპტეში. თურქეთის

ოც პროვინციაში ამჟამად 228 აფხაზურ-ადიღური სოფელია (Chirikba, 1995, გვ. 278). აფხაზებმა, ადიღეებმა და უბიხებმა, რომლებიც საყოველთაო სახელწოდებით „ჩერქეზები'' ცნობილი არიან თურქეთში, გამორჩეული როლი ითამაშეს სულთნის კარის ცხოვრებაში, ადმინისტრაციაში და განსაკუთრებით ოსმალეთის იმპერიის ჯარში.

მუჰაჯირთა ჩასახლებისას ოსმალეთის ხელისუფლების მიდგომა მრავალმხრივი ასპექტებით გამოირჩეოდა: სამხედრო-პოლიტიკური, ეროვნული და ეკონომიკური. სამხედრო-პოლიტიკური და ეროვნულ-ეთნიკური ასპექტების გათვალისწინებას, სულთნის ხელისუფლება გეგმავდა მუჰაჯირების გამოყენებას შესაძლო გარე ომებში და შიდა კონფლიქტებში: ბალკანეთი – რუსეთისა და სლავური ხალხების წინააღმდეგ; კავკასიური – რუსეთისა და სომხების წინააღმდეგ; ხმელთაშუა ზღვა – ისტორიული მტრის – ბერძნების წინააღმდეგ; აღმოსავლური – სომხების და ქურთების წინააღმდეგ; სამხრეთით – ალავიტების, ბედუინებისა და დრუზების წინააღმდეგ. ეკონომიკური თვალსაზრისით, ოსმალეთის ხელისუფლება მუჰაჯირების ძალისხმევით გეგმავდა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო დარგების გაძლიერებას მუდმივი სამხედრო საფრთხეების ფონზე (Гургулия, 2021).

აღსანიშნავია, რომ ოსმალეთის იმპერიის ხელისუფლებამ კავკასიიდან ჩამოსახლებულები გეგმიური განსახლების პოლიტიკას დაუქვემდებარა და ეს პოლიტიკა არ შეიძლება განიხილებოდეს იმპერიის შიდა პოლიტიკისა და მის ტერიტორიაზე გაგრძელებული გეოპოლიტიკური ბრძოლისაგან განცალკევებით. ამ კონტექსტში კავკასიელთა მნიშვნელოვანი რაოდენობა დასახლდა ოსმალეთის პროვინციებში ბალკანეთისა და კავკასიის რეგიონების მიმდებარედ ან მის მახლობლად, სადაც იკვეთებოდა საზღვრები ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიებს შორის. ამგვარად, რუსეთთან ომის შემთხვევაში, ოსმალეთის ადმინისტრაცია გეგმავდა მუჰაჯირების მაქსიმალურ გამოყენებას, რომლებსაც ჰქონდათ ომის სოლიდური გამოცდილება და ასევე რუსეთის წინააღმდეგ ისტორიული შურისძიების გრძნობა. ეს იყო ოსმალეთის საგარეო პოლიტიკის საგანი. გარდა ამისა, კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც მოქმედებდა ოსმალთა მიერ დაგეგმილ განსახლების პოლიტიკაზე კავკასიელი ხალხების მიმართ, პირდაპირ კავშირში იყო ამ ქვეყნის სოციალურ სტრუქტურასთან. კავკასიელების მიმართ დაგეგმილი განსახლების პოლიტიკა განხორციელდა ოსმალეთის იმპერიაში შემავალ ეთნიკურ ჯგუფებს და რელიგიურ უმცირესობებს შესაძლო აჯანყებების გათვალისწინებით. ხოლო, 1880-იანი წლებისთვის ოსმალეთის იმპერიაში კავკასიელთა განსახლების გეოგრაფიამ საბოლოო ფორმა მიიღო და კონცენტრირებული იყო ძირითადად ქვეყნის ოთხ რეგიონში: დასავლეთ ანატოლიაში (განსაკუთრებით ჩრდილო-დასავლეთ ანატოლია), ცენტრალურ ანატოლიაში (ჩერქეზული ხაზი), აღმოსავლეთ ანატოლიაში და არაბული პროვინციები (სირია, პალესტინა და იორდანია) (Ахиядов, 2023). ოსმალეთიში გადმოსახლებულებს მძიმე პირობები შეხვდათ. მათ არ გააჩნდათ ის უფლებები, რომლითაც სარგებლობდა ადგილობრივი მოსახლეობა (მაგალითად, სასამართლოში მათ ხმის უფლება არ გააჩნდათ). ამით აიხსნება მუჰაჯირების უკან დაბრუნების მცდელობები პირველ მსოფლიო ომამდე პერიოდში. ემიგრანტების მძიმე მდგომარეობა დაკავშირებული იყო არა მარტო ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებთან, არამედ ამას ემატებოდა პოლიტიკური ხასიათის პრობლემებიც.

მართალია, ჯერ კიდევ მუჰაჯირების პირველი ტალღის წარმომადგენლებისათვის იმთავითვე სირთულეს წარმოადგენდა მთელი რიგი სოციალურ-ეკონომიკური და სხვა რიგის პრობლემები, ისინი მაინც განსაკუთრებულ საფრთხეს ხედავდნენ მათი იდენტობის, განმსაზღვრელი კულტურული ღირებულებებისა და ფასეულობების დაკარგვაში, ამიტომაც სიფრთხილეს იჩენდნენ და მთელ რიგ ზომებს იღებდნენ, რათა არ მომხდარიყო მათი ასიმილაცია ადგილობრივ საზოგადოებასთან. ამიტომაც, ისინი დასახლდნენ და ცხოვრობდნენ ჩაკეტილ თემებში, ცდილობდნენ დაეცვათ თავიანთი ისტორიული ტრადიციები და წესები. მეორეც, კატეგორიულად კრძალავდნენ შერეულ ქორწინებას და მესამე, გაერთიანდნენ საქველმოქმედო, კულტურულ და საგანმანათლებლო საზოგადოებებში.

როგორც აღვნიშნეთ, ოსმალეთის იმპერიამ კავკასიელების მაქსიმალური ასიმილაციის პოლიტიკა დაიწყო; მუჰაჯირებმა კი – ბრძოლა გადარჩენის, სოციალური სამართლიანობისა და იდენტობის შენარჩუნებისთვის. პირველი ნაბიჯები გადასახლების შემდეგ იყო ე.წ. პარლამენტის (მე-

ჯლისის) შექმნა, რასაც სასტიკი რეპრესიები მოჰყვა „სისხლიანი სულთნის“ აბდულ-ჰამიდ II (1876-1909) მხრიდან. ასეთი მკაცრი რეპრესიული ზომები უფრო აღრმავებდა მუჰაჯირებსა და ადგილობრივ ხელისუფლების შორის დაპირისპირებას. ქემალისტური რევოლუციის შემდეგ ჩერქეზული მეჯლისი კვლავ იქნა გახსნილი (ინალ-იფა, 1990, p. 18) ს. ბასარიასთან გვხვდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში მცირე ერების დაცვის მსოფლიო ლიგის კონგრესზე მეჯლისმა გააგზავნა თავისი დეპუტატები (ბასარია, 1990:106-107).

1912 წელს კონსტანტინოპოლში მცხოვრებმა აფხაზებმა და ჩერქეზებმა ჩამოაყალიბეს აფხაზურ-ჩერქეზული კომიტეტი. კომიტეტის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა, რომელსაც ახორციელებდნენ ადგილობრივების ნებაყოფლობითი შეწირულობით. კომიტეტმა შესძლო გაეხსნა სკოლა-პანსიონი 60 კაცზე, ასევე იბეჭდებოდა წიგნები.

1918 წელს კონსტანტინოპოლი დაიკავეს ინგლისელებმა. კომიტეტმა ფაქტობრივად შეწყვიტა თავისი საქმიანობა. ქვეყნის სათავეში ქემალისტების მოსვლისთანავე კომიტეტის შენობა დაანგრიეს, იქ არსებული წიგნები კონფისკაციას დაექვემდებარა და დაიწვა.

თურქეთის რევოლუციამდე მუჰაჯირი კავკასიელების გარკვეული ნაწილი სულთნის სამხედრო საყრდენს წარმოადგენდა, სარგებლობდა პრივილეგიებით: მათ გადაეცა საუკეთესო მიწები, ხშირად წარდგენილები იყვნენ სხვადასხვა მაღალი რანგის თანამდებობებზე, თურქეთის არმიის ხელმძღვანელობა ხშირად მათ ხელში იყო. სულთნის რეაქციური პოლიტიკა ნაწილობრივ მათ ძალას ეყრდნობოდა.

თურქეთში გადასახლებული მუჰაჯირების (მამაკაცების) მთავარი დანიშნულება იყო სამხედრო სამსახურის შესრულება, რაც ასევე, ოსმალეთის პოლიტიკის მთავარ მიზანს წარმოადგენდა. მათ ხელისუფლება შედარებით დიდ მიწის ნაკვეთებს გადასცემდა, თუმცა დროებით სარგებლობაში. ამასთან ისინი გარკვეული შეღავათებით სარგებლობდნენ. კერძოდ, გადასახადებისგან 10 წლით თავისუფლდებოდნენ. აღნიშნული მიწები სახელმწიფო საკუთრებაში იყო, რომლის მმართველი თავად სულთანი იყო. ამ ნაკვეთებს ემიგრანტები 10 წელზე ადრე ვერ გაყიდდნენ. თუ მიწის მფლობელი ამ ვადაზე ადრე საცხოვრებლად სხვა ადგილას გადავიდოდა, მიწა ბრუნდებოდა სახელმწიფოს განკარგულებაში.

თურქეთის ეროვნულ-ბურჟუაზიულმა რევოლუციამ, სულთნის ჩამოგდების შემდეგ განახორციელა ბრძოლა გარე და შიდა მტრულ ძალებთან, მათ შორის აღმოჩნდა აფხაზურ-ჩერქეზული მოსახლეობის ნაწილი, რომელიც სულთნის მხარდამჭერი იყო. ახალი მთავრობისათვის მათ დაკარგეს ნდობა და როგორც არასანდო ელემენტები იდევნებოდნენ. 1919 წელს დაიწყო საბერძნეთ-თურქეთის ომი, რომელმაც კიდევ უფრო დაამძიმა აფხაზების მდგომარეობა ოსმალეთში. ისინი მოყვნენ რთულ პოლიტიკურ დაპირისპირებებში ძველი რეჟიმის მომხრეებსა და ქემალისტებს შორის. უფრო მეტიც, სასტიკი ბრძოლები მიმდინარეობდა დასავლეთ ანატოლიაში, ანუ იქ, სადაც კომპაქტურად იყო დასახლებული აფხაზები (იზმითი, ბურსა, იზმირი, ალაშექირი და ა.შ). შედეგად, ბევრი აფხაზი დაიღუპა ან იძულებით იყო გადასახლებული საბერძნეთში და სხვა ქვეყნებში. საბერძნეთში აფხაზები მოხვდნენ ასევე ბერძნულ ჯართან ერთად. საარსებო პირობები იქაც მათთვის რთული აღმოჩნდა. აფხაზეთში, ანუ თავის ისტორიულ სამშობლოში დაბრუნება მათ მუდმივ ამოცანად და ოცნებად რჩებოდა.

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს თურქეთში მცხოვრებ აფხაზებს შორის იყო მხოლოდ სამი ადამიანი საუნივერსიტეტო განათლებით, 5-6 საშუალო განათლებით (გიმნაზია), მაგრამ თურქულ ჯარში ძალიან ბევრი ოფიცერი და გენერალი იყო აფხაზური წარმოშობის. აფხაზებს ურჩევნიათ ჯარში მსახურება, – წერდა თავის ნაშრომში ინალ-იფა.

მეოცე საუკუნის დასაწყისში თურქეთის რესპუბლიკაში ეთნიკური უმცირესობები იძულებით ასიმილაციას ექვემდებარებოდნენ. მთავრობის ოფიციალური პოლიტიკა იყო ერთიანი თურქი ერის შექმნა. 1932 წლის ენის კანონის საფუძველზე, სკოლებში ბავშვებს ეკრძალებოდათ თურქულის გარდა სხვა ენებზე საუბარი. გვარების შესახებ კანონის საფუძველზე კავკასიელებს გვარების შეცვლამ მოუწიათ (Емельянова, 2015, pp. 33-40) მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თურქეთი ერთპარტიულიდან მრავალპარტიულ სისტემაზე გადავიდა და ქვეყანაში დაიწყო ეროვნულ-კულტურული გაერთიანებების შექმნა.

თანამედროვე ეტაპზე აფხაზი მუჰაჯირების დასახლებები წარმოდგენილია საქარიას (ცენტრი ქ. ადაპაზარი) და ძიუჟეს პროვინციებში. პირველ ვილაიეთში (პროვინციაში) 25 მდე აფხაზური სოფელია, მეორეში 20-მდე. ნაკლებად კომპაქტური აფხაზური დასახლებები წარმოდგენილია სხვადასხვა ვილაიეთებში: ბურსაში, ესკიშექირში, სამსუნში, სინოპში, ბილეჩიკში და ა.შ. სულ თურქეთში 200-მდე სოფელია, სადაც კომპაქტურად სახლობენ აფხაზები (Adana, Amasya, Balıkesir, Bilecik, Bingöl, Bolu, Bursa, Çorum, Eskişehir, İstanbul, Kocaeli (İzmit), Kütahya, Manisa, Sakarya, Samsun, Sinop, Sivas, Tokat, Yozgat, Zonguldak) (Chirikba, 1995, p. 278).

მუჰაჯირები ახალ საცხოვრებელ ადგილებს აძლევდნენ იმ სოფლების სახელებს, საიდანაც ისინი წამოვიდნენ აფხაზეთიდან: ააცი, უარჩა, ჩლოუ, დაალ, ანხუა, მცარა და ა.შ. (ბასარია, 1923, pp. 106-107).

თურქეთში წარმოდგენილია თითქმის ყველა აფხაზეთში არსებული აფხაზური გვარი, უფრო მეტიც, ის გვარებიც, რომელებიც დღეს აღარ არის აფხაზეთში (ადზბა, აკუშბა, ალაცბა, ავხაა, ატეიბა, ბაალოუ, ტასკუაჩ და ა.შ). აფხაზური გვარები თემში ტრადიციულად შიდაეთნიკურ ურთიერთობების დროს გამოიყენება. მათ არ აქვს იურიდიული ძალა. ოფიციალური მიზნებისათვის ძველ გვარებს ცვლიდნენ ან ღებულობდნენ არაბულ ან თურქულ სახელებს (ასე ორხან შამბა იწერებოდა ჩაკარად) (ინალ-იფა, 1990).

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, თურქეთში მცხოვრები აფხაზები ძირითადად დასახლებულნი არიან პროვინციებში. თავიდანვე ისინი მიწათმოქმედებით, მებაღეობით, მეფუტკრეობით და მესაქონლეობით იყვნენ დაკავებულნი. მოჰყავდათ სიმინდი, თამბაქო, ბრინჯი, ყურძენი (ოღონდ არა ღვინისთვის, არამედ ტკბილეულის „ბეთმეზის“ მოსამზადებლად) და ა.შ. ემიგრანტებს ხორბლის, ქერისა და სიმინდის გარდა მოჰყავდათ კავკასიიდან ჩამოტანილი კულტურებიც, რომლებიც არ მოჰყავდათ თურქეთში – ფეტვი, შვრია. ასევე მოჰყავდათ სხვადასხვა ბოსტნეული, საზამთრო, ხეხილი. აფხაზებმა ასევე შეინარჩუნეს მეცხენეობის და ცხენოსნობის ტრადიცია, რომელიც ძალიან პოპულარული იყო მათ სამშობლოში.

რეგიონში, და ზოგადად მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებმა (პირველი და მეორე მსოფლიო ომები, სხვადასხვა პოლიტიკურ-იდეოლოგიური პროცესები, სსრკ-ს დაშლა და.შ.) დიდი გავლენა იქონია თურქეთში მცხოვრებ აფხაზების დამოკიდებულებაზე თავიანთ ისტორიულ სამშობლოში მცხოვრებ თანამემამულეებთან. საბჭოთა კავშირის და უფრო რუსეთთან სიახლოვემ მათი აზრით, გავლენა იქონია აფხაზების ტრადიციულ ღირებულებათა ორიენტირებზე, რაც აფხაზური მორალურ-ეთიკური ნორმების დარღვევას წარმოადგენდა. ის რომანტიზებული და იდეალიზებული სამშობლოს ხატი და მოლოდინები იმსხვრეოდა, რაც კიდევ უფრო გამძაფრდა ქართულ-აფხაზური დაპირისპირების შემდეგ, როცა დაიწყო დეზორიენტაცია, კრიმინალის და საზოგადოებაზე (თვით რეპატრიანტებზე) მისი გავლენის ზრდა, უმუშევრობა, კორუფცია და ა.შ. ყოველივე ეს კიდევ უფრო შლიდა ისტორიული სამშობლოს აღქმას და კულტურული და ღირებულებითი თვალსაზრისით კიდევ უფრო აშორებდა იმ თავდაპირველ ეთნიკურ ჯგუფს, საიდანაც მოხდა მათი განსახლება.

აფხაზების ახალგაზრდა თაობა თურქეთში რეალისტურად უყურებს შექმნილ პირობებს. სამწუხაროდ, ისინი ცუდად ან საერთოდ არ საუბრობენ აფხაზურ ენაზე, მაგრამ გააჩნიათ ეროვნული თვითშეგნების მაღალი დონე. აფხაზური დიასპორა თურქეთში დღეს კარგად არის ორგანიზებული. თურქეთის ბევრ დიდ ქალაქში მოქმედებს აფხაზური კულტურის ცენტრები ან კლუბების (დერნეკები). მათი საქმიანობა და მიზნები ძირითადად კულტურული და საგანმანათლებლოა: მშობლიური ენის, ტრადიციების, კულტურის, სიმღერებისა და ცეკვების შენარჩუნება, კონცერტების, ფესტივალებისა და გამოფენების, კონფერენციებისა და მრგვალი მაგიდების მოწყობა, სხვადასხვა პუბლიკაციების გამოცემა, აგრეთვე კულტურული კავშირებისა და კონტაქტების შენარჩუნება თავის ისტორიულ სამშობლოსთან და სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ აფხაზებთან კომუნიკაციის და ურთიერთობების დამყარება.

თურქეთში მცხოვრებ აფხაზებს ურთიერთობები გააჩნიათ როგორც თავის ისტორიულ სამშობლოსთან ისე სხვა ქვეყნებში მცხოვრებ მემამულეებთან, მათ შორის აჭარის აფხაზებთანაც. ბევრი გვარის წარმომადგენლებს (კუდბა, აიკუცბა, მუსხაჯბა, ქიშინდბა, სმირბა და ა.შ.) წლებია აკავში-

რებს ურთიერთობა, მიმოსვლა ერთმანეთთან. ისინი ცდილობენ არ დაკარგონ თავიანთი ისტორიული ფესვები და კულტურული თავისებურებები.

დასკვნა. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის ხელისუფლება წლების მანძილზე მკაცრად და თანმიმდევრულად ატარებდა უცხოენოვანი მოსახლეობის ასიმილაციის პოლიტიკას, არ არსებობდა ეროვნული სკოლები, არ ჰქონდათ უფლება ესაუბრათ თავიანთ წარმოშობაზე, ეტარებინათ საკუთარი გვარები და ა.შ. აფხაზებმა თურქეთში შეინარჩუნეს არათუ თავიანთი ისტორია, იდენტობა, მორალურ-ეთიკური კოდექსი, ენა და მისი დიალექტები, ფოლკლორი, არამედ ტრადიციული კულტურის ის ნაწილიც, რაც ისტორიულ სამშობლოში დავიწყებასაა მიცემული.

ეროვნული უმცირესობების მიმართ თურქეთის მკაცრი პოლიტიკით გამოწვეული ყველა სირთულისა და პრობლემის მიუხედავად, მუჰაჯირთა უმრავლესობამ მოახერხა საკუთარი ეთნიკური ინდივიდუალობის შეგნებისა და ისტორიული სამშობლოს მეხსიერების შენარჩუნება.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

Chirikba, V. (1995). *Resettlement of Abkhazians in Turkey.*

Hollifield., C. B. (2000). *Migration Theory: Talking across discipline .* NY and London .

А., Г. Э. (9 июль 2021 г.). *Махаджирство и «черкесская диаспора». Краткий исторический экскурс в прошлое*. Получено из livekavkaz: https://www.livekavkaz.ru/index.php?newsid=14545

Ахиядов, М. (22 Май 2023 г.). *Северокавказская диаспора в Турции*. Получено из yenisafak.com: https://www.yenisafak.com/ru/life/4384

Емельянова, Н. (2015). ИСЛАМ НА СЕВЕРО-ЗАПАДНОМ КАВКАЗЕ (по материалам полевых исследований среди абазин),. *«Гуманитарные и социально-экономические науки»* .

ბასარია, ს. (1923). *აფხაზეთი გეოგრაფიულ, ეთნოლოგიურ და ეკონომიკურ ურთიერთობებში.*

ინალ-ფაშა, შ. (1990). *„უცხოეთის აფხაზები“.* სოხუმი.

ძიძარია, გ. (1982). *„მუჰაჯირობა და აფხაზეთის ისტორიის პრობლემები XIX ს“ .* სოხუმი.

FORCED MIGRATION/EMIGRATION OF ABKHAZIANS TO TURKEY: HISTORY, ADAPTATION, AND PROBLEMS OF IDENTITY PRESERVATION

NATALIA LAZBA
PhD in History, Associate Professor,
Batumi Shota Rustaveli State University
E-Mail: Natalia.lazba@bsu.edu.ge
ORCID: 0009-0005-0380-6303

INEZA ZOIDZE
Candidate of Historical Sciences, Associate Professor,
Batumi Shota Rustaveli State University
E-Mail: Ineza.zodze@bsu.edu.ge
ORCID: 0000-0002-3354-4069

Abstract: The article discusses and analyzes the causes of the forced migration (muhajirism) of Abkhazians, the historical and political contexts that led to their choice of the receiving country as the object of migration. In addition, attention is focused on cultural, social, and economic reasons that had a special impact on various aspects of the life of the emigrants.

The colonial interests of the Russian Empire in the Caucasus in the nineteenth century are discussed in detail, the goal of which was to make the Caucasus an organic and inseparable part of it. For this, a large-scale colonization of the Caucasus was necessary, which could not be implemented without a free land fund (without „unreliable and undesirable" settlers). This was one of the reasons for the expulsion of a number of ethnic groups in the Caucasus, including the Abkhazians, from their native places and their deportation to the Ottoman Empire.

Along with the historical context, the migration processes that were reflected in the processes of adaptation and identity preservation of migrants are analyzed.

As a result of the research (fieldwork, analysis of scientific literature), it was determined that despite the strict and consistent assimilation policy of the Turkish government over the years, the Abkhazians, through conservation in a foreign socio-political and cultural environment, have preserved not only their history, identity, moral and ethical code, language and its dialects, folklore, but also that part of traditional culture that has been forgotten in their historical homeland.

Keywords: Muhajir-migration, colonialism, history, politics, adaptation, identity.

* * *

Introduction. Relevance of the topic. *Migration processes are a phenomenon that has accompanied human history.* The mobility of people is associated with a number of reasons: economic, political, ecological, social, cultural, etc. Accordingly, the above-mentioned processes were accompanied by the results reflecting a different and multifaceted process. In the footsteps of the development of humanity and the ascent to a new stage of life, the political environment, areas of interest, states' capabilities and power balance, culture, economy are changing, which makes the phenomenon of migration a continuous process and does not lose its relevance in all eras. Accordingly, when discussing the problem, various issues were considered: „What is the reason that determines the movement of the population, the results of this process?", „Why does part of the population begin to migrate and others remain?", What are the consequences of migration for the receiving and sending communities? (Migration Theory: *2000*) These issues are key when discussing the process and its results.

In general, migration is one of the most significant civilizational problems and is viewed not merely as a mechanical movement of people, but as a complex social process that influences various aspects of political, economic, cultural, and social life.

Transcontinental and transregional migrations are regular processes in the development of civilizations. *One such movement is the deportation (forced relocation) of the peoples of the Caucasus from their historical homeland to the countries of the Near East-a phenomenon that is recognized in the scientific literature as Muhajirism.*

Muhajirism is not just a difficult episode in life, but also a grave national tragedy, which led to a rapid decline in the number of Abkhazians in their own homeland and put the Abkhaz people at risk of physical extinction. (ინალ-იფა, 1990:145-146).

Accordingly, our goal is to conduct an in-depth analysis of the problem, taking into account both the historical and contemporary contexts.To study and analyze the issues of identity, integration and adaptation of Abkhazian emigrants in Turkey.

Research Methodology. *The empirical basis of this study is grounded in the examination of migration-related issues in Abkhazian villages in Turkey, conducted under fieldwork conditions. Fieldwork was carried out using methods of direct observation and interviews with informants. Qualitative techniques such as focus group discussions and in-depth interviews were employed. Both group and individual meetings were conducted to ensure a diversity of perspectives. This approach enabled the collection of valuable data, which was analyzed to identify the dynamics and main trends related to the subject under investigation. In addition, relevant theoretical materials from the scientific literature were reviewed and analyzed to provide a broader conceptual framework for the study.*

Discussion of the issue and main findings. As a result of continuous wars in the Caucasus at the turn of the 18th-19th centuries, Russia subjugated the region. Its goal was to make it its organic and integral part, for which large-scale colonization of the Caucasus was necessary, which could not be carried out without a free land fund.

(without „unreliable and undesirable“ settlers). This was precisely one of the reasons for the expulsion of a number of Caucasian peoples, including the Abkhazians, from their native places and their deportation to the Ottoman Empire.

The colonial policy, which included deportations aimed at forced assimilation, turned the Caucasus into one of the most conflict-prone regions in the world during the 19th century. The implementation of military-colonial policies destroyed traditional socio-cultural institutions and led to ideological disorientation of the people.

As a result, in the 19th century, a significant portion of the population of the Caucasus came under the jurisdiction of the Ottoman Empire. In the territories they left behind, significant changes occurred in the region's ethnic map. The Muhajirism became one of the most tragic chapters in the history of the peoples of the Caucasus. The scale of this migration had a profound impact on the geopolitical and ethnodemographic landscape of the region. According to historian Dzidzaria, approximately one million people emigrated from the Caucasus during this period, including around one hundred thousand Abkhazians. (ძიძარია, 1982:98–99).

The result of forced migration was the emergence of a large Abkhazian diaspora in a number of countries of the Middle East: in the Ottoman Empire, Syria, Jordan, Lebanon, Egypt. There are currently 228 Abkhazian-Adyghe villages in twenty provinces of Turkey (Chirikba,1995:278). The Abkhazians, Adyghe and Ubykhs, who are known in Turkey under the common name „Circassians“, played a prominent role in the life of the Sultan's court, in the administration and especially in the army of the Ottoman Empire.

The approach of the Ottoman authorities to the settlement of the Muhajirs was characterized by multifaceted aspects: military-political, national and economic. Taking into account the military-political

and national-ethnic aspects, the Sultan's authorities planned to use the Muhajirs in possible external wars and internal conflicts: Balkan – against Russia and the Slavic peoples; Caucasian – against Russia and the Armenians; Mediterranean – against the historical enemy – against the Greeks; Eastern – against the Armenians and Kurds; South – against the Alawites, Bedouins and Druze. From an economic point of view, the Ottoman authorities planned to strengthen the industrial and agricultural sectors with the efforts of the Muhajirs against the background of constant military threats (Гургулия, 2021).

It is noteworthy that the Ottoman Empire subjected the settlers from the Caucasus to a policy of planned resettlement, and this policy cannot be considered in isolation from the internal politics of the empire and the ongoing geopolitical struggle on its territory. In this context, a significant number of Caucasians settled in the Ottoman provinces adjacent to or near the Balkan and Caucasus regions, where the borders between the Ottoman and Russian empires crossed. Thus, in the event of a war with Russia, the Ottoman administration planned to make maximum use of the Muhajirs, who had solid war experience and also a sense of historical revenge against Russia. This was the subject of Ottoman foreign policy. In addition, another factor that influenced the settlement policy planned by the Ottomans towards the Caucasian peoples was directly related to the social structure of this country. The planned resettlement policy towards Caucasians was implemented taking into account possible uprisings among ethnic groups and religious minorities in the Ottoman Empire. Meanwhile, by the 1880s, the geography of the resettlement of Caucasians in the Ottoman Empire had taken its final form and was concentrated mainly in four regions of the country: Western Anatolia (especially Northwestern Anatolia), Central Anatolia (Circassian line), Eastern Anatolia and the Arab provinces. (Syria, Palestine and Jordan). (Ахиядов, 2023).

The immigrants in the Ottoman Empire faced difficult conditions. They did not have the rights that the local population enjoyed (for example, they did not have the right to vote in court). This explains the attempts of the Muhajirs to return in the period before the First World War. The difficult situation of the immigrants was associated not only with economic and social problems, but also with problems of a political nature.

Although the first wave of Muhajirs was already faced with a number of socio-economic and other problems. They still saw a particular threat in the loss of their identity, *historical traditions and customs*, therefore, they were cautious and took a number of measures to prevent their assimilation into local society. For this reason, they settled and lived in closed communities, trying to preserve their cultural values, secondly, they categorically forbade mixed marriages and thirdly, they united in charitable, cultural and educational societies.

As we have noted, the Ottoman Empire began a policy of maximum assimilation of Caucasians. The Muhajirs, on the other hand, fought for survival, social justice, and the preservation of their identity. The first steps after the exile were the creation of the so-called parliament (Mejlis), which was followed by brutal repressions by the „red sultan" Abdul-Hamid II (1876-1909). Such harsh repressive measures further deepened the confrontation between the Muhajirs and the local authorities. After the Kemalist revolution, the Circassian Mejlis was reopened (ინალ-იფა, 1990:18). S. Basaria reports that at the beginning of World War I, the Mejlis sent its deputies to the Congress of the World League for the Protection of Small Nations (ბასარია, 1923:. 106-107)

In 1912, Abkhazians and Circassians living in Constantinople formed the Abkhazian-Circassian Committee. The main task of the committee was cultural and educational activities, which were carried out with the voluntary donations of the locals. The committee was able to open a boarding school for 60 people, and also printed books.

In 1918, Constantinople was occupied by the British. The committee practically ceased its activities.

As soon as the Kemalists came to power, the committee building was demolished, the books in it were confiscated and burned.

Before the Turkish revolution, a certain part of the Muhajiri Caucasians represented the military support of the Sultan, enjoying privileges: They were given the best lands, were often nominated for

various high-ranking positions, and the leadership of the Turkish army was often in their hands. The reactionary policy of the Sultan was partly based on their power.

The main purpose of the Muhajirs (men) who migrated to Turkey was to perform military service, which was also the main goal of Ottoman policy. The government gave them relatively large plots of land, but for temporary use. In addition, they enjoyed certain benefits. In particular, they were exempt from taxes for 10 years. The mentioned lands were state property, the ruler of which was the Sultan himself. The immigrants could not sell these plots before 10 years. If the landowner moved to another place before this period, the land returned to the state.

Bourgeois revolution in Turkey, after the overthrow of the Sultan, waged a struggle against external and internal hostile forces. Among them was a part of the Abkhazian-Circassian population, which was a supporter of the Sultan. They lost confidence in the new government and were persecuted as unreliable elements. In 1919, the Greco-Turkish War began, which further aggravated the situation of the Abkhazians in the Ottoman Empire. They were involved in difficult political confrontations between supporters of the old regime and Kemalists. Moreover, fierce battles were fought in Western Anatolia, that is, where the Abkhazians were compactly settled. (Izmit, Bursa, Izmir, Alashekir, etc.). As a result, many Abkhazians died or were forcibly exiled to Greece and other countries. The Abkhazians also arrived in Greece with the Greek army. Living conditions there were also difficult for them. Returning to Abkhazia, that is, to their historical homeland, remained their constant task and dream.

At the end of the nineteenth century, among the Abkhazians living in Turkey, there were only three people with a university education, 5-6 with secondary education (gymnasium), but in the Turkish army there were a lot of officers and generals of Abkhaz origin. Abkhazians prefer to serve in the army, – wrote Inal-Ifa in his work.

In the early twentieth century, ethnic minorities in the Republic of Turkey were subjected to forced assimilation. The official policy of the government was to create a unified Turkish nation. Under the 1932 Language Law, children were prohibited from speaking languages other than Turkish in schools. Under the Surname Law, Caucasians were required to change their surnames (Емельянова, 2015:33-40). After World War II, Turkey moved from a single-party system to a multi-party system, and the country began to form national-cultural associations.

At the modern stage, the settlements of Abkhazian muhajirun are represented in the provinces of Sakarya (center in Adapazari) and Dziuz. In the first province (province) there are up to 25 Abkhazian villages, in the second – up to 20. Less compact Abkhazian settlements are represented in various provinces: Bursa, Eskişehir, Samsun, Sinop, Bilecik, etc. In total, there are about 200 villages in Turkey where Abkhazians live compactly. (Adana, Amasya, Balıkesir, Bilecik, Bingöl, Bolu, Bursa, Çorum, Eskişehir, İstanbul, Kocaeli (İzmit), Kütahya, Manisa, Sakarya, Samsun, Sinop, Sivas, Tokat, Yozgat, Zonguldak) (Chirikba, 1995:278).

The muhajirs gave their new places of residence the names of the villages from which they came from Abkhazia: Aatsi, Uarcha, Chlou, Daal, Ankhua, Mtsara, etc. (ბასარია, 1923:106-107).

Almost all Abkhazian surnames existing in Abkhazia are represented in Turkey, moreover, even those surnames that are no longer in Abkhazia today. (Adzba, Akushba, Alatsba, Avkhaa, Ateiba, Baalou, Taskuach, etc.). Abkhazian surnames are traditionally used in the community during interethnic relations. They have no legal force. For official purposes, old surnames were changed or adopted Arabic or Turkish names (ინალ-იფა:1990).

As mentioned above, the Abkhazians living in Turkey are mainly settled in the provinces. From the very beginning, they were engaged in agriculture, gardening, beekeeping and cattle breeding. They grew corn, tobacco, rice, grapes. (although not for wine, but for the preparation of sweets „betmez“), etc. In addition to wheat, barley and corn, the immigrants also brought crops from the Caucasus that were not grown in Turkey: millet, oats. They also grew various vegetables, watermelons, and fruit trees. The Abkhazians also preserved the tradition of horse breeding and horse riding, which was very popular in their homeland.

The events taking place in the region and in the world in general (the First and Second World Wars, various political-ideological processes, the collapse of the USSR, etc.) had a great impact on the attitude of Abkhazians living in Turkey towards their compatriots living in their historical homeland. In their opinion, the proximity to the Soviet Union and, more specifically, to Russia, had an impact on the traditional value orientations of the Abkhazians, which was a violation of Abkhazian moral and ethical norms. The romanticized and idealized image and expectations of the homeland were crumbling, which became even more acute after the Georgian-Abkhazian conflict, when disorientation began, the growth of crime and its influence on society (the repatriates themselves), unemployment, corruption, etc. All of this further distorted the perception of their historical homeland and further distanced them, in terms of culture and values, from the original ethnic group from which they were resettled.

The younger generation of Abkhazians in Turkey is realistic about the conditions created. Unfortunately, they speak the Abkhazian language poorly or not at all, but they have a high level of national self-awareness. The Abkhazian diaspora in Turkey is well organized today. Abkhazian cultural centers or clubs (derneks) operate in many large cities of Turkey. Their activities and goals are mainly cultural and educational: preserving the native language, traditions, culture, songs and dances, organizing concerts, festivals and exhibitions, conferences and round tables, publishing various publications, as well as maintaining cultural ties and contacts with their historical homeland and establishing communication and relations with Abkhazians living in different countries.

Abkhazians living in Turkey have relations both with their historical homeland and with their compatriots living in other countries, including Abkhazians of Ajara. Representatives of many clans (Kudba, Aikutsba, Muskhajba, Kishindba, Smirba, etc.) have been connected by relationships and communication with each other for years. They try not to lose their historical roots and cultural characteristics.

Conclusion. Thus, despite the fact that the Turkish government has been strictly and consistently pursuing a policy of assimilation of the foreign-speaking population for years. there were no national schools, they did not have the right to talk about their origin, to carry their own surnames, etc. Abkhazians in Turkey have preserved not only their history, identity, moral and ethical code, language and its dialects, folklore, but also that part of their traditional culture that has been forgotten in their historical homeland.

Despite all the difficulties and problems caused by Turkey's strict policy towards national minorities, the majority of the emigrants have managed to preserve the consciousness of their ethnic individuality and the memory of their historical homeland.

Bibliography:

1) ბასარია, ს. (1923). „აფხაზეთი გეოგრაფიულ, ეთნოლოგიურ და ეკონომიკურ ურთიერთობებში".
2) ინალ-იფა, შ. (1990), უცხოეთის აფხაზები", სოხუმი.
3) ძიძარია, გ. (1982). „მუჰაჯირობა და აფხაზეთის ისტორიის პრობლემები XIX ს" , სოხუმი.
4) Migration Theory: Talking across discipline, (2000). Ed. by Caroline B. Brettell and James F. Hollifield. Routledge \ Taylor & Francis Group, NY and London.
5) Chirikba, V.A. (1995). Resettlement of Abkhazians in Turkey // Sh.D. Inal-ipa. Sadzy: historical and ethnographic essays. M.
6) Емельянова, Н. (2015). ИСЛАМ НА СЕВЕРО-ЗАПАДНОМ КАВКАЗЕ (по материалам полевых исследований среди абазин), «Гуманитарные и социально-экономические науки» Ростов-на-Дону, № 5,
7) Гургулия, Э. А. (2021). Махаджирство и «черкесская диаспора». Краткий исторический экскурс в прошлое, ნახვის თარიღი: 13 აპრილი, 2025. ბმული: https://www.livekavkaz.ru/index.php?newsid=14545
8) Ахиядов, М. (2023). Северокавказская диаспора в Турции, ნახვის თარიღი: 13 აპრილი , 2025. ბმული: https://www.yenisafak.com/ru/life/4384

შავი ზღვის აუზის უსაფრთხოების განზომილება და თანამედროვე სამხედრო საფრთხეები

ვახტანგ მაისაია
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის, პროფესორი,
ელ-ფოსტა: vakhtang.maisaia@ciu.edu.ge
ORCID: /0000-003-3674-3570

სერგო თევზაძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის
მეცნიერებათა სადოქტორო-საგანმანათლებლო
პროგრამის დოქტორანტი
ელ-ფოსტა: sergo.tevzadze@ciu.edu.ge
ORCID: 0009-0000-6386-4891

ანი გაგნიძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ
მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერებათა
სადოქტორო-საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტი
ელ-ფოსტა: ani.gagnidze@ciu.edu.ge
ORCID: 0009-0009-0184-0435

აბსტრაქტი: ნაშრომში – „**შავი ზღვის აუზის უსაფრთხოების განზომილება და თანამედროვე სამხედრო საფრთხეები“ –** განხილულია რეგიონალური და არარეგიონალური აქტორების სამხედრო, სამხედრო პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შავი ზღვის აუზის ქვეყნების უსაფრთხოების გარემოსა და სტაბილურობაზე. აღნიშნული რეგიონი, მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე იძლევა მასშტაბური ეკონომიკური პროექტების განხორციელების, ასევე ძალების სხვადასხვა მიმართულებებით პროეცირების შესაძლებლობებს, რაც ქმნის დამატებით გამოწვევებს ზემოთ ჩამოთვლილ დომეინებზე შესაძლო ნეგატიური ზეგავლენის კონტექსტში. თემაში ნათლადაა წარმოჩენილი ყველა ის საჭიროებები, რომლებმაც რეგიონის ქვეყნებს შორის მშვიდობიან თანაარსებობას უნდა შეუწყოს ხელი და ამ მოცემულობის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად მოახდინოს უსაფრთხოების სრული სპექტრის ღონისძიებების რეალიზება.

ყურადღება გამახვილებულია რეგიონში არსებულ ტურბულენტურ ვითარებაზე (რუსეთ-უკრაინის ომი, სომხეთ-აზერბაიჯანის სამშვიდობო პროცესი, კონფლიქტები ახლო აღმოსავლეთში), რაც დასავლეთისთვის კრიტიკულ მნიშვნელობას იძენს, ცენტრალური აზიიდან ევროპის მიმართულებით სტაბილური და საიმედო სატრანსპორტო-საკომუნიკაციო ხაზების „შუა დერეფანი“-ს გადალაგებასთან დაკავშირებით, კავკასიის რეგიონის გავლით, რომელ ჯაჭვშიც საქართველოს მნიშვნელოვანი როლი აკისრია და ასრულებს ენერგო რესურსების და ტვირთების გამტარის ფუნქციას.
ნაშრომში ასევე განხილულია, ზემოთ აღნიშნული პროცესების შედეგად სტრატეგიული მხარდაჭერისა და შესაძლებლობების ზრდის ტენდენციები, როგორც პოლიტიკური, ასევე სამხედრო და ეკონომიკურ-ფინანსური სარგებლის მიღების თვალსაზრისით, რაც ქმნის უსაფრთხოების უპრეცენდენტო გარანტიებს შავი ზღვის აუზის კონკრეტული სახელმწიფოებისთვის. ამავდროულად თემაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აშშ-ის და ჩინეთის ინტერესებს შავი ზღვის აუზის მიმართ, რაც გამოხატულია რეგიონის გეოპოლიტიკური მდებარეობიდან და მისი ეკონომიკური

პოტენციალიდან გამომდინარე, ასევე მასშტაბური ეკონომიკური პროექტების განხორციელების და უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის ხელის შემშლელი თანმდევი რისკები, იმ აქტორების მხრიდან (რუსეთი, ირანი), რომელთა გვერდის ავლითაც იგეგმება სამომავლო მეგაპროექტების განხორციელება.

მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა არაკეთილმოსურნე აქტორების მხრიდან საკომუნიკაციო ჯაჭვში შემავალი სახელმწიფოებში არასტაბილური გარემოს ფორმირებას, მათ შორის ჰიბრიდული მოქმედებების წარმოებას, დივერსიული აქტებისა და კიბერ თავდასხმების განხორციელებასა და ასევე ტერიტორიული მთლიანობის მოშლის ან ქვეყნების ნაწილობრივ ან სრულად ოკუპაციას ან მცდელობებს.

განსახილველი თემის მნიშვნელოვანი ნაწილი ეძღვნება ჯაჭვში არსებული გამტარუნარიან ქვეყნებში განსახორციელებელი მეგაპროექტების უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებს და ამ მეგაპროექტების განხორციელებით დაინტერესებული პარტნიორი ქვეყნების მჭიდრო კოოპერაციის აუცილებლობას. აღნიშნული კი მნიშვნელოვნად გაზრდის დაინტერესებული მხარეების, უსაფრთხოების სექტორში ჩართული ძალებისა და საშუალებების კოორდინირებულ საქმიანობას, პროფილაქტიკური/პრევენციული ღონისძიებების გატარებისათვის.

აღნიშნულ თემის საკვლევი კითხვა არის შემდეგი: რა გავლენას ახდენს ასიმეტრიული სამხედრო გამოწვევები რეგიონული უსაფრთხოების პროცესებზე, შავი ზღვის რეგიონის მაგალითზე? თეორიული ჩარჩო იქნება შერჩეული „რეგიონული უსაფრთხოების“ და „სეკურიტიზაციის“ თეორიებიდან.

საკვანძო სიტყვები: უსაფრთხოება, შავი ზღვის აუზი, საფრთხეები, სტაბილურობა, სტრატეგიული, გეოპოლიტიკური, ეკონომიკური.

* * *

შესავალი. თანამედროვე მსოფლიოში სახელმწიფოთა უსაფრთხო თანაარსებობის გარანტორად ხშირ შემთხვევაში მოგვევლინება ეკონომიკური ინტერესების თანხვედრა, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ქვეყნების ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამხედრო და სოციალურ განვითარებაზე. ზემოთ აღნიშნული ინტერესის სფეროების გადაკვეთა მნიშვნელოვნად ზრდის სხვადასხვა ქვეყნებს შორის კეთილმეზობლური დამოკიდებულების ხარისხს, რადგან გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე თავს იჩენს ურთიერთდამოკიდებულების ისეთი მოცემულობები, როგორიცაა ვაჭრობა, სატრანზიტო მარშუტები, თანამშრომლობა სამხედრო კუთხით და უსაფრთხოების სექტორში.

შავი ზღვის აუზის ქვეყნების მიმართ დაინტერესება აშშ-ის და ევროპის მხრიდან მუდმივად არსებობდა, თუმცა ინტერესები შესაძლებლობებთან ერთად გაიზარდა პოსტსაბჭოური სივრცის დაშლის შემდგომ, სადაც მათ რეალური შანსი მიეცათ მნიშვნელოვანი აქტორების როლი შეეთავსებინათ ეკონომიკური კოლაფსის წინაშე მდგარ, მათთვის სტრატეგიულად საინტერესო ქვეყნებში. შავი ზღვის აუზს მისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მსოფლიო უსაფრთხოების ფორმირებაში, რადგან ის ერთმანეთთან აკავშირებს კასპიის, ეგეოსის და ხმელთაშუა ზღვების აუზებს და წარმოადგენს მნიშვნელოვან დერეფანს ევროპასა და აზიას შორის. გამომდინარე აქედან შავი ზღვის აუზის უსაფრთხოების განზომილება მოიცავს არა მარტო კავკასიას, არამედ ცენტრალურ და აღმოსავლეთ აზიას, რუსეთის ფედერაციას, ასევე დასავლეთის ევროპულ ქვეყნებს და აშშ-ს (მაისაია და კიღურაძე, 2024).

მნიშვნელოვანი დატვირთვა შავი ზღვის აუზს აქვს ეკონომიკური თვალსაზრისით, რაც გულისხმობს სამხრეთ კავკასიის გავლით „ჩრდილოეთ დერეფანის“ ჩანაცვლებად ალტერნატივას „შუა დერეფნით“, რომელიც მნიშვნელოვნად მოკლეა ვიდრე „ჩრდილოეთის დერეფანი“. აღნიშნული ალტერნატივის ძებნა დასავლეთის მიერ განაპირობა არა მოკლე მარშრუტმა, არამედ რუსეთის უკრაინაში შეჭრამ, რამაც რუსეთი წარმოაჩინა არასტაბილურ და საფრთხის შემცველ პარტნიორად. ერთი მხრივ ალტერნატიული მარშუტის არსებობა, რა თქმა უნდა, ხელსაყრელ პირობებს ქმნის გარკვეული ქვეყნების ეკონომიკური განვითარებისათვის, თუმცა მეორე მხრივ აზიანებს რეგიონის დომინანტი აქტორების ეკონომიკურ ინტერესებს, რომლებსაც გააჩნიათ საკმარისზე მეტი რესუ-

რსები ხელი შეუშალონ ალტერნატიული პროექტების განხორციელებას, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს განსახორციელებელი პროექტებთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებს.

ყოველივე ზემოთ განხილული ცხადყოფს, რომ მსოფლიოს ყველაზე ინდუსტრიული და განვითარებული ქვეყნების ინტერესები მიმართულია მზარდი ეკონომიკის შენარჩუნებისა და განვითარებისაკენ, რაც მოითხოვს ძვირად ღირებული მეგაპროექტების განხორციელებაში ჩადებული ინვესტიციების დაცვას და მათი უსაფრთხო ფუნქციონირების ხელშეწყობას ხანგრძლივი დროით, ასევე შესაძლო არსებული ან მომავალში წარმოჩენილი საფრთხეების აღმოფხვრას ან პრევენციას. მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს პროექტებში მონაწილე, გამტარუნარიანობის მქონე ქვეყნების სტაბილურობა და მათი უსაფრთხოების მაღალ დონეზე უზრუნველყოფა, რეგიონში არსებული არაკეთილმოსურნე აქტორების მხრიდან შესაძლო ასიმეტრიული საფრთხეების თავიდან აცილების ან თუნდაც პირდაპირი სამხედრო აგრესიის პრევენციის მიზნით (მარშალ-ცენტრი, 2024).

შავი ზღვის აუზის მნიშვნელობა და საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის ანალიზი

შავი ზღვის აუზის მნიშვნელობა განისაზღვრება მისი გეო-სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ევროპის, ახლო აღმოსავლეთის, ცენტრალური აზიისა და აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებს. აღნიშნული რეგიონი საინტერესოა მთელი რიგი ეკონომიკური ინიციატივებით, რაც გამოხატულია რესურსებთან წვდომის, ხელსაყრელი სავაჭრო პირობების, სწრაფ და მოკლე სავაჭრო მარშრუტების კუთხით. შავი ზღვის აუზმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, როდესაც საბჭოთა პერიოდში ჩაკეტილი გარკვეული სივრცეები გაიხსნა და რეალურად ხელმისაწვდომი გახდა დასავლეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების გასატარებლად. შავი ზღვის აუზის ქვეყნებია: თურქეთი, ბულგარეთი, საქართველო, უკრაინა, რუსეთი და რუმინეთი, რომელთაგანაც საერთაშორისო სავაჭრო თვალსაზრისით რუსეთის გარდა, დანარჩენი საზღვრისპირა ქვეყნები აწარმოებენ ღია და თავისუფალ საზღვაო ვაჭრობას.

შავი ზღვის აუზის რეგიონში მნიშვნელოვანი გეოგრაფიული მდებარეობა აქვს საქართველოს. თუ შევხედავთ სატრანზიტო მარშუტების განლაგებას, მივხვდებით, რომ ბოლო წლებში განვითარებული მოვლენების ფონზე საქართველოს ტერიტორია ყველაზე ხელსაყრელია ჩრდილოეთის სახმელეთო და სამხრეთის საზღვაო სატრანსპორტო მარშრუტებთან შედარებით (ნატო პარლამენტური ასამბლეა, 2023).

„ჩრდილოეთის მარშრუტი“ (ჩინეთი-რუსეთი-ევროპა) დასავლეთისთვის არასაიმედო გახდა 2022 წლიდან რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის შემდეგ, რამაც ხაზი გაუსვა რუსეთის პარტნიორობის არასიმედოობას და არასტაბილურობას, შესაბამისად დასავლეთმა დაიწყო ალტერნატიული მარშრუტის მოძიება, რომელიც „შუა დერეფანი“-ს სახელწოდებითაა ცნობილი.

„სამხრეთის საზღვაო მარშრუტი“ (ყვითელი ზღვა-მალაკის სრუტე-ინდოეთის ოკეანე-წითელი ზღვა-სუეცის არხი-ხმელთაშუა ზღვა) საოკეანო მარშუტია, რომელიც გამოირჩევა თავისი სიიაფით, თუმცა მისი ხანგრძლივობა 45-60 დღეს შეადგენს.

„შუა დერეფანი“ (ჩინეთი-ყაზახეთი-უზბეკეთი-თურქმენეთი-აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთი) ეს ის ალტერნატიული მარშრუტია, რომელსაც „ჩრდილოეთის მარშუტის“ კონკურენტუნარიან დერეფნად მოიაზრებენ, რადგან ის 2000 კილომეტრით მოკლეა, გაცილებით სტაბილურია და უსაფრთხო.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ „შუა დერეფანი“-ს ალტერნატივა მნიშვნელოვანი განაცხადია ევროპისა და აზიის სავაჭრო მარშუტების დასაკავშირებლად, რომელსაც მხარს უჭერენ დიდი შვიდეულის ქვეყნები და მათ შორის აღნიშნული დერეფნის განვითარების დიდი მხარდამჭერია ჩინეთიც. მნიშვნელოვანი კი საქართველოს მონაწილეობაა არსებულ ჯაჭვში, რომელიც პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობასთან და უსაფრთხოების გარანტიებთან. საქართველო აღნიშნული დერეფნის ჯაჭვში შემთხვევით არ მოხვედრილა, რადგან თუ გავითვალისწინებთ რუსეთ-უკრაინის, სომხეთი-აზერბაიჯანის შეიარაღებულ კონფლიქტებს, აზერბაიჯან-ირანის არცთუ ისე სახარბიელო ურთიერთობებს და დასავლეთის სანქციებს ირანთან

მიმართებაში, ნათლად დავინახავთ საქართველოს, როგორც სამხრეთ კავკასიის შემადგენელი ნაწილის გეო-სტრატეგიულ მნიშვნელობას.

აღსანიშნავია, ასევე უკვე განხორციელებული სხვა მასშტაბური პროექტები, როგორებიცაა:

„ნაბუქო“-ს მაგისტრალური გაზსადენი (აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთი-ბულგარეთი-რუმინეთი-უნგრეთი-ავსტრია-ჩეხეთი-გერმანია), რომელიც ცენტრალურ აზიას რუსეთის გვერდის ავლით აკავშირებს ევროპას;

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, რომლის საშუალებითაც კასპიის ზღვიდან ხდება გადაუმუშავებელი ნავთობის ტრანსპორტირება;

შაჰდენიზის გაზსადენი (ბაქო-თბილისი-ერზრუმი), რომელიც აშენდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის კორიდორში.

უკვე არსებული მილსადენები კი მიუთითებს საქართველოს ენერგოგამტარუნარიანობაზე და საიმედოობაზე (კუიმოვა და ვეზემანი, 2018).

„შუა დერეფნის“ დანიშნულების მიმოხილვა და დერეფნის ჯაჭვში შემავალი ქვეყნების უსაფრთხოების უზრუნველყოფის პოტენციალი

როგორც ზემოთ არაერთხელ აღვნიშნეთ, შავი ზღვის აუზი წარმოადგენს გეო-სტრატეგიული მნიშვნელობის გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას, რომელიც აზიიდან ევროპის მიმართულებით ენერგორესურსების გატარების ერთ-ერთი ალტერნატიული ვარიანტია. რესურსების გადაზიდვის დივერსიფიკაციის მიზნით, აღნიშნული რეგიონით დაინტერესებულია მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოები, რომელთა მიზანია უსაფრთხო სავაჭრო მარშუტების შექმნა, სადაც მოხდება ენერგორესურსების უწყვეტი და სტაბილური გატარება.

შავი ზღვის რეგიონმა, როგორც ენერგორესურსების გამტარუნარიანმა დერეფანმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა 2022 წლის შემდეგ, როდესაც რუსეთმა დაიწყო ფართომაშტაბიანი საომარი მოქმედებების წარმოება უკრაინის წინააღმდეგ. ამგვარი მოქმედებით რუსეთი დაუპირისპირდა მთელ დასავლურ სამყაროს, რომელსაც ის ათწლეულებია ამარაგებს ენერგო რესურსებით „ჩრდილოეთის დერეფანი“-ს მეშვეობით და მოცემული დერეფანი გამოიყენა დასავლეთზე ზეგავლენის ბერკეტად, რამაც აიძულა ევროპა, აშშ და ჩინეთი მოეძიათ ახალი ალტერნატიული ენერგოგამტარი დერეფანი. ასეთი ალტერნატიული დერეფანი, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება „ჩრდილოეთის დერეფანთან“ მიმართებაში „შუა დერეფნის“ სახელწოდებითაა ცნობილი.

„შუა დერეფნის“ ძირითადი დანიშნულებაა ენერგო რესურსების გამტარი მარშუტის რამდენიმე ათასი კილომეტრით შემცირება (დანახარჯებისა და გადაზიდვების დროის შემცირება) სხვა მარშრუტებთან შედარებით, ასევე რუსეთის ჩამოშორება ევროპის ენერგორესურსებით მომარაგების საერთაშორისო გაერთიანებებიდან (მაისაია, 2021).

აღნიშნული დერეფნის სტაბილურად ფუნქციონირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია ასევე, ენერგო რესურსების გამტარუნარიანი ქვეყნების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რაც დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული „შუა დერეფნის“ ენერგოგამტარ ჯაჭვში არსებულ სახელმწიფოებში პოლიტიკური რყევებისა თუ შეიარაღებული კონფლიქტების ფონზე, მაგალითად 2020 წელს არასტაბილურობა ყირგიზეთში (რევოლუციური მოვლენები), 2020 წელს საომარი მოქმედებები ყარაბაღში, 2021-2022 წლებში ლოკალური შეიარაღებული დაპირისპირებები აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის, 2022 წელს სამოქალაქო დაპირისპირება ყაზახეთში. ყოველივე ზემოთ აღნიშნული კი მნიშვნელოვნად აფერხებს ენერგოგამტარი პროექტების დროში რეალიზებას და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს დერეფნის სტაბილურად ფუნქციონირების საკითხს. ამგვარი არასტაბილური მოვლენების პრევენციას ჭირდება ჯაჭვში არსებულ სახელმწიფოთა შიდა პოლიტიკური სტაბილურობა და უსაფრთხოებაზე მიმართული კოლექტიური ძალისხმევა. ამ შემთხვევაში არც საქართველო გამოირჩევა სტაბილური გარემოთი, რადგან ქვეყნის 20% ოკუპირებულია რუსეთის მიერ, რაც ქმნის გარკვეულ დაძაბულობებს ამგვარი მეგაპროექტების განხორციელებაში.

ენერგო რესურსების გამტარუნარიან ჯაჭვში შემავალმა სახელმწიფოებმა საკუთარი ქვეყნების ეკონომიკური კეთილდღეობისა და უსაფრთხო განვითარების მიზნით, უნდა გამოიყენონ ყველა მათ ხელთ არსებული პოლიტიკური თუ ეკონომიკური ბერკეტები საკუთარ სახელმწიფოებში და

აწარმოონ დაბალანსებული საგარეო პოლიტიკა სამეზობლო ველში უსაფრთხო გარემოს შენარჩუნების მიზნით, ამგვარი პროექტების სტაბილურ გარემოში რეალიზებისთვის. ამგვარი მიდგომები კი კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის მათ გეოგრაფიულ მდებარეობას ახალი ინიციატივების წამოწყებისათვის, უცხოელი ინვესტორების მხრიდან.

ინდუსტრიული და მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ასეთ მეგაპროექტების განხორციელებაში მონაწილეობა თავისთავად მიუთითებს უზარმაზარი ინვესტიციების შედინებას ენერგოგამტარ სახელმწიფოებში და ამ სახელმწიფოებში უპრეცენდენტო უსაფრთხოების კომპლექსურ ღონისძიებებს, სადაც, რა თქმა უნდა, გარდაუვალია ადგილობრივი უსაფრთხოების სექტორის სრული სპექტრის ჩართულობა (მაისაია 2003. 6-12).

თანამედროვე სამხედრო საფრთხეების არსებობა, მათთან ბრძოლის და მათი პრევენციის შესაძლებლობები

მსოფლიოში და კერძოდ შავი ზღვის აუზის ქვეყნებში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები ქმნის არასტაბილურ გარემოს ზემოთ აღნიშნული ეკონომიკური პროექტების განხორციელებისათვის, რომელთა განვითარებას სჭირდება სტაბილური და უსაფრთხო გარემოს შექმნა. ყველა პროექტის განხორციელებაში იკვეთება დაინტერესებული და ამ პროექტების მოწინააღმდეგე მხარეები, რადგან ერთი მხრივ ეს არის გარკვეული სახელმწიფოებისათვის ეკონომიკური სარგებლის მიღების წყარო, ხოლო მეორე მხრივ ამ პროექტებიდან დისტანცირებული სუბიექტებისთვის აღნიშნული პროექტების განხორციელება ეკონომიკური დაღმავლობის მიზეზია. შესაბამისად, ამგვარი პროცესების დროს დაინტერესებულ და მოწინააღმდეგე მხარეებს შორის თავს იჩენს შეუთანხმებლობისა და დაძაბულობის მქონე ურთიერთობები, რომლებიც შესაძლოა მომავალში გადაიზარდოს ურთიერთობების უფრო ხისტ და აგრესიულ ფორმაში.

თუ მიმოვიხილავთ შავი ზღვის აუზით დაინტერესებული მხარეების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო მიზნებს თუ განზრახვებს, მივხვდებით, რომ შავი ზღვის აუზი და მისი მოსაზღვრე ქვეყნები დიდი განხილვის საგანია ინდუსტრიული და იმპერიალისტური ამბიციების მქონე ძლიერი სახელმწიფოებისათვის, სადაც ხშირია ინტერესთა გადაკვეთა და აზრთა სხვადასხვაობა. ყოველივე ეს კი წარმოშობს გარკვეულ დაპირისპირებებს და მოდავე ქვეყნების უსაფრთხოების სექტორის სრული სპექტრის ჩართულობას საკუთარი ინტერესების დასაცავად (დობრინი, 2023).

განვითარება უწყვეტი პროცესია, მითუმეტეს დღევანდელ სამყაროში, სადაც ტექნიკურმა ინოვაციებმა განვითარების უმაღლეს მწვერვალებს მიაღწია და ჯერ კიდევ მიმდინარე პროცესშია. ამის შესაბამისად ვითარდება არა კონკრეტული დარგები, არამედ ეს არის განვითარების მთელი ჯაჭვი, რომლის შედეგებიც პირდაპირ აისახება სამხედრო სფეროზე, კიბერუსაფრთხოებისა და კიბერდანაშაულებრივ სივრცეზე, ფარული და ღია კონფლიქტების წარმართვის მეთოდებზე. ყველა ეს ინოვაციები და ამ ინოვაციების განვითარებით მიღწეული წარმატებული თეორიული თუ პრაქტიკული სიახლეები გამოიყენება, როგორც მსოფლიოს ქვეყნების უსაფრთხო და მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის, ასევე მათ შორის წარმოშობილ დავებზე ზეგავლენის ბერკეტებად.

მოცემულ ნაშრომში არაერთხელ შევეხეთ შავი ზღვის აუზის სტრატეგიულ მნიშვნელობას და მასზე გამავალ „შუა დერეფნის“ საკითხს, რომელიც რუსეთ-ირანისა და დასავლეთის სადავო გეო-სტრატეგიულ გეოგრაფიულ მდებარეობად რჩება. დღევანდელი მოცემულობით, რუსეთი და ირანი ენერგორესურსების საკომუნიკაციო ხაზების ალტერნატიული ვარიანტის მიღმა რჩება, რაც მათ გაღიზიანებას და გარკვეულწილად ეკონომიკურ იზოლირებას იწვევს, ყოველივე ეს კი აისახება მათი ეკონომიკური განვითარების პროცესის შენელებაზე და დიდ ფინანსურ დანაკარგებზე. ჩიხში შესული რუსეთ-უკრაინას შორის მიმდინარე ფართომაშტაბიანი სამხედრო კონფლიქტი და ირანი-დასავლეთის ბირთვულ შეიარაღებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები ცხადყოფს კოლექტიური დასავლეთისა და მისი მოკავშირე ქვეყნების დამოკიდებულებას ირანისა და რუსეთის მიმართ. შესაბამისად დიდია ალბათობა განსახორციელებელ პროექტებთან მიმართებაში, რომლებიც ამ ორი უზარმაზარი რესურსებისა და სამხედრო პოტენციალის მქონე ქვეყნების გვერდის ავლით ხდება, გამოიწვიოს მათი უხეში ჩარევა პროექტების განხორციელების პროცესისთვის ხელის შეშლის ან საერთოდ მათი განხორციელების კითხვის ქვეშ დაყენების მიზნით.

ამგვარი მოქმედებები შესაძლოა გამოხატული იქნეს ასიმეტრიული საფრთხეების სახით, კერძოდ დივერსიული და ტერორისტული აქტების, კიბერ თავდასხმების მოწყობით, პროექტებში მონაწილე ქვეყნების შიდა პოლიტიკური არასტაბილურობის პროვოცირების ან ღია სამხედრო კონფლიქტების მეშვეობით, რაც მნიშვნელოვნად დააზიანებს მეგაპროექტების ჯაჭვში არსებული ქვეყნების უსაფრთხოებას და სტაბილურობას. გამომდინარე აქედან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აუცილებელია პროექტებში მონაწილე ყველა სახელმწიფოს უსაფრთხოების სექტორის სრული სპექტრის ჩართვა წარმოჩენილი საფრთხეების დროული პრევენციის მიზნით და სამეზობლო ველში დაბალანსებული პოლიტიკის წარმოება, რაც გულისხმობს შესაძლო მომდინარე პროვოკაციების თავიდან აცილებას ან არსებულ პრობლემებთან პრაგმატული მიდგომების შემუშავებას. აღნიშნულ პროექტებში ძალზედ მნიშვნელოვანია, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების უსაფრთხოების სექტორების ჩართულობა, რომლებსაც დიდი გამოცდილება გააჩნიათ პოსტკონფლიქტურ სიტუაციებში მოქმედების კუთხით და რეგიონალურ დონეზე პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების დიდი პოტენციალი.

რა თქმა უნდა, უსაფრთხოებასა და სტაბილურობაზე მიმართული პროცესები არ უნდა იყოს დაყვანილი ინდივიდუალურ დონეზე ან რომელიმე კონკრეტული საფრთხის აღმოფხვრაზე, ის უნდა მოიცავდეს კომპლექსურ მოქმედებათა ციკლს და ატარებდეს კოლექტიურ ხასიათს, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მომავალში შესაძლო წარმოშობილი პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათი დროულად აღმოფხვრის ხარისხს.

დასკვნა. ნაშრომში განხილული ფაქტები, ცხადყოფს შავი ზღვის აუზის მიმართ არსებულ დიდ დაინტერესებას მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მხრიდან, რაც მიუთითებს ინტერესისა და უსაფრთხოების განზომილების მასშტაბურობას. შავი ზღვის აუზის მნიშვნელობიდან გამომდინარე მისი უსაფრთხოების განზომილება მოიცავს აშშ-ს, კანადას, ევროპას, რუსეთს, ახლო აღმოსავლეთს, ცენტრალურ და აღმოსავლეთ აზიის გარკვეულ ქვეყნებს. ამ გეოგრაფიულ მდებარეობაზე ინტერესთა გადაკვეთის უამრავი გეოგრაფიული წერტილია, როგორებიცაა ბოსფორის სრუტე, ყირიმის ნახევარკუნძული, სამხრეთ კავკასია, ევროპის სანაპირო და ა. შ. ყველა ამ წერტილს თავისი სტრატეგიული დანიშნულება აქვს და ამა თუ იმ სახელმწიფოთა მნიშვნელოვან ლოკალურ ინტერესს წარმოადგენს, იქნება ეს შავ ზღვაზე გასასვლელი, საზღვაო მარშუტების კონტროლი თუ ენერგოგამტარ დერეფნებზე წვდომა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი მათი სწორად და რაციონალურად გამოყენებაა, ყველა დაინტერესებული აქტორის ინტერესების გათვალისწინებით. თუმცა, აღნიშნულის გათვალისწინება რეალურ გარემოში ძალზედ რთულია, გამომდინარე შავი ზღვის აუზის მოსაზღვრე ქვეყნებისა და აუზის გეოგრაფიული მდებარეობით დაინტერესებული მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სამხედრო ინტერესებიდან გამომდინარე.

მიუხედავად ინტერესთა გადაკვეთებისა და გარკვეულ საკითხებში შეუთანხმებლობისა, შავი ზღვის აუზი რჩება გეო-სტრატეგიული მნიშვნელობის საკვანძო წერტილად, პირველ რიგში ენერგო რესურსების გამტარუნარიანობის მხრივ, ასევე აზიასა და ევროპას შორის არსებულ უმნიშვნელოვანეს დამაკავშირებელ დერეფნად. აღნიშნულ სივრცეში უკვე განხორციელდა და მომავალშიც იგეგმება მრავალი მეგაპროექტების განხორციელება, რომლის საშუალებითაც ხდება უზარმაზარი რაოდენობის ბუნებრივი ენერგო რესურსების კონტინენტალური მიმოცვლა უმოკლეს დროში, რაც განაპირობებს სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო სატრანზიტო ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებას. არსებული განვითარების პროგრამები მოითხოვს დიდ ფინანსურ ინვესტიციებს და ამ ინვესტიციების დაცვას, რისი გარანტიაც არის რეგიონის უსაფრთხოების და სტაბილური განვითარების უზრუნველყოფა. უდავოა, რომ შავი ზღვის აუზი აზიისთვის სავაჭრო პროცესების, ხოლო ევროპისთვის ენერგორესურსების დივერსიფიცირების ხელსაყრელი რეგიონია, რაც განაპირობებს დაინტერესებული ქვეყნების მხრიდან დიდ ძალისხმევას სტაბილურობის შენარჩუნების თვალსაზრისით აღნიშნულ რეგიონში.

მნიშვნელოვანია, ასევე სამხედრო საფრთხეების არსებობა, რომლებიც შესაძლოა ასიმეტრიული საფრთხეების სახით იყოს წარმოდგენილი, ეკონომიკური ხასიათის პროექტების შეფერხებისა და დაზიანების, ასევე შავი ზღვის აუზის როგორც არასტაბილური რეგიონის წარმოჩენის მიზნით,

რეგიონში არსებული არაკეთილმოსურნე აქტორების მხრიდან, რისი პრევენციაც საჭიროებს მნიშვნელოვან ინვესტირებას კოლექტიური და ადგილობრივი უსაფრთხოების სექტორის განვითარებაში (მარშალ-ცენტრი, 2024).

ბიბლიოგრაფია:

Atlantic Council. (2023). A security strategy for the Black Sea. Atlantic Council. https://www.atlanticcouncil.org/in-depth-research-reports/report/a-security-strategy-for-the-black-sea/ Atlantic Council. (2023). უსაფრთხოების სტრატეგია შავი ზღვისათვის. Atlantic Council. ხელმისაწვდომია: იგივე URL

Dobrin, D. (2023, December 12). Challenges to Security in the Black Sea: Analyzing the Tripartite Initiative Operation in the Black Sea. Opinio Juris. https://opiniojuris.org/…/challenges-to-security-in-the-black-sea-… დობრინი, დ. (2023, 12 დეკემბერი). „უსაფრთხოების გამოწვევები შავი ზღვის რეგიონში: „ტრიპარტიტული ინიციატივის“ ოპერაციის ანალიზი“. Opinio Juris. ხელმისაწვდომია:

Kuimova, A., & Wezeman, S. T. (2018). *Russia and Black Sea Security*. SIPRI Background Paper, December 2018. Stockholm International Peace Research Institute. კუიმოვა, ა., & ვეზემან, ს. ტ. (2018). რუსეთი და შავი ზღვის უსაფრთხოება. SIPRI Background Paper, დეკემბერი 2018. Stockholm International Peace Research Institute.

Maisaia, V. *(2021).* Black Sea security and asymmetric military threats in the 21st century: New trends and challenges“ მაისაია, ვ. (2021). შავი ზღვის უსაფრთხოება და ასიმეტრიული სამხედრო საფრთხეები XXI საუკუნეში: ახალი ტენდენციები და გამოწვევები.

Maisaia, V. and Kiguradze, B. (2024). The Georgian-Caucasian geopolitics. მაისაია ვ. კიღურაძე ბ. (2024) „ქართულ-კავკასიური გეოპოლიტიკა“

მაისაია ვ. „შავი ზღვის გეოსტრატეგიული ბალანსის პოლიტიკური ასპექტები“, ქართულ-ევროპული ინსტიტუტი, პარიზი, 2003 წელი;

Marshall Center. (2024). A New Security Reality: Strategic Approaches for the Wider Black Sea Region. George C. Marshall European Center for Security Studies. მარშალ-ცენტრი. (2024). ახალი უსაფრთხოების რეალობა: სტრატეგიული მიდგომები გაფართოებული შავი ზღვის რეგიონში. George C. Marshall ევროპული უსაფრთხოების ცენტრი.

NATO Parliamentary Assembly. (2023). How Russia's War in Ukraine Changes Black Sea Security. ნატო პარლამენტური ასამბლეა. (2023). როგორ ცვლის რუსეთის ომი უკრაინაში შავი ზღვის უსაფრთხოებას.

THE BLACK SEA SECURITY DIMENSION AND CONTEMPORARY MILITARY THREATS

VAKHTANG MAISAIA
PhD in Political Science,
Professor at Caucasus International University
E-Mail: vakhtang.maisaia@ciu.edu.ge
ORCID: 0000-003-3674-3570

SERGO TEVZADZE
PhD student of the Political Science
At the Faculty of Social Sciences in
Caucasus International University
E-Mail: sergo.tevzadze@ciu.edu.ge
ORCID: 0009-0000-6386-4891

ANI GAGNIDZE
PhD student of the Political Science at the
Faculty of Social Sciences,
Caucasus International University
E-Mail: ani.gagnidze@ciu.edu.ge
ORCID: 0009-0009-0184-0435

Abstract: The paper „The Security Dimension of the Black Sea Basin and Modern Military Threats“ discusses the military, military-political and economic interests of regional and non-regional actors, which have a significant impact on the security environment and stability of the Black Sea Basin countries. The region in question, due to its geographical location, provides opportunities for the implementation of large-scale economic projects, as well as the projection of forces in various directions, creating additional challenges in the context of possible negative impacts on the above-mentioned domains.

The topic clearly outlines all the needs that should contribute to peaceful coexistence of the countries of the region and implement a full range of security measures to ensure the maintenance of this status quo. Attention is focused on the turbulent situation in the region (the Russia-Ukraine war, the Armenia-Azerbaijan peace process, conflicts in the Middle East), which is gaining critical importance for the West in terms of the rearrangement of the "middle corridor" of stable and reliable transport and communication lines from Central Asia to Europe, through the Caucasus region, in which Georgia plays an important role and performs the function of a conduit for energy resources and cargo. The paper also discusses the trends in strategic support and capacity growth as a result of the above-mentioned processes, both in terms of political, military, and economic-financial benefits, creating unprecedented security guarantees for specific states of the Black Sea Basin.

At the same time, the paper pays special attention to the interests of the United States and China in the Black Sea Basin, due to its geopolitical location of the region and its economic potential, as well as the associated risks that hinder the implementation of large-scale economic projects and ensure security from those actors (Russia, Iran) that are planned to bypass in the implementation of the future megaprojects. Significant attention is paid to the formation of an unstable environment in the states included in the communication chain by malicious actors, including the conduct of hybrid actions, sabotage acts and cyber attacks, as well as attempts or the acts of disruption of territorial integrity or partial or full occupation of the countries. Significant part of the present paper is devoted to the issues of ensuring the security of megaprojects to be implemented in the countries along the chain and the

necessity for close cooperation between partner countries interested in the implementation of these megaprojects.

This will significantly increase the coordinated activities of the interested parties, forces and means involved in the security sector, for the implementation of prophylactic/preventive measures. The research question of this paper is the following: what impact do asymmetric military challenges have on regional security processes, taking the Black Sea region as an example? The theoretical framework will be selected from the theories of „regional security“ and „securitization“. Key terms: security, Black Sea basin, threats, stability, strategic, geopolitical, economic.

Key words: security, Black Sea basin, threats, stability, strategic, geopolitical, economic.

* * *

Introduction. In the modern world, the guarantor of the safe coexistence of states is often the convergence of economic interests, which have a significant impact on the economic, political, military and social development of countries. The intersection of the above-mentioned spheres of interest significantly increases the quality of good-neighborly relations between different countries, since, based on their geographical location, interdependencies – such as trade, transit routes, cooperation in the military and security sectors – arise. The interest in the Black Sea basin countries has always existed on the part of the USA and Europe, however, the interests and opportunities have increased after the collapse of the post-Soviet space, where they were given a real chance to play the role of important actors in the countries of strategic interest to them, facing economic collapse. Due to its geopolitical location, the Black Sea basin occupies an important place in the formation of world security, as it connects the basins of the Caspian, Aegean and Mediterranean Seas and represents an important corridor between Europe and Asia. Accordingly, the security dimension of the Black Sea basin includes not only the Caucasus, but also Central and East Asia, the Russian Federation, as well as Western European countries and the USA. (Maisaia & Kiguradze, 2024)

The Black Sea Basin has a significant economic significance, which implies replacing the „Northern Corridor“ through the South Caucasus with an alternative „Middle Corridor“, which is significantly shorter than the „Northern Corridor“. The search for this alternative by the West was not driven by a shortness of the route but by Russia's invasion of Ukraine, which presented Russia as an unstable and dangerous partner. On the one hand, the existence of an alternative route certainly creates favorable conditions for the economic development of certain countries, but on the other hand, it interferes with the economic interests of the dominant actors in the region, who have more than enough resources to prevent the implementation of alternative projects, which calls into question the security issues associated with the projects to be implemented. All of the above demonstrates that the interests of the worlds most industrialized and developed countries are directed towards maintaining and developing a growing economy, which requires protection of investments in the implementation of expensive megaprojects and facilitating their safe operation for a long time, as well as prevention or elimination of the possible existing or future threats. An important factor is the stability of the countries participating in the projects, having the capacity, and ensuring their high level of security, in order to avoid possible asymmetric threats or even direct military aggression from unfriendly actors in the region. (Marshall Center, 2024)

1. The Importance of the Black Sea Basin and Analysis of the Geopolitical Location of Georgia

The importance of the Black Sea Basin is determined by its geo-strategic location, which connects the countries of Europe, the Middle East, Central Asia and East Asia. This region is interesting for a number of economic initiatives, which are expressed in terms of access to resources, favorable trade conditions, fast and short trade routes. The Black Sea Basin acquired special importance after the collapse of the Soviet Union, when certain spaces, closed during the Soviet period, were opened and actually became available for pursuing the political and economic interests of the West.

The countries of the Black Sea Basin are: Turkey, Bulgaria, Georgia, Ukraine, Russia and Romania, of which, in addition to Russia, 5 states are open in terms of international trade. Georgia has an important geographical location in the Black Sea region. If we look at the layout of transit routes, we will understand that, against the background of recent developments, the territory of Georgia is the most favorable compared to the northern land and southern sea transport routes. – The „northern route" (China-Russia-Europe) has become unreliable for the West since 2022 after Russia's invasion of Ukraine, which highlighted the unreliability and instability of Russia's partnership, and therefore the West began to search for an alternative route, known as the „middle corridor". (NATO Parliamentary Assembly, 2023)

– The „Southern Sea Route" (Yellow Sea-Strait of Malacca-Indian Ocean-Red Sea-Suez Canal – Mediterranean Sea) is an ocean route that is distinguished by its low price, although its duration is 45-60 days. – The „Middle Corridor" (China-Kazakhstan-Uzbekistan-Turkmenistan-Azerbaijan-Georgia – Turkey) is an alternative route that is considered as a competitive corridor to the „Northern Route", as it is 2000 kilometers shorter, much more stable and safer. Based on the above, it can be said that the alternative to the „Middle Corridor" is an important proposal for connecting the trade routes of Europe and Asia, which is supported by the G7 countries, including China, which is the major supporter of the development of the aforementioned corridor. What is important, is Georgia's participation in the existing chain, which is directly related to the country's economic prosperity and security guarantees. Georgia did not fall into the chain of the mentioned corridor without reason, because if we take into account the armed conflicts between Russia and Ukraine, Armenia and Azerbaijan, the not-so – favorable relations between Azerbaijan and Iran, and the Western sanctions against Iran, we will clearly see the geo-strategic importance of Georgia as a constituent part of the South Caucasus. The following, already implemented projects shall also be mentioned: – The Nabucco gas pipeline (Azerbaijan-Georgia-Turkey-Bulgaria-Romania-Hungary-Austria – Czech Republic-Germany), which connects Central Asia to Europe, bypassing Russia; – Baku-Tbilisi-Ceyhan oil pipeline, through which crude oil is transported from the Caspian Sea; – Shah Deniz gas pipeline (Baku-Tbilisi-Erzurum), which was built in the Baku-Tbilisi-Ceyhan corridor. The existing pipelines indicate Georgias power transfer capability and reliability. (Kuimova & Wezeman, 2018)

2. Overview of the Purpose of the „Middle Corridor" and the Potential for Ensuring the Security of the Countries, Included in the Corridor Chain

As we have repeatedly noted above, the Black Sea Basin has a geographical location of geo-strategic importance, which is one of the alternative options for transporting energy resources from Asia to Europe. In order to diversify the transportation of resources, the region is of interest to the world&№39;s leading countries, whose goal is to create safe trade routes, where energy resources will be transported continuously and stably.

The Black Sea region, as a corridor capable of transporting energy resources, has acquired particular importance since 2022, when Russia began large-scale hostilities against Ukraine. By doing so, Russia has opposed the entire Western world, which it has been supplying with energy resources for decades through the Northern Corridor, and has used this corridor as a lever of influence on the West, forcing Europe, the USA and China to look for a new alternative energy corridor. Such an alternative corridor, which would be competitive with the Northern Corridor, is known as the The main purpose of the „Middle Corridor" is to reduce the energy resource transmission route by several thousand kilometers (reducing costs and transportation time) compared to other routes, as well as to remove Russia from the international alliances for supplying Europe with energy resources. One of the most important components of the stable functioning of this corridor is also ensuring the security of the countries with the capacity to transmit energy resources, which is associated with great difficulties against the backdrop of political fluctuations or armed conflicts in the states in the „Middle Corridor" energy transmission chain, for example, instability in Kyrgyzstan (revolutionary events) in 2020, hostilities in Karabakh in 2020,

local armed conflicts between Azerbaijan and Armenia in 2021-2022, and civil conflict in Kazakhstan in 2022. (Maisaia, 2021)

All of the above significantly hinders the timely implementation of energy projects and calls into question the stable functioning of the corridor. Prevention of such unstable events requires the internal political stability of the states in the chain and collective efforts aimed at security. In this case, Georgia is not distinguished by a stable environment either, since 20% of the country is occupied by Russia, which creates certain tensions in the implementation of such mega-projects.

The states, included in the energy resource transmission chain, for the purpose of the economic well-being and safe development of their countries, should use all the political and economic levers at their disposal in their own states and conduct a balanced foreign policy in order to maintain a safe environment in the neighboring area, for the implementation of such projects in a stable environment. Such approaches will make their geographical location even more attractive for launching new initiatives by foreign investors. Participation of industrialized and world-leading countries in the implementation of such megaprojects itself indicates the influx of huge investments into energy-transmitting states and taking unprecedented security complex measures in these states, where the involvement of the full spectrum of the local security sector is, of course, inevitable. (Maisaia, 2003, 6-12)

3. The Existence of Modern Military Threats, the Possibilities of Combating Them and Their Prevention

The ongoing political and economic processes in the world and, in particular, in the countries of the Black Sea basin create an unstable environment for the implementation of the above-mentioned economic projects, development of which requires creation of a stable and secure environment. In the course of implementation of all projects, interested parties and opposing parties are identified, because on the one hand, this is a source of economic benefits for certain states, and on the other hand, for subjects distanced from these projects, the implementation of these projects is a cause of economic decline. Accordingly, during such processes, some disagreements and tensions arise in the relations between the interested and opposing parties, which may develop into a more rigid and aggressive form of relations in the future. (Dobrin, 2023). If we consider the political, economic and military goals or intentions of the parties, interested in the Black Sea Basin, we will understand that the Black Sea Basin and its bordering countries are subject of great discussion for powerful states with industrial and imperialist ambitions, where there is a frequent intersection of interests and differences of opinion. All this gives rise to certain confrontations and the involvement of the full spectrum of the security

sectors of the disputing countries in order to protect their own interests. Development is a continuous process, especially in todays world, where technical innovations have reached the highest peaks of development and are still in the process of development.

Accordingly, not specific sectors are developing, but this is the entire chain of development, the results of which are directly reflected in the military sphere, the cyber security and cybercrime space, and the methods of conducting covert and open conflicts. All these innovations and successful theoretical and practical innovations achieved through development of these innovations are used for safe and peaceful coexistence of the countries of the world, and also, as levers of influence on the disputes that arise between them. In this paper, we have repeatedly touched upon the strategic importance of the Black Sea basin and the issue of the „middle corridor“ passing through it, which remains a disputed geo-strategic geographical location of Russia-Iran and the West.

As present situation stands, Russia and Iran remain beyond alternative options of energy communication lines, which causes their irritation and, to some extent, economic isolation, all of which is reflected in the slowdown of their economic development process and large financial losses. The ongoing deadlocked large-scale military conflict between Russia and Ukraine and nuclear arms-related negotiations between Iran and West demonstrate the collective attitude of the West and its towards Iran and Russia. Accordingly, there is a high probability that the projects which are being implemented

bypassing these two countries with enormous resources and military potential, may cause in their gross interference with the aim of hampering the process of implementation of the projects or even questioning their implementation. Such actions may be expressed in the form of asymmetric threats, in particular, through sabotage and terrorist acts, cyber attacks, provoking internal political instability in the countries participating in the projects, or through open military conflicts, which will significantly damage the security and stability of the countries in the chain of megaprojects.

Therefore, as mentioned above, it is necessary to involve the full spectrum of the security sectors of all states participating in the projects in order to timely prevent the emerging threats and to pursue a balanced policy in the neighborhood, which implies avoiding possible future provocations or developing pragmatic approaches to existing problems. In these projects, it is also very important to involve the security sectors of international organizations, which have extensive experience in operating in post-conflict situations and have a great potential for making political decisions at regional level. Of course, processes aimed at security and stability should not be reduced to the individual level or to the elimination of any specific threat; they should include a complex cycle of actions and have a collective character, which will significantly improve the quality of identifying possible problems that may arise in the future and their timely elimination. (Marshall Center, 2024)

Conclusion. The facts, discussed in the paper, demonstrate great interest of the worlds leading countries in the Black Sea Basin, which shows the scale of the interest and security dimension. Given the importance of the Black Sea Basin, its security dimension includes the USA, Canada, Europe, Russia, the Middle East, and certain countries of Central and East Asia. There are many geographical points of intersection of interests in this geographical location, such as the Bosphorus Strait, the Crimean Peninsula, the South Caucasus, the European coast, etc. All of these points have their own strategic purpose and represent important local interests of certain states, whether it is access to the Black Sea, control of sea routes, or access to energy corridors. The most important thing is their correct and efficient use, taking into account the interests of all interested actors. However, it is very difficult to take this into account in a real environment, due to the political, economic and military interests of the countries bordering the Black Sea basin and various countries of the world, interested in the geographical location of the basin. Despite the intersection of interests and disagreements on certain issues, the Black Sea basin remains a key point of geo-strategic importance, primarily in terms of energy resource transfer capability, as well as the most important connecting corridor between Asia and Europe. Many mega-projects have already been implemented in this area – and many are planned in the future – through which a huge amount of natural energy resources is exchanged continentally in the shortest possible time, which leads to the rapid development of land, sea and air transit infrastructure. Existing development programs require large financial investments and protection of these investments, which is guaranteed by ensuring the security and stable development of the region. It is undeniable that the Black Sea Basin is a favorable region in terms of trade processes for Asia and in terms of energy diversification for Europe, which necessitates great efforts by interested countries to maintain stability in the region.

It is also important to note the existence of military threats, which may be presented in the form of asymmetric threats, aimed at disrupting and damaging economic projectsthe prevention of which requires significant investment in the development of the collective and local security sector. The existence of military threats, which may be presented in the form of asymmetric threats for the purpose of hampering and damaging economic projects, as well as presenting the Black Sea Basin as an unstable region, by unfriendly actors in the region is also important; their prevention requires significant investment in the development of the collective and local security sector.

Bibliography:

1. Atlantic Council. (2023). A security strategy for the Black Sea. Atlantic Council. https://www.atlanticcouncil.org/in depth research reports/report/a security strategy for the black sea/

2. Dobrin, D. (2023, December 12). Challenges to Security in the Black Sea: Analyzing the Tripartite Initiative Operation in the Black Sea. Opinio Juris. https://opiniojuris.org/…/challenges to security in the black sea …
3. Kuimova, A., & Wezeman, S. T. (2018). Russia and Black Sea Security. SIPRI Background Paper, December 2018. Stockholm International Peace Research Institute.
4. Maisaia, V. (2021). Black Sea security and asymmetric military threats in the 21st century: New trends and challenges“
5. Maisaia, V. and Kiguradze, B. (2024). The Georgian-Caucasian geopolitics.
6. Maisaia, V. „Political Aspects of the Black Sea Geostrategic Balance“, Georgian-European Institute, Paris, 2003;
7. Marshall Center. (2024). A New Security Reality: Strategic Approaches for the Wider Black Sea Region. George C. Marshall European Center for Security Studies.
8. NATO Parliamentary Assembly. (2023). How Russia’s War in Ukraine Changes Black Sea Security.

თურქეთის საშინაო პოლიტიკის ძირითადი პრობლემები XXI საუკუნეში

ემზარ მაკარაძე
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ბათუმის
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტის პროფესორი
ელ-ფოსტა: emzar.makaradze@bsu.edu.ge
ORCID: 0000-0002-8499-9258

აბსტრაქტი: XXI საუკუნის დასაწყისი თანამედროვე თურქეთის საშინაო პოლიტიკაში განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს, რადგანაც, სწორედ ამ პერიოდში, ქვეყნის ცხოვრებაში აქტიურად იჩინა თავი საერო და ისლამური მიმართულების წრეთა დაპირისპირებამ.

XXI საუკუნის დასაწყისში ისლამისტური მიმართულების სამართლიანობისა და განვითარების პარტიის წარმატება მოულოდნელი არ იყო. მას ნიადაგი მოუმზადა XX საუკუნის 90-იანმა წლებმა, როდესაც ისლამური ორიენტაციის კეთილდღეობის პარტიამ საერო მიმართულების პარტიების გვერდით დაიკავა ლიდერის პოზიცია და თურქეთის ისტორიაში პირველად მოიპოვა უმრავლესობა პარლამენტში.

XXI საუკუნის დასაწყისში მოვლენათა ამგვარმა განვითარებამ შოკური ეფექტი მოახდინა, როგორც რესპუბლიკური თურქეთის საერო ხელისუფლებაზე, ისე დასავლელ პოლიტიკოსებზე. თურქეთი, როგორც ნატოს წევრი, ევროკავშირში შესვლის კანდიდატი ქვეყანა, ისტორიული არჩევანის წინაშე დადგა: კვლავ გადაიქცეოდა ისლამურ სამართალსა და ფასეულობებზე დაფუძნებულ სახელმწიფოდ თუ დარჩებოდა როგორც საერო სახელმწიფო.

2000-2024 წლებში საერო ხელისუფლება (როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო) გვერდს უვლის ქვეყანაში შექმნილი სოციალურ-პოლიტიკური ვითარების ნამდვილ მიზეზებს და არ ავლენს რეალობას. თუმცა ბევრი მათგანი მათ მიერვე არის ხელოვნურად შექმნილი.

ჩვენი ნაშრომის მიზანია, ნათლად ავსახოთ 2000-2024 წლების თურქეთის საშინაო პოლიტიკის აქტუალური საკითხები, კერძოდ, ისლამური სამართლიანობისა და განვითარების პარტიის და მისი ლიდერის – რეჯეფ თაიფ ერდოღანის როლი ქვეყნის ცხოვრებაში.

ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩოები მოიცავს 2000-2024 წლებს. ეს უმთავრესად განაპირობა იმ გარემოებამ, რომ სწორედ ამ დროს თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში დაიწყო ახალი ეტაპი, რომელიც ხასიათდება პოლიტიკური ისლამის შემდგომი აღმავლობით ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, რამაც ისლამური სამართლიანობისა და განვითარების პარტიას და მის ლიდერს რეჯეფ თაიფ ერდოღანს დიდი წარმატებები მოუტანა და ნათელი გახდა მათი პოზიციები და დამოკიდებულება საერო მმართველობასა და დემოკრატიულ ღირებულებებისადმი თანამედროვე თურქეთის საშინაო პოლიტიკაში.

ამგვარად, წარმოდგენილ ნაშრომში აღნიშნული საკითხების შესწავლა ნათელს მოფენს 2000-2024 წლების თურქეთის საშინაო პოლიტიკის ზემოაღნიშნულ საკითხებს.

საკვანძო სიტყვები: თურქეთის საშინაო პოლიტიკა, პრობლემები, სამართლიანობისა და განვითარების პარტია, „ახალი თურქეთი“.

* * *

სტატიის შესავალი: XXI საუკუნის 10-იან წლებში, „არაბული გაზაფხულის“ დაწყების შემდეგ აქტიურად განიხილებოდა ე.წ. თურქული მოდელის დანერგვის პერსპექტივა ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. ამ პროცესს ხელს ოფიციალური ანკარაც უწყობდა და ყველანაირად ცდილობდა წარმოეჩინა თურქეთი ისლამისა და დემოკრატიის სინთეზის ყველაზე წარმატებულ მაგალითად.

„თურქული მოდელი“ არის ევროპული ფასეულობების (ადამიანის უფლებები, დემოკრატიული მთავრობა) და „ზომიერი“ ისლამის ერთიანობა, რომელიც, თითქოსდა, იდეალურად უნდა მორგებოდა პოსტრევოლუციურ ახლო აღმოსავლეთს.

წინამდებარე ნაშრომში, თურქეთის საშინაო პოლიტიკის ძირითად პრობლემებს XXI საუკუნეში უწყვეტ კავშირში განვიხილავთ, რაც საშუალებას მოგვცემს, ნათლად წარმოვადგინოთ როგორც საკითხის ისტორიული ასპექტი, ისე მისი დღევანდელი რეალობა. მკითხველის განსასჯელია, თუ რამდენად შევძელით ეს.

მეთოდები: სტატიაში კრიტიკული ანალიზის მეთოდით შესწავლილია თურქეთის საშინაო პოლიტიკის ძირითადი პრობლემები XXI საუკუნეში. ნაშრომი დაფუძნებულია საკითხის ირგვლივ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაზე.

მსჯელობა: XXI საუკუნის დასაწყისში, თურქეთის რესპუბლიკაში მიმდინარე საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში, რომელიც შედგა 2000 წლის 27 აპრილს, აჰმედ ნეჯდეთ სეზერმა მიიღო დეპუტატთა 281 ხმა და 220 ხმით გაუსწრო მეორე ადგილზე მყოფ ნევზათ იალჩინთაშს, რომელმაც მხოლოდ 61 ხმა მოიპოვა. 2000 წლის 1 მაისს გამართულ მეორე ტურში, სეზერს 314 ხმა ჰქონდა და ეჭვს არ იწვევდა, რომ 5 მაისს გამართული არჩევნების მესამე ტურში გაიმარჯვებდა. ასეც მოხდა, მესამე ტურში სეზერმა მოახერხა 330 დეპუტატის მხარდაჭერა და გახდა თურქეთის რესპუბლიკის მეათე პრეზიდენტი (მაკარაძე, 2019, გვ. 225).

2000 წლის 16 მაისს სულეიმან დემირელმა ოფიციალურად მოიხსნა პრეზიდენტის უფლებამოსილება. აჰმეთ ნეჯდეთ სეზერმა კი მეჯლისის წინაშე ფიცის დადებისას ჩამოაყალიბა თავისი პოლიტიკური კურსის ძირითადი დებულებები. მან რესპუბლიკურ თურქეთში კვლავ აღიარა ლაიციზმი ქვეყნის პოლიტიკური მოწყობის ხელშეუხებელ პრინციპად, რომლის გარეშე დემოკრატიულ თურქეთში სახელმწიფოსა და საზოგადოების ცხოვრების მოწესრიგება წარმოუდგენელი იქნებოდა.

აჰმედ ნეჯდეთ სეზერმა თავის გამოსვლაში, ფაქტობრივად, დააფიქსირა მუსტაფა ქემალ ათათურქის პრინციპებზე დაფუძნებული რესპუბლიკური თურქეთის არსებობა, რომელსაც, მისი აზრით, ვერანაირი ძალა ვერ დაშლიდა.

2001 წლის ივლის-აგვისტოში თურქეთში ჩამოყალიბდა ისლამური ორიენტაციის – ბედნიერების, რომლის თავმჯდომარე გახდა რეჯაი ქუთანი და სამართლიანობისა და განვითარების პარტია, რომლის ლიდერი გახდა სტამბოლის ყოფილი მერი, რეჯეფ თაიფ ერდოღანი.

2002 წლის მიწურულიდან თურქეთის პოლიტიკურ წრეებში დაიწყო საუბარი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების შესაძლო ჩატარებაზე. ქვეყნის ხელისუფლების მიერ ამგვარი შესაძლებლობის უარყოფის მიუხედავად, ანალიტიკოსთა დიდი ნაწილი თავიდანვე მიიჩნევდა, რომ ქვეყანაში შექმნილი ვითარება მოვლენების ამგვარი განვითარების რეალურ საფუძველს იძლეოდა.

2002 წლის 3 ნოემბერს თურქეთში ჩატარდა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 80%-მა. შედეგების მიხედვით, არჩევნებში მონაწილე 19 პარტიიდან, 10%-იანი ბარიერი გადალახა მხოლოდ სამართლიანობისა და განვითარების და სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიებმა:

	პარტია	პროცენტი	დეპუტატი
1	სამართლიანობისა და განვითარების პარტია (AKP)	34,1%	363
2	სახალხო-რესპუბლიკური პარტია (CHP)	19,02%	178
3	დამოუკიდებელი		9

ამომრჩეველთა ხმების მონაპოვარით სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ 550 სადეპუტატო მანდატიდან მიიღო – 363, რაც ხელისუფლების სათავეში აღნიშნული პარტიის ერთპიროვნული მოსვლის მაუწყებელი იყო.

2002 წლის არჩევნებში ტრიუმფალური გამარჯვების შემდეგ სამართლიანობისა და განვითარების პარტია ხელისუფლების სათავეში მოვიდა. არჩევნების შემდეგ დღის წესრიგში დადგა მომავალი პრემიერ-მინისტრის საკითხი. ერთ-ერთ რეალურ კანდიდატად სამართლიანობისა და განვითარების პარტიის თავმჯდომარის პირველი მოადგილე პოლიტიკურ საკითხებში აბდულაჰ გიული განიხილებოდა, რომელსაც პოლიტიკური მოღვაწეობის საკმაოდ დიდი გამოცდილება ჰქონდა. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ქვეყნის პრეზიდენტი სეზერი არჩევნების შემდეგ სიმპათიებით იყო განმსჭვალული თურქეთის კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის ვეჯდი გიონულის მიმართაც. პრემიერ-მინისტრის შესაძლო კანდიდატურად იმ პერიოდში სახელდებოდნენ აგრეთვე ცნობილი თურქი სახელმწიფო მოღვაწეები: აბდულქადირ აქსუ და ბიულენთ არდინჩი, თუმცა პოლიტიკოსთა აზრით, ახალი პრემიერის მოღვაწეობა მოკლევადიანი იქნებოდა, რადგან ერდოღანის პოლიტიკურ აკრძალვებს ვადა 2003 წლის იანვარში გასდიოდა.

2002 წლის 18 ნოემბერს ქვეყნის პრეზიდენტმა ა. სეზერმა პრემიერ-მინისტრის თანამდებობა და 58-ე მთავრობის ჩამოყალიბება დაავალა ერდოღანის პირველ მოადგილეს – აბდულაჰ გიულს (მაკარაძე, 2019, გვ. 228).

აბდულაჰ გიულის პრემიერად დანიშვნის შემდეგ დღის წესრიგში დადგა აუცილებლობა პარლამენტს მოკლე დროში მიეღო ის საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელთა შედეგად რ.თ. ერდოღანის პრემიერ-მინისტრად გახდომას სამართლებრივი წინაღობა აღარ ექნებოდა.

2003 წლის 14 მარტს ერდოღანი გახდა თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი, რომელსაც ქვეყნის პრეზიდენტმა სეზერმა ოფიციალურად დაავალა 59-ე მთავრობის ჩამოყალიბება.

სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მმართველობა პოზიციონირებდა როგორც ზომიერი ისლამური და კონსერვატიული ძალა.

2007 წელს მთავრობამ წამოაყენა საკონსტიტუციო ცვლილებების პაკეტი, მათ შორის პრეზიდენტის პირდაპირი არჩევის შესახებ.

2007 წლის აპრილში თურქეთის პოლიტიკურ საქმიანობაში ერთ მხარეს იდგნენ – მოქმედი პრეზიდენტი (აჰმედ ნეჯდეთ სეზერი), ჯარი, პროფკავშირები, უნივერსიტეტის რექტორები, ოპოზიციური პარტიები, ხოლო მეორე მხარეს – მმართველი სამართლიანობისა და განვითარების პარტია.

მხარეთა დაპირისპირების ძირითადი მიზეზი რეჯეფ თაიფ ერდოღანის მიერ პრეზიდენტის თანამდებობაზე თავისი კანდიდატურის დასახელება იყო, რასაც ოპოზიციის მხრიდან 2007 წლის 14-15 აპრილს ანკარაში ნახევარმილიონიანი მიტინგი მოჰყვა.

2007 წლის 22 ივლისს თურქეთში ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 42.5 მილიონმა ამომრჩეველმა. 10%-იანი ბარიერი გადალახა სამმა პოლიტიკურმა პარტიამ:

	პარტია	პროცენტი	დეპუტატი
1	სამართლიანობისა და განვითარების პარტია (AKP)	46,58%	341
2	სახალხო-რესპუბლიკური პარტია (CHP)	20,87%	112
3	ნაციონალური მოძრაობის პარტია (MHP)	14,27%	71
4	დემოკრატიული პარტია (DP)	5,41%	——
5	დამოუკიდებელი		26

პრემიერ-მინისტრ რეჯეფ თაიფ ერდოღანის სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ, 2002 წლის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით, ხმების რაოდენობა 34,1 პროცენტიდან 46,47 პროცენტამდე გაზარდა, თუმცა წინა მოწვევის პარლამენტისგან განსხვავებით, პარტიას დეპუტატთა ნაკლები რაოდენობა ეყოლებოდა. რისი მიზეზიც გახლდათ ორი ოპოზიციური პარტიის მიერ ათპროცენტიანი საარჩევნო ბარიერის გადალახვა.

2007 წლის 20 აგვისტოს ჩატარდა პრეზიდენტის არჩევნების პირველი ტური, რომელსაც ბოიკოტი გამოუცხადა მეჯლისში შემავალმა ოპოზიციურმა პარტიებმა. შედეგად, არჩევნების პირველ ტურში პრეზიდენტობის ერთადერთმა კანდიდატმა აბდულაჰ გიულმა ფარული კენჭისყრით მოა-

გროვა 367 ხმა, რაც საკმარისი არ აღმოჩნდა გამარჯვებისათვის. თურქეთის კონსტიტუციის მიხედვით, პირველ და მეორე ტურში, 550-ადგილიან მეჯლისში პრეზიდენტობის კანდიდატმა ხმათა კონსტიტუციური უმრავლესობა უნდა მოეგროვებინა.

2007 წლის 28 აგვისტოს, თურქეთის პარლამენტმა, მესამე ტურში, სახელმწიფოს ახალი მეთაური ხმათა უმრავლესობით აირჩია. სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილება 56 წლის აბდულაჰ გიულმა ქვეყნის მოქმედი პრეზიდენტისაგან (აჰმედ ნეჯდეთ სეზერი) ანკარაში, ჩანკაიას რეზიდენციაში გადაიბარა.

2007 წლის 21 ოქტომბერს თურქეთში მმართველი პარტიის ინიციატივით ჩატარდა რეფერენდუმი საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ (1. პარლამენტის ნაცვლად პრეზიდენტს ირჩევდა მოსახლეობა; 2. საპრეზიდენტო ვადა შემცირდა შვიდიდან ხუთ წლამდე; 3. პრეზიდენტს უფლება ჰქონდა მეორე ვადით ეყარა კენჭი; 4. საპარლამენტო არჩევნები ხუთი წლის ნაცვლად შემცირდა ოთხ წლამდე; 5. საპარლამენტო ქვორუმი 367-დან შემცირება 184-მდე და სხვა.), ცვლილებებს მხარი დაუჭირა მასში მონაწილეთა 68,95%-მა (მაკარაძე, 2019, გვ. 230).

სამართლიანობისა და განვითარების პარტიის ამ წარმატებების მიუხედავად, ლაიცისტურად განწყობილ ძალებს არ შეუწყვეტიათ საქმიანობა. მათი ერთ-ერთი ბოლო გაელვება იყო 2008 წელს საკონსტიტუციო სასამართლოში მმართველი პარტიის აკრძალვის მოთხოვნით საქმის აღძვრა. აღნიშნული საქმე პარტიის სასარგებლოდ დასრულდა.

2011 წლის 21 თებერვალს, თურქეთის მმართველი სამართლიანობისა და განვითარების პარტია მეჯლისში შევიდა წინადადებით, რომ მეჯლისის არჩევნები დანიშნულიყო 2011 წლის 12 ივნისს, პარლამენტმა ეს წინადადება 2011 წლის 3 მარტს დაამტკიცა.

2011 წლის 11 აპრილს პოლიტიკურმა პარტიებმა უმაღლეს საარჩევნო საბჭოში წარადგინეს საკუთარი კანდიდატების სია. 24 პოლიტიკური პარტიიდან ექვსმა განაცხადა უარი მონაწილეობაზე, დანარჩენმა 18-მა კი გამოხატეს სრული მზადყოფნა ბრძოლისთვის.

2011 წლის 12 ივლისს თურქეთში ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 50.2 მილიონმა ადამიანმა. 10%-იანი ბარიერი გადალახა სამმა პოლიტიკურმა პარტიამ:

	პარტია	%	დეპუტატი
1.	სამართლიანობისა და განვითარების პარტია (AKP)	49,85	327
2.	სახალხო-რესპუბლიკური პარტია (CHP)	25,98	135
3.	ნაციონალური მოძრაობის პარტია (MHP)	13,04	53
4.	დამოუკიდებელი	6,58	35

როგორც ვხედავთ, საპარლამენტო არჩევნებში სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ ტრიუმფალურად, დამაჯერებლად გაიმარჯვა. საერთო ჯამში, მმართველმა პარტიამ შეძლო არა მარტო მიღებული ხმების რაოდენობის გაზრდა, არამედ თურქეთის 81 პროვინციიდან გაიმარჯვა 61-ში (მათ შორის სტამბოლში, ანკარაში, ტრაპიზონში, ანტალიაში, ართვინში და ა. შ.).

2011 წლის 12 ივნისის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, თურქეთში ყველაზე აქტუალური საკითხი საკონსტიტუციო ცვლილებები იყო. წინა წლის სექტემბერში ჩატარებული რეფერენდუმის დროს ამ საკითხს მოსახლეობის 58% მიემხრო.

სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მიერ შემუშავებულ საკონსტიტუციო ცვლილებათა პაკეტში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო იუსტიციის სისტემის რეორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავდა სამხედროების პოლიტიკური გავლენის შესუსტებას.

2011 წლის 12 ივლისის არჩევნებში რეჯეფ თაიფ ერთოღანის პარტიის გამარჯვებამ კიდევ ერთხელ აჩვენა ის კურსი, რომელსაც სამართლიანობისა და განვითარების პარტია ახორციელებდა და რომელსაც მხარს უჭერდა თურქეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი.

პრემიერ-მინისტრ რეჯეფ თაიფ ერდოღანის ინიციატივით, კონსტიტუციასა და საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ კანონში შესული ცვლილებების თანახმად, თურქეთი საპარლამენტო რესპუბლიკიდან საპრეზიდენტო სისტემად გარდაიქმნებოდა. ცვლილებების შემდეგ, მოხდებოდა ძა-

ლაუფლების კონსოლიდაცია პრეზიდენტის ხელში. პირდაპირი გზით არჩეულ ლიდერს პოსტზე ყოფნა განახლებული 5-წლიანი ვადით შეეძლებოდა (მაკარაძე, 2019, გვ. 85).

2014 წლის 10 აგვისტოს ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო თურქეთის რესპუბლიკის ისტორიაში. პირდაპირი წესით პირველად ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში 51,79%-ით გამარჯვება ქვეყნის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა და სამართლიანობისა და განვითარების პარტიის ლიდერმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა მოიპოვა, ხოლო იმავე წლის 28 აგვისტოს, ქვეყნის პრემიერ-მინისტრი გახდა აჰმედ დავუთოღლუ.

თავის წინასაარჩევნო გამოსვლებში ერდოღანი აცხადებდა, რომ არჩევის შემთხვევაში, იგი არ იქნებოდა მხოლოდ და მხოლოდ სიმბოლური პრეზიდენტი, არამედ მაქსიმალურად გამოიყენებდა მინიჭებულ ძალაუფლებას. მან ხაზი გაუსვა სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მიღწევებს და საზოგადოებას გააცნო თავისი ხედვა „ახალი თურქეთის“ შესახებ.

ერდოღანისა და მისი სამართლიანობისა და განვითარების პარტიის გამარჯვება განპირობებული იყო იმით, რომ თურქული საზოგადოება გადაღლილი და გაწბილებული იყო ათწლეულების მანძილზე ჩამოყალიბებული და კორუფციაში ღრმად ჩაფლული ელიტის მოქმედებით. მის ფონზე სამართლიანობისა და განვითარების პარტიის წარმომადგენლები უფრო მეტი პატიოსნებით, უბრალოებითა და ხალხთან სიახლოვით, აშკარად, მომგებიანად გამოიყურებოდნენ.

თანამედროვე თურქეთის ისტორიაში ერდოღანმა თითქმის შეუძლებელი შეძლო – მან მნიშვნელოვანწილად შეზღუდა ხელშეუხებელი და ძლევამოსილი სამხედრო ელიტა და ჩამოაშორა ის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას.

გენერალიტეტის შესუსტებასთან ერთად, პირდაპირპროპორციულად გაძლიერდა რელიგიურ ლიდერთა ერთიანობა. რელიგიის საქმეთა სამმართველო თურქეთის სახელმწიფო სისტემის ერთერთ ყველაზე გავლენიან სტრუქტურად იქცა. რ.თ. ერდოღანის მმართველობის განმავლობაში თურქეთში აშენდა 7300 მეჩეთი, განათლების სისტემის რეფორმის შედეგად უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებში რელიგია აუცილებელ საგნად იქნა შეტანილი, ხოლო საერო სკოლების საშუალო კლასებში შემოიღეს საგანი – რელიგიათმცოდნეობა, ასევე, მოიხსნა სკოლების ტერიტორიაზე მოსწავლე გოგონებისათვის თავსაბურავით სიარულის აკრძალვა, რაც ადრე წარმოუდგენელი იყო.

2015 წლის 7 ივნისს თურქეთში ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები, სადაც მმართველმა სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ 550-მანდატიან პარლამენტში დაკარგა უმრავლესობა. მან მიიღო 256 მანდატი, მეორე ადგილზე გავიდა სახალხო-რესპუბლიკური პარტია – 132 ადგილი, მესამეზე – ნაციონალური მოძრაობის პარტია – 82 ადგილი და სახალხო-დემოკრატიული პარტია – 80 ადგილი.

არჩევნების შემდეგ, თურქეთის პრემიერ-მინისტრმა აჰმედ დავუთოღლუმ, მეჯლისში სხვა პოლიტიკურ პარტიებთან კოალიციური მთავრობის შექმნა ვერ შეძლო, რასაც მოჰყვა თურქეთის პრეზიდენტის მხრიდან მთავრობის დათხოვნა და ქვეყანაში რიგგარეშე 26-ე საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა.

2015 წლის 1 ნოემბერს თურქეთში ჩატარდა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, სადაც ერდოღანმა გამოიყენა მის ხელთ არსებული ყველა სახელმწიფო მექანიზმი, რათა სამართლიანობისა და განვითარების პარტიას გამარჯვება მოეპოვებინა, და მან, მართლაც, დაიბრუნა პარლამენტში უმრავლესობა, რომელიც 2015 წლის ივნისში დაკარგა.

არჩევნებში მმართველმა პარტიამ 49.4% დააგროვა, მთავარმა ოპონენტმა, სახალხო რესპუბლიკურმა პარტიამ კი – 25.4%. 10%-იანი ზღვარი გადალახეს და პარლამენტში ადგილები მოიპოვეს პროქურთულმა და ნაციონალისტურმა პარტიებმა. პრემიერ-მინისტრმა აჰმეთ დავუთოღლუმ არჩევნების შედეგს თურქი ხალხისა და დემოკრატიის გამარჯვება უწოდა.

2016 წლის 15 ივლისის საღამოს მსოფლიო მედიის ყურადღება თურქეთში განვითარებულმა მოვლენებმა მიიპყრო. ხელისუფლების დამხობის მიზნით ქვეყნის რამდენიმე ადგილზე შეიარაღებული დაჯგუფების თავდასხმას 300-მდე ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა (მაკარაძე, 2016, გვ. 93).

პარასკევს საღამოს ანკარასა და სტამბოლში ტანკები გამოჩნდნენ, რომლებმაც თურქეთის პარლამენტის შენობასა და პრეზიდენტის სასახლეს ცეცხლი გაუხსნეს. თვითმფრინავებმა დედაქალაქში მდებარე ეროვნულ სადაზვერვო შტაბს ქვემეხები დაუშინეს.

15 ივლისს ასევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამბოხების ღამეს, როდესაც პრეზიდენტი ერდოღანი შვებულებიდან სტამბოლში ბრუნდებოდა, მეამბოხეების ორ გამანადგურებელს მისი თვითმფრინავი მიზანში ჰყავდა ამოღებული, თუმცა გაურკვეველი მიზეზების გამო, თავდასხმა არ განხორციელდა და ის სტამბოლში მშვიდობით ჩავიდა.

გადატრიალების მცდელობაში ბრალდებული 150 ათასი პირი დააკავეს, მათ შორის მოსამართლეები და მაღალი თანამდებობის სამხედრო პირები.

გადატრიალების მცდელობის შემდეგ თურქეთის სამართალდამცველებმა 37 500 საჯარო მოხელე და პოლიციის ოფიცერი დაითხოვეს სამსახურიდან, 21 000 მასწავლებელს შეუჩერეს ლიცენზია (მაკარაძე, 2019, გვ. 293).

თურქეთში 2016 წლის ივლისში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში ოფიციალური ანკარა ყოფილ იმამს, ფეჰულაჰ გიულენს ადანაშაულებდა, თუმცა პენსილვანიაში მცხოვრები რელიგიური ლიდერი აჯანყებასთან რაიმე სახის კავშირს კატეგორიულად უარყოფდა (2024 წლის 21 ოქტომბერს, ფეჰულაჰ გიულენი გარდაიცვალა).

2017 წლის 16 აპრილს, თურქეთის მმართველმა სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ ჩაატარა საკონსტიტუციო რეფერენდუმი, რომელიც ითვალისწინებდა ქვეყნის საპარლამენტო სისტემიდან საპრეზიდენტოზე გადასვლას, პრემიერ-მინისტრის თანამდებობის გაუქმებას, ასევე საპარლამენტო მანდატთა რაოდენობის 550-დან 600-მდე გაზრდას და თურქეთის უზენაესი სასამართლოსა და პროკურორების კოლეგიის (HSYK) რეფორმირებას.

2017 წლის 16 აპრილს, ჩატარებული საკონსტიტუციო რეფერენდუმით, რესპუბლიკური თურქეთი გადავიდა საპარლამენტოდან საპრეზიდენტო სისტემაზე, რაც მუსტაფა ქემალ ათათურქის რეფორმების შემდეგ ერთ-ერთი მტკიცე ნაბიჯი იყო გადადგმული თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

2018 წლის 24 ივნისს თურქეთში გაიმართა ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები, სადაც კიდევ ერთხელ მოიპოვა დამაჯერებელი გამარჯვება პრეზიდენტმა რ. თ. ერდოღანმა.

პოლიტიკურმა პარტიებმა, 2018 წლის 24 ივნისს გამართულ საპარლამენტო არჩევნებში შემდეგი შედეგი აჩვენეს:

პარტიის დასახელება	**(%)**	**პარლამენტში გაყვანილი დეპუტატების რაოდენობა**
AK Parti (სამართლიანობისა და აღორძინების პარტია)	42,6	295
CHP (სახალხო-რესპუბლიკური პარტია)	22,6	146
HDP (ხალხთა დემოკრატიული პარტია)	11,7	67
MHP (ნაციონალისტური მოძრაობის პარტია)	11,1	49
İYİ Parti (კარგი პარტია)	10,0	43
SP (კეთილდღეობის პარტია)	1,3	0

2018 წლის 9 ივლისს ჩატარებული პრეზიდენტის ინაგურაციის შემდეგ, რ.თ. ერდოღანი შეუდგა საპრეზიდენტო საქმიანობას (ბოკუჩავა, 2020, გვ. 255).

2019 წლის 31 მარტს თურქეთში ჩატარდა ადგილობრივი არჩევნები. უნდა ითქვას, რომ ეს არ ყოფილა რიგითი არჩევნები. წინასაარჩევნო კამპანია ძალზე პოლარიზებულ გარემოში მიმდინარეობდა, რადგან მხარეები ამ არჩევნებს ერთგვარ ნდობის ვოტუმის თემად მიიჩნევდნენ პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანისა და მისი პარტიის 17-წლიანი მმართველობის მიმართ (Makaradze, 2019).

2023 წლის 14 მაისს თურქეთში გაიმართა საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები, ხოლო 28 მაისს საჭირო გახდა საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის ჩატარებაც.

2023 წლის 14 მაისს თურქეთის საპრეზიდენტო არჩევნებში, მოქმედმა პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა ხმების 49,5% მოაგროვა და მცირე რაოდენობა დააკლდა პირველივე ტურში გამარჯვებისთვის.

თურქეთის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, რეჯეფ თაიფ ერდოღანმა თითქმის სრულად განაახლა აღმასრულებელი მთავრობის შემადგენლობა, გარდა კულტურისა და ტურიზმის და ჯანდაცვის მინისტრებისა. განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ცვლილებებმა მთავრობის ეკონომიკურ გუნდში, სადაც ხაზინისა და ფინანსთა მინისტრის თანამდებობა მეჰმეთ შიმშექმა, ხოლო თურქეთის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელის პოზიცია კი ჰაფიზე გაიე ერქანმა დაიკავა. ექსპერტების ვარაუდით, ეს ცვლილებები შესაძლოა მიგვანიშნებდეს, რომ თურქეთს არატრადიციული მაკროეკონომიკური პოლიტიკის დასრულება და ტრადიციულ ეკონომიკურ მოდელზე გადართვა სურს, რაც განპირობებულია ეროვნული ვალუტის რეკორდული გაუფასურებითა და მზარდი ინფლაციით.

2024 წლის 31 მარტს თურქეთში ჩატარდა ადგილობრივი არჩევნები. ეს იყო მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა ქვეყნისთვის, რომელმაც გამოავლინა მნიშვნელოვანი ცვლილებები პოლიტიკურ ლანდშაფტში (Makaradze, 2024).

არჩევნები ჩატარდა თურქეთის 81 პროვინციაში. აირჩიეს მერები, საქალაქო საბჭოების წევრები და სოფლის ხელმძღვანელები.

ოპოზიციურმა სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ მოიპოვა მნიშვნელოვანი გამარჯვება. მან შეინარჩუნა კონტროლი სტამბოლსა და ანკარაზე, ასევე მოიგო სხვა მსხვილ ქალაქებშიც.

მმართველმა სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ განიცადა მნიშვნელოვანი დანაკარგები. სახალხო-რესპუბლიკური პარტიის კანდიდატმა ეკრემ იმამოღლუმ კვლავ გაიმარჯვა სტამბოლის მერის არჩევნებში. ეს იყო მნიშვნელოვანი დარტყმა პრეზიდენტ ერდოღანის პარტიისთვის. სახალხო-რესპუბლიკური პარტიის კანდიდატმა მანსურ იავაშმა შეინარჩუნა ანკარის მერის პოსტიც.

ეს შედეგები აღიქმება როგორც მნიშვნელოვანი გამოწვევა პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანის ხელისუფლებისთვის.

არჩევნებმა აჩვენა ოპოზიციის მზარდი მხარდაჭერა, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში.

არჩევნები ჩატარდა თურქეთის ეკონომიკური სირთულეების ფონზე, მაღალი ინფლაციითა და ლირის გაუფასურებით.

ქურთულ-დომინირებულ სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონებში შედეგები იყო უფრო ფრაგმენტირებული, სხვადასხვა პარტიების წარმატებით.

საერთაშორისო დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ არჩევნები ძირითადად მშვიდობიანად ჩატარდა, თუმცა იყო გარკვეული დარღვევების შესახებ ცნობები.

ეს არჩევნები მიჩნეულია მნიშვნელოვან მოვლენად თურქეთის პოლიტიკურ ისტორიაში, რომელმაც აჩვენა ცვლილებები საზოგადოებრივ განწყობებში და პოლიტიკურ ძალთა ბალანსში.

პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი კვლავ რჩება თურქეთის პრეზიდენტად. ის ამ პოსტს 2014 წლიდან იკავებს.

დასკვნები:

დასკვნის სახით, შეიძლება გავაკეთოთ ანალიზი XXI საუკუნის 20-იან წლებში თურქეთის საშინაო პოლიტიკის შესახებ.

პირველი და აუცილებელი ფაქტორი გახლავთ პოლიტიკური დიალოგის გაძლიერება:

ხელისუფლებამ უნდა გააძლიეროს დიალოგი ოპოზიციურ პარტიებთან, განსაკუთრებით ადგილობრივი არჩევნების შედეგების გათვალისწინებით. შექმნას პლატფორმები კონსენსუსის მისაღწევად მნიშვნელოვან საკითხებზე.

პრიორიტეტი მიანიჭოს ინფლაციის შემცირებას და ვალუტის სტაბილიზაციას. გაატაროს სტრუქტურული რეფორმები ეკონომიკის გასაძლიერებლად და უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად.

გააუმჯობესოს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა. უზრუნველყოს მედიის თავისუფლება და პლურალიზმი.

გააძლიეროს ანტიკორუფციული მექანიზმები. უზრუნველყოს გამჭვირვალობა სახელმწიფო კონტრაქტებსა და ტენდერებში.

სოციალური პოლიტიკის გაუმჯობესება. გააგრძელოს ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია და დიალოგი ქურთულ თემთან. უზრუნველყოს უმცირესობების უფლებების დაცვა და მათი ჩართულობა პოლიტიკურ პროცესებში.

ითანამშრომლოს ოპოზიციის მიერ მართულ დიდ ქალაქებთან ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად და სხვა.

თურქეთის მომავალი მხოლოდ და მხოლოდ დემოკრატიის კულტურის კიდევ უფრო გაღრმავებასა და ხელისუფლების მიერ ხალხისადმი ანგარიშვალდებულების პრინციპებზე გადის. არც სამხედრო გადატრიალება და არც ავტორიტარული პოლიტიკური მმართველობა არ არის ის ხაზი, რომელსაც უნდა გაჰყვეს რესპუბლიკური თურქეთი.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ თურქეთის საზოგადოების ევროპიზებული ნაწილი საკმაოდ მრავალრიცხოვანია, ის უკვე მეტად გააქტიურებულია პოლიტიკურად და სეკულარიზმის პრინციპებს იოლად არ დათმობს. ამავე დროს, შეიმჩნევა, რომ თურქული საზოგადოების დასავლური მენტალიტეტის მატარებელი ნაწილი და, განსაკუთრებით, ახალგაზრდობა, თავისი მსოფლმხედველობითა და მოთხოვნებით უკვე ათათურქისეულ სეკულარიზმზეც ამაღლდა და იკავებს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების მაღალი ევროპული სტანდარტების პოზიციებს. რაც შეეხება პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანს, მართალია, ის რჩება ძლიერ პოლიტიკურ ფიგურად, მაგრამ არ არის გამორიცხული, თურქეთში განვითარებულმა ბოლოდროინდელმა კრიზისმა გარკვეული ხნის შემდეგ შეცვალოს თავისი მიდგომები.

ბიბლიოგრაფია:

ბოკუჩავა, თ. (2020). *ერდოღანიზმისთვის გაგებისთვის. ახლო აღმოსავლეთი და საქართველო* (ტ. XII). თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივრსიტეტის გამომცემლობა.

მაკარაძე, ე. (2016). *თურქეთის საშინაო პოლიტიკა 2000–2015 წლებში .* თბილისი: უნივერსალი.

მაკარაძე, ე. (2019). *თურქეთის ისტორია 1918-2018 წლებში (სალექციო ჩანაწერები).* თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.

Makaradze, E. (2019). Issues of intercultural dialogue and national identity in modern Turkey. *Herald of Oriental Studies, Vol: 2*, pp. 23-30. Retrieved from https://hos.openjournals.ge/index.php/hos/article /view/2775

Makaradze, E. (2024). Analysis of Two Main Political Doctrines of Modern Turkiye. *BULLETIN OF THE GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES, Vol: 18, №1*, pp. 158–164.

MAJOR PROBLEMS OF TURKEY'S INTERNAL POLICY IN THE 21ST CENTURY

EMZAR MAKARADZE
Candidate of Historical Sciences, Batumi Shota
Rustaveli State University
Professor at the Department of Oriental Studies
E-Mail: emzar.makaradze@bsu.edu.ge
ORCID: 0000-0002-8499-9258

Abstract: The beginning of the 21st century is one of the most interesting periods in the history of modern Turkey as it is characterized by confrontation between Secular and Islamic circles.

At the beginning of the 21st century, the success of the Justice and Development Party of the Islamist orientation was undoubtful. The ground for it had been prepared by the 90s of the 20th century, when the Welfare Party of the Islamic orientation took the leading position and won the majority in the parliament for the first time in the history of Turkey.

At the beginning of the 21st century, such a development of events had a shocking effect both on the secular authorities of Republican Turkey and on Western politicians. Turkey, as a member of NATO and a candidate country for joining the European Union, faced a historic choice: would it turn into a state based on Islamic truth and values or would it remain a secular state.

In 2000-2024, the secular authorities (both military and civil) ignore the true causes of the socio-political situation created in the country and do not reveal the reality. However, many of them are artificially created by them.

The purpose of the presented scientific paper is to depict the current issues of Turkey's internal policy in 2000-2024, namely, to study the role of the Islamic Justice and Development Party and its leader – Recep Tayyip Erdoğan in the life of the country.

The chronological framework of the paper covers the years 2000-2024. This was mainly due to the fact that at that time a new era started in the political life of Turkey. This period was characterized by the subsequent rise of political Islam in the socio-political life of the country, which brought great success to the Islamic Justice and Development Party and its leader Recep Tayyip Erdogan.

Thus, the study of the issues mentioned in the presented work will clarify some of the problematic issues of Turkey's internal policy in 21st century.

Key words: Turkey's internal policy, problems, Justice and Development Party, «New Turkey».

* * *

Introduction. In the 2010s, after the start of the „Arab Spring", there was actively discussed the prospect of introducing the so-called „Turkish model" in other Middle Eastern countries. Official Ankara also supported this process, trying in every possible way to present Turkey as the most successful example of the synthesis of Islam and democracy.

The „Turkish model" is a combination of European values (human rights, democratic government) and „moderate" Islam, which seemed to be ideal for the post-revolutionary Middle East.

In the present article, we examine the main issues of Turkey's domestic policy in the 21st century in a continuous context, which will allow to clearly present both the historical aspect of the issue and its modern reality.

Methods. The article deals with the main problems of Turkey's domestic policy in the 21st century using the critical analysis method. The work is based on the scientific literature on the issue.

Discussion. At the beginning of the 21st century, in the first round of the presidential elections in the Republic of Turkey, which took place on April 27, 2000, Ahmet Necdet Sezer received 281 votes of MPs and beat the incumbent President Nevzat Yalcintas by 220 votes, who received only 61 votes. In the second round, which took place on May 1, 2000, Sezer had 314 votes, and in the third round of the elections, held on May 5, Sezer managed to secure the support of 330 MPs and become the tenth president of the Republic of Turkey (Makaradze, 2019 (a), p. 225).

On May 16, 2000, Suleyman Demirel was officially removed from office as president. Ahmet Necdet Sezer, taking the oath before the parliament, formulated the main provisions of his political course. In the republican Turkey, he again recognized secularism (laicism) as an unshakable principle of the country's political system, without which the organization of state and public life in democratic Turkey would be unthinkable.

In his speech, Ahmet Necdet Sezer actually declared the existence of a republican Turkey based on the principles of Mustafa Kemal Ataturk, which, in his opinion, no force could destroy.

In July-August 2001, the Islamic-leaning Felicity Party led by Recai Kutan and the Justice and Development Party led by former Istanbul Mayor Recep Tayyip Erdogan were formed in Turkey.

Since the end of 2002, there have been active discussions in Turkish political circles about the possibility of holding early parliamentary elections. Despite the government's denial of mentioned possibility, most analysts initially believed that the situation in the country provided real grounds for such a development.

On November 3, 2002, early parliamentary elections were held in Turkey, with voter turnout at 80%. According to the results, of the 19 parties participating in the elections, only the Justice and Development Party and the Republican People's Party overcame the 10% barrier:

	Party	Percentage	Deputy
1.	Justice and Development Party (AKP)	34,1%	363
2.	Republican People's Party (CHP)	19,02%	178
3.	Independent Party		9

Following the vote, the Justice and Development Party won 363 of the 550 parliamentary seats, which was a sign of the party's sole accession to power. After the triumphant victory in the 2002 elections, the Justice and Development Party came to power. After the elections, the question of the future Prime Minister was on the agenda. One of the real candidates was considered to be Abdullah Gül, the First Deputy Chairman of the Justice and Development Party for Political Affairs, who had considerable experience in political activity. It should also be noted that after the elections, President Sezer became sympathetic to the former Chairman of the Turkish National Audit Office, Vecdi Gönul. At that time, prominent Turkish statesmen Abdulkadir Aksu and Bülent Ardinç were also mentioned as possible candidates for the post of Prime Minister, although politicians believed that the new Prime Minister's term would be short-lived, since Erdogan's political bans were set to expire in January 2003.

On November 18, 2002, President A. Sezer assigned the post of Prime Minister and the formation of the 58th government to Erdogan's First Deputy Abdullah Gul (Makaradze, 2019 (a), p. 228).

After the appointment of Abdullah Gul as Prime Minister, the issue of the need for the parliament to quickly adopt amendments to the constitution, that would remove legal obstacles to the election of R.T. Erdogan as Prime Minister, came to the fore.

On March 14, 2003, Erdogan became Prime Minister of the Republic of Turkey, having received an official order from President Sezer to form the 59th government.

The Justice and Development Party positioned itself as a moderate Islamic and conservative force.

In 2007, the government proposed a package of amendments to the constitution, including direct elections of the president.

In April 2007, the Turkish political scene was dominated by the incumbent president (Ahmet Necdet Sezer), the army, trade unions, university rectors and opposition parties on one side, and the ruling Justice and Development Party on the other.

The main reason for the confrontation between the parties was Recep Tayyip Erdogan's nomination for the presidency, which was followed by a half-million-strong opposition rally in Ankara on April 14-15, 2007.

On July 22, 2007, parliamentary elections with 42.5 million voters were held in Turkey. Three political parties overcame the 10% barrier:

	Party	Percentage	Deputy
1.	Justice and Development Party (AKP)	46,58%	341
2.	Republican People's Party (CHP)	20,87%	112
3.	National Movement Party (MHP)	14,27%	71
4.	Democratic Party (DP)	5,41%	——
5.	Independent Party		26

Prime Minister Recep Tayyip Erdogan's Justice and Development Party increased its share of the vote from 34.1% to 46.47% compared to the 2002 parliamentary elections, although the party had fewer members in the parliament than in the previous one. This was because two opposition parties overcame the 10% electoral threshold.

On August 20, 2007, there was held the first round of the presidential elections, which was boycotted by the opposition parties in the Supreme Assembly (Majlisi). As a result, in the first round of the elections, the only presidential candidate, Abdullah Gül, received 367 votes in a secret ballot, which was not enough to win. According to the Turkish constitution, a presidential candidate had to receive a constitutional majority of votes in the 550-seat parliament in the first and second rounds.

On August 28, 2007, the Turkish parliament elected a new head of state by a majority in the third round. 56-year-old Abdullah Gul assumed the powers of the head of state from the current president of the country (Ahmet Necdet Sezer) at the Çankaya residence in Ankara.

On October 21, 2007, a referendum was held in Turkey on constitutional amendments initiated by the ruling party (1. The president is elected by the population, not by parliament; 2. The presidential term is reduced from seven to five years; 3. The president has the right to run for a second term; 4. Parliamentary elections were reduced from five to four years; 5. Reduction of the parliamentary quorum from 367 to 184, etc.), the changes were supported by 68.95% of participants (Makaradze, 2019 (a), p. 230).

Despite the success of the Justice and Development Party, secular-minded forces did not cease their activities. One of their last bursts of activity occurred in 2008, when they filed a lawsuit in the Constitutional Court demanding a ban on the ruling party. The case was decided in favor of the party.

On February 21, 2011, the ruling Justice and Development Party (AKP) of Turkey submitted a proposal to the Mejlisi to hold parliamentary elections on June 12, 2011. The Parliament approved this proposal on March 3, 2011.

On April 11, 2011, political parties presented their lists of candidates for the Supreme Electoral Council. Six of the 24 political parties refused to participate, while the remaining 18 expressed their full readiness to fight.

On July 12, 2011, parliamentary elections with 50.2 million voters were held in Turkey. Three political parties overcame the 10% threshold:

	Party	Percentage	Deputy
1.	Justice and Development Party (AKP)	49,85	327
2.	Republican People's Party (CHP)	25,98	135
3.	National Movement Party (MHP)	13,04	53
4.	Independent Party	6,58	35

As we can see, the Justice and Development Party won the parliamentary elections triumphantly and convincingly. In general, the ruling party was able not only to increase the number of votes it received, but also to win in 61 of the 81 provinces of Turkey (including Istanbul, Ankara, Trabzon, Antalya, Artvin, etc.).

After the parliamentary elections of June 12, 2011, the most pressing issue in Turkey became amendments to the constitution. In a referendum held in September last year, this issue was supported by 58% of the population.

In the package of constitutional amendments developed by the Justice and Development Party, one of the most important issues was the reorganization of the justice system, aimed at weakening the political influence of the military.

The victory of Recep Tayyip Erdogan's party in the elections of July 12, 2011 once again demonstrated the course pursued by the Justice and Development Party and supported by a significant part of the Turkish population.

At the initiative of Prime Minister Recep Tayyip Erdogan, Turkey was to move from a parliamentary republic to a presidential system of government, according to amendments to the Constitution and the Law on Presidential Elections. After the changes, power would be consolidated in the hands of the president. The leader, elected by direct vote, could hold office for a renewable five-year term (Makaradze, 2016, p. 85).

The presidential elections held on August 10, 2014 were one of the most important in the history of the Turkish Republic. In the first direct presidential elections, former Prime Minister and leader of the Justice and Development Party Recep Tayyip Erdogan won with 51.79% of the vote, and on August 28 of the same year, Ahmet Davutoğlu became Prime Minister.

In his campaign speeches, Erdogan stated that if elected, he would not be a mere symbolic president, but would fully utilize the powers granted to him. He emphasized the achievements of the Justice and Development Party and presented his vision of a „new Turkey" to the public.

The victory of Erdogan and his Justice and Development Party was the result of the fact that Turkish society was tired and exhausted by the actions of the elite, which had been formed over decades and was deeply mired in corruption. In comparison, the representatives of the Justice and Development Party, with their greater honesty, simplicity, and closeness to the people, were more promising.

Erdogan managed to achieve something almost impossible in modern Turkish history – he significantly reduced the untouchable and powerful military elite and removed it from political leadership.

As the generals weakened, the unity of religious leaders grew in direct proportion. The Directorate of Religious Affairs became one of the most influential structures in the Turkish state system. During Erdogan's rule, 7,300 mosques were built in Turkey as a result of the reform of the education system, religion became a compulsory subject in higher military schools, and religious studies was introduced in the middle grades of secular schools, and the ban on girls attending religious services was lifted. Wearing headscarves on school grounds, which was previously unthinkable, was abolished.

On June 7, 2015, there were held parliamentary elections in Turkey, in which the ruling Justice and Development Party lost its majority in the 550-seat parliament and received 256 mandates, the Republican People's Party took second place with 132 seats, the Nationalist Movement Party took third place with 82 seats, and the People's Democratic Party took fourth place with 80 seats.

Following the elections, Turkish Prime Minister Ahmet Davutoğlu failed to form a coalition government with other political parties in parliament, which led to the Turkish President dissolving the government and calling the 26th snap parliamentary elections in the country.

On November 1, 2015, in snap parliamentary elections Erdoğan used all state mechanisms at his disposal to ensure the victory of the Justice and Development Party, and it indeed regained the majority in parliament lost in June 2015.

The ruling party received 49.4% of the votes in the elections, while its main opponent, the Republican People's Party, gained 25.4%. Pro-Kurdish and nationalist parties overcame the 10% barrier and received seats in parliament. Prime Minister Ahmet Davutoğlu called the election results a victory for the Turkish people and democracy.

On the evening of July 15, 2016, the attention of the world media was focused on the events in Turkey. About 300 people have been killed in attacks by armed groups in several parts of the country aimed at overthrowing the government.

On Friday evening, tanks appeared in Ankara and Istanbul, opening fire on the Turkish parliament building and the presidential palace. Airplanes fired cannons at the headquarters of the national intelligence service in the capital.

On July 15, it was also reported that on the night of the coup, when President Erdogan was returning to Istanbul from vacation, two rebel fighters tried to attack his plane, but for unknown reasons the attack did not take place, so Erdogan arrived safely in Istanbul.

150,000 people, including judges and high-ranking military officials, were arrested on charges of attempted coup.

Following the coup attempt, Turkish law enforcement agencies dismissed 37,500 civil servants and police officers and suspended the licenses of 21,000 teachers (Makaradze, 2019 (a), p. 293).

Official Ankara blamed former imam Fethullah Gülen for the July 2016 coup attempt in Turkey, although the Pennsylvania-based religious leader categorically denied any involvement in the uprising (Fethullah Gülen died on October 21, 2024).

On April 16, 2017, Turkey's ruling Justice and Development Party held a constitutional referendum that called for the country's transition from a parliamentary to a presidential system, the abolition of the prime minister's position, an increase in the number of seats in parliament from 550 to 600, and the creation of a Supreme Court and the Turkish Prosecutors' Council (HSYK).

On April 16, 2017, as a result of a constitutional referendum, Republican Turkey switched from a parliamentary to a presidential system of government, which was one of the most decisive steps in the political life of Turkey since the reforms of Mustafa Kemal Ataturk.

On June 24, 2018, early presidential and parliamentary elections were held in Turkey, which were won by President R. T. Erdogan.

The political parties showed the following results in the parliamentary elections held on June 24, 2018:

Party	Percentage	Deputy
(Justice and Revival Party) AKP	42,6	295
(Republican People's Party) CHP	22,6	146
(Peoples' Democratic Party) HDP	11,7	67
(Nationalist Movement Party) MHP	11,1	49
(Good Party) İYİP	10,0	43
(Prosperity Party) SP	1,3	0

After the presidential inauguration on July 9, 2018, R. Erdogan began his presidential activities (Bokuchava, 2020, p. 245).

On March 31, 2019, local elections were held in Turkey. It must be said that these were not ordinary elections. The election campaign took place in an extremely polarized environment, as the parties

viewed these elections as a kind of vote of confidence in the 17-year rule of President Recep Tayyip Erdogan and his party (Makaradze, 2019 (b)).

On May 14, 2023, presidential and parliamentary elections were held in Turkey, and a second round of presidential elections was held on May 28.

In the presidential elections in Turkey on May 14, 2023, the incumbent President Recep Tayyip Erdogan received 49.5% of the votes, narrowly missing out on victory in the first round.

After winning the presidential elections in Turkey, Erdogan almost completely changed the composition of the executive government, with the exception of the ministers of culture, tourism and health. Particular attention was paid to the changes in the government's economic team, where Mehmet Shimshek took over the post of Minister of Treasury and Finance, and Hafiz Gaye Erkan took over the post of head of the Central Bank of Turkey. According to experts, these changes may indicate that Turkey wanted to abandon its unconventional macroeconomic policy and move to a traditional economic model, which is associated with a record devaluation of the national currency and rising inflation.

On March 31, 2024, local elections were held in Turkey. This was a major political event for the country, which revealed significant changes in the political landscape (Makaradze, 2024).

Elections were held in 81 provinces of Turkey. Mayors, city council members, and village heads were elected.

The opposition Republican People's Party (CHP) won an important victory. It retained control of Istanbul and Ankara, as well as of other major cities.

The ruling Justice and Development Party (AKP) suffered significant losses. CHP candidate Ekrem Imamoglu won the Istanbul mayoral election again. This was a significant blow to President Erdogan's party. CHP candidate Mansur Yavaş also retained his post as mayor of Ankara.

These results are seen as a serious challenge to the government of President Recep Tayyip Erdogan.

The elections showed growing support for the opposition, especially in major cities.

The elections took place against the backdrop of Turkey's economic difficulties, high inflation, and the devaluation of the lira.

In the Kurdish-dominated southeast, the results were more mixed, with different parties making gains.

International observers said the elections were largely peaceful, although there were some reports of irregularities.

These elections are considered an important event in the political history of Turkey, which showed changes in public sentiment and the balance of political forces.

President Recep Tayyip Erdogan remains the President of Turkey. He has held the post since 2014.

Conclusions. In conclusion, the analysis of the domestic politics of Turkey in the 2020s has shown that the most important factors are:

to strengthen the political dialogue with the opposition parties, especially taking into account the results of the local elections;

to create platforms for reaching consensus on important issues;

to prioritize reducing inflation and stabilizing the currency;

to carry out structural reforms to strengthen the economy and attract foreign investment;

to enhance the independence of the judiciary;

to nsure media freedom and pluralism;

to strengthen anti-corruption mechanisms;

to ensure transparency of public contracts and tenders;

to improve social policy and continue the integration of ethnic minorities and dialogue with the Kurdish community;

to ensure the protection of minority rights and their participation in political processes;

to collaborate with major opposition-governed cities to implement infrastructure projects and more.

Turkey's future depends only on the further deepening of the culture of democracy and the principles

of government accountability to the people. Neither a military coup nor an authoritarian political rule is the line that the Turkish Republic should follow.

It should be noted that the Europeanized part of Turkish society is quite numerous, it is already politically active and will not easily abandon the principles of secularism. At the same time, it can be noted that the part of Turkish society that carries a Western mentality, and especially the youth, with its worldview and demands, have already risen above Ataturk's secularism and occupied positions of high European standards of democracy and human rights. As for President Recep Tayyip Erdogan, although he remains a strong political figure, it is possible that the recent crisis in Turkey may change his approach after some time.

Bibliography:

Bokuchava, T. (2020). Understanding Erdoganism. *Middle East and Georgia, Vol. XII*, 244-253.

Makaradze, E. (2016). *Domestic policy of Turkey in 2000-2015.* Tbilisi: Universal.

Makaradze, E. (2019 (a)). *History of Turkey 1918-2018, lecture notes.* Tbilisi: Universal.

Makaradze, E. (2019 (b)). Issues of intercultural dialogue and national identity in modern Turkey. *Herald of Oriental Studies, Vol: 2*, p. 23-30. Retrieved from https://hos.openjournals.ge/index.php/hos/article /view/2775

Makaradze, E. (2024). Analysis of Two Main Political Doctrines of Modern Turkiye. *BULLETIN OF THE GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES, vol. 18: no. 1*, p.158-164.

„შუა დერეფნის“ სატრანზიტო კორიდორი და შავი ზღვის უსაფრთხოება

ბექა მანაგაძე
პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ელ-ფოსტა: beka.managadze@ciu.edu.ge
ORCID: 0009-0008-4203-1856

აბსტრაქტი: *21*-ე საუკუნის გეოპოლიტიკურმა ცვლილებებმა, განსაკუთრებით *2022* წელს დაწყებული რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად, მნიშვნელოვნად შეცვალა ევრაზიული ტრანზიტული მარშრუტები. ტრადიციული სატრანსპორტო არხების გარშემო მზარდმა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და უსაფრთხოების რისკებმა გახადა აუცილებელი ალტერნატიული დერეფნების ძიება. ერთ-ერთი ასეთი ალტერნატიული მარშრუტი გახდა „შუა დერეფანი“ *(*ტრანს-კასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტი – *TITR),* რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ახალი გეოპოლიტიკური რეალობების ფონზე. ეს სტატია შეისწავლის საქართველოს როლს „შუა დერეფანის“ განვითარებაში და პოტენციალს, რომელიც მას შეიძლება ჰქონდეს საერთაშორისო ტრანზიტულ კონკურენციაში სტრატეგიული უპირატესობის დამყარებაში.

მიუხედავად იმისა, რომ *2023* წელს შუა დერეფანზე გადაზიდული ტვირთების რაოდენობა *86%*-ით გაიზარდა, ზოგიერთი გამოწვევა კვლავ არსებობს, როგორიცაა რეგულაციების ჰარმონიზაცია, საბაჟო პროცედურების გამარტივება და პოლიტიკური კოორდინაციის გაზრდა. ამასთან, სტატია ხაზს უსვამს, რომ შუა დერეფნის განვითარება მხოლოდ ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე არ არის დამოკიდებული – მას სჭირდება პოლიტიკური სინქრონიზაცია, ეკონომიკური ხედვა და რეგიონული თანამშრომლობა, სადაც საქართველო მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

საქართველოს სტრატეგიული მდებარეობა აზიასა და ევროპას შორის, ასევე ინფრასტრუქტურული პროექტები, როგორიცაა ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა და პორტების განვითარება, განსაკუთრებით ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი, ხელს უწყობს საქართველოს როლს ტრანზიტული ჰაბის სახით. პოლიტიკურ კონტექსტში, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია დიპლომატიური ბალანსის შენარჩუნება ევროკავშირს, ჩინეთს, თურქეთსა და ცენტრალურ აზიას შორის, უსაფრთხოების და დიპლომატიური გამოწვევების მართვისას.

საქართველომ უნდა გააძლიეროს სამი სტრატეგიული სფერო*:* ინფრასტრუქტურული განვითარების, რეგიონული და გლობალური პოლიტიკური ინტეგრაციისა და შიდა პოლიტიკის ბალანსი. ასევე, მნიშვნელოვანია შავი ზღვის რეგიონში სტაბილურობის უზრუნველყოფა „შუა დერეფნის“ ხანგრძლივი წარმატებისათვის.

საკვანძო სიტყვები: შუა დერეფანი; ტრანს-კასპიური მარშრუტი *(TITR)*; საქართველო; ევრაზიული ტრანზიტი; გეოპოლიტიკა; ინფრასტრუქტურული განვითარება; ანაკლიის პორტი; ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა; რეგიონული თანამშრომლობა; უსაფრთხოება; პოლიტიკური კოორდინაცია; დიპლომატიური ბალანსი; შავი ზღვის რეგიონი.

* * *

შესავალი. 21-ე საუკუნის გლობალური გეოპოლიტიკური რეალობა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სტრუქტურული ტრანსფორმაცია, განსაკუთრებით 2022 წლის რუსეთ-უკრაინის ომის შემდგომ, მკვეთრად ცვლის ევრაზიის სატრანზიტო არქიტექტურას. ტრადიციული სატრანსპორტო მარშრუტების პოლიტიკური, ეკონომიკური და უსაფრთხოების რისკების ზრდამ გაზარდა ალტერნატიული გზების საჭიროება, რომელთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა „შუა დერეფანს“ (Trans-Caspian International Transport Route – TITR).

მიუხედავად ამ მარშრუტის მზარდი სტრატეგიული და ლოგისტიკური პოტენციალისა, აშკარაა, რომ რეგიონულ ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს, ჯერ კიდევ არ აქვთ სრულად გამოკვეთილი

ხედვა, კონკრეტული სტრატეგიული პოლიტიკა და საკმარი რესურსები, რომ მოახდინონ დერეფნის ეფექტიანი განვითარება და საერთაშორისო კონკურენციაში ჩართვა.

სამეცნიერო სტატიაში განვიხილავთ, რა როლი და შესაძლებლობა აქვს საქართველოს შუა დერეფნის განვითარებაში გლობალური გეოპოლიტიკური გარდაქმნების ფონზე და როგორ შეიძლება ქვეყანამ მოიპოვოს მდგრადი სტრატეგიული უპირატესობა სატრანზიტო კონკურენციაში?

კვლევის მიზანია, გაანალიზოს საქართველოს ინფრასტრუქტურული, გეოპოლიტიკური და დიპლომატიური პოტენციალი ახალი რეალობის პირობებში, გამოავლინოს არსებული გამოწვევები და შესაძლებლობები და წარმოადგინოს რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს ქვეყნის ქმედით ინტეგრაციას რეგიონულ სატრანზიტო ქსელში.

კვლევის მეთოდებში გამოყენებულია „ქეის სთადი", შედარებითი ანალიზი და კონტენტ ანალიზი.

შუა დერეფანი და საქართველოს როლი ახალი გეოპოლიტიკური რეალობის კონტექსტში

„შუა დერეფანი" წარმოადგენს სტრატეგიულ სატრანსპორტო მარშრუტს, რომელიც იწყება ჩინეთში და ყაზახეთის, კასპიის ზღვის, აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის გავლით ევროპისკენ მიემართება. ეს მარშრუტი მნიშვნელოვან ალტერნატივად გვევლინება ტრადიციული სატრანსპორტო გზების მიმართ, რაც მას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გლობალურ ვაჭრობაში.

ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტი *(TITR)* ოფიციალურად *2014* წლის თებერვალში შეიქმნა აზერბაიჯანის, ყაზახეთისა და საქართველოს საზღვაო და სარკინიგზო გადაზიდვების სფეროში წამყვანი კომპანიების მონაწილეობით.

2022 წლის დაწყებულმა რუსეთ-უკრაინის ომმა სერიოზული გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ცვლილებები გამოიწვია, რამაც პირდაპირი გავლენა იქონია შუა დერეფნის პროექტზე და ამ კონტექსტში, საქართველოზე, როგორც მნიშვნელოვანი სატრანზიტო ქვეყნის როლზე.[1]

ომის დაწყებამ მნიშვნელოვნად შეასუსტა ტრადიციული სატრანსპორტო მარშრუტები, რომლებიც გადიოდა რუსეთსა და ბელარუსზე. დასავლურმა სანქციებმა და ომის შედეგად წარმოშობილმა ლოჯისტიკურმა რისკებმა კომპანიები აიძულა, ეძებათ ალტერნატიული გზები ჩინეთიდან ევროპისკენ. ამის ფონზე შუა დერეფანი ერთ-ერთ ყველაზე სიცოცხლისუნარიან ალტერნატივად გამოჩნდა.

აღსანიშნავია, რომ *2023* წელს „შუა დერეფნის" მეშვეობით გადაზიდულმა ტვირთმა *2.7* მილიონ ტონას მიაღწია, რაც *2022* წლის მაჩვენებელზე *86%*-ით მეტია. ამჟამად პროექტში *11* ქვეყნიდან *25* კომპანიაა ჩართული, რაც კიდევ უფრო მეტ ინტეგრაციას და რეგიონულ თანამშრომლობას უზრუნველყოფს.

საქართველოსთვის „შუა დერეფანი" განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როგორც სატრანზიტო ჰაბისთვის. ქვეყნის მიერ ჩინეთთან, თურქეთთან და ევროკავშირთან გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები ხელს უწყობს დერეფნის პოტენციალის სრულად რეალიზებას. საქართველოს სატრანსპორტო როლის განსამტკიცებლად ხორციელდება აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალის მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც აზიასა და ევროპას სწორედ საქართველოს ტერიტორიის გავლით აკავშირებს.

2023 წლის თბილისი სილქ როუდის ფორუმი მნიშვნელოვანი ეტაპი აღმოჩნდა იმ დისკუსიებისთვის, რომლებიც საქართველოს გეოპოლიტიკურ და სატრანზიტო როლს ეხება. ამ შეხვედრამ, რომელშიც 60-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენლები და საერთაშორისო ორგანიზაციები მონაწილეობდნენ, ნათლად დააფიქსირა, რომ ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტი, იგივე შუა დერეფანი, სულ უფრო მეტ საერთაშორისო ინტერესს იწვევს. ახალი გლობალური რეალობების ფონზე, როცა გეოპოლიტიკური დაძაბულობები და დიდი სახელმწიფოების კონკურენცია მატულობს, შუა დერეფანი რეალურად იქცა ალტერნატიულ გზად, რომელიც ევროპასა და აზიას შორის ეკონომიკურ კავშირებს განამტკიცებს – საქართველოს კი ამ პროცესში ცენტრალური ადგილი უკავია.

---

[1] Batumelebi. (2023). *ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტი: სტრატეგიული მნიშვნელობა და გამოწვევები.* Retrieved from https://batumelebi.netgazeti.ge

ფორუმზე წარმოდგენილი ძირითადი გზავნილები არა მხოლოდ ინფრასტრუქტურულ პროექტებს შეეხებოდა, არამედ იმ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და უსაფრთხოების გამოწვევებსაც, რომლებიც შუა დერეფნის რეალიზაციასთანაა დაკავშირებული. მაგალითად, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა იმას, რომ საქართველო არ არის უბრალოდ სატრანზიტო ქვეყანა, არამედ პარტნიორი, რომელიც სთავაზობს რეგიონს სტაბილურობას, პროგნოზირებადობასა და განვითარების მდგრად საფუძველს. ეს პოზიციონირება არ ყოფილა უბრალო რიტორიკა – ის ეხმიანება ქვეყნის მიერ ბოლო წლებში გადადგმულ კონკრეტულ ნაბიჯებს, იქნება ეს ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია, სარკინიგზო ქსელის განახლება თუ სატვირთო ტერმინალების განვითარება.

ამავე დროს, ფორუმმა წარმოაჩინა, რომ შუა დერეფანი მხოლოდ ფიზიკური ინფრასტრუქტურა არ არის – ის იდეაა, რომელიც მოითხოვს პოლიტიკურ სინქრონიზაციას, ეკონომიკურ ხედვას და რეგიონულ თანამშრომლობას.[1] სწორედ აქ იკვეთება საქართველოს მნიშვნელოვანი როლი როგორც „დამაკავშირებელი რგოლისა“. ქვეყანა, რომელიც ისტორიულად მდებარეობს ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე, ახლა ამ მემკვიდრეობას ახალ კონტექსტში განავითარებს და ცდილობს, შუა დერეფნის ფორმირების პროცესში არა როგორც მარგინალური მოთამაშე, არამედ როგორც აქტიური არქიტექტორი ჩაერთოს.

თბილისის ფორუმის ფარგლებში გამართული დისკუსიებიდან გამოიკვეთა, რომ მიუხედავად არსებული წარმატებებისა, ჯერ კიდევ ბევრი სირთულე არსებობს – მათ შორის, რეგულაციების ჰარმონიზაცია, საბაჟო პროცედურების გამარტივება, ციფრული პლატფორმების შექმნა და პოლიტიკურ დონეზე კოორდინაციის გაუმჯობესება. თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ საკითხებზე სულ უფრო ღია საუბარია და მონაწილეები არ ერიდებიან კრიტიკულ შეფასებებსაც. ეს იმას ნიშნავს, რომ ინიციატივა გადადის იმ ფაზაში, სადაც მხოლოდ დეკლარაციები არ კმარა – საჭიროა კონკრეტული ნაბიჯები და შესაბამისი ვალდებულებების აღება.

საქართველოსთვის შუა დერეფანი არის არა მხოლოდ ეკონომიკური პროექტი, არამედ პოლიტიკური მომავლის კონტურების მოხაზვის შესაძლებლობა. ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა გახლავთ მრავალმხრივი პარტნიორობის დაბალანსება, რაც შუა დერეფნის კონტექსტში თავისებურ ნიუანსებს იძენს. კავშირი ჩინეთთან, თურქეთთან, ცენტრალურ აზიასთან და ევროკავშირთან, როგორც სატრანზიტო პროექტის ფარგლებში, ასევე უფრო ფართო სტრატეგიული პარტნიორობის ჭრილში, ქმნის დინამიკას, რომელიც საქართველოს ავითარებს როგორც შუამავალს – არამხოლოდ გეოგრაფიული თვალსაზრისით, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობითაც.

ინფრასტრუქტურული განვითარება და ეკონომიკური პოტენციალი

იმისათვის, რომ შუა დერეფანი რეალურად ჩამოყალიბდეს კონკურენტუნარიან და სანდო მარშრუტად, საჭიროა ძლიერი ინფრასტრუქტურული ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს უწყვეტ და ეფექტურ ლოგისტიკურ ნაკადებს.[2] საქართველოს ამ მიმართულებით არაერთი პროექტი აქვს დაწყებული. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინიციატივა ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო ხაზი გახლავთ, რომელიც უკვე ფუნქციონირებს, თუმცა ამჟამად მიმდინარეობს მისი გამტარუნარიანობის გაზრდის სამუშაოები. თბილისის სილქ როუდის ფორუმზე ცალკე ყურადღება დაეთმო რკინიგზის მოდერნიზაციის გეგმას, რომელიც გულისხმობს გადაადგილების სიჩქარის და მოცულობის ზრდას, რაც საბოლოოდ გამოიწვევს ტვირთბრუნვის ზრდას.

ამასთანავე, ფოთისა და ანაკლიის პორტების პოტენციალი კვლავ რჩება მნიშვნელოვან საკითხად. მაშინ, როცა ფოთი უკვე ასრულებს მნიშვნელოვან როლს შავი ზღვის პორტების ქსელში, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტი სიმბოლურად წარმოაჩენს საქართველოს ამბიციებს – პროექტი, რომელიც არაერთხელ გაჩერებულა და ხელახლა განხილულა, რჩება როგორც ეკონო-

[1] Coffey, L. (2022). *The strategic importance of the Black Sea region*. Heritage Foundation. Retrieved from *https://www.heritage.org*

[2] Cornell, S. E. (2020). *Geopolitics and strategic alignments in the South Caucasus*. Central Asia-Caucasus Institute.

მიკური, ისე გეოპოლიტიკური სიმბოლო. ფორუმზე ისმოდა მოწოდებები საერთაშორისო ინვესტორებისადმი, აქტიურად ჩაერთონ ანაკლიის პროექტის განვითარებაში. საქართველოს მთავრობა ხაზს უსვამს, რომ ასეთი ტიპის ინფრასტრუქტურა არამხოლოდ ადგილობრივი ეკონომიკისთვის, არამედ მთელი რეგიონისთვის გარდამტეხი შეიძლება გახდეს.

ეკონომიკური თვალსაზრისით, შუა დერეფნის განვითარება ნიშნავს არა მხოლოდ ტვირთების გადაზიდვის ზრდას, არამედ ადგილობრივი ლოჯისტიკური, სერვისების და წარმოების სექტორის გაძლიერებას. საქართველოს შეუძლია გახდეს ტრანზიტული ჰაბი, რომელიც არა მხოლოდ გადაიტანს ტვირთს აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ, არამედ დაამუშავებს, გადაახარისხებს, შეინახავს და ხელახლა გადაანაწილებს მას, რაც დასაქმების ზრდას და ტექნოლოგიურ განვითარებას შეუწყობს ხელს. ამას კი სჭირდება როგორც კერძო ინვესტიციების მოზიდვა, ისე სწორი პოლიტიკის დაგეგმვა და განხორციელება სახელმწიფოს მხრიდან.

საერთაშორისო თანამშრომლობა და პოლიტიკური განზომილება

შუა დერეფნის წარმატება დამოკიდებულია არა მხოლოდ ერთ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე, არამედ მთელ რეგიონულ თანამშრომლობაზე. ფორუმზე მნიშვნელოვანი როლი ეთმობოდა მრავალმხრივი დიალოგის გაღრმავებას – კერძოდ, საქართველოს, აზერბაიჯანისა და ყაზახეთის სამმხრივ ფორმატს, რომელიც უკვე ქმნის ერთგვარ ბირთვს ამ მარშრუტის სტრუქტურაში.[1] ამ ქვეყნებმა ბოლო წლებში ხელი მოაწერეს არაერთ შეთანხმებას, რომელიც მიზნად ისახავს სატრანსპორტო ტარიფების სტანდარტიზაციას, საბაჟო წესების ჰარმონიზაციას და ერთიანი ციფრული პლატფორმების განვითარებას, რაც მარშრუტს უფრო გამჭვირვალეს და სანდოს გახდის ტვირთგადამზიდავებისთვის.

ამავე დროს, ევროკავშირისა და ჩინეთის ინტერესებიც თანდათან მკაფიოდ იკვეთება. ევროკავშირისთვის შუა დერეფანი განიხილება როგორც ალტერნატიული გზა რუსეთზე დამოკიდებულების შესამცირებლად – როგორც ენერგორესურსების, ისე სხვა სახის სტრატეგიული ტვირთების თვალსაზრისით. ჩინეთისთვის კი ეს არის დამატებითი მარშრუტი „სარტყლისა და გზის ინიციატივის“ ფარგლებში, რომელიც არა მხოლოდ პეკინის ეკონომიკურ გავლენას ანვითარებს ევრაზიის კონტინენტზე, არამედ მისთვის მნიშვნელოვან პოლიტიკურ პლატფორმასაც ქმნის.

საქართველოს დიპლომატიური გამოწვევა სწორედ აქედან იწყება – ერთი მხრივ, ქვეყანა ცდილობს, იყოს პროევროპული და ევროატლანტიკური სივრცის ნაწილი, მეორე მხრივ კი შეინარჩუნოს ეკონომიკური კავშირები ისეთ გლობალურ ძალებთან, როგორებიც ჩინეთი და თურქეთია. შუა დერეფანი ამ კონტექსტში იქცევა პლატფორმად, სადაც საქართველოს შეუძლია ამ ალიანსებს შორის ბალანსირება, რაც, ცხადია, საჭიროებს დელიკატურ საგარეო პოლიტიკას.

პოლიტიკური რისკები და უსაფრთხოების საკითხები

შუა დერეფნის გეოპოლიტიკური მდებარეობა განაპირობებს იმასაც, რომ ის ვერ იქნება დაცლილი უსაფრთხოების რისკებისგან. კავკასია, ცენტრალური აზია და შავი ზღვის რეგიონი ჯერ კიდევ მერყევი სივრცეებია პოლიტიკური სტაბილურობის თვალსაზრისით. ომები უკრაინასა და ღაზაში, დაძაბულობა ირანსა და დასავლეთს შორის, მეზობელ რეგიონებში არსებული კრიზისები – ყველა ეს ფაქტორი ქმნის გაურკვევლობის შეგრძნებას, რომელიც პირდაპირ აისახება ეკონომიკურ და ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. საქართველოს, რომელიც ხშირად წარმოაჩენს თავს როგორც „დასავლეთის ფორპოსტს“, რეალურად უწევს მოქმედება მეტად კომპლექსურ და ცვალებად გარემოში.

შუა დერეფნის სტაბილურ ფუნქციონირებას სჭირდება არა მხოლოდ ფიზიკური უსაფრთხოება (ტრანსპორტის მარშრუტების დაცულობა, კიბერუსაფრთხოება და ა.შ.), არამედ პოლიტიკური პროგნოზირებადობა. სწორედ ეს უკანასკნელი არის ის ფაქტორი, რომელიც ხშირად აფერხებს გრძელვადიან ინვესტიციებს.

---

[1] Delcour, L. (2021). *The EU and the geopolitics of connectivity in the South Caucasus*. EUISS Brief. *https://www.iss.europa.eu*

სტრატეგიული ხედვა: საქართველოს როლი და სამომავლო ნაბიჯები

იმისათვის, რომ საქართველო მართლაც გარდაიქმნას შუა დერეფნის მთავარ საყრდენ წერტილად, საჭიროა ერთდროულად სამი სტრატეგიული მიმართულების გაძლიერება: ინფრასტრუქტურული განვითარება, პოლიტიკური ინტეგრაცია რეგიონულ-გლობალურ ფორმატებში და ეროვნული პოლიტიკის გაწონასწორება გეოპოლიტიკურ რეალობასთან.

პირველ რიგში, ინფრასტრუქტურის გაძლიერება უნდა გახდეს არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ უსაფრთხოების და საგარეო პოლიტიკის ნაწილიც. ეს გულისხმობს არამარტო ფიზიკური კავშირების მშენებლობას, როგორებიცაა სარკინიგზო ხაზები, პორტები და ლოჯისტიკური ჰაბები, არამედ ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განვითარებასაც. თანამედროვე დერეფანი სულ უფრო მეტად ეფუძნება ციფრულ მმართველობას: სატვირთო ნაკადების მონიტორინგს რეალურ დროში, საბაჟო პროცედურების ავტომატიზაციას და სხვადასხვა პლატფორმის ინტეგრაციას. საქართველოს მთავრობამ უნდა უზრუნველყოს ციფრული ტერმინალებისა და ერთიანი მენეჯმენტის სისტემების დანერგვა, რათა ტვირთგამზიდავებისთვის შეთავაზებული მომსახურება იყოს სწრაფი, გამჭვირვალე და კონკურენტუნარიანი სხვა ალტერნატივებთან შედარებით.[1]

მეორე მიმართულება არის რეგიონის ქვეყნებთან კოორდინაციის გაღრმავება. საქართველო უკვე მონაწილეობს აზერბაიჯანთან და ყაზახეთთან სამმხრივ მექანიზმებში, მაგრამ მომავალში მიზანშეწონილია ამ ფორმატების გაფართოება – მათში ჩართვა შეიძლება ისეთი ქვეყნების, როგორებიც არიან თურქმენეთი, უზბეკეთი და ჩინეთი. ამავდროულად, ევროკავშირი და თურქეთი უნდა დარჩნენ სისტემური პარტნიორები. საქართველო, როგორც ტრანზიტული ქვეყანა, შეიძლება იქცეს პლატფორმად რეგიონულ-გლობალური დიალოგისთვის, მაგალითად, „შუა დერეფნის პარტნიორობის პლატფორმის“ (Middle Corridor Partnership Forum) ფარგლებში.[2] ეს პლატფორმა შეიძლება ფორუმის ფორმატში ყოველწლიურად გაიმართოს თბილისში, როგორც პოლიტიკურ, ისე ბიზნეს დონეზე, რითაც კიდევ უფრო გაძლიერდება ქვეყნის როლი როგორც ჰაბის და ორგანიზატორის.

ამასთანავე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს შიდა პოლიტიკის მდგრადობას. დერეფნის წარმატება დიდწილად იქნება დამოკიდებული ქვეყნის შიდა სტაბილურობაზე – პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ. ინვესტორები და საერთაშორისო პარტნიორები, როგორც წესი, მოითხოვენ პროგნოზირებად და ინსტიტუციურად გამართულ გარემოს. ეს გულისხმობს როგორც მართლმსაჯულების რეფორმის გაღრმავებას, ისე კონკურენტული ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას. თუ სახელმწიფო შეძლებს უზრუნველყოს სამართლებრივი უსაფრთხოება და თანაბარი პირობები ადგილობრივი და უცხოური კომპანიებისთვის, საქართველო კიდევ უფრო მიმზიდველი გახდება როგორც ლოჯისტიკური, ისე საწარმოო დანიშნულებით.[3]

შავი ზღვის უსაფრთხოება შუა დერეფნის კონტექსტში

შუა დერეფნის წარმატება უდავოდ დაკავშირებულია შავი ზღვის რეგიონში სტაბილობასა და უსაფრთხოების ხარისხთან. ეს სივრცე გეოგრაფიულად პატარაა, თუმცა გეოპოლიტიკურად ერთ-ერთი ყველაზე სენსიტიური და კონკურენციისგან გაჯერებული რეგიონია, რომელიც აერთიანებს ნატოს წევრ ქვეყნებს (თურქეთი, რუმინეთი, ბულგარეთი), ასოცირებულ და კანდიდატ ქვეყნებს (საქართველო, უკრაინა, მოლდოვა) და რევიზიონისტულ, აგრესიულ რუსეთს, რომელსაც გააჩნია შავი ზღვის ფლოტის უმნიშვნელოვანესი ბაზები ყირიმში.[4]

რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიამ 2014 წელს და შემდგომ უკრაინაში შეჭრამ 2022 წლიდან სრუ-

---

[1] Gogolashvili, K. (2021). Georgia’s role in Eurasian transport connectivity. Georgian Foundation for Strategic and International Studies.

[2] Gvalia, G., & Lebanidze, B. (2020). Georgia’s foreign policy in a turbulent region: Coping with vulnerability and strategic uncertainty. Caucasus Survey, 8(1), 47–66. https://doi.org/10.1080/23761199.2019.1685802

[3] Kupchan, C. A., & Litwak, R. S. (2023). After the war in Ukraine: Building new security architecture. Council on Foreign Relations. https://www.cfr.org

[4] Middle Corridor. (2023). Official website of the Trans-Caspian International Transport Route. Retrieved from https://middlecorridor.com

ლად შეცვალა რეგიონის ძალთა ბალანსი და გაამძაფრა რისკები, რაც ცხადად აისახება ლოჯისტიკური დერეფნების უსაფრთხოებაზე. მაგალითად, უკრაინის პორტების დაბლოკვამ და შავი ზღვის აკვატორიაში სამხედრო მოქმედებებმა შექმნა სერიოზული საფრთხეები საზღვაო ტვირთების გადაზიდვაზე და გაზარდა სატრანზიტო მარშრუტების ფასიც და დაუცველობაც.

ამ კონტექსტში საქართველო, როგორც შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მყოფი ქვეყანა, ფაქტობრივად იქცა ერთადერთ უსაფრთხო „კარიბჭედ“, რომელიც აკავშირებს შუა აზიას ევროპასთან ზღვის გავლით. ეს ქმნის ერთდროულად როგორც დიდ შესაძლებლობას, ისე პასუხისმგებლობასაც: დერეფნის გრძელვადიანი სიცოცხლისუნარიანობა პირდაპირ არის მიბმული შავი ზღვის უსაფრთხოებაზე.

უსაფრთხოების სამი ძირითადი ასპექტი საქართველოსთვის:

საზღვაო უსაფრთხოება და ნატოს ჩართულობა:საქართველო აქტიურად თანამშრომლობს ნატოსთან შავი ზღვის უსაფრთხოების მიმართულებით, მათ შორის ინფორმაციის გაზიარებაში, ერთობლივ წვრთნებსა და სანაპირო დაცვის გაძლიერებაში. ნატოს წევრი ქვეყნების (თურქეთი, რუმინეთი, ბულგარეთი) როლი უმნიშვნელოვანესია იმაში, რომ შავი ზღვის დასავლეთ და სამხრეთ ნაწილში შენარჩუნდეს უსაფრთხოების ზონა, რომელიც შესაძლებელს გახდის ტვირთების უსაფრთხო გადაადგილებას. საქართველოსთვის ამ თანამშრომლობის გაღრმავება პრიორიტეტული უნდა გახდეს, მათ შორის სამხედრო-საზღვაო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციისა და ერთობლივი წვრთნების ინტენსიფიკაციის გზით.[1]

ჰიბრიდული საფრთხეები და კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვა:რუსეთის მხრიდან ტრადიციული სამხედრო საფრთხის პარალელურად, მზარდია ჰიბრიდული საფრთხეების დონე – კიბერშეტევები, საინფორმაციო მანიპულაცია, ეკონომიკური ზეწოლა. შავი ზღვის რეგიონში არსებული პორტული ინფრასტრუქტურა, როგორიცაა ფოთი, ბათუმი და მომავალი ანაკლია, შესაძლოა გახდეს მიზანი კიბერშეტევების ან დეზინფორმაციული კამპანიების. ამ კუთხით საჭიროა არა მხოლოდ ტექნიკური სისტემების გაძლიერება, არამედ რეგიონულ დონეზე კიბერუსაფრთხოების და კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვის ერთიანი პოლიტიკის ფორმირება.[2]

შავი ზღვის რეგიონული პლატფორმების გააქტიურება:საქართველო შეიძლება გახდეს ინიციატორი შავი ზღვის უსაფრთხოების პლატფორმების გადახედვის ან ახლის შექმნის, რომელიც მოიცავს შავი ზღვის დერეფნებს, ნავსადგურებს, საზღვაო გზებს და ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურას. მაგალითად, შავი ზღვის ქვეყნებს შორის ინფრასტრუქტურული უსაფრთხოების პლატფორმა (Black Sea Infrastructure Security Dialogue) შესაძლოა გახდეს ის ახალი მექანიზმი, სადაც განიხილება როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო-ლოგისტიკური უსაფრთხოების საკითხები.

რეკომენდაციები და დასკვნა

საქართველოს წინაშე ნამდვილად იშლება ისტორიული შესაძლებლობა – შუა დერეფანი შეიძლება იქცეს არა მხოლოდ სატრანზიტო მარშრუტად, არამედ სტრატეგიულ ეკონომიკურ პლატფორმად, რომელიც გააძლიერებს ქვეყნის საერთაშორისო როლს და ხელს შეუწყობს შიდა განვითარების ახალ ტალღას. ამის მისაღწევად აუცილებელია:

ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია და ახალი პროექტების ინტეგრაცია: სარკინიგზო და პორტული სისტემების გაერთიანება ერთიან ლოგისტიკურ სისტემაში, მათ შორის ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის ამოქმედება;

ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება ლოჯისტიკურ მენეჯმენტში: ერთიანი ელექტრონული პლატფორმების შექმნა რეგიონის ქვეყნებთან, რაც შეამცირებს ბიუროკრატიულ ბარიერებს და გაზრდის ეფექტურობას;

---

[1] Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia. (2023). Annual Report on Infrastructure and Transport Development. Retrieved from https://www.economy.ge

[2] Peyrouse, S. (2022). Connectivity strategies and geopolitical competition in Central Asia. Eurasian Geography and Economics, 63(5), 540–559. https://doi.org/10.1080/15387216.2022.2072598

რეგიონული და გლობალური თანამშრომლობის გაძლიერება: სამმხრივი და მრავალმხრივი ფორმატების გაძლიერება, ევროპული და აზიური მოთამაშეების ინტეგრაცია დერეფნის მენეჯმენტში;

შიდა რეფორმების დაჩქარება: ინსტიტუციური სიმტკიცის, კანონის უზენაესობის და ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისკენ მიმართული ნაბიჯების გაგრძელება;

დერეფნის პოლიტიკურ დღის წესრიგად ქცევა: შუა დერეფანი უნდა იქცეს არა მარტო ეკონომიკურ პროექტად, არამედ საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სტრატეგიულ მიმართულებად, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ინტეგრაციას გლობალურ ქსელებში.

შუა დერეფანი საქართველოსთვის მხოლოდ გეოგრაფიული უპირატესობა არ არის – ეს არის შესაძლებლობა, რომელიც საჭიროებს ხედვას, კონსისტენტურ პოლიტიკას და საერთაშორისო პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობას. თუ ეს შესაძლებლობა იქნება სწორად ათვისებული, საქართველო შეძლებს არა მხოლოდ შუამავალი ფუნქციის შესრულებას, არამედ იქცეს რეგიონული მნიშვნელობის სტრატეგიულ მოთამაშედ ახალი ევრაზიული ლოგისტიკის რუკაზე.

ბიბლიოგრაფია:

Batumelebi. (2023). *ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტი: სტრატეგიული მნიშვნელობა და გამოწვევები*. Retrieved from https://batumelebi.netgazeti.ge

Coffey, L. (2022). *The strategic importance of the Black Sea region*. Heritage Foundation. Retrieved from https://www.heritage.org

Cornell, S. E. (2020). *Geopolitics and strategic alignments in the South Caucasus*. Central Asia-Caucasus Institute.

Delcour, L. (2021). *The EU and the geopolitics of connectivity in the South Caucasus*. EUISS Brief. https://www.iss.europa.eu

Gogolashvili, K. (2021). *Georgia's role in Eurasian transport connectivity*. Georgian Foundation for Strategic and International Studies.

Gvalia, G., & Lebanidze, B. (2020). *Georgia's foreign policy in a turbulent region: Coping with vulnerability and strategic uncertainty*. Caucasus Survey, 8(1), 47–66. https://doi.org/10.1080/23761199.2019.1685802

Kupchan, C. A., & Litwak, R. S. (2023). *After the war in Ukraine: Building new security architecture*. Council on Foreign Relations. https://www.cfr.org

Middle Corridor. (2023). *Official website of the Trans-Caspian International Transport Route*. Retrieved from https://middlecorridor.com

Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia. (2023). *Annual Report on Infrastructure and Transport Development*. Retrieved from https://www.economy.ge

Peyrouse, S. (2022). *Connectivity strategies and geopolitical competition in Central Asia*. Eurasian Geography and Economics, 63(5), 540–559. https://doi.org/10.1080/15387216.2022.2072598

"MIDDLE CORRIDOR" TRANSIT ROUTE AND BLACK SEA SECURITY

BEKA MANAGADZE
PhD Students in Political Science at Caucasus International University
E-Mail: beka.managadze@ciu.edu.ge
ORCID: 0009-0008-4203-1856

Abstract: The geopolitical changes of the 21st century, particularly the Russia-Ukraine war that began in 2022, have significantly altered Eurasian transit routes. The growing political, economic, and security risks surrounding traditional transport channels have made the search for alternative corridors essential. One such alternative route is the „Middle Corridor" (Trans-Caspian International Transport Route – TITR), which gains particular importance in the context of new geopolitical realities. This article explores Georgia's role in the development of the „Middle Corridor" and the potential it holds for establishing strategic advantages in international transit competition.

Although the volume of cargo transported via the Middle Corridor increased by 86% in 2023, several challenges still remain, such as the harmonization of regulations, simplification of customs procedures, and increased political coordination. The article also emphasizes that the development of the Middle Corridor depends not only on physical infrastructure but also on political synchronization, economic vision, and regional cooperation, where Georgia plays a significant role.

Georgia's strategic location between Asia and Europe, along with infrastructure projects such as the Baku-Tbilisi-Kars railway and port development, particularly the Anaklia deep-water port, supports Georgia's role as a transit hub. In the political context, it is important for Georgia to maintain diplomatic balance between the European Union, China, Turkey, and Central Asia in managing security and diplomatic challenges.

Georgia must strengthen three strategic areas: infrastructure development, regional and global political integration, and internal political balance. Additionally, ensuring stability in the Black Sea region is crucial for the long-term success of the „Middle Corridor."

Key words: Middle Corridor; Trans-Caspian Route (TITR); Georgia; Eurasian Transit; Geopolitics; Infrastructure Development; Anaklia Port; Baku-Tbilisi-Kars Railway; Regional Cooperation; Security; Political Coordination; Diplomatic Balance; Black Sea Region.

* * *

Introduction. The global geopolitical reality of the 21st century and the structural transformation of international economic relations, particularly following the 2022 Russia-Ukraine war, are sharply altering the Eurasian transit architecture. The growing political, economic, and security risks of traditional transport routes have increased the need for alternative paths, among which the „Middle Corridor" (Trans-Caspian International Transport Route – TITR) has gained particular importance.

Despite the growing strategic and logistical potential of this route, it is clear that regional countries, including Georgia, still do not have a fully articulated vision, specific strategic policies, and sufficient resources to efficiently develop the corridor and engage in international competition.

This scientific article examines Georgia's role and opportunities in the development of the Middle Corridor against the backdrop of global geopolitical transformations and how the country can gain a sustainable strategic advantage in transit competition.

The aim of the study is to analyze Georgia's infrastructure, geopolitical, and diplomatic potential in the context of the new reality, identify existing challenges and opportunities, and present recommendations that will facilitate the country's effective integration into the regional transit network.

The research methods used include case study, comparative analysis, and content analysis.

Middle Corridor and Georgia's Role in the Context of New Geopolitical Realities

The „Middle Corridor" represents a strategic transport route that starts in China and heads towards Europe through Kazakhstan, the Caspian Sea, Azerbaijan, Georgia, and Turkey. This route has become a significant alternative to traditional transport routes, making it highly important in global trade.

The Trans-Caspian International Transport Route (TITR) was officially established in February 2014 with the participation of leading companies in the maritime and railway sectors from Azerbaijan, Kazakhstan, and Georgia.

The Russia-Ukraine war, which began in 2022, caused significant geopolitical and geoeconomic changes that directly impacted the Middle Corridor project and, in this context, the role of Georgia as an important transit country.[1]

The war greatly weakened traditional transport routes passing through Russia and Belarus. Western sanctions and the logistical risks caused by the war forced companies to seek alternative routes from China to Europe. In this context, the Middle Corridor emerged as one of the most viable alternatives.

It is noteworthy that in 2023, the volume of cargo transported via the Middle Corridor reached 2.7 million tons, an 86% increase compared to the 2022 figures. Currently, 25 companies from 11 countries are involved in the project, which ensures even greater integration and regional cooperation.

For Georgia, the Middle Corridor is particularly important as a transit hub. The country's free trade agreements with China, Turkey, and the European Union support the full realization of the corridor's potential. Large-scale infrastructure projects along the East-West corridor, which connect Asia and Europe through Georgia, are being implemented to strengthen the country's transport role.

The 2023 Tbilisi Silk Road Forum proved to be a significant milestone in discussions concerning Georgia's geopolitical and transit role. This meeting, with representatives from over 60 countries and international organizations, clearly highlighted the increasing international interest in the Trans-Caspian International Transport Route, or the Middle Corridor. In the context of rising geopolitical tensions and competition among major powers, the Middle Corridor has truly become an alternative route that strengthens economic ties between Europe and Asia – with Georgia playing a central role in this process.

The main messages presented at the forum not only concerned infrastructure projects but also the political, economic, and security challenges related to the realization of the Middle Corridor. For instance, Georgian Prime Minister Irakli Garibashvili emphasized in his speech that Georgia is not just a transit country, but a partner offering stability, predictability, and a sustainable foundation for development to the region. This positioning was not mere rhetoric – it corresponds to the specific steps the country has taken in recent years, whether in infrastructure modernization, railway network renewal, or the development of cargo terminals.

At the same time, the forum showcased that the Middle Corridor is not just physical infrastructure – it is an idea that requires political synchronization, an economic vision, and regional cooperation.[2] This is where Georgia's significant role as a „connecting link" comes into focus. A country historically located at the crossroads of civilizations, Georgia is now developing this legacy in a new context and seeks to engage in the process of forming the Middle Corridor not as a marginal player but as an active architect.

Discussions held at the Tbilisi Forum revealed that, despite the existing successes, many challenges remain – including the harmonization of regulations, simplification of customs procedures, the creation of digital platforms, and improvements in political-level coordination. However, it is important to note that there is increasingly open discussion about these issues, and participants are not hesitant to make

---

[1] Batumelebi. (2023). ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტი: სტრატეგიული მნიშვნელობა და გამოწვევები. Retrieved from https://batumelebi.netgazeti.ge

[2] Coffey, L. (2022). The strategic importance of the Black Sea region. Heritage Foundation. Retrieved from https://www.heritage.org

critical assessments. This means that the initiative is moving into a phase where declarations alone are not enough – concrete steps and the taking of relevant commitments are necessary.

For Georgia, the Middle Corridor is not only an economic project but an opportunity to outline the contours of its political future. One of the main challenges in the country's foreign policy is balancing multilateral partnerships, which takes on specific nuances in the context of the Middle Corridor. The connection with China, Turkey, Central Asia, and the European Union, both within the framework of the transit project and in the broader context of strategic partnership, creates a dynamic that develops Georgia as an intermediary – not only geographically but also in terms of political significance.

Infrastructure Development and Economic Potential

For the Middle Corridor to become a competitive and reliable route, a strong infrastructure base is needed to ensure continuous and efficient logistical flows.[1] Georgia has initiated several projects in this direction. One of the most significant initiatives is the Baku-Tbilisi-Kars railway line, which is already operational, but work is currently underway to increase its capacity. During the Tbilisi Silk Road Forum, special attention was given to the modernization plan for the railway, which aims to increase speed and volume, ultimately leading to a growth in freight turnover.

At the same time, the potential of the ports of Poti and Anaklia remains a significant issue. While Poti already plays an important role in the Black Sea ports network, the Anaklia deep-water port project symbolically represents Georgia's ambitions. This project, which has been halted and reconsidered several times, remains both an economic and geopolitical symbol. Calls were made at the forum for international investors to actively engage in the development of the Anaklia project. The Georgian government emphasizes that such infrastructure could be transformative not only for the local economy but for the entire region.

From an economic perspective, the development of the Middle Corridor means not only an increase in cargo transport but also strengthening the local logistics, services, and manufacturing sectors. Georgia has the potential to become a transit hub that not only transports goods from east to west but also processes, redistributes, stores, and re-allocates them, which will foster job growth and technological development. This, however, requires attracting private investments and the formulation and implementation of sound state policies.

International Cooperation and Political Dimension

The success of the Middle Corridor depends not only on the processes within a single country but also on regional cooperation as a whole. A significant role in the forum was given to deepening multilateral dialogue – specifically, the trilateral format between Georgia, Azerbaijan, and Kazakhstan, which already forms a core structure of the route.[2] In recent years, these countries have signed numerous agreements aimed at standardizing transportation tariffs, harmonizing customs procedures, and developing unified digital platforms, which will make the route more transparent and reliable for freight carriers.

At the same time, the interests of the European Union and China are also becoming increasingly apparent. For the European Union, the Middle Corridor is seen as an alternative route to reduce dependence on Russia – both in terms of energy resources and other strategic goods. For China, it serves as an additional route within the „Belt and Road Initiative" (BRI), which not only strengthens Beijing's economic influence across the Eurasian continent but also provides it with a crucial political platform.

---

[1] Cornell, S. E. (2020). Geopolitics and strategic alignments in the South Caucasus. Central Asia-Caucasus Institute.

[2] Delcour, L. (2021). The EU and the geopolitics of connectivity in the South Caucasus. EUISS Brief. https://www.iss.europa.eu

Georgia's diplomatic challenge starts from this point – on one hand, the country seeks to be a pro-European and Euro-Atlantic member, while on the other hand, it strives to maintain economic ties with global powers like China and Turkey. In this context, the Middle Corridor becomes a platform where Georgia can balance these alliances, which undoubtedly requires a delicate foreign policy approach.

Political Risks and Security Issues

The geopolitical location of the Middle Corridor inherently means that it cannot be devoid of security risks. The Caucasus, Central Asia, and the Black Sea region remain unstable areas in terms of political stability. Wars in Ukraine and Gaza, tensions between Iran and the West, and crises in neighboring regions – these factors all contribute to a sense of uncertainty that directly impacts economic and infrastructure projects. For Georgia, which often presents itself as the „outpost of the West," it must operate in a complex and constantly changing environment.

The stable operation of the Middle Corridor requires not only physical security (protection of transport routes, cybersecurity, etc.) but also political predictability. It is this latter factor that often hinders long-term investments. Political instability and the uncertainty surrounding future developments in neighboring regions create an environment where investors are cautious. Ensuring a secure and stable environment is therefore essential for the sustained growth and success of the Middle Corridor as a key transit route.

This underscores the importance of Georgia's role not just as a transit country, but as a stabilizing factor in the region. Its ability to mitigate political risks and provide a predictable and secure framework will be crucial for attracting international investments and facilitating regional cooperation.

Strategic Vision: Georgia's Role and Future Steps

In order for Georgia to truly transform into a key anchor point of the Middle Corridor, three strategic directions must be simultaneously strengthened: infrastructure development, political integration into regional and global formats, and the balancing of national policies with the new geopolitical realities.

Firstly, infrastructure enhancement should become not only an economic but also a security and foreign policy component. This includes not only building physical connections such as railways, ports, and logistical hubs, but also developing technological infrastructure. The modern corridor increasingly relies on digital governance: real-time monitoring of freight flows, automation of customs procedures, and the integration of various platforms. The Georgian government must ensure the implementation of digital terminals and unified management systems, offering a service to freight carriers that is fast, transparent, and competitive compared to other alternatives.[1]

The second direction is deepening coordination with regional countries. Georgia is already participating in trilateral mechanisms with Azerbaijan and Kazakhstan, but in the future, it is advisable to expand these formats – countries like Turkmenistan, Uzbekistan, and China could also be included. At the same time, the European Union and Turkey should remain key partners in this process. As a transit country, Georgia can become a platform for regional and global dialogue, for example, by hosting the „Middle Corridor Partnership Forum" annually in Tbilisi, both on political and business levels.[2] This would further strengthen the country's role as a hub and organizer.

Furthermore, special attention must be paid to the sustainability of domestic politics. The success of the corridor will largely depend on the country's internal stability – political, economic, and legal. Investors and international partners typically demand a predictable and institutionally sound environment. This implies deepening judicial reforms and implementing competitive economic policies. If the state can ensure legal security and equal conditions for both local and foreign companies, Georgia will become even more attractive as both a logistical and manufacturing destination.

---

[1] Gogolashvili, K. (2021). Georgia's role in Eurasian transport connectivity. Georgian Foundation for Strategic and International Studies.

[2] Gvalia, G., & Lebanidze, B. (2020). Georgia's foreign policy in a turbulent region: Coping with vulnerability and strategic uncertainty. Caucasus Survey, 8(1), 47–66. https://doi.org/10.1080/23761199.2019.1685802

In summary, Georgia's role in the future development of the Middle Corridor hinges on a holistic approach – one that combines robust infrastructure, strengthened regional cooperation, and a stable, predictable political environment. These elements will help solidify Georgia's position as a central player in the evolving Eurasian transit landscape.[1]

Black Sea Security in the Context of the Middle Corridor

The success of the Middle Corridor is undoubtedly linked to the stability and quality of security in the Black Sea region. This area is geographically small, yet one of the most sensitive and competitive geopolitical regions, encompassing NATO member countries (Turkey, Romania, Bulgaria), associate and candidate countries (Georgia, Ukraine, Moldova), and revisionist, aggressive Russia, which controls important naval bases in Crimea.[2]

Russia's annexation of Crimea in 2014, followed by the invasion of Ukraine in 2022, has significantly altered the regional balance of power and exacerbated risks, which are clearly reflected in the security of logistical corridors. For example, the blockade of Ukrainian ports and military actions in the Black Sea have created serious threats to maritime cargo transport, increased the cost of transit routes, and heightened vulnerability.

In this context, Georgia, located on the southeastern coast of the Black Sea, has effectively become the only secure „gateway" connecting Central Asia to Europe via the sea. This creates both significant opportunities and responsibilities. The long-term viability of the corridor is directly tied to the security of the Black Sea.

Georgia's strategic location not only positions it as a key player in the Black Sea's maritime logistics but also places it at the center of a broader geopolitical struggle. The country's ability to ensure the safety of transit routes and manage regional tensions is crucial for maintaining the flow of goods through the Middle Corridor. Without a stable and secure Black Sea environment, the corridor's potential to serve as a vital connection between Asia and Europe would be severely compromised.

Thus, Georgia's role in safeguarding the Black Sea and, by extension, the Middle Corridor, requires strong naval and security capabilities, regional cooperation, and diplomatic efforts to mitigate the impacts of regional instability.

Three Key Aspects of Security for Georgia:

Maritime Security and NATO Involvement: Georgia actively cooperates with NATO on Black Sea security, including information sharing, joint training, and strengthening coastal defense. The role of NATO member countries (Turkey, Romania, Bulgaria) is crucial in maintaining a security zone in the western and southern parts of the Black Sea, which ensures the safe movement of goods. For Georgia, deepening this cooperation should become a priority, including through modernization of naval infrastructure and intensification of joint training exercises. Strengthening its maritime capabilities in collaboration with NATO is essential for ensuring the safety and security of the Middle Corridor and Georgia's broader strategic interests.[3]

Hybrid Threats and Critical Infrastructure Protection: Alongside traditional military threats, there is an increasing level of hybrid threats – cyberattacks, informational manipulation, and economic pressure. Port infrastructure in the Black Sea region, such as Poti, Batumi, and the future Anaklia port, may

---

[1] Kupchan, C. A., & Litwak, R. S. (2023). After the war in Ukraine: Building new security architecture. Council on Foreign Relations. https://www.cfr.org

[2] Middle Corridor. (2023). Official website of the Trans-Caspian International Transport Route. Retrieved from https://middlecorridor.com

[3] Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia. (2023). Annual Report on Infrastructure and Transport Development. Retrieved from https://www.economy.ge

become targets for cyberattacks or disinformation campaigns. Strengthening not only technical systems but also developing a regional cybersecurity and critical infrastructure protection policy is essential. Collaborative efforts with neighboring countries, NATO, and other international partners will be key to securing critical infrastructure and preventing destabilizing activities in the region.[1]

Activation of Black Sea Regional Platforms: Georgia can take the initiative in rethinking or creating new Black Sea security platforms that encompass Black Sea corridors, ports, maritime routes, and energy infrastructure. For example, the establishment of a Black Sea Infrastructure Security Dialogue could become a new mechanism where both military and civilian-logistical security issues are discussed. This regional platform could facilitate cooperation between Black Sea countries on various security aspects, strengthening Georgia's role as a key player in regional security and stability.

Recommendations and Conclusion

Georgia faces a historic opportunity – the Middle Corridor has the potential to become not just a transit route but a strategic economic platform that will enhance the country's international role and foster a new wave of domestic development. To achieve this, the following steps are essential:

Modernization of Infrastructure and Integration of New Projects: The integration of railway and port systems into a unified logistics network, including the activation of the Anaklia deep-water port.

Integration of Digital Technologies in Logistics Management: Creating unified electronic platforms with neighboring countries, which will reduce bureaucratic barriers and increase efficiency.

Strengthening Regional and Global Cooperation: Enhancing trilateral and multilateral formats, integrating European and Asian stakeholders into the management of the corridor.

Accelerating Domestic Reforms: Continuing efforts to strengthen institutional integrity, uphold the rule of law, and improve the business environment.

Transforming the Corridor into a Political Agenda: The Middle Corridor should evolve into not just an economic project but a strategic component of foreign and security policy, which will facilitate the country's integration into global networks.

The Middle Corridor is not just a geographical advantage for Georgia – it represents an opportunity that requires a vision, consistent policy, and close collaboration with international partners. If this opportunity is properly utilized, Georgia will not only perform a mediating role but will become a strategically important regional player on the new Eurasian logistics map.

Bibliography

Batumelebi. (2023). *ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტი: სტრატეგიული მნიშვნელობა და გამოწვევები*. Retrieved from https://batumelebi.netgazeti.ge

Coffey, L. (2022). *The strategic importance of the Black Sea region*. Heritage Foundation. Retrieved from https://www.heritage.org

Cornell, S. E. (2020). *Geopolitics and strategic alignments in the South Caucasus*. Central Asia-Caucasus Institute.

Delcour, L. (2021). *The EU and the geopolitics of connectivity in the South Caucasus*. EUISS Brief. https://www.iss.europa.eu

[1] Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia. (2023). Annual Report on Infrastructure and Transport Development. Retrieved from https://www.economy.ge

Gogolashvili, K. (2021). *Georgia's role in Eurasian transport connectivity*. Georgian Foundation for Strategic and International Studies.

Gvalia, G., & Lebanidze, B. (2020). *Georgia's foreign policy in a turbulent region: Coping with vulnerability and strategic uncertainty*. Caucasus Survey, 8(1), 47–66. https://doi.org/10.1080/23761199.2019.1685802

Kupchan, C. A., & Litwak, R. S. (2023). *After the war in Ukraine: Building new security architecture*. Council on Foreign Relations. https://www.cfr.org

Middle Corridor. (2023). *Official website of the Trans-Caspian International Transport Route*. Retrieved from https://middlecorridor.com

Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia. (2023). *Annual Report on Infrastructure and Transport Development*. Retrieved from https://www.economy.ge

Peyrouse, S. (2022). *Connectivity strategies and geopolitical competition in Central Asia*. Eurasian Geography and Economics, 63(5), 540–559. https://doi.org/10.1080/15387216.2022.2072598

ეკომიგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის რეგიონული ანალიზი აჭარის მაგალითზე*

ირაკლი მანველიძე
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, საჯარო მმართველობის დოქტორი, პროფესორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ელ-ფოსტა: irakli.manvelidze@bsu.edu.ge
ORCID: 0000-0001-6422-2049

ინეზა ზოიძე
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი,
ეკონომიკის მაგისტრი, ასოცირებული პროფესორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ელ-ფოსტა: ineza.zoidze@bsu.edu.ge
ORCID: 0000-0002-3354-4069

აბსტრაქტი: ნაშრომში მოცემულია ეკომიგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის რეგიონული დონის ანალიზი აჭარის მაგალითზე. შესწავლილია როგორც ეკომიგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის ისტორიული კონტექსტი, ასევე ეკომიგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის მიზნები და ეკომიგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგია თანამედროვე ეტაპზე. კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ აჭარის რეგიონის მაგალითზე ეკომიგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის ინსტიტუციონალური უზრუნველყოფის განვითარებამ სხვადასხვა ეტაპი განვლო. თანამედროვე ეტაპზე ეკომიგრაციული პროცესების მიმართულებით ხელისუფლების მიერ შემუშავებულია შესაბამისი პოლიტიკა, თუმცა კვლევამ აჩვენა რომ აუცილებელია ეკომიგრაციისა და განსახლების მიმართ სახელმწიფოს მიერ სისტემური სტრატეგიის ჩამოყალიბება.

კვლევამ აჩვენა რომ აჭარის რეგიონიდან განსახლებული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების ინტერესები საცხოვრებელი ადგილის შერჩევის პირობებში ნაკლებად ან საერთოდ არ იყო გათვალისწინებული. მათ ძირითადად ადგილობრივ თემებში შერეულად ასახლებდნენ, სადაც განსხვავებულ კულტურულ, სამეურნეო და ყოფითი პირობები იყო მათვის. ინტეგრაცია-ადაპტაციის თვალსაზრისით კიდევ უფრო ართულებდა ის გარემოება, რომ აჭარის რეგიონიდან განსახლებულ ეკომიგრანტებს კონფესიური თვალსაზრისით ჰქონდათ განსხვავებული ისტორიული მემკვიდრეობა. ამ მოცემულობის გათვალისწინებით ადგილობრივ გარემო პირობებთან შეგუებას და ინტეგრაციას ეს ხელს უშლიდა. ამა თუ იმ ჯგუფის კულტურის, ყოფითი და სამეურნეო თავისებურებების გათვალისწინების გარეშე მიგრაციული პროცესები რთულად აისახება კულტურათაშორის ურთიერთობებში. ამას თან ემატებოდა ის რომ სახელმწიფოს მხრიდან განსასახლებელ ოჯახებთან არ ტარდებოდა სათანადო წინასწარი საკომუნიკაციო ღონისძიებები, რის გამოც ჩასახლების ადგილებში არსებული ვითარების შესახებ მათ ჰქონდათ სერიოზული ინფორმაციული დეფიციტი, ვერ აცნობიერებენ თუ რა სახის ახალ რეალობაში მოუწევდათ ცხოვრება, ეს კი, განსახლების შემდგომ, ადაპტაციის პროცესს მნიშვნელოვნად აფერხებდა, რაც უკუმიგრაციული პროცესების და ადგილობრივ თემებთან კონფლიქტური სიტუაციების მასტიმულირებელ გარემოებად იქცეოდა და რისი არაერთი მაგალითიც არსებობს დღესაც.

საკვანძო სიტყვები: რეგიონი, ეკომიგრაცია, სახელმწიფო პოლიტიკა, სახელმწიფო პროგრამა.

[1] კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი FR-23-488]

* * *

სტატიის შესავალი. აჭარის რეგიონში გეოგრაფიული ფაქტორებით განპირობებული საფრთხის შემცველი ბუნებრივი პროცესები პერიოდულად დღის წესრიგში აყენებენ პერმანენტული ხასიათის ინტენსიური მიგრაციის აუცილებლობას, რაც სახელმწიფოს მხრიდან ეკომიგრაციული პროცესების ინსტიტუციონალურ უზრუნველყოფას მოითხოვს. აჭარის რეგიონიდან მიგრაციული პროცესები მე-20 საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევრიდან პერიოდული ინტენსივობით მიმდინარეობდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. პირველ ეტაპზე ის ატარებდა შიდარეგიონულ ხასიათს. ხოლო მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით მის ბოლო პერიოდში სახელმწიფოს ხელშეწყობით სტიქიურად დაზარალებული ან სტიქიურად არამდგრადი ზონებიდან მოსახლეობის რეგიონთაშორისი კომპაქტური გასახლება დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობისათვის სტიქიური მოვლენები და მათ შედეგად დაზარალებული ოჯახების საკითხი კარგად ნაცნობი პრობლემაა და თითქმის ერთსაუკუნოვანი გამოცდილებაა ამ მიმართულებით დაგროვილი, სახელმწიფო პოლიტიკა ამ საკითხის მიმართ ერთიან მიდგომაზე დღემდე არ არის ჩამოყალიბებული. უფრო მეტიც ეკომიგრაციის და ეკომიგრანტების საკითხები დღემდე არ გამხდარა კომპლექსური კვლევის საგანი სამეცნიერო წრეებში. აქედან გამომდინარე მოცემული საკითხის კვლევა თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობით, სახელმწიფო და სამეცნიერო მიზნებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია.

კვლევის მიზანია აჭარის რეგიონის მაგალითზე ეკომიგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის შეფასება, რომ ვაჩვენოთ რა გასაუმჯობესებელი ცვლილებები შეიძლება იყოს გათვალისწინებული მომავალ წლებში აღნიშნული მიმართულებით.

მეთოდები. კვლევის ემპირიულ საფუძველს წარმოადგენს ეკომიგრაციის შესახებ სახელმწიფო სტრატეგიის და სამართლებრივ-ნორმატიული დოკუმენტების შესწავლა და ანალიზი. შესაბამისად, ემპირიული კვლევა განხორციელდა დოკუმენტის ანალიზისა და ინტერვიურების მეთოდების მეშვეობით. დოკუმენტის ანალიზის მეთოდით შევისწავლეთ საარქივო დოკუმენტები, რომლებიც მოვიძიეთ საქართველოს უახლესი ისტორიის და აჭარის სახელმწიფო არქივების შესაბამის ფონდებში. საარქივო დოკუმენტების ანალიზი დაგვეხმარა ეკომიგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის ისტორიული კონტექსტის შესწავლაში. კერძოდ მოვახდინეთ ეკომიგრაციის პროცესის აღწერა სრულად საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდში, ასევე გამოვავლინეთ თავისებურებები და მოვახდინეთ პრობლემების იდენტიფიცირება. ეკომიგრაციის როგორც პროცესის ევოლუციისა და შესწავლისათვის, მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფო უწყებებიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის ანალიზი, რომელიც დაეფუძნა საჯარო დაწესებულებიდან გამოთხოვილი ინფორმაციის ანალიზს. კერძოდ, ინფორმაციები გამოვითხოვეთ საქართველოს შრომის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს და აჭარის ა.რ. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროებიდან. გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია შეეხებოდა:

1. ეკომიგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტები, რომლებიც მოიცავს პროექტებს, ანგარიშებს და სტატისტიკურ მონაცემებს.
2. სახელმწიფო უწყებების ჩამონათვალი რომლებიც ჩართულნი არიან ეკომიგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებაში;
3. ეკომიგრაციიული პროცესების რეგულირების სამართლებრივი დოკუმენტები, კერძოდ კანონები, დადგენილებები და ბრძანებები.

თვისობრივი მეთოდების გამოყენებამ შესაძლებელი გახადა სიღრმისეული ცოდნა მიგვეღო ეკომიგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის და მარეგულირებელი საკანონდებლო ბაზის შესახებ, რითაც მოვახდინეთ სახელმწიფო სტრატეგიის დეტალური აღწერა და ნაკლოვანებების იდენტიფიცირება.

კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური ხერხი იყო ინტერვიურება. ინტერვიუს ფარგლებში გამოკითხა ეკომიგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის განმახორციელებელი საჯარო უწყების 12 წარმომადგენელი.

ჩვენს მიერ მოპოვებული პირველადი სამეცნიერო ინფორმაციისა და მონაცემების შესწავლა მოხდა კონტენტ და ივენთ ანალიზის მეთოდების გამოყენებით ინდუქციური მიდგომით.

კვლევაში ასევე აისახა მეორადი სახის სამეცნიერო ინფორმაცია, ჩვენთვის საინტერესო საკითხზე ჩატარებული კვლევების სახით. ამ კუთხით, გვინდა გამოვყოთ უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრის ხელშეწყობით ჩატარებული კვლევა (ტიერი, 2007), ასევე დემოკრატიის ინსტიტუტის ფარგლებში განხორციელებული კვლევა (ეკომიგრაცია საქართველოში, 2017), საქართველოს სახალხო დამცველის მიერ მომზადებული სპეციალური ანგარიში (ანგარიში, 2013) და პროფ. თამაზ ფუტკარაძის ნაშრომები (ფუტკარაძე, 2005; ფუტკარაძე, 2006). კვლევის შედეგად მოპოვებული სამეცნიერო ინფორმაციის საფუძველზე, სამაგიდო კვლევის ფარგლებში, გამოვიყენეთ დოკუმენტის ანალიზისა და მონოგრაფიული კვლევის მეთოდები.

მსჯელობა. საბჭოთა პერიოდის საქართველოში ეკომიგრაციის სახელმწიფო პოლიტიკა ატარებდა სისტემურ, გეგმაზომიერ და მიზანმიმართულ ხასიათს. შესაბამისად სახელმწიფო ახდენდა ორგანიზებულ განსახლებას და მას ჰქონდა რეგიონთშორის სასოფლო-სამეურნეო განსახლების სახე. ამ პერიოდში ხდებოდა აჭარის რეგიონიდან განსახლებული ეკომიგრანტების როგორც კომპაქტური (ადგილობრივი მოსახლეობის გარეშე), ასევე შერეული ჩასახლებები ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, სადაც ეკომიგრანტები ან უმცირესობაში იყვნენ, ან თანაბრად წარმოდგენილი.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შედეგ ეკომიგრაციული პოლიტიკის ახალი ეტაპი დაიწყო. ეროვნულმა ხელისუფლებამ ეკომიგრანტები დღის წესრიგში არსებული დემოგრაფიული დაბალანსებისათვის საჭირო იარაღად გამოიყენა და დაიწყო ეკომიგრანტების უმცირესობებით დასახლებულ და სასაზღვრო რეგიონებში ჩასახლება, რაც სახელმწიფო სასაზღვრო ზოლის პოლიტიკურ „გამყარებას“ ისახავდა მიზნად. სახელმწიფო აქტორების მსგავსად გავლენიანმა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა, როგორიცაა „კოსტავას ფონდი“ და „რუსთაველის საზოგადოება“, შეისყიდეს უმცირესობების მიერ მიტოვებული სახლები, რაც შემდგომში ეთნიკურად ქართველ ეკომიგრანტებს ურიგდებოდათ. ურთიერთობა ახლად ჩასახლებულ ეკომიგრანტებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის ხშირად უკიდურესად იძაბებოდა, რაც საბოლოოდ, მიღებული სახლების გაყიდვით, ან მიტოვებით და ეკომიგრანტების საკუთარ მშობლიურ რეგიონებში დაბრუნებით მთავრდებოდა (ლაილი, 2012:6).

შევარდნაძის ადმინისტრაციის პერიოდში ეკომიგრანტების თემა თითქმის იგნორირებულ იქნა. 1992-1998 წლებში საქართველოში განხორციელებული სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზაციის პროცესის დროს ეკომიგრანტებმა დანარჩენ მკვიდრ მოსახლეობასთან თანაბარი პირობებით მიიღეს მიწის ნაკვეთები. შევარდნაძის ადმინისტრაციის მიერ 1997-2002 წლების განმავლობაში სახლების შესყიდვაზე გამოყოფილი თანხები უკიდურესი კორუფციის წყაროდ იქცა. 1998 წელს დადგენილებით ეკომიგრანტების შესახებ პირველად განისაზღვრა ეკომიგრაციის მონიტორინგის პროცედურები, თუმცა ეკოლოგიური მიგრაციის ტენდენციების პირველად მონიტორინგს არავითარი ქმედითი ღონისძიებები არ მოჰყოლია (ლაილი, 2012:7).

2003-2004 წწ. კვლავ აქტიურად დადგა დღის წესრიგში ეკომიგრანტების საკითხი აჭარის რეგიონში. სააკაშვილის ადმინისტრაციის დროს რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა ეკომიგრანტების პრობლემების მოსაგვარებლად, კერძოდ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ შეკრიბა შეფასების მონაცემები მაღალმთიან რეგიონებში სახლების მდგომარეობის შესახებ და 2004 წელს სახელმწიფოს მიერ შემუშავებულ იქნა რამდენიმე ახალი ინიციატივა ეკომიგრანტების სახლებით უზრუნველყოფის შესახებ. თუმცა შესაბამისი რესურსების მქონე მდგრადი და თანმიმდევრული სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება არც ამ პერიოდში მოხდა (ლაილი, 2012:3). ამ პერიოდში სახელმწიფო ახდენდა განსახლების ადგილებში ადგილობრივი მოსახლეობისაგან საცხოვრებელი სახლების შეძენას და მას ეკომიგრანტებს გადასცემდა, თუმცა საკუთრებაში არ უფორმებდა, რომ არ გაეყიდათ და უკან დაბრუნებულიყვნენ. ეკომიგრანტების განსახლებას სახელმწიფო ორგანიზებულად ახდენდა.

2012 წლიდან კი სახელმწიფოს სტრატეგია შეიცვალა ეკომიგრანტების განსახლებასთან დაკავშირებით. სახელმწიფო უარი თქვა ადგილების შერჩევასა და ორგანიზებულ განსახლებაზე. სახელმწიფო ეკომიგრანტს ფინანსურ დახმარებას უწევს და ეკომიგრანტი თვითონ ახდენდა საცხოვრი-

სით საკუთარი თავის უზრუნველყოფას. აჭარის რეგიონში ავტონომიური ხელისუფლება ადგილზევე ახდენს საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობას ეკომიგრანტებისთვის. 2012 წლიდან აჭარის რეგიონიდან ეკომიგრანტების ორგანიზებული გასახლების პროცესი შეწყდა. ყოველივე ამის მიზეზი იყო ის რომ ეკომიგრანტების ადაპტაცია-ინტეგრაციის პროცესების საქართველოს ადგილობრივ თემებში გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ბევრი იყო უკუმიგრაციის ფაქტი. განსაკუთრებით იმ თემებიდან სადაც ეკომიგრანტები უმიცირესობით ან თანაბრად იყვნენ წარმოდგენილი.

ამრიგად, ეკომიგრაციის საკითხისადმი განსხვავებული მიდგომა არსებობს დამოუკიდებლობის შემდგომ პერიოდში გამსახურდიას, შევარდნაძის და სააკაშვილის ადმინისტრაციების დროს. ასევე სრულიად განსხვავებულია მათგან თანამედროვე პოლიტიკაც.

საარქივო და საჯარო უწყებებიდან გამოთხოვილი დოკუმენტების და შესაბამისი უწყებების წარმომადგენლებთან ინტერვიუების შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად, შეიძლება დავასკვნათ რომ სხვადასხვა პერიოდში ასევე განსხვავებული იყო ეკომიგრაციის სახელმწიფო მხარდამჭერი ღონისძიებებიც. აჭარის რეგიონის მაგალითზე ეკომიგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის და პროგრამების შესწავლამ აჩვენა რომ განსხვავებული მიდგომა არსებობს საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებისა და დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების ეკომიგრაციის სახელმწიფო პოლიტიკასა და პროგრამებს შორის.

საარქივო დოკუმენტების შესწავლითა და ეკომიგრანტებით დასახლებულ ადგილებში საველე კვლევის შედეგად დადგინდა ეკომიგრაციის პრობლემა სისტემური თვალსაზრისით ხელისუფლების ყურადღების ცენტრში მე-20 საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევრიდან მოექცა. საველე ეთნოგრაფიული კვლევის პროცესში კვლევის შედეგად ჩვენს მიერ დადგინდა, რომ გარდა სტიქიური უბედურებებისა, მიგრაციის მიზეზი ასევე იყო ეკონომიკური ფაქტორი, რაც ასევე უთანაბრდებოდა შრომით მიგრაციას, ეს კი დაკავშირებული იყო საბჭოთა ხელისუფლების მიზანმიმართულ პოლიტიკასთან, როცა ეკომიგრაცია ატარებდა შიდა რესპუბლიკურ, რეგიონთშორის სასოფლო-სამეურნეო განსახლების სახეს (აცსა: ფონდი რ-356. ანაწ. 1. საქ. 104. ფ. 107). შესაბამისად საბჭოთა პერიოდში აჭარის რეგიონიდან ეკომიგრანტების განსახლება მიზანმიმართულად, სისტემურად და ორგანიზებული ფორმით ხორციელდებოდა, რისთვისაც საჭირო და საკმარის მატერიალურ და ადმინისტრაციულ რესურსებს იყენებდა.

საარქივო დოკუმენტების შესწავლით ასევე დგინდება რომ საბჭოთა პერიოდში აჭარის რეგიონში ეკომიგრაციის (რომელიც ატარებდა როგორც ეკონომიკურ ასევე ეკოლოგიურ ხასიათს) სამი ეტაპი იკვეთება. პირველ ეტაპზე (მე-20 საუკუნის 20-40-იანი წლები) ეკომიგრაცია, რომელიც კონკრეტული რეგიონის შიგნით ხორციელდებოდა თვალსაჩინოდ შრომით მიგრაციის ხასიათს ატარებდა, რასაც ახალისებდა და ხელს უწყობდა ხელისუფლება, მეორე ეტაპზეც (მე-20 საუკუნის 50-70-იანი წლები) ეკოლოგიურ და შრომითი მიგრაციის ხასიათს ატარებდა, უკვე ამ ეტაზე რეგიონთშორისი ხასიათიც შეიძინა, ხოლო მესამე ეტაპი (მე-20 საუკუნის 80-იანი წლები), განსაკუთრებით მეორე ნახევარი) წმინდად ეკოლოგიურ ხასიათს ატარებდა და რეალურად დაკავშირებული იყო სტიქიური მოვლენების გააქტიურებასთან, რაც საბჭოთა სტრუქტურის ნგრევის პროცესებს და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას დაემთხვა. ამ ეტაპზე უკვე საქართველოს რეგიონებში მოსახლეობის განსახლება ძირითადად ხდებოდა საქართველოს ორი რეგიონიდან აჭარიდან და სვანეთიდან. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ საბჭოთა პერიოდში ეკომიგრანტების ახალ ადგილებში ჩასახლების პროცესები საკმაოდ ორგანიზებული ფორმით ხორციელდებოდა.

საბჭოთა პერიოდში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ აჭარის რეგიონიდან ეკომიგრაცია ატარებდა შიდარესპუბლიკურ სასოფლო-სამეურნეო განსახლების სახეს (აცსა: ფონდი რ-356. ანაწ. 1. საქ. 104. ფ. 107). თავდაპირველად ხელისუფლება ახდენდა შიგარეგიონულ ჩასახლებებს, ხოლო შემდეგ რეგიონთაშორის განსახლებებს, რისთვისაც მთავრობას შემუშავებული ჰქონდა „საქართველოს სსრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გეგმიანი წესით ოჯახების ჩასახლების პერსპექტიული გეგმები. (აცსა: ფონდი რ-356. ანაწ. 1. საქ. 287. ფ. ფ. 9; ფონდი რ-356. ანაწ. 1. საქ. 89 . ფ. 64; საქ. 118. ფ. 15; საქ. 133. ფ. 32; საქ. 287. ფ. 8-9). აღნიშნულ წლებში საქართველოს რეგიონებში ეკომიგრანტების განსახლება განპირობებული იყო ერთი მხრივ აჭარის რეგიონის მა-

ღალმთიან რაიონებში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესებისა და ჭარბი მოსახლეობის გამო (აცსა:ფონდი რ-356. ანაწ. 1. საქ. 287. ფ. 8), მეორე მხრივ ზოგიერთ რეგიონში მუშახელის ნაკლებობით საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში (აცსა: ფონდი რ-356. ანაწ. 1. საქ. 118. ფ. 56). საარქივო დოკუმენტების შესწავლით დგინდება რომ ეკომიგრანტების ორგანიზებული, გეგმიური ჩასახლების პარალელურად ადგილი ჰქონდა მოსახლეობის თვითნებურ გადასახლებასაც, რაც ეწინააღმდეგებოდა სახელმწიფოს მიერ შემუშავებულ განსახლების ინსტრუქციას. ასეთ შემთხვევებში ინსტრუქციის მიხედვით მიგრირებული მოსახლე ვალდებული იყო გამოცხადებულიყო პირვანდელი საცხოვრისის სახელმწიფო ორგანოში და მიეღო განსახლების ნებართვა. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ ისარგებლებდა სახელმწიფო დახმარების პროგრამით და იძულებული იყო დაბრუნებულიყო პირვანდელი საცხოვრისის ტერიტორიაზე (აცსა: ფონდი რ-356. ანაწ. 1. საქ. 118. ფ. 66.68). ამ პერიოდში ეკომიგრანტების სახელმწიფო დახმარების პროგრამა მოიცავდა საკარმიდამო ნაკვეთის გამოყოფას და საცხოვრებელი სახლის მშენებლობაში მატერიალურ დახმარებას.

მე-20 საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარსა და 90-იანი წლების პირველ ნახევარში აჭარის რეგიონიდან ეკომიგრაცია ატარებდა როგორც გეგმიურ, ორგანიზებული ასევე თვითდინებად/შესყიდვით ჩასახლების ხასიათს. შესაბამისად, იცვლებოდა სახელმწიფოს მიდგომა ეკომიგრანტების მხარდაჭერის საკითხზე. კერძოდ, ერთ შემთხვევაში სახელმწიფო თუ უზრუნველყოფდა გეგმიურ, ორგანიზებულ ჩასახლებას რაც გამოიხატებოდა საცხოვრებელი სახლების მშენებლობისთვის ფინანსურ მხარდაჭერაში, მეორე მხრივ ეკომიგრანტებს შეეძლოთ თვითონ მოენახათ საცხოვრებელი ადგილი, სახლი და სახელმწიფო ფინანსურად (კრედიტის გაცემით) ეხმარებოდა მის შესყიდვაში (აცსა: ფონდი რ-356. ანაწ. 1. საქ. 388. ფ. 13).

აჭარის რეგიონის მაგალითზე საბჭოთა პერიოდის ეკომიგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის შესწავლა აჩვენებს, რომ საბჭოთა პერიოდის საქართველოში ეკომიგრაცია ახალი პრობლემა იყო, თუმცა სახელისუფლებო დონეზე წლების განმავლობაში ბევრი რამ კეთდებოდა და ეს საკითხი ნორმატიული რეგულირების გარეშე არ დარჩენილა. სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების პრობლემა დროში თან დაემთხვა საქართველოს საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში მუშახელის ნაკლებობას, რაც ეჭვქვეშ აყენებდა დასახული სახელმწიფო ეკონომიკური გეგმების შესრულებას. აქედან გამომდინარე ამ სფეროში არსებული პრობლემების მოგვარებისა და სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების მიზნით, პერიოდულად ხდებოდა ცალკეული სამართლებრივი აქტების მიღება, რომელთა უმრავლესობა ძირითადად ეხებოდა სწორედ მუშახელით ნაკლულ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში ეკომიგრანტების ჩასახლებას. მით უფრო ჩასახლების და სახელმწიფო მატერიალური მხარდაჭერის ერთ-ერთი ძირითადი პირობა სწორედ მიგრირებული ოჯახებიდან სულ ცოტა ორი წევრი შრომისუნარიანი უნდა ყოფილიყო და თან საბჭოთა მეურნეობაში ან კოლმეურნეობაში დასაქმებულიყო (Zoidze, 2022:6-7).

როგორც საარქივო დოკუმენტებით დგინდება, რეალურად საბჭოთა პერიოდში ეკომიგრაცია შინაარსობრივად განიხილებოდა შრომითი მიგრაციის კონტექსტში, რამდენადაც სახელმწიფო სტრატეგიიდან გამომდინარე ის ატარებდა შიდა რესპუბლიკურ სასოფლო-სამეურნეო განსახლება-ჩასახლების ხასიათს. გამომდინარე აქედან, ეკომიგრაციის პოლიტიკას ახორციელებდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სტრუქტურაში მყოფი უწყება[1*] რომელსაც 1967 წლიდან ერქვა შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტი, ხოლო 1979 წლიდან შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტი. ამ ფორმით მან იარსება 1991 წლამდე, ვიდრე შეიქმნებოდა ახალი სტრუქტურა საგანგებო სიტუაციების განყოფილება, რომელიც ბაზაზეც 1993

[1] * ჯერ კიდევ 1928 წელს ამიერკავკასიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების საფუძველზე მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში შეიქმნა სტრუქტურა – გადასახლების სამმართველო, მას დავალებული ჰქონდა გადასახლების ფონდის მომზადება, გადასახლების მოძრაობის კონტროლი და სამეურნეო, სამედიცინო-სანიტარული და კულტურულ-საგანმანთლებლო მომსახურების უზრუნველყოფა. შემდგომ ამიერკავკაციის პოლტიკური გაერთიანების გაუქმების შემდეგ გადასახალების უწყება შეიქმნა საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში.

წელს შეიქმნა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო. 2004 წლიდან სამინისტროს გაუქმების შემდეგ შეიქმნა მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სტრუქტურაში, რომლის ბაზაზეც 2013 წელს შეიქმნა სსიპ – საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო და სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო დევნილთა და ეკომიგრანტთა საკითხების მიმართულებით. 2019 წელს მათი გაერთიანების ბაზაზე შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო.

საბჭოთა პერიოდში აჭარის რეგიონში ეკომიგრაციის პოლიტიკა ცენტრალური სტრუქტურების ხელმძღვანელობით ხორციელდებოდა აჭარის ავტონომიურ სტრუქტურებს დამხმარე ხასიათი ჰქონდა. მაგალითად, აჭარის რეგიონში ეკომიგრაციის პოლიტიკას კურირებდა შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის რწმუნებული. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ აჭარის რეგიონში შეიქმნა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, რომელიც ახორციელებდა მათ შორის ეკომიგრაციის პოლიტიკას, ეს უკანასკნელი გაუქმდა 2004 წელს და აქედან მოყოლებული ეკომიგრაციის საკითხების კოორდინაციას ახორციელებს აჭარის ა.რ. ჯანდაცვის და სოციალური დაცვის სამინისტრო.

2012 წლამდე კვლავ მოქმედებდა სტრატეგია, რომელის მიხედვითაც აჭარის რეგიონიდან ეკომიგრანტების სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული განსახლება საქართველოს სახვადასხვა რეგიონებში. ამ დროს ხელისუფლება ეკომიგრანტებს გადასცემდა სახელმწიფოს მიერ კერძო პირებისაგან გამოსყიდულ სახლებს. თუმცა ამის იქეთ სახელმწიფო არაფერს აკეთებდა ეკომიგრანტების დასახმარებლად. 2003-2012 წლებში, როდესაც ეკომიგრანტთა კომპაქტური განსახლების პროცესი აქტიურად მიმდინარეობდა, ადგილობრივ, რეგიონულ ან ეროვნულ დონეზე არ ამოქმედებულა რაიმე სახის პროგრამა უცხო გარემოში მცხოვრები ოჯახების გასაძლიერებლად (ეკომიგრაცია საქართველოში, 2017:12).

როგორც საველე კვლევის შედეგები ადასტურებს, საქართველოში 2013 წლამდე არსებული პრაქტიკით, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების აზრი ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო მათი მომავალი საცხოვრებელი ადგილის შერჩევის დროს. დაზარალებულ ოჯახებს კომპაქტურად ასახლებდნენ სხვადასხვა ტერიტორიაზე, სადაც ისინი სრულიად უცხო და ახალ გარემოში იწყებდნენ ცხოვრებას. ოჯახების დიდ ნაწილს საკუთრებაში არ გააჩნდათ წლების წინ „გადაცემული“ საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი. ამ ყველაფერთან ერთად კი ოჯახებისთვის სახელმწიფოს არასდროს შეუთავაზებია ინტეგრაციისკენ, ადგილზე დამკვიდრებისა და შემოსავლის წყაროების შექმნისკენ მიმართული მიზნობრივი პროგრამები.

2014 წლამდე პერიოდში განსახლების პროცესს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ჰქონდა სამართლებრივი წინაპირობა (ბრძანება, ოქმი, ხელშეკრულება და ა.შ.). ძირითადად განსახლება დოკუმენტურად არ ფორმდებოდა და სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულება მხოლოდ ოჯახების გადაყვანის – მგზავრობისა და ნივთების გადაზიდვის ხარჯებს ანაზღაურებდა. სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული განსახლებას დაქვემდებარებული ოჯახების კომპაქტურად განსახლების პოლიტიკის შედეგად მივიღეთ რამდენიმე მუნიციპალიტეტი, რომელშიც კომპაქტური ჩასახლებების სახით წარმოდგენილია ეკომიგრანტთა სოფლები და უბნები (ეკომიგრაცია საქართველოში, 2017:11).

განსახლებულთა ინტეგრაციისა და გაძლიერების მიმართულებით ასევე არ მოქმედებდა ეროვნული პროგრამა, რასაც ცენტრალური ხელისუფლების ორგანოები ხსნიან იმით, რომ უკვე განსახლებული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების ინტეგრაციისა და გაძლიერების საკითხი არ შედის საქართველოში მოქმედი რომელიმე სამთავრობო დაწესებულების უშუალო კომპეტენციაში. საველე კვლევის დროს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ, განსახლებულ ოჯახებთან შეხვედრებისას მრავალი სოციალური ხასიათის პრობლემა გამოიკვეთა და დადასტურდა ფაქტი, რომ ამ ოჯახების ინტეგრაცია არასდროს ყოფილა ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების პრიორიტეტი, რაც სოციალური კონფლიქტების მაპროვოცირებელ ფაქტორად იქცა.

2012 წელს ივანიშვილის ადმინისტრაციის მოსვლის შემდეგ ქვეყანაში ეკომიგრაციის მიმართ მიდგომა შეიცვალა. კერძოდ, უკვე აღარ ხდება სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების კომპაქტური განსახლება. ახალი სისტემა დაზარალებულ ოჯახს შესაძლებლობას აძლევს ისარგებლოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით გარკვეული ლიმიტის ფარგლებში და მისი სურვილის შესაბამისად შეისყიდოს საცხოვრებელი სახლი შესაბამისად, ამოქმედდა ახალი სამთავრობო პროგრამა, რომელიც სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და განსახლებას დაქვემდებარებული ოჯახების საცხოვრისით უზრუნველყოფის მხარდაჭერას გულისხმობდა და რადიკალურად განსხვავდებოდა წინა პერიოდის პრაქტიკისგან. თუმცა, როგორც კვლევით დგინდება, ამ პერიოდში ეკომიგრანტების რეგიონთშორის განსახლება უკვე აღარ ხდება. ადგილი აქვს რეგიონის შიგნით ეკომიგრაციის პროცეს.

თანამედროვე ეტაპზე სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული განსახლებას დაქვემდებარებული ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოში მოქმედებს ორი პროგრამა. ერთ პროგრამას და ერთიან ელექტრონულ ბაზას მართავს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, ხოლო მეორე, მსგავს პროგრამას ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულთა სოციალური დახმარების კუთხით, უნდა აღინიშნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებული როლი და საქმიანობა. ვინაიდან აჭარაში სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულთა რაოდენობა მაღალია, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლება აქტიურად მუშაობს სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულთა მხარდაჭერის მიმართულებით. ამ მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში 2014 წლიდან მოქმედებს სტიქიით დაზარალებულთა საქმეების დეპარტამენტი. 2016 წლიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებში რეგისტრირებული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების საცხოვრისით უზრუნველყოფის მიზნით, დამატებით ამოქმედდა სპეციალური პროგრამა – ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფა, რომელიც მსგავსად ცენტრალური ხელისუფლების პროგრამისა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებში რეგისტრირებულ დაზარალებულს აძლევს შესაძლებლობას მიიღოს ფინანსური მხარდაჭერა 50 000 ლარის ოდენობით მათ მიერ შერჩეული საცხოვრისის შესაძენად.

უნდა ითქვას რომ 2015 წლიდან მოქმედი ეკომიგრაციის ინსტიტუციონალური უზრუნველყოფის სისტემა უფრო სამართლიანია და დაზარალებულის ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებულია. საქართველოში დღეისათვის ცენტრალური ხელისუფლების დონეზე მოქმედებს ორი პროგრამა, ერთი ეს არის „ეკომიგრანტი ოჯახების უსაფრთხო გარემოში განსახლება“ ხოლო მეორე პროგრამა არის „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების დაკანონება“. პროგრამის – ეკომიგრანტი ოჯახების უსაფრთხო გარემოში განსახლება“, მიხედვით დაზარალებული თავად ირჩევს საცხოვრისს და პროგრამის ფარგლებში მას გადაეცემა შესაბამისი თანხა საცხოვრებლის შესასყიდად. საცხოვრებლის შესყიდვის პროცედურა შემდეგია: სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახი მიმართავს მუნიციპალიტეტს, რომელიც ორგანიზებას უწევს გეოლოგიის სამსახურის ვიზიტს დაზარალებული ოჯახის საცხოვრებელ ადგილზე (მანველიძე, 2024). თუკი მომზადდება დასკვნა, რომ დაზარალებული ოჯახი საჭიროებს განსახლებას, მუნიციპალიტეტი ან დაზარალებული ოჯახი შესაბამის განაცხადს უგზავნის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, რომელიც დაზარალებულ ოჯახს დაარეგისტრირებს ერთიან ელექტრონულ ბაზაში. ერთიან ელექტრონულ ბაზაში რეგისტრირდება საქართველოში მცხოვრები ყველა ოჯახი, რომელიც განსახლებას საჭიროებს. ერთიან ელექტრონულ ბაზას აქვს ფუნქცია, რეგისტრირებულ ოჯახებს პრიორიტეტულობის მიხედვით მიანიჭოს ქულები, რის საფუძველზეც გამოვლინდება ის ოჯახები, რომლებიც პირველ ეტაპზე უნდა დაფინანსდეს. ასეთ ოჯახებს სამინისტრო აცნობებს დადგენილი ფორმით, თუ რა სახის პროცედურებისა და ვადების დაცვით აქვთ საცხოვრებელი სახლის შესყიდვის უფლება (ეკომიგრანტი ოჯახების უსაფრთხო...).

ამრიგად, დღეისათვის ხელისუფლება ეკომიგრანტების განსახლების ორგანიზებას სპეციალური სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფს, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტიქიური მოვლენების შედეგად იძულებით გადაადგილებული პირების ადეკვატური დაცვის რეალიზაციისათვის არსებული სამართლებრივი რეგულაცია ძალიან ზოგადი, მწირი და არადამაკმაყოფილებელია.

დასკვნები: კვლევით დადგინდა რომ საბჭოთა პერიოდში აჭარის რეგიონიდან ეკომიგრაციამ სამი ეტაპი განვლო. თითოეული ეტაპი სახელმწიფოს მხრიდან ასევე განსხვავებული მიზანდასახულობით ხასიათდებოდა. საბჭოთა პერიოდის პირველი და მეორე ეტაპის ეკომიგრაციულმა პროცესმა შიდა რესპუბლიკური სასოფლო-სამეურნეო განსახლების სახე მიიღო, რითაც შრომითი მიგრაციის ელფერი შეიძინა. ამ დროს საბჭოთა ხელისუფლებამ გადაჭრა საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში შრომითი რესურსების დეფიციტის შევსება, ხოლო მესამე ეტაპზე იმავე საბჭოთა პერიოდში ეკომიგრაციულმა განსახლებამ ასევე ახალი შინაარსი შეიძინა – დაიწყო უმცირესობებით დასახლებულ და სასაზღვრო რეგიონებში ეკომიგრანტების ჩასახლება, რასაც განსაკუთრებული სახელმწიფო მიზანდასახულობა ჰქონდა. ეს მიზანდასახულობა სახელმწიფომ სრულიად შეინარჩუნა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პირველ (90 წლების დასაწყისი) წლებშიც.

აუცილებელია ეკომიგრაციისა და განსახლების მიმართ სახელმწიფოს მიერ სისტემური და გამჭვირვალე მიდგომის ჩამოყალიბება, რისი განხორციელებაც როგორც ცენტრალური მთავრობის, ასევე მუნიციპალური ადმინისტრაციის პრეროგატივა უნდა გახდეს. რაც საშუალებას მისცემს ხელისუფლებას თავიდან აიცილოს სოციალური კონფლიქტები და გრძელვადიან პერსპექტივაში შეამციროს ფინანსური ხარჯები, ხოლო, მეორე მხრივ, ხელი შეუწყოს ეკომიგრაციის ადგილობრივ თემებში ინტეგრაციისა და განვითარების პროცესების წარმართვას.

მიზანშეწონილია მთავრობამ შეიმუშაოს და პრაქტიკაში განახორციელოს სახელმწიფო სტრატეგია ეკოლოგიური მიგრაციის შესახებ. სტრატეგიაში პოლიტიკურ დონეზე განისაზღვროს დროებითი ან მუდმივი განსახლების, შემდგომი ადაპტაცია-ინტეგრაციის და სოციალური პირობებით უზრუნველყოფის მკაფიო მექანიზმები და პროცედურები.

Bibliography

Zoidze, I. (2022). STAGES OF RESETTLEMENT OF ECO-MIGRANTS OF ADJARA REGION AND STATE STRATEGY (ON THE EXAMPLE OF GURIA REGION). Manvelidze, I. Lazba, N. Tsintsadze, I. *International Journal of Innovative Technologies in Social Science*, 1-8.

ანგარიში, ს. (2013). *სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და იძულებით გადაადგილებული პირების/ეკომიგრანტების უფლებრივი მდგომარეობა.* თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველი.

აცსა, ფ. *აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, (აცსა).*

ეკომიგრაცია საქართველოში. (2017). ბათუმი: დემოკრატიის ინსტიტუტი, ევროპის ფონდი და ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“.

ლაილი, ჯ. (2012). *ეკომიგრანტების განსახლება.* თბილისი: უმცირესობის საკითხების ეროვნული ცენტრი.

მანველიძე, ი. (2024). ეკომიგრაციის სახელმწიფო პოლიტიკა საქართველოში. ზოიძე, ი. ლაზბა, ნ. . *პოლიტიკა, 8.* , 1-8.

ტიერი, თ. (2007). *ეკოლოგიური მიზეზებით ადგილნაცვალ პირთა განსახლება – არსებული პრობლემის გადაწყვეტა თუ ახალის შექმნა? ეკომიგრაცია საქართველოში 1981-2006 წ. ტურაშვილი, მ.* თბილისი: უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი.

ფუტკარაძე, თ. (2005). *ეკოლოგიური მიგრაციები, პროგნოზირება და პერსპექტივები. სტიქია და ეკომიგრანტები აჭარაში კონფერენციის მასალები,.* ბათუმი.

ფუტკარაძე, თ. (2006). *აჭარის მოსახლეობის მიგრაციის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები.* ბათუმი.

REGIONAL ANALYSIS OF STATE POLICY ON ECOMIGRATION: THE CASE OF AJARA[1]

IRAKLI MANVELIDZE
Candidate of Historical Sciences, Doctor of Public Administration, Professor, Batumi Shota Rustaveli State University,
E-Mail: irakli.manvelidze@bsu.edu.ge
ORCID: 0000-0001-6422-2049

INEZA ZOIDZE
Candidate of Historical Sciences,
Asist. Professor, Batumi Shota Rustaveli State University,
E-Mail: ineza.zoidze@bsu.edu.ge
ORCID: 0000-0002-3354-4069

Abstract: The paper presents a regional-level analysis of the state policy on ecomigration using the example of Adjara. Both the historical context of the state policy on ecomigration and the goals and strategy of the state policy on ecomigration in the modern period are examined.The research results indicate that, using the example of the Adjara region, the institutional development of the state policy on ecomigration has gone through different stages.

At the modern stage, the government has developed relevant policies in the direction of ecomigration processes; however, the research showed that it is necessary for the state to form a systematic strategy towards ecomigration and resettlement. The research showed that the interests of families displaced from the Adjara region as a result of natural disasters were either poorly considered or not considered at all when selecting the place of residence.

They were mainly settled in local communities in mixed settlements, where there were different cultural, economic, and living conditions for them. From the point of view of integration and adaptation, it was further complicated by the fact that the ecomigrants displaced from the Adjara region had a different historical religious heritage. Considering this reality, adapting and integrating with the local environment was hindered. Migration processes that disregard the cultural, every day, and economic characteristics of a particular group are difficult to manage in terms of intercultural relations.

To this was added the fact that the state did not conduct appropriate preliminary communication activities with the families to be resettled, as a result of which they had a serious information deficit about the situation in the settlement areas and were unable to realize what kind of new reality they would have to live in.

This significantly hindered the adaptation process after resettlement, which in turn became a stimulating factor for remigration processes and conflict situations with local communities – and there are many examples of this even today.

Keywords: Region, Ecomigration, State Policy, State Program.

* * *

Introduction. In the Adjara region, natural processes caused by geographical factors periodically bring to the agenda the necessity of intensive, permanent migration, which requires institutional support

[1] The research was supported by the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia [Grant Number FR-23-488]

for ecomigration processes from the state. Migration processes from the Adjara region to various regions of Georgia have been taking place with periodic intensity since the second half of the 1920s.At the first stage, it had an intraregional character. But from the second half of the 20th century, especially in its final period, with the support of the state, compact interregional resettlement of populations from disaster-affected or ecologically unstable zones began.

Despite the fact that natural disasters and the issue of families affected by them are well-known problems for the Georgian government and there is almost a century of accumulated experience in this direction, state policy has not yet formed a unified approach to this issue.Moreover, to this day, the issues of ecomigration and ecomigrants have not become the subject of comprehensive research in academic circles.

Therefore, the study of this issue is of utmost theoretical and practical importance for both state and academic purposes.

The goal of the research is to assess the state policy on ecomigration using the example of the Adjara region, in order to show what improvements and changes could be considered in the coming years in this direction.

Methods. The empirical basis of the research consists of the study and analysis of the state strategy and legal-normative documents concerning ecomigration.

Accordingly, the empirical study was conducted using document analysis and interview methods.

Through the method of document analysis, we studied archival documents, which we obtained from the relevant funds of the State Archives of Georgia of Modern History and the Adjara State Archives.

The analysis of archival documents helped us to study the historical context of the state policy on ecomigration.

In particular, we described the ecomigration process fully during both the Soviet and post-Soviet periods, identified its specific characteristics, and revealed the problems.

For the study of the evolution and examination of ecomigration as a process, it was also important to analyze public information requested from state agencies, which was based on the analysis of information obtained from public institutions.

Specifically, we requested information from the Ministry of Labor, Health, and Social Affairs of Georgia and the Ministry of Health and Social Protection of the Autonomous Republic of Adjara.

The requested public information covered:

State policy documents on ecomigration, including projects, reports, and statistical data.

A list of state agencies involved in the implementation of the state ecomigration policy.

Legal documents regulating ecomigration processes, specifically laws, resolutions, and decrees.

The use of qualitative methods made it possible to gain in-depth knowledge about the state strategy of ecomigration and the legislative framework regulating it, through which we described the state strategy in detail and identified its shortcomings.

One of the important methodological tools of the research was interviewing.Within the framework of interviews, 12 representatives of public agencies implementing the state policy on ecomigration were surveyed.

The primary scientific information and data obtained by us were studied using the methods of content and event analysis with an inductive approach.

The research also reflected secondary scientific information in the form of existing studies conducted on the topic of interest. In this regard, we would like to highlight a study conducted with the support of the European Centre for Minority Issues (Thierry, 2007), a study conducted within the framework of the Institute for Democracy (Ecomigration in Georgia, 2017), a special report prepared by the public Defender of Georgia (Report, 2013), and the works of Prof. Tamaz Futkaradze (Futkaradze, 2005; Futkaradze, 2006). Based on the scientific information obtained as a result of the research, within the framework of desk research, we used document analysis and monographic research methods.

Discussion. In Soviet-era Georgia, the state policy on ecomigration had a systematic, planned, and purposeful character. Accordingly, the state carried out organized resettlement, and it had the form of interregional agricultural resettlement. During this period, ecomigrants displaced from the Adjara region were settled both in compact (without local populations) and mixed settlements with local residents, where ecomigrants were either in the minority or equally represented.

After the restoration of Georgia's state independence, a new stage of ecomigration policy began. The national government used ecomigrants as a tool necessary for the „demographic balancing" on the national agenda and started settling them in regions populated by minorities and in border regions, which aimed to politically „strengthen" the state's border areas.In addition to state actors, influential political organizations such as the „Kostava Fund" and the „Rustaveli Society" purchased houses abandoned by minorities, which were later distributed to ethnically Georgian ecomigrants.

Relations between the newly settled ecomigrants and the local population often became extremely tense, which in most cases ended with the sale or abandonment of the received houses and the return of the ecomigrants to their native regions (Laili, 2012:6).

During Shevardnadze's administration, the issue of ecomigrants was almost ignored.In the process of privatizing agricultural lands in Georgia between 1992-1998, ecomigrants received land plots on equal terms with the rest of the resident population.The funds allocated by Shevardnadze's administration between 1997-2002 for the purchase of houses became a source of extreme corruption. In 1998, for the first time by decree, ecomigration monitoring procedures were defined, although no effective actions followed the initial monitoring of ecological migration trends (Laili, 2012:7).

In 2003-2004, the issue of ecomigrants again came to the fore in Adjara.During the Saakashvili administration, several important steps were taken regarding ecomigrants.Specifically, in 2004, the Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Accommodation, and Refugees of Georgia carried out a study on the housing conditions in the highland regions and developed new initiatives for housing ecomigrants.However, during this period as well, a sustainable, systematic state policy with adequate resources was not created (Laili, 2012:3).

The state bought houses in the resettlement areas from the local population and handed them over to ecomigrants without granting property rights, to prevent them from selling and returning to their original homes. The state organized the relocation of ecomigrants.

Since 2012, the state's strategy regarding the relocation of ecomigrants has changed.The government refused to continue organized resettlement and location selection and instead financially supported ecomigrants, who independently searched for and acquired housing.In the Adjara region, the autonomous government began constructing residential buildings for ecomigrants locally.The process of organized resettlement from Adjara stopped after 2012 due to the difficulties of adaptation and integration of ecomigrants into the local Georgian population and the frequent remigration trends, especially in cases where ecomigrants were in the minority or equally represented in settlements.

As a result, the state's attitude towards the issue of ecomigration differed significantly in the post-independence periods of the Gamsakhurdia, Shevardnadze, and Saakashvili administrations, as well as in the policies of the present period.

Based on the analysis of documents requested from archives and public institutions and the interviews conducted with responsible officials, it can be concluded that the state's support measures for ecomigrants have also varied across different periods. A study of the state policy and programs on ecomigration using the example of the Adjara region makes it clear that the approaches of the governments of Soviet and post-Soviet Georgia towards the issue of ecomigration were different.

The study of archival documents and field research in ecomigrant-settled areas showed that the issue of ecomigration became a subject of state attention in a systematic form in the second half of the 1920s. Field ethnographic research revealed that, apart from natural disasters, economic factors were an important cause of migration.

This type of migration was practically equivalent to labor migration and was linked to the targeted policy of the Soviet government. Ecomigration during this period had the character of internal republican interregional agricultural resettlement (ACSA: Fund R-356. Inv. 1. Case 104. P. 107).

During the Soviet period, the resettlement of ecomigrants from the Adjara region was conducted in a targeted, systematic, and organized manner, using appropriate material and administrative resources. Archival documents confirm that in the Soviet period, three stages of ecomigration can be distinguished in Adjara, caused by both economic and ecological reasons:

- The first stage (1920–1940s) mostly had the character of labor migration within the same region.
- The second stage (1950–1970s) combined ecological and labor migration and acquired interregional characteristics.
- The third stage (especially from the 1980s) became exclusively ecological in nature, caused by the intensification of natural disasters and coinciding with the collapse of Soviet structures and the beginning of the independent state formation process in Georgia.
- In the Soviet period, migration plans were systematically organized.The government had prospective settlement plans for the kolkhozes and sovkhozes, within which the transfer of families from ecologically deteriorated highland areas of Adjara was carried out, as well as the filling of vacancies in agricultural enterprises in other regions.Alongside organized resettlement, unauthorized migration also took place – against the background of the state's declared policy.

According to the established rules, unauthorized migrants had to report to the state agency in their place of origin and receive permission for relocation. Otherwise, they would not be entitled to any assistance from the state and would be obliged to return to their original residence (ACSA: Fund R-356. Inv. 1. Case 118. P. 66, 68). State assistance programs provided for the allocation of land plots and material support for house construction.

In the late 1980s and early 1990s, ecomigration from Adjara occurred in both organized and spontaneous (self-resettlement/purchase) forms. The state's attitude towards these two forms differed significantly. In the first case, it supported the resettlement of ecomigrants and provided financial assistance for the construction of houses, while in the second case, the ecomigrants who purchased houses with their own funds were provided with state loans for property purchase (ACSA: Fund R-356. Inv. 1. Case 388. P. 13).

The study of the state strategy of ecomigration in Adjara during the Soviet period shows that although ecomigration was a new issue in those years, quite serious measures were taken by the state over time, and this problem was not left without regulatory norms.

The problem of families displaced due to natural disasters coincided with the shortage of labor in the agricultural enterprises of the Soviet republic, threatening the implementation of economic plans. Therefore, special legal acts were adopted periodically, mainly in connection with labor needs in kolkhozes and sovkhozes. Receiving settlement space and state material support was conditioned on the fact that at least two able-bodied members of the family worked in those enterprises (Zoidze, 2022:6-7).

Archival documents show that, in essence, ecomigration in the Soviet period was perceived as labor migration, as it had the characteristics of an internal republican agricultural resettlement. As a result, it was managed by the state agency of the Georgian SSR Council of Ministers – the State Committee for the Use of Labor Resources from 1967, which later became the State Committee for Labor and Social Affairs, operating until 1991, when a new structure – the Department of Emergency Situations – was established. In 1993, this department was transformed into the Ministry of Refugees and Accommodation.

After its abolition in 2004, the issues of migration, repatriation, and refugees were managed by a department created within the Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Accommodation, and Refugees of Georgia. In 2013, its functions were transferred to the Livelihood Agency and the Social Service Agency. In 2019, these agencies merged into one legal entity under public law – the Agency for Internally Displaced Persons, Ecomigrants, and Livelihood Provision.

During the Soviet period, the ecomigration policy in Adjara was managed by the central authority, with the institutions of the Autonomous Republic of Adjara playing a supporting role. For example, in Adjara, the policy of ecomigration was managed by the representative of the State Committee for the Use of Labor Resources.After Georgia's independence, the Ministry of Refugees and Accommodation was created in Adjara, which managed ecomigration issues. After its abolition in 2004, these functions were transferred to the Ministry of Health and Social Protection of Adjara.

Until 2012, a strategy was maintained that implied the organized resettlement of ecomigrants from Adjara to various regions of Georgia. The government transferred houses purchased from private owners in different regions to ecomigrants, although no additional support was provided. In 2003-2012, during the period of active compact resettlement, there were no programs at the local, regional, or national levels for the integration and strengthening of the capacity of families settled in new areas (Ecomigration in Georgia, 2017:12).

Field research confirmed that until 2013, the opinion of families affected by natural disasters was either not considered at all or minimally taken into account when choosing a new place of residence. They were compactly settled in a new and unfamiliar environment. Many families did not have legal ownership rights to the houses and land plots „transferred" to them many years ago. Moreover, the state never offered them targeted programs for integration, local settlement, or livelihood creation.

Before 2014, legal documentation (orders, protocols, contracts) for the resettlement of ecomigrants existed in rare cases. In most cases, resettlements took place without any legal basis, and various state institutions only covered the costs of transporting the families and their belongings. The policy of compact resettlement led to the formation of municipalities with ecomigrant villages and neighborhoods (Ecomigration in Georgia, 2017:11).

At the national level, no program was implemented to facilitate the integration and strengthening of resettled families, which the central government attributed to the fact that no agency directly held these competencies. Field research in several municipalities revealed numerous social problems and proved that neither local nor central government had ever prioritized the integration of ecomigrants into their new environment, which caused social conflicts.

After the 2012 electoral victory of Ivanishvili's team, the state's policy on ecomigration changed – the compact resettlement of families affected by natural disasters stopped.A new system was introduced, in which disaster-affected families could independently select and purchase housing within specific financial limits. A new state program was launched, providing financial support for displaced and disaster-affected families to buy housing. This marked a radical departure from previous practices. However, the research showed that interregional resettlement no longer occurred, and ecomigration processes continued within the same regions.

Conclusions. The research revealed that ecomigration from Adjara during the Soviet period took place in three different stages, each of which was characterized by different state objectives.The first two stages of ecomigration had the nature of internal republican agricultural resettlement and were of a labor migration character. This served to fill the labor deficit in the kolkhozes and sovkhozes. In the third stage, the relocation of ecomigrants acquired a new goal – the resettlement of ecomigrants in minority-populated and border regions, which carried a special political purpose. The state maintained this goal in the early years of independence (1990s) as well.

It is necessary to develop a systematic and transparent state approach toward ecomigration and resettlement, which should be the prerogative of both the central and municipal governments. This will allow the state to prevent social conflicts, reduce financial costs in the long term, and ensure the integration and development of ecomigrants in the local environment.

It is recommended that the government develop and implement a state strategy for ecological migration, which should define clear, political-level mechanisms and procedures for temporary or permanent relocation, adaptation–integration, and the provision of proper social conditions.

Bibliography:

1. Zoidze, I. (2022). Stages of Resettlement of Eco-Migrants of Adjara Region and State Strategy (On the Example of Guria Region). Manvelidze, I., Lazba, N., Tsintsadze, I. International Journal of Innovative Technologies in Social Science, 1-8.
2. Ombudsman's Report. (2013). The Human Rights Situation of Disaster-Affected and Internally Displaced Persons / Ecomigrants. Tbilisi: Public Defender of Georgia.
3. ACSA (Adjara Central State Archives)
4. Ecomigration in Georgia. (2017). Batumi: Institute for Democracy, Europe Foundation, and Young Scientists' Union „Intellect".
5. Laili, J. (2012). Resettlement of Ecomigrants. Tbilisi: National Centre for Minority Issues.
6. Manvelidze, I. (2024). State Policy on Ecomigration in Georgia. Zoidze, I., Lazba, N. Politics, 8, 1-8.
7. Thierry, T. (2007). Resettlement of Ecologically Displaced Persons – Solution to an Existing Problem or Creation of a New One? Ecomigration in Georgia 1981-2006
8. Putkaradze, T. (2005). Ecological Migrations, Forecasting and Prospects. Natural Disasters and Eco-Migrants in Adjara Conference Proceedings,. Batumi.
9. Putkaradze, T. (2006). Historical-Ethnological Problems of Migration of the Adjara Population. Batumi.

განათლების პრობლემატიკა XX ს.-ის დასაწყისის ქართულ პრესაში დაბეჭდილ შავიზღვისპირულ პორესპონდენციებში

სოფიო მახაჭაშვილი
ფილოლოგიის დოქტორი, რიზეს რეჯეფ
ტაიფ ერდოღანის უნივერსიტეტის
ასისტენტ-პროფესორი
ელ-ფოსტა: sophio.makhatchasvili@erdogan.edu.tr
ORCID: 0000-0002-5993-3396

აბსტრაქტი: განათლებასთან დაკავშირებული პრობლემატიკა აქტიურად განიხილებოდა ქართული პრესის ფურცლებზე ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან და არც მე-20 ს. დასაწყისში კარგავდა აქტუალობას. თუ თვალს გავადევნებთ ამ პერიოდის ქართულ პრესაში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს, დავინახავთ, როგორ იზრდებოდა საზოგადოების ინტერესი განათლების სფეროში მსოფლიოში მიმდინარე პროცესების მიმართ. ამ თვალსაზრისით ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს ის პუბლიკაციები, რომლებიც შავიზღვისპირეთის ქვეყნებში არსებულ განათლების პოლიტიკას და საგანმანათლებლო მოდელებს აანალიზებს და იქაური გამოცდილების გაზიარებით ქართულ საზოგადოებას არწმუნებს ეროვნული სკოლის მოდელის შექმნის უალტერნატივობაში, რომელიც თავისუფლებისათვის ბრძოლის ქვაკუთხედად უნდა ქცეულიყო.

ჩვენი მიზანია დისკურსული ანალიზის მოშველიებით გავიაზროთ, რამდენად შეესაბამება ეს ჟურნალისტური ნარატივები ეროვნული სკოლის კონცეფციას და რა გავლენა შეიძლებოდა მოეხდინა ქართული საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაზე საერთაშორის გამოცდილების გაზიარებას. ვფიქრობთ, ჩვენი კვლევა როგორც განათლების პრობლემატიკით, ისე დოკუმენტური პროზითა და პუბლიცისტიკით დაინტერესებული ადამიანების ყურადღებას მიიქცევს.

საკვანძო სიტყვები: ქართული პრესა, განათლების პრობლემატიკა, ეროვნული სკოლა.

* * *

შესავალი: „არაფერია მზის ქვეშ ახალი... ესეც ყოფილა ჩვენს წინარე საუკუნეში.“ – შეუძლებელია ეკლესიასტეში ამოკითხული ეს სიბრძნე არ გაგახსენდეს გასული საუკუნის დასაწყისის ქართულ პრესაში დაბეჭდილი იმ პუბლიკაციების კითხვისას, რომლებითაც განათლების სფეროში საქართველოში იმჟამად არსებულ ვითარებას ეცნობი; იმ პრობლემათაგან, რომლებზეც საუკუნის წინათ მწვავე პოლემიკა იყო გამართული, ბევრ მათგანს დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა და მათზე მსჯელობა დღესაც გრძელდება. 90-იანი წლებიდან მოყოლებული, მუდმივი რეფორმა-რეორგანიზაციის პროცესში მყოფი ქართული განათლების სისტემა დღესაც იმ ფორმულის ძიებაშია, რომელიც ეროვნული სკოლის მოდელის ჩამოყალიბებას ერთხელ და სამუდამოდ დაასრულებს.

„სწავლა-აღზრდის, განათლების შინაარსი, მიზნები და ამოცანები ყველა ეპოქაში საზოგადოებრივი ცხოვრების მიზნების, სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ვითარებიდან გამომდინარეობს და სახელმწიფო იდეოლოგიის შესაბამისად იცვლება“ (ბასილაძე, ი. თავდგირაძე, ლ. 2024). ამგვარი ცვლილების ეტაპი იყო სწორედ XX ს. დასაწყისი. მას შემდეგ, რაც რუსეთის ხელისუფლებამ დაიწყო საუბარი განსახორციელებელი რეფორმის აუცილებლობაზე განათლების სისტემაში (1900 წ.), რომლის ნაწილსაც იმხანად ქართული საგანმანათლებლო სივრცე წარმოადგენდა, პრესაში გააქტიურდა საზოგადოებისათვის ესოდენ მნიშვნელოვან საკითხზე მსჯელობა, რაც ხშირად მწვავე პოლემიკაში გადაიზრდებოდა ხოლმე. ეს იყო მომავალი თაობის აღზრდა-განათლების საქმეში ჭეშმარიტად ეროვნული გზის ძიების პროცესი. პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოება ერთხანს ოპტიმისტურად იყო განწყობილი დაანონსებული რეფორმის მიმართ, გაუჩნდა რეალური ცვლილების მოლოდინი. „ჩვენ ვხედავთ, რომ ეხლა მეტად მოხერხე-

ბული დროა სწავლა-განათლების საქმეში სასურველ ცვლილებათა მოხდენისათვის და უთუოდ საჭიროა, რომ ჩვენ ამ დროით ვისარგებლოდ. ...ჩვენ გვმართებს ვიზრუნოთ ამ საქმისათვის და ვუჩვენოთ, ვისაც ჯერ არს, თუ რა ესაჭიროება საშუალო სკოლას ჩვენში“. – ვკითხულობთ „ცნობის ფურცელში“ 1901 (№1545) დაბეჭდილ ერთ-ერთ პუბლიკაციაში.

მზარდი იყო ქართული საზოგადოების ინტერესი განათლების სფეროში მსოფლიოში მიმდინარე პროცესების მიმართ. ამაზე მეტყველებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მოწოდებული ვრცელი კორესპონდენციები, რომელთა ავტორებიც არსებულ მდგომარეობას ადგილზევე ეცნობოდნენ, აანალიზებდნენ და მიღებულ შთაბეჭდილებებსა და შეხედულებებს უზიარებდნენ ქართველ მკითხველს. წინამდებარე კვლევის ობიექტს ის პუბლიკაციები წარმოადგენს, რომლებშიც შავიზღვისპირეთის ქვეყნების განათლების სფეროში არსებული პრობლემატიკაა განხილული. ჩვენი მიზანია გავიაზროთ, რა ტენდენცია შეინიშნება აღნიშნულ საკითხთა განხილვისა და დასკვნების გამოტანისას. რა გავლენა იქონია მან ქართული საზოგადოების მიერ ახალი სკოლის კონცეფციის ჩამოყალიბებაზე; რა როლი ითამაშა ზოგადად საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაში საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებამ.

კვლევის მეთოდები: კვლევაში გამოყენებული იქნება კომპარატივისტული მეთოდი და დისკურსული ანალიზი.

მსჯელობა: „სახელმწიფო ინტერესი თხოულობს ხალხის განათლებაზე ზრუნვას, ვინაიდან განათლება არის უდიდესი ძალა, რომელიც წარმოშობავს ხალხის კეთილ-დღეობას და შინაურ ძლიერებას და ანიჭებს გარეშე გამარჯვებას ხალხთა შორის ატეხილ კულტურულ ბრძოლაში. ამ ბრძოლაში გაუნათლებელი განათლებულს ვერ გაუწევს მეტოქეობას. ...ეს საანბანო ჭეშმარიტება ყველა ერმა უნდა შეითვისოს, შეისისხლხორცოს, თუ არ უნდა, რომ დედა-მიწის ზურგიდან სამუდამოდ აღმოიფხვრას.“ – ეს ამონარიდი რუსეთის ფინანსთა მინისტრის ოფიციალური ორგანოს წერილიდანაა ციტირებული გაზეთ „ცნობის ფურცელში“ დაბეჭდილ ა. ხრამელის ვრცელ სტატიაში – „პური თუ სკოლა“(1902 წ. №1818).

ეს იმ ქვეყნის სამინისტროს პოზიციაა, რომელიც მთელი ევროპის მასშტაბით, განათლების თვალსაზრისით ყველა ხელმისაწვდომი სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ყველაზე ჩამორჩენილად ითვლებოდა იმჟამად; ქვეყნისა, რომლის მოსახლეობის მხოლოდ 16%-მა იცოდა ელემენტარული წერა-კითხვა; სასკოლო ასაკის ბავშვის მხოლოდ 3% დადიოდა სკოლაში; უარესი მდგომარეობა იყო გუბერნიებში. სამხრეთის ოთხ გუბერნიაში 1000 სულზე მხოლოდ 0.7-0.8 სწავლობდა სკოლაში (ა. ყუმისთაველი, 1905); 11430000 შესაბამისი ასაკის ბავშვიდან 8000000 სკოლის გარეთ რჩებოდა სკოლების სიმცირისა თუ ხელმოკლეობის გამო; ქვეყანაში, რომელშიც საერო განათლების მინისტრის – დელიანოვის 1887 წ. სამოსწავლო ოლქების მზრუნველთათვის გაგზავნილი ცირკულიარი ჯერ კიდევ მოქმედი იყო, რომლის თანახმადაც, მოსახლეობის დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელთა შვილებს საშუალო სასწავლებელში შესვლის უფლება ჰქონდათ ჩამორთმეული; სახელმწიფოსი, რომლის მიერ 1894 წლის მონაცემებით განათლებაზე გაწეული ხარჯი ბიუჯეტის მხოლოდ 0,4%, ანუ თითო მოსწავლეზე წელიწადში 5 მანეთს შეადგენდა.

პუბლიცისტი კ. ანდრონიკაშვილი „ცნობის ფურცელში“ 1902წ. (№1999) გამოქვეყნებულ სტატიაში – „ორიოდე სიტყვა სახალხო განათლების შესახებ“ წერს: „რუსეთშიაც მთავრობა დარწმუნდა, რომ ცოდნა და განათლება მშრომელი ხალხის ხელში ის იარაღია, რომლის ძალითაც ეკონომიურად ღონიერდება სახელმწიფო, ჰყვავდება თვით ერი. ამიტომ ცდილობენ ყოველის საშუალებით შეუწყონ ამ საქმეს ხელი, რომ ამით ეკონომიურად გაამაგრონ ერი, დააწინაურონ და მისცენ ძალა, რათა არ დამარცხდეს საერთაშორისო საეკონომიო ბრძოლაში.“ როგორც ჩანს, პუბლიცისტს ჯერ კიდევ სჯეროდა რუსეთის მთავრობის კეთილგონიერებისა და გულწრფელობისა და ისევე როგორც ქართული საზოგადოების ერთი ნაწილი, ოპტიმისტურად იყო განწყობილი დაანონსებული რეფორმის მიმართ.

ეს ოპტიმიზმი იკითხება სხვა პუბლიკაციებშიც, რომელთა რაოდენობამ 1901 წლიდან საგრძნობლად იმატა, რაც მიანიშნებს თემის მიმართ საზოგადოების მგრძნობიარე დამოკიდებულებაზე.

ამის თქმის საფუძველს გვაძლევს გაზეთ „ივერიაში“, „ცნობის ფურცელსა“ და „სახალხო გაზეთში“ დაბეჭდილი მასალები, რომელიც ჩვენი კვლევის ძირითად სამიზნეს წარმოადგენს. გაზეთმა „ცნობის ფურცელმა“ 1901წ. (№1493) პუბლიკაციით, რომლის სათაურია -„საშუალო სკოლის რეფორმის კომისიის მოქმედება“, საზოგადოებას ამცნო, რომ სახელდახელოდ შეკრებილმა სარეფორმო კომისიამ 9 ივნისს მუშაობა უკვე დაასრულა და 1901-1905 წლებში განსახორციელებელი პირველი სამოქმედო გეგმაც უკვე წარმოადგინა.

ასე სახელდახელოდ შემუშავებული გეგმა გულისხმობდა შემდეგ ცვლილებებს: 1901-1902 სასწავლო წლიდან უნდა ამოღებულიყო ლათინური ენა პირველ და მეორე კლასში და ბერძნული ენა მესამე და მეოთხეში. დანარჩენ კლასებში ამ წელს სწავლა ძველი წესით უნდა გაგრძელებულიყო. გამორიცხულ საგნების მაგიერ, პირველ ორ კლასში უნდა ესწავლებინათ ბუნების-მეტყველება და გეოგრაფია. რეალურ სასწავლებლებში პირველ და მეორე კლასში უნდა შემოეღოთ ისტორიის სწავლება და გაედიდებინათ მათემატიკის კურსი პირველ კლასში და გეოგრაფიისა და ბუნების-მეტყველებისა – მეორეში. 1902-1903 სასწავლო წელს უნდა შეცვლილიყი გიმნაზიების პირველი ხუთი კლასი, 1903-1904 წელს კი დანარჩენი სამი. ბოლოს 1905 წელს უნდა გაუქმებულიყო მერვე კლასი და ცვლილებაც ამით დასრულდებოდა. ამ თითქმის არაფრისმომცემმა ცვლილებებმა, რა თქმა უნდა, რეალური ცვლილებების მომლოდინე ქართული საზოგადოების უკმაყოფილება გამოიწვია. ბუნებრივია, განათლების თვალსაზრისით ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყნის სტატუსის მქონე რუსეთის განათლების სისტემის „ნორმალურ ნიადაგზე დამყარება“ ასე ხელის ერთი აქნევით შეუძლებელი იქნებოდა და არც ეროვნული სკოლის საჭიროებები აინტერესებდა „ვისაც ჯერ არს“. თუმცა „ამ საქმისათვის“ მცდელობა კი არ დაუკლია პრესას. ამას მოწმობს 1901-1905 წლებში, ანუ რეფორმის მიმდინარეობის პერიოდში, „ივერიასა“ და „ცნობის ფურცლში“ გამოქვეყნებული უამრავი მასალა. ფიქრი და მსჯელობა სკოლის მოწყობის პრინციპებზე; არსებული განათლების სისტემის რეფორმისა თუ რეორგანიზაციის განსხვავებულ მოდელებზე. განსაკუთრებით რუსული განათლების მოდელის უვარგისობასა და ჩამორჩენილობაზე ამახვილებდნენ ყურადღებას. მოჰყავდათ სტატისტიკური მონაცემები თავად რუსულ გაზეთებში დაბეჭდილი მასალებიდან. რამდენად რეალური იყო ეს მონაცემები და ავთენტურია თუ არა დამოწმებული წყაროები, ამის გადამოწმების საშუალებას მოკლებულნი ვართ ამ საარქივო მასალებზე წვდომის უქონლობის გამო, თუმცა ეს ციფრები დამაჯერებლობას მატებს ქართველ პუბლიცისტთა ნარატივებს.

სტატიაში „ორიოდე სიტყვა სახალხო განათლების შესახებ“, რომელიც 1902 წ. (№2003) დაიბეჭდა გაზეთ „ცნობის ფურცელში“, საზოგადოებისთვის უფრო ნათელი რომ გახადოს რუსეთის ჩამორჩენილობა, კ. ანდრონიკაშვილი იმოწმებს სტატისტიკურ მონაცემებს აკად. იანჟულის წერილიდან (წიგნიდან: Экономическая оцъенка народного оброзованія, – 1899 г.), რომელშიც ნათლად ჩანს, რა უბადრუკად გამოიყურება სინამდვილეში რუსეთის მთავრობის მიერ ცოდნის გასავრცელებლად გამოჩენილი „მზრუნველობა“ დაწინაურებულ სახელმწიფოთაგან განათლებაზე გაწეული ხარჯების ფონზე: „ინგლისში 1894 წ. სკოლებისათვის გადადებული იყო 87 მილიონი მანეთი; ათას მცხოვრებზე მოდიოდა 181 მოსწავლე, ანუ ასზე 18 მოსწ.; საფრანგეთში – 1895 წ. – ხარჯი იყო 70 მილიონზე მეტი, ას მცხოვრებზე მოდიოდა 15 მოსწავლე. ამერიკის შეერთებულ შტატებში – 1895 წ. 331 მილ. მ. ას მცხოვრებზე მოდიოდა 20 მოსწავლე; რუსეთში კი 1896 წ. ხარჯი იყო 23 მილ. მან. და ას მცხოვრებზე მოდიოდა 3 მოსწავლე, ბევრად ნაკლები, ვიდრე იაპონიაში, სადაც ასზე მოდის 8 მოსწავლე. მაშინ, როდესაც თითო მოწაფეზე ყოველ წელიწადს იხარჯება ინგლისში – 20 მ., საფრანგეთში – 10 მ., შეერთებულ შტატებში – 20 მ., რუსეთში იხარჯება მხოლოდ 5 მ. შეერთებულ შტატებში სახალხო სკოლის მასწავლებელს წელიწადში ეძლევა 1000 მ., რუსეთში 200 მ. წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი საფრანგეთში 85%, ინგლისში – 90%, შეერთებულ შტატებში – 92%, შვეიცარიაში – 95%, გერმანიაში – 98%, რუსეთში მხოლოდ 16%, ესე იგი ასში 84 კაცმა არ იცის წერა-კითხვა.“ („ცნ. ფურც.“ 1902, №2003) დამეთანხმებით, შთამბეჭდავი ციფრებია. კიდევ არაერთ პუბლიკაციაშია ამგვარი სტატისტიკური მონაცემები მოხმობილი. ყოველივე კი ემსახურებოდა ერთ მიზანს – დაენახვებინათ საზოგადოებისათვის რეალური სურათი ჩვენი სავალალო ყოფისა, რათა ცრუ მოლოდინი აღარ ჰქონოდა მთავრობის დაგეგმილი და რუსული ბიუროკრატიის მიერ განსახორციელებელი რეფორმისგან და თავადვე ეზრუნა თავის მომავალზე: „დღეს, ესეთი

უმოძრავო პოლიტიკა არ გამოგვადგება, დღეს, როცა მთელი კაცობრიობა სწავლა-განათლებისაგან მოელის ხსნასა და შველას, საჭიროა ჩვენც ვიზრუნოთ ჩვენის შვილების სწავლა-განათლებისათვის“ – წერდა ა. ყუმისთაველი 1905 წ. გაზეთ „ივერიაში“ (№1) დაბეჭდილ სტატიაში – „დროა, ვგონებ ჩვენი შვილების ნორმალურ სწავლა-განვითარებისთვის ვიზრუნოთ!“

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართული პრესა არ იფარგლებოდა მხოლოდ საკუთარი გამოცდილების გაზიარებითა თუ რუსულ პრესაში დაბეჭდილი პუბლიკაციების ქართველი მკითხველისათვის გაცნობით; მნიშვნელოვნი იყო იმ ქვეყნების გამოცდილების გაზიარება, რომლებიც დაწინაურებულნი იყვნენ ეკონომიკურად სწორედ განათლების დამსახურებით. ამ სტატიათა ავტორები ცდილობდნენ ნათლად დაენახვებინათ მკითხველისთვის ის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, რაც სახელმწიფოს მხრიდან განათლების სათანადო დონეზე დაყენებასა და ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას შორის არსებობდა. განიხილავდნენ დაწინაურებულ პოზიციამდე ამა თუ იმ ქვეყნის მიერ გამოვლილ გზას. მისი ინტერესის სფეროში ექცეოდა როგორც ევროპის ქვეყნების – გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისის, შვეიცარიის, ავსტიის, ბელგიის, პრუსიის, ფინეთისა და სხვ., ისე ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, იაპონიისა და ჩინეთის განათლების პოლიტიკა. აანალიზებდნენ მათში არსებულ განათლების მოდელებს და ცდილობდნენ ეპოვათ ფორმულა ეროვნული სკოლის საკუთარი მოდელის შესაქმნელად.

როგორც მოსალოდნელი იყო, რუსეთის მთავრობის მიერ დაგეგმილი რეფორმით რეალურად არაფერი შეცვლილა. თუმცა ამ პუბლიკაციებმა გარკვეული როლი შეასრულა საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაში. გაზეთ „ცნობის ფურცელში“ 1905 წ. (№ 2801) დაბეჭდილ სტატიაში, „საშუალო სკოლა რუსეთში“ ვკითხულობთ: „პრესსამ ყველას თვალნათლივ უჩვენა ნამდვილი მიზეზი თანამედროვე სკოლის უვარგისობისა. და სამინისტროც ამოძრავდა: საჯაროდ სცნო სკოლის ეს უვარგისობა, გაუმჯობესების გზის ძებნას შეუდგა, მცოდნე პირებსაც დაეკითხა. სამინისტროში შეგროვდა აუარებელი მასალა, მაგრამ ... მაგრამ ... არაფერი არ გამოვიდა. სამინისტრომ კარგად იცოდა, როგორ უნდა შეცვლილიყო სკოლა, მაგრამ არ სურდა ეს შეცვლა, და არც შესაძლებელია, რომ სურდეს.“ რასაკვირველია, სკოლის ძირეული ცვლილება, რისი საჭიროებაც არსებობდა, ცარისტული რუსეთის ინტერესებში სრულიადაც არ შედიოდა.

1906 წ. „ივერიაში“ (№22) დაბეჭდილი წერილში „სწავლა-განათლება და მთავრობა“ ავტორი ვინმე კ. ს. მთავრობას, რომელიც ხალხის სწავლა-განათლებაზე არ ფიქრობს და ხალხს უმეცრებაში სტოვებს, ხალხის მტრად აცხადებს. ამის საფუძვლად კი ის სავალალო სტატისტიკა მოჰყავს, რომელიც სხვა ქვეყნებთან შედარებით რეფორმის დასრულების შემდეგაც რუსეთის განათლების სისტემის ყოველმხრივ ჩამორჩენილობაზე მეტყველებს. არა თუ ევროპის ეკონომიკურად დაწინაურებულ ქვეყნებში, „ოსმალეთშიაც კი ხალხის რაოდენობის მიხედვით მეტი ბავშვი დაიარება სასწავლებელში, ვიდრე რუსეთში“ – აღნიშნავს სტატიის ავტორი (თუმცა მის მიერ წარმოდგენილი სტატისტიკის არცერთ კომპონენტში არაა ნაჩვენები ოსმალეთის მონაცემები. არც რაიმე სტატია დაბეჭდილა უშუალოდ ოსმალეთის განათლების სისტემის შესახებ იმჟამინდელ ქართულ პრესაში).

შემდგომ პერიოდში – რუსეთში მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა: რუსეთ-იაპონიის ომმა, 1905-1907 წლების რევოლუციამ და რექციის წლებმა გადაფარა ქართულ პრესაში განათლების რეფორმის თემის აქტუალობა, რაც 1907-1908 წლებში დაბეჭდილ სტატიათა რაოდენობაზეც აისახა. ამას დაემატა გაზეთ „ივერიის“ დახურვა. 1911 წლიდან „სახალხო გაზეთის“ ფურცლებზე გააქტიურდა განათლების სფეროში არსებულ პრობლემებსა და პერსპექტივებზე მსჯელობა. ეს გააქტიურება გარკვეულწილად ბალკანეთში განვითარებულ მოვლენებს უკავშირდება, რომელიც ქართული საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა. გაიზარდა ინტერესი ბალკანური ქვეყნების განათლების მოდელების მიმართ, ქვეყნებისა, რომლებიც დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისათვის ბრძოლის პარალელურად, ქვეყნის ხსნის გზას განათლებაში ხედავდნენ. ქართული საზოგადოებისთვის ესოდენ ნაცნობი და სასურველი იყო ეს გზა. ამ ინტერესზე მეტყველებს რამდენიმე ვრცელი სტატია, კერძოდ: ი. რაჭველის „წერილები ბურგაზიიდან“ („ივერია“, 1902წ., N96); ნამის ფსევდონიმით დაბეჭდილი პ. სურგულაძის სტატია „ალბანეთი“ („სახალხო გაზეთი“, 1912 წ., N 623, 624, 625); ბ. ბეთანელის „სკოლები ბულგარეთში“ („სახალხო გაზეთი“, 1912 წ., №748) და „სწავლა-განათლების მდგომარეობა ბალკანეთში“ („სახ. გაზეთი“, 1913 წ. N 788) და სხვა.

გაზეთ „ივერიაში“ ჯერ კიდევ 1902 წ. (N96) დაიბეჭდა ცნობილი პუბლიცისტის იასე რაჭველის სტატია „წერილები ბურგაზიიდან“, რომელშიც ბულგარეთის იმჟამინდელი სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობის აღწერასას საინტერესო ინფორმაციას იძლევა იქაური განათლების შესახებ. თუ ავტორს დავუჯერებთ, 1902 წლისთვის ბოლგარელი 65% ნასწავლია, წერა-კითხვის მცოდნე. როგორ მივიდა ამ შედეგამდე ქვეყანა, რომელმაც არცთუ დიდი ხნის წინ გადაიგდო მონობის უღელი და მოიპოვა დამოუკიდებლობა? იასე რაჭველი ყურადღებას ამახვილებს სახელმწიფოს მიერ გადადგმულ ნაბიჯებზე: დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ბულგარეთის მთავრობამ გამოსცა განკარგულება, რომლის თანახმადაც, თხუთმეტი წლის განმავლობაში ბულგარეთში მცხოვრები ყველა მოქალაქე ვალდებული იყო ბულგარული წერა-კითხვა შეესწავლა. წინააღმდეგ შემთხვევაში არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებდა. გარდა ამისა, „ბოლგართა შორის სწავლა სავალდებულო შეიქმნა. ყველა ბოლგარელი ვალდებულია თავისი ბავშვები სკოლაში მიაბაროს, თორემ ჯარიმას ახდევინებენ. ცამეტ წლამდის ბავშვი, ქალი თუ ვაჟი, სწავლობს დედ-მამის ხარჯით და შემდეგ-კი, ვისაც შეძლება აქვს, უმაღლესს სასწავლებელში შედის ან თავის ხარჯით ან სახელმწიფო ხარჯით.“ – წერს ავტორი.

1912-1913 წ. ბალკანეთში მიმდინარე მოვლენებს ქართული პრესა განსაკუთრებული ინტერესით ადევნებდა თვალს, რეგულარულად იბეჭდებოდა მასთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაციები. „ბულგარია სავსებით ასცდა რუსთა პროტექტორატს, დღეს კი ის წარმოადგენს მძლავრს, საკუთარი პოლიტიკის მწარმოებელს, დღითი-დღე ეკონომიურად და კულტურულად მოზარდ სახელმწიფოს.“ – წერდა პ. სურგულაძე „ნამის“ ფსევდონიმით „სახალხო გაზეთში“ დაბეჭდილ სტატიაში „ალბანეთი“ (1912წ.,N 623). ამ სიტყვებით პირდაპირაა გაცხადებული, რატომ თანაუგრძნობდა ქართული საზოგადოება ბალკანელების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. მას აღაფრთოვანებდა ბალკანელი ხალხის სულისკვეთება, რომელიც თავისუფლებისაკენ ასე თავდაუზოგავად მიილტვოდა და ევროპის დიდ სახელმწიფოთა საერთო სურვილის მიუხედავად, მათი საკითხი ეროვნული პრინციპის მიხედვით წყდებოდა. სტატიის ავტორი ეთანხმება ფრანგი ფილოსოფოსის, ალფრედ ფულიეს აზრს თხზულებიდან – „სწავლება ეროვნული თვალსაზრისით“: „ეს მარტო გერმანელი ღენერლები კიარიყვნენ, ფრანგის იარაღზე რომ გაიმარჯვეს... ჩვენ დაგვამარცხეს კანტებმა და ფიხტეებმა, გიოტეებმა და შილერებმა, ალექსანდრე ჰუმბოლტებმა, ჰაუსებმა და ჰელმაგილცებმა, როგორც ბისმარკებმა, ლამოლტკეებმა“, ანუ საფრანგეთ-გერმანიის ომში გერმანიის სახალხო მასწავლებელმა გაიმარჯვა – ამ აზრს ჭეშმარიტებად მიიჩნევს იგი და დასძენს: „ვაი იმ დამონებულს, რომელსაც არ ესმის, ვაი იმ მონას, რომელსაც არ შეუძლიან ან არ სურს ბატონის კულტურას თავისი კულტურა დაუპირისპიროს.“(ნამი, №265)

პუბლიცისტი ბ. ბეთანელი „სახალხო გაზეთში“ გამოქვეყნებულ ვრცელ სტატიაში – „სკოლები ბულგარეთში“ (1912, №748) საუბრობს ბულგარეთის განათლების სისტემის მოდელზე, ქვეყნისა, რომელიც ბალკანელ სლავიანთა ძლევამოსილი გამარჯვების შემოქმედად მოევლინა იმჟამინდელ მსოფლიოს და მთელი კაცობრიობის ყურადღება მიიქცია თავისი სულიერი სიმტკიცითა და სამშობლოსადმი „უმწვერვალეს წერტილამდე“ ასული სიყვარულით. „ასეთ სიძლიერეს ჰქმნის სწავლა-აღზრდის საქმე, უკეთუ იგი შესაფერ ნიადაგზეა დაყენებული და უკეთუ სკოლა მჭიდროდ არის დაკავშირებული ცხოვრებასთან და საკმაოდ აკმაყოფილებს მოსწავლე-ახალგაზრდობის სულიერ მოთხოვნილებას.“ – წერს ავტორი.

მაინც რითი იყო გამორჩეული ბულგარული სკოლა, რა იწვევს პუბლიცისტის ამგვარ დამოკიდებულებას? ავტორი დასაწყისშივე აღნიშნავს, რომ ბულგარეთის სკოლების მდგომარეობაზე საუბრისას მის ხელთ არსებულ რუსულ გაზეთ Школа и Жизнь-ში დაბეჭდილ პროფ. კარეევისა და სხვათა სტატიებში მოცემულ ცნობებს იყენებს წყაროდ. მას პირადად არ მოუნახულებია ბულგარული სკოლა. თუმცა, თავადაც გამოცდილ პედაგოგს, ხელი არ შეშლია მის ხელთ არსებული მასალების საფუძველზე, დაენახა ის მნიშვნელოვანი სხვაობა, რაც ჩვენებურ სკოლასა და ბულგარული სკოლის მოდელს შორის იყო. იგი ხაზს უსვამს სახელმწიფოს დამოკიდებულების მნიშვნელობას განათლების სისტემის წარმატების საქმეში და თვლის, რომ სწავლა-განათლების მხრივ ბულგარეთის დაწინაურება და საპატიო ადგილის დაჭერა სწორედ სახელმწიფოს სწორი პოლიტიკის დამსახურებაა. ამის ნათელსაყოფად სტატისტიკას იშველიებს: „ბულგარეთი დემოკრატიული ქვეყანაა. მას არასოდეს არავითარი საშუალება არ დაუზოგავს სწავლა-აღზრდის რიგიან ნიადა-

გზე დაყენებისათვის... ამისათვის არავითარ ხარჯს არ უშინდება. 1911 წ. სახელმწიფოს ხარჯი 178.395.000 ფრანკს უდრიდა; ამ თანხიდან სახალხო განათლებაზე დაიხარჯა 23.598.000 ფრანკი, ე.ი. მთელი ბიუჯეტის 13,4 პროცენტი; თვითეულ ბულგარზე მოდის 5,4 ფრანკი.“ (ბეთანელი, 1912) „ბულგარეთის სკოლა თავისუფალი განვითარების გზას ადგია. იგი მტკიცედ არის დაკავშირებული თვით ხალხის ცხოვრებასთან“. – წერს სტატიის ავტორი და დაწვრილებით აღწერს ვაჟთა და ქალთა გიმნაზიის სასწავლო მოდელს. ყველაზე მნიშვნელოვანი სხვაობა, რაც სტატიის ავტორის ყურადღებას იქცევს, სასწავლო პროგრამებშია, რომელშიც შეტანილია ისეთი თანამედროვე საკითხები, რომლებიც რუსეთის სკოლებში აკრძალულ ხილად ითვლებოდა იმჟამად. „კანონმდებლობის (Законовьденіе) გაკვეთილებზე მოწაფეები ეცნობიან კონსტიტუციონალიზმის და ხალხის სუვერენიტეტის მნიშვნელობას. პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოში განმარტებულია, სხვათა შორის, მარქსის თეორიაც. ბუნებისმეტყველობის პროგრამაში დარვინის თეორიაც შედის. გაერთიანებულ საყოველთაო ისტორიის ერთ განყოფილებაში, რომელსაც სათაურად „წოდებათა ბრძოლა“ აწერია, მოქცეულია ასეთი პუნქტიც: „მუშათა საკითხი. პროლეტარიატის ორგანიზაცია და მისწრაფებანი“ (ბეთანელი, 1912).

სტატიაში ავტორი იძლევა ვრცელ ინფორმაციას ახლად დაარსებული სოფიის უნივერსიტეტის მოწყობის პრინციპისა და სწავლების შესახებ, რომელშიც ჯერ მხოლოდ ხუთი ფაკულტეტი არსებობდა: იურიდიული, ტექნიკური, აგრონომიული, ისტორიულ-ფილოლოგიური, ფიზიკა-მათემატიკური. სამედიცინო ფაკულტეტის გახსნაც იგეგმებოდა, თუმცა ვერ განხორციელებულა აკადემიური პერსონალის დეფიციტის გამო. 1909-1910 სასწავლო წელს სოფიის უნივერსიტეტში სულ 52 პროფესორი და დოცენტი ითვლებოდა. მათგან უმეტესობას განათლება მოსკოვის უნივერსიტეტში ჰქონდა მიღებული. ავტორი ერთ მნიშვნელოვან ტენდენციაზეც ამახვილებს ყურადღებას: „ამ ბოლო დროს ბულგარეთის ახალგაზრდობა უფრო მეტად სხვა ქვეყნების უნივერსიტეტებს ეტანება და რუსეთში კი ნაკლებად მოდის. ეს გარემოება, რასაკვირველია, უცხო ქვეყნების სიახლოვით აიხსნება. გარდა ამისა, ამ უკანასკნელ დროს რუსეთის უმაღლეს სკოლებში, არეულობის გამო, სწავლის საქმე წესიერად ვერ მიმდინარეობს.“ (ბეთანელი, 1912) სტატიაში მოტანილ სტატისტიკურ მონაცემებში ერთ მნიშვნელოვან დეტალზეცაა გამახვილებული ყურადღება: უნივერსიტეტში ქალ სტუდენტთა რიცხვის შესამჩნევ მატებაზე: 1909-1910 სამოსწ. წელს უნივერსიტეტში ითვლებოდა სულ 1232 მოსწავლე, რომელთაგან 278, ანუ 22-23 % ქალი იყო.

როგორც ჩანს, ბალკანური განათლება ქართული საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევდა. ამას მოწმობს 1913 წელს იმავე „სახალხო გაზეთში“ (№788) დაბეჭდილი პუბლიცისტ ბაგრატ ბეთანელის კიდევ ერთი ვრცელი სტატია „განთლება ბალკანეთში“. მასში არაერთი საგულისხმო ფაქტი და სტატისტიკური მონაცემია მოყვანილი, რომელიც სწავლა-განათლების თვალსაზრისით ბალკანეთის ქვეყნების და მათ შორის ბულგარეთის წინსვლის უტყუარ დასტურს წარმოადგენს. ამ მონაცემების მიხედვით 1906 წ. ყოველ 1333 სულზე ერთი პირველდაწყებითი სკოლა მოდიოდა, ხოლო მათში მოსწავლეთა რიცხვი მცხოვრებთა საერთო რაოდენობის 7% შეადგენდა; 1906-1911 წლებში ბულგარეთის სახალხო განათლების ბიუჯეტი 10680 ათასი ფრანკიდან 23598 ათას ფრანკამდე გაიზარდა. ავტორის ცნობით, ამ სტატისტიკურ მონაცემთა წყაროს გაზეთ школа и жизнь-ში დაბეჭდილი ცნობები წარმოადგენს. იმავე წყაროს მიხედვით, მწირი ინფორმაციაა მოცემული სერბეთის განათლების შესახებაც, თუმცა ეს მწირი მონაცემიც მრავლისმთქმელია: 1863 წ. ამ ქვეყანაში ითვლებოდა 318 პირველდაწყებითი სახალხო სკოლა 13565 მოწაფით. 1910 წელს კი ითვლებოდა 1305 სახალხო სკოლა 135574 მოწაფით; ამ წელს სახ. განათლების სამინისტროს ბიუჯეტის ნახევარი მარტო პირველდაწყებით სკოლებზე დაიხარჯა, თითო სახ. სკოლა მოდიოდა ყოველ 2090 სულზე, ხოლო ასეთ სასწავლებლის მოწაფეთა რიცხვი შეადგენდა 5% მთელი მაცხოვრებლებისა. სერბეთში 19 გიმნაზია ანუ „ლიცეუმი“ იყო დაარსებული, რომლის დასრულების შემდეგ მოსწავლეს უნივერსიტეტში შესვლის უფლება ეძლეოდა. ნახსენებია აგრეთვე ბელგრადის უნივერსიტეტი, რომელშიც ათასამდე სტუდენტი სწავლობდა. ავტორი წუხილს გამოთქვამს იმის თაობაზე, რომ დაწვრილებითი ინფორმაცია არ აქვს სერბიის უნივერსიტეტისა და ლიცეების შესახებ, თუმცა იმედს გამოთქვამს, რომ „ამ ქვეყანაშიაც უმაღლესი და საშუალო სკოლა ისეთსავე სასურველ ნიადაგზე იქნება დაყენებული, როგორც ბულგარეთში“. (ბეთანელი, 1913)

პუბლიცისტს არც ბულგარეთისა და სერბეთის სახალხო მასწავლებელთა ღვაწლი დარჩენია ყურადღების მიღმა. თავად პედაგოგმა, მშვენივრად იცოდა, რა წვლილი მიუძღვით მათ ხალხის გათვითცნობიერებასა და სამშობლოს აყვავებაში. ავტორი აღტაცებით საუბრობს ბულგარელ და სერბ ახალგაზრდობაზე, რომლიც სწავლის დასრულების შემდეგ მიეშურება მშობლიურ სოფლებში, რათა შეძენილი ცოდნა თავის ხალხს გადასცეს; ბალკანეთის პატარა ერებზე, სათანადოდ რომ აფასებდნენ სახალხო განათლების დიად მნიშვნელობას და შეთანხმებულად და მეგობრულად ჰკვერავდნენ თავის მომავალს. „ამის შემდეგ თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ბალკანეთში სლავიანთა სახალხო მასწავლებლებმა გაიმარჯვა.“ – დაასკვნის ავტორი.

სტატიაში ბალკანელთა მდგომარეობა სწავლა-განათლების მხრივ შედარებულია ოსმალეთის მდგომარეობასთან, რომელიც ბალკანელთაგან განსხვავებით შეიარაღებაზე გაცილებით მეტ თანხას ხარჯავდა, ვიდრე განათლებაზე; ბალკანელთა უპირატესობის ნათელ მტკიცებულებად ისევ ცხრილის სახით წარმოდგენილ სტატისტიკურ მონაცემებს იშველიებს და ამ მონაცემებზე დაყრდნობით შესაბამისი დასკვნაც გამოაქვს: „ყოველი სახელმწიფოს უმთავრესი ძალა მცხოვრებთა ეროვნულ-კულტურულ სიმტკიცეზეა დამყარებული და არა თოფ-ზარბაზნებზე.“

ზემოთ უკვე ვახსენეთ „სახალხო გაზეთში“ 1912 წ. (N 623,624,625) „ნამის“ ფსევდონიმით დაბეჭდილი პ. სურგულაძის ვრცელი სტატია „ალბანეთი“. სტატიის ბოლო ნაწილი (N 625) თითქმის სრულად ალბანეთის განათლების პოლიტიკას ეძღვნება. როგორც ავტორი გვამცნობს, აქ მცხოვრები კათოლიკე ალბანელების განათლებაზე განსაკუთრებით „ზრუნავდა“ ავსტრია. იეზუიტი და ფრანცისკანელი ბერები მათთვის აარსებდნენ სკოლებს, თავშესაფრებსა და სხვა. თუმცა ეს სკოლები მხოლოდ რელიგიური სწავლებით შემოიფარგლებოდნენ, ამიტომაც დიდი პოპულარობით არ სარგებლობდნენ. განსხვავებული მიდგომა ჰქონდა არანაკლებ აქტიურად „მზრუნველ“ იტალიას. მის მიერ დაარსებულ საერო სკოლებში საღვთო სჯულის მასწავლებლად საერო პირებიც მუშაობდნენ, სადაც მწიგნობრობასთან ერთად რაიმე ხელობასაც ასწავლიდნენ, რაც მეტად იზიდავდა არა მარტო ქრისტიანებს, არამედ მაჰმადიანებსაც. ძველი რეჟიმის დროს თითქმის ყველა ალბანურ ქალაქში არსებობდა თურქული დაწყებითი და საშუალო სკოლები, რომლებშიც დაწყებით საფეხურზე ასწავლიდნენ ყურანის კითხვას, ხოლო საშუალოში მის განმარტებას არაბულ ენაზე. როგორც ავტორი აღნიშნავს, 1891 წ. ალბანელი პატრიოტების მიერ დაარსებული მხოლოდ ერთი ეროვნული ანუ ალბანური სკოლა ფუნქციონირებდა მთელ ალბანეთში.

როგორც პუბლიცისტი აღნიშნავს, ეს არ იყო საკმარისი ალბანელებისთვის, ალბანური ენის დაკარგვის საშიშროებამ მთელი ერი ფეხზე დააყენა: მუსულმანებმა, კათოლიკებმა, ორთოდოქსებმა ერთხმად გადასწყვიტეს მტკიცედ დაეცვათ თავისი უწმინდესი უფლება. გაიმართა სახალხო კრებები სხვადასხვა ქალაქში; ერთმანეთის გვერდით დადგნენ სამივე სარწმუნოების ალბანელები. მათ ჩამოაყალიბეს საერთო მოთხოვნები: „ალბანეთში ოფიციალური ენა უნდა იყოს ალბანური, დაურიგდეს ხალხს ალბანური წიგნები, გაიხსნას ალბანური სკოლები.“ პუბლიცისტი აღტაცებას ვერ მალავს ამ დიდებული მომენტზე საუბრისას და ხაზს უსვამს, რომ ეს ბრძოლა იქცა ასაკისა და რელიგიური მრწამსის განურჩევლად, ყოველი ალბანელის ეროვნულ საქმედ. კერძო შემოწირულობებით გაიხსნა ბევრი საზოგადოებრივი სკოლა. დააარსდა მასწავლებელთა მოსამზადებლად სასწავლებელი.

აქვე ავტორი სიამოვნებით ამცნობს საზოგადოებას ამ ერთობის შედეგს: 1911 წ. მოლაპარაკებების დროს დაყენებული ზემოაღნიშნული მოთხოვნების საფუძველზე, ოსმალეთის მთავრობა იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო და მიეღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც: ყველა ქალაქში, სადაც კი 30 ათასი მცხოვრები იყო, უნდა დაარსებულიყო ლიცეუმები; ბიუჯეტიდან უნდა გამოყოფილიყო ფული სასულიერო სკოლებისათვის; უნდა გაადვილებულიყო სკოლის გახსნის საქმე; დაბალ და საშუალო სასწავლებელში სწავლა უნდა წარმართულიყო მშობლიერ ენაზე.

მართალია ეს გადაწყვეტილება არ შესრულებულა ოსმალეთის ხელისუფლების მიერ, თუმცა ალბანელებს არ გადაუხვევიათ ამ გზისთვის, ვინაიდან, სტატიის ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს იყო შეგნებული ეროვნული ბრძოლის გზა. ესაა გზა შემოქმედებისა, ერთი ხელით ბატონს ასუსტებ, ამარცხებ, მეორე ხელით კი ჰქმნი შენს დაწესებულებებს, შენს ორგანიზაციებს. (ნამი, 1912, სახ. გაზ. №625) ძნელი მისახვედრი არ არის, რომ თავისუფლებისმოყვარე ბალკა-

ნელი ხალხის თავგანწირვით აღფრთოვანებული პუბლიცისტი საკუთარი მკითხველის, ქართული საზოგადოების შესაგონებლად აყალიბებს წარმატების ამგვარ ფორმულას, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე, რომლის ქვაკუთხედი ეროვნული სკოლა უნდა ყოფილიყო.

დასკვნები: ხსენებული პუბლიკაციებიდან ნათლად იკვეთება, რომ მე-20ს. დასაწყისში მოწინავე ქართულ საზოგადოებას კარგად აქვს გაცნობიერებული განათლების გზით ქვეყნის სიდუხჭირიდან დახსნისა და აყვავების იდეის უალტერნატივობა. რომ ევროპული ქვეყნების ეკონომიკური დაწინაურება სწორედ განათლების მნიშვნელობის სწორი შეფასების დამსახურებით მოხდა. აუცილებელი იყო სკოლის რეალური, ძირეულ ცვლილება, რაც ცარისტული რუსეთის გეგმებში არ შედიოდა; რომ ცრუ მოლოდინი აღარ უნდა ჰქონოდა რუსული ბიუროკრატიის მიერ დაგეგმილი რეფორმისგან; თავადვე უნდა ეზრუნა თავის მომავალზე; შეექმნა ეროვნული სკოლის საკუთარი მოდელი, რომელიც მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა გამხდარიყო შეგნებული ეროვნული ბრძოლის გზისა. ნიმუშად და მისაბაძად მიიჩნევდნენ ბალკანური ქვეყნების გამოცდილებას, სადაც საკითხები ეროვნული პრინციპის მიხედვით წყდებოდა და სწავლების მოდელსაც ეროვნულ თვალსაზრისს არგებდნენ. ეს ის გზა იყო, რომელსაც ქართველი განმანათლებლები კვალავდნენ ჯერ კიდევ წინა საუკუნეში – ჭეშმარიტად ეროვნული გზა.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ანდრონიკაშვილი, კ. (1902). „ორიოდე სიტყვა სახალხო განათლების შესახებ“. „ცნობის ფურცელი“. (№1999)
2. ბასილაძე, ი. თავდგირაძე, ლ. (2024). „XX საუკუნის ქართული დიდაქტიკური აზროვნების განვითარების ისტორიის საკითხები“. თბილისი. საჩინო. ნახვის თარიღი 24.04.25. ბმული: https://rustaveli.org.ge/res/docs/0392ccd4a7c8950eca3c1152cf52a5661cb0140c.pdf
3. ბეთანელი, ბ. (1912). „სკოლები ბულგარეთში“. .„სახალხო გაზეთი“. (№748).
4. ბეთანელი, ბ. (1913) „ბალკანეთის სწავლა-განათლება“. „სახალხო გაზეთი“. (N788).
5. კ. ს. (1906). „სწავლა-განათლება და მთავრობა“. „ივერია“. (№22).
6. „ნამი“(სურგულაძე, პ.). (1912). „ალბანეთი“. „სახალხო გაზეთი“ .(N 623-625).
7. რაჭველი ი. (1902). „წერილები ბურგაზიიდან“. „ივერია“. (N96).
8. ყუმისთაველი, ა. (1905). „დროა, ვგონებ ჩვენი შვილების ნორმალურ სწავლა-განვითარებისთვის ვიზრუნოთ!“. „ივერია“. (№1)
9. ცნობის ფურცელი „საშუალო სკოლის რეფორმის კომისიის მოქმედება“.(1901). (№1493).
10. ცნობის ფურცელი. „ისევ სწავლა-განათლების საქმის რეფორმის გამო“. (1901. №1545)
11. ცნობის ფურცელი. (1902) „ორიოდე სიტყვა სახალხო განათლების შესახებ“. (№2003).
12. ცნობის ფურცელი“. (1905). „საშუალო სკოლა რუსეთში“. (№ 2801).
13. ჭავჭავაძე, ი. (1987). პუბლიცისტური წერილები. (ტ IV,გვ.256). თბილისი: საბჭოთა საქართველო.
14. ხრამელი, ა. (1902). „პური თუ სკოლა“. „ცნობის ფურცელი“. (№1818).

EDUCATIONAL PROBLEMS IN THE BLACK SEA CORRESPONDENCES PRINTED IN THE GEORGIAN PRESS OF THE BEGINNING OF THE XX CENTURY

SOPIO MAKHATCHASHVILI
PhD in Philology, assistant professor at
Rize Recep Tayyip Erdogan University
E-Mail: sophio.makhatchasvili@erdogan.edu.tr
ORCID: 0000-0002-5993-3396

Abstract: Issues related to education were actively discussed in the Georgian press since the second half of the 19th century, and they did not lose their relevance even at the beginning of the 20th century. If we follow the publications published in the Georgian press during this period, we will see how the public's interest in the processes taking place in the world in the field of education was growing. From this point of view, the subject of our interest are the publications that are sent from abroad and analyze the current situation in the field of education, and share their experience with the Georgian readers. In this regard, the subject of our interest are those publications that analyze the education policies and educational models existing in the Black Sea countries and, by sharing their experiences, convince Georgian society of the lack of alternative to creating a national school model, which was to become the cornerstone of the struggle for freedom.

Our goal is to understand, with the help of discourse analysis, to what extent these journalistic narratives resonated with the concept of Ilia and what impact the sharing of international experience could have on raising Georgian public awareness. We think that our research will attract the attention of people who are interested in both educational issues and documentary prose and journalism.

Key words: Georgian press, problems of education, discourse.

* * *

Introduction: „ There is nothing new under the sun... This too was in the century before ours.“ – It is impossible not to remember this wisdom read in Ecclesiastes, when you read the publications printed in the Georgian press of the beginning of the last century, through which you get acquainted with the current situation in the field of education in Georgia; Many of the problems, which were hotly debated a century ago, have not lost their relevance to this day, and discussions about them continue today. The Georgian education system, which has been in a process of constant reform and reorganization since the 1990s, is still searching for a formula that will complete the establishment of the national school model once and for all.

"The content, goals and objectives of education and upbringing in every era derive from the goals of public life, socio-economic, political and cultural situation and change in accordance with the state ideology.“ (Basiladze, I. Tavdgiradze, L.2024) – The beginning of the 20th century was a stage of such changes. After the Russian government began talking about the need to implement reforms in the education system, of which the Georgian educational space was a part at the time, thinking, reasoning, and discussion about such an important issue for society became active in the press, which often turned into heated polemics. It was the process of searching for a truly national way to educate the next generation. The progressive-minded society was initially optimistic about the announced reform, expecting real change. „We see that now is a very opportune time to make the desired changes in education, and it is certainly necessary for us to take advantage of this time.“ The government itself is interested in ensuring that education is „established on a normal basis,“ so we must take care of this matter „, and let us show what the school needs in us.“ – we read in one of the publications printed in the „Information Sheet“ in 1901 (№1545).

The Georgian public's interest in the ongoing processes in the field of education was growing. This is evidenced by the extensive correspondence received from various countries around the world, whose authors were familiar with the current situation on the spot, analyzed it, and shared their impressions and views with Georgian readers. The object of this study is those publications that discuss the problems existing in the field of education in the Black Sea countries. Our goal is to understand what trend is observed when discussing the mentioned issues and drawing conclusions. What influence did it have on the formation of the new school concept by Georgian society? What role did the sharing of international experience play in raising public awareness in general?

Research methods: The research will use the comparative method and discourse analysis.

Discussion: „The state interest requires caring for the education of the people, since education is the greatest force that generates the well-being and domestic strength of the people and grants external victory in the cultural struggle waged among peoples.“ In this battle, the uneducated cannot compete with the educated...this alphabetic truth must be grasped by all nations, if they do not want to be eradicated from the back of Mother Earth forever.“ – This excerpt is from the letter of the official body of the Minister of Finance of Russia, quoted in the newspaper „Tsnobis Purtseli“(“Notice Sheet“) by A. In Khrameli's extensive article – „Bread or School“ (1902 №1818).

This is the position of the Ministry of the country which, according to all available statistical data, was considered the most backward in terms of education throughout Europe at that time; of the country, where only 16% of the population knew elementary reading and writing; Only 3% of school-aged children attended school; the situation was worse in the provinces. In the four southern provinces, only 0.7–0.8 per 1,000 people attended school (A. Kumistaveli, 1905); 8,000,000 out of 1,430,000 children of the appropriate age could not study due to lack of schools or poverty; In a country where the circular sent by the Minister of Secular Education, Delyanov, to the guardians of educational districts in 1887 was still in force, according to which the children of representatives of the lower social strata of the population did not have the right to enter school; The state, whose spending on education, according to 1894 data, amounted to only 0.4% of the budget, or 5 rubles per student per year.

As the publicist K. Andronikashvili writes in „Tsnobis Purtseli“ (“Notice Sheet“) in 1902. (№1999) in the published article – „A few words about public education“ – „In Russia, too, the government has made sure that knowledge and education in the hands of the working people are the tools by which the state is economically empowered, the nation itself flourishes“. It seems that the publicist still believed in the Russian government's good sense and sincerity and, like a part of Georgian society, was optimistic about the announced reform. This optimism can be read in other publications, the number of which has increased significantly since 1901, which indicates a sensitive attitude of the public towards the topic. The materials printed in the newspapers „Iveria“, „Tsnomis Purtselsa“ and „Sakhalkho Gazeti“, which are the main targets of our research, give us the basis for saying this.

The newspaper „Tshobis Purtseli“ in 1901 (№1493) published an article titled „The Actions of the Secondary School Reform Commission“ that announced to the public that the assembled reform commission had already completed its work and had already presented the first action plan to be implemented in 1901-1905 on June 9.

The reform plan, so urgently developed, meant the following changes: From the 1901-1902 school year, Latin was to be eliminated from the first and second grades and Greek from the third and fourth. In the remaining classes, studies were to continue as usual this year. Instead of the excluded subjects, natural science and geography should be taught in the first two grades. In real schools, history teaching should be introduced in the first and second grades and mathematics courses should be expanded in the first grade and geography and natural sciences in the second. In the 1902-1903 academic year, the first five grades of gymnasiums were to be replaced, and in 1903-1904, the remaining three. Finally, in 1905, the eighth grade was to be abolished, and the change would end there.

These changes, which yielded almost nothing, certainly caused dissatisfaction among Georgian society, which was waiting for real changes. Naturally, it would not have been possible to reform the Russian education system, which has the status of the most backward country in terms of education, with a single wave of the hand, and the government was not interested in the needs of the national school. However, the press did not spare any effort in „this cause.“ This is evidenced by the numerous materials published in „Iveria“ and „Rznosi Purtsil“ in 1901-1905, that is, during the reform period, on the principles of school organization; on different models of reform or reorganization of the existing education system. In particular, they focused on the unsuitability and backwardness of the Russian education model. They cited statistical data from materials printed in Russian newspapers themselves. We are unable to verify how real this data was and whether the verified sources are authentic due to lack of access to these archival materials, although these figures add credibility to the narratives of Georgian publicists.

In the article „A Few Words on Public Education“, which was published in the newspaper „Tsnomis Purtselts“ in 1902 (№2003), in order to make Russia's position in the international educational space clearer to the public in terms of education, K. Andronikashvili examines statistical data from a letter by Acad. Yanzhuli (from the book: „Экономическая оцъенка народного оброзованія“, – 1899г.), In which it is clearly seen how insignificant the „care“ shown by the Russian government for the spread of knowledge actually looks in the background of the expenses spent on education by advanced countries, which was properly reflected in the result: „... In England, in 1894, 87 million rubles were set aside for schools; There were 181 pupils per thousand inhabitants, or 18 pupils per hundred; in France – 1895 – the expenditure was more than 70 million, there were 15 pupils per hundred inhabitants. In the United States – 1895 – 331 million. m. There were 20 pupils per hundred inhabitants; in Russia in 1896 the expenditure was 23 million. m. and there were 3 pupils per hundred inhabitants, much less than in Japan, where there were 8 pupils per hundred. While in England – 20 m., in France – 10 m., in the United States – 20 m., only 5 m. is spent in Russia. In the United States, a public school teacher is paid 1000 m a year, in Russia 200 m. The literacy rate in France is 85%, in England – 90%, in the United States – 92%, in Switzerland – 95%, in Germany – 98%, in Russia only 16%, that is, 84 people out of a hundred cannot read or write. Agree, these are impressive figures. In many other publications, such statistical data are collected from official documents or materials printed in the Russian press. Everything served one purpose – to show the public a real picture of our miserable existence, so that it would no longer have false expectations from the reforms planned by the government and implemented by the Russian bureaucracy, and would take care of its own future: „Among all the countries in Europe, Russia ranks last in terms of education... Today, such a stagnant policy will not serve us. Today, when all of humanity expects salvation and help from education, we also need to take care of the education of our children.“ – wrote A. Kumistaveli 1905. In the article printed in „Iveria“ (№1) newspaper – „I think it's time to take care of our children's normal learning and development!“

The Georgian press was not limited to sharing its own experiences or introducing publications published in the Russian press to Georgian readers; It was not content with analyzing the problems in the education system of various parts of Russia. As mentioned above, Georgian society knew very well that the Russian education system was the most backward compared to European countries and its school model was completely insufficient for „normal learning and development.“ It was important to share the experience of those countries that were advanced economically thanks to education. The authors of these articles tried to clearly demonstrate to the reader the cause-and-effect relationship that existed between the state's efforts to raise education to the appropriate level and the country's economic prosperity. They discussed the path taken by this or that country to the advanced position. He was interested in the education policy of European countries – Germany, France, England, Switzerland, Austria, Belgium, Prussia, Finland, etc., as well as the United States of America, Canada, Japan and China. They analyzed existing education models and tried to find a formula for creating their own model of a national school.

As expected, nothing has really changed with the reform planned by the Russian government. However, these publications played a role in raising public awareness. In the article „Secondary School in Russia" published in the newspaper „Tshonis Purtseli" in 1905 (№ 2801), we read: „The press clearly showed everyone the real reason for the unfitness of the modern school. And the ministry also took action: He publicly acknowledged the unfitness of the school, started looking for ways to improve it, and asked knowledgeable persons. The ministry collected inconclusive material, but... but... nothing came of it. The ministry knew very well how the school should be changed, but it did not want to change it, and it is not possible that it would want to." Of course, the fundamental change in the school, which was necessary, was not at all in the interests of Tsarist Russia.

1906 In the letter „Study-Education and Government" printed in „Iveria" (№22), the author is K. S. He declares the government, which does not think about people's education and keeps people in ignorance, as the enemy of the people. As a basis for this, he cites deplorable statistics, which show the backwardness of the Russian education system in all respects, even after the end of the reform, compared to other countries. Not if in the economically advanced countries of Europe, „even in the Ottoman Empire, according to the number of people, more children will go to school than in Russia" – The author of the article notes (although none of the statistics presented by him show Ottoman data. Nor was any article published directly about the Ottoman education system in the Georgian press of the time).

In the later period – the ongoing political processes in Russia: the Russo-Japanese war, the revolution of 1905-1907 and the years of reaction overshadowed the relevance of the topic of education reform in the Georgian press, which was also reflected in the number of articles printed in 1907-1908. Added to this was the closure of the newspaper „Iveria". Since 1911, discussions on the problems and prospects in the field of education have become more active on the pages of the „People's Newspaper".

Following the events in the Balkans, the Georgian public has focused particular attention on the education models of the Balkan countries, countries that, while fighting for independence and sovereignty, saw education as the path to the country's salvation. This path was so familiar and desirable to Georgian society. Several extensive articles testify to this interest, namely: I. Rachveli's „Letters from Burgasia" ("Iveria", 1902, No. 96); P. Surguladze's article „Albania" ("Sakhalkho Gazeti", 1912, No. 623, 624, 625), published under the pseudonym Nami; B. Bethaneli's „Schools in Bulgaria" ("Sakhalkho Gazeti", 1912, No. 748) and „The State of Education in the Balkans" ("Sakhalkho Gazeti", 1913, No. 788) and others.

The newspaper „Iveria" published an article by the famous publicist Iase Rachveli, „Letters from Burgasia," in 1902 (N96), in which he describes the socio-political situation in Bulgaria at that time and provides interesting information about education there. If we believe the author, by 1902, 65% of Bulgarians were literate. How did a country that had not long ago thrown off the yoke of slavery and gained independence reach this result? Iase Rachveli draws attention to the steps taken by the state: After gaining independence, the Bulgarian government issued a decree according to which all citizens living in Bulgaria for fifteen years were obliged to learn to read and write Bulgarian. Otherwise, he would not be able to participate in the elections. In addition, „education was made compulsory among Bulgarians. „Every Bulgarian is obliged to send their children to school, or they will be fined. A thirteen-year-old child, whether a girl or a boy, studies at the expense of his parents, and then, those who can afford it, enter a higher education institution either at their own expense or at state expense," the author writes.

The Georgian press actively followed the events taking place in the Balkans in 1912-1913 with particular interest, regularly publishing detailed information related to them. „Bulgaria has completely escaped the Russian protectorate, and today it represents a powerful, independent policymaker, economically and culturally growing state every day." – P. Surguladze wrote under the pseudonym „Nami" in the article „Albania" published in the „Sakhalkho Gazeti"("People's Newspaper") (1912, No. 623). With these words, it is directly stated why Georgian society sympathized with the national liberation movement of the Balkans. It was admirable the spirit of the Balkan people, who so selflessly yearned for freedom and, despite the common desire of the great powers of Europe, their issue was resolved according to the national principle.

The author of the article agrees with the opinion of the French philosopher Alfred Fourier from his works – „Education from a National Perspective“: „It was only the German generals who were defeated, when they won with the weapons of the French... We lost against Kant and Fichte, Goethe and Schiller, Alexander Humboldt, Haus and Bismarck, Lamoltke“, that is, the German public teacher won in the Franco-German war – He considers this opinion to be true and adds: „Woe to the enslaved person who does not understand, woe to the slave who cannot or does not want to confront his master's culture with his culture.“ (Nami, №265)

Publicist b. Bethaneli, in his extensive article „Schools in Bulgaria“ (1912, №748), published in the „Public Gazette“, talks about the model of the Bulgarian education system, a country which, as the creator of the mighty victory of the Balkan Slavs, appeared in the current world and attracted the attention of all mankind with its spiritual strength and love for the homeland „to the highest point“. „Such strength is created by the work of education and upbringing, if it is placed on suitable soil and if the school is closely connected to life and sufficiently satisfies the spiritual needs of students and youth,“ the author writes.

What made the Bulgarian school unique, what causes the publicist's attitude? The author notes at the very beginning that when discussing the state of Bulgarian schools, he uses the information in the articles of Prof. Kareev and others published in the Russian newspaper „Школа и Жизнь“ that he has at his disposal as a source. He has not personally visited a Bulgarian school. However, the experienced teacher himself, based on the materials available to him, did not prevent him from seeing the significant difference between our school and the Bulgarian school model. He emphasizes the importance of the state's attitude in the success of the education system and believes that Bulgaria's advancement and taking a place of honor in terms of education is due solely to the correct policy of the state. He uses statistics to illustrate this: „Bulgaria is a democratic country. It has never spared any means to put education on a regular basis... For this, no expense is spared. In 1911, state expenditure amounted to 178,395,000 francs; of this amount, 23,598,000 francs were spent on public education, i.e. 13.4 percent of the entire budget; 5.4 francs per Bulgarian.“ (Bethanelli, 1912) „Bulgarian school is on the path of free development. It is firmly connected with the life of the people themselves“, – The author of the article writes. He describes in detail the educational model of the boys' and girls' gymnasium. The most important difference, which draws the attention of the author of the article, is in the curriculum, which includes such modern issues that were considered forbidden in Russian schools at that time. „During the lessons of legislation (Законовьдение), students are introduced to the importance of constitutionalism and the sovereignty of the people. In the textbook of political economy, the theory of Marx is also explained, among others.“ The natural science program also includes Darwin's theory. In one section of the United General History, which is entitled „The Struggle of the Ranks“, there is also such a paragraph: „The workers' question. The organization and aspirations of the proletariat“ (Bethanelli, 1912).

In the article, the author provides extensive information about the principles of organization and teaching of the newly founded Sofia University, which at first only had five faculties: Technical, Agronomic, Historical-Philological, Physical-Mathematical, Legal. As the author notes, it was also planned to open a medical faculty, although its implementation was hindered by the lack of academic staff.As for academic staff, the author notes that in the 1909-1910 academic year, Sofia University had a total of 52 professors and associate professors. Most of them were educated at Moscow University, and they draw attention to one important trend: „Recently, Bulgarian youth has been increasingly attending universities in other countries and coming to Russia less. This circumstance, of course, is explained by the proximity of foreign countries. In addition, in recent times, due to unrest in Russian higher schools, the study process has not been carried out properly.“ (Bethanelli, 1912)In the statistical data presented in the article, attention is also focused on one important detail: on the noticeable increase in the number of female students in the university: 1909 – 1910 semester. This year, the university had a total of 1232 students, of which 278, that is, 22-23% were women.

It seems that Balkan education was of great interest to Georgian society. This is evidenced by another long article of publicist Bagrat Bethaneli „Education in the Balkans“ published in the same „Sakha-

lkho Gazeti“ (№788) in 1913. It contains a number of significant facts and statistical data, which are unmistakable evidence of the progress of the Balkan countries, including Bulgaria, in terms of education. According to these data, in 1906 there was one primary school for every 1,333 inhabitants, and the number of pupils in them was 7% of the total number of inhabitants; between 1906 and 1911 the budget for public education in Bulgaria increased from 10,680 thousand francs to 23,598 thousand francs. According to the author, the source of these statistical data is information published in the newspaper „Школа и Жизнь“. The same article, according to the same source, also provides scant information about education in Serbia, although even this scant data is telling: in 1863, there were 318 primary public schools in this country with 13,565 students. In 1910, there were 1,305 public schools with 135,574 students; This year, the Half of the budget of the Ministry of Education was spent on primary schools alone, each There was a school for every 2,090 people, and the number of students in such a school was 5% of the total population. In Serbia, 19 gymnasiums or „lyceums“ were established, after the completion of which the student was given the right to enter the university. The University of Belgrade is also mentioned, in which about a thousand students studied. The author regrets that he does not have detailed information about the university and lyceums in Serbia, although he expresses the hope that „in this country, too, high and secondary schools will be placed on the same desirable basis as in Bulgaria.“ (Bethanelli, 1913)

The publicist did not leave the merits of the public teachers of Bulgaria and Serbia unnoticed. The teacher himself was well aware of the contribution they made to the self-awareness of the people and the prosperity of the homeland. He draws important parallels between the teachers there and those in our country: the author speaks with admiration about the Bulgarian and Serbian youth who, after finishing their studies, rush to their native villages to pass on the knowledge they have acquired to their people; About the small nations of the Balkans, who duly appreciated the great importance of public education and in a coordinated and friendly manner were discussing their future. „After this, we can boldly say that in the Balkans the public education of the Slavs won,“ the author concludes. The article compares the situation of the Balkans in terms of education with the situation of the Ottoman Empire, which, unlike the Balkans, spent much more money on armaments than on education; He again uses statistical data presented in the form of a table as further evidence of the superiority of the Balkans, and based on this data, he draws the appropriate conclusion: „The main strength of every state is based on the national-cultural strength of its inhabitants, and not on cannons.“

Above, we have already mentioned in the „People’s newspaper“ 1912. (N 623,624,625) P. printed under the pseudonym of „Nami“. Surguladze’s long article „Albania“. Political processes in the Balkans are analyzed in it. The last part of the article (N 625) is almost entirely devoted to the Albanian education policy. As the author informs us, Austria „took special care“ of the education of Catholic Albanians living here. Jesuit and Franciscan monks established schools, shelters, and other facilities for them. However, these schools were limited to religious instruction, and were not very popular. Italy, which was no less actively „caring,“ had a different approach. In the secular schools founded by him, secular people also worked as teachers of the divine law, where along with writing, they also taught some crafts, which attracted not only Christians, but also Muslims. During the old regime, almost every Albanian city had Turkish primary and secondary schools, where the reading of the Quran was taught at the primary level and its interpretation in Arabic at the secondary level. As the author points out, in 1891 Only one national Albanian school, founded by Albanian patriots, functioned in the whole of Albania.

As the publicist notes, this was not enough for the Albanians, the danger of losing the Albanian language brought the entire nation to its feet: Muslims, Catholics, and Orthodox unanimously decided to firmly defend their sacred right. Public meetings were held in various cities; Albanians of all three faiths stood side by side. They formulated common demands: „The official language in Albania should be Albanian, Albanian books should be distributed to the people, Albanian schools should be opened.“ The publicist cannot hide his admiration when talking about this glorious moment and emphasizes that this struggle has become a national cause for every Albanian, regardless of age or religious belief.

Many public schools were opened with private donations. A school for the training of teachers was founded. Here, the author is pleased to inform the public of the result of this unity: In 1911, based on the above-mentioned demands made during the negotiations, the Ottoman government was forced to make concessions and make a decision according to which: Lyceums were to be established in every city with a population of 30,000; money was to be allocated from the budget for theological schools; the opening of schools was to be facilitated; education in primary and secondary schools was to be conducted in the native language.

Although this decision was not implemented by the Ottoman authorities, the Albanians did not deviate from this path, because, in the words of the author of the article, this was the path of conscious national struggle. This is the way of creation, with one hand you weaken and defeat the master, and with the other hand you create your institutions, your organizations. (Nami, 1912, Sakh. Gaz. № 625) The publicist, impressed by the self-sacrifice of the freedom-loving Balkan people, formulated a formula for success, a kind of recommendation, for the admonition of his readers, the Georgian society, which the national school should use on its path of struggle.

Conclusions: It is clear from the aforementioned publications that at the beginning of the 20th century, the advanced Georgian society was well aware that there was no alternative to the country's salvation from poverty and prosperity through education. It knows exactly that the reason for Russia's backwardness was the wrong education policy. The economic advancement of European countries was due to the correct assessment of the importance of education. A real, fundamental change in the school system was necessary, which was not part of the plans of Tsarist Russia; it would ignore neither the real education of the people nor national interests; Sadzogadeba realized that he should no longer have false expectations from the reform planned by the Russian bureaucracy; the idea was already ripe to take care of its own future; They had to create their own model of a national school, which was to become an important part of the path of conscious national struggle. They looked to the experience of Balkan countries with similar fates as a model and example, where issues were resolved according to national principles and the teaching model was also based on a national perspective. This was the path that Georgian educators had been following since the previous century – a truly national path.

Sources and literature used:

1. Andronikashvili, K. (1902). „A Few Words on Public Education". „ Tsnobis furceli ". (№1999)
2. Basiladze, I. Tavdgiradze, L. (2024). „Issues of the History of the Development of Georgian Didactic Thought in the 20th Century". Tbilisi. Sachino. Date of View 24.04.25. Link: https://rustaveli.org.ge/res/docs/0392ccd4a7c8950eca3c1152cf52a5661cb0140c.pdf
3. Bethaneli, B. (1912). „Schools in Bulgaria". ." Saxalxo gazeti ". (№748).
4. Bethaneli, B. (1913) „Balkan Education". „ Saxalxo gazeti ". (N788).
5. K. S. (1906). „Education and Government". „Iveria". (№22).
6. „Dew" (Surguladze, P.). (1912). „Albania". „ Saxalxo gazeti ". (N 623-625).
7. Rachveli I. (1902). „Letters from Burgas". „Iveria". (N96).
8. Kumistaveli, A. (1905). „It is time, I think, to take care of the normal education and development of our children!". „Iveria". (№1)
9. „Tsnobis furceli". „The Actions of the Secondary School Reform Commission". (1901). (№1493).
10. Tsnobis furceli."Again, because of the reform of the education and training case".(1901. №1545)
11. „Tsnobis furceli." (1902) „A few words about public education". (№2003).
12. „ Tsnobis furceli ". (1905). „Secondary school in Russia". (№ 2801).
13. Chavchavadze, I. (1987). Publicistic letters. (Vol. IV, p.256). Tbilisi: Soviet Georgia.
14. Khrameli, A. (1902). „Bread or School". „Tsnobis furceli". (№1818).

ერთი ისტორიულ-დოკუმენტური ხასიათის ამერიკული რომანი საქართველოს შესახებ

ოთარ ნიკოლეიშვილი
ისტორიის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი
ელ-ფოსტა: otar.nikoleishvili@gmail.com
ORCID: 0009-0009-1720-2040

აბსტრაქტი: ჩვენს ქვეყანას სხვადასხვა დროს არაერთი საინტერესო პიროვნება სწვევია. გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩვენს ქვეყანაში სტუმრად მყოფ ასეთ საპატიო პიროვნებათა შორის იყო ცნობილი ამერიკელი მწერალი რობერტ დევიდ კაპლანი. გარდა საქართველოსა, იმ დროისათვის მან ასევე იმოგზაურა ბალკანეთის ქვეყნებში, ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიაში და ამ მოგზაურობის შედეგად მიღებული შთაბეჭდილებები საინტერესოდ ასახა რომანში – „აღმოსავლეთით – თათრეთისაკენ.“ დასახელებული რეგიონების ქვეყნებში არსებული მდგომარეობის აღწერასთან ერთად, რომანში საგულისხმო ადგილი აქვს დათმობილი საქართველოს ისტორიისა და გასული საუკუნის 90-იან წლებში აქ არსებული ვითარების ასახვასაც. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელი მწერლის რომანში ჩვენი ქვეყნის ისტორიული ყოფა და თანადროული სინამდვილე ძირითადად სწორადაა აღწერილი, აქვე არც ის ფაქტი შეიძლება დავტოვოთ უყურადღებოდ, რომ ცალკეული საკითხები ავტორს ცალმხრივად აქვს გააზრებული. ქართული რეალიების წარმოსახვის დროს რ. კაპლანის რომანში არსებულ ამგვარ ხარვეზებზე ყურადღება იმიტომაც უნდა გავამახვილოთ, რომ არაქართველ მკითხველთა გარკვეულმა ნაწილმა სწორედ ამ და მსგავსი ნაწარმოებებით შეიძლება მიიღონ ის ინფორმაცია, რომლის შედეგადაც არასწორი წარმოდგენა შეექმნებათ ჩვენი ქვეყნის წარსულსა და თანამედროვე მდგომარეობაზე.

საკვანძო სიტყვები: საქართველო; აშშ; ისტორია; პოლიტიკა;

* * *

შესავალი: ჩვენს ქვეყანას არაერთი საინტერესო პიროვნება სწვევია. ეს ვიზიტები კიდევ უფრო ინტენსიური, საბჭოთა კავშირის რღვევისა და საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის კვლავ მოპოვების შემდეგ გახდა. ერთ-ერთ ასეთ საინტერესო პიროვნებას ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტი და ანალიტიკოსი რობერტ დავიდ კაპლანი წარმოადგენს, რომელიც ჩვენს ქვეყანას XX საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს სტუმრობდა.

მეთოდები: წინამდებარე ნაშრომში უმთავრესად გამოყენებულია ისტორიციზმისა და კომპარატივიზმის მეთოდოლოგიური პრინციპები.

მსჯელობა/შედეგები: რობერტ კაპლანის რომანში „აღმოსავლეთით – თათრეთისაკენ“, გადმოცემულია თავად ავტორის ბალკანეთში, ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიაში მოგზაურობის შთაბეჭდილებები. სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მასში, ჩვენი ქვეყნის ისტორიის ძირითად მოვლენებზეცაა გამახვილებული ზოგადი ყურადღება. გამოთქმულ მოსაზრებათაგან ვხვდებით როგორც საყოველთაოდ დამკვიდრებულ, ასევე ბევრ სადავო შეხედულებებს. მაგალითად, ჩვენი ქვეყნის ადგილმდებარეობისა და სახელწოდების შესახებ ავტორი სწერს:

„საქართველო ამერიკული სტანდარტის მიხედვით პატარა ქვეყანაა, 5.6 მილიონიანი მოსახლეობითა და დაახლოებით დასავლეთ ვირჯინიის სიდიდის ტერიტორიით... დედაქალაქი თბილისი მტერთაგან ოცდაცხრაჯერ ყოფილა აოხრებული. ის მდებარეობდა „კავკასიის მთაზე“, რომელზეც ზევსის მიერ პრომეთე იქნა მიჯაჭვული და არწივისგან მუდმივად დაკორტნილი...

უძველეს ხანაში აღმოსავლეთ საქართველოს თავად ქართველები ქართლს უწოდებდნენ, ხოლო უცხოელები კი მას იბერიად მოიხსენიებდნენ, იმავე სახელით, რომელიც დღესდღებით ესპანეთს უკავშირდება. ერთ-ერთი თეორიის მიხედვით, სახელწოდება ***გეორგია*** მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან ***გეო („მიწა“)***, რადგან, როდესაც ძველი ბერძნები საქართველოში პირველად შემოსულან, მათთვის წინააღმდეგობა მიწათმოქმედ ადამიანებს გაუწევიათ“ (*Kaplan*, 2000; 228).

ჩემი აზრით, ავტორის მიერ მოყვანილი ზოგიერთი მოსაზრება საკამათოა და იგი დაზუსტებას საჭიროებს, კერძოდ კი, საქართველოს დედაქალაქთან დაკავშირებით მოყვანილი ფაქტები. ვფიქრობ, თბილისის ისტორიული ადგილმდებარეობის „კავკასიის მთაზე“ განსაზღვრა არასწორია და საერთოდაც ქალაქის ისტორიას პრომეთეს ლეგენდარულ მითთან ნაკლებად აქვს რაიმე საერთო. ჩემი აზრით, ასევე დაზუსტებას საჭიროებს ის ფაქტიც, თუ რა მასალებზე დაყრდნობით გადმოგვცემს ავტორი, რომ „თბილისი მტერთაგან ***ოცდაცხრაჯერ*** ყოფილა აოხრებული“.

ძალზე საინტერესოა ავტორის მიერ რომანში გამოთქმული მოსაზრებები ქართულ ენასთან და დამწერლობასთან დაკავშირებით. მეტი სიცხადისათვის, მოვიყვან შესაბამის ფრაგმენტს წიგნიდან:

„მიუხედავად იმისა, რომ ქართველები კაცობრიობის მხოლოდ ერთ მეათასედს შეადგენენ, მათ მაინც შეძლეს მსოფლიოს თოთხმეტი ანბანიდან ერთ-ერთის შექმნა. მათი მრგვლოვანი მოყვანილობის ფიგურები ჩვენს წელთაღრიცხვამდე V საუკუნიდან იღებს სათავეს, სავარაუდოდ არამეულის სემიტური დიალექტისგან, ანუ იმ ენისგან, რომელზეც იესო საუბრობდა... მიუხედავად მხოლოდ ერთი ანბანისა, არსებობს სამი ქართველური ენა, ესენია: ქართული, საქართველოს დასავლეთ ნაწილში მეგრული, ხოლო ჩრდილოეთით მთიანეთში კი – სვანური. ისტორიულ საქართველოში, ჩრდილო-დასავლეთით ასევე ცხოვრობდნენ კავკასიურ ენათა ჯგუფის – აფხაზურად, ხოლო ჩრდილოეთით, ირანულ ენათა ოჯახის – ოსურად მოსაუბრე მოსახლეობა; ქვეყნის სამხრეთით კი სომხურ და თურქულ ენოვანი მაცხოვრებლები იყვნენ წარმოდგენილნი“ (*Kaplan*, 2000; 228, 229).

ციტირებულ ფრაგმენტში, საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებთან ერთად ბევრ სადავო შეფასებასაც ვხვდებით. მაგალითად, ქართული ენისა და დამწერლობის წარმოშობის შესახებ გამოთქმული მოსაზრებანი ერთ-ერთია, რომელიც დაზუსტებას საჭიროებს. ასევე კატეგორიულად მიუღებლად მიმაჩნია ის შეხედულება, თითქოს აფხაზურ, თუ ოსურ ენებზე მოსაუბრენი მხოლოდ ისტორიულ საქართველოში ცხოვრობდნენ. მიუხედავად, ჩვენი ქვეყნის მიერ ჯერ კიდევ მოუგვარებელი ტერიტორიული პრობლემებისა, აფხაზეთიც და ე.წ. სამხრეთ ოსეთიც სამართლებრივად კვლავაც საქართველოს იურისდიქციის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევა, აღნიშნულ რეგიონებში კი, ზემოთ ნახსენებ ენებზე დღევანდელი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი საუბრობს.

საკმაოდ საინტერესო და რამდენადმე სადავო მოსაზრებებია გამოთქმული საქართველოში ცარისტული რუსეთის ბატონობის პერიოდთან დაკავშირებით. ავტორის არცთუ მთლად მართებული შეფასებით, თურქთა და ირანელთა ბატონობისაგან განსხვავებით, რუსეთის მმართველობის შედეგად ქვეყანა მოდერნიზაციის გზაზე დადგა, მისი მოსახლეობა კი მკვეთრად გაიზარდა. იმ დამანგრეველ შედეგებთაგან კი, რომელიც ამის შედეგად, თუ საფასურად ჩვენმა ქვეყანამ მიიღო, მხოლოდ ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება და გლეხთა აჯანყებების ჩახშობაა მოხსენიებული. რეალურად კი, როგორც ცნობილია, საქართველომ სახელმწიფოებრიობის ყველა ის ეროვნული ნიშა დაკარგა, რომელიც ყველა, თუნდაც სუვერენიტეტის არმქონე სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს. ასეთად კი, უპირველეს ყოვლისა, მშობლიურ ენაზე სწავლების და წირვა-ლოცვის აკრძალვა შეიძლება მივიჩნიოთ.

იმისათვის, რათა მეტი წარმოდგენა შეგვექმნას ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით ავტორის პოზიციაზე, მოვიყვან შესაბამის ციტატას რომანიდან:

„... 1801 წელს, ალექსანდრე I-მა საქართველო იძულების გზით შეუერთა რუსეთის იმპერიას... მეცხრამეტე საუკუნის რუსმა მეფეებმა სწრაფად დააყენეს საქართველო მოდერნიზაციის გზაზე. თურქთა და ირანელთა ბატონობასთან შედარებით, რუსების მმართველობის უპირატესობის ეჭვქვეშ დაყენება თუნდაც იმიტომ არ შეიძლება, რომ საქართველოს მოსახლეობამ XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში 500 ათასიდან 2,5 მილიონამდე მიაღწია. მიუხედავად ამისა, მათ გარკვეული ხარკის გადახდა მოუწიათ ამისთვის. მაგალითად, საქართველოს ეკლესია და თა-

ვადაზნაურობა რუსეთის ინსტიტუციებს იქნა დაქვემდებარებული, ხოლო გლეხთა აჯანყებები კი – უმკაცრესად ჩახშობილნი“ (*Kaplan*, 2000; 230).

ძალზე საინტერესო შეფასებებსა და შედარებებს ვხვდებით დ. კაპლანის მხრიდან ზვიად გამსახურდიას შესახებ. ვფიქრობ, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ რომანში ზემოხსენებული საკითხების შესახებ მოყვანილი ფაქტების უმრავლესობა მკვეთრად უარყოფითი ხასიათისაა, როგორც პიროვნულად პირველი პრეზიდენტის, ისე ზოგადად მისი მმართველობის მიმართ. უფრო მეტიც, ზოგ შემთხვევებში რომანის ავტორი შეურაცხმყოფელი ეპითეტების გამოყენებასაც კი არ ერიდება პირველი პრეზიდენტის გარემოცვის დახასიათების დროს. ყოველივე ზემოთქმულის დასტურად, მოვიყვან შესაბამის ადგილს წიგნიდან:

„ზვიად გამსახურდია XX საუკუნის დიდი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას ვაჟი გახლდათ. 1970-იან წლებში ახალგაზრდა გამსახურდია იყო ამერიკული ლიტერატურის ლექტორი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც იგი სათავეში ჩაუდგა საპროტესტო მოძრაობას საბჭოთა ბატონობის წინააღმდეგ. შედეგად ზვიადი ჯერ დააპატიმრეს, შემდეგ კი გადაასახლეს. მაგრამ, აღსანიშნავია, რომ მისი დისიდენტობა რადიკალური ნაციონალიზმით იყო განპირობებული და არა კომუნიზმისადმი მორალური დაპირისპირებით... მის ეჭვიან მეუღლე მანანას – „მდაბიო“, „მეტისმეტად არასიმპატიურ ქალს“, როგორც მას უწოდებდნენ ხოლმე, ძალზე დიდი გავლენა ჰქონდა ზვიადზე.

...გამსახურდია ხელისუფლებაში საბჭოთა კავშირის რღვევის დაწყებისთანავე მოდის. სწორედ კავკასია და არა აღმოსავლეთ ევროპა იყო ის რეგიონი, სადაც უწყვეტი ანტისაბჭოთა საპროტესტო აქციები დაიწყო... 1989 წლის 9 აპრილს საბჭოთა ჯარისკაცემის მიერ ქართველ მომიტინგეთა დარბევის შემდეგ გამსახურდიას ნაციონალისტური ფრთა კიდევ უფრო შორდება კრემლს და მოდის ხელისუფლებაში. 1990 წელს გამსახურდია საპარლამენტო არჩევნებში ამარცხებს კომუნისტებს, ხოლო მომდევნო წელს კი, მას პრეზიდენტად ირჩევენ. პირადი დაცვითა და ავი ძაღლებით გარშემორტყმულმა პრეზიდენტმა დააპატიმრა მისი ადრინდელი ნაციონალისტი თანამებრძოლები. ამასთანავე, ეყრდნობოდა რა წამქეზებლებს, მაფიოზებსა და მის მეუღლეს, გამსახურდიას დროს ქვეყანაში გაღვივდა ეთნიკური დაპირისპირების ცეცხლი. ყველაფერმა ამან კი, იგი მაკბეტად აქცია. გამსახურდიას არჩევიდან რამდენიმე თვის შემდეგ, 1991 წლის მიწურულს, ქვეყანა სამოქალაქო ომმა მოიცვა, რომელმაც გაანადგურა ქალაქები, შეუძლებელი გახადა სახელმწიფოს შიგნით გადაადგილება და დაანგრია ეკონომიკა (*Kaplan*, 2000; 233-234).

აღსანიშნავია, რომ უძველესი ეპოქებისგან განსხვავებით, ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაზე საუბრის დროს დ. კაპლანი არა მხოლოდ კონკრეტულ წყაროებს, თუ ლიტერატურას ეყრდნობა, არამედ საქართველოში იმხანად მყოფი ექსპერტებისა და უშულოდ იმ მოვლენების ეპიცენტრში მყოფ პიროვნებათა მოსაზრებებსაც. მაგალითად, დ. კაპლანი შეხვდა და ესაუბრა ლევან ალექსიძეს, ალექსანდრე რონდელსა და იმდროინდელ სხვა მოღვაწეებს. გარდა ზემოხსენებული პიროვნებებისა, ამერიკელ მწერალსა და ანალიტიკოსს ზოგიერთი პიროვნებისა თუ ფაქტის შესახებ ისტორიულ ექსკურსს მისი თარჯიმანი ეკა ხვედელიძეც უწევდა. აღსანიშნავია, რომ ამ პიროვნებათა მიერ გამოთქმული შეხედულებანი მწერლისათვის ნაკლებსაყურადღებოდ არ დარჩენილან და მათ მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობათ წიგნში, ციტირების სახითაც კი. ნათქვამის დასტურად, ამჯერად, მხოლოდ ორ შესაბამის ადგილს დავიმოწმებ რომანიდან, სადაც საქართველოს პირველი პრეზიდენტის პიროვნების შესახებაა შეფასებები გამოთქმული.

მაგალითად, საქართველოში რობერტ კაპლანის თარჯიმნისა და გიდის, ეკა ხვედელიძის შეფასებით, „ზვიად გამსახურდია როკ ვარსკვლავივით იყო. მისი მხარდამჭერი ქალებიდან ბევრს, თქვენ შეამჩნევდით ფსიქოლოგიურ დაღს სახეზე. მათ თავიანთი ქცევით ეტყობოდათ, რომ უმრავლესობა დაუქორწინებელი, ან არაწარმატებული ქორწინების მსხვერპლნი იყვნენ და ისინი ზვიადზე იყვნენ შეყვარებულნი. სრული სერიოზულობით ვამბობ, რომ ისინი ახლაც ელოდებიან ზვიადს თეთრ ცხენზე ამხედრებულს საფლავიდან მომავალს“. მიუხედავად ზემოთ ციტირებულ მოსაზრებათაგან ძალზე ბევრი სადავო, თუ მიუღებელი პოზიციისა, მათ რომანის ავტორზე იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია, რომ მას „რუმინეთის ფაშისტური ლიდერი კორნელიუ ზელეა კოდრეანუ გაახსენა, რომელიც 1938 წელს მეფე კაროლ II-ის (რუმინეთის მეფე 1930-1940 წლებში – ო.

ნ.) მიერ იქნა დახვრეტილი, თუმცა გლეხები მას მაინც მოუთმენლად ელოდებოდნენ ჯადოსნურ ცხენზე ამხედრებულს“ (*Kaplan*, 2000; 232).

ზემოხსენებული კომენტარისგან განსხვავებით, ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობის პოლიტურ მხარეს და მისი, როგორც ეროვნული მოძრაობის ლიდერის როლს ეხება აკადემიკოს ლევან ალექსიძის შეფასება, რომელიც რომანში ასევე ზუსტი ციტირების ფორმითაა მოყვანილი. მასში საქართველოში წარმოშობილ სამოქალაქო ომზე და მის გამომწვევ მიზეზებზეც არის გამოთქმული საინტერესო მოსაზრებები. მეტი სიცხადისათვის მოვიყვან შესაბამის ციტატას:

„... გამსახურდიამ, ისე როგორც არავინ, შეძლო და გაანადგურა საბჭოთა სულისკვეთება. თუმცა, სამოქალაქო ომი საქართველოში, ჩვენი ხასიათიდან გამომდინარე, ვფიქრობ, გარდაუვალი იყო. ომის რეალური მიზეზიც ხომ შუასაუკუნეობრივი აზროვნების შედეგი იყო...“ (*Kaplan*, 2000; 235).

ძალზე საინტერესოა, რომანში გადმოცემული, უშუალოდ სამოქალაქო ომისა და მის შემდგომ განვითარებული მოვლენების თავად ავტორისეული შეფასებაც. აღსანიშნავია რომ, ზვიად გამსახურდიასადმი კეთილგანწყობას დ. კაპლანი არც ამჯერად იჩენს, ხოლო ედუარდ შევარდნაძის საქართველოში დაბრუნებასა და მისი მოღვაწეობის დაწყებას კი, ქვეყნის განვითარებისთვის სასიკეთო ეტაპის დაწყებად მიიჩნევს. ჩემი აზრით, ძალზე ყურადსაღებია ისიც, რომ, დ. კაპლანი ფაქტისადმი თავის აღშფოთებას, თუ პირველი პრეზიდენტისადმი თანაგრძნობასა და სინანულს მაშინაც კი არ აფიქსირებს, როდესაც მისი საქართველოდან განდევნაზე საუბრობს. ყოველივე ზემოთქმულის დასტურად დავიმოწმებ ციტატას წიგნიდან:

„1992 წლის იანვარში, სამხედრო საბჭომ გამსახურდია ქვეყნიდან განდევნა, რომელმაც მახლობელ ჩეჩნეთს შეაფარა თავი... მას არც დევნილობაში შეუწყვეტია კავშირი დასავლეთ საქართველოში არსებულ მის მომხრე შეიარაღებულ ძალებთან. გამსახურდია ასევე ჩეჩნეთის ლიდერის ჯოხარ დუდაევის გავლენის ქვეშაც მოექცა, რომელიც თავის მხრივ 1994 წლიდან მოყოლებული ორი წლის განმავლობაში რუსეთს ებრძოდა. აღნიშნული საომარი დაპირისპირება კი ორმოცათასიანი მსხვერპლითა და თავად დუდაევის გარდაცვალებით დასრულდა. ამგვარად, 1970-იანი, 1980-იანი წლების შეურიგებელი ნაციონალისტი გამსახურდია, სასოწარკვეთილების დროს, საქართველოს ისეთ ისტორიულ მეტოქეებთანაც კი თანამშრომლობდა, როგორებიც გახლდათ: მუსლიმანური ჩეჩნეთი, აბაშიძის აჭარა და თვით აფხაზეთიც კი, სადაც რუსეთის მხარდაჭერით ზურგგამაგრებულმა სეპარატისტმა აჯანყებულებმა, ეთნიკური წმენდის შედეგად, ორასი ათას ქართველს დაატოვებინეს მათი ტერიტორია. აღნიშნულ ბრძოლებს კი ათი ათასი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. გამსახურდიას მხარდამჭერი შეიარაღებული ძალების მხრიდან ძირითადი გზის ბლოკირების გამო, დევნილთა ნახევარს, აფხაზეთიდან საქართველოს სხვა ტერიტორიაზე გადასვლა მთების გავლით მოუხდათ, სადაც მათი უმრავლესობა შიმშილისაგან გარდაიცვალა... აღსანიშნავია, რომ აფხაზეთი არ წარმოადგენდა ერთადერთ რეგიონს საქართველოში, სადაც ქართველების ეთნოწმენდა მოხდა; თითქმის იმავე პერიოდში, მსგავს პროცესს ადგილი ჰქონდა სამხრეთ ოსეთშიც“ (*Kaplan*, 2000; 234-236).

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ ციტირებულ მონაკვეთში ბევრი რამ მართლაც წარმოადგენს ისტორიულ სინამდვილეს, ვფიქრობ, კონკრეტული ფაქტებისა, თუ მოვლენების მხოლოდ ერთ კონკრეტულ პიროვნებაზე და პოლიტიკურ ძალაზე გადაბრალება მაინც არაობიექტურ შეფასებად უნდა მივიჩნიოთ. რაც შეეხება საქართველოში ედუარდ შევარდნაძის დაბრუნებას, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ამ ფაქტს დ. კაპლანი ცალსახად დადებითად აფასებს და მას ჩვენი ქვეყნისთვის საეტაპო მნიშვნელობის მოვლენად მიიჩნევს. მეტი სიცხადისათვის დავიმოწმებ თავად ციტატას:

ზემოთქმული მოვლენების პარალელურად „კიტოვანმა და იოსელიანმა მოსკოვიდან საქართველოში მოიწვიეს ედუარდ შევარდნაძე, რათა მათი ურჩხულისთავიანი, ბანდიტური რეჟიმისათვის საერთაშორისო ლეგიტიმაცია მოეპოვებინა. შევარდნაძემ შეთავაზება მიიღო. მაგრამ... საქართველოს საიდუმლო პოლიციის ყოფილმა ხელმძღვანელმა კიტოვანი, იოსელიანი და მათთან დაკავშირებული პიროვნებები ერთმანეთს ჯერ დაუპირისპირა, შემდეგ კი ყველა ისინი ციხეში ჩასვა. ამის შემდეგ შევარდნაძემ მთავრობაში რეფორმატორთა გუნდი მოიყვანა...

1993 წლის მიწურულს, შევარდნაძემ იერიში ზვიადისტთა უკანასკნელ დასაყრდენ პუნქტზე, დასავლეთ საქართველოს ქალაქ ზუგდიდზე მიიტანა. სწორედ აქ იმყოფებოდა გამსახურდია ჩეჩნეთიდან დაბრუნების შემდგომ". იმავე წლის „დეკემბრის მიწურულს კი ორმოცდა თვრამეტი წლის გამსახურდია გარდაიცვალა. მისი სიკვდილი საიდუმლოებითაა მოცული, რადგან დღემდე უცნობია იგი მოკლეს, თუ მან თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე" (*Kaplan*, 2000; 236).

დასკვნა: საბოლოოდ, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად მთელ რიგ მოვლენებთან დაკავშირებით ბევრი საკამათო, თუ ნაკლებადობიექტური შეფასებებისა, აღნიშნულ რომანში საქართველოს ისტორიის შესახებ გამოთქმული მოსაზრებანი მაინც ყურადსაღებად უნდა იქნეს მიჩნეულნი. აღნიშნული დასკვნის გამოტანის საფუძველს კი ის მაძლევს, რომ ჩვენი ქვეყნით დაინტერესებული პირები, უმეტეს წილად, სწორედ ცნობილ პიროვნებათა ჩამოსვლის შემდეგ, მათ მიერ დაწერილი, მსგავსი ტიპის წიგნებიდან იღებენ მნიშვნელოვან ინფორმაციას. ასეთ შემთხვევაში კი, მათთვის ისეთი ინფორმაციის მიწოდებაა აუცილებელი, რომელიც არც ობიექტურობისა და სიმართლისაგან იქნება შორს და არც ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო იმიჯს მიაყენებს ზიანს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. შველიძე, 2021: – საქართველოს უახლესი ისტორია, გამომცემლობა „მემატიანე", თბილისი, 2021.
2. *Kaplan 2000: – Eastward to Tartary*, *Vintage Press*, *New York*, 2000.

ONE HISTORICAL-DOCUMENTARY AMERICAN NOVEL ABOUT GEORGIA

OTAR NIKOLEISHVILI
PhD in History, Associated Professor at the
Department of History-Archaeology at
Akaki Tsereteli State University
E-mail: otar.nikoleishvili@gmail.com
ORCID: 0009-0009-1720-2040

Abstract: Different interesting people have visited Georgia at different times. Among various honorary guests, a well-known American writer Robert David Kaplan visited our country in the 90s of the last centuries. Except Georgia he also traveled in Balkan Countries, the Near East and Caucasus and the experienced impressions from this journey were interestingly described in the novel – „Eastward to Tartary". With the description of the situation in the above-mentioned countries, the novel also provides us with the significant information about the history of Georgia and the situation of the 90s. Even though, a historical state and the actual reality are basically accurately described in the American writer's novel, it is also worth noting that the author describes certain points on one side. During the imagination of the situation in Georgia, such kind of omissions should be considered, as some non-Georgian readers might receive information according to which they'll have an incorrect idea about the past and modern life of our country.

Key words: Georgia; USA; History; Politics.

* * *

Introduction: Our country has been visited by many remarkable individuals. These visits became even more frequent after the dissolution of the Soviet Union and Georgia's subsequent restoration of independence. One such notable figure was the renowned American journalist and analyst Robert D. Kaplan, who visited our country in the late 1990s.

Research methods: This study primarily employs the methodological principles of historicism and comparative analysis.

Discussion/Results: In Robert Kaplan's book „Eastward to Tartary", the author recounts his impressions from travels through the Balkans, the Middle East, and the Caucasus. Among many other topics, the work also briefly touches upon the major events of Georgian history. The opinions expressed in the book reveal both widely accepted and more controversial views. For instance, regarding the geographical location and the very name of our country, the author writes:

„Georgia is a small country by American standards. With 5.6 million people, it is comparable in size to West Virginia... The Georgian capital, Tbilisi, has been destroyed twenty-nine times. It was on „Mount Caucasus" in Georgia that Prometheus was supposedly chained to a rock, an eagle continually pecking at his liver when he was punished by Zeus...

In ancient times, eastern Georgia, known to Georgians as Kartli, was named Iberia by outsiders, leading to a confusion with Spain that persists to this day. One theory holds that the word Georgia comes from the Greek word geo ("earth"), for when the ancient Greeks first came to Georgia, they were struck by the many people working the land" (Kaplan, 2000; 228).

In my view, several of the author's observations are open to debate and call for further clarification, particularly those concerning the capital city of Georgia. The characterization of Tbilisi's historical

location as being situated on „Mount Caucasus“ appears to be inaccurate; moreover, the city's history bears little substantive relation to the legendary myth of Prometheus. It would also be necessary to specify the sources on which the author bases the assertion that „The Georgian capital, Tbilisi, has been destroyed twenty-nine times“.

Equally noteworthy are the author's reflections in the novel regarding the Georgian language and its script. For the sake of greater clarity, I shall quote the relevant passage from the book:

„Though comprising only one one-thousandth of humanity, the Georgians created one of the world's fourteen alphabets. Its crescent shaped symbols emerged around the fifth century B.C., possibly from Aramaic, the Semitic dialect spoken by Jesus...

Though there is one Kartvelian alphabet, there are three Kartvelian languages: Georgian; Mingrelian, in western Georgia; and Svan, in the mountainous north. Historic Georgia also included speakers of Abkhaz, a Caucasian language, in the northwest; Ossetian, an Iranian language, in the north; and Armenian and Turkic speakers in the south“ (Kaplan, 2000; 228, 229).

In the cited passage, alongside widely acknowledged historical facts, the author presents several contentious assessments. For example, the views expressed concerning the origins of the Georgian language and script constitute a topic requiring further scholarly clarification. Equally problematic is the assertion that speakers of Abkhaz or Ossetian languages resided exclusively within the boundaries of historical Georgia. Despite the country's ongoing unresolved territorial issues, both Abkhazia and the so-called „South Ossetia“ remain, under international law, integral parts of Georgia's jurisdiction, and a substantial portion of the contemporary population in these regions continues to use the aforementioned languages.

The author also offers a series of noteworthy, yet somewhat disputable, reflections on the period of Tsarist Russian rule in Georgia. According to an evaluation that is not entirely accurate, Russian governance – unlike Turkish or Iranian domination – allegedly placed the country on a path toward modernization, accompanied by a marked increase in population. Among the destructive consequences, or the price Georgia was compelled to pay as a result, the author mentions only the abolition of the Church's autocephaly and the suppression of peasant uprisings. In reality, however, Georgia lost all the essential national markers of statehood that even a non-sovereign polity should retain. Foremost among these was the prohibition of instruction and liturgical practice in the native language.

To provide a more precise understanding of the author's position regarding these matters, the relevant passage from the novel is cited below: „... In 1801, Czar Alexander I forcibly incorporated Georgia into the Russian empire... The nineteenth-century Russian czars quickly put Georgia on the road to modernity. Doubts about the benefits of czarist rule – compared with that of the Turks and Iranians – are put to rest when one notes that the population of Georgia rose from 500,000 to 2.5 million in the nineteenth and early twentieth centuries. There were costs, however. The Georgian church and nobility became subservient to Russian institutions, and Russian absolutism sparked peasant revolts“ (Kaplan, 2000; 230)“.

D. Kaplan offers particularly insightful evaluations and comparisons regarding Zviad Gamsakhurdia. It can be stated without exaggeration that the majority of the facts presented in the novel concerning the issues discussed are predominantly negative, both in terms of the first president's personal character and his governance more broadly. Furthermore, in certain instances, the novel's author does not hesitate to employ derogatory epithets when characterizing members of the first president's inner circle. To substantiate the foregoing, the following passage from the book is provided:

„Zviad Gamsakhurdia was the son of the great twentieth-century Georgian writer Konstantine Gamsakhurdia. In the 1970s, the younger Gamsakhurdia, a lecturer in American literature at Tbilisi State University, led a protest movement against Soviet oppression that resulted in prison and exile. But his dissent was a matter of radical nationalism, not moral opposition to communism... His jealous wife, Manana – described as „a low-class, awful, unattractive woman“ – who dominated Zviad much as his father had, was enraged by this.

... Gamsakhurdia rose to power when the Soviet Union began to collapse, which was, popular memory in the West aside, before the Berlin Wall fell, not a consequence of its fall. It was in the Caucasus, not Eastern Europe, that anti-Soviet protests began in unstoppable earnest... A massacre of Georgian protesters by Soviet troops in Tbilisi on April 9, 1989, led to Gamsakhurdia's nationalists taking local power away from the Kremlin. In 1990, Gamsakhurdia defeated the Communists in parliamentary elections, and the following year he was elected president. Surrounded by bodyguards and vicious dogs, having imprisoned his erstwhile nationalist allies while stoking the fires of ethnic hatred and increasingly relying on arson, mafiosi, and his wife, Gamsakhurdia had become Macbeth. By late 1991, a few months after Gamsakhurdia's election, Georgia was engulfed in a civil war that destroyed the nation's cities, made internal travel impossible, and ruined the economy, such as it was (Kaplan, 2000; 233-234).

It is noteworthy that, unlike when dealing with ancient periods, in discussing the recent history of our country, D. Kaplan relied not only on specific sources and literature but also on the insights of experts who were present in Georgia at the time, as well as on the perspectives of individuals who were directly at the epicenter of the events. For instance, Kaplan met with and interviewed Levan Aleksidze, Alexander Rondel, and other contemporary figures. In addition to the aforementioned individuals, Kaplan's interpreter, Eka Khvedelidze, also provided him with historical context regarding certain people and events. Importantly, the views expressed by these individuals did not go unnoticed by the author and occupy a significant place in the book, even being cited directly. As evidence, in this instance, I will verify only two relevant passages from the novel that concern assessments of the personality of Georgia's first president.

For example, according to Eka Khvedelidze, Robert Kaplan's translator and guide in Georgia, „Zviad was like a rock star. You can almost see the psychological scars on the faces of his female followers. By their expressions, you know that these women are physically ruined, as though they were his concubines. Most are single or have unhappy marriages. They now expect Zviad to come back from the grave on a white horse. I'm not kidding.

Although many of the previously cited opinions are controversial or unacceptable positions, they have done a great deal for the author of the novel, he „was reminded of the story of the Romanian fascist leader Corneliu Zelea Codreanu, whose return on a magnificent horse the peasants expected, even after he was killed in 1938 by King Carol II" (Kaplan, 2000; 232).

Contrary to the above-mentioned comment, Levan Aleksidze's evaluation focuses on the political dimension of Zviad Gamsakhurdia's activity and his role as the leader of the national movement. This assessment is also cited in the novel with precise references. Aleksidze provides insightful reflections on the civil war that erupted in Georgia and on its underlying causes. For the sake of clarity and accuracy, the relevant quotation is presented below:

„... Gamsakhurdia destroyed the Soviet spirit more than anyone, but in Georgia, a civil war was necessary because of the kind of people we are. The real cause of the war is our medievalness..." (Kaplan, 2000; 235).

It is particularly interesting to consider the authorial evaluation presented in the novel regarding the Civil War and the subsequent developments. Notably, Kaplan once again does not express any favorable disposition toward Zviad Gamsakhurdia, whereas he regards Eduard Shevardnadze's return to Georgia and the commencement of his activities as marking a positive phase in the country's development. In my view, it is also highly significant that Kaplan does not articulate either indignation at the facts or sympathy and regret for the first president, even when discussing his expulsion from Georgia. To substantiate all of the above, I will provide a citation from the book:

„In January 1992, a military council ousted Gamsakhurdia, who fled to nearby Chechnya... From his exile in Chechnya, Gamsakhurdia maintained links with Zviadist troops in western Georgia. He also fell under the influence of the Chechen leader Dzhozkhar Dudayev, another deranged warlord, who in 1994 led Chechnya into a war with Russia that ended two years later with forty thousand dead, among

them Dudayev himself. Step by step, the increasingly desperate Gamsakhurdia, the rabid, ethnocentric nationalist of the 1970s and 1980s, was allying himself with Georgia's historic rivals: Moslem Chechnya, Abashidze's Ajaria, and even Abkhazia, where a Russian-backed separatist rebellion caused ten thousand deaths and the cleansing of two hundred thousand ethnic Georgians from Abkhaz territory. Because Gamsakhurdia's forces blocked the main road out of Abkhazia into Georgia proper, half the refugees – Gamsakhurdia's own Georgians – had to detour through the mountains, where many died of starvation and exposure... But Abkhazia's wasn't the only separatist rebellion that led to ethnic cleansing in Georgia: At roughly the same time, South Ossetians were cleansing their region of thousands of ethnic Georgians" (Kaplan, 2000; 234-236).

Although the excerpt cited above largely reflects historical realities, it is my contention that attributing particular events or developments exclusively to a single individual or political actor risks producing a partial and potentially biased interpretation. With regard to Eduard Shevardnadze's return to Georgia, as previously noted, D. Kaplan characterizes this event in unequivocally positive terms, regarding it as a milestone of critical significance in the country's recent history. For the sake of accuracy and clarity, I will verify the original quotation directly.

In parallel with the above events, „Concurrently, Kitovani and Ioseliani had invited Eduard Shevardnadze back to Georgia from Moscow to provide international legitimacy for their hydra-headed gangland regime. Shevardnadze accepted. But... this former head of the secret police in Georgia played Kitovani, Ioseliani, and their associates off against each other until all were in jail. Then Shevardnadze brought reformers into government...

By the end of 1993, Shevardnadze had surrounded the Zviadists' last stronghold in western Georgia in the town of Zugdidi, to which Gamsakhurdia had returned from Chechnya for a last stand. There, in late December, the fifty-eight-year-old Gamsakhurdia died. Either he committed suicide or was murdered; his death remains a mystery" (Kaplan, 2000; 236).

Conclusion. Ultimately, it can be asserted, without exaggeration, that notwithstanding the presence of numerous contested or relatively subjective evaluations of various events, the perspectives on Georgian history articulated in this novel warrant serious scholarly consideration. This conclusion is substantiated by the observation that individuals with an interest in Georgia frequently derive significant information from such works authored by prominent visitors. In this context, it is imperative to provide information that adheres closely to objectivity and factual accuracy, while simultaneously safeguarding the international reputation of the country.

References:

3. Shvelidze, 2021: – Modern History of Georgia, Meridiani Publishing, Tbilisi, 2021.
4. Kaplan 2000: – Eastward to Tartary: Travels in the Balkans, the Middle East, and the Caucasus, Vintage Press, New York, 2000.

საქართველოს საზღვაო სანაოსნო ისტორიიდან

(სარქივო სამმართველოში დაცული დოკუმენტური მასალების მიხედვით)

მერაბ მეგრელიშვილი
ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
მეცნიერი თანამშრომელი
ელ-ფოსტა: merab.megrelishvili@bsu.edu.ge
ORCID: 0009-0009-7140-9173

ნიკოლოზ მეგრელიშვილი
სამართლის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ელ-ფოსტა: merab.megrelishvili@bsu.edu.ge
ORCID: 0009-0002-3639-5019

აბსტრაქტი: საქართველოში ნაოსნობას დიდი ხნის ისტორია აქვს. აღნიშნულ საკითხს ქართველ და უცხოელ მეცნიერთა არაერთი ნაშრომი მიეძღვნა. რუსეთის მიერ შავი ზღვის ქართული სანაპიროს დაპყრობის შემდეგ, საფუძველი ეყრება შორეული ნაოსნობის განვითარებას, იქმნება რუსული საზღვაო-სავაჭრო ფლოტი, დაიწყო ევროპის და აზიის დამაკავშირებელი საზღვაო გზების აღდგენა-გაფართოება. 1921 წლიდან ბათუმის პორტი გასამხედროებული იყო. ბათუმის პორტთან არსებობდა ამიერკავკასიის ზღვათა სპეციალური სამმართველო, რომელიც აწარმოებდა გემების რეგისტრაციას და დოკუმენტების შემოწმებას. შავ ზღვაზე გემების მშვიდობიან მიმოსვლას და მეზღვაურის სიცოცხლის უსაფრთოებას უზრუნველყოფდა საერთაშორისო მნიშვნელობის კონვენციები. ყველა სახის საზღვაო ტრანსპორტისთვის დაწესებული იყო ტექნიკური ხასიათის მოთხოვნები. გემები აღჭურვილი იყო მაღალი სტანდარტის მქონე რადიოთი და გამაფრთხილებელი ხმოვანი სასიგნალო სისტემით. არსებული კონვენციით გათვალისწინებული იყო ყველა სახის საშიშროება, მათ შორის ხანძარი, გემების შეჯახება და ა.შ. შავიზღვისპირეთის სავაჭრო ფლოტის კომერციულ განყოფილებას საათებსა და წუთებში გათვლილი და დამტკიცებული ჰქონდა ბათუმის პორტში შემოსული და გასული გემების გრაფიკი. 1967-1974 წლების განმავლობაში იმყოფებოდნენ საზღვარგარეთის 75 ქვეყნის პორტში. საქართველოს საზღვაო სანაოსნო იქმნებოდა შიშველ ადგილზე, მას არ გააჩნდა ფლოტი, არ იყო აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სატრანსპორტო მეურნეობა, კადრები.

1969 წელს ბათუმის საზღვაო პორტში საზღვარგარეთის დროშით შემოვიდა 386 გემი (ბულგარეთი, იტალია, საბერძნეთი, ინდოეთი, პოლონეთი, ფინეთი, ნორვეგია, იუგოსლავია, კვიპროსი, დანია, ესპანეთი, რუმინეთი, მექსიკა და ა.შ.) შემოდიოდა ნავთობპროდუქტები, ხილ-ბოსტნეული, ლითონი. 1973 წელს საქართველოს საზღვაო სანაოსნოს გააჩნდა 395 ტონაჟის 40 ტანკერი. 1977 წელს სავალუტო მოგებამ შეადგინა 155 ათასი მანეთი. 1973 წლის 8 იანვარს ბათუმის პორტი შავი ზღვის პორტებს შორის აღიარეს საუკეთესოდ.

საკვანძო სიტყვები: ბათუმის ნავსადგური, შორეული ნაოსნობა, კაბოტაჟი, სავაჭრო ტვირთბრუნვა, სავალუტო მოგება.

* * *

უძველესი დროიდანვე საქართველოში არსებობდა ნაოსნობის საუკეთესო ტრადიციები. ამ საკითხს არაერთი ნაშრომი მიუძღვნეს მეცნიერ-მკვლევარებმა ა. ბერაძემ, რ. უზუნაძემ, ტ. ჭანტურიამ, რ. ბერიძემ, ქ. ნაკაშიძემ და სხვებმა. ახალშექმნილი სანაოსნოს ხელმძღვანელების წინაშე

დადგა ნაოსნობის უძველესი ტრადიციების აღორძინება-განვითარების და საზღვაო ფლოტის მუშაკების აღზრდა-განვითარების საკითხი.

რუსეთის მიერ შავი ზღვის ქართული სანაპიროს დაპყრობის შემდეგ, საფუძველი ეყრება შორეული ნაოსნობის განვითარებას, იქმნება რუსული საზღვაო-სავაჭრო ფლოტი, დაიწყო ევროპის და აზიის დამაკავშირებელი საზღვაო გზების აღდგენა გაფართოება. შავ ზღვასთან დამაკავშირებელი მდინარე რიონი ქვეყნის შიგნით სანაოსნოს ფუნქციას ასრულებდა (გოდერძი ვაჭრიძე 2013:59).

1921 წლიდან ბათუმის პორტი გასამხედროებული იყო. ტვირთის გასინჯვას აწარმოებდა კომისია, რომელშიც შედიოდნენ ბათუმის კომენდანტი, პორტის კაპიტანი, პორტის რაზმის უფროსი. იალქნიანი და მოტორიზებული გემების შემოწმების საფუძველზე დგებოდა აქტი. 1921 წლის 10 აგვისტოს ბათუმის პორტში მოტორიზებული გემის „კიბალჩიჩი'' (კაპიტანი გრიშკო) მიერ შემოტანილი იქნა 400 ფუთი ბენზინი (ასს, ფ. რ-296, ან. 1 ს. 9, ფურც. 2).

ბათუმის პორტთან არსებობდა ამიერკავკასიის ზღვათა სპეციალური სამმართველო, რომელიც აწარმოებდა გემების რეგისტრაციას და დოკუმენტების შემოწმებას. ბათუმის პორტში დაწესებული იყო მკაცრი სამხედრო წესები. 1921 წლის 8 სექტემბერს ოჩამჩირეს საზღვაო პორტში გაჩერებული გემი „ჭოროხი'' აწარმოებდა არმიისთვის განკუთვნილი თამბაქოს გადაზიდვას და ამ დროს გემის კაპიტანმა მიიღო სასწრაფო ბრძანება წასულიყო სოხუმის პორტში. გემის კაპიტანი ვალდებული იყო შეესრულებინა ბრძანება, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ემუქრებოდა თავისუფლების აღკვეთა და დაჯარიმება. პორტში დაწესებული კანონების შეუსრულებლობის შემთხვევაში ხდებოდა ტვირთის მფლობელის დაჯარიმება. 1921 წელს ათი მილიონი მანეთით (ბონები) დაჯარიმდა კანტორა „ლოიდ ტრესტი“. ბათუმის პორტის უსაფრთხოებას იცავდა გასამხედროებული პოლიციის რაზმი. შავ ზღვაზე გემების მშვიდობიან მიმოსვლას და მეზღვაურის სიცოცხლის უსაფრთოებას უზრუნველყოფდა საერთაშორისო მნიშვნელობის კონვენციები. ყველა სახის საზღვაო ტრანსპორტისთვის დაწესებული იყო ტექნიკური ხასიათის მოთხოვნები. გემები აღჭურვილი იყო მაღალი სტანდარტის მქონე რადიოთი და გამაფრთხილებელი ხმოვანი სასიგნალო სისტემით. არსებული კონვენციით გათვალისწინებული იყო ყველა სახის საშიშროება, მათ შორის ხანძარი, გემების შეჯახება და ა.შ. 1974 წელს დაფიქსირდა თბომავალ „მიხა ცხაკაიას'' (კაპიტანი ზენეიშვილი) შეჯახება კანადის მშრალტვირთიან გემთან. მთავარ მიზეზად დასახელდა გემების ტექნიკური დათვალიერების ფორმალური ხასიათი. 1974 წელს თმომავალი „ზუგდიდი'' ფორმალურად შეამოწმეს და ჟურნალში შენიშვნები არ შეიტანეს. ხშირად ხდებოდა ავარიული შემთხვევების დამალვა. მეზღვაურები რადიოლოკაციურ ტრენაჟორზე სწავლებას გადიოდნენ. საქართველოს საზღვაო სანაოსნოს გემები წლის განმავლობაში მრავალ რეისს ასრულებდნენ.

შავიზღვისპირეთის სავაჭრო ფლოტის კომერციულ განყოფილებას საათებსა და წუთებში გათვლილი და დამტკიცებული ჰქონდა ბათუმის პორტში შემოსული და გასული გემების გრაფიკი. დადგენილი იყო სხვადასხვა პორტში შესვლის და გამოსვლის დრო. ბათუმიდან გასული გემები გაივლიდენ ფოთის, გაგრის, სოხუმის, სოჭის, იალტის, ტუაფსეს, ანაპის, ნოვოროსისკის პორტებს. ზაფხულის რეისებისთვის დაწესებული იყო განსხვავებული დროის განრიგი. სატვირთო და სამგზავრო გემები მოძრაობდნენ ბათუმიდან ანატოლის (თურქეთის აზიური მხარე) მიმართულებით. ზღვაზე მოსამსახურე პერსონალისთვის წელიწადში ერთხელ წარმოებდა უფასო სამგზავრო მიმოსვლა. შავი ზღვის სანაპიროზე განთავსებული იყო სამი პოლკი, კავკასიის დივიზია, ერთი როტა და ორი ესკადრონი (ასს, ფ. რ-296, ან. 1 ს. 23, ფურც. 60).

საქართველოს საზღვაო სანაოსნო ოფიციალურად შეიქმნა სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროს 1967 წლის 20 იანვრის N13 ბრძანების საფუძველზე, რომლის ჩამოყალიბებას წინ უძღვოდა დიდი მოსამზადებელი პერიოდი. მისი შექმნა ბევრმა მიზეზმა განაპირობა. აღნიშნულ პერიოდში შავი ზღვის საზღვაო ფლოტი ნოვოროსისკის რეგიონის სამგზავრო და სავაჭრო გემების მიმოსვლის ცენტრს წარმოადგენდა და გადასაზიდი სამუშაოებით ძლიერ გადატვირთული იყო. მისი განტვირთის მიზნით აუცილებელი გახდა სანაოსნოს შექმნა. ამასთან ერთად, საზღვაო ფლოტის სამინისტრომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ამ პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ პორტებში განსაკუთრებით გაიზარდა საექსპორტო-საიმპორტო საქონლის რაოდენობა, საქართველოს პორტების გავლით ტვირთი იგზავნებოდა მსოფლიოს ყველა მიმა-

რთულებით. საქართველოს საზღვაო სანაოსნოს შექმნის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენდა მგზავრებისა და ტვირთის გადაყვანა-გადაზიდვის პრობლემური საკითხების ოპერატიულად მოგვარება-გადაწყვეტის აუცილებლობა. საქართველოს საზღვაო სანაოსნო უშუალოდ ექვემდებარებოდა სსრკ საზღვაო ფლოტს, ხოლო მის მთავარ რეზიდენციას ქალაქი ბათუმი წარმოადგენდა.

საქართველოს მთავრობის 1967 წლის 17 თებერვლის დადგენილებით სანაოსნოს გადაეცა ბათუმში, ი. გოგებაშვილის ქუჩა N40-თან არსებული შენობა და 1,4 ჰექტარი მიწის ფართი, რომელიც ადრე თევზის მეურნეობას („წითელი მეთევზე“) ეკუთვნოდა.

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ხელმძღვანელი მუშაკები და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი შრომის ანაზღაურების მიხედვით მესამე კატეგორიას მიაკუთვნეს. ბათუმის, ფოთისა და სოხუმის პორტებს ერთი სატელეფონო არხი და დამატებითი 100 სატელეფონო ნომერი გამოუყვეს, სანაოსნოსთვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობათა სარესტავრაციოდ მთავრობამ 50 ათასი მანეთი გამოყო, სანაოსნო ახალი ტექნიკური დანადგარებით აღიჭურვა. საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მადგილის გ. ჩაგოვაძის ინიციატივით, პროფტექნიკური განათლების ორგანიზების მიზნით 1967-68 სასწავლო წლიდან ბათუმში, ფოთსა და სოხუმში საზღვაო პროფესიების შემსწავლელი სასწავლებლები იხსნება (ასს, ფ. რ-128, ს. 3, ფურც. 1,2) ხოლო ფოთში კი სასწავლო-საკურსო კომბინატი (ასს, ფ. რ-128, ს. 1, ფურც. 47).

სსრკ საზღვაო ფლოტის 1967 წლის 24 ივნისის ბრძანება №123 საფუძველზე საქართველოს საზღვაო სანაოსნოს გადაეცა გემები: „აქსაი“ (ტვირთზიდვა 3800 ტ) „ალაგირი“, „აქტაშ“, „ანაპა“, „ალექსეევკა“, „აქტაუ“, „კიროვი“, „კლაიპედა“, „იზიასლავი“, „მაიკოპი“. გემების გადაცემა ნოვოროსიისკისა და საქართველოს საზღვაო სანაოსნოებს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მოხდა. 1967-1968 წელს საქართველოს საზღვაო სანაოსნოს დაქვემდებარებაში იყო სხვა გემებიც: „ფოთი“, „თბილისი“, „26 კომისარი“. მცირე კაბოტაჟი ძირითადად მიემართებოდა ბათუმი-ოდესის და ბათუმი-ჟდანოვის მიმართულებით, ხოლო დიდი ნაოსნობის ფლოტი კი პატაგონ-შელფი-ოდესის, სევასტოპოლ-ფეოდოსია-მონტევიდეოს, პატაგონი-შელფი-ბათუმის, კალინინგრადი-პატაგონ-შელფის რეგიონების მიმართულებით, ამავე პერიოდში საზღვარგარეთ რეისები ფიქსირდებოდა ბათუმი-ისლანდიის, ტუაფსე-კანაკრიის, ფეოდოსია-ანტვერპენის, ბუენოს-აირესი-ილიჩევსკის, კონსტანცა-ჰამბურგ-რიტერდამის მიმართულებით. 1967-1968 წელს სულ გატანილი იქნა 75645 ტონა ტვირთი, რომელმაც საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მისცა სუფთა მოგება ვალუტაში 159503 მანეთი (ასს, ფ. რ-128, ს. 33, ფურც. 136).

1973 წელს ტანკერმა „დროგობიჩი'' (კაპიტანი ი.მ. შანიძე) შეასრულა 33 რეისი, აქედან 5 საზღვარგარეთ და წლის გეგმა შეასრულა 100%. სუფთა სავალუტო მოგებამ შეადგინა 121 800 მანეთი (ასს, ფ. რ-128, ან. 1 ს. 553, ფურც. 143).

1967 წელს ფოთის პორტმა 2860 ტონა ტვირთი გადაამუშავა. მათ შორის: 1. პურეული 261 (მარცვალი 240); 2. შაქარი – 60 (შაქრის ნედლეული 50); 3. ბამბა – 65 4. ლითონები – 280 5. მადანი -1406; 6. ქვანახშირი – 610 7. სამშენებლო მასალა – 125 8. ქიმიური ტვირთი – 15 9. გენერალური ტვირთები – 36.

1966 წლიდან 1970 წლამდე ფოთის პორტში ერთიორად გაიზარდა საექსპორტო-საიმპორტო საქონლის რაოდენობა.

ბათუმის საზღვაო პორტის უფროსის ბორის ანთიმოსის ძე ლომთაძის ანგარიშში (პორტის მიერ 1966-1970 გაწეული მუშაობის შესახებ) ნათლად ჩანს როგორც საექსპორტო-საიმპორტო საქონლის ზრდის მაჩვენებლები, ასევე ტვირთბრუნვის მოცულობის ზრდა. ანალოგიური მდგომარეობა ჩანს სოხუმის პორტის უფროსის რ. ეშბას მიერ წარმოდგენილ მოხსენებაში.

1967 წლის 29 აპრილს, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მმართველის ა. კაჭარავას მიერ გამოცემული N78 ბრძანების საფუძველზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პორტის ფლოტის ეფექტურ გამოყენებას, პორტში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უახლოესი მიღწევების დანერგვას, მოქმედი მოწყობილობების მოდერნიზაციას, პორტის ფლოტში მომუშავე კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას და ა.შ. (ასს, ფ. რ-128, ს. 4, ფურც. 61,62).

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს უფროსის ანატოლი კაჭარავას 1967 წლის 31 მარტის N34 ბრძანებით სანაოსნოს ხელმძღვანელებს შორის უფლება-მოვალეობები შემდეგი სახით გადა-

ნაწილდა: სანაოსნოს უფროსი უშუალოდ ხელმძღვანელობდა სანაოსნოსთან არსებულ საბჭოს, ასევე სამხედრო-სამობილიზაციო, იურიდიულ, საფინანსო განყოფილებებს, მთავარ საზღვაო სააგენტოს „ინფლოტი“, სათავო კანტორას „საზღვაო-სავაჭრო ტრანსპორტი“. მისი მოადგილე საზღვაო პორტების მშენებლობის დარგში იყო ბ.ა. ლომთაძე რომლის უშუალო დაქვემდებარებაში იყო პორტის დაცვისთვის განკუთვნილი, სამხედრო დანიშნულების რაზმი „BOXP“, იგი ასევე აკონტროლებდა ჰიდრომოწყობილობებს, კაპიტალურ რემონტს, საწარმოო ნაგებობების გამართულ მუშაობას, საზღვაო სააგენტოს „ტრანსფლოტი“, პორტში არსებული სამრეწველო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაგებობების მშენებლობას.

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მოადგილე ფლოტის ტვირთბრუნვისა და გადაზიდვების დარგში ა. ნაგნიბედი კურირებდა კომერციულ განყოფილებას, სამხედრო-თავდაცვის შტაბს, სატრანსპორტო ფლოტის გეგმიურ და ორგანიზაციულ მუშაობას.

სანაოსნოს მთავარი ინჟინერი განაგებდა მეურნეობას, კავშირგაბმულობას, ელექტრო-რადიო ნავიგაციას, რადიოცენტრს, მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფის სამსახურს, საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროს, თბოტექნიკას, გემთმშენებლობას და რემონტს, სანაოსნოს ტექნიკურ საბჭოს, ქიმიურ ლაბორატორიას, კონტროლს უწევდა მშრალი ტვირთების, ნავთობჩამოსასხმელი, ქვანახშირის, მადანის, სამგზავრო-სატრანსპორტო ფლოტის ტექნიკურ ექსპლუატაციას.

სანაოსნოს უფროსის მოადგილე ნაოსნობის დარგში ვ. ჩხაიძე ხელმძღვნელობდა ნაოსნობის სამსახურს, საბაზო ელექტრორადიოსანავიგაციო კამერას, პორტის კაპიტნებს და ლოცმანებს, კონტროლს უწევდა ყველა სახის სანაოსნო გემების უსაფრთხოებას.

სანაოსნოს უფროსის მოადგილე ეკონომიკურ საკითხებში ე.ა. ჩერნოვი ხელმძღვანელობდა საგეგმო-ეკონომიკურ, საფინანსო-სავალუტო განყოფილებებს, ნორმატიულ კვლევით სადგურს, კორდინაციას უწევდა სანაოსნოს საბჭოს მუშაობას, რეფერირებას უწევდა საბჭოს მიერ გამოცემულ სადირექტივო მასალებს.

სანაოსნოს უფროსის მოადგილე საყოფაცხოვრებო დარგში დ.გ. რთველაძე ხელმძღვანელობდა სამეურნეო-ადმინისტრაციულ განყოფილებას, პასუხისმგებელი იყო სანაოსნოს მიერ მიღებული ბრძანებების, დირექტივების შესრულებაზე, კურირებდა პორტთან არსებულ საბავშვო დაწესებულებებს, საკლუბო-სპორტულ მუშაობას, პორტის საყოფაცხოვრებო და სანიტარიულ პირობებს.

სანაოსნოს უფროსის მოადგილე კადრების დარგში ე.ს. ვერესოცკი ხელმძღვანელობდა საზღვარგარეთ მოცურავე მეზღვაურების საორგანიზაციო განყოფილებას, კონტროლს უწევდა სანაოსნოს გემებზე მომუშავე კადრების მუშაობას (ასს, ფ. რ-128, ს. 4, ფურც. 28,29,30).

საქართველოს საზღვაო სანაოსნო დიდი ყურადღებას აქცევდა საინჟინრო-ტექნიკური კადრების მომზადების საქმეს. ამ მიზნით სანაოსნოს მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა დამყარებული სხვადასხვა სანაოსნოებთან. კადრების სამმართველოს 1967 წლის 25 აპრილის მონაცემებით 35 სპეციალისტიდან 15-ს ჰქონდა უმაღლესი განათლება, არასრული უმაღლესი – 6, საშუალო სპეციალური – 11, ზოგადი საშუალო – 3. საზღვაო საქმის კარგი მცოდნენი იყვნენ შორეული ნაოსნობის კაპიტანი ა. კაჭარავა, მისი მოადგილე ბორის ლომთაძე, ასევე ვ. ჩხაიძე, ნ.გაიდაბური, ა. მაქსიმოვი, ე. ჩერნოვი და სხვები. ამათგან უმეტესი წლების განმავლობაში შორეული ნაოსნობის კაპიტნები და თანაშემწეები იყვნენ.

სამმართველოს კადრების განყოფილების უფროსი ე.გ. გეგენავა 20 წლის განმავლობაში იმყოფებოდა შორეულ ნაოსნობაში და ეკავა ჯერ ინჟინერ-მექანიკოსის, ხოლო შემდეგ შორეული ნაოსნობის კაპიტნის პირველი თანაშემწის თანამდებობა. გ. ვასაძეს, რომელიც კურირებდა საზღვარგარეთ ნაოსნობის ორგანიზების საქმეს, გააჩნდა შორეული ნაოსნობის კაპიტნის დიპლომი და 11 წლის განმავლობაში მუშაობდა საზღვაო ფლოტის სამინისტროს სისტემაში.

შრომითი გამოცდილების გაზიარების მიზნით სანაოსნოს სპეციალისტები იგზავნებოდნენ ნოვოროსისკის საზღვაო სანაოსნოში; სემინარები იმართებოდა ბალტიისპირეთის ქვეყნებში, ბათუმის საზღვაო სასწავლებელი (ე.წ. მორეხოტკა) სანაოსნოსთვის ამზადებდა სპეციალისტებს.

საექსპორტო-საიმპორტო საქონლის გადაზიდვების უსაფრთხოების მიზნით სანაოსნოს უფროსის 1967 წლის 19 თებერვლის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს გასამხედროებული რაზმები ე.წ. BOXP (ასს, ფ. რ-128, ს. 4, ფურც. 7,8).

1967 წლის 11 მაისს საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მმართველმა სსრკ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 22 მარტის და საზღვაო ფლოტის სამინისტროს 1964 წლის 24 მარტის ბრძანების საფუძველზე საზღვაო ტრანსპორტის მუშაკთათვის სატარებლად დააწესა ტანსაცმლის ფორმა.

ამ პერიოდისთვის საქართველოს საზღვაო სანაოსნოს გააჩნდა შემდეგი სახის სატრანსპორტო საშუალება: 1. სატრანსპორტო ფლოტი: სამგზავრო კატარღები „ზემჩუჟინა“ (2 ერთეული) „არკადია“ (3 ერთეული) 2. მშრალი ტვირთის ბარჟები და პლაშკოუტები. 3. ბუქსირები (3 ერთეული) და ა.შ. მისი სრული სურათი წარმოდგენილია საარქივო დოკუმენტებში.

1959-66 წლებში სოხუმის სამგზავრო ფლოტს ემსახურებოდა გემები: „სოხუმი“, „ძიგუა“, „ლაკობა“, „კიახბა“, „ეშბა“, „ტყვარჩელი“, „აფხაზეთის კომკავშირი“, „გალი“, „ოჩამჩირე“, სატვირთო ფლოტს კი გემები: „კოდორი“, „გუმისმთა’’, „კელასური“, „ბზიფი“. სოხუმის საზღვაო პორტის სამმართველოს ხელმძღვანელობდა მ. ცეკვავა (ასს, ფ. რ-128, ს. 30, ფურც. 7).

1975 წლის 16 მაისს საქართველოს საზღვაო სანაოსნოს საბჭომ განიხილა საზღვარგარეთ საბჭოთა მეზღვაურის ქცევის წესების საკითხი. გემზე მთავარი ყურადღება ექცეოდა პოლიტ-აღმზრდელობით მუშაობას. გემის კაპიტნის შემდეგ საპასუხისგებლო თანამდებობა ეკავა ე.წ. ზამპალიტს – პოლიტ-აღმზრდელობითი საქმის ხელმძღვანელს. განსაკუთრებული კონტროლი იყო დაწესებული კონტრაბანდა საქონლის გატანის და საბაჟო წესების დაცვის საქმეზე. საბჭოთა მეზღვაური ვალდებული იყო შეენარჩუნებინა მორალური სახე და დაეცვა ქცევის წესები. ხშირად ფიქსირდებოდა შემდეგი ხასიათის დარღვევები: სპირტიანი სასმელების გადამეტებული სმა და გემზე დაგვიანება, უცხოელ მოქალაქეებთან ვაჭრობა და საქონლის გადაცვლა. წესების დამრღვევ მეზღვაურებს ართმევდნენ ვიზებს და სამუშაოდ გადაჰყავდათ საცურაოდ კაბოტაჟში. სავაჭრო საგანს წარმოადგენდა ქალის პარფიუმერია, ეგზოტიკური ფრინველები, პორნოგრაფიული ხასიათის ჟურნალები, უცხოური თამბაქო და ა.შ. (ასს, ფ. რ-128, ან. 1 ს. 622, ფურც. 200).

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს პროფესიული დაავადებების აღსაკვეთად დაწესებული ჰქონდა პროფილაქტიკური ხასიათის ღონისძიებები. შემდუღებლების პორფესიული დაავადება იყო კონიუქტივიტი. მათთვის დაწესებული იყო დამცავი სათვალეის ტარება და სამუშაო ობიექტის იზოლირება დამცავი ზღუდეებით (ასს, ფ. რ-128, ან. 1 ს. 462, ფურც. 52).

XX საუკუნის 70-იან წლებში საქართველოს საზღვაო სანაოსნოს საბჭოს წევრები იყვნენ ა. კაჭარავა, პ. ჯორბენაძე, ქოიავა, კიკვიძე, დავითაძე, ფხაკაძე, გაიდაბური, ბენიძე, ისაკაევი, სიდენკო (ასს, ფ. რ-128, ან. 1 ს. 622, ფურც. 290).

1974 14 თებერვალს საქართველოს საზღვაო სანაოსნოს უფროსმა ანატოლი კაჭარავამ თავის საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნა, რომ 1972 წელთან შედარებით ტვირთის ტონაჟი გაიზარდა 20%-ით, ხოლო მოგებამ შეადგინა 37%, გეგმის ზევით 9000 მანეთი. სათბობის ეკონომიამ გადააჭარბა 51 000 მანეთს. სხდომაზე აღნიშნეს სარემონტო სამუშაოების შესრულების დროის შემცირება, ახალი ტექნიკის მიწოდების გაუმჯობესება და რაციონალიზატორული საქმიანობის განვითარება. ანატოლი კაჭარავამ ერთ-ერთ ძირითად ნაკლად აღიარა საზღვაო პორტებში გემების დგომის და მოცდენის დროის ხანგრძლივობა. 1973 წლის 19 სექტემბერს ბათუმის პორტში შემოსულმა ტანკერმა „ბორჯომი’’ 21 000 ტონა მარცვლის გადმოტვირთვას ნორმირებული 15 დღე-ღამის ნაცვლად მოანდომა 37 დღე. მთავარ მიზეზად დასახელდა დისპეტჩერის კვალიფიკაციის დაბალი დონე. დიდი თანხები იხარჯებოდა გემების სარემონტო სამუშაოებზე. 1973 წელს ტანკერ „თბილისის’’ განახლებაზე განსაზღვრული იყო 200 000 მანეთი, ხოლო დაიხარჯა 500 000 მანეთი. 1974 წელს შეკინის მეთოდით, შტატების შემცირების ხარჯზე სანაოსნომ მიიღო ეკონომიური ეფექტის სახით 6500 მანეთი (ასს, ფ. რ-128, ან. 1 ს. 491, ფურც. 146). საქართველოს საზღვაო სანაოსნოს უფროს ანატოლი კაჭარავას 1974 წლის 8 თებერვლის ბრძანების საფუძველზე, საზღვარგარეთ მცურავი გემების კაპიტნებად დანიშნეს: თბომავალი „ასპინძა’’ (კაპიტანი ასლან იუსუფის ძე, „აქტაუ’’ (კაპიტანი ზენაიშვილი აბესალომ მელიტონის ძე, „აქსაი’’ (კაპიტანი ბლაგიძე კონსტანტინე კონსტანტინეს ძე, აღსანიშნავია ქართველი კაპიტნები, სვანიძე გიორგი ნიკოლოზის ძე, მიქელაძე სოსო მემედის ძე, ჩხაიძე ვახტანგ დავითის ძე (ასს, ფ. რ-128, ან. 1 ს. 553, ფურც. 6).

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს უფროსის 1974 წლის 19 ივლისის ბრძანებით საპატიო მეზღვაურის წოდება მიანიჭეს მარლენ ორაგველიძეს, გიორგი არჯევანიძეს. საუკეთესო კაპიტნის

წოდება მიენიჭა თბომავალ „ბათუმის'' კაპიტან ვახტანგ დავიძის ძე ჩხაიძეს, თმომავალ „ასპინძის'' კაპიტანს ჯუმბერ ისიდორეს ძე ინწკირველს, საუკეთესო მექანიკოს წოდება მიენიჭა თბომავალ „ზუგდიდის'' მექანიკოსს გურამ შალვას ძე მაქაცარიას, საპატიო წოდება მიანიჭეს თბომავალ „გორის'' რაციის უფროსს დეისაძე ნიკოლოზ ივანეს ძეს, თბომავალ „50 წელი საბჭოთა საქართველოს'' ბოცმანს კუტალაძე ვაჟა გიორგის ძეს, „აქტაუს'' მეზღვაურს – მექვაბიშვილი გურამ სანდროს ძეს. საქართველოს საზღვაო სანაოსნოს გემები 1967-1974 წლების განმავლობაში იმყოფებოდნენ საზღვარგარეთის 75 ქვეყნის პორტში. საქართველოს საზღვაო სანაოსნო იქმნებოდა შიშველ ადგილზე, მას არ გააჩნდა ფლოტი, არ იყო აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სატრანსპორტო მეურნეობა, კადრები. 1969 წელს ბათუმის საზღვაო პორტში საზღვარგარეთის დროშით შემოვიდა 386 გემი (ბულგარეთი, იტალია, საბერძნეთი, ინდოეთი, პოლონეთი, ფინეთი, ნორვეგია, იუგოსლავია, კვიპროსი, დანია, ესპანეთი, რუმინეთი, მექსიკა და ა.შ.) შემოდიოდა ნავთობპროდუქტები, ხილ-ბოსტნეული, ლითონი. 1973 წელს საქართველოს საზღვაო სანაოსნოს გააჩნდა 395 ტონაჟის 40 ტანკერი. 1977 წელს სავალუტო მოგებამ შეადგინა 155 ათასი მანეთი, ხოლო 1970 წელს 175.000 ათასი მანეთი, გაიზარდა ხუთჯერ. 1972 წელს სანაოსნომ მიიღო სასარგებლო წიაღისეულის მზიდავი გემი „ნიკო ნიკოლაძე“. მშრალი ტვირთის გემებიდან აღსანიშნავია „მიხა ცხაკაია“ და „ფილიპე მახარაძე“. მათ გადაჰქონდათ 30000 ტონა ტვირთი, მათ შორის ხორბალი, ქვანახშირი და კოქსი. 1975 წელს სანაოსნოს შემადგენლობაში იყო რვაათასი ტონაჟის 52 გემი. 1972 წელს სანაოსნომ ბულგარეთიდან მიიღო ტანკერი „დროგობიჩი“, ფინეთიდან – „ასპინძა“ გემებს შორის აღსანიშნავია ტანკერი „ბათუმი“, „ჩკალოვი“, „მაშტაგი“, „იზიასლავი“. განვითარდა სავაჭრო ფლოტის ტექნიკური მოწყობის საქმე. გემები გადაჰყავდათ ავტომატიზირებულ სისტემაზე, საქართველოს საზღვაო სანაოსნოში მუშაობდა 3000 ადამიანი. ყოველწლიურად ბათუმის პორტში შემოდიოდა 350 სამგზავრო გემი. 1972 წელს საქართველოში შემოვიდა 18900 მგზავრი. საქართველოდან გაჰქონდათ მარგანეცი (ჭიათურა), კოკსი (რუსთავი), ქვანახშირი (ზესტაფონი), საქართველოში არსებული ნედლეულით მარაგდებოდა მეტალურგიული ქარხნები. 1973 წელს გემი „ანაკლია“ გაემგზავრა კუბაში და იქ 153 დღე დაჰყო. მან განახორციელა 34 რეისი და გადაიტანა 162410951 კგ. ტვირთი, აქედან 9000 ტონა ნავთობი და 7000 ტონა დიზელის საწვავი. საქართველოს სახელმწიფოს შემოსავალმა საგარეო ვალუტით შეადგინა 200.000 მ, ხოლო საბჭოთა ფულით 300.000 მანეთი. გემი „ანაკლიას“ ეკიპაჟის შემადგენლობაში იყო 36 ადამიანი, აქიდან 17 ქართველი, 13 რუსი, 2 სომეხი, უკრაინელი, ბელორუსი, ბერძენი. გემის ეკიპაჟის საშუალო ასაკმა შეადგინა 36 წელი, მათ შორის იყვნენ უმაღლესი საზღვაო სკოლის კურსდამთავრებულები, საშუალო ტექნიკური სასწავლებლების სპეციალისტები (ასს, ფ. რ-128, ან. 1 ს. 478, ფურც. 1).

1972 წლის 31 ივლისს კუბაში 6 თვით გაემგზავრა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ტანკერი „ადიგენი“, რომლის ეკიპაჟი აერთიანებდა 37 წევრს. აღნიშნულმა გემმა განახორციელა რეისები როტერდამში, ანტვერპენში (ასს, ფ. რ-128, ან. 1 ს. 490, ფურც. 21). 1973 წლის 8 იანვარს ბათუმის პორტი შავი ზღვის პორტებს შორის აღიარეს საუკეთესოდ (ასს, ფ. რ-128, ან. 1 ს. 122, ფურც. 212).

ზემოთ წარმოდგენილი მცირე საარქივო დოკუმენტური მასალაც კი ნათლად წარმოაჩენს შორეული ნაოსნობის მდიდარი ტრადიციების მქონე საქართველოს საზღვაო სანაოსნოს, რომელიც არამარტო საქართველოს, არამედ 260 მილიონი ადამიანით მოსახლე მრავალეროვან საბჭოთა სახელმწიფოს დიდ ფულად მოგებას აძლევდა. ლეგენდად იქცა შორეული ნაოსნობის ქართველი კაპიტნების ა. კაჭარავას, ალ. ზენაიშვილის, ვ. მაქაცარიას, ვ. ჭანტურიას და სხვათა საგმირო საქმეები. საუბედუროდ, დღეს აღარ არსებობს ქართველის ხელით დანგრეული საქართველოს საზღვაო სანაოსნო და დავიწყებას მიეცა ნაოსნობის ქართული ტრადიციები.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

ასს, ფ. რ-296, ან. 1 ს. 9-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი რ-296 ანაწერი 1, საქმე N9

ასს, ფ. რ-128, ან. 1 ს. 553-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი რ-128 ანაწერი 1, საქმე N553

ასს, ფ. რ-296, ან. 1 ს. 23-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი რ-296 ანაწერი 1, საქმე N23

ასს, ფ. რ-128, ან. 1 ს. 622-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი რ-128 ანაწერი 1, საქმე N622

ასს, ფ. რ-128, ან. 1 ს. 462-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი რ-128 ანაწერი 1, საქმე N462

ასს, ფ. რ-128, ან. 1 ს. 491-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი რ-128 ანაწერი 1, საქმე N491
ასს, ფ. რ-128, ან. 1 ს. 478-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი რ-128 ანაწერი 1, საქმე N478
ასს, ფ. რ-128, ან. 1 ს. 490-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი რ-128 ანაწერი 1, საქმე N490
ასს, ფ. რ-128, ან. 1 ს. 122-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი რ-128 ანაწერი 1, საქმე N122
ასს, ფ. რ-128, ან. 1 ს. 3-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი რ-128 ანაწერი 1, საქმე N3
ასს, ფ. რ-128, ან. 1 ს. 33-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი რ-128 ანაწერი 1, საქმე N33
ასს, ფ. რ-128, ან. 1 ს. 4-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი რ-128 ანაწერი 1, საქმე N4
ასს, ფ. რ-128, ან. 1 ს. 30-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი რ-128 ანაწერი 1, საქმე N30
გოდერძი ვაჭრიძე 2013; 59 – ბათუმი წარსული და თანამედროვეობა Ш შავი ზღვის ქართული სანაპირო და რუსეთის ეკონომიკური პოლიტიკა.
თამაზ ბერაძე 2011;12 – კრ. ბიბლიოთეკა მომავალი თაობის განათლების კერა საქართველო შავ ზღვაზე უძველესი დროიდან დღემდე.
რევაზ უზუნაძე 1977;1 – ნაოსნობა ბათუმის ოლქში.

FROM THE HISTORY OF THE GEORGIAN MARITIME FLEET
(based on archival documentary materials preserved in the archive administration)

MERAB MEGRELISHVILI
PhD in History, Senior scientific researcher at Niko Berdzenishvili
Institute of Batumi Shota Rustaveli State University,
E-Mail: merab.megrelishvili@bsu.edu.ge
ORCID: 0009-0009-7140-9173

NIKOLOZ MEGRELISHVILI
PhD in Law, Batumi Shota Rustaveli State University,
E-Mail: merab.megrelishvili@bsu.edu.ge
ORCID: 0009-0002-3639-5019

Abstract: In Georgia, navigation has a long history. Numerous works of Georgian and foreign scientists were dedicated to this issue. After Russia's conquest of the Georgian coast of the Black Sea, the foundation for the development of long-distance navigation was laid, a Russian maritime-commercial fleet was created, and the restoration and expansion of the maritime routes connecting Europe and Asia began. From 1921, the Batumi port was militarized. At the Batumi port, there existed a Special Administration of the Seas of Transcaucasia, which carried out ship registration and document inspection. Internationally significant conventions ensured the peaceful movement of ships on the Black Sea and the safety of sailors' lives. Technical requirements were established for all types of maritime transport. Ships were equipped with high-standard radios and warning acoustic signaling systems. All types of hazards, including fire, ship collisions, etc., were considered in the existing convention. The commercial department of the Black Sea coastal fleet had a schedule, calculated in hours and minutes, for incoming and outgoing ships at the Batumi port. Between 1967 and 1974, ships visited ports in 75 foreign countries. Georgia's maritime navigation was being established from scratch; it had no fleet, lacked necessary material-technical bases, transport management, and personnel. In 1969, 386 ships entered the Batumi port under foreign flags (Bulgaria, Italy, Greece, India, Poland, Finland, Norway, Yugoslavia, Cyprus, Denmark, Spain, Romania, Mexico, etc.). Petroleum products, fruits and vegetables, and metals were imported. By 1973, Georgia's maritime navigation had 40 tankers with a total tonnage of 395. In 1977, foreign currency earnings amounted to 155 thousand manats. On January 8, 1973, Batumi port was recognized as the best among the ports of the Black Sea.

Keywords: Batumi port, long-distance navigation, cabotage, commercial cargo turnover, foreign currency profit.

* * *

From ancient times, Georgia had excellent traditions of navigation. Numerous works on this issue were dedicated by researcher-scientists A. Beradze, R. Uzunadze, T. Chanturia, R. Beridze, K. Nakashidze, and others. The newly established maritime leadership faced the task of reviving and developing the ancient navigation traditions and training and developing the workers of the maritime fleet.

After Russia's conquest of the Georgian coast of the Black Sea, the foundation for the development of long-distance navigation was laid, a Russian maritime-commercial fleet was created, and the restoration and expansion of the maritime routes connecting Europe and Asia began. The Rioni River, connecting to the Black Sea, served the function of navigation within the country. (Goderdzi Vachridze 2013:59)

From 1921, the Batumi port was militarized. Cargo inspection was carried out by a commission that included the Batumi commandant, the port captain, and the head of the port detachment. Based on the

inspection of sailing and motorized ships, an act was drawn up. On August 10, 1921, in the Batumi port, 400 barrels of gasoline were delivered by the motorized ship „Kibalchichi“ (Captain Grishko) (Archive, F. R-296, An. 1 S. 9, Sheet 2).

At the Batumi port, there existed a Special Administration of the Seas of Transcaucasia, which carried out ship registration and document inspection. Strict military rules were established at the Batumi port. On September 8, 1921, the ship „Chorokhi,“ which was stopped at the Ochamchire maritime port, was transporting tobacco intended for the army, and at that time, the ship's captain received an urgent order to proceed to the port of Sokhumi. The ship's captain was obliged to comply with the order; otherwise, he faced imprisonment and a fine. In cases of non-compliance with the established port laws, the cargo owner was fined. In 1921, the company „Lloyd Trust“ was fined ten million manats (bonds). The security of the Batumi port was ensured by a militarized police detachment.

Internationally significant conventions ensured the peaceful movement of ships on the Black Sea and the safety of sailors' lives. Technical requirements were established for all types of maritime transport. Ships were equipped with high-standard radios and warning acoustic signaling systems. All types of hazards, including fire, ship collisions, etc., were considered in the existing conventions. In 1974, a collision was recorded between the steamship „Mikha Tskhakaya“ (Captain Zeneishvili) and a Canadian dry cargo ship. The main reason was named as the formal nature of ship inspections. In 1974, the steamship „Zugdidi“ was inspected formally, and no remarks were recorded in the journal. Often, emergency incidents were concealed. Sailors underwent training on a radar simulator. Georgia's maritime fleet ships carried out numerous voyages throughout the year.

The commercial department of the Black Sea coastal fleet had a schedule, calculated in hours and minutes, for incoming and outgoing ships at the Batumi port. The times of entry and exit from different ports were determined. Ships departing from Batumi passenger through the ports of Poti, Gagra, Sokhumi, Sochi, Yalta, Tuapse, Anapa, and Novorossiysk. Different schedules were established for summer voyages. Cargo and passenger ships traveled from Batumi in the direction of Anatolia (the Asian side of Turkey). Once a year, free passenger transportation was provided for personnel serving at sea. On the Black Sea coast, three regiments, the Caucasus division, one company, and two squadrons were stationed. (Archive, F. R-296, An. 1 S. 23, Sheet 60).

The Georgian Maritime Fleet was officially established on January 20, 1967, by Order N13 of the USSR Ministry of the Maritime Fleet, preceded by a long preparatory period. Its creation was prompted by many reasons. At that time, the Black Sea maritime fleet served as a central hub for passenger and cargo ships in the Novorossiysk region and was heavily overloaded with freight operations. To reduce this burden, it was necessary to create a separate maritime fleet. Additionally, the Ministry of the Maritime Fleet considered the significant increase in import-export goods passenger through ports in Georgia, with cargo being sent worldwide. One of the main goals of establishing the Georgian Maritime Fleet was to address operationally the transportation of passengers and cargo. The Georgian Maritime Fleet was directly subordinated to the USSR Maritime Fleet, with its main headquarters located in the city of Batumi.

By the decree of the Georgian government on February 17, 1967, the fleet was allocated the building at 40 I. Gogebashvili Street in Batumi and 1.4 hectares of land, previously belonging to the fishing enterprise „Red Fisherman.“

The leading personnel and engineering-technical staff of the Georgian Maritime Fleet were Assigned to the third category based on wages. The ports of Batumi, Poti, and Sokhumi were allocated one telephone line and an additional 100 telephone numbers. The government allocated 50,000 manats for the restoration of buildings and facilities Assigned to the fleet. The fleet was equipped with new technical equipment. On the initiative of G. Chagovadze, Deputy Chairman of the Council of Ministers of Georgia, vocational schools for maritime professions were opened in Batumi, Poti, and Sokhumi from the 1967–68 academic year. In Poti, a training-course combinat was also established. (Archive, F. R-128, S. 1, Sheet 47).

By Order №123 of the USSR Maritime Fleet on June 24, 1967, the Georgian Maritime Fleet was allocated the following ships: „Aksai“ (cargo capacity 3800 t), „Alagiri,“ „Aktash,“ „Anapa,“ „Alekseevka,“ „Aktau,“ „Kirov,“ „Klaipeda,“ „Iziaslav,“ and „Maikopi.“ The transfer of ships was carried out based on an agreement between the Novorossiysk and Georgian Maritime Fleets. During 1967–1968, other ships under the Georgian Maritime Fleet included: „Poti,“ „Tbilisi,“ and „26 Commissars.“ Minor cabotage routes were primarily in the Batumi-Odesa and Batumi-Zhdanov directions, while the large-scale fleet operated in the Patagon-Shelf-Odesa, Sevastopol-Feodosia-Montevideo, Patagon-Shelf-Batumi, and Kaliningrad-Patagon-Shelf regions. During this period, international voyages included Batumi-Iceland, Tuapse-Canakkale, Feodosia-Antwerp, Buenos Aires-Illichevsk, and Constanta-Hamburg-Rotterdam routes. In 1967–1968, a total of 75,645 tons of cargo were transported, yielding a net profit in foreign currency of 159,503 manats. (Archive, F. R-128, S. 33, Sheet 136)

In 1973, the tanker „Drogobichi“ (Captain I.M. Shanidze) completed 33 voyages, 5 of which were abroad, achieving 100% of the annual plan. Net foreign currency earnings amounted to 121,800 manats. (Archive, F. R-128, An. 1 S. 553, Sheet 143)

In 1967, the Poti port processed 2,860 tons of cargo, including: 1. Flour 261 (grain 240); 2. Sugar 60 (raw sugar 50); 3. Cotton 65; 4. Metals 280; 5. Ore 1,406; 6. Coal 610; 7. Construction materials 125; 8. Chemical cargo 15; 9. General cargo 36.

From 1966 to 1970, the volume of export-import goods in Poti port increased one – to twofold.

In the report of the Head of Batumi Maritime Port, Boris Antimosis dze Lomtadze, on the port's activities from 1966–1970, the growth indicators of export-import goods and the increase in cargo turnover are clearly visible. A similar situation is reported by R. Eshba, head of the Sokhumi port.

On April 29, 1967, based on Order N78 issued by the Director of the Georgian Maritime Fleet, A. Kacharava, special attention was paid to the efficient use of the port fleet, the introduction of the latest scientific and technical achievements at the port, modernization of existing facilities, improving the qualifications of personnel working in the port fleet, and so on. (Archive, F. R-128, S. 4, Sheets 61–62)

By Order N34 of March 31, 1967, issued by the Head of the Georgian Maritime Fleet, Anatoli Kacharava, the rights and responsibilities among the fleet leadership were distributed as follows:

The Fleet Head directly oversaw the Council of the fleet, as well as the military-mobilization, legal, and financial departments, the main maritime agency „Inflot,“ and the headquarters office „Maritime-Commercial Transport.“

His deputy in the field of port construction was B.A. Lomtadze, who was directly in charge of the military detachment „ВОХР,“ responsible for port security. He also controlled hydro-technical facilities, major repairs, proper operation of industrial buildings, the maritime agency „Transflot,“ and construction of industrial and cultural-residential buildings in the port.

The Deputy Head for fleet cargo turnover and transportation, A. Nagnibedi, oversaw the commercial department, the military-defense staff, and the planned and organizational operations of the transport fleet.

The Chief Engineer of the fleet managed the economy, communications, electric-radio navigation, the radio center, material-technical support services, the design-construction bureau, thermal engineering, shipbuilding and repair, the fleet technical council, the chemical laboratory, and supervised the technical operation of dry cargo, oil tankers, coal, ore, and passenger-transport fleet.

The Deputy Head in navigation, V. Chkhaidze, directed the navigation service, the base electric-radio navigation station, port captains and pilots, and supervised the safety of all types of fleet ships.

The Deputy Head for economic affairs, E.A. Chernov, supervised the planning-economic and financial-currency departments, the normative research station, coordinated the work of the fleet council, and reported on directive materials issued by the council.

The Deputy Head for household affairs, D.G. Rtveladze, oversaw the administrative-economic department, was responsible for compliance with orders and directives issued by the fleet, supervised child care institutions at the port, club and sports activities, and port living and sanitary conditions.

The Deputy Head for personnel, E.S. Veresotski, managed the organizational department for sailors working abroad and supervised the work of personnel on fleet ships. (Archive, F. R-128, S. 4, Sheets 28–30)

The Georgian Maritime Fleet paid great attention to the training of engineering-technical personnel. For this purpose, the fleet maintained close contacts with various other maritime fleets. According to data from the Personnel Department of April 25, 1967, out of 35 specialists, 15 had higher education, 6 had incomplete higher education, 11 had specialized secondary education, and 3 had general secondary education. Knowledgeable maritime professionals included the long-distance navigation captain A. Kacharava, his deputy Boris Lomtadze, as well as V. Chkhaidze, N. Gaidaburi, A. Maksimov, E. Chernov, and others. Most of them had served for many years as captains and assistants in long-distance navigation.

The head of the personnel department, E.G. Gegenava, spent 20 years in long-distance navigation, holding first the position of engineer-mechanic and later the first assistant of a long-distance navigation captain. G. Vasadze, who supervised the organization of overseas navigation, held a long-distance navigation captain's diploma and worked for 11 years in the Ministry of the Maritime Fleet system.

To share labor experience, fleet specialists were sent to the Novorossiysk Maritime Fleet; seminars were held in Baltic countries, and the Batumi Maritime School (so-called „Morekhotka") trained specialists for the fleet.

For the safety of export-import cargo transportation, based on the fleet head's order of February 19, 1967, militarized detachments of the Georgian Maritime Fleet, the so-called „BOXP," were created. (Archive, F. R-128, S. 4, Sheets 7–8)

On May 11, 1967, the Head of the Georgian Maritime Fleet established a uniform for maritime transport workers, based on the USSR Council of Ministers' order of March 22, 1963, and the Ministry of the Maritime Fleet's order of March 24, 1964.

At that time, the Georgian Maritime Fleet possessed the following transport AAAets:

Transport fleet: passenger catamarans „Zemchuzhina" (2 units), „Arkadia" (3 units);

Dry cargo barges and flatboats;

Tugboats (3 units), and others. The complete list is detailed in archival documents.

From 1959–1966, the passenger fleet of Sokhumi served the ships: „Sokhumi," „Dzigua," „Lakoba," „Kiakhba," „Eshba," „Tkvarcheli," „Abkhazia Komsomol," „Gali," „Ochamchire"; the cargo fleet served the ships: „Kodori," „Gumishta," „Kelasuri," „Bzipi." The Sokhumi Maritime Port Department was headed by M. Tsekava. (Archive, F. R-128, S. 30, Sheet 7)

On May 16, 1975, the Georgian Maritime Fleet Council discussed the rules of conduct for Soviet sailors abroad. Special attention on the ship was given to political-educational work. The second-in-command after the captain, the so-called „Zampalit," was the head of political-educational work. Particular control was established over the prevention of smuggling and adherence to customs regulations. A Soviet sailor was required to maintain moral conduct and follow the rules of behavior. Common violations included excessive alcohol consumption, lateness on the ship, trading with foreign citizens, and exchanging goods. Sailors who broke rules were deprived of visas and sent to work in cabotage for swimming duties. Trade items included women's perfume, exotic birds, pornographic magazines, foreign tobacco, and others. (Archive, F. R-128, An. 1 S. 622, Sheet 200)

The Georgian Maritime Fleet also implemented preventive measures against occupational diseases. Welders' occupational disease was conjunctivitis. Protective glaves were required, and work areas were isolated with protective barriers. (Archive, F. R-128, An. 1 S. 462, Sheet 52)

In the 1970s, members of the Georgian Maritime Fleet Council included A. Kacharava, P. Jorbenadze, Koiava, Kikvidze, Davidadze, Pkhakadze, Gaidaburi, Benidze, Isakaev, and Sidenko. (Archive, F. R-128, An. 1 S. 622, Sheet 290).

On February 14, 1974, the Head of the Georgian Maritime Fleet, Anatoli Kacharava, noted in his report that compared to 1972, cargo tonnage had increased by 20%, and profits amounted to 37%,

exceeding the plan by 9,000 maneti. The economy of the fleet exceeded 51,000 maneti. At the meeting, it was noted that the time for performing repair work had been reduced, delivery of new equipment had improved, and rationalization activities had developed. Anatoli Kacharava identified one of the main shortcomings as the long idle and waiting time of ships in maritime ports.

On September 19, 1973, the tanker „Borjomi,“ arriving at the port of Batumi, took 37 days to unload 21,000 tons of grain, instead of the planned 15 days. The main reason cited was the low qualification of the dispatcher. Large sums were spent on ship repair work; in 1973, 200,000 maneti were allocated for the overhaul of the tanker „Tbilisi,“ but 500,000 maneti were actually spent. In 1974, through staff reduction, the fleet achieved an economic effect of 6,500 maneti. (Archive, F. R-128, An. 1 S. 491, Sheet 146)

Based on Order of February 8, 1974, by Anatoli Kacharava, captains were appointed for ships sailing abroad: the tanker „Aspindza“ (Captain Aslan Yusufis dze), „Aktau“ (Captain Zenayishvili Abesalom Melitonis dze), „Aksai“ (Captain Blagidze Konstantine Konstantines dze). Notable Georgian captains included: Svanidze Giorgi Nikolozis dze, Mikeladze Soso Memedis dze, and Chkhaidze Vakhtang Davitis dze. (Archive, F. R-128, An. 1 S. 553, Sheet 6)

By Order of July 19, 1974, the Head of the Georgian Maritime Fleet awarded the honorary title of sailor to Marlen Oragvelidze and Giorgi Arjevanidze. The title of best captain was given to the captain of the tanker „Batumi,“ Vakhtang Davitis dze Chkhaidze; the captain of the tanker „Aspindza,“ Jumber Isidores dze Inchkireli. The title of best mechanic was awarded to Guram Shalvas dze Makatsaria, mechanic of the tanker „Zugdidi.“ Honorary titles were also given to: the senior officer of the tanker „Gori,“ Deisadze Nikoloz Ivanes dze; the boatswain of the tanker „50 Years of Soviet Georgia,“ Kutaladze Vazha Giorgis dze; and the sailor of the „Aktau,“ Mekvabishvili Guram Sandros dze.

From 1967 to 1974, Georgian Maritime Fleet ships visited ports in 75 foreign countries. The Georgian Maritime Fleet was created from scratch; it had no fleet, no necessary material-technical base, no transport economy, and no personnel.

In 1969, 386 foreign-flagged ships arrived at the Batumi Maritime Port (from Bulgaria, Italy, Greece, India, Poland, Finland, Norway, Yugoslavia, Cyprus, Denmark, Spain, Romania, Mexico, etc.). Cargo included petroleum products, fruits and vegetables, and metals.

By 1973, the Georgian Maritime Fleet had 40 tankers with a total tonnage of 395. In 1977, foreign currency profits reached 155,000 maneti, compared to 175,000 maneti in 1970, a fivefold increase.

In 1972, the fleet received the cargo ship „Niko Nikoladze“ for transporting useful minerals. Notable dry cargo ships included „Mikha Chkhaika“ and „Filipe Makharadze,“ which carried 30,000 tons of cargo, including wheat, coal, and coke. In 1975, the fleet included 52 ships with a total tonnage of 8,000.

In 1972, the fleet received the tanker „Drogobich“ from Bulgaria and „Aspindza“ from Finland. Notable ships included the tankers „Batumi,“ „Chkalov,“ „Mashtag,“ and „Iziaslav.“ The technical maintenance of the merchant fleet developed, ships were converted to automated systems, and 3,000 people worked in the Georgian Maritime Fleet. Each year, 350 passenger ships arrived at the Batumi port. In 1972, 18,900 passengers arrived in Georgia. Exports from Georgia included manganese (Chiatura), coke (Rustavi), and coal (Zestafoni), supplying metallurgical factories with raw materials.

In 1973, the ship „Anaklia“ traveled to Cuba, staying there for 153 days. It completed 34 voyages, transporting 162,410.951 kg of cargo, including 9,000 tons of oil and 7,000 tons of diesel fuel. The Georgian state earned 200,000 maneti in foreign currency and 300,000 maneti in Soviet rubles. The „Anaklia“ crew consisted of 36 people: 17 Georgians, 13 Russians, 2 Armenians, 1 Ukrainian, 1 Belarusian, and 1 Greek. The average age of the crew was 36, including graduates of higher maritime schools and specialists from technical colleges. (Archive, F. R-128, An. 1 S. 478, Sheet 1)

On July 31, 1972, the Georgian Maritime Fleet tanker „Adigeni“ traveled to Cuba for six months, with a crew of 37 members. The ship completed voyages to Rotterdam and Antwerp. (Archive, F. R-128, An. 1 S. 490, Sheet 21)

On January 8, 1973, the Batumi port was recognized as the best among the Black Sea ports. (Archive, F. R-128, An. 1 S. 122, Sheet 212)

Even this small sample of archival documentary material clearly illustrates the Georgian Maritime Fleet, which possessed a rich tradition of long-distance navigation, and provided significant monetary profit not only for Georgia but for the multiethnic Soviet state with a population of 260 million. The heroic achievements of Georgian long-distance navigation captains, such as A. Kacharava, A. Zenayishvili, V. Makatsaria, V. Chanturia, and others, became legendary. Unfortunately, today the Georgian Maritime Fleet, destroyed by Georgian hands, no longer exists, and the traditions of Georgian navigation have been forgotten.

References:

AAA, f. R-296, inv. 1, p. 9 – Ajara Archival Administration, fund R-296, inventory 1, file No. 9

AAA, f. R-128, inv. 1, p. 553 – Ajara Archival Administration, fund R-128, inventory 1, file No. 553

AAA, f. R-296, inv. 1, p. 23 – Ajara Archival Administration, fund R-296, inventory 1, file No. 23

AAA, f. R-128, inv. 1, p. 622 – Ajara Archival Administration, fund R-128, inventory 1, file No. 622

AAA, f. R-128, inv. 1, p. 462 – Ajara Archival Administration, fund R-128, inventory 1, file No. 462

AAA, f. R-128, inv. 1, p. 491 – Ajara Archival Administration, fund R-128, inventory 1, file No. 491

AAA, f. R-128, inv. 1, p. 478 – Ajara Archival Administration, fund R-128, inventory 1, file No. 478

AAA, f. R-128, inv. 1, p. 490 – Ajara Archival Administration, fund R-128, inventory 1, file No. 490

AAA, f. R-128, inv. 1, p. 122 – Ajara Archival Administration, fund R-128, inventory 1, file No. 122

AAA, f. R-128, inv. 1, p. 3 – Ajara Archival Administration, fund R-128, inventory 1, file No. 3

AAA, f. R-128, inv. 1, p. 33 – Ajara Archival Administration, fund R-128, inventory 1, file No. 33

AAA, f. R-128, inv. 1, p. 4 – Ajara Archival Administration, fund R-128, inventory 1, file No. 4

AAA, f. R-128, inv. 1, p. 30 – Ajara Archival Administration, fund R-128, inventory 1, file No. 30

Goderdzi Vachridze, 2013; 59 – Batumi: Past and Present. The Georgian Coast of the Black Sea and Russia's Economic Policy

Tamaz Beradze, 2011; 12 – Library of the Future Generation: Education Hub in Georgia on the Black Sea from Ancient Times to the Present

Revaz Uzunadze, 1977; 1 – Shipping in the Batumi District

საქართველოს ადგილი შავი ზღვის სრუტეების კონვენციაში და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია (XX საუკუნის 20-30-იანი წლები)[1]

ლელა სარალიძე
ისტორიის დოქტორი, რეგიონალიზმის კვლევის
ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
ელ-ფოსტა: lelasaralidze@yahoo.com
ORCID: 0009-0008-5173-7906

აბსტრაქტი: ნაშრომში საარქივო დოკუმენტებისა და ემიგრაციული პრესის მასალების მეცნიერული ანალიზის საფუძველზე, შესწავლილია ემიგრაციაში მყოფი ქართველი პოლიტიკოსების ბრძოლა გასაბჭოებული საქართველოს ინტერესების დასაცავად, ლოზანისა და მონტრეს საერთაშორისო კონფერენციებზე. შავ ზღვას, ასევე, ბოსფორის და დარდანელის სრუტეებს, უძველესი დროიდან, როგორც მოსაზღვრე, ასევე, არამოსაზღვრე ქვეყნებისთვის განსაკუთრებული სავაჭრო-ეკონომიკური და სამხედრო მნიშვნელობა აქვს. რკინის ფარდის მიღმა, ევროპაში მყოფი ქართველი პოლიტიკოსები, აცნობიერებდნენ რა შავი ზღვის სტრატეგიულ მნიშვნელობას, სრუტეების საერთაშორისო კონვენციაში საქართველოსთვის ადგილის მოსაპოვებლად, საერთაშორისო დონეზე აქტიურად იბრძოდნენ. რამდენიმე სამეცნიერო სტატიას თუ არ ჩავთვლით, აღნიშნული საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში სათანადოდ შესწავლილი არ არის, ხოლო საბჭოთა ისტორიოგრაფია ემიგრაციაში მოღვაწე ქართველი პოლიტიკოსების ბრძოლას მენშევიკების მოქმედებად აფასებს და მათ ღვაწლს მნიშვნელოვნად აკნინებს.

ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებთან დაკავშირებით დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან, მთავარი როლი თურქებს ეკუთვნოდათ. პირველ მსოფლიო ომში ოსმალეთის დამარცხების შემდეგ, 1918 წლის 30 ოქტომბერს მუდროსში დადებული ხელშეკრულება, ანტანტის ქვეყნების წინაშე ოსმალეთის კაპიტულაციას ითვალისწინებდა. ოსმალეთის ხელისუფლება იძულებული გახდა პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებული სახელმწიფოებისთვის შავ ზღვაში შესვლის, ასევე, კონსტანტინოპოლისა და სრუტეების ოკუპაციის უფლება მიეცა. 1920 წლისთვის ანტანტის სამხედრო ნაწილებმა კონსტანტინოპოლი და შავი ზღვის სრუტეები დაიკავეს. 1918 წლიდან 1920 წლის ივლისამდე, ქ. ბათუმში დიდი ბრიტანეთის ჯარი იდგა. 1920 წლის 7 ივლისს, დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებამ ბათუმი მის კანონიერ მეპატრონეს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებას დაუბრუნა. 1920 წლის 10 აგვისტოს, პარიზის მახლობლად, სევრში დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმად ოსმალეთი თავისი ტერიტორიის 3/4-ს კარგავდა, ხოლო სრუტეები სპეციალურ კომისიას უნდა გაეკონტროლებინა.

1921 წლის თებერვალ-მარტში, რუსეთის წითელი არმიის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია-ანექსიის შემდეგ, საქართველოს კანონიერი მთავრობა იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო და დაკარგული თავისუფლების აღსადგენად ბრძოლა უცხოეთიდან გაეგრძელებინა. საქართველოს ემიგრაციული მთავრობის, 1922 წლის 13 ნოემბრის დადგენილებით, ლოზანის კონფერენციაზე აკაკი ჩხენკელი და ხარიტონ შავიშვილი გაგზავნეს. საქართველოს ეროვნული მთავრობის მიერ წარგზავნილი არაოფიციალური დელეგაციის ძალისხმევით, საქართველო, როგორც შავიზღვისპირა ქვეყანა, ლოზანის კონფერენციის ოქმებში შეიტანეს. გარდა ამისა, კონფერენციამ სრუტეების კონვენციის XII მუხლში საქართველოს ადგილი დაუტოვა. აღნიშნულ მუხლში საუბარი იყო საერთაშორისო კომისიაზე, რომელსაც სრუტეების საკითხში ახალი წესების შესრულებაზე მეთვალყურეობა ევალებოდა. იმავე მუხლის III აბზაცში, რომელსაც მეტსახელად „ქართველების აბზაცს“ უწოდებდნენ, აღნიშნული იყო, რომ შავი ზღვის მოსაზღვრე სახელმწიფოებს – საქართველოსა და უკრაინას, რომელთაც ლოზანის კონფერენციის მუშაობაში ოფიცი-

[1] კვლევა [HE-22-239] დაფინანსებულია შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (SRNSFG) მიერ

ალურად მონაწილეობა არ მიუღიათ, უფლება ჰქონდათ საერთაშორისო სრუტეების საკითხის შემსწავლელ კომისიაში საკუთარი წარმომადგენელი გაეგზავნათ. მიუხედავად დიდი ძალისხმევისა, შემდგომში ეს პოზიცია ემიგრაციაში მოღვაწე ქართველმა პოლიტიკოსებმა ვეღარ შეინარჩუნეს. 1936 წლის 20 ივლისს, შვეიცარიის ქალაქ მონტრეში ხელი მოეწერა ახალ მონტრეს კონვენციას, რომლის ძალითაც ლოზანის კონფერენციის გადაწყვეტილება გაუქმდა, შავი ზღვის სრუტეებზე თურქეთის სრული სუვერენიტეტი აღდგა. ამ დროისთვის, ქართული ემიგრაცია შესუსტებული იყო. 1933 წლის ივლისში, პარიზში ქართული ლეგაცია ოფიციალურად გაუქმდა (არქივი, ფ. 1864, ან. 2, ს. 915:15), რასაც წინ უსწრებდა რუსეთ-საფრანგეთის თავდაუსხმელობის პაქტი (1932 წ. 29 ნოემბერი) (სარალიძე, 2010/2011:384).

მონტრეს კონვენციამ მძიმე გამოვლინება პოვა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, როცა აშშ-ს ხელისუფლებამ შავ ზღვაში სამხედრო ხომალდების შეყვანა განიზრახა, თურქეთის მთავრობამ ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებში ამერიკული გემების გატარებაზე უარი განაცხადა და მონტრეს კონვენცია აამოქმედა. ემიგრაციაში მოღვაწე ქართველი პოლიტიკოსების მცდელობის მიუხედავად, საქართველო უძლური აღმოჩნდა დაეცვა ქვეყნის უფლებები სრუტეების კონვენციაში, რასაც მაშინ საბჭოთა რუსეთის ხელისუფლებამ აქტიურად შეუშალა ხელი.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, რუსეთი, თურქეთი, ლოზანის კონვენცია, მონტრეს კონვენცია.

* * *

შესავალი. შავი ზღვის ფაქტორი, სამხედრო-ეკონომიკური თვალსაზრისით, ქართული სახელმწიფოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ამ ფაქტს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რუსული ოკუპაციის გამო, ემიგრაციაში იძულებით წასული ქართველი პოლიტიკოსები. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ საერთაშორისო ფორუმებში. ქართული პოლიტიკური ელიტა, ძირითადად, საფრანგეთში მოღვაწეობდა, სადაც ქართული ლეგაცია, 1933 წლის ივლისამდე, ოფიციალურად არსებობდა. ლოზანის კონფერენციაზე, სრუტეების კონვენციაში ადგილის მოპოვება ქართველი პოლიტიკოსების ძალისხმევის შედეგი იყო. საბჭოთა დელეგაციის პარალელურად, საქართველოს ინტერესების დასაცავად, ისინი აქტიურად იბრძოდნენ. მართალია, შემდეგში 1936 წელს მონტრეს კონვენციით, საქართველომ დაკარგა ლოზანის კონფერენციაზე მიღწეული შედეგები, თუმცა მათი ხმა აქტიურად ისმოდა საბჭოთა რკინის ფარდის მიღმა და მსოფლიოს საბჭოთა მთავრობის რეალურ სახეს აჩვენებდა.

წინამდებარე ნაშრომში თანმიმდევრულად არის გადმოცემული ემიგრაციაში მყოფი ქართველი პოლიტიკოსებით თავდადებული ბრძოლა ლოზანის და მონტრეს კონფერენციებზე, სადაც სრუტეების კონვენციის საკითხი საერთაშორისო დონეზე განიხილებოდა.

მეთოდები: კვლევა დაფუძნებულია ისტორიულ-შედარებით და ემპირიულ მეთოდებზე, რაც საკვლევი მასალის კრიტიკულ ანალიზსა და გააზრებას გულისხმობს. გამოყენებულია საარქივო, პრესის მასალების, საერთაშორისო კონფერენციებზე პოლიტიკურ მოღვაწეთა მოხსენებების დამუშავების კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდი, პოლიტიკური მონიტორინგი, საერთაშორისო ხელშეკრულებების მონაცემების ანალიზი.

მსჯელობა: შავიზღვისპირა სრუტეების როლი, ევროპულ სახელმწიფოთა ეკონომიკური განვითარების, საერთაშორისო ვაჭრობის და კონკურენციის პირობებში, მნიშვნელოვნად გაიზარდა. ოსმალეთის იმპერია, რომელიც ანგარიშგასაწევ სამხედრო ერთეულს წარმოადგენდა, XIX საუკუნემდე, მსოფლიოს სრუტეების გამოყენების წესებს კარნახობდა. ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებში, საკუთარი ხომალდების თავისუფალი გადაადგილების უზრუნველყოფის მიზნით, ევროპულ სახელმწიფოთა მმართველები ოსმალეთის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებს აქტიურად აწარმოებდნენ. სასურველი შედეგის მისაღებად, ისინი დიპლომატიას, ზოგჯერ კი სამხედრო ძალასაც მიმართავდნენ. შექმნილმა საერთაშორისო პირობებმა შავიზღვისპირა სრუტეების

გამოყენების შესახებ საერთაშორისო კონვენციის შექმნის იდეა განაპირობა. რუსეთის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ავსტრიის, პრუსიისა და ოსმალეთის წარმომადგენლებმა, 1841 წლის 13 ივლისს, ლონდონის სრუტეების პირველ კონვენციას მოაწერეს ხელი. კონვენციის ძალით, შავი ზღვის სრუტეებზე, რომლებიც შავ ზღვას ხმელთაშუა ზღვასთან აკავშირებს, ოსმალეთის იმპერიის ძველი მმართველობა აღდგა. სრუტეებში უცხოური სამხედრო ხომალდების გადაადგილება იკრძალებოდა, მათი მიმოსვლა კი საკუთრივ ოსმალეთის სულთნის მიერ იყო ნებადართული (Rozakis, Stagos, 1987:25).

თავის მხრივ, საბჭოთა რუსეთის ხელისუფლებამ, ლენინის მეთაურობით, მეფის რუსეთის ყველა არაკანონიერ ხელშეკრულებას, მათ შორის სრუტეებთან მიმართებაში, ანულირება გაუკეთა და თურქეთის ხელისუფლებასთან, მუსტაფა ქემალის (ათათურქის) მეთაურობით, მეგობრული ურთიერთობა დაამყარა. საბჭოთა მთავრობა თურქეთის ხელისუფლების მიერ შემოთავაზებულ წინადადებას დაეთანხმა, რომლის მიხედვით, სრუტეების საკითხი შავიზღვისპირა სახელმწიფოების იურისდიქციის ქვეშ რჩებოდა, თუმცა მსოფლიო არენაზე ძალთა თანაფარდობის ცვლისა და თვით შავიზღვისპირა სახელმწიფოთა შორის არსებული უთანხმოებების გამო ეს ვერ განხორციელდა.

1921 წლის 16 მარტს, რუსეთის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობასა და ოსმალეთის დიდ ეროვნულ კრებას შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის V მუხლი სრუტეებს ეხებოდა. შავი ზღვის სრუტეების საკითხი განსახილველად უნდა გადასცემოდა კონფერენციას შავიზღვისპირეთის ქვეყნების შემადგენლობით. საკითხის გადაწყვეტისას დაცული უნდა ყოფილიყო ოსმალეთის სუვერენიტეტი. მსგავსი პირობები იყო განხილული მოგვიანებით რუსულ-თურქულ ყარსის ხელშეკრულებაში 1921 წლის 13 ოქტომბერს, ასევე, 1922 წლის უკრაინულ-თურქულ ხელშეკრულებაში.

1922 წლის 20 ნოემბრიდან 1923 წლის 24 ივლისამდე (შესვენებით 1923 წლის 4 თებერვლიდან 22 აპრილამდე), დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და იტალიის ინიციატივით, თურქეთთან სამშვიდობო ხელშეკრულების მოსამზადებლად და შავი ზღვის სრუტეების კონვენციის შესამუშავებლად, შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა. ანტანტის ქვეყნების ზოგადი პოზიცია შავი ზღვის სრუტეებში, როგორც მშვიდობიან, ასევე, ომის დროს, ყველა ქვეყნის სამხედრო გემებისთვის თავისუფალ გადაადგილებას ითვალისწინებდა, თურქეთის ნეიტრალიტეტის შემთხვევაში. ინგლისის დელეგაციამ შავი ზღვის სრუტეების დემილიტარიზაცია და მათზე საერთაშორისო კონტროლის დამყარება მოითხოვა.

საქართველოს ემიგრაციული მთავრობის, 1922 წლის 13 ნოემბრის, დადგენილებით, ლოზანის კონფერენციაზე, პირველ დელეგატად ევროპაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი მინისტრი აკაკი ჩხენკელი, ხოლო მეორე დელეგატად ერთა ლიგაში საქართველოს ეროვნული მთავრობის წარმომადგენელი, ხარიტონ შავიშვილი დაინიშნა (არქივი, ფ. 1864, ს. 636:38).

ანტანტის სახელმწიფოთა გადაწყვეტილებით, საბჭოთა დელეგაციის მონაწილეობა თავდაპირველად სრუტეების საკითხის განხილვით შემოიფარგლა. საბჭოთა მთავრობამ გააპროტესტა ასეთი დისკრიმინაცია, მაგრამ შესაძლებლად მიიჩნია კონფერენციაში მონაწილეობა და გიორგი ჩიჩერინის მეთაურობით ლოზანაში ოფიციალური დელეგაცია გაგზავნა. გასაბჭოებულ საქართველოს კი ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საკავშირო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ბუდუ (პოლიკარპე) მდივანი წარმოადგენდა. მისი ძმა სიმონ მდივანი ემიგრაციაში მყოფი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელი იყო ანგორაში (ანკარა). ლოზანაში ჩასულმა საბჭოთა დელეგაციამ თავი სრულიად იზოლირებულად იგრძნო. გ. ჩიჩერინმა სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილეს მაქსიმ ლიტვინოვს მისწერა: „მე შემექმნა შთაბეჭდილება ჩვენი სრული იზოლაციისა არა მხოლოდ ლოზანაში, არამედ ზოგადად... კურზონი კონფერენციის სრული ბატონ-პატრონია. ფრანგები თავმდაბლად მისდევენ მას. მუსოლინიმ სრულიად დაკარგა ყოველგვარი დამოუკიდებლობა. თურქები საცოდავ პოლიტიკას ატარებენ, თითქოს ვინმეს მოტყუება სურთ და, საბოლოოდ, ნებდებიან და ემორჩილებიან...“ (Хормач, 2019:80). ყველა სხვა სახელმწიფო, მათ შორის იუგოსლავია და ბულგარეთი, ასევე, კონფერენცი-

აზე არაოფიციალურად მყოფი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია რსფსრ-ის წინააღმდეგი იყო.

საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა რაიმონ პუანკარემ წინადადებით მიმართა ინგლისისა და იტალიის მმართველებს, რათა ლოზანის კონფერენციაზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია მიეწვიათ, თუმცა მოკავშირეთაგან თანხმობა ვერ მიიღო. ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდ კურზონი საქართველოს ეროვნული მთავრობის წარმომადგენელთა მიწვევის წინააღმდეგი არ იყო, მაგრამ კონფერენციაზე, ასევე, ფაქტობრივ, ე. ი. საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლის დაშვებასაც მოითხოვდა. დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, ლორდ კურზონი ასე ასაბუთებდა თავის წინადადებას: „ინგლისმა ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ მას იურიდიულად არცერთი მთავრობა, არც ეროვნული და არც ბოლშევიკური არ უცნია. მე არ შემიძლია ამიტომ დაგეთანხმოთ ისეთი მთავრობის მოწვევაზე, რომელიც არ განაგებს თავის ტერიტორიებს“ (სარალიძე, 2017:360). რ. პუანკარემ ინგლისის წარმომადგენელს დაუსაბუთა, რომ 1921 წლის 27 იანვარს, ინგლისმა სხვა მოკავშირეებთან ერთად ცნო, როგორც საქართველო, ისე მისი ეროვნული მთავრობა. ამის შემდეგ, კურზონი იძულებული გახდა ელიარებინა თავისი შეცდომა, თუმცა ლოზანის კონფერენციაზე საქართველოს მოწვევის საკითხში ის მაინც ურყევი დარჩა. რადგან შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, გადაწყდა არც ეროვნული და არც საბჭოთა რუსეთის მიერ წარმოდგენილი საქართველოს მთავრობა მოეწვიათ. მოგვიანებით, დიდმა ბრიტანეთმა სსრკ, როგორც სახელმწიფო, ოფიციალურად 1924 წლის 2 თებერვალს აღიარა.

კონფერენციის მეორე ეტაპზე, მას შემდეგ რაც 1923 წლის 23 აპრილს მოლაპარაკებები განახლდა, ანტანტის ძალებმა საბჭოთა დელეგაციის პირდაპირი დისკრიმინაციის გზა აირჩიეს. იტალიაში საბჭოთა კავშირის დიპლომატიური წარმომადგენელი ვაცლავ ვოროვსკი ოფიციალურად არც კი იყო ინფორმირებული კონფერენციის განახლების შესახებ და როდესაც ლოზანაში ჩავიდა, მოლაპარაკებებში მონაწილეობის უფლება არ მისცეს. იმავე დღეს საბჭოთა მთავრობამ ვოროვსკის შვეიცარიის დატოვება უბრძანა, თუმცა უკვე გვიანი იყო – 10 მაისს ვოროვსკი ყოფილმა თეთრგვარდიელმა ოფიცერმა, შვეიცარიის მოქალაქე მორის კონრადიმ მოკლა (Белков, 1971:86).

16 მაისს, საბჭოთა მთავრობამ, ვოროვსკის მკვლელობასთან დაკავშირებით, მოწვეულ სახელმწიფოებს და შვეიცარიას საპროტესტო ნოტები გაუგზავნა, ხოლო 20 ივნისს შვეიცარიასთან ურთიერთობები შეწყვიტა. მოლაპარაკებების შედეგად, საბჭოთა წარმომადგენლების მონაწილეობის გარეშე, მოკავშირეებმა სრუტეების რეჟიმთან დაკავშირებით მათი პროექტის მიღების, ასევე, ადგილობრივი კომისიის შესახებ, თურქეთთან შეთანხმების მიღწევა მოახერხეს.

ლოზანის სამშვიდობო კონფერენციაზე, რუსეთის მთავრობამ აქტიურად დაუჭირა მხარი თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს (სვანიძე, 2002:314-316). 1922 წლის 6 დეკემბერს, კომისიის მეორე შეხვედრაზე, საბჭოთა დელეგაციის მისამართით, კურზონმა უკმაყოფილება გამოთქვა, რადგან რუსული პროგრამა მიზნად ისახავდა შავი ზღვის რუსულ ტბად გადაქცევას, რომლის კართანაც თურქეთი ერთგული მცველი იქნებოდა. თავის მხრივ, ლოზანის კონფერენციაზე ოსმალეთის დელეგაციის მეთაურმა, ისმეთ ფაშამ (Mustafa İsmet İnönü, 1884-1973), საბჭოთა რუსეთის პოზიციების მხარდაჭერაზე უარი თქვა, რის გამოც რუსეთის ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ არა თუ ვერ მოიპოვა ახალი პოზიციები ლოზანაში, არამედ ძველიც კი დაკარგა. კომისიაში გამართული დისკუსიების დროს, ისმეთ ფაშამ განაცხადა, რომ ის არ მოითხოვდა დასავლეთ თრაკიის თურქეთისთვის დაბრუნებას. რეგიონში მცხოვრებ ხალხს უფლება ჰქონდა, საკუთარი ბედი თავად გადაეწყვიტა. აღმოსავლეთ თრაკიის საზღვრები 1913 წლის სტამბოლის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფარგლებში უნდა ყოფილიყო (Lozan Barış Konferansı, 2018:58).

1923 წლის 24 ივლისს, დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, იტალიამ, იაპონიამ, საბერძნეთმა, რუმინეთმა, სერბების, ხორვატებისა და სლოვენიების სამეფომ, ერთი მხრივ, და თურქეთმა, მეორე მხრივ, ლოზანის სამშვიდობო ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს. სრუტეების საკითხთან დაკავშირებით, ინგლისურმა დიპლომატიამ თურქეთისგან მნიშვნელოვანი დათმობები მიიღო: ხელშეკრულება ითვალისწინებდა, მშვიდობიან და საომარ დროს, სავაჭრო და სამხედრო (საზღვაო და საჰაერო) გემების სრუტეებში გადაადგილების თავისუფლებას; ბოსფორისა და დარდანელის დე-

მილიტარიზაციას, ანუ სანაპირო სიმაგრეების განადგურებას. ლოზანის კონფერენციის გადაწყვეტილებით, შავი ზღვა გადაიქცა საერთაშორისო ზღვად, სადაც შავი ზღვის განაპირა სახელმწიფოებისთვის როგორც სავაჭრო, ისე სამხედრო გემების მიმოსვლა უზრუნველყოფილი იყო.

1923 წლის 23 აგვისტოს თურქეთმა მოახდინა ხელშეკრულების რატიფიკაცია, ხოლო ძალაში შევიდა 1924 წლის 6 აგვისტოდან, როდესაც რატიფიკაცია ყველა ხელმომწერმა სახელმწიფომ მოახდინა.

ლოზანის კონფერენციაზე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ემიგრირებული მთავრობის მიერ წარგზავნილი არაოფიციალური დელეგაციის ძალისხმევით, საქართველო შეტანილი იქნა კონფერენციის ოქმებში. გარდა ამისა, კონფერენციამ სრუტეების კონვენციის XII მუხლში საქართველოს ადგილი დაუტოვა. აღნიშნულ მუხლში საუბარი იყო საერთაშორისო კომისიაზე, რომელსაც სრუტეების საკითხში ახალი წესების შესრულებაზე მეთვალყურეობა ევალებოდა. იმავე მუხლის III აბზაცში, რომელსაც მეტსახელად „ქართველების აბზაცს“ უწოდებდნენ, აღნიშნული იყო, რომ შავი ზღვის მოსაზღვრე სახელმწიფოებს – საქართველოსა და უკრაინას, რომელთაც ლოზანის კონფერენციის მუშაობაში ოფიციალურად მონაწილეობა არ მიუღიათ, უფლება ჰქონდათ საერთაშორისო სრუტეების საკითხის შემსწავლელ კომისიაში საკუთარი წარმომადგენელი გაეგზავნათ.

1922-1923 წლების ლოზანის კონფერენციაზე საბჭოთა დელეგაციამ, არაერთხელ განაცხადა პრეტენზია, კონფერენციაზე საქართველოს ეროვნული მთავრობის წარმომადგენლების დაშვებასთან დაკავშირებით, თუმცა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა, გიორგი ჩიჩერინმა უარყოფითი პასუხი მიიღო. უფრო მეტიც, საქართველო კონფერენციის ოქმებში შეტანილი იყო, როგორც შავი ზღვის მოსაზღვრე დამოუკიდებელი სახელმწიფო და სრუტეების კონვენციის მე-12 პუნქტის მე-3 ქვეპუნქტით, მისთვის საკონტროლო კომისიაში ადგილი გამოყოფილი იყო (არქივი, ფ. 1864, ს. 820:6).

კონფერენციაზე ქართულ დელეგაციას დიდი დახმარება გაუწია ფრანგმა დიპლომატმა რენე მასიგლიმ (René Massigli). იგი, 1920-1931 წლებში, თურქეთში საფრანგეთის ელჩი, ამასთანავე ელჩების კონფერენციის გენერალური მდივანი იყო. 1923 წელს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისადმი გაგზავნილ წერილში ა. ჩხენკელი წერს: „...ეს არის მოვედი მასიგლისაგან, ის ხომ პირველი წყაროა. გადაშალა კონვენციის პროექტი და წამაკითხა მე-12 მუხლი კომისიის შესახებ: თურმე პრესას გამოუტოვებია მუხლის უკანასკნელი აბზაცი, რომელიც სწორედ ჩვენ გვეხება! აქვე გიგზავნით ამ მუხლის ასლს უკლებლად. უკანასკნელ აბზაცში არაა დასახელებული საქართველო, მაგრამ მხოლოდ ის იგულისხმება მასში. ეს აბზაციო, განმარტა მასიგლიმ, სპეციალურად თქვენთვის დაუმატესო, გაიმეორა მან ხაზგასმით. მაშ რად პირდაპირ არ დაასახელეთ საქართველო-მეთქი, შევეკითხე მე. იმიტომ რომ საქართველო არაა მონაწილე კონფერენციის, მარტო ის ითვლება **დამოუკიდებელ სახელმწიფოდ შავ ზღვაზე, ჩამოთვლილთა გარდა, თან შეიძლება** ჩიჩერინთან დავიდარაბას გაურბოდნენ, რატომ უკრაინა არ არისო, ეს კი არავისგან არაა ცნობილი „დე ფაქტო“ და დე იურე“-ო... ნუთუ კიდევ არა ხართ კმაყოფილი, მეუბნება მასიგლი: საქართველო ნახსენებია თვით რუსების მოთხოვნით ოქმებში, ამას ხომ თქვენც თხოულობდით. მეორეს მხრით, თვით კონვენციაშიც სპეციალური აბზაცია საქართველოსთვის. მეც არაფერი დამრჩენოდა იმის გარდა, რომ მადლობა გადამეხადა. სრუტეების ტექსტიც მომცა და დასძინა, ეს ერთგვარი დოკუმენტია, ჩვენი კანცელარიიდან გამოსული, როგორც ჩემი წერილი რუსებისადმი...“ (ჩხენკელი, 2024:272).

მიუხედავად დიდი ძალისხმევისა, შემდგომში ეს პოზიცია ქართულმა ემიგრაციამ ვერ შეინარჩუნა. 1936 წლის 22 ივნისიდან 20 ივლისამდე, შვეიცარიის ქალაქ მონტრეში საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდა. 1936 წლის 20 ივლისს, ხელი მოეწერა ფრანგულ ენაზე შედგენილ მონტრეს კონვენციას, სრუტეების რეჟიმის შესახებ, რომელიც ძალაში იმავე წლის 9 ნოემბერს შევიდა. 1923 წლის ლოზანის კონვენცია შეიცვალა. ახალი კონვენციის ხელმომწერები არიან დიდი ბრიტანეთი, ბულგარეთი, საფრანგეთი, საბერძნეთი, იაპონია, რუმინეთი, თურქეთი, საბჭოთა კავშირი და იუგოსლავია (Tulun, 2020:7). მონტრეს კონვენციის ძალით, სრუტეების საერთაშორისო კომისია გა-

უქმდა და აღნიშნულ ზონაზე, თურქეთის სრული სუვერენიტეტი აღდგა. შავი ზღვის სრუტეებზე – ბოსფორსა და დარდანელზე კონტროლის ბერკეტები თურქეთის რესპუბლიკას გადაეცა. ყველა ქვეყნის სავაჭრო გემს როგორც მშვიდობიან, ასევე ომის დროსაც სრუტეების თავისუფალი გავლის უფლება ეძლეოდა. მშვიდობიან პერიოდში ყველა შავიზღვისპირა სახელმწიფოს შეეძლო თავისუფლად გაეტარებინა თავისი გემები სრუტეებში. კონფერენციაზე კამათი გაიმართა არაშავიზღვისპირა სახელმწიფოების სამხედრო გემების უფლების გარშემო. არაშავიზღვისპირა სახელმწიფოთა უფლებები მკვეთრად შეიზღუდა. მშვიდობიან დროს მათ შეეძლოთ შეეყვანათ შავ ზღვაში მხოლოდ მსუბუქი წყალზევითა გემები, სამი კვირის ვადით. ამასთან, არაშავიზღვისპირა ყველა სახელმწიფოს გემების საერთო ტონაჟის მოცულობა მკაფიოდ განისაზღვრა. ომის დროს, თურქეთის ნეიტრალიტეტის შემთხვევაში, სრუტეები მეომარი სახელმწიფოების სამხედრო გემებისთვის დახურული უნდა ყოფილიყო, ხოლო საომარ მოქმედებებში თურქეთის ჩაბმის შემთხვევაში, სახელმწიფოებს უფლება ეძლეოდა ემოქმედათ სრუტეების ზონაში საკუთარი შეხედულების მიხედვით. არაშავიზღვისპირა სამხედრო გემების გატარება მათი კლასის, ტონაჟის და შავ ზღვაში ყოფნის ვადების მიხედვით იზღუდება. კონვენციის მიღებიდან 89 წელი გავიდა და იგი დღესაც ძალაშია, რაც ადასტურებს თურქეთის სუვერენიტეტს ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე და არეგულირებს შავ ზღვაზე გემების მოძრაობას.

ემიგრაციაში მოღვაწე ქართველი პოლიტიკოსები, რომლებიც უძლურნი აღმოჩნდნენ საკუთარი წარმომადგენლის საშუალებით დაეცვათ საქართველოს ინტერესები მონტრეს კონფერენციაზე, იმედს არ კარგავდნენ, რომ სრუტეების საკითხის განხილვისას, საქართველოს უფლება, როგორც შავი ზღვის მოსაზღვრე სახელმწიფოსი, დაცული იქნებოდა, რადგან მას ეს უფლება ლოზანის კონვენციამ შეუნარჩუნა.

რუსეთის წარმომადგენელი გიორგი ჩიჩერინი შეეცადა სრუტეები ყველა სახელმწიფოს სამხედრო გემებისთვის დაეკეტა, გარდა თურქეთის გემებისა, თუმცა ეს მაშინ ვერ განახორციელა. რუსეთს სურდა შავი ზღვის გამოცხადება მონაპირე სახელმწიფოების დაკეტილ ზღვად, რაც დანარჩენ სახელმწიფოებზე რუსეთის გაბატონებას გამოიწვევდა.

თავის მხრივ, საქართველოს ემიგრაციულმა მთავრობამ მონტრეს კონვენციის კანონიერება ეჭვქვეშ დააყენა. მათი აზრით, საერთაშორისო სამართლის თანახმად, მხოლოდ ის ხელშეკრულება ითვლება კანონიერად, რომელზეც ყველა მონაწილე ქვეყანამ ხელი მოაწერა. ახალი კონვენციის შემთხვევაში კანონიერება ეჭვქვეშ დადგა, რადგან ლოზანის კონფერენციისგან განსხვავებით, იტალიის ხელისუფლებას მონტრეს კონვენციაზე ხელი არ მოუწერია, უფრო მეტიც მათი დელეგაცია კონფერენციას არც დასწრებია. ა. ჩხენკელს მხედველობაში ჰქონდა ის ფაქტი, რომ 1935 წლის 3 ოქტომბერს, იტალიის არმია ეთიოპიაში შეიჭრა, რის გამოც დიდი ხნის მეგობრები – იტალია და ინგლისი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. მიუხედავად ამისა, იტალიას მაინც დაუტოვეს ადგილი მონტრეს კონვენციაში, რაც საერთაშორისო ნორმების დარღვევა იყო (სარალიძე, 2010:65).

ქართველი პოლიტიკოსები საერთაშორისო ხელშეკრულებების გახშირებული დარღვევის ფაქტებს საერთაშორისო უფლების დაცვის საქმეში ერთა ლიგის სისუსტედ მიიჩნევდნენ. აკაკი ჩხენკელმა ოფიციალური წერილით მიმართა მონტრეს კონფერენციის თავმჯდომარეს, სტანლეი ბროსს (**„დამოუკიდებელი საქართველო“, №126**) და განუმარტა, რომ საქართველოს, როგორც შავი ზღვის მოსაზღვრე სახელმწიფოს კონფერენციაში მონაწილეობის უფლება ჰქონდა, რაც თავის დროზე, 1923 წელს ლოზანის კონფერენციამ მიანიჭა.

დასკვნები: ამრიგად, ემიგრაციაში მოღვაწე ქართველი პოლიტიკოსები იმედს არ კარგავდნენ, რომ საქართველო აუცილებლად აღადგენდა დაკარგულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას. ისინი რკინის ფარდის მიღმა, საერთაშორისო დონეზე, აქტიურად იცავდნენ საქართველოს კანონიერ უფლებებს. მათი ძალისხმევის შედეგად, ლოზანის კონფერენციამ განსაზღვრა საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის ადგილი სრუტეების კონვენციაში. ისინი ყველაფერს აკეთებდნენ, რათა საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელი საქართველოს მხარედ არ ეცნოთ, რასაც მოწმობს მათ მიერ მაღალ დონეზე შედგენილი მემორანდუმები, განცხადებები, პირადი წერილები, რომლებსაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს უგზავნიდნენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

დოკუმენტები გენუისა და ლოზანის კონფერენციებში საქართველოს მთავრობის წარმომადგენელთა მონაწილეობის შესახებ (მიმართვები, მემორანდუმები, მიმოწერა და სხვ.). ლოზანის კონფერენციის დელეგატები ა. ჩხენკელი და ხ. შავიშვილი, საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1864, ანაწერი: 2, ს. 636.

მიმოხილვა ერთა ლიგის ასამბლეის სხდომებსა და საერთაშორისო კონფერენციებზე 1920-1924 წლებში საქართველოს საკითხის განხილვის შესახებ (ფრანგულ ენაზე), ფონდი 1864, ანაწერი: 2, ს. 820.

სარალიძე ლ. (2010), მონტრეს კონფერენცია და ქართული ემიგრაცია (1936 წ.), ქართული ემიგრაცია, კრებული I (59-69). თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, გიორგი მაჩაბლის ფონდი.

სარალიძე ლ. (2010/2011), რუსეთ-საქართველოს 1932 წლის თავდაუსხმელობის პაქტი და ქართული ემიგრაცია. ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები X-XI (380-385). თბილისი: უნივერსალი. სარალიძე ლ. (2017), არისტიდ ბრიანი და კავკასიიის ერთიანობის იდეა (352-367). ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები XII, თბილისი.

სვანიძე მ. (2002), ოსმალეთის ისტორია: 1600-1923, ტომი II (314-316). თბილისი: ქრონოგრაფი.

სრუტეების თავისუფლება და საქართველო, გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“, №126 (1936), პარიზი.

ჩხენკელი ა. მიმოხილვა საქართველოს უახლესი წარსული (1921-1933 წ.წ.) (ფრანგულ ენაზე), საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 915.

ჩხენკელი ა. წერილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ლოზანიდან, 1923 წ., აკაკი ჩხენკელი საქმიანი წერილები, საუბრის ჩანაწერები და სხვა ოქმები (2024), მთავარი რედაქტორი ზურაბ გაიპარაშვილი, თბილისი: თსუ.

Lozan Barış Konferansı Tutanaklar Belgeler, Takım 1, C 1, Kitap 1 (2018), (s.58). Ankara: Ankara Üniversitesi.

Rozakis Ch. L., Stagos P. N. (1987), The Turkish Straits (p. 25). Boston: M. Nijhoff.

Tulun Teoman Ertuğrul (2020), The Montreux Convention: A Regional And Global Safety Valve (p. 7). Ankara: Center for Eurasian Studies.

Белков А. К. (1971), Вацлав Вацлавович Воровский (стр. 86). Москва:Мысль.

Хормач И. (2019), Советская Россия на Лозаннской конференции по урегулированию положения на Ближнем Востоке (1922-1923 годы) (стр. 74-92). Новая и новейшая история, №2, Москва:Russian Academy of Sciences.

GEORGIA'S PLACE IN THE BLACK SEA STRAITS CONVENTION AND GEORGIAN POLITICAL EMIGRATION (1920S-1930S)[1]

LELA SARALIDZE
PhD in History, Chief Scientist-Researcher,
Regionalism Research institute
E-Mail: lelasaralidze@yahoo.com
ORCID: 0009-0008-5173-7906

Abstract: This work sheds light on the activity of Georgian politicians in exile, based on a scientific analysis of archival documents and materials from the émigré press. They actively defended the interests of forcibly Sovietized Georgia at the international conferences in Lausanne and Montreux. The Black Sea, as well as the Bosphorus and Dardanelles straits, have had special commercial, economic and military significance for both bordering and non-bordering countries since ancient times. Behind the Iron Curtain, Georgian politicians in Europe, fully understanding the strategic importance of the Black Sea, actively fought at the international level for Georgia's place in the International Convention on the Straits. With the exception of a few scholarly articles, this issue has not been properly studied in Georgian historiography, while Soviet historiography assesses the struggle of Georgian politicians in exile as the actions of the Mensheviks and significantly downplays their contribution.

Of the international agreements concluded regarding the Bosphorus and Dardanelles Straits, the leading role belonged to the Turks. After the defeat of the Ottoman Empire in World War I, the Treaty of Mudros, signed on October 30, 1918, provided for the capitulation of the Ottoman Empire to the Entente countries. The Ottoman government was forced to allow the victorious powers of World War I to enter the Black Sea and occupy Constantinople and the Straits. By 1920, the Entente troops occupied Constantinople and the Black Sea straits. From 1918 to July 1920, the British army was stationed in Batumi. On July 7, 1920, the British government returned Batumi to its rightful owner, the government of the Democratic Republic of Georgia. On August 10, 1920, a treaty was signed in Sèvres, near Paris, according to which the Ottoman Empire lost 3/4 of its territory, and control over the straits was entrusted to a special commission. In February-March 1921, after the occupation and annexation of the Democratic Republic of Georgia by the Russian Red Army, the legitimate government of Georgia was forced into exile and continued the struggle to restore its lost freedom from abroad. By the decree of the Georgian government in exile of November 13, 1922, Akaki Chkhenkeli and Khariton Shavishvili were sent as delegates to the Lausanne Conference. Thanks to the efforts of an unofficial delegation sent by the Georgian national government, Georgia as a Black Sea state was included in the protocols of the Lausanne Conference. The conference also reserved the place for Georgia in Article XII of the Straits Convention. The article mentions an international commission tasked with overseeing the implementation of new rules in the straits. Point III of the same article, nicknamed the „Georgian point," stated that the states bordering the Black Sea – Georgia and Ukraine, which did not officially participate in the Lausanne Conference – had the right to send a representative to the commission to study the issue of international straits. Despite great efforts, Georgian politicians working in exile were subsequently unable to maintain this position. On July 20, 1936, a new Montreux Convention was signed in the Swiss city of Montreux, by virtue of which the decision of the Lausanne Conference was annulled and Turkey's full sovereignty over the Black Sea Straits was restored. By this time, Georgian emigration had weakened. In July 1933, the Georgian embassy in Paris was officially closed, which was preceded by the Russian-French non-aggression pact (November 29, 1932).

[1] The research project [HE-22-239] is funded by the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG)

The Montreux Convention was put to serious use during the Russo-Georgian War in August 2008, when the US government intended to send warships to the Black Sea and the Turkish government refused to allow US ships to pass through the Bosphorus and Dardanelles Straits and activated the Montreux Convention. Despite the efforts of Georgian politicians in exile, Georgia proved powerless to defend the country's rights under the Straits Convention, something the Soviet Russian government at the time actively opposed.

Keywords: Georgia, Russia, Turkey, Lausanne Convention, Montreux Convention.

* * *

Introduction. The factor of the Black Sea is of vital importance for the Georgian state from a military-economic point of view. This fact was especially important for Georgian politicians who were forced to leave the country due to the Russian occupation. They took an active part in international forums. The Georgian political elite mainly operated in France, where the Georgian mission officially existed until July 1933. At the Lausanne Conference, obtaining a place in the Convention on the Straits was the result of the efforts of Georgian politicians. Bypassing the Soviet delegation, they actively fought to protect the interests of Georgia. Although later, in 1936, with the adoption of the Montreux Convention, Georgia lost the results achieved at the Lausanne Conference, its voice was actively heard behind the Soviet Iron Curtain and showed the world the true face of the Soviet government. The work consistently presents the selfless struggle of Georgian politicians in exile at the conferences in Lausanne and Montreux, where the issue of the Straits Convention was discussed at the international level.

Methods. The study is based on historical-comparative and empirical methods, which involve critical analysis and comprehension of the research material. A comprehensive method of processing archival and press materials, reports of political figures at international conferences, political monitoring, and analysis of data from international treaties was used.

Discussion. The role of the Black Sea straits in the economic development of European states, international trade and competition increased significantly. The Ottoman Empire, a formidable military power, dictated the rules for the use of the straits until the 19th century.

In order to ensure free passage of their ships through the Bosphorus and Dardanelles, the rulers of European states actively negotiated with the Ottoman authorities. To achieve the desired result, they resorted to diplomacy and sometimes even military force.The international conditions that arose led to the idea of creating an international convention on the use of the Black Sea straits. Representatives of Russia, Great Britain, France, Austria, Prussia and the Ottoman Empire signed the First London Convention on the Straits on July 13, 1841. By virtue of the convention, the former dominance of the Ottoman Empire over the Black Sea straits connecting the Black Sea with the Mediterranean was restored. The passage of foreign warships through the straits was prohibited, and their passage was permitted only by the Ottoman Sultan himself (Rozakis, Stagos, 1987:25).

საკვანძო სიტყვები: საქართველო, თურქეთი, თბილისი, ანკარა, ეროვნული კრება.

* * *

შესავალი: თანამედროვე ეტაპზე საქართველოსა და თურქეთს შორის არსებული კეთილმეზობლური და სტრატეგიული ურთიერთობა, საქართველოსა და თურქეთში გამოცემული საისტორიო ლიტერატურა თუ ორივე ქვეყნის არქივებში დაცული მასალის მოძიება და დამუშავება ქართულ-თურქული ურთიერთობების სიღრმისეულად შესწავლის საშუალებას იძლევა.

ცნობილია, რომ თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ ოსმალეთის იმპერიის პოლიტიკურ მემკვიდრეობაზე აგებულ ახალ სახელმწიფოს – თურქეთის რესპუბლიკას ჩაუყარა საფუძველი. რომელსაც საპარლამენტო მთავრობა ხელმძღვანელობდა. ოფიციალურად გაცხადებული თურქეთის საგარეო პოლიტიკური პაქტი ეფუძნებოდა ეროვნულ საზღვრებში დამოუკიდებელი და მშვიდობიანი თანაცხოვრების სურვილს. რაც შეეხება თურქეთის კავკასიური პოლიტიკას, ამ საკითხში პრიორიტეტული კავკასიის სახელმწიფოებთან, რუსეთსა და კავკასიაში მცხოვრებ თურქულ-ისლამურ ელემენტებთან თანამშრომლობის, მეგობრობის და კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარება იყო.

საბჭოთა რუსეთის ხელისუფლებასთან ურთიერთობის პირობებში თურქეთის მთავრობამ გადაწყვიტა სომხეთისა და ყარსის, ბათუმის, არტაანის მხარეების საკითხი საკუთარი ძალებით მოეგვარებინა. მან პროცესი თავის სასარგებლოდ მოატრიალა ისეთ საკითხებში, როგორიცაა სომხეთის ოპერაცია და ამავე დროს საქართველოსთან კომპრომისი. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის დაწყებამ ანკარის დამოკიდებულება საქართველოსადმი შეცვალა. მას, „ეროვნული პაქტით“ გათვალისწინებული არტაანის და ბათუმის ოლქების საკუთარ საზღვრებში მოქცევის ახალი შესაძლებლობა გაუჩნდა. თუმცა, მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ, ანკარის მთავრობას მიზნების სრულად განხორციელებაში ხელი შეუშალა. ანკარას, მოსკოვს და ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ურთიერთობების საკითხი მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებებით განისაზღვრა.

მეთოდები: სტატია შესრულებულია პირველად წყაროების ანალიზისა და სპეციალური ლიტერატურის საფუძველზე. განხილულ იქნა საისტორიო პროცესები და შესასწავლი პერიოდის პოლიტიკოსთა საქმიანობა. კვლევის მეთოდოლოგიაში გამოყენებულია ისტორიზმის და ობიექტურობის პრინციპი. საკვლევი თემის ისტორიული ფონი შესწავლილ იქნა შედარებითი ანალიზის მეთოდით.

მსჯელობა და დასკვნები: ჩვენს მიერ გამოყენებული ოქმების ერთი ნაწილი 1920 წლის ივნისის დასაწყისისა და 1921 წლის მარტის პირველი ნახევრის მოვლენებს ასახავს. ოქმების მიხედვით ჩანს, რომ ამ პერიოდში თურქეთი, ერთი მხრივ რუსეთთან დაახლოებას, ხოლო მეორე მხრივ სპეციალური წარმომადგენლების მეშვეობით საქართველოსთან პოლიტიკური ურთიერთობის დამყარებას ცდილობდა (TBMM Gizli Celse Zabıtları, I, 3 Temmuz 1920 Tarihli Oturum, 1985 : 74).

ანკარის მთავრობის მიერ სომხეთის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაცია 1920 წლის 28 სექტემბერს, გამთენიისას დაიწყო (Karabekir, 2008: 986). ომის მეორე დღეს, 29 სექტემბერს, თურქებმა სარიყამიში აიღეს. იერიში მათ მხოლოდ ერთი თვის შემდეგ განაახლეს. ყარსი 30 ოქტომბერს დაეცა, ხოლო 7 ნოემბერს თურქებმა გიუმრი დაიკავეს (ქაზემზადე : 356). მხარეებს შორის მიმდინარე მოლაპარაკებები 1920 წლის 3 დეკემბერს გიუმრის ზავით დასრულდა (Tansel,1978 : 244). საქართველოს მთავრობამ ზემოაღნიშნული სამხედრო ოპერაციის გამო მობილიზაცია გამოაცხადა (სვანიძე, 2000: 137).

სომხეთის ოპერაციის დროს საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებული მობილიზაციის საკითხი თურქეთის დიდი ეროვნული კრების განხილვის საგნად იქცა. რასთან დაკავშირებითაც მერსინის დეპუტატმა იუსუფ ზიამ განცხადებაც კი გააკეთა, სადაც ქართული არმიის დისლოკაციის ადგილსა და შესაძლებლობებზე გაამახვილა ყურადღება (TBMM ..., I, 2 Aralık 1920 Tarihli Oturum, 1985 : 248-249).

სომხეთის ოპერაციის შემდეგ თურქეთის დიდ ეროვნულ კრებაში შეფასდა საქართველოს პოზიცია და აღინიშნა, რომ მიუხედავად საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებული მობილი-

ზაციისა, საქართველოს მხრიდან თურქეთის არმიაზე თავდასხმა არ განხორციელებულა. თუმცა, საქართველოს მთავრობამ თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს შეთავაზებაზე მოლაპარაკების შესახებ თავი შეიკავა.[1]

აქვე ნათქვამია, რომ სომხეთის დამარცხების შემდეგ საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულება თურქეთის მიმართ შერბილდა. ხოლო, ქართველების მიზანი თურქეთთან მეგობრობის დამყარება და რუსეთისგან საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნება იყო (TBMM ..., I, 21 Şubat 1921 Tarihli Oturum, 1985:447).

ოქმებში დაცული ინფორმაციის მიხედვით, საქართველოს მთავრობამ ანკარის მთავრობას შესთავაზა რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებით განსაზღვრულ საქართველოს სახელმწიფო საზღვრებზე შეთანხმებულიყვნენ.[2] რაც ნიშნავდა არტაანის და ბათუმის სანჯაყების საქართველოს შემადგენლობაში დარჩენას. ანკარისთვის მიუღებელი იყო ეს შეთანხმება რადგან ის, თავის მხრივ, რეგიონში შექმნილი ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით საკუთარი მიზნების განეხორციელებას აპირებდა (TBMM ..., I, 24 Ocak 1921 Tarihli Oturum, 1985: 349-350).

დეპუტატ ჰუსეინ ავნის სომხეთის გასაბჭოების შემდეგ ინგლისის კავკასიური პოლიტიკისთვის საქართველოს მნიშვნელობაზე აქვს ყურადღება გამახვილებული.[3] მისივე თქმით, ამან რეგიონის მიმართ რუსეთის აგრესია გაზარდა. ხოლო, თვითონ რუსეთს საქართველოში შემოჭრით სამხრეთ კავკასიის სრული კონტროლი სურდა (TBMM..., I, 21 Şubat 1921 Tarihli Oturum, 1985:452)

თებერვლის სხდომის ოქმებიდან ჩანს, რომ ანკარის მთავრობა აკვირდებოდა საბჭოთა რუსეთის პოლიტიკას საქართველოს მიმართ. ნათქვამია, რომ რუსეთმა 1921 წლის თებერვალში საქართველოში შემოსევისთვის მზადება დააჩქარა. აქვე აღნიშნულია, რომ მართალია საქართველოს მთავრობამ მიიღო თავდაცვითი ზომები, მაგრამ ქვეყანაში ხელისუფლების ნიშნები ჩანდა. ოქმებში ნათქვამია, რომ თითქოს ინგლისს საქართველოსთვის სამხედრო დახმარება უნდა გაეწია, სინამდვილეში ეს სხვა არაფერი იყო, თუ არა უბრალო პროპაგანდა, რომელიც რეალობას არ ასახავდა. საბჭოთა რუსეთის საქართველოში შემოჭრის შემდეგ თურქეთის მთავრობის მთავარ ამოცანად იქცა არტაანისა და ბათუმის სანჯაყების დაკავება. რადგან იგი თვლიდა, რომ თუ წითელი არმია საქართველო მთლიანად დაიმორჩილებდა, აღნიშნული ტერიტორიების თურქეთის მხრიდან დაკავება შეუძლებელი გახდებოდა (TBMM ..., I, 18 Şubat 1921 Tarihli Oturum, 1985 : 439-442).

აღნიშნულ მდგომარეობას სიმონ მდივანი აკაკი ჩხენკელისადმი 1921 წლის 25 თებერვალს მიწერილ წერილში ადასტურებს. მდივნის თქმით, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ახმედ მუხტარ ბეიმ წინა პლანზე თურქეთის „ეროვნული აღთქმის“ პრინციპი წამოაყენა, რაც ბათუმის თურქეთის საზღვრებში მოქცევას გულისხმობდა. აქვე, მდივანი ანკარის მთავრობის საქართველოსადმი მიდგომებთან დაკავშირებით ანალიზს აკეთებს და აღნიშნავს, რომ სწორედ იმ მომენტში, როცა მოლაპარაკებების საზღვრების შესახებ უნდა დაწყებულიყო, მაშინ საქართველოს ჯერ ბოლშევიკურ სომხეთთან, შემდეგ აზერბაიჯანთან და საბოლოდ საბჭოთა რუსეთთან სამხედრო დაპირისპირება მოუწია. ასეთ ვითარებაში, სიმონ მდივანი ანკარის მთავრობის საქციელს გაურ-

---

[1] აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ანკარაში საქართველოს წარმომადგენლის სიმონ მდივნის მიერ 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრისადმი გაგზავნილი წერილი N26. სიმონ მდივანი განმარტავს იმ მიზეზებს, რასაც თურქეთთან ურთიერთობის ჩამოყალიბებისას თავიდანვე მარცხი მოყვა. ერთ-ერთ მიზეზად იგი ასახელებს ოქტომბრის თვეში ანკარის წინადადებაზე მოლაპარაკებების დაწყების შესახებ საქართველოს მხრიდან უარის თქმას. მდივნის აზრით, ოქტომბერში უფრო ადვილი იყო თურქებთან შეთანხმება, რადგან მაშინ თურქებისათვის ბევრი რამ ჰიპოთეტური იყო, ვიდრე შემდეგ პერიოდში. (იხ.სცსა, ფონდი 2118, საქ. 30).

[2] ოქმის თარიღად მითითებულია 1921 წლის 24 იანვარი. (სავარაუდოა, რომ საზღვრებთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის წევრებსა და თბილისში ანკარის მთავრობის წარმომადგენელს პოლკოვნიკ კიაზიმ დირიქს შორის საუბარი, დირიქისვე შესაძლო ინიციატივით შედგა).

[3] სავარაუდოა, რომ ამ ამ შემთხვევაში დეპუტატი ეყრდნობოდა 1921 წლის 27 იანვარს პარიზში მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს რესპუბლიკის იურიდიულად ცნობის საკითხს. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ უკვე 1921 წლის იანვარ-თებერვალში ლ. ჯორჯის მთავრობა საქართველოზე რუსეთის გავლენის გაფართოებას ოფიციალურად ადასტურებდა. (იხ. რამაზ ცუხიშვილი, ინგლის-საქართველოს ურთიერთობა 1918-1921 წწ, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 1995, გვ. 115).

კვეველს უწოდებს. მისი აზრით, ანკარას კავკასიაში ისეთი მდგომარეობის შექმნა სურდა, რომ ამ რეგიონში საქმის „აწეწვით“ ბოლშევიკთა გავლენა შეესუსტებინა. ხოლო მეორე მხრივ, ლონდონის კონფერენციაზე უკეთეს პოზიციაში აღმოჩენილიყო. რაც შეეხება საქართველოს საკითხს, მდივნისვე აზრით, ანკარის მთავრობამ საქართველოსადმი კურსი შეიცვალა და არდაგანის და ართვინის ოლქები გადაჭრით მოითხოვა. რასაც იგი იმით ხსნიდა, რომ ბოლშევიკებთან საქართველოს შესაძლო დამარცხების შემდეგ, ეს ოლქები საბჭოთა რუსეთს ხელში არ ჩავარდნოდა (სცსა, ფონდი 2118, საქ. 30).

ჩანს, რომ ქართველების წინააღმდეგობამ ბოლშევიკების მიმართ, სომხეთში ბოლშევიკების დამარცხებამ და დაშნაკთა ძალების ერევანში შესვლამ, თურქეთის მთავრობას საქართველოს წინაშე ახალი პოლიტიკური ინიციატივების განხორციელების შესაძლებლობა მისცა. ანკარის მთავრობის აზრით, ასეთ სიტუაციაში თურქეთის მისამართით დასავლური სამყაროს უარყოფითი რეაქცია აღარ იქნებოდა და იგი აღარ იქნებოდა იძულებული წამოეწყო სამხედრო ოპერაციები და მეტიც, არდაგანისა და ბათუმის დასაკავებლად ბოლშევიკების იმედად აღარ დარჩებოდა [1] (TBMM ..., I, 21 Şubat 1921 Tarihli Oturum, 1985:447).

ქართული მხარე დათანხმდა არტაანის დატოვებას, მაგრამ ბათუმის დათმობაზე უარი განაცხადა. ამით, ბათუმის თურქეთის საზღვრებში მოქცევის საკითხზე მოლაპარაკებები დაიხურა. თურქულმა მხარემ ოთხპუნქტიანი წინადადება წამოაყენა, სადაც ქართულ მხარეს ართვინიდან ქართული ჯარების გაყვანა, არტაანთან ერთად მისი თურქეთისთვის გადაცემა და ბათუმში რეფერენდუმის ჩატარება შესთავაზა.[2] ქართული მხარის თანხმობის შემთხვევაში, თურქეთი ორ ქალაქს სამხედრო კონფლიქტის გარეშე მიიღებდა. ხოლო, უარის შემთხვევაში, საჭირო გახდებოდა სამხედრო ჩარევა, რაც თურქეთ-საქართველოს ომს ნიშნავდა (TBMM ..., I, 21 Şubat 1921 Tarihli Oturum, 1985:448-451).

ჩანს, რომ თურქეთის დიდი ეროვნული კრების დეპუტატებს სამხრეთ კავკასიაში მომდინარე მოვლენებთან დაკავშირებით საკმარისად დიდი ინფორმაცია ჰქონდათ. ამის მაგალითად არზრუმის დეპუტატის ჰუსეინ ავნის მხრიდან თურქეთის საქართველოსთან და რუსეთთან ურთიერთობის შესახებ გაკეთებული განცხადება გამოდგება. მისი თქმით, „სომხეთმა რუსეთთან ერთად საქართველოს წინააღმდეგ მოქმედება დაიწყო. ხოლო, რუსეთ-საქართველოს ომში ანტანტის ქვეყნებმა ქართველები მარტო დატოვეს. რუსეთმა ხელშეკრულებების ძალით სომხეთი და საქართველო საკუთარ კლანჭებში მოაქცია. ხოლო მას შემდეგ, რაც საქართველოში ბოლშევიკური ხელისუფლება დამყარდებოდა, საქართველოს საბჭოთა მთავრობა თურქეთს დაუპირისპირდებოდა და არტაანსა და ბათუმს აღარ გადასცემდა. ამის გამო, თურქეთს მოუწია სწრაფად ემოქმედა და მან საქართველოს ხელისუფლებასთან უბრძოლველად შეთანხმებას მიაღწია. წინააღმდეგ შემთხვევაში, თურქეთ-საქართველოს ომი რუსეთს საქმეს გაუადვილებდა“ (TBMM ..., I, 21 Şubat 1921 Tarihli Oturum, 1985 : 452).

---

[1] აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საინტერესოა ნოე ჟორდანიას მოგონებათა წიგნში „ჩემი წარსული“ გამოთქმული მოსაზრება. იგი აღნიშნავს, რომ მან ანკარის მთავრობის წარმომადგენელს კიაზიმ ბეის სამთავრობო ტელეფონით სარგებლობის უფლება მისცა. როტაც, მას შეეძლო ანკარასა და მოსკოვს დაკავშირებოდა. ჟორდანიასვე თქმით „კიაზიმი ხშირად ელაპარაკებოდა შტაბიდან ანკარასა და მოსკოვს, რაც ერთხელაც ვერ გაიგო საქართველოს მთავრობამ თუ როგორ და რაზე საუბრობდა ის. უეჭველია, ამ დროს იყიდეს ოსმალოს ნეიტრალობა მოსკოველებმა არტაანისა და ართვინის დათმობით, რაიცა დამტკიცდა ჩვენზე ზურგიდან თავს დასხმით“ (ნოე ჟორდანია, ჩემი წარსული, გამომცემლობა „სარანგი“, თბილისი 1990, გვ. 123).

[2] თურქულმა მხარემ საგარეო საქმეთა მინისტრის ახმედ მუხტარ ბეის სახელით ართვინისა და არტაანის მხარეების დატოვების შესახებ სიმონ მდივანს პირველი ნოტა1921 წლის 21 თებერვალს წარუდგინა და პასუხისთვის ვადა საღამოს ოთხ საათამდე მისცა (იხ.Selahattin Tansel, Mondros'tan Mudanya'ya Kadar, IV. Cilt, Milli Eğitim Basımevi, Ankara, 1978, s. 56-57). თავდაპირველად სიმონ მდივანმა უარყო ანკარის მთავრობის ნოტები და მათი უადგილობა გარკვეულწილად დაასაბუთა კიდეც (ვიქტორ ნოზაძე, საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბილისი, 1989. გვ. 95). პირველ ნოტას მოჰყვა მეორე, რომელიც თარიღდება 1921 წლის 23 თებერვლით. ახმედ მუხტარ ფაშა აცნობებდა მდივანს, რომ თურქეთის აღრმოსავლეთის ჯარების სარდლობას ართვინსა და არტაანში ჯარების შეყვანის შესახებ სათანადო ბრძანება მიეცა (იხ.M. Adil Özder, Artvın ve Çevresi, 1828-1921), Ay Matbaası, 1971, გვ. 212).

მუსტაფა ქემალ ფაშას მიერ ერთ-ერთ დახურულ სხდომაზე გაკეთებული განცხადების მიხედვით, საბჭოთა რუსეთის მესვეურებმა საქართველოს წინააღმდეგ ოპერაციის დაწყების შესახებ ინფორმაცია მას არ მიაწოდეს და არც ერთობლივი ოპერაციის დაწყება შესთავაზეს, რადგან საბჭოელებს არ სურდათ თურქეთის მიერ არტაან-ბათუმის ოლქების ხელში ჩაგდება. თუმცა, დიდი ეროვნული კრების გადაწყვეტილებით, ანკარის მთავრობის სურვილი იყო ეროვნული პაქტით დასახული ამოცანების მშვიდობიანი გზით შესრულება. ანკარის მმართველ წრეებში ითვლებოდა, რომ იმ მომენტში საქართველოს ხელისუფლება ბათუმის გარდა სხვა პირობების მიღებასთან ახლოს იყო. ამდენად, ეროვნული კრება სასწრაფო წესით არტაანის და ართვინის დაკავებაზე, ხოლო ბათუმში პლებისციტის ჩატარებაზე უნდა დათანხმებულიყო. თუმცა, მეჯლისისთვის „ბათუმის უპირობოდ დათმობა“ მიუღებელი იყო. სხდომის ოქმიდან დასტურდება, რომ ანკარა ბათუმში პლებისციტის ჩატარების პრინციპზე უარზე არ იდგა (TBMM ..., I, 21 Şubat 1921 Tarihli Oturum, 1985:456-457).

ცნობილია, რომ ბოლშევიკურ რუსეთთან ომის პირობებში საქართველოს მთავრობამ სახელმწიფო ინტერესების შესანარჩუნებლად საკმაოდ რისკიანი ნაბიჯი გადადგმა გადაწყვიტა. კერძოდ, ანკარის მთავრობას სამხედრო შენაერთების შემოყვანა შესთავაზა და ბათუმის, ახალციხის და ახალქალაქის მხარეების დაკავება სთხოვა. ამ შეთანხმების მიხედვით, ადგილზე სამოქალაქო ხელისუფლება ქართული უნდა დარჩენილიყო, ხოლო სამხედრო ადმინისტრაცია დროებით თურქულ მხარეს გადასცემოდა. ეს გადაწყვეტილება მიზნად ისახავდა რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნებას და საქართველოს სახელმწიფოებრიობის გადარჩენას.

სიმონ მდივნის მიერ ნოე ჟორდანიას სახელზე გაგზავნილი წერილი (1921 წლის 8 მარტი, №43) ნათლად ასახავს ამ გადაწყვეტილების დიპლომატიურ შინაარსს. დოკუმენტის მიხედვით, ანკარის მთავრობამ ჟორდანიას პირველი წინადადება მიიღო, თუმცა მას დაამატა პირობები. კერძოდ, თურქულმა მხარემ განაცხადა, რომ აღნიშნული ოლქების დაკავებისას არ თვლიდა საჭიროდ ქართული სამხედრო ნაწილების ჩართვას; ადგილობრივ სამოქალაქო ორგანოებთან მუდმივად უნდა ყოფილიყო თურქი სამხედრო წარმომადგენელი, ხოლო მომავალში უნდა ჩატარებულიყო პლებისციტი, რომლის შედეგების საფუძველზე ზემოხსენებული ოლქების სტატუსი საბოლოოდ გადაწყდებოდა. მდივნის ცნობით, პლებისციტის იდეა თურქების მხრიდან მხოლოდ ფორმალური ხასიათის იყო და მიზნად მოსკოვისა და ლონდონის მისამართით პოლიტიკური კეთილგანწყობის მოპოვებას ისახავდა.

განსაკუთრებით საინტერესოა ის გარემოება, რომ სიმონ მდივანთან შეხვედრაზე ანკარის მთავრობის სამი მინისტრი პირადად გამოცხადდა და მთავრობის სახელით ქართველი დიპლომატისადმი სიტყვიერი დაპირება გასცა – საქართველოში მდგომარეობის გაუმჯობესებისთანავე თურქეთის ჯარები აღნიშნული ოლქებიდან გავიდოდნენ. ამავე დროს, ანკარის მთავრობამ უარი განაცხადა შეთანხმების წერილობით ფორმაზე, მიზეზად კი დაასახელა თურქეთის საერთაშორისო სტატუსის გაურკვევლობა მოსკოვსა და ლონდონს შორის. მდივნის თქმით, დამატებით შეფერხებას საქართველოს დამფუძნებელი კრების ზოგიერთი დეპუტატის პოზიცია იწვევდა, რომლებიც ბოლშევიკურ მოდელს ემხრობოდნენ და ამით ანკარას საბაბს აძლევდნენ, თითქოს საქართველოს პოლიტიკური კურსი სტაბილური არ იყო. მდივანი ვარაუდობდა, რომ ეს ცნობები ანკარას მიაწოდა ქიაზიმ დირიქმა.

საქართველოს ელჩის სიმონ მდივნის წერილიდან ჩანს, რომ ლონდონის კონფერენციის დასრულებამდე საქართველოს მინისტრთა კაბინეტმა პოზიციების შენარჩუნება ვერ შეძლო, რაც თბილისისთვის ხელმისაწვდომ დიპლომატიურ რესურსს მნიშვნელოვნად ზღუდავდა. მიუხედავად ამისა, თურქეთის მთავრობამ სიტყვიერი შეთანხმების მუხლების შესრულების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო და აღმოსავლეთის ფრონტის სარდალს შესაბამისი ბრძანება მისცა.

ამავე დღეს, 1921 წლის 8 მარტს, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აჰმეთ მუჰთარ ფაშამ აღმოსავლეთის ფრონტის სარდალს, ქიაზიმ ყარაბექირ ფაშას ოფიციალურად აცნობა, რომ საქართველოს მინისტრთა კაბინეტი თურქეთის ჯარების შესვლას ახალქალაქის, ახალციხისა და ბათუმის მხარეებში ადგილობრივი სამოქალაქო ხელისუფლება უცვლელად შენარჩუნდების პირობით ითხოვდა. მინისტრის წერილის მიხედვით სამოქმედო დეტალები ცალკე ხელშეკრულებით უნდა განსაზღვრულიყო და რომ თურქული სამხედრო ნაწილები ამ ტერიტორიებზე უნდა დარჩე-

ნილიყვნენ მანამ, სანამ საქართველოსა და კავკასიაში პოლიტიკური სიტუაცია საბოლოოდ არ გაირკვეოდა (Askeri tarih Belgeleri Dergisi, 1999:16-18).

ამ დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ანკარას მიზანი საქართველოს მთავრობის მოთხოვნის საფუძველზე დროებითი სამხედრო ყოფნის ლეგიტიმაცია იყო. ამ გზით, თურქეთის მთავრობა საკუთარ უსაფრთხოების ინტერესებს იცავდა და ამავე დროს მოსკოვისა და ლონდონის მიმართ დიპლომატიურ მოქნილობას ინარჩუნებდა. ქართველებისთვის კი ეს შეთანხმება იძულებითი, მაგრამ იმედზე დაფუძნებული მცდელობა იყო, რომ თურქეთის დროებითი სამხედრო ყოფნა ბოლშევიკური სრულფასოვანი ოკუპაციის პირობებში ქვეყნის სამოქალაქო ადმინისტრაციას გადაარჩენდა.

აღნიშნული ეპიზოდი ნათლად ასახავს იმ ისტორიულ რეალობას, როდესაც საქართველოს მთავრობის მინისტრთა კაბინეტი სახელმწიფოს ინტერესების გადარჩენას დიპლომატიური კომპრომისებით ცდილობდა. ანკარის მთავრობის ტაქტიკა სიტყვიერ შეთანხმებებსა და დროებით დოკუმენტურ ფორმულირებებს ეფუძნებოდა, რაც ქემალისტური დიპლომატიის დამახასიათებელ სტილს წარმოადგენდა. იმავე დროს, თურქული მხარე იყენებდა მოსკოვთან და დასავლეთთან ურთიერთობის დაბალანსების პოლიტიკას, რაც მას აძლევდა საშუალებას ერთდროულად ყოფილიყო რეგიონში აქტიური მოთამაშე და შეენარჩუნებინა საერთაშორისო ლეგიტიმაცია.

მდივნის წერილი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები ცხადყოფს, რომ ანკარასა და თბილისის ურთიერთობა 1921 წლის მარტში აღარ იყო კლასიკური პოლიტიკური დიალოგი, არამედ იყო რთული დიპლომატიური მანევრი, სადაც ორივე მხარე ცდილობდა დროის მოგებას და საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესების მაქსიმალურ დაცვას. შეიძლება ითქვას, რომ 1921 წლის მარტის შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ანკარის მთავრობას შორის წარმოადგენდა არა სტრატეგიულ ალიანსს, არამედ დროებით დიპლომატიურ მანევრს, რომელიც ორივე მხარისთვის სხვადასხვა პოლიტიკური მიზნის მისაღწევად გარდამავალ საშუალებად იქცა. საქართველოსთვის ეს იძულებითი ნაბიჯი იყო, ანუ მცდელობა დაეცვა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა ბოლშევიკური ოკუპაციის პირობებში და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის ფორმალური ატრიბუტები შეენარჩუნებინა, თუნდაც დროებითი კომპრომისების ფასად. თურქეთისთვის კი ეს შეთანხმება წარმოადგენდა შესაძლებლობას, სამხრეთ კავკასიაში საკუთარი გავლენა გაეფართოებინა, მოსკოვთან მოლაპარაკებებში პოზიციები გაეძლიერებინა და ერთდროულად საკუთარი ქმედება საერთაშორისო საზოგადოებისთვის წარმოეჩინა, როგორც „დახმარება“ და არა ექსპანსია.

თუმცა, ამ სიტყვიერი შეთანხმების ბუნება თავიდანვე მყიფე იყო. მის საფუძველში დროებითი პირობები და პოლიტიკური გაურკვევლობა იდო, რაც მის სამართლებრივ გამყარებას გამორიცხავდა. ქემალისტურმა მხარემ, რომელიც იმ პერიოდში თავად ებრძოდა საერთაშორისო აღიარების პრობლემას, შეთანხმება წერილობით ფორმატში მიზანმიმართულად არ გადაიტანა. ეს მას საშუალებას აძლევდა პოზიცია საჭიროებისამებრ შეეცვალა, მოქნილობა დაეცვა და მოსკოვის თუ ლონდონის რეაქციებს მორგებოდა. თავის მხრივ, თბილისი იმედოვნებდა, რომ მოსკოვის ხელშეკრულების შემდეგ შეთანხმება ეროვნული ინტერესების დასაცავი საშუალება გახდებოდა, თუმცა მოვლენებმა აჩვენა, რომ სამხრეთ საქართველოში თურქეთის დროებითი ყოფნა პოლიტიკური სტაბილურობის გარანტი არ გამხდარა.

ამრიგად, საქართველოს უახლეს ისტორიაში 8 მარტის შეთანხმება ერთ-ერთ ყველაზე მჭიდროდ დაბალანსებულ დიპლომატიურ ეპიზოდს წარმოადგენს, მაგალითს იმისა, თუ როგორ ცდილობდა ოკუპაციის პირას მყოფი სახელმწიფო გეოპოლიტიკურ ქაოსში ფორმალური სუვერენიტეტის შენარჩუნებას იმ დროს, როდესაც საერთაშორისო სამართალი და პოლიტიკური რეალობა ერთმანეთს აღარ ემთხვეოდა. სწორედ ამ ეპიზოდმა გამოკვეთა, რომ ქართული დიპლომატიის სტრატეგიული საზრისი იმ პერიოდშიც დაფუძნებული იყო არა მხოლოდ იდეოლოგიურ არჩევანზე, არამედ სახელმწიფოებრივი გონიერებისა და თვითგადარჩენის პრინციპზე.

მედლის მეორე მხრიდან 8 მარტის შეთანხმების მოდელი იყო დროებითი ბაგირი. იგი იოლად შეიცვალა პოლიტიკურ კონიუნქტურაში მცირე გადახრის პირობებშიც. ამ ვითარებამ მხარეები მიიყვანა ცნობილი კრიზისული ეპიზოდებისკენ და დაადასტურა, რომ სიტყვიერი ფორმულით გამაგრებული სამხედრო ყოფნა ვერ ცვლის მკაფიო პოლიტიკური შეთანხმების საჭიროებას, რომელიც აფიქსირებს პასუხისმგებლობას, ვადებსა და შეზღუდვებს როგორც საოპერაციო, ისე სამოქალაქო

განზომილებაში. ამავე დასკვნისგან მოდის უფრო ფართო გაკვეთილი. სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების არქიტექტურა იმ წლებში დამოკიდებული იყო არა მხოლოდ ძალაზე, არამედ ტექსტებზე, რომელთა წერა ან არწერა ხშირად განსაზღვრავდა ძალის ლეგიტიმაციასაც. მოცემული ეპიზოდი სწორედ ამ პარადიგმის თვალსაჩინო ილუსტრაციაა.

1921 წლის *9* მარტი სამხრეთ კავკასიის დრამატული მოვლენების ახალ ფაზად იქცა. ამ დღეს თურქეთის დიდი ეროვნული კრების გენერალური შტაბიდან მიღებული ოფიციალური ბრძანებით, აღმოსავლეთ ფრონტის სარდალს, ქიაზიმ ყარაბექირ ფაშას დაევალა ახალქალაქის, ახალციხისა და ბათუმის ოლქების დაკავება *(Karabekir, 2008,* გვ. *1027–1028).* ეს მითითება წარმოადგენდა ქემალისტური მთავრობის მიზანმიმართულ ნაბიჯს, დაემყარებინა ფაქტობრივი კონტროლი იმ ტერიტორიებზე, რომლებიც ანკარის თვალსაზრისით ისტორიულად შედიოდნენ „ეროვნული აღთქმის*" (Misak-ı Milli)*[1] გეოგრაფიულ საზღვრებში. ყარაბექირის არმია, რომელიც განლაგებული იყო ყარსის, ოლთის და არტაანის მიმართულებით, მოკლე დროში შეტევაზე გადავიდა და *9–11* მარტის განმავლობაში თანმიმდევრულად დაიკავა ახალციხე, ახალქალაქი და ბოლოს ბათუმი. აღნიშნული ოპერაცია თურქულ მხარეს განიხილებოდა როგორც „მშვიდობიანი შესვლა*"*, თუმცა რეალურად იგი განხორციელდა სამხედრო ძალის დემონსტრაციითა და ადგილობრივი მოსახლეობის შიშის გამოყენებით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და თურქეთის ეროვნული მთავრობის წარმომადგენლებს შორის წინასწარ მიღწეული იყო სიტყვიერი შეთანხმება, რომლის თანახმად თურქული არმიის შესვლის შემდეგ ადგილობრივი სამოქალაქო ხელისუფლება უცვლელად უნდა დარჩენილიყო. ეს პირობა თურქეთის დიპლომატიური არგუმენტაციის ნაწილია, რომლის მიზანიც იყო მოლაპარაკებებისას იმის ჩვენება, თითქოს ანკარა არ ესხმოდა თავს საქართველოს, არამედ მხოლოდ დროებით აკონტროლებდა ტერიტორიას მოსალოდნელი ბოლშევიკური შემოსევის შესაკავებლად. მიუხედავად ამისა, უკვე *13* მარტს ვითარება რადიკალურად შეიცვალა. ამ დღეს ქიაზიმ ყარაბექირმა მიიღო ახალი ინსტრუქცია თურქეთის აღმოსავლეთის სარდლობიდან, რომელსაც ხელს აწერდა გენერალი აჰმეთ მუჰთარ ფაშა.

აღნიშნული ინსტრუქციის მე-*3* და მე-*4* მუხლების თანახმად, ყარაბექირს დაევალა ადგილობრივი ქართული ხელისუფლების გაუქმება ახალქალაქის, ახალციხისა და ბათუმის ოლქებში და ამ ორგანოების ნაცვლად თურქული ადმინისტრაციების შექმნა. ბრძანებაში ხაზგასმული იყო, რომ აუცილებელი იყო ტერიტორიის სრული ადმინისტრაციული და სამხედრო კონტროლი, მათ შორის

---

[1] „ეროვნული აღთქმა" (Misak-ı Milli) – თურქული სახელმწიფოებრივი აზროვნების ერთ-ერთი ფუნდამენტური დოკუმენტია, რომელიც მიღებულ იქნა 1920 წლის 28 იანვარს ოსმალეთის პარლამენტის ბოლო სხდომაზე და მოგვიანებით იქცა თურქეთის დიდი ეროვნული კრების იდეოლოგიურ საფუძვლად. დოკუმენტი განსაზღვრავდა თურქული სახელმწიფოს საზღვრებსა და გეოპოლიტიკურ პრეტენზიებს, რომლებიც ეფუძნებოდა ეთნიკური, რელიგიური და ისტორიული ერთიანობის პრინციპებს. „ეროვნული აღთქმის" ტექსტის მიხედვით, იმ ტერიტორიების ბედი, სადაც მუსლიმური მოსახლეობა უმრავლესობას წარმოადგენდა – მათ შორის არტაანის, ართვინის, ბათუმის, ყარსის, მუსულის, ალექსანდრეტის (ჰათაის) და დასავლეთ თრაკიის ოლქები უნდა გადაეწყვიტა ადგილობრივი მოსახლეობის თავისუფალი ნების საფუძველზე ჩატარებული პლებისციტით. ამ პრინციპმა ქემალისტურ დიპლომატიაში შეიძინა სტრატეგიული ფუნქცია. ის იქცა სამართლებრივ-იდეოლოგიურ არგუმენტად ტერიტორიული პრეტენზიების დასასაბუთებლად როგორც საერთაშორისო მოლაპარაკებებზე, ისე სამხედრო მოქმედებათა დასაწყებად. შესაბამისად, Misak-ı Milli არ იყო მხოლოდ პოლიტიკური დეკლარაცია, არამედ ეროვნული იდეოლოგიის მტკიცებულება, რომელმაც განაპირობა თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიული კონსტრუქციის ჩარჩო. 1920–1923 წლებში ქიაზიმ ყარაბექირის, ისმეთ ინონის და მუსტაფა ქემალის ოფიციალურ განცხადებებში იგი აღიქმებოდა როგორც „დაურღვეველი საზღვარი", რომლის გადახედვა ექვივალენტური იყო სახელმწიფო ღალატთან .ქართული ისტორიოგრაფიის თვალსაზრისით, „ეროვნული აღთქმა" განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ თვალსაზრისით, რომ სწორედ მის საფუძველზე ჩამოყალიბდა ანკარის პოზიცია სამხრეთ კავკასიის მიმართ. დოკუმენტის მე-2 და მე-3 პუნქტები პირდაპირ ეხებოდა ართვინის, არდაჰანისა და ბათუმის რეგიონებს, რაც მოგვიანებით აისახა როგორც თურქეთის სამხედრო ოპერაციების გეოპოლიტიკური დასაბუთება 1921 წლის მარტის კამპანიაში. ამგვარად, „ეროვნული აღთქმა" წარმოადგენს არა მხოლოდ დიპლომატიურ პრინციპთა კრებულს, არამედ ქემალისტური სახელმწიფოს ტერიტორიული თვითშემეცნების დოკუმენტურ გამოხატულებას. მისი ანალიზი აუცილებელია, რათა სწორად გაიგოს თურქეთის საგარეო პოლიტიკის მოტივაცია საქართველოსა და მთლიანად ამიერკავკასიის მიმართ XX საუკუნის პირველ ნახევარში.

ადგილობრივი ქართული შეიარაღებული ძალების განიარაღება და მათი გაყვანა ახალშექმნილი თურქული ზონის ფარგლებს გარეთ *(Askeri Tarih Belgeleri Dergisi, 1999,* გვ. *19–24).*

ახალ ინსტრუქციაში განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა ბათუმის ადმინისტრაციული ორგანოს ნეიტრალიზაციაზე. იქ ითქვა, რომ ადგილობრივ ქართულ ხელისუფლებას უნდა შეთავაზებოდა საკუთარი საქმიანობის გაგრძელება ოზურგეთის ტერიტორიაზე, თურქეთის მიერ ოკუპირებული ზონის გარეთ. ეს ჩანაწერი პირდაპირი ფორმით ადასტურებს ანკარის მიზანს, ბათუმის ოლქში შექმნილიყო ფაქტობრივი საოკუპაციო რეჟიმი, რომელიც სრულად იქნებოდა დაქვემდებარებული თურქული სამხედრო და სამოქალაქო სტრუქტურების კონტროლს. ამგვარი ქმედება ეწინააღმდეგებოდა თურქეთსა და საქართველოს შორის მიღწეულ წინასწარ ზეპირ შეთანხმებას, რომელიც ორ სახელმწიფოს შორის დროებითი პოლიტიკური თანხმობის ნიშანს წარმოადგენდა.

ინსტრუქციის შესრულებამ გამოიწვია ქართული პოლიტიკური წრეების მძაფრი რეაქცია. თბილისში თურქეთის ნაბიჯები აღიქვეს, როგორც პოლიტიკური მოტყუება, რომლის მიზანი იყო ფაქტობრივი ოკუპაციის ლეგიტიმაცია საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის თვალში. ქართველ დიპლომატებსა და სამხედრო ხელმძღვანელობაში გაჩნდა შიში, რომ ანკარა, საბჭოთა რუსეთთან პარალელურად, შეეცდებოდა ბათუმის საკითხის საკუთარი სასარგებლოდ გადაწყვეტას მოსკოვის მოახლოებული მოლაპარაკებებისას.

თურქეთის დიდი ეროვნული კრების სხდომათა ოქმები ამ პერიოდის მოვლენებს განსაკუთრებულ სინათლეში წარმოაჩენენ. დოკუმენტების მიხედვით, ანკარასა და თბილისის მოლაპარაკებებში არსებობდა დათქმები, რომლებიც ითვალისწინებდა თურქეთის ჯარების შემოსვლას ართვინის, არტაანის, ახალციხე-ახალქალაქის და ბათუმის ოლქებში მხოლოდ დროებითი სამხედრო საჭიროებით. ეს გადაწყვეტილება ფორმალურად საქართველოს მთავრობის თანხმობით იქნა მიღებული და მიზნად ისახავდა ადგილობრივი ხელისუფლებისა და საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნებას ბოლშევიკური საფრთხის ფონზე.

თუმცა, თურქეთის მიერ შეთანხმების პირობების დარღვევა მალევე გახდა ცნობილი საერთაშორისო დიპლომატიურ წრეებში. მიუხედავად ამისა, მოსკოვის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ *1921* წლის *17* მარტს, თურქეთის დიდი ეროვნული კრების სხდომაზე ოფიციალურად იქნა მიღებული დადგენილება, რომლის თანახმად თურქეთის შეიარაღებულ ძალებს უნდა დაეტოვებინათ ბათუმის ოლქი, ახალციხის და ახალქალაქის მხარეები და დაეცვათ ახალი სახელმწიფო საზღვარი საბჭოთა საქართველოსთან *(TBMM Gizli Celse Zabıtları II, 1985, 17 Mart 1921 Tarihli Oturum,* გვ. *9–10).*

აღნიშნული გადაწყვეტილება იყო ქემალისტური დიპლომატიის იშვიათი კომპრომისი, რომელიც განპირობებული იყო მოსკოვთან შეთანხმებით. ამ გზით ანკარამ მოიპოვა რუსეთთან პოლიტიკური და სამხედრო ალიანსის შენარჩუნების შესაძლებლობა და ამავდროულად მოიპოვა საერთაშორისო აღიარების შანსი როგორც ახალი რესპუბლიკური სახელმწიფოსი. თურქეთის ჯარების გამოყვანამ სამხრეთ საქართველოში შექმნა დროებითი სტაბილურობა, თუმცა ადგილობრივ მოსახლეობას დარჩა მტკივნეული შეგრძნება, რომ ეს ნაბიჯი ნაკარნახევი იყო გარე ძალთა ბალანსით და არა ორმხრივი კეთილმეზობლური ურთიერთობებით.

მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვის ხელშეკრულებით განსაზღვრული საზღვრით გარკვეულწილად შემცირდა ქართული ტერიტორიებისადმი პრეტენზიების სივრცე, მისი ხელმოწერა მაინც აღიქმებოდა როგორც ომისა და კონფლიქტის დასრულების გარანტია. თურქეთის არმიის ნაწილების გასვლამ ახალციხიდან, ახალქალაქიდან და ბათუმიდან საბოლოოდ დახურა სამხედრო დაპირისპირების ფაზა, თუმცა საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა უკვე ფაქტობრივად აღარ არსებობდა. ამ მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ *1921* წლის მარტის სამხედრო ოპერაციები იყო არა მხოლოდ ტერიტორიების ბედი, არამედ სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოთა პოლიტიკური სუვერენიტეტის ბოლო გამოცდა.

ბათუმის სამხედრო ოპერაცია 1921 წლის მარტში წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ეპიზოდს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო ისტორიაში, სადაც ეროვნულმა ძალებმა შეძლეს თურქეთის სამეფო არმიის ერთეულის განდევნა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სტრატეგიული ცენტრიდან. როგორც ცნობილია, ქართველი გენერლებისა და

ოფიცრების ინიციატივით საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა (რევკომმა) ბათუმის გათავისუფლების ოპერაციის ხელმძღვანელობა გენერალ გიორგი მაზნიაშვილს მიანდო. ეს გადაწყვეტილება გამოწვეული იყო მისი სამხედრო გამოცდილებით, პატრიოტული ავტორიტეტითა და იმ ფაქტით, რომ მაზნიაშვილი ერთ-ერთ უკანასკნელად დარჩენილ გამორჩეულ სამხედრო ფიგურად მიიჩნეოდა, რომელსაც შეეძლო ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფის მობილიზება საერთო მიზნის, ტერიტორიული მთლიანობის დაცვის გარშემო (დაუშვილი და სხვ., 2011, გვ. 138).

გენერალმა მაზნიაშვილმა ბათუმის სამხედრო ოპერაციისას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობის გაერთიანებას. მისმა დიპლომატიურმა მოქნილობამ და ადგილობრივი ავტორიტეტებისადმი პატივისცემამ განაპირობა ის, რომ ბათუმის მაჰმადიანური თემის გავლენიანი წარმომადგენლები დაუკავშირდნენ ქართველ ოფიცრებს და მოხალისეობრივად შეადგინეს მცირე, მაგრამ ეფექტური პროქართული რაზმები. სწორედ მათი მონაწილეობა გახდა გადამწყვეტი ქალაქის შიდა უბნებში თურქული ჯარის განდევნისას და სტრატეგიული პუნქტების დაკავებისას. ქართული სამხედრო ნაწილებმა, გაერთიანებული ადგილობრივ მებრძოლებთან, ერთდროულად შეუტიეს თურქულ პოზიციებს და სულ რამდენიმე საათში ქალაქის მთავარი ციხე-სიმაგრისა და ყაზარმების დაკავება შეძლეს.

1921 წლის 20 მარტის დილისთვის, ზუსტად 12 საათზე, ბათუმი და მისი ოლქი თურქეთის არმიის დანაყოფებისგან მთლიანად გათავისუფლდა. ამ დროისთვის ქალაქში აღარ იყო დარჩენილი თურქი სამხედრო ძალა, ხოლო დანარჩენი მცირე ერთეულები იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ ქალაქი და გადაეკვეთათ ჭოროხის ხიდი, საიდანაც სამხრეთის მიმართულებით გაიხიზნენ. აღნიშნულ წარმატებას მოსახლეობის მხრიდან ეროვნული სოლიდარობისა და მხარდაჭერის მასობრივი გამოხატვა მოჰყვა. ბათუმის განთავისუფლებამ საქართველოს სამხედრო წრეებში წარმოშვა იმედი, რომ შესაძლებელი იქნებოდა თურქეთთან მომავალში ურთიერთობების ახალი ფორმატით თანასწორობისა და ტერიტორიული პატივისცემის საფუძველზე განვითარება.

თურქეთის დიდი ეროვნული კრების სხდომათა ოქმებში ზემოაღნიშნულ ქართულ სამხედრო ოპერაციაზე განსაკუთრებული აქცენტი არ არის გაკეთებული, რაც აჩვენებს, რომ ანკარა ცდილობდა ამ მოვლენაზე მინიმალური პოლიტიკური რეზონანსით რეაგირებას. თუმცა, აღნიშნული ეპიზოდი მაინც არის დაფიქსირებული თურქი გენერლის, ქიაზიმ ყარაბექირის, მემუარებში. მის მრავალტომიან ნაშრომში İstiklal Harbimiz („ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის“) იგი აღნიშნავს, რომ 22 მარტს პოლკოვნიკ ქიაზიმ დირიქისგან მიიღო ინფორმაცია 20 მარტის ბათუმის შეტაკების შესახებ, რომლის დროსაც ქართულმა სამხედრო ნაწილებმა იერიში მიიტანეს თურქული ჯარის ნაწილებზე – ბარცხანას ყაზარმებზე (Karabekir, 2008, გვ. 1033).

ყარაბექირის მონათხრობიდან ჩანს, რომ ბრძოლა გამწვავდა ქალაქის ჩრდილოეთ განაპირას, სადაც ქართველ მებრძოლებს მხარი დაუჭირა წითელი არმიის კავალერიამ. მასში მონაწილეობდა რამდენიმე ასეული ქართველი ჯარისკაცი და მოხალისე, რომელთაც კარგად იცოდნენ ადგილობრივი ტოპოგრაფია და ქალაქის გარშემო არსებული სამხედრო პოზიციები. ბრძოლა გამწვავდა განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქართულმა დანაყოფებმა ბარცხანას ყაზარმების ტერიტორიას მიაღწიეს, სადაც მოწინააღმდეგის წინააღმდეგ ინტენსიური შეტაკება გაიმართა. თურქეთის ერთი ასეული იძულებული გახდა ჩაებარებინა იარაღი და წითელარმიელთა ბანაკში ტყვედ ჩაბარებულიყო.

ქიაზიმ ყარაბექირის ცნობით, ბათუმში დისლოცირებული თურქული ბატალიონის სხვა ნაწილები მაჰმუდიეს ფორპოსტზე იმყოფებოდნენ, საიდანაც მათ ქალაქის დაცვის ორგანიზება ვერ მოახერხეს. ღამით ქართულმა შენაერთებმა ქალაქისკენ მიმავალი გზა ჭოროხზე გადებულ ხიდთან გადაკეტეს, სადაც მოულოდნელი შეტევის შედეგად თურქული რაზმი მძიმე დანაკარგით იძულებული გახდა პოზიციები დაეტოვებინა. ყარაბექირის შეფასებით, ამ შეტაკების შედეგად ოთხი ოფიცერი და ოცდაექვსი ჯარისკაცი დაიღუპა, ოცდაექვსი დაიჭრა და ორმოცდაექვსი დაკარგულად გამოცხადდა.

მოსკოვის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ყარაბექირმა ბათუმის დანაკარგების შესახებ დეტალური ინფორმაცია ანკარას გადასცა, სადაც აღნიშნული მოვლენა ადგილობრივი მასშტა-

ბის კონფლიქტად შეფასდა, რომელსაც ფართო სამხედრო რეაქცია არ უნდა მოჰყოლოდა. მისივე ბრძანებით, ბათუმის თურქულ საკონსულოს დასაცავად მხოლოდ ერთი ოცეული დარჩა, ხოლო დანარჩენი ბატალიონი ჭოროხის სამხრეთით გადაადგილდა. ანკარამ მკაფიოდ განუსაზღვრა ბათუმის გარნიზონს დისციპლინის შენარჩუნება და საბჭოთა მხარესთან კონფრონტაციის თავიდან აცილება, რათა არ გაღრმავებულიყო სამხედრო-დიპლომატიური დაძაბულობა. რაც შეეხება ახალციხისა და ახალქალაქის რეგიონებს, ყარაბექირის ჩანაწერების მიხედვით, იქ განთავსებულ თურქულ ძალებს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ფორმირების შემდეგ ტერიტორიის დატოვება დაევალათ (Karabekir, 2008: 1033).

ეს ბრძანება წარმოადგენდა შეთანხმების ნაწილის შესრულებას, რომელიც მოსკოვის ხელშეკრულების პუნქტებით თურქული სამხედრო დანაყოფების საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიებიდან ეტაპობრივ გაყვანას უზრუნველყოფდა. ამგვარად, ბათუმის ოპერაცია არ იყო მხოლოდ სამხედრო მოქმედება, არამედ პოლიტიკური გარდატეხის მომენტი, რომელმაც საქართველოს მიწაზე თურქეთის უშუალო სამხედრო ყოფნა დაასრულა და რეგიონში ახალი სტაბილურობის საფუძველი შექმნა.

ოპერაციის ისტორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი საქართველოს სამხედრო ნების, თვითორგანიზების უნარისა და ეროვნული ერთიანობის გამოვლინების ერთ-ერთი ბოლო დემონსტრაცია გახდა. მაზნიაშვილის მიერ წარმართული ოპერაცია განიხილება როგორც ქართული სამხედრო სტრატეგიის ადაპტაციის მაგალითი იმ ვითარებაში, როდესაც ქვეყანა დიპლომატიური იზოლაციისა და სამხედრო საფრთხის გარემოცვაში აღმოჩნდა. ამგვარი სამხედრო წარმატება, მიუხედავად მისი დროებითი ხასიათისა, დარჩა როგორც ეროვნული ღირსების სიმბოლო, რომელიც ხაზს უსვამს ქართველი ხალხის შეუვალობას სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაცვის საქმეში.

ბათუმის გათავისუფლების ოპერაციამ მნიშვნელოვანი პოლიტიკური და საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვია როგორც რეგიონულ, ისე ევროპულ დიპლომატიურ წრეებში. დასავლეთის პრესაში ეს მოვლენა აღიწერა როგორც საქართველოს მცდელობა, შეენარჩუნებინა საკუთარი სახელმწიფოებრივი იდენტობა ბოლშევიკური და თურქული ზეწოლის ორმაგ წნეხში. ოპერაციამ ნათლად აჩვენა, რომ საქართველოს სამხედრო ძალა, მიუხედავად რესურსთა სიმწირისა, ჯერ კიდევ ფლობდა ორგანიზაციულ და სტრატეგიულ უნარებს, რაც დასავლეთისთვის საქართველოს, როგორც ბრძოლისუნარიანი და დამოუკიდებელი პოლიტიკური სუბიექტის აღქმას აძლიერებდა. ამით საქართველო ფაქტობრივად დემოკრატიული რესპუბლიკის იმ პოლიტიკურ ხაზს აგრძელებდა, რომელიც მიზნად რეალისტური სამხედრო-დიპლომატიური ნაბიჯებით დასავლურ დემოკრატიებთან ინტეგრაციასა და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის დაცვას ისახავდა.

თურქეთის მხრიდან ბათუმის მოვლენებზე ოფიციალური რეაქცია იყო თავშეკავებული. ქიაზიმ ყარაბექირისა და ანკარის სამხედრო შტაბის ანგარიშებში ქართული ოპერაცია შეფასდა როგორც ლოკალური ინციდენტი, რომლის გამწვავება არ იყო მიზანშეწონილი მოსკოვის ხელშეკრულების ძალაში შესვლის ფონზე. ამგვარი პოზიცია ნათლად ასახავდა ქემალისტური დიპლომატიის სტრატეგიას, რომლის არსიც მდგომარეობდა დროებით კომპრომისში საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობათა გამყარების მიზნით. თუმცა, თურქეთის პოლიტიკური ელიტა ამ მოვლენას აღიქვამდა გაფრთხილებად – საქართველოს სამხედრო სიძლიერემ აჩვენა, რომ სამხრეთ კავკასიაში ძალთა ბალანსის საკითხი ბოლომდე გადაწყვეტილი არ ყოფილა. შესაბამისად, ბათუმის გათავისუფლება იქცა სიმბოლურ მოვლენად, რომელმაც საქართველოს დაკარგული პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიუხედავად, გაამყარა მისი ეროვნული ღირსება და სამხედრო-დიპლომატიური მემკვიდრეობა.

კლევის შედეგები:

1. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ თურქეთსა და საქართველოს შორის ჩამოყალიბდა ახალი პოლიტიკური რეალობა, რომელიც ოსმალეთის იმპერიის დაშლის შედეგად წარმოშობილმა პოლიტიკურმა ძალთა გადანაწილებამ განსაზღვრა. *1918* წლის მუდროსის ზავისა და *1920* წელს ანკარაში შექმნილი თურქეთის დიდი ეროვნული კრების საფუძველზე თურქეთი გადავიდა რესპუბლიკური მმართველობის მოდელზე, ხოლო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ცდილობდა დამოუკიდებლობის განმტკიცებასა და დასავლეთთან ურთიერთობების გაღრმავებას. თურქეთის ახალი

ხელისუფლება, მუსტაფა ქემალ ფაშას ხელმძღვანელობით, მიზნად ისახავდა რეგიონის ძალთა ბალანსის გადახედვას და კავკასიაში გავლენის განმტკიცებას. საქართველოსთან ურთიერთობა მისთვის იყო სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხი, რადგან ბათუმის, არტაანისა და ართვინის ოლქების კონტროლი ეროვნული პაქტის კონტექსტში მიიჩნეოდა თურქული სახელმწიფოებრივი ინტერესის აუცილებელ კომპონენტად.

2. საქართველოსა და ანკარის მთავრობებს შორის ოფიციალური დიპლომატიური ურთიერთობა *1920* წლის *8* თებერვალს დამყარდა, როდესაც სიმონ მდივანმა მუსტაფა ქემალ ფაშას რწმუნების სიგელები გადასცა. ამ ფაქტმა დაადასტურა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღიარება როგორც საერთაშორისო სუბიექტის, რაც ახალგაზრდა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკისთვის მნიშვნელოვან მიღწევად ითვლება. მიუხედავად ამისა, ორმხრივი ურთიერთობა სტაბილურ პარტნიორობაში ვერ გადაიზარდა. საბჭოთა რუსეთის გაძლიერებამ და ექსპანსიის დაწყებამ ანკარის დამოკიდებულება შეცვალა, რომელმაც ართვინისა და არტაანის მიმართულებით სამხედრო ზეწოლა დაიწყო და ბათუმის საკითხში პლებისციტის ჩატარების იდეა წამოაყენა, რაც ფაქტობრივად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის გადახედვის მცდელობას ნიშნავდა.

3. *1920-1921* წლებში საბჭოთა რუსეთის აგრესიულმა პოლიტიკამ სამხრეთ კავკასიაში თურქეთის სტრატეგიული პოზიციები მნიშვნელოვნად შეცვალა. ოკუპაციის მოახლოების ფონზე ანკარამ საქართველოს საკითხი საკუთარი უსაფრთხოების კონტექსტში განიხილა და მიიჩნია, რომ რუსეთის გავლენის შესაკავებლად ბათუმისა და არტაანის დაკავება აუცილებელი იყო. თურქეთის დიდი ეროვნული კრების ოქმები ცხადყოფს, რომ ქემალისტური მთავრობა ერთდროულად ორიენტირდებოდა მოსკოვთან დროებით თანამშრომლობაზე და კავკასიის სახელმწიფოებთან ისეთი ურთიერთობის შენარჩუნებაზე, რომელიც საჭიროების შემთხვევაში მისცემდა შესაძლებლობას რეგიონში სამხედრო-პოლიტიკური კონტროლი გაეძლიერებინა.

4. *1920* წლის თურქეთ-სომხეთის ომმა და მის შედეგად დადებულმა გიუმრის ზავმა სამხრეთ კავკასიაში ძალთა ბალანსი მნიშვნელოვნად შეცვალა. თურქეთის გამარჯვებამ სომხეთზე საქართველოს აიძულა მობილიზაცია გამოეცხადებინა, თუმცა თბილისმა აქტიური სამხედრო ჩარევისგან თავი შეიკავა და ნეიტრალური პოზიცია შეინარჩუნა. ანკარაში ამ ნაბიჯს პოზიტიურად აფასებდნენ და მიიჩნევდნენ, რომ საქართველო თურქეთთან მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნებას და ამავე დროს რუსეთის ზეწოლის პირობებში საკუთარი დამოუკიდებლობის დაცვას ცდილობდა. აღნიშნული ფაქტი იმდროინდელი ქართული დიპლომატიის პრაგმატულ და რეალისტურ ხასიათს ნათლად გამოხატავს.

5. საქართველოს მინისტრთა კაბინეტმა თურქეთის მხარეს საზღვრის დადგენა რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ხაზზე შესთავაზა, რაც არტაანისა და ბათუმის საქართველოს შემადგენლობაში დატოვებას გულისხმობდა. ეს წინადადება ანკარისთვის მიუღებელი აღმოჩნდა, ვინაიდან აღნიშნული რეგიონები თურქეთის ეროვნული პაქტის განუყოფელ ნაწილად ითვლებოდა. *1921* წლის თებერვალში თურქეთმა წამოაყენა ოთხპუნქტიანი წინადადება, რომლის მიხედვით არტაანი და ართვინი უნდა გადაცემოდა თურქეთს, ხოლო ბათუმში ჩატარდებულიყო პლებისციტი. საქართველომ ართვინ-არტაანი დათმო, მაგრამ ბათუმის სტატუსის შეცვლაზე უარი თქვა, რამაც საბოლოოდ ურთიერთობის გამწვავება გამოიწვია და სამხედრო დაპირისპირების საფრთხის შექმნა.

6. სიმონ მდივანის დიპლომატიური მისია ანკარაში არსებული გეოპოლიტიკური კრიზისის პირობებში საქართველოს ინტერესების დასაცავად რთული პირობების წინაშე აღმოჩნდა. მდივნის კორესპონდენციის მიხედვით, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი აჰმეთ მუჰთარ ფაშა მკაცრად იცავდა ეროვნული აღთქმის პრინციპებს და ბათუმის თურქეთის საზღვრებში ჩართვას სამართლიანად მიიჩნევდა. მდივნის აზრით, ანკარა ცდილობდა რეგიონში ისეთი ვითარების შექმნას, რომელიც ერთი მხრივ შეასუსტებდა ბოლშევიკურ გავლენას, ხოლო მეორე მხრივ მას დასავლეთის, განსაკუთრებით ლონდონის წინაშე, საკუთარი პოზიციების გამყარებაში დაეხმარებოდა. საბოლოოდ, თურქეთმა სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე, ფორმალურად საქართველოს თხოვნით, ახალციხესა და ახალქალაქში ჯარების შეყვანისა გადაწყვეტილება მიიღო, რაც რეალურად ქემალისტურ დიპლომატიაში გამოთვლილ სტრატეგიულ ნაბიჯს წარმოადგენდა.

7. მიუხედავად სიტყვიერი შეთანხმებისა, *1921* წლის მარტში თურქეთის არმიამ დაარღვია მიღწეული პირობები. ახალციხესა და ახალქალაქში ადგილობრივი ქართული სამოქალაქო ხელისუფლება გაუქმდა და შეიქმნა თურქული ადმინისტრაციული ორგანოები. თუმცა მოსკოვის ხელშეკრულების შემდეგ ანკარამ დაიწყო ჯარების გაყვანა როგორც სამცხე-ჯავახეთიდან, ისე ბათუმიდან. ხელშეკრულების საფუძველზე საქართველო და თურქეთი შეთანხმდნენ სახელმწიფო საზღვრის დადგენაზე იმ ხაზზე, რომელიც დღესაც მოქმედებს, ხოლო ბათუმი საბოლოოდ დარჩა საქართველოს შემადგენლობაში, რაც მნიშვნელოვანი დიპლომატიური წარმატება იყო ქართული მხარისთვის.

8. თურქეთის დიდი ეროვნული კრების დახურული სხდომების ოქმები წარმოადგენს უაღრესად მნიშვნელოვან წყაროს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და ქემალისტური თურქეთის ურთიერთობების კვლევისათვის. ეს დოკუმენტები ასახავენ ანკარის დიპლომატიის შინაგან დინამიკას, გადაწყვეტილებების მიღების პროცესს და პოლიტიკური მოტივების მრავალფეროვნებას. საქართველოს საკითხი ანკარაში აღიქმებოდა როგორც სტრატეგიული და იდეოლოგიური საკითხი, რომელიც განსაზღვრავდა თურქეთის სახელმწიფოებრივ თვითშემეცნებას და რეგიონულ სტრატეგიას. ამასთან, კვლევა ცხადყოფს, რომ *1920-1921* წლების ქართულ-თურქული ურთიერთობები არ შეიძლება განიხილებოდეს მხოლოდ კონფლიქტის ჭრილში. ეს იყო დინამიკური, ინტერესთა თანხვედრაზე აგებული პროცესი, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური ბალანსის ჩამოყალიბებაში.

დასკვნა. საკვლევი პრობლემა უკავშირდება ისტორიულად გარდამავალ პერიოდს, როცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დამოუკიდებლობის შენარჩუნებისთვის იბრძოდა, ხოლო თურქეთის დიდი ეროვნული კრება ქმნიდა ახალი სახელმწიფოებრივი იდენტობის მოდელს. ამ ორი პროცესის გადაკვეთა განსაზღვრავდა სამხრეთ კავკასიის რთულ პოლიტიკურ ვითარებას, რომლის გააზრება შეუძლებელია თურქეთის ეროვნული კრების დახურული სხდომების ოქმების გარეშე. ეს დოკუმენტები ასახავს იმდროინდელ თურქულ სახელმწიფოებრივ აზროვნებას, სტრატეგიულ გათვლებსა და დამოკიდებულებას საქართველოსადმი როგორც მეზობელი სუვერენული ქვეყნისადმი.

პრობლემის კვლევა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ ფონზე, როცა ორი განსხვავებული პოლიტიკური კულტურა – ევროპული ტიპის რესპუბლიკური საქართველო და ქემალისტური თურქეთი ცდილობდა ადგილის პოვნას ახალ საერთაშორისო სისტემაში. ანკარის დისკუსიები ცხადყოფს, რომ თურქეთის საგარეო პოლიტიკა ეფუძნებოდა ეროვნული პაქტის განხორციელების იდეას, საბჭოთა რუსეთთან ტაქტიკურ თანამშრომლობასა და დასავლეთის მიმართ დიპლომატიური მანევრის შენარჩუნებას. სწორედ ამ ფაქტორებმა განსაზღვრა საქართველოსადმი მისი დამოკიდებულება.

მუსტაფა ქემალის მთავრობისთვის საქართველო წარმოადგენდა სტრატეგიულ სივრცეს, რომლის კონტროლი უზრუნველყოფდა შავი ზღვისპირეთის უსაფრთხოებას და გავლენის გაფართოებას. ამავე დროს ანკარაში კარგად ესმოდათ, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი არსებობა გარკვეული დროით აფერხებდა საბჭოთა ექსპანსიას რეგიონში. ამიტომ თურქეთის პოლიტიკა აერთიანებდა ინტერესთა თანხვედრას და გეოპოლიტიკურ სიფრთხილეს.

თურქეთის დიდი ეროვნული კრების ოქმები მხოლოდ ოფიციალური ჩანაწერი არ არის. ისინი წარმოაჩენენ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების შინაგან მექანიზმებს, სადაც ერთიანდება სამხედრო გათვლები, დიპლომატიური პოზიციები და იდეოლოგიური მიზნები. ამ დისკუსიებში იკვეთებოდა ორი ძირითადი მიმდინარეობა – ქემალისტური ბირთვი, რომელიც ემხრობოდა ეროვნული პაქტის საზღვრების რეალიზაციას, და პრაგმატული ფრთა, რომელიც ითვალისწინებდა კომპრომისს მეზობელ ქვეყნებთან. სწორედ ამ ბალანსმა განსაზღვრა თურქეთის დამოკიდებულება საქართველოსადმი.

სიმონ მდივანის ანკარის მისია ამ რთული დიპლომატიური ფონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოხატულებაა. იგი ცდილობდა ისეთი შეთანხმების მიღწევას, რომელიც ქვეყანას სუვერენიტეტის ფორმალური შენარჩუნების საშუალებას მისცემდა. მიუხედავად მცდელობისა, ბოლშევიკურმა ოკუპაციამ ფაქტობრივად ნულამდე დაიყვანა ყველა იმ შეთანხმების შედეგი, რომელიც ორ მხარეს შორის არსებობდა.

თურქეთის პოლიტიკა საქართველოსადმი პრაგმატული ხასიათის იყო, თუმცა მასში შეიმჩნეოდა იმპერიული მემკვიდრეობის ელემენტები. ანკარა ცდილობდა თავიდან აეცილებინა პირდაპირი დაპირისპირება საბჭოთა რუსეთთან, თუმცა არ თმობდა გავლენას ართვინისა და ბათუმის რეგიონებში. ამ პოლიტიკამ წარმოშვა დროებითი ტაქტიკური ალიანსი, რომელიც მალევე დასრულდა რეალური გეოპოლიტიკური ცვლილებებით.

თურქეთის დიდი ეროვნული კრების ოქმების კვლევა არამარტო ისტორიულ ფაქტებს აჩვენებს, არამედ გვასწავლის, როგორ ყალიბდებოდა სახელმწიფოებრივი აზროვნება და პოლიტიკური ლოგიკა ახალ რესპუბლიკურ სახელმწიფოში. საქართველოს საკითხის განხილვა ამ სხდომებში ცხადყოფს, რომ ქემალისტური ელიტა მას აღიქვამდა გარდამავალ სივრცედ, რომელიც აუცილებელი იყო ძალთა ბალანსის შესანარჩუნებლად რუსეთსა და დასავლეთს შორის. შედეგად, კვლევა ადასტურებს, რომ საქართველოს საკითხი თურქეთის ეროვნული კრების დღის წესრიგში იყო არა შემთხვევითი ეპიზოდი, არამედ რეგიონული სტრატეგიის ცენტრალური ნაწილი. ამ დოკუმენტების ანალიზი საშუალებას იძლევა უკეთ გავიგოთ სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური რეალობა და მისი ადგილი *XX* საუკუნის საერთაშორისო სისტემაში.

თანამედროვე პერსპექტივიდან აღნიშნული კვლევა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან იგი ისტორიული გამოცდილების მაგალითზე ასახავს რეგიონული პოლიტიკის უწყვეტობასა და სახელმწიფო ინტერესების ფორმირების მექანიზმებს. თურქეთის დიდი ეროვნული კრების დოკუმენტების ანალიზი არა მხოლოდ გასული საუკუნის მოვლენების ახსნას ემსახურება, არამედ ხელს უწყობს თანამედროვე ქართულ-თურქული ურთიერთობების არსის გააზრებას. დღევანდელ გეოპოლიტიკურ რეალობაში, როდესაც სამხრეთ კავკასია კვლავ ინტერესთა გადაკვეთაშია, *1920-1921* წლების გამოცდილება გვთავაზობს სახელმწიფოებრივი მოქნილობისა და დიპლომატიური ბალანსის ღირებულ მაგალითს. ამ ისტორიულ პარალელებში ნათლად იკითხება, რომ საქართველოსა და თურქეთის თანამშრომლობა ეფუძნება საერთო სტაბილურობისა და რეგიონული უსაფრთხოების ინტერესებს. კვლევა, თავისი წყაროთმცოდნეობრივი სიღრმით, აძლიერებს ისტორიის პრაქტიკულ მნიშვნელობას თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერებისათვის და ქმნის ინტელექტუალურ საფუძველს სამხრეთ კავკასიის საერთაშორისო პროცესების რეალისტური ანალიზისთვის.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

წიგნები / მონოგრაფიები

დაუშვილი, ა., გოგოლიშვილი, ო., კარალიძე, ჯ., სურგულაძე, კ., მანველიძე, ი., მაცაბერიძე, მ., მესხია, ე., სიორიძე, მ., ყავრელიშვილი, რ., ჭუმბურიძე, დ., & ჯანელიძე, ო. (2011). *ბრძოლა ბათუმისთვის: 1921 წლის 18-20 მარტი.* თბილისი: ახალი აზრი.

ჟორდანია, ნ. (1990). *ჩემი წარსული.* თბილისი: სარანგი.

ქაზემზადე, ფ. (2016). *ბრძოლა ამიერკავკასიისთვის 1917–1921 წლებში.* თბილისი: პოეზია.

ცუხიშვილი, რ. (1995). *ინგლის-საქართველოს ურთიერთობა 1918–1921 წლებში.* თბილისი: მერიდიანი.

Karabekir, K. (2008). *İstiklal Harbimiz* (Vol. 2). İstanbul: Yapı Kredi Yayınları.

Tansel, S. (1978). *Mondros'tan Mudanya'ya Kadar* (Vol. 4). Ankara: Milli Eğitim Yayınları.

Özder, M. A. (1971). *Artvın ve Çevresi (1828–1921).* Ankara: Ay Matbaası.

სტატია

სვანიძე, მ. (2000). დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება საქართველოსა და ქემალის თურქეთის მთავრობებს შორის. *ქართული დიპლომატია (წელიწდეული),* 7. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

პერიოდული გამოცემები

Genelkurmayı Askeri Tarih Belgeleri Dergisi. (1999). *Ocak, Yıl 48, Sayı 107.* Ankara: Askeri Tarih ve Stratejik Etüt Başkanlığı Yayınları.

თურქეთის დიდი ეროვნული კრების ოქმები

TBMM Gizli Celse Zabıtları I. (1985). *3 Temmuz 1920 Tarihli Oturum.* Ankara: Türkiye İş Bankası Yayınları.

TBMM Gizli Celse Zabıtları I. (1985). *2 Aralık 1920 Tarihli Oturum.* Ankara: Türkiye İş Bankası Yayınları.

TBMM Gizli Celse Zabıtları I. (1985). *24 Ocak 1921 Tarihli Oturum.* Ankara: Türkiye İş Bankası Yayınları.

TBMM Gizli Celse Zabıtları I. (1985). *18 Şubat 1921 Tarihli Oturum.* Ankara: Türkiye İş Bankası Yayınları.

TBMM Gizli Celse Zabıtları I. (1985). *21 Şubat 1921 Tarihli Oturum.* Ankara: Türkiye İş Bankası Yayınları.

TBMM Gizli Celse Zabıtları II. (1985). *17 Mart 1921 Tarihli Oturum.* Ankara: Türkiye İş Bankası Yayınları.

საარქივო მასალა

საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა). ფონდი 2118, საქმე 30.

საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა). ფონდი 2118, საქმე 21.

THE GEORGIAN QUESTION IN THE MINUTES OF THE CLOSED SESSION OF THE GRAND NATIONAL ASSEMBLY OF TURKEY (1920-1921)[1]

ROIN KAVRELISHVILI
PhD in History, Professor,
Samtskhe-Javakheti State University,
Kars Kafkas University
E-Mail: roinkav@gmail.com
ORCID: 0000-0001-5829-8557

NUGZAR ZOSIDZE
PhD in History, Associate Professor,
Batumi Shota Rustaveli State University
E-Mail: n.zosidze@bsu.edu.ge
ORCID: 0000-0001-5829-8557

Abstract. It is known that the Ottoman Empire suffered defeat in the First World War and signed the Armistice of Mudros on October 30, 1918. The victorious Entente powers took control of the Arab states that were part of the Ottoman Empire and began to divide the Ottoman territory itself.

On April 23, 1920, a new parliament was convened in Ankara, which was called the Grand National Assembly of Turkey. Mustafa Kemal Pasha was elected chairman. The Grand National Assembly declared itself the sole legitimate government of Turkey. On May 3 of the same year, a government was formed under the leadership of Mustafa Kemal. Thus, a dual system of government was established in Turkey. The Sultan in Istanbul, and Mustafa Kemal in Ankara.

The government of the Democratic Republic of Georgia still had its own diplomatic representation with the Sultan's government in accordance with the Batumi Treaty of June 4, 1918. As for the establishment of diplomatic relations with the Ankara government and the recognition of the Democratic Government of Georgia by the Ankara government, it took place on February 8, 1920, when the Georgian diplomatic representative Simon Mdivani presented his credentials to Mustafa Kemal Pasha in Ankara. Earlier, Colonel Kyazim (Dirik), an official representative of the Ankara government, arrived in Tbilisi and presented his credentials to the Georgian government. Relations between Ankara and Tbilisi were more or less cooperative, although the border issue remained unresolved.

During the Bolshevik expansion in Georgia, the Ankara government's approaches to Georgia changed somewhat. Ankara demanded that Tbilisi withdraw its troops from the Artvin and Artaani regions, and expressed different approaches regarding the Batumi issue. This was expressed, on the one hand, in the condition of the annexation of the Batumi region to Turkey, and on the other hand, in the condition of holding a plebiscite in the same region.

The aim of the article is to study the relationship between the democratic governments of Ankara and Georgia according to the closed sessions of the Grand National Assembly of Turkey. Based on their analysis and comparison, to present the political events taking place in the South-West Caucasus and the results obtained. This will allow readers interested in the history of the region to critically assess what happened.

Keywords: Georgia, Turkey, Tbilisi, Ankara, National Assembly.

[1] The report was read within the framework of the project – Administrative Governance of Historical South-Western Georgia (1878-1921), funded by the Shota Rustaveli National Scientific Foundation. Code: FR – 22 – 12 – 278.

* * *

Introduction. The good-neighborly and strategic relations between Georgia and Turkey at the modern stage, the historical literature published in Georgia and Turkey, and the search and processing of materials preserved in the archives of both countries allow for an in-depth study of Georgian-Turkish relations.

საკვანძო სიტყვები: აჭარის რეგიონის ონომასტიკა; ანტიკური წყაროები; ტოპონიმები და ეთნონიმები; ონომასტიკური ანალიზი.

* * *

შესავალი: საზღვრისპირა რეგიონები ყოველთვის განსაკუთრებული ინტერესის სფეროს წარმოადგენს, ვინაიდან აქ მიმდინარე ხალხთა გადაადგილებები, ტოპონიმთა და ეთნონიმთა მონაცვლეობა ბევრ საჭირბოროტო და სადავო საკითხს წარმოშობს. ამ დროს ონომასტიკური მასალის კვლევას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისტორიული მოვლენებისა და ეთნოგრაფიული პროცესების უკეთ გასაგებად. ტოპონიმებზე დაკვირვება გვეხმარება დავადგინოთ, როგორ იცვლებოდა კონკრეტული რეგიონი დროთა განმავლობაში, როგორ მოქმედებდა მასზე სხვადასხვა კულტურა და ენა, რადგან ტოპონიმი უფრო მყარია, ვიდრე საზოგადო სახელი, ის თაობიდან თაობას გადაეცემა და ხშირად საუკენეებსაც უძლებს, მკვიდრად ინახავს უძველეს ლექსიკურ ერთეულებს, ფუძე-ძირებს, სემანტიკას, საყურადღებო ენობრივ მოვლენებს, სუბსტრატულსა თუ ნასესხებ მასალას. ის, ამავდროულად, მეტად ღირებულ (ხშირად ფასდაუდებელ) ინფორმაციას გვაწვდის ამა თუ იმ ტერიტორიაზე მოსახლე ეთნოსების ისტორიისა და კულტურის შესახებ. შესაბამისად, ანტიკური წყაროების ამ მიმართულებით კვლევა საშუალებას მოგვცემს, თვალი მივადევნოთ ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიაზე ტომთა გადაადგილების დინამიკას.

ანტიკური ხანის წყაროები და ეპიგრაფიკული მასალა, რომლებმაც გაამდიდრეს ჩვენი ცოდნა საქართველოს შორეული წარსულის შესახებ, კარგად არის შესწავლილი, თარგმნილი და გამოცემული სხვადასხვა მეცნიერის მიერ (ა. ურუშაძის „*ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში*“; თ. ყაუხჩიშვილის „*საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები*“, „*ეპიგრაფიკული კორპუსი*“; ენციკლოპედია „*ანტიკური კავკასია*“; ნ. ფიფია, ე. კობახიძე, თ. დუნდუა „*ანტიკური ხანის ბერძნულ-ლათინური წარწერები, როგორც საქართველოს ისტორიის წყარო*“ და სხვა).

ეს ტექსტები უკვე დიდი ხანია, რაც ქართველი მეცნიერების, ფილოლოგების, ისტორიკოსებისა თუ არქეოლოგების, ყურადღების საგანია, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს ნაშრომი, სადაც თავმოყრილი და შესწავლილი იქნება ანტიკური პერიოდის ავტორებთან (როგორც ბერძნულენოვან, ასევე ლათინურენოვან) წარმოდგენილი ტოპონიმები თუ ეთნონიმები ქრონოლოგიური თუ ონომასტიკური ანალიზის ჭრილში.

მეთოდები: თითოეული მეთოდი უშუალოდ მორგებულია კვლევის ამოცანებთან და, აქედან გამომდინარე, წარმატებული სამეცნიერო მუშაობის გარანტია:

ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმებისა და ეთნონიმების მოძიებაში კვლევის სინქრონული (აღწერილობითი) მეთოდი დაგვეხმარება.

მოძიებული ინფორმაციის დამუშავებისას გამოვიყენებთ კრიტიკული ანალიზის მეთოდს, რაც გულისხმობს სხვადასხვა ავტორთან ერთი და იმავე ტოპონიმისა თუ ეთნონიმის ვარიანტების ურთიერთშედარებას, სამეცნიერო ანალიზს.

ასევე მნიშვნელოვანია წყაროების სინთეზი და ქრონოლოგიურ-შედარებითი ანალიზი, რაც მოგვცემს საშუალებას, დავადგინოთ ამა თუ იმ დასახლების სახელწოდება სხვადასხვა ეპოქაში; იქ ბინადარ ხალხთა გადაადგილების დინამიკა და ეთნონიმთა მონაცვლეობა ერთსა და იმავე ტერიტორიაზე.

რაც შეეხება ტერმინთა ლინგვისტურ ანალიზსა და ნორმების დადგენას, კვლევის აღნიშნულ ეტაპზე ჩვენ გამოვიყენებთ ლინგვისტური, კომპონენტური და ეტიმოლოგიური ანალიზის მეთოდებს.

ექსტრალინგვისტური მეთოდებით ცალკეული ადგილის გეოგრაფიული სახელწოდების სახელდების მოტივაციასაც განვსაზღვრავთ. შევეცდებით, აღვადგინოთ ტოპონიმის წარმოშობის ისტორია.

რუკების შექმნისას კი გამოვიყენებთ ციფრული ჰუმანიტარიის უახლეს მიღწევებს, რაც ბოლო წლებია საკმაოდ ეფექტურ საშუალებად ჩამოყალიბდა.

მსჯელობა: საკითხის საკვლევად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პარალელური ტოპონიმებისა თუ ეთნონიმების გავრცელებისა და ურთიერთმიმართების საკითხები; მათი იდენტიფიცირება, რადგან ანტიკურ წყაროებში ერთი და იმავე სახელწოდების ტომისა თუ დასახლების მოიხსენიება სხვადასხვა ტერიტორიაზე როგორც ერთსა და იმავე, ასევე სხვადასხვა პერიოდში, არცთუ იშვიათია (სანიგები, ტრაპეძუსი, სანები, ჰენიოქები, ფაზისი, ძიქები, სებასტოპოლისი, პიტიუნტი...), მაგალითად, როგორც სტრაბონი გადმოგვცემს:

„...μετὰ δὲ τὴν Σινδικὴν καὶ τὴν Γοργιπίαν ἐπὶ τῇ θαλάττῃ ἡ τῶν Ἀχαιῶν καὶ Ζυγῶν καὶ Ἡνιόχων παραλία τὸ πλέον ἀλίμενος καὶ ὀρεινή...εἶτα τὸν Πιτυοῦντα τὸν μέγαν τριακοσίων ἐξήκοντα μέχρι Διοσκουριάδος.“

„...სინდიკისა და გორგიპიის შემდეგ, სანაპიროს გასწვრივ, გაშლილია აქაჲების, ძიგებისა და ჰენიოქების მიწა, რომელიც ძირითადად უნავსაყუდო და მთიანია... შემდეგ მოდის დიდი პიტიუნტი, რომელიც დიოსკურიასიდან სამას სამოცი სტადიონითაა დაშორებული“ (Στράβων, 1877, p. XI. 2. 12).

პომპონიუს მელას მიხედვითაც:

„In Heniochorum finibus Dioscorias a Castore et Polluce Pontum cum Iasone ingressis.“

„ჰენიოქების მხარეში არის ქალაქი დიოსკურიასი, დაარსებული კასტორისა და პოლუქსის მიერ, რომლებიც მოვიდნენ იაზონთან ერთად“ (Mela, 1971, p. 111).

ამის საპირისპიროდ, ფლავიუს არიანესთან:

„...τούτων δὲ ἔχονται Μάκρωνες καὶ Ἡνίοχοι: βασιλεὺς δ᾽ αὐτῶν Ἀγχίαλος. Μακρώνων δὲ καὶ Ἡνιόχων ἐχόμενοι Ζυδρεῖται: Φαρασμάνου οὗτοι ὑπήκοοι.“

„...მათ (სანების) შემდეგ არიან მაკრონები და ჰენიოქები, მათი მეფეა ანქიალოსი. მაკრონებისა და ჰენიოქების შემდეგ არიან ძიდრიტები, ესენი ფარასმანესის [ფარსმან ქველი] ქვეშევრდომები არიან“ (Ἀρριανός, 2010, p. 15. (11 H)).

საყურადღებოა, რომ სტრაბონთან ორი ფასისი გვხვდება, იგი მდ. ჭოროხსაც ფასისს უწოდებს, ანუ გვაქვს რიონ-ფასისი და ჭოროხ-ფასისი. ჭოროხ-ფასისი სათავეს არმენიაში იღებს (Στράβων, 1877, p. XI. 2. 17), მისი შესართავია მდინარე ლიკოსი, რომელიც, თავის მხრივ, არაქსს შორდება. მდინარის ზემოთ კი, მოსხების ქვეყანაში, მდებარეობს ლევკოთეას ტაძარი. არმენიის მთებიდან გამოედინება გლავკოსი და ჰიპოსიც. საურმე გზით ოთხ დღეში კი [მდინარე] კიროსამდე მიისვლება. კიროსს სტრაბონი მტკვარს უწოდებს. აქვე ავტორი აკეთებს შენიშვნას, რომ ერატოსთენესი ლიკოსს მცდარად თერმოდონის სახელით მოიხსენიებდა. სხვა ადგილას კი, სტრაბონი ამავე მდინარის სათავეს განსაზღვრავს იბერიის ზემოთ მდებარე მთებით (Στράβων, 1877, p. XI. 3. 4).

მეცნიერთა უმეტესობა ამგვარ ცნობებს ავტორის დაუდევრობას მიაწერს. მათი აზრით, უბრალო თვალის გადავლებითაც კი შეიძლება მიხვედრა, რომ ანტიკურ ავტორებთან ჩამოთვლილი ტომები და გეოგრაფიული მონაცემები ბევრგან თავის რიგზე არ არის და შეუსაბამობას აქვს ადგილი. ისინი ერთსა და იმავე ტომს ან ერთსა და იმავე ქალაქს სხვადასხვა ადგილებში ათავსებენ და თავიანთ ასეთ ქცევას არც არაფრით განმარტავენ.

ჩვენი აზრით, ასეთი ფაქტები ავტორების დაუდევრობაზე კი არ უნდა მიუთითებდეს, არამედ რამდენიმე ფაქტორით არის განპირობებული:

• მეტწილად ტომთა მიგრაციით, მაგალითად, ანონიმის მიხედვით:

„Ἀπὸ οὖν Παλαιᾶς Ἀχαίας ἕως τῆς Παλαιᾶς Λαζικῆς καὶ ἐπέκεινα ἕως Ἀχαιοῦντος ποταμοῦ πρώην ᾤκουν ἔθνη οἱ λεγόμενοι Ἡνίοχοι, Κοραξοὶ καὶ Κωλικοὶ, Μελάγχλαινοι, Μαχέλωνες, Κόλχοι καὶ Λαζοὶ, νῦν δὲ οἰκοῦσι Ζιχοί.“

„ძველი აქაიადან ძველ ლაზიკემდე და აქედან აქაჲუსამდე ადრე სახლობდნენ ხალხები, რომელთაც ეწოდებოდა: ჰენიოქები, კორაქსები, კოლიკები, მელანქლაჲნები, მაქელონები, კოლხები და ლაზები, ახლა კი სახლობენ ძიქები“ (Ανωνύμου, 1883, p. 59.(18)).

ლაზები, რომლებიც დაახლოებით I საუკუნიდან სამხრეთ ტერიტორიაზე ჩანან, უძეელეს წყაროებში ჩრდილოეთით იმყოფებიან (ისევე, როგორც ჰენიოქები) (Καισαρεύς, 1914, p. 8.10.1).

• ამასთან უნდა გავითვალისწინოთ, რომ ავტორები სხვადასხვა პერიოდის წყაროთი სარგებლობენ, მაგალითად კლავდიოს პტოლემაიოსს, როგორც ჩანს, ძველი წყარო ჰქონდა ხელთ – მისი

ჰენიოქები შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ჩრდილო ნაწილში არიან (და არა სამხრეთში, როგორც ეს უფრო გვიანდელ წყაროებში არის). ამაზე მიუთითებს ასევე ძინქების (ძიგების) ხსენებაც სარმატიაში, რაც სტრაბონის დროიდან იცვლება. სტრაბონის დროს ძიგები უკვე შავი ზღვის პირას არიან. ისინი, როგორც ჩანს, ჩრდილო კავკასიიდან ამიერკავკასიაში ჩამოვიდნენ და სტრაბონის შემდეგი პერიოდის წყაროები მათ სწორედ ამ ტერიტორიაზე მოიხსენიებენ.

• ერთი მხრივ, ანტიკური ხანის ავტორები აღგვიწერენ იმ გეოგრაფიულ სივრცესა და იმ ეპოქის რეალური ვითარებას, რომელიც მათთვის ნაცნობი იყო. მეორე მხრივ კი, ხელმძღვანელობენ სხვადასხვა პერიოდის გადმოცემებით, მაგალითად ლეგენდარული აია აპოლონიოს როდოსელთან ფასისის შესართავთანაა, იქვე, სანაპიროზე:

„κείνου νῆ᾽ ἐλάοντες ἐπὶ προχοὰς ποταμοῖοπύργους εἰσόψεσθε Κυταιέος Αἰήταο,ἄλσος τε σκιόειν Ἄρεος..“

„როცა ამ მდინარის შესართავთან მიაცურებთ ხომალდს, დაინახავთ კვიტაიელი აიეტის კოშკებს და არესის ჩრდილოვან ჭალაკს...“ (Ῥόδιος, 1986, pp. II, 402-404).

სხვა ავტორებთან კი აია ზოგან მდინარიდან 22 კილომეტრშია, ზოგან 33, 55 და ა. შ.

• ცალკე უნდა აღინიშნოს ის შემთხვევები, როდესაც ერთი და იმავე სახელწოდების ტომი სხვადასხვა ტერიტორიაზე მოსახლეობს ერთსა და იმავე პერიოდში, მაგალითად პროკოპი კესარიელი საგინების (სანიგების) ტომს შავიზღვისპირეთში ორ ადგილას ასახელებს, ერთს ტრაპეზუნტის სიახლოვეს, მეორეს კი – აბაზგებისკენ. ასევე ორივე ადგილას არის სებასტოპოლისი და პიტიუნტი (Καισαρεύς, 1914, p. 8.3.4).

• გასათვალისწინებელია ის შემთხვევები, როდესაც ტომის სახელდება იცვლება, მაგ. ანონიმი გვაცნობებს:

„Ἀπὸ οὖν Διοσκουρίδος τῆς [καὶ] Σεβαστουπόλεως ἕως Ἀψάρου ποταμοῦ πρώην ᾤκουν ἔθνος οἱ λεγόμενοι Κόλχοι οἱ μετονομασθέντες Λαζοί.“

„დიოსკურიიდან, ანუ სებასტოპოლისიდან მდინარე აფსაროსამდე ადრე სახლობდა ხალხი, რომელთაც კოლხები ეწოდებოდათ და რომელთაც ლაზებად გადაერქვათ სახელი“ (Ανωνύμου, 1883, p. 48.(7)).

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ესა თუ ის ტოპონიმი თუ ეთნონიმი ქართულ თარგმანებში ხშირად სხვადასხვა ფორმით არის წარმოდგენილი (ძიგები/ზიგები, ჰენიოხები/ჰენიოქები...). არ გვაქვს წყაროებში დასახელებული ტოპონიმებისა და ეთნონიმების სრულყოფილი ლინგვისტური თუ ეტიმოლოგიური ანალიზი. ვფიქრობთ, შესამუშავებელი და დასადგენია ენობრივი სანორმე რეკომენდაციები – ერთი და იმავე ტომისა თუ გეოგრაფიული პუნქტის, ანუ ერთი და იმავე ცნების აღმნიშვნელი ტერმინის პარალელური ვარიანტების თავმოყრა, სამეცნიერო ანალიზი და მათი შესაბამისი ერთი ქართული ტერმინის შემუშავება, რაც ასევე ჩვენ მიერ შემოთავაზებული კვლევის სიახლეს წარმოადგენს.

როგორც ვხედავთ, ბერძნულ-რომაულ წყაროთა მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია გარკვეულწილად აღვადგინოთ დღევანდელი *აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის* ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცე; ვაჩვენოთ, თუ როგორ იცვლებოდა ისტორიის განმავლობაში საზღვარი, რომელიც ანტიკურ წყაროებზე დაყრდნობით, ამავდროულად, ევროპისა და აზიის საზღვარს წარმოადგენს, თუმცა რამდენიმე ფაქტორი აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ:

• საუკუნეების განმავლობაში მოსახლეობამ შეიძლება ძველი ადგილ-საცხოვრისი შეიცვალოს და ტოპონიმი თან „წაიღოს“ ახალ ტერიტორიაზე. ამიტომ, არცთუ იშვიათად, ერთი და იგივე სატომო სახელი თუ გეოგრაფიული სახელწოდება განსხვავებულ ტერიტორიებზე გვხვდება.

• შეიძლება მოსახლეობა სხვა ენობრივ კოლექტივს შეერიოს. შედეგად, ძველი გეოგრაფიული ნომენკლატურის სანაცვლოდ იქმნება სახელწოდებათა ახალი ნარევი ფენა, რომლის შემადგენლობაშიც ხშირად გვხვდება ორენოვანი ტოპონიმები.

• ძველი ბერძნები ქართველურ სახელებს ან თარგმნიდნენ, ან კალკირებას ახდენდნენ, თუმცა ხშირად მათი ყურისათვის უცხო ტოპონიმს ჟღერადობით მსგავსი ბერძნულ სიტყვით ანაცვლებდნენ, ხოლო კალკირებისას, როგორც ჩანს, ბერძნული ფონეტიკის თავისებურების გამო, ხშირად ამახინჯებდნენ.

• როდესაც ამა თუ იმ გეოგრაფიული პუნქტის ლოკალიზაციაზე ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ სამი ათასწლეულის განმავლობაში მდინარეთა კალაპოტებიც შეიცვალა და ზღვის სანაპირო ზოლიც.

• გარდა ამისა, ჩვენამდე მოღწეული ზოგიერთი ანტიკური წყარო შეიძლება ზუსტ ინფორმაციას არც ფლობდეს ამა თუ იმ ტომზე თუ გეოგრაფიულ პუნქტზე. ამიტომ არ უნდა ველოდეთ, რომ ჩვენამდე ზუსტად იქნება მოღწეული მათი სახელები თუ კოორდინატები.

დასკვნები: ანტიკური წყაროების ამ მიმართულებით კვლევა საშუალებას მოგვცემს, თვალი მივადევნოთ ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიაზე ტომთა გადაადგილების დინამიკასა და მათ ურთიერთობას მეზობელ ტომებთან.

შედეგად, შეიქმნება ნაშრომი, სადაც არამხოლოდ თავმოყრილი იქნება ანტიკურ წყაროებში ნახსენები ტოპონიმები თუ ეთნონიმები, არამედ წარმოვადგენთ მათ ქრონოლოგიურსა თუ ონომასტიკურ ანალიზს; პროტოქართველურ ტომთა განსახლების არეალსა და მათი გადაადგილების დინამიკას; თითოეული ტოპონიმის სახელდების ისტორიას და ვაჩვენებთ, თუ როგორ იცვლებოდა საზღვრისპირა ტოპონიმია ამა თუ იმ დამპყრობლისა თუ მეზობლის ენობრივი გავლენის შედეგად.

ვფიქრობთ, კვლევის მოსალოდნელი შედეგები ღირებული იქნება აჭარის რეგიონში ბინადარი პროტოქართველური ტომების განსახლების არეალის, მიგრაციის, ყოფის, კულტურის რიგი დეტალების დასადგენად, მათი უფრო სრულყოფილად და თვალსაჩინოდ აღსაქმელად.

სამომავლოდ დაგეგმილი გვაქვს ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელება. შემდეგ ეტაპზე ივარაუდება აღნიშნული მეთოდიკით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებული ტოპონიმიის კვლევა, რაც დაგვეხმარება, უკეთ გავაანალიზოთ ქართველთა წინაპარი ტომების განსახლების არეალი და მათი გადაადგილების მარშრუტები.

References:

Mela, P. (1971). De Chorographia. (G. Ranstrand, Ed.) Goeteborg: Acta universitatis Gothoburgensis.

Ανωνύμου. (1883). Περίπλους Ευξείνου Πόντου. In M. K, Fragmenta Historicorum Graecorum (Vol. V, pp. 174 – 184). Paris: Didot.

Αρριανός, Φ. (2010). Περίπλους του Ευξείνου Πόντο. In K. Mueler, Geographi Graeci minores (Vol. I). Cambridge: Cambridge University Press.

Καισαρεύς, Π. (1914). Υπέρ των πολέμων λόγοι. (H. B. Dewing, Ed.) Toronto: University of Toronto Libraries.

Ῥόδιος, Ἀ. (1986). Αργοναυτικά. (H. Fraenkel, Ed.) Oxford: Clarendon Press.

Στράβων. (1877). Γεωγραφικά (Vols. I-III). (Meineke, Ed.) Leipzig: Typis B. G. Teubneri.

BLACK SEA COAST - THE SETTLEMENT AREA OF PROTO-GEORGIAN TRIBES

LELA CHOTALISHVILI
PhD in Philology,
European University; Lecturer in Classical Languages
At Language Centre of Ivane
Javakhishvili Tbilisi State University
E-Mail: lela.chotalishvili@tsu.ge
ORCID: 0009-0003-3205-6981

NARGIZ AKHVLEDIANI
PhD in Philology,
Principal/Senior researcher at Niko Berdzenishvili Institute
of BatumiShota Rustaveli State University,
E-Mail: nargiz.akhvlediani@bsu.edu.ge
ORCID: 0000-0002-3787-0195

NINO JORBENADZE
PhD in Philology,
Senior researcher at Arnold Chikobava Institute
of Linguistics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
E-Mail: ninoaka55@yahoo.com
ORCID: 0009-0005-7894-1438

Abstract: Ancient (Greco-Roman) texts and epigraphic materials represent an extremely important source for studying the history of ancient Colchis, Lazica, and Iberia, as the Caucasus region was first identified precisely in these Ancient sources.

We intend to reconstruct the historical-geographical space of the present-day Autonomous Republic of Adjara based on information provided by Greco-Roman sources. Our study will focus on the distribution and interrelation of parallel toponyms and ethnonyms, their identification, and onomastic analysis. Additionally, we aim to develop normative recommendations for certain toponyms, determine their Georgian equivalents, and explore the motivation behind the naming of geographical locations. Furthermore, we will illustrate how borders have changed over time, particularly the boundary that, according to Ancient sources, also represented the division between Europe and Asia. Regarding the chronological boundaries, the earliest period we consider is that of Homer's poems (*Iliad*, *Odyssey* – 1st millennium BC), while the later boundary is the Late Antique period, approximately the first half of the 6th century AD.

The innovative aspect of this research lies in the fact that the Adjara region has not previously been studied from this perspective as an independent subject. Based on the analysis of data from individual ancient authors, we also plan to create hypothetical reconstructions of conditional maps and supplement the collected information with corresponding cartographic materials.

The study and systematization of Adjara region toponyms in this form inherently suggest perspectives for further research and expansion of the study area. In the future, we intend to continue working in this direction and conduct research on toponymy across the entire territory of Georgia using the aforementioned methodology.

Keywords: Onomastics of the Adjara Region; Ancient sources; toponyms and ethnonyms; onomastic analysis.

* * *

Introduction: Border regions have always been subjects of special interest, as the movement of people and the alternation of toponyms and ethnonyms in these areas give rise to many pressing and controversial issues. In such cases, the study of onomastic material is of particular importance for better understanding historical events and ethnographic processes. Observing toponyms helps us determine how a specific region has changed over time and how various cultures and languages have influenced it, as toponyms are more stable than common nouns. They are passed down from generation to generation, often enduring for centuries, firmly preserving ancient lexical units, roots, semantics, notable linguistic phenomena, as well as substrate and borrowed elements. At the same time, they provide highly valuable (often invaluable) information about the history and culture of the ethnic groups inhabiting a given territory. Accordingly, the study of Ancient sources in this direction will allow us to trace the dynamics of tribal movements in the territory of our interest.

The Ancient sources and epigraphic material that have enriched our knowledge of Georgia's distant past have been well-studied, translated, and published by various scholars (A. Urushadze, *„Ancient Colchis in the legend of the Argonauts";* T. Kaukhchishvili, *„History of Georgia in Ancient Greek Sources";* T. Kaukhchishvili, *„Georgian Corpus of Greek Inscriptions",* Vols. I-III; *Caucasus antiquus: Encyclios disciplina,* Vol. 1-5; N. Piphia, E. Kobakhidze, T. Dundua, *„Greek-Latin Inscriptions of the Classical Period as a Source for the History of Georgia"* and others).

These texts have long been the subject of interest for Georgian scientists, philologists, historians, and archaeologists. However, it can be said that there is no comprehensive study where the toponyms and ethnonyms presented by ancient authors (both Greek – and Latin-speaking) are collected and analyzed from a chronological and onomastic perspective.

Methods: Each method is directly tailored to the research objectives, and as a result, guarantees the success of the scientific work:

The synchronous (descriptive) research method will help us identify the toponyms and ethnonyms of interest.

When processing the collected information, we will apply the method of critical analysis, which involves comparing different authors' variations of the same toponym or ethnonym and conducting a scientific analysis.

Additionally, the synthesis of sources and chronological-comparative analysis are crucial. These will allow us to determine the names of specific settlements across different historical periods, track the migration dynamics of the populations residing there, and observe the succession of ethnonyms in the same geographical area.

Regarding the linguistic analysis of terms and the establishment of norms, at this stage of the research, we will employ linguistic, componential, and etymological analysis methods.

Using extralinguistic methods, we will also determine the motivation behind the naming of specific geographical locations. We will attempt to reconstruct the history of each toponym's origin.

When creating maps, we will utilize the latest advancements in digital humanities, which have proven highly effective in recent years.

Discussion: For the study of the issue, it is particularly important to examine the distribution and interrelation of parallel toponyms and ethnonyms, as well as their identification. This is because, in Ancient sources, it is not uncommon for the same name of a tribe or settlement to be mentioned in different territories, either in the same or different periods (e.g., Sanigi, Trapezus, Sani, Heniokhi, Phasis, Zygi, Sebastopolis, Pityus, etc.). For example, Strabo states:

"...μετ□ δ□ τ□ν Σινδικ□ν κα□ τ□ν Γοργιπίαν □π□ τ□ θαλάττ□ □ τ□ν □χαι□ν κα□ Ζυγ□ν κα□ □νιό χων παραλία τ□ πλέον □λίμενος κα□ □ρεινή...ε□τα τ□ν Πιτυο□ντα τ□ν μέγαν τριακοσίων □ξήκοντα μ έχρι Διοσκουριάδος."

"…After Sindike and Gorgippia, along the coast, lies the land of the Achaeans, Zygoi, and Heniochi, mostly harborless and mountainous… then comes the great Pityus, three hundred and sixty stadia away from Dioscurias" (Στράβων, 1877, p. XI. 2. 12).

According to Pomponius Mela as well:

"in Heniochorum finibus Dioscorias a Castore et Polluce Pontum cum Iasone ingressis."

"In the land of the Heniochi, there is the city of Dioscurias, founded by Castor and Pollux, who came along with Jason" (Mela, 1971, p. 111).

On the contrary, according to Flavius Arrian:

"...τούτων δ□ □χονται Μάκρωνες κα□ □νίοχοι: βασιλε□ς δ□ α□τ□ν □γχίαλος. Μακρώνων δ□ κα□ □νιόχων □χόμενοι Ζυδρε□ται: Φαρασμάνου ο□τοι □πήκοοι."

"…Next to these (the Sanes) are the Macrones and the Heniochi, whose king is Anchialus. Adjacent to the Macrones and Heniochi are the Zydritae, who are subjects of Pharasmanes [Parsman the Lower]" (Αρριανός, 2010, p. 15. (11 H)).

It is noteworthy that Strabo mentions two rivers named Phasis. He also refers to the Chorokhi River as Phasis, meaning we have both the Rioni-Phasis and the Chorokhi-Phasis. The Chorokhi-Phasis originates in Armenia (Στράβων, 1877, p. XI. 2. 17), and its tributary is the Lycos River, which, in turn, separates from the Araxes. Further upstream, in the land of the Moschi, is the Temple of Leucothea. The Glaucus and Hippos rivers also originate from the mountains of Armenia. It takes four days by wagon to reach the Cyrus River, which Strabo identifies as the Mtkvari (Kura). The author also notes that Eratosthenes mistakenly referred to the Lycos as the Thermodon. Elsewhere, Strabo places the source of this river in the mountains above Iberia (Στράβων, 1877, p. XI. 3. 4).

Most scholars attribute such discrepancies to the author's carelessness. In their view, even a cursory glance reveals that the tribes and geographical data listed by ancient authors are often out of order, leading to inconsistencies. They place the same tribe or city in different locations without providing any explanation for this inconsistency.

In our opinion, however, such cases do not necessarily indicate the authors' negligence but rather stem from several factors:

- Primarily due to the migration of tribes. For example, according to Arrian:

"□π□ ο□ν Παλαι□ς □χαίας □ως τ□ς Παλαι□ς Λαζικ□ς κα□ □πέκεινα □ως □χαιο□ντος ποταμο□ πρώην □κουν □θνη ο□ λεγόμενοι □νίοχοι, Κοραξο□ κα□ Κωλικο□, Μελάγχλαινοι, Μαχέλωνες, Κόλχο ι κα□ Λαζο□, ν□ν δ□ ο□κο□σι Ζιχοί."

"From Old Achaea to Old Lazica, and beyond to the Achaeus River, there formerly lived the peoples called the Heniochi, Coraxi, Melanchlani, Machelones, Colchians, and Lazes; now the Zikhi live there**"** (Ανωνύμου, 1883, p. 59.(18)).

The Lazi, who appear in the southern regions from approximately the 1st century AD, are found in earlier sources farther north (just like the Heniokhi) (Καισαρεύς, 1914, p. 8.10.1)**.**

- At the same time, we must take into account that the authors rely on sources from different periods. For example, Claudius Ptolemy seems to have had an Ancient source at hand – his Heniochi are located in the northern part of the eastern coast of the Black Sea (and not in the south, as is the case in later sources). This is also indicated by the mention of the Zinkhi (Zigi) in Sarmatia, which changes from the time of Strabo. By Strabo's time, the Zigi were already on the coast of the Black Sea. It seems that they moved from North Caucasus to Transcaucasia, and sources from the period after Strabo mention them precisely in this territory.
- On the one hand, ancient authors describe the geographical space and the contemporary reality familiar to them. On the other hand, they rely on traditions from different periods. For example, according to Apollonius of Rhodes, the legendary Aia is located at the mouth of the Phasis River, right on the coast.

"κείνου ν□□ □λάοντες □π□ προχο□ς ποταμο□οπύργους ε□σόψεσθε Κυταιέος Α□ήταο,□λσος τε σκιόειν □ρεος..."

“ Driving his ship to the outflows of the river, you will see the towers of Aeëtes of Kutaia, and the shady grove of Ares...“ (□όδιος, 1986, pp. II, 402-404).

However, in the works of other authors, its location varies – some place it 22 kilometers from the river, others at 33, 55, and so on.

• A separate point should be made about cases where the same tribal name appears in different territories during the same period. For example, Procopius of Caesarea mentions the Sanni (Sanigs) tribe in two locations along the Black Sea coast – one near Trapezus and the other towards the Abasgi. Likewise, both regions have cities named Sebastopolis and Pityus (Καισαρεύς, 1914, p. 8.3.4).

• It is also important to consider cases where the name of a tribe changes over time. For example, an anonymous source informs us:

„□π□ ο□ν Διοσκουρίδος τ□ς [κα□] Σεβαστουπόλεως □ως □ψάρου ποταμο□ πρώην □κουν □θνο ς ο□ λεγόμενοι Κόλχοι ο□ μετονομασθέντες Λαζοί.“

“From Dioscurias, which is also Sebastopolis, to the river Apsarus, there once lived a people called the Colchians, who were later renamed the Lazi“ (Ανωνύμου, 1883, p. 48.(7)).

It should also be noted that the same toponyms and ethnonyms are often presented in different forms in the Georgian translations (e.g., Zikh/Zigi, Heniohhi/Henioqi…). We do not have a complete linguistic or etymological analysis of the toponyms and ethnonyms mentioned in the sources.

We believe that it is necessary to develop and establish linguistic standard recommendations – to collect, analyze scientifically, and create one unified Georgian term for the parallel variants of the same ethnic group or geographical location, which also represents the novelty of the research we propose.

As we can see, based on the information provided by Greco-Roman sources, we can partially reconstruct the historical-geographical space of the present-day Autonomous Republic of Adjara; demonstrate how the border, which, according to Ancient sources, simultaneously represents the boundary between Europe and Asia, changed over the course of history. However, several factors must necessarily be taken into account:

• Over the centuries, populations may have changed their settlement locations, and the toponym may have been „carried“ to a new area. Therefore, it is not uncommon for the same ethnonym or geographical name to be found in different regions.

• Populations may have merged with other linguistic groups. As a result, instead of the old geographical nomenclature, a new mixed layer of names emerges, often including bilingual toponyms.

• The ancient Greeks either translated or calqued Kartvelian names, but often replaced unfamiliar toponyms with phonetically similar Greek words. When calquing, due to the peculiarities of Greek phonetics, they often distorted the original names

• When discussing the localization of a particular geographical point, we must consider that over three millennia, riverbeds and coastal lines have also changed.

• Additionally, some surviving Ancient sources may not contain entirely accurate information about certain tribes or geographical locations. Therefore, we should not expect their names or coordinates to have been preserved with absolute precision.

Conclusions: We can track the dynamics of tribal movements in our area of interest and their interactions with nearby tribes by conducting research on ancient sources in this area. Therefore, in addition to compiling toponyms and ethnonyms mentioned in ancient sources, we will also present their chronological and onomastic analysis, the area where proto-Georgian tribes settled and their migration dynamics, the history of each toponym’s naming, and how border toponyms changed as a result of specific conquerors’ or neighbors’ linguistic influences.

We believe that the anticipated research results will be valuable for determining various details about the settlement area, migration, lifestyle, and culture of proto-Georgian tribes in the Adjara region, enabling a more complete and clear understanding of their history.

We plan to continue working in this direction in the future. The next stage envisions researching toponymy across the entire territory of Georgia using this methodology, which will help us better analyze

the settlement areas of ancestral Georgian tribes and their migration routes.

References

Mela, P. (1971). *De Chorographia.* (G. Ranstrand, Ed.) Goeteborg: Acta universitatis Gothoburgensis.

Ανωνύμου. (1883). Περίπλους Ευξείνου Πόντου. In M. K, *Fragmenta Historicorum Graecorum* (Vol. V, pp. 174 – 184). Paris: Didot.

Αρριανός, Φ. (2010). Περίπλους του Ευξείνου Πόντου. In K. Mueler, *Geographi Graeci minores* (Vol. I). Cambridge: Cambridge University Press.

Καισαρεύς, Π. (1914). *Υπέρ των πολέμων λόγοι.* (H. B. Dewing, Ed.) Toronto: University of Toronto Libraries.

□όδιος, □. (1986). *Αργοναυτικά.* (H. Fraenkel, Ed.) Oxford: Clarendon Press.

Στράβων. (1877). *Γεωγραφικά* (Vols. I-III). (Meineke, Ed.) Leipzig: Typis B. G. Teubneri.

ქართული და ემიგრანტული პრესა საქართველოს 1924 წლის აგვისტოს აჯანყების შედეგებზე

(სტატიები, წერილები და მოგონებები)

თინათინ ჯაბადარი
ისტორიის დოქტორი, უფროსი სპეციალისტი
საქართველოს ეროვნული არქივი
ელ-ფოსტა: tinikojabadari@gmail.com
ORCID: 0009-0007-1997-5683

აბსტრაქტი: 1921 წლის თებერვალში გასაბჭოებულმა რუსეთმა ძალის გამოყენებით მოახერხა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია. იმავე წლიდან დაიწყო ქართული ეროვნული მოძრაობა, რომლის მიზანი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა იყო. 1921 წლიდან დაწყებული ეროვნული მოძრაობა, 1924 წლის აგვისტოს აჯანყებით დასრულდა. აჯანყებამ საქართველოს ვერ მოუტანა გამარჯვება, დამარცხდა, რუსეთის ჯარმა სძლია ერთსულოვნებით ამოძრავებულ ქართველებს, მტერმა მოახერხა ქართველი ერის საუკეთესო შვილების სანიმუშოდ დასჯა, საქართველოს ყველა კუთხეში ცდილობდა ტერორით გაეტეხა ქართველი ხალხის სულიერება.

1924 წლის აჯანყების წარუმატებლობამ და მისმა შედეგებმა აღაშფოთა ევროპა, თუმცა საქართველოსთვის დახმარების ხელი არავის გამოუწვდია.

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მიმოფანტულმა ქართველების ნაწილმა საქართველოს ეს მძიმე მდგომარეობა და იმ წლების შეფასება თავის მოგონებებში, წერილებში გადმოგვცა. ამ მოვლენებზე მრავალი წიგნი დაიწერა, თუმცა სტატიაში გამოყენებულია მხოლოდ საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული ქართველ ემიგრანტთა ფონდებში დაცული დოკუმენტები, ქართული ოფიციალური პრესისა და ემიგრანტული პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული ინფორმაციაა. აჯანყების საკითხი ყოველთვის აქტუალური იყო, წლების განმავლობაში ხდებოდა და დღესაც ხდება მისი შეფასება.

1924 წელს აგვისტოს აჯანყებიდან ერთი საუკუნე შესრულდა. ამიტომ ჩავთვალე საჭიროდ, რომ ამ ჩანაწერებით თქვენამდე მომეტანა საქართველოს ისტორიიდან მშფოთვარე წლების ისტორია. თემის ქრონოლოგიური ჩარჩოები 1921-1925 წლები.

საკვანძო სიტყვები: აგვისტოს აჯანყება, რეპრესიები, ქართული პრესა, ემიგრანტული პრესა, დამოუკიდებლობის დღე.

* * *

სტატიის შესავალი: 1921 წლის თებერვალში რუსეთმა სამხედრო ძალის გამოყენებით მოახერხა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია. იმავე წლიდან დაწყებული ეროვნული მოძრაობა, რომლის მიზანი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა იყო, 1924 წლის აგვისტოს აჯანყებით დასრულდა. აჯანყებამ საქართველოს ვერ მოუტანა გამარჯვება, დამარცხდა, რუსეთის ჯარმა სძლია ერთსულოვნებით ამოძრავებულ ქართველებს, მტერმა მოახერხა ქართველი ერის საუკეთესო შვილების სანიმუშოდ დასჯა – საქართველოს ყველა კუთხეში ცდილობდა ტერორით გაეტეხა ქართველი ხალხის სულიერება, დიდმა ნაწილმა დატოვა სამშობლო და ევროპაში დაიდო ბინა.

1924 წლის აჯანყების წარუმატებლობამ და მისმა შედეგებმა აღაშფოთა ევროპა, თუმცა საქართველოს დახმარება ვერ შეძლო. ოკუპაციის შემდეგ, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მიმოფანტულმა ქართველების ნაწილმა სამშობლოს მძიმე მდგომარეობა თავის მოგონებებში, ერთმანეთში მიწერ-მოწერით გადმოგვცა. მათ ჩანაწერებში მოხდა მიმდინარე მოვლენების შეფასებაც. ისინი

განიხილავდნენ როგორც რუსული ოკუპაციის შედეგებს, ასევე საკუთარ შეცდომებს. აღნიშნულ მოვლენებს აშუქებდა როგორც ემიგრანტული, ასევე ადგილობრივი პრესა. დაპირისპირებულ მხარეთა შეფასება აბსოლუტურად განსხვავებული იყო. აჯანყების საკითხი ყოველთვის აქტუალური იყო, წლების განმავლობაში და დღესაც მიმდინარეობს მისი შეფასება, როგორც ჩვენი, ისე უცხოელი ისტორიკოსების მიერ. ამ დიდი მოვლენიდან საუკუნის გასვლის შემდეგ საჭიროდ ჩავთვალე, რომ ამ თემით თქვენამდე მომეტანა საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფონდებში არსებული მასალის ნაწილი წერილებისა და მოგონებების სახით, ემიგრაციაში მყოფი ჩვენი თანამემამულეების მიერ პერიოდული გამოცემების და ოციანი წლების ქართული პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალის ნაწილი, რომელიც ზემოთ აღნიშნულ აჯანყების, საქართველოსა და ქართველთა რეპრესიებს ეხება, თუმცა აქვე აღნიშნავ, რომ თემაში გამოყენებული მასალით შეუძლებელი მისი სრული სახით წარმოდგენა.

მეთოდები: თემა ეფუძნება საქართველოს საისტორიო ცენტრალურ არქივში დაცულ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფონდებში, გასული საუკუნის ოციან წლებში პარიზში გამომავალ ქართული ჟურნალ „სამშობლოს“ და საქართველოს სსრ-ს ოფიციალურ პრესის ფურცლებზე დაცულ ინფორმაციას.

მსჯელობა: *საქართველოს ემიგრანტთა ფონდებში დაცულია მიმოწერები, ჩანაწერები, რომლებიც როგორც ფანქრით, ასევე მელნით არის შესრულებული, დოკუმენტები ნაწილობრივ დაზიანებულია, გაცრეცილია და ტექსტი არ იკითხება. ისინი მოგვითხრობენ 1921-1924 წლების საქართველოს მაზრებში არსებულ მდგომარეობაზე, წერილის ადრესატები და ავტორთა სახელები გასაიდუმლოებულია. მაგალითისთვის: „ძვირფასო* ***ჰანიბალ****.... თანახმად თქვენი და* ***თადეოზის*** *შეხედულებისა, ჩვენ არა ერთხელ დაუყენეთ ციხის ამხანაგებს გაქცევის კითხვა, მაგრამ ისინი ამ ვაჭრობის წინააღმდეგნი არიან, გარდა ჩვენი* ***ზაქარიასი****.... მისი წერილები საჭიროა. გნახეთ ყველა გამარჯვებით, თქვენი* ***მურალხანი*** *(სცა, ფ.1861, ა 3, ს. N 132, გვ. 59.).*

გასაბჭოების შემდეგ წლებში საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, 26 მაისს ქართველი ხალხი კვლავ „ზეიმობდა“. მალულად ქვეყნდებოდა ხალხისათვის დაწერილი მოწოდებები: საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციისაგან, თბილისში არსებული სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ფრაქციისაგან და რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს საქართველოში მცხოვრები რუსული კომიტეტისაგან, ისინი მოუწოდებდნენ საქართველოს მოსახლეობას მათ წინააღმდეგ, ვინც ფეხით გათელა საქართველოს თავისუფლება:

„ხალხო, ყველამ იარეთ საქართველოს გათავისუფლების დროშის ქვეშ და საქვეყნოდ ყველას გასაგონად განაცხადეთ:

„გაუმარჯოს დამოუკიდებელ, დემოკრატიულ საქართველოს...

გაუმარჯოს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს – 26 მაისს...

გაუმარჯოს ხალხთა ძმობას, ბოლშევიკური უღლისგან გათავისუფლებულ საქართველოში...

ძირს ბოლშევიკური ოკუპაცია...

ძირს ძალაუფლება, რომელიც მხოლოდ მოტყუებულ და დამონებულ ჯარისკაცთა ხიშტებს ეყრდნობა...“ (ფ.1861, ა.1, ს.132, გვ. 37.)

26 მაისის მოლოდინში მთავრობამ მთელი საქართველოს მასშტაბით, განსაკუთრებით კი თბილისში გააძლიერა რეპრესიები. 17 მაისამდე დედაქალაქში უკვე დაპატიმრებული იყო სამასზე მეტი ქართველი ოფიცერი, მილიციის ხელმძღვანელები, რკინიგზის, ტრამვაის სახელოსნოების მოწინავე მუშები და „ჩეკას“ სარდაფებში გამოამწყვდიეს. ერთად მუშაობდა „ზაკჩეკა“, „გრუზჩეკა“, „რუსჩეკა“.

1922 წლის 23 მაისს გააუქმეს საქართველოს დამოუკიდებლობის დღის – 26 მაისის უქმე დღე და მის ნაცვლად 25 თებერვალი შემოიღეს „ამით საყოველთაოდ ვაცხადებთ, თანახმად აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებისა, რომ საქართველოს ნამდვილი დამოუკიდებლობის დღე არის 25 თებერვალი და არა 26 მაისი, ... დღე, როდესაც გათავისუფლდა საქართველო“. ხელს აწერდნენ აღმასკომის თავმჯდომარე: ფ. მახარაძე და მდივანი თ. კალანდაძე (ფ.1861, ა.1, ს.132, ფ. 23).

კახეთში, სიღნაღის მაზრაში 24, 25, 26 მაისს გაიმართა კრებები, მიტინგები ხალხმა ყველგან რუსული მმართველობის საწინააღმდეგო დადგენილებები მიიღო, ხელი მოაწერა ხუთასმა წერა კითხვის მცოდნე ადამიანმა, ყველამ ერთად დადეს ფიცი იბრძოლებდნენ საქართველოს თავისუფლებისათვის სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. მსგავსი სიტუაცია იყო სხვა მაზრებშიც.

ამ ამბებს ევროპაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები ეხმაურებოდნენ. პარიზში გამომავალი ქართული ჟურნალი „სამშობლოსათვის“ მოწინავე სტატიაში, რომელიც თვით ქაქუცა ჩოლოყაშვილს ეკუთვნის, მილოცვასთან ერთად წარსულში დაშვებულ შეცდომებზე და თავისუფლების მოპოვებისთვის მებრძოლ ქართველ რაინდებზე საუბრობდა. აღნიშნავდა: „სინამდვილემ გაბედული ნაციონალისტის ოცნებასაც კი გაუსწრო... გარემოება, რომელშიც მოხვდა საქართველო დამოუკიდებლობის აღდგენა, სწორედ ნატვრის განხორციელება იყო; დარღვეული რუსეთი სამოქალაქო ომში იყო გახვეული, ცა და ქვეყანა მას ჰყავდა გადაკიდებული და სხვისთვის არ ეცალა... საქართველო ისე იყო გაერთიანებული, როგორც თამარ მეფის დროს... უკეთესი პირობები არც სჭირდებოდა ახლადშობილ დამოუკიდებლობის თვით განმტკიცებას... მაგრამ ეს პირობები ვერ იქმნა გამოყენებული, იმ იშვიათ გარემოში ჩადგმულ დამოუკიდებლობის მომხიბვლელ ჭურჭელს შინაარსი არ ჰქონდა, სული აკლდა, ვერ ვიგრძენით, თუ ეს განძი მოგვეძღვნა, თუ რა დიდი ბედი გვეწვია. იქვე იხსენებს 1923 წლის 19 მაისს დახვრეტილ პატრიოტებს... სტატია იმედიანად მთავრდება: 19 მაისის აღნიშვნა არ შეიძლება არც განცდებით და არც სიტყვებით, არამედ მხოლოდ საქმით „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენით, ამისთვის იბრძოდნენ და გაიწირნენ, ამისთვის ვიბრძოლებთ და გავიწირებით“. (ჟურ. „სამშობლოსათვის[1]“, 1925, N 2).[1]

ხალხის დაჭერა და დახვრეტები მასიურ ხასიათს ღებულობდა საქართველოს ყველა მაზრაში. გურიის ამბებს გვაგებინებს „პავლე“ „არჩილთან“ მიმოწერაში: „გურიას ანადგურებენ, ამ რამდენიმე დღის წინათ ოზურგეთის ცენტრში, ხალხის თვალწინ 12 ადამიანი დახვრიტეს, სამი დღე და ღამე ქუჩაში ეყარნენ... დახვრეტილთა სიებს აღარ აქვეყნებენ, ღამღამობით ოჯახებიდან გამოყავთ და ხვრეტენ. ახალგაზრდებმა თავი ტყეებს შეაფარეს, სამაგიეროდ, მათ მშობლებს, ღრმად მოხუცებს ყრიან ციხეებში, გაქცეულთა სახლებს ანგრევენ და მასალა ოზურგეთში მიაქვთ... გურიის ბედშია მთელი საქართველო, ...როგორც ირკვევა კომინტერნის თავმჯდომარე ზინოვიევს, როცა ის თბილისში იმყოფებოდა დაუბარებია „ოკასთვის“ – ამიერკავკასიის გაერთიანებული არმიისთვის, რომ ორი თვის განმავლობაში საქართველოში აღმოფხვრილი უნდა ყოფილიყო ყველაფერი, ისე, რომ ოპოზიციის ნიშანწყალიც არ დარჩენილიყო. ეს კი მთელი საქართველოს ხალხის მოსპობას ნიშნავდა (ფ. 1861, ა.3, ს. 127, ფ. 57).

1925 წელს ჟურნალი „სამშობლოსათვის“ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის სასამართლო პროცესის დასრულებაზე იტყობინებოდა.

საქმის გარჩევა დაიწყო 15 ივლისს 12 საათზე და 5 წუთზე. სასამართლოს თავმჯდომარე იყო გ. ვაშაძე, წევრები: ი. სტურუა და ცინცაძე. პასუხისგებაში მიცემული იყო 47 კაცი:

მენშევიკები: ანდრონიკაშვილი, ონიაშვილი, ჯინორია, ცინცაბაძე, ქარცივაძე, ბელთაძე, ანჯაფარიძე, მამალაძე, შენგელია, კალანდარიშვილი, ფანოზიშვილი, ბილანიშვილი, კახიანი, იოსელიანი, ლაშხია, ლატარია, ძაძამია, ფიჩხაია, ფანცულაია ხურციძე და ესვანჯია; – სულ 21 კაცი;

ეროვნულ-დემოკრატები: ჯავახიშვილი, იშხნელი, ხოფერია, კალანდარიშვილი, პირველი, თვალაძე, ნაცვლიშვილი, ავალიშვილი, ბერიძე;

ესერები: ბოჭორიშვილი, ლორთქიფანიძე, კვირიკაძე.

მოწმედ მოწვეული იყო 57 კაცი;

ბრალად ედებოდათ საქართველოს შეიარაღებული აჯანყების მოწყობა საბჭოთა მთავრობის დამხობის მიზნით, უცხო სახელმწიფოებთან კავშირი ინტერვენციის მიზნით, ტერორისტული აქტების მოწყობა და ჯაშუშობა.

პროცესმა 18 დღეს გასტანა. სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს ანდრონიკაშვილს, ჯავახიშვილს, იშხნელს და ჯინორიას, თუმცა განსაკუთრებულ მოსაზრებათა გამო 10 წლით თავისუფლების აღკვე-

[1] ჟურნალი „სამშობლოსათვის“ გამოდიოდა პარიზში 1925 წელს. გამომცემელი: ფელიქს, კალდენბახი; რედაქტორი: სპირიდონ კედია;

თით შეუცვალეს, მათ ვისაც თავისუფლების აღკვეთა სამი წლით მიესაჯათ, სრულად გათავისუფლდნენ, რადგან ციხეში გატარებული დრო სასჯელში ჩაეთვალათ. („სამშობლოსათვის, 1925, N 6“).

აჯანყება დამარცხდა, მაგრამ სოციალ-დემოკრატები არ აპირებდნენ გაჩერებას, ისინი ცდილობენ საქართველოში დარჩენილ მოსახლეობასთან კავშირის დამყარებას და მათი დახმარებით ბოლშევიკური მთავრობის გადაყენებას. ვარშავის ცენტრის სამხედრო ხელმძღვანელი ყაზბეგი წერილით ატყობინებდა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ყოფილ პრეზიდენტს ნოე ჟორდანიას: „...გაცნობებთ, რომ პროლეტარულ მუშაკთა საკმაო რაოდენობა უკვე გამონახულია... ბოლშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ მენშევიკების კოლექტიური პროტესტს ხელს აწერს 261 კაცი. დაპირებას იძლევიან მოაწყონ შეიარაღებული აჯანყება ბოლშევიზმის წინააღმდეგ („კომუნისტი, 1924წ. N 225).

საშინელ მდგომარეობაში იყო ქართული მართლმადიდებლური ეკლესია. ამ მხრივ საინტერესოა ისევ არჩილის და პავლეს მიმოწერა: „ეკლესიის ჩამორთმევა ხალხის ყურადღების მთავარ ცენტრად იქცა, დღეს იღებენ გუმბათიდან ლითონის ჯვრებს, მორწმუნე ხალხი აღშფოთებულია, მთელი მოსახლეობა ქუჩაში გამოვიდა, მაგრამ ამას მიეცა მეორე ჩვენთვის საყურადღებო და საშიში სახე, ერთმანეთს დაუპირისპირდა სხვადასხვა სარწმუნოების ხალხი, ამას განსაკუთრებული გამოძახილი ჰქონდა აჭარაში. განსხვავებული სარწმუნოების ხალხი ამ ამბებმა დააფრთხო. ისინი ფიქრობენ, რომ ეს ქრისტიანების მხრიდან პირველი ნაბიჯია, შემდეგ მეჩეთებსაც წაგვართმევენო. ამიტომ აჭარის გავლენიან ხალხში სერიოზულად დამდგარა საკითხი „მუჰაჯირობისა“ – ოსმალეთში გადასახლებისა, მხოლოდ ახლა დროს უცდიან, ზოგი დარწმუნებულია იმაში, რომ ომი დაიწყება და მაშინ მიეცემათ საშუალება, ზოგი კი ახლავე ფიქრობს წასვლაზე. სამწუხარო ისაა, რომ ამ ამბებს ყველა აბრალებს ქართველებს, ამ რიგად თუ რამე ზომები არ მივიღეთ, აჭარა ზურგს გვაქცევს. ჩვენ გვინდა ავუხსნათ, ნამდვილი ვითარება, მაგრამ უშველის კი ეს განმარტება, როცა ფანატიზმს ასეთი დიდი ნიადაგი შეექმნა, არა თუ მუსულმანებში, არამედ ქრისტიანებში.

ბათუმში დახურეს სამხედრო „სობორი“, ამის გამო თეატრში მოიწვიეს საზოგადო კრება, დიდი ამბები დატრიალებულა, გამწარებული რუსის ქალები კომუნისტების წინააღმდეგ გამოსულან, დაგვაქციეთ და ახლა სალოცავებსაც გვართმევთო, რატომ სინაგოგა არ ჩამოართვით, აჭარაში მეჩეთების სასარგებლოდ რამდენი ათასი ლირა გაეცითო? რა დაგიშავეთ მართლმადიდებლებმაო“ (ფ. 1861, ა.3, ს. 127, ფ. 47).

ყველა ტაძარი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე იყო თავისი საეზოვო შენობებით გადაეცემოდა საქართველოს კომუნისტურ ახალგაზრდულ კავშირს საკულტო – საგანმანათლებლო მუშაობისათვის (ფ.1861, ა.1, ს.123).

ქართველი ხალხი, როგორც ადგილობრივი მაცხოვრებლები, ისე ემიგრანტები-ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის დახმარებით, მიმართავენ ამერიკის შეერთებული შტატების მუშათა ორგანიზაციის მეთაურს – სამუელ გომპერს და ევროპის ქვეყნების მუშათა ორგანიზაციებს, ჰამბურგში გაერთიანებულ საერთაშორისო მუშათა კონგრესის მომწვევ კომიტეტს. მაგრამ დახმარება არსად არ ჩანდა და შეუძლებელიც იყო, რადგან ქვეყნის სათავეში მყოფი ბოლშევიკური პარტია აცხადებდა, რომ ქვეყანაში სიმშვიდე სუფევდა. იყო მანუგეშებელი წერილებიც, ბერლინ-შარლოტენბურგიდან მოხუცი კარლ კაუცკი წერდა: „მე ბევრი წლები აღარ დამრჩენია სასიცოცხლოდ, მაგრამ მიუხედავად ამისა ვიმედოვნებ, კიდევ განვიცადო ის სასიხარულო წუთები, როცა გავიგებ, რომ საქართველოს სოციალ. დემოკრატიული რესპუბლიკა კვლავ გათავისუფლდა მის შემვიწროვებელთაგან...“ (ფ. 1861, ა.3, ს. N 127, ფ. 81).

აჯანყებამ დამარცხება განიცადა, იყო რეპრესიები და იყო დიდი მსხვერპლი, რომელმაც გაანადგურა ქართველი მოწინავე საზოგადოება. რა თქმა უნდა მას ჰქონდა დამარცხების გარკვეული მიზეზები. 1924 წლის აჯანყების დამარცხების მიზეზებზე პარიზში პარტიული ორგანიზაციის კრებაზე, ვრცელი მოხსენებით გამოვიდა დამოუკიდებელი საქართველოს დამფუძნებელი კრების ყოფილი თავმჯდომარე კარლო ჩხეიძე: „ქართველ ხალხს თავისუფლებისათვის ბევრი უბრძოლია, თავისუფლებისათვის ბევრი მსხვერპლიც შეუწირავს.. დიდი საქმე უმსხვერპლოდ არასოდეს არ კეთდება ამაზე არ დაობენ... ამბობენ დამარცხებაზე ლაპარაკი უკვე გვიანიაო, მაგრამ აჯანყებამ ერთი

დიდი პლიუსი მოგვცა, ჩვენი საკითხი სამუდამოდ საერთაშორისო საკითხად იქცა... ასევე მოსკოვმაც ცხადად დაინახა, თუ რამდენად ძლიერია ქართველი ხალხის ლტოლვა თავისუფლებისადმი, მისი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, ...გარდა ამ დიადი მიზნისა სხვა ხელის შემწყობი მიზეზი ამ აჯანყებას არ ჰქონია, გარედან ამის გარანტიას არავინ მოგვცემდა, მაგრამ თითქმის სახეზე იყო დამარცხების გარანტია"... მისი აზრით დამარცხების უმთავრესი მიზეზი ბრძოლის მეთოდში, ტაქტიკაში იყო... „ჩახმახმა თითქმის უჩვენოდ დაჰკრა და თოფიც თავისით გავარდა... აჯანყებამ და შედეგმა, რომელიც მას მოჰყვა კიდევ უფრო მწვავედ დასვა საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი და სწორედ ეს სიმწვავე გვავალებს ჩვენ მომავალ ბრძოლაში დავიკავოთ სწორი ანგარიში, ეს ანგარიში ჩვენმა პარტიამ უნდა მიაწვდინოს ხალხს... საქართველოს აჯანყებამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა ევროპაში, თუმცა მორალური გვერდში დგომის გარდა სხვა დახმარება არავის აღუთქვამს, მათ ამის პირობა საქართველოსთვის არც მიუციათ. მიუხედავად შეცდომებისა, საქართველოს 1924 წლის აგვისტოს აჯანყება დარჩება უბრწყინვალეს ეპიზოდად ქართველი ხალხის ცხოვრებაში, დარჩება ულევი უკვდავების წყაროდ... (ფ.2115, ა. 1, ს. 69).

საქართველოში არსებული აჯანყების შემდგომ პერიოდს აფასებდა სპირიდონ კეიდია, 1925 წლის ივლისის გაზეთი „სამშობლოში" გამოქვეყნებულ სტატიაში ...ქართველი ხალხი რუსეთის საოკუპაციო ხელისუფლების წინააღმდეგ აქტიურ მოქმედების გზას 1921 წლიდანვე დაადგა. იხსენებს სვანეთის აჯანყებას, გასაკუთრებულ მაღალ შეფასებას აძლევს 1922 წლის დუშეთის აჯანყებას. რომელსაც სათავეში ედგნენ ბიძინა ჩოლოყაშვილი, კოტე ჩოლოყაშვილი, სუსლიკ ანდრონიკაშვილი, შაქრო და დათა ვაჩნაძეები. მათმა გამოსვლებმა მთავრობის შეიარაღებულ ძალებს სერიოზული ზარალი მიაყენეს. აჯანყება მეტად ხელსაყრელ პირობებში მოხდა: ეს იყო სპონტანური აჯანყება ჯერ კიდევ გაუმყარებელ საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ, პოლიტიკური პარტიები ჯერ კიდევ სრულიად ხელუხლებელნი იყვნენ... პოლიტიკურ პარტიებს ჩოლოყაშვილის წინააღმდეგ ინტრიგები რომ არ მოეწყოთ და ხელი არ შეეშალათ მათთვის, აჯანყებას გამარჯვების უფრო დიდი შანსი ჰქონდა ვიდრე 1924 წლის აჯანყებას.

იმავე სტატიაში ავტორი ეხება 1921 წლის თებერვლიდან საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შესული საქართველოს განვითარებას კავშირში გაერთიანებულ რესპუბლიკებს შორის. 1925 წლისათვის ქვეყნის საბიუჯეტო გასავალი 14.247.217 ოქროს მანეთით შეფასდა, შემოსავალი კი 13,5 მილიონი მანეთი იყო. მიუხედავად იმისა, რომ შემოსავლისა და გასავალს შორის ძალიან დიდი სხვაობა არ იყო, სტატიაში სპ. კეიდია, კითხვას სვამს: საინტერესოა ვინ ვის კვებავდა საქართველო რუსეთს თუ რუსეთი საქართველოს. მოსკოვს მიჰქონდა: საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფის, რკინიგზის საკრედიტო ოპერაციების, ნავთობსადენი მილების, შავი ქვის შემოსავალი და როგორც ავტორი აღნიშნავს რუსეთის ეროვნული პოლიტიკის გამო საქართველოს საბაჟოები წელიწადში 4,5 მილიონ მანეთ შემოსავალს კარგავდა („სამშობლოსათვის". 1925, N3).

საქართველოში ხშირად ჩამოდიოდნენ სხვადასხვა ქვეყნის მუშათა დელეგაციები, 1925 წლის 15 ივნისს რუსეთიდან ინგლისის მუშა-ქალთა ოთხი წევრისაგან შემდგარი დელეგაცია ჩამოვიდა. მათ მოინახულეს თუთუნის ქარხანა, ეწვივნენ სახელმწიფო უნივერსიტეტს, სადაც დელეგაციას უმასპინძლა, უნივერსიტეტის რექტორმა ივანე ჯავახიშვილმა, პროფესორმა პეტრე მელიქიშვილმა და პროფ კ. კეკელიძემ. როცა დელეგატებს უამბეს, რომ უნივერსიტეტის სტუდენტთა 80% მუშათა და გლეხთა შვილები იყვნენ და ისინი თითქმის უფასოდ სწავლობენო, ერთ დელეგატს უხუმრია, აქ სწავლის გასაგრძელებლად ისეთი პირობები ყოფილა, შეგვიძლია ჩვენც აქ დავრჩეთ სწავლის მისაღებადო... მათ დაათვალიერეს კოჯორში მუშათა სახლები, თბილისის სხვადასხვა უბნები. სამხედრო გზით ისევ მოსკოვში დაბრუნდნენ.

29 ივლისს საქართველოს ეწვივნენ ბელგია-საფრანგეთის პროფესიულ კავშირის დელეგაცია, ორ დღეში დაათვალიერეს საქართველოს მუშათა კლუბები, ქარხნები და ფაბრიკები, 1 ივლისის თბილისიდან ბაქოში.

იყო 1921 წლის თებერვალი, რომელმაც უამრავი სიახლე შემოიტანა ქართველი ხალხის, საქართველოს ცხოვრებაში. საქართველოს მოსახლეობა ფიზიკურად ფაქტიურად ორ ნაწილად გაიყო: მცირე ნაწილი, რომელიც საქართველოში შემოსულ რუსულ აგრესიას გაეცალა და უცხოეთში გა-

დაიხვეწა და დიდი ნაწილი, რომელიც ადგილზე დარჩა და თავის თავზე აიღო ამ ქვეყნაში დატრიალებული ჭირიც და ლხინიც. ქართველების დიდი ნაწილი შუაგულ ევროპაში დასახლდა და იქ გააგრძელა ცხოვრება, მათი დიდი ნაწილი საფრანგეთში იყო. როგორც საფრანგეთში ისე ევროპის სხვა ქვეყნებში შეიქმნა ქართველთა კავშირები, ასოციაციები, საზოგადოებები, რომლებიც საქართველოს პოპულარიზაციასა და მომავალზე ზრუნავდნენ – საფრანგეთის ქართული ასოციაცია, ქართველ სტუდენტთა კავშირი, ჟენევაში „საერთაშორისო ასოციაცია საქართველოსათვის", „ნიუ-იორკის საქართველოსა და ამიერკავკასიის მეგობართა საზოგადოება", „ქართველთა სამხედრო კავშირი", „ქართველ პატრიოტ ქალთა საზოგადოება".

ევროპასა და ამერიკაში არსებული საზოგადოებებს თავისი წვლილი შეჰქონდათ საქართველოს ეროვნული დღესასწაულის აღნიშვნაში, გარდა ასეთი მშრალი საღამოებისა შუაგულ ევროპაში იმართებოდა ქართველი კომპოზიტორისა და პიანისტის ერეკლე ჯაბადარის და ქართველი პიანისტის ირაკლი ორბელიანის კონცერტები.

„საქართველო საზღვარგარეთ" ასეთი რუბრიკით აწვდიდა ინფორმაციის მკითხველს ჟურნალ „სამშობლოსათვის", 1925 წლის 26 მაისის რუბრიკაში ვკითხულობთ: საფრანგეთის ქართული ასოციაცია, საღამოს ცხრა საათზე აღნიშნავდა ეროვნულ დღესასწაულს, რომელის ქართული ჰიმნით იხსნებოდა, მისასალმებელი სიტყვით გამოსულთა შემდეგ (სიტყვით გამოდიოდნენ აკ. ჩხენკელი და სპ. კეიდია), ტარდებოდა ქართული „ხოროს" კონცერტი... ჟურნალი იძლეოდა ინფორმაციას ევროპაში ქართველთა გმირობის აღსანიშნავად გამართულ საზეიმო შეკრებებსა და კონცერტებზე („სამშობლოსათვის", 1925. N2)

ქართული გაზეთები, კერძოდ „კომუნისტი" უპასუხოდ არ ტოვებდა მენშევიკების წერილებს... ეს იყო საქართველოში მომხდარი ამბების დამახინჯების და სიცრუის წყარო, ეს ძირითადად მოდიოდა საფრანგეთში მყოფი მენშევიკების მხრიდან, რომლებიც საქართველოდან მისულ ტყუილებს ავრცელებდნენ, სენსაციებით მოწყურებულ და ჩვენდამი მტრულად განწყობილ გაზეთებში. ხოლო ამ ჭორების უმთავრესი „რედაქტორი" იყო პირადად ნოე ჟორდანია. აქ ავტორი ყურადღებას ამახვილებს გაზ. „კოტიდენში" დაბეჭდილ სტატიაზე „ბოლშევიკებმა მიიღეს დახმარება ზღვით და გადმოსხეს ჯარები ბათუმში. სისხლისმღვრელ რეპრესიებს მიმართავენ მცხოვრებლების წინააღმდეგ: კლავენ მოხუცებს, ქალებს, ბავშვებს. მოკლული ადამიანებით მოფენილია რკინიგზის ხაზი. სახლებს წვავენ, ბათუმის მიდამოებში მდებარე სოფლები გახვეულია ცეცხლის ალში, ბათუმის მთელი მოსახლეობა რომელსაც შეუძლია იარაღის ტარება, ბრძოლაშია ჩაფლული. ჟორდანია მიმართავდა გაზეთის რედაქტორს: ჩაერიოს ამ საქმეში და შეაჩეროს ბოლშევიკების სისხლისღვრა. ავტორი აღნიშნავს, რომ მთავრობა ხალხს აცნობს ერთ დეპეშას, რომელიც გამოაქვეყნა დემონსოს ადგილობრივი მთავრობის კომისიამ , გაზეთი „მატენი" იტყობინება, რომ კომისია მზად არის იურიდიულად აღიაროს საბჭოთა მთავრობა. მეტიც, სრულიად საფრანგეთის ოფიციალური პრესის ფურცლებიდან საქართველოს შესახებ ინფორმაცია ქრება... „ბურჟუაზიული პრესა თვით გაზეთი „ფორვერტსიცი" უარს ამბობენ ბეჭდონ დაწვრილებითი სამხედრო ანგარიშები-ინფორმაცია მენშევიკების ავანტიურის შესახებ". (გაზ. „კომუნისტი", 1924 წ. N 231). რაც მეტი დრო გადიოდა, სულ უფრო იკარგებოდა იმედი საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენისა.

***დასკვნა**: მიუხედავად ასეთი უიმედო დამოკიდებულებისა მენშევიკების გადაწყვეტილება უცვლელი იყო. რაც ძალიან კარგად გამოხატა თავის სიტყვებში კარლო ჩხეიძემ: „ჩვენ არასოდეს შევალთ კავშირში ბოლშევიკურ რუსეთთან"... (ფ. 2115, ა.1, ს. 69,).*

1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ ქართული ოფიციალური პრესა უკვე თამამად აცხადებდა თავის საბოლოო გამარჯვებას: „მენშევიკურ-თავადაზნაურული ბანდიტიზმი დამარცხებულია, ბანდიტთა ხროვა განადგურებული. მშრომელთა დიქტატურის მძიმე ხელი გასრესს დანარჩენებსაც, ვინც ხმალი იშიშვლა მის შესამუსრავად. ფიზიკური გაჟლეტა და დასამარება – აი პასუხი მშრომელთა დიქტატურის, აი რას ვპირდებით ჩვენს ხალხის მტრებსა და მოღალატეებს! გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურა! გაუმარჯოს კომუნიზმს!" („კომუნისტი" 1924 წ. N 201). მიუხედავად შეცდომებისა, საქართველოს 1924 წლის აგვისტოს აჯანყება დარჩება უბრწყინვალეს ეპიზოდად ქართველი ხალხის ცხოვრებაში, დარჩება ულევი უკვდავების წყაროდ.

გამოყენებული წყაროები:

1. გაზეთი „კომუნისტი“ – საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტ. აღმასკომის ორგანო, თბილისი. 1924 წლის NN 201, 225, 231;
2. გაზეთი „სამშობლო“ – ეროვნულ-პოლიტიკური ორგანო, პარიზი, 1925 წლის NN 2,3,6;
3. საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ.1861, ა. 3, საქმეები: NN 123, 127, 132;
4. ფ. 2115, ა. 1, ს. NN 21, 69;

GEORGIAN AND EMIGRANT PRESS ON THE RESULTS OF THE AUGUST UPRISING OF 1924

(Articles, Letters and Memoirs)

TINATIN JABADARI
PhD in History, Senior Specialist
National Archives of Georgia
E-Mail: tinikojabadari@gmail.com
ORCID: 0009-0007-1997-5683

Abstract: In February 1921, Soviet Russia managed to occupy the Democratic Republic of Georgia by force. In the same year, the Georgian national movement began, the goal of which was to restore Georgia's independence. The national movement, which began in 1921, ended with the August Uprising of 1924. The uprising did not bring Georgia victory, it was defeated, the Russian army defeated the Georgians who were driven by unity, the enemy managed to punish the best sons of the Georgian nation as an example, trying to break the spirituality of the Georgian people with terror in all corners of Georgia.

The failure of the 1924 uprising and its consequences outraged Europe, but no one extended a helping hand to Georgia.

After the occupation of Georgia, a part of Georgians scattered in different countries of the world conveyed this difficult situation of Georgia and their assessment of those years in their memoirs and letters. Many books have been written about these events, although the article uses only documents preserved in the Georgian emigrant funds preserved in the National Archives of Georgia, information published in the pages of the Georgian official press and the emigrant press. The issue of the uprising has always been relevant, it has been happening for years and is still being assessed today.

In 1924, a century has passed since the August uprising. Therefore, I considered it necessary to bring to you the history of the turbulent years from the history of Georgia with these notes. Chronological framework of the topic: 1921-1925.

Keywords: August Uprising, repressions, Georgian press, émigré press, Independence Day,

* * *

Introduction to the article. In February 1921, Russia managed to occupy the Democratic Republic of Georgia by using military force. The national movement that began in the same year, the goal of which was to restore Georgia's independence, ended with the August 1924 uprising. The uprising did not bring Georgia victory, it was defeated, the Russian army defeated the Georgians who were driven by unity, the enemy managed to punish the best sons of the Georgian nation as in all corners of Georgia, they tried to break the spirit of the Georgian people with terror, a large part of them left their homeland and settled in Europe. The failure of the 1924 uprising and its consequences outraged Europe, but they were unable to help Georgia. After the occupation, some Georgians scattered in different countries of the world conveyed to us the difficult situation in their homeland in their memoirs, in correspondence with each other. Their notes also contained an assessment of the current events. They discussed both the consequences of the Russian occupation and their own mistakes. The mentioned events were covered by both the émigré and local press. The assessments of the opposing sides were absolutely different. The issue of the uprising has always been relevant, over the years and is still being evaluated today by both our and foreign historians. After a century has passed since this great event, I considered it necessary to bring to you on this topic part of the material available in the funds of the Democratic Republic of Georgia preserved in the National Archives of Georgia (in the form of letters and memoirs), part of the material published by our compatriots in emigration in periodicals and in the pages of

the Georgian press of the twenties, which concerns the above-mentioned uprising, Georgia and the repressions of Georgians, although I would like to note here that it is impossible to present it in its entirety with the material used in the topic.

Methods: The topic is based on information preserved in the funds of the Democratic Republic of Georgia preserved in the Central Historical Archive of Georgia, on the pages of the Georgian magazine „Samshoblo“ published in Paris in the 1920s, and on the official press of the Georgian SSR.

Discussion: The correspondence and notes preserved in the funds of Georgian emigrants are made both in pencil and in ink, the documents are partially damaged, faded, and the text is illegible. They tell us about the situation in Georgian society in 1921-1924, the addressees of the letters and the names of the authors are kept secret. For example: „Dear Hannibal.... According to your and Tadeo's views, we have more than once raised the issue of escape with our prison comrades, but they are against this trade, except for our Zakarias.... His letters are needed. We saw you with all the victories, your Muralkhan.. (HAG, f.1861, a 3, s. 132, p. 59.)

In the years after the Sovietization, people still „celebrated“ the Independence Day of Georgia, May 26. Appeals written to the people were secretly published:

From the Georgian Young Marxist Organization, the Tbilisi faction of the Social Democratic Workers' Party, and, no matter how strange it may be, from the Russian Committee living in Georgia, they called on the Georgian population against those who trampled on the freedom of Georgia:

"People, all of you march under the banner of the liberation of Georgia and publicly declare for everyone to hear:

"Long live independent, democratic Georgia...

Long live the day of the declaration of independence of Georgia – May 26..

Long live the brotherhood of peoples, Georgia liberated from the Bolshevik yoke...

Down with the Bolshevik occupation... (f.1861, a.1, s.132, p. 37.)

In anticipation of May 26, the government strengthened throughout Georgia, especially in Tbilisi Repressions. By May 17, more than three hundred Georgian officers, militia leaders, leading workers of railway and tram workshops had already been arrested in the capital and imprisoned in the basements of the „Cheka“. The „Zakcheka“, „Gruzcheka“, „Ruscheka“ worked together.

On May 23, 1922, the day off of Georgia's Independence Day – May 26 – was canceled and February 25 was introduced instead. „We hereby declare publicly, in accordance with the resolution of the Presidium of the Executive Committee, that the real Independence Day of Georgia is February 25, and not May 26, ... the day when Georgia was liberated.“ The Chairman of the Executive Committee: F. Makharadze and Secretary T. Kalandadze (f.1861, a.1, a.132, p. 23).

From the end of May, despite great opposition, people were secretly gathering in almost all cities of Georgia. In Batumi, bells began to ring from all churches in the morning. The government was taking measures in advance, from May 20-22, the arrests of suspects began, the heads of the districts received a warning: „Leave the people alone, do not spare them, catch the most rebellious and shoot them if necessary.“ On May 23, leaflets for May 26 were distributed, from the morning of May 24, people began to gather in front of the city government, railway employees, student youth and all residents of Batumi rushed to the designated place, national and black flags were unfurled. „Glory“ was heard in the unison of the student youth. Everyone from the nearby streets and bazaars raised the flags of the people, orators came out – „Georgia is not dead, the Georgian people will break the yoke of slavery, long live free Georgia“. The demonstrators went to the cemetery of their brothers, but the Chekists closed all the streets and captured a large part of them.... All the institutions of Batumi went on strike, the railway, the port stopped, the situation was terrible, the strikers were dismissed from their jobs and most of them were arrested. That night, 125 women were arrested, and in total, 413 people were arrested in one night. But after all this, the communist press published information that this day in Batumi passed peacefully. (f.1861, a. 3, s. 132, p. 55). In Kakheti, On May 24, 25, and 26, meetings and

rallies were held in the Sighnaghi region. People everywhere adopted resolutions against Russian rule, five hundred literate people signed them, and everyone took an oath to fight for the freedom of Georgia to the last drop of blood. A similar situation existed in other regions.

Our compatriots living in Europe responded to these news. The Georgian magazine „For the Fatherland“ published in Paris, in an introductory article, which belonged to Kakutsa Cholokashvili himself, spoke, along with congratulations, about the mistakes made in the past and about the Georgian knights fighting for freedom. He noted: „The reality surpassed even the dream of a courageous nationalist... The circumstances in which Georgia found itself when it restored its independence were precisely the realization of a wish; a broken Russia was engulfed in civil war,... Georgia was united as it was during the time of Queen Tamar... Better conditions were not needed for the self-consolidation of the newly born independence... But these conditions could not be used, the charming vessel of independence placed in that rare environment had no content, it lacked soul, we could not feel, We couldn't realize what great fortune had befallen us... He also recalls the patriots shot on May 19, 1923....

The article ends on a hopeful note: May 19th cannot be celebrated with feelings or words, but only with deeds: „By restoring Georgia's independence, they fought and died for it, we will fight and die for it“ (Journal „For the Fatherland“, 1925, No. 2). [1]

The arrests and executions of people took on a massive character in all regions of Georgia. „Pavel“ tells us the news of Guria in his correspondence with „Archil“: „Guria is being destroyed, a few days ago, 12 people were shot in front of the people in the center of Ozurgeti, they were lying on the street for three days and nights... They no longer publish the lists of those shot, they are taken out of their families at night and shot. The young people have taken refuge in the forests, but their parents and the very old are thrown into prisons, the houses of the fugitives are being demolished and the material is being taken to Ozurgeti... The fate of Guria is shared by all of Georgia.... As it turns out, the chairman of the Comintern, Zinoviev, when he was in Tbilisi, ordered „Oka“ – the United Army of Transcaucasia, that within two months everything in Georgia should be eliminated, so that not even a trace of the opposition remained. This meant the extermination of the entire Georgian people. (f. 1861, a.3, p. 127, p. 57).

In 1925, the magazine „For the Fatherland“ reported on the completion of the trial of the Georgian Independence Committee.

The trial began on July 15 at 12:05. The chairman of the court was G. Vashadze, members: I. Sturua and Tsintsadze. 47 people were brought to justice:

Mensheviks: Andronikashvili, Oniashvili, Jinoria, Tsintsabadze, Kartsivadze, Beltadze, Anjaparidze, Mamaladze, Shengelia, Kalandarishvili, Panozishvili, Bilanishvili, Kakhiani, Ioseliani, Lashkhia, Lataria, Dzadzamia, Pichkhaia, Pantsulaia Khurtsidze and Esvanji; – a total of 21 people;

National Democrats: Javakhishvili, Ishkhneli, Khoperia, Kalandarishvili, Pirveli, Tvaladze, Natsvlishvili, Avalishvili, Beridze;

Socialist-Revolutionaries: Bochorishvili, Lortkipanidze, Kvirikadze.

57 people were summoned as witnesses;

They were accused of organizing an armed uprising in Georgia with the aim of overthrowing the Soviet government, of connecting with foreign states for the purpose of intervention, of organizing terrorist acts and of espionage.

1. The magazine „For the Fatherland“ was published in Paris in 1925. Publisher: Felix, Kaldenbach; Editor: Spyridon Kedia;

The trial lasted 18 days. The death penalty was decided for Andronikashvili, Javakhishvili, Ishkhneli and Jinoria, however, due to special considerations, it was commuted to 10 years of imprisonment,

while those who were sentenced to three years of imprisonment were fully released, since the time spent in prison was considered part of the sentence. (“For the Fatherland“, 1925, N. 6“).

The uprising was defeated, but the Social Democrats did not intend to stop; they were trying to establish contact with the population remaining in Georgia and, with their help, overthrow the Bolshevik government. The military head of the Warsaw Center, Kazbegi, informs the former president of the

Independent Republic of Georgia, Noe Zhordania, in a letter: „.... I inform you that a sufficient number of proletarian workers have already been found... 261 people sign the collective protest of the Mensheviks against the Bolshevik government. They promise to organize an armed uprising against Bolshevism. ("The Communist", 1924, No. 225).

The Georgian Orthodox Church was in a terrible state. In this regard, the correspondence between Archil and Pavle is also interesting: „The seizure of the church has become the main focus of people's attention, today they are removing metal crosses from the dome, believers are outraged, the entire population has taken to the streets, but this has taken on another, more noteworthy and dangerous aspect for us, people of different faiths have confronted each other, this had a special resonance in Adjara. People of different faiths were alarmed by this news. They thought that this was the first step on the part of Christians, and then they would take away the mosques. Therefore, the issue was seriously raised among the influential people of Adjara „Muhajirizm" – exile to the Ottoman Empire, they are just waiting for the right time, some are sure that the war will start and then they will be given the opportunity, while others are thinking about leaving right now. The sad thing is that everyone blames Georgians for these events, and if we do not take any measures, Adjara will turn its back on us. We want to explain the real situation, but this explanation will not help when such a large base for fanaticism has been created, not only among Muslims, but also among Christians. In Batumi, the military „Sobor" was closed, because of this a public meeting was called in the theater, big news was spread, embittered Russian women came out against the communists, they turned us over and now they are taking away our shrines, why didn't you take away the synagogue, how many thousand liras did you give for the benefit of mosques in Adjara? „What have you done to the Orthodox?" (f. 1861, a.3, s. 127, p. 47).

ll churches on the territory of Georgia, with their courtyard buildings, were to be transferred to the Communist Youth Union of Georgia for educational and cultural activities (f. 1861, a.1, s. 123).

The Georgian people, both local residents and immigrants, with the help of the Central Committee of the National Democratic Party, appealed to the head of the United States Labor Organization – Samuel Gompers and the workers' organizations of European countries, to the convening committee of the International Workers' Congress, united in Hamburg. But help was nowhere in sight and was impossible, because the Bolshevik Party at the head of the country declared that peace reigned in the country. There were consoling letters. From Berlin-Charlottenburg, old Karl Kautsky He wrote: „I do not have many years left to live, but nevertheless I hope to experience those happy moments again when I learn that the Georgian Social Democratic Republic has once again been freed from its oppressors…" (F. 1861, A.3, S. N 127, F. 81).

The uprising suffered defeat, there were repressions and there were great casualties, which destroyed the advanced Georgian society. Of course, it had certain reasons for its defeat. At the meeting of the party organization in Paris, the former chairman of the Constituent Assembly of independent Georgia, Karlo Chkheidze, made an extensive report on the reasons for the defeat of the 1924 uprising: „The Georgian people have fought a lot for freedom, they have sacrificed a lot for freedom. Great deeds are never accomplished without sacrifice. There is no doubt about that... They say it is too late to talk about defeat, but the uprising gave us one big plus, our issue has become an international issue forever... Moscow also clearly saw how strong the Georgian people's longing for freedom, their fight for independence is, ... Apart from this great goal, this uprising had no other contributing reason, no one would have given us a guarantee of this from the outside, but the guarantee of defeat was almost in sight"... In his opinion, the main reason for the defeat was in the method of fighting, in the tactics... „The gun seemed to have been fired on purpose....the uprising and the consequences that followed it made the issue of Georgia's independence even more acute and it is this acuteness that obliges us to take a correct account in the coming struggle, this account must be conveyed by our party to the people... The Georgian uprising found a great response in Europe, although no one promised any help other than moral support, and they did not promise this to Georgia. Despite the mistakes, the August 1924 uprising

in Georgia will remain a shining episode in the life of the Georgian people, will remain an inexhaustible source of immortality... (f.2115, A. 1, p. 69).

Spiridon Keidia assessed the period after the uprising in Georgia in an article published in the newspaper „Samshoblo“ in July 1925... The Georgian people embarked on the path of active action against the Russian occupation authorities since 1921. He recalls the Svaneti uprising, and gives a particularly high assessment to the Dusheti uprising of 1922. Which was led by Bidzina Cholokashvili, Kote Cholokashvili, Suslik Andronikashvili, Shakro and Data Vachnadze. Their speeches caused serious damage to the government's armed forces. The uprising took place under very favorable conditions: it was a spontaneous uprising against the still unconsolidated Soviet regime, political parties were still completely intact... If the intrigues of political parties had not occurred, the Cholokashvili uprising would have had a greater chance of victory than the 1924 uprising. Since February 1921, Georgia, which had been part of the Soviet Union, was developing among the republics united in the union. By 1925, the country's budget expenditure was estimated at 14,247,217 gold rubles, and its income was 13.5 million rubles. Although there was not a big difference between income and expenditure, in the article Sp. Keidia asks the question: It is interesting who was feeding whom, Georgia or Russia, Georgia. Moscow brought: income from the Georgian post-telegraph, railway credit operations, oil pipelines, black stone, and as the author notes, due to Russia's national policy, Georgian customs lost 4.5 million rubles in income per year. ("For the Motherland.“ 1925, N3).

Delegations of workers from different countries often came to Georgia, on June 15, 1925, a delegation consisting of four members of English workers and women arrived from Russia. They visited a tobacco factory, visited the State University, where the delegation was hosted by the university's rector Ivane Javakhishvili, professor Petre Melikishvili and professor K. Kekelidze. When the delegates were told that 80% of the university students were the children of workers and peasants and that they studied almost free of charge, one delegate said with a smile, „There were such conditions for continuing their studies here, we can also stay here to study“... They toured the workers' houses in Kojori, various districts of Tbilisi. They returned to Moscow by military means.

On July 29, a delegation of the Belgian-French trade union visited Georgia, and in two days they toured the workers' clubs, factories and mills of Georgia, from Tbilisi to Baku on July 1.

On July 1, they returned from Tbilisi to Baku.

February 1921 brought many innovations to the life of the Georgian people. The population of Georgia was physically and morally divided into two parts.The population of Georgia was physically and literally divided into two parts: a small part that escaped the Russian aggression that had entered Georgia and fled abroad, and a large part that remained in place and took upon itself the plague and famine that had spread in this country. A large part of Georgians settled in central Europe and continued to live there, a large part of them settled in France. Both in France and in other European countries, Georgian unions, associations, and societies were created that cared about the popularization and future of Georgia – the Georgian Association of France, the Georgian Students' Union, the „International Association for Georgia“ in Geneva, the „Society of Friends of Georgia and Transcaucasia in New York“, the „Military Union of Georgians“, the „Society of Georgian Patriotic Women“.

Societies in Europe and America contributed to the celebration of the Georgian national holiday, and in addition to such dry evenings, concerts by Georgian composer and pianist Erekle Jabadari and Georgian pianist Irakli Orbeliani were held in central Europe.

"Georgia Abroad“ provided information to the readers of the magazine „For the Motherland“ with the following column: In the column of May 26, 1925, we read:

1. The Georgian Association of France celebrated the national holiday at nine o'clock in the evening, which was opened with the Georgian anthem, after the welcoming speeches (the speakers were Ak. Chkhenkeli and Sp. Keidia), a concert of Georgian „Khoros“ was held..... The magazine provided information on the solemn gatherings and concerts held in central Europe to celebrate the heroism of Georgians ("For the Motherland“, 1925. N2)

Georgian newspapers, in particular „Komunisti“ did not leave the Mensheviks' letters unanswered.... This was a source of distortion and lies about the events taking place in Georgia, mainly coming from the Mensheviks in France, who were fed the lies that came from Georgia. They were spreading it in newspapers that were hungry for sensations and hostile towards us. And the main „editor“ of these rumors was Noe Zhordania himself. Here the author draws attention to the newspaper. On the article published in „'Quotiden“ „The Bolsheviks received help by sea and landed troops in Batumi. They resort to bloody repressions against the inhabitants: they kill the elderly, women, children. The railway line is strewn with the murdered people. Houses are being burned, the villages in the vicinity of Batumi are engulfed in flames, the entire population of Batumi who can bear arms is involved in the fighting. Jordan appeals to the editor of the newspaper to intervene in this matter and stop the bloodshed of the Bolsheviks. The author notes that the government is introducing to the people a telegram published by the commission of the local government of Demonsau, the newspaper „Matenne“ reports that the commission is ready to legally recognize the Soviet government. Moreover, information about Georgia is disappearing from the pages of the official press of France as a whole ... „The bourgeois press, even the newspaper „Forvertsits“ refuses They say „To print detailed military reports-information about the Menshevik adventure.“ (nev. „Komunisti“, 1924, No. 231).

Conclusion. Despite such a hopeless attitude, the Mensheviks' decision was unchanged. Which was very well expressed in his words by Karlo Chkheidze: „We will never enter into an alliance with Bolshevik Russia“... (f. 2115, a.1, p. 69,).

After the defeat of the 1924 uprising, the Georgian official press was already boldly declaring its final victory: „Menshevik-noble banditry has been defeated, the gang of bandits has been destroyed. The heavy hand of the workers' dictatorship will crush the rest who have drawn their swords to crush it. Physical slaughter and extermination – this is the answer of the workers' dictatorship, this is what we promise to the enemies and traitors of our people! Long live the dictatorship of the proletariat! Long live communism!“ (“nev Communisti“, 1924, No. 201).

Despite its mistakes, the August 1924 uprising in Georgia will remain a shining episode in the life of the Georgian people, will remain an inexhaustible source of immortality.

References

1. Newspaper „Communist“ – the organ of the Central Executive Committee of the Central Committee of the Communist Party of Georgia and the Tbilisi Soviets of Workers', Peasants', Red Army and Sailors' Deputies, Tbilisi. – 1924 NN 201, 225, 231;
2. Newspaper „Samshoblo“ – a national-political organ, Paris, 1925 NN 2,3,6;
3. Central Historical Archive of Georgia: F. 1861, a. 3, f: NN 123, 127, 132;
4. F. 2115, A. 1, S. NN 21, 69;

ხარის კულტი და მისი გამოვლენის ასპექტები ინტერდისციპლინურ კვლევაში

ნარგიზ ახვლედიანი
ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის
კვლევის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
ელ-ფოსტა: nargiz.akhvlediani@bsu.edu
ORCID: 0000-0002-3787-9195

მარინე ფუთურიძე
ისტორიის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული
პროფესორი; გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის ევრაზიის
განყოფილების წევრ-კორესპონდენტი
ელ-ფოსტა: marina.puturidze@tsu.ge
ORCID: 00001-0002-6109-3157

აბსტრაქტი. ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს ხარის კულტის ინტერდისციპლინური ასპექტებით კვლევა, რასაც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა არაერთი დარგი ადასტურებს. აქამდე მკვლევრები ხარის კულტის თემას მხოლოდ რომელიმე კონკრეტული მიმართულებით შეისწავლიდნენ, ამჯერად კი ვცდილობთ პრობლემა გავაშუქოთ სხვადასხვა მეცნიერების დარგთაშორისი მიჯნის თვალთახედვით. სტატიაში ასახულია ხარის კულტის საინტერესო გამოვლინებები ფოლკლორს, მითებსა თუ ლეგენდებში, ეთნოგრაფიაში, არქეოლოგიასა და ტოპონიმიკაში. მისი არსებობის სრულად წარმოჩენისათვის ფართოდაა განხილული სხვადასხვა პერიოდების მანძილზე კავკასიისა და წინა აზიის ვრცელი რეგიონების მატერიალურ კულტურაში წარმოდგენილი მრავალფეროვანი არტეფაქტები.

საკვანძო სიტყვები : ლინგვისტიკა, არქეოლოგია, ხარის კულტი, ეტიმოლოგია.

* * *

შესავალი. მსოფლიოს ხალხებისა და მათ შორის, ცხადია, ქართული უძველესი მითოლოგიური სამყაროც, განსაკუთრებით მდიდარია ხარის შესახებ მონაცემთა სიმრავლით. ჩვეულებრივ, მითოლოგიზმს არსებობის ხანგრძლივი ისტორია აქვს და იგი ამის უამრავ მასალას ინახავს გამომდინარე იქიდან, რომ მითისადმი ინტერესი ისტორიის ყველა ეტაპზე დიდი იყო და ასეც დარჩება. მითს დიდი ესთეტიკური პოტენციალი გააჩნია, რაც საშუალებას იძლევა მხატვრულ ლიტერატურაში მითოსური მოტივების და არქეტიპების სხვადასხვა ვარიაციით გამოყენებისა. ამავდროულად, მითი არ არის წმინდა, საკრალური ტექსტი, რომელთან შეხებაც მცირეოდენი ცვლილებების შეტანის კუთხითაც კი შეუძლებელი იქნებოდა (ნასარიძე, 2017, გვ. 1-2). თითქმის არ არსებობს ხალხი, რომელთაც თავისი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე მითებში გადმოცემული ცხოველთა სამყაროს ასახვა თავიანთ რელიგიასა თუ ხელოვნებაში მეტ-ნაკლებად უხვად არ მოეხდინათ. ცნობილია, რომ სანამ ადამიანის წარმოდგენებში ღმერთები ანთროპომორფული სახით გადმოიცემოდნენ, მანამდე ისინი ზოომორფული სახით იყვნენ წარმოდგენილნი. ადამიანები ცდილობდნენ, რომ ცხოველების სახით გამოსახული ღვთაებანი განუყრელად მათთან ახლოს ყოფილიყვნენ და აესახათ კიდეც მატერიალურ კულტურაში. ამიტომ შემოგვინახა სხვადასხვა ხალხის

კულტურამ მათი გამოსახულებების დიდი მრავალფეროვნება, მათ შორის ხარი ერთ-ერთი აქტუალური და ყველაზე გავრცელებულია.

წყაროების/ლიტერატურის მიმოხილვა. საკითხით დაინტერესება გასული საუკუნიდანვე შეინიშნებოდა. საკითხს კონკრეტული მიმართულებით სწავლობდნენ ქართველი და უცხოელი მკვლევრები: ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, ალ. რობაქიძე, გ. ჩიტაია, ო. ჯაფარიძე, დ. ხახუტაიშვილი, ა. ინაიშვილი, ა. კახიძე, ზ. თანდილავა, ვ. ბარდაველიძე, ა. ახვლედიანი, დ. ფრეზერი, ფ. კიუმონი. მ. და ნ. ტიერები და სხვ.

საგანგებოდ აღნიშვნის ღირსია ის, რომ თაყვანისცემის საგნად იქცეოდა ხოლმე ესა თუ ის ცხოველი, განსაკუთრებით ისეთი, რომელიც დიდ როლს თამაშობდა ადამიანის სამეურნეო ცხოვრებაში. ასეთი იყო სწორედ ხარი, რომლის შესახებაც სხვადასხვა დარგის მონაცემთა მთელ სპექტრს მოვიტანთ და შევეცდებით ის მრავალფეროვანი პალიტრით წარმოვაჩინოთ (ინტერდისციპლინური კვლევების შესახებ, იხილეთ ჩვენი სტატიები: (ახვლედიანი ნ.,.ინაიშვილი ნ.,); (ახვლედიანი ნ., ფუთურიძე მ., 2020).

მეთოდოლოგია. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, თავდაპირველად, ლოკალურ-დიალექტური მონაცემების აღწერილობის მიხედვით, დავიწყეთ საძიებო მასალის შეგროვება. კრიტიკულად მივუდექით აქამდე არსებულ სამეცნიერო შეხედულებებს. ძიების პროცესში ყველა სპეციფიკური, კონკრეტული მსჯელობა განვაზოგადეთ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემებთან შეჯერებით. მეცნიერულად დასაბუთებული კვლევითა და ინტერპრეტაციის საშუალებით, გავაანალიზეთ მიღებული შედეგები. სტატიაზე მუშაობისას ვიხელმძღვანელეთ, აგრეთვე, აღწერილობითი, ანალიზისა და ისტორიულ-შედარებითი მეთოდებით.

დისკუსია.

თქმულება-ლეგენდები ხარზე.

ხარი უძველესი მითოლოგიის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟთაგანია (ახვლედიანი ა. 21-22) საინტერესო მონაცემად მიგვაჩნია ხარის შესახებ შემონახული თქმულება-ლეგენდები, რომლებიც საყურადღებოდ ჩათვალეს და თავის არქივებში შემოგვინახეს მკვლევრებმა. მათგან მოვიტანთ შემდეგს: დღემდე მოღწეული ჩაწერილი თქმულების მიხედვით, მთქმელი ამბობს: „ჩვენ ხარს პარასკევ (ჯუმა) დღეს დავასვენებდით. ...ძველათ რუმ გუუბამს ჩვენს მუბარექს ხარი, საზღვარი არ სცოდნიათ...ხარს რუმ გუუჭირდა წამუუვდა კურცხალი: ლობიეს კაკალი იქიდანაა გაჩენილი. საზღვარიც იქიდანაა დარჩენილი. იმას მემრეც კვირაში ერთ ან ვორ დღეს უნდა დეისვენოს ხარმა'' (მასალა ჩაიწერა აზ. ახვლედიანმა. მთქმელ-ინფორმატორ: ხ. გოგიტიძისგან სოფ. ცხემვანში, 1962 წელს (ბსკიფა 3) ასეთი ლეგენდებია ჩაწერილი სოფ. ვერნებშიც, ხინოშიც, თ. სახოკიას მიერ „ბუღა-გოლში''-ც. მათი ძირითადი ადგილმდებარეობა, როგორც ვხედავთ, აჭარა-არსიანის მთებით განისაზღვრება, თუმცა გვაქვს ერთი კახური ვარიანტიც ფშავლიშვილის ფსევდონიმით: „უწინდელ უხსოვარ დროში ეხლანდელი კახეთის დაცემულ და ვაკე ადგილზე ზღვა მდგარა, რომელიც სადიდამღაც გადმოვარდნილა... ზღვის დაშრობის მიზეზად შემდეგ ლეგენდას ასახელებენ: როცა კახეთი ზღვასა სჭერია, ბოჭორმის წმინდა გიორგის ჰყოლია ერთი კურატი, რომელიც დრო და დრო დაიკარგებოდა ხოლმე და, როცა უკან ბრუნდებოდა, რქებს სისხლში გაბასრული მოიტანდა ხოლმე. კურატი ზღვიდან გადმოსულ გველეშაპს ერკინებოდა თურმე, მაშინ ადგნენ წმინდა გიორგის ყმები და კურატს რქებზე ალმასები აასხეს... გველვეშაპის კანმა ალმასიანი რქების შეხებაზე დაჰკარგა წინანდელი თვისება... იგრძნო ეს და შეშინებული ისე ძლიერად შეცურდა ზღვაში, რომ თავი ვეღარ შეიკავა, ეცა იმ გორას, რომელიც შირაქის ბოლოს, სადაც ეხლა ალაზანი და იორი გადაჩხრიალებენ, იყო გაჭიმული და ზღვას აგუბებდა, გაანგრია იგი და ზღვაც გადავარდა. კახეთი განთავისუფლდა წყლისაგან... ხალხმა მაღლობებიდამ ძირს დაიწია და დაიწყო იქ ცხოვრება, სადაც დღეს სცხოვრობს'' (“ივერია“).

აჭარულ თქმულებათა მიხედვით, ტბაში არის ხან გველვეშაპი, ხოლო უმრავლეს შემთხვევაში კი ხარი – ბინადარი ტბისა, რომელიც ებრძვის, ეჭიდავება სოფლელთა ხარს/ხარებს და ამარცხებს

მათ. სოფლელთა ხარები მშივრები ბრუნდებოდნენ უკან სახლში და ამით შეწუხებული პატრონები უკეთებენ თავიანთ ხარებს რქებზე ხშირად სპილენძის მახვილებს, რის შედეგადაც ეს უკანასკნელნი ტბის ბინადარ ხარებს ამარცხებდნენ. შედეგად, „მოსკდება ტბაი და წალეკავს იქაურობას'', ხშირად მთლიანად სოფელს და რჩება ნასოფლარი: ვერნები – ხალხური ეტიმოლოგია სოფელ ვერნების სახელწოდებას ამგვარად ხსნის. თუმცა, ვერანა/ვერნები ამ მხარეში მრავლად არის და მათი გავერანება არც ისე შორეულ ისტორიულ ხანას მიეკუთვნება (თანდილავა, 1978, გვ. 64). თითქმის უკლებლივ ყველა თქმულების მიხედვით, მას შემდეგ, რაც ადამიანის მიერ გაკეთებული ლითონის იარაღით (რკინა, სპილენძი, ალმასი) ტბის ბინადარი ხარი მარცხდება, არემარე წაილეკება. სრულად მოწმენდილ ამინდშიაც „წამოვა სელგაჰი და მოსპოტავს ყველაფერს ახლო-მახლო'', მაგრამ თუ ახლო არ არის პატრონი, მას სხვანაირი სასჯელი ელის: „მისი თესლი აღარ რჩება'' ე.ი. უმემკვიდროდ გადაეგება და გვარი ფაქტიურად ისპობა. ხარის (ან გველვეშაპის) წყალში მოკვლის შედეგად, მსგავსი მოვლენები, მარტო ქართულ სინამდვილეში როდი დასტურდება. ჯ. ფრეზერის მიხედვით, ცენტრალური ავსტრალიის მკვიდრთ ვარამუნგებს, რომელთა ტომის ტოტემად ტბის ბინადარი ვეშაპი ითვლება, სჯერათ, რომ მისი მოკვლის შედეგად, მათ დიდი უბედურება მოელით და, ამიტომ, მას ევედრებიან და სწირავენ მსხვერპლს (Фрезер, 1929, стр. 18-49). როგორც დავინახეთ, ლითონის მკეთებელი კაცი, არათუ ევედრება და მსხვერპლსაც სწირავს „წმინდა ხარს'', არამედ უკვე მოშინაურებული ხარის საშუალებით მას მომაკვდინებელ დარტყმას აყენებს, შედეგი კი – ჩვენთვის ცნობილია. „წმინდა ხარის“, თუ გნებავთ, გაღმერთებული ხარის წინააღმდეგ აღმართული მსახვრალი ხელი მკაცრად ისჯება. ანალოგიები არსებობს: „აკი, ღმერთებმა მკაცრად დასაჯეს კამბიზი (სპარსეთის მეფე), რადგან მან ეგვიპტეში ლაშქრობისას (524 წ.) მოკლა საღმრთო ხარი აპისი, როდესაც ეგვიპტელები მას დღესასწაულს უხდიდნენ“ (ყაუხჩიშვილი, 1961, გვ. 263).

შავშეთის სოფლებშიც მოგვითხრობენ ტბაში მცხოვრები ხარის შესახებ. სხვადასხვა ვარიაციით თქმულება საქართველოს არაერთ კუთხეში გვხვდება. მათ შორის ჭოროხის ქვეყნებშიც. შავშეთში ასეთი ამბავი ჩაიწერეს: „ბუღა და გოგო ყოფილა გოლში ანუ ტბაში. [გოგოს] თმიები ასე ჩასული აქო, წელზე ასხია ნაწნებიო და...მიქელეთში ამოდუღის ცხელი წყალი, ქვიებს ყრის გარეთ, ახლოს ვერ მიხვალ. (ქალები) ჩაჟდებიან და უშვილოს შვილი ეყოლვის'' (ფაღავა, მ, ცინცაძე,მ. ბარამიძე, მ. 319).

გავიხსენოთ უძველესი ეპოსი „გილგამეში“: ომგადახდილ გილგამეშის მშვენებას თვალი დაადგა სიყვარულის ქალღმერთმა იშთარმა. გილგამეში უარყოფს მის ტრფობას. შეურაცხყოფილი იშთარი შესთხოვს ღმერთ ანუს შექმნას ზეციური ხარი და დაღუპოს გაკადნიერებული გილგამეში. *„განახვნა ბაგენი იშთარმა, ამეტყველდა, /ასე ეუბნება მამამისს ანუს:/„მამავ, ზეციერი ხარი შემიქმნი,/გილგამეში დაე, მოაკვდინოს./...რა ესმა ანუს ნათქვამი მისი,/თხოვნა აუსრულა დიდებულ იშთარს./ შექმნა ზეციური ხარი, ურუქს ჩამოგზავნა./მიადგა ევფრატს ზეციური ხარი,/მოსვა შვიდი ყლუპი-შრება მდინარე/ხარის სუნთქვაზე გაიღო ნაპრალი...''* (კიკნაძე ზ. , 1963, გვ. 51-52). მაგრამ ენქიდუმ, რომელმაც გამარჯვებით აღფრთოვანებულმა (დაამარცხა ხარი), სიტყვიერად შეურაცხყო მგლოვიარე ქალღმერთი და მოკლული ხარის ბარკალიც კი ესროლა მას: *„ავიდა იშთარი ურუქის კედელზე/ქონგურზე შედგა, წყევლა გადაისროლა:/„ვაი გილგამეშს, რამეთუ შეურაცხმყო/მოაკვდინა ზეციური ხარი!''/რა ესმა ენქიდუს იშთარის სიტყვები,/ხარს ბეჭი მოგლიჯა მისკენ გადააგდო''.* (კიკნაძე ზ. , 1963, გვ. 54-55).

ერთ ადრინდელ ზღაპარში, რომელიც ჯ. ნოღაიდელს აქვს ჩაწერილი და გამოქვეყნებული, საუბარია უზარმაზარ ხარზე, რომლის „უკანა ფეხები იყო ხულოში წინაი ფეხები კახაბერში“. როდესაც ამ გოლიათ ხარს ჭამს არა ნაკლებ გოლიათი ფრინველი, რჩება ერთი ბარკალი, „რომლის დაცემისას სოფელი შეინძრევა“ (ნოღაიდელი, 1971, გვ. 110). ხარის გამო მომხდარი მიწისძვრის შესახებ ჩვენ მოგვეპოვება სხვა გადმოცემებიც, რომელთა მიხედვით, დედამიწა ხარის რქაზეა და აბეზარ ბუზისაგან შეწუხებული ხარი აქნევს თავს, რის შედეგადაც დედამიწა იძვრის – ეს თქმულება უფრო აღმოსავლურია და ჩვენში თურქული გზით შემოსულად მიიჩნევა (Гордлевский, 1909, გვ. с.97).

წერილობით-ლიტერატურული ძეგლები. ხარის კულტის თავისებურ ანარეკლს ვპოულობთ ლიტერატურულ-წერილობით ძეგლებში მოთხრობილ წარღვნის ეპიზოდშიც. ბასილი ზარზმელის

„ცხოვრება სერაპიონისა''-ში ვკითხულობთ: როდესაც ნეტარი სერაპიონ „განვიდა ამიერ აღსაშენებლად სულთ-სამზრუნველოისა... წამოემართნენ... და შემოვიდნენ დასასრულსა მას[ხ]ევისასა, რომელ არს უტყვსა, მოვიდეს ადგილსა რასმე ძინძედ (ტოპონიმია-ა.ნ.) სახელდებულსა... კუალად მოიხილა წმინდამან და იხილა აღმოსავლით კერძო ქედსა ზედა მას ტბაი... ხოლო [იმან] მომიგო: „ესე არს ტბაი მრღვე ყოვლადვე, რომელსა ეწოდების სათა[ხ]უე! და არს ამასა შინა სიმრავლე თა[ხ]უთაი... ხოლო გარათენა წინაშე თქუენ(სა) წარსვლად ვემზადებოდით, აჰა, ესერა იქმნა ძვრაი და ოხრაი რაიმე, ვითარცა ქარისა და განვკვირდით ფრიად... და გუარქუეს, რამეთუ განიპო კლდე იგი, რომელი იყო დასავლით ტბისა მის... მის მიერთთაგან ეწოდა სახელი შემსგავსებული საქმეთაი ადგილსა მას: რამეთუ ეწოდა ზარზმა ერთა მათგან, რომელნი ზარითა და შიშითა მოუთხრობელითა შეპყრობილ იყვნეს'' (ზარზმელი, 1960, გვ. 99,107-113). აქაც, ისევე როგორც ვერნებში, ტბიყელში (ხინო) „განიპო კლდე'' და წალეკა წყალმა ყველაფერი „ძვრითა და ოხვრით''. მიზეზი ტბის გადმოსვლისა აღნიშნულ ძეგლში არ არის და ბასილი ზარზმელს არც ესაჭიროება იგი, მთავარი კი ის არის, რომ „ტბაი იგი იყო სავსე თა[ხ]უთაი''(თახვი-ძვირფასბეწვიანი მოზრდილი მღრღნელი). მაშასადამე, გამოდის, რომ ტბა უმიზეზოდ არ გადმომსკდარა: თახვი აიძულებს ხარს დატოვოს ტბა. მისი შედეგი კი ცნობილია.

მოვიტანთ მონაცემს კიდევ ერთი ლიტერატურული ძეგლიდან. სტეფანე მტბევარი „გობრონის წამებაში'' აღწერს რა ერთგან მომხდარ ამბავს, ამბობს: „და ურიცხვნი იგი ერნი მართლმადიდებელთანი აჭარას და შავშეთს შეწყუდეულ იყვნეს“, თავის წიაღსვლებში ამბობს: „...და კუროი წმიდათავე პირუტყუთაგანი არს და სარქენელი იგი რქანი – სარწმუნოებაი განსრულებული საქმეთაგან კეთილთა, მსგავსად ორთა მათ დათა სახარებისათა'' (მტბევარი, 1960, გვ. 90) აქვე, ამ მიდამოებში ეკლესიების მშენებლობის დროს (ოშკი, სხალთა და სხვ.) ცნობილ ბოლოკ ბასილს, როგორც ამას აბუსერიძე ტბელის თხზულებაში ვკითხულობთ: ეხმარება გრძნეული ხარი, „რომელსაც გაძღოლა არ სჭირდება'' და თავისით ზიდავს სამშენებლო მასალას. იგივე დასტურდება ამ შემოგარენში ჩაწერილ ფოლკლორულ ტექსტებში, რომლებიც თავის დროზე ჩაიწერა და გააანალიზა მ. ჩიქოვანმა. აბუსერიძე ტბელის მოთხრობის 1233 წლის ხელნაწერით ოპიზის მახლობლად მშენებლობას ვინმე ბასილი, ანუ ბაჩილი, ანდა მეტსახელად ბოლოკ ბასილა აწარმოებს, მას თანამშრომლებად უღელი ხარი და ერთი კერძო კარაული ჰყავს, ხოლო შემწედ-წმ. გიორგი. 1937 წლის ფოლკლორული ჩანაწერის მიხედვით, საფარის მონასტერს ორი ძმა აშენებს, მასალას მათ ცალი ხარი უზიდავს, რომელსაც გაძღოლა არ სჭირდება, ბოლოკ-ბასილას ხარებივით. მოვიყვანთ ერთ ადგილს: *1.V.№51. და მო -რაი -იწია ბასილი /სახიდ თვისსა იწყო მუშაკობად საკვირველისა ამისა /ტაძრ* (ჩიქოვანი, 1944, გვ. 7)*ისა, კერძო – კარაულისავე თანა, უღლეულითა მით /[ხ]ართა აფსთაითა, რომელთა სახელითცა უწოდდის: /ერთსა „ქურდობით'' და მეორესა „პირქუშობით''.*

ადამიანს ორი სახის პირუტყვთან უხდება ურთიერთობა: შინაურთან და გარეულთან, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ: ერთი სახის პირუტყვს იგი ათვინიერებს, იშინაურებს, სხვა კი რჩება მოუთვინიერებელი, ველური, უცხო. შინაური პირუტყვი პატრონის მორჩილია, „პატრონყმულ“ ურთიერთობაშია ჩაბმული ადამიანთან. პირუტყვი ემსახურება თავის პატრონს, პატრონი კი იცავს მას. პატრონი პასუხისმგებელია პირუტყვის სიმრთელეზე, ის კი ემსახურება მას. ადამიანი და შინაური პირუტყვი სხვადასხვაგვარად ემსახურებიან ერთმანეთს. ერთი თქმულება მოგვითხრობს: ღმერთმა ქვეყნის გაჩენის შემდეგ ირემი და ხარი გააჯიბრა ერთმანეთს – ვინც უფრო მალე გადაირბენდა ცას, ადამიანიც იმას აირჩევდა. ირემი თავაღებული გაიქცა, გაფრინდა. მაგრამ ბევრი სირბილისგან დაიქანცა და მოკვდა. მხოლოდ მისი ნაკვალევიღა შერჩა ცას „ირმის ნახტომის“ სახით. ხარი კი დინჯად მიემართებოდა თავჩაღუნული, ის მიწისკენ იცქირებოდა, რითაც აჩვენებდა წინასწარ, თუ რისთვის იყო განწესებული. გვიან მიაღწია სამანს, მაგრამ მივიდა ჯანმრთელი და დაუღალავი. ხარის ნაკვალევიც დააჩნდა ცას – „ხარის ნავალი“. ამის შემდეგ აკურთხა ღმერთმა ხარი, ქედი დაულოცა და მას აქეთ მას აწევს ადამიანის შენახვის ტვირთიო (კოტეტიშვილი, 1960, გვ. 382).

ხარის კულტი ეთნოგრაფიაში. ჩვენამდე მოღწეულია მსხვილფეხა შინაური ცხოველების კულტის გადმონაშთების არსებობა, კერძოდ, დღეობა „ბოსლობა''-ში ასახული ღვთაება თავდაპირველად ცხოველური სახის არსება უნდა ყოფილიყო, ხოლო შინაური მსხვილფეხა რქოსანი ცხოველებიდან ქართველებში გაღმერთებული, უეჭველია, ხარი იქნებოდა (ბარდაველიძე, 1953, გვ. 103).

თრიალეთის ერთ-ერთ ყორღანში ნაპოვნია ხის ოთხთვალიანი დიდი ეტლი, რომლითაც „შეასვენეს მიცვალებული თავის საუკუნო სამყოფში და იქვე დახოცეს ეტლში შებმული ხარებიც'' და სხვ. (გობეჯიშვილი, 1952 , გვ. 68-95), ან ხომ არ წარმოადგენს ეს ნიმუში იმის ტრანსფორმებას, რაზედაც აპ. როდოსელი ამბობდა: კოლხების მიმართ, რომ ისინი „მიცვალებული მამაკაცების გვამებს ხარის ტყავში ახვევდნენ და ქალაქის გარეთ ხეებზე ჩამოჰკიდებენ (როდოსელი აპ., 1948, გვ. 116), ან უფრო გვიანდელი, კერძოდ მე-17 საუკუნის (1629 წ.) ცნობით, როდესაც მ. თამარაშვილი კათოლიკე-მისიონერთა მოღვაწეობას აღწერდა საქართველოში: „შემდეგ მღვდელმა წამიყვანა,-ამბობს პატრი ივანე, – და მიჩვენა თავიანთი მკვდრები, რომლებიც ოთხ მაღალ პალოებზე ასვენია გამოფუღურულ ხეებში. ამ ხეებს თავსა და ბოლოებში ნახვრეტები აქვს ჰაერის შესასვლელად და გარედან შესაჭვრეტად, მიცვალებულის კარგად სანახავად. ამის მიზეზით თათრის ვაჭრები არ ყიდულობენ ამ ქვეყნის თაფლს, რადგან ჰგონიათ – ფუტკრები იმ მკვდრებიდან მოდიან'' (თამარაშვილი, 1902, გვ. 144). ერთი თქმულების მიხედვითაც, რომელიც დამოწმებული აქვს ა. რობაქიძეს (რობაქიძე, 1960, გვ. 32; 198) თავის ნაშრომში, რომ ხბოს ტანიდან გამოდის ფუტკარი. ხარის გვამისა თუ მისი სისხლისგან ფუტკრის წარმოშობის მოტივი საკმაოდ იყო გავრცელებული. ზოგთა დაკვირვებით, იგი ეგვიპტიდან უნდა მომდინარეობდეს, სადაც თითქოს წესად იყო ფუტკრის ახლად გაჩენის მიზნით, სახარე ხბოს ფეხით დაქელვა (Sayffert, 1930, p. 161). ხარის გვამიდან სხვადასხვა სასარგებლო მცენარეთა და ცხოველთა წარმოშობა დამოწმებულია სხვაგანაც. ფრანც კიუმონი თავის სტატიაში „მითრას მისტერიები“ წერს, თუ როგორ მოკლა მითრამ გამძვინვარებული ხარი და შემდეგ მკვდარი ხარის ტანიდან ამოვიდა გასაოცარი ბალახეულობა და მცენარეულობა, ხოლო ტვინიდან – პური, სისხლიდან – ყურძენი (Кюмон, 1929, стр. 64). ამ გულუბრყვილო ზღაპარს მივყავართ კაცობრიობის კულტურის სათავეებთან.

ხარი ონომასტიკაში. **ხარ** – ძირისგან ნაწარმოები საკუთარი თუ საგვარეულო სახელწოდებები დღევანდელ საქართველოშიც საკმაოდ გვხვდება (ჯანაშია ს. ტ. III, 1959, გვ. 128-129) მაგალითად, ხარაძე, ხარაბაძე, ხარაიშვილი. რაც შეეხება ტოპონიმებს ხართან დაკავშირებული ადგილის გეოგრაფიული სახელწოდებანიც მრავლად დაიძებნება : **ხართახევი –** სათესი ადგილი სოფ. ხალა (ბსკიფა 45); **კურვაი** -ადგილის სახელი , ზერაბოსელი (ბსკიფა 9(3)), გვ., 38, 51 , ა. ახვლედიანის ჩანაწერები); **სახარია** – მთა შავშეთში (ფაღავა, მ, ცინცაძე,მ. ბარამიძე, მ. 148), სადაც სახელის ფუძე ჩანს „ხარ“, საწარმოებელი აფიქსებია: „**სა – ია“.** რაც შეეხება ტოპონიმის სახელდების მოტივაციას, იგი ხარებისთვის განკუთვნილი ადგილი უნდა იყოს. **ხარის საწოლი-**იალაღი ხარებისათვის; **ხარი ჲათაღი -**იალაღი ხარებისათვის (შდრ., ტოპონიმი ხარის საწოლი); **ბულავრი** – ადგილის გეოგრაფიული სახელწოდება სოფელ გორგაძეებში – ხალა – ქობულეთის მუნიციპალიტეტი (ბსკიფა 38-51); **ოხოჯირი** – ადგილის სახელია სოფ. ზედა აჭი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი (ბსკიფა 8). ამ ტოპონიმთან დაკავშირებით, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ამოსავალი ფუძე არის „ხოჯ'', რაც მეგრულ-ჭანურში **ხარ -**ს ნიშნავს (ჩიქობავა, 1938, გვ. 78). მოცემულ ტოპონიმში გამოიყოფა საწარმოქმნო აფიქსები: პრეფიქს-სუფიქსი: **„ო-ირ''**, ისევე როგორც ტოპონიმ „ობოდირ''-ში. იგი ზანური (მეგრულ-ჭანური) წარმოების ტოპონიმია და, შესაძლოა, „სახარე''-ს ნიშნავდეს (ახვლედიანი 61); შდრ.: „ხარიჲათაღი“ – ხარის საწოლი, სოფ. მაწყვალთასა და მთაგინურში (შუახევის მუნიციპალიტეტი).

არქეოლოგიურ ძეგლებში გამოვლენილი ხარის კულტის მონაცემები. ხარის კულტის ამსახველი არქეოლოგიური მონაცემების არსებობა უტყუარად დასტურდება მესოპოტამიის, კავკასიის და სხვა რეგიონთა უძველესი კულტურების ძეგლებში. ეს მიუთითებს, რომ ის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა არაერთი ეთნიკონის ყოფით რეალობაში, რაც, თავის თავად, ხარის მრავალმხრივ ფუნქციურ, სიმბოლურ და იდეის თვალსაზრისით დატვირთვაზე მოგვითხრობს. ამიტომაცაა, რომ ის სხვადასხვა სფეროში ვლინდება: ენაში, მითებში, ფოლკლორში, ტოპონიმიკაში, ეთნოპრაქტიკაში და მატერიალურ კულტურის ძეგლებში.

მატერიალურ კულტურაში ის წმინდა ფაქტოლოგიურ მონაცემებს ემყარება და სულ სხვადასხვა ტიპისა და ფაქტურის მასალებში ავლენს თავს: ძირითად კი, ეს არის თიხა, ქვა, ლითონი, ძვალი და ნახევრად ძვირფასი ქვებიც კი. ამ ორი უკანასკნელი მასალისაგან შექმნილი ნიმუშები დადასტურებულია წინა აზიის რეგიონში. კავკასიაში კი, ძირითადად თიხის, ქვისა და ლითონის

მცირე პლასტიკის არტეფაქტები გვხვდება. ისინი სხვადასხვა ქრონოლოგიურ პერიოდებში იჩენს თავს, რომელიც, ცხადია, სტილისტურ და ტექნიკური დამუშავების მხრივ ცვლილებებს განიცდის, რაც განვითარების დინამიკიდან გამომდინარე ბუნებრივიცაა. კავკასიაში ხარის გამოსახულებები გვხვდება როგორც სამხრეთ, ისე მის ჩრდილო რეგიონებში და თანაც საკმაოდ ადრეული პრეისტორიული ხანიდან დაწყებული განვითარებული შუა საუკუნეების ჩათვლით, სადაც ის სატაძრო არქიტექტურაში, ბარელიეფების სახითაა წარმოდგენილი.

აღმ. საქართველოს მონაცემები. ხალკოლითის ხანის ზოგიერთ ძეგლებზე უკვე გვხვდება ხარის სტილიზებული ნიმუშები რქების მკაფიოდ გადმოცემის გამო. ასეთია გვიანხალკოლითური პერიოდით დათარიღებულ ორჭოსანის ნამოსახლარზე მიკვლეულ ფენაში აღმოჩენილი თიხის სამი ფიგურა (Gambashidze I., 2018, pp. 74-84). ცხადია, ამ ადრესამიწათმოქმედო კულტურაში გასაკვირი არ არის ამ ცხოველის ფიგურის დამზადების ფაქტი, რადგან მათ ცხოველები უკვე მოშინაურებული ჰყავდათ. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამგვარ ფიგურათა რაოდენობა მაინც ლიმიტირებულია.

როგორც ცნობილია, ხარის კულტის არსებობა უშუალოდ უკაშირდება მიწათმოქმედებისა და სამიწათმოქმედო პრაქტიკის თვალსაჩინო და უპირობო დაწინაურებას სამხრეთ კავკასიის მოსახლეობაში, რაც ყველაზე მკაფიოდ ჩანს ადრე ბრინჯაოს ხანიდან და რაც უკავშირდება მტკვარ-არაქსის კულტურის გამოჩენას ამ ტერიტორიაზე და ასევე, მის მიღმა სამხრეთით რეგიონებში იქ, სადაც ეს კულტურა ფართოდ გავრცელდა. მტკვარ-არაქსის კულტურა სამიწათმოქმედო პრაქტიკის პრიორიტეტის მქონე ამ მოსახლეობის წამყვანი ნიშანია. მიწათმოქმედება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მათ ყოფაში და ყველაფერს მტკვარ-არაქსელი სწორედ ამ საქმიანობას უკავშირებს. ამ დარგის განვითარება განსაკუთრებით დააწინაურა ბრინჯაოს მეტალურგიის პირველად გამოჩენამ, რამაც უზრუნველყო სამიწათმოქმედო იარაღების მეტი ეფექტურობა. ხარის კულტთან და ამ ცხოველის მნიშვნელობასთან დაკავშირებული არტეფაქტების ერთდროულად გამოჩენა ფიქსირდება მტკვარ-არაქსის კულტურის საფეხურზე. ესენია: ხარის თიხის ფიგურები, ხარის რქების სტილიზებულად რეპრეზენტირება მხატვრული ბრინჯაოს ნაწარმზე, კერძოდ საკინძების მხატვრულად დამუშავებულ თავებზე, თვით ურმის თიხისა და ხისაგან შექმნილი მოდელები, ხარის რქების გამოსახულებიანი სადგარები, ასევე ურმის ბორბლის მოდელები, რაც სამიწათმოქმედო პრაქტიკაში მიწის ხვნასთან დაკავშირებული ამგვარი მასალის გამოყენებაზე უშუალოდ მეტყველებს. ამ პროცესში კი ხარის როლი, ცხადია, პრიორიტეტული იქნებოდა. ამიტომ ხარის კულტის გამოჩენა სიმბოლურ მნიშვნელობასთან ერთად, რასაკვირველია, მიწათმოქმედების განვითარებში მის საგანგებო ფუნქციაზეც მიუთითებს. მიწის დამუშავებისათვის ორბორბლიანი საზიდრები და ურმების დამზადება მკვრივმერქნიანი ხის მასალისაგან, ბუნებრივია, ლითონის იარაღის გარეშე წარმოუდგენელი იყო. სწორედ ბრინჯაოს მეტალურგიის გამოჩენამ განაპირობა ერთი მხრივ ბრინჯაოს სამეურნეო იარაღების (ასევე სხვა კატეგორიის არტეფაქტების) წარმოება, ხოლო, მეორე მხრივ, კი – მისი აქტიურად გამოყენება ყოფის სხვადასხვა სფეროში. სამიწათმოქმედო საქმის განვითარებისათვის, ბუნებრივია, აუცილებელი იყო გამწევი ძალა. მიჩნეულია, რომ დასაწყის ეტაპზე გამწევ ძალად ეკვიდები ჩანს, შემდეგ კი ჩნდება ხარი (მირცხულავა 105). ამიტომ, ერთი მხრივ, ბორბლიანი ტრანსპორტის (საზიდარი, ურმისა და ბორბლის მოდელები), მეორე მხრივ, კი ხარის გამოსახულებების ერთდროულად გამოჩენა მტკვარ-არაქსის კულტურის გვიანდელ საფეხურზე მიწათმოქმედებაში მომხდარ გარდატეხაზე მიუთითებს. მკვლევრები სხვადასხვა დანიშნულებისთვის განკუთვნილი ბორბლიანი ტრანსპორტის გავრცელების, ასევე, ადრეულ ეტაპზე მასიური ბორბლების კონსტრუქციის ერთგვაროვნების საფუძველზე ფიქრობენ, რომ უნდა მომხდარიყო ამ გამოგონების იდეის დიფუზია მისი წარმოქმნის ცენტრიდან სხვა რეგიონებში (Чайлд, 1956, стр. 358), ხოლო ასეთ რეგიონად მიჩნეულია ჩრდილო მესოპოტამიასა და კავკასიას შორის ტერიტორია. ამასთან, სხვადასხვა მკვლევრები საზიდრების გავრცელების სხვადასხვა სავარაუდო გზებს გვთავაზობენ, რომელსაც დაწვრილებით ეხებიან თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი თავის ფუნდამენტურ მონოგრაფიაში ინდოევროპელების შესახებ. საზიდრების გავრცელების სავარაუდო მარშრუტებს შორის ისინი მიუთითებენ შემდეგ რეგიონებს: უპირველესად, წინა აზია – მცირე აზია – ბალკანეთი – დასავლეთ ევროპა; წინა აზია – კავკასია – ჩრდილო შავიზღვისპირეთი – დასავლეთ ევროპა; ასევე, კასპიისპირეთის აღმოსავლეთ სანაპიროდან – ვოლგისპირეთი და მის აღმოსავლე-

თით – ინდოეთი და ჩინეთამდე (Гамкрелидзе, 1984, გვ. 734). მკვლევართა აზრით, ნიშანდობლივია, რომ ბორბლიანი ტრანსპორტის ევროპაში გავრცელებაში არსებითად მიიჩნევა სწორედ კავკასიის როლი იმ ანალიზების საფუძველზე, რომ ძვ. წ. მე-2 ათასწლეულით დათარიღებული აღმოსავლეთ ევროპის საზიდრები კავკასიური წარმომავლობის ხის მასალისაგან იყო დამზადებული (Кузмина, 1980, стр. 12). კავკასიაში ყველაზე ადრეული ორბორბლიანი ურმის თიხის მინიატიურული მოდელი საქართველოში, თიანეთის რაიონში ბადაანის ადრე ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარზე, სხვადასხვა კერამიკული მასალებით სავსე ე.წ. სამეურნეო ორმოში იქნა აღმოჩენილი (ჯაფარიძე ო. , 1992). (ტაბ. LXVIII) [ტაბ. I, 1]. მას, როგორც ჩანს, და ეს ზედმიწევნით ზუსტ და არა თავისუფალ რესტავრაციას ეფუძნება, საკმაოდ რთული კონსტრუქცია ჰქონია. ურემზე დადასტურებული სპეციალური გასაყრელი ფოსოები მიუთითებს, რომ მას გაკეთებული ჰქონია ჭალები, ხელნა, უღელი და შედგმული იყო ღერძ-ბორბალზე (მირცხულავა 106). ბუნებრივია, ამგვარ სამიწათმოქმედო პრაქტიკაში არსებულ სახვნელ ურემში შებმული იქნებოდა გამწევი ძალა და ეს ხარი იქნებოდა. ჯერჯერობით, ეს არის ერთადერთი ურმის მინიატიურული, მაგრამ მთლიანი მოდელი კავკასიაში. ხარის დამადასტურებელი გამოსახულება და ორთვალა ურმის სტილიზებული გამოსახულებები ცნობილია საჩხერეში, ამავე, ადრე ბრინჯაოს ხანის ნაჩერქეზევის № 13 სამარხის ბრინჯაოს ქინძისთავზე (ჯაფარიძე ო, , 1955, გვ. 172), ტაბ.$XII_{3,10,}$;სურ.11), რომელიც მხატვრული ხელოსნობის გამორჩეული ნიმუშია [ტაბ. I, 2-1]. ბ. კუფტინმა, რომელმაც მიაკვლია ამ საკინძს, ის იმთავითვე ხარებშებმულ ორთვალის გამოსახულებად ჩათვალა (ჯაფარიძე ო, , 1955, გვ. 88). ხარის გამოსახულებისა და საზიდრის შერწყმულად წარმოდგენილი პლასტიკა ხშირი შემთხვევაა წინა აზიის ძეგლებიდან: ასეთია თიხის მოდელი ტელ-ფარადან და, ასეთივე გავრა VI-ის მასალებშიც (Чайлд, 1956, стр. 109). საზიდრების თიხის მოდელები შუა აზიის სხვადასხვა პრეისტორიული ძეგლებიდანაცაა ცნობილი (მირცხულავა 106).

ხარის სტილიზებული გამოსახულებები, ხარისრქიანი სადგარების და თიხის ბორბლის მოდელებისა, მიწათმოქმედებაში გამოყენებული ორთვლიანი ურმის იმიტაციაა და მის პრაქტიკაში არსებობაზე მიუთითებს. ცნობილია ახალციხის ამირანის გორის (ჩუბინიშვილი, მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთის უძველესი კულტურა, 1965: სურ, (9_{6};9_{8}), ხიზანაანთგორის (ჯაფარიძე ო. , 1992); ტაბ.XCII,XCIII), ქვაცხელების ნამოსახლარის (ჯაფარიძე ო. , 1992); ტაბ.C) , ბადაანის ნამოსახლარის (ჯაფარიძე ო. , 1992); ტაბ.LXVIII,LXIX), ციხიაგორას ნამოსახლარის (მახარაძე 126) სურ.126), ნახიჭევანის ქიულ-თეფეს (აზერბაიჯანი),ნამოსახლარიდან (ჩუბინიშვილი, 1965, გვ. 9 (1)), შრეშ-ბლურის (ჩუბინიშვილი, 1965, გვ. 9 (2)); მოხრაბლურის (Кушнарева, 1970); рис.25_{22}), ბაბადერვიშის (სომხეთი) და სხვა ძეგლებიდან (Кушнарева, 1970); рис.$28_{2,3}$; (Мунчаев, 1994, стр. 45), табл.13), ნამოსახლარებიდან.

საყურადღებოა, რომ ხარი არა მხოლოდ როგორც საკულტო ან როგორც სამეურნეო საქმიანობაში წამყვანი ფუნქციის მატარებელი ცხოველი, არამედ როგორც სატრანსპორტო საშუალების – ეტლებში შებმული გამწევი ძალა, კავკასიაში გამოყენებულია შუა ბრინჯაოს ხანის სრულიად დასაწყისიდან და მთელ შემდგომ პერიოდში. ამის დამადასტურებელი მასალა კარგადაა წარმოდგენილი სამარხეულ ძეგლებში, ჯერ ერთი, დასაკრძალავი ეტლების და, მეორეც – შეწირული ხარის თავის ქალისა და ძვლების სახით. საყურადღებო მასალა ხარის დაკრძალვის რიტუალთან დაკავშირებით მოგვეპოვება შუა ბრინჯაოს ხანის უადრესი ეტაპის ანუ ბედენის კულტურის ისეთი სამარხეული ძეგლებიდან, როგორებიცაა ბედენის პლატოს ყორღანი (ორჯონიკიძე); ტაბ.XL) და ანანაურის №3 დიდი ყორღანი, სადაც ორი უზარმაზარი ზომის დასაკრძალავი ეტლი აღმოჩნდა მდიდრულ ყორღანში (მახარაძე, ზ., კალანდაძე,ნ., მურვანიძე ბ., 2016, გვ. 329); სურ. 25,29, 33-36; ტაბ. XXIII-XXVII).

შუა ბრინჯაოს განვითარებული ანუ II ეტაპის თრიალეთის კულტურის ძეგლებიდანაც ცნობილია დასაკრძალავი ხის ეტლები. 1958 წელს თრიალეთში გათხრილ საბიდ-აღჩას № 5 ყორღანში მიკვლეული იქნა ხის ოთხბორბლიანი დასაკრძალავი ეტლი, რომლითაც მიცვალებულთან ერთად შეჰქონდათ მისთვის იმქვეყნიურად განკუთვნილი მდიდრული ინვენტარი (ჯაფარიძე ო. , 1969, გვ. 74-79); ტაბ. XXIV). ასევე, მნიშვნელოვანია დასაკრძალავი ეტლების აღმოჩენის ის ფაქტები, რომლებიც დადასტურდა მე-20 საუკუნის 30-იან წლების მასშტაბური გათხრებით წალკის რეგიონში.

აკად. ბ. კუფტინი, რომელიც ამ ძეგლებს სწავლობდა, ხაზგასმით მიუთითებდა, რომ კრემირებული მიცვალებულის ფერფლი ორმოიან ყორღანებში შეჰქონდათ დრომოსის გავლით ხის დასაკრძალავი ეტლით, რომელსაც იგი უკავშირებს ხეთურ ლურსმულ ტექსტებში დაკრძალვის რიტუალში მოხსენიებულ გადასაზიდ ეტლებს (Куфтин, 1941, стр. 81). მას ანალოგიურად მიაჩნია საბიდ-აღჩას №29 ყორღანში მის მიერ აღმოჩენილი მძიმე ოთხთვალა ეტლი (Куфтин, 1941, стр. 81), табл. CVII), რომელიც ხარების მეშვეობით მოძრაობდა. ამ მოსაზრების გასამყარებლად ის თვლის წალკის №15 ყორღანის ორმოს შუა ღერძის ორსავე მხარეს დადასტურებული ორი ხარის ძვლებსა და თავის ქალებს და №7 ყორღანში მიკვლეულ ხარის ძვლებსა და თავის ქალას, რომლებიც ამ ცხოველისაგან ტყავთან ერთიანად უნდა აძრობილიყო და ისე მოთავსებულიყო სამარხის ძირზე. დაკრძალვის რიტუალის ამ არსებით დეტალს მკვლევარი მიიჩნევს იმის ასახვად და იმიტაციად, რომ აქ დაკრძალულ მიცვალებულს იმქვეყნიურ ცხოვრებაშიც თან უნდა ხლებოდნენ ხარები, რომლებმაც ის სამარხამდე მიიყვანეს. საბოლოოდ კი შეწირული ხარის ხორცი გამოიყენებოდა ტრაპეზისათვის, რომელიც დაკრძალულის პატივსაცემად იმართებოდა, რისი მანიშნებელია სამარხი ორმოს შუაგულში აღმოჩენილი სპილენძის უზარმაზარ ქვაბებში აღმოჩენილი ხარის ძვლები. თრიალეთის კულტურაში მიცვალებულისათვის ხარების მსხვერპლად შეწირვის ტრადიციის უშუალო ანალოგიად მიაჩნია ბ. კუფტინს ხეთი მეფისა და დედოფლის დაკრძალვის რიტუალის აღწერის ლურსმულ ტექსტებში მოხსენიებული ხარების (ასევე ცხვრებისაც) შეწირვა, რომელიც ხეთურ ცივილიზაციაში დასტურდება (Куфтин, 1941, стр. 83). ამავე პერიოდს მიეკუთვნება დასაკრძალავ სამარხ-ორმოში ხარის თავების სპეციფიკურ ადგილებში განლაგება ირგანჩაის №5 ყორღანიდან (ქვემო ქართლი) და თრელის №43 სამარხიდან (შიდა ქართლი). ანალოგიური ტრადიცია ანატოლიაში დადასტურებულია რამდენადმე ადრეულ, ადრე ბრინჯაოს ხანის ალაჯა ჰუიუკის სამეფო სამარხშიც [ტაბ. I, 3].

ამ არტეფაქტებთან ერთად უაღრესად საყურადღებო ფართო ქვაფენილიანი გრანდიოზული გზები გამოავლინა სადაზვერვო ექსპედიციამ 1999 წელს, როცა წალკის წყალსაცავის დონემ იმდენად დაბალ ნიშნულზე დაიწია, რომ ამგვარი ყორღანებისკენ, ბ. კუფტინის მიერ გათხრილი მდიდრული სამარხეული კომპლექსებისაკენ სავალი კონსტუქციები, ჯერ კიდევ 30-იან წლებში გამოჩნდა. ამ აღმოჩენასა და გზების რეკონსტრუქციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს და იგი ნათლად გვიჩვენებს, რომ თრიალეთის ელიტური საზოგადოების სამარხეული რიტუალისათვის განკუთვნილი დასაკრძალავი ეტლები სწორედ ამ ქვაფენილების საშუალებით მიჰყავდათ ყორღანებისაკენ (ნარიმანიშვილი, 2009 , გვ. 6-7;56-64),ტაბ.V-XVII). ცხადია, რომ ამ გრანდიოზულ და იდეალურად ნაგებ გზებზე ეტლები ხარების საშუალებით მოძრაობდნენ ყორღანისაკენ, რომლებსაც რიტუალის ბოლოს სწირავდნენ. ეს კი დაკრძალვის რიტუალში ხარის მნიშვნელოვან როლზე მიუთითებს.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად ზოომორფული თემატიკით ორნამენტირებული კერამიკული ჭურჭელი ბრინჯაოს ხანის მთელ პერიოდში, თუმცა, განსხვავებული თემატიკით, სტილითა და ინტენსივობით გვაქვს წარმოდგენილი (გამონაკლისი მხოლოდ ე.წ. ადრეყორღანული ხანის კულტურაა), მაინც ხაზი უნდა გავუსვათ, რომ საკუთრივ ხარის სახე არც ისე ხშირია სხვა ცხოველებთან შედარებით (ფუთურიძე, 2022, გვ. 7-22). გვიან ბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭელი ხარის გამოსახულებით აღმოჩნდა თრელის №24 სამარხის ინვენტარში (ახვლედიანი ნ. , 1999, გვ. 46). ტაბ. CIV), რომელიც განსაკუთრებით მდიდარი იყო ზოომორფული თემის პრეზენტირების მხრივ.

აღმოსავლეთ საქართველოში ხარის მცირე პლასტიკით შემკული მხატვრული ბრინჯაოს საუკეთესო ნიმუში – ცული, რომელიც სოფ. ოჟორაში იქნა მიკვლეული, რაც ხშირი ხდება სწორედ გვიან ბრინჯაოს ხანის დასაწყისიდან, ტიპიური კოლხური ცულის შიდა ქართლში გავრცელების შემთხვევას, წარმოადგენს (ო. ჯაფარიძე 232-233), სურ.172). ხარის გამოსახულებათა თიხის პლასტიკის არაერთი არტეფაქტია წარმოდგენილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ძეგლებზეც. ცხადია, ბრინჯაოს ეპოქის რამდენიმე ათასწლეულის მანძილზე, მხოლოდ ჩვენ მიერ მოტანილი მაგალითებით, ვერ ამოიწურება ხარის გამოსახვის შემთხვევები, მაგრამ მან, ვფიქრობთ, მაინც ნათელი წარმოდგენა შეგვიქმნა არქეოლოგიური არტეფაქტებით მისი პრეზენტირების მრავალფეროვნებასა და ცვლილებების დინამიკაზე სამხრეთ კავკასიაში.

ჩრდილო კავკასია. ადრე ბრინჯაოს ხანის დასაწყისის საკუთრივ ჩრდილო კავკასიაში გავრცელებულ ცნობილ მაიკოპის კულტურაში, რომელიც გამორჩეულად მდიდარია ტორევტიკის მასალით, ძვირფას ჭურჭელზე და ასევე, მცირე პლასტიკის ნიმუშებზე, ხარის გამოსახულებების სხვადასხვა კომპოზიციაა წარმოდგენილი. ეს კი ნიშნავს, რომ ამ კულტურის არტეფაქტებზე ხარის კულტის ასახვას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. მცირე პლასტიკის არტეფაქტებიდან საყურადღებო და ყველაზე მდიდრულია ხარის ოქროსა და ვერცხლის მრგვალი ფიგურები, რომლებიც საკულტო ინსიგნიის-შტანდარტის თავებად იყო განკუთვნილი და რომლებიც ყორღანებში იქნა აღმოჩენილი (Марковин, В., Мунчаев Р., 2003, стр. 54), рис.10; (Piotrovsky, 2003, pp. 290-292). ისინი გამორჩეულია პლასტიკურობით, შესრულების ზედმიწევნით დახვეწილობითა და ამ ცხოველის სახასიათო თითოეული დეტალის გადმოცემით. მას განსაკუთრებით გამოარჩევს გრძელი და დახვეწილად მოდელირებული რქების ხაზგასმა, რაც ხარის საკულტო როლის საგანგებოდ აღნიშვნაა [ტაბ.V, 1]. გარდა მრგვალი ფიგურებისა ხარის რეპრეზენტირება მოგვეპოვება ჭედური ტექნიკით შესრულებული ვერცხლის მდიდრულად ორნამენტირებულ ორ ჭურჭელზე. მათგან ერთი თასი მთლიანად დაფარულია ლანდშაფტის, მცენარეული და ცხოველური სახეებით, რომელთა შორის შუა ფრიზზე ერთ მწკრივად განლაგებულ ცხენსა და ლომთან ერთად წარმოდგენილი გვაქვს ხარის ორი ფიგურა. რაც შეეხება, მეორე, ასევე ორნამენტირებულ ვერცხლის მაღალყელიან თასს, მასზე ორ გეომეტრიულ ორნამენტულ მოტივს შორის ფართო ფრიზზე გამოსახულ სხვა ცხოველთა შორის ვხვდებით დანარჩენებთან შედარებით აშკარად უფრო მოზრილი ზომის ხარის რეალისტურ სახეს (Piotrovsky, 2003, p. 293), cat.no 192,Fig.81, 82). გარდა აღნიშნულისა, საყურადღებოა ასევე სხვა კატეგორიის არტეფაქტიც. ეს არის მაიკოპის მდიდრულ ყორღანში აღმოჩენილი მიცვალებულის გადასაფერებლის, ბალდახინის შემკობისათვის განკუთვნილი, დაბალი ბარელიეფით შესრულებულ სხვადასხვა ცხოველების გამოსახულებიან ბრტყელ ფირფიტებს შორის წარმოდგენილი ხარის ოქროს 19 მისამაგრებლები (Марковин, В., Мунчаев Р., 2003, стр. 55); (Piotrovsky, 2003, p. 294), cat.no 194 a-d). ყველა ეს არტეფაქტი მიუთითებს, რომ ხარის გამოსახულებების სხვადასხვაგვარ მასალებზე ინტერპრეტირება, ჩრდილო კავკასიაშიც აქტუალური იყო. ამავე კულტურის სხვა ძეგლებზეც დასტურდება ხარის ამსახველი არტეფაქტები. კერძოდ, ყუბანისპირეთში, სადგურ სტარომიშასტოვსკის გამორჩეულად მდიდრულ განძში აღმოჩენილი იქნა ხარის ფიგურა, ხოლო ნოვოსვობოდნაიას დოლმენში კი ქვისაგან დამზადებული და შავი ფერით შეღებილი ხარის (თუ ძროხის) პატარა ზომის სკულპტურა (Марковин, В., Мунчаев Р., 2003, стр. 65). ყველა ზემოთჩამოთვლილი შემთხვევები მაიკოპის კულტურის მდიდრულ ძეგლებში ხარის მცირე პლასტიკისა თუ ჭედური ტექნიკით ვერცხლის ჭურჭლებზე შესრულებული ნიმუშებისა, ამ ცხოველის საკულტო მნიშვნელობაზე მიუთითებს. მაიკოპის კულტურის ზემოაღნიშნულ ოქროსა და ვერცხლის შტანდარტის თავებად განკუთვნილ ხარის ფიგურებთან მიმართებით აუცილებლად აღსანიშნავია მცირე აზიის ცენტრალურ ნაწილში ადრე ბრინჯაოს ხანის ხათური კულტურის გავრცელებული ანალოგიური არტეფაქტები, მიკვლეული ალაჯა ჰუიუკის სამეფო სამარხში (Dictionary, 2000, p. 10),[ტაბ.II,1]. აქვე მოკლედ მივუთითებთ იმ თვალსაზრისის შესახებაც, რომელიც არსებობს მაიკოპის კულტურის სახით ჩრდილო კავკასიაში, მოულოდნელად, ყოველგვარი საფუძვლისა და წინაპირობის გარეშე, ამ რეგიონისათვის სრულიად არატიპური და არნახულად მაღალი დონის, ამავე დროს კი აშკარად უცხო კულტურული პლასტის მქონე რეალობის გამოჩენასთან დაკავშირებით. აღნიშნული კულტურული ინოვაცია ჩრდილო კავკასიაში მცირე აზიის ცენტრებიდან ჩანს ინფილტრირებული. ამ თვალსაზრისს დღეისათვის მკვლევართა უმრავლესობა იზიარებს და ის უკვე საკამათოც არ ჩანს (Резепкин, 1991); (Мунчаев, 1994, стр. 209;211;212); (Марковин, В., Мунчаев Р., 2003, стр. 78); (Резепкин, 1991, стр. 171-172); (Массон, 1997, стр. 64)), გამომდინარე არაერთი უტყუარი არქეოლოგიური არტეფაქტის დადასტურებისა.

წინა აზიის რეგიონი. გარდა კავკასიის ორსავე არეალში აღმოჩენილი ხარის არტეფაქტების ზემოაღნიშნული შემთხვევებისა, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ამ კატეგორიის მასალები წინა აზიის ფართო რეგიონის სხვადასხვა უძველესი კულტურებიდან. მათ შორის ყველაზე უძველესია ძვ.წ. X-VIII ათასწლეულების გამორჩეული მნიშვნელობის მონუმენტური და უძველესი სამლოცველო ხასიათის ძეგლი – გობეკლი თეფე სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიაში. ეს საკულტო

ძეგლი ხელოვნურ ბორცვზეა ანუ თელეზე, რომელიც მონადირე-შემგროვებელთა საზოგადოების მიერ იქნა აგებული კირქვიან პლატოზე. მისი მთავარი მახასიათებელია T – ს ფორმის ქვის სტელები, ზედ გამოსახული გარეულ ცხოველთა დაბალი და მაღალი ბარელიეფით. მრავალფეროვან ფაუნისტურ გამოსახულებათა შორის წარმოდგენილია ხარის ბარელიეფიც, რაც მის როგორც საკულტო ცხოველის მნიშვნელობას წარმოაჩენს (Schmidt, 2010, pp. 239-256).

მცირე აზიის სამხრეთ რაიონში მდებარე ნეოლითური ნამოსახლარი – ჩათალ ჰუიუკი მრავალფეროვნად და გამორჩეულად ხაზგასმულად გადმოგვცემს ხარის როგორც საკულტო ცხოველის როლს ჩათალ ჰუიუკელთა რწმენა-წარმოდგენების სისტემაში. ამ ნამოსახლარის საცხოვრებელი მთავარი ოთახის აღმოსავლეთ კედელი, რომელიც საკულტო-სარიტუალო მნიშვნელობის სივრცედ ჰქონდათ გამოყოფილი მათ ბინადრებს, მთლიანად შემკული იყო ხარის თავის ქალებით, რომლებიც ჯერ ბათქაშით იყო რესტავრირებული და შემდეგ კი, მისი რქები, თვალები და პირი მუქი წითელი საღებავით მოხატული (Мелларт, 1982, стр. 93), рис.37). ამავე ნამოსახლარის VI დონეზე გაითხარა შვიდი ხარის რქებით შემკული მართკუთხა ფორმის ბათქაშის ბაქანი ანუ შემაღლებული პლატფორმა, რომელიც აშკარად ამ ძეგლის საკულტო დანიშნულების ადგილს წარმოადგენდა (Sagona, A.,Zimansky, P., 2009, p. 93), Fig. 4.6 – 2) [ტაბ. I,4]. გარდა ამისა, ჩათალ ჰუიუკის ერთ-ერთ მოხატულ კედელზე ადამიანთა მომცრო ფიგურების გარემოცვაში, ცენტრში წარმოდგენილია წითელი ფერის ხარის დიდი ზომის ფიგურა (Sagona, A.,Zimansky, P., 2009, p. 91), Fig.4.5) [ტაბ. I,3]. ეს ყველაფერი ცენტრალური ანატოლიის ნეოლითური ხანის საზოგადოების რწმენა-წარმოდგენაში ხარის კულტის აშკარა პრიორიტეტულობაზე მიუთითებს (Dictionary, 2000, pp. 66-67); (Sagona, A.,Zimansky, P., 2009, pp. 86-92), Fig. 4.6; Fig. 4.5; (Мелларт, 1982, стр. 92-93), рис. 36 и 37).

ძვ.წ. 2168-2050 წწ. შუმერის დედაქალაქის ურის სამეფო სამაროვნზე ხშირად ფიგურირებს ხარი სხვადასხვა სახით. სამაროვნზე მეფის სამარხში, მცირე პლასტიკის მრავალფეროვან მასალათა შორის აღმოჩენილია ხარის ოქროს ფიგურა, რომელიც უადრესი მუსიკალური ინსტრუმენტების – ლირის საფასადო მხარის მდიდრულ შემკულობას ამშვენებს (Woolley, 1934;) (Black J., Green A., 1992, p. 44), [ტაბ.VI, 7]. გარდა ამისა, დაკრძალვის ცერემონიალში აშკარად მონაწილეობს ხარი, რასაც კარგად გვიჩვენებს სამარხების პალეოზოოლოგიური კონტექსტი, სადაც ხარის თავის ქალებისა და ჩონჩხის ნაშთებია აღმოჩენილი. როგორც ამ ძეგლის გამთხრელი ლეონარდ ვული მიუთითებს და გვაძლევს დაკრძალვის რიტუალის რეკონსტრუქციას, ჩანს, რომ სამეფო ოჯახის მიცვალებულები მათთვის იმქვეყნიურად განკუთვნილ უმდიდრეს ინვენტართან ერთად სამარხში შეჰყავდათ დასაკრძალავ ეტლში შებმული ხარებით (Black J., Green A., 1992, p. 105), Fig.84). ხარის მცირე პლასტიკის ოქროს ფიგურები წარმოდგენილია სამეფო სამარხის მდიდრულ სამარხეულ ინვენტარს შორის (Woolley, 1934;) და ასევე, როგორც დედოფალ ფუაბის დიადემის შესამკობელი საკიდები (Crawford, 2004, pp. 168-169), Fig. 8.6).

მკვლევრები ხაზგასმით მიუთითებენ, რომ ხარის როგორც საკულტო ცხოველის ამსახველი მასალა, უწყვეტად მთელ ქრონოლოგიურ რეტროსპექტივაში, მცირე აზიაში ნეოლითის უადრესი პერიოდიდან დაწყებული ძველასირიული სავაჭრო კოლონიების პერიოდის ჩათვლით, საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული (Aruz, 2008, გვ. 134) და უფრო დიდხანსაც, გვიან ბრინჯაოს ხანის დასასრულსაც, რაც, ჩვენი აზრით, ცხადად მიუთითებს ამ რეგიონის რწმენა-წარმოდგენებში არსებული საკულტო მნიშვნელობის მქონე ტიპის (ამ შემთხვევაში ხარის) უწყვეტ განგრძობითობაზე. აღნიშნულ რეგიონში ხარის კულტის არსებობის ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ადრე ბრინჯაოს ხანის ალაჯა ჰუიუკის სამეფო სამაროვნის მდიდრულ დასაკრძალავ ძეგლებში აღმოჩენილი ოქროსა და ვერცხლის ხარის მცირე პლასტიკის ნიმუშები, რომლებიც საკულტო ინსიგნიის – შტანდარტის თავებს წარმოადგენს [ტაბ. II, 1]; (Dictionary, 2000, p. 10) და რომელთაგან ზოგის ზუსტი ანალოგები, როგორც ზემოთ მაიკოპის კულტურის ფიგურებთან დაკავშირებით მივუთითებდით, ალაჯას სამეფო ყორღანებში იქნა მიკვლეული. თუმცა, უნდა ითქვას რომ ხათური ბრინჯაოს შტანდარტების რეპერტუარში გაცილებით მრავალფეროვანია ხარით გადმოცემული ამ საკულტო არტეფაქტების ნიმუშები (ტრიადის გამოსახულება და სხვა) (Lloyd, 1956, გვ. 4,5); (Sagona, A.,Zimansky, P., 2009, p. 207),Fig. 5.28). გარდა ამისა, აღსანიშნავია ხარის მნიშვნელობა ადრე ბრინჯაოს ხანის ხათური კულტურის დაკრძალვის რიტუალში, რასაც ცხადად მიუთითებს

ამ ცხოველის თავის ქალებისა და კიდურების ჩატანება სამარხების კონკრეტულ და გამორჩეულ ადგილებში ინვენტართან ერთად, მათი ტრადიციის აუცილებელი მახასიათებელი ნიშანი იყო, რაც ასევე ხარის გამორჩეულ როლს ხაზს უსვამდა (Sagona, A.,Zimansky, P., 2009, pp. 212-215), Fig. 5.30), [ტაბ. II, 3].

ადრე ბრინჯაოს პერიოდის (ძვ.წ. 2350-2250 წწ) ხანითვე თარიღდება სირიაში მდებარე ცნობილი ებლას ცივილიზაციის დედაქალაქ ებლაში (ტელ მარდიხი), მისი ადმინისტრაციული კვარტალის ერთ-ერთ ოთახში აღმოჩენილი კირქვისაგან დამზადებული ფეხებმოკეცილ, მჯდომარე პოზაში გადმოცემული ხბოს მრგვალი, ნატურალისტური ფიგურა (Matthiae, 2003, p. 174), cat. No. 113), [ტაბ. II, 2], რომლის ანალოგია არსად არაა ცნობილი ძველი სამყაროს სხვა თანადროულ კულტურებში. თუმცა, მიჩნეულია, რომ ცხოველის ფორმების გადმოცემის მხრივ ის ექვემდებარება გვიან ურუქისა და ჯემდეტ ნასრის პერიოდის ხელოვნების ტრადიციას (Matthiae, 2003, p. 174). ხბოს კიდევ ერთი, ოღონდ მდგომარე პოზის ფიგურა, წარმოდგენილი ძალზე საინტერესო კონტექსტში, მოპოვებულია შუა ბრინჯაოს ხანის აშკელონის (აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთი) სამლოცველოდან. როგორც მიუთითებენ, ხარის ფიგურა მოთავსებული იყო თიხის ჭურჭელში, რომელიც უშუალოდ მიმდგარი იყო მასზე გაკეთებულ ფართო კართან (Dictionary, 2000, p. 35) [ტაბ. II,4]. ამის გამო ის პრეისტორიული ეპოქის გამორჩეულად მოდელირებულ არტეფაქტს წარმოადგენს.

ირანის პროტო-ელამიტური ხანის, ძვ. წ. 3000-2800 წწ დათარიღებული მხატვრული ხელოსნობის უნიკალური ნიმუში წარმოადგენს ვერცხლის მცირე პლასტიკის დაჩოქილ პოზაში გადმოცემულ ორნამენტირებულსამოსიანი ხარის გამოსახულებას, რომელსაც წინა ფეხებით უკავია ზემოთ აწეული სამსხმელო ჭურჭელი [ტაბ.IV,4]. წინააზიურ საკულტო ნიმუშთა შორის ის აშკარად გამორჩეულია არა მხოლოდ ცხოველის გადმოცემის იშვიათი მანერით, არამედ მხატვრულ-სტილისტური დახვეწილობითაც. ამ მცირე სკულპტურის ფუნქციის შესახებ აღნიშნავენ, რომ ის ჯერ კიდევ ბოლომდე გაუგებარი რჩება. თუმცა, ხარში მოთავსებული მრავალი კენჭი მკვლევარებს ავარაუდებინებთ, რომ ეს ფიგურა შესაძლებელია ხმაურის გამოსაცემადაც ყოფილიყო განკუთვნილი (Pittman, 2003, p. 43), cat.No.13).

მცირე აზიის შუა ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კონტექსტი ზოგადად საკმაოდ მდიდარია ხარის კულტის ამსახველი მასალით. ძველ და შუა პერიოდების ხეთური სამეფოს კულტურის არტეფაქტთა შორის გამორჩეული ადგილი უკავია ხეთების სამეფოს დედაქალაქ ხათუსაში და მეორე უმნიშვნელოვანეს საკულტო ცენტრ ინანდიკთეფეში აღმოჩენილ ხარის ფორმის მოზრდილ ჭურჭელს – რიტონებს. ასევე, ცალყურა დოქის ტიპის ჭურჭლის პირთან მიძერწილ ხარის რელიეფურ სკულპტურას და მისი კორპუსის საფასადო მხარეს გადმოცემულ ამ ცხოველის ბარელიეფურ სახეებს (Özgüç T., 1988, pp. 25,60-62; 68;73;75;77;78) [ტაბ.V,4,6].

სარიტუალო დიდი ზომის ვაზებიდან, რომელიც ძველხეთური პერიოდის ძეგლებიდანაა ცნობილი, საყურადღებოა მდიდრულად ორნამენტირებული, ბარელიეფებითა და მასზე სხვადასხვა ფერის საღებავით მოხატული კომპოზიციები ინანდიკთეფეს ნამოსახლარიდან. ამ გამორჩეული სარიტუალო ჭურჭლის მრავალფეროვან კომპოზიციათა შორის მე-4 ფრიზზე მოცემულია საკურთხეველზე მდგარი ხარის ბარელიეფური გამოსახულება (Özgüç T., 1988, p. 37) [ტაბ.V,3], რაც კიდევ უფრო უსვამს ხაზს ამ ცხოველის საკულტო მნიშვნელობას. გარდა ამისა, ხათუსაში, ბუიუქკალეს სამეფო ციტადელის ერთ-ერთი ნაგებობის მე-6 ოთახში, in situ აღმოჩენილი იქნა ხარის ფორმის წითლადანგობირებული ზედაპირის მქონე წყვილი ჭურჭელი (Aruz, 2008, p. 189), Fig.61), რაც უტყუარად მეტყველებს ამ ცხოველის აქტიურად გამოსახვას თიხის მცირე პლასტიკის მასალებში. ხარის გამოსახულებიანი კერამიკა გვხვდება სხვა ადგილებშიც, მაგალითად, ჰუსეინდედეში მიკვლეულ თიხისაგან დამზადებულ, დიდი ზომის საკულტო-სარიტუალო ფუნქციის მოხატულ ჭურჭელზე, რომლებზეც ხარის დაბალრელიეფური გამოსახულებებია და სწორედ მის ხაზგასასმელად ის კრემისფერითაა შეღებილი (Aruz, 2008, p. 134), cat.no.73) [ტაბ.V,5]. ძველხეთური პერიოდის ნიმუშია თიხის რიტონი ადგილ ტოკატიდან (ანატოლია), რომელიც წარმოადგენს მუქი წითლით მოხატულ ხარის თავსა და კისერს, მასზე მკაფიოდ კონტრასტულად – კრემისფრად გადმოცემული რქებით, პირითა და თვალებით (Aruz, 2008, p. 189), cat.no.114) [ტაბ.V,2], რაც ტიპური მოდელირებაა ხარის, და ზოგადად ცხოველების, გამოსახულებათა ხეთური კულტურისთვის დამახასია-

თებელი ტრადიციისა. ამავე ეპოქისაა წინა აზიის საერთაშორისო-გაცვლითი ურთიერთობის წამყვან ცენტრ ქიულ თეფე-კარუმ კანეშ II-ში (აშურის სავაჭრო კოლონია ცენტრალურ ანატოლიაში) აღმოჩენილი კერამიკული ხარისთავიანი რიტონი რელიეფურად გამოკვეთილი თვალებით, პირითა და რქებით [ტაბ.III,1]. ის მთლიანად მუქწითლად ანგობირებული რეალისტური გამოსახულებაა (Larsen, 2008, pp. 76-77), cat.no.39) და ნიშანდობლივია, რომ ამ ფერით გადმოცემული კერამიკის ნიმუშები, ზოგადად, უაღრესად ტიპურია ხეთური კულტურის მასალათა შორის.

ძვ. წ.14-13 სს ხეთური იმპერიის (ცენტრალური ანატოლია) გამორჩეული და იდეალურად მოდელირებული არტეფაქტია ვერცხლის რიტონი. ხეთურ ტექსტებში ამ ტიპის სკულპტურული ფორმის ჭურჭელი მოიხსენიება bibru-დ, რომლიდანაც ღვთაება იღებდა შესაწირავ ზედაშეს. ითვლება, რომ ეს თასი მიძღვნილი უნდა ყოფილიყო ქარიშხლის ღვთაებისადმი, რომელიც ხეთურ რელიგიურ პანთეონში მთავარი ღვთაება იყო და ასოცირდებოდა ხართან (Müller-Karpe, 2008, p. 183) 183,cat. no. 109) [ტაბ.IV,3]. წინა ფეხებმოკეცილი ხარის გამოსახულება, რომელიც ამავე დროს მისი წინა საყრდენია, იდეალურია როგორც სტილისტური, ისე ტექნიკურად შესრულების მხრივ და ის უკანა მხარეს ეყრდნობა რიტონის ყელს, რომელზედაც ყურია მიმაგრებული. ამ გადაწყვეტით ოქრომჭედელმა სანიმუშოდ წარმოადგინა ცხოველის პოზა, მისი საკულტო ფუნქციაც და ჭურჭლისთვის მყარი საყრდენის გადაწყვეტაც.

ძვ.წ. მე-3 ათასწლეულის მასალათა შორის უნდა აღვნიშნოთ ზოგიერთი ნიმუში, რომელთა შორის საყურადღებოა სპილენძის შენადნობის, ხისა და ბიტუმის კომბინირებით შექმნილი ხარის მდგომარე ქანდაკება ტელ ელ-უბეიდიდან, ნინჰურსანგას ტაძრიდან, რომელიც ადრედინასტიური III B პერიოდის (ძვ.წ. 2400-2250 წწ) ძეგლია (Collins, 2003, p. 85), Fig. 43) [ტაბ. III,6]. გარდა ამისა, ძვ.წ. III ათასწლეულის მესოპოტამიის ერთ-ერთ გამორჩეულ არტეფაქტადაა მიჩნეული დარიშხნიანი სპილენძისა და ვერცხლისაგან დამზადებული ხარის მდგომარე ფიგურა, შუბლის ჰორიზონტის დონეზე მოხრილი რქებითა და ტანზე ვერცხლის ინკრუსტირებული, არარეგულარული სახეებით, რაც არა მხოლოდ მაღალტექნიკურად შესრულებულ მხატვრულ ლითონზე, არამედ ცხოველის გამოსახვის განსაკუთრებულ ტალანტზეც მეტყველებს [ტაბ. IV,2]. ამ ფიგურის ინკრუსტირებული თვალები დაკარგულია, რაც მას თავდაპირველად, ცხადია, მეტ გამომსახველობას მიანიჭებდა. ხარის შუბლზე დატანილი სამკუთხა ამოკვეთილი ნიშანი კი, როგორც ფიქრობენ, შესაძლებელია მიუთითებდეს ხარის საკულტო, „წმინდა“ ხასიათზე, რაც იმ პერიოდში სიმბოლიზირებდა სიძლიერესა და ნაყოფიერებას თვით ზოგიერთ ღვთაებაზე მეტადაც კი (Evans, 2003, p. 441), cat.no. 314). ეს არტეფაქტი წინააზიური სამყაროსათვის ხარის საკულტო ცხოველად მიჩნევას მკაფიოდ უსვამს ხაზს. ხარის გამოსახულებები, განსაკუთრებით ლითონის პლასტიკაში ძველი სამყაროს სხვადასხვა არქეოლოგიურ კულტურებშიც იმდენად ფართოდაა ცნობილი, რომ მათი სრულად წარმოჩენა ჩვენი სტატიის მოცულობაში წარმოუდგენელია. ამიტომ აქ მხოლოდ პრეისტორიული ხანის წამყვან კულტურათა რიგ გამორჩეულ ნიმუშებს შევეხეთ.

გარდა მცირე პლასტიკის ნიმუშებისა სხვადასხვა რეგიონის ძეგლებიდან, ხარის გამოსახულება წარმოდგენილია არქიტექტურულ ძეგლებზე გადმოცემული მოჭიქული ალიზ-აგურის დეკორის სახითაც. ჩვეულებრივ, ის კედლის ფონისაგან პალიტრის კონტრასტული ფერის ჭიქურითაა დაბალ ბარელიეფზე შესრულებული. მხატვრულ ხელოვნებაში ხარის როგორც საკულტო მნიშვნელობის ცხოველის აქტიურად გადმოცემაზე მეტყველებს ბაბილონის გამორჩეული კომპლექსის – იშთარის ტაძრის თაღოვანი კარიბჭის საფასადო შემკულობა (Marzahn, 1992), :Figs.9,10,12,13,15). დღეისათვის შუამდინარეთის ეს უმნიშვნელოვანესი არქიტექტურული კომპლექსი, გადარჩენილი ალიზ-აგურის კონსტრუქციის მოჭიქული ტექნიკით შემკობის წყალობით, შესანიშნავად ასახავს ბაბილონის ამ უმთავრესი ძეგლის საკულტო შინაარსს. სწორედ მის ფასადზე გადმოცემული რეალური და მითური ცხოველების – ხარისა და დრაკონის ფერადი ბარელიეფები [ტაბ.VII, 1,2,3], უდავოდ, ხარის, როგორც საკულტო მნიშვნელობის მქონე არსების პრიორიტეტულობას უსვამს ხაზს.

ხარის ამსახველი არქეოლოგიური არტეფაქტები მრავლად მოგვეპოვება კრეტა-მიკენურ სამყაროშიც. მნიშვნელოვანია კ. კრეტაზე კნოსოსის სასახლარის დარბაზების მრავალფეროვან კედლის მხატვრობის ნიმუშებს შორის ძვ.წ. 1600-1500 წწ დათარიღებული ხარისა და აკრობატის სახელით ცნობილი ფრესკა, რომელზეც ხარის ძალიან დიდი ზომის ცენტრალური ფიგურის ზურგზე გა-

მოსახულია აკრობატი რთული ილეთის შესრულების პროცესში, ხოლო თვით ხარს კი ერთი ადამიანი აკავებს რქებით, მეორე კი მის უკანა ფეხებთანაა. ცხადია, ეს სანახაობრივი ღონისძიება, რომელიც კრეტელი დიდებულებისთვის იმართებოდა ამ სასახლეში გვიანმინოსურ II–III A პერიოდში [ტაბ.VI,4], მეტყველებს მასში ხარის სიძლიერისა და მნიშვნელობის შესახებ (Kehnscherper, 1980) ფერადი ილუსტრ.). ასევე, ხარის თავის ფრესკული გამოსახულება მოგვეპოვება კნოსოსის სასახლის ძვ.წ. 1600 წლით დათარიღებულ კედელზეც (Егейское искусство, 1972) табл. 45) [ტაბ. III,2]. ხარის კულტის არსებობაზე კრეტაზე ასევე მიუთითებს ქვისაგან დამზადებული ხარის რქების უზარმაზარი საკურთხეველი, ცნობილი როგორც „წმინდა რქები“, წარმოდგენილი კნოსოსის სასახლის ქვედა ტერასაზე (Егейское искусство, 1972): табл. 48) [ტაბ.VI,6]. გარდა ამისა, ეგეოსური ცივილიზაციის მასალებში ხარი გადმოცემულია ჭურჭლის ფორმის ტიპადაც. ერთი ესაა კუნძულ ფსეირიდან ძვ.წ. მე-2 ათასწლეულის შუა ხანების რიტონი ძალზე დახვეწილად მოდელირებული ხარის სრული ფიგურის სახით (Егейское искусство, 1972, стр. 12) [ტაბ.III,3], ხოლო მეორე კი მიკენის № 4 შახტურ სამარხში აღმოჩენილი ოქროსა და ვერცხლის კომბინაციით დამზადებული საკულტო ჭურჭელი. იგი ხარის თავის ვერცხლის რეალისტური და გამორჩეულად დახვეწილი მცირე პლასტიკის ნიმუშია, ხაზგასმულად მოზრდილი ზომის ოქროს რქებითა და მათ შორის ე.წ. ორმაგი ცულის დეტალით, ასევე, ხარის თავის შუბლის ცენტრში ოქროს მოზრდილი ზომის ვარდულის აპლიკაციით [ტაბ.VI,5]. ეს ყველაფერი სწორედ ამ ცხოველის საკულტო მნიშვნელობის ხაზგასმას წარმოადგენს (Kehnscherper, 1980): ფერადი ილუსტრ.). საყურადღებო და იშვიათი სტილის ნიმუშია კიდევ ერთი რიტონის ტიპის თიხის ჭურჭელი, რომელიც გამოსახავს ეტლსა და მასში შებული სამი ხარის მოდელს [ტაბ.III,4]. ის სუბმიკენური პერიოდის (ძვ.წ. 1100 წ. შემდგომ) კარპის ნამოსახლარზე (საბერძნეთი) აღმოჩენილი უნიკალური სახის არტეფაქტია (Егейское искусство, 1972): табл.104).

ასევე, გამორჩეული ნიმუშია ძვ.წ. 1700-1450 წლების ბრინჯაოსაგან დამზადებული ფიგურა, რომელიც ცნობილია ხარის და აკრობატის სახელით. ეს არის მინოსური ხელოვნების ძალზე დინამიკური ნიმუში, მოძრაობაში, ნახტომის პოზაში მყოფი ხარისა, მის თავზე მთელი ტანით გაჭიმული აკრობატით, რომელიც ორივე ფეხით მის ზურგზე გადმოსვლას ცდილობს [ტაბ. IV,5] (Aruz, 2008, p. 135), cat.no.74). ამ გამორჩეულად პლასტიური ბრინჯაოს ფიგურის გარკვეულ პარალელად შეიძლება მივიჩნიოთ კნოსოსის აკრობატის ფრესკა, სადაც ხარისა და ადამიანის კომპოზიციაა და, ვფიქრობთ, ის კიდევ ერთხელ მეტყველებს, რომ ხარი საკმაოდ აქტუალური თემა იყო ეგეოსური ცივილიზაციის საკულტო აქტივობაში. ეგეოსური სამყაროს გამორჩეულ ნიმუშადაა მიჩნეული ძვ.წ. მე-15 საუკუნით დათარირებული ვაფიოს ოქროს თასები, რომელთა ბარელიეფით შესრულებულ რთულ სიუჟეტებზე ცენტრალური ადგილი აქვს დათმობილი სხვადასხვა კომპოზიციაში გადმოცემულ ხარების გამოსახულებებს [ტაბ.VI,2; VI,3] (Егейское искусство, 1972): табл.139-140). ვაფიოს ამ ცნობილ საკულტო თასებზე მოცემული ხარების ბარელიეფები ასევე მინიშნებაა ამ ცხოველის გამორჩეული რელიგიური დატვირთვისა.

დასკვნა. ჩვენ მიერ წარმოდგენილი ხარის გამოსახულებათა უმრავლესობა, რომლის საკულტო-სარიტუალო ფუნქცია ეჭვგარეშეა, მიუთითებს მათი გამოსახვის მრავალფეროვან სტილისტურ თავისებურებებზე და ამავე დროს განსხვავებული მასალებითა და ფორმებით გადმოცემაზე, რაც დამახასიათებელი იყო კავკასიის, წინა აზიის სხვადასხვა რეგიონებისა და ეგეოსური ცივილიზაციის ძეგლებისათვის პრეისტორიული ხანის სხვადასხვა ქრონოლოგიურ მონაკვეთში ნეოლითის ხანიდან დაწყებული ვიდრე ძვ.წ. I ათასწლეულის ჩათვლით.

ხარის კულტის თავისებური ანარეკლია ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი კვლევა მითს („ტბაში მცხოვრები ხარის შესახებ''), ეპოსს („გილგამეში''), ლეგენდა-თქმულებებს („ზღაპარი ტბის ბინადარი ხარისა'' და „უზარმაზარ ხარზე''), წერილობით-ლიტერატურულ ძეგლებს („სტეფანე მტბევარი'', „ბასილი ზარზმელი''), ეთნოპრაქტიკას („ბოსლობა''), ტოპონიმიასა („სახარია'', „ოხოჯირი'', „ხართახევი'') და მატერიალურ კულტურაში (ტაბულების სახით თანდართული ფაქტოლოგიური არქეოლოგიური მასალით).

უნდა აღვნიშნოთ, რომ მხოლოდ ზემოთ მოტანილი მასალით ნამდვილად არ ამოიწურება ხართან დაკავშირებული მატერიალური კულტურის, თუ სხვა ნიმუშები, ცნობილი ძველი სამყაროს სხვადა-

სხვა რეგიონებიდან. ჩვენ მხოლოდ მათ გარკვეულ, თუმცა უმნიშვნელოვანეს მასალებს შევეხეთ ძველაღმოსავლური სამყაროს არაერთი რეგიონიდან, სამხრეთ და ჩრდილო კავკასიიდან და კრეტა-მიკენური ცივილიზაციიდან, რაც, ვფიქრობთ, საკმაოდ მრავალფეროვნად გადმოგვცემს ხარის როგორც საკულტო ცხოველის და გამორჩეული ძალის ფაუნისტური არსების მნიშვნელობას. ამ ცხოველის ამსახველი ნიმუშების დადასტურება მხატვრული ბრინჯაოს, კერამიკისა და ძვირფასი ლითონების მცირე პლასტიკის, ფრესკული მხატვრობის თუ არქიტექტურული ძეგლების მასალების მიხედვით მკაფიოდ უსვამს ხაზს მის მნიშვნელობას ძველი სამყაროს მსოფლმხედველობასა და აზროვნებაში. ასე რომ, ხარის ვიზუალიზაცია მატერიალური კულტურის ძეგლების მიხედვით უდავო მტკიცებულებაა მისი გამორჩეული როლისა ძველი სამყაროს სხვადასხვა მნიშვნელოვანი რეგიონის ცივილიზაციურ განვითარებაში.

ბიბლიოგრაფია:

ახვლედიანი ა. (1964,). ხარის კულტი აჭარულ ფოლკლორში. *მესამე სამეცნიერო სესია*. ბათუმი: მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები,.

ახვლედიანი, ნ. (2009). *ზანიზმები აჭარის ტოპონიმიაში*. ბათუმი: შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ახვლედიანი, ნ. (1999). *რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლები თბილისიდან*. თბილისი: საკანდიდატო დისერტაცია (ხელნაბეჭდი).

ახვლედიანი ნ., ინაიშვილი ნ., (2024). მთასთან დაკავშირებული გეოგრაფიული სახელების უძველესი ისტორიისა და ეტიმოლოგიის საკითხისათვის აჭარასა და შავშეთში, მოამბე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, 18 №2.

ახვლედიანი ნ., ფუთურიძე მ., (2020). მცენარეთა დასახელების მოტივაცია უძველესი ტოპონიმების ფორმირებაში. (CCS&ES), სამეცნიერო ამერიკული ჟურნალი, კროს კულტურული კვლევები, აშშ, კაუმანი 5(3) DOI: 10.24411/2470-1262-2020-10096

ბარდაველიძე, ვ. (1953). *ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები*. თბილისი: მეცნიერება.

ბსკიფა. (1980), ივლისი ბსკიფა, XI). თქმულება ხარზე. (აზ.ახვლედიანი, Interviewer).

ბსკიფა. (1962 წლის ბსკიფა, XI ივლისი). თქმულება ხარზე. ბათუმი, საქართველო.

გობეჯიშვილი, გ. (1952). *არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში*. . თბილისი: საბჭოთა საქართველო.

ზარზმელი, ბ. (1960). „ცხოვრება სერაპიონისა“ ჩვენი საუნჯე. (1960). (ტ. I). *ჩვენი საუნჯე. (ტ. I)*.

თამარაშვილი, მ. (1902). . *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდგან ვიდრე XX საუკუნემდე*. ტფილისი.

თანდილავა, ზ. (1978). ლეგენდა სოფელ ვერნებზე. *ჟურნალი „მაცნე'', ენისა და ლიტერატურის სერია, №2,*., გვ 64.

კიკნაძე, ზ. (1963). თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

კიკნაძე, ზ. (1963). *გილგამეშის ეპოსი*. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

კოტეტიშვილი, ვ. (1960). *ხალხური პოეზია*. თბილისი: საბჭოთა საქართველო .

მახარაძე, ზ. (2023). *ციხიაგორა*. თბილისი.

მახარაძე, ზ. კ. (2016). *ანანაურის №3 დიდი ყორღანი*. თბილისი.

მირცხულავა, გ. (2010). *მტკვარ-არაქსის კულტურის პრობლემები*. (ჯაფარიძე, Ed.) თბილისი: თბილისი.

მტბევარი, ს. (1960). გობრონის წამება. *ჩვენი საუნჯე (ტ I)*.

ნარიმანიშვილი, გ. (2009). *სიახლენი თრიალეთის კულტურაში*. თბილისი: მწიგნობარი.

ნასარიძე, ნ. (2017). ლიტერატურული მითოლოგიზმი გიუნტერ გრასის რომანში „თუნუქის დოლი''. *ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა*, 1.

ნოღაიდელი, ჯ. (1971). *ნარკვევები და ჩანაწერები (წიგნი 1)*. ბათუმი: გამომცემლობა საბჭოთა აჭარა.

ორჯონიკიძე, ა. (2015). *ადრეული ყორღანები საქართველოში.* თბილისი: მწიგნობარი.
რობაქიძე, ა. (1960). *მეფუტკრეობის ისტორიისათვის. .* თბილისი : საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
როდოსელი აპ. (1948). *არგონავტიკა.* თბილისი.
ფაღავა, მ, ცინცაძე,მ. ბარამიძე, მ. (2022). *ქართული ენის შავშური დიალექტი (გამოკვლევა, მასალები, ლექსიკონი.* თბილისი: მერიდიანი.
ფუთურიძე, მ. (2022). ზოომორფული ორნამენტული ტრადიცია და მისი ცვალებადობის დინამიკა ბრინჯაოს ხანის კულტურებში: აღმოსავლეთ საქართველოს შემთხვევა. *ცივილიზაციური ძიებანი.*
ყაუხჩიშვილი, ს. (1961). *ანტიკური ლიტერატურის ისტორია. თბილისი:.* თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
ჩიქობავა, ა. (1938). *ჭანურ – მეგრულ – ქართული შედარებითი ლექსიკონი.* თბილისი: თბილისი: მეცნიერება.
ჩიქოვანი, მ. (1944). აბუსერიძე ტბელის თხზულების ფოლკლორული წყაროები. *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, №7.*
ჩუბინიშვილი, ტ. (1965). *მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთის უძველესი კულტურა.* თბილისი: მეცნიერება.
ჯანაშია ს. ტ. III. (1959). კიდევ ერთი ნაშთი ხანმეტობისა. In *შრომები.* თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
ჯაფარიძე, ო. (1955). *ლითონის წარმოების ადრეული საფეხური საქართველოში.* თბილისი: მეცნიერება.
ჯაფარიძე, ო. (1969). თბილისი: საბჭოთა საქართველო.
ჯაფარიძე, ო. (Ed.). (1992). *საქართველოს არქეოლოგია.* (Vol. III). თბილისი: მეცნიერება.
ჯაფარიძე, ო. (2003). *საქართველოს ისტორიის სათავეებთან. პირველყოფილი ეპოქა.* თბილისი: თბილისი უნივერსიტეტის გამომცემლობა.
“ივერია“, გ. (№66 1894). კახეთის შესახებ. (ფშავლიშვილი, Interviewer)
Aruz. (2008). Bull Leaping.Beyond Babylon. In *Art, Trade and Diplomacy in the Second Millennium BC .* New York: Yale University Press, New Haven and London.
Black J., Green A. (1992). *Gods, Demons and Symbols of Ancient Mesopotamia.:.* London: The British Museum Press.
Collins, P. (2003). Al-Ubaid. In E. J. Wallenfels (Hrsg.), *Art of the First Cities. The Third Millennium BC From the Mediterranean to the Indus* (S. 84-88). New York: Yale University Press, New Haven and London.
Crawford, H. (2004). *Sumer and the Sumerians.* Cambridge: Cambridge University Press,.
Dictionary, B. M. (2000). *British Museum Dictionary of the Ancient Near East.* (E. B. Millard, Hrsg.) London: „ British Museum Press“.
Evans, J. (2003). Approaching the Divine Mesopotamian Art At the End of Third Millennium BC. In E. J. Wallenfels (Hrsg.), *Art of the First Cities. The Third Millennium BC From the Mediterranean to the Indus* (S. 417 – 441). New York:: Yale University Press, New Haven and London.
Gambashidze I. (2018). Die spätchalkolithische Siedlung von Orchosan (Südwestgeorgien), in: Gold & Wein. Die antiken Schätze Georgiens. In h. v. Hansen (Ed.). Nunerich-Asmus Ferlag Et Media,.
K., S. (2010). Göbekli Tepe – The Stone Age Sanctuaries. New Results of Ongoing Excavations With a Special Focus on Sculptures and High Reliefd. *Documenta Praehistorica, 37.*
Kehnscherper, G. (1980). *Kreta, Mykene, Santorin. Berlin:.* Leipzig: Urania-Verlag.
Lloyd. (1956). *Early Anatolia.* London : Penguing Books.
M.T., L. (2008). The Old Assyriam Merchant Colonies in: Beyond Babylon. In *Art, Trade and Diplomacy in the Second Millennium BC.* New York: Yale University Press,New Haven and London.
Marzahn, J. (1992). *The Ishtar Gate.* Mainz: Verlag Philipp von Zabern.

Matthiae P. Ebla and the Early Urbanization of Syria. in: Art of the First Cities. (2003). Ebla and the Early Urbanization of Syria. The Third Millennium BC From the Mediterranean to the Indus. In (. J. Wallenfels (Hrsg.), *Art of the First Cities.* New York: Yale University Press, New Haven and London,.

Müller-Karpe, A. (2008). The Hittite Empire. in: Beyond Babylon. In *Art, Trade and Diplomacy in the Second Millennium BC.* New York: „Yale University Press,New Haven and London“.

Őzgüç T. (1988). *Inandiktepe, An Important Cult Center in the Old Hittite Period.* Ankara.

Piotrovsky, Y. (2003). The Maykop (Oshad) Kurgan. The Third Millennium BC From the Mediterranean to the Indus. In Ed.by J. Aruz with R. Wallenfels (Hrsg.), *Art of the First Cities.* New York,: Yale University Press, New Haven and London.

Pittman, H. (2003). The Proto-Elamite Period. In E. J. Wallenfels (Hrsg.), *Art of the First Cities The Third Millennium BC From the Mediterranean to the Indus* (S. 42-55). New York: Yale University Press, New Haven and London.

Sagona, A.,Zimansky, P. (2009). *Ancient Turkey.* New York: Routledge.

Sayffert, K. (1930). *Biene und Honig im Volksleben der Afrikanern,.* Leipzig.

Woolley, L. (1934;). *Ur Excavations* (Bd. II). London.

Гамкрелидзе, Т. И. (1984). *Индоевропеиский язык и индоевропейцы* (Bd. часть II.). Тбилиси: мецниереба.

Гордлевский, В. (1909). Представление османцев о земле. *Этнографическое обозрение, №4*, 97.

Егейское искусство. (1972). Москва: издательство Изобразительное искусство.

Кузмина, Е. (1980). Этапы развития колесного транспорта в Средней (к проблеме миграции Индо-Иранских племен). *Вестник древней истории, № 4„* 11-35.

Куфтин, Б. (1941). *Археолонические раскопки в Триалети. Опыт периодизации памятников. .* Тбилиси: издательство академии наук Грузинской ССР.

Кушнарева, К. Ч. (1970). *Древние культуры южного Кавказа (V – III тыс. до н.э.).* Ленинград: Наука.

Кюмон, Ф. (1929). Мистерии Митри. *(Журнал «Атеист», №45,.*

Марковин, В., Мунчаев Р. (2003). *Северный Кавказ. Очерки древней и средневековой истории и культуры.* Москва: ИПП «Гриф и К».

Массон, В. (1997). *Майкопские лидеры ранных комплексных обществ на северном Кавказе в эпоху палеометалла.* Санкт-Петербург: Наука.

Мелларт, Д. (1982). *Древнейшие цивилизации Ближнего Востока.* Москва: Издательсво: Наука.

Мунчаев, Р. (1994). Куро-Аракская культура. Археология. Эпоха бронзы Кавказа и Средней Азии. Ранняя и средняя бронза Кавказа. Москва: Наука.

Резепкин, А. (. (1991). *Курган 31 могильника Клады. Проблемы генезиса и хронологии майкопской культуры. Древние культуры Прикубанья.* Ленинград: Наука.

Фрезер, Д. (1929). Тотемизм и его происхождение. *Журнал «Атеист»„* сс.18-49.

Чайлд, Г. (1956). *Древений восток в свете новых раскопок.* Москва: Наука.

ტაბულების აღწერილობა:

ტაბ. I

1. ორბორბლიანი ურმის მოდელი და მისი შემადგენელი დეტალები ბადაანის ნამოსახლარიდან
2. ბრინჯაოს საკიდები ურმის ბორბლებისა და ხარის რქების გამოსახულებით
   2.1 – ნაჩერქეზევიდან, საჩხერე; 2.2,6 – საჩხერის შუა ბრინჯაოს ხანის სამარხებიდან; 2.3 – ლურისტანიდან, ირანი; 2.4 – ქვაცხელას ნამოსახლარის B დონიდან, ურბნისი; 2.5,8 – ჩრდილო კავკასიიდან; 2.7 – საჩხერიდან.
3. მოხატული კედელი ხარის გამოსახულებით ჩათალ ჰუიუკის (ანატოლია) ნეოლითური ხანის ნამოსახლარის ერთ-ერთი ოთახიდან

4. შვიდი ხარის რქები, ჩამაგრებული ბათქაშის ბაქანზე ჩათალ ჰუიუკის VI დონის ნეოლითური ხანის ნამოსახლარიდან

ტაბ. II
1. შტანდარდის თავი – ხარის ვერცხლის ფიგურა მოზარნიშებული ოქროთი ალაჯა ჰუიუკის სამეფო სამარხიდან
2. ადრე ბრინჯაოს ხანის ხბოს კირქვის ფიგურა ებლადან (ტელ მარდიხი), სირია.
3. მდიდრული სამარხების დაკრძალვის რიტუალში ხარის თავის ქალების ჩატანების ტრადიცია: ალაჯა ჰუიუკის სამარხიდან (ანატოლია), ირგანჩაის №5 ყორღანიდან და თრელის №43 სამარხიდან (საქართველო)
4. ხბოს ფიგურა, მოთავსებული თიხის ჭურჭელში, უშუალოდ მომდგარი მის კარებთან, შუა ბრინჯაოს ხანის სამლოცველო აშკელონიდან (ისრაელი)
5. გვიან ურუქის პერიოდის ცილინდრულ საბეჭდავზე ორ რიგად გადმოცემული ხარების ჯგუფი, შუაში სარიტუალო (სანაყრე) ნაგებობით

ტაბ. III
1. ძვ.წ. 1950-1836 წწ. ხარის კერამიკული რიტონი ქიულ თეფე – კარუმ კანეშ II-დან (აშურის სავაჭრო კოლონია ცენტრალურ ანატოლიაში)
2. ძვ.წ. 1600 წ., ხარის თავის გამოსახულება კნოსოსისადან (კ. კრეტა)
3. თიხის, პლასტიკურობით გამორჩეული, ფეხზე მდგომი ხარის ფიგურა, კუნძულ ფსეირადან. ძვ.წ. მე-2 ათასწლეულის შუა ხანა
4. თიხის ჭურჭელი-რიტონი ეტლის სახით, შიგ შებმული სამი ხარით კარპის ნამოსახლარიდან (საბერძნეთი), სუბმინოსური პერიოდი, ძვ.წ. 1100 წ შემდგომი ხანა
5. ტყვიისაგან დამზადებული სახელურიანი საწონი ფეხზემდგარი ხარის ფიგურის ფორმის დასავლეთ ცენტრალური აზიიდან. გვიან მე-3 – ადრე მე-2 ათასწლეული
6. სპილენძის შენადნობის, ხისა და ბიტუმისაგან დამზადებული ხარის მდგომარე ფიგურა ნინჰურსანგას ტაძრიდან, ტელ ელ უბეიდი (მესოპოტამია), ადრედინასტიური III B პერიოდი, ძვ.წ. 2400-2250 წწ.

ტაბ. IV
1. სპილენძის შენადნობისა და ძვლისაგან დამზადებული ხარის თავის გამოსახულება მესოპოტამიიდან, ადრედინასტიური III პერიოდი, ძვ.წ. 2550-2250 წწ.
2. დარიშხნიანი სპილენძისა და ვერცხლისაგან დამზადებული ხარის ინკრუსტირებული ფიგურა მესოპოტამიიდან, ძვ.წ. მე-3 ათასწლეულის დასასრული
3. ძვ.წ. 14-13 საუკუნეების ხეთური კულტურის ვერცხლის რიტონი ხარის იდეალურად მოდელირებული გამოსახულებით ანატოლიიდან
4. ვერცხლის მუხლებზე დაჩოქილი ხარის გამოსახულება, ხელებში ჭურჭლით. პროტო-ელამიტური პერიოდის, ძვ.წ. 3000-2800 წწ. სავარაუდოდ, ქ. ურუქის აღმოსავლეთით რეგიონიდან (მესოპოტამია)
5. შუამინოსური პერიოდის, ძვ.წ. 1700 – 1450 წწ. ბრინჯაოს მრგვალი ფიგურა ხარისა და აკრობატის გამოსახულებით

ტაბ. V
1. ოქროსა და ვერცხლის შტანდარტის თავები მაიკოპის დიდი ყორღანიდან (ჩრდილო კავკასია)
2. ძველხეთური პერიოდის კერამიკული, წითლად ანგობირებული ხარის რიტონი ტოკატიდან (ანატოლია)
3. ძველხეთური პერიოდის საკულტო-სარიტუალო ვაზა, შემკული მოხატული ბარელიეფებით და მის მე-4 ფრიზზე მოცემული საკურთხეველზე მდგარი ხარის გამოსახულებით

4. ხეთური კულტურის ელიფსოიდური კორპუსის ცალყურა სასმისი ხარის თავის გამოსახულებიანი სამსხმელო პირით ინანდიკთეფედან (ანატოლია)
5. ძველხეთური პერიოდის საკულტო-სარიტუალო ვაზა ხარის ბარელიეფური გამოსახულებით ჰუსეინდედედან (ანატოლია)
6. ძველხეთური პერიოდის წითალდანგობირებული რიტონები ხარის გამოსახულებით ინანდიკთეფედან (ანატოლია)


ტაბ. VI

1. გვიან მინოსური I პერიოდის (ძვ.წ.1625-1450 წწ) ქლორიტისაგან დამზადებული ხარის თავის ორნამენტირებული ფიგურა, მაღალი ოქროს რქებით, კრეტიდან. ზაკროსი, სასახლე
2. ვაფიოს ოქროს ცალყურა თასი, ორნამენტირებული ხარის ბარელიეფური გამოსახულებით. ძვ.წ. მე -15 საუკუნე
3. დეტალი ვაფიოს ოქროს თასიდან, ორნამენტირებული ჰერალდიკურ პოზაში მდგომი ორი ხარის ბარელიეფით. ძვ.წ. მე – 15 საუკუნე
4. კნოსოსის სასახლის (კ.კრეტა) ფრესკა ხარისა და აკრობატის გამოსახულებით. გვიანმინოსური II – III A პერიოდი
5. ოქროსა და ვერცხლისაგან დამზადებული საკულტო ჭურჭელი ხარის თავის სკულპტურული გამოსახულებით მიკენის №4 შახტური სამარხიდან, გვიანმინოსური პერიოდის დასაწყისი
6. ქვის საკურთხეველი, ხარის რქების საკულტო ძეგლი კნოსოსოს სასახლიდან (კრეტა)
7. ოქროს, ვერცხლის, ლაპის-ლაზურის, ნიჟარის, ბიტუმისა და ხისაგან დამზადებული ადრედინასტიური III A პერიოდის, ძვ.წ. 2550-2400 წლების ურის (შუმერი) მეფის სამარხში აღმოჩენილი „დიდი ლირის“ საფასადო, ინკრუსტირებული პანელი ხარის თავის გამოსახულებით


ტაბ. VII

1. იშთარის ტაძრის კარიბჭის (ბაბილონი) საერთო ხედი, ექსპონირებული ბერლინის პერგამონის მუზეუმის წინა აზიის განყოფილებაში
2. ხარისა და დრაკონის გამოსახულებათა ბარელიეფები იშთარის ტაძრის ფასადზე (ბაბილონი). პირველი ნაგებობის ფაზა
3. ხარის ბარელიეფი, დაფარული ბრტყელი ჭიქურის ტექნიკით იშთარის კარიბჭის ფასადზე (ბაბილონი). მეორე ნაგებობის ფაზა

ტაბულა 1



1



2



3



4


ტაბულა 2



2



1



3



4



5

ტაბულა 3


1


2


3


4


5


6


ტაბულა 4


1



2


3


4


5

ტაბულა 5


1


2


3


4


5



6

ტაბულა 6


1


2


3


4


5


6


7

ტაბულა 7



1



2



3

CULT OF BULL AND THE ASPECTS OF ITS MANIFESTATION IN INTERDISCIPLINARY RESEARCH

NARGIZ AKHVLEDIANI
PhD in Philology, Chief Researcher at the Department
of Folklore, Dialectology and Emigrant Literature
of Niko Berdzenishvili Institute of Batumi
Shota Rustaveli State University
E-mail: nargiz.akhvlediani@bsu.edu.ge
ORCID: 0000-0002-3787-9195

MARINA PUTURIDZE
PhD in History, Assocciate Professor at the Faculty of
Humanities of the Tbilisi Ivane Javakhishvili State University
E-mail: marinaarchaeology@yahoo.com
ORCID: 00001-0002-6109-3157

Abstract. The subject of our research is the interdisciplinary aspects of the cult of the bull, supported by various fields of humanities. Until now, researchers have examined the topic of the bull cult from specific perspectives, but in this case, we aim to address the issue from the viewpoint of interdisciplinary boundaries between different sciences. This article highlights the fascinating manifestations of the bull cult in folklore, myths, and legends, as well as in ethnography, archaeology, and toponymy. To fully portray its existence, we broadly explore diverse artifacts from different periods found in the material culture of the expansive regions of the Caucasus and the Near East.

Keywords: Linguistics, Archaeology, Bull Cult, Etymology.

* * *

Introduction. The mythological world of the peoples of the world, including the ancient Georgian one, is particularly rich in data related to the bull. Myths usually have a long history and store a great deal of material because interest in myths has been significant at every stage of history and will remain so. Myths have great aesthetic potential, which allows for the use of mythical motifs and archetypes in various forms in literary art. At the same time, a myth is not a purely sacred text that would be impossible to touch or alter in even the slightest way. (Nasaridze, 2017, p. 1). There is hardly any people whose development at a certain stage did not reflect an abundant depiction of the animal world in their religion or art. It is known that before gods were depicted in anthropomorphic forms in human imagination, they were represented in zoomorphic forms. People sought to keep gods represented as animals close to them and also depict them in material culture. As a result, various cultures have preserved a wide variety of depictions, with the bull being one of the most relevant and widespread.

Review of Sources/Literature. Interest in the topic has been evident since the last century. The issue was studied from specific perspectives by Georgian and foreign researchers: Iv. Javakhishvili, N. Berdzenishvili, S. Qavchishvili, Al. Robakidze, G. Chitaia, O. Jafaridze, D. Khakhutaishvili, A. Inashvili, A. Kakhidze, Z. Tandilava, V. Bardavelidze, A. Akhvlediani, D. Fraser, F. Kiumoni, M. and N. Tieres, and others. It is particularly noteworthy that certain animals, especially those that played a significant role in human economic life, were revered as sacred objects. The bull was one such animal, and we will present a range of data from various fields and try to portray it with a diverse palette. (For interdisciplinary research, see our article: N. Akhvlediani, N. Inaishvili, 2024:174-178; N. Akhvlediani, M. Puturidze). (N.Akhvlediani, N. Inaishvili, 2024) (N.Akhvlediani, M.Puturidze, 2020).

Methodology: Based on the goals of the research, we initially began collecting source material according to local-dialectal data descriptions. We critically approached existing scientific views. During the search process, we generalized all specific and concrete reasoning by comparing it with the available scientific literature. Through scientifically justified research and interpretation, we analyzed the obtained results. While working on the article, we also applied descriptive, analytical, and historical-comparative methods.

Discussion/Results. The bull is one of the main characters in ancient mythology (Akhvlediani A. , 1964, pp. 21-22). We find the preserved myths and legends about the bull to be of particular interest, as they were considered significant and preserved by researchers in their archives. We present the following from them: According to the recorded legends still available today, the narrator says: We used to allow the bull to rest on Fridays. In ancient times, when God yoked the bull, it would roam freely until it became tired. Wherever it stopped, a boundary was drawn there. When the tired bull shed a tear, it would fall to the ground, and where the tear landed, a bean plant would sprout – marking the boundary. After that, the bull was given one or two days of rest each week. The material was recorded by A. Akhvlediani. The speaker-informant: from K. Gogitidze, in the village of Tskhemvani, in 1962 (Bskifa, 1962, p. 3).

Such legends have been recorded in the village of Vernebi, and also in Khino, by T. Sakhokia in „Bugha-Golshi-C.“ Their main location, as we see, is defined by the mountains of Adjara-Arsiani, although we also have a Georgian variant under the pseudonym of Pshavlashvili: In ancient times, the area of present-day Kakheti was once a sea, which had come from some other sea and settled in Kakheti. The reason for the sea's drying up is explained by the following legend: when the sea stood in Kakheti, Saint George of Bochorma (a place in Kakheti) had a bull's calf, who would sometimes disappear and return with bloody horns. It is said that the calf was battling a sea serpent that had come from the sea. When Saint George's people (the inhabitants, the congregation...) heard of this, they adorned the bull's horns with diamonds. The serpent could not withstand the touch of the diamond-encrusted horns and was defeated in the battle. It was so badly defeated that it fell and, in its fear, slid so strongly into the sea that it couldn't stop itself. It crashed into the hill that stretches along the end of Shiraki (a pasture, a place in Kakheti), between two rivers, where the Alazani and Iori now rustle, and the sea was retained there. The serpent collided exactly with this hill and broke it apart. As a result, the sea receded, and Kakheti was freed from the water. The population descended and settled the land. (“Iveria“, 1894).

According to the Adjarian folklore, in the lake there is sometimes a serpent-like creature, but in most cases, there is a bull – the inhabitant of the lake, which fights, wrestles with the villagers' bull/bulls and defeats them. The villagers' bulls, exhausted and hungry, would return home, and the frustrated owners would often put copper swords on their bulls' horns, as a result of which the latter would defeat the lake's inhabitant – the bulls. As a result „The lake rises and floods the area“, Often, the entire village is abandoned, and what remains is the deserted settlement – Vernebi. Popular etymology explains the name of the village of Vernebi in this way. However, Verana/Vernebi is common in this region, and their abandonment dates back to a relatively recent historical period (Tandilava, 1978, p. 64). According to almost all the legends, after the lake's bull is defeated by the metal weapon made by humans (iron, copper, or diamond), the area is eventually reclaimed. Even in completely clear weather, a heavy downpour (storm) will come and flood everything nearby, but if there is no owner nearby, a different punishment awaits: 'his seed will no longer remain,' meaning it will pass without an heir, and the surname will virtually disappear. As a result of the bull's (or serpent's) death in the water, similar events are not only verified in Georgian reality. According to J. Frazer, the native Aramungs of central Australia, whose totem animal is the whale, believe that the killing of this creature will bring them great misfortune. Therefore, they pray to it and offer sacrifices (Frazer, 1929: 9, 18-20). As we can see, the blacksmith not only prays and offers a sacrifice to the 'sacred bull,' but through the tamed bull, he

delivers a deadly blow, and the result, as we know, is severe. It is known that a raised hand against the 'sacred bull,' or the deified bull, is severely punished. Analogies exist: 'Indeed, the gods severely punished Cambyses (the Persian king) when he killed the holy bull Apis in Egypt during his campaign (524 BC), while the Egyptians were celebrating it' (Kaukhchishvili, 1961, p. 263).

In the villages of Shavsheti, they also tell tales about the bull that lives in the lake. Variations of this story can be found in various regions of Georgia. Among them, in the lands of the Chorokhi, a similar story was recorded in Shavsheti: „There was a bull and a girl in the lake. The girl had braids that reached her waist. At the same time, in the village of Mikeleti, there was boiling water, so hot that it throws stones out, bubbling, and no one can approach the lake. This water gives a child to a childless woman.“ (Phaghava, M., Tsintsadze, M., Baramidze, M., 2022, p. 319)

Let's recall the ancient epic „Gilgamesh“: Gilgamesh was attracted to the goddess of love, Ishtar. Gilgamesh rejects her affection. Offended, Ishtar asks the god Anus to create a celestial bull to destroy the arrogant (conceited) Gilgamesh. His father granted her wish, sent the mythical bull, and sent it to his son. The celestial bull arrived at the Euphrates. It drank seven gulps and caused the river to dry up. (Kiknadze Z., 1963: 51-52).

However, Enkidu, who was thrilled by his victory (having defeated the bull), verbally insulted the mourning goddess and even threw the dead bull's horns at her. Ishtar climbed to the top of the wall of Uruk and cursed Gilgamesh. She tore off the bull's horns and threw them.

In an earlier fairy tale recorded and published by J. Noğaideli, there is a story about a gigantic bull whose „hind legs were in Khulo, and its front legs were in Kakheti.“ When this giant bull is eaten by an equally giant bird, a single horn remains, „and when it falls, the village shakes“ (Noghaideli, 1971, p. 110). There are other versions of the earthquake caused by the bull, according to which the Earth is on the bull's horn, and the bull, bothered by a persistent fly, shakes its head, causing the Earth to quake. This tale is more Eastern in origin and is considered to have entered Georgia via Turkish routes (Gordlevsky, 1909, p. 97).

Literary-Written Monuments: A peculiar reflection of the bull cult can be found in the literary-written monuments in the episodes describing the deluge. In Basil Zarzmeli's „The Life of Serapion,“ we read:

Munchayev, R. (1994). *Kura-Arax Culture. Archaeology. The Bronze Age of the Caucasus and Central Asia. Early and Middle Bronze of the Caucasus.* Moscow: Science. // Munchaev, R. kura-arakskaja kul’tura. Arkheologija. epokha bronzi kavkaza i srednei azii. ranjaja i srednjaja bronza kavkaza. Moskva: nauka

Narimanishvili, G. (2009). *Innovations in the Culture of Trialeti.* Tbilisi: Writer. // Narimanishvili, G. Siakhleni trialetis kulturashi. Tbilisi: mtsignobari

Nasaridze, N. (2017). *Literary Mythologism in Günter Grass’s Novel „The Tin Drum.* National Scientific Library,. Retrieved from http://openlibrary.ge/handle/123456789/6340 // Nasaridze, N. Literaturuli mitologizmi giunter grasis romanshi „tunukis doli“. Tbilisi. Link: *HYPERLINK „http://openlibrary.ge/handle/123456789/6340“* http://openlibrary.ge/handle/123456789/6340

Noghaideli, J. (1971). *Essays and Records (Book 1).* Batumi: Publishing House of Soviet Adjara. // Noghaideli, J. narkvevebi da chanatserebi (tsigni 1). Batumi: gamomtsemloba sabchota achara

Orjonikidze, A. (2015). *Early Korgans in Georgia. .* Tbilisi: Writer. //Orjonikidze, A. adreuli qhorghanebi sakartveloshi. Tbilisi: mtsignobari

Őzgüç T. (1988). *Inandiktepe, An Important Cult Center in the Old Hittite Period.* Ankara.

Phaghava, M., Tsintsadze, M., Baramidze, M. (2022). *The Svansur Dialect of the Georgian Language (Study, Materials, Lexicon).* Tbilisi: Meridian. // Paghava, M., Tsintsadze, M., Baramidze M. Kartuli enis shavshuri dialekti (gamokvleva, masalebi, leksikoni). Tbilisi: merediani

Piotrovsky, Y. (2003). The Maykop (Oshad) Kurgan. The Third Millennium BC From the Mediterranean to the Indus. B Ed.by J. Aruz with R. Wallenfels (Ред.), *Art of the First Cities.* New York,: Yale University Press, New Haven and London.

Pittman, H. (2003). The Proto-Elamite Period. B E. J. Wallenfels (Ред.), *Art of the First Cities The Third Millennium BC From the Mediterranean to the Indus* (стр. 42-55). New York: Yale University Press, New Haven and London.

Puturidze, M. (2022). Zoomorphic Ornamental Tradition and its Dynamics of Change in the Bronze Age Cultures: The Case of Eastern Georgia. *Civilizational Explorations.* // Puturidze, M. Zoomorpuli ornamentuli traditsia da misi tsvalebadobis dinamika brinjaos khanis kulturebshi: aghmosavlet sakartvelos shemtkhveva. *Civilization Researches.* (№ 17, pp.7-22). Tbilisi: tbilisis sakhelmtsipo universitetis gamomtsemloba

Rezepkin, A. (1991). *Mound 31 of the Burial Ground, Treasures. Problems of the Genesis and Chronology of the Maykop Culture. Ancient Cultures of the Kuban Region.* Leningrad: Science. // Rezepkin, A. kurgan 31 mogil’nika Klady. Problem genezisa i khronologii maikopskoi kul’turi.

drevnie kul'turi Prikuban'ja. Leningrad: nauka
Robakidze, A. (1960). *On the History of Beekeeping.* Tbilisi: Publishing House of the Academy of Sciences of the Georgian SSR. // Robakidze, A. meputkreobis istoriistvis. Tbilisi: sakartvelos metsnierebata akademiis gamomtsemloba
Rodoseli, A. (1948). *Argonautica.* Tbilisi. // Rodoseli Ap. Argonavtika. Tbilisi
Sagona, A.,Zimansky, P. (2009). *Ancient Turkey.* New York: Routledge.
Sayffert, K. (1930). *Biene und Honig im Volksleben der Afrikanern,.* Leipzig.
Schmidt, K. (2010). Göbekli Tepe – The Stone Age Sanctuaries. New Results of Ongoing Excavations With a Special Focus on Sculptures and High Reliefd. *Documenta Praehistorica, 37*.
Tamarashvili, M. (1902). *History of Catholicism Among Georgians. With the Introduction of Authentic Documents and Explanations from the 13th Century to the 20th Century.* Tbilisi. // Tamarashvili, M. Istoria katolikobisa kartvelta shoris. Namdvilis sabutebis shemotanita da ganmartebit XIII saukunidgan vidre XX saukunemde. Tpilisi
Tandilava, Z. (1978). Legend of the Village of Vernisi. *Journal „Matsne", Language and Literature Series, No. 2*. // Tandilava, Z. legenda vernebze. *zhurnali „matsne", enisa da literaturis seria* (№2, 83.64). Tbilisi
Treasure, O. (1960). Tbilisi. // Chveni Saunje, 1960, Tbilisi.
Woolley, L. (1934). *Ur Excavations* (T. II). London.

Discription of Tables:

Tab.I

1. Model of two wheeled chariot and its details from the Badaani settlement
2. Bronze pins expressing the wheels and horns of the bull
   2.1– From Nachekezevi, Savjkhere; 2.2,6 – From Sachkhere Middle Bronze Age burials;
   2.3-From Luristan, Iran; 2.4 – From B layer of Kvatskhela settlement, Urbnisi;
3. 2.5,8 – From north Caucasus; 2.7 – From Sachkhere
4. Painted wall expressing the bull from one of the room of Neolithic Age Çatal Höyük (Anatolia) Settlement
5. Horns of seven bulls set on clay platform of Neolithic Age VI layer settlement of Çatal Höyük (Anatolia)

Tab.II

1. The head of standard representing a gold-plated silver figurine of bull
2. Figurine of limestone recumbent calf from Early Bronze Age Ebla settlement (Tell Madrich), Syria
3. Burial tradition with bull's skulls: from rich burials of Alaça Höyük (Anatolia), Irganchay №5 kurgan and Treli №43 burial (Georgia)
4. Figurine of bull model inside the clay vessel and standing at the door. From Middle Bronze Age sanctuary from Ashkelon, Israel.
5. Group of bulls represented on a late Uruk period cylinder seal with a ritual construction in middle

Tab. III

1. Clay rhyton of bull of the 1950-1836 cc BC from Kül-Tepe – Karum Kane□ II (Assur trade colony in Anatolia)
2. Impression of bull's head of the 1600 c. BC from Knossos (Krete)
3. Middle II millennium clay standing figurine of bull from island Pseiry
4. Clay vessel-rhyton, expressing the chariot with three bulls from Karpi settlement (Greece), sub-Mycenaean period, after 1100 c. BC
5. Plumbic handled weight of a shape of standing bull's figurine from western Central Asia, late III-early II millennium BC

6. Standing figurine of a bull, modeled by copper, wood and bitumen from the Ninhursanga Temple, Tell El-Ubeid (Mesopotamia) of the Early Dynastic III B period, 2400-2250 BC

Tab. IV

1. Head of bull, modeled by copper and bone from Mesopotamia of the Early Dynastic III period, 2550-2250 cc. BC
2. Bull's incrust figurine, modeled by arsenic copper and silver from Mesopotamia, end of the III millennium BC
3. Silver rython of bull of the Hittite culture from Anatolia, 14-13 cc.BC
4. Silver figurine of kneeling bull holding the vessel. Proto-Elamite period, 3000-2800 cc. BC, probably, located to east region from city Uruk (Mesopotamia)
5. Bronze figurine of bull and acrobat of the middle-Minoan period, 1700-1550 cc. BC

Tab. V

1. Silver and gold standard's heads from Maykop great kurgan (North Caucasus)
2. Red engobe rhyton of bull of the Old Hittite period from Tokat (Anatolia)
3. The cultic-ritual vase of Old Hittite period, ornamented with painted low-reliefs with the standing on the altar bull expressed on a 4 th frieze
4. An ellipsoid shape one handled spouted vessel with the pull's head on a mouth of the Hittite culture from Inandiktepe (Anatolia)
5. The cultic-ritual vase with bull's low-relief of the Old Hittite period from Hüseyindede (Anatolia)
6. The red engobe rhytons expressing the bull of the Old Hittite period from Inandiktepe (Anatolia)


Tab. VI

1. Late Minoan I period (1625-1450 cc. BC) ornamented figurine of bull's head with the golden high horns from Crete. Zakros, palace.
2. One handled gold vase of Vapio ornamented with bull's low-reliefs. XV century BC
3. The detail of Vapio vase ornamented with low-relief standing two bulls in Heraldic position
4. Fresco, expressing the bull and acrobat of Late-Minoan II-III A period from Knossos palace (Crete)
5. Cultic vessel of a bull's head modeled by gold and silver from Mycenaean №4 shaft-grave of the beginning of late-Minoan period
6. The stone altar. A cultic statue of the bull's horns from Knossos palace (Crete)
7. Incrused facade panel of golden bull's head of the Early Dynastic III A period (2550-2400 cc. BC) „great Lyre" from king's burial of Ur modeled by gold,silver, lapis-lazuri,shell, bitumen and wood


Tab. VII

1. General view of the Ishtar Gate (Babylon) exposed in Near Eastern department of the Pergamon Museum
2. The low-reliefs of bull and dragon expressed on a facade of the Ishtar Temple (Babylon). Stage of the first building
3. The low-relief of bulls covered with the flat glazed technique from the Ishrar Temple facade (Babylon), stage of the second building

Table 1



1



2



3



4


Table 2



2



1



3



4



5

Table 3



1



2



3



4



5



6

Table 4



1




2



3




4



5

Table 5



1



2



3



4



5



6


Table 6




1



2



3



4



5



6



7

Table 7



1



2



3

ხატოვანი სიტყვა-თქმები ორი ხეობის მიხედვით (დანდალო, მერისი)

ცისნამი ბერიძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
ფოლკლორის დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის
კვლევის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი
ელ. ფოსტა: tsisnam.beridze@bsu.edu.ge
ORCID: 0009-0005-8200-1668

აბსტრაქტი: ხატოვანი სიტყვა-თქმები გადმოგვცემენ გარკვეულ მოკვეთილ აზრს და ალეგორიული თუ გადატანითი მნიშვნელობა აქვთ. მათ ხშირად იყენებენ მწერლობაში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ხატოვანი სიტყვა-თქმები ფართო ადგილს იჭერს ყოველდღიურ მეტყველებაშიც.

ყველა ენას აქვს მისთვის დამახასიათებელი ხატოვანი სიტყვა-თქმა, რათა უკეთ გამოხატონ საკუთარი სათქმელი, ემოცია... ხატოვანი სიტყვა-თქმების შესწავლა რთული საკითხია, ვინაიდან ის უკავშირდება შემქმნელი ხალხის ისტორიას, კულტურას, თვითმყოფადობას.

ხატოვანი სიტყვა-თქმებით მდიდარია ქართული დიალექტები, მათ შორის აჭარულიც, რომელთა შესასწავლად არაერთი კვლევა, შრომა, სტატია თუ მონოგრაფია შეიქმნა. აღსანიშნავია, მ. ხუბუას, ალ. ღლონტის, შ. ნიჟარაძის, შ ძიძიგურის, ა. თაყაიშვილის, ჯ. ნოღაიდელისა და სხვათა გამოკვლევები (ფუტკარაძე, 2010: 71), თუმცა ხატოვანი თქმების რიცხვი იმდენად დიდია, რომ მათი სრულყოფილად შესწავლა მაინც ვერ მოხერხდა, რადგანაც „ტრადიციულ ენათმეცნიერებაში ნაკლები ყურადღება ექცევა დიალექტური ფრაზეოლოგიის შესწავლას... არ არსებობს ცალკეული დიალექტის ლექსიკონები“ (ცეცხლაძე, 2018: 9). შესასწავლად საჭიროა ცალკეული დიალექტების მიხედვით ხატოვანი სიტყვა-თქმებისა თუ ფრაზეოლოგიზმების შეგროვება, ანალიზი, სინთეზი და გამოცემა. „ხალხური ხატოვანი სიტყვა-თქმების შესწავლას გარკვეული სიძნელეები ახლავს. ამ სახის ლექსიკა ცოცხალ მეტყველებაზე ხანგრძლივ და სისტემურ დაკვირვებას მოითხოვს, მსგავსი მასალის უხვად მოპოვება შეიძლება ხალხთან უშუალო ურთიერთობისას, როცა საუბარი ლაღად, ძალდაუტანებლად ვითარდება და ყოველდღიურ ცხოვრებისეულ საკითხებს ეხება“ (ნოღაიდელი, 2007: 6).

აღნიშნულ სტატიაში წარმოდგენილია ხატოვანი სიტყვა-თქმები, რომლებიც ზემო აჭარის ორი ხეობის (მერისი, დანდალო) ცოცხალ მეტყველებაზე დაკვირვების შედეგად გამოვლინდა.

საკვანძო სიტყვები: ორი ხეობის; ხატოვანი სიტყვა-თქმები; კულტურული მემკვიდრეობა, მერისი, დანდალო.

* * *

შესავალი. ზემო აჭარის ორივე ხეობა (მერისი, დანდალო) უმნიშვნელოვანესი, ისტორიული, ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის ადგილია. სტატიაში წარმოდგენილი ხატოვანი სიტყვა-თქმები ასახავს ხეობების უნიკალობას და მოსახლეობის ენასა და კულტურაში ღრმად ფესვებგადგმულ ყოფით და რელიგიურ წარმოდგენებს. ამ თემის შესწავლა **აქტუალურია,** რადგან ქართული დიალექტი დავიწყებას ეძლევა და მისი დაცვა და შენახვა თითოეული ქართველის ვალია.

სტატიის, „ხატოვანი სიტყვა-თქმები ორი ხეობის მიხედვით (დანდალო, მერისი)“ **მიზანია,** ზემო აჭარულისთვის დამახასიათებელი ხატოვანი სიტყვა-თქმების შეგროვება, ჩაწერა, დამუშავება, რათა გამოვიკვლიოთ და გავაანალიზოთ როგორ გამოხატავს ხატოვანი ენა ადგილობრივ კულტურულ და ბუნებრივ გარემოს. აღნიშნულთან დაკავშირებით ზემო აჭარის ხეობებში ჩავიწერეთ ტექსტები, სადაც გამოვლინდა ძალიან ბევრი საინტერესო და სახასიათო ხატოვანი სიტყვა-თქმა.

სტატიის **მეცნიერული სიახლეა,** შევძლოთ სიტყვა-თქმების სისტემური ანალიზი, რაც დაეხმარება რეგიონის კულტურული ენის თავისებურებების უკეთ გაგებას. აგრეთვე, კვლევა ხელს შეუწყობს ხეობის მეტაფორული ენის განხილვას, როგორც კულტურულ, ასევე ლინგვისტურ კონტექსტში.

კვლევის მეთოდები: სტატიის შექმნისას გამოვიყენეთ ემპირიული მასალის დამუშავების, ისტორიულ-შედარებითი, აღწერის, ანალიზის, სინთეზის მეთოდები.

მსჯელობა. როგორც უკვე აღვნიშნეთ ორივე ხეობა (მერისი, დანდალო) მდებარეობს ზემო აჭარაში, კერძოდ, მერსი მდებარეობს ზღვის დონიდან 700 მეტრ სიმაღლეზე. იგი მოიცავს შემდეგ სოფლებს: გარეტყე, გუნდაური, ინაშარიძეები, მერისი, ნამონასტრევი, სიხალიძეები, სილიბაური. დანდალო მდებარეობს აჭარის ქვაბულში, მდინარე აჭარისწყლის მარცხენა მხარეს. იგი მოიცავს შემდეგ სოფლებს; ბალაძეები, გოგიაშვილები, დანდალო, მოსიაშვილები, ტაკიძეები, ხარაულა, ჯალაბაშვილები. სტატიაში წარმოდგენილი ხატოვანი თქმები სწორედ ორივე ხეობის სოფლებში ჩაწერილ ცოცხალ მეტყველებაზე დაკვირვების შედეგადაა გამოვლენილი. ორივე ხეობის ქართული მთელი რიგი ენობრივი თავისებურებებით ხასიათდება. თავისებურია ლექსიკური მხარეც.

საილუსტრაციოდ დავასახელებთ რამდენიმე ხატოვან სიტყვა-თქმას:

აგიყვავდა ხელები – დალოცვის ფორმა: „ღმერთმა იგიყვავა მაი შენი ხელები“ (მერისი); „იარეპმა იგიყვავა ხელები (დანდალო)“. .

აკვანი ხომ არ მირწია – შრომა არ დამიხარჯავს, არ შევწუხებულვარ: „**მაგის აკვანი ხომ არ მირწია,** ხომ არ შევაკვდები (მერისი)“. შდრ.: „რამე დიემართება?! ჯავრი არ მაქ, ახლა მაგიც ვიდარდო, მაგისთვის აკვანი ხომ არ მირწია“ (ფუტკარაძე, ნოღაიდელი, 2022: 22-23).

ამაღებია ხელი – უინტერესო, ზერელე: „სულ დიმიღუპა ოჯახი, ამაღებია ხელია“ (დანდალო).

ამომავალ მზეს თავიდან ეტყობაო – „მე მაშინვე მივხვდი, რაფერი გოგო იქნება, ძველებს უთქმიან, ამომავალ მზეს თავიდან ეტყობაო“ (მერისი); „ინსანს შეხედავ, მაშინათველაი მიხტები ვინაა. ნათქვამია, ამომავალ მზეს თავიდან ეტყობაო (დანდალო)“.

ბაირამი აქვთ – გახარებული არიან: „მოსათიბ ჭალაში შუუშვი ძროხები და ბაირამი აქვან (დანდალო)“. შდრ.: „დღეს მაგას მაგრათ გუუმართლა, ყველაფრის გაკეთება მუასწრო და ბაირამი აქ“ (ნოღაიდელი, ფუტკარაძე, 2022: 26).

ბალზეა და ტყემალს ჭამს – ვერაფერს ხვდება, საქმეში ვერ ერკვევა: **„**ხალხი რა დღეშია და ის ბალზეა და ტყემალს ჭამს, ხებერი არ აქ“ (დანდალო); **„**თურქეთი დეიქცა და ხებერშიც არ არიან, ბალზე არიან და ტყემალს ჭამენ“ (მერისი). (შდრ. ნოღაიდელი, ფუტკარაძე, 2022: 26).

ბევრს ერახუნება – ბევრი ლაპარაკი, უსარგებლო საუბარი: „იი, რა ტყვილაი ბევრს ერახუნება“ (მერისი).

გაიხედავ ფეხითითებში – გარდაიცვლები: „ამდენს იწვალეფ და ერთი ნახავ რომ გეიხედავ ფეხითითებში“ (დანდალო).

გარედან ხორუმი ადვილია – „ვინცხამ არ იცის რამდენი წვალება აქ ამ თუთუნს, მისთვის გარედან ხორუმი ადვილია“ (მერისი); „იმდენი საქმე აქ ამ ფუტკრების მოვლას, გარედან ხორუმი ადვილია“ (დანდალო).

გულზე არ ეხატება – არ მოწონს: „ძალი არ მოწონს, დიდად გულზე არ ეხატება, მარა რა ქნას, შვილის ხათრისთვინ ითმენს“ (მერისი).

გულზე ცეცხლის შენთება – ნერვიულობა: „იმფერს ვნერვიულოფ, გულზე ცეცხლი მაქ შენთილი“ (მერისი); „რაის ჭამა მინდა ახლა მე, გულზე ცეცხლი მაქ შენთილი“ (დანდალო).

გული გადემელია – დიდხანს ლოდინი: „ჰა წაი ამდენი ხანი, გული გედემელია“ (მერისი); „გოვ ამდენი მოლოდინით, გული გედემელია“ (დანდალო).

გულის დაღამება – მოშივება: „რაცხა დღეს მალე დამაღამა გულ“ (მერისი).

დაიბჯგინა ფეხები – გაჯიუტდა: „ვერაფერი ვუშველეთ, დაბჯგენილი აქ ფეხები“ (მერისი).

დანა პირს არ უხსნის – გაბრაზებულია, არაფერს ამბობს: „იმფერი გაბრაზებულია, დანა არ უხსნის პირს“ (მერისი).

დანა ყირყიტონში – დაკვლა: „ამანაც თუ არ უშველა, დანა ყირყიტონში“ (დანდალო).

დაწყვეტილი არიან – „იმდენს შრომობენ, დაყვეტილი არიან“ (მერისი).

დღე მიწაში არ წაგყვება – უდროოდ არ მოკვდება: „ის კაცი გადარჩენილა, დღე მიწაში არ წაყვება კაცს“ (მერისი), „ის სამი თვის ბაღანა ხის ტოტზე ჩამოკიდებულიყო და გადარჩა, დღე მიწაში არ წაგყვებაო“ (დანდალო).

ენაზე კბილის დაჭერა – გაჩუმება: „ენაზე კბილი დააჭერინა“ (მერისი); „ჯობია ენას კბილი დავაჭირო“ (დანდალო).

ენით მოკლა – ცუდი საუბარი: „იმფერი მწარე სიტყვები უთხრა, ენით მოკლა კაცი“ (მერისი).

ენის წაგრძელება – შეპასუხება: „მასწავლებელს ენას ვუგრძელებდი“ (მერისი); „ნახავს მერე რაფერ უნდა ენის წაგძელება“ (დანდალო).

ენის წვერზე მიდგას – დავიწყება: „ახლა ენის წვერზე მიდგას, მარა ვერ ვიგონებ“ (დანდალო).

ერთ სისწორეზე წასვლა – ერთი საქმის გაკეთება: „ცოლმა და ქმარმა ერთ სისტორეზენა წევდენ“ (მერისი). შდრ.: „ბევრს არ მიედ-მოედვა, ერთ სისწორეზენა წეხვიდე“ (ფუტკარაძე, 2021: 113).

ერთი ხელი მისკენ აქ – ეხმარება: „ჩემ მოძმეს გოგო გაჭირვებულისთვინ მუუცია, მარა რა უნდა, ერთი ხელი მისკენ აქვან“ (მერისი).

ეშმაკი გადაეფარა – დაკარგულის დიდხან ვერ პოვნის გამო იტყვიან, ხოლმე. „აგერ ყოფილა და ვერ ვხედავდი, ეშმაკი იყო გადაფარებული“ (მერისი).

ვერ ჩახტა – ვერ გაიგო: „მისი გამოცანები ვერ გეიგო, ჭკვაში ვერ ჩახტა“ (მერისი). შდრ.: „ვუთხარ, ჰამა ვერ ჩახტა“ (ფუტკარაძე, 2021: 113).

თავი მოსაფხანად არ მცალია – დრო არ მაქვს: „იმდენი საქმე მაქ, თავი მოსაფხანათ არ მცალია“ (დანდალო); „რა ქნას, თავი მოსაფხანათ არ ცალია“ (მერისი).

თავი ქუდში აქვს – საქმე მოგვარებული აქვს: „რა უნდა, მას საქმე თავი ქუდში აქ“ (მერისი).

თვალებზე ნისლი აქ გადაკრული – ვერ ხედავს: „ვეფერს ვერ ხედავს, თვალებზე ნისლი აქ გადაკრული“ (დანდალო); „რანა დევნახო, გო, თვალებზე ნისლი მაქ გადაკრული“ (მერისი).

თვალები დაგრჩებოდა – მოგეწონებოდა**:** „თურმე აგერ ეს ბიჭი იმფერი ლამაზი ყოფილა, თვალები დაგრჩებოდა“ (დანდალო); „იმფერი კაი ქვაბების ნაბორები ვნახე, თვალები დაგრჩებოდა“ (მერისი).

თვალები დალეოდეს – წყევლის ფორმა, მომკვდარიყოს: „ღმერთმა თვალები დუულიოს ჩვენ მტრებს“ (მერისი).

თვალი დავადგი – მომეწონა: „იმ დიდ მამალს თვალი დავადგი“ (დანდალო).

თვალი ჭამს და თვალი სვამს – მოწონება: „რაფერ გინდა არ გასინჯო, თვალი ჭამს და თვალი სვამს“ (მერისი).

თვალის წასვლა – რამის მონდომება: „ის ორსულია და თვალი წუუვდოდა“ (მერსის).

იახა დამარეკია – წარმოდგენის შემაცვლევინა: „იმ ბაღვმა იახა დამარეკია, აფერის არ ცხვენია“ (მერისი); „იახა დამარეკია, სირცხვილის რამე არ აქ“ (დანდალო).

კატი ნარწყევაი – საწყალი, პატარა: „ი ვინ მუუყვანია, სუფთა კატი ნარწყევაია“ (მერისი).

კბილების დაკრიჭვა – მოთმენა: „პაწახან დაკრიჭეთ კბილები, გუუძელით“ (დანდალო).

კბილებს ხელისგულზე დიგიწყობ – მუქარა: „მაგ კიბილებს ხელისგულზე დიგიწყობ“ (დანდალო).

კბილებში გაკვეხება – იტყვიან, როცა საკვები ცოტაა და არ ჰყოფნის: „რაცხა ვჭამე, ისიც კბილებში გემეკვეხა“ (მერისი).

კისრით ვარ დაკიდებული – გაუსაძლისი მდგომარეობა, მოუცლელობა: „ი რა მბავია გო, საქმი მგონე კისრით ვარ დაკიდებული“ (დანდალო).

კუდი ღილიას გზა ბარაქას – „თუ არ მოწონან, კუდი ღილიას, გზა ბარაქას“ (დანდალო).

მიწა გამხეთქოდა – განადგურება: „ნეტაი მიწა გამხეთქოდა და შით ჩავეტანე თან“ (დანდალო).

მიხვეული ავადმყოფი – იტყვიან ძალიან მძიმე ავადმყოფზე: „ამასწინ რო ეველ, მიხვეული იწვა“ (დანდალო).

მოტეხეთ ეშმაკს ფეხი – მოხერხება: „ერთი მესტუმრეთ, მოტეხეთ ეშმაკს ფეხი“ (დანდალო).

მოშპი-გავარდი – მოხერხებული: „ადრე მოშპი-გავარდი ქალი იყო“ (დანდალო); „მოშპი-გავარდი ძალი ყავს“ (მერისი).

მოჭარ საქმეს თავი – საქმის გადაწყვეტა: „საქმეს მალენა მოჭრა თავი“ (მერისი).

მტერ თვალები დალეოდეს – მომკვდარიყოს: „სახლი ხვავით დავსილიყოს, მტერ თვალები დალეოდეს“ (დანდალო).

მუშამბაში გასახვევი – მოსაფერებელი: „მაგფერი გელინი მუშამბაშინა გაახვიო“ (მერისი).

მუხლებში წყალი ჩიმიდგა – გადავიღალე: **„**გუშინ ტირილში ვეხმარე, ჭამა ქონდენ და მუხლებში წყალი ჩიმიდგა“ .

მწარე ცხოვრება – ცხოვრება დარდსა და გაჭირვებაში: „იგერ იმ ქალს წარე ცხოვრება ქონდა“ (მერისი).

ნამსხმანი დამადნა – სხვისი ტკივილის განცდა: „იმფერი იტირა, ნამსხმანი დამადნა“ (მერისი).

ნიკორის დადება – სახელის გატეხა, შერცხვენა: „კაცმა ნიკორი არნა დეიდო“ (დანდალო).

ომრი დეიტირა – დიდხანს იტირა: **„**დარჩენილიყო, მარა ომრი დეიტირა“ (მერისი) **„**იმდენი იტირა, ომრი დეიტირა“ (დანდალო).

ორი პარასკევი მაქ დარჩენილი – სიკვდილი მოახლოებულია: „ისეც ორი პარასკევი მაქ დარჩენილი“ (დანდალო).

პირზე ფეხის დადგმა – შერცხვენა: „ბაბას პირზე ფეხს ხომ არ დავადგამ“ (დანდალო); „უყვარდა, მარა მშობლებს პირზე ფეხს ხომ ვერ დაადგამდა“ (მერისი).

პირი ხისკენ (ქვისკენ) მიქნია – მოსაბოდიშებელი გამოთქმა, როცა ვინმეს ცუდი რამ უნდა აუწყონ: „პირი ხისკენ მიქნია, თქვენ ჯვარი გწერიათ და თვალების ანთება მაქ“ (დანდალო).

პირიდან თაფლი გადმოდის – ტკბილად მოსაუბრეა: „იმ ქალს ვერ მუუწყვა, პირიდან თაფლი გადმოდიოდა“ (დანდალო).

პირიდან ლუკმას გამევლებ – ეტყვიან იმ ადამიანს, რომელიც ძალიან უყვართ: „თქვენ არ იცით, ბადიში რაფერია, თქვენთვინ პირიდან ლუკმას გამევლებ“ (მერისი); „ბებო თქვენთვინ პირიდან ლუკმას გამევლებ“ (დანდალო).

პირის არ მიცემა – იტყვიან, როცა ვინმეს არ ელაპარაკებიან: „მეზობელს პირი არ მიცა“ (მერისი).

პირის მიცემა – ხელის შეშველება, თავზე ხელის გადასმა: „არ ლაპარიკობდენ, მარა ტირილში მაიც მიცა პირი“ (მერისი).

საჭმელი პირში ვინმემ არ ჩიმიდვა – თვითონ უნდა გაანძრიო ხელი: „მე თუ არ გავანძრიე ხელ-ფეხი, საჭმელი პირში ვინმემ არ ჩიმიდვა“ (დანდალო).

საჭმელს თავი ატკივდა – გაფუჭდა: „ნახე, ლობიას თავი ხომ არ აქ ატკენილი“ (მერისი).

სიკვდილი თვალით დევნახე – დიდ განსაცდელში, გაჭირვებაში ყოფნა: „მანდარინაი ვჭამე და მევწამლე, სიკვდილი თვალით დევნახე“ (დანდალო).

სისხლი უდუღთ – მოძრავი, ენერგიულები: „ბაღნები არიან, ახლა მაგათ სისხლი უდუღთ“ (დანდალო).

სული არ შემებრალება – ეტყვიან ადამიანს, რომელიც ძალიან უყვართ და შეუძლიათ ყველაფერი გაიღონ მისთვის: „თქვენთვინ სული არ შემებრალება“ (დანდალო).

სული გევტაით – ძლივს გადავრჩით: „რაცხაფერ სული გევტაით“ (დანდალო).

სული კბილით მიკავია – ძალიან მიჭირს: „წაი, მომშორდი და ისეც სული კიბილით მიკავია“ (მერისი).

ტვინის გამორეცხვა – დავიწყება: „ვერაფერს ხვდება, ტვინი აქ გამორეცხილი“ (მერისი).

ტილის ფეხზე დასმა – გაამპარტავნება, გადიდგულება: „ტილს ფეხზე დეისვამ და თავზე ავაო, მაგაზეა ნათქვამი“ (დანდალო).

უჟმური არ აჰყვეს – ეშმაკი არ ჩაუსახლდეს: „უორმოცო ბაღვთან ცეცხლზე მუუვლელი არ შევლიან, უჟმური არ აყვესო“ (დანდალო).

უტკივარი თავის ატკივება – ძალით გასაჭირში ჩავარდნა: „მეტი საქმე არ მაქ ახლა კიდევ უტკივარი თავი ევტკინო“ (დანდალო).

ფუტი ამდის თავში – გაბრაზება, მოუცლელობა: „იმდენი საქმე მაქ თავი მოსაფხანათ არ მცალია, ფუტი ამდის თავში“ (დანდალო).

ქვა წამლათ აქციეს – ყველა ღონე იხმარა, ყველა საშუალებას მიმართავს: „ხუთი წელია შვილი არ ყავან, ქვა წამლათ აქციეს“ (დანდალო).

ღაზლა კისერში – დაკვლა: „თუ კიდევ უხტის ძროხა, მაშინ ღაზლა კისერში“ (დანდალო).

ყეზას თვალი არ უჩანს – უბედურება შეიძლება უცებ მოხდეს: „ერთი ნელა გედეიყვაი ბაღნები გზაზე, ყეზას თვალი არ უჩანს“ (დანდალო).

ყური მისცა – მოუსმინა: „კიდე კაი ყური მიცა და არ შერცხვა“ (მერისი).

ყურს ნუ ათხვებ – მოუსმენლობა: „ყურს ნუ ათხვებ, ჯერ ბაღანაა“ (მერისი).

შავფეხაი – ცუდი ფეხის: „ზოგი გენილი ოჯახში რომ შევა, შავფეხაი გამოდგება“ (მერისი).

შუბლი გახსნილი გაქ – მხიარული, დადებითი განწყობა: „რა იბრეთი ხარ გენილო, გწყენს, არ გწყენს შუბლი გახსნილი გაქ“ (დანდალო).

ჩავხტი ჭკვაში – მივხვდი: „მერე და მერე ჩავხტი ძვილაი ჭკვაში“ (დანდალო).

ჩალით დახურვა – არაფერი იმალება, იფარება: „ქვეყანა ჩალით ხომ არაა დახურული“ (დანდალო).

ჩამოვა ვირიდან – სიჯიუტის დაძლევა: „ბახალომ როის ჩამუა ვირიდან“ (დანდალო).

ჩიგივარდა კოვზი ნაცარში – გაუმართლებლობა: „რაო, ჩიგივარდა კოვზი ნაცარში? არ დარჩა შენებური?“ (დანდალო).

ცაში გამოკვერება – დიდხანს სიცოცხლე: „დღეს არიან, ხვალ აღარ, ცას ხომ არ გამეეკრებიან“ (მერისი).

ცოდვა ძირში არ დეეცემა – ჩადენილი ცოდვა, ბოროტება არ დაიკარგება: „ჰაცხა წამოკრავს, ცოდვა ძირში არ დეეცემა“ (მერისი).

ცოდვის მოგება – ბოროტების, დანაშაულის ჩადენა: „რამხელა ცოდვა მეიგო“ (მერისი).

ცხვირი გააშვირა – ეწყინა: „ცხვირი გააშვირა და ორი წელია აღარ უვლია ჩემთან“ (დანდალო).

წელში გამტეხა – გამანადგურა, განმაცვიფრა: „მაგ ბაღანამ წელში გამტეხა“ (დანდალო).

წინ წასვლა – გამართლება: „ქალი მოყვანის მერე, მისი ცხოვრება წინ წევდა“ (მერისი).

ჭადის სახელი დამავიწყდა – ვერ ვიხსენებ: „კაცს ჭადის სახელი დააიწყდებაო, მე მჭირს“ (დანდალო).

ჭაჭანება არ იყო ვინმესი – არ ჩანდნენ: „ჩეიე-ამეიეს ვუყურებდი იმათ სახს, მარა რათ გინდა, ჭაჭანება არ იყო ვინმესი“ (დანდალო).

ჭიმურის ჭამა – გამოცდილების მიღება: „მაგ გოგოს წასლამ კაი ჭიმური აჭამა“ (მერისი).

ჭიტი არ უქნიან გარში – არ გამოუხედავთ გარეთ: „რომ შეძრენ სახში, ჭიტი არ უქნიან გარში“ (დანდალო).

ჭკუას თვალი არ ეცემაო – „ტყვილაი ხომ არ ამბობენ ჭკუას თვალი არ ეცემაო“ (დანდალო).

ხელის გულზე ტარება – მოფრთხილება: „ქალი ხელისგულზენა ატარო“ (მერისი).

ხელს არ მეიჭამს – არ შერცხვება, უპატივცემულო არავის გაუშვებს: „აჭარელი ქალი, ვინ გინდა ოჯახში მუუვდეს, რაცხას დადგამს, ხელს არასდროს არ მეიჭამს“ (დანდალო).

ხეს და ქვას ვასკდებოდი – შემძლე, მოხერხებული: **„**იმფერი რძალი დავდექ, ხეს და ქვა ვასკდებოდი“ (დანდალო).

ჯაზი ფეხს მეიტეხს – არეულობა, უსუფთაობა: „პოლი მობესე, თვარა ჯაზი ფეხს მეიტეხს“ (მერისი).

ჯეშტი აქ გამოკრული – ძალიან ცხელს ჭამს, სვამს: „ისე ჩქარა დალია კოფე, გეგონება, ჯეშტი აქ გამოკრული“ (დანდალო).

ჯიბიებში ხელების ჩაწყობა – უსაქმურობა: „ჯიბიებში ხელების ჩაწყობით რამე არ გამუა“ (მერისი).

დასკვნა: დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ ლოკალურად, ხეობებისა თუ სოფლების მიხედვით ხატოვანი სიტყვა-თქმების შეგროვება, საშუალებას მოგვცემს შევისწავლოთ ზემო აჭარულისთვის დამახასიათებელი ხატოვანი სიტყვა-თქმები და ამით ჩვენი წვლილი შევიტანოთ ხატოვანი სიტყვა-თქმების ლექსიკონების შედგენაში.

ეს კვლევა ხსნის გზას შემდგომი, უფრო ღრმა და დეტალური ანალიზისთვის, არა მხოლოდ აჭარული, არამედ ზოგადად, ქართული დიალექტების ხატოვანი სიტყვა-თქმების შესახებ, რათა დავიცვათ და შევინარჩუნოთ როგორც ქართული ენა, ისე ქართული დიალექტები.

გამოყენებული ლიტერატურა:

ნოღაიდელი, 2007 – ნოღაიდელი ნანული, „სიტყვა სიტყვის მაკინარია“ (ხატოვან სიტყვა-თქმათა ნიმუშები აჭარულ დიალექტებში), აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, IX, ბათუმი, 2007;

ნოღაიდელი, ფუტკარაძე, 2022 – ნოღაიდელი ნანული, ფუტკარაძე ელზა, „ხატოვანი სიტყვა-თქმანი აჭარაში“, ბათუმი, 2022;

ფუტკარაძე, 2021 – ზოგიერთი ლექსიკური ერთეულისა და ხატოვანი სიტყვა-თქმების შესახებ ზედა მაჭახლურში“, ქართულ-თურქული საერთაშორისო კონფერენცია, გორი, 2021;

ცეცხლაძე, 2018 – ცეცხლაძე ნანა, „ფრაზეოლოგიზმთა კვლევის ასპექტები“, თბილისი, 2018.

FIGURATIVE SPEECH-ACCORDING TO TWO VALEYS (DANDALO, MERISI)

TSISNAMI BERIDZE
PhD Student at Batumi Shota Rustaveli State University,
Researcher at the Department of Folklore,
Dialectology and Emigrant Literature Research of
Niko Berdzenishvili Institute,
E-mail: tsisnam.beridze@bsu.edu.ge
ORCID: 0009-0005-8200-1668

Abstract: Figurative expressions convey a certain condensed meaning and often carry allegorical or metaphorical significance. They are frequently used in literature; however, it should be noted that figurative expressions also occupy a prominent place in everyday speech.

Every language has its own characteristic figurative expressions, used to better express thoughts, emotions, and intentions. The study of such expressions is a complex task, as it is closely connected to the history, culture, and identity of the people who created them.

Georgian dialects are rich in figurative expressions, including the Ajarian dialect, which has been the subject of numerous studies, works, articles, and monographs. Noteworthy are the investigations by M. Khubua, Al. Glonti, Sh. Nijaradze, Sh. Dzidziguri, A. Takaishvili, J. Noghaideli, and others (Futkaradze, 2010: 71). Nevertheless, the number of figurative expressions is so vast that a complete study has not yet been achieved. This is because „traditional linguistics pays little attention to the study of dialectal phraseology… there are no separate lexicons for individual dialects" (Tsetskhladze, 2018: 9).

It is therefore necessary to collect, analyze, synthesize, and publish figurative expressions and idioms according to specific dialects. „The study of folk figurative expressions is accompanied by certain difficulties. This type of vocabulary requires long-term and systematic observation of living speech. Such material can be abundantly obtained through direct interaction with people, when conversation unfolds freely and naturally, touching on everyday matters" (Noghaideli, 2007: 6).

The present article introduces figurative expressions identified through observation of the living speech in two mountain valleys of Upper Adjara – Merisi and Dandalo.

Keywords: two valleys, figurative expressions, cultural heritage

* * *

Introduction: Both valleys of Upper Adjara (Merisi and Dandalo) represent one of the most significant areas in terms of historical, natural, and cultural heritage. The figurative expressions presented in this article reflect the uniqueness of these valleys and the deeply rooted everyday and religious concepts within the language and culture of their inhabitants. The study of this topic is highly relevant, as Georgian dialects are gradually fading into oblivion, and their preservation and protection are the responsibility of every Georgian.

The aim of the article "Figurative Expressions According to Two Valleys (Dandalo, Merisi)" is to collect, record, and analyze figurative expressions characteristic of Upper Adjara, in order to explore and understand how figurative language reflects the local cultural and natural environment. In this regard, texts were recorded in the valleys of Upper Adjara, where numerous interesting and distinctive figurative expressions were identified.

The scientific novelty of the article lies in the systematic analysis of these expressions, which contributes to a better understanding of the cultural and linguistic peculiarities of the region. Furthermore, the research facilitates the examination of the metaphorical language of the valleys in both cultural and linguistic contexts.

Research Methods: In the process of preparing this article, the following methods were used: empirical material analysis, historical-comparative method, description, analysis, and synthesis.

Discussion: As already mentioned, both valleys (Merisi and Dandalo) are located in Upper Adjara. Specifically, Merisi lies 700 meters above sea level and includes the following villages: Garetkhe, Gundaurebi, Inasharidzeebi, Namonastrevi, Sikhalidzeebi, and Silibauri. Dandalo is situated in the Adjarian Basin, on the left bank of the Adjaristskali River, and includes the villages of Baladzeebi, Gogiashvilebi, Dandalo, Mosiashvilebi, Takidzeebi, Kharaula, and Jalabashvilebi. The figurative expressions presented in the article were identified through observation of the living speech recorded in these villages of both valleys. The dialects of both valleys are characterized by a number of linguistic features, including distinctive lexical traits.

To illustrate, here are several figurative expressions:

"May your hands flourish" (Agikhvavda khelebi) – a form of blessing: „God make your hands flourish" (Gmertma agikhvava mai sheni khelebi).

"Did I rock his cradle?" (Akvani khom ar mirtsia) – means I didn't put any effort into it; it's none of my concern: "Did I rock his cradle, should I die for it?" "If something happens to them, I won't worry – did I rock their cradle?"(Futkaradze, Noghaideli, 2022: 22–23).

"You can tell from the rising sun" (Amomaval mzés tavidan etyobao) – used when someone's nature or future can be predicted early on:"I immediately knew what kind of girl she would become – as the old saying goes, you can tell from the rising sun".

"You'll look at your toes" (Gaikhedav phekis titebshi) – you will die soon:"You'll suffer so much that one day you'll look at your toes (you'll die)".

"It's not painted on his heart" (Gulze ar ekhateba) – he doesn't like it; it's not pleasant to him: "He really doesn't like it, it's not painted on his heart, but he endures it for his child's sake".

"There's fire burning on my heart" (Gulze tskhlis shenteba) – to be very anxious, deeply worried:"I'm so worried, there's fire burning on my heart". „How can I think about food now, when my heart is on fire?"

"My heart got tired" (Guli damelia) – to wait for too long; to grow weary from waiting: "Where have you been so long? My heart got tired waiting for you!"; „After waiting so long, my heart is worn out".

"My heart got dark (evening fell on my heart)" (Gulis daghameba) – to feel hungry: "Today, my heart got dark very early – I'm already hungry".

"The knife won't open its mouth" (Dana pirs ar ukhsnis) – he is angry and doesn't speak at all: "He's so angry that the knife won't open its mouth".

"The knife is at the throat" (Dana k'elshi) – a situation is desperate or near the end; literally, to be about to be killed: "If this doesn't help either, the knife is already at the throat".

"The day won't go into the ground" (Dghe mitsashi ar tsagyveba) – a person will not die before their time: "That man survived – his day won't go into the ground before its time." „That three-month-old baby was hanging from a tree branch and survived – his day hadn't yet gone into the ground".

"To bite your tongue" (Enaze kbilis dach'era) – to stay silent; to hold back words: "He made me bite my tongue." „I'd better bite my tongue".

"To kill with the tongue" (Enit moklva) – to hurt someone deeply with words; to insult harshly: "She spoke such bitter words, she killed the man with her tongue".

"To lengthen the tongue" (Enis tsagrdzeleba) – to talk back; to be rude or impudent: "I talked back to the teacher." „She'll see later what it means to lengthen the tongue".

"It's on the top of my tongue" (Enis tsverze midgavs) – I almost remember, but can't recall exactly: "It's on the top of my tongue, but I just can't remember it".

"To go on the same line" (Ert sisrorze tsasvla) – to agree; to act together toward one goal: "A husband and wife must go on the same line." „Don't go around in circles – stay on the same line" (Futkaradze, 2021: 113).

“He has one hand toward her“ (Erti kheli misk’en aq) – to support or help someone: “My brother gave his daughter to a poor man – but what can he do, he lends him a hand.“ „He married his daughter to a poor man, and now he’s giving them a hand“.

“The devil covered him“ (Eshmaki gadaephara) – used when someone or something cannot be found for a long time: “He was right here, but I couldn’t see him – the devil must have covered him“.

“He didn’t jump (in)“ (Ver chakhta) – he didn’t understand; didn’t catch the meaning: “He couldn’t figure out the riddle – he didn’t jump in.“ „I told him, but he didn’t get it“. (Futkaradze, 2021: 113).

“I don’t have time to scratch my head“ (Tavis mosapkhanad ar mts’alia) – I’m extremely busy: “I have so much work, I don’t even have time to scratch my head.“ “What can he do – he doesn’t have time even to scratch his head“.

“His head is in the hat“ (Tavi kudshi aqvs) – everything is settled; he has no worries left: “He’s fine – everything’s in the hat for him“.

“There’s fog over his eyes“ (Tvalebze nisli aqvs gadakruli) – he can’t see well; can’t perceive clearly: “He can’t see anything – there’s fog over his eyes.“ „What can I see, I’ve got fog over my eyes“.

“Your eyes would stay there“ (Tvalebi dagrcheboda) – you’d be amazed; you’d love it; it’s breathtaking: „That boy was so handsome – your eyes would’ve stayed on him.“ „I saw such beautiful cookware – your eyes would’ve stayed there“.

“May their eyes be taken away“ (Tvalebi daleodes) – a form of curse meaning „may they die“: “May God take away the eyes of our enemies“. (Gmertma tvalebi dalios chven mt’rebs.)

“I laid my eyes on it“ (Tvali davadgi) – I liked it; it caught my attention: “I laid my eyes on that big rooster“.

“The eye eats and the eye drinks“ (Tvali chamis da tvali svams) – used to express admiration; something is so beautiful or appealing that it pleases the eye: “How could you not taste it? The eye eats and the eye drinks“.

“The eye eats“ (Tvali chamis) – again means „it’s visually pleasing; it looks beautiful or appetizing“: „I’m not hungry, but it’s so beautiful that the eye eats – how can I not taste it?“

I’m hanging by my neck“ (Kisrit var dakidebuli) – an idiom meaning being in an unbearable or extremely busy state; overwhelmed with work or responsibilities: “What are you talking about, girl? I’m hanging by my neck because of all the work I have to do“.

“Break the devil’s leg“ (Motekhet eshmak’s pekhi) – to be clever, resourceful, or show skill: “Come visit me sometime – show your cleverness, break the devil’s leg!“

“Cut the head off the work“ (Moch’ra sakmes tavi) – to finish or resolve something quickly: “You should finish this job soon – cut the head off the work“.

“May the enemy’s eyes melt away“ (Mters tvalebi daleodes) – a curse meaning „may our enemies die“: “May my house be filled with blessings, and may our enemies’ eyes melt away“.

“Water filled my knees“ (Mukhlebshi ts’q’ali chamidga) – to be very tired or exhausted: “I helped at the feast yesterday – my knees filled with water, I was so tired“.

“Bitter life“ (Mts’are tskhovreba) – a life full of hardship and sorrow: “That woman had such a bitter life“.

“My body melted“ (Skheuli damadna) – to deeply feel another person’s pain or sorrow: “She cried so much that my whole body melted for her“.

“I’ve got two Fridays left“ (Ori paraskevi makvs darchenili) – means death is near: “Anyway, I’ve got only two Fridays left“.

“To step on someone’s face“ (Pirze pekhis dadgma) – to shame or disrespect someone: “He loves her, but he couldn’t step on his parents’ face“.

“My mouth is leaning toward wood or stone“ (Piri khisken/kvishken miqnia) – a polite way to introduce bad news: “My mouth leans toward stone – I have something bad to tell you“.

“Honey pours from their mouth“ (Piridan tapli gadmodis) – to speak sweetly or kindly: “She spoke so sweetly, honey poured from her mouth“.

“I’d take food out of my mouth for you“ (Piridan lukma gamovigheb) – said to someone deeply loved; to do anything for them: “Grandma, I’d take food out of my mouth for you**“**.

“Not giving the mouth“ (Piris ar mits’ema) – to refuse to speak to someone: “They had a fight and aren’t giving each other their mouth anymore**“**.

“Giving the mouth“ (Piris mits’ema) – to show kindness or give help: “She’s always giving her mouth – helping and comforting everyone**“**.

“No one puts food in my mouth“ (Sachmeli pirshi vinmem ar chamido) – to say „I have to work for myself**“**: “If I don’t move, no one will put food in my mouth**“**.

“The food’s head hurts“ (Sachmels tavi atkviva) – to say food has gone bad: “Check if the beans have gone bad – maybe their head hurts**“**.

“I saw death with my own eyes“ (Sikvdili tvalit davinakh’e) – to experience a near-death situation or great hardship: “I ate those mandarins and got poisoned – I saw death with my own eyes**“**.

“Their blood is boiling“ (Siskhli udught) – said about energetic, lively young people: “They’re kids – their blood is boiling!**“**

“I wouldn’t pity my soul for you“ (Suli ar shemebraleba) – said about someone you love so much that you’d sacrifice everything: “For you, I wouldn’t even pity my soul**“**.

“My soul is held by my teeth“ (Suli kbilit mikavia) – to be barely surviving; to live in extreme difficulty: “Go away, I’m barely surviving – my soul’s held by my teeth**“**.

“Brainwashed“ (Tvini gamoretskhlili aqvs) – to have lost sense or reason; to forget everything: “He doesn’t understand anything – his brain’s washed out**“**.

“To put a flea on its feet“ (Tilis pekze dassma) – to make someone arrogant or full of themselves after success: “That’s what they say about someone who puts a flea on its feet and lifts it over their head – got too proud too fast**“**.

Conclusion. In conclusion, the local collection of figurative expressions according to valleys and villages allows us to study those expressions characteristic of Upper Adjara and contributes to the compilation of dictionaries of figurative expressions.

This research paves the way for further, more in-depth and detailed analyses, not only of Adjarian dialects but of Georgian dialects in general, in order to preserve and safeguard both the Georgian language and its cultural heritage.

References:

Noghaideli, N. (2007) - “The Machinery of Words**“** (Samples of Figurative Expressions in Adjarian Dialects). Adjarian Dialectal Lexicon, IX. Batumi, 2007.

Noghaideli, N., & Futkaradze, E. (2022)- Figurative Expressions in Adjara. Batumi, 2022.

Futkaradze, E. (2021) – On Some Lexical Units and Figurative Expressions in Upper Machakheli. Georgian-Turkish International Conference, Gori, 2021.

Tsetskhladze, N. (2018) – Aspects of Phraseological Research. Tbilisi, 2018.

უდიური ენა საქართველოში (სოციოლინგვისტური ანალიზი)

თეა გიგიტაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის
ინსტიტუტის დოქტორანტი
ელ-ფოსტა: tea.gigitashvili@hum.tsu.edu.ge
ORCID: 0009-0001-5607-0396

აბსტრაქტი: უდიები, უდინები – თვითსახელწოდება **„უდი, უტი“ –** კავკასიაში მცხოვრები ერთ-ერთი ძირძველი ხალხია. მიიჩნევიან კავკასიის ალბანელების შთამომავლებად. ისტორიული საცხოვრებელი ადგილი თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაა. უდიები მსოფლიოს ერთ-ერთი მცირერიცხოვანი ერია. სწორედ ეს მცირერიცხოვნება განაპირობებს უდი ხალხის ასიმილირების საფრთხეს სხვა ხალხებთან და უდიური ენის გაქრობის საშიშროებას.

უდიური ენა დატანილია გაქრობის საფრთხის წინაშე მდგომ ენათა მსოფლიო ატლასზე, რომელსაც იუნესკო აწარმოებს.

მეცნიერთა უმრავლესობის დასკვნით, ძველი ალბანელების ერთადერთი უშუალო მემკვიდრეები უდიები არიან, რომლებმაც დღემდე შემოინახეს **ალბანური** (**უდიური**) ენა. სავარაუდოდ, ალბანური ენა უნდა დადებოდა საფუძვლად თანამედროვე უდიურ ენას. ალბანური ენა კი განეკუთვნება მკვდარ ენათა ჯგუფს.

2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, საქართველოში 203 უდი ცხოვრობდა და მათი აბსოლუტური უმრავლესობა ყვარლის რაიონის **სოფ. ზინობიანშია** დასახლებული, სადაც ისინი 1920-1922 წლებში **ვართაშენიდან** (ახლანდელი ოღუზი, აზერბაიჯანი) გადმოსახლდნენ.

ამჟამად, უდიური ენის გავრცელების არეალი შემოიფარგლება სამი სოფლით: **სოფ. ზინობიანით** (საქართველო, ყვარლის მუნიციპალიტეტი), **სოფ. ოღუზით** (ყოფ. ვართაშენი) (აზერბაიჯანი, გაბალის (ყოფ. კუტკაშენის) რაიონი), **სოფ. ნიჯით** (აზერბაიჯანი, გაბალის რაიონი). უდიური ენა ძირითადად გამოიყენება სახლში, თუმცა ყველა უდი კარგად ფლობს იმ ქვეყნის ოფიციალურ ენას, სადაც ცხოვრობს.

სტატიაში წარმოვადგენ რიგ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ უდიური ენის ფუნქციონირებასა და სიცოცხლისუნარიანობაზე.

2023 წლის ოქტომბერში კახეთში, ყვარლის მუნიციპალიტეტის **სოფელ ზინობიანში**, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ უდიები, ვაწარმოე სოციოლინგვისტური კვლევა.

შედეგების გასაანალიზებლად გამოვიყენე სოციოლინგვისტური კვლევის ძირითადი ფაქტორები: სტრუქტურირებული და არასტრუქტურირებული ინტერვიუ; ენობრივი დაკვირვება, კითხვარები...

ენის სოციოლინგვისტური ანალიზის დროს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი გამოვყავი:

- დემოგრაფიული მაჩვენებელი და მისი გავლენა უდიური ენის ფუნქციონირებასა და სიცოცხლისუნარიანობაზე;
- უდიურ ენაზე მოლაპარაკეთა პროპორციულობა მოსახლეობის სრულ რაოდენობასთან;
- ბილინგვიზმი უდიურ თემში;
- შერეული ქორწინებები და მისი გავლენა ენის ფუნქციონირებაზე;
- მიგრაციული პროცესები და მისი გავლენა ენის ვიტალურობაზე.

ამ მეთოდების კომბინაციამ საშუალება მომცა, შემესწავლა ენა სოციალურ კონტექსტში და გამეანალიზებინა ენობრივი ცვლილებები სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებში.

არსებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე შევეცადე, წარმომედგინა სამიზნე ენის ვიტალურობის/სიცოცხლისუნარიანობის დონე საქართველოში, ასევე გამომეკვეთა პრობლემათა მიზეზები და ენის ფუნქციონირების მხარდამჭერი პროგრამების არსებობა.

საკვანძო სიტყვები: უდიური ენა; საფრთხეში მყოფი ენა; ენის სტატუსი; ეთნიკური უმცირესობის ენა; საოჯახო ენა.

* * *

შესავალი. მე-20 საუკუნის ბოლოს და ახალი ასწლეულის დასაწყისში თანამედროვეობის გამოწვევის წინაშე აღმოჩნდნენ არა მხოლოდ დიდი ერები, არამედ ასეულობით მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფები, მათ შორის **უდიები**. ეს არის ერთ-ერთი უძველესი ეთნოსი კავკასიისა, რომლებიც ცხოვრობდნენ დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე.

უდიელთა ცხოვრება და ბედი განსაზღვრა ძველი სპარსელების, ბერძნების, რომაელების, არაბების, მონღოლების, თურქებისა თუ სხვა დამპყრობლების შემოსევებმა. ისინი საუკუნეთა მანძილზე ცხოვრობდნენ მრავალეთნიკურ გარემოში, რამაც დიდი გავლენა იქონია ამ ეთნოსისა და მათი ენის ფუნქციონირებაზე. რამდენიმე ასწლეულის განმავლობაში უდიებმა გადაიტანეს მრავალი ოკუპაცია და ტრაგედია, რის შედეგადაც მრავალრიცხოვანი ერიდან მცირე ეთნიკურ ჯგუფად გადაიქცნენ.

უდიური ენა (Удин Муз; Udin Muz) – ერთ-ერთი უნიკალური და იშვიათი ენაა, რომელიც კავკასიურ ენათა ოჯახის **ნახურ-დაღესტნურ** ჯგუფს ეკუთვნის, კერძოდ, **ლეზგიურ ქვეჯგუფს.**

მას ყოფენ ორ დიალექტად **– ნიჯურ და ვართაშნულ (ოღუზურ)** დიალექტებად**.**

მსოფლიოში უდიების რაოდენობასთან დაკავშირებით ერთიანი მოსაზრება არ არსებობს და სრული სიზუსტით მათი რაოდენობის დასახელება სირთულეებთან არის დაკავშირებული. უდიურ ენაზე ლაპარაკობს დაახლოებით 8 400-10 000 ადამიანი. ისტორიული საცხოვრებელი ადგილი თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაა. ყარაბაღის კონფლიქტამდე სოფელი **ვართაშენი** (ახლანდელი **ოღუზი**), უდიების კომპაქტური საცხოვრებელი ადგილი იყო აზერბაიჯანში. ისინი ამჟამად ცხოვრობენ რუსეთის, საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, ყაზახეთის, უკრაინის და სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე (ბიბლიოთეკა, 2008).

იუნესკოს საფრთხეში მყოფი ენების ატლასი სხვადასხვა კრიტერიუმით აფასებს ენების სიცოცხლისუნარიანობას. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, უდიური ენა საქართველოში აშკარა საფრთხის ქვეშ მყოფ ენად არის კლასიფიცირებული იუნესკოს საფრთხეში მყოფი ენების ატლასში. ეს ნიშნავს, რომ ენას ჯერ კიდევ ჰყავს მშობლიურ ენაზე მოსაუბრენი, მაგრამ მათი რაოდენობა მცირდება და თაობათაშორისი გადაცემა სუსტდება.

წყაროების/ლიტერატურის მიმოხილვა. მკვლევართა აზრით, უდიების ხსენება ძველი დროიდან მოდის. ამის ძირითად საბუთად მოჰყავთ საისტორიო წყაროებში მოხსენებული სახელწოდება ბერძ. ***ვიტიქ.*** ფიქრობენ, რომ ამ ტერმინით აღინიშნებოდა ძველი ალბანეთის ტერიტორიაზე მოსახლე ხალხი, რომელსაც დღეს **უდიები** ეწოდება. საქართველოში ძირითადად ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზინობიანში ცხოვრობენ. ასევე კომპაქტურად ცხოვრობენ: **ვართაშენში, ნიჯსა** და **მირზაბელუში** – აზერბაიჯანის ტერიტორიაზე (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 10, 1986).

XIX ს-ის 90-იან წლებში დაწერილი **მ. ბეჟანოვას** სტატიის მიხედვით, დასავლეთ აზერბაიჯანში არცთუ ისე დიდი ხნის წინ სხვადასხვა სოფელში იყვნენ მოხუცები, რომლებმაც უდიური იცოდნენ. საერთოდ, აზერბაიჯანის ჩრდილო-დასავლეთის სამი რაიონის (შექის, ოღუზის, ყაბალის) აზერბაიჯანულ მოსახლეობაში მეცნიერები ძველ ალბანელთა (უდიელთა) სუბსტრატულ ფენას ხედავენ. სხვადასხვა წყაროებით, XIX ს-ის დასაწყისში უდიები ცხოვრობდნენ აგრეთვე სოფლებში: **ვარდანლიში, ბაიანში, ქიშში.** თანამედროვე ყაბალის რაიონის რიგ სოფლებში ცხოვრობდნენ მუსლიმები, რომლებიც თავს აზერბაიჯანის თათრებად მოიაზრებდნენ, მაგრამ ჯერ კიდევ იცოდნენ უდიური (თოფჩიშვილი რ. T., 2007).

1989 წელს ვართაშენის უდიები ქვეყნიდან გააძევეს. გაძევება სომხურ-აზერბაიჯანული ყარაბაღის კონფლიქტის დაწყების ნაწილი გახდა. სომხური სახელების მატარებელი და სომხური ეკლესიის სამწყსოსთან დაკავშირებული უდიები სომხებად ითვლებოდნენ და, შესაბამისად, მათ იგივე ბედი ეწიათ, როგორც სხვა სომხებს აზერბაიჯანში. ვართაშენში დღეს მცირე რაოდენობით არიან შემორჩენილი უდიები.

XIX-XX საუკუნეებში გამოითქვა მოსაზრებები, რომ ძველი ალბანელებისაგან დარჩენილი ერთადერთი მემკვიდრეები **უდიები** (**უტიები**) არიან. უკანასკნელ წლებში, ზაზა ალექსიძის მიერ სინას მთაზე აღმოჩენილმა ძველი ალბანური დამწერლობის ძეგლებმა და მათი უდიური ენის საშუალებით გაშიფვრამ, ეს ვარაუდი საბოლოოდ გაამართლა.

სიტყვა ალბანეთი ლათინურად (ლათ. Albania) ნიშნავს **„მთიან მიწას**“. ალბანელები იყვნენ იბერო-კავკასიელი ტომები და ლაპარაკობდნენ ალბანურ ენაზე, რომელიც მიეკუთვნება იბერო-კავკასიურ ენათა ჯგუფს (Hewsen, 1982).

IV საუკუნის დასაწყისში ალბანეთის სახელმწიფომ ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. გასომხებული ალბანელი (უტიელი) ისტორიკოსის **მოვსეს კალანკატუაცის** ცნობით, ალბანელებმა ქრისტიანობა მეფე ურნაირის დროს, ქართველებზე (იბერიელებზე) ადრე (ე.ი. 326 წლამდე) მიიღეს. თუმცა ალბანეთის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ქრისტიანობას უფრო ადრეც ზიარებია. ალბანეთის ეკლესია ავტოკეფალური იყო და მას სათავეში კათალიკოსი ედგა (თოფჩიშვილი რ., 2007).

გასომხებული ალბანელი (უტიელი) ისტორიკოსი – მოვსეს კალანკატუაცი თავის „ალვანთა ქვეყნის ისტორიაში“ ალბანეთის ოთხ ძირითად პროვინციას ასახელებს, რომლებშიც შესაბამისად ოთხი ალბანური მონათესავე ხალხი – **უტიელები** (**უდიელები**), **გარდმანელები, გარგარელები** და **წავდეელები** მკვიდრობდნენ.

ქართულ წყაროებში მთელი ადრე შუა საუკუნეების განმავლობაში ხშირად ახსენებენ ალბანეთის ტერიტორიაზე მდებარე ქვეყნებს: „**რანსა**“ (ე.ი. არრანსა) და „**მოვაკანს**“, რომლებიც ასევე ქართლის (იბერიის) სახელმწიფოს შემადგენლობაში შემოდიოდნენ, ან კიდევ ხშირად იყვნენ მისი გავლენის ქვეშ. ცნობილია, რომ ალბანეთის არაბული სახელწოდება არის **არრანი**. გვიანდელი, XVIII ს-ის ქართველი ისტორიკოსი ხაზს უსვამს, რომ მისი თანადროული მაჰმადიანური სახანოების – ყაზახისა და შამშადელუს ადრინდელი სახელწოდება **რანიაო** (ეგნატაშვილი, 1959).

სტრაბონის ცნობით, ალბანეთში 26 ენაზე მოლაპარაკე ტომი ცხოვრობდა. სავარაუდოა, რომ ამ ტომთა ნაწილი ერთმანეთს ენათესავებოდა და ამიტომ თანდათან შეერწყნენ. ფაქტი ისაა, რომ ალბანეთის ერთიანი სახელმწიფო ოთხი დიდი ტერიტორიული ერთეული გაერთიანების შედეგად ჩამოყალიბდა. ესენი იყვნენ: **უტიელები, გარდმანელები, წავდეელები** და **გარგარელები.** მაგრამ V საუკუნის მეორე ნახევრიდან სამეფოს ცენტრი უტიქში, ქ. პარტავში გადაიტანეს. ამ პროვინციის სალაპარაკო ენა კი **უტიური** (თანამედროვე უდიური) იყო. არაბი ისტორიკოსები ამ ენას უწოდებდნენ **არრანულს**, ანუ **ალბანურს** (ალექსიძე ზ., 2003).

უდიურ ენაზე დიდ გავლენას ახდენდნენ მეზობელი ხალხების ენები. პირველ რიგში ეს გავლენა აისახებოდა ლექსიკაში. სამართლიანად აღნიშნავდა თავის დროზე **ა. დირი:** „...უდიური ლექსიკონის შედგენა საკმაოდ საჩოთირო საქმეა. არ იცი – უნდა შემოიფარგლო მხოლოდ უდიური სიტყვებით, თუ მასში უნდა შეიტანო აგრეთვე თურქული, სომხური, სპარსული სიტყვებიც. პირველ შემთხვევაში მივიღებთ ოდენობით ისეთ ლექსიკონს, რომ სიტყვები არ გვეყოფა ყოველდღიური საგნების აღსანიშნავადაც კი. მეორე შემთხვევაში კი, თუნდაც ისეთი სიტყვებით დავკმაყოფილდეთ, რომელთაც უდიურში შესატყვისი არა აქვთ, საშიშროება იქმნება, შეადგინო იგივე თურქული ან სომხური ლექსიკონები, აქა-იქ გაფანტული სხვა სიტყვებით, რომლებიც სწორედ იქნებიან უდიურნი“ (ლოლუა, 2010).

ისტორიულად კავკასიურ ალბანურ ენას (რომლის ახლო ნათესავია ძველუდიური ენა) ჰქონდა 52 ასოსგან შემდგარი ანბანი. ამ ანბანის გამოყენებით ითარგმნა ბიბლია, ალბანურ ენაზე იმართებოდა ღვთისმსახურება, თუმცა შემდგომ ენა და დამწერლობა გაქრა.

სავარაუდოდ, ალბანური ენა უნდა დადებოდა საფუძვლად თანამედროვე უდიურ ენას. ალბანური ენა განეკუთვნება მკვდარ ენათა ჯგუფს. კავკასიის ალბანური ენა და დამწერლობა მრავალი მეცნიერის შესწავლის საგანი იყო და არის.

უდიური ენა სტრუქტურულად და ლექსიკურად იბერიულ-კავკასიური წრის ენათაგან ყველაზე ახლოს დგას **წახურთან, მუხადურთან** (**რუთულურთან**), **ლეზგიურ** ანუ **კიურულ** ენასთან, **აღულურთან**, **თაბასარანულთან**, აგრეთვე – ე.წ. **შახ-დაღის** ენებთან: **ბუდუხურთან**, **ჯეკურთან** და **კრიწულთან**.

აღვანური ენა, ანუ **კავკასიურ-ალბანური ენა** ითვლება ძველი კავკასიური ალბანეთის 26 ტომიდან ერთ-ერთი **გარგარების** ენად და დაკავშირებულია უდიურ ენასთან. ფონოლოგიური სისტემა, ალბათ, ახლოს იყო თანამედროვე უდიური ენის სისტემასთან, რაზეც მოწმობს, მაგალითად, ფარინგალიზებული ხმოვანთა არსებობა (Коряков, 2006).

ალბანური ენა მთის იბერიულ-კავკასიურ ენებს შორის ერთადერთია, რომლის წერილობითი ისტორია 15 საუკუნეს ითვლის. ამიტომ კავკასიის ეპიგრაფიკული და ხელნაწერი ძეგლების ამოკითხვა და გაანალიზება კავკასიოლოგიისათვის ძალიან მნიშვნელოვანია.

ზ. ალექსიძის დასაბუთებით, მართალია, უდიური ენა ახალი ალბანური ენაა, მაგრამ საგრძნობლადაც უნდა განსხვავდებოდეს მისგან: „ძველ ალბანურ ენაზე ალბანეთის სახელმწიფოს დოკუმენტები იწერებოდა, ნათარგმნი იყო წმინდა წიგნები და ღვთისმსახურებაც ამ ენაზე სრულდებოდა. უდიური ენა კავკასიურ ენათა ნახურ-დაღესტნურ ჯგუფში შედის. ბუნებრივია, დროთა განმავლობაში უდიურმა ენამ ცვლილებები განიცადა და საკმაოდ დაშორდა იმ ენას, რომელზეც V–VIII სს-ში დამწერლობის ძეგლები შეიქმნა (ალექსიძე ზ., 2003).

უდი ხალხი, ამჟამად კავკასიის ერთ ძალიან მცირერიცხოვან ეთნიკურ ჯგუფს შეადგენს, დიდი ხანია იქცევს კავკასიის ხალხთა ეთნოგენეზისის საკითხებით დაინტერესებულ მეცნიერთა ყურადღებას. ამ კვლევართა უმეტესი ნაწილის მიერ უდი ხალხი მიჩნეულია ისტორიული ალბანეთის (ქართული წყაროების მიხედვით – **ჰერეთის**) ერთ-ერთ (ზოგის აზრით, ერთადერთ) გადარჩენილ ტომად, რომელსაც ძველად გავრცელების დიდი არეალი ჰქონდა.

საქართველოში, ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ **ზინობიანში** უდიები 1920-1922 წლებში ვართაშენიდან (ახლანდელი ოღუზი, აზერბაიჯანი) გადმოსახლდნენ. მათი აქ გადმოსახლების მიზეზი აზერბაიჯანელებისა და სომხების ურთიერთდაპირისპირება ყოფილა. საქართველოში მაცხოვრებელი უდიები კარგად ფლობენ ქართულ ენას. ამას ხელს უწყობს ყოველდღიური ურთიერთობა ქართველებთან, შერეული (ქართულ-უდიური) ოჯახები და საშუალო სკოლა, სადაც სწავლა ქართულად მიმდინარეობს. სოფ. ზინობიანში ახლად დასახლებულმა უდიებმა იცოდნენ აზერბაიჯანულიც, მაგრამ შემდგომმა თაობებმა აზერბაიჯანული ენა აღარ იციან. ვართაშენში უდიებმა, სომხებთან თანაცხოვრების შედეგად, სომხურიც იცოდნენ. ქართულის, სომხურის, აზერბაიჯანულის გარდა, უდიებს შორის ფართოდ იყო გავრცელებული რუსული ენაც. დღევანდელი მონაცემებით, სოფ. ზინობიანში ქართული ენა უდიებისთვის თითქმის მშობლიური ენის როლს ასრულებს, ისინი ბილინგვალები არიან.

2015 წლიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელშეწყობით, უდიური ენის რეგულარული სწავლება ოფიციალურად აღდგა სოფ. ზინობიანში, სადაც ანბანი (ქართული დამწერლობის საფუძველზე) და ენის შემსწავლელი სახელმძღვანელო შეადგინა ადგილობრივმა უდიამ **მამული ნეშუმაშვილმა.** ეს ანბანი შეიცავს თანამედროვე ქართული ანბანის ყველა ასოს, ასევე ნიშნებს: **ჲ, ა>, ჲა, ჳ, ე>, ჲე, ი, ი>, ჲი, ო, ო>, ჲო, უ, უ>, ჲუ, ჲ, ჴ, ჯ, ჭ .**

ამჟამად უდიურ ენას იკვლევენ როგორც ქართველი, ისე უცხოელი სპეციალისტები და მეცნიერები: **ტ. სიხარულიძე, მ. თანდაშვილი, ა. ჰარისი, ვ. შულცე, ტ. მაისაკი, ი. ლანდერი, დ. განენკოვი, ნ. რუხაძე** და სხვები.

მეთოდები. სოციოლინგვისტური კვლევის შედეგების ზუსტი ანალიზისთვის მოვახდინე მონაცემთა სისტემატიზაცია, გამოვიყენე კვლევის სხვადასხვა მეთოდი და დამხმარე ფაქტორები. გავითვალისწინე რესპონდენტთა ასაკი, სქესი, კულტურული და სოციალური მახასიათებლები.

სტატიაზე მუშაობის პროცესში გამოყენებულია კვლევის სხვადასხვა მეთოდი. კვლევით ექსპედიციაში ვიმყოფებოდი 2023 წლის ოქტომბერში უდი ეთნოსით კომპაქტურად დასახლებულ სოფ. ზინობიანში. საველე სოციოლინგვისტური კვლევების საწარმოებლად გამოვიყენე რაოდენობრივი და თვისებრივი პარამეტრების ანალიზი, რომელიც თავისთავად ეფუძნებოდა ანკეტირებისა და კითხვარების შევსებას. ასევე ვიწერდი ინტერვიუებს ადგილობრივ მოსახლეობასთან და ვაგროვებდი ფოტომასალას.

კვლევის შედეგების გასაანალიზებლად დავიხმარე სოციოლინგვისტური კვლევის ძირითადი მეთოდები: ისტორიულ–კულტურული ფაქტორი, სტრუქტურირებული და არასტრუქტურირებული ინტერვიუ, ენობრივი დაკვირვება, კითხვარები...

მსჯელობა/შედეგები. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო ეთნიკურად და ენობრივად მრავალფეროვანი ქვეყანაა, საქართველოს სახელმწიფო ენის პოლიტიკაც ემყარება ბალანსს – ერთი მხრივ, ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის ფუნქციონირების დაცვასა და განმტკიცებას, ხოლო მეორე მხრივ, ეთნიკური უმცირესობების ენობრივი უფლებების უზრუნველყოფას. სახელმწიფო ცდილობს, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა შეძლონ თავიანთი ენის შენარჩუნება. ამას ხელს უწყობს სკოლებში მშობლიური ენების სწავლების პროგრამები, ბილინგვური განათლების მოდელები, კულტურული ცენტრების საქმიანობა და სხვ.

თანამედროვე მსოფლიო მკაფიოდ ტენდენციურია გლობალიზაციისკენ, რაც გავლენას ახდენს ყველა სფეროზე, მათ შორის მცირე ეთნოსების ენებზეც.

მრავალენოვნება საქართველოს კულტურული სიმდიდრეა, მაგრამ მასთან დაკავშირებულია ისეთი გამოწვევებიც, როგორიცაა ენათა გაქრობის მაღალი რისკი და ინტეგრაციის პროცესების დაჩქარება. გლობალიზაციის, ურბანიზაციისა და ინტეგრაციის პროცესების შედეგად, მსოფლიოს მრავალი მცირე ენა გაქრობის რისკის წინაშე დგას. საქართველო, როგორც ეთნიკურად და ენობრივად მრავალფეროვანი ქვეყანა, ამ გამოწვევებს განსაკუთრებულად განიცდის.

სტატიის ამ ნაწილში წარმოვადგენ რამდენიმე ძირითად ფაქტორს, რომელიც გავლენას ახდენს უდიური ენის ვიტალურობაზე:

1. დემოგრაფიული მაჩვენებელი და მისი გავლენა უდიური ენის ფუნქციონირებაზე

დემოგრაფიულ ცვლილებებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ენების ფუნქციონირებასა და სიცოცხლისუნარიანობაზე. მოსახლეობის სტრუქტურის ცვლილება ხშირად იწვევს ***ენობრივი ატლასის*** ცვლილებას, ზოგჯერ კი ენების დასუსტებას ან გაქრობას.

უდიური ენის (ისევე, როგორც ყველა სხვა ენის) სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია მოსახლეობის რაოდენობაზე, ბუნებრივ ზრდაზე, ასაკობრივ სტრუქტურასა და გეოგრაფიულ განაწილებაზე. თუ ენაზე მოლაპარაკეთა რიცხვი მცირდება დაბალი შობადობის ან მაღალი სიკვდილიანობის გამო, მაშინ ენის გადაშენების რისკი იზრდება.

დემოგრაფიული მაჩვენებელი გულისხმობს იმ სტატისტიკურ მონაცემებს, რომლებიც ასახავს მოსახლეობის რაოდენობას, სტრუქტურას, სქესობრივ და ასაკობრივ თანაფარდობებს. როდესაც ვსაუბრობთ უდიური ენის ფუნქციონირებაზე, უნდა ვივარაუდოთ, ზემოხსენებული მაჩვენებლები პირდაპირ გავლენას ახდენენ ენის გადაცემის პროცედურასა და მის შენარჩუნებაზე.

უდიურ ენაზე მოსაუბრეთა ასაკობრივი სტრუქტურა გვიჩვენებს, რომ ახალგაზრდა თაობა ამ ენებს ქართულთან შედარებით ნაკლებად იყენებს, რაც ამ ენის გაქრობის რისკს ზრდის. სოფელ ზინობიანის რესპონდენტთა 80% საუბრობს მხოლოდ ქართულ ენაზე, მათი უმეტესობა ახალგაზრდაა. გამოკითხულთა 20% თავისუფლად ფლობს მშობლიურ, უდიურ ენას, მაგრამ მათი ასაკი 50 წლის ზემოთაა.

2. უდიურ ენაზე მოლაპარაკეთა პროპორციულობა მოსახლეობის სრულ რაოდენობასთან

საქართველოს მოსახლეობა ეთნიკურად მრავალფეროვანია, სწორედ ეს მრავალფეროვნება ახდენს გავლენას უდიური ენის მდგომარეობაზე, თავისთავად სახელმწიფო ენის ფუნქციონირებაზეც.

საქართველოს საერთო მოსახლეობა 2014 წელს შეადგენდა 3.7 მილიონს, მათგან უდიური ენის მატარებელი 302 ადამიანია. ამ ენაზე მოლაპარაკეთა პროცენტული წილი მცირდება, შესაბამისად, ენის გადარჩენის შანსიც იკლებს.

3. ბილინგვიზმი უდიურ თემში

ბილინგვიზმი შეიძლება იყოს როგორც სარგებლის მომტანი (ენის გავრცელების ხელშეწყობით), ასევე საფრთხის შემცველი (როცა დომინანტური ენა ანაცვლებს ადგილობრივს). უდიური ენის მატარებელთათვის ბილიგვიზმის დადებითი ფაქტორებია: ფართო კომუნიკაციის შესაძლებლობა ქართულ ენაზე; სოციალურ-ეკონომიკურ ინტეგრაციასა და დასაქმებაში დახმარება. უარყოფითი ფაქტორებია: უდიური ენის გაქრობის საფრთხე; ენის გადაცემის სირთულეები ახალგაზრდა თაობისთვის; თვითმყოფადობის ნაწილობრივი დაკარგვა.

როგორც სოციოლინგვისტურმა კვლევამ მიჩვენა, უდიური ენის მომხმარებლები აქტიურად იყენებენ მეორე ენას – ქართულს – ყოველდღიურ ცხოვრებაში, ეს კი იწვევს მათი მშობლიური ენის შესუსტებას და ნელ-ნელა გაქრობას, განსაკუთრებით ახალგაზრდებში. სოფელ ზინობიანში გამოკითხულთა 50% საერთოდ ვერ ფლობს მშობლიურ ენას, 15% ფლობს ცუდად, 15% – საშუალო დონეზე, 20% – თავისუფლად. გამოკითხულთა 80% თემში სასაუბროდ იყენებს ქართულ ენას, 15% იყენებს ქართულ და უდიურ ენებს, მხოლოდ 5% საუბრობს უდიურ ენაზე.

4. შერეული ქორწინებები და მისი გავლენა უდიური ენის ფუნქციონირებაზე

შერეული ქორწინებები (როდესაც სხვადასხვა ეთნიკური და ენობრივი ჯგუფის წარმომადგენლები ოჯახს ქმნიან) მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ენის ფუნქციონირებაზე, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი ენა უკვე დასუსტებულ მდგომარეობაშია. ასეთი ქორწინებები ხშირად იწვევს ენობრივ ასიმილაციას, რადგან ოჯახში ერთი ენა დომინანტურ პოზიციას იკავებს, ხოლო მეორე შეიძლება თანდათან გაქრეს.

ცნობილია, რომ ამა თუ იმ ეთნიკურ ერთეულს დედაენის თაობიდან თაობაზე გადაცემა შეუძლია მაშინ, თუ შერეული საქორწინო ურთიერთობები ნაკლები იქნება, ან საერთოდ არ იქნება. სოფელ ზინობიანში შერეულმა ქორწინებებმა ინტენსიური სახე ბოლო 20-25 წლის განმავლობაში.

1990-იანი წლებიდან ზინობიანელი უდი მამაკაცები ხშირად ქართველ ქალებზე ქორწინდებიან. ქართველი რძლები შვილებს, რა თქმა უნდა, უდიურ ენას ვერ შეასწავლიან. ამიტომ ზინობიანში არის ოჯახები, სადაც უდიურ ენაზე ვერ საუბრობენ. თუმცა არის ისეთი ოჯახები, სადაც ბავშვები უდიურ ენას ბებია-ბაბუებისგან სწავლობენ. გამოკითხულთა 80% ოჯახში სასაუბრო ენად იყენებს ქართულს, უდიურ ენაზე საუბრობს 10%, ხოლო შერეულად, ქართულ-უდიურად – 10%. აქაც უდიურ ენაზე მოსაუბრეთა საშუალო ასაკი განისაზღვრება 50 წლის ზემოთ.

5. მიგრაციული პროცესები და მისი გავლენა უდიური ენის ვიტალურობაზე

თითოეული ენა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იგი ეთნიკური უმცირესობის ენაა, არა მხოლოდ კომუნიკაციის საშუალებაა, არამედ კულტურული თვითმყოფადობისა და იდენტობის მატარებელიცაა, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს როგორც ინდივიდის, ისე საზოგადოებისა და სახელმწიფოს სოციალურ ცხოვრებაზე.

მიგრაცია მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ენის ვიტალურობაზე. უდიური ენა **კრიტიკულად გადაშენების პირას მყოფ ენათა ჯგუფს** მიეკუთვნება, რომლის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს მიგრაციული პროცესები წარმოადგენს. ბოლო ოცწლეულის განმავლობაში უდიური მოსახლეობა მასობრივად ტოვებს ქვეყანას და უცხოეთში მიდის საცხოვრებლად. ისინი იქ დისპერსიულად სახლდებიან. დისპერსიულად მაცხოვრებელთ უჭირთ მშობლიური ენის შენარჩუნება. მშობლიურ ენას ელემენტარულ საკომუნიკაციო დონეზეც ვერ იყენებენ და ამიტომ ენის გადარჩენის შანსიც იკლებს. თუ მიგრანტები შეინარჩუნებენ კულტურულ კავშირს და მშობლიურ ენაზე ისაუბრებენ, ენის სიცოცხლისუნარიანობა უფრო დიდხანს შენარჩუნდება.

დასკვნები: დღესდღეობით უდიურ ენას, როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოში, გაქრობა ემუქრება. ახალგაზრდობის უდიდესი ნაწილი ამ ენაზე არ/ვერ საუბრობს. მიუხედავად არაერთი ღონისძიებისა, რომელსაც ახორციელებენ საერთაშორისო ორგანიზაციები და სახელმწიფო, უდიური ენის განლევადობის/გაქრობის პროცესი თითქმის შეუქცევადი ხდება.

უდიური ენის სოციალური სტატუსი საგრძნობლადაა შესუსტებული. უმეტეს შემთხვევაში ამ ენას აქვს **საოჯახო ენის სტატუსი** და ყველა დანარჩენ შემთხვევაში ქართული ენა დომინანტობს: სწავლა-განათლების, ტელე-რადიო მაუწყებლობის, სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის, ოფიციალურ საქმისწარმოებასა თუ სამართალწარმოებაში.

აშკარაა, რომ უდიური ენის მატარებელთა რიცხვი საგრძნობლად მცირეა სახელმწიფოს საერთო მოსახლეობის რაოდენობასთან მიმართებაში.

მიუხედავად სახელმწიფოს მიერ გატარებული არაერთი ღონისძიებისა, უდიური ენის შენარჩუნება ამ მხრივაც რთულდება, რადგან მისი დემოგრაფიული სტატისტიკა საგანგაშოა.

დემოგრაფიული ცვლილებების შესწავლას მივყავართ დასკვნამდე, რომ ენის სიცოცხლისუნარიანობა დაკავშირებულია დემოგრაფიული ცვლილების რაოდენობასთან. დემოგრაფიული მაჩვენებლის კლება იწვევს ამ ენის მატარებელთა კლებასაც.

ჩემ მიერ ჩატარებული 2023 წლის სოციოლიგვისტური კვლევის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ თაობათა შორის გადაცემის ფაქტორი ყველაზე ცუდად მოქმედებს უდიური ენის ვიტალურობის მაჩვენებელზე.

სისტემატურად ხდება უდი მოსახლეობის ქვეყნიდან გადინება ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. ახალ საცხოვრებელ გარემოში ისინი სახლდებიან დისპერსიულად. მიგრირებულებს ყოველდღიურად უხდებათ იმ ენების გამოყენება, სადაც იწყებენ ახალ ცხოვრებას. მშობლიურ ენას აქვს მხოლოდ საოჯახო ენის სტატუსი, (ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შერეულ ოჯახებს არ ქმნიან).

ინტერვიუების და გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ უდიურ ენას არაპრესტიჟულად მიიჩნევს მოსახლეობის გარკვეული ნაწილი. მათი აზრით, ცოდნის დაუფლების, განათლებისა და კარიერისკენ მიმავალ გზაზე მშობლიური ენა ნაკლებად გამოადგებათ, რაც განაპირობებს ახალგაზრდა თაობის ნაკლებ ინტერესს მშობლიური ენისადმი. გამოკითხულთა 60%-ს ქართული ენის ცოდნა მიაჩნია პრესტიჟულად, მათი 35% უპირატესობას ინგლისურ ენას ანიჭებს და მხოლოდ 5%-ს მიაჩნია მშობლიური ენის ცოდნა აუცილებლად.

მიუხედავად იმისა, რომ **სოფელ ზინობიანის** საჯარო სკოლაში 2015 წლიდან ისწავლება მშობლიური ენა დაწყებით კლასებში, გვაქვს სახელმძღვანელოების, თვალსაჩინოებებისა და სხვა დამხმარე მასალების დეფიციტი.

რა შეიძლება გაკეთდეს უდიური ენის გადასარჩენად?

1. აუცილებელია ბილინგვური განათლების გაძლიერება – უდიურ თემში ბილინგვური განათლების გაძლიერება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ენის გადარჩენისთვის, არამედ კულტურული იდენტობის შენარჩუნებისა და სოციალური ინტეგრაციისთვის. აუცილებელია მაღალი დონის კვალიფიციური პედაგოგების მომზადება, რომლებიც შეძლებენ არა მხოლოდ უდიური ენის სწავლებას, არამედ ბილინგვური მეთოდოლოგიის გამოყენებასაც, რათა შექმნან ეფექტური სასწავლო გარემო. ამ მიზნით, შესაძლებელია პედაგოგთა მომზადების პროგრამების ამოქმედებაც.

2. სოციალური და კულტურული პროგრამების მხარდაჭერა – უდიური ენის გადარჩენა და განვითარება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვადასხვა სოციალური და კულტურული პროგრამა ხელს შეუწყობს მის გამოყენებასა და პოპულარიზაციას. ეს უნდა იყოს არამხოლოდ სკოლების და განათლების სისტემის მხრიდან, არამედ მთლიანად საზოგადოების აქტიური მხარდაჭერითა და ჩართულობით. მაგალითად, ისეთი კულტურული ღონისძიებები, როგორებიცაა ფესტივალები, გამოფენები, პოეზიის საღამოები, ხელოვნების ნიმუშების ჩვენებები ხელს შეუწყობს ენის პოპულარიზაციას. ამ დროს ენა ხდება მნიშვნელოვანი სოციალური ინსტრუმენტი, რომელიც აერთიანებს და აახლოებს თემსა და თემის წევრებს.

3. ციფრული რესურსების შექმნა – მცირერიცხოვანი ენების გადარჩენა და პოპულარიზაცია თანამედროვე ტექნოლოგიების, განსაკუთრებით ციფრული რესურსების გამოყენებით, ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებად მიიჩნევა. ამიტომ უნდა არსებობდეს ვებგვერდები, აპლიკაციები, ლექსიკონები, სახელმძღვანელოები და აუდიო/ვიდეო მასალები უდიურ ენაზე, რაც ენის სიცოცხლისუნარიანობას საგრძნობლად გაზრდის.

4. ენის დოკუმენტირება და კვლევა – როდესაც ენები საფრთხის ქვეშ იმყოფებიან, მათი დოკუმენტირება და საფუძვლიანი კვლევა არა მხოლოდ ენის სისტემის, არამედ ამ ენის მატარებელთა კულტურული მემკვიდრეობისა და მათი ისტორიის შენარჩუნებასაც უზრუნველყოფს. ენის დოკუმენტირების პროცესში შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს ენის ყველა ასპექტი, მათ შორის მისი ფონოლოგია, პუნქტუაცია, სინტაქსი, მორფოლოგია, ლექსიკა და ტექსტები, ანუ ხდება ენის სისტემატიზაცია და მომავალი თაობებისთვის გადაცემა. შესაბამისად, აუცილებელია უდიური ენის მდგომარეობის სისტემატური შესწავლა და მისი დაცვის მექანიზმების შექმნა.

Bibliography:

ალექსიძე, ზ. A. (2003). *კავკასიის ალბანეთის დამწერლობა, ენა და მწერლობა kavkasiis albanetis damwerloba.* თბილისი Tbilisi: საქ. უნივერსიტეტის გამომცემლობა saq. universitetis gamomcemloba.

ალექსიძე, ზ. A. (2003). *კავკასიის ალბანეთის დამწერლობა, ენა და მწერლობა kavkasiis albanetis damwerloba, ena da mwerloba.* თბილისი Tbilisi: საქ. უნივერსიტეტის გამომცემლობა saq. universitetis gamomcemloba.

ბიბლიოთეკა, ს. ს. (2008). *ეთნოსები საქართველოში etnosebi saqartveloshi.* თბილისი Tbilisi: საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი saqartvelos saxalxo dacveltan arsebuli tolerantobis centri.

ეგნატაშვილი, ბ. E. (1959). *ახალი ქართლის ცხოვრება– „ქართლის ცხოვრება“, ტ. II axali qartlis cxovreba – „qartlis cxovreba“, t. II.* თბილისი Tbilisi: საბჭოთა საქართველო sabchota saqartvelo.

თოფჩიშვილი, რ. (2007). *კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, ეთნიკური ისტორია, ეთნიკური კულტურა.* თბილისი: უნივერსალი.

თოფჩიშვილი, რ. T. (2007). კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, ეთნიკური ისტორია, ეთნიკური კულტურა kavkasiis xalxta etnografia, etnikuri istoria, etnikuri kultura. (p. 157). თბილისი Tbilisi: უნივერსალი Universali.

თოფჩიშვილი, რ. t. (2007). *კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, ეთნიკური ისტორია, ეთნიკური კულტურა kavkasiis xalxta etnografia, etnikuri istoria, kultura.* თბილისი Tbilisi: უნივერსალი universali.

ლოლუა, რ. L. (2010). *კავკასიის ალბანური ენის სტრუქტურის საკითხები kavkasiis albanuri enis struqturis sakitxebi.* თბილისი Tbilisi: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა Tbilisis universitetis gamomcemloba.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 10 qartuli sabchota enciklopedia, t. 10. (1986). თბილისი Tbilisi: ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია qartuli sabWoTa enciklopediis mtavari samecniero redaqcia.

Hewsen, R. (1982). Ethno–History and the Armenian Influence upon the Caucasian Albanians. Chicago.: Chico, CA : Scholars Press.

Коряков, Ю. Б. (2006). *Атлас кавказских языков – Карта № 15.* Москва : РАН. Институт языкознания.

Aleksidze, Z. (2003). *Caucasian Albanian Script, Language and Writing.* Tbilisi: The University of Georgia Publishing House.

Aleksidze, Z. (2003). *Caucasian Albanian Script, Language and Writing.* Tbilisi: The University of Georgia Publishing House.

Egnatashvili, B. (1959). *Life of New Kartli – „Life of Kartli“, Vol. II.* Tbilisi: Soviet Georgia.

Georgia, C. f. (2008). *Ethnos in Georgia.* Tbilisi: Library of the Public Defender of Georgia .

Georgia, M. S. (1986). *Georgian Soviet Encyclopedia,Vol. 10.* (I. Abashidze, Ed.) Tbilisi: Main Scientific Editorial Board of the Georgian Soviet Encyclopedia.

Hewsen, R. (1982). *Ethno–History and the Armenian Influence upon the Caucasian Albanians.* Chicago: Chico, CA : Scholars Press.

Koryakov, Y. B. (2006). *Atlas of Caucasian Languages – Map No. 15.* Moscow: RAN. Institute of Linguistics.

Lolua, R. (2010). *Issues of the structure of the Caucasian Albanian language.* Tbilisi: Tbilisi University Publishing House.

Topchishvili, R. (2007). *Ethnography of the Peoples of the Caucasus, Ethnic History, Ethnic Culture.* Tbilisi: Universal.

Topchishvili, R. (2007). *Ethnography of the Peoples of the Caucasus, Ethnic History, Ethnic Culture.* Tbilisi: Unversal.

THE UDI LANGUAGE IN GEORGIA (THE SOCIOLINGUISTIC ANALYSIS)

TEA GIGITASHVILI
PhD student at Ivane Javakhishvili Tbilisi
State University, Institute of Caucasology
E-Mail: tea.gigitashvili@hum.tsu.edu.ge
ORCID: 0009-0001-5607-0396

Abstract: The **Udis, Udins** – their own name „**Udi, Uti**" – are one of the autochthonous peoples of the Caucasus. They are considered to be descendants of the Caucasian Albanians. The Udis living in Georgia migrated from the Azerbaijani village of **Vartasheni** to the village of **Zinobiani** in the Kvareli district.The Udi language is included in the **UNESCO World Atlas** of Endangered Languages.

According to the results of the 2014 general census, 203 Udis lived in Georgia, and the absolute majority of them lived in the village of Kvareli district.

In the 19th and 20th centuries, it was believed that the **Udis** (**Utis**) were the only remaining descendants of the ancient Albanians.

According to the majority of scholars, the only direct descendants of the ancient Albanians are the **Udis**, who have preserved the **Albanian** (**Udi**) language to this day. The Albanian language belongs to the group of dead languages. The Udi language belongs to the **Ibero-Caucasian** family of languages.

At present, the Udi language area is limited to three villages: **Zinobiani village** (Georgia, Kvareli municipality), **Oghuzi village** (Vartashen district) (Azerbaijan, Gabal (Kutkashen) district), **Nidzh village** (Gabal district, Azerbaijan). The Udi language is mainly used at home.

Since 2015, the Udi language has been taught in the village, in the primary classes of the Zinobiani public school.

In October 2023, I conducted a sociolinguistic study in the village of Zinobiani, Kvareli municipality, Kakheti, where the Udi people live compactly.

In order to analyse the results of the study, I used the main factors of sociolinguistic research: structured and unstructured interviews; linguistic observation, questionnaires...

During the sociolinguistic analysis of the language, I identified several important factors:

- Demographic indicators and their impact on the functioning and vitality of the Udi language;
- Proportionality of Udi speakers to the total population;
- Bilingualism in the Udi community;
- Mixed marriages and their impact on the functioning of the language;
- Migration processes and their impact on the vitality of the language.

The combination of these methods allowed me to study language in a social context and to analyse linguistic changes in different social groups.

Based on the analysis of the available data, I tried to imagine the level of vitality/viability of the Udi language in Georgia, to identify the causes of the problems and the existence of programmes supporting the functioning of the language.

Key words: The Udi language; An Endangered Language; Language Status; A minority language; Family Language.

* * *

Introduction. At the end of the 20th century and the beginning of the new one, not only large nations, but also hundreds of small ethnic groups, including the **Udis**, faced the challenge of modernity. This is one of the oldest ethnic groups in the Caucasus, living on the territory of modern Azerbaijan.

The life and destiny of the **Udis** were determined by the invasions of the ancient Persians, Greeks, Romans, Arabs, Mongols, Turks and other invaders. They lived for centuries in a multi-ethnic environment, which had a great impact on the functioning of this ethnic group and its language. Over the centuries, the Udis have endured many occupations and tragedies, as a result of which they have been reduced from a numerous nation to a small ethnic group.

Udi (also called **Uti** or **Udin**) is a language spoken by the Udi people and a member of the Lezgic branch of the Northeast Caucasian language family. It is believed an earlier form of it was the main language of Caucasian Albania, which stretched from south Dagestan to current day Azerbaijan.The Old Udi language is also called the Caucasian Albanian language.

There is no consensus on the number of Udis in the world, and it is difficult to state their number with complete accuracy. The Udi language is spoken by approximately 8,400 – 10,000 people. Their historical homeland is the territory of modern Azerbaijan. Before the Karabakh conflict, the village of **Vartashen** (now Oghuz) was a compact settlement of the Udis in Azerbaijan. They currently live in the territories of Russia, Georgia, Azerbaijan, Armenia, Kazakhstan, Ukraine and other countries (Georgia C. f., 2008).

The **UNESCO** Atlas of Languages in Danger assesses the viability of languages on the basis of various criteria. Taking these factors into account, Udi is endangered, classified as „severely endangered" by **UNESCO's Red Book of Endangered Languages**.This means that the language still has native speakers, but their numbers are declining and intergenerational transmission is weakening.

Sources/Literature Review. Researchers believe that the Udi people have been mentioned since ancient times. The main evidence for this is the name in historical sources, the Greek word for Udi. It is believed that this term refers to the people living in the territory of ancient **Albania**, who are now called Udi. In Georgia, they live mainly in the village of **Zinobiani, Kvareli municipality**. They also live compactly: in **Vartashen**, **Nij** and **Mirzabelu** – on the territory of Azerbaijan (Georgia M. S., 1986).

According to an article written by M. Bezhanova in the 1990s, not so long ago there were old people in various villages of Western Azerbaijan who knew Udi. In general, scientists see a substratum of Old Albanians (Udi) in the Azerbaijani population of the three northwestern regions of Azerbaijan (**Sheki, Oghuz, Kabali**). According to various sources, at the beginning of the 19th century, Udi also lived in the villages of **Vardanli, Bayani, Kish**. In a number of villages of the modern Kabali region lived Muslims who considered themselves **Azerbaijani Tatars**, but still knew Udi (Topchishvili, Ethnography of the Peoples of the Caucasus, Ethnic History, Ethnic Culture, 2007).

In 1989 the Udis of Vartashen were expelled from the country. The expulsion was part of the beginning of the Armenian-Azerbaijani Nagorno-Karabakh conflict. Udis with Armenian names and belonging to the Armenian Church were considered Armenians and suffered the same fate as other Armenians in Azerbaijan. Today, a small number of Udis remain in Vartashen.

In the 19th and 20th centuries it was thought that the **Udi (Uti)** were the only remaining descendants of the ancient Albanians. In recent years, the discovery of ancient Albanian inscriptions on Mount Sinai by **Zaza Aleksidze**, and their decipherment using the Udi language, has finally justified this assumption.

The word Albania in Latin (Lat. Albania) means „mountainous country". The Albanians were an Ibero-Caucasian tribe and spoke the Albanian language, which belongs to the Ibero-Caucasian language group (Hewsen, 1982).

At the beginning of the 4th century, the Albanian state declared Christianity to be the state religion. According to the deposed **Albanian (Ut**) historian **Movses Kalankatuatsi,** the Albanians adopted Christianity during the reign of **King Urnair**, before the **Georgians (Iberians**) (i.e. before 326 AD). However, a certain part of the Albanian population had been Christian even earlier. The Albanian Church was autocephalous and was headed by a Catholicos (Topchishvili, Ethnography of the Peoples of the Caucasus, Ethnic History, Ethnic Culture, 2007).

The prominent **Albanian (Utilian**) historian **Movses Kalankatuatsi**, in his „History of the Albanian Country", identifies four main provinces of Albania in which four Albanian-related peoples – the Utilians (Udi), Gardamans, Gargarians and Tsavdeans – lived.

Georgian historical sources of the early Middle Ages often mention the states located on the territory of Albania: „**Ransa**" (i.e. **Arransa**) and „Movakan", which also belonged to the **Kartli (Iberian**) state or were often under its influence. It is known that the Arabic name for Albania is **Arran**. A Georgian historian of the late 18th century emphasises that the earlier name of the contemporary Muslim **khanates – Kazakh** and **Shamshadelu** – was **Raniao** (Egnatashvili, 1959).

According to **Strabo,** there were tribes in Albania that spoke 26 languages. It is likely that some of these tribes were related to each other and therefore gradually merged. The fact is that the unified state of Albania was formed as a result of the unification of four large territorial units. These were: **Utili, Gardamani, Tsavdei** and **Gargarali.** But from the second half of the 5th century, the centre of the kingdom was moved to Utiki, in the town of **Partavi**. The spoken language of this province was **Uti** (modern Udi). Arab historians called this language **Arranul,** or **Albanian** (Aleksidze, Caucasian Albanian Script, Language and Writing, 2003).

The Udi language was greatly influenced by the languages of neighbouring peoples. First of all, this influence was reflected in the vocabulary. **A. Dir** rightly noted at the time: „... compiling an Udi dictionary is quite a difficult task. One doesn't know whether to limit oneself to Udi words or to include Turkish, Armenian and Persian words. In the first case, we will get such a big dictionary that we will not have enough words even to describe everyday things. In the second case, even if we are satisfied with words that have no equivalent in Udi, we run the risk of compiling the same Turkish or Armenian dictionaries, scattered here and there with other words that will be Udi" (Lolua, 2010). Historically, the Caucasian Albanian language (to which the **Old Udi** language is closely related) had an alphabet of 52 letters. The Bible was translated using this alphabet and religious services were held in Albanian, but later the language and script disappeared (Lolua, 2010).

It is thought that the Albanian language was the basis of the modern Udi language. The Albanian language belongs to the group of dead languages. The Caucasian Albanian language and script have been the subject of research by many scholars.

Structurally and lexically, the Udi language is closest to **Tsakhi, Mukhaduri (Rutuli), Lezgi** or **Kyur, Aguli, Tabasaran** and the so-called **Shakh-Dagh** languages: **Budukhuri, Jekur** and **Kritsuli**.

Agvan, or **Caucasian Albanian**, is considered to be the language of one of the 26 tribes of ancient Caucasian Albania, the **Gargari,** and is related to the Udi language. The phonological system was probably close to that of the modern Udi language, as evidenced, for example, by the presence of pharyngealised vowels (Koryakov, 2006).

Albanian is the only Iberian-Caucasian mountain language whose written history dates back to the 15th century. Therefore, the reading and analysis of the epigraphic and manuscript monuments of the Caucasus is very important for Caucasology.

Z. Aleksidze believes that although the Udi language is a new Albanian language, it must be very different from Albanian: „The documents of the Albanian state were written in **Old Albanian**, the holy books were translated and religious services were held in this language. The Udi language belongs to the Nakh-Dagestani group of Caucasian languages. Naturally, the Udi language underwent changes over time and became quite distant from the language in which written monuments were created in the 5th-8th centuries (Aleksidze, Caucasian Albanian Script, Language and Writing, 2003).

The Udi people, currently one of the smallest ethnic groups in the Caucasus, have long attracted the attention of scholars interested in the ethnogenesis of the peoples of the Caucasus. Most of these studies consider the Udi people to be one of the (some believe the only) surviving tribes of historical Albania (according to Georgian sources – **Hereti**), which in ancient times had a wide area of distribution.

In Georgia, in the village of **Zinobiani, Kvareli municipality**, the Udi people migrated from **Vartashen** (now Oghuz, Azerbaijan) in 1920-1922. The reason for their migration was the conflict between Azer-

baijan and Armenians. The Udi people living in Georgia speak Georgian well. This is facilitated by daily communication with Georgians, mixed (Georgian – Udi) families and a secondary school where the language of instruction is Georgian. The newly settled Udi people in Zinobiani also knew Azerian, but later generations no longer know the Azerian language. In Vartashen, the Udi people also knew Armenian as a result of living together with the Armenians. In addition to Georgian, Armenian and Azerbaijani, Russian was also widely spoken among the Udi people. According to current data, in the village of Zinobiani, Georgian plays the role of almost a native language for the Udi people, who are bilingual.

Since 2015, with the support of the **Georgian Ministry of Education and Science**, regular teaching of the Udi language has been officially restored in the village of Zinobiani, where the alphabet (based on the Georgian script) and a textbook for learning the language were compiled by the local Udi, **Mamuli Neshumashvili**. This alphabet contains all the letters of the modern Georgian alphabet as well as signs: **ჳ, ა>, ჲა, ჴ, ე>, ჲე, ჵ, ი>, ჲი, ჷ, ო>, ჲო, ჸ, უ>, ჲუ, ჲ, ჶ, ჯ .**

At present, the Udi language is being studied by both Georgian and foreign specialists and scholars: **T. Sikharulidze, M. Tandashvili, A. Harris, V. Schulze, T. Maisaki, I. Lander, D. Ganenkov, N. Rukhadze** and others.

Methods used. For accurate analysis of the results of sociolinguistic research I systematised the data, used various research methods and auxiliary factors. I took into account the age, sex, cultural and social characteristics of the respondents.

Various research methods were used in the process of working on the article. In October 2023, I went on a research expedition to the village of Zinobiani, which is densely populated by the Udi ethnic group. In order to carry out sociolinguistic field research, I used the analysis of quantitative and qualitative parameters, which in turn was based on questionnaires and surveys. I also recorded interviews with the local population and collected photographic material.

In order to analyse the research results, I used the main methods of sociolinguistic research: historical-cultural factors, structured and unstructured interviews, linguistic observation, questionnaires...

Discussion/Results. Based on the fact that Georgia is an ethnically and linguistically diverse country, Georgia's state language policy is also based on a balance between protecting and strengthening the functioning of the Georgian language as the state language and ensuring the linguistic rights of ethnic minorities. The state tries to ensure that representatives of ethnic minorities are able to preserve their language. This is facilitated by programmes to teach mother tongues in schools, bilingual education models, the activities of cultural centres, etc.

The modern world is clearly moving towards globalisation, which affects all spheres, including the languages of small ethnic groups.

Multilingualism is Georgia's cultural richness, but it is also associated with challenges such as the high risk of language extinction and the acceleration of integration processes. As a result of globalisation, urbanisation and integration processes, many of the world's small languages are threatened with extinction. Georgia, as an ethnically and linguistically diverse country, is particularly affected by these challenges.

In this section of the article, I will present several key factors that influence the vitality of the Udi language:

1. Demographic indicators and their impact on the functioning of the Udi language.

Demographic changes are crucial to the functioning and viability of languages. Changes in the structure of the population often lead to changes in the linguistic atlas and sometimes to the weakening or disappearance of languages.

The viability of the Udi language (as well as all other languages) depends on the size of the population, natural growth, age structure and geographical distribution. If the number of speakers of a language decreases due to low birth rates or high death rates, the risk of language extinction increases.

Demographic indicators are statistical data that reflect the size, structure, gender and age distribution of the population. When we talk about the functioning of the Udi language, we must assume that the above indicators directly affect the process of language transmission and preservation.

The age structure of Udi speakers shows that the younger generation uses these languages less than Georgian, which increases the risk of their disappearance. 80% of respondents in the village of Zinobiani speak only Georgian, most of them young. 20% of respondents are fluent in their mother tongue Udi, but their age is over 50 years.

2. Proportion of Udi speakers in the total population.

The population of Georgia is ethnically diverse, and it is this diversity that affects the state of the Udi language and, in turn, the functioning of the state language.

The total population of Georgia in 2014 was 3.7 million, of which 302 people speak Udi. The percentage of speakers of this language is decreasing, and so are the chances of its survival.

3. Bilingualism in the Udi Community.

Bilingualism can be both beneficial (by promoting the spread of the language) and threatening (if the dominant language replaces the local language). The positive factors of bilingualism for Udi speakers are: the possibility of widespread communication in Georgian; assistance in socio-economic integration and employment. The negative factors are: the threat of the disappearance of the Udi language; difficulties in transmitting the language to the younger generation; partial loss of identity.

As sociolinguistic research has shown, Udi speakers actively use a second language – Georgian – in everyday life, leading to the weakening and gradual disappearance of their mother tongue, especially among young people. In the village of Zinobiani, 50% of the respondents do not speak their mother tongue at all, 15% speak it badly, 15% – at an average level, 20% – fluently. 80% of respondents use Georgian to communicate in the community, 15% use Georgian and Udi, and only 5% speak Udi.

4. Mixed marriages and their impact on the functioning of the Udi language.

Mixed marriages (when representatives of different ethnic and linguistic groups form a family) have a significant impact on the functioning of the language, especially if one of the languages is already in a weakened state. Such marriages often lead to linguistic assimilation, as one language becomes dominant in the family, while the other may gradually disappear.

It is well known that a particular ethnic unit can only transmit its mother tongue from generation to generation if mixed marriages are rare or absent. In the village of Zinobian, mixed marriages have intensified over the last 20-25 years.

Since the 1990s, Udi men from Zinobian have often married Georgian women. The Georgian daughters-in-law cannot, of course, teach their children the Udi language. So there are families in Zinobian where no Udi is spoken. But there are also families where the children learn Udi from their grandparents. 80% of respondents use Georgian as the spoken language in the family, 10% speak Udi and 10% speak a mixed language, Georgian-Udi. Again, the average age of Udi speakers is over 50.

5. Migration processes and their impact on the vitality of the Udi language.

Any language, especially when it is the language of an ethnic minority, is not only a means of communication, but also a carrier of cultural identity and identity, which has a significant impact on the social life of individuals, society and the state.

Migration has a significant impact on the vitality of a language. The Udi language belongs to a group of critically endangered languages, one of the main reasons being migration processes. Over the past twenty years, the Udi population has been leaving the country en masse and moving abroad. They settle there in scattered settlements. Those who live in dispersed settlements have difficulty maintaining their mother tongue. They cannot use their mother tongue even at a basic level of communication, so

the chances of the language surviving are diminishing. If migrants maintain cultural ties and speak their mother tongue, the vitality of the language is maintained for longer.

Conclusions. Today the Udi language is threatened with extinction, both in Georgia and in the world. The majority of young people do not/cannot speak this language. Despite a number of measures taken by international organisations and the state, the process of extinction/disappearance of the Udmurt language is becoming almost irreversible.

The social status of the Udi language is significantly weakened. In most cases, it has the status of a family language, and in all other cases, the Georgian language dominates: in education, in television and radio broadcasting, in the activities of state and municipal bodies, in official or legal proceedings.

It is obvious that the number of Udi speakers is significantly small in relation to the total population of the state.

Despite a number of measures taken by the state, the preservation of the Udi language is also becoming difficult in this respect, as its demographic statistics are alarming.

The study of demographic changes leads to the conclusion that the vitality of a language is related to the degree of demographic change. A decrease in the demographic indicator also leads to a decrease in the number of speakers of that language.

Based on the analysis of the sociolinguistic research I conducted in 2023, it can be said that the intergenerational transmission factor has the worst effect on the vitality indicator of the Udi language.

The Udi population systematically left the country for various European countries. They are scattered in their new surroundings. The migrants have to use the languages in which they are starting a new life on a daily basis. **The mother tongue** only has the status of a **family language** (and only if they do not form mixed families).

Interviews and surveys have shown that a certain part of the population does not consider the Udi language to be prestigious. According to them, their mother tongue is of little use in terms of knowledge, education and career, which explains the younger generation's lack of interest in their mother tongue. 60% of respondents consider knowledge of Georgian to be prestigious, 35% of them prefer English, and only 5% consider knowledge of the mother tongue to be essential.

Although the public school in the village of Zinobiani has been teaching the native language at primary level since 2015, there is a lack of textbooks, visual aids and other support materials.

What can be done to save the Udi language?

1. Strengthening bilingual education is necessary – Strengthening bilingual education in the Udi community is important not only for the survival of the language, but also for the preservation of cultural identity and social integration. It is necessary to train highly qualified teachers who can not only teach the Udi language, but also use bilingual methodology to create an effective learning environment. To this end, teacher training programmes can also be set up.

2. Supporting social and cultural programmes – The survival and development of the Udi language can only be possible if various social and cultural programmes promote its use and popularisation. This should be done not only through schools and the education system, but also with the active support and participation of the whole society. For example, cultural events such as festivals, exhibitions, poetry evenings and art exhibitions will contribute to the popularisation of the language. It is then that the language becomes an important social tool, uniting and bringing together the community and its members.

3. Creation of digital resources – The preservation and popularisation of small languages using modern technologies, especially digital resources, is considered to be one of the most effective ways. Therefore, there should be websites, applications, dictionaries, textbooks and audio/video materials in Udi, which will significantly increase the vitality of the language.

4. Language documentation and research – When languages are under threat, their documentation and thorough research ensures the preservation not only of the language system, but also of the cultural heritage of the speakers of that language and its history. The process of documenting a language allows all aspects of the language to be represented, including its phonology, punctuation, syntax, morphology, vocabulary and texts, i.e. the language is systematised and passed on to future generations. Accordingly, it is necessary to systematically study the state of the Udi language and to create mechanisms for its protection.

References:

Aleksidze, Z. (2003). *Caucasian Albanian Script, Language and Writing.* Tbilisi: The University of Georgia Publishing House.

Aleksidze, Z. (2003). *Caucasian Albanian Script, Language and Writing.* Tbilisi: The University of Georgia Publishing House.

Egnatashvili, B. (1959). *Life of New Kartli – „Life of Kartli", Vol. II.* Tbilisi: Soviet Georgia.

Georgia, C. f. (2008). *Ethnos in Georgia.* Tbilisi: Library of the Public Defender of Georgia .

Georgia, M. S. (1986). *Georgian Soviet Encyclopedia,Vol. 10.* (I. Abashidze, Ed.) Tbilisi: Main Scientific Editorial Board of the Georgian Soviet Encyclopedia.

Hewsen, R. (1982). *Ethno-History and the Armenian Influence upon the Caucasian Albanians.* Chicago: Chico, CA : Scholars Press.

Koryakov, Y. B. (2006). *Atlas of Caucasian Languages – Map No. 15.* Moscow: RAN. Institute of Linguistics.

Lolua, R. (2010). *Issues of the structure of the Caucasian Albanian language.* Tbilisi: Tbilisi University Publishing House.

Topchishvili, R. (2007). *Ethnography of the Peoples of the Caucasus, Ethnic History, Ethnic Culture.* Tbilisi: Universal.

Topchishvili, R. (2007). *Ethnography of the Peoples of the Caucasus, Ethnic History, Ethnic Culture.* Tbilisi: Universal.

Bibliography:

Aleksidze, Z. (2003). *Caucasian Albanian Script, Language and Writing.* Tbilisi: The University of Georgia Publishing House.

Aleksidze, Z. (2003). *Caucasian Albanian Script, Language and Writing.* Tbilisi: The University of Georgia Publishing House.

Egnatashvili, B. (1959). *Life of New Kartli – „Life of Kartli", Vol. II.* Tbilisi: Soviet Georgia.

Georgia, C. f. (2008). *Ethnos in Georgia.* Tbilisi: Library of the Public Defender of Georgia .

Georgia, M. S. (1986). *Georgian Soviet Encyclopedia,Vol. 10.* (I. Abashidze, Ed.) Tbilisi: Main Scientific Editorial Board of the Georgian Soviet Encyclopedia.

Hewsen, R. (1982). *Ethno-History and the Armenian Influence upon the Caucasian Albanians.* Chicago: Chico, CA : Scholars Press.

Koryakov, Y. B. (2006). *Atlas of Caucasian Languages – Map No. 15.* Moscow: RAN. Institute of Linguistics.

Lolua, R. (2010). *Issues of the structure of the Caucasian Albanian language.* Tbilisi: Tbilisi University Publishing House.

Topchishvili, R. (2007). *Ethnography of the Peoples of the Caucasus, Ethnic History, Ethnic Culture.* Tbilisi: Universal.

Topchishvili, R. (2007). *Ethnography of the Peoples of the Caucasus, Ethnic History, Ethnic Culture.* Tbilisi: Universal.

ღორჯომის ხეობის მეტყველების ზოგიერთი ლექსიკური თავისებურება

კაკალა ებრალიძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი; ნიკო ბერძენიშვილის
ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
ელ-ფოსტა: kakala.ebralidze@bsu.edu.ge
ORCID: 0009-0007-8424-7842

აბსტრაქტი: აჭარულს, როგორც ცნობილია, ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს ქართულ დიალექტთა შორის. აჭარულისთვის დამახასიათებელია დიალექტური დიფერენციაცია, იგი მდიდარია კილოკავებით. დიალექტი მუდმივად იცვლება, ცვლილებები კი ძირითადად ლექსიკის, როგორც ენის ყველაზე ცვალებად ნაწილში აისახება. დიალექტის ლექსიკაზე დაკვირვება ყოველთვის საინტერესო და სიახლისმომცემია.

ღორჯომის ხეობის მეტყველების ლოკალური შესწავლა გამოავლენს საინტერესო ლექსიკურ შრეებს. ლექსიკური მასალა გამოირჩევა არქაული სიტყვებით, ლექსიკური დიალექტიზმებით, შესამჩნევია ზანური სუბსტრატის კვალი. ხშირია უცხოენოვანი ლექსიკური ერთეულები, რაც მხარეში მიმდინარე ისტორიულ-კულტურული პროცესების ანარეკლია.

საკვანძო სიტყვები: დიალექტური ლექსიკა; არქაული ლექსიკა; ლექსიკური დიალექტიზმები; ზანური სუბსტრატი; უცხოენოვანი ლექსიკა.

* * *

შესავალი. ქართული სალიტერატურო ენა მდიდარია დიალექტებით. დიალექტური კვლევები კი ქართული ენის სრულყოფილად შესწავლის ძირითადი საშუალებათაგანია. ქართული ენის დიალექტთა შორის აჭარულს ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. როგორც ცნობილია, სხვა დიალექტების მსგავსად, აჭარულსაც ახასიათებს დიალექტური დიფერენციაცია, რაც ძირითადად ბუნებრივი პირობებითაა განპირობებული. აქაური სოფლები ერთმანეთს მჭიდროდ ვერ ეკვრიან, ამიტომ მათ მეტყველებაში ჩნდება საგრძნობი განსხვავებულობა რაც განსაკუთრებით შესამჩნევია ლექსიკაში.

აჭარული დიალექტი მდიდარია კილოკავებით. შესაბამისად დიალექტური ლექსიკის სრულყოფილად შესწავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დიალექტის ლოკალურ კვლევებს. მეტყველებაზე ლოკალურად, ხეობათა მიხედვით დაკვირვება გამოავლენს არაერთ ნიუანსსა და თავისებურებას, რაც ქმნის დეტალურ სურათს. ზოგჯერ ის, რაც სალიტერატურო ენაში დავიწყებული ჩანს, შემოუნახავს და დაუცავს დიალექტებს. ამდენად დიალექტურ ლექსიკაზე დაკვირვება და მისი შესწავლა ყოველთვის სიახლისმომცემი და შესაბამისად აქტუალურია. ჩვენი კვლევის მიზანი მთიანი აჭარის ერთ-ერთი გამორჩეული და სახასიათო ხეობის – ღორჯომის მეტყველების ლექსიკური თავისებურების შესწავლაა.

ღორჯომის თემი აჭარაში, ხულოდან 15 კილომეტრში მდებარეობს და 18 სოფელს აერთიანებს, შესაბამისად ერთ-ერთი ყველაზე ხალხმრავალია აჭარის მხარეში. იგი მთიანი აჭარის უძველესი წარსულის მქონე თემია. ღორჯომის ხეობის მეტყველება ნაკლებადაა შესწავლილი. შესაბამისად მისი შესწავლა საჭირო და აუცილებელიც კია აჭარულისა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დიალექტური პოტრეტის სრულყოფისათვის. გასათვალისწინებელია ისიც, რომ აჭარული კილო მუდმივად იცვლება, ცვლილებები კი უპირველესად ლექსიკაში, როგორც ენის ყველაზე ცვალებად ნაწილში იჩენს თავს. ზემოაჭარულში და კონკრეტულად ღორჯომის ხეობის მეტყველებაში დღემდე დაცული არქაული ფორმები თანდათან ქრება, ბევრი მათგანი მხოლოდ მოხუცთა მეტყველებაში ისმის. ამიტომ საშურია მათი აღნუსხვა და მეცნიერული სისტემატიზაცია. შესაბამისად, ამ კი-

ლოსა და ხეობათა მეტყველების ლოკალური შესწავლა მნიშვნელოვანია ქართულ სალიტერატურო ენასა თუ ისტორიულ დიალექტებში მომხდარი ცვლილებების კვლევაში.

ღორჯომის ხეობის მეტყველებაზე დაკვირვებამ არაერთი ლექსიკური თავისებურების გამოკვეთის შესაძლებლობა მოგვცა. თვალშისაცემია ლექსიკური სიჭრელე, ცოცხალ მეტყველებაში დღემდე ცოცხალია ძველი და საშუალი ქართულის ლექსიკური ფენა, მრავლად ვხვდებით ლექსიკურ დიალექტიზმებს, შეინიშნება ზანური სუბსტრატის კვალი. გამოიყოფა უცხოენოვანი ნასესხობანი (თურქული, არაბული, სპარსული). ამგვარი კვლევები შესაძლებელს ხდის გამოვლინდეს ახალი ან მივიწყებული ლექსიკური ერთეულები.

მეთოდოლოგია. კვლევა ეყრდნობა ღორჯომის ხეობაში ჩვენ მიერ ჩაწერილ ემპირიულ მასალას. ნაშრომში გამოყენებულია ემპირიული მასალის დამუშავების, ანალიზის, აღწერის, შეფასებისა და შეპირისპირების მეთოდი.

არქაული ლექსიკური ერთეულები ღორჯომის ხეობის მეტყველებაში. ზემოაჭარული მეტყველების ლექსიკაზე დაკვირვება მრავალმხრივ საინტერესოა. მათ შორის დიალექტური ლექსიკიდან ძველქართული ლექსიკური ფენის გამოყოფა დიალექტის ისტორიის შესწავლის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა. ღორჯომის მკვიდრთა მეტყველება ლექსიკური არქაიზმების სიუხვით ხასიათდება.

სისტემებრ ისმის ზმნური ფორმა **მწადია.** მართალია, ეს ზმნა ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში აღარ გვხვდება, მაგრამ ზემოაჭარულ კილოკავზე მოსაუბრე ადამიანებს შორის დღემდე აქტიურად გამოიყენება. ძველ ქართულ **წად** ზმნურ ძირს შეესიტყვება აჭარული წად. მ-წად-ი-ა, გ-წად-ი-ა. სვანურში მის ბადალია ჰად (ნა-ჰად-უ – ნანატრი) (ნოღაიდელი 49).

ფქვილის შესანახ ჭურჭელს ღორჯომში **კიდობანს** უწოდებენ. ძველი ქართული ენის ლექსიკონში კიდობანი ზანდუკს, ყუთს აღნიშნავს. „კიდობანიდან ჩავჰყრიდით და მოდიოდა იქიდან სიმინდი“ (საბა; აბულ.; ქეგლ).

მოხუცთა მეტყველებაში ხშირად ისმის **ფერცხალი** ნეკნის მნიშვნელობით. „გამოუღეს ფერცხალი, იქიდან გააჩინა ქალი, რომელიც იყო ჰევა ანამუზი“. ძველი ქართული ენის ლექსიკონსა და საბას „სიტყვის კონაში“ ფერცხალი „გუერდს“, გვერდის წიბოს აღნიშნავს (აბულაძე; საბა).

ავაზანი – მსხვილი ხის მორისაგან გამოთლილი დიდი ვარცლი, რომელიც სოფლის საზოგადო წყაროებთან დგას. მასში წყალი გროვდება პირუტყვის სასმელად; „საქონელი ავაზანებში დალევენ წყალ“ (აბულ.; საბა; ფუტკ.).

ალიგი – ალაგი, ადგილი. „ამ ალიგებში დოუტევდენ ნახვრეტებს რომ ფეხზე დეგეხვია“ (საბა. ალაგი ეწოდების, სადა კაცი დაჯდეს ანუ დადგეს, ანუ დაიდვას რამე).

აპაური – აპეური. „ხარებს რომ უღელზე გუუკეთებენ, შეაბმენ“ (**საბა.** ტაბიკის თოკი, ხარების უღელში შესაბმელი თოკი).

ახელებს – აბრაზებს. „დაა, შენ გახელებული დიგვინახე“ (ქეგლ; ტაო).

კიდობანი – ფქვილის შესანახი სახურავიანი ყუთი. „კიდობანიდან ჩავჰყრიდით და მოდიოდა იქიდან სიმინდი“ (საბა; აბულ.; ქეგლ).

ნოქარი – სავაჭრო დაწესებულებაში მომუშავე.

საბძელი – სათივე, ორფერდა სახურავიანი ჯარგვალური ან ფიცრული შენობა თივისა და საქონლის სხვა სახის საკვების შესანახად. „საბძელი რაცაა იმის ქვეშ გამოშპა და გამოხეთქა იქა-ვრობა“ (საბა).

ყავარი – ხის სამშენებლო მასალა. „ყავარი იხურებოდა – ხეს მოჭრიდენ და დახევდენ მორებად, დააპობდენ და დაშნით გახდიდენ ყავრის სისქეზე“ **(საბა.** ქეგლ).

შილი – მაზლის ცოლი. „შილი მყავდა, არ უშავდა“ **(საბა**. მაზლის ცოლი, თანა-სძალი, „მოყუასი“).

ხარო – ხორბლეულის, მარცვლეულის შესანახი ხის სამეურნეო დანიშნულების სათავსი, ანდა ჭურჭელი. „კაკალს ხაროში შეინახავდი. ხარო რა არიდა კედელზე გაკეთებულია ფიცრით ღრმა“ **(საბა;** ქეგლ).

ჯილღა – მიწის სახვნელი იარაღი. „ჯილღა გუთნამდე იყო, ხისგან გაკეთებული, რკინის პირი იყო“ (საბა).

ლექსიკური დიალექტიზმები ღორჯომულ მეტყველებაში. იმ ლექსიკური ერთეულების პარალელურად, რომლებიც გვხვდება ქართული ენის სხვადასხვა დიალექტში, ვხვდებით საკუთრივ აჭარულისთვის და ბუნებრივია, ღორჯომული მეტყველებისთვის ნიშანდობლივ ლექსიკურ დიალექტიზმებს, რომელთაც სხვა დიალექტებში პარალელები არ ეძებნება, ან თუკი დასტურდება, შინაარსობრივი ნიუანსით განსხვავდება მისგან. საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ მაგალითებს:

ათაკრვა – ნივთების ალაგება და ერთად თავმოყრა. „ათაკრულ შეშაზე მივანხობდით კეცს“.

ამოზანგული – დასვრილი. „მეიყვანეს ამოზანგული ბაღვები, დაბანა მეგენმა არ იცოდენ“.

ამოჯამვა – ამომრგვალება. „სუფრა მაქ ერთი, ხიდან არი გამოთლილი, ამოჯამული აქ გვერდები“.

ბადადები – ჩვარი, ჭინჭი. „ცხენს აფერს არ მოაბემდენ, ბადადებ შეაბმენ“.

ბებრევთი – დედულეთი, დედის სამშობლო. „ბებრევთს მივალ“.

ბიბილები – ფუსკულები. „მოქსოვნილს ბიბილებს გუუკეთევდით, აწეულ-ჩამოწეულს“.

ბიძინი – რწმენა. „მადლიანობა ისაა, შენ შენს ბიძინს რომ არ კარქავ და იმფრათ იარები“.

ბღლარძვა – ულაზათოდ, უშნოდ ქცევა. „ებღლარძუნება და არი, ჭკვა არ მუუვდა თავში“.

დაქცნილი – კუნთებდაავადებული, კუნთებგაშეშებული. „დაქცნილო, შეგიტყვე, ანაკვეთა – დანაკვეთა ხორცმა ხორცი გაკვეთა“.

კუტი-ლამბა – იგივეა, რაც ფეჩატაჲ-ხელში საჭერი უშუშო ლამპა, ჭრაქი. „კუტილამბები იყო, ნავთს ჩაასხემდი, შიგ მარლას ჩაყოფდენ“ (ფუტკ. კუტი ლამბა-ი– ჭრაქის ლამბა; ეთნ. ლ.).

მოღლიზვა – მეწყრის, ზვავის ჩამოწოლა. „ჰა მეიღლიზა სასაფლაოები“.

ორგანა – ერთგვარი თავსაფარი. „ორგანას უძახით თეთრ თავსაფარს“.

სხამპალი – მოძრაობა. „რუმ ესხამპალებულიყო ბაღვი, გააკავებდა“.

წყვატუნი – ზედმეტი მოძრაობა**.** „გერჩექ ეწყვატუნებიან ამა ცეკვა ხომ აღარ ქვია „.

ზანური სუბსტრატი ღორჯომულ მეტყველებაში. ზანურმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული ენის დასავლური კილოების ფორმირებაში. ზანური სუბსტრატის კვალი აჭარულ ლექსიკაში დღემდე შესამჩნევია. „ენათმეცნიერთა და ისტორიკოსთა გამოკვლევებიდან კარგა ხანია ცნობილია, რომ ლოკალურად ის ტერიტორია, სადაც ამჟამად გურულები და აჭარლები არიან დასახლებული, ძველად ზანურ მოსახლეობას ეჭირა“ (ნიჟარაძე, 1975, p. 23) ზანური სუბსტრატის კვალი შეინიშნება ღორჯომულშიც. საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ მაგალითებს:

ბადიში – შვილიშვილი. „თამუნაი ჩემი გოგოიდან ბადიშია“.

ბოგი / ბოგა – დიდი ხე. „ბოგას დავდგამდით, ბოგა დიდი ხეა, დიდ ჭერს დაასობდენ და შუა ზეით დეიდგემდენ თივას“ (1. უბრალო ხის თარო ჯამ-ჭურჭლისათვის. 2. ლაზ. მაღალ ხეზე სახელდახელოდ, თაროსავით გადებული ხე სკის შემოსადგმელად).

გიდელი – გოდორი. „გიდელში იკრიფება ხეზე ეიტან სხალ, ვაშლს და გამეიცლება“ (მოგრძო, კონუსისებური, პირგანიერი და ძირწაწვეტებული უყურო კალათა; თანდ., ლაზ.; ფუტკ.).

დადე – ხელისმომკიდე ქორწილში. „დადემ წამოჰპატიჟოსნა ხალხი“ (ქორწილში დედოფლის პირველი გამყოლი და მომვლელი ქალი დედოფლის ახლობელთაგან).

კარდალა – ქვაბი. „კარდალაში ჩაასხემდი წყალს“ (თანდ. კარდალა(ი) – სპილენძის დიდი ქვაბი).

ოჭივარა – ჭოჭინა. „ჩემი ციციები ოჭივარას დააჩვიეს“.

ტაროსი – ამინდი. „ვიტყოდით კარგი ტაროსია, აბარგვა დევწყოთო“ (საბა. ტაროსი -„არს ამინდის მსგავსი მოგზაურთათვის, კეთილი დარი თუ ბოროტი ზღვასა, თუ ჴმელზე შეხუდეს“).

ქერეჭი – ქერქი (მჭადის, პურის, ხის...), კანი. „ხაპი ისაა, სქელი ქერეჭი რომ აქ“ (შდრ. საბა; ქეგლ; ფუტკ.; თანდ., ლაზ.).

ღარა – წყლის სადინარი. „წისქვილი გვქონდა ღელეში. შედგებოდა ღარაზე, შეუშვებდი წყალს“ (თანდ. ლაზ.).

უცხოენოვანი ლექსიკური ერთეულები ზემოაჭარულ მეტყველებაში. აჭარული დიალექტი საუკუნეების განმავლობაში განიცდიდა თურქული ენის გავლენას, ეს გავლენა კი ყველაზე ხელშესახებად ლექსიკაზე აისახა. ყველა რელიგიური წესის შესრულება არაბულ-თურქულ ენაზე მიმდი-

ნარეობდა. ბუნებრივია, ამას მოჰყვა თურქული ჩვეულებების გავრცელება აჭარელთა ყოფაში. ამ ჩვეულებათა შესრულება კი შესაბამის არაბულ ლექსიკას მოითხოვდა. ამ გზით შემოვიდა და დამკვიდრდა აღმოსავლური ლექსიკა აჭარულში. თურქული, არაბული და სპარსული ლექსიკა უხვადაა წარმოდგენილი ღორჯომულ მეტყველებაში. საილუსტრაციოდ დავასახელებთ რამდენიმე მათგანს.

თურქული ენიდან შემოსული ლექსიკური ერთეულები

ანჯახ – ძლივს, ძლივსძლივობით. „ჰალა ერთი საათი უკლია, ანჯახ ჩავალ“.

ბაჯიკო – და, დაიკო, თავაზიანი მიმართვა ქალისთვის. „ბაჯიკო დათ რომ მიიღებ, იმას ქვია“ (ფუტკ.; ტაო).

ბოლათ – ბლომად, მრავლად, უხვად. „სიბოლე გამოვდა ქვეყანაში, ყველაფერი ბოლაია, ბევრია“.

გელინი – რძალი. „მაამთილი გენილის მამას მისცემდა დიდძალ თანხას“ (კლარჯ.; ფუტკ.; თანდ., ლაზ.).

გერჩექ – ნამდვილად. „რა ბლაყური იყო გერჩექ“ (კლარჯ.; ფუტკ.).

დემირჩი – მჭედელი. „ჩემი ბაბუა იყო დელი დემირჩი“.

თავანი – შენობის ნაწილი: არე-სხვენსა და სახურავს შორის. „სახლი გადაბურე, თავანი, ბეღელი მიაყოლე“ (ფუტკ.; ტაო; კლარჯ.).

თირფანი – ცელი. **„**ადრე ჭალობაზე თირფანით ცელავდნენ“ (ფუტკ.; ტაო; შავშ.).

ინათიანი – ჯიუტი. „ე რამხელა ინათიანიაო ვიტყვით“ (ფუტკ.).

მერთეგი – საფლავის ფიცარი. „იმის მემრე სასაფლაოს მოვთხრით და ვუკეთებთ მერთეგ, რომ მიწა არ დაახავდეს“ (ფუტკ.; კლარჯ.).

ოდა – ოთახი. „სტუმრები ბევრი იყვნენ, ბევრი ოდები იყო“.

სირმა – ოქრომკედი. „ქორწილში ჩამაცვეს კაბა, ემე, განიერი, წელზედა მოსირმული, მოთახუმვილი“ (საბა).

ფახრაჯა – სპილენძის ჭურჭელი, ქვაბი. „ფახრაჯაი გვაქვს – ბუხარში წყალ ჩაასხემდი და მუუდგემდი“ (ფუტკ.; ტაო).

ფუსკულები – ძაფის კონა. „ლამბუჩკისას ფუსკულებს დავაბემდით, ბევრი ჰალი უნდოდა“ (საბა. ფუტკ.; თანდ.; ლაზ.).

ქეფინი – სუდარა. „ქეფინს აცმენ კდარს და 12 მეტრო ნაჭერში ახვევენ“.

ქუმა – ჩურჩხელა. „ბათუმ წასლიხან გავაკეთებ ქუმას და წევღებ“. (თანდ. ლაზ – ქუმე, ფუტკ.; ეთნ.ლ.).

ყაზმა – გრძელპირა თოხი. „ყანობა გაზაფხულზე ყაზმას ვიყენებდით, გუთანს და ხარს“ (ფუტკ.).

ყათი – ფენა, პირი. „მიტკალში, ქეფინში გაახვევენ მკდარს“. (ფუტკ. კლარჯ.; შავშ.; ტაო).

ყაიში – სარტყელი. „თასმას ბიზით გავრეცხდით, მერე დავაბამდით ყაიშებს, რაც ამაგრებს, რომ არ გაგძვრეს“ (ფუტკ.).

ჩინგანა – ცელქი, მოუსვენარი. „ცელქს ვეტყვით ჩინგანა ბაღვი, ნახსი ბაღვი, ბეჩი ძალიან“ (ფუტკ.; კ. თქმ.).

ხალი – ხალიჩა, ფარდაგი. „საწოლთან ხალს დავაფენდით“.

ღორჯომის ხეობის მეყველებაში არაერთი **არაბული სიტყვა** დასტურდება. ნაწილი თურქული ენის გზით შემოვიდა ქართულ ენობრივ სინამდვილეში. ჰელბეთ, ტვაღი, იბრეთი, ყაბული, ყიამეთი, თერეფი, ჯანაზა, მელაიქი, სეჯდე, თექმილი, ხასი, ჩინი, ლაღაბი, შეიდი, მერაყი...

ასლი – ნამდვილი, წმინდა, ხალასი. „ჩემი დიდი ბაბუაი ასლი ხოჯა იყო“ (ქეგლ, ფუტკ.).

ბედჲავა – ტყუილად, ტყუილ-უბრალოდ. „ბედიავა ლაპარიკობ, ადრე უფრო ბევრი ჰალი იყო“.

ევლია – მუს. დიდად ღვთისმოსავი, წმინდანი, მადლიანი. „ისეთი ხოჯა გვყავდა, მართლა ევლია იყო“ (კლარჯ.; ფუტკ.).

თაბუთი – კუბო, საკაცე, უწინ ინახებოდა მეჩეთში. „კდარს თაბუთზე დადებდენ. კუბოსავეთ ფორმა აქვს“ (ნ. საბა საკაცე თაბუთ; ფუტკ.; კლარჯ.).

თერეფი – მხარე, კიდე, გვერდი. „მერვე დღეს დედასთან გაჰყვებიან ქმრის თერეფიდან ხალხი“ (ფუტკ.; ტაო.; კლარჯ.).

მერაყი – 1. დარდი, წუხილი. „ბავშვმა იმერაყა დედა და მამა“. 2. სურვილი, ინტერესი. (ფუტკ.; კლარჯ.).

სედეყე – მუს. ღარიბ-ღატაკისთვის, გლახისთვის გაცემული წყალობა, მოწყალება, გასაკითხი. „ყველა მუსლიმის ვალია სედეყე მისცეს გაჭირვებულს“.

სელგაჰი – წყალდიდობა, ღელეებისა და მდინარეების ადიდების შედეგად ნათესებისა და სათიბების წალეკვა. „ნუხმა დიდი კიდობანი გააკეთა, მოვდა სელგაჰი და ქვეყანა აწია“.

სეჯდე – ღვთისადმი თაყვანისცემის, ლოცვის აღსავლენად გამოყენებული

პატარა ნოხი, ტყავი, ფოსტი. „უბრძანა ღმერთმა მელეიქებს: – გახვალთ და იმ ძეგლს მუხლებზე სეჯდეს გაუკეთებთ“.

ტვაღი – საქორწინო ფატა. „ტვაღის მოხდა იყო ძველად“ (ფუტკ.; ეთნ. ლ.).

ჯანაზა – ლოცვა მიცვალებულის დამარხვის წინ. „ჯანაზა გამოცხადდება მეზობელთან მივალთ და ლოცვას წევკითხავთ“.

სპარსული ლექსიკური ერთეულებია: ბერბათი, შეფიშმანება, ქილერი, ზოვლი, უსტა, კარდალა, ზოფა, ჩინი, ახორი, უსკურა...

ახორი – ბოსელი. „ახორ ქვეშ ტვარიებში უჟმური წამეკრაო“ (ქეგლ. თანდ. ლაზ.**).**

ბეთი – მახინჯი, უშნო, უგვანო, საძაგელი. „ბეთ კაცზე ვიტყვით რა დაჯღარკულიაო“. (კლარჯ.; ფუტკ.).

ბერბათი – უსუფთაო. „ბინძურზე ბაყლიანს ვიტყვით, ბერბათი, ლელეუნი მაქ სახლი-კარიო“.

ბიბერი – პიმპილი, წიწაკა. „შორვებში ბიბერს არ ვუზამთ, ფერი ეცლება“ (ფუტკ.; ტაო; შავშ.).

გადაფიშმანება – გადაფიქრება, გადათქმა. „კაც რომ დაპირდები, იმა გადაფიშმანება არ უნდა“.

ზოფა – ჯოხი, წკეპლი. „ბებიას მოვპარევდი ნაჭრებს. თუ გამიგებდა მომხდებოდა ზოფაი“ (ფუტკ.; ტაო; თანდ., ლაზ.).

სადე – უბრალო, მარტივი, სადა. „დედოფლებს სადე კაბებს ჩაგვაცვემდენ“.

უსკურა – ღრმა ჯამი, სპილენძის მაღალი თეფში. „უსკურაი გამომიტანეო, მამამთილმა უთხრა“.

ქილერი – სარძიე, სათავსო რძის პროდუქტების შესატანად. „სარძიე ოდა იყო ქილერი“ (ფუტკ.; ეთნ. ლ.).

ჰამანქი – თითქმის. „ჰამანქი დევეწიე, მარა მაინც გამასწრო“.

აღსანიშნავია, რომ თურქულ-არაბულ-სპარსული წარმოშობის სიტყვები ძირითადად მოხუცთა მეტყველებაში გვხვდება და ზოგჯერ მშობლიური ქართული წარმოშობის სიტყვების პარალელურად გამოიყენება. ამ რიგისაა ალთუნი – ოქრო, გუგუმი – თუნგი, დელი – გიჟი, დუნია – ქვეყანა და სხვა.

დასკვნა: ზემოაჭარული მეტყველების ლოკალურად, ხეობათა მიხედვით თქმა-ქცევის დონეზე შესწავლა არაერთ საინტერესო ლექსიკურ დანაშრევს გამოკვეთს. არაერთი არქაული სიტყვა, რომელიც სალიტერატურო ენაში არ გვხვდება, ან დავიწყებასაა მიცემული, ღორჯომულ მეტყველებაში დღემდე ცოცხალია. მრავლად გამოიყოფა ლექსიკური დიალექტიზმები. ხელშესახებია ზანური სუბსტრატის კვალი. ისტორიული წარსულით, უცხო ენობრივი კონტაქტებით აიხსნება თურქული და თურქულის გზით აჭარულში და შესაბამისად, ღორჯომულში დამკვიდრებული არაბულ-სპარსული ლექსიკა. დიალექტური ლექსიკის ლოკალურად შესწავლა ახალი ან მივიწყებული ლექსიკური ერთეულების გამოვლენის საშუალებაა, რაც სალიტერატურო ენის სიტყვის მარაგის გამდიდრების საფუძველია.

გამოყენებული ლიტერატურა:

აბულაძე , ი. (1973). *ძველი ქართული ენის ლექსიკონი.* თბილისი: მეცნიერება.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიური კვლევის ცენტრი. (2018). *ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი აჭარა.* ბათუმი.

თანდილავა , ა. (2013). *ლაზური ლექსიკონი „ლაზური ნენაფუნა“.* თბილისი.

კალანდია, თ. (2007). *2000 ლაზური სიტყვა.* თბილისი.

ნიჟარაძე, შ. (1971). *ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა.* ბათუმი.

ნიჟარაძე, შ. (1975). *აჭარული დიალექტი.* ბათუმი: საბჭოთა აჭარა.

ნოღაიდელი, ნ. (2004). აჭარული დიალექტის საერთო ქართველურ ლექსიკასთან მიმართების საკითხებისათვის. In ბ. შ. უნივერსიტეტი, *შრომები. ტ. VI* (p. 49). ბათუმი: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი .

საბა. (1943). *სიტყვის კონა ქართული, რომელი არს ლექსიკონი.* თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა.

ფაღავა მამია, ც. მ. (2022). *ქართული ენის შავშური დიალექტი.* ბათუმი .

ფაღავა მამია, ც. მ. (2023). *ქართული ენის კლარჯული დიალექტი.* თბილისი: „მერიდიანი“.

ფაღავა, მ., ცინცაძე, მ., ბარამიძე, მ., ჩოხარაძე, მ., შიოშვილი, თ., ხალვაში, რ., . . . კარალიძე, ჯ. (2020). *ტაო.* ბათუმი: მერიდიანი.

ფუტკარაძე, შ. (1993). *ჩვენებურების ქართული ტ. I.* ბათუმი: აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა.

ქეგლ. (n.d.). *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი.*

SOME LEXICAL FEATURES OF THE SPEECH OF THE GHORJOMI GORGE

KAKALA EBRALIDZE
PHD student at Batumi Shota Rustaveli
State University; Researcher at
Niko Berdzenishvili Institute
E-mail: kakala.ebralidze@bsu.edu.ge
ORCID: 0009-0007-8424-7842

Abstract: Ajarian holds a prominent position among the Georgian dialects. It is distinguished by significant dialectal differentiation and is notably rich in subdialects. Like all living linguistic systems, the Ajarian dialect is subject to constant change, with lexical shifts being particularly pronounced, given that vocabulary is the most dynamic component of language. The study of the dialect's lexicon remains a consistently valuable endeavor, providing both scholarly interest and new linguistic insights.

The detailed study of dialects assigns particular significance to localized research, as it elucidates specific speech forms and features, thereby contributing to the comprehensive and nuanced portrayal of a given dialect. The present study, „Some Lexical Features of the Speech of the Ghorjomi Valley," focuses on the lexical characteristics of the speech of the inhabitants of the Ghorjomi Valley – a distinct and emblematic subregion of Upper Ajara. To date, the speech of the Ghorjomi Valley has remained relatively underexplored within Georgian dialectology. This research is grounded in empirical data collected through fieldwork conducted by the author in the valley. A localized, discourse-level investigation of the Ghorjomi speech reveals numerous noteworthy lexical strata. In many instances, elements that appear to have faded from the standard literary language persist in the dialectal forms, thereby enriching our understanding of linguistic continuity and variation.

The lexical material of the Ghorjomi Valley is distinguished by the presence of archaic words and lexical dialectisms, alongside traces of a Zan (Megrelian-Laz) substratum. Foreign lexical elements are also frequent, reflecting the historical and cultural processes that have unfolded in the region over time.

Key words: Dialectal Lexicon; Archaic Vocabulary; Lexical Dialectisms; Foreign Lexical Elements.

* * *

Introduction. The Georgian literary language is rich in dialects, and dialectological research serves as one of the primary means for the comprehensive study of the Georgian language. Among the various Georgian dialects, the Ajarian dialect holds a particularly significant place.

As is well known, like other dialects, Ajarian also exhibits dialectal differentiation, which is primarily determined by natural and geographic conditions. The villages in this region are not closely connected to one another, resulting in noticeable variation in their speech – most prominently observed in the lexicon. The Ajarian dialect is characterized by a rich diversity of subdialects. Accordingly, localized studies of the dialect are of particular importance for the comprehensive investigation of dialectal vocabulary. Observing speech at the local level – especially by valleys – reveals numerous nuances and distinctive features, thereby contributing to a more detailed linguistic portrait. At times, dialects preserve and safeguard lexical elements that appear to be forgotten or obsolete in the literary language. Therefore, the observation and study of dialectal vocabulary consistently offer new insights and remain highly relevant. The aim of the present study is to explore the lexical particularities of speech in the Ghorjomi Valley – one of the most distinctive and characteristic areas of mountainous Ajara.

The Ghorjomi community is located in Ajara, approximately 15 kilometers from Khulo, and comprises 18 villages, making it one of the most populous communities in the region. It is also one of the oldest settlements in mountainous Ajara.

The speech of the Ghorjomi Valley has been relatively underexplored. Therefore, its investigation is both necessary and essential for completing the dialectal profile of Ajara and, more broadly, of south-western Georgia. It is also important to consider that the Ajarian dialect is in a constant state of change, with such changes primarily reflected in the lexicon – the most dynamic component of language.

In Upper Ajara, and particularly in the Ghorjomi Valley, many archaic forms have survived, though they are gradually disappearing and are now mostly preserved in the speech of the elderly. Consequently, it is imperative to document and systematically analyze these elements.

The localized study of this dialect and the speech of individual valleys thus plays a significant role in tracing linguistic change within both the Georgian literary language and its historical dialects.

Observation of the speech in the Ghorjomi Valley has enabled the identification of numerous lexical particularities. Notable is the lexical diversity, with layers of Old and Middle Georgian vocabulary still actively used in contemporary spoken language. A significant number of lexical dialectisms are present, alongside traces of a Zan (Mingrelian-Laz) substratum. Additionally, borrowings from foreign languages – particularly Turkish, Arabic, and Persian – are clearly evident. Such studies make it possible to uncover both previously undocumented and long-forgotten lexical units.

Methodology. The study is based on empirical material recorded by the authors in the Ghorjomi Valley. The research employs methods of empirical data processing, analysis, description, evaluation, and comparison.

Archaic Lexical Units in the Speech of the Ghorjomi Valley. The study of the lexicon of Upper Ajarian speech offers insights of considerable interest. Among these, the identification of Old Georgian lexical strata within the dialectal vocabulary constitutes a key precondition for exploring the historical development of the dialect.

The speech of Ghorjomi Valley inhabitants is particularly notable for its abundance of lexical archaisms.

The verb form „mtsadia“ is heard regularly in the speech of the region. Although this verb no longer appears in Modern Georgian literary language, it remains in active use among speakers of the Upper Ajarian dialect. The Ajarian form „tsad“ corresponds to the Old Georgian verb root tsad-. Examples include m-tsad-i-a (“I desire“) and g-tsad-i-a (“you desire“). A comparable form exists in Svan, where had (as in na-had-u, meaning „desired“ or „longed-for“) serves a similar semantic function (Noghaideli, 2004:49).

In Upper Ajarian, the term **kidobani** is used to refer to a container for storing flour. In Old Georgian lexicons, **kidobani** denoted a chest or box. For example: „kidobanidan chavkh’rdit da modioda ikidan simindi“ (“We would scoop it from the kidobani, and corn would come out“) (Saba; Abul.; KEGL).

In the speech of the elderly, the word **pertskhali** is frequently used to denote the **rib**. For instance: „Gamouges pertskali, ikidan gaachina kali, romelits iko Heva anamusi“ (“He took out the rib, and from it created the woman who was Eve the firstborn“). In the Old Georgian lexicon and in Saba’s Dictionary of Words, pertskhali is defined as „guerdi“, referring to the side or the rib of the body (Abuladze, 1973; Saba, 1943).

Archaic forms are frequently encountered in local speech. We will now present several examples: **beri, apauri, kanughi, nokhari, echo, qavari, kharo, jilgha…**

Lexical Dialectisms in the Speech of the Ghorjomi Gorge. Alongside the lexical units found in various dialects of the Georgian language, we encounter lexical dialectisms that are distinctive to Ajarian and, naturally, to the speech of the Ghorjomi Gorge. These words do not have parallels in other dialects or, if parallels exist, they differ significantly in their semantic nuances. For illustration, we present the following examples:

Amojamva – rounding, smoothing out.“Supra mak erti, khidan ari gamot’lili, amojamuli ak gverdebi“ (“I have a table, carved from wood; its sides are rounded.“).

Badadebi – rags, scraps of cloth. „Tskhens apers ar moabemden. Badadeb sheabmen“ (“They didn’t tie anything proper to the horse – just scraps of cloth“).

Bebrevti – mother’s ancestral homeland (matrilineal origin).

Bidzini – faith, belief. „Shen shens bidzins rom ar karkav da imprat iarebi“ (“Because you don’t keep to your faith, you wander around in vain“).

Similar lexemes include: Daktsnili, Kutilamba, Patsatsala, Sachite, Sikhma, Sanametro, Dzeridede, Tsde…

The Zan Substrate in the Speech of the Ghorjomi Gorge. The Zan language played a significant role in the development of the western dialects of Georgian. Traces of the Zan substrate remain clearly observable in Ajarian vocabulary to this day. As Nizharadze notes, „This is to be expected, as like Gurian, Ajarian is situated along the Black Sea coast, where the Zan population resided continuously“ (Nizharadze, 1971). Elements of the Zan substrate can also be found in the speech of the Ghorjomi Gorge. The following examples are presented for illustration:

Badishi – grandchild. „Tamunai chemi gogoidan badishia.“(“Tamuna is my granddaughter from my daughter“).

Bogi / Boga – a large tree.“Bogas davdgamdit, boga didi khea, did ch’ers daasobden da shua zeit deidgebden t’ivas.“ (“We would place the boga – a large tree trunk – as the main beam, and they’d stack hay in the middle, above it“).

K’erechi – crust or outer layer (of cornbread, bread, wood, or skin). „Khapi isaa, skheli k’erechi rom ak.“(“Khapi is that – the thick crust it has“) (Saba; KEGL; Futk).

Foreign Lexical Elements in the speech of the Ghorjomi Gorge. The Ajarian dialect has been influenced by the Turkish language for centuries, and this influence is most visibly reflected in its vocabulary. Religious rituals were traditionally performed in Arabic and Turkish, which naturally led to the spread of Turkish customs in everyday Ajarian life. The performance of these customs, in turn, required the use of relevant Arabic vocabulary. In this way, Eastern lexical elements entered the Ajarian dialect. Turkish, Arabic, and Persian vocabulary is abundantly present in the speech of the Ghorjomi Gorge.

Lexical borrowings from Turkish:

Anjakh (Turk.) – barely, with great difficulty. **Bajiko** (Turk.) – sister, dear sister; **Gelini (**Turk.) – bride, daughter-in-law. **Demirchi** (Turk.) – blacksmith. **Mertegi** (Turk.) **–** grave plank and others.

Lexical borrowings from Arabic:

Adeti (arab.) **–** custom. **Gameraqianeba** (arab.) – to become sorrowful. **Teqmili** (arab.) – complete, **Selgahi** (arab.) **–** flood. **Janaza** (arab.) – funeral prayer and others.

Lexical borrowings from Persian:

Akhori (pers.) **–** cattle shed. **Bet’i** (pers.) **–** ugly. **Biberi** (pers.) **–** pepper. **Chivti** (pers.) **–** a pair and others.

It is noteworthy that words of Turkish, Arabic, and Persian origin are primarily found in the speech of the elderly, and in some cases appear alongside native Georgian equivalents. Examples of such lexical items include altuni (gold), gugumi (copper pot), deli (mad), dunia (world), and others.

Conclusion: A localized, gorge-based study of Upper Ajarian speech at the level of verbal expression reveals numerous notable lexical layers. Many archaic words that are absent from or forgotten in the standard literary language remain alive in the speech of the Ghorjomi Gorge. A wide range of lexical dialectisms emerges, and traces of a Zan substrate are clearly observable. The presence of Arabic and Persian vocabulary – introduced through Turkish influence – is explained by historical contact with foreign languages. The localized study of dialectal vocabulary serves as a means of identifying new or forgotten lexical items, providing a foundation for enriching the lexicon of the Georgian literary language.

Bibliography:

abuladze, i. (1973). *Dictionary of the Old Georgian Language [dzveli kartuli enis leksikoni].* Tbilisi: Metsniereba.

Batumi Shota Rustaveli State University, F. o. (2018). *Ethnological Lexicon of the Georgian People: Ajara [kartveli khalkhis etnologiuri leksikoni: Ajara].* Batumi.

Explanatory Dictionary of the Georgian Language [kartuli enis ganmartebiti leksikoni]. (б.д.).

Kalandia, T. (2007). *2 000 Laz Words: Lexicographical Material [2 000 lazuri sityva].* Tbilisi: Artanuji.

Nijaradze, s. (1971). *Dictonary of the Ajarian Dialect of the Georgian Language [kartuli enis Ajaruli dialekti: leksikoni].* Batumi: Sabchota Ajara.

Nijaradze, S. (1975). *Ajarian Dialect [Ajaruli dialekti].* Batumi.

Noghaideli, N. (2004). *On the Relationship of the Ajarian Dialect to the Common Georgian Lexicon [Ajaruli dialectis saerto kartvelur leksikastan mimartebis sakitxebistvis].* Batumi.

Paghava, M., & Tsintsadze, M. (2022). *Georgian Language Shavshian Dialect [kartuli enis shavshuri dialekti].* Batumi: Meridiani.

Paghava, M., & Tsintsadze, M. (2023). *Georgian Language Klarjeti Dialect [kartuli enis klarjuli dialekti] .* Batumi: Meridiani.

Phutkaradze, S. (1993). *Chveneburis' Georgian [chveneburebis kartuli].* Batumi: Ajara Journal and Newspaper Publishing House.

Saba. (1943). *„Sityvis Kona" Lexicon ["sitqvis kona" leksikoni] .* Tbilisi: State Publishing House of the Georgian SSR.

Tandilava, A. (2013). *Laz Dictionary „Lazuri Nenafuna" [lazuri leksikoni „lazuri nenafuna"].* Tbilisi.

დრო-სივრცული პარადიგმა ლიტერატურული ნაწარმოების კინოადაპტაციაში

თამარ კახეთელიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის (გერმანული ფილოლოგიის) დოქტორანტი; თსუ ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა განყოფილების უფროსი ბიბლიოთეკარი (უფროსი სპეციალისტი),
ელ-ფოსტა: tamar.kakhetelidze@tsu.ge
ORCID: 0009-0006-3870-8751

აბსტრაქტი: ჩვენი კვლევის ობიექტში ლიტერატურულ ეკრანიზაციებში დრო-სივრცული პარადიგმის ანალიზი ექცევა, რომელიც ნათელს მოჰფენს, თუ რა ხერხებითაა შესაძლებელი, ლიტერატურული ტექსტის ნარატიული სტრუქტურები ვიზუალურ ფორმატში გარდაიქმნას და რა გავლენას მოახდენს ყოველივე დროისა და სივრცის აღქმაზე. ლიტერატურული ნაწარმოებების კინოადაპტაციაში, დროითი პერსპექტივები და სივრცითი განლაგება წამყვანი მნიშვნელობის მქონე ელემენტებს წარმოადგენენ, რომლებიც როგორც პერსონაჟების განვითარებაზე, ასევე თხრობის თემატურ გაშლაზე ახდენენ გავლენას. ლიტერატურული ნაწარმოები ხასიათდება კომპლექსური, არაწრფივი ნარატიული სტრუქტურებით, მათ შორის, რეტროსპექტიულობით (ფლეშბექი), წინადროულობით (დროში წინ გასწრება), პროლეპსისითა და პარალელური სიუჟეტებით, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს, გაითავისოს პერსონაჟისა და სიუჟეტის განვითარების ხაზი. ამრიგად, ფილმად გარდაქმნის პროცესში ლიტერატურული ნაწარმოების დროითი და სივრცული პერსპექტივების ცვლილებათა გზებს ვიკვლევთ. ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ დრო სივრცის გარეშე და პირიქით ვერ იარსებებს. თუმცა მედიალურ ფორმირებებში ხშირია სივრცისა და დროის ლიტერატურული ნაწარმოების ავტორისაგან განსხვავებული აღქმა, განსაკუთრებით ფილმის გადაღებისა და შექმნის პროცესში, ვინაიდან გასათვალისწინებელია რიგი კინოტექნიკური მახასიათებლები.

საკვანძო სიტყვები: დრო-სივრცული პარადიგმა; კინოადაპტაცია; ინტერმედიალობა.

* * *

შესავალი: თანამედროვე, პროგრესულ ეპოქაში სხვადასხვა მედიაფორმასა თუ სივრცეებს შორის საზღვრები გახსნილია. ამ პერსპექტივიდან აქტუალობას იძენს ლიტერატურული ნაწარმოების ეკრანიზაცია, რომელიც ხშირად მოიცავს ლიტერატურის, კინოს, თეატრის, ზოგჯერ კი ვიდეოთამაშების, კომიქსების, ანიმაციების ელემენტებსაც კი, სადაც ხშირად ვაწყდებით ნარატიული თხრობისა და ვიზუალური ტექნიკის შერწყმას.

ლიტერატურული ნაწარმოებების ფორმირებებს შესაძლოა, არა მხოლოდ ფილმების ან სატელევიზიო სერიების, არამედ პოდკასტების, რადიოპიესების, თეატრალური დადგმებისა და საოპერო ლიბრეტოების სახითაც შევხვდეთ. მედიაფორმების ასეთი მრავალფეროვნება შესაძლებელს ხდის სიუჟეტი, ამბავი სხვადასხვა გზით გადმოიცეს და სხვადასხვა სამიზნე ჯგუფზე მიემართებოდეს. აქვე, აქტიურდება ინტერმედიალობის კონცეპტიც, რაც გულისხმობს, რომ როდესაც ლიტერატურული ნაწარმოები სხვა მედია ფორმაში გარდაიქმნება, როგორიცაა ფილმი ან თეატრალური დადგმა, ჩნდება ახალი კონტექსტი, რომელსაც ორიგინალი ნაწარმოების კონტექსტისა და მნიშვნელობის შეცვლაც კი შეუძლია.

ლიტერატურული წყაროების მიმოხილვა და მეთოდოლოგია: საკვლევი თემის ირგვლივ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, დავეყრდნოთ ინტერმედიალობის ცნების დამმკვიდრებლებს, ინტერმედიალური პროცესების მკვლევრებს, როგორებიც არიან ი. რაიევსკი, ი. პეხი. ამასთან, მივმართავთ

შედარების მეთოდს. აქვე, დრო-სივრცული მიმართებების უფრო მეტი თვალსაჩინოებისათვის და საკითხის უკეთ წარმოჩენის მიზნით მოვიშველიებთ ჟენეტის, ბახტინისა და ლოტმანის შეხედულებებს.

მსჯელობა და შედეგები: ჩვენი კვლევის ობიექტში ლიტერატურულ ეკრანიზაციებში დრო-სივრცული პარადიგმის ანალიზი ექცევა, რომელიც ნათელს მოჰფენს, თუ რა ხერხებითაა შესაძლებელი, ლიტერატურული ტექსტის ნარატიული სტრუქტურები ვიზუალურ ფორმატში გარდაიქმნას, თუ რა გავლენას იქონიებს ყოველივე დროისა და სივრცის აღქმაზე. ლიტერატურული ნაწარმოებების კინოადაპტაციაში, დროითი პერსპექტივები და სივრცითი განლაგება არსებით ელემენტებს წარმოადგენენ, რომლებიც როგორც პერსონაჟების განვითარებაზე, ასევე თხრობის თემატურ გაშლაზე ზემოქმედებენ. ლიტერატურული ნაწარმოები ხასიათდება კომპლექსური, არაწრფივი ნარატიული სტრუქტურებით, მათ შორის, რეტროსპექტიულობით (ფლეშბექებით), წინადროულობით (დროში წინ გასწრება) პროლეპსისითა და პარალელური სიუჟეტებით, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს, გაითავისოს პერსონაჟისა და სიუჟეტის განვითარების ხაზი. ამრიგად, ფილმად გარდაქმნის პროცესში ლიტერატურული ნაწარმოების დროითი პერსპექტივების ცვლილებათა გზებს ვიკვლევთ.

რაც შეეხება, სივრცეს, იგი დროსთან ერთად სიმბოლურად დატვირთულია და ხშირად პერსონაჟების შინაგან კონფლიქტებს ასახავს. ფილმის ნარატივში მას დიდი ყურადღება და მნიშვნელობა ენიჭება. ფერები, სინათლე და კამერის პერსპექტივები ხელს უწყობს სივრცული განწყობის, ატმოსფეროს შექმნას. მაგალითისათვის, ბნელი, ვიწრო სივრცე საფრთხისა და დისტანციურობის, გარიყულობის, ხოლო ღია, ნათელი სივრცე თავისუფლებისა და ახალი შესაძლებლობების სიმბოლოდ შესაძლოა მოგვევლინოს. ამასთან, მოსალოდნელია, რეალური და ფიქციური სივრცეები ერთმანეთს შეუპირისპირდნენ. ამრიგად, ვიზუალური ტექნიკა სიუჟეტისა და გმირების ინტერპრეტაციის გასაღებად გვევლინება. აქცენტს, ამ კუთხით ლიტერატურულ ნაწარმოებსა და ეკრანიზაციას შორის წარმოქმნილ მსგავსებებსა და განსხვავებებზე გავაკეთებთ.

თანამედროვე კინოინდუსტრიაში, ტექნიკური ჟანრების განვითარების ეპოქაში ლიტერატურული ტექსტის ეკრანიზაციას ხშირად მიმართავენ, სადაც სცენარისტი ლიტერატურულ სიუჟეტს ეყრდნობა. ლიტერატურული ტექსტისგან განსხვავებით ფილმი ამბავს გვიყვება ვიზუალურად, განსხვავებული სცენური ხერხების საშუალებით. აღსანიშნავია ისიც, რომ მხატვრული ტექსტის ნარატივის ფილმში ტრანსფორმირების პროცესში დრო-სივრცული მიმართებები, მოქმედებათა თანამიმდევრობა, შინაარსობრივი, ენობრივი სტრუქტურა ცვლილებას განიცდის, ვინაიდან ორი ურთიერთგანსხვავებული მედიის მიმართება ამ ცვლილებას იმთავითვე გულისხმობს, სადაც იკვეთება სწორედ ის კონტრასტი, რომელიც გამოხატავს კონკრეტული ტექსტის სახეობის, ჟანრის თავისებურებას.

დროისა და სივრცის განმარტებისას ვეყრდნობით ფრანგი ლიტერატურათმცოდნე, თხრობის თეორიის, „ლიტერატურის უტოპიის“ ავტორის ჟერარ ჟენეტის მოსაზრებებს. დროითი ასპექტების განხილვისას ავტორი გამოყოფს რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტს, შემოაქვს ახალი ცნებები: თხრობის თანმიმდევრობა, ხანგრძლივობა, სიხშირე. ამბავი შესაძლოა სხვადასხვა თანრიგითა და მონაცვლეობით გადმოიცეს, რაც ჩვენი საკვლევი თემიდან გამომდინარე მეტად მოსალოდნელია, ვინაიდან კინოხელოვნებაში მონტაჟის ტექნიკის წყალობით მოვლენა ფლეშბექებით, ანალეფსისებით ან წინ გასწრებით, ერთგვარი პროლეფსისით ხასიათდება (შდრ. ბერძული, 2019: 44-46). ხანგრძლივობა მიემართება თხრობის დროსა და სიუჟეტურ დროს. ავტორი რამდენიმე ფორმას გამოყოფს: დროში გაწელილი ამბავი – თხრობის დრო ტექსტის სიუჟეტურ დროზე უფრო ხანგრძლივია; შემაჯამებელი თხრობა – თხრობის დრო მოთხრობილ დროზე ხანმოკლეა; ელიფსისური დრო – თხრობა თითქოს ერთ ადგილას ჩერდება, მაშინ როდესაც მოქმედება ანუ სიუჟეტური დრო გრძელდება; პაუზა – თხრობა გრძელდება, მოქმედება ჩერდება. რაც შეეხება სიხშირეს, შესაძლოა მოთხრობილი ამბავი ერთხელ ან მრავალჯერ მოხდეს. ჟენეტი განასხვავებს: განმეორებადი თხრობის დისკურსი – განმეორებით მოყოლა, ხსენება რისამე, რაც მოხდა ერთხელ, იტერაციული თხრობა – როდესაც ერთხელ მოთხრობილი ამბავი მრავალჯერადადაა ნახსენები. ფოკალიზაცია

– რომელი გადმოსახედიდან არის მოთხრობილი ამბავი? ავტორი გამოყოფს შემდეგ პუნქტებს: ნულოვანი ფოკალიზაცია: მთხრობელმა იცის ან ამბობს იმაზე მეტს, ვიდრე რომელიმე პერსონაჟმა იცის ან აღიქვამს; შინაგანი ფოკალიზაცია: მთხრობელი იმაზე მეტს არ ამბობს, ვიდრე პერსონაჟმა იცის; გარე ფოკალიზაცია: მთხრობელი იმაზე ნაკლებს ამბობს, ვიდრე პერსონაჟმა იცის! ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემდგომში ჩვენი საკვლევი თემიდან გამომდინარე არის ხმა, რომელიც თან სდევს ტექსტს, შესაძლოა ავტორის ან მთხრობლისა თუ პერსონაჟის სახით (თხრობის აქტი, რომელიც მოიცავს როგორც სუბიექტსა და მოთხრობილ ამბავს აგრეთვე მოთხრობილ ამბავს, პერსონაჟსა და მკითხველს შორის ურთიერთმიმართებას) (Schumann: 1-4).

სივრცის ცნების განმარტებას გვთავაზობს ფრანგი ავტორი მორის ბლანშო, რომლისთვისაც ლიტერატურული სივრცე ავტორს, მკითხველსა და ნაწარმოებს შორის ყალიბდება, იგი წარმოადგენს დახურულ, ინტიმურ სამყაროს, სადაც „სამყარო ერთმანეთში ირევა“ (Blanchot, 1955: 46, ციტირებულია გუჯაბიძე, 2021: 10). ბლანშოსეული ხედვა განაგდებს იდეას, რომ სივრცე მარტივი დეკორი, ფონი ან კიდევ უბრალოდ რაიმეს აღწერის მეთოდია. შესაბამისად, იგი აღარ დაიყვანება უწყვინარი სცენის ფუნქციამდე, რომელზედაც ვითარდება პერსონაჟის ბედი, არამედ ყალიბდება როგორც სტრუქტურული აგენტი თუ წარმმართველი ვექტორი. იგი ხდება ინტრიგის მამოძრავებელი ძალა, სამყაროებს შორის ერთგვარი გადამყვანი საშუალება (გუჯაბიძე, 2021: 10).

დრო-სივრცული პარადიგმების თავისეულ ვარიანტებს გვთავაზობს მიხაილ ბახტინი. უპირველესად, ტერმინს „ქრონოტოპოსი“. ბახტინისეული ცნება ეტიმოლოგიურად ბერძნულიდან მომდინარეობს: „ქრონოს“ აღნიშნავს დროს, „ტოპოს“ – სივრცეს. იგი გამოხატავს „დრო-სივრცით გადაჯაჭვულ ურთიერთობებს“. ნებისმიერმა იცის, რა არის სივრცე, მაგრამ არავინ იცის, რა არის დრო, ან მოძრაობა. დროისა და სივრცის კატეგორიათა გამთლიანება ერთ ტერმინში ცხადყოფს ბახტინის რწმენას მხატვრულ სტრუქტურებში ამ ელემენტთა განუყოფლობის შესახებ. ბახტინისთვის, ისევე როგორც ლოტმანისთვის, სივრცე არის ანარეკლი, რომელშიც სამყაროს ხედვა აისახება. ლიტერატურული ტექსტი თუკი ის ზუსტად არ ქმნის სივრცით მოდელს, რომლის საშუალებითაც რეალობა ყალიბდება, ცვლის (გარდასახავს) მას და სძენს მეტ პოეტურობას.

ავტორთან ერთად რომანებს ჰყავს მთხრობელები ანუ ნარატორები, როგორც ავტორი მოიაზრება ყველა ხმის მიღმა მდგარ იდეურ და მხატვრულ ცენტრად. ბახტინი ფრთხილად მიჯნავს ავტორს ნარატორისაგან, ვინაიდან განასხვავებს თხრობითი ორიენტაციის სამ ტიპს: ავტორის თხრობას, ნარატორის ანუ მთხრობლისა და პერსონაჟის თხრობას“ (რატიანი, 2008: 46, ციტირებულია გუჯაბიძე, 2021: 13).

ქრონოტოპოსი ლიტერატურაში მხატვრულად დაფიქსირებული დროისა და სივრცის ურთიერთმიმართებას აღნიშნავს. იგი წარმოდგენილია როგორც ფორმა-შინაარსის კატეგორია. აქ დრო კონდენსდება, იკუმშება და მხატვრულად ხილული ხდება; სივრცე იძენს ინტენსივობას, ის იზრდება დროის, სუბიექტის, ისტორიის, ამბის, სიუჟეტის მოძრაობაში. დროის მახასიათებლები სივრცეში ვლინდება. ქრონოტოპი მიემართება ნაწარმოებს, მხატვრულ ტექსტს. ბახტინი განასხვავებს, იდილიის ქრონოტოპს – ოჯახური იდილია. ადამიანთა ცხოვრება და გარკვეული მოვლენები ორგანულად ერწყმის ერთ ადგილს – სამშობლოს თავისი კუთხეებითა და მხარეებით (მთები, ხეობები, სახლები). დეტალურად არის აღწერილი ადამიანთა ყოფის, ცხოვრების პროცესი, იდეოლოგიური მხარე (ენა, მორალი, ადათები) (Bachtin, 1986: 160). ამ მიკროსამყაროში მოცემულია თაობათა უწყვეტი ჯაჭვი და ამას ადგილის ერთიანობა განაპირობებს, ვინაიდან მასთან მრავალსაუკუნოვანი კავშირი არსებობს. ამიტომ, დროის ლიმიტები, საზღვრები დასუსტებულია, ვინაიდან აკვანი/დაბადება და საფლავი/გარდაცვალება ერთმანეთთან ახლოს აღმოჩნდება სივრცითი სიახლოვის გამო და იქმნება იდილიური, ციკლური დროის რიტმი. კიდევ ერთი მსგავსებაა ყოფითი რეალობის შეზღუდვა, როგორიცაა „სიყვარული, დაბადება, სიკვდილი, ქორწინება, სამუშაო, საჭმელ-სასმელი, ასაკი“ (Bachtin, 1986: 161). ეს რეალობები მჭიდროდ ერწყმის ერთმანეთს და მკაცრად შემოსაზღვრული არაა, რის გამოც იდილიაში ყოველდღიურობა აღარ იკვეთება. ისინი არიან „ყველაზე მნიშვნელოვანი რამ აქაურ, ამიერ ცხოვრებაში“ (Bachtin, 1986: 161). უმთავრესი, რაც მათ აერთიანებთ, არის მჭიდრო კავშირი ადამიანის სიცოცხლესა და ბუნებას შორის, რომელიც გამოხატავს ბუნებრივი მოვლენებისა და ადამიანური მოვლენების ერთიან რიტმს.

ამასთან, ავტორი გამოყოფს მისტერიულ, კარნავალურ, გზის, ზღვრის ქრონოტოპებს, თუმცა ნებისმიერ ლიტერატურულ ნაწარმოებს თავის განსაკუთრებული ქრონოტოპი აქვს. მათ, სიუჟეტის განმავითარებლის როლს მიაწერს, მხატვრულ-აზრობრივ კატეგორიას უწოდებს. მხატვრულ-აზრობრივი, საკუთრივ შინაარსობრივი მომენტები დრო-სივრცულ განსაზღვრულობას არ მიეკუთვნებიან, თუმცა ამავე დროს საზრისის ძიება მხოლოდ ქრონოტოპის კარის გავლითაა შესაძლებელი (შდრ. ტრაპაიძე, 2004: 16-17).

ლიტერატურათმცოდნე, სემიოტიკოსი იური ლოტმანი ფილმის ქმნადობის პროცესში გამოკვეთს მუდმივ ბრძოლასა თუ ჭიდილს დროსა და სივრცესთან. კინემატოგრაფი ქმნის სამყაროს მოდელს. მხატვარი ცდილობს სამყარო გვაჩვენოს სივრცული-დროის პარამეტრებით. კინემატოგრაფი კი შემოქმედებითი აქტის დაწყებამდე ხელოვანს აკისრებს ობიექტური სივრცისა და ობიექტური დროის გარე სამყაროს სისტემასთან შესაბამისობას. ხელოვანს აქვს არჩევანი, შეეწინააღმდეგოს მას და ასეთი სინამდვილე კინემატოგრაფიული საშუალებებით დაძლიოს.

არსებობს რეალობის მოდალობა – მოვლენათა სხვადასხვა ვარიანტის გამეორება, რომლებიც ხილული, ვიზუალური გამოსახულების განუყოფელი ნაწილია. განსხვავება თანდათანობით დამახსოვრებულ დროსა და მომენტის რეალურ დროს შორის შეინიშნება იმით, რომ სურათები, კადრები აჩქარებული ტემპით ენაცვლებიან ერთმანეთს. ფილმი, რომელიც ასახავს აწმყოს და რეალურ სიუჟეტს კამერითა და ფირებით გვიჩვენებს, მიანიშნებს, რომ რაც არ შეიძლება იყოს ხილული, წარმოსახვის სიღრმეში, მის სამყაროში იმალება (Lotman: 118-123).

კადრი შემოიფარგლება გარკვეული პარამეტრებით. ამ საზღვრებს გარეთ კინოს სამყარო არ არსებობს. ახლო ხედვით გადაღება საზღვრების რღვევის ერთ-ერთ საშუალებად მოიაზრება. იზოლირებული დეტალი, რომელიც მთელს ცვლის, მეტონიმია ხდება. ის რეალობისადმი იზომორფულია, უცვლელი ნაწილია. გამოსახულება ყალიბდება მრავალ განზომილებაში. კინემატოგრაფიულ ენაში დამახასიათებელია თვალების ახლო ხედვით დაფიქსირება, როგორც სინდისის მეტაფორა, მორალური განსჯის სიმბოლო და ეს ნიშანი ლაიტმოტივად გაჰყვება სცენას. კინემატოგრაფიული სივრცე გარკვეული ჩარჩოებითაა შემოფარგლული და მაინც ქმნის შეუზღუდავ სივრცეს. არსებობს მუდმივი კონფლიქტი, ჭიდილი. კადრები, რომლებიც ავსებენ მხატვრულ სივრცეს, ცდილობენ გაარღვიონ იგი, გადალახონ მისი საზღვრები (Lotman: 124-128).

საანალიზოდ შერჩეული გერმანელი მწერლის ჰერმან ჰესეს რომან „ტრამალის მგლის“ და ამავე სახელწოდების ფრედ ჰეინსის მიერ გადაღებული ეკრანიზაციის მიხედვით გამოვყოფთ მნიშვნელოვან ქრონოტოპებს:

1. ქალაქის ქრონოტოპი – ქალაქი, რომელშიც ჰარი ჰალერი ცხოვრობს, გაუცხოებული, თანამედროვე და ხშირად დამთრგუნველია. ეს არის იზოლაციისა და განდგომის ადგილი, რომელიც ცხოვრებისადმი გმირის დამოკიდებულებას ასახავს. ურბანული სივრცე გამოკვეთს ჰალერის იმ განცდას, რომ იგი ამ საზოგადოებას არ მიეკუთვნება. ამგვარ გაუცხოებას აძლიერებს მარტოსულობის განცდა, რომელიც ადამიანებთან ურთიერთობაში ეუფლება. ქალაქი განასახიერებს თანამედროვე ცხოვრების გამოწვევებსა და სირთულეებს. ჰალერი დგას რომანტიკულ იდეალებსა და ურბანული ცხოვრების მკაცრ რეალობას შორის. ქალაქი ასევე არის ჰალერის შინაგანი კონფლიქტის სიმბოლო, მასში არსებულ ტრამალის მგელთან, რომელიც თავისუფლებისაკენ მიისწრაფვის.

2. სალონი არის ადგილი, სადაც ჰალერი ხვდება ჰერმინეს, პაბლოსა და სხვა პერსონაჟებს. აქ იმართება დიალოგები, რაც ჰალერს ეხმარება შინაგანი წინააღმდეგობების დაძლევაში. სალონი გვთავაზობს დისკუსიისა და რეფლექსიისთვის განკუთვნილ სივრცეს. აქ ჰალერი უპირისპირდება ცხოვრების სხვადასხვა კონცეფციას, რაც ეხმარება მას საკუთარი იდენტობის ამოცნობაში. ჰერმინე გვევლინება ერთგვარ მეგზურად, რომელიც ჰალერს ახალი გამოცდილების შეძენაში ეხმარება. ამგვარად, სალონი ხდება საკუთარი თავის აღმოჩენის ადგილი. აქ ჰალერი აცნობიერებს, რომ თავის ბრძოლაში მარტო არაა.

3. ტყე არის მისტიკური და ხშირად სიმბოლურად დატვირთული ადგილი, სადაც ჰალერი თავშესაფარსაც პოულობს და წინააღმდეგობასაც აწყდება. ყოველივე ეს შინაგანი რეფლექსიის, ასევე საფრთხის ადგილია, სადაც ჰალერი თავის ღრმა შიშებსა და სურვილებს უპირისპირდება.

ტყე წარმოადგენს განმარტოების ადგილს, სადაც ჰალერს შეუძლია განერიდოს ქალაქს, ქალაქურ ყოფას, რიტმს. აქ გმირი თავის აზრებთან თავისუფალია. ტყეში ჰალერს მისი შინაგანი მგელი უპირისპირდება. ბუნებრივი გარემო ასახავს მის შინაგან ველურობას, მაგრამ ასევე საფრთხეს, რომელიც ამ ველურ ინსტინქტებს მოჰყვება. ტყე იქცევა ტრანსფორმაციის ადგილად, სადაც ჰალერს ეძლევა შესაძლებლობა მიიღოს და გაითავისოს თავისი ორმაგი ბუნება. სწორედ აქ უღრმავდება თავის იდენტობას.

4. მაგიური თეატრი წარმოდგენილია რეალურ, ასევე ილუზორულ სივრცედ. აქ ჰალერი ფანტასმაგორიულ სამყაროში ექცევა. თეატრი ჰალერს საშუალებას აძლევს გამოავლინოს თავისი პიროვნების სხვადასხვა ასპექტი. ესაა რეალობისა და ილუზიის შერწყმა. ეს გაურკვევლობა ასახავს ჰალერის შინაგან კონფლიქტს და იწვევს მას საკუთარი იდენტობის შემეცნებისკენ. „ტრამალის მგლის“ ქრონოტოპები კომპლექსურია და მნიშვნელოვნად ზემოქმედებს პერსონაჟების განვითარებასა და რომანის თემატურ სიღრმეზე. ისინი ასახავენ ჰალერის შინაგან ბრძოლას და გაუცხოებულ სამყაროში იდენტობის, მიკუთვნებულობისა და მნიშვნელობის ძიებას. სხვადასხვა სივრცისა და მათი სიმბოლური მნიშვნელობის მეშვეობით მკითხველი აცნობიერებს ადამიანის არსებობის სირთულესა და თანამედროვე ცხოვრების გამოწვევებს.

უშუალოდ სანამ ფილმური სიუჟეტის კვლევაზე გადავალთ, აღნიშვნის ღირსია ტრაქტატი და შესავალი „იყო და არა იყო რა, იყო ერთი ჰარი, სახელად ტრამალის მგელი“ (Licht, 2005: 56). რაც იმთავითვე მიანიშნებს ზღაპრის ტიპურ დასაწყისზე, ავტორის ჩანაფიქრზე, თუ რატომ ეცადა ჰესე ამ წიგნის მოთავსებას სხვა წიგნის სამყაროში – ზღაპარში, პოეტურ გამონაგონში, ფანტასტიკურ ამბავზე აგებულ თხრობით ნაწარმოებში, რომელიც სინამდვილესთან იდეით, თემატიკით, მოტივებით, სიუჟეტით, ენობრივი თავისებურებით, ეროვნული კოლორიტითაა დაკავშირებული.

„მაგიურ თეატრს“ არა მხოლოდ განსაკუთრებული მნიშვნელობა ეთმობა ნაწარმოებში, არამედ გმირის შინაგანი კონფლიქტების ასეთი ლიტერატურული ფორმით გამოკვეთა ჰესეს მთელ შემოქმედებას გასდევს. „მაგიური თეატრის“ შედარება „ლატერნა მაგიკასთან“ მიზანშეწონილად მიგვაჩნია. ეგრეთ წოდებული ჯადოსნური ლამპარი (ლითონის, ხის ან მუყაოს ჩარჩოში ჩასმული შუშის ფირფიტებზე დაბეჭდილი გამოსახულებები პროეცირებულია ოპტიკური სისტემისა და მოწყობილობის წინა ლინზის მეშვეობით) კინოს ერთ-ერთ წინამორბედად და „იარმარკებზე“ მიმზიდველ სანახაობად ითვლებოდა.

ფილმში წარმოდგენილ მაგიურ თეატრში, ყოველი კარის მიღმა, რომლითაც ადამიანები გადი-გამოდიან, წარმოსახვითი რეალობა იქმნება, რომელსაც ფილმის კადრებივით ვუყურებთ. ფილმის მსგავს შთაბეჭდილებას მეტად აძლიერებს კარებზე არსებული ტექსტური წარწერები, რომლებიც მუნჯი ფილმების ტექსტურ პანელებს მოგვაგონებს. ჰალერის პირველი განცდა კარის მიღმა წარწერით „გამგზავრება ბედნიერ ნადირობაზე!“ „მანქანებზე ნადირობა“ (Licht, 2005: 78) ამყარებს მკითხველში ფილმურ ასოციაციებს. ვინაიდან ავტორს ჰალერი „ხმაურიან და აბობოქრებულ სამყაროში“ (Licht, 2005: 78) მერვე გვერდზე გადაჰყავს, თავის გმირს ნებას რთავს ველური და გროტესკული ამბის მონაწილე გახდეს.

კედელი წარმოდგენილია, როგორც იდუმალი საზღვარი შესაძლო გარდაქმნებს შორის, რომლის გადაკვეთა შესაძლებელია ან ყოველივე შესაძლოა მოხდეს კარიბჭის გავლით. როდესაც ჰალერი ტოვებს კედელს წარმოსახვითი კარიბჭის გავლით, მის წინ ჩნდება „ამრეკლავი ასფალტის ზემოთ რამდენიმე ფერადი ასობგერა“ (Licht, 2005: 72), ისინი ქმნიან დევიზს, რომლითაც იწყება ჰალერის ჩანაწერები: „მხოლოდ – -; შეშლილ – – თათვის – – !“ (Licht, 2005: 72). „სრული ლტოლვა მაგიური თეატრის კარიბჭისკენ, მხოლოდ შეშლილთათვის“ „მაგიური თეატრი შესვლა ყველასთვის არაა – ყველასთვის არა“ [...]“ (Licht, 2005: 72), ხოლო ჰალერისთვის კინო არის „ყველასათვის“, ნორმალური ხალხისათვის.

კარიბჭე, როგორც სხვა სამყაროში გადასვლის მისტიკური სიმბოლო, ცხადია, პირველად კინოს არ აღმოუჩენია, „კარიბჭე/კარი“ გამოკვეთილად არც მითებისა და ზღაპრების სამყაროს მიეკუთვნება და არც ფილმისთვის დამახასიათებელი ელემენტია. თუმცა მოტივი, მუნჯი ფილმების მედიუმში ისეთი ინტენსივობით გაცოცხლდა, სხვადასხვა სიმბოლურ კონტექსტში, რომ ავტორს „ტრამალის მგლის“ გარკვეული პასაჟების შექმნა შთააგონა.

ეს მაგალითი ნათლად ცხადყოფს, რომ მედიაგამოცდილებები ისტორიული გარემოებების კონტექსტში უნდა განიხილებოდეს. „კარიბჭის/კარის“ მისტიკური მნიშვნელობის ამგვარ დატვირთვას დღეს აღარ ვხვდებით. და მაინც, დღესაც ასეა, როდესაც კინოში მივდივართ, სიმბოლურად გავდივართ იმ კარში, რომლითაც ჩვენ, როგორც მაყურებლები, გარკვეული დროით ვანაცვლებთ იმას, რასაც რეალობად მივიჩნევთ, ფილმური რეალობით და ამით ვცვლით ჩვენს რეალობის აღქმას. პაბლოს მაგიურ თეატრში შესვლამდე ჰალერი ასევე გადის კინოთეატრის კარიბჭეს, რათა აღმოჩნდეს „მოულოდნელად ძველი აღთქმის შუაგულში“ (Licht, 2005: 73).

ბალ-მასკარადზე ჰალერი ხვდება ჰერმინეს, რომელიც ჰერმანის ფორმაშია გამოწყობილი და მასთან, პაბლოსა და სხვა ქალებთან ერთად, ამ საღამოს ჰალერი ეზიარება ფესტივალის/წვეულების გამოცდილებას, საზოგადოების საიდუმლოებას. ცეკვებით გათანგული, განსაკუთრებით, „საქორწილო ცეკვით“ (Licht, 2005: 75) ჰერმინესთან, ხანგრძლივი ღამის შემდეგ პაბლო ჩნდება და აძლევს ჰალერს მაგიური თეატრის დათვალიერების შესაძლებლობას.

ტრაქტატის ფილმური განხორციელება იწყება სცენით, სადაც ჰალერი ღამით ქალაქში სეირნობისას ხვდება კაცს პლაკატითა და მუცელზე ჩამოკიდებული ჩემოდანი-მაღაზიით, როგორც „იარმარკებზე“ გამყიდველებს სჩვეოდათ და გასაყიდ ნივთებს დაატარებდნენ. სანამ წიგნში ამ სცენას მკითხველი რეალურ შეხვედრად აღიქვამს, ჰესე ცდილობს ხაზი გაუსვას არარეალურს ან ჯადოსნურს, ხოლო რეჟისორი ფილმში სხვა აქცენტს სვამს: იმ მომენტში, როდესაც ჰალერი იღებს მამაკაცისგან ბუკლეტს, გამყიდველი მაყურებლისთვის ჯადოსნური ხრიკივით ქრება. ამგვარი ვიზუალური საშუალებით მაყურებელს მინიშნება ეძლევა, რომ ჰალერი რეალურია. ფიქციურობაზე, წარმოსახვებზე, ფანტასმაგორიებსა და ხილვებზე მიანიშნებს მაგიურ თეატრზე არსებული ასობგერების ციმციმი, კაშკაში და კულმინაციას ფიგურის უეცარი გაქრობით აღწევს. აქ ჰეინსი ცდილობს წარმოაჩინოს ჰალერის შინაგანი, სიზმრის მსგავსი მდგომარეობა გადაჭარბებული გარეგანი ეფექტებით. ამ ილუზიას აძლიერებს მუსიკა.

ამას მოჰყვება მონაკვეთი, რომელიც პირდაპირ გვიჩვენებს დახრილი შრიფტით შესრულებულ ჟურნალის სათაურს. ეკრანი ივსება ტრაქტატის სათაურით, მაყურებელი ჰალერთან ერთად ხდება მკითხველი. წიგნზე მიმართება, რომელიც მიიღწევა რეპროდუცირების სისტემით, კითხვის შთაბეჭდილებას ტოვებს. რაიევსკი აღწერს ამ ფენომენს მედიათა მონაცვლეობის კონტექსტში (Rajewsky, 2003: 62).

მას შემდეგ, რაც კადრში წიგნის გვერდი გადაიშლება, მაყურებელი ხედავს ჰალერის დახატულ პორტრეტს, ამავე დროს, ჰესეს ტექსტი ციტირებულია ოფიდან – ხმა სდევს სცენას. აქ კითხვის შთაბეჭდილება ერწყმის სურათების, ნახატების ცქერას, ხმამაღალი კითხვა და გვერდების გადაშლა მიანიშნებს კითხვის აქტზე, თუმცა რეალურად ნახატები ჩანს. ტექსტი და ნახატები ერთმანეთთან სინქრონიზებული არაა, არამედ პოლარობის პრობლემას ასახავს. როდესაც გვესმის ტექსტი „დადიოდა ორ ფეხზე, ეცვა ტანსაცმელი და იყო ადამიანი“ (Licht, 2005: 92). კადრში ვხედავთ მგლის გამოსახულებას. წიგნის შემდეგი გვერდი გადაიშალა კადრში, „მაგრამ სინამდვილეში ის იყო ტრამალის მგელი“ (Licht, 2005: 92) და მაყურებელს ახლა წარუდგენს წინა ორი ინდივიდუალური ნახატის მონტაჟს. ჰეინსი, თავდაპირველად, ტრაქტატისთვის იყენებს ნახატის კლასიკურ ილუსტრაციას, რომელსაც ანიმაციურ ფილმებამდე მივყავართ. ამგვარად, შეგვიძლია ვისაუბროთ მოვლენაზე – ფილმი ფილმში. მარტივი, ტრივიალური ანიმაციური ვერსია გვაძლევს ძლიერ კონტრასტს ჰესეს ლიტერატურულ ტექსტთან, თუმცა რეჟისორი ქმნის თავის უნიკალურ ხელოვნების ნიმუშს, რითაც მაყურებლამდე ტრამალის მგლის პრობლემა შიშვლდება, ცხადდება – კონფლიქტი გონებასა და ინსტინქტებს შორის. ანიმაციური ნაწილის დასასრულს კამერა ღია კარიდან შემოდის, სცენას კვლავ ხმა მოჰყვება სიტყვებით „და კარი დაიხურა“. ამგვარი გადასვლით კომიქსური ნარატივებიდან ფილმის რეალობაში ვბრუნდებით.

აქვე გამოვყოფთ, ლურჯ ფონს, ლურჯ ეკრანს. ეს ძალიან შრომატევადი პროცესი თანამედროვე კინოინდუსტრიაში, დიდწილად, კომპიუტერული ტექნოლოგიებით ჩანაცვლდა, რასაც ბევრად უფრო ეფექტურ შედეგებამდე მივყავართ და დღეს კინემატოგრაფიულ სტანდარტად მივიჩნევთ. შედარებისათვის მაგიური თეატრის გამოსახულებები თანამედროვე მაყურებელს საკმაოდ სამოყვარულო დონეზე გადაღებული მოეჩვენება, რაც შესაძლოა რეჟისორის მხრიდან მიზანმიმა-

რთულად ამგვარად იყო ჩაფიქრებული, რათა ჰალერის განცდები, თავგადასავალი მაგიურ თეატრში მაყურებელს სიზმრის მსგავს მდგომარეობად და არა ფილმის რეალობად აღექვა.

აღსანიშნავია, ინტერმედიალური მიმართება მედიუმ მუსიკაზე, როგორც ტექსტის შემკვრელზე, მუსიკა მუდმივად ჟღერს ჰესეს შემოქმედებაში. მოცარტთან ერთად, *ტრამალის მგელში* სხვა კომპოზიტორები და მუსიკოსები ჩნდებიან, მათ შორის ბახი, ბრამსი, ბეთჰოვენი, შუბერტი, შოპენი, ვაგნერი და, როგორც ფიგურა, ჯაზ-მენი საქსოფონისტი პაბლო. წიგნში მრავალი მინიშნებაა მედიუმ მუსიკაზე, თუნდაც რადიოსა თუ გრამოფონის ხსენებით, შესაბამისად, რაიევსკის აზრით, შესაძლოა ეს ასპექტი, ტექსტში სისტემის ექსპლიციტურ მინიშნებად განიხილებოდეს (Rajewsky, 2002: 79).

დასკვნები: ამრიგად, დრო-სივრცული პარამეტრები ლიტერატურული ნაწარმოების კინოეკრანიზაციებში ფილმისთვის დამახასიათებელი ელემენტებით ივსება. თუმცა, რეჟისორის გადაწყვეტაზეა დამოკიდებული, შეინარჩუნებს თუ არა ლიტერატურული ტექსტის ძირითად სიუჟეტს, შინაარსს, ფორმას. მოცემული ფილმის ანალიზისას დადგინდა, რომ დრო შეკუმშულია, მოვლენები სწრაფად ენაცვლებიან ერთმანეთს, ხშირია დროსთან და დროში თამაში, შესაძლოა იმის გამოსაკვეთად, რომ მთავარი გმირი დაკარგულია, გაუცხოებულია, ვერ გამორკვეულა რეალობაშია თუ სიზმარში. რაც შეეხება სივრცეს, აქცენტები „მაგიურ თეატრზე“ გავაკეთეთ, სადაც ნათლად გამოიკვეთა ისეთი ინტერმედიალური მიმართებები, როგორებიცაა ფილმი და ანიმაციური ფილმები, კომიქსები, ფილმი და მუსიკა, ფილმი და კინოთეატრი. აღსანიშნავია, რომ სიუჟეტურობა არ დარღვეულა, ის სივრცეები, რომლებიც ჰესესთან წამყვან როლს ასრულებდნენ, ფილმშიც წინა პლანზე იყო წამოწეული, იმ განსხვავებით, რომ აქ უკვე რეჟისორის ინტერპრეტაციასა და აღქმას ვუყურებთ, ხოლო მკითხველის წარმოსახვაში შესაძლოა სხვა ხატი და სურათი გაცოცხლდეს. როგორც იოახიმ პეხი აღნიშნავს, ავტორი ან რეჟისორი, ლიტერატურასა და ფილმს შორის ინტერმედიალობის საშუალებად გვევლინებიან (Peach: 335).

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. ბერძული, ნ. (2019). *ნარატივის მხატვრული ფუნქცია თანამედროვე ქართულ პროზაში (დათო ტურაშვილის, კოტე ჯანდიერის, აკა მორჩილაძის შემოქმედებაში). ნახვის თარიღი: 13 აპრილი, 2025. ბმული:* https://bsu.ge/text–files/ge–file–13310–1.pdf
2. გუჯაბიძე, ს. (2021). *სივრცის რეპრეზენტაცია მარგერიტ დიურასის რომანებში. დისერტაცია. ნახვის თარიღი: 13 აპრილი, 2025. ბმული:* https://www.bsu.edu.ge/text–files/ge–file–15356–2.pdf
3. ტრაპაიძე, ნ. (2004). *მხატვრული დრო და სივრცე ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში. დისერტაცია. ვებ-გვერდი: თსუს ბიბლიოთეკა. ნახვის თარიღი: 13 აპრილი, 2025. ბმული:* https://digitallibrary.tsu.ge/book/2021/dec/dissertations/trapaidze-disertacia.pdf
4. Bachtin, M. (1986). *Chronotopos.* Berlin: Verlagsgruppe.
5. Haines, F. (რეჟისორი). (1974). *Steppenwolf.* ნახვის თარიღი: 13 აპრილი, 2025. ფილმის ბმული: https://www.youtube.com/watch?v=Q5R6zi5FndU
6. Licht, H. (2005). *Hermann Hesses Steppenwolf intermedial.* ნახვის თარიღი: 13 აპრილი, 2025. ბმული: https://hesse.projects.gss.ucsb.edu/papers/Licht-Steppenwolf-intermedial.pdf
7. Lotman, J. (თ. გ.). *Probleme der Kinoästhetik.*
8. Peach, J. (თ. გ.). *Paradoxien der Auflösung und Intermedialität.* ნახვის თარიღი: 13 აპრილი, 2025. ბმული: http://www.medientheorie.com/doc/paech–paradoxien.pdf
9. Rajewsky, I. (2002). Intemedialität. ნახვის თარიღი: 13 აპრილი, 2025. ბმული: https://www.geisteswissenschaften.fu-berlin.de/v/interart/media/dokumente/oberseminar/rajewsky–intermedialitaet.pdf
10. Rajewsky, I. (2003). *Intemedialität.* ნახვის თარიღი: 13 აპრილი, 2025. ბმული: https://mediarep.org/server/api/core/bitstreams/950674c9-1fa1-43c1-a174-e8cebeb7baad/content
11. Schumann, A. (თ. გ.). *Erzählanalyse II: Erzähltheorie nach Gérard Genette.* ნახვის თარიღი: 13 აპრილი, 2025. ბმული: http://www.jungeforschung.de/grundkurs/erzaehlen2.pdf

THE TIME-SPACE PARADIGM IN THE FILM ADAPTATION OF A LITERARY WORK

TAMAR KAKHETELIDZE
PhD Student, Philology (German Philology)
at Ivane Javakhishvili Tbilisi State University;
Senior Librarian (Senior Specialist) of the
Rare Editions Department of the TSU Library
E-mail: tamar.kakhetelidze@tsu.ge
ORCID: 0009-0006-3870-8751

Abstract: The present study sets out to analyze the temporal-spatial paradigm in literary film adaptations. The objective is to illuminate the process by which the narrative structures of literary texts are transferred into a visual medium and the subsequent impact on the perception of time and space. In the context of film adaptations of literary works, temporal perspectives and spatial arrangements play pivotal roles in character development as well as thematic progression within the narrative. The literary work is characterized by complex, non-linear narrative structures, including retrospective (flashbacks), analepses, prolepses and parallel storylines, which enable the reader to understand character and plot progression. This study therefore investigates how the temporal and spatial perspectives of a literary work change in the process of film adaptation. The analysis revealed that time cannot exist without space and vice versa. However, it is commonplace for film adaptations to diverge from the temporal and spatial perceptions of the literary work, due to the unique technical demands of the cinematic medium.

Keywords: Time-Space Paradigm; Film adaptation; Intermediality.

* * *

Introduction: In the modern, progressive era, the boundaries between different media forms or spaces have become increasingly permeable. In this context, the film adaptation of a literary work assumes significance, frequently incorporating elements from literature, cinema, theatre, and occasionally even video games, comics, and animation. Such adaptations often amalgamate narrative storytelling and visual techniques.

Literary works assume diverse forms, extending beyond films and television series to encompass podcasts, radio plays, theatrical productions and opera libretti. This diversity in media forms allows for varied expressions of the same story, catering to different audiences. The concept of intermediality emerges in such cases, signifying that the transformation of a literary work into a different media format, such as film or theatrical production, gives rise to a new context. This new context, in turn, has the capacity to influence and potentially alter both the context and the meaning of the original work.

A review of extant literary sources and methodology: With regard to the subject of the research, it was deemed suitable to depend on the pioneers of the concept of intermediality, that is to say, researchers of intermedial processes such as I. Rajewsky and J. Peach. Moreover, we have employed the comparative method. In order to elucidate the temporal and spatial relationships and present the problem with greater clarity, we will draw upon the perspectives of Genette, Bakhtin and Lotman.

Discussion and Results: The subject of our research is the analysis of the temporal-spatial paradigm in literary film adaptations. The objective is to illuminate the process by which the narrative structures of literary texts are transferred into a visual medium and the subsequent impact on the perception of time and space. In the context of film adaptations of literary works, temporal perspectives and spatial arrangements are pivotal elements that influence both character development and the thematic unfolding of the narrative. The literary work is characterized by complex, non-linear narrative structures, including

flashbacks, prolepses and parallel storylines, which enable the reader to understand the development of the characters and the plot. This study therefore examines how the temporal perspectives of a literary work change in the process of film adaptation.

Space is just as symbolically charged as time and often reflects the inner conflicts of the characters. It is given great attention and importance in the narrative of the film. Colors, light and camera angles help to create a spatial mood, an atmosphere. For example, a dark, narrow room can symbolize danger and distance, exclusion, while an open, bright room can symbolize freedom and new possibilities. Furthermore, a confrontation of real and fictitious spaces is to be expected. Visual techniques thus serve as a key to interpreting the plot and the characters. We focus on the similarities and differences between the literary work and the film adaptation.

In the contemporary film industry, which is characterized by the proliferation of technical genres, film adaptations of literary texts are frequently employed. In these adaptations, screenwriters often draw upon the narrative structure of the source text. In contradistinction to a literary text, a film employs visual storytelling techniques through various scenic methods. It is also important to note that when a literary text is adapted for the screen, the temporal-spatial relationships, the sequence of action, the content and the linguistic structure are subject to change. This is because the relationship between two different media implies this change from the outset, where the contrast that expresses the specificity of a particular type of text and genre becomes clear.

Theoretical contributions of the French literary critic and narrative theorist Gérard Genette. In addressing temporal aspects, the author underscores several pivotal elements and introduces novel concepts, including narrative sequence, duration, and frequency. The narrative can be structured in various sequences and temporal orientations, a phenomenon that is particularly relevant to our research topic, given that the events are characterized by flashbacks, analepses, or forward movements, a form of prolepses, as evidenced by the editing techniques employed in cinematography (ბერძული, 2019: 44-46). The concept of duration pertains to the narrative and plot time. The author distinguishes between several forms: a story stretched over a longer period of time, where the narrative time is longer than the plot time of the text; a summary narrative, where the narrative time is shorter than the narrated time; an elliptical time, where the narrative seems to stop at one point while the action or plot time continues; and a pause, where the narrative continues, but the action is stopped. In terms of frequency, the narrated story can occur once or several times. Genette's theoretical framework distinguishes between recurrent narrative discourse, defined as the repeated telling or mentioning of something that has happened once, and iterative narration, characterized by the mention of a story that has been told once several times. Focalization – From which perspective is the story told? The author highlights the following points: No focalization: The narrator possesses knowledge or information that exceeds that of the other characters; Internal focalization: The narrator does not say more than the character knows! And finally, external focalization: The narrator says less than the character knows! A significant facet of our research agenda pertains to the voice that accompanies the text, manifesting, for instance, in the roles of the author, narrator, or character (the act of storytelling, encompassing both the subject and the storyteller, as well as the relationship between the storyteller, the character, and the reader) (Schumann: 1-4).

The concept of space, as defined by the French author Maurice Blanchot, is characterized by the notion of literary space, which is formed between the author, the reader and the work. This concept represents a closed, intimate world in which „the worlds are intertwined" (Blanchot, 1955: 46, as cited in გუჯაბიძე, 2021: 10). Blanchot's vision is predicated on a rejection of the notion that space is merely a decorative element, a background, or even a means of description. Consequently, it is no longer reduced to the function of a harmless stage on which the fate of the character unfolds, but rather appears as a structural agent or guiding vector. It becomes the driving force of intrigue, a kind of means of transportation between worlds (გუჯაბიძე, 2021: 10).

Mikhail Bakhtin proffers his own variants of time-space paradigms. Firstly, he proposes the term „chronotopos", a concept that is etymologically derived from the Greek: „chronos" denotes time, „topos"

space. The concept of chronotope, as Bakhtin expounds it, captures the notion of „temporal-spatial entanglements,“ thereby offering an alternative framework for comprehending the intertwined nature of time and space. While the concept of space is well-understood, those of time and movement are less so. The unification of the categories of time and space into a single term underscores Bakhtin's conviction in the inseparability of these elements within artistic structures. For Bakhtin, as for Lotman, space is a reflection in which the vision of the world is mirrored. A literary text, in this sense, functions as a refracting lens that alters the spatial model through which reality is formed; if it does not precisely reproduce this model, it imbues reality with a heightened poetic quality (Bachtin, 1986: 160-161).

In addition to the author, there are also storytellers in novels, the narrators, since the author is considered the ideological and artistic center behind all voices. Bakhtin meticulously differentiates between the author and the narrator by distinguishing three types of narrative orientation: the author's narrative, the narrator's or storyteller's narrative, and the character's narrative (რატიანი, 2008: 46 as cited in გუჯაბიძე, 2021: 13).

The term „chronotopos“ is employed to denote the relationship between time and space as it is artistically represented in the medium of literature. It is presented as a form-content category. In this paradigm, the concept of time undergoes a process of condensation, becoming artistically visible. Concurrently, space undergoes an intensification, growing over the course of time, thereby serving as the medium through which the theme, the story, the narrative, and the plot are developed. The characteristics of time manifest themselves in space. The concept of chronotope, as employed in this study, pertains to the artistic text in its entirety. Bakhtin distinguishes between the chronotope of the idyll, which he defines as the family idyll. The concept of the idyll is characterized by the organic merging of people's lives and specific events within a single locale, namely the home, which is delineated by distinct corners and sides, evoking imagery of mountains and valleys, and the presence of houses. The ideological dimension of human existence and the process of life (language, morals and customs) is described in detail (Bachtin, 1986: 160). This microcosm fosters the formation of an uninterrupted chain of generations, a phenomenon that is profoundly influenced by the unity of the locale, given the centuries-old connection to it. This phenomenon serves to dissolve the conventional boundaries and limitations imposed by time, thereby facilitating a harmonious and cyclical rhythm of time, characterized by the proximity of concepts such as cradle/birth and grave/death (Bachtin, 1986: 161).

Furthermore, the author distinguishes between mysterious chronotopes, carnival chronotopes, street chronotopes and marginal chronotopes, although it is acknowledged that each literary work has its own special chronotope. The author ascribes to these chronotopes the role of plot developers and describes them as an artistically significant category. The significance of these moments lies not in any temporal or spatial constraints, yet the pursuit of meaning remains contingent upon the lens of the chronotope (ტრაპაიძე, 2004: 16-17).

The literary critic and semiotician Juri Lotman emphasizes the constant struggle with time and space during the filmmaking process. Cinematography, as a medium, engenders a representation of the world. The artist endeavors to demonstrate the world in the context of space and time. Conversely, cinematography imposes the correspondence of objective space and objective time with the system of the outside world on the artist prior to the commencement of the creative act. The artist is faced with the choice of either confronting this reality and overcoming it with cinematic means, or surrendering to its constraints.

The frame is limited by certain parameters. Beyond these confines, the realm of cinema becomes nonexistent. The technique of close-up shooting is regarded as a means of transgressing these boundaries. The concept of metonymy is exemplified by the transformation of an isolated detail into a symbol of the whole. This isolated detail, in its ability to alter the entire composition, becomes a metonymy, representing an unchanging part of the whole. The image is formed in many dimensions. In the cinematic language, the close-up of the eyes is characteristic, serving as a metaphor for conscience and a symbol of moral judgment, a motif that recurs throughout the scene. Cinema, with its limitation by frames, paradoxically creates an unlimited space. This dynamic interplay between limitation and expansion, conflict

and struggle, is a fundamental aspect of cinematic expression. The shots that fill the artistic space try to break through it, to overcome its boundaries (Lotman: 124-128).

This paper will examine the novel „Steppenwolf", written by German author Hermann Hesse, and the film adaptation of the same name by Fred Haines. The focus will be on significant chronotopes, defined as the temporal structure of a given narrative. 1. The first chronotope to be analyzed is that of the city, which is characterized by its alienation, modernity and pervasive sense of depression. It is a milieu of isolation and detachment, which reflects the protagonist's attitude towards life. The urban space thus serves to underscore Haller's sense of alienation from the prevailing societal norms. This sense of alienation is further compounded by the pervasive sense of loneliness that pervades his interpersonal relationships. The city, in this sense, serves as a metaphor for the challenges and difficulties inherent in modern life. Haller's position is thus one of being caught between romantic ideals and the uncompromising reality of urban existence. The city also symbolizes an inner conflict within Haller, embodied by the Steppenwolf, a figure that represents an insatiable quest for freedom.

2. The salon is the place where Haller encounters Hermine, Pablo and other characters. Dialogues ensue, facilitating Haller's process of resolving internal contradictions. The salon thus functions as a space for discussion and reflection. In this setting, Haller engages with a variety of philosophical and existential concepts, facilitating his self-discovery and the establishment of his personal identity. Hermine's role as a guide facilitates Haller's acquisition of new experiences. Consequently, the salon functions as a catalyst for self-discovery. It is here that Haller comes to the realization that he is not alone in his personal struggles.

3. The forest is a site that is imbued with a sense of the mystical and that is often charged with symbolism. It is in this environment that Haller finds both refuge and resistance. It is a location conducive to introspection as well as being a site of potential peril, wherein Haller engages with his most intimate fears and yearnings. The forest provides a space for solitude, enabling Haller to disengage from the demands of city life and its incessant rhythm. In this environment, Haller experiences an uninterrupted state of introspection and contemplation. Within the confines of the forest, Haller is compelled to confront his primal instincts, which are symbolized by the wild wolf. The natural environment is seen to reflect both his inner wildness and the danger that accompanies these instincts. The forest thus becomes a site of personal transformation, wherein Haller is presented with the opportunity to acknowledge and accept his dual nature. It is in this environment that he undergoes a profound process of self-discovery and identity formation.

4. The magic theatre is presented as both a real and illusory space. Within this realm, Haller finds himself enmeshed in a phantasmagoric universe. The theatre functions as a medium through which Haller can unveil various dimensions of his personality. The fusion of reality and illusion that characterizes the magic theatre serves as a metaphorical backdrop against which Haller's personal journey unfolds. This ambiguity is reflective of Haller's internal conflict, ultimately leading him to the realization of his own identity. The chronotopes of „Steppenwolf" are intricate and considerably influence the evolution of the characters and the thematic intricacy of the novel. These reflect Haller's internal struggle and search for identity, belonging, and meaning in an alienated world. Through the various spaces and their symbolic meanings, readers are able to comprehend the intricacies of human existence and the challenges of modern life.

Prior to embarking on a detailed examination of the film's narrative structure, it is pertinent to acknowledge the introductory treatise, which asserts, „Once upon a time, there was and is not, there was a certain Harry, named the Steppenwolf" (Licht, 2005: 56). This immediately signals the customary commencement of a fairy tale, the author's intention, and Hesse's endeavor to situate this book within another literary world – a fairy tale, a poetic fiction, a narrative work grounded in a fantastic narrative yet connected to reality by means of idea, theme, motifs, plot and linguistic features.

A parallel may be drawn between the 'magic theatre' and the 'laterna magica'. The so-called magic lantern, in which images printed on glass plates enclosed in a metal, wooden, or cardboard frame are

projected through an optical system and the front lens of the device, was considered one of the predecessors of cinema and an attractive spectacle at „fairs."

In the film, the magic theatre is presented as a setting in which an imaginary reality is created behind every door through which people enter and exit, and which is observed by the viewer like a film frame. The film-like impression is further enhanced by the text inscriptions on the doors, which resemble the text panels of silent films. Haller's initial reaction upon encountering the door bearing the inscription „Departure on a happy hunt!" „Hunting for cars" (Licht, 2005: 78). This serves to reinforce the filmic associations in the reader's mind. The author, Haller, is transported into a „noisy and chaotic world" (Licht, 2005: 78). On the eighth page, the author allows his protagonist to become an active participant in a narrative characterized by its wild and grotesque elements.

The wall is presented as a mysterious border between possible transformations, which can be crossed or through which all is possible. Upon Haller's departure from the wall through the imagined portal, „a series of colored letters" emerge before him, positioned above the reflective asphalt (Licht, 2005: 72). These letters coalesce to form the motto that initiates Haller's notes: „Only – -; for the crazy – – -!" (Licht, 2005: 72). „The complete longing for the gate of the magic theatre, only for the crazy" (Licht, 2005: 72), „The magic theatre is not for everyone to enter – not for everyone" [...]" For Haller, cinema is „for everyone", for normal people.

The gate, as a mystical symbol of passage to another world, had been utilized in various forms of folklore and mythology prior to its introduction in cinema. The „gate/door" does not exclusively belong to the realm of myths and fairy tales, nor is it a characteristic element of film. Nevertheless, it was in the medium of silent films, within various symbolic contexts, that the motif came to life with such intensity that it inspired the author to create certain passages in „The Steppenwolf".

This example clearly demonstrates that media experiences must be considered in the context of historical circumstances. The contemporary viewer no longer perceives the „door/gate" as mystically significant. Nevertheless, the symbolic act of passing through a door, as exemplified by the experience of attending a cinema, continues to represent a substitution of our perception of reality in favor of that which is portrayed on the screen. A similar phenomenon is observed in Haller's experience, where he transitions through the gate of the cinema, only to find himself „suddenly in the middle of the Old Testament" (Licht, 2005: 73).

The film adaptation of the treatise commences with a scene in which Haller, traversing the city by night, encounters a figure bearing a poster and a suitcase shop suspended from his abdomen, reminiscent of the manner in which vendors at „fairs" would traditionally do so, bearing merchandise for sale. While in the book the reader perceives this scene as a real encounter, Hesse attempts to emphasize the unreal or magical, while the director imposes a different emphasis in the film: at the moment when Haller takes the booklet from the man, the vendor disappears for the viewer like a magic trick. This visual technique serves to suggest to the viewer that Haller is a real person. The flickering of the letters on the magic theatre alludes to fictitiousness, imagination, phantasmagoria and visions, reaching its climax with the sudden disappearance of the figure. In this scene, Haines employs exaggerated external effects to portray Haller's inner, dreamlike state. The auditory backdrop serves to heighten the impact of this visual deception.

This is followed by an act in which the title of the magazine is displayed in italics. The screen is filled with the title of the treatise, thereby engendering a sense of the viewer becoming a reader along with Haller. The reproduction system establishes a relationship with the book, thereby creating the impression of reading. Rajewsky describes this phenomenon in the context of media alternation (Rajewsky, 2003: 62).

Upon the act of turning the page within the confines of the frame, the viewer is presented with a portrait that has been meticulously crafted by Haller. Concurrently, the words of Hesse's text resonate from within the off, creating a symbiotic auditory and visual experience. In this instance, the experience of reading is amalgamated with the observation of images and illustrations, the audible reading and the manipulation of the pages, thereby evoking the act of reading, despite the fact that the illustrations

are perceptible. The text and the drawings are not synchronized with each other, but rather reflect the problem of polarity. When we encounter the text „he walked on two legs, wore clothes and was a man“ (Licht, 2005: 92), for instance, within the confines of the frame, the viewer is presented with an image of a wolf. The subsequent page of the book is then revealed, inscribed with the words, „But in reality, he was a Steppenwolf“ (Licht, 2005: 92), and the viewer is presented with a montage of the preceding two individual drawings. Haines employs a conventional illustration technique for the treatise, which subsequently introduces the concept of animated films. This approach enables a discussion of the concept of a film within a film. The simple, trivial animated version provides a strong contrast to Hesse's literary text, but the director creates his own unique work of art, which exposes the problem of the Steppenwolf to the viewer, revealing it – the conflict between psyche and instinct. As the animated sequence concludes, the camera makes its entrance through an open doorway, and the scene is accompanied by a voiceover that reads, „And the door closed.“ This transition serves to shift the focus from the realm of animation narratives to the more realistic elements of the film.

In this passage, the focus will be directed towards the blue background, otherwise referred to as the blue screen. This arduous process in the contemporary film industry has been predominantly supplanted by computer technology, yielding considerably more efficacious outcomes and regarded as a cinematic standard at present. By way of comparison, the images of the magic theatre appear to the modern viewer to be of a rather amateurish standard, which may have been deliberately conceived in this way by the director, so that the viewer would perceive Haller's feelings and adventures in the magic theatre as a dream-like state, and not as the reality of the film.

It is noteworthy that the intermedial relation to the medium of music as a binding element of the text is a constant presence in Hesse's oeuvre. Alongside Mozart, other composers and musicians are featured, including Bach, Brahms, Beethoven, Schubert, Chopin, Wagner, and the jazzman saxophonist Pablo. The book contains many references to the medium of music, even mentioning the radio and the gramophone, and according to Rajewsky, this aspect may be considered an explicit reference to the system in the text (Rajewsky, 2002: 79).

Conclusions: It can thus be concluded that the time-spatial parameters in film adaptations of literary works are characterized by elements of the cinematic medium. Nevertheless, the decision to adhere to the original literary plot, content, and form is contingent upon the director's prerogative. The analysis of this film reveals that time is compressed, events quickly follow each other, and there is frequent play with time and in time, perhaps to show that the main character is lost, alienated, and unable to determine whether he is in reality or in a dream. With regard to space, the concept of the „magic theater“ was identified, encompassing intermedial relations such as film and animation, comics, film and music, and film and cinema. It is noteworthy that the plot remained unaltered, with the spaces that played a leading role in Hesse's work also being brought to the forefront in the film. However, it should be noted that in this case, we are looking at the director's interpretation and perception, while another image and picture may come to life in the reader's imagination. As Joachim Peach observes, the author or director functions as an intermediary between the domains of literature and film (Peach: 335).

References:

1. ბერძული, ნ. (2019). *ნარატივის მხატვრული ფუნქცია თანამედროვე ქართულ პროზაში (დათო ტურაშვილის, კოტე ჯანდიერის, აკა მორჩილაძის შემოქმედებაში).* Viewed on: 13th April 2025. Link: https://bsu.ge/text–files/ge–file–13310–1.pdf
2. გუჯაბიძე, ს. (2021). *სივრცის რეპრეზენტაცია მარგერიტ დიურასის რომანებში.* დისერტაცია. Viewed on: 13th April 2025. Link: https://www.bsu.edu.ge/text–files/ge–file–15356–2.pdf
3. ტრაპაიძე, ნ. (2004). *მხატვრული დრო და სივრცე ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში.* დისერტაცია. Website: TSU Library. Viewed on: 13th April 2025. Link: https://digitallibrary.tsu.ge/book/2021/dec/dissertations/trapaidze-disertacia.pdf

4. Bachtin, M. (1986). *Chronotopos.* Berlin: Verlagsgruppe.
5. Haines, F. (Director). (1974). *Steppenwolf.* Viewed on: 13th April 2025. Link*:* https://www.youtube.com/watch?v=Q5R6zi5FndU
6. Licht, H. (2005). *Hermann Hesses Steppenwolf intermedial.* Viewed on: 13th April 2025. Link: https://hesse.projects.gss.ucsb.edu/papers/Licht-Steppenwolf-intermedial.pdf
7. Lotman, J. *Probleme der Kinoästhetik.*
8. Peach, J. *Paradoxien der Auflösung und Intermedialität.* Viewed on: 13th April 2025. Link: http://www.medientheorie.com/doc/paech–paradoxien.pdf
9. Rajewsky, I. (2002). Intemedialität. Viewed on: 13th April 2025. Link: https://www.geisteswissenschaften.fu-berlin.de/v/interart/media/dokumente/oberseminar/rajewsky–intermedialitaet.pdf
10. Rajewsky, I. (2003). *Intemedialität.* Viewed on: 13th April 2025. Link: https://mediarep.org/server/api/core/bitstreams/950674c9-1fa1-43c1-a174-e8cebeb7baad/content
11. Schumann, A. *Erzählanalyse II: Erzähltheorie nach Gérard Genette.* Viewed on: 13th April 2025. Link: http://www.jungeforschung.de/grundkurs/erzaehlen2.pdf

ქართული მჭევრმეტყველების ტერმინოლოგიის საკითხისთვის

ნათია კენჭიაშვილი
ფილოლოგიის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,
ელ-ფოსტა: natia.kentchiashvili@gmail.com
ORCID: 0000-0002-8230-7633

აბსტრაქტი. წინამდებარე კვლევის საგანია ქართულ მჭევრმეტყველებასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის შესწავლა. გამოიკვეთა ტერმინოლოგიის ორი ჯგუფი: ლექსიკა, რომელიც ორიგინალური ტერმინებისაგან შედგება და ლექსიკა, რომელიც ნასესხებია სხვადასხვა ენიდან. თითოეული მათგანის შესწავლა მნიშვნელოვანია როგორც ქართული სიტყვათქმნადობის, ისე უცხო ენებთან კონტაქტის დასადგენად. გარდა ამისა, ჩვენ მიერ შესწავლილი ტერმინები შეიძლება დაიყოს რიტორიკის სფეროში არსებული დარგობრივი და ჟანრობრივი კლასიფიკაციების გათვალისწინებით. ცალკე შესწავლის საგანია ტროპის სახეების აღმნიშვნელი ტერმინოლოგია ქართულ რიტორიკაში. ამდენად, წინამდებარე კვლევაში, ჩვენ მიერ შესასწავლი ტერმინოლოგია სამ თემატურ ჯგუფად გვაქვს დაყოფილი: დარგების, ჟანრებისა და ტროპების აღმნიშვნელი ტერმინოლოგია. კვლევის სიახლე და აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ წინამდებარე კვლევა გახლავთ საკითხის კორპუსული შესწავლის მცდელობა, რითაც შესაძლებლობა გვეძლევა თანამედროვე მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით გავაგრძელოთ და განვაახლოთ თემის მეცნიერული კვლევა, კერძოდ, გადავამოწმოთ უკვე გამოვლენილი ლექსიკური და ფრაზული ტერმინოლოგიის გამოყენების შემთხვევები უფრო მეტი ენობრივი რესურსის დახმარებითა და ტერმინთა გამოყენების სიხშირული მონაცემების მოხმობით. ამ ტიპის კვლევის ემპირიულ მასალას წარმოადგენს ძველი ქართული ლიტერატურა, სასაუბრო ენა, ხალხური ზეპირსიტყვიერება და სხვ., რომელთა უმეტესობა განთავსებულია ქართული ენის ეროვნულ კორპუსში (შემდგომში, ქეეკ), თუმცა არა ყველა მათგანი. გარდა კორპუსული რესურსისა, კვლევისას დავეყრდნობით რიტორიკის პირველ ქართულენოვან სახელმძღვანელოებსა და ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყენებულ ტერმინოლოგიასაც, რაც კვლევას მეტ სისრულეს შესძენს. წერილობით დამოწმებული ტერმინების მოყვანისას, უპირატესობას ვანიჭებთ უშუალოდ ორატორული ნიმუშებიდან მაგალითების მოხმობას. რიტორიკის პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელოებისა და სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე აუცილებლად მიგვაჩნია დავაზუსტოთ საკვანძო ტერმინოლოგიასთან დაკავშირებული საკითხები.

საკვანძო სიტყვები: ქართული რიტორიკა; ქართული რიტორიკის ტერმინოლოგია, ორიგინალური ტერმინოლოგია ქართულ რიტორიკაში, ნასესხები ტერმინოლოგია ქართულ რიტორიკაში

* * *

შესავალი: წინამდებარე კვლევის საგანია ქართულ მჭევრმეტყველებასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის შესწავლა. რიტორიკასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის კვლევა-ძიება საჭიროებს მისი ტერმინოლოგიის დადგენას. ესაა ის ამოსავალი თემა, რომელსაც შემდგომში ეფუძნება სხვა კვლევები, რადგან სწორედ მათზე დაყრდნობით ვამუშავებთ და ვეცნობით როგორც არსებულ ლიტერატურას აღნიშნულ დარგში, ისე მათი დახმარებით და გამოყენებით ვქმნით ახალ ნაშრომებს. აღსანიშნავია, რომ ქართული რიტორიკის ისტორიული განვითარების პარალელურად შეიქმნა და არსებობს არაერთი სინონიმური ტერმინი, რომელთაგან ზოგიერთი ქართული წარმომავლობისა, ზოგიერთი კი უცხო ენებიდანაა ნასესხები. ესაა საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ტერმინოლოგია, რომელშიც ორი ჯგუფი შეიძლება გამოიყოს: ლექსიკა, რომე-

ლიც ორიგინალური ტერმინებისაგან შედგება და ლექსიკა, რომელიც ნასესხებია სხვადასხვა ენიდან. ორივე ჯგუფის ლექსიკის შესწავლა მთლიანობაში გვიქმნის საერთო წარმოდგენას ქართული მჭევრმეტყველების ისტორიული განვითარებისა და უცხო ენებთან კონტაქტის შესახებ. გარდა ამისა, ჩვენ მიერ შესწავლილი ტერმინები შეიძლება დაიყოს რიტორიკის სფეროში არსებული დარგობრივი და ჟანრობრივი კლასიფიკაციების გათვალისწინებით. ამის მიხედვით, ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ ტერმინთა ასევე ორ ჯგუფზე: ერთი მხრივ, რიტორიკის დარგების და მეორე მხრივ, რიტორიკის ჟანრების აღმნიშვნელი ტერმინოლოგია. ცალკე შესწავლის საგანია ტროპის სახეების აღმნიშვნელი ტერმინოლოგია ქართულ რიტორიკაში. ამდენად, წინამდებარე კვლევაში, ჩვენ მიერ შესასწავლი ტერმინოლოგია სამ თემატურ ჯგუფად გვაქვს დაყოფილი: დარგების, ჟანრებისა და ტროპების აღმნიშვნელი ტერმინოლოგია.

წყაროების/ლიტერატურის მიმოხილვა: აღსანიშნავია, რომ რიტორიკასთან დაკავშირებული ლექსიკა მეცნიერულად პირველად გამოიკვლია ნ. კანდელაკმა თავის ნაშრომებში. ავტორი ქართული მჭევრმეტყველების ზოგადი ტერმინოლოგიის შესწავლას ადგილს უთმობს ისეთ კვლევებში, როგორიცაა „ქართული მჭევრმეტყველება“ (1958: 41-53), „ქართული კლასიკური მჭევრმეტყველება“ (1961: 48-59) და „ქართული მჭევრმეტყველება“ (1968: 52-63) და სხვ., საელჩო მჭევრმეტყველების ტერმინოლოგია ცალკე აქვს შესწავლილი ნაშრომში „ქართული საელჩო მჭევრმეტყველება“ (1966: 18-28). ტროპების აღმნიშვნელი ტერმინოლოგიის შესწავლისას ვეყრდნობით შემდეგ კვლევებს: ნ. ცეცხლაძისა და მ. ხახუტაიშვილის სტატიას „უცნობი ავტორის „მოკლე რეტორიკა გინა მჭერმეტყველება“ (2011: 114-119), სხვა ავტორებიდან ნ. კენჭიაშვილის სტატია „რიტორიკის თეორია და პრაქტიკა XVIII-XIX საუკუნეების საქართველოში რიტორიკის პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელოების მიხედვით“ (2020: 133), მისივე მონოგრაფია „ტროპი ქართულ მჭევრმეტყველებაში“ (2021ბ: 25-26). ლექსიკონებიდან ვეყრდნობით სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონას“ (1991; 1993) და სხვ.

მეთოდოლოგია: წინამდებარე კვლევა გახლავთ საკითხის კორპუსული შესწავლის მცდელობა, რითაც შესაძლებლობა გვეძლევა თანამედროვე მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით გავაგრძელოთ და განვაახლოთ თემის მეცნიერული შესწავლა. კვლევის სიახლე და აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ ის ემყარება კორპუსზე დაფუძნებულ მეთოდოლოგიას, რომელიც საშუალებას გვაძლევს გადავამოწმოთ უკვე გამოვლენილი ლექსიკური და ფრაზული ტერმინოლოგიის გამოყენების შემთხვევები უფრო მეტი ენობრივი რესურსის დახმარებით, ვიდრე ეს აქამდე იყო შესაძლებელი. ასევე, კორპუსზე დამყარებული კვლევა საშუალებას გვაძლევს მოვიხმოთ ტერმინთა გამოყენების სიხშირული მონაცემები. გარდა კორპუსული რესურსისა, კვლევისას დავეყრდნობით რიტორიკის პირველ ქართულენოვან სახელმძღვანელოებში გამოყენებულ ტერმინოლოგიასაც, რაც კვლევას მეტ სისრულეს შესძენს. ამ ტიპის კვლევისთვის მდიდარ და მრავალფეროვან ემპირიულ მასალას გვაწვდის ძველი ქართული ლიტერატურა, სასაუბრო ენა, ხალხური ზეპირსიტყვიერება და სხვ. აღნიშნული რესურსების უმეტესობა განთავსებულია ქართული ენის ეროვნულ კორპუსში (შემდგომში, ქეეკ), თუმცა არა ყველა მათგანი. გარდა კორპუსული რესურსისა, კვლევისას დავეყრდნობით რიტორიკის პირველ ქართულენოვან სახელმძღვანელოებსა და ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყენებულ ტერმინოლოგიასაც, რაც კვლევას მეტ სისრულეს შესძენს. ცხადია, განსაკუთრებული მნიშვნელობა წერილობით დამოწმებულ ტერმინებს გააჩნია. მათი მოყვანისას, უპირატესობას ვანიჭებთ უშუალოდ ორატორული ნიმუშებიდან მაგალითების მოხმობას.

ქართული მჭევრმეტყველების ზოგადი ტერმინოლოგია

უპირველესი ტერმინი, რომლითაც გვსურს დავიწყოთ ანალიზი, არის სიტყვა „მჭევრი“. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ის განმარტებულია როგორც რიტორი, ხოლო მჭევრობა – როგორც რიტორება (1991: 549). ამრიგად, მჭევრი ბერძნული ὁ ῥήτωρος-ის ქართული შესატყვისია. ხსენებული ტერმინიდან შემდეგ წარმოიქმნა „მჭევრმეტყველების“ აღმნიშვნელი ბევრი სახელწოდება, რომელთა შორის საბოლოოდ დამკვიდრდა და დღემდე იხმარება „მჭევრმეტყველი“ და „მჭე-

ვრმეტყველება“. ქეეკ-ში „მჭევრი“ 36-ჯერ დასტურდება, „მჭევრმეტყველი“ – 88-ჯერ, ხოლო „მჭევრმეტყველება“ – 66-ჯერ (2025).

„მჭევრიდან“ მომდინარე ტერმინები ფართოდ გავრცელდა XVII-XVIII საუკუნეებში. მათი დიდი ნაწილი იხმარებოდა XIX საუკუნის პირველ ნახევარში და დღემდე გამოიყენება სამეცნიერო ლიტერატურაში. მაგალითად, ასეთი ტერმინებია: „მჭევრმეთქჳ“, „მჭევრ-მოუბნარი“, რომლებიც მჭევრმეტყველის მნიშვნელობით დამოწმებული აქვს ანტონ კათალიკოსს „წყობილსიტყვაობაში“, ხოლო „მჭევრთქმობა“ – მჭევრმეტყველების მნიშვნელობით (ბაგრატიონი, 1980: სტრფ. 657, 715, 753), მჭევრ-მეთქვი გვხვდება მჭევრმეტყველის მნიშვნელობით იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ (1948: 172), მჭევრ-მეთქუეობა, მჭევრ-სიტყუაობა – მჭევრმეტყველების მნიშვნელობით სოლომონ დოდაშვილის „რიტორიკაში“ (1989: 151, 153).

ქართულ ორატორულ ხელოვნებაში გავრცელებულია ბერძნულ-ლათინური წარმომავლობის მჭევრმეტყველებასთან დაკავშირებული ტერმინებიც. მათ შორის, უძველესი და უფრო გავრცელებულია „რიტორი“ და მისგან მომდინარე „რიტორება“ // „რიტორობა“. ეს ტერმინები, რომელთა შემოღება ბიზანტიურ კულტურასთან კავშირზე მეტყველებს, XIX საუკუნის ნახევრამდე შემორჩა ქართულ მეტყველებას. ქეეკ-ში „რიტორი“ 61-ჯერ დასტურდება, „რიტორება“ – 7-ჯერ, ხოლო „რიტორობა“ – 5-ჯერ (2025).

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში „რიტორი“ ასეა განმარტებული: „ელლენთა ენაა. ქართულად ბასილიკონი და მჭევრი ჰქჳან“ (1993: 12). ტერმინი ბასილიკონი, რომელსაც საბა ბერძნული რიტორისა და ქართული მჭევრმეტყველის ქართულ სინონიმად ასახელებს, ქართულ სიტყვათხმარებაში გავრცელებული არ არის და ორატორულ ხელოვნებაში არ იხმარება. საბას განმარტებით „რიტორება არს ძალი ჴელოვნებითი დამარწმუნებელი სიტყჳსა საქმესა შინა სამოქალაქოსა და დასასრულად მქონებელი კეთილად მეტყუელებისა“ (1993: 12).

ზემონახსენები ტერმინები ბერძნული წარმოშობისაა: ὁ ῥήτωρ აღნიშნავს მჭევრმეტყველების მასწავლებელს, ორატორი და ἡ ὁμιλία – ორატორული ხელოვნების თეორიას. ლათინური წარმოშობის ტერმინებიდან უნდა დავასახელოთ ახალი ნასესხობა და დღემდე ფართოდ გავრცელებული ტერმინი „ორატორი“, რომელიც მომდინარეობს სიტყვიდან orator – საჯაროდ მოლაპარაკე, და აღნიშნავს მჭევრმეტყველს, ზეპირად მოლაპარაკეს. ქეეკ-ში „ორატორი“ 288-ჯერ დასტურდება (2025). ლათინური წარმოშობისაა აგრეთვე მეტად იშვიათად ხმარებული ტერმინი „ელოკვენცია“ მჭევრმეტყველების მნიშვნელობით, ხშირად ირონიული ელფერით. მომდინარეობს სიტყვიდან eloquentia – მჭევრმეტყველება (კანდელაკი, 1968: 61).

ხსენებული ტერმინები განსაკუთრებით ფართოდ გავრცელებულია XVIII-XIX საუკუნეების მწერლობაში. ასე მაგალითად, იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ ხშირად იხმარება რიტორი და ზოგჯერ მისი შემცვლელი ხელოვნური ტერმინები: რიტორ-მომთხრობელი, რიტორ-მჭევრმოუბნარი (1948: 172, 185). ამავე თხზულებაში „უპირველეს სწავლათა“ ანუ უმთავრეს მეცნიერებათა შორის დასახელებულია რიტორიკა და მოცემულია მისი განსაზღვრა, როგორც მეცნიერება მჭევრმეტყველების თეორიისა.

ტერმინებს – „რიტორიკა“, „მჭერ მეთქვეობა“, „მჭერ-სიტყვაობა“, „მჭერსიტყვაობა“, „რიტორი“ და „ორატორი“ – იყენებს სოლომონ დოდაშვილი თავის „რიტორიკის“ პირველ ორიგინალურ ქართულენოვან სახელმძღვანელოში, რომელიც დაახლოებით 1828 წელს დაიწერა (დოდაშვილი, 1989: 179-189). ტერმინი „რიტორი“ გვხვდება „ორატორის“ გვერდით (1989: 151). აქ რიტორი მჭევრმეტყველის შესატყვისია, რიტორება – მჭევრმეტყველების, ხოლო რიტორიკა – მჭევრმეტყველების თეორიის. რაც შეეხება „ორატორს“ – ეს ტერმინი ქართულად პირველად სწორედ ს. დოდაშვილის „რიტორიკაში“ დასტურდება, სადაც რამდენჯერმე გვხვდება ის მჭევრმეტყველის ან ზეპირად მოლაპარაკის მნიშვნელობით (1989: 151, 152). ამდენად, მასთან „რატორის“ მნიშვნელობა არ ემთხვევა „ორიტორის“ განსაზღვრებას. პირველი, ავტორის მიხედვით, მჭევრმეტყველების თეორიულ საკითხებს ფლობს, ანუ თეორეტიკოსია, ხოლო მეორე – ორატორული ხელოვნების პრაქტიკული მხარის წარმომადგენელია, ანუ საჯაროდ გამოსვლელი და პრაქტიკოსი.

1879 წელს გამოცემული უცნობი ავტორის „მოკლე რეტორიკა გინა მჭევრ-მეტყველება სასარგებლოდ ახალ გაზდა ყმაწვილ კაცთა“ სათაურშივე გვთავაზობს ტერმინს „რეტორიკა“ (1879).

„რეტორიკა“ არის პირდაპირი თარგმანი მისი შესაბამისი ფრანგული ეკვივალენტისა (რეტორიკა = Réthorique), რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს წიგნის უცხოურ წარმომავლობაზე და კერძოდ იმაზე, რომ ტერმინი კალკის სახითაა შემოტანილი (იხ.კენჭიაშვილი, 2021ა: 167; კენჭიაშვილი, 2021ბ: 47; კენჭიაშვილი, 2023: 838).

1898 წელს გამოცემული „სიტყვიერების თეორიის“ სახელმძღვანელოს შემდგენლები, არქიმანდრიტი კირიონი და გრ. ყიფშიძე ორატორულ ნიმუშებს აერთიანებენ „საორატორო პროზის“ სახელწოდების ქვეშ (1898: 267-303).

რაც შეეხება ქართულ სამეცნიერო ლიტერატურას, გამოიყენება და დამკვიდრებულია როგორც ლათინური ძირის ტერმინი – „რიტორიკა“, ისე მისი ქართულენოვანი შესატყვისი – „მჭევრმეტყველება“, ასევე გვაქვს სხვა ვარიაციებიც: „ორატორული პროზა“, „მჭევრმეტყველური პროზა“ (ბარამიძე, 1979) და სხვ. რაც შეეხება რიტორიკულ სტილს, მას მოეპოვება შემდეგი სინონიმები: „ფილოსოფიურ-რიტორიკული სტილი“ // „ატიკური“ // „არისტოტელური“, „მეტაფორულ-ორნამენტული სტილი“, „საღვთისმეტყველო-რიტორიკული სტილი“ და ა.შ. (ბეზარაშვილი, 2004; ბეზარაშვილი, 2009: 152-164). ქეეკ-ში „რიტორიკა“ დასტურდება 1350-ჯერ, ხოლო მისი შესატყვისი ქართული წარმომავლობის ტერმინი „მჭევრმეტყველება“ – 66-ჯერ (2025). თუ ამ ორ მაჩვენებელს ერთმანეთს შევადარებთ, აღმოჩნდება, რომ ქართულ სიტყვათხმარებაში უფრო ხშირად პირველი მათგანი გამოიყენება, ხოლო მეორე – ნაკლებად.

მჭევრმეტყველების ძირითადი ტერმინოლოგიის გვერდით საჭიროა აღინიშნოს ორატორულ ხელოვნებასთან დაკავშირებული ე.წ დამხმარე ლექსიკა, რომლებსაც ვპოულობთ ქართულ წერილობით ძეგლებსა და სასაუბრო ენაში. ასეთ ლექსიკურ ჯგუფებად ნ. კანდელაკს გამოყოფილი აქვს: ეპითეტები, კომპოზიტები, ფრაზული გამოთქმები და ანტონიმური შესატყვისები, რომლებსაც რიტორიკის სფეროში ვხვდებით (1961: 58-59).

ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ქართულ ენაში შეინიშნება ტერმინ „ორატორის“ სინონიმთა სიმრავლე, მაგალითად, გამოიყენება ტერმინები: რიტორი, მჭევრმეტყველი, მჭევრი, ენამჭევრი, ენაწყლიანი, ენამეტყველი, ენამზე, ენამზიანი, ენოვანი, ენამშვენიერი, ენამოქარგული, სიტყვატკბილი, სიტყვამშვენიერი, მშვენიერმოუბარი, ოქროპირი და სხვ. (გაფრინდაშვილი და თვალთვაძე, 2007: 6).

დარგების აღმნიშვნელი ტერმინოლოგია

მჭევრმეტყველების დარგების აღმნიშვნელ ტერმინებს ასახელებს XI საუკუნის II ნახევრის ქართველი სასულიერო მოღვაწე ეფრემ მცირე. იგი ერთგან აღნიშნავს რიტორიკის სამსახეობას და აღნიშნავს: „სამნი სახენი არიან რიტორებრისა სწავლულებისა: გამომეტყუელებისანი, თანაგამზრახობითი და სადღესასწაულობითი“ (ყაუხჩიშვილი, 1940: XL). სინონიმური ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ეს დარგებია: სათათბირო, სამოსამართლო და სადღესასწაულო.

სხვა ტერმინებით მოიხსენიებს რიტორიკის დარგებს XII საუკუნის ქართველი ფილოსოფოსი, იოანე პეტრიწი თავის ორიგინალურ ნაშრომში – „განმარტებაჲ პროკლესთჳს დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათჳს“, რომელიც ავტორმა დაურთო პროკლე დიადოხოსის (410-485 წწ.) თხზულების – „კავშირნი ღმრთის მეტყუელებითნი“ – თარგმანს ბოლოსიტყვაობის სახით. სქოლასტიკური განათლების შემადგენელ ძირითად სამეცნიერო დარგებს შორის ავტორი ასახელებს რიტორიკას და მის უმთავრეს სფეროებს. აქ ავტორი მსჯელობს ცნობილი თეოლოგის, გრიგოლ ნაზიანზელის დებულებებზე, რომელსაც შეიცავს მისივე ნაშრომი „სიტყუაჲ ეპიტაფიად დიდისა ბასილისათჳს“ (ყაუხჩიშვილი, 1940: XXXV). იოანე პეტრიწის განმარტებაში ნაჩვენებია არა მხოლოდ ბერძნული რიტორიკის, არამედ ქართული მჭევრმეტყველების დარგობრივი სახესხვაობები შესაბამისი ტერმინოლოგიით. იოანე პეტრიწი წერს: „ხოლო ღმრთისმეტყუელი[1] რიტოროზისა ზედა დააწესებს ამას, ვინაჲთგან იგიცა სამად განიყოფების: თანამზრახვალობისა, მეპაექრობისა და დღესასწაულობისა“ (ყაუხჩიშვილი, 1937: 223). აქაც, სინონიმური ტერმინები რომ მოვიყვანოთ, ეს დარგებია: სათათბირო, სამოსამართლო და სადღესასწაულო. „თანამზრახვალობის“ დარგს ნ. კანდელაკი აიგივებს სადარბაზო დარგთან (1958: 82).

[1] ღმრთისმეტყუელი – იგულისხმება გრიგოლ ნაზიანზელი (დ. დაახ. 276 – გ. 374).

ქრონოლოგიურად თუ გავყვებით მჭევრმეტყველების საკუთრივ ქართულენოვან სახელმძღვანელოებში დაცულ ტერმინოლოგიას, ამ მხრივ, უნდა ვახსენოთ რიტორიკის პირველი ბეჭდური ქართულენოვანი სახელმძღვანელო „მოკლე რეტორიკა“, რომელშიც მჭევრმეტყველების ფორმების დასახელებისას, ავტორი მიჰყვება რიტორიკის ანტიკურ ტრადიციას და მოყვანილია ზემოაღნიშნული სამივე დარგი შემდეგი სახელწოდებებით: „შესხმითი მჭევრმეტყველება“, „რჩევითი მჭევრმეტყველება“ და „სამსჯავრო მჭევრმეტყველება“ (1879: 39). ამ ტერმინების სინონიმური ტერმინებია: სადღესასწაულო, სათათბირო და სამოსამართლო.

შემდეგი ქართულენოვანი სახელმძღვანელო, რომელშიც საუბარია მჭევრმეტყველების ოთხი უმთავრესი გვარის შესახებ, არის არხიმანდრიტი კირიონისა და გრ. ყიფშიძის მიერ შედგენილი „სიტყვიერების თეორია“; რიტორიკის გვარებად დასახელებულია: „საპოლიტიკო მჭევრმეტყველება“, „სამოსამართლო მჭევრმეტყველება“, „სახოტბო მჭევრმეტყველება“ და „სასულიერო მჭევრმეტყველება“. ამ კლასიფიკაციას ბოლოში დართული აქვთ შენიშვნა, რომელშიც საუბარია ახალი – აკადემიური მჭევრმეტყველების ე.წ. სააკადემიო მჭევრ-მეტყველების – დარგის გაჩენის შესახებაც: „ბოლო დროს შემოღებულ იქმნა ერთ-გვარი სხვა მჭევრ-მეტყველებაცა, ესრედ წოდებულ სააკადემიო მჭევრ-მეტყველება. სააკადემიო სიტყვის შინაარსია ხოლმე რომელიმე სამეცნიერო საგანი.“ (არხიმანდრიტი კირიონი და ყიფშიძე (შემდგ.), 1898: 51). აღნიშნული სახელმძღვანელოს მიხედვით, შემოტანილია არა მხოლოდ ახალი ტერმინოლოგია, არამედ გაზრდილია რიტორიკის დარგების რაოდენობა და რიტორიკის ტრადიციულ, ანტიკურ კლასიფიკაციას უკვე აღარ მიჰყვებიან ავტორები.

ქართულ მჭევრმეტყველებაში დარგების გამოყოფის შემდეგი მცდელობა უკვე სამეცნიერო ხასიათს ატარებს. ესაა ყველაზე უფრო სისტემური კლასიფიკაცია და ეკუთვნის ქართული მჭევრმეტყველების ისტორიის მკვლევარს, ნ. კანდელაკს. მან შეისწავლა ქართული რიტორიკის შინაარსობრივი და ფორმობრივი სახესხვაობები, რომლის საფუძველზეც გამოყო დარგები, ქვედარგები და განშტოებები. მეცნიერი ქართული მჭევრმეტყველების უძველეს ქვედარგებად ასახელებს – სასუფრო-სანადიმო და სამგლოვიარო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრებად, შესაბამისად – სიტყვა-სადღეგრძელოებსა და სიტყვით დატირებას (1968: 64).

ნ. კანდელაკის კლასიფიკაციით, ქართულ კლასიკურ მჭევრმეტყველებაში (I-XVIII სს.) გამოიყოფა ექვსი დარგი და მათ აღსანიშნავად იყენებს შემდეგ ტერმინებს: „სამქადაგებლო“, „სადარბაზო“, „სამხედრო“, „სამოსამართლო“, „სადღესასწაულო“ და „სამგლოვიარო“ (1958: 80); გარდა ძირითადი დარგებისა, ასევე გამოიყოფა ქვედარგები და განშტოებები. ამათგან სამქადაგებლო მჭევრმეტყველების დარგი ყველაზე მრავალფეროვანია და აერთიანებს მსოფლიო ქრისტიანული სამქადაგებლო რიტორიკის ისტორიაში ცნობილ 5 ქვედარგსა (სამოძღვრო, სააღმზრდელო, სახოტბო, საზეიმო, საგოდებელი) და ერთ განშტოებას (საპაექრო), სადარბაზო მჭევრმეტყველების განშტოებაა საელჩო მჭევრმეტყველება, სადღესასწაულო და სამგლოვიარო მჭევრმეტყველების განშტოებაა ეპისტოლარული ორატორული მჭევრმეტყველება (კანდელაკი, 1968: 97).

აღსანიშნავია, რომ ისტორიულად მჭევრმეტყველების დარგები განიცდის ცვლილებებს, რაზეც მიუთითებს ნ. კანდელაკი, როდესაც წერს: „უახლესი მჭევრმეტყველების წიაღში წარმოიშვა და განვითარდა ჩვენში ორატორული ხელოვნების ახალი შინაარსობრივი დარგები და ჟანრობრივი სახეები; ზოგიერთი ძველი ჟანრი შეიცვალა და ახალი შინაარსის ფორმად გადაიქცა“ (1968: 94). მჭევრმეტყველების დარგის ისტორიული ცვლილების საუკეთესო მაგალითად შეიძლება დასახელდეს ისეთი დარგები, როგორიცაა ე.წ. სადარბაზო და „პოლიტიკური“; ვ. კაჭახიძე აღნიშნავს, რომ ქართული საისტორიო წყაროების თანახმად, სადარბაზო მჭევრმეტყველებად წოდებულ საორატორო ხელოვნებას პოლიტიკური მჭევრმეტყველება ეწოდება და ერთადაც მოიხსენიებს მას, როგორც „სადარბაზო-პოლიტიკურ მჭევრმეტყველებას“ (1980: 154). თ. ჯაგოდნიშვილი „პოლიტიკური მჭევრმეტყველების“ გვერდით მოიხსენიებს ე.წ. საპარლამენტო მჭევრმეტყველებასაც (1999: 10). თ. ჯაგოდნიშვილი, ი. გაბისონია და ი. ჯაგოდნიშვილი თავიანთ წიგნში ასევე ასახელებენ „სადარბაზო (დიპლომატიურ) მჭევრმეტყველებას“ (2018: 23). თანამედროვე ქართული რიტორიკის დარგობრივ კლასიფიკაციაში სადარბაზო მჭევრმეტყველება მთლიანად ჩაანაცვლა პოლიტიკურმა რიტორიკამ.

ჟანრების აღმნიშვნელი ტერმინოლოგია

ქართული მჭევრმეტყველებაში დარგების შესაბამისი ჟანრობრივი სახეები შემდეგი ტერმინოლოგიითაა დამკვიდრებული: „სიტყვა“, „ქადაგება“, „მოძღვრება“, „სწავლა“, „ქება“, „შესხმა“, „ლექცია“, „მოხსენება“, „მიმართვა“, „წარდგინება“ და ა.შ. ნ. კანდელაკის კლასიფიკაციით, ყოველ დარგს გააჩნია ძირითადი და დამხმარე ჟანრები. ძირითადი ჟანრებია: სიტყვა და ქადაგება, ხოლო დამხმარე ჟანრებია: მოძღვრება, სწავლა, ქება და შესხმა, ლექცია, მოხსენება, სამიტინგო სიტყვა, სააგიტაციო სიტყვა, საინაუგურაციო სიტყვა და სხვ. ნ. კანდელაკის კლასიფიკაციით, სამქადაგებლო დარგის მჭევრმეტყველების ძირითადი ჟანრია ქადაგება, ხოლო დამხმარე ჟანრებია: „მოძღვრება“, „სწავლა“, „ქება“, „შესხმა“ და სხვ.; სადარბაზო, სამხედრო, სამოსამართლო, სადღესასწაულო და სამგლოვიარო დარგების ძირითადი ჟანრია „სიტყვა“; სადარბაზო, სამხედრო და სამოსამართლო მჭევრმეტყველების დამხმარე ჟანრია „მოხსენება“; სადღესასწაულო და სამგლოვიარო დარგების დამხმარე ჟანრებია: „ქება“ და „შესხმა“, ასევე სადღესასწაულო და სამგლოვიარო დარგებს გააჩნიათ ეპისტოლარული განშტოებები, რომელთა ჟანრებია: „სამილოცვო წერილი“, „სამძიმრის წერილი“ და სხვ. (კანდელაკი, 1968: 97). ნ. კანდელაკი სადარბაზო დარგის განშტოებად ასახელებს საელჩო მჭევრმეტყველებას, რომელსაც გამოხატვის ფორმების მიხედვით გააჩნია ჟანრების ზეპირი და ეპისტოლარული სახესხვაობები; ზეპირი საელჩო მჭევრმეტყველების ჟანრებია: სიტყვა, საუბარი, კითხვა-პასუხი (ზეპირი), მოხსენება (ზეპირი), აჯა (ზეპირი); ეპისტოლარული საელჩო მჭევრმეტყველების ჟანრობრივი სახეებია: წერილი // წიგნი // ეპისტოლე, მიწერ-მოწერა, მოხსენებითი ბარათი, მიმართვა // წარდგინება, კითხვა-პასუხი (წერილობითი), აჯა (წერილობითი) // სავედრებელი წერილი (კანდელაკი, 1968: 407).

ფართოდ გავრცელებული და ხანგრძლივი დროის განმავლობაში დადასტურებული ტერმინია „ქადაგება“. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით ტერმინი ქადაგება განმარტებულია, როგორც „მაღლის ჴმით სწავლება“, აქვე ქადაგი ახსნილია, როგორც „მაღალ მძახებელი სწავლისა“ / „ქადაგების მთქმელი“ (1993: 209), ხოლო მქადაგებელი – როგორც „ქადაგების მეტყუელი“ (1991: 534). შეიძლება ითქვას, რომ ტერმინები „ქადაგი“ და „მქადაგებელი“ ერთი მნიშვნელობისაა და აღნიშნავს საჯაროდ ზეპირად მეტყველს.

თავიანთი შინაარსითა და ომონიმური ბუნებით ქადაგების მსგავსი ტერმინებია: სწავლა და მოძღურება, რომლებიც აღნიშნავენ საჯარო ზეპირი სიტყვით სწავლებასა და დამოძღვრას. როგორც საბასთანაა განმარტებული: „სწავლა არს ქადაგება“ (ორბელიანი, 1993: 123).

XII საუკუნის ფილოსოფოსის იოანე პეტრიწის თხზულება – „განმარტებაჲ პროკლესთჳს დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათჳს“ – გადმოგვცემს: „ამათვე ზემოდალექსულთა ხედვათა ამრავალკეცებს, ვითარ კეთილი შორის მოძღურებათა“ (ყაუხჩიშვილი, 1937: 183). ამ კონტექსტების მიხედვით, „მოძღურება“ ზეპირი სიტყვით სწავლებას აღნიშნავს.

სხვაგან ის გვევლინება სასწავლო, სამქადაგებლო ნაწარმოების მნიშვნელობით. ასე, მაგალითად, სულხან-საბა ორბელიანმა თავისი ორატორული ნიმუშების კრებულს უწოდა „სწავლანი და მოძღურებანი“ (1963). აქ სინონიმური ფორმებითაა წარმოდგენილი ერთი და იმავე მოვლენის ორი სახელწოდება – სწავლა და მოძღვრება. ანალოგიურია XVIII საუკუნის მქადაგებლის ამბროსი ნეკრესელის ორატორული ნიმუშების კრებულის საერთო სათაური – „ქადაგებანი და მოძღვრებანი“ (1881).

ზემოგანხილული ტერმინების გვერდით, მაგრამ უფრო იშვიათად საჯაროდ ზეპირად წარმოსათქმელი ნაწარმოების მნიშვნელობით, ქართულ მწერლობაში გამოყენებულია ქებაჲ და შესხმა. მაგალითად: „ქებაჲ წმიდისა მოწამისა ჰაბოჲსი“ (ყუბანეიშვილი, ს. (შემდგ.), 1946: 69), რომელიც ცალკე თავად აქვს გამოტანილი იოანე საბანისძეს თავის თხზულებაში.

13. Kandelaki, N. (ed.). (1958). *Georgian Oratory: Monuments and Materials.* Tbilisi: Khelovneba;
14. Kandelaki, N. (1961). *Georgian Classical Oratory.* Tbilisi: Khelovneba;
15. Kandelaki, N. (1966). *Georgian Embassy Oratory.* Tbilisi: Literature and Art, available at: https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/465887;
16. Kandelaki, N. (1968). *Georgian Oratory.* Tbilisi: Sabtchota Sakartvelo;
17. Katchakhidze, V. (1980). *Court Oratory.* Tbilisi: Sabtchota Sakartvelo;
18. Kavtaria, M. & Gabidzashvili E. (eds.). (2008). *Georgian Literature: Multi-Volume,* Vol. 4, Sacred Writings, Anton I, Book Martyrika, Sacred Writings. Tbilisi: Tsitsinatela, available at: https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/321751;
19. Kavtaria, M. (ed.). (2013). *Georgian Literature: Multi-Volume,* Vol. 15, Book I. Tbilisi: Tsitsinatela;
20. Kekelidze, Kor. (1951). *History of Old Georgian Literature,* Vol. I, Tbilisi: Tbilisi State University Publishing House;
21. Kentchiashvili, N. (2020). Theory and Practice of Rhetoric in 18th-19th Century Georgia According to the First Georgian-Language Rhetoric Textbooks, Scientia: Scientific Journal, No. 1, pp. 122-145, available at: https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/355701;

22. Kentchiashvili, N. (2021a). The First Printed Georgian-Language Rhetoric Textbook „A Brief Rhetoric“. *Scientia: The First International Scientific Conference (Challenges and Tendencies in the Humanities), Abstracts of Papers,* 162-176, Tbilisi: Korneli Kekelidze National Center of Manuscripts, available at: https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/355702;
23. Kentchiashvili, N. (2021b). *Tropes in Georgian Oratory.* Tbilisi: Meridiani, available at: https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/360442;
24. Kentchiashvili, N. (2023). On the Issue of the Probable Author of the „Brief Rhetoric“ Textbook. *Proceedings of the Interdisciplinary International Scientific Conference „The Black Sea Region at the Crossroads of Civilizations – I“, Works XVI,* 835-844, Batumi: Shota Rustaveli State University, Niko Berdzenishvili Institute;
25. Nekreseli, A. (1881). *Sermons and Teachings: Sermons and Teachings by Bishop Ambrose Nekreseli.* Tbilisi: Published at the expense of Bishop Alexander, E. Heladze Printing House, available at: https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/499262;
26. Orbeliani, S.-S. (1963). *Works in 4 Volumes, Vol. 3, Teachings, Spoken by Sulkhan-Saba Orbeliani. Christian Doctrine,* prepared for publication, research, notes, and glossary added by I. Lolashvili; Tbilisi: Sabtchota Sakartvelo, available at: https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/495430;
27. Orbeliani, S.-S. (1991). *Georgian Lexicon.* Vol. 1, Prepared According to Autograph Manuscripts, Research and Explanatory Dictionary Added by Ilia Abuladze, Tbilisi: Merani, available at: https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/517406;
28. Orbeliani, S.-S. (1993). *Georgian Lexicon.* Vol. 2, Prepared According to Autograph Manuscripts, Research and Explanatory Dictionary Added by Ilia Abuladze, Tbilisi: Merani, available at: https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/517894;
29. Qaukhchishvili, S. (1937). Works of Ioane Petritsi, Vol. 2, Commentary on Proclus' Diadochos and Platonism Philosophy, text published and research added by Sh. Nutsukidze and S. Qaukhchishvili, Tbilisi: Tbilisi University Publishing House, available at: https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/450571;
30. Qaukhchishvili, S. (1940). Works of Ioane Petritsi, Vol. 1, On Proclus Diadochos Platonist Philosopher, Georgian Text Published, Research and Glossary Added by S. Qaukhchishvili, Tbilisi: Tbilisi State University, available at: https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/450641;
31. Qubaneishvili, S. (ed.). (1946). Chrestomathy of Old Georgian Literature, Vol. 1, Tbilisi, Stalin-named Tbilisi State University Publishing House;
32. Tsetskhladze, N. & Khakutaishvili, M. (2011). Stylistic Issues of the Unknown Author's „Brief Rhetoric or Oratory“. *Language and Culture: Scientific Journal,* (6), 114-119.

ენობრივი ეტიკეტის ზოგიერთი ფორმისათვის „სტამბოლის ქართული სავანის წერილების“ მიხედვით

მაია კიკვაძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი
ელ-ფოსტა: maia.kikvadze@bsu.edu.ge
ORCID: 0009-0002-5048-9011)

აბსტრაქტი: სტამბოლის ქართული სავანის არქივი თურქეთ-საქართველოს კულტურული, კეთილმეზობლური ურთიერთობის ამსახველ საინტერესო მასალებს ინახავს.

სავანეში შემონახული წერილები, მიმოწერის ბარათები ფასეულია როგორც ლინგვისტური, ისე კულტუროლოგიური თვალსაზრისით.

მოხსენებაში ყურადღება გამახვილებულია მოკითხვის, მობოდიშების, მადლიერების გამომხატველ ლექსიკურ ერთეულებზე, გაანალიზებულია ცნობილი საზოგადო მოღვაწეების, სასულიერო პირების კერძო წერილები, ემიგრანტი ქართველების მიმოწერის ბარათები, უავტორო და ფსევდონიმიანი პუბლიცისტური წერილები, რომლებშიც კარგად ჩანს ენობრივი ეტიკეტის ფორმები.

წერილები მეტყველების კულტურის საუკეთესო ნიმუშებია, რომლებიც მკითხველში ამაღლებს წარსულისადმი სიამაყის, ნდობისა და პატივისცემის გრძნობას.

საკვანძო სიტყვები: წერილები, ენა, კულტურა, მეტყველება, ეტიკეტი.

* * *

შესავალი. ქართული კულტურის ძეგლები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია დაცული, მაგრამ მათ შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს სტამბოლის ქართულ სავანეს, რომლის არქივიც თურქეთ-საქართველოს კულტურული, კეთილმეზობლური ურთიერთობის ამსახველ საინტერესო მასალებს ინახავს. ამ არქივის შესწავლა დაისახა მიზნად მეცნიერმა, მკვლევარმა, ბსუ-ს ემერიტუს პროფესორმა შუშანა ფუტკარაძემ. 1989 წლიდან იგი ხშირად სტუმრობდა ქართული კულტურის ამ უმნიშვნელოვანეს კერას და კოლეგებთან, ახალგაზრდა მკვლევრებთან ერთად სწავლობდა (ეს საშვილიშვილო საქმე დღესაც გრძელდება) სავანეში დაცულ ისტორიულ წყაროებს, ენათმეცნიერთათვის უნიკალურ ლინგვისტურ მასალებს, პუბლიცისტურ წერილებს, რომლებთანაც შეხება საკითხით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისთვის სრული სახით 2017 წლიდან გახდა შესაძლებელი.

ჩვენი კვლევის მიზანია „სტამბოლის ქართული სავანის წერილების“ მიხედვით ენობრივი ეტიკეტის შესწავლა.

სასულიერო პირების კერძო წერილებში, ემიგრანტი ქართველების მიმოწერის ბარათებში, ცნობილი საზოგადო მოღვაწეების, უავტორო და ფსევდონიმიან პუბლიცისტურ წერილებში აღწერა-დაკვირვების, ემპირიული მასალის ანალიზის მეთოდების საფუძველზე ყურადღება გამახვილებულია მოკითხვის, მობოდიშებისა და მადლიერების გამომხატველ ფორმებზე.

ძირითადი ნაწილი. წერილი საგაზეთო-საჟურნალო პუბლიცისტიკის ერთ-ერთი ჟანრია, რომლის მიზანია ინფორმაციის მიწოდება და მკითხველზე ზემოქმედების მოხდენა.

პუბლიცისტური წერილის ავტორი-პუბლიცისტი ყურადღებას ამახვილებს ერისთვის მნიშვნელოვან საზოგადოებრივ თუ კონკრეტულ საკითხებზე. აქტუალური პრობლემების წინ წამოწევა, სიმწვავე, სიცხადე, ემოციურობა, ავტორის დამოკიდებულების გამოხატვა, მარტივი, გასაგები ენა-პუბლიცისტური წერილის ძირითადი ნიშნებია.

პუბლიკაციისთვის დამახასიათებელია: მკითხველისათვის მიმართვა, დარწმუნება, მკითხველზე ზემოქმედების მოხდენის მიზნით ექსპრესიული ხერხების მოჭარბებულად გამოყენება, კითხვითი და ძახილის წინადადებათა სიხშირე, მწიგნობრული და სასაუბრო მეტყველების სტილთა შერევა, ფაქტებისა და მოვლენების არგუმენტირება, სხვათა ნათქვამის გამეორება. ყველა ეს ნიშანი იკითხება სტამბოლის ქართული სავანის წერილებში.

ეპოქა, რომლის დროსაც იქმნებოდა წერილები თუ მიმოწერის ბარათები, მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების საქართველოს მდგომარეობა, ნამდვილად საჭიროებდა მწვავე და აქტუალური საკითხების წინ წამოწევას. პუბლიცისტური სტილი თავისი მახასიათებლებით ყველაზე მეტად იძლეოდა პრობლემურ საკითხებზე მსჯელობის საშუალებას.

ქრისტიან თუ მაჰმადიან ქართველთა მიმოწერებში ნათლად ჩანს ადამიანთა ურთიერთობა, მამულიშვილური ვალი, დამოკიდებულება სამშობლო ქვეყნისადმი, საქართველოსადმი.

საინტერესოა წერილების სტრუქტურა და შინაარსი, ლექსიკა და კიდევ უფრო საინტერესოა წერილების ენობრივი ეტიკეტი, კერძოდ, თუ როგორ ხდება ენობრივი ეტიკეტის ვერბალიზება მიმოწერის წერილებში.

„ენობრივი ეტიკეტი მოთხოვნების, წესების, ნორმების სისტემაა, რომელიც გვკარნახობს, თუ რა ფორმით უნდა დავამყაროთ ენობრივი კონტაქტი სხვებთან, როგორ უნდა გავაგრძელოთ კომუნიკაცია და როგორ უნდა დავასრულოთ ეს კომუნიკაცია განსხვავებული სიტუაციებისა და კომუნიკაციური ამოცანების შესაბამისად...

„ენობრივი ეტიკეტი კულტურის შიგნით არსებული მოთხოვნების, ფორმის, შინაარსის და სიტუაციური შესაბამისობების ერთიანობაა. ის ძალიან განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანასა და კულტურაში. თუ ენობრივ ეტიკეტს ვიწრო გაგებით განვიხილავთ, მასში ერთიანდება ისეთი სიტყვები და გამოთქმები, რომლებსაც ადამიანები იყენებენ მისალმების, მოწოდების/მიმართვის, თხოვნის, შეკვეთის, მობოდიშების, მადლობის გადახდის, თანაგრძნობის გამოხატვის დროს“ (გოჩიტაშვილი ქ., გაბუნია კ., , 2011, გვ. 2-7).

ტერმინი **ეტიკეტი** მრავალფუნქციურია. მასში ვლინდება ენისა და კულტურის ურთიერთობა.

„ეტიკეტი ისტორიული კატეგორიაა, რადგანაც ადამიანთა ქცევის წესები მათი ცხოვრების პირობათა კვალობაზე და კაცობრიობის ევოლუციური განვითარების შედეგად ჩამოყალიბდა“ (არველაძე ე. 72).

მიხეილ ჭაბაშვილის უცხო სიტყვათა განმარტებით ლექსიკონში ცნება „ეტიკეტი“ შემდეგნაირად არის განსაზღვრული: „ეტიკეტი – 1) მეფის კარზე, დიპლომატიურ წრეებში და ა.შ. თავის დაჭერის, ურთიერთობის წესების კრებული; 2) თავის დაჭერისა და თავაზიანი მოპყრობის წესები, რაც მიღებულია რომელიმე საზოგადოებაში“ (ჭაბაშვილი მ., 1989, გვ. 228).

ეთიკის ლექსიკონის მიხედვით „ეტიკეტი“ არის: „ქცევის წესების ერთობლიობა, რომელიც აწესრიგებს ადამიანურ ურთიერთობებს (გარშემო მყოფდამი მოპყრობა, მიმართვისა და მისალმების ფორმები, ქცევა საზოგადოებრივ ადგილებში, მანერები, სამოსი). ეტიკეტი არის ადამიანისა და საზოგადოების შინაგანი კულტურის შემადგენელი ნაწილი. მასში შედის ის მოთხოვნები, რომლებიც იძენენ ცერემონიალის ასე თუ ისე მკაცრად რეგლამენტირებულ ხასიათს და რომელთა დაცვას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა ქცევის ფორმის განსაზღვრისათვის“ (ბოჭორიშვილი, გოქსაძე, 2005:47-48).

როდესაც ვსაუბრობთ ენობრივ ეტიკეტზე, ბუნებრივია, ვსაუბრობთ ენისა და კულტურის ურთიერთკავშირზე, მეტყველების კულტურაზე. „საყოველთაოდ ცნობილია, თუ რაოდენ არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ენას საზოგადოების ფორმირებისა და განვითარებისათვის. ენა ერის კულტურის პროდუქტიცაა და მისი შემდგომი განვითარების საფუძველიც (სტიმულიც)“ (ჯორბენაძე ბ. 5).

ენობრივ ეტიკეტში კარგად ჩანს ეთნოსის შეხედულებანი, თაობათა შორის ურთიერთობა, უფროს-უმცროსობა.

„სტამბოლის ქართული სავანის წერილებში“ იკითხება ყველა ის ვერბალური მახასიათებელი, რითაც განმარტავენ ეტიკეტს. ენობრივ ეტიკეტებს ვხვდებით მისალმების, დამშვიდობების, მოკითხვის, სტუმრის მიღება-გამასპინძლების, მობოდიშების თუ სხვა ფორმებში. ეს ის ფორმებია, რომელსაც ადამიანი ბავშვობის ასაკიდან იღებს და თანდათან იმდიდრებს.

წერილთა ავტორები სხვადასხვა ასაკის, პროფესიის ადამიანები არიან. მათ ერთმანეთთან საქმიანი მიმოწერები ჰქონდათ.

წერილები ეყრდნობა იმ პრინციპებს, რომლებიც დამახასიათებელია საქმიანი ეტიკეტისთვის: „ზრდილობა, კორექტულობა, ტაქტიანობა, დელიკატურობა, თავმდაბლობა, სიზუსტე, პასუხისმგებლობა, ვალდებულებების გათავისება“ (ხიხაძე ლ. 187).

წერილებში ენობრივ ეტიკეტს გამოხატავს უმეტესად თავაზიანი ფორმები, მიმართვის ფორმები. აქ კარგად ჩანს ადამიანთა შორის ჰარმონიული ურთიერთდამოკიდებულება. საინტერესოა ფრაზები, ფრაზეოლოგიური ერთეულები, წინადადებათა ტიპები, სიტყვათა რიგის საკითხი. ცალკე აღნიშვნის ღირსია ზმნურ ფორმათა მრავალფეროვნება.

მისალმება-მოკითხვის, მობოდიშების, მადლიერების წერილებში ვხვდებით მყარ ფორმულებს, მზა ფრაზებს. დიალექტიზმების, ეპითეტების, მეტაფორების, ალუზიების გამოყენება კიდევ უფრო მხატვრულობას სძენს მათ.

მეტყველების ნაწილებიდან ხშირია ზედსართავი სახელების, განსაკუთრებით აღმატებითი ხარისხის ზედსართავების, ვითარების ზმნიზედების გამოყენების შემთხვევები.

მისალმება-მოკითხვა:

„ქართული ტრადიციის მიხედვით, მისალმება სავალდებულო წესია. საქართველოში მტერსაც კი ესალმებიან; მისალმების ჩვეულების დაცვა დაუცველობისა და მისალმების ხასიათის მიხედვით შესაძლებელია მოსაუბრეთა შორის არსებული სოციალური და ყოფითი ურთიერთობების ხარისხის გამიჯვნა“ (https: //www.tsu.ge /assets/media /files/48/disertaciebi5 /Ekaterine–Gogaladze.pdf).

მოკითხვის წერილებში ავტორები ხშირად იყენებენ ზედსართავ სახელებს:

„გთხოვთ, გადაეცით ჩემგან ფრიად **თავაზიანი** სალამი თქვენს მასპინძელს“ (ბებია ნინოს წერილი მამა შალვა ვარდიძეს: 562).

„გიძღვნიან **გულითად** მოკითხვას შენ და მინადორას... განსაკუთრებულ კოცნას უძღვნის მინადორას მისი ნათლული ქეთო“ (პეტრე კიზირიას წერილი აკ. ხოშტარიას: 580. 20/6, 1920).

„სასოებით პტვსცმო და ძვირფასო ქრისტესა შინა მამა შალვა! შორეულ შვეიცარიიდან გაახლებთ ყოვლად **თავაზიანს** და **მამულიშვილურ სალამს** და **გამოგთხოვ** ლოცვა-კურთხევას თქვენი **მადლიანი** ხელით და გულით... გთხოვთ, ინებეთ ჩემგან **მორჩილი** და **მამულიშვილური** სალამი და **წრფელი** და **უხვი** სურვილი თქვენი პატივისცემისა და სამსახურისა“ (569, ბებია ნინოს წერილი მამა შალვა ვარდიძეს). აქ **და**’ კავშირი აძლიერებს ემოციას.

მოკითხვის ფორმებს გარდა მოკითხვისა, სხვა ფუნქციური დატვირთვაც აქვს, მათში კარგად ჩანს სამშობლოსადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება, აქ ჭარბობს ემოციის გამომხატველი ლექსიკა: „გიძღვნით შენ და მინადორას გულწრფელ სალამს და გისურვებთ დაბრუნებას **„მრავალ-ტანჯულ“ სამშობლოში“**.

საინტერესო ზმნური ფორმაა **ნუ მოსწყინდებით’** ნუ მოიწყენთ’ ფორმის ნაცვლად: „მოგიკითხავთ **მოწიწებით,** როგორც თქვენ, ისე ცეზარინას, **ნუ მოსწყინდებით“** (ბ.დემურიასა და ჭიჭიკო ასათიანის წერილები მინადორა ხოშტარიას: 585, 22/6.1920);

წერილების დასაწყისი ერთმანეთს ძალიან ჰგავს, ისინი ხშირად სურვილებით იწყება და სურვილებითვე მთავრდება, რომლებშიც იგრძნობა ადრესატისადმი უსაზღვრო მადლიერება, სიყვარული და ერთსულოვნება საერთო საქვეყნო საქმისადმი: „გისურვებ კარგად ყოფნას და ჯანმრთელობას, ხანგრძლივ და ჩვენს **ნატრულ ძვირფას საქართველოში** დაბრუნებას“; „გისურვებ ცხოვრებაში კარგათ ყოფნას და გისურვებ დიად პროგრეს **ბრწყინვალე მომავლისას“.** წერილების დასასრული ძირითადად მსგავსია, შეცვლილია რამდენიმე ლექსიკური ერთეული, კერძოდ, სიტყვა **ბრწყინვალე** შეცვლილია **დიადით:** „ბატონო ანტონ, იყავით კარგათ და ჯანმრთელად და გისურვებ ბრწყინვალე მიზნების განხორციელებას **დიადი მომავლისას“.**

დიალექტური ფორმაა **მიდღემჩი**=მუდამ: „იყავი კარგათ და **მიდღემჩი** კარგათ. წერილს მოუთმენლად ველი. მშვიდობით იყავი კარგათ“ (ჰაიდარ ჯაფარიძის წერილი მამა ანტონს: 604; 22.08.1953); **მიდღემჩი** ქართული ენის დიალექტურ კორპუსში მხოლოდ ქვემო გურული დიალექტის მასალებშია დადასტურებული დროის გამოსახატავად: „ახლა იფიქრა ამ კაცმა: **მიდღემჩი** ღარიბი ვარ, აფერი არ მაქ და გველს ერთს წყალს დავალევიეფო“ (ქართული ენის დიალექტური კორპუსი).

მადლიერება: მადლიერება და მადლიერების გამოხატვა ადამიანის უდიდესი თვისებაა, ეს ნიჭია, რომელსაც ადამიანები ემოციურად გამოხატავენ. ამასთან, მადლიერებით წერილის დაწყება თავიდანვე ერთ მიზანს ემსახურება – გამოხატოს ის თბილი ურთიერთობა, რომელიც უკვე არსებობს ან უნდა ჩამოყალიბდეს ადრესატებს შორის.

სტამბოლის ქართული სავანის წერილების ავტორები ადრესატებს მადლობას უხდიან სხვადასხვა მიზეზთა გამო, რომელთა დიდი ნაწილი მამულიშვილური საქმის კეთებას, ქველმოქმედებას, ემიგრაციაში მყოფი ახალგაზრდების განათლების მიღებაში დახმარების გაწევას, წიგნებისა და ბროშურების მიწოდებას და სხვ. ეხება. ასეთია ჰაიდარ ჯაფარიძის წერილი მამა ანტონისადმი: „გამოგზავნილი წიგნებისა თუ ბროშურებისათვის უდიდეს მადლობას გიძღვნი და თუ წაკითხვადს ბროშურებს და საქართველოს ისტორიას გამომიგზავნით, სამაგიერო პატივისცემას ვერ გადაგიხდით. მხოლოდ ამ უცხოეთში ჩვენი თავი არ დაგვავიწყდება და **ამდენი მადლი შენც გეყოფა**“ (ჰაიდარ ჯაფარიძის წერილი მამა ანტონისადმი, 1954:603).

„თქვენს ყურადღებას ჩემი შვილისადმი **დაუფასებელ ვალად** ჩავთვლი...“ (მუსხელიშვილის წერილი აკაკი ხოშტარიას, 1921, 24.5).

„მიიღეთ ჩვენი ღრმა პატივისცემა“ „თქვენს ყურადღებას ჩემი შვილისადმი **დაუფასებელ ვალად ჩავთვლი**...“ (მუსხელიშვილის წერილი აკაკი ხოშტარიას, 1921, 24.5);

„ის სიკეთე, რომელიც პირადად მე მიყავით, ჩემთვის დაუფასებელია. ვსწუხვარ, იძულებული ვარ მხოლოდ უბრალო წერილით **მადლობა გადაგიხადოთ**“ (სტუდენტ იპოლიტე ქობალავას წერილი აკ. ხოშტარიას: 579);

მადლიერების გამოხატვის ფორმებში იგრძნობა საოცარი გულწრფელობა, ღიაობა, თავმდაბლობა: „ბ-ნო სიმონ, თუ ვინმემ მიკითხოს ეს **გაჭირვებული ქობულეთელი, მადლობა და სალამი გადაეცი ჩემს მაგივრად...“** (ხუსეინ ხინიკაძის წერილი სიმონ ურუშაძეს: 605, 5/5, 1950).

„ბ-ნო ავთანდილ, **დიდი მადლობა უნდა გიძღვნა** ამ წერილის მოწერისთვის... (ხუსეინ ხინიკაძის წერილი ავთანდილ ურუშაძეს: 606, 4/5, 1950).

ამ ტიპის წერილები, ისე როგორც ყველა, დატვირთულია ემოციის გამომხატველი ლექსიკური ერთეულებით. განსაკუთრებით ემოციურია სამშობლოდან გადახვეწილ ქართველ კათოლიკეთა წერილები, რომლებიც მეტაფორულად გადმოგვცემს სათქმელს. საინტერესოა **უნაღვლელის (მიხაკო წერეთლის)** წერილი ფრანგული გაზეთის რედაქტორისადმი. ავტორი მადლიერებას გამოხატავს რედაქტორისადმი იმის გამო, რომ ფრანგული გაზეთის საშუალებით ქართველი ერი იგებს სტამბოლში მცხოვრები ქართველების, ქართველი კათოლიკე ბერების მდგომარეობას: „ვიმეორებთ და მოვალედ ვსთვლით ჩვენთვის, **მადლობა ვუძღვნათ** იმ ფრანგულ გაზეთებს, რომელთაც გამოაქვეყნეს **ჩვენი წყლულები,** თორემ ჩვენ ვერ გავბედავდით და ეს **წყლულები სიკვდილამდე მიგვიყვანდა“** (1912, თებერვალი 7);

მადლიერების წერილის იშვიათი ნიმუშია ვლადიმერ წერეთლის წერილი აკაკი წერეთლისადმი. აკაკის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით სტამბოლის ქართველთა ინიციატივით შექმნილა საიუბილეო კომიტეტი. წერილი ხოტბაა გენიოსი ქართველი პოეტისა. საკმაოდ მოცულობით, შინაარსით მდიდარ წერილში წარმოჩენილია, თუ რაოდენ მადლიერები არიან სტამბოლის კათოლიკე ქართველები აკაკი წერეთლის ღვაწლით. „ქართველის **სულის მესაიდუმლე,** ჩვენი ერის **უდიდებულესო** პოეტო აკაკი“ – მიმართვის ასეთი ფორმით იწყება წერილი. აღმატებითი ხარისხის ფორმათა გამოყენება ზოგადად დამახასიათებელია წერილებისთვის. მადლიერება ჩანს აკაკის იუბილეს მოწყობის ინიციატორების, კერძოდ, ვლ. წერეთლის, ქართველი კათოლიკე ძმების მიმართაც: „დიდი მადლობის ღირსია ვლ.წერეთელი, რომლის თაოსნობითაც მოეწყო იუბილე. მადლობის ღირსნი არიან ქართველ კათოლიკეთა პატრები და ძმები, რომლებიც არ მისდევენ **გადამახინჯებულს** ბერულ ფორმალისტობას და თავიანთი ნათელის სახით ჩვენი **შეკრებილობა** დაამშვენეს...“ (ქართველიშვილი (რაჟდენ ხუნდაძე, გვ. 325). აღნიშნული სამადლობელი წერილები საინტერესოა ლექსიკით: **გადამახინჯებული, შეკრებილობა დაამშვენეს.**

მადლიერების წერილები იწერებოდა მეოცე საუკუნის დასაწყისშიც და მათი ავტორები იყვნენ მწერლები, ხელოვანები, საზოგადო მოღვაწეები. ზოგიერთი წერილი მადლობით იწყება და მობოდიშებით მთავრდება. ასეთია კონსტანტინე გამსახურდიას და აკაკი ხოშტარიას მიმოწერები. **წე-**

რილის დასაწყისი: „დიდად პატივცემულო ბატონო აკაკი! უწინარეს ყოვლისა **გულითად მადლობას მოგახსენებთ** თქვენი გულწრფელი წერილით გამხნევებისათვის...“

წერილის დასასრული-მობოდიშება: **„გთხოვთ მაპატიოთ,** რომ ამდენი დრო წაგართვით“ (კონსტანტინე გამსახურდიას წერილი აკაკი ხოშტარიას, 19.07. 1920 წ. ბერლინი)(541);

„თქვენი გუშინდელი წერილის საპასუხოდ მოგახსენებთ, რომ დიდ პატივსა ვსცემ იმ ინიციატივას, რომელიც გამოგიჩენიათ თქვენ და ბატონ მეკელეინს ქართულ-გერმანული ლექსიკონის შედგენის საქმეში... ინებეთ მიიღოთ, ბატონო კონსტანტინე, თქვენ და მეკელეინმა **ჩემი სალამი და გულწრფელი მადლობა“** (აკაკი ხოშტარიას წერილი კონსტანტინე გამსახურდიას, ბერლინი, 19 ივლისი, 1920) (544);

„თქვენი წერილი მივიღე, რისთვისაც დიდ მადლობას გიძღვნით... გითვლით **დიდ მადლობას და გულითად მოკითხვას“** (კალისტრატე სალიას წერილი მამა შალვა ვარდიძეს, 1954); როგორც ჩანს, მიმოწერის ავტორთა წერილებში საერთო ლექსიკაა, უმეტესად **გულ**-კომპონენტიანი ეპითეტები: **გულითადი, გულწრფელი...**

მობოდიშება: წერილების ავტორები ადრესატებს ბოდიშს ძირითადად შეწუხებისთვის, სხვადასხვა მიზეზთა გამო დაგვიანებული პასუხებისათვის უხდიან. ამ მხრივ მნიშვნელოვანია რამდენიმე წერილი:

„დიდ ბოდიშს ვიხდი, რომ გაწუხებთ, მაგრამ რა ვქნა, ასეთია ჩემი მდგომარეობა...“ (მიხეილ წერეთლის წერილი აკაკი ხოშტარიას, 576);

„დიდ ბოდიში ვარ, რომ ისე დავაგვიანე და მარტო ახლა გიპასუხებთ, მაგრამ ეს თელი თებერვალი მე ავად ვიყავი და სულ საშვალება არა მქონდა, რომ დავჯდე მაგიდას და რამე დავწერო...“ (ფარსადან ტატიშვილის წერილი მამა შალვა ვარდიძეს, 1954).

ფარსადან ტატიშვილის შემდეგ წერილში კიდევ უფრო მძიმდება მობოდიშება. შალვა ვარდიძისადმი 1957 წელს მიწერილი წერილიც 1954 წლის წერილის ანალოგიურად იწყება. თუ შევადარებთ, დავინახავთ მცირეოდენ განსხვავებას, რასაც ქმნის ვითარების ზმნიზედა-**ძალიან:**

„მე ძალიან დიდ ბოდიში ვარ, რომ ამდენი ხანი არაფერი არ დავწერე. ჩემი საქმე ძალიან ცუდათ იყო და ეხლაც კი კარგათ აღარ არის... **მაპატიეთ რაც შეგიძლიათ მალე,** თქვენი მუდამ პატივისმცემელი ფარსადან ტატიშვილი“ (ფარსადან ტატიშვილის წერილი მამა შალვა ვარდიძეს, 1957);

წერილებში დადასტურებულია ხატოვანი სიტყვა-თქმანი: **„ვებრძვით ცხოვრებას“**

„ეს წყლულები სიკვდილამდე მიგვიყვანდა“ (547).

სხვათა ნათქვამის გამოყენება (ციტირება) ზოგადად დამახასიათებელია პუბლიცისტური სტილისთვის. ამ შემთხვევას ადგილი აქვს სავანის წერილებშიც. ავტორები ციტირებებს მწვავე პრობლემების გამამყარებელ არგუმენტებად იყენებენ. ასეთებია: „ერთ ბედს ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ, ერთგულად ვჭიმოთ ჭაპანი ჩვენი“; „ვითარცა მწყემსნი კეთილნი...“ (ჰაიდარ აბაშიძე. 1954 :329).

დასკვნა. სტამბოლის ქართულის სავანის წერილები ყოველმხრივ ამოუწურავი, ზღვა მასალაა სხვადასხვა მიმართულების მკვლევართათვის.

წერილები მეტყველების კულტურის საუკეთესო ნიმუშებია, რომლებიც წლების შემდეგაც ისეთივე ინტერესით იკითხება და მკითხველში ამაღლებს წარსულისადმი სიამაყის, ნდობისა და პატივისცემის გრძნობას. ეს ერთი დიდი ისტორიაა იმისა, თუ როგორ წერდნენ, როგორ ურთიერთობდნენ საზოგადოებისთვის ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი სახეები, როგორ იღვწოდნენ სამშობლოსათვის. მიუხედავად უამრავი დაბრკოლებისა, გაჭირვებისა, დევნისა, როგორ უფრთხილდებოდნენ თავიანთ ქართველობას, ქართულ ენას და როგორ იკითხება მათ ნაწერებში, ფარულად გზავნილ წერილებსა თუ მიმოწერის ბარათებში ქართული ენისთვის ესოდენ დამახასიათებელი ენობრივი ეტიკეტი.

References:

არველაძე ე. (2024). საქმიან დისკურსში სამეტყველო ეტიკეტის ვერბალიზაციის ლინგვოკულტუროლოგიური კვლევა (ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარმოდგენილი დისერტაცია): https://apiv1.atsu.edu.ge/uploads/iuridiuli/daculidisertaciebi/%E1%83%94%E1%83%99%E1%83%90%20%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94

ბერიძე ლ. (2020). *სამეტყველო ეტიკეტის თავისებურებები სატელევიზიო დისკურსში (ინგლისური და ქართული ენების მასალებზე დაყრდნობით), (ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია).* Retrieved from https:// bsu.edu.ge/text–files/ g

ბოჭორიშვილი ა., გოქსაძე ლ.,. (2005). „ბიზნესწერილების ეტიკეტის ლინგვისტური მახასიათებლები“,. *ჟურნალი „საენათმეცნიერო ძიებანი“ XX.*

გოჩიტაშვილი ქ., გაბუნია კ., . (2011). ენობრივი ეტიკეტი და მეორე ენის სწავლება, ბილინგვური განათლება. *სამეცნიერო-საგანმანათლებლო ჟურნალი, N8.*

ფუტკარაძე შ., მალაყმაძე რ., ლომთათიძე თ., ფუტკარაძე ე., ჩელებაძე ნ., ფუტკარაძე შ., . (2017). *წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან – I.* ბათუმი.

ქართული ენის დიალექტური კორპუსი. (n.d.). Retrieved from http://corpora.co

ჭაბაშვილი მ. (1989). *უცხო სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონი.* Retrieved from https://online.fliphtml5.com/ddey/pbco/?search=%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98№p=228

ხიხაძე ლ. (2018). *საერთაშორისო ბიზნესის კომუნიკაციები (სალექციო კურსი).* თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.

ჯორბენაძე ბ. (1997). *ენა და კულტურა.* თბილისი.

FOR SOME FORMS OF LINGUISTIC ETIQUETTE ACCORDING TO THE LETTERS OF „GEORGIAN MONASTERY OF ISTANBUL"

MAIA KIKVADZE
Candidate of Philological Sciences,
Professor at Batumi Shota Rustaveli State University
E-mail: maia.kikvadze@bsu.edu.ge
ORCID: 0009-0002-5048-9011)

Abstract. The archive of the Georgian Savane in Istanbul preserves interesting materials reflecting the cultural and good-neighborly relations between Turkey and Georgia.

The letters and correspondence cards preserved in the Savane are valuable materials from both linguistic and cultural perspectives. The presentation focuses on forms expressing greetings, apologies, and gratitude. It analyzes private letters of well-known public figures and clergy, correspondence cards of Georgian emigrants, and anonymous and pseudonymous publicist letters, which clearly show forms of linguistic etiquette.

These letters are excellent examples of speech culture, which instill in the reader a sense of pride, trust, and respect for the past.

Keywords: letters, language, culture, speech, etiquette.

* * *

Introduction. Monuments of Georgian culture are preserved in many countries around the world, but a distinguished place among them belongs to the Georgian Savane of Istanbul, whose archive preserves interesting materials reflecting the cultural and neighborly relations between Turkey and Georgia. The scientist, researcher, and BSU Emeritus Professor Shushana Putkaradze set out to study this archive. Since 1989, she has frequently visited this most important center of Georgian culture and, together with colleagues and young researchers, studied (and this multi-generational work continues to this day) the historical sources preserved in the Savane, unique linguistic materials for linguists, and journalistic letters, which became fully accessible to the wider public interested in the subject from 2017.

The aim of our research is to study linguistic etiquette through the letters of the „Georgian Savane in Istanbul."

Using methods of description, observation, and analysis of empirical material, we have analyzed forms expressing greetings, apologies, and gratitude in private letters of clergy, correspondence cards of Georgian emigrants, letters of well-known public figures, and anonymous and pseudonymous publicist writings.

Main Part. A letter is one of the genres of newspaper and magazine journalism, aimed at providing information and influencing the reader.

The author of a journalistic letter – the publicist – focuses on socially significant or specific problems important to the nation. Highlighting current issues, sharpness, clarity, emotionality, expression of the author's attitude, and simple, understandable language are the main characteristics of a journalistic letter.

Publications are characterized by: addressing the reader, persuasion, excessive use of expressive techniques to influence the reader, frequent use of interrogative and exclamatory sentences, mixing of literary and conversational speech styles, argumentation of facts and events, and repetition of others' statements. All these characteristics can be read in the letters of the Georgian Savane of Istanbul.

The era during which these letters or cards were created, the condition of nineteenth-twentieth century Georgia, truly required bringing urgent and relevant issues to the forefront. The journalistic style, with its characteristics, provided the best opportunity to discuss problematic issues.

In the correspondence between Christian and Muslim Georgians, human relationships, patriotic duty, and attitudes toward the homeland, toward Georgia, are most clearly visible.

The structure and content of the letters, their vocabulary, and even more interesting, the linguistic etiquette of the letters are noteworthy, specifically how linguistic etiquette is verbalized in correspondence.

"Linguistic etiquette is a unity of requirements, form, content, and situational appropriateness that exist within a culture. It varies greatly across different countries and cultures. If we consider linguistic etiquette in a narrow sense, it includes words and expressions that people use when greeting, addressing/calling, requesting, ordering, apologizing, expressing gratitude, and showing sympathy" (Gochitashvili, Gabunia, 2011:2-7).

The term **etiquette** is multifunctional. The relationship between language and culture is revealed in etiquette.

"Etiquette is a historical category, as the rules of human behavior were formed according to their living conditions and as a result of humanity's evolutionary development" (Arveladze, 2024:72).

In the dictionary of foreign words, the concept of „etiquette" is defined as follows: „Etiquette – 1) a collection of rules for conduct and interaction at royal courts, in diplomatic circles, etc.; 2) rules of conduct and polite treatment accepted in a particular society" (Chabashvili,1989:228).

When we talk about linguistic etiquette, naturally, we are talking about the interconnection between language and culture, about the culture of speech. „It is universally known how essential language is for the formation and development of society. Language is both a product of a nation's culture and the foundation (stimulus) for its further development" (Jorbenadze, 1997:5).

Ethnic views, intergenerational relationships, and respect for elders are clearly visible in linguistic etiquette.

In the „Letters of the Georgian Savane of Istanbul," one can read all the verbal characteristics that define etiquette. We encounter linguistic etiquettes in forms of greeting, farewell, sending regards, receiving and hosting guests, apologizing, and other forms. These are the forms that a person receives from childhood and gradually enriches.

The presentation focuses on forms expressing regards, apologies, and gratitude. We analyzed several letters, specifically private letters from well-known public figures and clergy, correspondence cards of Georgian emigrants, and journalistic letters without authors or with pseudonyms. The authors of the letters are people of different ages and professions. They had business correspondence with each other.

In the letters, linguistic etiquette is expressed mostly through polite forms and forms of address. Here, the harmonious relationships between people are clearly visible.

The phrases, phraseological units, types of sentences, and word order in the letters are interesting. The diversity of verbal forms deserves special mention.

In letters of greeting and regards, apology, and gratitude, we encounter fixed formulas and ready-made phrases. The use of dialecticisms, epithets, metaphors, and allusions gives them even more artistic quality.

Among parts of speech, there are frequent instances of adjectives, especially superlative adjectives, and adverbs of manner.

Greeting and Regards: „According to Georgian tradition, greeting is a mandatory rule. In Georgia, even enemies are greeted; by observing the custom of greeting, the nature of greeting, it is possible to distinguish the quality of social and everyday relationships between speakers" (https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi5/Ekaterine–Gogaladze.pdf).

In letters of regards, authors often use adjectives: „გთხოვთ, გადაეცით ჩემგან ფრიად **თავაზიანი სალამი** თქვენს მასპინძელს"-Please, convey from me a very **polite** greeting to your host"; „შორეულ შვეიცარიიდან გაახლებთ ყოვლად **თავაზიანს** და **მამულიშვილურ სალამს** და **გამოგთხოვ** ლოცვა-კურთხევას თქვენი **მადლიანი** ხელით და გულით... გთხოვთ, ინებეთ ჩემგან **მორჩილი** და

მამულიშვილური სალამი და **წრფელი** და **უხვი** სურვილი თქვენი პატივისცემისა და სამსახურისა“ – „From distant Switzerland, I extend to you a most **courteous** and **patriotic greeting** and **ask for** prayer and blessing from your **gracious** hand and heart... Please, accept from me **humble** and **patriotic** greetings and **sincere** and **abundant** wishes for your respect and service“;

Forms of regards, besides their greeting function, also have other functional significance; they clearly show a special attitude toward the homeland, with an abundance of emotion-expressing vocabulary: „გიძღვნით შენ და მინადორას გულწრფელ სალამს და გისურვებთ დაბრუნებას **„მრავალტანჯულ“ სამშობლოში**“-“I dedicate to you and Minadora sincere greetings and wish you a return to the **‘much-suffering’ homeland**’.“

The beginnings of the letters are very similar to each other; they often start with wishes and end with wishes, in which one feels boundless gratitude, love, and unity toward the addressee regarding common national affairs: „გისურვებ კარგად ყოფნას და ჯანმრთელობას, ხანგრძლივ და ჩვენს **ნატრულ ძვირფას საქართველოში** დაბრუნებას“ – “I wish you well-being and health, a long life and return to our dreamed-of **precious Georgia**“; „„გისურვებ ცხოვრებაში კარგათ ყოფნას და გისურვებ დიად პროგრეს **ბრწყინვალე მომავლისას“** – „I wish you well-being in life and I wish you great progress for a **brilliant future**.“

The endings of the letters are mostly similar, with a few lexical units changed, specifically, the word **brilliant** is replaced by **glorious**: „„ბატონო ანტონ, იყავით კარგათ და ჯანმრთელად და გისურვებ ბრწყინვალე მიზნების განხორციელებას **დიადი მომავლისას“-**“Mr. Anton, be well and healthy and I wish you the fulfillment of brilliant goals for a **glorious future**.“

A dialectal form is **მიდღემჩი** – **midghemchi**=always: „Be well and **always** well. I impatiently await your letter. Be peaceful and well.“Gratitude and expressing gratitude is one of humanity’s greatest qualities – it’s a gift that people express emotionally. Moreover, beginning a letter by expressing gratitude serves one purpose from the very start – to express the warm relationship that already exists or should develop between the correspondents.

The authors of letters from the Georgian monastery in Istanbul thank their addressees for various reasons, most of which concern patriotic work, charity, helping young people in emigration receive education, providing books and brochures, and more. Such is Haidar Japaridze’s letter to Father Anton: „I offer you the greatest thanks for the books and brochures you sent, and if you send me readable brochures and a history of Georgia, I cannot repay you with adequate respect. Only in this foreign land, we will not forget our identity, and this much grace will be enough for you too.“= **...ამდენი მადლი შენც გეყოფა“.**

In the expressions of gratitude, one feels amazing sincerity, openness, and humility: „ბ-ნო სიმონ, თუ ვინმემ მიკითხოს ეს **გაჭირვებული ქობულეთელი, მადლობა და სალამი გადაეცი ჩემს მაგივრად...“** „Mr. Simon, if anyone asks about this **struggling person from Kobuleti, give them my thanks and greetings on my behalf...**“

Letters of this type, like all others, are filled with lexical units expressing emotion. Particularly emotional are the letters of Georgian Catholics exiled from their homeland, which convey their message metaphorically. Interesting is the letter from **უნაღვლესი Unaghvleli =Carefree (Mikhako Tsereteli)** to the editor of a French newspaper. The author expresses gratitude to the editor because through the French newspaper, the Georgian nation learns about the situation of Georgians living in Istanbul and Georgian Catholic monks: „**მადლობა ვუძღვნათ** იმ ფრანგულ გაზეთებს, რომელთაც გამოაქვეყნეს **ჩვენი წყლულები,** თორემ ჩვენ ვერ გავბედავდით და ეს **წყლულები სიკვდილამდე მიგვიყვანდა“-**“We repeat and consider it our duty **to express our gratitude** to those French newspapers that have published **our wounds,** because we would not have dared, and these **wounds would have led us to death**“.

A rare example of a letter of gratitude is Vladimir Tsereteli’s letter to Akaki Tsereteli. On the occasion of Akaki’s 50th anniversary, a jubilee committee was formed on the initiative of Georgians in Istanbul. The letter is a eulogy to the genius Georgian poet. In this substantial letter, rich in content, it is shown just how grateful the Georgian Catholics of Istanbul are for Akaki Tsereteli’s contributions. „ქართველის **სულის მესაიდუმლე,** ჩვენი ერის **უდიდებულესო** პოეტო აკაკი“ „The **confidant of the Georgian soul,**

our nation's **most magnificent** poet Akaki" – this form of address begins the letter. The use of superlative forms is generally characteristic of these letters. Gratitude is also shown toward the initiators of Akaki's jubilee, specifically, Vladimir Tsereteli and the Georgian Catholic brothers: „Vladimir Tsereteli deserves great thanks, under whose leadership the jubilee was organized. The Georgian Catholic priests and brothers also deserve thanks, who do not follow distorted monastic formalism and graced our gathering with their bright presence..." .

Letters of gratitude were also written at the beginning of the twentieth century, and their authors were writers, artists, and public figures. Some letters begin with thanks and end with apologies. Such are the correspondences between Konstantine Gamsakhurdia and Akaki Khoshtaria. The beginning of the letter: „Highly respected Mr. Akaki! First of all, I express my heartfelt thanks to you for encouraging me with your sincere letter..."

The end of the letter – **an apology**: „Please forgive me for taking so much of your time".

"I received your letter, for which I thank you greatly... I send you **great thanks and heartfelt regards**"; Evidently, there is common vocabulary in the letters of the correspondence authors, mostly epithets with the component გული-**gul** (heart): **გულითადი, გულწრფელი...**heartfelt, sincere...

Apologies: The authors of the letters mainly apologize to the addressees for bothering them or for delayed responses due to various reasons. Several letters are significant in this regard: **„დიდ ბოდიშს ვიხდი,** რომ გაწუხებთ, მაგრამ რა ვქნა, ასეთია ჩემი მდგომარეობა..."

„დიდ ბოდიში ვარ, რომ ისე დავაგვიანე -**"I deeply apologize** for troubling you, but what can I do, such is my situation..."

"I am greatly apologetic that I delayed so much and am only responding now, but this entire February I was ill and had no opportunity at all to sit at a desk and write anything..."

In Parsadan Tatishvili's next letter, the apology becomes even more intense. The letter written to Shalva Vardidze in 1957 also begins similarly to the letter from 1954; if we compare them, we see a slight difference created by the adverb of circumstance – **dzalian** (very):

„მე ძალიან დიდ ბოდიში ვარ, რომ ამდენი ხანი არაფერი არ დავწერე-**"I am very deeply apologetic** that I haven't written anything for so long. My situation was very bad and even now is not good... **Please forgive me as soon as you can,** your always respectful Parsadan Tatishvili"

Figurative expressions are confirmed in the letters: **„ვებრძვით ცხოვრებას"** – **„We are fighting life"; „ეს წყლულები სიკვდილამდე მიგვიყვანდა"-"These wounds would have led us to death"**

The use of others' statements (quotation) is generally characteristic of journalistic style. This case also appears in the monastery letters. Authors use quotations as supporting arguments for acute problems. Such examples include: „We are under the same fate, Labav, you and I, let us pull our yoke faithfully" „like good shepherds..."

Conclusion. „The Letters of Istanbul's Georgian Savane" represent an inexhaustible wealth of material for researchers in various fields.

The letters are excellent examples of speech culture, which are read with the same interest years later and instill in the reader a sense of pride, trust, and respect for the past. This is a great history of how well-known and lesser-known people wrote and communicated, how they strived for their homeland. Despite numerous obstacles, hardships, and persecution, they carefully preserved their Georgian identity and language, and their writings – whether in secretly sent letters or correspondence cards – reveal the linguistic etiquette so characteristic of the Georgian

References:

Arabuli A. (1984). *Mesame seriis nakvteulta tsarmoeba da mnishvneloba dzvel kartulshi [The prodaction and meaning of the third series of fragments in Old Georgian], (in Georgian).* Tbilisi: Metsniereba.

Chikobava Arn. (1955). „Atsmqos pudzis tsarmokmnis istoriisatvis. -av, -am da -ev, -em supiksta istoriuli urtiertoba [For the history of the formation of the present stem. The historical relationship

of the suffixes -av, -am and -ev, -em],“ (in Georgian). *Iberiul-kavkasiuri enatmetsniereba (vol. VII*: 125-134). Tbilisi.

Gogolashvili G. (2010). *kartuli zmna (formatsarmoebis sakitkhebi) [Georgian verb (formation issues)], (in Georgian)*. Tbilisi: Meridiani.

Imnaishvili Gr. (1955). „Pirvel turmeobitisa da statikur zmnata tsarmoeba Ingilourshi [The first generation of infinitive and stative verbs in Ingiloian],“ (in Georgian). *Iberiul-kavkasiuri enatmetsniereba (vol. VII*: 119-124). Tbilisi.

Kavtaradze I. (1955). „Dro-kilota mesame seriis tsarmoebis erti tavisebureba akhal kartulshi [One of the features of the third series production in the New Georgian],“ (in Georgian). *Iberiul-kavkasiuri enatmetsniereba (vol. VII*: 61-79). Tbilisi.

Natadze N. (1955). „Mesame seriis dro-kilota warmoebisatvis kartulshi [For the prodaction of the third series in Georgia],“ (in Georgian). *Iberiul-kavkasiuri enatmetsniereba (vol. VII*: 81-100). Tbilisi.

Paghava M.., (2020). Tsintsadze M. Baramidze M. Chokharadze M. Shioshvili T. Khalvashi R. Mgeladze N. Shashikidze Z. Chkhvimiani J. Karalidze J.. *Tao*. Batumi: Meridiani.

Peikrishvili Zh. (2007). *Mesame seriis mtskrivebi akhal saliteraturo kartulshi [Third series of lines in the new literary Georgian], (in Georgian)*. Tbilisi: Jansugh Ghvinjilia.

Putkaradze Sh. (1993). *Chveneburebis kartuli, tsigni pirveli [Chveneburebis Georgian, book one], (in Georgian)*. Batumi: Adjara Magazine and Newspaper Publishing House.

Putkaradze Sh. (2016). *Chveneburebis kartuli, tsigni meore [Chveneburebis Georgian, book second], (in Georgian)*. Batumi: Ajara.

Shanidze A. (1973). *Kartuli gramatikis sapudzvlebi, I, Meore gamotsema [Fundamentals of Georgian Grammar, I, Second Edition], (in Georgian)*. Tbilisi: Tbilisi University Publishing House.

Tofuria V. (1955). „Namqos sakheobata saerto nishnisatvis kartulshi [For the common sigh of present tense types in Georgian],“ (in Georgian). *Iberiul-kavkasiuri enatmecniereba (vol. VII*: 453-458). Tbilisi.

პირველი თურმეობითის წარმოებისათვის ტაოურში

თეონა მაჭავარიანი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
ელ-ფოსტა: tmachavariani6@gmail.com
ORCID: 0009-0000-7253-2709

თინათინ მილორავა
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
ელ-ფოსტა: Tinatin.milorava@yahoo.com
ORCID: 0009-0008-3034-525X

აბსტრაქტი: კვლევის მიზანია ტაოურ დიალექტში პირველი თურმეობითის წარმოების შემთხვევების შესწავლა; მსგავსი თუ განსხვავებული ფაქტების წარმოჩენა ქართულ სალიტერატურო ენასა და სხვა დიალექტებთან მიმართებით.

კვლევისას ვეყრდნობით ახალ დიალექტურ ტექსტებს, რომლებიც ჩაწერილია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტარიელ ფუტკარაძის სახელობის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის თანამშრომელთა, მათ შორის ჩვენ მიერ, ტაოში 2007-2024 წლებში. ასევე, დავამუშავეთ გამოქვეყნებული ტაოური ტექსტები (ფუტკარაძე 1993; ფაღავა... 2007; ტაო 2020).

ქართული ენის ტაოურ დიალექტში გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები პირველ თურმეობითს სხვადასხვაგვარად აწარმოებენ:

I. გარდამავალი ზმნებიდან რიგ თავისებურებებს წარმოადგენს **-ავ, -ამ** თემისნიშნიანი ფორმები. ამ ტიპის ზმნებისათვის I თურმეობითში ამოსავალია აწმყო-მყოფადის ფუძე. ამ კუთხით ტაოურ დიალექტში ზმნურ ფორმათა სიჭრელე შეინიშნება. დასტურდება **-ავ** და **-ამ** თემისნიშნიანი წარმოება, მაგრამ სჭარბობს **-ია** დაბოლოებიანი ფორმები: ***დუუდგამს***, ***დიმინახავს***, ***დიმითესია***, ***დიმინაყია***, ***შიმისვია***, ***ჩიმიცმია***, ***უსკვიან „ურტყამს“***.

ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა **-ამ** სუფიქსით გაფორმებულია უთემისნიშნო და ფუძედრეკადი ზმნები, ასევე არაიშვიათია თემის ნიშანთა მონაცვლეობა.

საკვლევ დიალექტში **-ი-ა** დაბოლოებიან ზმნებს I თურმეობითში იშვიათად **ნარი** ჩაერთვის: ***დავიწყნია, გამაყიდნია, გამაყრევნია.***

II. ტაოურში გარდაუვალ ორპირიან ზმნათა I თურმეობითის ფორმები იშვიათია, იწარმოება სალიტერატურო ქართულის მსგავსად. დასტურდება შემდეგი შემთხვევები: ***მქონია***, ***ჰქონია***, ***ქონებია***, ***ყოლია***, ***ჰყოლია***, ***ჰყოლიან***.

ერთპირიანი ზმნები მსგავსად ქართული სალიტერატურო ენისა და სხვა დიალექტებისა, აღწერითად იწარმოება: ***დავწოლილვარ***, ***დავწვენილვარ***, ***დანახულ ვარ***, ***გაგონილი მაქვა***. ასევე გვხვდება **-ია** დაბოლოებიანი ზმნური ერთეულები: ***მიტირია***, ***მიარენია***... მესამე პირის ფორმებთან მეშველი ზმნა შეკვეცილი ფორმითაა წარმოდგენილი: ***აკიდულა***, ***დაბეჩებულა***, ***მოდრეკილან***...

მიმღეობური ზმნების წარმოება თავისებურებით ხასიათდება ტაოურში, ეს თავისებურება თავს იჩენს პირველ თურმეობითის ფორმებთანაც: ***დაბადულა***, ***დამჩალა***, ***ავსილა***...

შეიძლება ითქვას, რომ ტაოური დიალექტი, თურქულ ენობრივ გარემოში მრავალსაუკუნოვანი არსებობის პირობებში დღემდე ინარჩუნებს ენობრივი განვითარების საერთოქართულ ხაზს და ეს იკვეთება ზმნურ ფორმათა წარმოებისას.

საკვანძო სიტყვები: ქართული ენა; ტაოური დიალექტი; მესამე სერია; პირველი თურმეობითი.

* * *

შესავალი / წყაროების, ლიტერატურის მიმოხილვა:

III სერიის მწკრივები ქართულში რიგი მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებებით გამოირჩევა. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ დრო-კილოთა III ჯგუფის ფორმები გვი-

ანდელი წარმოშობისაა: საფუძვლად უდევს სტატიკური ზმნის აწმყოს ფორმები (ნათაძე, 1955: 98; შანიძე, 1973: 222; ჩიქობავა, 1964: 126). შდრ.: განსხვავებულად ფიქრობს ავთანდილ არაბული. მეცნიერი მიიჩნევს, რომ პირველ თურმეობითში ნამყო-ხოლმეობითის ფუძის ძიებას მყარი საფუძველი გააჩნია... რამდენიმე ფორმაში შესაძლებელია სტატიკურ ზმნასთან საზიარო ფუძის დანახვა (არაბული, 1984: 34).

სტატიაში განვიხილავთ პირველი თურმეობითის წარმოების შემთხვევებს ტაოურ დიალექტში; ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებთან მიმართებით წარმოვაჩენთ ტაოურში არსებულ მსგავს თუ განსხვავებულ ფაქტებს. კვლევისას ვეყრდნობით აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფ. ტარიელ ფუტკარაძის სახელობის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის თანამშრომელთა მიერ 2007-2024 წლებში ტაოში ჩაწერილ მასალას; გამოყენებული გვაქვს აგრეთვე გამოქვეყნებული ტექსტები (ფუტკარაძე 1993, ტაო /ფაღავა, ცინცაძე, ბერიძე/ 2020).

მეთოდოლოგია: სტატიაზე მუშაობის პროცესში გამოყენებულია სხვადასხვა მეთოდი. კერძოდ, აღწერითი მეთოდის საშუალებით აღვწერეთ ტაოურ დიალექტში დადასტურებული I თურმეობითის გამოყენების შემთხვევები; შედარება-შეპირისპირებითი მეთოდით წარმოვაჩინეთ მსგავსება-განსხვავება ქართული ენის სხვა დიალექტებთან; ანალიზისა და სინთეზის მეთოდით შევისწავლეთ პირველი თურმეობითის წარმოების შემთხვევები სხვადასხვა ტიპის ზმნებთან.

მსჯელობა/შედეგები:

I თურმეობითს გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები სხვადასხვაგვარად აწარმოებენ:

1. გარდამავალი ზმნების წარმოება სხვაობს თემატური სუფიქსების მიხედვით. ტაოურში გარდამავალი ზმნებიდან **მეორე სერიის** თემას ემყარება **-ობ**, **-ებ** თემისნიშნიანი ზმნები. ზოგადად, **-ობ** და **-ებ** სუფიქსები ზმნას აწმყო-მყოფადის მწკრივში დაერთვის და, როგორც წესი, I თურმეობითში არ გადაჰყვება.

-ობ: ზაბა **უმუშავია** ქომო; იქ **უმუშავიან**, **უსაქმიან**; იქინდი **ულოციან**; **უკითხნია** ბაღვობი ხან (ექსპედ. მას.)[1].

-ებ: ემენი არ **გიმიგდია**, და რეჲგა ვირი შეიქნა; ყური არ **დიმიგდია**. ეჲდა, **დიმიგდია**, **დიმიგდია;** კედელი არ **ჩუმუღიან**, ქვა არ **გუმუღიან** (ექსპედ. მას.).

რიგ თავისებურებებს წარმოაჩენს **-ავ**, **-ამ** თემისნიშნიანი ფორმები. ამ ტიპის ზმნებისათვის I თურმეობითში ამოსავალია **აწმყო-მყოფადის** ფუძე. საზოგადოდ, თუ ზმნა აწმყო-მყოფადში თემისნიშნიანია, მას თემის ნიშანი ექნება I თურმეობითშიც. ტაოურ დიალექტში იშვიათია **-ავ** თემისნიშნიანი წარმოების შემთხვევები.

-ავ: ის არ **მინახავს** მერე; კი, გიმიგონია, ვიცი და არ **დიმინახავს** (ექსპედ. მას.).

-ავ და **-ამ** ფორმანტებს ძირითადად **-ი-ა** დაბოლოება ცვლის:

-ავ <-ია:

ჰამა, არ **დიმინახია**; პურ **დიმითესია** და, ქერი **დიმითესია**, ცერცვი **დიმითესია**, ლებიო **დიმითესია**; ვეღარ **მიგვიკლია** ახლა, ჲასაღია; დათვი შეხვედრია, **მუუკლია**; გურჯები წასულა, **დუმალია**; თივა მოვთიბეით გუშინ და, ჭალა ა **გიგგვიკენკია** (ექსპედ.მას.).

-ამ < -ია:

მე ა **შიმისვია** და; ჲოხ, ფანთოლ არ **ჩიმიცვია**; ჲანი, ფარა ქნასა ზამთარჩი და, იმა **შუუსვია** (ექსპედ.მას.).

-ია დაბოლოებით არის წარმოდგენილი **თქმა** (< **თქუმა)** ზმნა:

თქვა – უთქვია: ქალისთუნ ვე **უთქვია**; ჩემ ბააზე რამ **გითქვია**, ტყუილი იყო თუ მართალი (ექსპედ.მას.); **უთქვია** თამარ ქალსა (ფუტკარაძე, 1993: 176).

---

[1] ექსპედიციის მასალა – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტთან არსებული პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის სახელობის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ 2007-2024 წლებში ტაოში მოწყობილი დიალექტური ექსპედიციების ფარგლებში ჩაწერილი დიალექტური მასალა.

თქმა – უთქმია: ბალხურ **უთქმია** ქი, მეო ერთი ვირი მყავსაო**;** ბიჭი ჭამსა, იმა **უთქმია** ქი; სარიდან დანა, დიდი დანა **უთქმიან** (ექსპედ. მას.).

ტაოურ მეტყველებაში, როგორც აღვნიშნეთ, სხვა დიალექტების მსგავსად, ხშირია **-ია** დაბოლოებიანი ფორმები. ჩვენ მიერ დამუშავებული მასალის მიხედვით, I თურმეობითში **-ია** დაბოლოებიანი ფორმები სჭარბობს **-ავ/-ამ** თემისნიშნიან ფორმებს. ამ შემთხვევაში ამოსავალი ჩანს II სერიის ფუძე.

საილუსტრაციო ნიმუშები:

ვეღარ **გვიმზირია**, ისე დარჩა; ვერა **გვიქნია** რა; ვარდყვაილი **ჩუყრია**; სახლი-კარი **დუყრია**; წუხელ არ **დუძინია**; ათი დიდი კოდი აკიდული **გუდმუყEანია**;

იმის მომპრელი **უპოვია**, ი **გუმუყვანია**; ღამი **გუვლია** მეზარ (ექსპედ. მას.).

შდრ.: პირველ თურმეობითში **-ია** ბოლოსართიანი ფორმების სიჭარბეზე მიუთითებენ შ. ფუტკარაძეცა და მ. ფაღავაც (ფუტკარაძე, 2016: 299; ფაღავა.., 2020: 747).

-ია დაბოლოების გაჩენა ზოგადად ახსნილია უნიფიკაციის ტენდენციით. I თურმეობითის წარმოებაში უნიფიკაციის პროცესი დიალექტებში ორი მიმართულებით წარიმართა, კერძოდ: ა) ქართლურ, კახურ, იმერულ, გურულ, აჭარულ... დიალექტებში გაბატონდა **-ია** დაბოლოება და შეიზღუდა **-ავ, -ამ** თემისნიშნიანი წარმოება; ბ) ფხოურ კილოებში (ხევსურულში, მოხეურში, თუშურში...) გაბატონდა **-ავ** (-ივ) ნიშნიანი წარმოება (თოფურია, 1955: 458).

ტაოურში **-ი-ა** დაბოლოებიან ზმნებს I თურმეობითში **ნარი** ჩაერთვის. მაგალითად:

იარას აძლევს ისა და ვეღარ **გუუთრევნია;** იქედან ქი **გამუუქცევნია,** გადმოსულა სოფელში; ღელიდან ქვა **უწეკნია** იქა; აქობაჲ ასე **მოტაცნია** ასე, ე წინე; ასე [ხელი] **მუუხვევნიან** (ექსპედ.მას.); უთქუამს, ისინი **გამაყიდნია** ამ საქმემაო (ფუტკარაძე, 1993: 176);

არ **დულაპარაკნია** დეკაც (ფაღავა.., 2020: 748).

ნ ჩართული ფორმები გვხვდება სხვა დიალექტებშიც, დადასტურებულია ძველ ქართულშიც: უპოვ**ნ**იეს...

სპეციალურ ლიტერატურაში **-ნ** სუფიქსის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა; მეცნიერთა ერთი ნაწილი (ივ. ქავთარაძე, არნ. ჩიქობავა, შ. ძიძიგური) მიიჩნევს, რომ თავდაპირველად გაჩნდა ქართლ-კახურში, როგორც ზმნური ფუძის მაწარმოებელი, შემდეგ გამოყენებულ იქნა გარდამავალი და გარდაუვალი ზმნების სადიფერენციაციოდ. ზოგმა დიალექტმა (ხევსურული, თუშური, ლეჩხუმური, რაჭული, იმერული, გურული) **-ნ** სუფიქსი სრულებით არ იცის. ამდენად, დღევანდელ ქართულ მეტყველებაში იგი ჯერ კიდევ არაა გავრცელებული (ქავთარაძე 1955: 74).

I თურმეობითში მრავლობითი რიცხვის **-თ-**ს ნაცვლად ხშირად გამოიყენება **-ან** სუფიქსი:

თახთა არ **დუნგრევნიან**, კედელი არ **ჩუმუღიან**, ქვა არ **გუმუღიან**, **გუფრეწიან**; ერთსაც ხმა **გუმუღიან**, ბალხელთა ბევრი; დედეებ **უშენებიან**, ა მახსოვს; ეგერ შექერ **მუცემიან**; ისკამზე **დუკოჭებიან**, ასე **გუდუბრუნებიან**, ავადნევლი კაცი, იქ მომკვდარა, დოხტურ ვერ **ჩუსწრიან**; ცხენი **წუყვანიან** იუსუფჭელში (ექსპედ. მას.).

ფუძედრეკადი ზმნები ტაოელ ქართველთა მეტყველებაში I თურმეობითს აწარმოებენ აწმყო-მყოფადის ფუძეზე დაყრდნობით. შესაბამისად, ფუძეში თავს იჩენს **ე** ხმოვანი:

თვალები ვე **გიმიხელია**; ზათი ღამე **გიმითევია;** ჲოხ, ყოლდღე ვერ **დიმიჭერია** ქი, ყოლდღე; შინდი **დიმიკრეფია**; ჩემი დეკაცი **შეგიტყეპიაო** (ექსპედ. მას.).

-ი სუფიქსიანი ზმნები, ზოგადად, **-ია** დაბოლოებით არის წარმოდგენილი:

დიმიჭრია, არ **დიმიჭრია**, არ **დიმიჭრია**, თამამ; მეც არ **გიმიცინია**, იმას არ **გუცინია**; დილაჲ მუაძუეჲთ და ჯე ა **გინგვიყრია**; გურჯიჯა ვერ **მიმიგEრია** (ექსპედ. მას.).

-ებ თემისნიშნიანი ზმნების დიდი ნაწილი I თურმეობითში აწმყო-მყოფადის ფუძეს ეყრდნობა. ჩვეულებრივ, დაცულია **-ებ** სუფიქსი:

იმას არ **მუკტინებია** (შდრ. აწმყო: აკვდინებს); **დუკოჭებიან** (აკოჭებს), ასე **გუდუბრუნებიან** (აბრუნებს), ავადნევლი კაცი; დედეებ **უშენებიან** (აშენებს), ა მახსოვს; ძველიდამ **გუკეთებიან** (აკეთებს) მეზერლული (ექსპედ. მას.).

აღნიშნული წარმოების პარალელურად ტაოელთა მეტყველებაში ზმნური ფორმები იშვიათად უთემისნიშნოდაც არის წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში I თურმეობითი წყვეტილის ფუძეს ემყარება:

ანაჲ სამ წელწად არ **დუჯერია** (შდრ. აწმყო: იჯერებს); წუხელ არ **დუძინია** (იძინებს); ვერ **მომიგონია** (იგონებს) (ექსპედ. მას.).

2. გარდაუვალ ზმნათა წარმოება განსხვავდება იმის მიხედვით, ზმნა ორპირიანია თუ ერთპირიანი. გარდაუვალ **ორპირიან** ზმნათა I თურმეობითის ფორმები ტაოურში სალიტერატურო ქართულის მსგავსად აღწერითად იწარმოება. შესაბამისი ფორმები იშვიათია. მაგალითები:

ვერ **მიმხვდარვარ** ქი, რაცხა ამბოფ; იმისი დერმანია (წამალია), ამისი არი, არ **უჯერავარ** მეა (ექსპედ. მას.).

შდრ.: ძველ ქართულში გარდაუვალი ორპირიანი ზმნების წარმოება ორგანული იყო: მწკრივის ნიშნად მოუდიოდა **-იე** (დაჰმალვიე, დაჰმალვიეს) (ფეიქრიშვილი 2007: 67).

ერთპირიანი ზმნები ტაოურში, მსგავსად ქართული სალიტერატურო ენისა და სხვა კილოებისა, აღწერითად იწარმოება: პირველსა და მეორე პირს დაერთვის **ვარ**, **ხარ** მეშველი ზმნა:

არ **გათხოულხარ**, [რ]ატომ არ **გათხოულხარ**? ჩემ ანაჲ, იშთა, დამჩალა მარტოჲ, ფახირობით **გავზდილვარ**; იქ **დავბადულვარ** მეა; კატარზე აქ არ **წავსულვართ**; ახლა დავბერდი, ვეღარსად **წავსულვარ**; ახლა იქ ვერ **გავსულვარ** (ექსპედ. მას.).

მესამე პირის ფორმებთან მეშველი ზმნა შეკვეცილი ფორმითაა წარმოდგენილი:

ბაშთან ასე **აკიდულა** იქ მივკავდით უწინ; **მომკტარა** ქEაბავრი, **ჩასულა** იქა ქომო მეზერში ო, ელიასჴევ **ჩასულა**; ჭიდ თვე ყოფილა, სახლა **მოსულა**, სახლა მოსულა ქი; ზათი, **წასულა**; ამა **დაბეჩებულა** ქი, მე დილაზე ცხენი ვაითუ ცხენი წემევყვანე; არა ბეღელი, სახლი დანგრევლა, **გაფრეწილა** (< გაფხრეწილა); ასე **მოდრეკილან**, კაცები **მოკრეფულან**, უკიდიან (ექსპედ. მას.).

ტაოურში რიგი თავისებურება ახასიათებს მიმღეობის წარმოებას, რაც ერთპირიან ზმნათა პირველი თურმეობითის ფორმებშიც ვლინდება:

აქ **დაბადულა** ჩემი დედეი (შდრ. მიმღეობა: დაბადული „დაბადებული“); იქედამ ქი წამოსულან ასე, იქ **დამრჩალან** (დამრჩალი „დარჩენილი“); ათდაერთი, ეჲდა, **დამჩალა**, იშთა (ექსპედ. მას.).

მაგალითები გამოქვეყნებული ტექსტებიდან:

მიწა ჩამოსულა, **ავსილა** (ფაღავა.., 2020: 748) (ავსილი „ავსებული“); ზოვლი მუსლიმანი **დამჩალან** ბათუმზე (იქვე); ვინმე არ **დამჩალა**, წესულან (იქვე: 753).

მსგავსი ფორმები დასტურდება რიგ კილოებში (იმერ., ლეჩხ.).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ტაოელ ქართველთა მეტყველება პირველი თურმეობითის წარმოების მხრივ იმ ძირითადად კანონზომიერებებს გვიჩვენებს, რომლებიც დამახასიათებელია ქართული სალიტერატურო ენისა და კილოებისათვის. ტაოური დიალექტი თურქულ ენობრივ გარემოში მრავალსაუკუნოვანი არსებობის პირობებში დღემდე ინარჩუნებს განვითარების საერთოქართულ ხაზს, რასაც ზმნურ ფორმათა წარმოებაც ადასტურებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

არაბული, ა. (1984). *მესამე სერიის ნაკვთეულთა წარმოება და მნიშვნელობა ძველ ქართულში.* თბილისი: მეცნიერება.

გოგოლაშვილი, გ. (2010). *ქართული ზმნა (ფორმაწარმოების საკითხები).* თბილისი: მერიდიანი.

თოფურია, ვ. (1955). „ნამყოს სახეობათა საერთო ნიშნისათვის ქართულში.“ *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება (ტომი VII*: გვ. 453-458). თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

იმნაიშვილი, გრ. (1955). „პირველ თურმეობითისა და სტატიკურ ზმნათა წარმოება ინგილოურში.“ *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება (ტომი VII*: გვ. 119-124). თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ნათაძე, ნ. (1955). „მესამე სერიის დრო-კილოთა წარმოებისათვის ქართულში.“ *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება (ტომი VII*: გვ. 81-100). თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ფაღავა, მ. (2020). რედ-ები: ცინცაძე მ. ბარამიძე მ. ჩოხარაძე მ. შიოშვილი თ. ხალვაში რ. მგელაძე ნ. შაშიკიძე ზ. ჩხვიმიანი ჯ. კარალიძე ჯ. *ტაო.* ბათუმი: მერიდიანი.

ფეიქრიშვილი, ჟ. (2007). *მესამე სერიის მწკრივები ახალ სალიტერატურო ქართულში.* თბილისი: ჯანსულ ღვინჯილია.

ფუტკარაძე, შ. (1993). *ჩვენებურების ქართული, წიგნი პირველი.* ბათუმი: აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა.

ფუტკარაძე, შ. (2016). *ჩვენებურების ქართული, წიგნი მეორე.* ბათუმი: აჭარა.

ქავთარაძე, ი. (1955). „დრო-კილოთა მესამე სერიის წარმოების ერთი თავისებურება ახალ ქართულში.“ *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება (ტომი VII:* გვ. 61-79). თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემისს გამომცემლობა.

შანიძე, ა. (1973) .*ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, მეორე გამოცემა.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ჩიქობავა, არნ. (1955). „აწმყოს ფუძის წარმოქმნის ისტორიისათვის. -ავ, -ამ და -ევ, -ემ სუფიქსთა ისტორიული ურთიერთობა.“ *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება (ტომი VII:* გვ. 125-134). თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

References:

Arabuli A. (1984). *Mesame seriis nakvteulta tsarmoeba da mnishvneloba dzvel kartulshi [The prodaction and meaning of the third series of fragments in Old Georgian], (in Georgian).* Tbilisi: Metsniereba.

Chikobava Arn. (1955). „Atsmqos pudzis tsarmokmnis istoriisatvis. -av, -am da -ev, -em supiksta istoriuli urtiertoba [For the history of the formation of the present stem. The historical relationship of the suffixes -av, -am and -ev, -em],“ (in Georgian). *Iberiul-kavkasiuri enatmetsniereba (vol. VII*: 125-134). Tbilisi.

Gogolashvili G. (2010). *kartuli zmna (formatsarmoebis sakitkhebi) [Georgian verb (formation issues)], (in Georgian).* Tbilisi: Meridiani.

Imnaishvili Gr. (1955). „Pirvel turmeobitisa da statikur zmnata tsarmoeba Ingilourshi [The first generation of infinitive and stative verbs in Ingiloian],“ (in Georgian). *Iberiul-kavkasiuri enatmetsniereba (vol. VII*: 119-124). Tbilisi.

Kavtaradze I. (1955). „Dro-kilota mesame seriis tsarmoebis erti tavisebureba akhal kartulshi [One of the features of the third series production in the New Georgian],“ (in Georgian). *Iberiul-kavkasiuri enatmetsniereba (vol. VII*: 61-79). Tbilisi.

Natadze N. (1955). „Mesame seriis dro-kilota warmoebisatvis kartulshi [For the prodaction of the third series in Georgia],“ (in Georgian). *Iberiul-kavkasiuri enatmetsniereba (vol. VII*: 81-100). Tbilisi.

Paghava M.., (2020). Tsintsadze M. Baramidze M. Chokharadze M. Shioshvili T. Khalvashi R. Mgeladze N. Shashikidze Z. Chkhvimiani J. Karalidze J.. *Tao*. Batumi: Meridiani.

Peikrishvili Zh. (2007). *Mesame seriis mtskrivebi akhal saliteraturo kartulshi [Third series of lines in the new literary Georgian], (in Georgian).* Tbilisi: Jansugh Ghvinjilia.

Putkaradze Sh. (1993). *Chveneburebis kartuli, tsigni pirveli [Chveneburebis Georgian, book one], (in Georgian).* Batumi: Adjara Magazine and Newspaper Publishing House.

Putkaradze Sh. (2016). *Chveneburebis kartuli, tsigni meore [Chveneburebis Georgian, book second], (in Georgian).* Batumi: Ajara.

Shanidze A. (1973). *Kartuli gramatikis sapudzvlebi, I, Meore gamotsema [Fundamentals of Georgian Grammar, I, Second Edition], (in Georgian).* Tbilisi: Tbilisi University Publishing House.

Tofuria V. (1955). „Namqos sakheobata saerto nishnisatvis kartulshi [For the common sigh of present tense types in Georgian],“ (in Georgian). *Iberiul-kavkasiuri enatmecniereba (vol. VII*: 453-458). Tbilisi.

FOR THE FORMATION OF THE PERFECT IN THE TAOIAN DIALECT

TEONA MATCHAVARIANI
PhD Student at Akaki Tsereteli State University
E-mail: tmachavariani6@gmail.com
ORCID: 0009-0000-7253-2709

TINATIN MILORAVA
PhD Student at Akaki Tsereteli State University
E-mail: Tinatin.milorava@yahoo.com
ORCID: 0009-0008-3034-525X

Abstract: Series III in Georgian is characterized by a number of morphological and syntactic peculiarities. It is mentioned in the special literature that the forms of the III group of tenses-mood are of later origin: they are based on the present tense forms of the static verb (Arn. Chikobava, 1948; A. Shanidze, 1953...). This is the case both in literary Georgian and dialects.

The research aims to study the cases of the formation of the perfect forms in the Taoian dialect and the presentation of similar or different facts in relation to the Georgian literary language and other dialects.

In our research, we rely on new dialect texts, which were recorded in Tao by the employees of the Tariel Putkaradze Scientific Research Center of Kartvelology of Akaki Tsereteli State University, including us, in 2007-2024. Also, we have processed published Taoian texts (Putkaradze 1993; Faghava... 2007; Tao 2020).

Transitive and intransitive verbs produce the perfect in different ways:

I**. Among the transitive verbs,** the forms with -**av, -am** theme marks represent some peculiarities. For these types of verbs, the roots of the present and future verb forms are of significant importance in the perfect screeve. In this regard, the diversity of verb forms in the Tao dialect can be observed. The production marked with **-av** and **-am** suffixes is confirmed, but forms ending in **-ia** predominate: ***duudgams, diminakhavs, dimitesia, diminaqia, shimisvia, chimitsmia, uskvian „urtqams“ (“hits“).***

There are often cases when verbs without a theme marker and flexible roots are formed with the suffix **-am,** also, the alteration of the theme markers is not uncommon.

In the research dialect, verbs ending in **-i-a** rarely include **nari** in the perfect: ***davitsqnia, gamaqidnia , gamaqrevnia.***

II. In Taoian, the perfect forms of intransitive two-argument verbs are rare, they are produced like literary Georgian. The following cases are confirmed: ***mkonia*** *(I had had),* ***hkonia*** *(he/she had had)****, konebia, qokia, hqolia, hqolian.***

One-person verbs, similar to the Georgian literary language and other dialects, are used descriptively: ***davtsolilvar*** *(I have laid down),* ***davtsvenilvar, danakhul var*** *(I have seen),* ***gagonili makva*** *(I have heard****).*** We also find verbs ending in **-ia suffix:** ***mitiria*** *(I have cried),* ***miarenia*** *(I have walked).*

It can be said that the Tao dialect, in the conditions of many centuries of existence in the Turkish language environment, still maintains the common Georgian line of linguistic development, and this can be seen in the formation of verb forms.

Key words: Georgian Language; Taoian dialects; The third series; Perfect.

* * *

Introduction / Review of sources, literature. The III series of verbs in Georgian are distinguished by a number of morphological and syntactic features. It is noted in the scientific literature that the forms of the III group of tenses are of later origin: they are based on the present tense forms of the stative verb

(Natadze, 1955: 98; Shanidze, 1973: 222; Chikobava, 1964: 126). Cf.: Avtandil Arabuli thinks differently. **The scientist believes that there is a solid basis for considering a stem in the past habitual tense as the origin for the formation of the perfect.** In several forms, it is possible to see a stem shared with the stative verb (Arabuli, 1984: 34).

In the article, we discuss the cases of the formation of the perfect in the Taoian dialect; we present similar or different facts in Taoian in relation to the Georgian literary language and dialects. In the research, we rely on the material recorded in Tao between 2007 and 2024 by the employees of the Akaki Tsereteli State University's Prof. Tariel Putkaradze Scientific Research Center for Kartvelology; we have also used published texts (Putkaradze 1993, Tao /Paghava, Tsintsadze, Beridze/ 2020).

Methodology. Various methods have been used while working on the article. In particular, we described the cases of the use of the perfect confirmed in the Taoian dialect using the descriptive method; by the comparison-contrast method we presented the similarities and differences with other dialects of the Georgian language; applying the method of analysis and synthesis helped us study the cases of the formation of the perfect with different types of verbs.

Reasoning/Results.

Transitive and intransitive verbs form the perfect in different ways:

1. The formation of transitive verbs differs according to thematic suffixes. In Taoian, the subject of **the second series** of transitive verbs is based on the verbs with thematic suffixes **-ob, -eb**. In general, the suffixes **-ob** and -**eb** are attached to the verbs in the present-future screeves and, as a rule, are not carried over into the perfect.

-ob: zaba **umushavia** komo**;** ik **umushavian, usakmian** (They have worked there**);** ikidni **ulotsian** (They have prayed there)**; ukitkhnia** baghvobi khan (exped. mater.).[1]

-eb: emeni ar **gamigdia,** da reiga viri sheikna**;** quri ar **dimigdia** (I have not listened). eida, **dimigdia, dimigdia;** kedeli ar **chumughian**, kva ar **gumughian** (exped. mater.).

The **-av, -am** suffixed forms exhibit a number of peculiarities. For this type of verbs, the stem in the present indicative and future indicative subseries is the basis for the perfect. In general, if the verb is suffixed in the present tense, it will have the subject marker in the perfect as well. In the Taoian dialect, cases of the **-av** suffixed inflection are rare.

-**av:** is ar **minakhavs** mere (I have not seen him afterwards); ki, gamigonia, vitsi da ar **diminakhavs** (Yes, I have heard, I know, but I have not seen him**)** (exped. mater.).

The -**av** and **-am** formants are mainly replaced by the **-i-a** ending:

-av <-ia:

hava, ar **diminakhia**; pur **dimitesia** da, keri **dimitesia,** tsertsvi **dimitesia,** lebio **dimitesia** (I have sown bread, and I have sown barley, I have sown broad beans, I have sown beans); veghar **migviklia** akhla, iasaghia; datvi shekhvedria, **muuklia** (He met a bear, and killed it); gurjebi tsasula, **dumalia** (They have hidden them); tiva movtibet gushin da chala a **giggvikenkia** (exp. mater.).

-am < -ia:

me a **shimisvia** da (I have not drunk); iokh, pantol ar **chimitsvia**; iani, para qnasa zamtarchi da, ima **shuusvia** (exped. mater.).

The verb **'tkma' (<tkuma)** ('to say') is represented with **-ia** ending:

tkva – utkvia (has said): kalistun ve **utkvia** (He has said to the woman); chem baaze ram **gitkvia**, tkuili iko tu martali (What you said about me, was it a lie or the truth?) (exped. mater.); **utkvia** tamar qalsa (Said Tamar) (Putkaradze, 1993: 176).

[1] Expedition material – dialect material recorded within the framework of dialect expeditions organized in Tao in 2007-2024 by the Professor Tariel Putkaradze Scientific-Research Center of Kartvelology at the Faculty of Humanities of Akaki Tsereteli State University.

tkma – utkmia (to say – said): balkhur **utkmia**, qi, meo erti viri mkavso; bichi chamsa, ima **utkmia** qi;

In Taoian speech, as we have noted, similarly to other dialects, forms ending in **-ia** suffix are quite common. According to the material we have processed, in the perfect tense, forms ending in **-ia** predominate over forms with **av/-am** suffixes. In this case, the stem of the II series seems to be basic.

Illustrative examples:

veghar **gvimziria,** ise darcha**;** vera **gviknia** ra; vardqvaili **chuqria;** sakhl-kari **duqria**; tsukhel ar **dudzinia;** ati didi kodi akiduli **gudmuqvania**; imis mompreli **upovia**, i **gumuqvania**; ghami **guvlia** mezar (exped. mater.).

Cf.: Sh. Putkaradze and M. Paghava also point out the abundance of forms ending in **-ia** in the perfect (Putkaradze, 2016: 299; Paghava.., 2020: 747).

The emergence of the **-ia** ending is generally explained by the tendency of unification. In the formation of the perfect, the process of unification in dialects proceeded in two directions, namely: a) in the Kartli, Kakhetian, Imerian, Gurian, Adjarian... dialects, the **-ia** ending prevailed and the **-av, -am** suffixes reduced; b) in the Pkhoian dialects (in Khevsurian, Mokheuri, Tushuri...) the -**av** (-iv) marking production prevailed (Topuria, 1955: 458).

In Taoian, the -**nari** suffix is inserted into verbs ending in **-i-a** in the perfect. For example:

iaras adzlevs isa da veghar **guutrevnia**; ikedan ki **gamuuktsevnia**, gadmosula sopelshi; ghelidan kva **utseknia** ika; aqobai ase **motatsnia** ase, e tsine [khlei – hand] **muukhvevnian** (exped. mater.); utquams, isini **gamaqidnia** am sakmemao (Putkaradze, 1993: 176); ar **dulaparknia** dekac (Pahgava..., 2020:748).

Forms involving **-n** are found in other dialects as well, and are also attested in Old Georgian: upov**n**ies (has found) …

There are different opinions about the **-n** suffix in the specialized literature; one part of the scholars (Iv. Kavtaradze, Arn. Chikobava, Sh. Dzidziguri) believes that it initially appeared in Kartl-Kakhetian as a verb root generator, and then was used to differentiate transitive and intransitive verbs. Some dialects (Khevsurian, Tushian, Lechkhumi, Rachuli, Imerian, Gurian) do not know the **-n** suffix at all. Therefore, it is still not widespread in contemporary Georgian speech (Kavtaradze 1955: 74).

In the perfect form, the suffix -**an** is often used instead of the plural suffix **-t:**

Thakhtha ar dungrevnian, kedeli ar chumughian, kva ar gumughian, gupretsian; ertsats khma gumughian, balkhelta bevri; dedeeb ushenebian, a maksovs; eger sheker mutsemian; iskamze dukochebian, ase gudubrunebian, avadneveli katsi, ik momkvdara, dokhtur ver chustsrian; tskheni tsuqvanian iusufelshi. (exped. mater.).

Verbs with inflected stems in the speech of the Tao Georgians form the perfect based on the perfect continuous stem. Accordingly, the vowel **e** appears in the stem:

tvalebi ve **gimikhelia**; zati ghame **gimitevia**; iokh, qoldghe ver **dimicheria** ki, qoldghe; shindi **dimikrepia;** chemi dekatsi **shegitqepiao** (exped.mater.).

The majority of verbs with the **-eb** ending are based on the present tense stem in the perfect. Usually, the -**eb** suffix is preserved:

imas ar **muktinieba** (cf. present tense: akvdinebs); **dukochebien** (akochebs), ase **gudubrunebian** (abrunebs), avadnevli katsi; dedeeb **ushenebian** (ashenebs), a makhsovs; dzvelidam guketebian (aketebs) mezerlughi (exped. mater.).

Parallel to the above-mentioned inflection, there are rare cases in the Taoian speech when verbs forms are represented without suffixes. In such cases, the perfect is based on the imperfect base forms:

anai sam tseltsad ar **dujeria** (cf. present: ijerebs); tsukhel ar **dudzinia** (idzinebs); ver **momigonia** (igonebs) (exped. mater.).

2. The derivation of **intransitive** verbs differs depending on whether the verb is bi-personal or uni-personal. Perfect forms of intransitive bi-personal verbs in Taoian are formed descriptively, like in literary Georgian. Corresponding forms are rare. Examples:

ver mimkhvdarvar ki, ratskha amboph; imisi dermania (tsamalia), amisi ari, ar ujeravar mea (exped. mater.).

Cf.: In Old Georgian, the formation of intransitive bi-personal verbs was organic: the suffix **-ie** (dahmalvie, dahmalvies) was used as a marker of the screeve (Peikrishvili 2007: 67).

Uni-personal verbs in Taoian, like in the Georgian literary language and other languages, are formed descriptively: the first and second persons are marked by the auxiliary verbs: **var, khar**:

Ar **gatkhoulkhar,** [r]atom ar **gatkhoulkhar**? Chem anai, ishta, damchala martoi, pakhirobit **gavzdilvar;** ik **davbadulvar** mea; katarze ak ar **tsavsulvart**; akhla davberdi, vegharsad **tsavsulvar;** akhla ik ver **gavsulvar** (exped. mater.).

With the third person forms, the auxiliary verb is presented in a truncated form:

bashtan ase **akidula** ik mivkavdit utsin; **momktara** keabavri, **chasula** ika komo mezershi o, eliaskhev **chasula;** fid tve qopila, sakhla **mosula**, sakhla mosula ki; zati, **tsasula;** ama **dabechebula** ki, me dilaze tskheni vaitu tskheni tsemevqvane; ara begheli, sakhli dangrevla, **gapretsila** (<gapkhretsila); ase **modrekilan**, katsebi **mokrepulan**, ukidian (exped. mater.).

In Taoian, the formation of participle is characterized by a number of peculiarities, which is also evident in the forms of uni-personal verbs in the perfect:

ak **dabadula** chemi dedey (cf. participle: dabaduli 'dabadebuli' „born**"**); ikedam ki tsamosulan ase, ik **damrchalan** (damrchali 'darchenili' 'stayed'); atdaerti, eida, **damchala**, ishta (exped. mater.).

Examples from published texts:

Mitsa chamosula, avsila (Paghava..., 2020: 748) (avsili 'avsebuli' – 'filled'); zovli muslimani damchalan batumze (ibid.:); vinme ar damchala, tsesulan (ibid.:753).

Similar forms are recorded in a number of dialects (Imer., Lechkh.).

In conclusion, it can be stated that the speech of the Tao Georgians, in terms of the formation of the perfect, demonstrates the main regularities characteristic of the Georgian literary language and its dialects. Despite its centuries-long existence within a Turkish linguistic environment, the Tao dialect has preserved the general line of development typical of the Georgian language, which is also evidenced by the formation of its verbal forms.

References:

Arabuli A. (1984). *Mesame seriis nakvteulta tsarmoeba da mnishvneloba dzvel kartulshi [The prodaction and meaning of the third series of fragments in Old Georgian], (in Georgian).* Tbilisi: Metsniereba.

Chikobava Arn. (1955). „Atsmqos pudzis tsarmokmnis istoriisatvis. -av, -am da -ev, -em supiksta istoriuli urtiertoba [For the history of the formation of the present stem. The historical relationship of the suffixes -av, -am and -ev, -em]," (in Georgian). *Iberiul-kavkasiuri enatmetsniereba (vol. VII*: 125-134). Tbilisi.

Gogolashvili G. (2010). *kartuli zmna (formatsarmoebis sakitkhebi) [Georgian verb (formation issues)], (in Georgian)*. Tbilisi: Meridiani.

Imnaishvili Gr. (1955). „Pirvel turmeobitisa da statikur zmnata tsarmoeba Ingilourshi [The first generation of infinitive and stative verbs in Ingiloian]," (in Georgian). *Iberiul-kavkasiuri enatmetsniereba (vol. VII*: 119-124). Tbilisi.

Kavtaradze I. (1955). „Dro-kilota mesame seriis tsarmoebis erti tavisebureba akhal kartulshi [One of the features of the third series production in the New Georgian]," (in Georgian). *Iberiul-kavkasiuri enatmetsniereba (vol. VII*: 61-79). Tbilisi.

Natadze N. (1955). „Mesame seriis dro-kilota warmoebisatvis kartulshi [For the prodaction of the third series in Georgia]," (in Georgian). *Iberiul-kavkasiuri enatmetsniereba (vol. VII*: 81-100). Tbilisi.

Paghava M.., (2020). Tsintsadze M. Baramidze M. Chokharadze M. Shioshvili T. Khalvashi R. Mgeladze N. Shashikidze Z. Chkhvimiani J. Karalidze J.. *Tao*. Batumi: Meridiani.

Peikrishvili Zh. (2007). *Mesame seriis mtskrivebi akhal saliteraturo kartulshi [Third series of lines in the new literary Georgian], (in Georgian)*. Tbilisi: Jansugh Ghvinjilia.

Putkaradze Sh. (1993). *Chveneburebis kartuli, tsigni pirveli [Chveneburebis Georgian, book one], (in Georgian)*. Batumi: Adjara Magazine and Newspaper Publishing House.

Putkaradze Sh. (2016). *Chveneburebis kartuli, tsigni meore [Chveneburebis Georgian, book second], (in Georgian)*. Batumi: Ajara.

Shanidze A. (1973). *Kartuli gramatikis sapudzvlebi, I, Meore gamotsema [Fundamentals of Georgian Grammar, I, Second Edition], (in Georgian)*. Tbilisi: Tbilisi University Publishing House.

Tofuria V. (1955). „Namqos sakheobata saerto nishnisatvis kartulshi [For the common sigh of present tense types in Georgian],“ (in Georgian). *Iberiul-kavkasiuri enatmecniereba (vol. VII*: 453-458). Tbilisi.

ეგვიპტური სახე-სიმბოლოები ქართულ მწერლობასა და ხელოვნებაში

ნაილე მიქელაძე
ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის
ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის
სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი,
ელფოსტა: naile.mikeladze@bsu.edu.ge
ORCID: 0009-0009-5458-5191

ჯემალ მიქელაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის
განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი
jemal.mikeladze140@gmail.com
ORCID: 0009-0003-3730-6089

აბსტრაქტი: წარმოდგენილ თემაში საუბარია ვეფხვის სახე-სიმბოლოზე ქართულ მწერლობასა და ხელოვნებაში. ეგვიპტური ელემენტები ქართულ ხელოვნებაში ოდითგანვე ფართოდ იყო გამოყენებული, რომლებიც ასახავდა ამა თუ იმ კულტურის ისტორიას. კვლევათა მიხედვით, ვეფხვის სახე-სიმბოლო გვხვდება ეგვიპტურ, ბერძნულ, შუმერულ და სხვათა მწერლობასა და ხელოვნებაში. ამ სიმბოლოს საქართველოში ოდითგანვე განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა, როგორც წარმართულ, ასევე ქრისტიანულ რელიგიაში. არსებობს მრავალი საინტერესო დეტალი, რომლებიც ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს იმას, რომ ქართველებსა და ეგვიპტელებს შორის ოდითგანვე არსებობდა კავშირები, რომლებმაც გამოხატულება პოვა ქართულ კულტურაში. თუმცა აქვე ისიცაა აღსანიშნავი, რომ ვეფხვის სიმბოლოს უძველეს ქართულ რწმენა-წარმოდგენებში, ხალხურ სიტყვიერებაშიც ეძებნებოდა ფესვები.

ამდენად, ქართულ ეპოსს მრავლად მოეძებნება პარალელები მსოფლიო კულტურის ძეგლებში. იეროგლიფები, პირამიდები, ღმერთები, ფარაონები, სარკოფაგები, მათზე გამოსახული სურათები, სცენები ერთხელ კიდევ გვაახლოებს ეგვიპტური ცივილიზაციის უნიკალურობასთან. ყოველივე კი ცხადყოფს ქართულ-ეგვიპტური რეალიების უწყვეტ არსებობას.

საკვანძო სიტყვები: სახე-სიმბოლო, ეგვიპტე, საქართველო, ვეფხვი, ჯიქი, ტრადიციები, მითები, სამოსი.

* * *

შესავალი: მითოსის, პოეზიის, ლიტერატურის, ხელოვნების ურთიერთკავშირს, ურთიერთმიმართების დადგენას, ოდითგანვე განიხილავდნენ მეცნიერები. მითოსს, განიხილავდნენ როგორც ნიადაგს, საიდანაც აღმოცენდა ხელოვნება, პოეზია და სხვ. ვინაიდან მხატვრული აზროვნება კაცობრიობის განვითარების უადრეს ეტაპებზე მითოსის ფორმით ვლინდებოდა, რასაც განაპირობებდა რელიგიური ცნობიერება. ფარაონების ქვეყანა, ეგვიპტე სავსეა წარმოუდგენელი სიუჟეტებითა და სიმბოლოებით. უძველესი ეგვიპტის ცივილიზაციამ ათასეული წლის წინ ისტორიული ჩანაწერების კვალი დატოვა. ძველი ეგვიპტის მითოლოგია სავსეა მითოლოგემებით. მათი ისტორიის უმეტესი ნაწილი გადამოწმებადი ფაქტების ნაზავს წარმოადგენს. მათ შორის ის მითები, რომლებსაც ძველი ეგვიპტელები იყენებდნენ. ყურადსაღებია, ის ფაქტი, რომ მათ ბევრი რამ აქვთ საერთო ქართულ ხელოვნებასა თუ ლიტერატურაში.

მსჯელობა: გლობალური ტექნოლოგიების სამყარომ შეცვალა ადამიანთა რწმენა-წარმოდგენები, დამოკიდებულებები რიგი საკითხებისადმი. დღეს 21-ე საუკუნის თანამედროვე ლიტერატურათმცოდნენი თვლიან, რომ სწორედ „მითოსა და მეტაფორაში მჟღავნდება დანიშნულება და ფუნქცია ლიტერატურისა“ (Widengran, G 1965: 160, 209).

საყოველთაოდაა აღიარებული, რომ ეგვიპტის კულტურა უდიდესი საზრდოა მსოფლიო კულტურისა. ასევე არსებობს კვლევებიც, რომლებიც ერთხელ კიდევ ცხადყოფს მის უნიკალურობას. მისი იეროგლიფები, სახე-სიმბოლოები და ზოგადად კულტურა არეკლილია მთელი მსოფლიოს მწერლობასა თუ ხელოვნებაში. ამ მხრივ საქართველო ერთ-ერთი იმათგანია, რომელიც აქტიურად იყენებს უძველესი ცივილიზაციის მონაპოვარს. ნამდვილად, „გასაოცარი საგანძურია – უძველესი ეგვიპტე“, რომელიც უხსოვარი დროის სამყაროსა და მის საიდუმლოებებში გამოგზაურებს. შთამბეჭდავია აკლდამები და იქ გამოსახული სცენები, რომლებიც მეფეთა ცხოვრების, გარდაცვლილთა სულების, ღვთაებებისა და ქურუმთა ცხოვრებას მოგვითხრობს.

მითოსსა და უძველეს ლიტერატურულ ნაწარმოებებში, ეგვიპტურ სცენებში ვეფხვის ტყავს მრავალმხრივი სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა. კერძოდ, მისი დატვირთვა მეფეთა, ქურუმთა და ღვთაებათა შესამოსელში გამოიხატებოდა. „ვეფხვი სიამში, ჩინეთში, ბირმასა და სხვა ქვეყნებში ძლიერების სიმბოლოდ ითვლებოდა. ვეფხვის ტყავით არიან მოსილნი აღმოსავლური ღვთაება ტარჰუ, ამინდისა და ჭექა-ქუხილის ღმერთი, აზიის უძველესი გმირი – ბესი, შუმერული მითოსის გილგამეში, „ილიადასა“ და „შაჰ-ნამეს“ გმირები. პინდარეს მეოთხე ოდაში იაზონი მოხსენიებულია ვეფხისტყაოსან რაინდად. დიონისეს ეტლში ვეფხვები არიან შებმულნი და თავადაც ვეფხვის ტყავით არის შემოსილი. ინდურ საგებში შივას მეუღლე – შაკტი ამხედრებულია ვეფხვებზე (ადამიანური ვნებების განსახიერებაზე), რომლებიც მას შეუძლია გაათავისუფლოს ან დაიმორჩილოს. შივას დასამარცხებლად ძველმა ბრძენკაცებმა შექმნეს საშინელი ვეფხვი, მაგრამ შივამ მოკლა იგი და მისი ტყავით შეიმოსა. http://literaturatmcodneoba.tsu.ge

ვეფხვის სიმბოლოს რომ უძველესი დროიდან ეძებნება ფესვები, ამაზედ აღარავინ დავობს. ჩვენი კვლევის საგანი კი ეგვიპტურ-ქართული სახე-სიმბოლოებია. საყოველთაოდაა აღიარებული ზოგადქართულ თუ მსოფლიო მწერლობაში, რომ ვეფხვი ფშავ-ხევსურული ფოლკლორული მასალების მიხედვით საკრალურია.

ამ საკითხებს დეტალურად განიხილავს ზვიად გამსახურდია თავის წიგნში „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“, რომელშიც ავტორი სხვა საკითხებთან ერთად საუბრობს აღნიშნულ თემაზე. ზვიად გამსახურდიას აზრით, ვეფხის სიმბოლიკასთან დაკავშირებული მითები, უძველეს, მცირეაზიურ კულტურებთან გვაკავშირებს. და ხაზს უსვამს მის ეტიმოლოგიასა და გენეზისს წარმართულ რწმენა-წარმოდგენებთან. მისი აზრით: „ვეფხი უფრო ბნელის და ახალი მთვარის სიმბოლიკას ენათესავება. ვეფხის ტყავი კი სიმბოლოა სამეფო ინიციაციისა, ვინაიდან დაკავშირებულია შობასთან და ხელახლა შობასთან. ინიციაციაქმნილ ადეპტს ამიტომ ეწოდება „ორგზის შობილი“. ეგვიპტურ იეროგლიფებზე იეროგლიფებზე სამი ურთიერთგადაჭდობილი ვეფხის ტყავი ნიშნავს „შობას“, აგრეთვე უკავშირდება სიტყვებს: „ჩასახვა“, „ზრდა“, „ყრმა“, საერთოდ ფორმირებას. ძველ ეგვიპტეში არსებობდა ინიციაციური იტუალი ვეფხის ტყავში გასვლისა, რომელსაც გადიოდნენ ფარაონები და ქურუმნი გასაჭაბუკებლად, სულიერი სიბრძნის მისაღწევად. იგივე რიტუალს გადიოდნენ შაჰ-ნამეს მითური პირველმეფე და პირველ-კაცი ქეიუმარსი და მისი ქვეშევრდომნი, რომელნიც გაძლიერდნენ და დაბრძენდნენ მას შემდგომ, რაც ქეიუმარსმა ვეფხის ტყავები ჰმოსა მათ. შემდეგში ეს რიტუალი შესცვალა ე. წ. მულაკრუმმა, ანუ მიმსგავსებამ, და ბოლოს შემორჩა მხოლოდ ვეფხის კუდი, რომელსაც წელზე ირტყამდნენ მეფეები. ანალოგიური რიტუალები არსებობდა სხვა ცხოველების ტყავებზეც, რაც დამოკიდებული იყო ტოტემურ მოყენებაზეც და უკავშირდებოდა ტყავის სიმბოლიზმს Engn.e11 1.,-Studies in Divine Kingship, London, 1987. ინიციაციური რიტუალია სამხედრო – დერვიშულ ორდენებში აგრეთვე ტყავზე ჯდომა, რომლის ტექნიკური ტერმინია ახალ-სპარსული post-nisin). გავიხსენოთ, რომ ტარიელი არა მარტო ატარებდა ვეფხის ტყავის კაბას, არამედ ვეფხის ტყავის ნატებზე ჯდებოდა ხოლმე: მან ქალმან ქვეშე დაუგო ვეფხის ტყავისა ნატები.

ძველეგვიპტურ მისტერიებში მეფე, ფარაონი ვლებოდა ჰორუსად, რომელიც არის სამყაროს უფალი, ციური ღმერთი, აპეპ გველის, ე. ი. სიბნელის მკვლელი, – მიმართავენ უშუალოდ, როგორც

ჰორუსს და მოელიან (H. Frankfort, მისგან ყოველივე იმას, რაც მოსალოდნელია ღვთისაგან kfort, Kingship and the Gods, London, 1969). (გამსახურდია, 1991:190-191).

ნიშანდობლივია, ძველ ეგვიპტურ ფარაონთა მეტამორფოზა, რომელიც ისევ და ისევ ვეფხვის სიმბოლოსთანაა კავშირში. სწორედაც: „მითოლოგიაში ბნელის სიმბოლიკას უკავშირდება და თავისი ერთ-ერთი ასპექტით შეესაბამება სულის ბნელს, ქვენა ინსტიქტებს, ინდურ ტამასს (მსგავსი სიმბოლია აგრეთვე დანტეს ღვთაებრივი კომედიის ვეფხი და აპოკალიფსური მხეცი ვეფხის სახისა). ყურადსაღებია– „ელინურ მითოლოგიაში ვეფხის სახე, რომელიც დემეტრე-პერსეფონესთან და დიონისესთან დაკავშირებული ცხოველია. ამასთან არსებითი მნიშვნელობა როდი აქვს იმას, თუ ვეფხის რომელი სახეობი ფიგურირებს: ტიგრი თუ ლეოპარდი, ანუ პანტერა. კლეოფადრეს ნახატზე, მაგალითად, დიონისეს ზოლებიანი ტიგრის ტყავი აქვს მოსხმული, ეგვიპტის ქურუმები კი უპირატესად ლეოპარდის ტყავს ისხამენ. ქართული სიტყვა „ვეფხიც“ ორივეს აღმნიშვნელია. მთავარია ამ ცხოველის ბუნება და გარეგნობა, რაც ამოსავალი წერტილია მისი სიმბოლოდ გამოყენებისას (იქვე, 192). საყურადღებოა ისიც, რომ „ქრისტიანულ ლიტერატურაში ვეფხი პირველად გვხვდება იოანეს აპოკალიპსისში. ეს აშკარად ლეოპარდია πάρδαλις, გ. მთაწმინდელისეულ ქართულ თარგმანში „ვეფხი“ იხმარება, ინგლისურ თარგმანში leopard, ლათინურ თარგმანში panthera, რუსულ თარგმანში Gape და ა. შ. „და მხეცი იგი რომელ ვიხილე, იყო მსგავსი ვეფხისაი“ (გამოცხ. 13. 2)9 (იქვე, 192).

ქართულ სინამდვილეში დღემდე საკამათოა, ვეფხისტყაოსნის გმირის სამოსის, ტყავის ანუ ცხოველის სახელწოდება. ნაწილი ვეფხვს, ნაწილი ჯიქს, ნაწილი კი ავაზას სახელით მოიხსენიებს. ამ საკითხთან დაკავშირებით, საყურადღებოა, ლუიჯი მაგაროტოს ნაშრომი „ვეფხის მნიშვნელობა შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანში „სადაც საფუძვლიანად განიხილავს სიტყვა ვეფხვის ეტიმოლოგიურ წარმომავლობას: „რუსთაველი უძველეს სიტყვას ვეფხ-ი (თანამედროვე ქართულში ვეფხვ-ი) იყენებს ჯიქის/ავაზის მნიშვნელობით, რომელიც, მეცნიერული თვალსაზრისით, ერთსა და იმავე ცხოველს აღნიშნავს (Felis pardus, ამჟამად Panthera pard... იქვე დასძენს შოთა რუსთაველის (ან რუსთველის, როგორც თავად მიუთითებს) მიერ 1190 წელს შექმნილი ცნობილი პოემის სათაურის – ვეფხისტყაოსნის პირდაპირი თარგმანი გახლავთ „ვეფხისტყავიანი ჭაბუკი“ და იგი ყველა წამყვან ევროპულ ენაზე ითარგმნება, როგორც ავაზის – (ვეფხვის-) ტყავიანი კაცი (ბატონი, რაინდი). თუ რომელ ვარიანტს აირჩევს მთარგმნელი: კაცს, ბატონსა თუ რაინდს, მის ესთეტიკურ მრწამსზეა დამოკიდებული; სათაურის ზოგადი მნიშვნელობა ამით არ იცვლება. მეორე მხრივ, უფრო მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ თარგმნის მთარგმნელი ვეფხ-ს, როგორც ავაზას/ჯიქსა თუ როგორც ვეფხვს. მართალია, რომ ყველა შემთხვევაში ვსაუბრობთ კატისებრთა ოჯახის წარმომადგენელ ორ ცხოველზე, თუმცა ავაზას დაწინწკლული ბეწვი აქვს, ხოლო ვეფხვს – ზოლიანი. რა თქმა უნდა, ვეფხისტყაოსნის მთარგმნელებს კავშირი ექნებოდათ ინფორმანტებთან, მაგრამ როგორ მოხდა, რომ ზოგმა მათგანმა ვეფხ-ის ეკვივალენტად ავაზა ირჩია და ზოგმა კი ვეფხვი? (ლუიჯი მაგაროტოს, ვეფხის მნიშვნელობა შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანში“ http://kartvelologi.tsu.ge/public/ge

გამსახურდიას აზრით, „ცხადია, პოემის სახელწოდება მისი ერთ-ერთი მთავარი გმირის – ტარიელის სამოსელმა განაპირობა: „მას ტანსა კაბა ემოსა, გარე-თმა ვეფხის ტყავისა“. ე.ი. ეს კაბა იყო ვეფხვის ტყავისა, ისევე როგორც ქეიუმარსის და როსტომის სამოსელი (აღსანიშნავია, რომ ერთერთ სპარსულ ხელნაწერზე, რომელიც დაცულია ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის ბიბლიოთეკაში, მითური პირველკაცი, პირველმეფე ქეიმუარსი გამოსახულია ვეფხვის ტყავის კაბაში, თავის ვეფხვისტყაოსან ქვეშერდომებთან ერთად. იგი ზის ვეფხვის ტყავზე, წყლის პირად, ცხოვრების ხის ძირში, ხოლო მის მახლობლად, ერთი მისი ქვეშერდომთაგანი, ისიც ვეფხვისტყაოსანი, ეჭიდება ვეფხვს. ასეთსავე კაბაშია გამოწყობილი ტარიელი S-5006 ხელნაწერის მინიატურებზე, რომელნიც ორი უცნობი მხატვრის მიერ არის შესრულებული... (გამსახურდია, 1991:206-207)

ფრანგი მკვლევარი ლუიჯი მაგაროტო საფუძვლიანი არგუმენტებითა და მაგალითებით ასაბუთებს, რომ ვეფხვში მოიაზრებოდა ჯიქი//ავაზა. თუმცა იქვე სვამს შეკითხვას, „როგორ მოხდა, რომ ზოგმა მათგანმა ვეფხ-ის ეკვივალენტად ავაზა ირჩია და ზოგმა კი ვეფხვი? ყოველივეს კი მკვლევარი თავად ხსნის: „რუსთაველის პოემის სათაურის ერთ-ერთი საუკეთესო თარგმანი ეკუთვნის

ცნობილ პოეტს კონსტანტინ ბალმონტს (1867-1942 წწ.), რომელმაც იგი რუსულში გადაიტანა როგორც Nosiashchii barsovu shkuru (ის, ვისაც ჯიქის/ავაზის ტყავი აცვია). რუსულ ენაში ტერმინების – ჯიქისა და ავაზის პარალელურად არსებობს სიტყვა bars (რომელიც აღნიშნავს ორივე ცხოველს, როგორც ჯიქს, ისე ავაზას). სწორედ ამ სიტყვისგან მოდის ზედსართავი barsovyj, რომელსაც იყენებს ბალმონტი. სარწმუნოა, რომ ეს უკანასკნელი ტერმინი, რომელიც ორივეს – ავაზასა და ჯიქს აღნიშნავდა, რუსულში ძველი თურქული ტერმინიდან bārs შევიდა არაუადრეს XVI ს-სა. თურქული სიტყვა bārs ხეთური ძირიდან parš – უნდა მოდიოდეს, რომელიც აქ, თავის მხრივ, ირანულიდან დამკვიდრდა (pārs/fārs). ეს სიტყვა აღნიშნავდა მხოლოდ ჯიქს/ავაზას, ვინაიდან თურქული ტრადიციის მიხედვით, დიდი ზომის, დაწინწკლული ბეწვის მქონე კატისებრის თაყვანისცემა გვევლინებოდა უპირატეს, განსაკუთრებულ ნიშნად, რაც დასტურდება სამხრეთ ანატოლიის სოფელ ჩათალ ჰუიუკში აღმოჩენილი ნახატებით (VIII-VI ათასწლეული). მოგვიანებით, ლექსემა bārs-მა თურქულში ვეფხვის მნიშვნელობაც მიიღო, თუმცა რუსულ ენაში მხოლოდ ჯიქის/ავაზის მნიშვნელობით შევიდა (გამყრელიძე, თ. ივანოვი, ვ, „Indoevropejskij jazyk i Indoevropejcy“. Rekonstrukcija i istoriko-tipologicheskij prajazyka i protokul'tury, II, Izdatel'stvo Tbilisskogo Universiteta, Tb., 1984, გვ. 500-507). http://kartvelologi.tsu.ge

თანამედროვე ქართულ სივრცეში ვეფხის ტყავი ასოცირდება ვეფხვთან, თუმცა კვლევები სულ სხვა რამეს ცხადყოფენ. ერთი კია, რომ ვეფხვის//ჯიქის//ავაზას ტყავი ოდითგანვე ითვლებოდა ღვთაებრივ სამოსად და მას სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა. ასევე საინტერესოა, სიმბოლოთა ენციკლოპედიაში წარმოდგენილი განმარტება ვეფხვის სიმბოლოსთან დაკავშირებით: „ვეფხისტყაოსნის“ სამშობლოში უთუოდ მართებული იქნება, ვეფხვის სიმბოლიკა სწორედ რუსთველისეულის სახისმეტყველებით დავიწყოთ: ვეფხვის „მშვენიერი სახე“ ამ პოემაში ნესტანის სიმბოლოა და სასოწარკვეთილი, „ველად გაჭრილი“ ტარიელიც ამ ეგზოტიკური ცხოველის უცნაური სამოსითაა შემოსული; როგორც ვხედავთ, აქ ვეფხვი სრულყოფილ სილამაზეს, მაგრამ, იმავდროულად, მრისხანე, შეუპოვარ, დამოურჩილებელ ბუნებას განასახიერებს“ (აბზიანიძე, 2006: 74).

ბუნებრივია, ამ ტერმინთან დაკავშირებული გაუგებრობა გამოიწვია მწერლობასა და ხელოვნებაში შექმნილმა ნახატებმა, რომლებიც შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემებს დაერთო. მკვლევარი ლუიჯი მაგაროტო მსჯელობისას შენიშნავს: „შუა საუკუნეების არც ერთ მკითხველს არ გაუჩნდებოდა ეჭვი იმის შესახებ, თუ რომელ ცხოველს გულისხმობდა რუსთაველი ტერმინით *ვეფხ-ი*, რადგანაც XVI-XVII სს-ით დათარიღებულ ვეფხისტყაოსნის ხელნაწერს დართულ მინიატიურებზე ტარიელს მხარზე მუდამ მოსხმული აქვს დაწინწკლული და არა ზოლიანი ცხოველის ტყავი. პოემის სხვადასხვა ბეჭდურ ვერსიაში სხვადასხვა მხატვრების მიერ შექმნილ ილუსტრაციებზე გამოსახულია უცნობი რაინდი, რომელსაც მხრებზე ცხოველის დაწინწკლული ტყავი აქვს მოსხმული. ეს ტრადიცია გრძელდება, სულ მცირე, უნგრელი მხატვრის – მიხაილ ზიჩის (1827-1906 წწ.) მიერ შექმნილი ილუსტრაციების გამოჩენამდე. ყოველ შემთხვევაში, XXს-ში ქართველი მხატვარი სერგო ქობულაძე (1909-1978 წწ.), რუსთაველის პოემის დასურათების დროს რაინდს ზურგს უფარავს კატისებრთა წარმომადგენლის ზოლიანი ტყავით დაწინწკლულის ნაცვლად. რატომ გახდა საჭირო ასეთი რადიკალური ცვლილება? საქმე ის არის, რომ სულ მცირე XX ს-ის დასაწყისიდან ლექსემა ვეფხ-ი კარგავს ჯიქისა და ვეფხვის ორაზროვან მნიშვნელობას, მაგრამ იძენს ვეფხვის მნიშვნელობას და დღეს ყველა ქართველისათვის ვეფხვ-ი მხოლოდ ერთი – ამ მნიშვნელობით იხმარება. შესაბამისად, ქართველი მხატვარი, სერგო ქობულაძე, რაინდის მიერ მხარზე მოსხმულ ტყავის მფლობელი ცხოველის ინტერპრეტირებას ახდენს XXს-ის ქართველის ლინგვისტური პერცეფციის პოზიციებიდან“ http://kartvelologi.tsu.ge

ამ ორივე მოვლენას გაცილებით უფრო ძველი წყარო აქვს. ქართველი მეცნიერები მ. წერეთელი და ტ. მარგველაშვილი ვეფხვისტყაოსნის ფაბულას უკავშირებენ პრეისტორიული იაფეტიდების, პროტოკავკასიელების (გეორგიო-კავკასიელების) უძველეს საგას, რომელიც თავის მხრივ პრეიაფეტური მატრიარქატის ეპოქის კულტურიდან იღებს სათავეს და არეკლილია „გილგამეშიანში“ და სხვა ლომისტყაოსან და „ვეფხვისტყაოსან“ ჰეროსებში. (გამსახურდია, 1991: 206-207). ზვიად გამსახურდიას ეს მოსაზრება ეჭქვეშ აყენებს იმ საკითხსაც რომ ვეფხვისტყავის სიმბოლიკა წავიდა კავკასიიდან... კერძოდ იმოწმებს გამყრელიძისა და ივანოვის მოსაზრებებს „არქეოლოგიური

გათხრები ჩრდილოკავკასიაში ადასტურებენ, რომ ვეფხვი იყო ტოტემი პროტოქართული მოდგმის, ანუ იაფეტიდებისა (Georgica, 1936, London). იმავე საკითხს ეხმიანება თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი თავიანთ წიგნში „ინდოევროპელები“ (1985)(იქვე, 207).

ასევე ნიშანდობლივია და სიმბოლურია ისიც, რომ მას მარტო ხელოვნებისა და დამწერლობის მეფეები კი არა, მეფეთა ქურუმებიც ატარებდნენ. კერძოდ, „ეგვიპტეში ნეფერტიაბეტის სამარხის კედელზე გიზაში აღმოჩენილია სურათი, რომელიც 4500 წელს ითვლის. მასზე გამოსახულია ნეფერტიაბეტი, რომელიც ხელოვნებისა და დამწერლობის მფარველი ღმერთქალ სემატის ტაძრის ქურუმი იყო. ფრესკაზე მას ლეოპარდის ტყავის სამოსი აცვია, როგორც ღმერთქალს. ნახატზე ქურუმი ქალი დღესასწაულის მოლოდინშია აღბეჭდილი, რომელსაც მისი სული საიქიოში მოხვედრის შემდგომ მოელის.

ყურადსაღებია, ისიც, რომ რელიგიური თვალსაზრისით, საზოგადოების ნაწილი თვლიდა, რომ სასულიერო მწერლობისათვის მითოსი მიუღებელი იყო. თუმცა იყვნენ საეკლესიო თუ საზოგადო პირები, კერძოდ, ბასილი დიდი, რომელიც წერდა: „წარმართული მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებსაც ძალუძთ სულისთვის სარგებლობის მოტანა, მართებული წაკითხვის შემთხვევაში. ბასილი დიდი მოუწოდებს ახალგაზრდობას, დაეწაფონ ამგვარ ლიტერატურას, ვინაიდან, მისი თქმით, ასეთ წიგნებსაც შევყავართ საზეო ცხოვრებაში, რამე თუ გვავითარებენ მათში დაფარული საიდუმლო მოძღვრებით“ (Росад, 1802. 52-55).

წარმართულ-ქრისტიანულ ხასიათს ატარებს ფშავ-ხევსურეთში შემონახული ლექსი, რომელიც წმინდა გიორგის ბრძოლას, ვაჟკაცობასა და ჩაცმულობას ეხება:

გიორგივ ნუ გაიქცევი,
სამძიმარ მოგდევს ხელაო,
გიორგი არ გაიქცევის
ტ ა ნ თ კ ა ბ ა ა ქ ვ ი ს ჭ რ ე ლ ა ო.

ბუნებრივია, ზვიად გამსახურდიას კვლევა სწორედ ამ და სხვა საკითხებს ითვალისწინებდა, როცა ვეფხისტყავის სამოსის მაგიურ მნიშვნელობაზე საუბრობდა. კერძოდ, „ქეიუმარსის ქვეშევრდომებს ვეფხვის სამოსი ჰმატებდა ძალასა და სიბრძნეს, ძველეგვიპტელ ინიციანტს საზეო ცხოვრების ზიარად ხდიდა და მოასწაგებდა მის „მეორედ შობას“, ანუ ინიციაციას. ასეთივე მაგიური მნიშვნელობა ჰქონდა ვეფხის ტყავის ალამს რამას მხედრობისათვის, როგორც მისი ძლევამისილობის სიმბოლოს. XIX ს. ფრანგი მეცნიერი ა. სენტ ივ დ’ალვეიდრი აღნიშნავს: „საქართველოს ვეფხისტყავიანი ჰეროსი სათავეს იღებს რამას ეპოქიდან, რომლის დროშაც ვეფხის ტყავისაგან იყო შეკერილი“ (Schelling F. W., Introduction a la Philosophie de la My – thologie, I-II, Paris, 1945.) (გამსახურდია, 1991:207).

ზემოთ ციტირებული ხევსურული სარიტუალო ლექსიდან ცხადი ხდება, რომ „ჭრელი კაბა“, რომელიც ჰმოსავს გიორგის, მისი ძლევამოსილობის საწინდარია, იგი აძლევს მას სვეს, ძალას და შემართებას: გიორგი არ გაიქცევა, ვინაიდან მას „ტანთ კაბა აქვის ჭრელა“. ძნელი არ არის ამ „ჭრელა კაბაში“ ვიცნოთ ანტიურობის მზიური გმირის ჭრელი სამოსი, რომელიც ხშირად ვეფხის (პანთერას) ტყავისა იყო. (გავიხსენოთ აგრეთვე ბიბლიური იოსების ჭრელი სამოსის მნიშვნელობა და მისი შედარება ვეფხის ტყავთან ბასილი დიდის მიერ).

წმ. გიორგის იკონოგრაფიაში ძალზე იშვიათია კაბოსანი გიორგი. უმეტესწილად იგი გამოსახულია შეჭურვილი, აბჯროსანი მხედრის სახით. მაგრამ აურაცხელ ქართულ გამოსახულებებს შორის არის მცირედი გამონაკლისი, სადაც წმ. გიორგი კაბოსანია და ეს კაბა გვაგონებს სწორედ ვეფხის ტყავის კაბას. როდესაც წმ. გიორგი აბჯოსნად არის გამოსახული, როგორც წესი, აბჯარს მოკლე სახელოები აქვს (იდაყვებამდე) და თავად იგი, როგორც წესი, წელს ქვემოთ თითქმის არ ჩამოდის. ხირხონის X საუკუნის ჭედურ ხატზე კი წმ. გიორგის აცვია დაწინწკლული, თითქოს და ვეფხის ტყავის ერთიანი კაბა, რომლის სახელოებიც მაჯებამდე ერთგვაროვანია და იგი ქვემოთ, ჩექმებამდე უწევს მას (იხ. გ. ჩუბინაშვილი, ქართული ოქრომჭედლობა, თბილისი, 1959, ტ. II). წმ. გიორგის ასეთივე სამოსი გვხვდება ზოგიერთ სვანურ ხატებზეც (იხ. იქვე). ხოლო უფრო მოგვიანებით, XII –XIII საუკუნეებში, ვეფხისტყავისდარი დაწინწკლული ქერეჭები აქვთ დრაკონებს, რომელთაც გმირავს

წმ. გიორგი. ასევე მრავალძალის XI ს. წმ. გიორგის ეკლესიის სამხრეთი კედლის რელიეფზე წმ. გიორგი, ცხენზე ამხედრებული, შუბით კლავს დაწინწკლულ ვეფხს (და არა დრაკონს), რომელსაც ორი პატარა ფრთა აქვს.ეს ვეფხი დრაკონს არაფრით ჰგავს გარეგნულად. აქედან ცხადი ხდება, რომ ვეფხი დრაკონის სინონიმია წმ. გიორგის იკონოგრაფიაში (იქვე, 207).

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ჩვენი ზეპირსიტყვიერების წიაღში იშვა გენიალური პოეტური ნაწარმოები „ვეფხვისა და მოყმის ბალადა“, სადაც არა მარტო სიმბოლოზე შეიძლება შევაჩეროთ ყურადღება, არამედ ქართველი ქალის დიდსულოვნებასა და სიდიადეზე. მას უდიდესი დატვირთვა ჰქონდა ქართულ ზეპირსიტყვიერებაში. მოკლული, დაგლეჯილი შვილის დედა, მის შვილთან ერთად დასტიროდა ვეფხვს და თანაუგრძნობდა ვეფხვის დედასაც:

ხან იფიქრებდა: „უდედოდ
გაზდა ვინა თქვა შვილისა?
იქნება ვეფხვის დედაი
ჩემებრ დღედაღამ ტირისა?
წავიდ, მეც აიქ მივიდე,
სამძიმარ უთხრა ჭირისა.
ისიც მიამბობს ამბავსა,
მეც უთხრა თავის შვილისა,
იმასაც ბრალი ექნების
უწყალოდ ხმლით დაჭრილისა“
(https://www.aura.ge)

ხალხური შემოქმედების საგანძურში კარგად იკვეთება „ღვთაებრივი“, „პატივდებული“ ცხოველისადმი განსხვავებული მიდგომა და პატივისცემა, რომელიც ამ ლექსის ტაეპებში იკითხება. ამირან არაბულის აზრით: „ვეფხვისა და მოყმის ბალადას“ ზემოქმედების ძალას მატებს ისიც, რომ მოყმის დედა თანაგრძნობას უცხადებს არა ადამიანს, არამედ მხეცს, ეს კი ჰუმანიზმის ბევრად უფრო აღმატებული გამოხატულებაა. სხვათა შორის, ხევსურეთში არსებობს მსგავსი სიუჟეტის ამსახველი ბალადა (მოგეხსენებათ, ხალხური პოეზია განსაკუთრებით მთაშია დიდ სიმაღლეზე აზიდული). იყო ასეთი პიროვნება – მგელა ყურაულის ძე (ნამდვილი თუ მოგონილი, არ ვიცი). ერთხელ მან თავისი სოფლის სიახლოვეს, ქარაფებში ჩაიარა და იქ მძინარე ვეფხვი ნახა. ხმალი თან ჰქონდა და შეეძლო, მოეკლა, მაგრამ დაინდო და შეუძახა: „ადე, გაიღვიძეო“. ვეფხვმა გაიღვიძა, ისინი ერთმანეთს შეერკინნენ. მძინარე ვეფხვთან ბრძოლა კაი ყმის, ვაჟკაცის საკადრისი საქციელი არ იყო... დაუწერელი რაინდული კოდექსი გმირს გარკვეული წესებისა და ნორმების ზედმიწევნით დაცვას ავალდებულებდა და თუკი გმირი ამ წესებს დაარღვევდა, იგი ისჯებოდა. „ვეფხვისა და მოყმის ბალადაში“ ადამიანი და ცხოველი თანაბარნი არიან, როგორც ვაჟკაცობის, გმირული სულისკვეთების გამოვლინებანი და გამოხატულებანი.

დაბოლოს, რაში მდგომარეობს ამგვარი შინაარსის ნაწარმოებების და, საზოგადოდ, მხატვრული სიტყვიერების დანიშნულება? კითხვაზე მკვლევარი პასუხობს: „ქართული ლიტერატურა და ხალხური შემოქმედება ჩვენთვის არის ის, რასაც უნდა ვეჭიდებოდეთ, რათა ჩვენს სულში ვზარდოთ სიკეთისა და სათნოების ულამაზესი მცენარე. უამისოდ უდაბნოს დაემსგავსებოდა ჩვენი ისედაც გაუდაბურებული ყოფა https://karibche.ge/qristianuli-ckhovreba/qristianuli-khelovneba/745-iqneba.

ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ მე-20 საუკუნის ქართველი პოეტები მწერლები პერიოდულად უბრუნდებოდნენ ვეფხვის სიმბოლიკას. ყურადსაღებია, ჟურნალ „მეოცნებე ნიამორებში“ გამოქვეყნებულ გიორგი ლეონიძის ლექსი „ვეფხვი“; გალაქტიონ ტაბიძის ლექსი „გააფთრებული რომ იყოს ვეფხვი“; ასევე „პოემა ვეფხვისას“ (1926 წ. საინტერესოა აგრეთვე პოეტი სიმბოლისტის – ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსი „ვეფხვები საუზმობენ სამხეცოში“ (1928 წ.) და სხვ.

მაშასადამე, ქართულ ცნობიერებაში დღემდე მის სიმბოლიკას შემდეგნაირად განმარტავენ – ძალა, მძინვარება, მრისხანება, სილამაზე და სისწრაფე. ეს თვისებები იკვეთება ვეფხვის, როგორც ცხოველურ, ასევე ღვთაებრივ საწყისში.

დასკვნა: ამდენად, ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველების შესწავლისათვის საჭიროა ტიპოლოგიური პარალელების გავლება ანტიკური მითოლოგიის, პოეზიისა და შუასაუკუნოებრივი ლიტერატურის ნიმუშებთან. საჭიროა გარკვევა მითოპოეტური აზროვნების სპეციფიკისა, მითოლოგიური სახისმეტყველებისა, ხოლო შემდეგ მითოსის ზღაპართან, ხალხურ პოეზიასთან და მხატვრულ ლიტერატურასთან, რომლებიც განხილულია გერმანელი მეცნიერების: ჰერდერის, იაკობ გრიმის, კროიცერის, ვუნდტის აგრეთვე ახალი დროის მრავალ მკვლევართა შრომებში. მკვლევართა აზრით, ვეფხისტყაოსნის სიუჟეტურ-კომპოზიციური სტრუქტურა, პერსონაჟები, პოეტური სახეები, საჭიროებს დეტალურ ფუნქციურ ანალიზს მითოლოგიური სახისმეტყველების თვალსაზრისით, რათა სწორად ამოვიცნოთ ავტორისეული ჩანაფიქრი, ჭეშმარიტი დედა-აზრი პოემის (გამსახურდია, 1991:13)

ამრიგად, თანამედროვე კვლევა მიდის იქამდე, რომ მითოსი შეიცავს დაფარულ საზრისს, ფანტასტიკური სახეებისა და წარმოდგენების მიღმა არსებულს. სწორედაც, ამ საზრისის წვდომასა და გამოვლენას ისახავს მიზნად თანამედროვე მეცნიერული ანალიზი, თუმცა დღევანდელი რეალობა მაინც ვერ სწვდება ადამიანის კულტურული არსებობის ყველა საფეხურს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბზიანიძე... 2006: ზაზა აბზიანიძე, ქეთევან ელაშვილი, სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია“,ტომი I, გამ. „ბაკმი“, 2006 წ.)
2. გამსახურდია, 1991: ზვიად გამსახურდია, ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება, გამომც. „მეცნიერება“, თბ.,
3. Widengran, 1965: Widengran, G „Die Religionen irans, Stuttgart, 160, 209).
4. Engn, 1987: Engne11 1.,-Studies in Divine Kingship, London, 1987
5. Schelling, 1945: Schelling F. W., Introduction a la Philosophie de la My – thologie, I-II, Paris, 1945.
6. Росад, 1802: Сергиев Росад, Василии Великий, „Беседа юунишам о том как лучат ползу из язических сочинений“, 1802.

ინტერნეტ წყარო:

http://literaturatmcodneoba.tsu.ge
https://www.aura.ge
https://karibche.ge/qristianuli-ckhovreba/qristianuli-khelovneba

EGYPTIAN IMAGE-SYMBOLS IN GEORGIAN LITERATURE AND ART

NAILE MIKELADZE
PhD in Philology, Chief Researcher at the Niko Berdzenishvili
Institute of Batumi Shota Rustaveli State University of Batumi;
Professor at St. Tbel Abuseridze Educational University
of the Patriarchate of Georgia
E-mail: naile.mikeladze@bsu.edu.ge
ORCID: 0009-0009-5458-5191

JEMAL MIKELADZE
Researcher at the Niko Berdzenishvili Institute of
Batumi Shota Rustaveli State University
E-mail: jemal.mikeladze140@gmail.com
ORCID: 0009-0003-3730-6089

Abstract. The presented study discusses the image-symbol of the tiger in Georgian literature and art. Egyptian elements have long been widely used in Georgian art, reflecting various aspects of cultural history. According to research, the image-symbol of the tiger appears in Egyptian, Greek, Sumerian, and other literary and artistic traditions. In Georgia, this symbol has held special significance since ancient times – both in pagan and Christian religious contexts. Numerous intriguing details further emphasize the existence of ancient connections between Georgians and Egyptians, connections that have found expression in Georgian culture. It is also noteworthy that the symbolic meaning of the tiger had roots in ancient Georgian beliefs and folk traditions.

Thus, Georgian epic literature abounds in parallels with monuments of world culture. Hieroglyphs, pyramids, deities, pharaohs, sarcophagi, and the scenes depicted on them once again draw us closer to the uniqueness of Egyptian civilization. All of this attests to the enduring existence of Georgian–Egyptian cultural realities.

Keywords: image-symbol, Egypt, Georgia, tiger, leopard, traditions, myths, costume

* * *

Introduction. The interrelation and mutual influence of myth, poetry, literature, and art have long been the focus of scholarly attention. Myth has been regarded as the fertile ground from which art, poetry, and other creative forms have emerged. Artistic thought, in the earliest stages of human development, manifested itself through myth, shaped largely by religious consciousness.

The land of the pharaohs – Egypt – is filled with extraordinary narratives and symbols. The civilization of ancient Egypt left behind traces of its historical record thousands of years ago. Egyptian mythology is rich in mythologemes, with much of its history representing a blend of verifiable facts and symbolic narratives. These myths, widely used by the ancient Egyptians, share notable similarities with motifs found in Georgian art and literature.

Discussion. The world of global technology has transformed human beliefs, perceptions, and attitudes toward many issues. Today, 21st-century literary scholars maintain that it is precisely „in myth and metaphor that the purpose and function of literature are revealed“ (Widengren, G. 1965: 160, 209).

It is universally recognized that Egyptian culture constitutes one of the greatest sources of world civilization. Numerous studies reaffirm its uniqueness – its hieroglyphs, image-symbols, and overall culture are reflected throughout world literature and art. In this respect, Georgia is among the nations that have actively integrated the legacy of this ancient civilization. Truly, „Ancient Egypt is an astonishing

treasure“, a realm that guides us through the mysteries of the primordial world. The tombs and the scenes depicted within them – narrating the lives of kings, souls of the deceased, deities, and priests – remain particularly impressive.

In myths and ancient literary works, as well as in Egyptian iconography, the tiger's skin carried multifaceted symbolic meanings. Specifically, its symbolism was expressed through the garments of kings, priests, and deities. „In Siam, China, Burma, and other countries, the tiger was considered a symbol of power.“ Deities and heroes of the East – such as Tarhu, the god of weather and thunder; Bess, one of the oldest Asian heroes; Gilgamesh from Sumerian mythology; and the heroes of the Iliad and Shahnameh – are all depicted wearing tiger skins. In Pindar's Fourth Ode, Jason is referred to as a knight clad in tiger skin. In Dionysian imagery, tigers draw the god's chariot, and Dionysus himself is draped in a tiger skin.

In Indian epics, Shiva's consort Shakti is shown riding tigers – embodiments of human passions that she can either liberate or subdue. According to legend, when ancient sages created a terrifying tiger to defeat Shiva, he killed the beast and clothed himself in its skin (literaturatmcodneoba.tsu.ge).

That the tiger symbol has roots in the most ancient times is beyond dispute. The focus of the present study, however, is on the Egyptian-Georgian image-symbols. It is universally acknowledged in both Georgian and world literature that, according to Pshav-Khevsurian folklore, the tiger possesses a sacred character.

These issues are examined in detail by Zviad Gamsakhurdia in his book The Imagery of The Knight in the Panther's Skin, in which the author, among other topics, discusses this very theme. According to Gamsakhurdia, myths associated with tiger symbolism link us to ancient Asia Minor cultures and emphasize its etymology and genesis in pre-Christian, pagan belief systems. In his view, „the tiger is related to the symbolism of darkness and the new moon. The tiger's skin symbolizes royal initiation, as it is connected with birth and rebirth. Hence, the initiated adept is called 'twice-born.' On Egyptian hieroglyphs, three interwoven tiger skins denote 'birth' and are associated with the words 'conception,' 'growth,' and 'formation.'“

In ancient Egypt, there existed an initiatory ritual involving the donning of a tiger skin – a rite performed by pharaohs and priests as part of their spiritual preparation and quest for divine wisdom. A similar ritual appears in Shahnameh in the story of the mythic first king and man, Keyumars, and his followers, who became strengthened and enlightened after he clothed them in tiger skins. Later, this ritual was replaced by mulakrum a symbolic imitation – and eventually only the tiger's tail remained, worn by kings around the waist. Comparable rites existed involving the skins of other animals, depending on totemic beliefs and related to the symbolism of the animal hide (Engnell, I., Studies in Divine Kingship, London, 1987).

Among military and dervish orders, sitting upon a skin also carried initiatory significance, technically termed post-nisin in New Persian. Recall that Tariel, the hero of The Knight in the Panther's Skin, not only wore a robe made of tiger skin but also sat upon tiger-skin mats, as described: „He spread beneath him the mats of tiger skin.“

In ancient Egyptian mysteries, the king or pharaoh underwent transformation into Horus – the lord of the universe, the celestial god, and the slayer of the serpent Apophis (symbolizing darkness). He was directly addressed as Horus, and all that was expected from a divine being was attributed to him (Frankfort, H., Kingship and the Gods, London, 1969; cited in Gamsakhurdia, 1991:190–191).

Particularly noteworthy is the metamorphosis of ancient Egyptian pharaohs, which is again associated with the symbolism of the tiger. As Gamsakhurdia observes, „In mythology, the tiger is linked with the symbolism of darkness and, in one of its aspects, corresponds to the shadow of the soul, the lower instincts, or Indian 'tamas.' A similar symbol appears in Dante's 'Divine Comedy' as the tiger and in the Apocalyptic beast with the form of a tiger.“

In Hellenic mythology, the tiger (or leopard) is connected with Demeter–Persephone and Dionysus. The specific species – whether tiger, leopard, or panther – is of little consequence. For instance, in the paintings of Cleophrades, Dionysus wears a striped tiger skin, while Egyptian priests are often depicted

wearing leopard skins. The Georgian term vepkhi (“tiger“) denotes both animals. What matters is the creature’s nature and appearance, which serve as the foundation for its symbolic use (ibid., p. 192).

It is also significant that „in Christian literature, the tiger first appears in the Book of Revelation of John. This is evidently a leopard (Greek: πάρδαλις); in the Georgian translation by St. George the Athonite, the term ‘tiger’ is used, in English translations ‘leopard,’ in Latin panthera, and in Russian Gepard, etc. – ‘And the beast which I saw was like unto a leopard’ (Revelation 13:2)“ (ibid., p. 192).

In Georgian literary scholarship, debate continues to this day regarding the precise identity of the animal whose skin is worn by the hero of The Knight in the Panther’s Skin (Vepkhistqaosani). Some interpret the term vepkhi as „tiger,“ others as „leopard,“ and still others as „cheetah.“

A particularly noteworthy contribution to this discussion is Luigi Magarotto’s study „The Meaning of the Tiger in Shota Rustaveli’s The Knight in the Panther’s Skin*,“ in which the author undertakes a detailed examination of the etymological origins of the word vepkhi. According to Magarotto:

“Rustaveli uses the ancient Georgian word vepkhi (modern Georgian vepkhvi) in the sense of a leopard or cheetah – animals that, from a zoological perspective, refer to the same species (Felis pardus, now Panthera pardus).“

He further adds that the direct translation of Rustaveli’s famous poem, composed around 1190, would be ‘The Youth Clad in a Leopard’s (Tiger’s) Skin’. In all major European languages, the title is rendered as „The Man (Lord, Knight) in the Leopard’s Skin.“ The choice between „man,“ „lord,“ or „knight“ depends on the translator’s aesthetic sensibility, though the overall meaning remains unchanged. What is more significant, according to Magarotto, is how the translator renders the word vepkhi – as „cheetah,“ „leopard,“ or „tiger.“ While all three belong to the family Felidae, the cheetah’s coat is spotted, whereas the tiger’s is striped. It is therefore intriguing that some translators preferred the cheetah as an equivalent and others the tiger (Magarotto, The Meaning of the Tiger in Rustaveli’s The Knight in the Panther’s Skin, Kartvelologi, TSU).

According to Zviad Gamsakhurdia, „It is evident that the poem’s title derives from the attire of one of its principal heroes – Tariel: ‘He wore a robe made of tiger skin.’ This robe, therefore, was of tiger hide, just like the garments of Keyumars and Rostom.“

He notes a striking parallel: in a Persian manuscript preserved at the Saltykov–Shchedrin Library in Leningrad, the mythical first man and first king, Keyumars, is depicted wearing a tiger-skin robe, seated upon tiger hides by the waterside at the foot of the Tree of Life, accompanied by vassals also clad in tiger skins, one of whom wrestles a tiger. Likewise, Tariel appears similarly attired in manuscript S-5006, illustrated by two anonymous painters (Gamsakhurdia, 1991: 206–207).

The French scholar Luigi Magarotto, drawing on solid philological and iconographic arguments, concludes that vepkhi in Rustaveli’s text denoted a leopard or cheetah. Yet he poses the crucial question: why did some translators equate vepkhi with the cheetah and others with the tiger? Magarotto himself provides the answer:

“One of the most accurate translations of Rustaveli’s poem is by the distinguished Russian poet Konstantin Balmont (1867–1942), who rendered the title into Russian as Nosiashchii barsovu shkuru (‘He Who Wears a Leopard’s Skin’). In Russian, alongside the terms leopard (leopard) and cheetah (gepard), there exists the archaic word bars, which historically referred to both animals. From this derives the adjective barsovyj (‘leopard’s’), which Balmont employs. The term bars entered Russian no later than the 16th century from Old Turkic bārs, itself derived from the Hittite root parš-, later adopted into Iranian (pārs / fārs). This term originally denoted only the leopard or cheetah. In Turkic tradition, the veneration of large, spotted felines was considered a sacred sign, as evidenced by paintings discovered in the village of Çatalhöyük in southern Anatolia (8th–6th millennia BCE). Over time, the lexeme bārs acquired the additional meaning of ‘tiger’ in Turkic languages, but in Russian it retained only the sense of ‘leopard’ or ‘cheetah.’“ (Gamkrelidze, T. & Ivanov, V., Indo-European Language and Indo-Europeans: Reconstruction and Historical-Typological Study of Proto-Language and Proto-Culture, Vol. II, Tbilisi State University Press, 1984, pp. 500–507; Kartvelologi, TSU).

In modern Georgian linguistic usage, the term vepkhi is universally associated with the tiger; however, research reveals a more complex semantic history. What remains beyond dispute is that the tiger's, leopard's, or cheetah's skin has always been regarded as a divine garment imbued with profound symbolic meaning.

The Encyclopedia of Symbols likewise notes: „In the homeland of The Knight in the Panther's Skin, it is only fitting to begin an analysis of tiger symbolism with Rustaveli's imagery itself. In the poem, the 'beautiful form of the tiger' symbolizes Nestan-Darejan, while the desperate, battle-worn Tariel is clothed in the hide of this exotic creature. Here, the tiger embodies both perfect beauty and, at the same time, fierce, untamed, and indomitable nature.“ (Abzianidze, 2006: 74).

It is natural that much of the confusion surrounding this term stems from artistic depictions accompanying editions of Rustaveli's poem. As Magarotto observes: „No medieval reader would have doubted which animal Rustaveli meant by the word vepkhi, since in miniatures attached to 16th–17th century manuscripts of The Knight in the Panther's Skin, Tariel is consistently shown wearing the hide of a spotted, not striped, animal. In various printed editions of the poem, illustrations by different artists depict the unknown knight draped in a spotted feline skin. This tradition persisted at least until the appearance of illustrations by the Hungarian artist Mihály Zichy (1827–1906). However, in the 20th century, Georgian artist Sergo Kobuladze (1909–1978), when illustrating the poem, depicted the knight wearing the striped hide of a feline instead of a spotted one. Why such a radical shift? The reason is that, from at least the early 20th century, the Georgian lexeme vepkhi lost its earlier dual meaning ('leopard/tiger') and came to signify only the tiger. Thus, Kobuladze's interpretation of the animal whose skin adorns the knight reflects the linguistic perception of a 20th-century Georgian.“ (Magarotto, The Meaning of the Tiger in Rustaveli's The Knight in the Panther's Skin, Kartvelologi, TSU).

In fact, both of these phenomena have a much more ancient origin. Georgian scholars M. Tsereteli and T. Margvelashvili connect the plot of The Knight in the Panther's Skin (Vepkhistqaosani) with a prehistoric saga of the Japhetides, the Proto-Caucasians (the Georgio-Caucasians), which in turn derives from the culture of the pre-Japhetic matriarchal epoch and is reflected in The Epic of Gilgamesh and other myths featuring heroes „clad in lions' or panthers' skins.“ (Gamsakhurdia, 1991: 206–207).

Zviad Gamsakhurdia's view also challenges the assumption that the symbolism of the panther's (tiger's) skin originated outside the Caucasus. He specifically cites Gamkrelidze and Ivanov's opinion that „archaeological excavations in the North Caucasus confirm that the tiger was the totem of the Proto-Kartvelian tribe, that is, the Japhetides“ (Georgica, 1936, London). The same topic is addressed by T. Gamkrelidze and V. Ivanov in their book The Indo-Europeans (1985) (ibid., 207).

It is also noteworthy and symbolically significant that such attire was worn not only by kings of art and writing but also by royal priests. In particular, in Egypt, on the wall of Nefertiabet's tomb at Giza (dated to around 4500 years ago), there is a depiction of Nefertiabet, a priestess of the goddess Seshat-the divine patron of art and writing-wearing a garment made of leopard skin, just like the goddess herself. In the fresco, the priestess is shown in anticipation of the ritual that awaited her soul in the afterlife.

It is equally remarkable that, from a religious perspective, a segment of society considered mythology unacceptable for sacred literature. Yet there were ecclesiastical and public figures, such as Saint Basil the Great, who wrote: „Even pagan works of art and literature can benefit the soul, if read correctly.“ Saint Basil urges the youth to study such works, as, in his words, „they too can lead us toward virtuous life, by means of the hidden teachings they contain.“ (Rosad, 1802: 52–55).

A text of both pagan and Christian character has been preserved in Pshavi and Khevsureti – a song dedicated to Saint George, celebrating his bravery, combat, and attire:

Giorgi, do not flee,
Sorrow pursues you by hand;
Giorgi will not flee,
For on his body he wears a variegated robe.

Naturally, Zviad Gamsakhurdia's study takes into account this and similar examples when he discusses the magical significance of the panther's skin attire. Specifically, „The leopard-skin garments of Keyumars's subjects endowed them with strength and wisdom; for the ancient Egyptian initiate, it symbolized union with the divine life and signified his 'rebirth,' or initiation. Likewise, for Rama's warriors, the banner made of leopard skin symbolized their invincible might. The 19th-century French scholar A. Saint-Yves d'Alveydre notes: 'The Georgian hero clad in the panther's skin originates from the epoch of Rama, whose banner was sewn from a panther's hide.'" (Schelling F.W., Introduction à la Philosophie de la Mythologie, I–II, Paris, 1945) (Gamsakhurdia, 1991: 207).

From the above-quoted Khevsurian ritual song it becomes evident that the „variegated robe" worn by Saint George serves as the emblem of his triumph; it endows him with strength, might, and determination: George does not flee because „on his body he wears a variegated robe." It is not difficult to recognize in this „variegated robe" the multi-colored garment of the solar heroes of antiquity – often made of a panther's (leopard's) skin. (Let us also recall the biblical Joseph's „coat of many colors" and Saint Basil the Great's comparison of it with the panther's skin.)

In the iconography of Saint George, depictions of the saint in a robe are exceedingly rare; he is most often portrayed as an armored horseman. Yet among the countless Georgian images of the saint, there exist a few exceptions in which Saint George is robed and this robe resembles that made of panther's skin. When Saint George is portrayed in armor, the sleeves usually reach only to the elbows, and the armor itself seldom extends below the waist. However, in the tenth-century repoussé icon from Khirakhoni, Saint George wears a long, spotted robe – apparently made of a single piece of panther's hide – with sleeves extending to the wrists and reaching down to his boots. (See G. Chubinashvili, Georgian Goldsmithery, Tbilisi, 1959, vol. II). A similar attire is found in certain Svan icons (ibid.). Later, in the 12th–13th centuries, dragons slain by Saint George are depicted with spotted, leopard-like scales. On the relief of the southern wall of the Church of Saint George at Mtsvane-Dzala (11th c.), the saint, mounted on horseback, is shown piercing a spotted panther (not a dragon) with his spear – the creature bears two small wings but otherwise resembles no dragon. Thus, it becomes evident that in Georgian iconography the panther is a synonym of the dragon (ibid., 207).

It is also essential to note that within the realm of Georgian oral tradition there emerged a magnificent poetic work, The Ballad of the Tiger and the Youth, where attention is drawn not only to symbolism but also to the nobility and grandeur of the Georgian woman. This poem holds a profound place in Georgian folklore: a mother, mourning her slain and torn son, laments both her child and the tiger that killed him, expressing sympathy toward the tiger's mother as well.

"Who said that one grows without a mother?
Perhaps the tiger's mother, too,
Weeps day and night as I do.
I shall go and meet her,
Offer my condolences for her sorrow.
She will tell me her story,
And I shall tell her mine –
She, too, must bear the guilt
Of her son, slain without mercy."
(https://www.aura.ge)

Within the treasury of Georgian folk creativity, we can clearly discern a particular reverence toward the „divine" or „honored" animal – a distinctive attitude of respect that is evident in the verses of this poem. According to Amiran Arabuli, „The power of The Ballad of the Tiger and the Youth is amplified by the fact that the mother of the youth expresses compassion not toward a human being, but toward a beast. This, indeed, represents a far more exalted manifestation of humanism."

Incidentally, in Khevsureti there exists a ballad with a similar plot (as is well known, folk poetry reaches its highest artistic expression in the mountains). There once lived a man named Mgela, son of Kurau (whether real or legendary, it is not known). One day, while walking near his village along the cliffs, he came upon a sleeping tiger. Having a sword with him, he could easily have killed it – but he refrained and instead shouted: „Wake up!“ The tiger awoke, and the two fought hand-to-hand. Fighting a sleeping beast would have been unworthy of a brave man… An unwritten chivalric code demanded that a hero scrupulously observe certain rules and norms, and any violation of these rules entailed punishment. In The Ballad of the Tiger and the Youth, man and animal are equals – both embodying and expressing courage and heroic spirit.

Ultimately, what is the purpose of works of such content, and of artistic literature in general? The scholar responds: „Georgian literature and folk creativity represent for us that which we must cling to – in order to cultivate within our souls the most beautiful plant of goodness and virtue. Without them, our already desolate existence would resemble a desert.“ (https://karibche.ge/qristianuli-ckhovreba/qristianuli-khelovneba/745-iqneba)

It is also noteworthy that throughout the 20th century, Georgian poets and writers repeatedly returned to the symbolism of the tiger. Of particular interest are Giorgi Leonidze's poem „The Tiger,“ published in the journal Mecnebne Niamorebi; Galaktion Tabidze's poem „If the Tiger Were Enraged“; and his „Poem of the Tiger“ (1926). Also remarkable is the work of the Symbolist poet Valerian Gaprindashvili, „Tigers Breakfasting at the Zoo“ (1928), among others.

Thus, in Georgian consciousness to this day, the tiger's symbolism is interpreted as representing strength, ferocity, wrath, beauty, and swiftness – qualities that emerge both in the animal's physical nature and its divine essence.

Conclusion. Accordingly, the study of the imagery in The Knight in the Panther's Skin requires drawing typological parallels with examples from ancient mythology, classical poetry, and medieval literature. It is necessary to elucidate the specific nature of mythopoetic thought, mythological imagery, and then its relation to the fairy tale, folk poetry, and artistic literature – as discussed in the works of German scholars such as Herder, Jacob Grimm, Creuzer, and Wundt, as well as numerous modern researchers.

According to these scholars, the plot-compositional structure, characters, and poetic images of The Knight in the Panther's Skin demand a detailed functional analysis from the standpoint of mythological poetics in order to correctly discern the author's intention and the poem's true underlying meaning. (Gamsakhurdia, 1991: 13) Therefore, modern research proceeds from the understanding that myth contains a hidden meaning -one that exists beyond its fantastic forms and representations. Indeed, the aim of contemporary scholarly analysis is to grasp and reveal this inner significance, though even today's reality still cannot fully penetrate every stage of humanity's cultural existence.

References

Abzianidze, Z., & Elashvili, K. (2006). Illustrated Encyclopedia of Symbols, Vol. I. Tbilisi: Bakmi Publishing.

Gamsakhurdia, Z. (1991). The Figurative Language of „The Knight in the Panther's Skin.“ Tbilisi: Metsniereba Publishing.

Widengren, G. (1965). Die Religionen Irans. Stuttgart, pp. 160, 209.

Engnell, I. (1987). Studies in Divine Kingship. London.

Schelling, F. W. J. (1945). Introduction à la Philosophie de la Mythologie, Vols. I–II. Paris.

Rosad, S. (1802). Сергиев Росад, Василий Великий, „Беседа юношам о том, как получать пользу из языческих сочинений.“ 1802.

Online Sources:

http://literaturatmcodneoba.tsu.ge

https://www.aura.ge

https://karibche.ge/qristianuli-ckhovreba/qristianuli-khelovneba

თხზული სახელები ლაზურში

ციალა ნარაკიძე
ფილოლოგი, ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის
ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და
ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების
მეცნიერი თანამშრომელი
ელ. ფოსტა: tsiala.narakidze@bsu.edu.ge
ORCID: 0009-0001-6862-5977

აბსტრაქტი. ნაშრომის მიზანია სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი კომპოზიტებისა და ჩვენ მიერ ლაზურ მოსახლეობაში წლების მანძილზე, ლექსიკის დარგობრივად შეკრებისა და შესწავლის საფუძველზე, აღმოჩენილი კომპოზიტების თავმოყრა და შედარებითი კვლევა.

ზანური ენის ლაზური დიალექტი თხზული სიტყვების წარმოების კუთხით საინტერესო და სახასიათო ემპირიულ მასალას წარმოგვიდგენს.

კომპოზიტის წარმოების მხრივ ლაზური მისდევს ქართულს, თუმცა იჩენს ზოგიერთ თავისებურებას, კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ლაზურში არ მოგვეპოვება „და“ კავშირიანი ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები. ასევე მცირეა ხმოვანმონაცვლე, თანხმოვან ან მარცვალმონაცვლე რთული სიტყვებიც.

ლაზურში დაფიქსირებულ კომპოზიტში კომპონენტებად დასტურდება საკუთრივ ლაზური, ჰიბრიდულ-ლაზურ-უცხოენოვანი თუ ნასესხები ლექსიკური ერთეულები.

წარმოდგენილი კვლევა საინტერესოა როგორც ენათმეცნიერული, ასევე ეთნოგრაფიული თვალსაზრისითაც.

საკვანძო სიტყვები: ლაზური, რთული სიტყვა, წარმოება, უცხოვან ჰიბრიდული.

* * *

შესავალი. კომპოზიტი დამახასიათებელია ყველა ქართველური ენისათვის, მაგრამ ენათა შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე, განსხვავდება მათი წარმოქმნის წესები.

საზოგადოდ ლაზურში რთული სიტყვების შემადგენელ კომპოზიტებად არსებითი და ზედსართავი სახელები ჭარბობს.

ლაზურში რამდენიმე კომპონენტით შედგენილი კომპოზიტები გვხვდება, მაგრამ მიუხედავად რთული სტრუქტურისა, ეს ფორმები ძირითადად ერთცნებიანია. ასე მაგალითად: თისთომამოპლაკეი–მელოტი, თიელასპიელი თავმონგრეული, კუდელმაკასა–მერცხალი...

გაანალიზებულ ლაზურ კომპოზიტებში ყოველთვის ვერ ხერხდება შემავალი წევრების სემანტიკის დადგენა, რადგანაც, ლაზურში, აღნიშნული სიტყვები დამოუკიდებლად აღარ იხმარება, ფუძე დაიკარგა ან შეიცვალა უცხო სიტყვით.

ხშირად გვხვდება ისეთი კომპოზიტებიც, სადაც ჭირს კომპოზიტში შემავალი წევრის რომელიმე მეტყველების ნაწილისადმი მიკუთვნება.

ლიტერატურის მიმოხილვა. როგორც ცნობილია, ლაზურში კომპოზიტების აღნუსხვა-შესწავლა პროფ. ვარლამ თოფურიას სახელს უკავშირდება. სტატიაში „ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან“ საუბარია ჭანურში კომპოზიტთა წარმოების შესახებ. კომპოზიტთა წარმოებას ეხება მარი თავის ნაშრომში «Грамматика чанского (лазского) языка« და აღნიშნავს, რომ სიტყვაზე მახვილის გამოყენებით კომპოზიტის გამოვლენა ძალზე ძნელია.

აკად. არნ. ჩიქობავა თავის წიგნში „ჭანურის გრამატიკული ანალიზი“ მიგვითითებს, რომ კომპოზიტის გამოსავლენად, საჭიროა დაიძებნოს დამდგარი და გარდამავალი საფეხურის კომპოზიტის ნიშნები და ერთ-ერთ ასეთ ნიშნად მიიჩნევს კომპონენტთა გაუთიშველობას: „კომპოზიტთა ნაწილები გათიშვას ვერ იტანენ“.

მეთოდოლოგია: აღნიშნული კვლევიდან გამოვიყენეთ ემპირიული მასალის მოპოვებისათვის ლინგვისტიკაში ნაცადი ყველა ხერხი, ასევე, ანალიზისა და შედარების მეთოდი.

კომპოზიტი იმთავითვე დამახასიათებელი იყო ქართველური ენებისათვის. ბუნებრივია, კომპოზიციით შედგენილი ლექსიკური ერთეულები უხვად გვხვდება ლაზურ მეტყველებაშიც.

ლაზურშიც ქართულის მსგავსად, რთული სიტყვების კომპონენტ წევრად გვხვდება კომპოზიტის ისეთი გავრცელებული სიტყვები, როგორიცაა გუი, თი, თოლი, ნანა, ხე... აღნიშნულ კომპონენტანი ათეულობით რთული სიტყვაა დამკვიდრებული ლაზური ენის ლექსიკურ მარაგში.

გურპიჯი – გულმკერდი. „გურპიჯი“ ერთცნებიანი კომპოზიტია. ორივე კომპონენტი არსებითი სახელია გური-გული, პიჯი-პირი.

გუიჩიჩქუ – გულჩვილი. „გუიჩიჩქუ“ ერთცნებიანი კომპოზიტია. პირველი კომპონენტი არსებითი სახელია გუი-გული, მეორე კომპონენტი კი – ზედსართავი ჩიჩქუ-ჩვილი.

გუიჭვეი – გულდამწვარი, დამწუხრებული. „გუიჭვეი“ ერთცნებიანი კომპოზიტია. პირველი კომპონენტი არსებითი სახელია გუი-გული, მეორე კომპონენტი კი – მიმღეობაა ჭვეი-დამწვარი.

თიგედვალეი – თავდადებული. „თიგედვალეი“ ერთცნებიანი კომპოზიტია. პირველი კომპონენტი არსებითი სახელია თი-თავი, მეორე კომპონენტი კი –მიმღეობაა გედვალეი–დადებული.

თიკიკი – თავმომწონე. „თიკიკი“ ერთცნებიანი კომპოზიტია. პირველი კომპონენტი არსებითი სახელია თი-თავი, მეორე კომპონენტის „კიკი“ სემანტიკის დადგენა ვეღარ ხერხდება, იმიტომ, რომ ეგ სიტყვა დამოუკიდებლად აღარ იხმარება ლაზურში.

ნანაშანტესი – დედინაცვალი, „ნანაშანტესი“ ერთცნებიანი კომპოზიტია. პირველი კომპონენტი „ნანა“ ქართული წარმომავლობის სიტყვაა და ნიშნავს ლაზურში „დედა“-ს, ხოლო ანტესი-ს მნიშვნელობა უცნობია, მაგრამ ერთ-ერთი არქაველი მთქმელის განმარტებით „ანტესი-ანტისი“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „არაღვიძლს“–ო. „ნანაშანტესის“ სინონიმური ფორმებია „ნანაოცხე“. „ოცხე“ ზანური წარმომავლობის ტერმინია და ნიშნავს „სესხება“-ს. „ნანაოგე“. „ოგე“ აღმოსავლური წარმომავლობის – სიტყვაა და ნიშნავს „სანაცვლოს“.

ხერგელი – მოუქნელი („არაფრის შემძლე“) „ხერგელ“-ის სინონიმური ფორმებია ხეკოტე, ხებერგი, ხეკაწი.

ხელულა – ქურდი. ეს კომპოზიტი ჩვენ მიერ პირველად იქნა ფიქსირებული. მნიშვნელოვანი და საყურადღებოა, რომ ლაზთა გაბმულ მეტყველებაში „ქურდის“ აღმნიშვნელ ტერმინად იხმარება აღმოსავლური წარმომავლობის სიტყვა „ხირსუზი“, ამ კომპოზიტის აღმოჩენა გვაფიქრებინებს იმას, რომ ლაზურში ქურდის აღმნიშვნელ ტერმინად ადრე იხმარებოდა „ხელულა“.

ოსურჭკორი – გათხოვილი ქალიშვილი.

„ოსურჭკორი“ ერთცნებიანი კომპოზიტია. პირველი კომპონენტი ოსურ ზანურ მეტყველებას შეგუებული სიტყვა უფროა, ვინემ კანონზომიერი შესატყვისი ქართული ასულისა. ამასთანავე ოსური ჭანურში იშვიათია, მეგრულისათვის კი ჩვეულებრივია. ჭანურში მას შენახული აქვს ის მნიშვნელობა, რაც ქართულს აქვს (ასული, ქალიშვილი). მეგრულში კი მნიშვნელობა ერთგვარად ცვლილია: ოსურის ძირითადი მნიშვნელობაა ცოლი, მაგრამ ოსურსკუა-ქალიშვილი, ოსურკათა-ქალები, ქიმოლკათას საპირისპიროდ.

კომპოზიტის მეორე კომპონენტი ჭკორი გამოიყენება მონა, მორჩილის მნიშვნელობით მეგრულში, მაგრამ გათხოვილი ქალიშვილის მნიშვნელობით ტერმინი ოსურჭკორი საერთოდ არ გვხვდება. საყურადღებოა მეგრულში ტერმინი მოჭყუდუ, რასაც გასათხოვარი ქალი დანიშვნის შემდეგ ატარებს. საინტერესოა ამ ტერმინის ეტიმოლოგია. მეგრულად მზითევს ოჭყუდური ჰქვია. ეს სიტყვა წარმოებულია ზმნა ჭყვიდუასაგან, რაც ქართულად წყვეტას ნიშნავს. მოჭყუდუ კი ნიშნავს მოტაცებულს ანუ ვინც მთელისგან ძალადაა მოშორებული. დანიშნული ქალიც გამოეყოფა თავის მშობელ გვარს, სხვა გვარის მიერ არის მოტაცებული და სახელწოდებაც ამიტომ აქედან წარმოსდგება დანიშნული ქალისა.

ლაზურში გვაქვს ზმნა ოჭკირუ//ოჭკორუ (მოჭრა). შესაძლებელია, მსგავსად მეგრული მოჭყუდუა-სა, კომპოზიტის ოსურჭკორის მეორე კომპონენტი ჭკორი ზმნა ოჭკორუდან მომდინარეობდეს და ნიშნავდეს ქალიშვილს – მამისეული ოჯახიდან მოჭრილს, მოწყვეტილს...

ოსურჭკორის პარალელურად ლაზურში ტერმინი ოხოჭკოას არსებობა, რომლის მეორე კომპონენტი ჭკორი ბერძნული კიურადანაა მიღებული და ქალბატონს აღნიშნავს, გვაფიქრებინებს იმას, რომ შესაძლებელია, ჭკორი ბერძნულიდან კიურადან იყოს მიღებული, მაგრამ კომპოზიტის ოსურჭკორის შემადგენელი ნაწილების ცალ-ცალკე არსებობა ლაზურსა და მეგრულში სხვადასხვა მნიშვნელობით, მიგვანიშნებს ამ ტერმინის ზანურ წარმომავლობაზე.

ოხორმანჯე – კომპოზიტია ერთცნებიანი პირველი კომპონენტი წარმოდგენილია ფუძის სახით ოხორ, ხოლო მეორე კომპონენტის მანჯე-ს მნიშვნელობა უცნობია. ზოგიერთი მთქმელის განმარტებით, ოხორმანჯე საქმიანი, მარჯვე, მოხერხებული, ოჯახისათვის თავდადებული კაცია, ოჯახის თავკაცია.

ოხრასკირი//ოხასკიი – ცოლის ძმა, მაზლი. ეს ტერმინი სიტყვა-სიტყვით სახლის შვილს ნიშნავს. კომპოზიტის პირველი კომპონენტი ოხორ სახლი, ხოლო მეორე კომპონენტი სქირი–შვილია. ოხრასქირის ანალოგიურად ლაზურში ცოლის დის, მულის მნიშვნელობით იხმარება კომპოზიტი ოხროასულე//ოხასულე და სახლის ასულს ნიშნავს. ტერმინი ოხასულე მნიშვნელოვანი და საყურადღებო იმ კუთხითაცაა, რომ ამ კომპოზიტის მეორე კომპონენტი ასული გვავარაუდებინებს იმას, რომ ლაზურში ქალიშვილის აღმნიშვნელ ტერმინად ადრე იხმარებოდა ასული, რაც ამჟამად ლაზთა მეტყველებაში არ იხმარება.

კომპოზიტების წარმოებისას ლაზური მეგრულის წესს იცავს, ოღონდ აქ უფრო შეზღუდული ჩანს (თოფურია, 1979:303).

ქართულის მსგავსად, ლაზურშიც გვხვდება სხვადასხვა სახის კომპოზიტები:

ფუძეგაორკეცებულებიდან ფუძეუცვლელი და ფუძეცვლილი კომპოზიტები.

ფუძეგაორკეცებულებიდან ფუძეუცვლელი კომპოზიტებია: თამო-თამო – ნელა-ნელა; მანი-მანი – ჩქარ-ჩქარა; კაპ-კაპი–ბოროტი, ავი სული...

ფონეტიკური მოვლენების გამო ფუძეშეცვლილი კომპოზიტები: ვირვილი: ბილბილი – სათამაშო

ღარღალი: ოღარღალუ – ლაპარაკი

კარკალა: აყირო...

ყვილი-ყვალა – ამ კომპოზიტში ფუძე მარტივად კი არ მეორდება, არამედ ხმოვანიც იცვლება კომპოზიტში.

ბერე-ბარი – ამ კომპოზიტში ფუძე არამარტო მეორდება, არამედ ხმოვანიც იცვლება და გაორკეცებული ფუძე სიმრავლის აღსანიშნავად იხმარება.

ფუძეგანსხვავებული კომპოზიტებიდან

ა) განსაზღვრებითი კომპოზიტები:

მზოღაპიჯი – ზღვის სანაპირო; ხეშგური-ხელისგული.

კუდელმჭითა – ბოლოცეცხლა; თიხჩე-თავთეთრა; ხჩენჯა–ალვის ხე; ხეგოსვეი – ხელწაკარებული; გეთანაპიჯი – განთიადი...

ნათესაობითში შ -იშ ბოლოსართმოკვეცილი კომპოზიტებიც გვხვდება: ჯოღორყურძენი-ძაღლყურძენა; წკარმზესკუ–წყლის შაშვი; ხებიგა-ხელჯოხი...

ბ) კუთვნილებითი კომპოზიტების შედგენილობა ქართულისებურია: ნოსი-თითხუ–ჭკუათხელი;

თოლი-გონწკიმერი – ფხიზელი; გუიგედვალეი-გულდადებული; თიტეტელი – თავშიშველი; კაიგუონი–კეთილი...

გ) უკავშირო ფუძეგანსხვავებულ ორცნებიან კომპოზიტებში დო კავშირი იგულისხმება:

ნუნკუ-პიჯი – პირისახე; თოლი–ყუჯი–თვალყური; ჩილ-ქიმიჯი–ცოლ-ქმარი; ხე-კუჩხე–ხელ-ფეხი

სერ-დღალერი – დღე-ღამე...

ლაზურში ხშირად პრეპოზიციური წყობის კომპოზიტებში თანხმოვანი ან მთელი მარცვლის დაკარგვაა მოსალოდნელი. ასე მაგალითად: ჯუმადი–ბიძია. ამ სიტყვას არნ. ჩიქობავა ასე განმარტავს: ჯუმა-დიდი, ე. ი. ძმა-დიდი ანუ უფროსი ძმა (ჩიქობავა, 1938:28)

ანალოგიურია „დადი“, „და-დიდი“ უფროსი და. „დადი“ ლაზურში იხმარება დეიდას, მამიდას და ბიცოლას მნიშვნელობით.

ქართულის მსგავსად, ლაზურშიც მოიპოვება სამი სიტყვის ფუძეთა შეერთებით მიღებული კომპოზიტები:

ხეკუჩხეგოტახეი – ხელფეხდამსხვრეული

ხელაკაუბაძიამეი – სიხარულსიკეთენახული

გუისხეგედვალეი – გულხელდაკრეფილი

თოლიპიჯიდოლოუჩანეი–თვალპირიჩაშავებული

ხეკუჩხუკიელი – ხეკლფეხშეკრული...

ცნობილია, რომ უცხოენოვან გარემოში მოხვედრილი ენა ცვლილებას განიცდის, რაც თვალნათლივ აისახება ლექსიკაში. ბერძნული და თურქულენოვანი სამყაროს უშუალო გარემოცვამ თავისი კვალი დააჩნია ლაზურსაც. ამიტომაც ლაზურში საკმაოდ იძებნება ლაზურ-უცხოენოვანი ჰიბრიდული თუ ნასესხები კომპოზიტები:

ნოღამისა – დედოფალი. ნოღამისა ერთცნებიანი კომპოზიტია. პირველ კომპონენტში – ნო-მიმღეობის მაწარმოებელი ლაზური კონფიქსია, ღამ ფუძე ბერძნული წარმომავლობის ტერმინიდან Yamos-დან (ღამოსი-დან) უნდა მომდინარეობდეს და გვხვდება ამ ფუძით მთელი რიგი ბერძნული ტერმინებისა, რომელიც მთლიანად ქორწინებას უკავშირდება (Хариков, 1980:205).

ოFიდი ძონძოლა – წარბა ადამიანი. პირველი კომპონენტი ოFიდი ბერძნული ტერმინია, წარბს ნიშნავს, ხოლო მეორე კომპონენტი ძონძოლა ლაზური წარმომავლობის სიტყვაა და ნიშნავს დაძონძილს.

ბორჯიგედვალეი – ვალდადებული. კომპოზიტის პირველი კომპონენტი ბორჯი (borc) თურქული სიტყვაა და ნიშნავს ვალს.

თოლიქჲორი – ბრმა. კომპოზიტის მეორე კომპონენტი ქჲორი (kőY) თურქულიდან მომდინარეობს და ნიშნავს ბრმას.

იგბალიგოჭვეი – ბედდამწვარი, უიღბლო. კომპოზიტის პირველი კომპონენტი (ikbal) აღმოსავლური წარმომავლობის სიტყვაა და ნიშნავს ბედს.

ჲარაოკოწკიმეი – ჭრილობაგახსნილი. კომპოზიტის პირველი კომპონენტი ჲარა (yara) თურქულიდან მომდინარეობს და ნიშნავს ჭრილობას.

ნუნკუესმერი – შავგრემანი. კომპოზიტის მეორე კომპონენტი (esmer) არაბული სიტყვაა და ნიშნავს შავგრემანს, მუქს...

ლაზურში ნასესხები კომპოზიტებიდან ძირითადად გვხვდება აღმოსავლური წარმომავლობის რთული სიტყვები (კომპოზიტები), როგორიცაა:

ახირზამანი (ahizaman არაბ.) – ქვეყნის აღსასრული, მეორედ მოსვლა, ცუდი დრო (ჩლაიძე, 2001:34, 308,558).

დარმადაღანი (darmadağin -თურქ)–არეულ-დარეული, მიმობნეული;

ჲარალ-ფარალი (yaparal– თურქ.) დაჭრილ-დაფლეთილი;

გჲულჲაღი – ვარდის ზეთი (gülyağı-თურქ.).

ამგვარად, ლაზურში რთულ სიტყვათა წარმოება საინტერესო ლინგვისტურ სურათს აჩვენებს. ბუნებრივია, რომ ამ მხრივ ლაზური მიყვება საერთო ქართველურში დამკვიდრებული კომპოზიტური წარმოების წესს, თუმცა იჩენს ზოგიერთ თავისებურებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ის კომპოზიტებია, რომელთა კომპონენტი წევრი ლაზურში ადრე გავრცელებულ ლექსიკურ ერთეულებს აღგვადგენინებს, რომლის მონაცვლედ ლექსიკურ ერთეულად დღეს ლაზურ მეტყველებაში აღმოსავლური წარმომავლობის ტერმინია დამკვიდრებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თოფურია, 1979: – თოფურია ვარლამ, შრომები, ტ. III, გამომცემლობა, თბილისი, 1979.
2. ჩიქობავა, 1938: ჩიქობავა არნოლდ, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გამომცემლობა, ტფილისი, 1938.
3. ჩლაიძე, 2001:ჩლაიძე ლია, თურქულ-ქართული ლექსიკონი, გამომცემლობა, სტამბული, 2001.
4. Хориков., 1980:Хориков Н.П., Малев М. Т., Новогреческо-русский словарь, გამომცემლობა, მოსკოვი, 1980.
5. ბსკიდა – ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დიალექტოლოგიური არქივის მასალები.

COMPOUND NAMES IN LAZIAN

TSIALA NARAKIDZE
Philologist, Researcher at the Department of Folklore,
Dialectology and Emigrant Literature Research of
Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota
Rustaveli State University
E-mail: tsiala.narakidze@bsu.edu.ge
ORCID: 0009-0001-6862-5977

Abstract: The aim of the paper is to compile and conduct a comparative study of the composites known in the scientific literature and the composites discovered by us among the Laz population over the years, based on the field-specific collection and study of vocabulary. The Laz dialect of the Zan language presents interesting and characteristic empirical material in terms of producing compound words. Producing composites, Lazian follows Georgian, although it exhibits some peculiarities. The research revealed that we do not find any base-doubled composites with "and" connection in Lazian. There are also few compound words with vowel, consonant, or syllable alternations. Lexical items of Lazian, hybrid-Lazian-foreign language, or borrowed lexical units are confirmed as components of the composites recorded in Lazian. The presented research is interesting from both linguistic and ethnographic perspective.

Key words: Lazian, compound word, producing, hybrid-foreign language.

* * *

The composite was characteristic of the Kartvelian languages from the very beginning. Naturally, lexical units formed by composition are abundantly found in Laz speech as well. Such common words of composition as gui, ti, toli, nana, khe and etc. are found as component members of compound words in Lazian, like in Georgian. Dozens of compound words with these components are established in the lexicon of the Lazian language.

G u r p i j i – chest. "Gurpiji" is a single-concept composite. Both components are nouns – guri-heart, piji-mouth.

G u i c h i c h k u – soft-hearted. "Guichichku" is a single-concept composite. The first component is noun – gui-heart, the second component is adjective – chichku-infant.

G u i t c h v e i – heartbroken, saddened. "Guitchvei" is a single-concept composite. The first component is noun – gui-heart, the second component is participle – chvei-burnt.

T i g e d v a l e i – dedicated. "Tigedvalei" is a single-concept composite. The first component is noun – ti-head, the second component is participle – gedvalei-laid down.

T i k i k i – conceited. "Tikiki" is a single-concept composite. The first component is noun – ti-head. Semantics of the second component "kiki" cannot be determined, because this word is no longer used independently in Lazian.

N a n a s h a n t e s i – stepmother. "Nanashantesi" is a single-concept composite. The first component "nana" is a word of Georgian origin and means "mother" in Lazian, while the meaning of "antesi" is unknown, but according to one of the tellers from Arhavi, "antesi-antisi" is a Greek word and means "step". Synonymous forms of "nanashantesi" are "nanaotskhe" and "nanaoge". "Otskhe" is a term of Zan origin and means "borrowing". "Oge" is a word of Eastern origin and means "in exchange for".

K h e r g e l i – awkward (couldn&№39;t do anything). Synonymous forms of "khergeli" are "khekote", "khebergi", "khekatsi".

K h e g h u l a – thief. This composite was recorded by us for the first time. It is important and noteworthy that the word “Khirsuzi“ of Eastern origin is used as a term for “thief“ in the Laz language. The discovery of this composite suggests that “kheghula“ was previously used as a term for “thief“ in Lazian.

O s u r t c h k o r i – Married daughter. “Osurtchkori“ is a single-concept composite. The first component “osur“ is more a word adapted to the Zan speech than a regular equivalent of the Georgian word “asuli“ (daughter). However, “osur“ is rare in Chan, but common in Megrelian. In Chan, it has retained the meaning it has in Georgian (daughter), but in Megrelian, the meaning has changed somewhat. The main meaning of “osur“ is “wife“, but “osurskua“ means “daughter“ and “osurkata“ – “women“, contrary to

“kimolkata“. The second component of composite “tchkori“ is used in the meaning of “slave“, “obedient“ in Megrelian, but the term “osurtchkori“ in the meaning of a married daughter is not found at all. It is noteworthy the term “motchkudu“ in Megrelian, which a single woman wears after her engagement. The etymology of this term is interesting. In Megrelian, the word for dowry is “otchkuduri“. This word is derived from the verb “tchkvidua“, which means “break“ in Georgian. “Motchkudu“ means abducted, that is, someone who has been forcibly separated from the whole. Anengaged woman is also separated from her birth family, she is adopted by another family, and therefore the name of an engaged woman is derived from this. In Lazian we have the verb “otchkiru“ || “otchkoru“ (to cut). It is possible that, like the Megrelian “motchkudua“, “tchkori“ – the second component of the composite “osurtchkori“ comes from the verb “otchkoru“ and means a daughter – cut, separated from her father&№39;s family. In parallel with “osurtchkori“, the existence of the term “okhotchkoa“ in Lazian, the second component of which – “tchkori“ – is derived from the Greek “kiura“ and refers to a woman, suggests that it is possible, “tchkori“ is derived from the Greek “kiura“, but the separate existence of components of the composite with different meanings in Lazian and Megrelian, indicates the Zan origin of this term.

O k h o r m a n j e – is a single-concept composite. The first component is presented as the base “okhor“, while the meaning of the second component “manje“ is unknown. According to some tellers, “okhormanje“ is a businesslike, capable, skillful man, devoted to his family, and the head of the family.

O k h r a s k i r i || O k h a s k i i – brother-in-law. This term literally means a child of home. The first component of composite “okhor“ is “home“ and the second component “skiri“ is “child“. Similarly to “okhraskiri“, in Lazian the composite “o k h r a s u l e“ || “o k h a s u l e“ is used to mean the sister-in-law, and means the daughter of home. The term “okhasule“ is also important and noteworthy from the point of view that the second component of this composite “asuli“ suggests that in Lazian, “asuli“ was previously used as a term for daughter, which is not currently used in Laz speech. Producing the composites, Lazian follows the Megrelian rule, but here it seems more limited (Topuria, 1979:304). Various types of composites are also found in Lazian, like in Georgian: composites with unchanged and changed base from base-doubled composites. The composites with unchanged base from base-doubled composites are: tamo-tamo – slowly; mani-mani – hurry; kap-kapi – wicked, demon. The following are composites that have undergone base changing due to phonetic phenomena: v i r v i l i : b i l b i l i – toy

g h a r g h a l i : o g h a r g h a l u – speaking

k a r k a l a: pumpkin …

k v i l i - k v a l a – In this composite, not only the base is simply repeated, but the vowel is also changed.

B e r e - b a r i – In this composite, not only the base is repeated, but vowels are also changed and a doubled base is used to indicate abundance. From composites with different base

a) Definitive composites:

M z o g h a p i j i – seashore; K h e s h g u r i – palm; K u d e l m t c h

i t a – redstart; T i k h c h e – white-headed; K c h e n j a – poplar; K h

e g o s v e i - touched; G e t a n a p i j i – dawn… There are also found composites truncated with suffix -sh -ish in genitive case:

J o g h o r k u r d z e n i – dogwood; T s k a r m z e s k u – waterthrush; K h
e b i g a – walking stick…

b) The composition of the possessive composites is like Georgian:

N o s i - t i t k h u – light-minded; To l i - g o n t s k i m e r i – watchful;

G u i g e d v a l e i – dedicated; T i t e t e l i – bareheaded; K a i g u o
n i – kind…

c) The connection "and" is meant in base-different double-concept composites without connection:

N u k u - p i j i – face; T o l i - k u j i – observe; C h i l - k i m o j i – husband and wife; K h e - k u c h k h e – arms and legs; S e r - d g h a l e r i – day and night… In Lazian, the loss of a consonant or an entire syllable is often expected in prepositional compound words. For example: J u m a d i – uncle. Arn. Chikobava explains this word as follows: Juma-didi, i.e. big-brother or older brother (Chikobava, 1938:28). It is similar d a d i. da-didi - older sister. "Dadi" is used in Lazian to mean aunt. Like Georgian, Lazian also contains composites formed by combining the bases of three words:

K h e k u c h k h e g o t a k h e i – with broken arms and legs

K h e l a k a u b a d z i a m e i – the ones seen joy and goodness

G u i s k h e g e d v a l e i – with folded arms

T o l i p i j i d o l o u c h a n e i – with blackened eyes and mouth

K h e k u c h k h e k i e l i – with bound feet and hands…

It is known that a language exposed to a foreign language environment undergoes changes, which is clearly reflected in the vocabulary. The immediate environment of the Greek and Turkish speaking world has left its mark on Lazian as well. That is why Laz-foreign language hybrid or borrowed composites are quite common in Lazian:

N o g h a m i s a – bride. "Noghamisa" is a single-concept composite. In the first component "no" is a Lazian confix producing participle. The base "gham" must come from a term of Greek origin – gamos (ghamos) and we find a number of Greek terms with this base that are entirely related to marriage (Kharikov, 1980:205).

O f i d i d z o n d z o l a – Eyebrow man. The first component "ofidi" is Greek term and means an eyebrow. The second component "dzondzola" is a word of Lazian origin and means ragged.

B o r j i g e d v a l e i – obliged. The first component of composite – "Borji" (borc) is Turkish word and means a debt.

T o l i k y o r i – blind. The second component of composite – "kyori" is Turkish word and means blind.

I g b a l i g o t c h v e i – unlucky, unhappy. The first component of composite – "igbal" (ixbal) is a word of Eastern origin and means fate.

Y a r a k o t s k i m e i – with opened wound. The first component of composite – "yara" (yara) is Turkish word and means a wound.

N u n k u e s m e r i – brunette. The second component of composite – "esmer" is Arabic word and means brunette, dark. Among the composites borrowed in Lazian, mainly complex words of Eastern origin (composites) are found, such as:

A k h i r z a m a n i (ahirzaman Arabic) – the end of the country, the second coming, bad time (Chlaidze, 2001:34, 308, 558);

D a r m a d a g h a n i (darmadağin Turkish) – messy, scattered;

Y a r a l - p a r a l i (yaral-paral Turkish) – wounded and torn;

G y u l y a g h i (gülyağı Turkish) – rose oil...

Thus, producing compound words in Lazian presents an interesting linguistic picture. It is natural that in this respect Lazian follows the rule of composite production established in common Kartvelian, although it exhibits some peculiarities. Particularly important are those composites whose component member revives previously widespread lexical units in Lazian, which have been replaced by a term of Eastern.

References:

Tophuria, 1979 – Tophuria, Varlam. Works, Vol. III. Publishing House, Tbilisi, 1979.

Chikobava, 1938 – Chikobava, Arnold. Chan-Megrelian-Georgian Comparative Dictionary. Publishing House, Tiflis, 1938.

Chlaidze, 2001 – Chlaidze, Lia. Turkish-Georgian Dictionary. Publishing House, Istanbul, 2001.

Khorikov, 1980 – Khorikov, N. P., & Malev, M. T. Modern Greek–Russian Dictionary. Publishing House, Moscow, 1980.

BSKIDA – Materials from the Dialectological Archive of the Batumi Scientific-Research Institute.

ბიბლიური ტოპოსები, როგორც მარკერები, ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის „წიგნის“ პონტექსტში

ირინა ნაცვლიშვილი
ფილოლოგიის დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
ელ-ფოსტა: inatsvlishvili@yahoo.com
ORCID: 0009-0001-0967-1068

აბსტრაქტი: ბიბლიურ ტოპოსებს შუა საუკუნეების ლიტერატურაში განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. მათი „ცნობადობიდან“ გამომდინარე, ისინი ალუზიურად მიანიშნებენ სიმბოლურ კავშირებზე უნივერსალურ სულიერ, მორალურ თუ ესქატოლოგიურ პარადიგმებთან, რის გამოც ავტორისეული თხრობა ტექსტში, რომელიც რეალურ მოვლენებს გადმოგვცემს, ბიბლიურ ტრადიციასთან ერთგვარი დიალოგის სახეს იძენს. ამგვარ კონტექსტში გააზრებული ამბავი ქმნის ტექსტის თავისებურ ქრონოტოპს, რომელიც წარსულის კვლავწარმოებით მას აწმყოსა და მომავალთან აერთიანებს და კოსმიური მნიშვნელობის ქრონოტოპში ჩართვით აღრმავებს ნარატივის ჰერმენევტიკულ ინტერპრეტაციას. აქედან გამომდინარე, ბიბლიურ ტოპოსებს, როგორც მარკერებს, ავტორები ხშირად კულტურული და ეროვნული იდენტობის გამოსახატავადაც იყენებენ.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ბიბლიური ტოპოსების სტრუქტურული, სტილური და ლექსიკური იერსახე, მათი სიცხადე და შესაბამისობა საერთო კონტექსტთან მნიშვნელოვანი მარკერია შუა საუკუნეების ამა თუ იმ ტექსტის რედაქციულ სახესხვაობათა შორის უადრესი, ავთენტური იკითხვისების დასადგენად და, შესაბამისად, გვიანდელი ხელნაწერებით მოღწეული თხზულებების შექმნის კულტურულ-ისტორიული პერიოდის განსასაზღვრად. ამ თვალსაზრისით ჩვენ ყურადღება მივაქციეთ „წმინდა ნინოს ცხოვრების“ ადრეულ რედაქციებში ჩართულ ქართლის პირველი ნათელღებული მეფის, მირიანის, „წიგნს“, რომელიც წარმართობის დაძლევით ქრისტეს ნათელს ზიარებული კაცის სულიერ აღსარებას წარმოგვიდგენს.

ბოლოდროინდელი კვლევებით სულ უფრო მტკიცდება აზრი, რომ „ქართლის მოქცევის“ შემადგენლობაში ისტორიულ ქრონიკასთან ერთად შეტანილი „წმინდა ნინოს ცხოვრება“ IV საუკუნეში უნდა დაწერილიყო, თუმცა გვიანდელი (X-XIV სს.) ნუსხებით მოღწეული ტექსტი სხვადასხვა ფაქტორის გამო მეტ-ნაკლებად დაზიანებული და სახეცვლილია. თხზულების უძველესი პლასტებიდან ხელნაწერებს შემოუნახავთ გარდაცვალების ზღვართან მყოფი მირიან მეფის „წიგნი“, რომელიც ბიბლიური ტოპოსების, როგორც მარკერების, ლექსიკურ-სტილური მახასიათებლებით მიგვანიშნებს არა მხოლოდ ტექსტის შექმნის კულტურულ-ისტორიულ ეპოქაზე, არამედ რედაქციული სახესხვაობების ფარგლებში უფრო ძველ, პროტორედაქციასთან მიახლოებულ იკითხვისებზეც.

ქართლის პირველი ნათელღებული მეფის „წიგნის“ ამ თვალსაზრისით შესწავლამ, რაზეც აქამდე ყურადღება საგანგებოდ არ გამახვილებულა, ცხადყო, რომ პირვანდელი სახე ტექსტს არცერთ ხელნაწერში არ აქვს შენარჩუნებული, თუმცა, ჩვენი დაკვირვებით, ის შატბერდულ რედაქციაში უფრო ავთენტური წყაროდან უნდა მომდინარეობდეს.

საკვანძო სიტყვები: ტოპოსი; ბიბლია; მარკერი; რედაქციული სახესხვაობები.

* * *

ბიბლიურ ტოპოსებს შუა საუკუნეების ლიტერატურაში განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. მათი „ცნობადობიდან“ გამომდინარე, ისინი ალუზიურად მიანიშნებენ სიმბოლურ კავშირებზე უნივერსალურ სულიერ, მორალურ თუ ესქატოლოგიურ პარადიგმებთან, რის გამოც ავტორისეული თხრობა ტექსტში, რომელიც რეალურ მოვლენებს გადმოგვცემს, ბიბლიურ ტრადიციასთან ერთგ-

ვარი დიალოგის სახეს იძენს. ამგვარ კონტექსტში გააზრებული ამბავი ქმნის ტექსტის თავისებურ ქრონოტოპს, რომელიც წარსულის კვლავწარმოებით მას აწმყოსა და მომავალთან აერთიანებს და კოსმიური მნიშვნელობის ქრონოტოპში ჩართვით აღრმავებს ნარატივის ჰერმენევტიკულ ინტერპრეტაციას. აქედან გამომდინარე, ბიბლიურ ტოპოსებს, როგორც მარკერებს, ავტორები ხშირად კულტურული და ეროვნული იდენტობის გამოსახატავადაც იყენებენ, რამდენადაც მათი საშუალებით შესაძლებელი ხდება ერის ისტორიული ტრაექტორიის, იდეალებისა თუ საკრალური მისიის წარმოჩენა.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ბიბლიური ტოპოსების სტრუქტურული, სტილური და ლექსიკური იერსახე, მათი სიცხადე და შესაბამისობა საერთო კონტექსტთან მნიშვნელოვანი მარკერია შუა საუკუნეების ამა თუ იმ ტექსტის რედაქციულ სახესხვაობათა შორის უადრესი, ავთენტური იკითხვისების დასადგენად და, შესაბამისად, გვიანდელი ხელნაწერებით მოღწეული თხზულებების შექმნის კულტურულ-ისტორიული პერიოდის განსასაზღვრად. ამ თვალსაზრისით ჩვენ ყურადღება მივაქციეთ ქართლის პირველი ნათელღებული მეფის, მირიანის, „წიგნს“, რომელიც ჩართულია ქართული კულტურისა და ლიტერატურის ისტორიისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტექსტის, „წმინდა ნინოს ცხოვრების“, ადრეულ რედაქციებში და წარმართობის დაძლევით ქრისტეს ნათელს ზიარებული კაცის სულიერ აღსარებას წარმოგვიდგენს.

მეფის „წიგნი“, თანდართულ „ანდერძთან“ ერთად, თხზულების საერთო კონცეფციიდან გამომდინარე, თავისი უმთავრესი სათქმელის გადმოსაცემად ქრისტიანულ სახისმეტყველებას ეფუძნება. შესაბამისად, მასში უხვად გვხვდება ტოპოსები, ე.წ. საერთო ადგილები ბიბლიურ ტექსტთან და სააზროვნო მოდელებთან.

„და იყო ჟამსა მას, რომელსა მოიწყინა უფალმან ქუეყანაჲ ესე ჩრდილოჲსაჲ, დაბნელებული ცოდვითა და სავსე ცთომითა ეშმაკისაჲთა, ვიყვენით ჩუენ ვითარცა ცხოვარნი კლვადნი“ (მოქცევაჲ ქართლისაჲ, 1964: 157), – ამ ფრაზით შემოდის მკითხველის ცნობიერებაში ნათელღებული მეფის „წიგნი“ „წმ. ნინოს ცხოვრების“ შატბერდული რედაქციიდან. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ტექსტი ჟამზე, დროზე, მითითებით იწყება. ამგვარი მითითებით იწყება ბიბლიაც: *„დასაბამად ქმნა ღმერთმან ცაჲ და ქუეყანაჲ“* (დაბ. 1,1). ეს დასაბამი არის აბსოლუტური საწყისი, საიდანაც ისტორიული დრო აითვლება. კაცობრიობის ესა თუ ის მოვლენა სწორედ ამ ისტორიულ დროში ხდება და ღვთაებრივ ღირებულებას იძენს, რადგან ტრანსცენდენტულ, ისტორიულ დრომდე ზედროულად, მარადიულად არსებული ღვთის ჩანაფიქრის სხვადასხვა ეტაპია, რომელთაგან თითოეული განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. *„ყოველთათჳს ჟამი არს და ჟამი ჩანს ყოვლისა საქმისა ცასა ქუეშე“,* – გვამცნობს ეკლესიასტე (ეკლ. 3,1). და ვინაიდან *„ჟამი არს შობისაჲ და ჟამი სიკუდილისაჲ“* (ეკლ. 3,2), მირიანის მეფობის დროს ქართლის ცხოვრებაში დგება ღვთიური ჩანაფიქრის აღსრულების ერთი კონკრეტული ეტაპი, როცა უნდა დაიძლიოს „ჟამი სიკუდილისა“, ანუ წარმართული წარსული, და დადგეს ჟამი ქართველთა სულიერი შობისა.

მირიანის „წიგნიდან“ დამოწმებულ კონტექსტთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ მასში ქართლის სახელდება „ჩრდილოს ქვეყნად“ „წმინდა ნინოს ცხოვრების“ უძველესი რედაქციებიდან მხოლოდ შატბერდულს შემოუნახავს. ამგვარი სახელდება, ცხადია, არა გეოგრაფიულად განპირობებულ მოცემულობას, არამედ სიმბოლურ გააზრებას ემყარება და ნათლისა და ბნელის ბიბლიურ ტოპოსს უკავშირდება, რომელიც ქართლის მოქცევასთან მიმართებით უფრო ხილულად წარმოდგება შატბერდულივე რედაქციის „წიგნზე“ დართულ მეფის „ანდერძში“ – მირიანი მიმართავს თავის მემკვიდრეს: *„აჰა ესერა შეიცვალა ბნელი ჩუენი ნათლად და სიკუდილი ჩუენი ცხორებად“* (მოქცევაჲ ქართლისაჲ, 1964: 162-163).

„ბნელი და ნათელი“, რომელთა შესახებ საუბრითაც იწყებს ქართლის მეფე ვაჟის დარიგებას, ის უმთავრესი მსოფლმხედველობრივი ანტინომიაა, რომელიც დასაბამიდან დასასრულამდე გასდევს მთელ ბიბლიურ ისტორიას. ადამიანის ცხოვრებაც ბნელისა და ნათლის მუდმივი კონფლიქტის ფონზე წარიმართება, ხოლო სიკვდილ-სიცოცხლეს მათ შორის გაკეთებული არჩევანი განაპირობებს. სწორედ ქრისტეს რწმენამ და ნათელთან ზიარებამ შეუცვალა ქართლის მოსახლეობასაც ბნელი ნათლად, რასაც მირიანის „ანდერძის“ შატბერდულ რედაქციაში მოსდევს სინონიმური მნიშვნელობის ანტინომიური წყვილი: „სიკვდილი – ცხოვრება“ (ჭელიშურ რედაქციაში ამის სანაც-

ვლოდ წერია: *„მწუხარებაჲ ჩუენი სიხარულად საუკუნოდ“* (მოქცევაჲ ქართლისაჲ, 1964: 162), ხოლო სინურში, როგორც ჩანს, ტექსტი აზრობრივად სათანადოდ გამართული არ არის. აქ ვკითხულობთ: *„სიქადული ჩუენი ცხორებად“* (ალექსიძე, 2007: 56)).

ანტინომიური წყვილების სიმრავლით გამოირჩევა მირიანის „წიგნის“ კიდევ ერთი ეპიზოდი, რომელშიც წარმართული ქართლის სურათს ნინოს ღვაწლის გააზრების ფონზე ქვეყნის მკვიდრთა სულიერ ფერისცვალებაზე მითითება ცვლის და რომელსაც არაერთმა მკვლევარმა მიაქცია ყურადღება:

„ხოლო ოდეს მოიწია ჟამი და მოვიდა ნეტარი ესე დედაკაცი, მოციქული და მახარებელი ძისა ღმრთისაჲ, წმიდაჲ ნინო, პირველ ვითარცა ტყუე, ვითარცა უცხოჲ და ვითარცა მწირი, ვითარცა შეუწევნელი, ვითარცა უსმი და უტყჳ, რომელიცა აწ მექმნა ჩუენ ტყუე იგი დედოფალ, უცხოჲ იგი – დედა, შეუწევნელი – შესავედრებელ ყოველთა, და უტყჳ იგი – ქადაგ ძლიერ და მეცნიერ დაფარულთა ჩემთა გულის სიტყუათა“(მოქცევაჲ ქართლისაჲ, 1964: 158).

აღსანიშნავია, რომ ნინოს მოსვლა ქართლში, როგორც „მოციქულისა და მახარებლისა ძისა ღმრთისა“, **მხოლოდ შატბერდულ რედაქციაშია აქცენტირებული.** ასევე, **ანტინომიურ წყვილთა შორის მხოლოდ ამავე ნუსხაში გვხვდება „უცხო – დედა“.** ჭელიშურ და სინურ რედაქციებში ეპითეტი „უცხო“ პირდაპირ ებმის შემდგომ წყვილს და თავად სიმბოლური ანტონიმის გარეშე რჩება. ჩვენი აზრით, ანტინომია „უცხო – დედა“ აუცილებლად უნდა ყოფილიყო თავდაპირველ ტექსტში, ვინაიდან მის გარეშე ირღვევა არა მარტო ეპიზოდის სტრუქტურა, არამედ მხატვრული ჩანაფიქრიც. ამასთან, როგორც, შემჩნეულია სამეცნიერო ლიტერატურაში, ნინოს მხატვრული სახე „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტში დიდწილად უკავშირდება მარიამ ღვთისმშობელს. მარიამი განკაცებული უფლის დედაა და, ამდენად, ქრისტეს შობით შესაძლებელს ხდის გამოხსნის საკრალური შინაარსის განხორციელებას. ამ თვალსაზრისით, წმ. ნინოც ქართლისთვის ღვთისმშობლის ნაცვალია. ის, როგორც თავის გულში მატარებელი ჭეშმარიტი ღვთის სიტყვისა, აზიარებს მასთან წარმართ ქართველობას და ამით შესაძლებელს ხდის მათ სულიერ გამოხსნას. საინტერესოა ერთი სახარებისეული დეტალიც. ჯვარცმულმა *„იესო ვითარცა იხილა დედაჲ თჳსი და მოწაფე იგი, რომელი უყუარდა, წინაშემდგომარენი, ჰრქუა დედასა თჳსსა: დედაკაცო, აჰა ძე შენი!“* და *მერმე მოწაფესა მას ჰრქუა: „აჰა, დედაჲ შენი!“ და მიერითგან წარიყვანა იგი მოწაფემან მან თჳსთა თანა“* (იოან. 19, 26-27). ამ ეპიზოდის შესახებ საღვთისმეტყველო ლიტერატურაში შენიშნულია: *„Иисус призывает Её к новому материнству, которое и станет отныне её назначением в народе Божием“* (Словарь Библейского Богословия, 1998: 547). ვფიქრობთ, ამის კვალობაზე უნდა გაცნობიერდეს ქართველთათვის „დედად“ ქცევა წმ. ნინოსიც, რომელიც, თავის მხრივ, მათ ხდის უფლის ერად. ნინოს „დედობას“ რ. სირაძე უკავშირებს იმ ფაქტსაც, რომ ის ემსგავსება „ადგილის დედას“ (სირაძე, 1997: 106). ჩვენი აზრით, საინტერესო შეიძლება იყოს კიდევ ერთი ნიუანსიც: წმ. ნინო მოციქულთა სწორია; მას ქართლში სწორედ მოციქულებრივი მისია აკისრია; პავლეს ეპისტოლეებში მოციქულთა ღვაწლი და შრომა შვილთა მიმართ დედობრივ მზრუნველობასთან არის შედარებული: *„და ესაღა ჴელ-გუეწიფების, და თუმცა რაჲმე-გიმძიმეთ, ვითარცა ქრისტეს მოციქულთა, არამედ ვიქმნენით ჩუენ მშჳდ და მყუდრო თქუენ შორის, ვითარცა მზრდელი რაჲ ჰფუფუნებს თჳსთა შვილთა“* (I თეს. 2,7); უფრო მეტიც, პავლე, როგორც მოციქული, სხვათა მოქცევას ჭეშმარიტების გზაზე ადარებს დედის მიერ შვილთა შობას ტანჯვითა და ტკივილით: *„შვილნო ჩემნო, რომელთათჳს კუალად მელმის, ვიდრემდე გამოიხატოს ქრისტე თქუენ შორის“* (გალ. 4,19). ე.ი. პავლე მოციქულის მიხედვით, მოციქულებრივი მისია დედობრივ ინსტინქტებს ეფუძნება. ვფიქრობთ, ნინოს სახე ამის კვალობაზეც შეიძლება გაცნობიერდეს, როგორც „დედა“.

მირიანის „წიგნის“ პოეტიკაში ყურადღებას იპყრობს შესანიშნავი მხატვრული სახე წმინდა ნინოს გარდაცვალებისა: „...შეჰვედრა სული თჳსი უბიწოჲ ჴელთა დამბადებელისა თჳსისათა... და ყოველი ნათესავი ჩრდილოისაჲ აღივსო მწუხარებითა, რამეთუ აღმო-ოდენ-სრულ იყო მზჱ სიმართლისაჲ და მო-ოდენ-ფენილ იყო ჭეშმარიტი და დაფარა ღრუბელმან წმიდაჲ ნინო“ (მოქცევაჲ ქართლისაჲ, 1964: 160-161). ღრუბელს ბიბლიაში სიმბოლური დატვირთვა აქვს: ის, როგორც ღვთის თანადასწრების, მისი გარეგნული საბურველისა თუ დიდების ნიშანი, ჯერ კიდევ ძველ აღთქმაში ჩნდება და მნიშვნელობას ახალშიც ინარჩუნებს. აღდგომიდან მე-40 დღეს მოწაფეებთან საუბრის

შემდეგ იესო ქრისტე *„ამაღლდა, ხედვიდეს რაჲ იგინი და ღრუბელმან შეიწყნარა იგი თუალთაგან მათთა“* (საქმე 1,9). ეს სახე მორწმუნეთა ესქატოლოგიური მოლოდინის არქეტიპად იქცა. პავლე მოციქული სწერს თესალონიკელებს: *„და მაშინღა ჩუენ, ცხოველნი ესე, რომელნი დაშთომილ ვიყვნეთ, მათ თანავე აღვიტაცნეთ ღრუბლითა შემთხუევად უფლისა ჰაერთა ზედა და ესრეთ მარადის უფლისა თანა ვიყოფვოდეთ“* (I თეს. 4,17). ვფიქრობთ, წმინდა ნინოს „ღრუბლით დაფარვა“ მირიანის „წიგნშიც“ სწორედ ბიბლიურ წყაროთა კვალობაზე უნდა გაშინაარსდეს, როგორც გარდაცვალება, მიწიერი ცხოვრებიდან უფლის სულიერ სამოთხეში გადანაცვლება, მარადიული თანამყოფობა ღმერთთან. აღსანიშნავია, რომ „ცხოვრების“ ჭელიშურ და სინურ რედაქციებში წმინდა ნინოს გარდაცვალების მირიანისეული ინტერპრეტაცია განსხვავებულად არის წარმოდგენილი; კერძოდ, „ღრუბელს“ ერთვის მსაზღვრელი „ზამთრისამან“ („ღრუბელმან ზამთრისამან“), რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა წმინდანის გარდაცვალების სეზონურ პერიოდზე მიანიშნებდეს, ჩვენი აზრით, ავთენტურ ტექსტში არ უნდა ყოფილიყო, ვინაიდან არღვევს წმ. ნინოს ამაღლების სიმბოლური სურათის ლოგიკას, აფერმკრთალებს „ღრუბლით დაფარვის“ მნიშვნელობას და შემდგომი ხანის რედაქტორ-გადამწერებს უნდა ეკუთვნოდეს.

ჩვენი კვლევისთვის საინტერესო პასაჟების მოხმობა მირიანის „წიგნიდან“ მრავლად შეიძლება, მაგრამ მათი სრულად წარმოდგენა სცდება ერთი სტატიის ფარგლებს, თუმცა, არ შეიძლება არ განვიხილოთ ტექსტის ბოლო ეპიზოდი, რომელშიც მეფე, ბიბლიური სახისმეტყველების კვალობაზე, უფლისწულს ცხადად წარმოუჩენს წარსულის დაძლევის გზით მოპოვებული აწმყოს სიკეთეს და მომავალში ამ სიკეთის შენარჩუნებისათვის სულიერი მღვიძარებისაკენ მოუწოდებს:

„აჰა ესერა შეიცვალა ბნელი ჩუენი ნათლად და სიკუდილი ჩუენი ცხორებად. აწ სადაცა ჰპოვე ქუეყანასა შინა შენსა ვნებასა იგი ქართლისანი მაცთურნი კერპნი, ცეცხლითა დაწუენ და ნაცარი მათი შეასუ მათ, ვინც მათ ეგლოვდის, და ესე ამცენ შვილთა შენთა, რამეთუ მეც ვიცი იგი, მსრწაფლ კავკასიათა შინა ვერ დაილევიან. ხოლო შენ ესრე ჰყოფდ: თავი შენი შეჰვედრე სუეტსა მას ზეგარდამოდიდებულსა და პატიოსანსა ჯუარსა, ცათა შინა ჩინებულსა და იყავნ შენი მისლვაჲ მიწად ძილად საუკუნოდ სარწმუნოვებასა ზედა წმიდისა სამებისასა. ამენ“ (მოქცევაჲ ქართლისაჲ, 1964: 162-163).

დამოწმებული კონტექსტის საწყისი ფრაზის შესახებ ზემოთ უკვე ვიმსჯელეთ. რაც შეეხება დანარჩენს, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს „მაცდური“ კერპებისადმი დამოკიდებულება. ამ თვალსაზრისით ბიბლია, ცხადია, უხვ მასალას გვაძლევს, მაგრამ მირიან მეფის სახელით მოღწეული ტექსტის ან ნაწილის უშუალო პირველწყარო გამოსვლათა წიგნის ის ეპიზოდი უნდა იყოს, როცა სინის მთიდან დაბრუნებული, სჯულის ფიცრებით ხელდამშვენებული მოსე ებრაელთა მიერ გამოდნობილ კერპს – ხბოს – იხილავს, დაწვავს მას, „შთააბნევს“ წყალში და შეასმევს „ძეთა ისრაჱლისათა“ (გამ. 32,20). საინტერესოა, რომ ეს, ჩვენი აზრით, უძველესი პლასტი **არც ჭელიშურ და არც სინურ რედაქციებს არ შემოუნახავთ.** სინურში ტექსტის ბოლო ნაწილი საკმაოდ გაუმართავია, რაც, როგორც ჩანს, დაზიანებული დედნით სარგებლობის შედეგია, ჭელიშური კი, ალბათ, ამ ნაწილში ასევე დაზიანებული დედნიდან უნდა მომდინარეობდეს, ვინაიდან მირიანის მიერ კერპთა დაწვის მოთხოვნის ეპიზოდი აქ შეცვლილია უფრო ვრცელი, სავარაუდოდ, შედარებით გვიანდელი ჩანართით; მაგრამ, სამაგიეროდ, ჭელიშურ რედაქციაში ვაჟისადმი მირიანის მიმართვის ემოციურ-სტილური თავისებურება, რითაც ის სხვაობს შატბერდული და სინური რედაქციების შესაბამისი, უფრო ოფიციალური ტონით აღბეჭდილი ტექსტებისგან („ხოლო შენ ესრე ჰყოფდ“), მას მეტად აახლოებს ბიბლიურ-ეპისტოლურ დისკურსთან. ჭელიშურ რედაქციაში ვკითხულობთ: *„ხოლო შენ ფრთხილ იყავ, შვილო საყუარელო, რევ, ვითარცა უწყუებულ ვართ წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩუენისა ნინოჲსგან, მცნებანი მისნი დაიმარხენ და თავი შენი შეჰვედრე სუეტსა მას ზეგარდამოდიდებულსა და ჯუარსა პატიოსანსა და იყავნ განსვლაჲ შენი ამიერ სოფლით სარწმუნოებასა ზედა წმიდისა სამებისასა, მშჯდობაჲ შენდა!“* (მოქცევაჲ ქართლისაჲ, 1964: 163). მიუხედავად იმისა, რომ მირიანის „წიგნ-ანდერძში“ ქრისტიანობის საკუთრივ ქართულ რეალიებზეა ყურადღება გამახვილებული – ნეტარი დედა-ნინოს ქადაგებაზე, ცხოველ სვეტსა და სხვ., თავისი ფორმითაც და შინაარსითაც ეს მიმართვა მოგვაგონებს პავლე მოციქულის ტიმოთეს მიმართ II ეპისტოლეს ტექსტს: *„ხოლო შენ ფრთხილად იყავ ყოველსა შინა, ძჳრსა იხილევდ, საქმე ქმენ მახარებლისაჲ, მსახურებაჲ*

შენი კეთილად აღასრულე“ (II ტიმ. 4,5). აღსანიშნავია, რომ მირიანი „მიწად მიქცევის“ წინ არიგებს ასე თავის ვაჟს. მიწიერი ცხოვრების აღსასრულისა და „მიქცევის“ მომლოდინეა ამ ეპისტოლეს დაწერისას პავლე მოციქულიც. ის ამბობს: *„ღუაწლი კეთილი მომიღვაწებიეს, სრბაჲ აღმისრულებიეს, სარწმუნოებაჲ დამიმარხავს. ამიერითგან მიმელის მე სიმართლისა იგი გჳრგჳნი, რომელი მომცეს მე უფალმან მას დღესა შინა, მართალმან მან მსაჯულმან, არა ხოლო თუ მე, არამედ ყოველთა, რომელთა შეიყუარეს გამოჩინებაჲ მისი“* (II ტიმ. 4,7-8). მართალია, ამის შესახებ თავის „წიგნ-ანდერძში“ ასე დაბეჯითებით არ საუბრობს მირიანი, მაგრამ ის, რასაც იგი ესოდენ თავმდაბლად გვიამბობს, სწორედ „კეთილი ღვაწლის მოღვაწებაა“, „სრბის აღსრულებაა“, ჭეშმარიტი სარწმუნოების „დამარხვის“ ცხადყოფაა. ყოველივე ამის შედეგად, პავლე მოციქულივით, ქართლის პირველი ქრისტიანი მეფეც უკანასკნელ დღეს უფლისგან მართალთა თანა შერაცხვას ელის.

ბოლოდროინდელი კვლევებით სულ უფრო მტკიცდება აზრი, რომ „ქართლის მოქცევის“ შემადგენლობაში ისტორიულ ქრონიკასთან ერთად შეტანილი „წმინდა ნინოს ცხოვრება“ IV საუკუნეში უნდა დაწერილიყო, თუმცა გვიანდელი (X-XIV სს.) ხელნაწერებით მოღწეული ტექსტი სხვადასხვა ფაქტორის გამო მეტ-ნაკლებად დაზიანებული და სახეცვლილია. თხზულების უკანასკნელი ნაწილი – მირიანის „წიგნი“, თანდართულ „ანდერძთან“ ერთად -ქართველთა განმანათლებლის „ცხოვრების“ არქიტექტონიკის უმნიშვნელოვანესი და, შესაბამისად, უძველესი ნაწილია, რომელიც ბიბლიური ტოპოსების, როგორც მარკერების, ლექსიკურ-სტილური მახასიათებლებით მიგვანიშნებს არა მხოლოდ ტექსტის შექმნის კულტურულ-ისტორიულ ეპოქაზე, არამედ რედაქციული სახესხვაობების ფარგლებში უფრო ძველ, პროტორედაქციასთან მიახლოებულ იკითხვისებზეც.

ქართლის პირველი ნათელღებული მეფის „წიგნის“ ამ თვალსაზრისით შესწავლამ, რაზეც აქამდე ყურადღება საგანგებოდ არ გამახვილებულა, ცხადყო, რომ პირვანდელი სახე ტექსტს არცერთ ხელნაწერში არ აქვს შენარჩუნებული, თუმცა, ჩვენი დაკვირვებით, ის შატბერდულ რედაქციაში უფრო ავთენტური ან მასთან მიახლოებული წყაროდან უნდა მომდინარეობდეს, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში სავარაუდო დედანთან მეტ სიახლოვეს შეიძლება უფრო გვიანდელი რედაქცია, ჭელიშური, ამჟღავნებდეს.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

ალექსიძე, ზ. (რედ.). (2007). *„მოქცევაჲ ქართლისაჲ“: ახლადაღმოჩენილი სინური რედაქციები.* თბილისი: საქართველოს საპატრიარქო.

მოქცევაჲ ქართლისაჲ. (1964). ი. აბულაძე (რედ.), *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები* (ტომი I). თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

სირაძე, რ. (1997). *„წმიდა ნინოს ცხოვრება“ და დასაწყისი ქართული აგიოგრაფიისა.* თბილისი.

Леон-Дюфур, К. (Ред.). (1998). *Словарь Библейского Богословия.* Киев-Москва: „Кайрос“.

BIBLICAL TOPOI, AS MARKERS, IN THE CONTEXT OF THE „BOOK" OF THE FIRST CHRISTIAN KING OF KARTLI

IRINA NATSVLISHVILI,
PhD in Philology, Researcher at
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature of
Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
ელ-ფოსტა: inatsvlishvili@yahoo.com
ORCID: 0009-0001-0967-1068

Biblical topoi carry special significance in the medieval literature. Deriving from their „repute", they allude to symbolic connections with universal spiritual, moral or eschatological paradigms. Due to this fact, the author's narration in the text, which depicts real events, acquires a somewhat dialogic nature with Biblical tradition. The event conceptualized in such a context creates a specific chronotope of the text, which unites it with the present and the future through re-generation of the past, and through its inclusion in the chronotope of cosmic significance, deepens the hermeneutic interpretation of the narrative. Deriving from this fact, authors often use Biblical topoi, as markers, for expressing cultural and national identities. Hence, this makes the reflection of historic trajectory, ideals or sacral mission of a nation, possible.

It should also be noted that the structural, stylistic and lexical outlook and clarity of Bibilical topoi, as well as their correspondence with the overall context, are significant markers for establishing the earliest and most authentic version of any medieval text among a variety of its editions, which in its turn, makes it possible to define the cultural-historical period of the creation of the texts that have survived in the form of manuscripts of later dates. In this resepect, we looked into the „Book" written by Mirian, the first Christened King of Kartli. The „Book" is included in the early editions of one of the most illustrious text-compendiums of Georgian culture and literary history „The Life of St. Nino". It narrates the story of spiritual confession of a man who partook Christ's Eucharist through defeating paganism.

Alongside the contemporary „Will", the King's „Book", deriving from the overall concept of the text, is based on the Christian imagery in conveying its main message. Accordingly, we encounter ample cases of topoi, that constitute the so-called „common places" with the Biblical texts and mental models.

„And it came to pass in those days that the Lord remembered this northern land, darkened with sin and filled with devil's iniquities, we were like the sheep to be slaughtered" (Conversion of Kartli, 1964: 157), – the Christened King's „Book" from the Shatberdi edition of „The Life of St. Nino", enters the consciousness of a reader through this phrase. It is not by chance that the text begins with the indication of period and time. The Bible also starts with such an indication: „In the beginning God created the heaven and the earth" (Genesis, 1.1). This beginning is an absolute starting point of historical time. Any event in the history of the mankind takes place in this historical period and acquires divine value, since it presents various stages of eternal God's intentions, God who is beyond transcendental, historical time, and gives special significance to each of this stage. *„To every thing there is a season, and a time to every purpose under the heaven",* – heralds Ecclesiastes (Ecclesiastes, 3.1). And since there is „a time to be born, and a time to die" (Ecclesiastes, 3.2), there comes a concrete stage in the life of Kartli during Mirian's reign, the stage of the fulfillment of God's divine prophesy, when 'the time of death", i.e. pagan past, has to be overcome and the time of spiritual birth of Georgians has to come.

It is noteworthy that in the context of Mirian's „Book", Kartli is named as „Northern country" only in the Shatberdi edition among the oldest editions of „The Life of St. Nino". Obviously, such naming is not conditioned geographically but is based on symbolic conceptualization and is connected with the Biblical topos of light and darkness, which in relation to the conversion of Kartli is more vividly presented

in the King's „Will" attached to the Shatberdi edition of the „Book" – Mirian addresses his heir: „Behold thus, our darkness has changed into light, and our death into life" (Conversion of Kartli, 1964: 162-163).

The „darkness and light", with which the King starts advising his son, is the main antinomy of the worldview that thoroughly transcends the entire Biblical story. A person's life is also conducted against the background of constant conflict between darkness and light, and the choice made between them conditions life and death. It is exactly the faith in Christ and communion with the light that changed darkness into light for the population of Kartli. It is followed by the antonymous pair with synonymous meaning in the Shatberdi edition of Mirian's „Will": „death-life" (the Chelishi edition offers a different pair: „*change our woe into joy forever*" (Conversion of Kartli, 1964: 162). As for the Sinai edition, it appears that the text is not fully conceptually comprehensible. It reads as follows: „*change our praise / honour into life*" (Aleksidze, 2007: 56)).

One more episode of Mirian's „Book" stands out for the multiplicity of antonymous pairs, in which the pagan outlook of Kartli is replaced by the indication to spiritual transfiguration of the country's inhabitants in the light of St. Nino's endeavours. A number of scholars have paid attention to this episode:

„And when the time came, and the blessed woman, the apostle of the son of God and the evangelist, St. Nino, appeared first as a captive, as a stranger and as a poor one, unaided, as the one who did not speak or hear, who has now become the queen for us, a stranger – mother, unaided – interceded, prayed for all, and who did not speak – and now a powerful preacher and aware of the hidden words of my heart" (Conversion of Kartli, 1964: 158).

It should be noted that the arrival of Nino in Kartli, as „an equal-to-apostles and good-news bearer / evangelist of the Son of God", is underscored only in Shatberdi edition. Besides, it is only in this edition that we come across the antonymous pair „stranger-mother". In Chelishi and Sinai editions the epithet „strange" is directly linked with following pair and is left without its symbolic antonym. In our opinion, the antonymous pair „stranger – mother" must have existed in the original text, since without it not only is the episode structure distorted, but literary imagery is blurred as well. In addition, as it is noted in scholarly literature, Nino's literary image is mostly associated with Mary Godmother in the text of „Conversion of Kartli". Mary is the Mother of Humanized Lord, and, consequently, makes the sacral salvation possible through giving birth to Christ. In this respect, St. Nino is also Godmother's equal-to-apostle in Kartli. As a bearer of Lord's true word in her heart, she imparts her faith to pagan Georgians and makes their spiritual redemption possible. One detail from the Gospel is also noteworthy. Being Crucified, „*When Jesus therefore saw his mother, and the disciple standing by, whom he loved, he saith unto his mother, Woman, behold thy son! Then saith he to the disciple, Behold thy mother! And from that hour that disciple took her unto his own home"* (John, 19: 26-27). Theological literature makes a comment on this episode: „Jesus appeals to Her for new Motherhood, which henceforth will become Her mission among God's people" (Dictionary of Biblical Theology, 1998: 547). We assume that likewise, St. Nino should be conceptualized as „Mother" for Georgians, who in Her turn, makes them as God's nation. R. Siradze connects Nino's „motherhood" with the fact that She resembles „the mother of the place" (Siradze, 1997: 106). In our opinion, one more detail might appear interesting: St. Nino is equal to apostles; she carries apostolic mission in Kartli. In St. Paul's epistles the activities and preaching of apostles are compared with motherly care towards children: *„Nor of men sought we glory, neither of you, nor yet of others, when we might have been burdensome, as the apostles of Christ. But we were gentle among you, even as a nurse cherisheth her children"* (1 Thessalonians 2: 6-7). Moreover, St. Paul, as an apostle, compares the conversion of others to the righteous religion with the hard labour of a mother giving birth to children: „*My little children, of whom I travail in birth again until Christ be formed in you*" (Galatians, 4: 19); i.e. according to St. Paul the Apostle, apostolic mission is based on motherly instincts. We assume that in this context, St'Nino's imagery can be perceived as that of the „Mother".

In the poetics of Mirian's „Book", a fascinating imagery of St. Nino's death attracts particular attention: „...and She besought her pure soul into the hands of her Creator … and all the people of the north were filled with sorrow, for the sun of righteousness had risen, and the truth had spread, and

the cloud covered holy Saint Nino" (Conversion of Kartli, 1964: 160-161). A cloud bears a symbolic significance in the Bible: it appears as a sign of Lord's presence, His external cover and glory in the Old Testament, and retains its importance in the New Testament. On the 40th day after the Resurrection, having conversed with His disciples, Jesus Christ ascended into clouds „And when he had spoken these things, while they beheld, he was taken up; and a cloud received him out of their sight (Acts 1:9). This image has become an archetype of eschatological expectation among believers. St. Paul Apostle writes to Thessalonians: „Then we which are alive and remain shall be caught up together with them in the clouds, to meet the Lord in the air: and so shall we ever be with the Lord" (1 Thessalonians, 4: 17). We hypothesize that based on Biblical sources, „the covering of St. Nino with clouds" in Mirian's „Book", should be conceptualized as her death, transposition from earthly life to Lord's spiritual paradise, and to eternal abide with God. It is noteworthy that the Chelish and Sinai editions of „The Life" present a different rendering of Mirian's interpretation of St. Nino's death; namely, „cloud" is used with the modifier „of winter" ("cloud of winter"), which might be pointing to the seasonal period of Saint's death, however, we believe that it would not have been used in the original text, since it would have distorted the logic of symbolic picture of St. Nino's Ascension, and would have dimmed the significance of „covering with cloud". Hence, it could be attributed to the editor-scribes of the later period.

We could cite a number of passages from Mirian's „Book" that present interest for our research, hhowever, their full representation goes beyond the scope of one article. Nevertheless, we cannot avoid analyzing the final episode of the text, where, in line with the Biblical imagery, the King vividly depicts the present benefits gained through overcoming the past and calls his son for spiritual vigilance to retain these benefits in future:

„Behold, our darkness has changed into light, and our death into life. Now, wherever you have found those idols in your land of Kartli, burn them with fire and give their ashes to those who mourn for them, and so tell your children, for I know that they (the idols) cannot be wiped out in the Caucasus. And you do like this: . Amen" (Conversion of Kartli, 1964: 162-163).

We have already discussed above the first phrase of the cited passage. Regarding the rest of the text, the approach to the „enticing/luring" idols attracts particular attention in the first place. In this respect, the Bible surely provides ample material, but the primary source of this part of King Mirian's text should be the episode from Exodus in which Moses, having returned from Mount Sinai, and carrying the Commandment Tablets, sees the idol molded by Hebrews – the Calf – burns it, „scatters/strews" it in the water and offers it as a drink to „the sons of Israel" (Exodus, 32: 20). It is interesting that neither Chelish nor Sinai editions have preserved this oldest episode. The text is rather blurred in the final part of the Sinai edition, which is apparently, the result of using the flawed original version. And the Chelish edition should be also deriving from the damaged original, since the episode of Mirian's demand for burning the idols is replaced by a longer, presumably later addition. However, the emotional-stylistic peculiarity of Mirian's address to his son in the Chelish edition, that distinguishes it from more formal languages of the corresponding passages in Shatberdi and Sinai editions ("but you will be like this"), brings it closer to the Biblical-epistolary discourse. We read the following passage in the Chelish edition: *„And you, my beloved son, be careful, as we have learned from our holy and blessed mother Nino, keep her commandments and beseech yourself to the pillar, to the glorious and honorable Cross, exalted in Heaven, and let your transpose to another world be in the faith of the Holy Trinity, peace be unto you!"* (Conversion of Kartli, 1964: 163). In spite of the fact that Mirian's „Book-Will" emphasizes the Georgian realia of Christianity, the preaching of the blessed mother-St. Nino, life-giving pillar, and many others, through its form and contents of the address remind us of the text of St. Paul's second epistle to Timothy: „But watch thou in all things, endure afflictions, do the work of an evangelist, make full proof of thy ministry (II Timothy, 4: 5).

It is noteworthy that Mirian gives such advice to his son before „turning to earth". Apostle Paul is also expecting the end of the earthly life and „transposition" while writing this epistle. He says: „*I have fought a good fight, I have finished my course, I have kept the faith:*

Henceforth there is laid up for me a crown of righteousness, which the Lord, the righteous judge, shall give me at that day: and not to me only, but unto all them also that love his appearing" (II Timothy, 4: 7-8).

Although Mirian does not talk so eagerly about this in his „Book-Will", whatever he talks about so humbly is exactly „the act of kindness", „the fulfillment of God's will", is the revelation of „burying" in the true faith. As a result of all this, like Paul Apostle, the first Christian King of Kartli expects his final day as the blessing from God and as counting him amongst the righteous ones.

The recent studies increasingly prove that „St. Nino's Life", included in the compendium of the „Conversion of Kartli" together with historical chronicles, should have been written in the fourth century. However, the text included in the manuscripts of the later period (10th-14th centuries), has been preserved in a somewhat damaged and altered form due to various factors. The final part of the text – Mirian's „Book", together with its contemporary „Will" – is the most important, and hence, the oldest part of the architectonics of „The Life" of Georgia's enlightener. Through the usage of Biblical topoi, as markers, and through lexical-stylistic features, not only does it point to the cultural-historical period of the creation of the text, but it also identifies its older, near-proto-editions among a variety of versions.

This type of approach to the study of the „Book" by the first Christened King of Kartli, which has not been focus of research till present, has revealed that the text has not preserved its original form in any manuscript. However, according to our observation, in Shatberdi edition it should derive from the more authentic or more approximate source, though in certain cases, later Chelishi edition may reveal more proximity to the original.

References:

Aleksidze, Z. (ed). (2007). „moktsevay kartlisay": akhladaghmochenili sinuri redaktsiebi. [*"Conversion of Kartli": Newly discovered editions of Mount Sinai*]. Tbilisi: Patriarchate of Georgia.

Conversion of Georgia. (1964). I. Abuladze (ed). moktsevay kartlisay. dzveli kartuli agiograpiuli literaturis dzeglebi (tomi I). [*Old Georgian Hagiographic Literary Works (Volume I*)]. Tbilisi: Publication of Georgian Academy of Sciences.

Siradze, R. (1997). „tsminda ninos tskhovreba" da dasatsqisi kartuli agiograpiisa. ["*Life of St. Nino" and the beginning of Georgian Hagiography*]. Tbilisi.

Léon-Dufour, X. (ed). (1998). Slovar' Biblejskogo Bogosloviya. [*Dictionary of Biblical Theology*]. Kiyv-Moscow: „Cairos".

ექსისტენციალისტური კონცეპტები – აბსურდი და თვითმკვლელობა – გურამ რჩეულიშვილის მოთხრობებში

ადა ნემსაძე
ფილოლოგიის დოქტორი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის სახელობის
ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი,
ელ-ფოსტა: ada.nemsadze@tsu.ge
ORCID: 0009-0004-9911-256X

აბსტრაქტი: ევროპული მიმდინარეობებისთვის ჩაკეტილ საბჭოთა კულტურულ სივრცეში ექსისტენციალისტური ტენდენციები 70-იანი წლებიდან დასტურდება, თუმცა წანამძღვრები უფრო ადრიდან შეიმჩნევა გურამ რჩეულიშვილის პროზაში. სტატიაში გაანალიზებულია თვითმკვლელობა, როგორც აბსურდული ცხოვრებისაგან თავდაღწევის საშუალება, ორი მოთხრობის – **„მთებიდან ქალაქამდე“** და **„ბათარეკა ჭინჭარაული“** – მაგალითზე.

სალამურას მხატვრულ სახეში იკვეთება სამყაროსთან, მის მკაცრ კანონებთან მებრძოლი ადამიანი, რომელიც ცდილობს საკუთარი არსებისა და არსებობის დაცვას იმ დროსა და სივრცეში, სადაც იგი ბედნიერია. მაგრამ დაპირისპირებული სამყარო მის დამორჩილებას ცდილობს და ახერხებს კიდეც. ამ მოთხრობით გურამ რჩეულიშვილმა შექმნა მხატვრული სახე ირაციონალური, აბსურდული სამყაროს წინააღმდეგ ავჯანყებული ადამიანისა, რომელიც საბოლოოდ სიზიფედ იქცევა.

მზია ბათარეკას ასული მკაცრ სოციუმში ცხოვრობს, ამიტომ იქ თავის მშვენიერ სამყაროს ქმნის, სადაც დომინანტური თავისუფლება და რომანტიკულობაა. მისი აზრები მიწიერი, ყოველდღიური, ჩვეულებრივი ადამიანური ყოფისა და ტკივილისაგან შორსაა, მაგრამ ქალი უეცრად ეჯახება ცხოვრების სასტიკ რეალობას, რაც მას მის მიერ შექმნილ სამყაროს უმსხვრევს. ინდივიდი საბოლოოდ უუცხოვდება გარემოს, გრძნობს გადაულახავ წინააღმდეგობას საკუთარ სურვილებსა და შექმნილ გარემოებებს შორის, რაც საკმარისი მიზეზია თვითმკვლელობისთვის. გაუცხოებული სამყარო მხოლოდ ერთ გზას უტოვებს ინდივიდს და იგი თვითმკვლელობისკენ მიდის.

როგორც ალბერ კამიუ ამბობს, სამყარო ამ დროს ადამიანისთვის არც რაციონალურია და არც ირაციონალური, ის უბრალოდ უგუნურია. ექსისტენციალისტური ფილოსოფიის მიხედვით თვითმკვლელობა არის ხსნა ამ აბსურდული სამყაროსგან თავდასაღწევად. ასე აღიქმება ეს კონცეპტებიც გურამ რჩეულიშვილის განხილულ მოთხრობებში.

საკვანძო სიტყვები: ექსისტენციალიზმი; თვითმკვლელობა; აბსურდი; გურამ რჩეულიშვილი.

* * *

შესავალი. „ვერცერთი ხელოვანი ვერ იტანს რეალობას“, – ამბობდა ნიცშე. ის მართალია, მაგრამ ვერცერთი ხელოვანი ვერ იარსებებს რეალობის გარეშე. შემოქმედება ერთდროულად სამყაროს ერთიანობისა და მისი უარყოფის მოთხოვნაა. მაგრამ ის სამყაროს იმის გამო უარყოფს, რაც მას აკლია, და ზოგჯერ იმის გამოც, რასაც ეს სამყარო წარმოადგენს. აქ ამბოხი საშუალებას გვაძლევს, მას ისტორიისგან განყენებულად დავაკვირდეთ თავის წმინდა მდგომარეობაში, მის პირველყოფილ სირთულეში. ხელოვნებამ ამბოხის შინაარსის ბოლო ახსნა უნდა მოგვცეს“ (2019, გვ. 317), – წერს ალბერ კამიუ თავის ფილოსოფიურ ნაშრომში „ამბოხებული ადამიანი“ ამბოხისა და ხელოვნების ურთიერთმიმართების საკითხზე მსჯელობისას და ცოტა მოგვიანებით ამატებს: „ამბოხი მთავრდება ხელოვნებაში და მარადიულად გადადის ნამდვილ შემოქმედებაში“ (2019, გვ. 341).

მე-20 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში თუ ვინმეს შემოჰყავს მეამბოხე პერსონაჟი, მათ შორის ერთ-ერთი პირველი გურამ რჩეულიშვილია. მისი გმირები ფიქრობენ, მსჯელობენ, საკუთარ ცხოვრებას აანალიზებენ, ყოფის წვრილმან პრობლემებზე დარდობენ, ცდილობენ შეცვლას, ადა-

მიანში მიძინებული გრძნობების გაღვიძებას, მოქმედებენ, უყვართ, რის გამოც უწევთ დაპირისპირება გაბატონებულ შეხედულებასა თუ ტენდენციებთან; მათი ამბოხი, მართალია, ფიზიკურად პასიური მდგომარეობიდან, ანუ ფიქრიდან, იწყება, მაგრამ ფიქრი თავისთავად გონების მოქმედების აქტიური ფაზაა, რომელიც მალე ლოგიკურად გადავა ფიზიკურ აქტიურობაში.

მეთოდოლოგია: პრობლემა გაანალიზებულია ექსისტენციალური ფილოსოფიის ჭრილში, რისთვისაც ვიყენებთ ფრანგული ექსისტენციალიზმის უმთავრესი ავტორების – ალბერ კამიუს, ჟან პოლ სარტრისა და დანიელი ფილოსოფოსის, სიორენ კირკეგორის – ნაშრომებს. კვლევისას მხატვრული ტექსტის ანალიზი შესრულებულია ჰერმენევტიკული და სემიოტიკური მეთოდოლოგიის გამოყენებით.

მსჯელობა: ექსისტენციალისტური ფილოსოფიის ჩამოყალიბება ევროპულ კულტურულ სივრცეში მეოცე საუკუნის პირველ ნახევარს, 20-40-იან წლებს, უკავშირდება და მის პესიმისტურ ხასიათს დიდწილად განაპირობებს პირველი მსოფლიო ომის შემდგომ გაბატონებული უიმედობისა და ნიჰილიზმის განცდა. მალე ეს მსოფლმხედველობა მხატვრულ ლიტერატურაშიც გადადის, რაც ლიტერატურული ექსისტენციალიზმის სახელითაა ცნობილი. ამ პერიოდში საბჭოთა კულტურული სივრცე უკვე ჩაკეტილია ევროპული მიმდინარეობებისთვის და აქ ხელოვნურად შექმნილი სახელოვნებო მეთოდი – სოციალისტური რეალიზმი ვითარდება. რაც შეეხება ექსისტენციალიზმს, მისი ტენდენციები ქართულ ლიტერატურაში საუკუნის მეორე ნახევრიდან, კერძოდ, 70-იანი წლებიდან დასტურდება, თუმცა წანამძღვრები, როგორც ხდება ხოლმე, უფრო ადრიდან შეიმჩნევა.

50-იანი წლების მეორე ნახევარში ჯერ კიდევ სოციალისტური რეალიზმის პირობებში იქმნება გურამ რჩეულიშვილის მხატვრული პროზა. მის თავისებურებებსა და შემოტანილ ნოვაციებზე ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში უკვე საკმაოდ ბევრია დაწერილი, თუმცა მისი პროზის ექსისტენციალისტური ტენდენციები ანალიზის საგანი ჯერ არ გამხდარა. როგორც აღმოჩნდა, ამ მხრივ კვლევას საკმაოდ საინტერესო შედეგებამდე მივყავართ. ამჯერად გავაანალიზებთ აბსურდს და თვითმკვლელობას, როგორც აბსურდული ცხოვრებისაგან თავდაღწევის საშუალებას, მწერლის ორი მნიშვნელოვანი მოთხრობის – **„მთებიდან ქალაქამდე“** და **„ბათარეკა ჭინჭარაული“** – მაგალითზე.

სიორენ კირკეგორის ფილოსოფიის მთავარი მიმართულება არის სამყაროს უნდობლობისა და ტრაგიზმის გაცნობიერება, იგი აღსავსეა გაუსაძლისი ბოროტებით. ოპტიმისტი ადამიანები ღრმად ცდებიან, ცხოვრება არაა სიხარული. კირკეგორი თვლიდა, რომ ფილოსოფია ადამიანის პატარა პრობლემებისკენ უნდა მიბრუნდეს, უნდა დაეხმაროს მას, შეაცნობინოს საკუთარი „მე“. კამიუსთვის კი მთავარი ცხოვრების აბსურდულობის პრობლემაა, მის პესიმიზმს კვებავს ორი ფაქტორი: 1) ადამიანი უძლურია სიკვდილთან – სიკვდილი აზრს უკარგავს ყოფას, სიხარულს, წარმატებას; 2) იგი უძლურია ბუნებასთანაც – უმწეოა მილიონობით წლის ბუნებასთან შედარებით (Кузнецов, 1970, стр. 279).

უაღრესად საინტერესო კონოტაციური ველი აქვს 1956 წელს დაწერილ მოთხრობას **„მთებიდან ქალაქამდე“,** რომელშიც ცხენის, სალამურას, ტრაგიკული ცხოვრების ამბავია აღწერილი. ამ პერიოდის თხზულებათაგან იგი გამორჩეულია თავისი აქტიური, მებრძოლი პათოსით. რამდენიმეგვერდიანი მოთხრობა გმირის მთელ სიცოცხლეს მოიცავს, ტექსტის პირველადი ენობრივი ქსოვილის მიხედვით ეს გმირი ცხენია, თუმცა სიღრმეში მისი ამბით ადამიანის უმთავრეს ექსისტენციალურ პრობლემათა მთელი ჯაჭვია დამალული.

როგორც უკვე არაერთგზის აღვნიშნეთ, ექსისტენციალიზმისთვის მთავარი სამყაროს ცენტრში მდგომი ადამიანია, მისი არსებობის აზრის, სამყაროსა და ადამიანის, ადამიანისა და საზოგადოების ურთიერთობის პრობლემები. დაბადებით თავისუფალი სალამურა ადამიანთა ტყვეობაში ექცევა და აქედან იწყება მისი განსაცდელიც. სალამურაში ზუსტად იკვეთება სამყაროსთან, მის მკაცრ კანონებთან მორკინალი ადამიანი, რომელიც ცდილობს საკუთარი არსებისა და არსებობის დაცვას იმ დროსა და სივრცეში, სადაც იგი ბედნიერია. მაგრამ დაპირისპირებული სამყარო (ცხოვრება) მის დამორჩილებას ცდილობს და ახერხებს კიდეც. სალამურას უკანასკნელი გაბრძოლება

მხედრის გადმოგდება და დოღიდან გაქცევაა, რაც მას მშობლიურ წიაღში (მთებში) დაბრუნების გარანტი ჰგონია, მაგრამ მკაცრად ცდება – ხიდიდან ვარდება და ფეხებს სამუდამოდ იზიანებს.

მოთხრობაში კარგად ჩანს ის უიმედობა, რომელიც ექსისტენციალიზმის ათეისტურ ფრთას ახასიათებდა: დამსხვრეული სამყარო, მასთან გაწყვეტილი კავშირი და ამის გამო მარტო დარჩენილი ადამიანი, სევდა, შიში, მარტოობა, უიმედობა. ეს ყველაფერი ლინეიკაში შებმული ყოფილი სალამურას (აწ უკვე კოლას) აწმყოა. ალბერ კამიუმ ექსისტენციალისტურ ფილოსოფიაში შემოიტანა *აბსურდის* ცნება და ამ აბსურდისგან თავის დაღწევის ერთ-ერთ საშუალებად აღიარა ბუნტი, ეს თავისუფლებისაკენ მიმავალი გზაა და იგი ირაციონალური სამყაროსგან გათავისუფლებას გულისხმობს. სალამურას ცდა, ბრძოლა მთებიდან დოღამდე, არის ბუნტი: გაავებული და გაშმაგებული ცხენის მოსატეხად ადამიანები მას აშიმშილებენ, დაუძლურებულს უნაგირს ადგამენ და იმორჩილებენ. როგორც კი ცოტა ღონეს მოიკრებს, იგი კვლავ ცდილობს გაქცევას ანუ მიისწრაფვის თავისუფლებისაკენ, მაგრამ ვერ ახერხებს, ბოლო საბედისწერო გაბრძოლება კი ბუნტის დასასრულია:

„ერთი წლის გახედნილ ულაყს უზომოდ მოუნდა ტრამალში ნავარდი. კიდევ უფრო სწრაფად მოუნდა ჭენება და მთლიანად დაკარგა შეგრძნება. უცებ მოსხლეტით გადახტა გვერდზე, ხალხს თავზე გადაევლო და გაუჩინარდა.

თავგაჩეხილი მხედარი მოედანზე დარჩა.

ქუჩაში გავარდნილმა მისკენ მომავალი მანქანა დაინახა: შეეშინდა, დაფრთხა;

დაუფიქრებლად გადაეშვა დაბალი ხიდიდან“ (რჩეულიშვილი, 2016, გვ. 69).

ტრაგიკულად დასრულდა კონფლიქტი სამყაროსთან. მოთხრობის ფინალში ჩვენ ვხედავთ დაუძლურებულ და ბედთან შეგუებულ სალამურას. კამიუსთვის ადამიანი სიზიფეა, რომელიც ერთგულად ასრულებს თავის მოვალეობას, ლინეიკაში შებმული კოლაც ზუსტად ასეთი სიზიფეა:

„მელინეიკე იჯდა და ყალიონს აბოლებდა. კოლად შერქმეული სალამურა კი იდგა ფერდებშეცვენილი, დასუსტებული.

მხოლოდ თვალები ჰქონდა ძველებურად მოწყენილი და წყლიანი“ (რჩეულიშვილი, 2016, გვ. 70).

ზოგადად, ამ მოთხრობით გურამ რჩეულიშვილმა შექმნა მხატვრული სახე ირაციონალური, აბსურდული სამყაროს წინააღმდეგ აჯანყებული ადამიანისა, რომელსაც არაფერი გამოსდის და საბოლოოდ სიზიფედ იქცევა.

ალბერ კამიუს მიაჩნია, რომ გამოსავალი აბსურდული სიტუაციიდან ხშირად არის თვითმკვლელობა. იგი ტრაგიკული და მტანჯველი ცხოვრების დასასრულია, ერთგვარი შვებაა. „თვითმკვლელობას ყოველთვის მხოლოდ სოციალურ ფენომენად მიიჩნევდნენ. აქ კი პირიქით, თავიდან საკითხი დამოუკიდებელ აზროვნებასა და თვითმკვლელობას შორის მიმართებაზე დგას. მსგავსი გადაწყვეტილება გულის სიღრმეში მწიფდება, დიდი ნაწარმოების მსგავსად. ეს თავად ადამიანმაც არ იცის. იგი ერთ მშვენიერ საღამოსაც გაისვრის ან თავს დაიხრჩობს“ (2013, გვ. 13). სამყარო ადამიანს ცხოვრების სხვადასხვა საფეხურზე, შესაძლოა, სხვადასხვა სახით წარმოუდგეს. მაგრამ როგორც კი მასში ილუზიები და იმედები ქრება, როგორც კი სამყარო საზრისისაგან იცლება, ადამიანი იქ საკუთარ ადგილს ვეღარ ხედავს და ეს განხეთქილებაა სწორედ აბსურდის საწყისი, – მიაჩნია ალბერ კამიუს.

მზია ბათარეკას ასულს (მოთხრობიდან **„ბათარეკა ჭინჭარაული“, 1959**) იმ მკაცრ სოციუმში, სადაც იგი ცხოვრობს, თავისი გამორჩეული, განსაკუთრებული, მშვენიერი სამყარო აქვს შექმნილი. ეს არცაა გასაკვირი – მზია 13 წლისაა და მის თვალწინ მხოლოდ ზმანებად იშლება რეალობა, უფრო სწორად, რეალობა კი არ იშლება, არამედ ის, რასაც მზიას ფანტაზია ძერწავს. რა სამყაროა ეს? მივმართოთ ტექსტს: დილიდან შუადღემდე უსარკოდ თითებით ივარცხნის თმებს, მისი სახე გაბრწყინებულ თვალებადაა ქცეული, სხეული გრძნობს, რომ იგი უნაკლოა, მის გარშემო ყველაფერი შეყვარებულია, უხმარი ხმლებით იბრძვიან მისი გულისთვის რაინდები – „ათას სიყვარულს ჰპირდება მათ ქალის გული“ (რჩეულიშვილი, 2016, გვ. 294). მზიას პიროვნება აიგნორებს ცხოვრების გარკვეულ სფეროებს, მიუხედავად იმისა, რომ ასაკის გამო მათზე ცხადი და მკაფიო წარმოდგენა ჯერ არ აქვს, თითქოს ინტუიტურად გრძნობს, რომ ისინი მის წარმოსახულ სამყაროს ეწინააღმდეგებიან. ამიტომაც მას უყვარს თავისი ორი სახელი – ყველაზე მეტად ხევსურული მზია (რაც სილამაზესთან, მშვენიერებათან, რომანტიკულ განცდებთან ასოცირდება) და ქართული თამარი (აქ

კი გადამწყვეტ მნიშვნელობას გენეტიკური კოდი ასრულებს). „დანარჩენი ორი, სანდუა და ბუბა, ეჯავრება, ისინი პატარას მომავალ ქმრიან ჯაფაზე უყვებიან ქვეშეცნეულად“ (რჩეულიშვილი, 2016, გვ. 294). ეს უკვე მიგვანიშნებს იმაზე, რომ მზიას სამყაროში დომინანტური თავისუფლება და რომანტიკულობაა, მხოლოდ ისინი ფასობს; ამავდროულად, მისი აზრები მიწიერი, ყოველდღიური, ჩვეულებრივი ადამიანური ყოფისა და ტკივილისაგან შორსაა: არ შეუძლია თესვა, მკა, ცომის მოზელა, დაგვა. არამარტო აწმყოში (ჩვეულებრივ, მისი ასაკის, 13 წლის, ხევსური გოგოსთვის ეს ყველაფერი უკვე ცხოვრების ნაწილია), მზია საკუთარ მომავალშიც კი მათ ვერ ხედავს. „ზის ქურქში გამოხვეული ეს უცნაური არისტოკრატი ქალი, რომელიც ბუნებამ აქ, შატილში, გააჩინა და ელის“ (რჩეულიშვილი, 2016, გვ. 294).

მზიას ხასიათის გასახსნელად და მომავალი ტრაგედიის საანალიზოდ საინტერესოა ლეგენდა, „რომლის მოყოლითაც ის იძინებს, რომელიც ესიზმრება დაძინებულს და არც ესიზმრება“ (რჩეულიშვილი, 2016, გვ. 295). „არც ესიზმრება“ კიდევ ერთი მინიშნებაა იმაზე, რომ ეს მხოლოდ წარმოსახვა კი არა, რეალობაცაა მზიას სამყაროსი. ამ ლეგენდაში მთავარი პერსონაჟი ჯიხვებზე მონადირე ვაჟია, რომელმაც ოჩოპინტრე გაანაწყენა. გარკვეული ხნის შემდეგ ნადირობის ღმერთი პატიობს მას, ხედავს რა, რომ ვაჟს მეტი არაფერი შეუძლია, და კვლავ რთავს ნადირობის ნებას, მაგრამ ერთი პირობით: ხარირემს არ უნდა ესროლოს. ვაჟი პირობას არღვევს, რისთვისაც ისჯება სამუდამოდ – ნადირობის უნარს კარგავს. შეიძლება ვთქვათ, რომ ეს ლეგენდა ერთგვარად წინასწარმეტყველურია მოთხრობაში. ვაჟი მეამბოხეა, წესების დამრღვევი, ბუნებით თავისუფალი, თავნება და სურვილის ასასრულებლად ყველაფერზე წამსვლელი. მის ამ თვისებებზე პედალირება ააშკარავებს მზიას ხასიათსაც და მიგვანიშნებს, რომ ისიც ადამიანთა ამ ტიპს ეკუთვნის, რაც მალევე ცხადდება კიდეც.

ექსისტენციალისტურმა ფილოსოფიამ ერთ-ერთ უმთავრეს პოსტულატად აღიარა თვითმკვლელობა და მას რამდენიმე სხვადასხვა მიზეზი და ახსნა მოუძებნა. გადაიტანა რა სოციალური სფეროდან აზროვნების სფეროში, მიანიჭა მას განსაკუთრებული დატვირთვა და ინდივიდუალისტური ხასიათი. ადამიანის ტვინში მომწიფებულ ამ გადაწყვეტილებას უეცრად გაჩენილი მძაფრი განხეთქილება იწვევს. „ჩვენდამი სამყაროს უცვლელი მტრული დამოკიდებულება ათასწლეულებს ითვლის. სულ ერთ წამში ის ჩვენთვის გაუგებარი ხდება, რადგან საუკუნეების მანძილზე ჩვენთვის ნაცნობი მხოლოდ ის ფიგურები და სურათები იყო, რომლებიც მანამდე ჩვენვე ჩავდეთ მასში, ახლა კი ძალებმა გვიღალატა და ვეღარ ვაგრძელებთ ამ ფარსს. სამყარო ხელიდან გვისხლტება, რადგან ხდება ისეთი, როგორიც არის. ეს ჩვეულებისამებრ შენიღბული დეკორაციები რეალურ სახეს იბრუნებს“ (კამიუ, 2013, გვ. 27-28).

მზიას გონებისა და ფანტაზიის შედეგად შექმნილი დეკორაციები წამიერად ინგრევა მამის მიერ გაწვნილი სილის შედეგად. მისთვის უეცრად ხდება ნათელი, რომ ის მშვენიერი სამყარო, რომელშიც თითქმის ყველაფერი: ტინის კედლებიც, ძველი სკივრიც, ქვის კიბის საფეხურებიც, იებიც, ქედებიც – მასზეა შეყვარებული, მისი წარმოსახვის ნაყოფია და სინამდვილეში არ არსებობს. ესაა უაღრესი სასოწარკვეთილების განცდა, აქამდე არსებული სამყაროს ნგრევა, იმის შეგრძნება, რომ რეალური სწორედ ისაა, რასაც „სანდუა და ბუბა“ ჰქვია და რასაც მზია აქამდე იგნორირებას უკეთებდა. „აბსურდის გრძნობას ნებისმიერი ადამიანი ნებისმიერ მოსახვევში შეიძლება შეეჩეხოს“ (2013, გვ. 22-23), – წერს ალბერ კამიუ. მზიას ცხოვრებაშიც ზუსტად ეს დრო დგება, როცა ინდივიდი საბოლოოდ უუცხოვდება გარემოს, გრძნობს გადაულახავ წინააღმდეგობას საკუთარ სურვილებსა და შექმნილ გარემოებებს შორის. „გაუცხოება ადამიანის მდგომარეობაა, როცა მისი ძირითადი მოქმედება საკუთარი სიცოცხლისა და ბედნიერების წინააღმდეგაა მიმართული“, – აღნიშნავს ზურაბ კაკაბაძე (კაკაბაძე, 2011). თვითმკვლელობისთვის მიზეზი მაშინვე ჩნდება და იგი სრულიად საკმარისია. როგორც ექსისტენციალისტები ამბობენ, „ეს იმის აღიარებაა, რომ სიცოცხლისგან გაბეზრებული ხარ და მისი არაფერი გაგეგება. […] ეს მხოლოდ იმის აღიარებაა, რომ „არ ღირს სიცოცხლე“ (კამიუ, 2013, გვ. 14). ეს ილუზიებისაგან დაცლილი სამყაროა, რომელშიც ადამიანი თავს უცხოდ გრძნობს. პროცესი შეუქცევადია. გაუცხოებული სამყარო მხოლოდ ერთ გზას გიტოვებს და იგი თვითმკვლელობისკენ მიდის. „ჭერხოს შუაში გამქრალი შუაცეცხლის ჯაჭვზე ჩამოეხრჩო მზია ბათარეკას ასულს თავი“ (რჩეულიშვილი, 2016, გვ. 297).

აბსურდზე საუბრისას ალბერ კამიუ ამ პროცესის ფორმირებაში სამყაროს როლსაც განსაზღვრავს. სამყარო ამ დროს ადამიანისთვის არც რაციონალურია და არც ირაციონალური, ის უბრალოდ უგუნურია. თავად ირაციონალურის თემა კი ექსისტენციალისტებისათვის უკავშირდება საკუთარ თავთან კონფლიქტში მყოფ გონებას, რომელიც თავისი თავის უარყოფით თავისუფლდება (2013, გვ. 79).

დასკვნა: ამრიგად, კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ გურამ რჩეულიშვილის მოთხრობებში აშკარაა ექსისტენციალისტური ნაკადი. შედარებით ადრეულ ტექსტებში პერსონაჟი ჯერ კიდევ არაა აქტიური და იგი პროტესტის პასიურ ფორმებს მიმართავს, სწორედ აქ ჩნდება სიზიფეს მოდელი, რომლის მხატვრული განხორციელებაა მოთხრობა „მთებიდან ქალაქამდე“.

გურამ რჩეულიშვილთან მნიშვნელოვანია მეორე ექსისტენციალური კონცეპტიც – თვითმკვლელობა (და ზოგადად სიკვდილი), როგორც ხსნა, ამ უგუნური, აბსურდული სამყაროსგან თავის დაღწევის საშუალება და ტანჯვის დასასრული. თვითმკვლელობა სამყაროსთან ჩაშლილი კომუნიკაციის ლიგიკური ფინალია. სწორედ ასე აღიქმება ეს კონცეპტი გურამ რჩეულიშვილის ერთ-ერთ საუკეთესო მოთხრობაში „ბათარეკა ჭინჭარაული“.

ბიბლიოგრაფია:

კაკაბაძე, ზ. (2011 წლის 5 ივლისი). *„ექსისტენციური კრიზისის“ პრობლემა და ედმუნდ ჰუსერლის ტრანსცენდენტალური ფენომენოლოგია.* მოპოვებული ელექტრონული ჟურნალი „ბურუსი“: https://burusi.wordpress.com/2011/07/05/kakabadze-3/-დან

კამიუ, ა. (2013). *სიზიფის მითი.* თბილისი: აგორა.

კამიუ, ა. (2019). *ამბოხებული ადამიანი.* თბილისი: აგორა.

რჩეულიშვილი, გ. (2016). *მოთხრობები.* თბილისი: ქარჩხაძის გამომცემლობა.

Кузнецов, В. (1970). *Французская Буржуазная Философия XX века.* Москва: Мысль.

References:

k’ak’abadze, z. (2011 ts’lis 5 ivlisi). „eksist’entsiuri k’rizisis“ p’roblema da edmund huserlis t’ranstsendent’aluri penomenologia. mop’ovebuli elekt’ronuli zhurnali „burusi“: https://burusi.wordpress.com/2011/07/05/kakabadze-3/-dan

k’amiu, a. (2013). sizipis miti. tbilisi: agora.

k’amiu, a. (2019). ambokhebuli adamiani. tbilisi: agora.

rcheulishvili, g. (2016). motkhrobebi. tbilisi: karchkhadzis gamomtsemloba.

Кузнецов, В. Н. (1970). Французская Буржуазная Философия XX века. Москва: Мысль.

EXISTENTIAL CONCEPTS – ABSURD AND SUICIDE – IN GURAM RCHEULISHVILI'S STORIES

ADA NEMSADZE
PhD in Philology,
Senior Scientific Member at the Shota Rustaveli Institute of
Georgian Literature, Tbilisi State University
E-Mail: ada.nemsadze@tsu.ge
ORCID: 0009-0004-9911-256X

Abstract: In European literature, the existential tendencies of the closed soviet cultural space started to emerge in the 1970s, although certain earlier precursors had been noticeable in Guram Rcheulishvili's prose. The article analyses suicide as an escape from an absurd way of life on the examples of two stories – **„From the mountains to the city"** and **„Batareka Tchintcharauli"**.

The literary image of Salamura (*the Piper*) vividly reflects a person fighting against the world and against its harsh laws. This person tries to protect himself and his existence in the time and space, in which he feels happy. But the confronting world tries to subdue him and manages to do so. Through this story, Guram Rcheulishvili creates a literary image of a person, rebelling against the irrational, absurd world, who finally turns into Sisyphus.

Mzia Batareka's daughter lives in the harsh social surroundings. For that reason, she creates her own beautiful world, where freedom and romanticism dominate. Her thoughts are far away from the worldly, mundane human existence and pain. However, she suddenly encounters the stark reality of life, that destroys her imaginary world. She eventually becomes estranged to the surroundings, and feels insurmountable obstacle between her desires and the created circumstances. These factors are sufficient reasons for committing suicide. The estranged world leaves only one way out and leads her to the act of suicide.

As Albert Camus puts it, in such a case, the world is neither rational nor irrational. It is merely senseless. According to existential philosophy, suicide is the way of escape from this absurd world. This is how this concept is perceived in the discussed stories by Guram Rcheulishvili.

Keywords: existentialism; suicide; absurdity; Guram Rcheulishvili.

* * *

Introduction. „'No artist tolerates reality', – Nietzsche used to say. He is right. However, not a single artist will be able to exist without a reality. Creativity is the simultaneous requirement of the unity of the world and its denial. But the artist denies the world for the reason of whatever he lacks, and sometimes, for whatever this world represents. This rebellion enables us to observe it externally, without historical context, in its sacred state, in its primeval complexity. „Art should provide us with the ultimate explanation of the essence of rebellion" (2019, p. 317), – Albert Camus wrote in his philosophical work „The Rebel" when discussing the inter-relation between rebellion and art. And later he adds: „Rebellion ends in art and transfers into real creativity eternally" (2019, p. 341).

If anyone introduces a rebellious character into the Georgian literature of the 20th century, Guram Rcheulishvili is the first one among others. His character figures think, discuss, analyze their lives, worry about petty problems of existence, try to change, to awaken dormant feelings in a human, act, love, for which they have to confront dominant views or tendencies. Although their rebellion starts from physically passive condition, i.e. from thinking process, it logically transposes into physical activity, since thinking itself is an active phase of mental functioning.

Methodology: The problem is analyzed through the prism of the philosophy of existensialism that makes reference to the works of the major authors of French existentialism – Albert Camus, Jean-Paul

Sartre, and of Danish philosopher, Søren Kierkegaard. The research implements hermeneutical and semiotic methods of text analysis.

Discussion: The formation of existential philosophy in European cultural space is connected with the 20s and 40s of the 20th century. And its pessimistic nature was mostly conditioned by the feelings of hopeless despair and nihilism widely-spread after the World War I. Soon this worldview was transferred to fiction and became known as literary existentialism. In that period, the soviet cultural space was already closed to European tendencies. Instead, an artificially created artistic method was developed, known as socialist realism. Regarding existentialism, its tendencies appeared in Georgian literature from the second half of the 20th century, namely, from the 1970s, although, as it usually happens, certain precursors had already been detected earlier.

Certain individual features of Guram Rcheulishvili's fiction have already been investigated in Georgian literary scholarship, although existential tendencies in his stories have not been analyzed yet. The present paper will analyze suicide as a means of escaping absurd existence, on the examples of two of the author's important stories – **„From the mountains to the city"** and **"Batareka Tchintcharauli".**

The main tendency of Søren Kierkegaard's philosophy is the perception of distrust towards the world and tragic disposition. It is filled with unbearable evil. Optimist humans are deeply mistaken; the life is not joy. Kierkegaard believed that philosophy should turn to petty problems of a human, should help him, and should enable him to comprehend one's own „self". As for Camus, the problem of life's absurdity is the key point. Two factors feed his pessimism: 1) a human is powerless against death, which deprives existence, joy and success of their meanings; 2) a human is likewise helpless against the nature (Kuznetsov, 1970, стр. 279).

A story **„From the mountains to the city"**, written in 1956, has an extremely interesting connotative frame. The literary work narrates the story of a tragic life of a horse, of Salamura (a Piper). The story stands out for its active fighting pathos. An entire chain of major existential problems of a human is hidden behind Salamura's story in the depth of the text.

As already mentioned manifold, the key points for existentialism are a human standing in the center of the universe, the essense of his existence, and the problems of the relations between the universe and a human, and between a human and society. Being born free, Salamura is captured by humans, and the troubles start from that point. Salamura precisely reflects a person, fighting against the world and against its harsh laws, who tries to protect himself and his existence in the time and space, in which he feels happy. But the confronting world (life) tries to subdue him and manages to do so. The final struggle of Salamura is the process of dismounting a rider and running away from the horse-race, which he perceives as a guarantee of return to his native surroundings (mountains). But he is deeply mistaken – he falls from the bridge and injures his legs forever.

The story vividly reflects the desperation that was characteristic of atheist subdivision of existentialism: shattered universe, the ties broken with it and hence, a human left alone; sadness, fright, solitude, desperation. All this is the present life of Salamura, who has been tied into a long carriage. Albert Camus introduced the concept of *absurdity* into existential philosophy and recognized riot as one of the ways to escape from this absurdity. This is the way leading to freedom and it implies freeing oneself from the confines of the irrational world. The entire attempt by Salamura, the fight from the mountains to the race, is a riot: the people put him to hunger to subdue pelting and frenetic creature. They put bridle on the weakened horse and subdue him. As soon as he re-gains some strength, he again tries to escape, he strives towards freedom, but he fails. The final fatal struggle is the end of the riot:

„A one-year tamed stallion immensely desired to gallop in the grassland. He desired to thrust away into open fields even more, and entirely lost the senses. Suddenly, he jumped aside, high above people and disappeared.

A rider, with an injured head, stayed in the square. Galloping in the street, he saw a car driving towards him: he got frightened, shocked; and jumped from the low bridge without a moment's hesitation or thinking" (Rcheulishvili, 2016, p. 69).

The conflict with the world ended tragically. At the end of the story, we see Salamura, feeble and obedient to fate. For Camus, a human is Sisyphus, who loyally carries out his duties. Salamura, tied into a long carriage, is exactly such Sisyphus:

„Carriage-driver was sitting and smoking a pipe. But Salamura was standing lean, feeble, and bony. Only his eyes were melancholic and tearful, as usual" (Rcheulishvili, 2016, p. 70).

Through this story, Guram Rcheulishvili created a literary image of a person, rebelling against the irrational, absurd world, who fails in all his attempts and finally turns into Sisyphus.

Albert Camus thinks that the way out of the absurd situation is often suicide. It is the end of tragic and torturing life, and is a kind of relaxation from this torture. „Suicide was always considered only as a social phenomenon. But here, on the contrary, the initial issue is the relation between independent thinking and suicide. Such a decision gradually comes to fruition deep in heart, like a great literary work. Even a human himself does not know about it. One fine evening he shoots or drowns himself" (2013, p. 13). The world might present itself to a person in different forms at different stages of his life. But as soon as the illusions and hopes disappear in him, as soon as the world loses sense, a human cannot find his place there and this breakup is the beginning of absurdity, – this is what Albert Camus believes.

Mzia Batareka's daughter (in the story **Batareka Tchintcharauli, 1959**), who lives in the harsh social surroundings, creates her own distinct, beautiful world. And this is not surprising at all – Mzia is 13 years old and her imaginary reality unfolds in front of her eyes like a dream that is formed by Mzia's fantasy. What kind of world is this? Let us turn to the text: she combs her hair with her fingers from morning till afternoon without looking into the mirror. Her eyes are shining in the face. The body feels that it is impeccable. Everything around it is in love. Knights fight with swords for her sake (Rcheulishvili, 2016, p. 294).

Mzia's personality ignores certain spheres of life, although she has no clear idea about them due to her young age. She feels intuitively that they go against her imaginary world. Like any woman from Khevsureti, she also has several names, out of which the Khevsurian name Mzia (associated with beauty, delight and romantic emotions) and Georgian name Tamari (here genetic code bears importance) are her favorites. „She hates other two names, Sandua and Buba, which subconsciously tell her about the future hard life and labor with her husband" (Rcheulishvili, 2016, p. 294). This fact already indicates that freedom and romanticism are domineering feelings in Mzia's world. She values only those emotions. At the same time, her thoughts are far away from the worldly, mundane human existence and pain. She cannot sow, harvest, knead dough, or sweep. Not only does she not see doing all these tasks in the present (for these activities are part of the life of a 13-year-old girl in Khevsureti), but she cannot imagine doing these tasks in her future as well. „Thus sits this strange aristocratic woman, wrapped in fur coat, who, by nature's decision, was born here, in Shatili, and waits" (Rcheulishvili, 2016, p. 294).

To unfold Mzia's character and analyze looming tragedy, it is interesting to refer to the legend, „with the help of which Mzia goes to sleep, and which she sees in her dreams, and does not see at t he same time" (Rcheulishvili, 2016, p. 295). „And does not dream" – is one more indication that this fact is not only a dream, but it is also a reality in Mzia's world. The main character in this legend is a youth hunting an ibex, a lad who has hurt the feelings of a forest gnome. After a while, the goddess of hunting forgives him, as she sees that he cannot do anything else and allows him to hunt, but on one condition: he must not shoot a stag. The young lad makes a promise, but for this reason he is punished forever – he loses the skill of hunting. We can assume that this legend is a kind of prophecy in this story. The lad is a rebel, the one who violates rules, free by nature, willful and the one who does anything to fulfil one's desires. Underscoring these features of the lad uncovers Mzia's character as well and points to the fact that she also belongs to such type of people, that is to be revealed in a short while.

Existential philosophy recognized suicide as one of the major postulates and provided several different reasons and explanations for this action. It transposed suicide from social sphere to mental sphere, gave it special significance and individualistic nature. This gradually ripened decision in a human's brain is caused by a sudden sharp discord. „An unchanged hostile attitude of the world towards us has been apparent for millennia. In a matter of seconds, it becomes unfathomable for us, because only

those figures and pictures were familiar to us that we ourselves had instilled in it. And now these forces have betrayed us and we can no longer continue this charade. The world slips through our hands, as it becomes the way it is in reality. These habitually disguised decorations reveal their real faces" (Camus, 2013, pp. 27-28).

The decorations created by Mzia's mind and fantasy are ruined in a matter of seconds as a result of the slap given by her father. She suddenly realizes that the wonderful world, where everything is in love with her – red ochre walls, old chest, stone staircase, violets, mountain ridge – has suddenly turned into the fruit of her imagination and does not exist in reality. This is the feeling of utter desperation, the destruction of the existent world, the feeling that the reality is whatever is called „Sandua and Buba" and whatever Mzia has ignored before. „A person might come across the feeling of absurdity in any corner of the street" (2013, pp. 22-23), – Camus writes. Exactly this period comes into Mzia's life, when an individual eventually becomes estranged to the surroundings, and feels insurmountable obstacle between her desires and the created circumstances. „Estrangement is the condition of a person, when his main action is directed against his own life and happiness", – Zurab Kakabadze remarks (Kakabadze, 2011). The reason for suicide appears immediately and it is quite sufficient for accomplishing the intention. As existentialists note, „It is an acknowledgment that you are fed up with life and you do not understand it at all. […] It is the mere recognition that „it is not worth living any longer" (Camus, 2013, p. 14). It is the world devoid of illusions, where a human feels estranged. The process is irreversible. The estranged world leaves only one way out and leads to the act of committing suicide. „Mzia, Batareka's daughter, had hanged herself on the chains of extinguished fire in the middle of the upper story of house" (Rcheulishvili, 2016, p. 297).

While discussing the concept of absurdity, Albert Camus also defines the role of the world in the formation of this process. In this case, the world is neither rational nor irrational for a human. It is merely senseless. For existentialists, the theme of irrationality itself is connected with the mind that is in conflict with itself, which frees itself by denying one's self (2013, p. 79).

Conclusion: Therefore, the study has revealed that existential tendency is vivid in Guram Rcheulishvili's stories. In relatively earlier texts, a character is not yet active and he resorts to passive forms of protest. Sisyphus' model appears exactly at this point, which is realized in fiction in the story „From the mountains to the city".

In Guram Rcheulishvili's literary works, another existential concept is also significant – it is suicide (and generally, death), a relief, an escape from this senseless, absurd world and the end of torture. Suicide is the logical finale of the failed communication with the world. This is how this concept is perceived in one of the best stories by Guram Rcheulishvili „Batareka Tchintcharauli".

Bibliography:

Camus, A. (2013). *The Myth of Sisyphus.* Tbilisi: Agora.

Camus, A. (2019). *The Rebel* . Tbilisi: Agora.

Kakabadze, Z. (2011/5/07). *The Problem of „Existential Crisis" and Transcendental Phenomenology of Edmund Husserl.* Electronic journal „Burusi": https://burusi.wordpress.com/2011/07/05/kakabadze-3/

Kuznetsov, V. (1970). *20th century French bourgeois philosophy.* Moscov: Misl.

Rcheulishvili, G. (2016). *Stories.* Tbilisi: Karchkhadze Publishing House.

ინტერკულტურული სივრცის ანალიზი XX საუკუნის ბოლო ათწლეულის ქართულ ლირიკაში

ქეთევან სამადაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი;
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
გრიგოლ წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკა
ელ-ფოსტა: Ketevan.samadashvili@tsu.ge
ORCID: 0009-0001-3061-4949

აბსტრაქტი: მხატვრული ტექსტი გლობალური პროცესების სარკეა: ასახავს მსოფლიოში მიმდინარე მიგრაციას, ტრანსნაციონალიზმსა და კულტურათაშორის გაცვლით ურთიერთობებს, მონაწილეობას იღებს ახალი თემების წარმოჩენასა და ჩამოყალიბებაში.

XX საუკუნის შუა წლებში აღმოცენებული პოსტმოდერნიზმი არის რთული და მრავალშრიანი კულტურული, ფილოსოფიური და მხატვრული ფენომენი. იგი ხასიათდება უნივერსალური ჭეშმარიტებისა და იდეების შესახებ სკეპტიკური დამოკიდებულებით, აქცენტირდება სუბიექტივიზმზე, მხატვრული სტილის თამაშსა და ფორმებზე. პოსტმოდერნიზმმა რადიკალური გავლენა მოახდინა ტექსტის ჟანრისა და სტრუქტურის ტრადიციულ წარმოდგენებზე ენის, აზრისა და სუბიექტივიზმის ბუნების ცვლილების პარალელურად.

ლირიკა სინამდვილის, ადამიანის ყოფა-ცხოვრებისა და სულიერი მდგომარეობის გამომხატველია. იგი განცდების განზოგადებას ემსახურება. ავტორის ემოციური განწყობილების ზოგადსაკაცობრიო სათქმელად გადაქცევა ლირიკული ლექსის მთავარი დანიშნულებაა. მისი საშუალებით პოეტური ხილვები მხატვრულ ტექსტებად გარდაიქმნება, ემპირიული მოცემულობა კი განცდების გამოვლინების დამხმარე საშუალებაა.

XX საუკუნის უკანასკნელი ათწლეულის ეთნოპოლიტიკური კონფლიქტებითა და ეკონომიკური გამოწვევებით წარმოქმნილმა სირთულეებმა საქართველოში პირდაპირი ასახვა პოვა ახალი პოეტური თაობის აზროვნების რაკურსზე. „ომისშემდგომ“, „პოსტსაბჭოთა“, არაიშვიათად კი „დაკარგულ“, „გაბზარულ“ ან „გატეხილ“ თაობად მოიხსენიებენ ასპარეზზე 90-იანებში გამოსულ ლიტერატორებს. (იმნაიშვილი, 2010) მათ ნაწარმოებებში აქტუალურობა შეიძინა ქართულ რეალობასთან შეჯერებულმა პოსტმოდერნისტულმა ტენდენციებმა და სოციოკულტურულმა პრობლემატიკამ.

90-იანელთა ოთხი წარმომადგენლის – ნათია გიორგაძის, ზაზა თვარაძის, ანდრო ბუაჩიძისა და რატი ამაღლობელის ლირიკული ლექსების განხილვა XX საუკუნის ბოლო ათწლეულის ინტერკულტურული სივრცის ანალიზის ნოყიერ ნიადაგს ქმნის.

კვლევის ძირითადმა შედეგებმა ცხადყო, რომ, როგორც თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობის მანძილზე, ისე XX საუკუნის მიწურულსაც, ქართული ლიტერატურა ფეხს უწყობდა მსოფლიოში მიმდინარე სიახლეებს. საკვლევ პერიოდში მასზე ძლიერ გავლენას ახდენს პოსტმოდერნიზმი – ციტატებით თამაში, ალუზია, სუბიექტივიზმი, ტექსტთაშორისი აბსტრაქცია და სხვ. „პოსტსაბჭოთა“ თაობის ლირიკული ნაწარმოებების თვალსაჩინო მახასიათებლებია.

საკვანძო სიტყვები: „პოსტსაბჭოთა“ თაობა; ლირიკული ლექსი; ინტერკულტურული ურთიერთობა.

* * *

შესავალი: სიტყვის მეშვეობით ლიტერატურული ნაწარმოები სახეობრივი წარმოსახვის საშუალებას იძლევა. იგი მოიაზრებს გადმოცემის ხერხების ინდივიდუალიზმსაც. პოეზია ხელოვნების სრულ მთლიანობად, ლირიკა კი პოეზიის პოეზიად მიიჩნევა (ბერიძე, 1966).

საანალიზო საკითხის მიზანია საბჭოთა ცენზურისგან თავდახსნილი ლიტერატურის, XX საუკუნის უკანასკნელი ათწლეულის ქართული ლირიკის ინტერკულტურული სივრცის ანალიზი.

90-იანელთა პოეტური შემოქმედების კვლევისას აქტუალობას არ კარგავს გავლენათა და პარალელთა ძიება, რაც თავისთავად გულისხმობს ახლებური ხედვებისა და შეფასებების გამოვლენას.

ნაშრომის სიახლეს წარმოადგენს ინტერკულტურული იზოლაციის რღვევის, ფართო შესაძლებლობებისა და საასპარეზო სივრცეების გახსნის კვალდაკვალ ლირიკულ პოეზიაში თემატური გამრავალფეროვნებისა და ახალი ვერსიფიკაციული ტენდენციების გამოვლენა, ნოვაციებისა და თვითდამკვიდრების გზების ძიება.

მეთოდები: ლირიკული ლექსის ცენტრში ავტორია. იგი ობიექტურ სახეს აძლევს არა უშუალოდ მოვლენას, არამედ თავის დამოკიდებულებას ამ მოვლენასთან. ასე იქმნება ობიექტური ფაქტით შთაგონებული სუბიექტური პოეტური ხედვა – განწყობილება გადაეცემა მკითხველს და ზემოქმედებს მასზე. ლირიკული ლექსის ანალიზის პროცესში დივინაციისა და სხვა მოცემულობებთან შედარების მეთოდები თანაბრად მნიშვნელოვანია, რადგან პოეზია შექმნის პროცესშივე მკითხველის თანაარსებობასა და ჩართულობას გულისხმობს.

საკვლევი პერიოდის ლირიკული ლექსის თემატური მახასიათებლების ანალიზის შემდეგ შეირჩა ა. ბუაჩიძის, ზ. თვარაძის, ნ. გიორგაძისა და რ. ამაღლობელის ლირიკული ნიმუშები ინტერტექსტური ანალიზის, კანონზომიერი კავშირების დადგენა-სისტემატიზების, საერთო მახასიათებლების კლასიფიცირების მიხედვით.

კვლევისას გამოყენებულია კონტექსტური ანალიზი, რაც მოიაზრებს ლირიკული ნაწარმოებების შესწავლისას ისტორიული, სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებას.

ტექსტებში არსებული ძირითადი თემების, სიმბოლოებისა და მათი ინტერპრეტაციების კვლევის პარალელურად ტექსტების ურთიერთშედარებითი ანალიზის საფუძველია ანალოგიის მეთოდი, როგორც ორი ან რამდენიმე ლიტერატურული ტექსტის რაიმე სახით მსგავსებების გამოვლენის საგულისხმო, დამაჯერებელი დასკვნების გამოტანის საშუალება.

მსოფლიო რუკაზე მეოცე საუკუნის უკანასკნელი ათწლეული ისტორიის საკვანძო ეტაპს ასახავს: ეკონომიკურმა, კულტურულმა და პოლიტიკურმა ინტეგრაციამ საგრძნობლად დააჩქარა ინფორმაციის გაცვლა. მიმდინარე მოვლენებს ხელი შეუწყო ინტერნეტისა და ციფრული ტექნოლოგიების მოძლიერებამ. მათი მეშვეობით სამყარო კიდევ უფრო შემჭიდროვდა, ჩამოყალიბდა გლობალური კულტურული სივრცე.

კულტურული მეტამორფოზა პოლიტიკური გრადაციების ფონზე მიმდინარეობდა: სსრკ-ს დაშლამ და ცივი ომის დასასრულმა საერთაშორისო თანამშრომლობა და დემოკრატიული მოძრაობების ზრდა განაპირობა.

გლობალური მოვლენების ფონზე პოსტსაბჭოთა ქართულ სალიტერატურო ასპარეზზე თანდათან ახალი ნაკადი გამოვიდა. ა. ბუაჩიძის, ნ. გიორგაძის, ზ. თვარაძისა და რ. ამაღლობელის – „დაკარგული“ თაობის შემოქმედებაში იგნორირებულია „აბსოლუტური სიმართლე“. ტექსტი მრავალმხრივი და არაერთგვაროვანია.

თანამედროვე ქართული ცხოვრების რეფლექსია ა. ბუაჩიძის შემოქმედების ერთ-ერთი მახასიათებელია. პოეტის ლექსები გამოირჩევა ემოციურობითა და ღრმა ფილოსოფიური აზროვნებით. მკითხველის ყურადღებას იქცევს სამყაროს მრავალფეროვნების ინდივიდუალური ხედვა და სუბიექტური „მეს“ ძიების მუდმივი ცდა.

ემოციური საწყისების სიღრმე კარგად ჩანს ნ. გიორგაძის ლირიკულ ნიმუშებშიც. ფაქიზი ესთეტიკით წარმოჩენილი ადამიანის სულიერი მდგომარეობა, ბავშვობის სურათები, დედის სახე, სამშობლო და ეროვნული ტრაგედია მის პოეზიას მიმზიდველსა და მხატვრულად დახვეწილს ხდის.

კულტურული იდენტობის პრობლემატიკის ექსპერიმენტული სტილით გადაჭრის მცდელობა და ადამიანის შინაგან სამყაროში წვდომის უნარით პოეტი და ფილოსოფოსი ზ. თვარაძე გამორჩეულ ადგილს იკავებს ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

ფორმისა და სტრუქტურის ექსპერიმენტების მეშვეობით ინტერტექსტუალობა და რეალობის მრავალშრიანი გამოსახვა, ურთიერთობებსა და კულტურულ იდენტობებზე გლობალიზაციის გავლენის საკითხი მნიშვნელოვან როლს ასრულებს რ. ამაღლობელის შემოქმედებაში.

პოსტმოდერნიზმი „პოსტსაბჭოთა“ პოეზიაში ცხადდება ენის მრავალმნიშვნელოვნებისა და სუბიექტურობის გზით, არღვევს სტილისა და რიტმის მიღებულ საზღვრებს. მისთვის ნიშანდობლივი მახასიათებელია ტექსტთაშორისი კავშირები – 90-იანელი პოეტები კულტურის, ისტორიისა და ლიტერატურულ ტექსტზე დაყრდნობით ქმნიან უნიკალურ კონტექსტს.

კლასიკური პოეტური ტრადიციები დეკონსტრუქციის პრიზმაში ტყდება ა. ბუაჩიძის ლირიკულ ლექსებში. 90-იანი წლების ტრაგიკულ მოვლენებს მისი არაერთი ლექსი ეძღვნება: „ქელეხი,“ „გარეუბანი,“ „მსხვრეული კაცი“... ლექსი „ძმათამკვლელი ომი,“ (ბუაჩიძე 93) ეხმიანება ბიბლიურ ტექსტს. ავტორი იხსენებს კორაზიმსა და ბეთსაიდას, როგორც ლეშთა მტვირთველ, მონანულ ქალაქებს, მათ გვერდით კი დგას ძმების სისხლით გაჟღენთილი თბილისი, სადაც მკვდრები მარხავენ მკვდრებს (ბიბლია).

სამოქალაქო ომის ტრავმებს აღმოვაჩენთ ნ. გიორგაძის შემდეგ ლექსებშიც: „მპარავები მომრავლდნენ“, „ჩვენ რა შეგვეძლო გვეფიქრა?“ „ნუთუ მოვიდა?“ მათგან ნიშანდობლივია ლექსი „სადაც კარიბჭეა ქალაქის“. (გიორგაძე 44). ტექსტი მეორე პირს, მიძღვნით ობიექტს, აჩიკოს მიემართება. ქვემეხების ფონზე ავტორი იმეორებს თაობათა შორის მარადიულ საკითხავს: „რა უნდა მოგებას, მამის დამარცხებას, სიბერეში“ (გიორგაძე 44). ტექსტის მრავალმხრივ ალუზიურია, პირველ რიგში კი ეხმიანება კრონოსისა და ურანოსის შერკინებას სამყაროს მბრძანებლის ტახტის დასაკავებლად.

ქვეყნის შინაგანი პოლიტიკური კრიზისის თემას ავრცობს ზ. თვარაძის ლირიკული ლექსები: „ფრინველები“, „...მე შემხვდა მკვდარი მეგობარი,“ „ტბორები“... ავტორი სიტყვით თამაშობს, მოხდენილად იყენებს ირონიას; ტატოს, ილიასა და გალაკტიონთან გადაძახილით ლექსს უძღვნის „ფეკალური მასით სავსე მტკუარს“ (თვარაძე, 2011, p. 83). პოეტი დაუნდობელია სამშობლოს გამყიდველთა აღწერისას, მათ ცინიკოსებად, ფარისევლებად, დეზერტირებად მოიხსენიებს. მდინარე, როგორც ქალაქის სასიცოცხლო ძარღვი, ირეკლავს გადაჯიშებულ, სახედაკარგულ მოსახლეობას: „ნარკოზული სისხლი ჩადგა ვენაში, ნარკოზული წვენი ჩადგა ვენახში“ (თვარაძე, 2011, p. 83).

1990-1999 წლების ლირიკულ ნაწარმოებთა ციკლში, სახელწოდებით „ზმნა,“ დავიწყების მდინარეს შესთხოვს სულის განკურნებას ლირიკული პერსონაჟი რ. ამაღლობელის ლექსში „ლეთე“ (ამაღლობელი, 2011, p. 231), იმ რეალობიდან თავდასახსნელად, რომელიც აზიანებს როგორც სულს, ისე – ხორცს. სხვაგან კი პოეტი „უძღები შვილის ლოცვის“ (ამაღლობელი, 2011, p. 229) თანაზიარად აქცევს მკითხველს. იგი უფალს „სინანულის მდინარესთან“ შეხვედრას ევედრება – ლუკას სახარების მიხედვით მამას ხომ უპირობო სიყვარული ამოძრავებს, „სამოსელ პირველში“ გამოაწყობს ნაბოლარას და სუფრის თავშიც მოისვამს გვერდით (ბიბლია). ლექსში „ნათლობა“ (ამაღლობელი, 2011, p. 226) პოეტი აცხადებს: „მთელი ცხოვრება ჯაშუშების სუფრას ვუზივარ,“ რის ჯილდოდაც ცეცხლის ალში განათვლის იმედი აქვს ისევე, როგორც მრავალჭირგადახდილ სამშობლოს, ისევე, როგორც ნათლიასთან შერკინებულ, გველეშაპის ცეცხლოვანი შიგანიდან ხელახლა შობილ ამირანს.

რამდენიმეწლიანი სისხლიანი დაპირისპირება და ამბოხი პოსტსაბჭოთა საქართველოში ვიზუალური ელემენტებისა და ინტერკულტურული პარადიგმების მეშვეობით სათანადოდ აისახა 90-იანელთა პოეზიაში.

პოსტმოდერნისტული პოეზია მკითხველს სთავაზობს, გახდეს ტექსტის თანაავტორი. აღქმის პირადი გამოცდილების შექმნით ლიტერატურა, როგორც კულტურათაშორისი ფენომენი, ირეკლავს სხვადასხვა მოცემულობის რთულ ურთიერთკავშირს, ენას, ტრადიციებს. (ბრეგაძე, 2020) მსგავსი გამოცდილების მეშვეობით ავტორები ეძიებენ და ქმნიან თვითგამოხატვის ახალ ფორმებს, ნამუშევრების სიღრმის გასაძლიერებლად ხშირად აერთიანებენ სხვა კულტურების ელემენტებს: ლეგენდებს, სიმბოლოებს, სტილებს...

მკითხველის თანაავტორობის კარგი მაგალითია ა. ბუაჩიძის ლექსი „ცარიელ ტაძარში“ (ბუაჩიძე 90). ტექსტში ჟამის სამივე განზომილების თანადროული განცდაა: პოეტი უსათუო მომავალს აღწერს, „როცა შემოვა ნაშუაღამევს ჯარი, ქალაქში, სადაც სძინავთ უცოდველ ბავშვებს.“ მკი-

თხველი განიცდის ოთხმოცდაათიანების აწმყოს და რადგან „უძველეს თემებზე გადაიელვებს შუქი“, ცხადი ხდება, რომ ლექსში საქართველოს ისტორიის შავად გათენებული დღეებია აღწერილი.

„პოსტსაბჭოთა“ თაობის პოეტები აქტიურად იყენებენ ტაეპების არასტანდარტული განლაგების მქონე მოულოდნელ ვიზუალურ ელემენტებს. ტექსტი შეიძლება, იყოს სტრუქტურირებული, როგორც მოზაიკა, ტრადიციული წყობის გარეშე. ა. ბუაჩიძის „გადამტყდარი ლექსები,“ რ. ამაღლობელის „ცამ მზის ძნა წნა ძოწით,“ ნ. გიორგაძის „დილით მე თვალები გავახილე...“ და ზ. თვარაძის „ბებერი ბავშვები“ სიტყვით ჯილდაობის კარგ მაგალითებად გამოდგება.

პოსტმოდერნისტული ტექსტი ხშირად არაა ბოლომდე გულწრფელი. იგი მომართულია კულტურული ფასეულობების გაშარჟებისკენ (კორტავა). „პოსტსაბჭოთა“ თაობაც წარმატებით იყენებს საკრალურ თემებზე შექმნილ ტექსტებს უაზრობამდე მისულ კონტექსტში. ზ. თვარაძისთვის ირონია არის გზა იდეალების დეკონსტრუქციისთვის. იგი დასცინის შვიდი ათწლეულის მანძილზე ჭეშმარიტებად აღიარებულ, აწ უკვე მნიშვნელობადაკარგულ ღირებულებებს: „დაფრენენ სირნი, მამანი მუშაკობენ, ყეფენ ქოფაკნი, მავანი ქსოვს, დედანი გალობენ“ (თვარაძე, 2011, p. 47). პოეტისთვის არც თვითირონიაა უცხო.

70-წლიანი სისტემური ათეიზმის შემდეგ რწმენასა და ეკლესიებს დაუბრუნდნენ ადამიანები, რომლებმაც არც კი იცოდნენ, როგორ უნდა ელოცათ. სარწმუნოება იქცა ახალი ქართული იდენტობის საძირკვლად, ომის, სიღარიბის, კრიმინალისგან თავდასაღწევ ფსიქოლოგიურ თავშესაფრად. „გაცვეთილი“ თაობის პოეზიაში რწმენა უფრო ტკივილის ამოძახილია, უფალი კი – ადამიანის თანამგზავრი. პოეტები ბეწვის ხიდზე, რწმენისა და სიყალბის ზღვარზე, დგანან. ისინი ხშირად შედიან უფალთან პოლემიკაში. ზ. თვარაძე ყურადღების მისაპყრობად, მიმართვის გასაძლიერებლად „აბა“ ნაწილაკს იყენებს, რომ შემოქმედისათვის მეტად შესამჩნევი გახდეს მისი გამოუვალი მდგომარეობა: „აბა, მამაო, დამიხსენი ძე შეცდომილი, ცარიელ ცისქვეშ ვბორიალობ, როგორც ცთომილი;“ „რომ აღარ ვიყო მოჩმახული, როგორც ზღაპარი, აბა, მამაო, შენი კალთა გადამაფარე“ (თვარაძე, 2011, p. 40). ლექსში იხატება სარკასტულ ღიმილს ამოფარებული, „რკინის ფარდის“ მიღმა დამახინჯებული ფასეულობების მქონე ადამიანის სურათი. პოეტისთვის თვალნათელია, რომ „ტაძრად იქცა ბაზარი, ტაძარი კი – ბაზრობად“ (თვარაძე, 2011, p. 88).

ინტერკულტურული ტექსტები ქმნის უნიკალურ ჰიბრიდულ ფორმებს, აერთიანებს ელემენტებს მსოფლიო ტრადიციებიდან. ბიბლიური ალუზიები უხვად დაიძებნება რ. ამაღლობელის ლექსებში: „პროლოგი“, „უვერტიურა“, „ლილითი“, „კაენის ლოცვა“, „აღდგომის დილა“... სონეტთა ციკლი „ლოცვის გვირგვინი“ (ამაღლობელი, 2011, p. 211) უფლისადმი ვედრებაა. იგი ერთი მთლიანობა, მაგრამ დაშლილია ცხრა საკრალურ ნაწილად. თითოეულ ნაწილს საკუთარი სათაური და როლი აქვს მთლიანთან მიმართებაში, როგორც ცეცხლოვან ვარსკვლავზე დამოკიდებულ ცხრა პლანეტას, მზის „ცხრა თვალს“.

ა. ბუაჩიძე XX საუკუნის მილეულს ქრისტეს შემოძარცულ კვართს ადარებს (ბუაჩიძე 152). სათქმელს მრავალშრიანობას სძენს ა. ბლოკის განწყობის ინტერპრეტაცია ლექსიდან „...Ночь, улица, фонарь, аптека“ (Блок) – მეტაფიზიკური ძიებით გატაცებული ქართველი და უცხოელი პოეტების ლექსებში იკითხება დროის ფუჭი მდინარების პრობლემა, რომელიც საბოლოოდ მხოლოდ „მძიმე საპალნესა და ვერცხლის ფარდაგებს“ ტოვებს (ბუაჩიძე 152).

დასასჯელად განწირული, ზნეობრივი ფასეულობების მოღალატე საზოგადოებისგან შორს, ქალაქგარეთ, ტყისპირა სახლში დასახლებას გეგმავს და სასიცოცხლო ენერგიების აღდგენას ცდილობს ნ. გიორგაძის ლირიკული პერსონაჟი. იგი აცხადებს: „მე არ მომინდება მეძავად ყოფნა და ქვამარილად ქცევა“ (გიორგაძე 116). უფლის მორჩილი ლოტისგან განსხვავდება ლექსში აღწერილი ქალის ქმარი, რომელიც სანადიროდ დადის და უმანკო სისხლის ხილვა სიხარულს ანიჭებს. ნ. გიორგაძის სხვა უსათაურო ლექსში აპოკალიფსური ხილვების მქონე წინასწარმეტყველი დანიელის ღმერთი თავსატეხად მოიხსენიება, ლირიკული პერსონაჟი კი უიმედოდ მიჰყვება შუქურას, რადგან სიბნელიდან მაინც ვერ გააღწევს (გიორგაძე 113).

პოსტმოდერნისტული ლირიკა არღვევს ჟანრის საზღვრებს. იგი მოიცავს პროზის, ვიზუალური ხელოვნებისა და პოპკულტურის ელემენტებსაც კი. ყველაფერი ერთად ხშირად დისონანს წარმოშობს, სამაგიეროდ, მკითხველისათვის უფრო ახლობელი ხდება ავტორის სათქმელი. ნ. გიორგაძე

ასე ახასიათებს თანამედროვე ხელოვანის საქმიანობას: „პოეტი სატვირთო ავტომობილია „კია მოტორსი საქართველო“ გთავაზობთ ფასებს ხელმისაწვდომს და გარანტიას რომ 80 წლამდე, ჩვენ შევძლებთ წერას, ჩვენი ცხოვრება იქნება მძიმე და ჩვენი გულის მულტისენსორზე ითამაშებენ ვიგინდარები“ (გიორგაძე 103). განათლებით ფილოლოგი ნ. გიორგაძე ლექსებში პუნქტუაციას დიდად არ სწყალობს, რათა მკითხველს ტექსტის აღქმის თავისუფლება მიეცეს.

პოსტმოდერნიზმი დასცინის სნობიზმს, გაუფასურებული შინაგანი ღირებულებების ფონზე სტატუსისა და ნივთების პატივისცემის მანიას. რ. ამაღლობელი ლექსში „ქართველებს“ დეტალურად ჩამოთვლის ერში გავრცელებულ მანკიერ მახასიათებლებს. პოეტი მაგალითებად მოიხმობს იმ დროისათვის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომ, მაგრამ სიღრმისეულად ნაკლებად გაცნობიერებული ხელოვანების სახელებსა და ნაწარმოებებს: „უყვართ ცნობილი რეჟისორის გვარის ხსენება: ჯორჯო სტრელერის, პიტერ ბრუკის, ხშირად ჩვენება მარკესის ცოდნის, უფრო სწორად იმ მარტოობის, ასი წელი რომ გრძელდებოდა, გამოყენება“ (ამაღლობელი, 2011, p. 79). ისინი ყველას „უყვარდა,“ რადგან ეს მოდური იყო.

მოდიდან არ გადასულა „ვეფხისტყაოსანიც“ – ზ. თვარაძე ლექსში „ოდა რუსთაველს“ 90-იანი წლების „გაცვეთილპიჯაკიან“ პოეტად წარმოიდგენს საკულტო პოემის ავტორს. იგი ვერაზე, მესამე სართულზე ცხოვრობს, ტელევიზორში უყურებს მეორე არხის გადაცემებს, „მოუკიდებს სიგარეტ 80-ს და რატომღაც ციფრი 80 მის თავში იწვევს მეყსეულ ელდას“ (თვარაძე, 2011, p. 219).

ბრიტანული პროგრესული როკ ჯგუფის Jetho Tull-ის, იმ დროისათვის მიუღებელი ფოლკლორის ელემენტებით შექმნილი, სიმღერა Dun Ringill (Tull) გახდა ზ. თვარაძის ინსპირაციის წყარო, რომ დაწერილიყო ამავე სახელწოდების ლექსი, რომელიც აღწერს 90-იანი წლების სინამდვილეს: „შუქი არ იყო. არ იყო გაზი. წყალი არ იყო. უბრუნდებოდა ყოველივე პირველსაწყისებს“ (თვარაძე, 2011, p. 228). როგორც ბრიტანულ მუსიკალურ ნაწარმოებში, ისე ქართულ ლექსში, ცივილიზაციიდან გაქცევის სურვილი და ბუნებასთან შერწყმის გარდაუვალობა იკითხება: „წარმოიდგინეთ, როცა ნაყოფი მიწაში ლპება, მაშინღა იწყებს ახალ სიცოცხლეს. თუ არ მოკვდა, არც იარსებებს!..“ (თვარაძე, 2011, p. 234)

ედგარ ალან პოს პოემა „ყორანს“ (პო, 2019) ეპიგრაფით and nothing more ეხმიანება ზ. თვარაძის ლექსი „სარკე ძველ სარდაფში“. სიგიჟის ზღვარზე მისული ლირიკული პერსონაჟი ყოველდღიურ ამბავს ჰყვება: „ჩავეშვი სარდაფში. ვიფიქრე: დამალულ ძველ სურათს მოვძებნი. სურათს მაგივრად იქ დამხვდა მხოლოდ მტვერი და ძონძები“ (თვარაძე, 2011, p. 212). სინამდვილეში კი იგი, ე. ა. პოს მელანქოლიური პერსონაჟის მსგავსად, ვეღარასოდეს დაიხსნის თავს „დაფერფლილი ოცნების ნესტიანი კედლებიდან“ (თვარაძე, 2011, p. 212).

პოსტმოდერნისტულ ლექსში სათაური რომ ტექსტის განუყოფელი ნაწილია, ეს კარგად ჩანს ა. ბუაჩიძის პაროდიულ ნაწარმოებში, რომელიც სათაურშივე ახსნის ტექსტის საკითხავს: რა ხდება „ფეშენებელურ რესტორანში დღის 11 საათზე“ (ბუაჩიძე 47). ავტორი თავიდანვე გვაფრთხილებს, რომ „ეს არის სამყარო აღსავსე კაზუსებით.“ სწორედ ასეთი სიუჟეტური კაზუსი თამაშდება „სუფთასახელოიან პერანგში“ გამოწყობილი ლოთის თვალწინ, „ფეშენებელურ სამყაროში, სადაც ხალიჩები უხმოდ დააცურებენ რესპექტაბელურ ოფიციანტებს“ (ბუაჩიძე 47). სიტყვა „ფეშენებელური“ შემთხვევით არ შეურჩევია ა. ბუაჩიძეს, ისიც ისეთივე ირონიულია, როგორც მრუშებითა და ბილწსიტყვა პერსონალით სავსე სასტუმრო – გარეგნულად მდიდრული, რეალურად – იაფფასიანი, დაბალხარისხიანი და ხელოვნურად „ელიტური“.

პოსტმოდერნისტულ ტექსტში ათწლეულების მანძილზე დაბზარულ კედლებს მიღმა მოქცეულია სიმდიდრისა და დასავლეთის ილუზორული სურათი – სოციალური ნიღბის ჩასაცმელი სივრცე. „პოსტსაბჭოთა“ თაობის პოეზიის გეზის მიმცემნი: ა. ბუაჩიძე, ნ. გიორგაძე, ზ. თვარაძე და რ. ამაღლობელი ლირიკულ ტექსტებში მოხდენილად იცვლიან ნიღბებსა და სახეებს გარემო-პირობების შესაბამისად.

დასკვნა: გასული საუკუნის უკანასკნელი ათწლეულის ქართული ლიტერატურა დასავლურ-აღმოსავლურ ცივილიზაციათა გზაჯვარედინია ისევე, როგორც უხსოვარი დროიდან -საქართველო. იგი ცხადად ასახავს მსოფლიოსთან კონტაქტების აღდგენისა და კულტურული ჰიბრიდიზაციის

შეუვალ პროცესს. 90-იანი წლების კულტურული მეტამორფოზა პოეზიაში კრიტიკულ და არასტრუქტურულ მიმართულებებს აჩენს.

პოსტსაბჭოთა გამოცდილება და ახალი სოციალურ-პოლიტიკური რეალობა განსხვავებულ კულტურათა შერევისა და განცალკევების ნაყოფიერ ნიადაგს ქმნიდა. ამის ფონზე „გაბზარული“ თაობის ლიტერატურული ნაწარმოებები ქართული ეროვნული იდენტობის მხარეს დგას, მათში არის ცდა, გადარჩეს მრავალწლიანი ტრადიციები.

XX საუკუნის 90-იანი წლების ქართული პოეზია მრავალშრიანია. იგი მოიცავს გლობალიზაციის, დასავლური გავლენებისა და ეროვნული იდენტობის შერწყმის პროცესებს. შესაბამისად, საანალიზო პერიოდის ლირიკული ნიმუშები ხშირად ექსპერიმენტული ხასიათისაა, ასახავს ინდივიდის, როგორც მიკროკოსმოსის თვითმყოფადობას მაკროკოსმოსში მიმდინარე მოვლენების ფონზე.

Bibliography:

Tull, J. (n.d.). *„Dun Ringill“*. Retrieved 2024 წლის 03 09 from https://www.musixmatch.com: https://www.musixmatch.com/lyrics/Jethro-Tull/Dun-Ringill

Блок, А. (n.d.). *„Ночь, улица, фонарь, аптека“*. Retrieved 2024 წლის 15 09 from blok.pdf : https://math.berkeley.edu/“giventh/verse/blok.pdf

ამაღლობელი, რ. (2011). *ლექსები.* თბილისი: გამომცემლობა პალიტრა L.

ბერიძე, ფ. (1966). *ლირიკის გამომსახველობითი თავისებურება.* თბილისი.

ბიბლია. (2001). *ძველი და ახალი აღთქმის წიგნები.* თბილისი: ს.ბ.ს.

ბრეგაძე, ლ. (2020). *პოსტმოდერნიზმი ქართულ მწერლობაში.* თბილისი: არტანუჯი.

ბუაჩიძე, ა. (2012). *ღამის ნათელი.* თბილისი: გამომცემლობა პალიტრა L.

გიორგაძე, ნ. (2020). *ხმის მატარებელი.* თბილისი: გამომცემლობა ინტელექტი.

თვარაძე, ზ. (2011). *პილიგრიმი.* თბილისი: გამომცემლობა პალიტრა L.

იმნაიშვილი, ა. (2010). *XX საუკუნის 90-იანი წლების ქართული პროზის ტენდენციები (პოსტსაბჭოთა თაობა).* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

კორტავა, შ. (2016). *პოსტმოდერნიზმი და თანამედროვეობა.* თბილისი: უნივერსალი.

პო, ე. ა. (2019). *ყორანი და სხვა ლექსები.* თბილისი: არტანუჯი.

ANALYSING INTERCULTURAL SPACE IN GEORGIAN LYRICS OF THE LAST DECADE OF THE TWENTIETH CENTURY

KETEVAN SAMADASHVILI
PhD student at Ivane Javakhishvili
Tbilisi State University,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Grigol Tsereteli Library
E-Mail: Ketevan.samadashvili@tsu.ge
ORCID: 0009-0001-3061-4949

Abstract: Artistic text is a mirror of global processes: it reflects migration, transnationalism and intercultural exchange taking place in the world, it participates in the representation and formation of new themes.

Postmodernism, which emerged in the middle of the 20th century, is a complex and multi-layered cultural, philosophical and artistic phenomenon. It is characterised by a sceptical attitude towards universal truths and ideas, an emphasis on subjectivism, and the play of artistic style and forms. Postmodernism has had a radical impact on traditional ideas about the genre and structure of the text, as well as on the transformation of language and thinking.

A lyric poem is an expression of reality, human existence and spiritual condition. It serves to generalise feelings. The main purpose of a lyric poem is to transform the author's emotional mood into a universal statement. Through it, poetic visions are transformed into artistic texts and empirical data becomes an auxiliary means of expressing feelings.

The difficulties caused by ethno-political conflicts and economic challenges of the last decade of the 20th century in Georgia were directly reflected in the perspective of thinking of the new poetic generation. The poets of the 1990s are called the 'post-war' and 'post-Soviet' generations. Postmodernist tendencies and socio-cultural issues have gained relevance in their work.

The study of lyric poems by four representatives of the 1990s – Natia Giorgadze, Zaza Tvaradze, Andro Buachidze and Rati Amaglobeli – creates a favourable ground for analysing the intercultural space of the last decade of the twentieth century.

During the period under study, Georgian literature was strongly influenced by postmodernism: playing with quotations, allusion, subjectivism and intertextual abstraction are characteristic features of lyrical works of the 'post-Soviet' generation.

Key words: 'Post-Soviet' generation; Lyric poem; Intercultural relations.

* * *

Introduction. Through words, a literary work enables the imaginative imagination. Poetry is considered to be the complete integrity of art, and lyric poetry is considered to be the poetry of poetry.

The aim of the analytical question is to analyze the intercultural space of literature, freed from Soviet censorship, of Georgian lyric poetry of the last decade of the twentieth century.

In the study of poetic creativity of the 1990s, the search for influences and parallels remains relevant, which in itself implies the emergence of new points of view and assessments.

The novelty of the work: the discovery of thematic diversity and new trends of versification in lyric poetry against the background of the collapse of intercultural isolation, the search for innovations and ways of self-assertion.

Methods. At the centre of a lyric poem is the author. This is how the subjective poetic vision is created – the mood is transmitted to the reader and influences him. In the process of analysing a lyric poem, methods of comparison with other data are important.

Having analysed the thematic characteristics of lyric poetry of the period under study, the authors analyse the lyric samples of A. Buachidze, Z. Tvaradze, N. Giorgadze and R. Amaglobeli. We have discussed them through intertextual analysis and classification of common features.

The study used contextual analysis, which implies taking into account historical, socio-political and cultural context when studying lyrical works.

The comparative analysis of texts is based on the method of analogy as a means of drawing conclusive conclusions about the similarity of two or more artistic texts on some feature.

The last decade of the twentieth century on the world map reflects a key stage in history: economic, cultural and political integration has greatly accelerated the exchange of information. Current developments have been facilitated by the development of the Internet and digital technologies. Thanks to them, the world has become even closer, and a global cultural space has been formed.

Cultural metamorphoses took place against the background of political gradations: the collapse of the USSR and the end of the Cold War led to international co-operation and the growth of democratic movements.

Against the background of world events, a new trend is gradually taking shape on the post-Soviet Georgian literary scene. The texts of A. Buachidze, N. Giorgadze, Z. Tvaradze, and R. Amaglobeli are multifaceted and heterogeneous.

A. Buachidze's poems are characterised by emotionality and deep philosophical thought. The reader's attention is drawn to the individual vision of the diversity of the world.

N. Giorgadze's lyrical samples reflect images of childhood, mother's face, motherland, national tragedy.

The poet and philosopher Z. Tvaradze, with his ability to penetrate into the inner world of man, occupies an outstanding place in the history of Georgian literature.

Postmodernism in 'post-Soviet' poetry is manifested through the subjectivity of language, violation of the accepted boundaries of style and rhythm. A notable feature of his work is intertextual connections – the poets of the 90s create a unique context based on culture, history and literary texts.

Andro Buachidze's poem 'Fraternal War' is dedicated to the tragic events of the 1990s. It echoes the biblical text. The author recalls Chorazin and Bethsaida, biblical cities, and next to them stands Tbilisi, where the dead bury the dead.

The problem of the impact of globalisation on relationships and cultural identity plays an important role in R. Amaglobeli's work.

We find the theme of civil war in the poems of N. Giorgadze: 'There are many thieves', 'What should we think?' Among them stands out the poem 'Where the city gates are'. The text is largely allegorical and primarily concerns the struggle between Cronus and Uranus for the throne of the ruler of the world.

Z. Tvaradze continues the theme of internal political crisis in the country. His lyrical poems are 'Birds', '...I met a dead friend'... The author plays with words, resorts to irony and dedicates the poem to the Mtkvari River. The poet is merciless in describing the traitors to the motherland, calling them cynics, hypocrites and deserters. The river, the lifeblood of the city, reflects its population, which has become faceless.

Several years of bloody conflict and rebellion in post-Soviet Georgia are adequately reflected in the poetry of the 1990s through visual elements and intercultural paradigms.

Postmodern poetry provides the reader with the opportunity to become a co-author of the text. By creating a personal experience of perception, literature as a cross-cultural phenomenon reflects the complex interconnection of different datums, languages and traditions. Through similar experiences, authors seek and create new forms of expression, often using elements of other cultures to enhance the depth of their works: legends, symbols, styles...

A vivid example of reader co-authorship is A. Buachidze's poem 'In an Empty Temple'. Poets of the 'post-Soviet' generation actively use pictorial elements with non-standard arrangement of lines. The text can be structured as a mosaic. Postmodernist text is often not entirely sincere. It aims to undermine cultural values.

After 70 years of systematic atheism, people who did not even know how to pray returned to faith and churches. Faith became the basis of a new Georgian identity, a psychological refuge from war, poverty and crime. In the poetry of the 'faded' generation, God is man's companion.

Intercultural texts create hybrid forms combining elements of world traditions. Rati Amaglobeli's poems contain biblical allusions: 'Prologue', 'Overture', „Lilith", 'Cain's Prayer', 'Easter Morning'....

Andro Buachidze uses A. Blok's mood from the poem '...Night, Street, Lantern, Pharmacy' – the problem of time can be read in the poems of Georgian and foreign poets who are fascinated by metaphysical searches. The lyrical heroine Natia Giorgadze plans to settle in a house near the forest and tries to restore her vital energy.

The postmodern lyric breaks the boundaries of the genre. It incorporates elements of prose, visual art, and pop culture. Everything together often creates dissonance, but instead what the author says becomes more understandable to the reader.

Postmodernism mocks snobbery, obsession with status and respect for things amidst the devaluation of inner values. In her poem 'Georgians', Rati Amaglobeli enumerates in detail the vicious traits prevalent in this nation.

The song 'Dun Ringill' by the British progressive rock band Jetho Tull became a source of inspiration for Zaza Tvaradze to write a poem of the same name describing the reality of the 1990s.

Zaza Tvaradze's poem 'The Mirror in the Old Cellar' was written under the influence of Edgar Allan Poe's poem 'The Raven'. The lyrical character on the verge of madness, like Poe's melancholy character, can never save himself.

The fact that the title is an integral part of the text in a postmodernist poem is clearly seen in Andro Buachidze's parody: 'What's going on in a 'posh restaurant at 11 o'clock in the afternoon?' The word 'luxury' is ironic, like the hotel, at first glance luxurious, but in fact cheap, substandard and artificially 'elite'.

Poets of the 'post-Soviet' generation, such as Andro Buachidze, Natia Giorgadze, Zaza Tvaradze, Rati Amaglobeli, change masks and faces in their lyrics depending on the setting and desire.

Conclusion. Georgian literature of the last decade of the last century is at the crossroads of Western and Eastern civilisations, just like Georgia. It reflects the process of reconnection with the world and cultural hybridisation. The cultural metamorphoses of the 1990s gave rise to critical and non-structural tendencies in poetry.

The post-Soviet experience and the new socio-political reality created a favourable ground for mixing and separation of different cultures. Against this background, the literary works of the 'fractured' generation stand on the side of Georgian national identity and contain an attempt to preserve local traditions.

Georgian poetry of the 1990s is multi-layered. It encompasses the processes of globalisation, Western influence and the fusion of national identity. Accordingly, the lyrical samples of the analysed period are experimental in nature, reflecting the life of the individual as a microcosm.

Bibliography:

Amaglobeli, R. (2011). Poems. Tbilisi: Palitra L. Publishing House.

Bible: Books of the Old and New Testament (2001). S.B.S.

Bregadze, L. (2020). Postmodernism in Georgian literature. Tbilisi: Artanuj.

Buachidze, A. (2012). Night light. Tbilisi: Palitra L.

Giorgadze, N. (2020). Sound medium. Tbilisi: Intellect Publishing House.

Tvaradze, Z. (2011). Pilgrim. Tbilisi: Palitra L. Publisher.

Imnaishvili, A. (2010). Trends of Georgian prose of the 1990s (post-Soviet generation). Tbilisi: Tbilisi University Press.

Kortava, Sh. (2016). Postmodernism and modernity. Tbilisi: Universal.

Poe, E. A. (2019). The raven and other poems. Tbilisi: Artanuj.

Blok, A. (1912). 'Night, street, lantern, pharmacy'. Website: blok.pdf Date viewed: 15 September 2024 Link: https://math.berkeley.edu/"giventh/verse/blok.pdf

Tull, J. (b.d.). 'Doon Ringgill.' Retrieved 09 03, 2024, from https://www.musixmatch.com: https://www.musixmatch.com/lyrics/Jethro-Tull/Dun-Ringill

რუსთველის მსოფლმხედველობის ერთი საკითხი

(ვეფხისტყაოსნიანი რაინდის მიმართება დემნა უფლისწულის ტრაგედიასთან)

ინგა სანიკიძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ელ.ფოსტა: inga.sanikidze@tsu.ge
ORCID: 0009-0004-8031-9528

აბსტრაქტი: XII საუკუნის რეალობა და ამავე ეპოქაში მიმდინარე მწვავე პოლიტიკური კრიზისი რუსთველის მიერ გალექსილ ამბებში საგულდაგულოდაა დაფარული. მხატვრულ ტილოზე პოეტის თანადროული ისტორიული პროცესები ალეგორიების, მეტაფორებისა თუ სიმბოლოების სახეს იღებს. ჩვენი აზრით, პოეტი ფარსადან მეფის ფოკუსში გიორგი III-ს [1156-1184] მოიაზრებს, ხოლო ტარიელის წინარე სახედ – დემნა (დემეტრე) უფლისწულს, დავით V-ის პირმშოს. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზისაა შენიშნული „ვეფხისტყაოსანში“ ინდოთ მეფის მანკიერებათა შესახებ, თუმცა ამ თვალსაზრისით ძიება აქტუალობას არ კარგავს.

ვფიქრობთ, რომ გამოთქმული ვარაუდის დასადასტურებლად ინდოეთის ამბის დასაწყისის მოხმობა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. უძეობით დადარდიანებული ფარსადანი ტარიელს ისე უყურებს, როგორც მთელი ინდოეთის მომავალ ხელისუფალს. ქვეყნისა და ლაშქრის პატრონს [„მეფემან თქვა: „შვილად გავზრდი, თვით ჩემივე გვარი არსა“: (რუსთაველი, 1966, გვ. 84, 313), თუმცა ნესტან-დარეჯანის დაბადების შემდგომ, როგორცა ჩანს, არჩეულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას იცვლის და საკუთარ პოზიციას ხვარაზმელი სასიძოს მოყვანების თათბირზე მკაფიოდ აფიქსირებს. სწორედ ამ მონაკვეთში ცხადდება, რომ ფარსადან მეფე თავის „შვილობილს“ სამეფო ტახტისაკენ მიმავალ გზაზე გადაულახავ ბარიერს უქმნის.

ღირებული მოჩანს სტეფანოზ ორბელიანის საისტორიო წყარო, რომელიც საკმაოდ ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის იმისთვის, რომ პოემის ზემოთ დასახელებულ კონტექსტსა და ისტორიულ რეალობას შორის მსგავსება დავინახოთ. ეპოსის გმირისა და დემნა უფლისწულის დაობლებასა თუ მომავალ მეფედ მისი აღზრდის გადაწყვეტილებას შორის პირდაპირი პარალელის გავლება შეიძლება. საისტორიო წყაროს მიხედვით ირკვევა, რომ მეფედ კურთხევას მოწადინებულ გიორგის დაურწმუნებია დიდებულები და იოვანე ორბელი იმაში, რომ საკუთარ ძმისშვილს გაამეფებდა. წყაროსავე ცნობით, გიორგი III-ს ძმისადმი მიცემული პირობისათვის მოგვიანებით მზაკვრულად აუვლია გვერდი. ამ ნაწილში ჩვენ მემატიანეს მიერ ფაქტის გაყალბება საფუძველმოკლებული გვგონია, რადგან პოემაში არაპირდაპირ, ანუ მხატვრულად, დაახლოებით იგივე ხდება, ისტორიული რეალობისა და პოემის სიუჟეტის განვითარების ამგვარი დამთხვევა კი ნაკლებ სავარაუდოა, რომ შემთხვევითი იყოს. ისტორიული და ლიტერატურული ფაქტებია ის, რომ გიორგი-ფარსადანი თვითმპყრობელი მეფეა, ხოლო ამირსპასალარის ოჯახში აღზრდილი დემნა-ტარიელი მეფისაგან [/ბიძისაგან] მოტყუებული ყმაწვილკაცი, რომელიც დიდხანს ვერ ათვითცნობიერებს მეფის ჩანაფიქრის მუხთლობას. პოეტის თანამედროვე ეპოქის სათქმელი თუ ტრაგედია, ჩვენი აზრით, პოეტმა მხატვრული კონტექსტით გადაფარა და დემნა (დემეტრე) უფლისწულის დასაჭურისებისა თუ მემკვიდრეობის მამაკაცის ხაზის განადგურება შავმერნიანი მტირალი ყმის სახეში მოაქცია.

საკვანძო სიტყვები: „ვეფხისტყაოსანი“; ისტორიული სინამდვილე; მხატვრული რეალობა.

* * *

შესავალი: რაც უნდა სადავო იყოს მეცნიერების სამსჯავროს წინაშე დასმული საკითხი, ვფიქრობთ, რომ ის მაინც უნდა გამოითქვას. მითუმეტეს, თუკი გავითვალისწინებთ, რომ საქმე

„ვეფხისტყაოსანსა“ და რუსთველის მსოფლმხედველობას შეეხება, ხოლო მასზე მომუშავე „მკვლევართა მოსაზრებების უკრიტიკოდ გაზიარება შეუძლებელია“ (ხინთიბიძე , 1993 , გვ. 32).

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია შენიშნულია, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ასახული მხატვრული სინამდვილის დაკავშირება ისტორიულ სინამდვილესთან არ არის საძნელო საქმე“ (კეკელიძე & ბარამიძე, 1987, გვ. 249). ვფიქრობთ, რომ ამ მიმართულებითაც კიდევ მეტია საკვლევი და გასააზრებელი, რათა რუსთველის, როგორც XII ს-ის ისტორიული მოვლენების უმნიშვნელოვანესი მოწმისა და მონაწილის, პოლიტიკური და საზოგადოებრივი პოზიციების დასანახად ურყევი საფუძველი შეიქმნას.

საქმე ის არის, რომ სომხურ საისტორიო წყაროებზე დაყრდნობა არცთუ სახარბიელო სურათს ხატავს, რომელიც რუსთველის თანადროული პოლიტიკური მოვლენების ფონზე ვითარდება. კერძოდ, მხითარ გოშის (XII-XIII ს.ს.) მიხედვით ვიგებთ, რომ „როდესაც გარდაიცვალა მეფე დემეტრე [საუბარია დემეტრე I-ზე – ი.ს.], მის ნაცვლად გამეფდა მისი შვილი დავითი, კაცი კეთილგონიერი“ (გოში, 1968, გვ. 46). მეტიც, იმავე მხითარ გოშთან იკითხება, რომ რაღაც მიზეზის გამო (ავტორი ასეთ მიზეზად სარწმუნოებრივ საკითხს ასახელებს) ქართველი დიდებულები შურით შეპყრობილან, „განსაკუთრებით ორბელიანებად წოდებული გვარი, **დაალევინეს სასიკვდილო საწამლავი და მოკლეს მეფე დავითი**. მძიმე და ხანგრძლივმა სევდამ მოიცვა ქართველთა და სომეხთა ქვეყნები. გაამეფეს მის ნაცვლად მისი ძმა გიორგი“ (გოში, 1968, გვ. 47). ორბელთა და გიორგი III-ის მიერ შეთანხმებულ მოქმედებაზე მოგვითხრობს ვარდანიც, როდესაც დავით V-ის მკვლელობის ფაქტს შეეხება. მემატიანე წერს: „ზოგი ამბობს, რომ **[ის მოკლულ იქნა] სუმბატ და ივანე ორბელების მზაკვრობის შედეგად... ისინი შეთანხმებული იყვნენ დავითის ძმა გიორგისთან**[1], რომ [ის] დანიშნავდა [მათ] მხედართმთავრად“ (ვარდან, 2002, გვ. 145). ცალსახად ნათელია, რომ XII საუკუნის II ნახევარი უმწვავესი პოლიტიკური მოვლენების ფონზე ვითარდება და სამეფო ტახტის დაკავების გზაზე ბუნდოვანებით მოცულ არაერთ ამბავს მოიცავს. მემკვიდრეობის ხაზის დარღვევის თვალსაზრისით საქმე სახარბიელოდ ნამდვილად არ უნდა ყოფილიყო. ამაზე 1178 წლის დემნა-ორბელთა აჯანყებაც მიუთითებს. თუ სომხურ წყაროთა მონაცემებს გავითვალისწინებთ (ამ ნაწილში ქართულ ცნობათა ნაკლულევანების გამო), იკვეთება, რომ მამის მკვლელები (გიორგი III და იოანე ორბელი) ერთდროულად ეპატრონებიან დავით V-ის ვაჟის, დემეტრე უფლისწულის, მომავალს, თვალს ადევნებენ მის აღზრდას და ცოლადაც დავით V-ის (დემნას მამის) მკვლელობაში ხელგასვრილი ამირსპასალარის, იოვანე ორბელის, ქალიშვილს მოაყვანინებენ. ეჭვგარეშეა, რომ ასეთი პოლიტიკური ნაბიჯით დემეტრე უფლისწულს სამეფო ტახტის დაკავების საშუალება სამუდამოდ ჰქონდა გადაკეტილი. ვფიქრობთ, რომ XII საუკუნის საქართველოში განვითარებული პოლიტიკური კრიზისი რუსთველის მსოფლმხედველობისა და სიუჟეტური ქარგის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, ეს მიმართულება კი პოემის სხვადასხვა კონტექსტში ვლინდება.

მეთოდები: სამეცნიერო ნაშრომში მსჯელობა ძირითადად განვითარებულია კრიტიკული მიდგომებისა და ანალიტიკური მეთოდის გამოყენებით, რომლებიც, თავის მხრივ, ეყრდნობა სელექციის მეთოდს (ჩვენს შემთხვევაში ისტორიულ წყაროთა და მხატვრულ ფაქტთა შერჩევას). ამასთან, აღწერითი და შედარებითი მეთოდების შეჯერებითა და ლოგიკური თანამიმდევრობის დაცვით მიღებულია სამეცნიერო დასკვნა. საკითხის ანალიზისათვის აუცილებელი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე დასმულია მნიშვნელოვანი კითხვები, მათზე საპასუხოდ კი მოძიებულია არგუმენტები და მტკიცებულებები ქართული საისტორიო წყაროებიდან თუ „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული სიუჟეტიდან.

მსჯელობა: ჩანს, რომ XII საუკუნის რეალობა და ამავე ეპოქაში მიმდინარე არცთუ სახარბიელო ისტორიული მოვლენები ისეთი სიმძლავრის ტექტონიკურ ძვრებს იწვევს რუსთველში, რომ მის მიერვე გალექსილი ამბები მუდმივი ალეგორიებისა თუ სიმბოლოების წყარო ხდება, მათ შორის – მაშინაც, როცა წყობილმოსიტყვე პოეტი ფარსადან მეფის სახის შექმნაზე მუშაობს და, ჩვენი აზრით, ფოკუსის ბირთვში გიორგი III-ს აქცევს. თეატრალური დეკორაციები, მეფის „კოსტიუმი“ [აქ უპირ-

[1] სომხურ წყაროებში ხაზგასმული სიტყვები ჩვენია – ი.ს.

ველესად ფარსადანის „სიბრძნეს“ ვგულიხმობთ] თუ სასცენო ეფექტები სპექტაკლის მხილველს ცდომილებაში ჩაძირვას უქადის, თუკი ის ხილულ თვალს გულისყურსა და გონებას არ მიაშველებს. იმისათვის, რომ მეფე-ხელისუფალის ზოგად ვადებულებებსა და რუსთველის მიერ შექმნილ ინდოთ მეფის სახეს შორის პარალელი გავავლოთ, ქართულ მეცნიერებაში გამოთქმული ერთი ღირებული შეფასებაა გასათვალისწინებელი. ნ. სულავა შენიშნავს: „ვეფხისტყაოსანში“ მეფე ღვთის ხატად ქმნილი არსებაა, რასაც შოთა რუსთველი ბიბლიურს დამყარებული თვალთახედვით წარმოაჩენს: „მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა“. მეფე ბიბლიური სწავლებების კვალობაზე წარმართავს სახელმწიფოს ცხოვრებას. მეფე მუდმივად უნდა კითხულობდეს და მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე სწავლობდეს სჯულის წიგნს, რათა დაიცვას მისი ყოველი სიტყვა და მცნება, როგორც მისი და მის მემკვიდრეთა წარმატებული მეფობის ხანგრძლივობის გარანტი... მეფემ ადამიანურ სისუსტეებს უნდა სძლიოს, რათა ერის წინაშე მართლად წარდგეს და ცოდვათაგან განწმენდილმა ღირსეულად მართოს ღვთისაგან რწმუნებული ქვეყანა“ (სულავა, 2009, გვ. 112). ერთი სიტყვით, ზნეობრივი ვალდებულებებითა და ცოდნით ტვირთდამძიმებული ხანა ჟამში მოქცეული მეუფებისა რამდენადმე გამარტივებულ პრინციპამდე შეიძლება დავიყვანოთ – „მეფე ხარ და ჯერ-არს...“. ღვთის განგებისა თუ წეს-განჩინების „მიშვება“, მისი განუჭვრეტელობა დაუშვებელია, თუკი ღვთისავე დადგენილებით სამეფო ტახტს დაიკავებ. ასეა კი საქმე ინდოეთის ამბავში? რა აზრი გამომდინარეობს რუსთველის მიერ საგანგებოდ აწყობილი სიუჟეტური გრადაციებიდან, როცა მათ გაცხოველებული თვალით ვაკვირდებით? ვიცით, რომ ქართულ მეცნიერებაში ინდოთ მეფის მანკიერებათა შესახებ უკვე თქმულა, მაგრამ, რაკი ჩვენი სამეცნიერო ძიება ფარსადანის, როგორც ფარისევლობის მსოფლხატის, მიმართულებას მიჰყვება, ამიტომ საკუთარ შეხედულებას ამ ვექტორით ჩამოვაყალიბებთ.

პოემაში ყველაფერი იმის საპირისპირო მოჩანს, რასაც ამქვეყნად ღვთის ხატად მოვლენილი უმაღლესი ხელისუფალი უნდა იქმოდეს, ბიბლიური სწავლება სიკეთის ქმნისა დავიწყებული მოჩანს. ვფიქრობთ, არ გადავაჭარბებთ, თუკი ვიტყვით, რომ ღვთიურ საწყისებს ფარსადანის სულიერი კოკა მნიშვნელოვნადაა აცდენილი. გამოთქმული აზრის გასამყარებლად პოემის ერთ პასაჟზე შევჩერდებით.

უძეობით დარდსმიცემული მეფე-დედოფალი ინდოეთის პატრონად ტარიელის გაზრდას იწყებს. „საპატრონოდ მზრდიდეს სრულთა ლაშქართა და ქვეყანათად“, – ეტყვის საამბობლად დამჯდარი, ღილჩახსნილი ინდოელი მოყმე ავთანდილს. დასახელებულ სტრიქონში ყურადღებას იქცევს მსაზღვრელი სიტყვა „სრულთა“. იკვეთება, რომ მონარქიულ ქვეყანაში ფარსადანისავე გადაწყვეტილებით [„მეფემან თქვა: „შვილად გავზრდი, თვით ჩემივე გვარი არსა“: (რუსთაველი, 1966, გვ. 84, 313)] მთელი ქვეყნისა და ლაშქრის მომავალ პატრონად და ტახტის მემკვიდრედ ტარიელია განსაზღვრული. კითხვა ასე დაისმის – როდის გადაუხვია ფარსადანმა საკუთარ გზას? სავარაუდოდ, დედოფლის დაორსულება [„დაორსულდა დედოფალი“] და მემკვიდრე ქალის შობაა [„შობა ქალი“] ინდოელი მონარქის ფერიცვალების მიზეზი. ცხადია, რომ ტარიელს სამეფო ტახტის დაკავების გზაზე კონკურენტი გაუჩნდა და „შვილად“ გაზრდილი მოყმე პოლიტიკური ორთაბრძოლების ეპიცენტრში აღმოჩნდა. ჩანს, ფარსადანმა საკუთარი მიზანი ნესტანის გათხოვების სურვილის გამჟღავნებამდე თავისი გონებამახვილობით საგულდაგულოდ დამალა, ამას კი ობლად დარჩენილი და ყმალწვილკაცობაში შესული ტარიელი ვერც კი აცნობიერებდა, მიზეზი კი მამობილისადმი გულუბრყვილო ნდობა იყო. ერთი შეხედვით, მართლაც, ძნელად წარმოიდგინება გამზრდელი მშობლისაგან ამგვარი ღალატი, თუმცა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში გასაკვირიც არაფერია და ფარსადანიც ქალიშვილის სასარგებლო გადაწყვეტილებასთან ერთად ვერაგული ნაბიჯების გადადგმას არ ერიდება. ვფიქრობთ, რომ ინდოეთის ამბის დასაწყისში უფლისწულისეული თხრობა მისი ჯერ ბავშვური, შემდეგ კი ყმაწვილკაცური გაუთვითცნობიერებლობის ჩვენებაა. ფაქტია, რომ ტარიელი არაბ სპასპეტს საკუთარ განცდებსაც უზიარებს და „ღილჩახსნილი“ ცდილობს, გულწრფელი აღსარების სახე მისცეს იმ ნარატივს, რომელსაც არაერთი წახნაგი აქვს [„ღილ-ჩახსნილი საამბობლად დაჯდა, მხარნი ამოყარნა“: (რუსთაველი, 1966, გვ. 82, 303)]. რუსთველს, როგორც მხატვრული სიტყვის დიდოსტატს, ეპითეტი „ღილ-ჩახსნილი“ საკუთარი სამეფოდან დევნილი ყმის გულგახსნილობის კონტექსტის საჩვენებლად უნდა ჰქონდეს გამოყენებული და არა მხოლოდ ვიზუალური დეკორაციისათვის.

ამბის ამ ნაწილში ყურადღებას იქცევს საისტორიო წყაროებში დაცული ერთი ცნობა. წინასწარ ვიტყვით, რომ სომეხ ისტორიკოსად წოდებული სტეფანოზ ორბელიანის თხზულების ძველსავე ეპოქებში ქართულ ენაზე თარგმნილი წყარო ორბელთა აჯანყებაში [1178 წ.] ამავე გვარის წევრთა დომინაციის გამო სუბიექტურ თხრობად არის შეფასებული. ამ საკითხზე დავა არც ღირს, რადგან ეს უტყუარი აზრია, მაგრამ აცდენილია კი ისტორიულ სინამდვილეს ის ფაქტი, რომელსაც სტეფანოზ ორბელიანი აფიქსირებს და რომელიც ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის იმისათვის, რომ ეპოსის გმირისა და დემნა უფლისწულის დაობლებასა თუ მომავალ მეფედ მისი აღზრდის გადაწყვეტილებას შორის პირდაპირი პარალელი გავავლოთ. წყაროში კაცად ძლიერად და ბრძენად წოდებული („კაცმან ძლიერმან და ბრძენმან“) დავით V აღსასრულის ჟამს კათალიკოსს, „დიდ-დიდნი“ დიდებულების, საკუთარი ძმის, გიორგისა, და „მცირე ყრმა“ დემნას წინაშე ანდერძს იბარებს. ვკითხულობთ: „ხოლო, შენ, ძმაო ჩემო, გიორგი, დადეგ ადგილსა ჩემსა და ქმენ ძალმთავრობა ქვეყანასა და იყოს შენდა ნაწილი მემკვიდრეობისა, რომელ-იგი მამამან ჩემმან მოგცა შენ, ვიდრე აღიზარდოს ყრმა ჩემი“. და მოუწოდა წინაშე იოვანე ორბელიანსა, ძესა სუმბატისასა, და აფუცა ყრმისა მისთვის დამარხვად აღთქმისა მის ანდერძისა“ (ორბელიანი, 1978, გვ. 41). მეფედ კურთხევას მოწადინებულ გიორგის დაურწმუნებია დიდებულები და იოვანე ორბელი იმაში, რომ „უკეთუმცა ასაკეულ იქმნეს ძმისწული ჩემი, არა დაკლებულ ვყო იგი, არამედ ანდერძისაებრ ძმისა ჩემისა დავსვა საყდარსა მეფობისასა“. ამისთვის სცხეს მას მეფედ“ (ორბელიანი, 1978, გვ. 42)[1]; შემდეგ კი ძმისადმი მიცემული პირობისათვის მზაკვრულად გადაუხვევია. აქვე უნდა ითქვას, რომ ივ. ჯავახიშვილი ნაყალბევად მიიჩნევს სტ. ორბელიანის ცნობას დავით V-ის ანდერძის შესახებ იმის გამოც, რომ „დავითს და დემეტრე I-გიორგის ისეთი უთანხმოება ჰქონიათ ერთმანეთში, რომ შეუძლებელია დავითს გიორგი თავის ანდერძის აღმასრულებლად დანიშნოს“-ო (ჯავახიშვილი, 1983, გვ. 243). სტ. ორბელიანის წყაროს მიხედვით, საქმე ზეპირ ანდერძთან თუ პირობასთან უნდა გვქონდეს და არა – წერილობით დოკუმენტთან. ქართული საისტორიო წყაროები ფაქტობრივ არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რა პირობებსა და სიტუაციაში ხდება დავით V-ის გარდაცვალება. ვფიქრობთ, შესაძლებელია, პოლიტიკურ ჩიხში მოქცეული, სავარაუდოდ, დემეტრე I-ის მომაკვდავი ვაჟი იძულებული გახდა, უმცროსი ძმისათვის მართლაც ეთხოვა დემეტრე-დემნას გამეფება მაშინ, როცა ამის ჟამი დადგებოდა, ანუ დემეტრე მიაღწევდა სრულწლოვანებას. ის ფაქტი, რომ დავით V-მ დემნას ტახტზე დასმის პირობა დიდებულთა წინაშე ჩამოართვა გიორგი III-ს, უპირველესად ძმისადმი უნდობლობით უნდა იყოს გამოწვეული, ამიტომ ამ ნაწილში ჩვენ მემატიანეს მიერ ფაქტის გაყალბება საფუძველმოკლებული გვგონია. მართლაც, გვაძლევს კი სტეფანოზ ორბელიანის თხზულების ეს ჩანაწერი იმის საშუალებას, რომ, ავტორის ტენდენციურობის მიუხედავად, ისტორიული ცნობის ამ ნაწილში არ დავუჯეროთ მას, როცა ეპოსის მხატვრულ სამოსელში საგანგებოდ დანაღმულ და საიდუმლოებით მოცულ ველზე გავდივართ. სწორედ სარიდანის სიცოცხლეში იღებს უძეო ფარსადანი ინდოეთის მომავალ ხელმწიფედ ტარიელის აღზრდის გადაწყვეტილებას, „ხელმწიფეთა ქცევა-ქმნის“ შესასწავლად ბრძენკაცთ აბარებს უფლისწულს [„ბრძენთა მიმცეს სასწავლელად ხელმწიფეთა ქცევა-ქმნათად“: (რუსთაველი, 1966, გვ. 64, 314), ხოლო სარიდანს ამირბარის სახელოს აძლევს; პოემიდან კი ვიცით, რომ „თვით ამირბარსა ინდოეთს აქვს ამირსპასალარობა“ (რუსთაველი, 1966, გვ. 64, 311). სტეფანოზ ორბელიანივე იუწყება, რომ „შემდგომად დღეთა მათ წარჩინებულ იყო ყრმა იგი სახლსა იოვანესსა და ისწავლიდა და აღორძინდებოდა“ (ორბელიანი, 1978, გვ. 41). ამგვარად, სწორედ იოვანე ორბელი, ანუ ქვეყნის ამირსპასალარია ის პირი, რომელსაც არასრულწლოვანი დემნა აღსაზრდელად გადასცეს. იოვანე ორბელის საფეოდალო სახლში განისწავლება იგი (რუსთველი მათ „ბრეძნთა'ს“ უწოდებს), არადა ქვეყნის მმართველობის რა ნაწილშია იგი უფალი ხელისა? ის ძალოვანი მინისტრი და უმნიშვნელოვანესი პირია ქვეყნისა. იოანე ორბელი ამირსპასალარის ტიტულს ისევე ფლობს, როგორც ტკბილხმოვანად გაწყობილ პოემაში სარიდანი, მამის

[1] რ. მეტრეველი სტეფანოზ ორბელიანი წყაროსთან დაკავშირებით წერს: „დავით მეხუთემ სიკვდილის წინ მცირეწლოვანი შვილის დემეტრეს პატრონად დანიშნა გიორგი III და მის სრულასაკოვნებამდე სამეფოს მართვის საქმეც მას მიანდო. შემდეგ კი გიორგის დემეტრესათვის უნდა დაეთმო ტახტი... გიორგი მესამეს თავისი გამეფების სურვილი გვიან გაუმხელია და თითქოს დაურწმუნებია დიდებულები მის მიერ სამეფო ტახტის დაკავების დროებითობაზე“ (მეტრეველი, 1991 , გვ. 71-72).

სიკვდილის შემდეგ კი – ტარიელი. ისტორიული რეალობისა და პოემის სიუჟეტის განვითარების ამგვარი დამთხვევა შემთხვევითი არ უნდა იყოს.

ბევრი არაფერია, თუკი მხატვრული პირობითობა და რეალურ სახეთა სინთეზი ფოტოსურათის ან სარკისებრი ანარეკლის ეფექტს არ ტოვებს. მთავარია, რომ რეალურ სახეთა კონტურები თანდათანობით ჩნდება და თანაც ისე, რომ ამირბარობა-ამირსპასალარობა საგანგაშო სიგნალს იძლევა. სამეფო ტახტისთვის ბრძოლის გზაზე ჩვენ წინაშე ორი ურთიერთდაპირისპირებული პოლიტიკური ბანაკი იკვეთება – გიორგი III-ისა და იოანე ორბელისა, პოემაში კი – ფარსადანისა და ტარიელისა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი კვლევა-ძიება ამ მიმართულებით მიჰყვება ლოგიკას, ეს მიმართულება კი სამეცნიერო წრეებისათვის უცნობი სულაც არ არის (წერედიანი, 2014, გვ. 7-27); (ჭილაძე, 2014, გვ. 42-201). ისტორიული და ლიტერატურული ფაქტებია ის, რომ გიორგი-ფარსადანი თვითმპყრობელი მეფეა, ხოლო ამირსპასალარის ოჯახში აღზრდილი დემნა-ტარიელი მეფისაგან [/ბიძისაგან] მოტყუებული ყმაწვილკაცი, რომელიც სრულწლოვანების ასაკმიუწევნელი ვერც კი აცნობიერებს მეფის ჩანაფიქრის სიმუხთლეს. ტარიელი მეტადრე ვერას გაიგებდა მაშინ, როცა მამა მოუკვდა [„მამა მომიკვდა“] და წელიწადი ბნელში გაატარა [„მე წელიწდამდის ბნელსა ვჯე საწუთრო-გაცუდებული“: (რუსთაველი, 1966, გვ. 66, 328)]. რა არის ეს „ბნელში ჯდომა“ – მამა-პაპათა სამგლოვიარო წეს-ჩვეულება თუ მიუხვედრელობის სიბნელე, რომელიც ისედაც „საწუთრო-გაცუდებულ“ მემკვიდრეს კიდევ უფრო უმწარებს სიცოცხლეს? ვ. ნოზაძე თავის „ფერთამეტყველებაში“ „ბნელის“ შესახებ მსჯელობისას აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ტესტში ზოგჯერ „გლოვის აღსანიშნავად სიტყვისა „შავი“ სანაცვლოდ გამოყენებულია სიტყვა „ბნელი“... ეს გლოვის ნიშანია: მგლოვიარე ბნელ ოთახში იჯდა ხოლმე, როგორც მაგალითად, ტარიელი მამის სიკვდილის შემდეგ“ (ნოზაძე, 2001, გვ. 68). პოემაში „შავის“ და „ბნელის“ შინაარსთა სინონიმური მოხმარება გლოვა-მწუხარების მხატვრულ აღმნიშვნელებად მართლაც არასაკამათოა, მაგრამ მხოლოდ მგლოვიარების ჩვენებით იფარგლება რუსთველი თუ რაღაც მნიშვნელოვანი სათქმელი აქვს კიდევ? რა თქმა უნდა, გამოსავალი აქაც მეტაფორული გააზრება უნდა იყოს – სიბნელე („ბნელი“) მწუხარების ზოგად სახესთან ერთად რაღაც მნიშვნელოვანის არცოდნას, ტარიელის გაბრიყვებასაც უნდა ნიშნავდეს. მტირალი მოყმის ამგვარ მდგომარეობაში აღმოჩენას გიორგი-ფარსადანის ფარისევლობა თუ მლიქვნელობა უთუოდ შეუწყობდა ხელს, ამის მაგალითებს კი პოემაში უხვად ვხვდებით [„გამოსვლისათვის ზეიმი შექმნეს ინდოეთს მფლობელთა, / შორს მომეგებნეს, მაკოცეს პატივით ვითა მშობელთა“ (რუსთაველი, 1966, გვ. 87, 330)]. ფაქტია, რომ რუსთველის პასაჟები თუ ცალკეული მხატვრული კონტექსტები საკითხთა ემპირიაში განსჯის საშუალებას არასდროს იძლევა. „ღილ-ჩახსნილი“ ტარიელის ნაამბობში გაცილებით ღირებული კვანძებია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით იკითხება. პოეტის თანამედროვე ეპოქის სათქმელი თუ ტრაგედია მხატვრული კონტექსტითაა გადაფარული – დემნა (დემეტრე) უფლისწული მიზეზთა გამო აჯანყების [1178 წ.] ქარცეცხლში ეხვევა, რის გამოც სასტიკად ისჯება და საქართველოს სამეფო ტახტს სამუდამოდ ემშვიდობება ფეოდალური კანონით მკაცრად განსაზღვრული მამაკაცთა მემკვიდრეობის პირდაპირი ხაზი, დავით V-ის პირმშო და დავით აღმაშენებლის შვილთაშვილი. გიორგი III-ის განაჩენი უმკაცრესია – „და დემეტრე კლდე-კართა დასუეს, უკანის თუალნი დასწუნეს და მოკუდა და მცხეთას დამარხეს“ (მემატიანე, 1955 , გვ. 364-371).

მულღაზანზარის ამბავში ინდოთა „დიდ მეფედ“ წოდებული ტარიელი [„ფრიდონ საჯდომნი დამიდგნა ადგილსა საპატრონოსა,.../ ხარ **დიდი მეფე** ინდოთა, რა ვით ვინ მოგაწონოსა!“ (რუსთაველი, 1966, გვ. 129, 633). რუსთველის პოემაში საკუთარი ქვეყნიდან დევნილ უფლისწულად გამოიყურება და ეს უბრალო შემთხვევითობას არ შეიძლება რომ მივაწეროთ. მხატვრულად ინტერპრეტირებული და აღმოსავლური ჭრელი ფარდაგებით საგულდაგულოდ დაფარული სიმართლე ტექსტის სხვადასხვა ადგილას ნაკადულივით მოწკრიალებს და რუსთველის სამოქალაქო თუ მსოფლმხედველობრივ პოზიციას უსვამს ხაზს.

დასკვნები: რუსთველის პოემა არაერთ მნიშვნელოვან კონტექსტს მოიცავს, რომლებშიც XII საუკუნის II ნახევრის საქართველოს ისტორიული მოვლენების დანახვის შესაძლებლობა იქმნება. რა თქმა უნდა, პოეტის მხატვრული პირობითობის პირდაპირი გააზრება უმართებულო გზა იქნებოდა, თუმცა არც ის გზაა მართებული, რომ პოემაში რეალურ სახეთა ძირითადი შტრიხები არ შევნიშ-

ნოთ. მათ შორის, ვფიქრობთ, რომ ფარსადანის მხატვრული სახე, ამირბარობა-ამირსპასალარობა თუ ტარიელის სამეფო ტახტიდან ჩამოშორების საკითხი არგარიშგასაწევი მინიშნებებია. სამეფო ძალაუფლებისათვის ბრძოლის გზაზე ჩვენ წინაშე ორი ურთიერთდაპირისპირებული პოლიტიკური ბანაკი იკვეთება – რეალურ ფონზე ეს გიორგი III-ისა და ორბელ-დემნას წინააღმდეგობაა, ხოლო პოემაში – ფარსადანისა და ტარიელისა. იოანე ორბელი ამირსპასალარის ტიტულს ისევე ფლობს, როგორც „ვეფხისტყაოსანში“ სარიდანი, მამის სიკვდილის შემდეგ კი – ტარიელი. ჩვენი აზრით, ისტორიული რეალობისა და პოემის სიუჟეტის განვითარების ამგვარ დამთხვევას ნაკლებად შესაძლებელია, რომ სპონტანური ხასიათი ჰქონდეს. ისტორიული და ლიტერატურული ფაქტების შეჯერით იკვეთება, რომ გიორგი III-ფარსადანი თვითმპყრობელი და სამეფო ტახტის უზურპატორი მეფეა, ხოლო ამირსპასალარის ოჯახში აღზრდილი დემნა-ტარიელი მეფისაგან [/ბიძისაგან] მოტყუებული და სამეფო ტახტს ჩამოშორებული უფლისწული.

ბიბლიოგრაფია:

გოში, მ. *(1968). ალბანეთის ქრონიკა [თარგმანი ლ. დავლიანიძისა]: ქართული წყაროთმცოდნეობა II.* თბილისი*:* გამომცემლობა „მეცნიერება“.

ვარდან, ა. *(2002). მსოფლიო ისტორია [სომხურიდან თარგმნეს ნ. შოშიაშვილმა და ე. კვაჭანტირაძემ]: საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროები XXXIX.* თბილისი*:* გამომცემლობა „არტანუჯი“.

კეკელიძე, კ., & ბარამიძე, ა. *(1987). ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია.* თბილისი*:* თსუ გამომცემლობა.

მემატიანე, ლ. გ. *(1955). „ქართლის ცხოვრება“ [ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ]. ტ. I.* თბილისი*:* გამომცემლობა „სახელგამი“.

მეტრეველი, რ. *(1991). მეფე თამარი [ეპოქის პოლიტიკურ-კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური მიმოხილვა].* თბილისი *:* გამომცემლობა „განათლება“.

ნოზაძე, ვ. *(2001). „ვეფხისტყაოსნის“ განკითხვანი — ფერთამეტყველება: დაბრუნება [მრავალტომეული]. ტ. 4. გ. შარაძის საერთო რედაქციით.* გამომცემლობა „სადარა“.

ორბელიანი, ს. *(1978). სტეფანოზ ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები: საქართველოს ისტორიის წყაროები. 4.* თბილისი*:* გამომცემლობა „მეცნიერება“.

რუსთაველი, შ. *(1966). „ვეფხისტყაოსანი“ [მიძღვნილი შოთა რუსთაველის დაბადებიდან 800 წლისთავისადმი].* თბილისი*. :* გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

სულავა, ნ. *(2009). „ვეფხისტყაოსანი“ — მეტაფორა, სიმბოლო, ალუზია, ენიგმა.* თბილისი*:* გამომცემლობა „ნეკერი“.

წერედიანი, დ. *(2014). ესე ამბავი სპარსული: „ანარეკლი“.* თბილისი *:* ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

ჭილაძე, თ. *(2014). ვარდის ფურცლობის ნიშანი: „უკვდავების ათინათი“ [წერილები, ესეები]. რედ. ზ. კვარაცხელია.* თბილისი*:* გამომცემლობა „ინტელექტი“.

ხინთიბიძე, ე. *(1993). შუასაუკუნეობრივი და რენესანსული „ვეფხისტყაოსანში“.* თბილისი*:* თსუ გამომცემლობა.

ჯავახიშვილი, ი. *(1983). ქართველი ერის ისტორია. თხზულებანი 12 ტომად. ტ. II.* თბილისი*:* გამომცემლობა.

ONE ASPECT OF RUSTAVELI'S WORLDVIEW

(The connection between the knight in *The Knight in the Panther's Skin* and the tragedy of Prince Demna)

INGA SANIKIDZE
PhD in Philology,
Associate Professor at Ivane
Javakhishvili Tbilisi State University
E-mail: inga.sanikidze@tsu.ge
ORCID: 0009-0004-8031-9528

Abstract: The reality of the 12th century and the severe political crisis of the same era are carefully hidden in the allegorical stories created by Rustaveli. On the creative canvas, the poet's contemporary historical processes take the form of allegories, metaphors and symbols. In our opinion, the poet envisions King George III [1156-1184] as the focus of Farsadan's attention, while the character preceding Tariel represents Prince Demna (Demetre), the son of David V. In Georgian scholarly literature, the vices of the Indian king in *The Knight in the Panther's Skin* have been repeatedly noted, but in this regard, research in this direction still remains relevant.

We believe that the reference to the beginning of the tale of India is especially important to confirm the proposed assumption. Farsadan, saddened by not having a son, views Tariel as the future ruler of all of India. He considers him the Lord of the country and army ["The King said: 'I will raise him as my own son, he is of my own lineage' (84, 313)], but after the birth of Nestan-Darejan, it seems that he changes his political decision and clearly states his position during the council about bringing a Khwarazmian groom. It is precisely at this point that it becomes clear that King Farsadan creates an insurmountable barrier for his 'adopted son' on the path to the Royal Throne.

The historical source of Stephanus Orbeliani, which provides a fertile ground for drawing parallels between the poem's context and historical reality, seems quite valuable. A direct parallel can be made between the hero of the epos and the orphaning of Prince Demna, as well as the decision to raise him as a future king. According to the historical source, it is revealed that King George III convinced the nobles and Ioane Orbeli to support the idea of crowning his nephew as king. The same source also indicates that later, George III deceitfully went back on his promise to his brother. In this part, we find the historian's distortion of the facts groundless, as in the poem, indirectly, though fictionally, a similar situation occurs. The coincidence between historical reality and the development of the poem's plot is unlikely to be accidental. The historical and literary facts are that George-Farsadan is an autocratic king, while Demna-Tariel, raised in the family of an Amirspasalari, is a young man deceived by the King (his uncle), who does not realize the King's deceit for a long time. The poet's commentary on his contemporary era or tragedy, in our view, is covered by fiction context and the destruction of Demna (Demetre) Prince's ability to inherit the male line of succession is depicted in the image of the crying lad with the black horse.

Keywords: Knight in the Panther's Skin; historical reality; fictional reality.

* * *

Introduction: No matter how controversial a question raised before the tribunal of scholarship may be, we believe that it should still be expressed. Especially if we consider that the matter concerns *The Knight in the Panther's Skin* and Rustaveli's worldview and that „it is impossible to accept uncritically the opinions of researchers working on it" (Khintibidze, 1993, p. 32). It has long been noted in Georgian scholarly literature that „it is not difficult to relate the artistic reality portrayed in *The Knight in the Panther's Skin* to

historical reality" (Kekelidze & Baramidze, 1987, p. 249). We think that in this direction, much more remains to be researched and comprehended, so that a firm foundation may be established for understanding Rustaveli's political and social positions as of one of the most important witnesses and participants in the historical events of the 12th century. However, the picture drawn when relying on Armenian historical sources is not entirely favorable with respect to the political climate of Rustaveli's era. Mkhitar Gosh (12th–13th centuries) writes: „When King Demetre died [Demetre I – I.S.], he was succeeded by his son David, a man of sound judgment" (Gosh, 1968, p. 46). Furthermore, Mkhitar Gosh notes that, for reasons he identifies as religious in nature, the Georgian nobility – „especially the lineage known as the Orbeliani" – became consumed by jealousy and **gave King David a fatal poison and killed him.** A profound and long-lasting grief befell both the Georgian and Armenian realms. His brother Giorgi was enthroned in his place" (Gosh, 1968, p. 47). Vardan likewise describes the collaboration between the Orbelians and Giorgi III in the assassination of David V. The historian writes: „Some claim that **[he was killed] through the deceit of Sumbat and Ivane Orbeli… they had conspired with Giorgi**[1]**,** the brother of David, so that [he] would appoint them as commanders" (Vardan, 2002, p. 145). It is clear that the latter half of the XII century was marked by severe political turmoil, filled with obscure episodes concerning succession to the throne. In terms of dynastic continuity, the situation could only be considered highly unfavorable; the Demna-Orbeli revolt of 1178 stands as further evidence. Armenian sources (relied upon here due to gaps in Georgian historiography) present a striking picture: the killers of his father (Giorgi III and Ioane Orbeli) oversaw the upbringing of David V's son, Prince Demna and even arranged his marriage to the daughter of Ioane Orbeli, the Amirspasalar implicated in David V's murder. Such a political maneuver effectively foreclosed Demna's legitimate claim to the throne. Thus, the political crisis in XII century Georgia represents a crucial element of Rustaveli's worldview and shapes the ideological and narrative framework of *The Knight in the Panther's Skin*, manifesting across multiple layers of the poem.

Methods: In this study, the discussion is developed primarily through critical approaches and analytical methodology, supported by a selective examination of historical sources and literary material. Furthermore, by integrating descriptive and comparative methods within a coherent logical structure, a well-grounded scholarly conclusion has been formed. Drawing upon the necessary theoretical and practical knowledge for the analysis of the topic, key research questions have been posed and corresponding arguments and evidence have been identified – both from Georgian historiography sources and from the narrative structure of *The Knight in the Panther's Skin*.

Discussion: The political and social realities of the 12th century – along with the troubling internal turbulence of the age – seem to produce in Rustaveli such profound tectonic shifts that his poetic narrative becomes a continuous source of allegorical and symbolic meaning. This includes his construction of King Parsadan: a character who, we argue, is modeled with Giorgi III at the focal point. The elaborate theatrical „set," the royal „costume" (primarily Parsadan's staged „wisdom"), and all the crafted dramatic effects may easily mislead the audience unless perception is guided by thoughtful scrutiny. To understand how Rustaveli conceptualizes kingship – and how the Indian monarch reflects or violates those ideals – an important scholarly insight must be considered. As N. Sulava observes, in *The Knight in the Panther's Skin*: „The king is a being created in the image of God – a notion Rustaveli expresses from a biblically grounded perspective: 'From Him is every sovereign, in His very likeness.' The King must lead the state according to biblical principles. He is obliged throughout his life to read and study the Book of Law, upholding every word and command within it as the guarantee of stability and success for his reign and his heirs… He must overcome human weakness to stand righteous before his people and govern worthily the land entrusted to him by God." – (Sulava, 2009, p. 112) Thus, the expectations placed upon a ruler, defined by moral responsibility and knowledge, can be summarized

[1] Words undelrined in Armenian sourcexs are ours – I. S. .

in a straightforward maxim: *„You are King – therefore act accordingly.“* Divine will cannot be ignored if one has ascended to the throne through divine ordination. But does this operate as intended in Rustaveli's portrayal of India? What conclusions emerge when we examine the narrative gradations that the poet so deliberately constructs? Although Georgian scholars have already commented on the moral shortcomings of the Indian king, our research pursues a more specific direction – interpreting Parsadan as an embodiment of hypocrisy – and our conclusions will be shaped accordingly.

Within the poem, the King's conduct seems entirely contrary to what a sovereign – created in God's image – is expected to represent; the biblical imperative toward doing the good appears abandoned. It is no overstatement to argue that Parsadan's spiritual nature stands in marked deviation from divine foundations. To substantiate this interpretation, we shall refer to a specific passage in the poem.

The childless King and Queen begin to raise Tariel as the future ruler of India. As the Indian young man, seated with his tunic loosened, tells Avtandil: „They raised him as master of the full army and the land.“ In this line, the qualifying term „full“ is noteworthy. It indicates that, by Parsadan's own decision ["The King said: 'I will raise him as my son; he is of my own lineage'“ (Rustaveli, 1966, p. 84, l. 313)], Tariel is designated as the heir to the throne, as well as the future master of the Kingdom and army. The question arises: when did Parsadan depart from his original plan? Presumably, the queen's pregnancy ["The queen became pregnant“] and the birth of a female heir ["birth of a daughter“] prompted the Indian monarch's change of heart. Clearly, a contender emerged for the royal throne and the fostered Tariel, raised as a „son,“ found himself at the center of political conflict. Parsadan appears to have carefully concealed his true intentions until revealing his plan to have Nestan get married, a subterfuge that the orphaned and inexperienced Tariel could not perceive, owing to his naïve trust in his foster father. On the surface, such betrayal from a foster parent may seem unimaginable; yet in the context of political power struggles, it is unsurprising that Parsadan pursues treacherous measures alongside decisions advantageous for his daughter. We suggest that the early narrative of India reflects Tariel's initial childhood and subsequent adolescent inexperience. Notably, Tariel shares his experiences with the Arab Spaset and, described as „unbuttoned,“ presents his confession in a seemingly candid form to the audience – a narrative that contains multiple layers ["Unbuttoned, he sat to speak, he laid bare his shoulders“ (Rustaveli, 1966, p. 82, l. 303)]. Rustaveli, as a master of artistic expression, likely employed the epithet „unbuttoned“ to convey the openness of a prince exiled from his own kingdom, rather than as mere visual decoration.

In this part of the story, attention is drawn to a piece of information preserved in historical sources. It should be noted in advance that the work of Stepanos Orbelyan -regarded as an Armenian historian and translated into Georgian in the early periods – has been considered a subjective account of the Orbelians' uprising [1178] due to the dominance of members of that family. There is little point in debating this, as it is an indisputable assessment; however, the question remains whether the fact recorded by Stepanos Orbelyan deviates from historical reality – a fact that provides fertile ground for drawing a direct parallel between the orphaning of the epic hero and Prince Demna and the decision to raise him as a future king. According to the source, David V – described as strong and wise ("the man powerful and wise“) -, at the time of his death, summoned the Catholicos, the „great“ nobles, his own brother Giorgi, and the „minor prince“ Demna to witness his testament. We read:"And you, my brother Giorgi, shall take my place and exercise authority over the realm and let a portion of the inheritance which my father gave you be yours, until my boy has grown.“ He summoned Ioane Orbeli, son of Sumbat and charged him to oversee the boy in accordance with the terms of his testament (Orbelyan, 1978, p. 41). Giorgi, wishing to be the King, persuaded the nobles and Ioane Orbeli „as soon as my brother's son becomes of age, I shall not reject him, rather, in accordance with my brother's testament, I established him upon the royal seat.“ For this reason, he was crowned King (Orbelyan, 1978, p. 42)[1]; subsequently, however, he treacherously

[1] R. Metreveli writes regarding Stepanos Orbelyan's source: „Before his death, David V appointed his young son Demetre under the guardianship of Giorgi III and entrusted him with the administration of the kingdom until he reached full age. Subsequently, Giorgi was to cede the throne to Demetre… Giorgi III revealed his own desire to reign only belatedly and seemingly convinced the nobles that his assumption of the royal throne was temporary“ (Metreveli, 1991, pp. 71-72).

deviated from the promise he had made to his brother. It should also be noted that Ivane Javakhishvili mistakenly considers Stepanos Orbelyan's account of David V's testament to be false, on the grounds that „David and Demetre I–Giorgi were in such disagreement with one another that it would have been impossible for David to appoint Giorgi as the executor of his testament" (Javakhishvili, 1983, p. 243). According to Stepanos Orbelyan's source, the matter concerns an oral testament or promise, rather than a written document. Georgian historical sources provide no factual information regarding the conditions or circumstances surrounding the death of David V. We believe it is possible that the politically cornered, presumably dying son of Demetre I was compelled to request that the younger brother be allowed to ascend the throne – namely Demetre-Demna – when the proper time arrived, that is, when Demetre reached full age. s

The fact that David V took from Giorgi III the promise regarding Demna's accession to the throne in the presence of the nobles should primarily be explained by distrust toward his brother; therefore, in this part, we consider the chronicler's falsification of the event to be unfounded. Indeed, does this entry in Stepanos Orbelyan's work allow us, despite the author's bias, not to believe this part of the historical account when we move into the epic's artistic framework – a field deliberately loaded with intrigue and secrecy? It is during Saridan's lifetime that the childless Parsadan decides to raise Tariel as the future ruler of India, entrusting the prince to the wise men „to study the behavior and deeds of kings" ["He gave him to the wise to study the behavior and deeds of kings" (Rustaveli, 1966, p. 64, l. 314)], while Saridan is given the title of Amirbar; from the poem, we also know that „even Amirbar of India holds the office of Amirspasalar" (Rustaveli, 1966, p. 64, l. 311). Stepanos Orbelyan likewise reports that „in the following days the boy was distinguished in the house of Ioane, and he learned and was raised" (Orbelyan, 1978, p. 41). Thus, it is precisely Ioane Orbeli – the country's Amirspasalar – to whom the underage Demna was entrusted for upbringing. He is educated in Ioane Orbeli's feudal household (Rustaveli calls them „the wise"), yet in which part of the governance of the country is he master? He is a powerful minister and a highly influential figure in the kingdom. Ioane Orbeli holds the title of Amirspasalar, just as Saridan does in the artfully composed poem, and after the death of the father, Tariel assumes this role. The convergence of historical reality and the development of the poem's plot should not be considered accidental.

It amounts to little if the artistic conditionality and the synthesis of real figures do not leave the effect of a photograph or a mirror-like reflection. What matters is that the contours of real figures gradually emerge and in such a way that the Amirbar-Amirspasalar relationship sends an alarming signal. On the path to the struggle for the royal throne, two opposing political camps become apparent – that of Giorgi III and Ioane Orbeli and in the poem – that of Parsadan and Tariel. In any case, our research follows this logic and this approach is by no means unknown to scholarly circles (Tsereteli, 2014, pp. 7–27; Chiladze, 2014, pp. 42–201). The historical and literary facts are that Giorgi-Parsadan is an autocratic king, while Demna-Tariel, raised in the Amirspasalar's household, is a young man deceived by the King [or uncle], who, being underage, cannot fully comprehend the cunning of the King's plan. Tariel would have understood even less at the time of his father's death ["my father died"] and after spending a year in darkness ["I spent a year in darkness, sorrowful and abandoned" (Rustaveli, 1966, p. 66, l. 328)]. What is this „sitting in darkness" – a mourning custom of forefathers, or the darkness of incomprehension that further embittered the life of an already „sorrowful and abandoned" heir? V. Nozadze, discussing „darkness" in his *On Color Symbolism*, notes that in the text of *The Knight in the Panther's Skin*, the word „dark" is sometimes used instead of „black" to mark mourning… This is a sign of grief: the mourner would sit in a dark room, as, for example, Tariel did after his father's death (Nozadze, 2001, p. 68). The synonymous use of „black" and „dark" in the poem as artistic markers of mourning and sorrow is indeed indisputable, but does Rustaveli confine himself only to depicting the mourner, or does he intend to convey something more? Certainly, the interpretation here must also be metaphorical – the darkness ("dark") signifies not only the general state of grief but also ignorance of something important, a kind of bewilderment afflicting Tariel. The mourner's state was undoubtedly exacerbated by Giorgi–Parsadan's

hypocrisy and deceit, examples of which are abundant in the poem ["For his departure, they prepared a celebration for the rulers of India, / they met me from afar, kissed me with respect as if I were a parent" (Rustaveli, 1966, p. 87, l. 330)]. It is a fact that Rustaveli's passages or individual artistic contexts never allow for empirical judgment of historical matters. In the „unbuttoned" narrative of Tariel, there are far more significant knots than may appear at first glance. The poet's commentary on his contemporary epoch or tragedy is veiled in artistic context – Prince Demna (Demetre), for reasons connected to the 1178 uprising, becomes engulfed in its inferno, is cruelly punished and is forever denied the royal throne of Georgia, which, by the strict feudal law, belonged directly to the male line of inheritance: the firstborn of David V and the grandson of David the Builder. Giorgi III's judgment is merciless: „And Demetre was thrown from the Rock Gates, his hands and feet were bound, and he was killed and buried at Mtskheta" (Chronicle, 1955, pp. 364–371).

The mourner's state was undoubtedly exacerbated by Giorgi–Parsadan's hypocrisy and deceit, examples of which are abundant in the poem ["For his departure, they prepared a celebration for the rulers of India, / they met me from afar, kissed me with respect as if I were a parent" (Rustaveli, 1966, p. 87, l. 330)]. It is evident that Rustaveli's passages or individual artistic contexts never allow for empirical judgment of historical events. In the „unbuttoned" narrative of Tariel, there are far more significant layers than may appear at first glance. The poet's commentary on his contemporary epoch or tragedy is veiled in artistic context – Prince Demna (Demetre), due to reasons connected to the 1178 uprising, becomes engulfed in its inferno, is cruelly punished, and is forever denied the royal throne of Georgia, which, by the strict feudal law, belonged directly to the male line of inheritance: the firstborn of David V and the great grandson of David the Builder. Giorgi III's judgment is merciless – „And Demetre was thrown from the Rock Gates, his hands and feet were bound, and he was killed and buried at Mtskheta" (Chronicle, 1955, pp. 364–371). In the story of Mulghazanzari, Tariel, called the „great king" of India, is praised: ["Fridon set my seat in the place of the master… / You are the G**reat King of India,** how can I ever praise you enough!" (Rustaveli, 1966, p. 129, l. 633)]. In Rustaveli's poem, he appears as a prince exiled from his own country, and this cannot be considered a mere coincidence. The truth, carefully concealed through artistic interpretation and the intricate oriental drapery of the narrative, gleams like a stream at various points in the text, emphasizing Rustaveli's civil and philosophical worldview.

Conclusions: Rustaveli's poem encompasses numerous significant contexts that allow us to perceive the historical events of second-half 12th-century Georgia. Of course, a literal interpretation of the poet's artistic conventions would be misguided, but it is equally incorrect to ignore the primary features of real historical figures in the poem. Among these, we believe that Parsadan's artistic depiction, the Amirbar–Amirspasalar relationship, and the question of Tariel's removal from the royal throne provide unmistakable hints. On the path of the struggle for royal power, two opposing political camps emerge – in reality, the resistance of Giorgi III and the Orbeli–Demna faction, and in the poem, that of Parsadan and Tariel. Ioane Orbeli holds the title of Amirspasalar, just as Saridan does in *The Knight in the Panther's Skin*, and after the father's death, Tariel assumes this role. In our view, such a coincidence between historical reality and the development of the poem's plot is unlikely to be purely spontaneous. A comparison of historical and literary facts shows that Giorgi III–Parsadan is an autocratic and usurping King, while Demna–Tariel, raised in the Amirspasalar's household, is a prince deceived by the King [or uncle] and removed from the royal throne.

Bibliography:

Goshi, M. (1968). The Chronicle of Albania [translated by L. Davlianidze]: Georgian Source Studies II. Tbilisi: Metsniereba Publishing.

Vardan, A. (2002). World History [translated from Armenian by N. Shoshiashvili and E. Kvachantiradze]: Foreign Sources of Georgian History XXXIX. Tbilisi: Artanuji Publishing.

Kekelidze, K., & Baramidze, A. (1987). History of Old Georgian Literature. Tbilisi: TSU Publishing.

Mematiane, L. G. (1955). The Life of Kartli [text established according to all main manuscripts by S. Kaukhchishvili], Vol. I. Tbilisi: Sakhelgami Publishing.

Metreveli, R. (1991). Queen Tamar [political-cultural and socio-economic overview of the era]. Tbilisi: Ganatleba Publishing.

Nozadze, V. (2001). The Interpretations of The Knight in the Panther's Skin – Color Symbolism: Return [multi-volume], Vol. 4. Edited by G. Sharadze. Sadara Publishing.

Orbelyan, S. (1978). Old Georgian Translations of Stepanos Orbelyan's The Life of the Orbelians: Sources of Georgian History, Vol. 4. Tbilisi: Metsniereba Publishing.

Rustaveli, Sh. (1966). The Knight in the Panther's Skin [dedicated to the 800th anniversary of Shota Rustaveli's birth]. Tbilisi: Soviet Georgia Publishing.

Sulava, N. (2009). The Knight in the Panther's Skin – Metaphor, Symbol, Allusion, Enigma. Tbilisi: Nekeri Publishing.

Tsereteli, D. (2014). This Story is Persian: Reflection. Tbilisi: Bakur Sulakauri Publishing.

Chiladze, T. (2014). The Sign of the Rose Petal: The Athens of Immortality [Letters, Essays]. Edited by Z. Kvaratskhelia. Tbilisi: Intellect Publishing.

Khintibidze, E. (1993). Medieval and Renaissance in The Knight in the Panther's Skin. Tbilisi: TSU Publishing.

Javakhishvili, I. (1983). History of the Georgian Nation. Collected Works in 12 Volumes, Vol. II. Tbilisi: Publishing House.

ქართველი მწიგნობარი ქალები[1]

ქეთევან ტატიშვილი
ფილოლოგიის დოქტორი, კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
ელ-ფოსტა: ketevantatishvili@hotmail.com
ORCID: 0000-0002-8398-9795

აბსტრაქტი. მრავალი საუკუნის განმავლობაში როგორც საქართველოში, ისე მთელ მსოფლიოში ქალის რეალიზაციის ერთადერთი ასპარეზი ოჯახი იყო და შემოისაზღვრებოდა რეპროდუქციული ფუნქციით, შვილების აღზრდითა და ოჯახურ-ნათესაური ურთიერთობებით. ამავე დროს, გვხვდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ქალები გადიოდნენ ამ ტრადიციული, ქალისთვის მიკუთვნებული როლიდან და რიგ შემთხვევაში თვალსაჩინო წვლილიც შეჰქონდათ საქმითა და უნარებით. ბოლოს და ბოლოს ჩვენს ქვეყანას საუკეთესო ხანა, ითვლება, რომ ქალის, თამარის, მეფობის დროს ჰქონდა. იმისთვის, რომ საზოგადოებაში გაიზარდოს ქალის როლი საზოგადოებრივ ასპარეზზე, გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით მოხდეს ცვლილებები, სამოქალაქო საზოგადოება ჩამოყალიბდეს, საჭიროა ქალის როლის უფრო ფართოდ შესწავლა ქართულ კულტურაში, ისტორიასა და წყაროებში. ჩვენ გვაინტერესებს, თუ რამდენად შემოინახა კვალი ლიტერატურულმა წყაროებმა, ქართულმა ხელნაწერებმა, ქალების მოღვაწეობის შესახებ ოჯახის გარეთ სფეროებში, რაზე მეტყველებს ეს კვალი: ახდენდნენ თუ არა ისინი რაიმე სახით თავიანთი პოტენციალის და ნიჭის რეალიზაციას, ჰქონდათ თუ არა ისტორიულ და სოციალურ მოვლენებზე გავლენის მოხდენის საშუალება და რა ფორმით. სწორედ ხელნაწერებმა შემოგვინახეს ცნობები, რომ ქართველი ქალი საუკუნეების განმავლობაში იყო ქართული მწიგნობრობის განვითარებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის აქტიური მონაწილე და მფარველი. გვყავს ქალი პოეტები, გადამწერ-კალიგრაფები, ხელნაწერთა მომგებლები (დამკვეთები), განმაახლებელ-შემამკობელნი, ხელნაწერთა დამხსნელნი, ბიბლიოფილ-კოლექციონერები. საქართველოს ისტორიაში მრავალჯერ იყო ძნელბედობის ხანა და მრავალი ხელნაწერი განადგურდა, ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ხელნაწერების გამრავლებას, აღდგენა-განახლებასა და დაცვას. საინტერესო და სასიამოვნოა, რომ ამ საქმიანობაში ქალებიც აქტიურად იყვნენ ჩართული. ცნობები ქართველ ქალთა მწიგნობრული საქმიანობის შესახებ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში გვხვდება, მაგალითად, მარტო გადამწერი ასზე მეტია, რა თქმა უნდა, ავტორი ბევრად ნაკლებია, თუმცა, ვინც არის, ყველა გამორჩეულია. ასეთია, მაგალითად, მარიამ-მაკრინა ბაგრატიონი, რომელსაც ჯერ კიდევ კორნელი კეკელიძე გამორჩეული ბიზანტიელი ჰიმნოგრაფი ქალის, კასიას, მსგავს მოვლენად თვლის.

საძიებო სიტყვები: ხელნაწერი; ქართველი; ქალი; პოეტი; მწიგნობარი

* * *

შესავალი. საუკუნეების განმავლობაში როგორც საქართველოში, ისე მთელ მსოფლიოში ქალის რეალიზაციის ერთადერთი ასპარეზი ოჯახი იყო, თუმცა ამავე დროს, გვხვდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ქალები გადიოდნენ ამ ტრადიციული, ქალისთვის მიკუთვნებული როლიდან და რიგ შემთხვევაში თვალსაჩინო წვლილიც შეჰქონდათ საქმითა და უნარებით. ქართველი ქალების განსწავლულობის შესახებ ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში არქანჯელო ლამბერტი წერდა: „ქართული წერა-კითხვა დღეს სულ მოსპობილი იქნებოდა, ქალებს რომ არ შეენახათ იგი. თუ ვისმე უნდა კითხვა

[1] კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით პროექტის [FR-24-4146] „ქართველი მწიგნობარი ქალები ქართული ხელნაწერების მიხედვით“ ფარგლებში.

შეისწავლოს, უნდა რომელსამე ქალს მიებაროს სასწავლებლად“ (ლამბერტი, 1938:164). საზოგადოებრივ ასპარეზზე ქალის როლის გაზრდისა და გენდერული თანასწორობისთვის საჭიროა ქალის როლის უფრო ფართოდ შესწავლა ქართულ კულტურაში, ისტორიასა და წყაროებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხელნაწერებში შემონახული ცნობები, რომ ქართველი ქალი საუკუნეების განმავლობაში იყო ქართული მწიგნობრობის განვითარებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის აქტიური მონაწილე და მფარველი. ცნობილია ბევრი ქალი-მეცენატი (ხელნაწერების დამკვეთი (მომგებელი), განმაახლებელ-შემამკობელი, გამომსყიდველი, ბიბლიოფილ-კოლექციონერი), გადამწერი, მკითხველიც კი, შედარებით ნაკლები – ავტორი. მართალია, ჟამთა სიავის გამო ზოგი მწიგნობარი ქალის მხოლოდ სახელი ვიცით და ლიტერატურული მემკვიდრეობა არ შემოგვრჩა (ასეთია, მაგალითად, ფომინისია ბერიძე, რომლის სახე შეუნახავს მისიონერ ქრისტეფორე კასტელს თავის ალბომში (ასათიანი, 1936:15)), თუმცა მაინც საკმაოდ ბევრი ასეთი ქალის სახელმა მოაღწია ჩვენამდე. ქართველ მწიგნობარ ქალებს სხვადასხვა დროს ქართველმა მკვლევრებმა უძღვნეს ნაშრომები (ასათიანი, 1936; გაჩეჩილაძე, 2011; გაჩეჩილაძე, 2019:311-317; კეკელიძე, 1957:202-216; კეკელიძე, 1957:227-251; ქავთარია, 1977:202-242, ქაფიაშვილი, 1994 და ა.შ).

თუმცა, ერთი მხრივ, ახალი მასალის გამოვლენამ, მეორე მხრივ, მასალის მრავალფეროვნებამ და ახალი ასპექტებით გაანალიზების აუცილებლობამ საჭირო გახადა ახალი კვლევის ჩატარება.

მეთოდები. ჩვენი კვლევა ემყარება ფილოლოგიურ, ისტორიულ, ტექსტოლოგიურ-კოდიკოლოგიურ, იკონოგრაფიულ-შედარებით და მხატვრულ-სტილისტურ კვლევის მეთოდებს.

მსჯელობა. საქართველოს ისტორიაში მრავალჯერ იყო ძნელბედობის ხანა და მრავალი ხელნაწერი განადგურდა, ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ხელნაწერების გამრავლებას, აღდგენა-განახლებასა და დაცვას. საინტერესო და სასიამოვნოა, რომ ამ საქმიანობაში ქალებიც აქტიურად იყვნენ ჩართული. ცნობები ქართველ ქალთა მწიგნობრული საქმიანობის შესახებ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში გვხვდება, მაგალითად, მარტო გადამწერი ასზე მეტია. ზოგი მათგანის საქმიანობა ასე თუ ისე შესწავლილია, ზოგის შესახებ ახლა მიმდინარეობს კვლევა ჩვენი გრანტის ფარგლებში. ჯერჯერობით ითვლება, რომ ქრონოლოგიურად ყველაზე ადრინდელი ეპოქის გადამწერი ქალი მე-16 საუკუნეში მოღვაწე „მეფეთ მეფისა ასული ასთანდარია“, რომლის გადაწერილია კალიგრაფული ნუსხურით ერთი კრებულის, H 972, ნაწილი (166r-215v). ია გაჩეჩილაძის აზრით (გაჩეჩილაძე, 2019:311-317), ასთანდარი ქართლის მეფე კონსტანტინე II-ის ასულია და მისი ძმები არიან: დავით X, გიორგი IX, ბაგრატ მუხრანბატონი და დიმიტრი. ასთანდარის მეუღლე ყოფილა ყვარყვარე ათაბაგის ძმა მანუჩარ I ჯაყელი, რომელთანაც, სავარაუდოდ, ჰყოლია ვაჟი, რომელიც მოხსენიებულია ერთი საბუთის – Ad 91 – ხელრთვაში „მანუჩარ (შვილი)“.

საინტერესოა ცნობები იმის შესახებ, რომ იყვნენ ქალი-ბიბლიოფილები, წიგნების კოლექციონერები, რომლებიც ზოგჯერ გადამწერობასაც ითავსებდნენ. ასეთია, მაგალითად, ანნა ერისთავ-მაყაშვილი. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია მის მიერ გადაწერილი 4 ხელნაწერი – H 168, H169, H 453, A 381. სხვათა შორის, მას პოეზიაშიც უცდია ბედი და ლექსად დაუწერია ანდერძი დერჟავინის „ღმერთის“ პეტრე ლარაძისეული თარგმანის თავის მიერ გადაწერილი ნუსხისთვის (H 453). ანნას ინიციატივით სოფელ იყალთოში მაყაშვილთა ოჯახში დაარსდა საოჯახო წიგნთსაცავი (გაჩეჩილაძე, 2011:159-175).

ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში იყვნენ ქალი-მომგებლები ანუ ხელნაწერების დამკვეთები. ერთმა ოთხთავმა – A 516 – შემოგვინახა მომგებლის სახელი – მანა მახატლის ასული. შემდეგაც არაერთი ხელნაწერის შედგენისა და გადაწერის ინიციატორები იყვნენ ქართველი დიდგვაროვანი ქალები. ამის დასტურია „ქართლის ცხოვრების“ ანასეული და მარიამ დედოფლისეული რედაქციები (ანა დედოფალი კახეთის მეფის ალექსანდრე I-ის ((1476-1511) მეუღლე იყო, ხოლო მარიამი – როსტომ-ხანისა (1632-1658)).

აუცილებლად ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ იყო შემთხვევები, როდესაც ქართველი მანდილოსნები ცდილობდნენ ქართული მწერლობის გამდიდრებას ახალი თარგმანების შემატების გზით და ხდებოდნენ ინიციატორები ამ საშვილიშვილო საქმისა. ასე მაგალითად, ანა ბაგრატიონის (ქაი-

ხოსრო მეფის ასული, რომელიც რუსეთში გაჰყვა თავის ბიძას, ვახტანგ მეექვსეს) ბრძანებით, 1777 წელს გაიოზ რექტორმა თარგმნა „კიტაიის სიბრძნე ანუ სწავლა ბედნიერად ცხოვრებისა“ (S176, S 525, A 1416, Q 168, Q 251 და სხვ.). მისი ბრძანებითვე 1786 წელს დიმიტრი ბაგრატიონმა თარგმნა სამოელ რაბინის „ოქროს აღნაქვსი“ (ბევრი ხელნაწერითაა შემონახული: H 213, H 454, H 1009, A 1011, Q743 და სხვ.).

ქართველ ქალებს ზოგჯერ ზუსტ მეცნიერებებთანაც მიუწვდებოდათ ხელი. მე-19 საუკუნეში მოღვაწეობდა პირველი ქართველი კარტოგრაფი ქალი – მაია ჩიქოვანი, რომელსაც დაუმზადებია ვახუშტი ბატონიშვილის რუკების ასლები (ზარდალიშვილი, 1966:87-93). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამავე მაია ჩიქოვანს 1817 წელს გადაუწერია ანსილიონის „ესტეტიკებრი განსჯანი“ (H 333).

როგორც სტატიის დასაწყისში აღვნიშნეთ, ქალები მხოლოდ გადამწერობით ან ხელნაწერების მოამაგეობით არ შემოიფარგლებოდნენ. ჩვენთვის ცნობილი არიან ქალი-ავტორები, უმეტესწილად პოეტები. სტატიაში მხოლოდ რამდენიმე მათგანზე გავამახვილებთ ყურადღებას.

ქართველ ავტორ ქალთა შორის გამორჩეულია მარიამ-მაკრინა ბაგრატიონი, რომელსაც ჯერ კიდევ კორნელი კეკელიძე არაჩვეულებრივი ბიზანტიელი ჰიმნოგრაფი ქალის, კასიას, მსგავს მოვლენად თვლიდა (კეკელიძე, 1957:246-247). მარიამ-მაკრინა იყო ერეკლე პირველის, ნაზარ-ალი-ხანის ასული, რომელიც ადრე დაქვრივდა და შემდეგ შემონაზვნდა. გამორჩეულად ნიჭიერი და განათლებული იყო. მისი სახელით ჩვენამდე მოღწეულია რამდენიმე ხელნაწერი და ისტორიული საბუთი. იგი ადგენდა სამეფო დოკუმენტებს, ისტორიულ საბუთებს, შეწირულობის წიგნებს, რომლებშიც ჩანს ოსტატის ხელი. იგი გამოცდილი კალიგრაფიცაა. საგანგებო აღნიშვნის ღირსია მისი გადაწერილი სულხან-საბას ლექსიკონი H 1740, რომლისთვისაც დაურთავს ღვთისმშობლის აკროსტიქული საგალობელი. მას შეუდგენია და გადაუწერია კანონიკური ხასიათის კრებული, რომელიც ჩვენამდე უფრო გვიანდელი, მე-18 საუკუნის მიწურულის, ნუსხებითაა მოღწეული. არის ცნობა, რომ მას გიორგი სააკაძის შესახებ ისტორიული ნაშრომიც დაუწერია (ქავთარია, 1977:212-214). თუმცა მარიამ-მაკრინას შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია იოსებ ალავერდელისადმი მიძღვნილ საგალობლებს, უფრო სწორად, მარიამ-მაკრინამ შეადგინა ამ წმინდანის ლიტურგიკული კანონი (2 ცხრაოდიანი საგალობელი, მცირე საგალობლები და სვინაქსარი). ყველაზე ადრეული ხელნაწერი, რომელშიც დაცულია მაკრინასეული საგალობელი, არის ბესარიონ კათალიკოსის კრებული S 3269, რომელიც მე-18 საუკუნის 20-იანი წლებით თარიღდება. აქედან მოყოლებული იოსებ ალავერდელის მაკრინასეული კანონი შევიდა თითქმის ყველა სადღესასწაულოში და კანონიკური მნიშვნელობა შეიძინა. აღსანიშნავია, რომ მარიამ-მაკრინას შემოქმედება დავით გარეჯის ლიტერტურული სკოლის გავლენით ვითარდებოდა (ქავთარია, 1977:213-218). მარიამ-მაკრინას ნიჭს ანტონ პირველი კათალიკოსი დიდ პატივს სცემდა. მიუხედავად იმისა, რომ მან თავის ახალი რედაქციის სადღესასწაულოში (S1464) თითქმის ყველა ქართველი წმინდანის ახალი საგალობელი დაწერა და შეიტანა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ წმინდანებზე არსებობდა სხვა ჰიმნოგრაფის მიერ შედგენილი ჰიმნები, იოსებ ალავერდელის ხსენების დღეს მარიამ-მაკრინას შედგენილი კანონი, ფაქტობრივად, უცვლელად შეიტანა და მხოლოდ რამდენიმე მცირე ფორმის თავის მიერ დაწერილი საგალობელი დაურთო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იოსებ ალავერდელის სვინაქსარული ცხოვრებაც მარიამ-მაკრინას დაწერილი უნდა იყოს. ეს კი ნიშნავს, რომ მარიამ-მაკრინამ ჰაგიოგრაფიაშიც გარკვეული წვლილი შეიტანა.

ასევე ნიჭიერი პოეტია სალომე, ერეკლე მეორის ეპოქიდან. სალომეს შემოქმედებიდან შემორჩენილია „მწუხრებისა ამბათქებანი“ ანუ „სევდის წიგნი“ – როგორც თვით პოეტი უწოდებდა (A 598). სალომე რამდენიმე ანბანთქების ავტორია. მისი შემოქმედება წარმოაჩენს მას, როგორც ნიჭიერ და განათლებულ ქალს, რომელიც იცნობს ბიბლიას, რუსთველისა და ჩახრუხაძის შემოქმედებას და სხვ. ჯერ კიდევ ლ. ასათიანი ასე აფასებდა მის შემოქმედებას:

„ყოველ შემთხვევაში სალომე თავისი ორიგინალური თემატიკით, პოეტური პოტენციით და მხატვრული ღირსებებით ყველაზე ძლიერი და მნიშვნელოვანი პოეტია მეთვრამეტე საუკუნის ქართველ მწერალ ქალთა შორის“ (ასათიანი, 1936:22).

ამავე ეპოქის პოეტი ქალია მაია გაბაშვილი, რომლის ანბანთქებამ მოაღწია ერთადერთი ხელნაწერით S 1582 (1v-5v). ესაა ანბანთქების გარკვეული ფორმა ე.წ. ანზე სით მოხვალ?, რომელიც შე-

მოიღო და დაამკვიდრა სულხან-საბა ორბელიანის ძმამ დიმიტრი ორბელიანმა. ასეთი ანბანთქება კარგად ავლენდა ავტორის გონებამახვილობას, მხატვრულ გემოვნებას, პოეტურ ოსტატობას და მოითხოვდა ისტორიის, გეოგრაფიის, ფლორისა და ფაუნის ღრმა და საფუძვლიან ცოდნას (ქაფიაშვილი, 1994:115).

რა თქმა უნდა, კიდევ არიან ქართველი ავტორი და ხელნაწერების მოამაგე ქალები, თუმცა, სტატიაში მხოლოდ მცირე ნაწილი ვახსენეთ. მთავარი ისაა, რომ ქართული მწიგნობრობის განვითარებში მათ არცთუ მცირე წვლილი შეიტანეს, იმის გათვალისწინებითაც, რომ ჩვენამდე, შესაძლებელია, ბევრმა სახელმა ვერც მოაღწია. ყურადღებას იპყრობს ის ფაქტიც, რომ ზოგიერთ ხელნაწერს აქვს ისეთი მინაწერები, რომლებიც გვაფიქრებინებს, რომ მინაწერის ავტორი ქალი ამ ხელნაწერის მკითხველია. ეს კი მიანიშნებს იმ ფაქტზე, რომ ძველ საქართველოში კითხვით ბევრი ქალი იყო გატაცებული.

დასკვნები: კვლევის შედეგად გამოჩნდა, რომ ქართველი ქალების დამსახურება ქართული ლიტერატურისა და კულტურის წინაშე უდავოა. ისინი მეტად ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და ასევე, საზღვარგარეთაც. იყვნენ ქალი-ავტორები, გადამწერ-კალიგრაფები, მომგებლები, განმაახლებელ-შემამკობელნი, ხელნაწერთა დამხსნელნი, ბიბლიოფილ-კოლექციონერები. მოკლედ, შეიძლება ითქვას, რომ მწიგნობარი ქალების მოღვაწეობა მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასათიანი, ლ. (1936). ძველი საქართველოს პოეტი ქალები. თბილისი: სსრკ მეცნიერებათა აკადემია საქ. ფილიალი
2. გაჩეჩილაძე, ი. (2019). ქართველ ქალთა მწიგნობრულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა ძველ საქართველოში (გადამწერი ქალი მეფეთ-მეფისა ასული ასთანდარ). მრავალთავი. ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი. (26. გვ. 311-317). თბილისი: კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
3. გაჩეჩილაძე, ი. (2011). ქართულ ხელნაწერთა ამაგდარნი. თბილისი: ნეკერი.
4. ზარდალიშვილი, გ. (1966). გამოჩენილი ქართველი გეოგრაფები და მოგზაურები. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
5. კეკელიძე, კ. (1957). მეთვრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან (ტომი IV, გვ. 227-251). თბილისი: თსუს გამომცემლობა.
6. კეკელიძე, კ. (1957). ქართველ ქალთა კულტურულ საგანმანათლებლო კერები საშუალო საუკუნეთა მახლობელ აღმოსავლეთში. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან (ტომი IV, გვ. 202-216). თბილისი: თსუს გამომცემლობა.
7. ლამბერტი, ა. (1938). სამეგრელოს აღწერა. თბილისი: ფედერაცია.
8. ქავთარია, მ. (1977). ძველი ქართული პოეზიის ისტორიიდან XVII-XVIII სს. (გვ.202-242). თბილისი: საბჭოთა საქართველო.
9. ქაფიაშვილი, ი. (1994). ძველი ქართველი მწიგნობარი ქალები. თბილისი: ლომისი.

GEORGIAN LITERATI WOMEN[1]

KETEVAN TATISHVILI
PhD in Philology, Senior Research Fellow at Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscripts
E-mail: ketevantatishvili@hotmail.com
ORCID: 0000-0002-8398-9795

Abstract. For many centuries, both in Georgia and around the world, the only arena for women's fulfillment has been the family and has been limited to reproduction, child-rearing and family and kinship relations. At the same time, there are reports of women stepping out of this traditional female role and in some cases making significant contributions to society through their work and skills. After all, it is believed that our country experienced its best period during the reign of a woman, Queen Tamar. In order to increase the role of women in the public arena in society, to bring about changes in terms of gender equality, and to form a civil society, it is necessary to study more widely the role of women in Georgian culture, history, and sources. We are interested in the extent to which literary sources, Georgian manuscripts, have preserved traces of women's work in non-family spheres, what these traces testify to: whether they realized their potential and talents in any way, or they had the opportunity to influence historical and social events, and in what form. It is manuscripts that have brought us information that Georgian women have been active patrons of the development of Georgian literacy, cultural and educational activities for centuries. We have female poets, scribe calligraphers, buyers (commissioners) of manuscripts, renovator-decorators, manuscript rescuers, patrons, bibliophiles-collectors. There were many hard times in the history of Georgia and many manuscripts were destroyed, so it was very important to reproduce, restore and protect the manuscripts. Interestingly and pleasantly, women were also actively involved in these activities. Information about scribe activities of Georgian women can be found in manuscripts, for example, there are more than a hundred scribes, the number of authors, of course, is much less, but all of them are outstanding. For example, Mariam-Makrina Bagrationi, whom Korneli Kekelidze still considers akin to the outstanding Byzantine hymnographer Kassia.

Keywords: Manuscript; Georgian; Woman; Poet; Literati

* * *

Introduction. For centuries, both in Georgia and around the world, family has been the primary sphere for women's self-realization. Nevertheless, there is ample evidence suggesting that women occasionally transcended this traditional, gender-prescribed role making significant contributions through their work and skills. As early as the seventeenth century, Arcangelo Lamberti wrote about the education of Georgian women: „Georgian literacy would have perished today if women had not preserved it. If anyone wishes to learn to read, they must turn to a woman for instruction" (Lamberti, 1938 : 164).

To enhance women's participation in the public sphere and promote gender equality, it is crucial to study the role of women within Georgian culture, history, and primary sources in greater depth. Particularly valuable are the records preserved in manuscripts, which demonstrate that for centuries, Georgian women have actively contributed to and supported the development of literacy, culture, and education in Georgia.

[1] This research was conducted with the financial support of the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia, under project [FR-24-4146] „Georgian Literati Women according the Georgian Manuscripts".

Numerous women patrons are known to have commissioned, renewed, or embellished manuscripts, as well as redeemed, collected, and preserved them. Some were also scribes and readers, though fewer served as authors. Due to the passage of time, the names of certain female scribes are all that remain, with no surviving literary legacy, such as Phominisia Beridze, whose image was preserved by the missionary Cristoforo Castelli in his album (Asatiani, 1936: 15). Nevertheless, the names of many such women have reached us.

At various times, Georgian scholars have dedicated research to these women, scribes and patrons (Asatiani, 1936; Gachechiladze, 2011; Gachechiladze, 2019:311–317; Kekelidze, 1957:202–216; Kekelidze, 1957: 227–251; Kavtaria, 1977: 202–242; Kapiashvili, 1994, etc.).

However, the discovery of new material combined with the diversity of the sources and the necessity of analyzing them from new perspectives, have made further research essential.

Methods. Our research integrates philological, historical, textological-codicological, iconographic-comparative, and artistic-stylistic methods to provide a comprehensive analysis.

Discussion. Throughout Georgia's history, there have been numerous periods of hardship during which many manuscripts were destroyed. Consequently, the reproduction, restoration and preservation of these works became matters of utmost importance. It is both noteworthy and gratifying that women were also actively involved in these efforts.

Information about the literary and scribal activities of Georgian women can be found in manuscript colophons and marginal notes. For instance, there are references to more than one hundred female scribes. The work of some of them has been studied to varying extents, while research on others is currently being carried out within the framework of our ongoing grant project.

So far, it is considered that the earliest known female scribe was *Asthandari*, the „daughter of the King of Kings,“ who lived in the sixteenth century. She copied part of a compendium (H 972, fols. 166r–215v) in elegant *nuskhuri* calligraphy. According to Ia Gachechiladze (Gachechiladze, 2019: 311–317), Asthandari was the daughter of Constantine II, King of Kartli and sister to David X, George IX, Bagrat Mukhranbatoni, and Dimitri. Asthandari's husband is identified as Manuchar I Jaqeli, the brother of Atabeg Qvarqvare, with whom she presumably had a son mentioned in the signature of a document (Ad 91) as „Manuchar (the son).“

Notably, compelling evidence indicates that some Georgian women were bibliophiles and book collectors who also occasionally engaged in manuscript copying. One such figure was Anna Eristavi-Maqashvili. Four manuscripts copied by her – H 168, H 169, H 453, and A 381 – are preserved at the K. Kekelidze Georgian National Center of Manuscripts. Interestingly, Anna also tried her hand at poetry: she composed her testament in verse for the copy of Petre Laradze's Georgian translation of Derzhavin's poem *„God“* that she transcribed (H 453). At her initiative, a family library was established in the Maqashvili household in the village of Ikalto (Gachechiladze, 2011: 159–175).

As early as the 12th century, there were female patrons, women who commissioned manuscripts. One Gospel manuscript (A 516) preserves the name of its patron, *Mana, the daughter of Makhateli*. In later centuries, several noble Georgian women likewise initiated the compilation and transcription of manuscripts. Evidence of this can be found in the versions of *History of Georgia (Kartlis Tskhovreba)* prepared under the patronage of Queen Ana and Queen Mariam – Queen Ana being the wife of King Alexander I of Kakheti (r. 1476–1511), and Queen Mariam the consort of King Rostom Khan (r. 1632–1658).

It is also important to note that there were instances in which Georgian women sought to enrich the national literary tradition by commissioning new translations. For example, Princess Ana Bagrationi, the daughter of King Kaikhosro and niece of King Vakhtang VI, who accompanied him to Russia, commissioned translations of foreign works. In 1777, at her order, Rector Gaioz translated *The Wisdom of China, or The Doctrine of a Happy Life* (*Kitaiis sibzrne anu stsavla bednierad tskhovrebis*, manuscripts

S 176, S 525, A 1416, Q 168, Q 251, etc.). Later, in 1786, Dimitri Bagrationi, at her request, translated Samuel Rabin's *Golden Order (Oqros Aghnakvsi)* which is preserved in numerous manuscripts (H 213, H 454, H 1009, A 1011, Q 743, and others).

Georgian women occasionally also participated in the exact sciences. In the nineteenth century, the first known female Georgian cartographer, Maia Chikovani, produced copies of the maps of Prince Vakhushti Bagrationi (Zardalishvili, 1966: 87–93). It should also be noted that in 1817, Maia Chikovani transcribed Anselm's *Aesthetic Discussions* (*Estetikebri Gansjani*) (H 333).

As noted at the beginning of this article, women were not limited to manuscript copying or patronage alone. Several female authors are known, most of whom were poets. In this paper, attention will be focused on only a few of them.

Among Georgian women writers, one of the most distinguished figures is Mariam-Makrina Bagrationi, whom Korneli Kekelidze (Kekelidze, 1957:246–247) compared to the renowned Byzantine hymnographer Kassia. Mariam-Makrina was the daughter of King Erekle I (Nazar-Ali Khan). Was widowed early in life and later took monastic vows. Exceptionally gifted and well educated, she left behind several manuscripts and historical documents that bear her name.

Mariam-Makrina drafted royal charters, historical records and donation registers that display a highly skilled hand, attesting to her expertise as a calligrapher. Of particular note is the copy of Sulkhan-Saba Orbeliani's Dictionary (H 1740), to which she appended an acrostic hymn to the Virgin Mary. She also compiled and copied a canonical collection, extant in later eighteenth-century manuscripts. There is evidence that she authored a historical work about Giorgi Saakadze (Kavtaria, 1977: 212–214).

However, Mariam-Makrina's most significant contribution lies in her hymns dedicated to St. Ioseb of Alaverdeli. More precisely, she composed the Rite for this saint – comprising two major hymns, several shorter chants, and a synaxarion. The earliest manuscript preserving Makrina's hymn is the collection of Catholicos Bessarion (S 3269), dated to the 1720s. From that time onward, her canon to St. Ioseb of Alaverdeli was incorporated into nearly all Georgian festal books and acquired canonical status.

Mariam-Makrina's work was shaped by the influence of the David Gareji Literary School (Kavtaria, 1977: 213–218). Her literary talent was held in high regard by Catholicos Anton I, who, despite composing new hymns for almost all Georgian saints in his own Feast Hymn Book (S 1464), included Mariam-Makrina's Canon for St. Ioseb of Alaverdeli almost unchanged, merely adding a few brief hymns of his own composition.

As noted above, the synaxarion (hagiographic life) of St. Ioseb of Alaverdeli is also believed to have been written by Mariam-Makrina herself, indicating her contribution not only to hymnography but also to hagiographic literature.

Another talented poet from the era of King Erekle II was Salome. From her poetic legacy, the work titled *The Praises to Alphabet of Sorrow (Mtukhrebisa Ambatk'ebani)* as the poet herself called it (A 598), has survived. Salome is also the author of several alphabetic poems (*anbantk'ebani*). Her writings reveal her to have been a gifted and educated woman, well acquainted with the Bible, as well as the works of Rustaveli, Chakhrukhadze and other classical authors. L. Asatiani offered the following assessment of her work:

"In any case, Salome, with her original themes, poetic potential and artistic quality, is the strongest and the most significant poet among Georgian women writers of the eighteenth century.**"**(Asatiani, 1936: 22).

Another poet of the same period is Maia Gabashvili, whose alphabetic poem survives in a single manuscript (S 1582, fols. 1v–5v). This poem belongs to the form known as *The Praise to Alphabet -Anze sit mokhval*, which was introduced and popularized by Dimitri Orbeliani, the brother of Sulkhan-Saba Orbeliani. This poetic form was a test of the author's wit, artistic taste, and poetic mastery and it required deep knowledge of history, geography, flora and fauna (Kapiashvili, 1994:115).

Of course, there were many more Georgian women authors and manuscript patrons than those mentioned here. However, this article highlights only a small portion of them. The essential point

remains that Georgian women made a substantial contribution to the development of Georgian literacy and literature, even though many of their names may have been lost over time.

Another noteworthy observation is that certain manuscripts contain marginal notes written by women, indicating that they were readers of the manuscripts themselves. This suggests that, in historical Georgia, reading was a passion shared by many women.

Conclusions. The research demonstrates that the contribution of Georgian women to the country's literary and cultural heritage is indisputable. They were actively and productively engaged across various regions of Georgia and even abroad. Among them were female authors, scribes-calligraphers, patrons, restorers, embellishers, manuscript redeemers and bibliophile collectors. In summary, the intellectual and creative activities of Georgian women within the manuscript tradition were remarkably diverse and multifaceted.

References:

1. Asatiani, L. (1936). *Poet Women of Old Georgia.* Tbilisi: Academy of Sciences of the USSR, Georgian Branch.
2. Gachechiladze, I. (2011). *Patrons of Georgian Manuscripts.* Tbilisi: Nekeri.
3. Gachechiladze, I. (2019). *The Literary and Educational Work of Georgian Women in Medieval Georgia.* In *Mravaltavi: Philological and Historical Studies* (Vol. 26, pp. 311–317). Tbilisi: Korneli Kekelidze National Centre of Manuscripts.
4. Kapiashvili, I. (1994). *Old Georgian Literati Women.* Tbilisi: Lomisi.
5. Kavtaria, M. (1977). *From the History of Old Georgian Poetry of the 17th –18th Centuries* (pp. 202–242). Tbilisi: Soviet Georgia.
6. Kekelidze, K. (1957). *Georgian Women's Cultural and Educational Centers in the Middle Ages Near East. Etudes from the History of Ancient Georgian Literature (Volume IV, pp. 202-216).* Tbilisi: TSU Publishing House.
7. *Kekelidze, K. (1957). From the History of Eighteenth Century Georgian Literature. Etudes from the History of Ancient Georgian Literature (Volume IV, pp. 227-251).* Tbilisi: TSU Publishing House.
8. Lamberti, A. (1938). *Description of Samegrelo.* Tbilisi: Federation.
9. Zardalishvili, G. (1966). *Outstanding Georgian Geographers and Travelers.* Tbilisi: Soviet Georgia.

სიმონიკა ბერეჟიანის შეუმდგარი „პაემანი მთაწმინდაზე“

ელზა ფუტკარაძე
ფილოლოგიის დოქტორი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი
ელ. ფოსტა: elza.phutkaradze@bsu.edu.ge
ORCID: 0009-0000-9800-2183

ფატი აბაშიძე
ფილოლოგიის დოქტორი, მეცნიერი თანამშრომელი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი
ელ. ფოსტა: pati.abashidze@bsu.edu.ge
ORCID: 0009-0005-9995-5716

აბსტრაქტი: ქართული ემიგრანტული მწერლობის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელია სიმონ (სიმონიკა) ბერეჟიანი, რომლის მრავალმხრივი შემოქმედება თითქმის უცნობია საქართველოში. მისი პოეზია კი ნამდვილად არის ქართული პოეტური სიტყვიერების განუყოფელი ნაწილი და სახასიათო ემიგრანტული ხმა ქართული პოეზიისა. ს. ბერეჟიანის შემოქმედების მთავარი სათქმელი სამშობლო ქვეყნის სატკივარია. სამშობლოს მოშორებული პოეტი ფიქრით, საქმითა და ყოველდღიურობით სამშობლოს სატკივარის მოყურადე და თავგანწირული დარაჯია. წუხს საქართველოს სადარდებელ-სატკივარზე. ესაა მისი ფიქრის და მოუსვენრობის საგანიც. შესაბამისად, მისი შემოქმედების სათქმელი სამშობლოს აწმყო და მომავალია. „თავდავიწყებული მიჯნური სამშობლოსი“ უფლის მიერ ადამიანთათვის ბოძებულ ძვირფას ჯილდოს-სიცოცხლეს უყოყმანოდ სწირავს ქვეყანას. თავისუფლებადაკარგული ქვეყანა, თებერვლის სუსხი მწარე რეალობაა პოეტისათვის. სხვა სათქმელს არ გვანდობს მისი ნაწერები. მისი შემოქმედება ერის უბედურების ანარეკლია, რომელსაც კიდევ უფრო ამძაფრებს მშობლიურ საბუდარს, მშობლიურ მიწას მოშორებული პოეტის ყოველდღიური ტკივილის, სამშობლოს უკიდეგანო სიყვარულის, უსაზღვრო მონატრების, მშობლიური ეზო-კარის ნახვის წყურვილით გამოწვეული განცდები. ეს ემოცია გადამდებია მკითხველისათვისაც. კითხულობ მის მხატვრულ ნააზრევს და გტკივა ერის ტკივილი, გტკივა პოეტის ტკივილიც, გაცრემლებს მისი წუხილი. გესმის სამშობლო ქვეყნის ბედზე მოფიქრალი პოეტის გულის ძგერა და ეს ყველაფერი უდიდესი ემოციით გავსებს. დიახ, ტკივილი ხმიანდება მისი შემოქმედებით და სათქმელის მხატვრული სამოსელიც ისევ ტკივილია პოეტისათვის. სწორედ, ეს სათქმელია წარმოდგენილი სიმონ ბერეჟიანის პოემაში „პაემანი მთაწმინდაზე“. ნაშრომის მიზანიც ამ პოემის იდეა-მიზანდასახულობის ჩვენება და მისი ჩვენეული შეფასებაა. ამასთანავე, ხაზგასმა იმისაც, რომ ს. ბერეჟიანის შემოქმედება მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის განუყოფელი ნაწილია და თავისი შემოქმედებითი ხელწერით იმსახურებს სათანადო ადგილს ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

საკვანძო სიტყვები: მწერლობა; ემიგრანტული ლიტერატურა; სამშობლო; რეალობა და მომავალი.

* * *

შესავალი: სიმონ ბერეჟიანის შემოქმედება ძირითადად სამშობლოს მოშორებისა და უცხო ქვეყანაში გადასახლებული პიროვნების შინაგანი სულიერი მდგომარეობის მძაფრი, ტკივილიანი ამონაკვნესია. მისი სიტყვა სამშობლოს, მშობლიური სამოსახლოს, მისი საბუდარის მონატრების განცდებით, შფოთვით, წუხილითაა ნასაზრდოები. შესაბამისად, მისი პოეტური მემკვიდრეობის გაცნობა მკითხველს თანაზიარს გახდის მისი აფორიაქებული, სამშობლოს განშორებული ადამიანის ხვედრისას. პოეზიის ენით მკითხველის გულამდე მოტანილი სათქმელი ემოციური, გადამდები

და სულისშემძვრელია. ჩვენც გვტკივა მისი სატკივარი, გვაწუხებს უცხო მიწაზე გადარგული, „ავი დედინაცვლის“ ხელებს შერჩენილი ახალგაზრდა პოეტის სულის მდგომარეობა, პოეტისა, ვისაც ნატვრად ისღა დარჩენია, სიზმრისეული ხილვით მაინც შეძლოს მშობლიური ეზო-კარისათვის თვალის შევლება. მის ტკივილს უფრორე ამძაფრებს ის რეალობა და პოეტის მიერ იმ აზრთან შეგუება, რომ სამშობლოს ნახვას ვეღარ შეძლებდა, მშობლიური ზეცის სილამაზით ვეღარ დატკბებოდა. ამიტომაც მის შემოქმედებას სამშობლოს მონატრებისა და ნახვის წყურვილი ლაიტმოტივად გასდევს. ამასთანავე, შორს მყოფს ადარდებს სამშობლოს ბედი. სამშობლოს ბედზე, მის მომავალზე დაფიქრებაა ხატოვნად გადმოცემული ს. ბერეჟიანის პოემაში „პაემანი მთაწმინდაზე“. სწორედ, ნაშრომის მიზანი ამ პოემის ძირითადი აზრის, იდეის, მიზანდასახულობის გამოკვეთაა. პოეტის გულისნადები უშუალოდ, დაუფარავად, შეულამაზებლადაა გადმოცემული პოემაში. ამ ტკივილითაა ნასაზრდოები პოემის თითოეული სიტყვა, რომელიც ემოციურია და ღრმად გვახედებს შემოქმედის სულიერ სამყაროში, გვესმის მისი ტკივილიან-სევდიანი გულის ამონათქვამი. უდიდესი ზემოქმედების მომხდენია პოეტის სათქმელი, მკითხველიც წარმოსახვით მიჰყვება მის სავალ გზას, გადამდებია მისეული განცდა და პოემის ენით სათქმელის ხატოვნად ნათქვამ-განცდილი დამაფიქრებელია.

როგორც აღვნიშნეთ, მისი შემოქმედება ნაკლებად ცნობილია და მისი შემოქმედების შესწავლის რამდენიმე დეტალზე გავამახვილებთ ყურადღებას. პოეტის შემოქმედებისა და ბიოგრაფიული დეტალების შესახებ ცნობები გვხვდება ს. ბერეჟიანის ლექსების კრებულის წინასიტყვაობაში. კერძოდ, ლექსების კრებულს „ნაწერები“ ერთვის ვიქტორ ნოზაძის ორგვერდიანი შეფასება – „სიმონ ბერეჟიანი“ და მ. ტუღუშის – „სიმონ ბერეჟიანი და მისი შემოქმედება“. როგორც მ. ტუღუში წერს, ეს მცირე გამოკვლევა წარმოადგენს შემოკლებულ შინაარსს იმ მოხსენებისას, რომელიც წაკითხულ იქნა ბერლინის ქართველობის მიერ სიმონ ბერეჟიანის ხსოვნის აღსანიშნავად მოწყობილ კრებაზე ამა წლის 16 იანვარს. ლექსების კრებული 1943 წ. დაბეჭდილი და ბუნებრივია, იგულისხმება 1943 წ. 16 იანვარი. აქვე სქოლიოში მ. ტუღუში მიანიშნებს, „წიგნი უფრო მდიდარი იქნებოდა, რომ პარიზიდან გამოგზავნილი ზოგიერთი ჯერ დაუბეჭდავი და საბიოგრაფიო მასალა გზაში არ დაკარგულიყო. სიმონიკას უბედობას ისიც მიემატა, რომ დღემდე, მიუხედავად დიდი ცდისა, მისი საფლავი ვერ აღმოვაჩინეთ. დაე, ეს პატარა ტომი იყოს, ჯერჯერობით მაინც, ნიშანი სიმონიკასადმი მისი მეგობრების სიყვარულისა და პატივისცემისა“ (ტუღუში, 1943, გვ. 9).

ს. ბერეჟიანის ლექსების მეორე კრებულს „ლექსები“ ერთვის ასევე, მცირე წინასიტყვაობა „მკითხველთა უწყებად“ (გვ. 5-7). ამ კრებულის რედაქტორი გ. ყიფიანია. წინასიტყვაობაში ს. ბერეჟიანის მცირე ბიოგრაფიული ეპიზოდებია წარმოდგენილი და მისი გარდაცვალების შესახებ ინფორმაცია. კერძოდ, მეორე მსოფლიო ომის გამოცხადებისთანავე ბრძოლის ველს მიაშურა. სულიერი დაავადების ნიშნები დატყობია. მოათავსეს საავადმყოფოში, რუმინეთში ყოფნის დროს და შემდეგ მისი კვალიც იკარგება. აქვეა მიუნხენის რადიოთი გადაცემული ცნობა, თითქოს ის შტუტგარდში გარდაცვლილიყოს. წინასიტყვაობის ავტორის აზრით, თუ ეს ცნობა რომელიმე სერიოზულ წყაროს ემყარება, მაშინ უფრო ზუსტი ცნობის მიღებაც არ უნდა იყოს ძნელი. შტუტგარტი ომის დროს არ განადგურებულა და გერმანული არქივების მეთოდურობა ცნობილია. მხოლოდ თუ ვინმე ამ საქმის გამორკვევას შეუდგება, სიმონ ბერეჟიანი არ უნდა ეძებოს. სიმონიკას მესამე გვარის ტარებაც ხვდა წილად. მას სამხედრო წიგნაკში უწერია – სიმონ ბერგერ.

აღნიშნული წინათქმების შემდეგ, პირველი მკვლევარი და შემფასებელი ს. ბერეჟიანის ცხოვრება-შემოქმედებისა გახლავთ პროფ. გ. შარაძე. ის კვლევაში „სიმონ ბერეჟიანი“ დაწვრილებით გვაწვდის ინფორმაციას ლტოლვილი პოეტის შესახებ. კერძოდ, ცხოვრების როგორი გზა განვლო, რა შესძინა მან ქართულ პოეზიას, საერთოდ, ქართულ კულტურას. გარდა აღნიშნულისა, გ. შარაძე ს. ბერეჟიანს გვაცნობს, როგორც ფელეტონის ჟანრში მომუშავეს, მხატვარს, ფერმწერს. მისივე ცნობით, სიმონიკა ძერწავდა კიდეც. არც სასცენო ხელოვნება ყოფილა უცხო სიმონიკასათვის, რეჟისორობდა, მსახიობობდა და დეკორატორობდა (შარაძე, 1993, გვ. 212). გ. შარაძეს ჰქონდა შესაძლებლობა ს. ბერეჟიანის მრავალმხრივი შემოქმედების შესახებ ინფორმაცია მიეღო „თეთრი გიორგისა“ და „ქართლოსის“ ფურცლებიდან. შესაბამისად, მოგვცა პოეტის შესახებ დეტალური ინფორმაცია საინტერესო შეფასებებით.

ასევე, ს. ბერეჟიანის შემოქმედების მნიშვნელოვანი შეფასება ეკუთვნის პროფ. ა. ნიკოლეიშვილს. ის მონოგრაფიაში – „ქართული ემიგრანტული მწერლობა“ – საფუძვლიანად საუბრობს ქართული ემიგრანტული მწერლობის წარმოქმნისა და ძირითადი ტენდენციების, ემიგრანტ მწერალთა ცხოვრება-შემოქმედების შესახებ. მათ შორის გვესაუბრება ს. ბერეჟიანის ღვაწლისა და დამსახურების შესახებაც. მკვლევარი ხაზს უსვამს ს. ბერეჟიანის პოეტური დახვეწილობისა და სიტყვიერი ოსტატობის მაღალ დონეს. ვეთანხმებით მისეულ შეფასებას, რომ „როგორც პოეტს, მას საკმაოდ აქვს მიმადლებული ღვთაებრივი ნიჭი მოვლენათა პოეტური ორიგინალურობით აღქმისა და წარმოსახვისა. აქვე ასევე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს მისი ლექსების მუსიკალური კეთილხმოვანება და მელოდიურობა, პოეტური ფერწერის თვითმყოფადობა და სინატიფე, რიტმულ-ვერსიფიკაციული მრავალხმიანობა და მრავალფეროვნება. ასე რომ, ს. ბერეჟიანის პოეზია ინდივიდუალური პოეტური წარმოსახვის ნაყოფია, პროფესიონალი პოეტის თვალით აღქმული და დანახული სამყარო, რომელიც ახალ, ორიგინალურ შტრიხს სძენს მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის უმდიდრეს საგანძურს“ (ნიკოლეიშვილი, 2006, გვ. 483-484).

ამდენად, აღნიშნულ გამოკვლევებში სიღრმისეულადაა საუბარი ს. ბერეჟიანის პოეზიის თავისებურებაზე, თუმცა არაფერი თქმულა მის პოემაზე. ჩვენ სწორედ ს. ბერეჟიანის ერთადერთი პოემის – „შემოღამება მთაწმინდაზე“ შესახებ მსჯელობით შემოვიფარგლებით. ამით კიდევ ერთ დამატებით შტრიხს შევძენთ ს. ბერეჟიანის შემოქმედებას.

მეთოდები: კვლევისას გამოვიყენეთ ტექსტის დამუშავების, ანალიზის მეთოდები.

მსჯელობა: როგორც აღვნიშნეთ, სიმონ (სიმონიკა) ბერეჟიანი მრავალმხრივი შემოქმედებითი ნიჭით იყო გამორჩეული. წერდა ლექსებს, მოთხრობებს, მოგონებებს, პატარა სცენებს, საოხუნჯო წერილებს, ხატავდა კარიკატურებს, რეჟისორობდა, მსახიობობდა, კითხულობდა ლექსებს, ძერწავდა, მღეროდა. ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ „შენ-ხელოვნების რაინდო!“ – ასე მიმართავს გ. ყიფიანი. შემთხვევითი არც ისაა, რომ ის ემიგრანტული ოჯახის თვალად ითვლებოდა.

1982 წელს პარიზში დაბეჭდილი სიმონ ბერეჟიანის ლექსების კრებულის „ლექსები“ წინასიტყვაობაში – „მკითხველთა უწყებად“ მართებულად შენიშნულია: „სიმონ ბერეჟიანის ნაწერები ღირსია, რომ არ დაიკარგოს, არა მხოლოდ იმიტომ, რომ უცხოეთში გადახვეწილ პოეტის დავიწყება დაუშვებელია, არამედ იმიტომ, რომ ეს პატარა კრებული, რომელშიდაც მხოლოდ 16 სათაურია, სრულებითაც ზედმეტი არ არის ქართული პოეზიისათვის, მიუხედავად ამ პოეზიის დიდი სიმდიდრისა... ეს პატარა წიგნი, ამავე დროს პოეტის ძეგლია, რადგან მისი საფლავიც კი დაკარგულია“ (ბერეჟიანი, 1982, გვ. 5). დიახ, ეს ლექსები კი ერის ტკივილით დამძიმებული პიროვნების სულიერი ამოძახილია. დიახ, სამშობლო ქვეყნის საწუხარითა და მშობლიურ სამოსახლოს მოშორებული პოეტის ის ამოძახილია, რომელიც ჩაგაფიქრებს სამშობლოს ბედსა და სადარდებელზე, ჩაგაფიქრებს მისსავე ტრაგიკულ რეალობაზე, გიათკეცებს სატკივარს, მძაფრად განიცდი პოეტის მდგომარეობას და გესმის პოეტის მიერ ტკივილით დამძიმებული სათქმელი.

ცნობილია, რომ ავტორის გარდაცვალების შემდეგ გამოიცა მისი ლექსების ორი პატარა კრებული. პირველი კრებული სათაურით „ნაწერები“ 1943 წელს ბერლინში დაიბეჭდა, ხოლო მეორე კრებული „ლექსები“ კი 1982 წელს პარიზში, რომელიც მიეძღვნა მეორე მსოფლიო ომში, საქართველოს გასათავისუფლებელ ბრძოლაში დაღუპულ ქართველ მამულიშვილთა ხსოვნას. კრებულის წინასიტყვაობა იმ კუთხითაც მნიშვნელოვანია, რომ გვხვდება დამატებითი ცნობები პოეტის ბიოგრაფიის შესახებ. თუმცა ეს კრებულები სრულყოფილად ვერ ასახავს მის ნამოღვაწარს, რადგან ის ძირითადად ბეჭდავდა ემიგრანტულ გამოცემებში – „თეთრი გიორგი“ და „ქართლოსი“. ლექსების კრებულის გარეკანზე აწერია – ქართული ლეგიონის საველე ბიბლიოთეკა, N 2. კრებული გამოცემულია გაზეთ „საქართველოს“ გამომცემლობის მიერ. საყურადღებოა გამომცემლის ინფორმაცია: „ამ წიგნის სახით ვაწვდით ქართველ მხედრობას ჩვენი საველე ბიბლიოთეკის მეორე კრებულს. ის შეიცავს სიმონ ბერეჟიანის პოეზიის იმ ნაწილს, რომლის შეგროვება ჩვენ შევძელით. სამწუხაროდ, რჩება წიგნის გარეშე ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი მრავალი ლექსი“ (ბერეჟიანი, 1943, გვ. 6).

ფაქტია, ლექსების ორი კრებულით, გარკვეული წარმოდგენა გვექმნება სიმონ ბერეჟიანის პოეზიის შესახებ. ჩვენს წარმოსახვაში ცოცხლდება მშობელი ქვეყნის, ერის ტკივილით დამწუხრებულ-დადარდიანებული პოეტის სახე. კიდეც წერდა: „და ერის სევდა, ვით ცხელი ტყვია, მე დამაქვს გულით და ჭრილობა მძიმე მატყვია“. დიახ, სამშობლოს მოშორებული გულით სამშობლოს სატკივარს დაატარებდა, ბორგავდა. ერის ტკივილი და იმდროინდელი რეალობა-თებერვლის სუსხი და თავისუფლებადაკარგული ქვეყნის ხვედრი ღრმა ჭრილობაა პოეტისათვის. ის იმ რჩეულ ადამიანებს ეკუთვნის, რომელნიც მხოლოდ პირადი ცხოვრებით როდი ცხოვრობენ, ერის სატკივარი მათი ტკივილიცაა. მეორე მსოფლიო ომის გამოცხადებისთანავე პოეტმა ბრძოლის ველს მიაშურა. სამშობლოს შეეწირა ისე, რომ საფლავიც უცნობია. ლექსების კრებულის წინასიტყვაობაში ვ. ნოზაძე წერდა: „იგი გულით ატარებდა საქართველოს და იყო თავდავიწყებული მიჯნური სამშობლოსი. სამშობლოც არ ასვენებდა მას და უამრავ საუკუნეთა მანძილზე ქართული სისხლით გაჟღენთილი მიწა მიუხმობდა. მას არ შეეძლო მიახლოვება. მტერი ჰფლობდა სამშობლოს და იგი უცხოეთიდან ელოლიავებოდა მას, უგალობდა“ (ნოზაძე, 1943, გვ. 6). მართლაც, არაა ადვილი ასე ატარო გულით სამშობლოს სიყვარული და სიცოცხლე უყოყმანოდ ზვარაკად შესწირო მას. ამიტომაცაა, რომ მისი შემოქმედების თემა მხოლოდ და მხოლოდ სამშობლოა, მისი აწმყო და მომავალია. სამშობლოსადმი სიყვარულს უფრო ამძაფრებს მშობლიურ გარემოს მოწყვეტილი თავად პოეტის ტრაგედია, უცხოეთში ყოფნის ყოველდღიურობა. ზედმიწევნით სწორად შენიშნავდა მ. ტუღუში წერილში – სიმონ ბერეჟიანი და მისი შემოქმედება: „სევდა, მაგრამ არა უიმედობა, ერის ტკივილით დამწუხრება, მაგრამ არა სასოწარკვეთილება, დამარცხება, მაგრამ არა გულგატეხილობა, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული და მით გამოწვეული ტანჯვის განცხრომად ჩათვლა; ბრძოლის სურვილი! თავგანწირვის წმინდა მოვალეობად აღიარება და ამ რწმენის განხორციელება, ეროვნული მთლიანობის იდეის მნიშვნელობის შეგნება და მისი სინამდვილედ ქცევა... ასეთია სიმონ ბერეჟიანის პოეზიის მოტივები. ამ აზრებს უმღეროდა მისი ფანდური“ (ტუღუში, 1943, გვ. 24).

სწორედ ამ მოტივებზეა საუბარი პოემაში „პაემანი მთაწმინდაზე“, რომელიც ს. ბერეჟიანმა „ქართლოსის“, 1939 წ. N 19-23 დაბეჭდა. იქვე, სათაურთან წერია – „Mama – Davithi“, poeme. ილიას უკვდავ ხსოვნას“. საოცარი ხელწერისაა სიმონიკა ბერეჟიანის პოემა „პაემანი მთაწმიდაზე“. სათქმელი ერის ტკივილის, ჭირ-ვარამის თქმა და იმაზე დაფიქრება, იმის ძიებაა, სამომავლოდ რა გზა დაისახოს ერმა. ეს გზა რა ღირებულებისაა ავტორისათვის, გასაგებია თუნდაც იმ დეტალიდან, რომ პოემა ილიას უკვდავ ხსოვნას მიუძღვნა. პოემა ილიასადმი მიმართვით იწყება: „ვაჟა გიყვარდა, მგოსანო, ფშაველი ენაწყლიანი“. შემთხვევითი არაა ხაზგასმა იმისაც, რომ სწორედ მან ის სატკივარი უნდა თქვას, რაც ილიას, ვაჟას, აკაკის აწუხებდა:

„ხელში ფანდური ავიღე,
ვაჟას ფანდური მზიანი,
ოდნავ ჩამოვკრავ სიმებსა,
არ მივაყენო ზიანი“.

დიახ, ეს სამი მგოსანი არის სიმონიკასათვის მსოფლმხედველობის საწიერი. „ქართული გუთნის მწეველნო“ – კიდეც მიმართავს მათ. ქართული აზრის, ეროვნული ღირებულების გუთნის მწეველად ილიას, ვაჟასა და აკაკის მიჩნევა შემთხვევითი როდია. ეს კანონზომიერებაა უცხოეთში ბინადარი პოეტისათვის. სიმონიკა ბერეჟიანი ერთი, მცირე დეტალით გვიხატავს მათ და ფაქტიურად, ამ ტაეპით ქმნის მათ მხატვრულ სახეს:

„აკაკი ალბათ ოხუნჯობს,
ვაჟა გაჭრილა ტყეშია...
ვაჟას იქ არ მასწყინდების,
თუ ჰპოვა მთა, კლდე, ხრეშია.
შენ მეცოდები, ბატონო!
ვაი, რა ცუდსა დღეშია!

შენ იქ რა გაგაძლებინებს,
ფესვები დაგრჩა ერშია,
შენ, ზეციერი, ჰპოვებდი
შვებასა მიწიერშია“.

ეს სამეულია მისთვის ახლობელი და საზომი უცხოეთში გადაკარგული და აფორიაქებული პოეტისათვის. უცხოეთის ცის ავი მამინაცვლობის, უხეში დედინაცვლობის ყოფას უმსუბუქებს ამ სამთან სულიერი ზიაროზა და მამობა: „ყური დამიგდეთ მამებო, დაგენაცვლებით ყელშია“. ამ ერთი სიტყვით, ამ სამეულთა მამობით მოხსენებით, პირდაპირ ხაზს უსვამს პოეტი მათთან სულიერ თანაზიაროზას.

საინტერესოა ერთი დეტალიც. მისი ტკივილის, ჩანაფიქრის, იდეისა და მიზანდასახულობის გადმოცემა ფანდურის სიმებს ანდო: „ავიღე ვაჟას ფანდური“, „ფანდურსა ვიღებ ხელშია“ და ამით ქმნის კონტრასტულ ხაზგასმას, მიზანმიმართულ ლოგიკურ აქცენტირებას იმისას, რაც უნდა თქვას. სათქმელის ფანდურის სიმებით ამომღერება შინაგანი მდგომარეობის გახმოვანებაა, სატკივარის საქვეყნოდ გაცნობის ხერხია. და მაინც, რა სათქმელის მოსასმენად გვამზადებს პოეტი:

„ყური ათხოვეთ ფანდურსა,
სულია შიგ ჩამარხული:
ქართვლის ბედია სიმების
წკრიალში გამოსახული.
სიმღერით მინდა ვუკვალო
მომავალს გზა დასახული“.

აი, რატომ ითხოვს ფანდურზე მიყურადებას პოეტი. ისევ და ისევ ქართველი ერის აწმყო მოსვენებას აკარგვინებს. რეალობა წუხილის საგნად ქცეულა მისთვის. ერის ტკივილისა და საწუხარის მიმართ გულგრილი ვერ იქნება. ადარდებს ქვეყნის მომავალი. თუმცა ხვალინდელი დღისათვის გამკვალავი რა უნდა იყოს, ესეც ჩანს ფანდურის სიმების წკრიალში. ყოველივე ამის სათქმელად პოეტმა არაპირდაპირი გზა არჩია. მოულოდნელად ავტორს გადავყავართ სიზმარში. სიზმარში გარდასახვა, რეალობიდან ირეალურში გადასვლა საოცარ, ხატოვან სურათს ქმნის და უფრორე გვახვევს ემოციურ რკალში. ეფექტურიცაა სიზმარისეული ქვეცნობიერით სიმართლის თქმა. სიზმარში ღრუბლებთან ერთად დამოგზაურობს. უცხოეთში მყოფი პოეტის მიმართვაც სწორედ თხოვნაა ღრუბლისადმი, რომ ესტუმროს მშობელ მხარეს. მისი მრწამსი და იმდროინდელი ეპოქის ტკივილი ღრუბლის პასუხია:

„რა არის შენი სამშობლო?!
გუშინ ვესტუმრე დილითა,
ცივ გომბორზედა ჩამავჯექ,
დაბურვილ იყო ნისლითა;
ფერდობი, ვაკე, ველები,
სულ მარწყულია სისხლითა“.

რთული ქარაგმა არაა, რას ნიშნავს სისხლიანი არემარე. მონატრებული სამშობლოს ხილვას მოწყურებული პოეტი ღრუბელს სამშობლოში მოჰყავს და ვაჟასეული ტაეპების ილუზია, პერსონიფიცირება განსაკუთრებული ესთეტიკური ზემოქმედებისაა:

„შუა ღამისას ღრუბელი,
ჩამაჯდა გორის ფხაზედა,
ტუჩით შაეხო ბალახებს,
შასრუტა ცვარი ცვარზედა.

ცვარით წყურვილი მოიკლა,
ისევ ჩამაჯდა ქარზედა,
არ გამიცივდე ვაჟიკავ,
საბან მაისხი ტანზედა...
საბანი შამავიხვიე,
თავი დავიდე მკლავზედა.
ჩემ ქვეყნის ნახვის მოსურნეს,
ცრემლი მერევის თვალზედა“.

ვკითხულობთ პოემას და გულს გვიკლავს პოეტის გადაწყვეტილება – წარმოსახვით მაინც მისი ქვეყნის ნახვის სურვილი მოიკლას. ასეთი ტაეპები სევდიან ნოტად თანმდევია პოემისათვის. დიახ, წყურვილი მოიკლას უფლის საუფლო კუთხის ნახვით, იმ მშობლიური სამოსახლოს ნახვით, რომელსაც „მთვარე ქათიბსა უკერავს, მზე ოქრომკედით უვლისა“.

პოეტისათვის იმაზე ღირებული რა უნდა იყოს, რომ ღრუბელმა თვალი გადაავლებინა თბილისს და დატოვა მამა დავითზე. აქ უკვე „ვეფხისტყაოსნის“ სახე-მეტაფორებით გვიხატავს შოთას, ფრიდონს, ავთანდილს, ტარიელს. პოეტი იმ პაემანის მოწმე და მნახველია, ილიას საფლავზე რომ შედგება. საოცარი ზედმიწევნით გვიცოცხლებს ილიას სახეს:

„წამოდგა ცივ სამარიდან
მემატიანე ქართლისა,
მნათი უმთვარო ღამეში,
მომგვრელი დღის სინათლისა,
აზრი პიტალო, დამცველი
ჩაგრულთა და სიმართლისა,
შუბლი მაღალი, გახსნილი
მომნიჭებელი მადლისა“.

ამ ამაღლებული განწყობის ფონზე საოცარი ოსტატობით გვიხატავს პოეტების მობრძანებას ილიასთან. ძნელი მისახვედრებელი არაა, ჩუმი წკრიალის ქნარით, მთვარეზე ულამაზესი ლომი ჭაღარა რომ აკაკია, მისი გვერდის დამამშვენებელი არწივის სადარი ვაჟაა. მათ მოყვება ნიკოლოზი, ბესიკი, ალექსანდრე, გრიგოლი.

დავსძენ, რომ ამ მონაკვეთში ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებაც იკვეთება ავტორისა და მეტრი, საზომი, რა თქმა უნდა, ისევ და ისევ შოთაა. პოეტები ჰკვირობენ კიდეც მათთან შოთას ყოფნას, ფერხთ ეხვევიან და: „ჰკოცნიდნენ ლეკვნი ლომებსა, დასდით ცრემლები ღვარითა“.

ცოცხლად და უშუალოდ აღწერს მათ მოლხენას. პატარ-პატარა, ეპიზოდური შტრიხებით, ხატოვნად, კინოკადრივით გაიელვებს ეს სანახაობა მკითხველის წარმოსახვაში. შოთას მოძახილი იადონის ხმაა, ავთანდილი გამყინავია, ფრიდონი აკრიმანჭულებს და „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული სახის მოხმობით გვეტყვის, რომ „ქვანი სმენათა გარდიქცნენ და მკვდართა დაჰკრეს ტაშია“ და რა ამოაკვნესებინა პოეტთა დასს?

„ველარა აღსდგეს ივერი, თუ ერი დაქსაქსულია,
თუ ერთ ჰანგზედ არ ამღერდა, მამული დაკარგულია“.

პოეტის გულისტკივილი დანაწევრებული ქვეყნის მდგომარეობაა. დაყოფილი, დაქსაქსულია მამული. მისი სურვილი ზოგადი სურვილია, რომ ძლიერი ივერია იხილოს.

1937 წელს დაიბეჭდა ეს პოემა პარიზში გამომავალ „ქართლოსში“. ემიგრანტი პოეტის სათქმელიც გასაგებია. შორიდან ჩამქრალი ეროვნული კერის ბედი და ტკივილი ადარდებს. ხსნა, გზა რა უნდა იყოს ეს ფიქრიან-ტკივილიანი კითხვები მოსვენებას აკარგვინებს და ილიაა ათქმევინებს: „რას მეტყვით? როგორ დავიხსნათ ტყვედქმნილი დარეჯანია?“ აქ ისევ მხატვრულობით „ვეფხისტყაოსნის“ ქაჯეთის ციხის აღების ავთანდილ-ფრიდონ-ტარიელისეულ გეგმას გვიცოცხლებს. მისი დაღონების მიზეზიც გასაგებია:

„ფანდურო, ჩემო ფანდურო,
რაზედ ხარ დანაღონია?
ჩვენ წინაპართა ჰანგებმა
შეგასხეს ფრთები, ღონია.
გააცან ნორჩ მომავალსა,
სიზმრად წასულნი დრონია,
წარსულის მაგალითებზე
თვით გამონახოს ფონია“.

სამშობლოს ხვედრით გულდამწვარ ჭირისუფალს ერის სევდა, ერის ცრემლი ცხელ ტყვიასავით დააქვს გულით და ამ ჭრილობით დაღდასმულია. ამას მისი ცხოვრების ერთი ეპიზოდიც ადასტურებს. ის მსოფლიო ომის დროს იარაღით ხელში გაეშურა საქართველოს საკურთხეველზე თავისი ნორჩი სიყმაწვილის მსხვერპლად მისატანად. გამოთხოვებისას, მას ჩაუწერია ვახტანგ ღამბაშიძის ალბომში შემდეგი სიტყვები : „მივდივარ და სრულ დარწმუნებული, რომ ვიხილავ ჩემს მიწას. თუ ბედმა მიმტყუნა და სადმე, სხვის მიწაზე დავიძინე საუკუნოდ, ამითაც ბედნიერი ვიქნები, რათა უკანასკნელი ჩემი გაჟრჟოლება „საქართველო“ იქნება. თქვენ კი გთხოვთ და გთხოვთ ყველას, ჩემი „პაემანი მთაწმინდაზე“ ჩემს საყვარელ თბილისს მთაწმინდიდან წაუკითხოთ“ (სალია, 1954, გვ. 29-30).

და აქვე, ერთი დეტალიც. სამშობლოსგან განშორების განცდას ერთგან ასე გადმოგვცემს: „და როცა სამშობლოს ვტოვებდი, ჩვენი უნივერსიტეტის ეზოში შევედი, ჩემ ჭადართან მივედი. ხუთი ჩემოდენა იყო. აშრიალდა – სად მიდიხარ? აქ დარჩიო! ჩემო ჭადარო, შორსა ვარ შენგან! დიდ ქალაქში ვცხოვრობ. ქვაფენილზე დავდივარ. მიწის ქვეშ დავსრიალობ. ქარხნების, ავტომობილების და ჰაეროპლანების ხმაურით ყურები გამოჭედილი მაქვს და ხშირად ვამბობ ოხვრით – აღარ მინდა ასეთი სიცოცხლე. შენთან ყოფნა მირჩევნია“.

დიახ, „შენთან ყოფნა მირჩევნია“ – უდიდესი ტკივილითა და იმავდროულად სამშობლოს მონატრების გრძნობითაა ეს ტაეპები ნასაზრდოები. იმ სამშობლოს მონატრებით, რომელსაც ასე გვიხატავს ავტორი:

„გამოჩნდა ჩემი ქვეყანა,
ვისც ნახვაც ეგრე მწყურია:
აფხაზეთი, სამეგრელო
და ჩვენი ჩქარი გურია;
აქ ცხენის წყალი მოშხუის,
იქ ჟუჟი, აქ ენგურია,
ზურმუხტად შლილი ბაღნარი,
ჭალები საამურია...
ჭაღარა კავკასიონი,
დევებთა სად სადგურია,
გამოჩნდა შოთას აკვანიც,
მიძინებული მესხეთი,
ოქროს ყანებზე გაშლილა,
პურადი აქ ჯავახეთი,
აჰა, რიონიც გრიალებს!
იწყება იქ იმერეთი:
ციხე-კოშკებით ნაჭედი
რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი,
მტკვარსა არაგვი ჩაჰკვრია,
იჰ, უყვართ მათ ერთმანეთი!
ქართლის ჭირიმე, ქართლისა!
აჰა, გამოჩნდა კახეთი!

ფარად აკვრია ბურჯებსა
ლომი თუშ-ფშავ-ხევსურეთი,
სხვა საქართველო სად არის,
რომელი კუთხე ეგეთი?!“

მისი პოეზიისა და თუნდაც ამ ერთი პოემის გაცნობა, უდავოდ დაგვარწმუნებს ს. ბერეჟიანის პოეზიის ასეთ შეფასებაში: „სიმონ ბერეჟიანის შემოქმედება არის მხოლოდ და მხოლოდ ერის პოლიტიკური უბედურების მძაფრი ანარეკლი. არც უდიდეს მოაზროვნეთა გამათეთრებელი ფილოსოფიურ-სარწმუნოებრივი პრობლემები, არც აშიკობა და ლამაზ ეშხით დამათრობელ არსებათა აპოლოგია, არც პიროვნულ ნიადაგზე გაზრდილი შვება და ტანჯვა არ სჩანს მის ლექსებში... უფალი სამშობლო დაბრძანდა სრული ბრწყინვალებით ხელოვანის მთელ არსებაში და იქიდან გვასმენს უსაზღვრო ტანჯვის სიმფონიას, რომელიც ძალიან იშვიათად თუ დაუშვებს დისონანსის მსგავს იმედის კრიმანჭულს“ (ტუღუში, 1943, გვ. 16).

ამრიგად, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულის, მისი მონახულების წყურვილი, ნახვის იმედი და საბოლოოდ, მამულის უნახაობით გამოწვეული სევდა და ამ რეალობასთან შეგუებაა გადაქსოვილი მის შემოქმედებაში. სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულის გრძნობითაა გამთბარი მისი ნაწერები. ესაა მისი შემოქმედების მთავარი ძარღვი, ტკივილი, მხატვრული სამოსელიცა და ადამიანად ყოფნის ქვაკუთხედი. მისი შემოქმედება კი ქართული ემიგრანტული ლიტერატურის გამორჩეული სულის მდგომარეობაა. პოეტი თავისი ინდივიდუალურობით მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის სისხლხორცეული ნაწილია, თხემით ტერფამდე სამშობლოს სიყვარულით ნასაზრდოები და ნამდვილად ღირსია მრავალსაუკუნოვან ქართულ მწერლობაში სათანადო ადგილს იჭერდეს.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ბერეჟიანი, ს. (1939). პაემანი მთაწმინდაზე. *ქართლოსი N 19-23*.

ბერეჟიანი, ს. (1943). *ნაწერები*. ბერლინი: გაზეთ „საქართველოს“ გამომცემლობა.

ბერეჟიანი, ს. (1982). *ლექსები*. პარიზი.

ნიკოლეიშვილი, ა. (2006). *ქართული ემიგრანტული მწერლობა*. ქუთაისი: ქუთაისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ნოზაძე, ვ. (1943). სიმონ ბერეჟიანი. In ს. ბერეჟიანი, *ნაწერები* (pp. 6-8). ბერლინი: გაზეთ „საქართველოს“ გამომცემლობა.

სალია, ნ. (1954). ობლად მიტოვებულნი. *ბედი ქართლისა N 16*.

ტუღუში, მ. (1943). სიმონ ბერეჟიანი და მისი შემოქმედება. In ს. ბერეჟიანი, *ნაწერები* (pp. 9-25). ბერლინი: გაზეთ „საქართველოს“ გამომცემლობა.

შარაძე, გ. (1993). *უცხოეთის ცის ქვეშ*. თბილისი: „მერანი“.

SIMONIKA BEREZHIANI'S FAILED „DATE ON MTATSMINDA"

ELZA PUTKARADZE
PhD in Philology,
Chief Scientific Worker at Niko Berdzenishvili Institute
of Batumi Shota Rustaveli State University
E-mail: elza.phutkaradze@bsu.edu.ge
ORCID: 009-0000-9800-2183

PATI ABASHIDZE
PhD in Philology, Researcher at Niko Berdzenishvili
Institute of Batumi Shota Rustaveli State University
E-Mail: pati.abashidze@bsu.edu.ge
ORCID: 0009-0005-9995-5716

Abstract: One of the outstanding representatives of Georgian émigré writing is Simon (Simonika) Berezhiani, whose versatile creative work is almost unknown in Georgia. His poetry is truly an integral part of Georgian poetic vocabulary and a characteristic émigré voice of Georgian poetry. The main theme of S. Berezhiani's work is the pain of his homeland. The poet, distant from his homeland, is a devoted watchman and watcher of the pain of his homeland in thought, deed, and everyday life. He grieves over the pain and suffering of Georgia. This is also the subject of his thoughts and restlessness. Accordingly, the present and future of his creations are about his homeland. „The self-forgotten beloved to homeland" unhesitatingly sacrifices the precious reward given to humans by God – life – for the country. A country that has lost its freedom, biting cold of February is a bitter reality for the poet. His writings leave us with no other words. His work is a reflection of the nation's misfortune, which is further exacerbated by the poet's daily pain, feelings caused by the departing his motherland, immense love for his homeland, boundless longing, and thirst to see his native yard and dwelling. This emotion is contagious to the reader as well. You read his artistic thought and you feel the pain of the nation, you feel the pain of the poet, his anguish brings tears to your eyes. You hear the beating of the poet's heart as he ponders the fate of his homeland, and all this fills you with great emotion. Yes, pain resonates through his work, and the artistic clothing of what he says is still pain for the poet. This is precisely what is presented in Simon Berezhiani's poem „A Date on Mtatsminda." The aim of this work is to show the idea and purpose of this poem and to evaluate it from our point of view. At the same time, it is emphasized that S. Berezhiani's work is an integral part of twentieth-century Georgian writing and, with its creative handwriting, deserves a proper place in the history of Georgian literature.

Key words: Writing; Emigrant Literature; Homeland; Reality and Future.

* * *

Introduction: Simon Berezhiani's work is primarily a poignant, painful exploration of the inner spiritual state of a person exiled to a foreign land and separated from their homeland. His words are nourished by feelings of longing for his homeland, his native home, his nest, his hearth, his anxiety, his sorrow. Accordingly, getting to know his poetic heritage will make the reader share in the fate of a person who is troubled and separated from his homeland. The message conveyed to the reader's heart through the language of poetry is emotional, contagious, and soul-stirring. We feel his pain as well, we are troubled by the state of the soul of a young poet, uprooted in a foreign land, abandoned by the hands of an „evil stepmother," a poet who has only one wish left, that he might at least be able to gaze upon his native yard and dwelling through a dreamlike vision. His pain is further exacerbated by the reality and the poet's acceptance of

the idea that he would never be able to see his homeland again, that he would never be able to enjoy the beauty of his native sky. That is why the longing for his homeland and the thirst to see it are the leitmotifs of his work. At the same time, those who are far away are concerned about the fate of their homeland. Reflections on the fate of their homeland, its future, are vividly conveyed in S. Berezhiani's poem „A Date on Mtatsminda". The purpose of this work is to highlight the main idea, idea, and purpose of this poem. The poet's heartache is conveyed directly, openly, and without embellishment in the poem. Each word of the poem is nourished by this pain, which is emotional and allows us to look deeply into the spiritual world of the creator, and we hear the expression of his painful and sad heart. The poet's words have the greatest impact, the reader also follows his path in his imagination, his feelings are contagious, and the figurative expression of what is said through the language of the poem is thought-provoking.

As we mentioned, his work is little known, and we will focus on a few details of the study of his work. Information about the poet's work and biographical details can be found in the preface to the collection of poems by S. Berezhiani. In particular, the collection of poems „Writings" is accompanied by a two-page evaluation by Viktor Nozadze – „Simon Berezhiani" and by M. Tugushi – „Simon Berezhiani and his work". As M. Tughushi writes, this small study is an abbreviated summary of the report that „was read at a meeting organized by the Georgian community of Berlin to commemorate Simon Berezhiani on January 16 of this year". The collection of poems was printed in 1943 and, naturally, January 16, 1943 is meant. Here, in a footnote, M. Tughushi indicates, „The book would have been richer if some of the previously unpublished and biographical material sent from Paris had not been lost on the way. Adding to Simonika's misfortune is the fact that to this day, despite great efforts, we have not been able to find his grave. Let this small volume be, at least for now, a sign of the love and respect of Simonika's friends" (Tugushi, 1943, p. 9).

S. Berezhiani's second collection of poems, „Poems," is also accompanied by a short preface, „For the Reader's Information" (pp. 5-7). The editor of this collection is G. Kipiani. The preface presents small biographical episodes of S. Berezhiani and information about his death. In particular, he went to the battlefield immediately after the declaration of the World War II. Signs of mental illness were evident. He was hospitalized during his stay in Romania, and then his trace is lost. Here is a report transmitted by Munich radio that he had died in Stuttgart. In the opinion of the author of the preface, if this information is based on some serious source, then it should not be difficult to obtain more accurate information. Stuttgart was not destroyed during the war, and the methodicality of the German archives is well known. Only if someone starts to solve this case, they shouldn't look for Simon Berezhiani. Simonika also had a third surname. In his military record book he is written down as Simon Berger.

Bilmesine bilir *amma domuzluğundan söylemez (**bilmesine=bilmesine gelince**) „As for knowledge, he knows but he won't say it, because he's a pig (with knowledge=regarding knowledge)“ (Deny, 1921:849).*

***Yazmasına yazarım**; fakat zaman bulamıyorum (**yazmaya gelince**) „As for writing, I will write, but I can't find the time (as for writing) (Deny, 1921:849).*

***Korkmasına korktuk** lakin ses çıkaramadık (**korkmaya gelince**…). As for fear, I was terrified, but I couldn't make a sound (as for fear) (Deny, 1921:849).*

In Georgian, in addition to the particle „ki“, the lexical unit „maints“ (still, however) is often found with paronomastic expressions, which gives the paronomastic expression the semantics of condition and concession.

*tumca, **dareḳvit mainc dareḳes** ik – šeicvala čveni gegmebio „However, as for calling, they still called there – that our plans have changed“ (http://gnc.gov.ge/gnc/concordance).*

*ras mogiħveṭia es ħaraħura, **ċağebit mainc ar ċaiğeb** „Why have you gathered this junk, as for taking, nevertheless, you won't take it“ (http://gnc.gov.ge/gnc/concordance).*

“Gene“ corresponding to the lexical unit „maints“ is also found in Turkish with the same function:

*Yeryüzüm parçalanmıştı sanki. **Çalışmasına çalışıyordum gene**… „It was as if the whole world had been destroyed. As for working, I was still working...“ (Altınöz, 2013:319).*

In Georgian and Turkish, paronomastic expressions express the semantics of necessity and insistence, which is confirmed by the lexical unit „necessarily“ used with such expressions in Georgian and its equivalent „kesin“ in Turkish.

*šeiĵleba bevri veraperi gavigo, magram **ċaḳitħvit aucileblad ċaviḳitħavo** „I may not understand much, but, as for reading, I will definitely read it“ (http://gnc.gov.ge/gnc/concordance).*

*Buluruz ama, biraz uğraşırız! İşte o kadar. **Bulmaya kesin buluruz**!... „We'll find it, but we'll struggle a little! That's it. As for finding, we'll definitely find it.“ (Altınöz, 2013:319).*

In both Georgian and Turkish, paronomastic expressions are accompanied by an opposite action, which is outwardly expressed by the conjunction that is used with the expression. In Georgian, these conjunctions are mainly **„magram“** (but), **„Tumtsa“** (although), in Turkish – **„ama“, „ da“...**

***mosvlit movida**, magram ċigni ar mouṭania“; „**ĉamit ĉama**, magram ugemurad „As for coming, he came, but he has not brought the book“; „As for eating, he ate, but in a tasteless way“ (Imnaishvili, 1957: 242).*

*Kitabı **okumasına okudum da (ama)** anlamadım „As for reading, I read the book, but I couldn't understand it“ (Aksan, 2005: 213-214).*

In Georgian, the above-mentioned conjunctions mainly follow such word combinations. However, we also have cases where the conjunction comes first and the word combination comes after.

*aħlac qepda ṭeleponši, **magram mosvlit** mainc **movida** da isev tavidan daiċqo qvelaperi. He was still barking into the phone, but as for coming, anyway he came and it all started again (http://gnc.gov.ge/gnc/concordance).*

The existence of cases where the adversative conjunction precedes the word combination, is explained by the influence of colloquial language in Turkish (Altınöz, 2013:319).

*Buluruz **ama**, biraz uğraşırız! İşte o kadar. **Bulmaya** kesin **buluruz**!... „We'll find it but we'll have to struggle a little. That's all. As for finding, we'll definitely find it“ (Altınöz, 2013:319).*

In Georgian, we can observe disconnected pairs, when a word or words are placed between the members of a paronomastic expression (Imnaishvili, 1957:238).

ķitħvit *ķargad* ***vķitħulobdi, magram*** *čemi ubedureba is iqo, rom rusuli ar mesmoda. As for reading, „I was reading well, but my hardship was that I did not understand Russian“ (http://gnc.gov.ge/gnc/concordance).*

is iqo, rom mosvlis „grapiķs“ arasodes icavda, magram ***ċasvlit*** *zusṭad icoda, romel saatze da romel ċutze unda* ***ċasuliqo****. „The thing was that he never was respecting the „schedule“ of arrivals, but as for leaving, he knew exactly what time and at what minute he had to leave“ (http://gnc.gov.ge/gnc/concordance).*

Disconnected paronomastic pairs are also used in Turkish:

Başüstüne, ***ekmesine*** *biz* ***ekeriz****, ama bey, bitmez ki... Bizim topraklarda mısır bitmez „As you command, we will sow it, but sir, it doesn't grow... Corn doesn't grow in our land“ (Altınöz, 2013:323).*

In similar cases, in both languages is observed an attempt to focus attention on the lexical unit or units that are included between the components of the paronomastic expression.

In Georgian, paronomastic expressions may also be found in sentences with a negative context (Kvachadze 1988: 124). In this case, paronomastic expressions have the function of excluding action (Davitiani, 1973: 410). A negative suffix may be attached to the verbal part of such a phrase in Turkish as well (Altınöz, 2013: 319).

It is noteworthy that in both languages, unlike the positive context, the negative form is devoid of the semantics of necessity, and there is no assertive tone. However, it is often accompanied by the opposite semantics.

kali šehqurebda ṭeleiuṗiṭerebit ganatebul scenas, ***magram mosmenit isic ar usmenda*** *oraṭors „The woman was looking at the stage lit by the floodlights, but as for listening, she wasn't listening to the speaker either“ (http://gnc.gov.ge/gnc/concordance).*

Seyirci takıma ***zarar vermeye vermez de ama****... „As for harm, a fan won't harm the team, but...“ (Altınöz, 2013:319).*

Conclusion. The main semantic nuances of the paronomastic expressions to be researched are similar in Georgian and Turkish. The structure of the word combinations is also similar. This may be caused by the universal nature of paronomastic expressions. Along with the similarities, we also find differences, which are mainly reflected in the specific form features of the two languages.

References:

gegučaǰe, l. (2010). ṗaronomaziuli gamotkmis sinṭaksuri ķvalipiķaciisatvis kartulši. humaniṭ aruli ķvlevebi, ċeliċdeuli (ṭomi: I, gv. 141-149). tbilisi: tbilisis universiṭeṭis gamomcemloba.

davitiani, a. (1973). kartuli enis sinṭaksi. tbilisi: ganatleba.

imnaišvili, i. (1957). saħelta bruneba da brunvata punkciebi ǰvel kartulši. tbilisi: tbilisis saħelmċipo universiṭeṭis gamomcemloba.

ķvanṭaliani, l. (1990). kartuli zeṗiri meṭqvelebis sinṭaksis saķitħebi, tbilisi: mecniereba.

ķvaċaǰe, l. (1988). tanamedrove kartuli enis sinṭaksi. tbilisi: ganatleba.

šaniǰe, a. (1948). kartuli enis gramaṭika. naċili. 2, sinṭaksi (martlċeris saķitħebiturt). tbilisi: saħelgami.

ċereteli, k. (2025). ṗaronomazia kartulši. iberiul – ķavķasiuri enatmecniereba (ṭomi:VI, ϑϑ. 461-500). tbilisi: sakartvelos mecnierebata aķademiis gamomcemloba.

kartuli enis erovnuli ķorṗusi. naħvis tariği: 5.04.2025 bmuli: http://gnc.gov.ge/gnc/page

Atabay, N.; Kutluk İ. ve Özel S. (2003). Sözcük Türleri. İstanbul: Papatya Yayıncılık.

Altınöz, M. (2013). Türkiye Türkçesinde Anlatım Kalıpları, Doktora Tezi. Adana: Çukurova Üniversitesi, Sosyal Bilimler Enstitüsü, Türk Dili ve Edebiyatı Ana bilim Dalı.

Daşdemir, M. (2015). Oklama yöntemiyle Türkçenin yapısal-işlevsel söz dizimi. Erzurum: Fenomen Yayıncılık.

Deny Jean (1941). Türk dili grameri (çev. Ali Ulvi Elöve). İstanbul: Kabalcı Yayınevi.

Doğan, A. (2005). Anlambilim. Ankara: Engin Yayınevi.
Erkman-Akerson, F. (2007). Türkçe Örneklerle, Dile Genel Bir Bakış, İstanbul: Multılıngual.
Göksel, A. ve Kerslake C. (2005). Turkish: a comprehensive grammar. London and New York: Routledge.
Hatiboğlu, Vecihe (1981). İkileme. Ankara: TDK Yayınları.
Korkmaz, Z. (2014). Türkiye Türkçesi Grameri Şekil Bilgisi. Ankara: Türk Dil Kurumu Yayınları.
Tiken, K. (2003). Türkiye Türkçesinde Basit ve Birleşik Zarf-Fiillerin İfade ve İşlevleri. Türk Dili Araştırmaları Yıllığı – Belleten (47(1999), 279-364).

ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინები ისტორიულ და დღევანდელ მესხეთში

(ჩვენ მიერ მოძებული მასალების შედარებითი ანალიზი)

დავით შავიანიძე
ისტორიის დოქტორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
ტარიელ ფუტკარაძის სახელობის ქართველოლოგიის
ცენტრის მკვლევარი
ელ. ფოსტა: David.shavianidze@atsu.edu.ge
ORCID: 0000-0002-0568-1226

ლუიზა ხაჭაპურიძე
ფილოლოგიის დოქტორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფილოლოგიის ფაკულტეტის,
ქართული ენისა და ლიტერატურის დეპატრამენტის,
ქართული ენის მიმართულების
ასოცირებული პროფესორი.
ელ. ფოსტა: Luiza.khachapuridze@atsu.edu.ge
ORCID: 0000-0002-1991-2005

აბსტრაქტი: სტატია ეძღვნება ნათესაობის ტერმინების სისტემის ეთნო-ლინგვისტურ ანალიზს მესხეთის ისტორიულ-გეოგრაფიულ არეალში, განსაკუთრებით აჭარისა და იმერხეულის მეტყველების მასალებზე დაყრდნობით. კვლევის მიზანია ნათესაობის ტერმინოლოგიაში წარმოსახული ენობრივი, სოციალური და კულტურულ-სემანტიკური ცვლილებების გამოვლენა, რომლებიც ასახავს რეგიონის ეთნოლინგვისტურ დინამიკას. ნაშრომში გამოყენებულია აღწერითი, ისტორიულ-შედარებითი და ეთნოლინგვისტური მეთოდები, აგრეთვე საველე ექსპედიციებისას (1992-2024) ჩაწერილი მასალები.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მესხური ნათესაობის ტერმინოლოგია წარმოადგენს ქართული ლექსიკის არქაულ შრეებსა და უცხოენოვანი (უმთავრესად თურქული) გავლენების შეწყმის ნაყოფს. თურქული წარმომავლობის ტერმინები – ყარდაში, ბიბი, გელინი, დედე, ხალა, ქირვა – ინტეგრირებულია ადგილობრივ ენობრივ სივრცეში და ხშირად განიცდის სემანტიკურ ტრანსფორმაციას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საგვარეულო სტრუქტურების აღმნიშვნელ ტერმინებს (გობეგი, ჭიპი, მოწყდომა), რომლებიც ასახავენ ქართული ოჯახური მოდელის კულტურულ მდგრადობას.

მიღებული შედეგები ადასტურებს, რომ მიუხედავად გარე ლინგვისტური ზეგავლენებისა, მესხეთის დიალექტურ სივრცეში შენარჩუნებულია ქართული ენობრივი მემკვიდრეობის ძირითადი სემანტიკურ-კულტურული კოდები, რაც ნათესაობის ტერმინოლოგიას აქცევს კოლექტიური მეხსიერების მნიშვნელოვან ნიშნად.

საკვანძო სიტყვები: ნათესაობის ტერმინოლოგია, მესხეთი, აჭარული დიალექტი, იმერხეული მეტყველება, ეთნოლინგვისტიკა, თურქული ნასესხობები, კულტურული მეხსიერება.

* * *

შესავალი: როგორც ყველა კულტურულ ერში, ქართულშიც, საკუთრივ ქართული ლექსემების გარდა, გვხვდება სხვადასხვა ქვეყნიდან შემოსული ლექსიკა. შემოსულ ლექსემათა ფორმობრი-

ვ-შინაარსობრივ მრავალფეროვნებას განაპირობებდა ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში, სხვადასხვა ეთნოსებთან ურთიერთობა. გამონაკლისი ვერც საქართველო იქნებოდა, თუ გავითვალისწინებთ მის პოლიტიკურ ისტორიას.

ისტორიულ და დღევანდელ მესხეთში, საქართველოს ამ უძველეს მხარეში, სადაც დიდი ხნის განმავლობაში თურქეთის პოლიტიკა და იდეოლოგია ბატონობდა, ბუნებრივია გვხვდება თურქულიდან შემოსული ლექსიკური ერთეულები. დასტურდება ქართული აფიქსებით გაფორმებული ზმნური ფორმები.

წყაროების/ლიტერატურის მიმოხილვა: აღნიშნულ საკითხს არაერთი მკვლევარი შეხებია (მ. ჯიქია, მ. ფაღავა, მ. ბარამიძე...), კვლევის დროს ასევე გამოვიყენეთ ჩვენ მიერ სხვადასხვა დროს ექსპედიციებიისას მოძიებული მასალები.

ენის, როგორც სისტემის შემქმნელი, ლექსიკოლოგიის და ლექსიკოგრაფიის, აგრეთვე ეთნოლოგიის, საისტორიო, პოლიტიკური, გეოგრაფიული და სხვა მიმართულებათა მეცნიერებების კვლევის პირველწყარო სალექსიკონო ერთეულებია. ათეულობით სალექსიკონო მასალა მოვაგროვეთ 1992 წლიდან დღემდე საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში.

ამჯერად, კონფერენციის შინაარსიდან გამომდინარე, თავი მოვუყარეთ და სამსჯელოდ გამოგვაქვს, ჩვენს მიერ ექსპედიციების დროს (აჭარა, ადიგენი) ჩაწერილი ნათესაობის აღმნიშვნელი ლექსიკა:

მომავლისთვის გადაწყვეტილი გვაქვს სხვადასხვა დროს, საქართველოს სხვადასხვა მხარეში ჩვენ მიერ მოძიებული ეთნოლინგვისტური ლექსიკის ეთნოლოგიური და ენობრივი თვალსაზრისით შესწავლა.

მეთოდოლოგია: ნაშრომში გამოყენებულია აღწერით და ისტორიულ შედარებითი მეთოდი.

დისკუსია/შედეგები: აღვნიშნავთ, რომ ჩვენ მიერ განსახილველ ყველა ტერმინთან, სიტყვა-თქმასთან დაკავშირებით წარმოვადგენთ უახლეს ეთნოგრაფიულ მასალებს და ეს მასალები კვლევის უტყუარი წყარო იქნება მეცნიერებათა სხვადასხვა დარგისთვის.

საანალიზო მასალა შეიძლება 3 ჯგუფად დავყოთ:

1. ლექსემები, რომლებიც მხოლოდ აჭარულსა და იმერხეულშია;
2. ლექსემები, რომელიც მესხურ-ჯავახურშიც გვხვდება;
3. ლექსემები, რომელიც დასტურდება სხვა კილოებში დიალექტური ლექსიკონების მიხედვით, ასევე გვხვდება სულხან-საბასთან და განმარტებით ლექიკონშიც.

1. ლექსემები, რომლებიც მხოლოდ აჭარულსა და იმერხეულშია:

ყარდაში – ტაოელებმა იციან „სისხლის ძმის“/**ზურგმიყუდებელი ძმადნაფიცის** შესახებ: „ძმადნაფიცი“, დასაყრდენი კაცია. ჩემი სისხლით ძმებია: შერიფი, მუსტაფა, ნეჯათი. ზურგმისაყუდებელი, სულ შენგან უნდა, ემალვი, მარა არ ღალატობ“ (ბიჩაქ ჩილარი, ტაოს ექსპედიცია, 2022).

„ზურგმიყუდებული ძმადნაფიცის“ აღსანიშნად ტაოში გამოიყენება დედ-მამის შვილის აღმნიშვნელი „ქარდეშის“ დიალექტურ ფორმა **ყარდაშ**. (kardeşi – თურქ. სიტყვა-სიტყვით ფიცის დადება, ძმადნაფიცი)

ძუძუნაწოვნები: „დედა წასულა ტყეში. დაგვიანებულა. მე ჩავყამებულვარ და მოუწოვებია **ფატმა ხალას** (/**ბიცოლა**). ის დედაა ჩემი, მისი შვილები ძმებია. ქალი მუშაობს, სახლში ტოვებს ბავშვს. აწოვებს სხვა და ამიტომ უფრო ბევრია ძუძუნაწოვნები“ (**ხიხაძირი-ტაო**).

შედარებისთვის: გვარის ახალი წევრი (შვილად აყვანილი, სხვადასხვა მიზეზით მიღებული, „ზედსიძე“. უფლებრივი მომენტი შეუზღუდავი ჰქონდა ძმობილს – „კერძი“ (იმერეთი, რაჭა)/„**კერძმოკეთე**“(რაჭა), **„კერძმოჯგირე**“ სამეგრელოში – ხაზი ჩვენია) ქონებრივ-უფლებრივ საკითხში სამკვიდრო სოციუმის სრულუფლებიანი წევრი იყო. მას მემკვიდრეობის უფლება ჰქონდა იმ ოჯახისა

და თემის უძრავ და მოძრავ ქონებაზე, რომელ ოჯახსა და თემშიც იცხოვრებდა[1]. შვილად აყვანა უფრო ხშირად ამყვანის სახლობა/ოჯახის გადარჩენის საშუალებაც იყო. მშვილებელი ოჯახისთვის შვილად აყვანილ ბავშვზე ზრუნვა განსაკუთრებული მოვალეობაა.

ეთნოგრაფიული მასალა:

ძულუხელი ხელაძეები ნათესავად თვლიან ევგენი ხელაძის ნაშვილებ ჯანელიძეებს: „არა თუ ნაშვილებს, გვარში მიღებულს და ზედსიძესაც გვარს არ უცვლიდნენ. სიმონ ხავთასს (გვარი ხავთაისძის ფორმით უნდა არსებულიყო XIII საუკუნეში) გაუზრდია ქალისშვილის შვილი დუხუნა და დღეს იქ უკვე ბაღდავაძის კომლია“; ჭოლაშის მკვიდრი, უმშობლოდ დარჩენილი რევაზი, ბრუჟაკი და გუსეინ გუჯეჯიანები გაუზრდია ლემზაგორში მამიდას ოჯახს“; ფიზიკური მახასიათებლის მიხედვით შექმნილი საკუთარი სახელიდან „კორძი“ მომდინარე კორძაძეთა გვარის ციხესულორელმა ოჯახმა გაზარდა ერთი ნიკოლეიშვილი, დატოვა მისსავე გვარზე. მელიტონ კორძაძემ გაზარდა შვილიშვილი და დღეს ტყეშელაშვილია ფუძეზე.

ნათესავია დედიას(/დეიდა) გოგო და ბიჭი. ისეა მხოლოდ, რომ გაარჩევენ მიმართვის ორ ფორმას: **მოოდარ და მაამან.** ეს მაამან ფორმა მოსაფერებელია და ეძახიან ბავშვობის ასაკში უფრო. მერე კაცი (კაცი, აქ ადამიანის მნიშვნელობით – ხაზი ჩვენია) აღარ იტყვის მოსაფერებელ მაამანს, მერე **მოოდარ**.

მეორე მნიშვნელოვანი გარემოება. ასე მიმართავენ მხოლოდ და მხოლოდ სისხლ-ხორც დეიდას და არა დედასთან ერთად შეზრდილ, მეზობელ ქალბატონს...

აღნიშნულ ტერმინზე საუბრისას გაირკვა, რომ **გაგინება** ფერეიდნელებში გამოიყენება ორი მნიშვნელობით: 1. თქვი მართალი; 2. ისევე, როგორც საქართველოში, ოღონდ უკიდურესი გაბრაზებისას. ფერეიდნელთა გაგინების მეორე წესისთვის. ჩვენში, განსაკუთრებით ბარის საქართველოში ჯერხნობით აქტიურია დედის შეგინების და დედაზე დაგინება-გაგინება. ფერეიდნელ ქართველებში ქალის შეგინება დაუშვებელია, რადგან ის ნამუსია, დედაა, სახლში კაცია (ადამიანის მნიშვნელობით – ხაზი ჩვენია), დედაკაცია.

ეთნოგრაფიული მასალა:

„გაგინებაა მაშინ, როცა იჩხუბებ და არა აქ რო ჩხუბში გაიგინები, და ყრალ(/ცუდ) სიტყვას ნუ იტყვი. გაგინება იხატება რა კულტურაა, რა პატივს ცემთ ერთმანეთს. ქალის, დედას შეგინება არა. ქალს ვინც გააგინა ციხეში ჩავა. ქალი ნამუსი შენი. აქაური ნამუსი სხვა, ხშირა გაიგინებიან. ჩვენში მხოლოდ ქალზე და გოგოზე იტყვიან ნამუსია, ბიჭზე არა. მთავრია ნამუსი, მისახედი. ნამუსს პატივი დასცი, ნუ გააგინებ, მე გამაგინე, მიმხვედრე კაცურად. ცოლი დედაკაცია. ძაან უყვარენ იმიტო რო დედა არი და კაცია სახლისაო. კაცი, ანუ სახლში დედაა ყველაფერი, ყურადღების მიმცემი საქმის. შენ ხო იქ არა ხარ, ის კაცობასაცს იქმს. კაცი ღამით დაიძინავს, დედა კაცი ყველაფერს იქს. საქათველო რო ფეხზე დგას დედაკაცის დამსახურებაა. საიდ იქნებოდა მეომარი ჩვენჩი, კაი კაცი, თუ ქალი არ ივარგებდა. ჩვენჩი ასე იმიტო, რო ასე გვასწავლეს, ქართული წესიაო (აზრის სიზუსტე დაცულია. მეტყველების ბოლომდე ვერა ხაზი ჩვენია) (იბრაჰიმ ასლანი. გიორგი ონიკაშვილი, ფერეიდნელი ქართველი, ჩავიწერეთ ქუთაისში. 13.09 2024.)

გობეგი – სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ზემო აჭარაში „გობეგი“ (თურქული gobek-იდან, რაც ჭიპს ნიშნავს) თაობის აღმნიშვნელი ტერმინია. აჭარელ და იმერხევის ქართველთა გვარის განაყოფის სახელები **„გობეგი“, „განარიგი“,** საქართველოს ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ერთეულში დადასტურებული **„გვარზიების“, „მოწყდომის“, „ჩამომავლობითი სახელის“, „ანთობის“, „ნეკის“, „ჭიპის“/„ჭიპი ძმობის“, „საბუდებელის“, „მონაწყვეტი“/„მოწყდომის“, „გვარის სიგელის“,** ეთნოლოგ ნუგზარ მგელაძის მიერ ტაო-კლარჯეთის „ჩვენებურებში“ დადასტურებული ტერმინის იდენტურია.

[1] მსჯელობისთვის იხილეთ ძველი ქართულ სამართალის წესები (კავკასიის მთიელთა და სხვა ყმადნაფიცი ქვეყნები – https://ts-ula¬wye¬rs.we¬ebly.com › uploads)

ეთნოგრაფიული მასალა:

„დიდაჭარის მკვიდრი თურქობამდელი **ჩელებაძეები** (<-ჩელება) თურქობაში გახდნენ „ჩელებოღლები“. რუსობამ ჩელებაძეების საცხოვრის უბანში მცხოვრებ ყველა „ჯიშს“ და „განარიგს“ გობაძე დაარქვა. „განარიგის“ სახელად შენარჩუნდა **ჩელებაძე** (შავიანიძე, 2009: 165).

ვრცელი ციტირება: ტაო-კლარჯული დასახლება – **სოფელი** (თურქულად **ქოი)** ლოკალიზებულ ნათესაურ – გენეალოგიურ ჯგუფებს აერთიანებდა. აქ არ დასტურდება გვარსახელით გამოხატული კლასიკური მნიშვნელობის გვარი, არამედ სახეზე გვქონდა პატრონიმიული ორგანიზაცია, რომელიც ერთი საერთო წინაპრიდან წარმომდგარი გენეალოგიური ჯგუფებისაგან შედგებოდა. მათ დღეს უფრო გავრცელებული ტერმინი **–„სულალე“,** კლარჯეთში კი **„ყებილე’ც**“ ეწოდება. **სულალესა და ყებილეს** გვერდით კლარჯეთში ჩვენ ტრადიციული პატრონიმიული ორგანიზაციის მცირე გენეალოგიური ჯგუფის აღმნიშვნელად ქართული ეთნოლოგიისათვის დღემდე უცნობი ქართული ტერმინი – **მოწყდომა** დავადასტურეთ. „**მოწყდომა“** რაღაცისაგან მოწყდომის, რაღაცისაგან სეგმენტირების, უფრო ზუსტად, სეგმენტირებული შტოს შინაარსითაა დატვირთული და პატრონიმიული ორგანიზაციის გენეალოგიური განტოტების, როგორც სოციალური გაერთიანების შინაგან არსს, უშუალოდ გადმოგვცემს, წერს ნ. მგელაძე (2024: 121-134).

ეთნოგრაფიული მასალა:

„განაყოფი გვარის სისხლნაწილია, ერთი მოწყდომაა გვარიც და განაყოფიც, ერთი საბუდებელია (მთხრობელი გ. კირკიტაძე. მუხურა. 1993).

„გვარის ყველა „თური“ ჩემი გვარის ფუძიდან, ბუდიდანაა გასული, ცალკე ცხოვრობს, შეიძლება შორსაც, მაგრამ შენია (მთხრობელი ზ. გაბელაია. ნოღოხაში).

ჭიპი – ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში აღნიშნული ტერმინი ნიშნავს ადგილს, რომლითაც მიმაგრებულია თესლი ნაყოფის კედლებზე, ზემოიმერულში კი ახლად ამოყვანილი ყველის გუნდას, ნაწყვეტს (ძოწენიძე, 1974.)

ზემო აჭარაში იტყვინ: „ერთი ჭიპის ხალხია“, **„ჭიპის ძმები“(/„ღვიძლი ძმები“),** ანუ ერთის ნაწილი. აბსოლუტურად მსგავსი, ერთნი არიან, გეტყვიან იმერეთში, სამეგრელოში (ერთი **ჭიპის ძმები** არიან/**ართ ჩუპაშ ჯიმალეფ რენია**; ერთად რომ არიან, ისეთები არიან/**ართო რენანი ეფერეფი/ართო მულანი ეფერეფი**), სვანეთში („**სამხუბ მეხუბარალ**“/„**წამა ლახუბა**“) და ზოგადად საქართველოში; გეტყვიან იმასაც, რომ „**ერთი მონაწყვეტი**“, „**წყება**“ ხალხია“.

შდრ., ლეჩხუმურში **მოწყებული –** ეს სხვა წყებაა, ნაწილია ოღონდ შენი (https://www.ena.ge/explanatory-online)

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული, გასაზიარებელი მოსაზრების შესაბამისად, **„განაყარი“, „განაყოფი ოჯახები“** შესაძლოა ცხოვრობდნენ ძველი სახლიდან მოშორებით (ქართველები, 2016: 366), თუმცა ეს არ ნიშნავს „განარიგის“, „გამრიგოს“ „მონაწყდომის“ და ა.შ. „საბუდებლიდან“ მოშორებას, გარიყვის მიზნით. თუნდაც შორს მცხოვრები, „სახლობის“ სოციუმის ერთი წევრი გაიაზრება „ძირის“ ნაწილად.

„სახლი“, „**ძუძუნაწოვარი**“, „**ზურგმიყუდებელი**“

მტრისაგან გამუსულმანებულ აჭარაში და საქართველოსაგან მოწყვეტილი „ჩვენებურებში“ ერთ „სახლად“, ძირად(/„**ძირისად**“) ყოფნა, ქართულტრადიციული, ეროვნულ-კულტურული, „**ქორად**“ ყოფის მიერ დადგენილი, გაუყოფელად ცხოვრების წესის /„**ჯილაგობის წეს**ის“ იდენტურია.

ეთნოგრაფიული მასალა:

„სახლი ფუძის განაყოფების, ძმანიშვილების, სისხლ-ხორცის სახელია და მარტო საცხოვრისი არა, მთლად საბუდებელის, ყველა წევრის ჭკუა და ძალაა (მთხრობელი ჯ. ქათამაძე. ძუყნური 1995).

„**სახლი**“ – „ქორ“ სვანურ საოჯახო-სამეტყველოში ერთი ბაბუის ფუძეა **„ხოშა ჰოკერ**“, საიდანაც მოდის რამდენიმე სახლობა. აღნიშნავს ჩემს სისხლსა და ხორცს, ჩემ ზნე-თვისებას.

ბიბი – მამიდა, მამის და (bibi, hala). გვხვდება აჭარულ დიალექტში, ასევე იმავე მნიშვნელობას ატარებს იმერხეულშიც, სადაც გვხვდება მისი სინონიმური ვერსია, როგორიც არის **ბიბილა**.

გელინი – რძალი (gelin). გვხვდება აჭარულ დიალექტში, იმავე მნიშვნელობით გამოიყენება იმერხეულ დიალექტშიც.**დედე** – ბაბუა (dede). გვხვდება აჭარულ დიალექტში. შუშანა ფუტკარაძის ლექსიკონში აღნიშნულია, რომ იმერხეულში მისი ერთი მნიშვნელობა არის ბაბუა, პაპა; მეორე მნიშვნელობით აღნიშნავს წინაპარს; ხოლო მესამე მნიშვნელობით განიმარტება, როგორც შიიტი მუსულმანების შეიხი.

ხალა – (hala – მამის და) დედის და. მოცემული სიტყვა გვხვდება, როგორც აჭარულ, ისე ტაო-იმერხეულ დიალექტში.

ტაოური ეთნოგრაფიული მასალა:

„დედაი წევდა ჭალასი, მე აკვანში ჩაკრული. მომშივდა ჩავბჟირდი. მევდა მეზობელი ფატმა **ხალაი**, მაწოვა ძუძუ და მისი შვილი ჩემი ძუძუნაწოვარია.

ტაოური „**ძუძუნაწოვარი**“ და ტაო-იმერხეულის „**ზურგმიყუდებელი**“/სისხლის ძმა, ხელოვნურად შეძენილი ნათესავი, მეგობარი, საერთოქართველურის „ძმადნაფიცის“, სვანურის **შიყლაჭდ**“/**ზურგმისაყუდებელის,** იდენტურია.

შიყლაჭდ – ზურგმისაყრდენი, საიმედო, ჭირ-ლხინში გვერდით მდგომია, ხოლო **შიყლაჭდ ქორ** – ზურგმისაყუდებლები, შენი სახლისაა, ვისთანაც, როგორც იტყვიან „ერთ ჯოხზე გვიკიდია ხელი“. სვანურად **ეშხუ ფაუს ლაბრგად**.

ქირვა – ნათლია (kirve). კაცი, რომელიც წინადაცვეთის დროს იჭერს ბიჭს. ქრისტიანული ნათლიის ანალოგი. იმავე მნიშვნელობით დასტურდება იმერხეულშიც.

2. ლექსემები, რომელიც მესხურ-ჯავახურშიც გვხვდება:

ბალდუზი – ცოლის და (baldiz). გვხვდება აჭარულში, იმერხეულში და იმავე მნიშვნელობით დასტურდება ჯავახურ ლექსიკონშიც.**ბაჯანაღი** – ქვისლი (bacanak). გვხვდება აჭარულ დიალექტში. იმავე მნიშვნელობით ფიქსირდება ჯავახურ ლექსიკონში.**ყაინი** – (kayin). ცოლის ძმა, ქვისლი. ის თურქული სიტყვაა. მოცემული სიტყვა იმავე მნიშვნელობით დასტურდება ჯავახურ ლექიკონშიც.

3. ლექსემები, რომელიც დასტურდება სხვა კილოებში დიალექტური ლექსიკონების მიხედვით, ასევე გვხვდება სულხან-საბასთან და განმარტებით ლექსიკონშიც:

ბადიში – შვილიშვილი. აჭარულ, გურულ და იმერულ დიალექტში მოცემული სიტყვა იმავე მნიშვნელობით გვხვდება. ი. აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში ეს ტერმინი არ გვხვდება, მაგრამ გვაქვს ბადება, რაც შობას ნიშნავს. ვფიქრობთ იგი სწორედ ამ სიტყვას უნდა უკავშირდებოდეს.

ეთნოგრაფიული მასალა:

მაგ, ჩემი ოჯახის ბადიშები არიან ჩემი დისშვილები! ლაბაბაშნა! (მთხრობელი ც. გულედანი. ლენჯერი. 2024).

ბაბა – მამა (baba). მოცემული სიტყვა თანაბარი მნიშვნელობით გვხვდება, როგორც იმერხეულში, ისე აჭარულ, გურულ, იმერულსა და მეგრულში. აჭარულში გვხვდება „**ბაბოი**“ ფორმითაც.

ეთნოგრაფიული მასალა:

„ჩემი ქორწილი იცი? სტალინი მოკტა და ქორწილი გადაწიეს რო „**ბაბოი**“ მოკტაო, სტალინის სურათი დაიკიდეს და ქორწილი თუ იყო პირველში, ოცში გედვიხადეთ. ყველგან ასე იყო. ბაბოიაო, აბეჩებდენ ყველას (მთხრობელი ს. ფუტკარაძე. ერდვათი. 2018)“ . „**ბაბაიას**“ ფორმით გვხვდება მეგრულ სამეტყველო ენაში.

ზურაბ კიკნაძის „ანდრეზებში“ სიტყვა მამა – მშობლის გარდა, განმარტებულია როგორც 1) ერთი გვარის განშტოება, 2) ერთი თაობა: „მაგათ მამაში ერთ კაც არ გამაილევის, რო ჯვართ ემსახურას“. გვ. 85), „ძველი ჩვენი გვარი გიგაურია, შინაური გვარი მამად – ზვიადაური“ (გვ.123), „კაცსა, გააქადაგაო, თავის მამა-გვარით გადაგაძევებო“ (გვ.177) (კიკნაძე, 2009).

ანა – დედა (anne). სიტყვა გვხვდება აჭარულ დიალექტში, იმავე მნიშვნელობით გამოიყენება იმერხეულ დიალექტშიც. დასტურდება სულხანთან შემდეგი მნიშვნელობებით: დედა, მშობელი, დედობილი, დედუფალი, მდედრი, სიდედრი…

ნენე – გვხვდება ქართული ენის ლექსიკონში დედის მნიშვნელობით. ასევე იმავე მნიშვნელობით გვხვდება გურულში, ზემო აჭარულსა და იმერხეულში. შუშანა ფუტკარაძესთან ნენე არის დედაც და დიდედაც. ჩაქვის, ქობულეთის, ხელვაჩაურის მუხაჯირთა მეტყველებაში ნიშნავს – დედას, ზემო აჭარის მუჰაჯირთა შთამომავლობაში დიდედას, ანუ ბებიას უწოდებენ.

ეთნოგრაფიული მასალა: „დიდ ნენეებს“ შეუქმნია ბევრი ადგილის სახელები, სხვა კაცებს. მუცია მნიშვნელობა. უთქვია სახელი, გუდუუციენ. სახელის მნიშვნელობა ახლამდე არ დავიწყებულა“.

დასკვნა: წარმოდგენილი კვლევის შედეგად შეგვიძლია შევაჯამოთ:

1. ისტორიულ და დღევანდელ მესხეთში ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინოლოგია მრავალფეროვანია და ასახავს რეგიონის რთულ ისტორიულ-კულტურულ განვითარებას.
2. თურქული ენის გავლენა განსაკუთრებით თვალსაჩინოა ისეთ ტერმინებში, როგორებიცაა: ყარდაში, ბიბი, გელინი, დედე, ხალა, ქირვა და სხვა. თუმცა, ეს ტერმინები ადგილობრივ კულტურულ კონტექსტშია ინტეგრირებული და ხშირად ორიგინალისგან განსხვავებულ კონოტაციებს იძენს.
3. განსაკუთრებით საყურადღებოა ტერმინები, რომლებიც დაკავშირებულია გვარის განშტოებებთან და ნათესაურ კავშირებთან (გობეგი, ჭიპი, მოწყდომა), რაც მიუთითებს ტრადიციული ქართული საგვარეულო სისტემის სიცოცხლისუნარიანობაზე.
4. კვლევამ გამოავლინა, რომ ზოგიერთი ტერმინი (მაგ., ბადიში, ბაბა, ანა, ნენე) საერთოქართულ ხასიათს ატარებს და გვხვდება სხვადასხვა დიალექტში, რაც მიუთითებს ქართული ენობრივი სივრცის ერთიანობაზე.
5. ეთნოგრაფიული მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინები არა მხოლოდ ლინგვისტური, არამედ მნიშვნელოვანი სოციო-კულტურული მოვლენაა, რომელიც ასახავს საზოგადოების ღირებულებებს და სოციალურ ურთიერთობებს.
6. კვლევა ადასტურებს, რომ მიუხედავად უცხო ენების გავლენისა, მესხეთში შენარჩუნებულია ქართული ენობრივი და კულტურული ტრადიციები, რაც განსაკუთრებით კარგად ჩანს ნათესაობის აღმნიშვნელ ტერმინოლოგიაში.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. ზედგენიძე გ. (2014), ჯავახური ლექსიკონი , თბილისი: საუნჯე
2. კიკნაძე,ზ. (2009), ანდრეზები, თბილისი: ილიაუნის გამომცემლობა
3. მგელაძე, ნ. (2024), ტაო-კლარჯეთის ტრადიციული დასახლების პატრონიმიული სტრუქტურა თურქეთში, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ქართველური მემკვიდრეობა“, (ტ. XXVIII, გვ.121-134), ქუთაისი: აწსუ გამომცემლობა
4. შავიანიძე, დ. (2009). საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ტბელობა“ (მასალები), გვ.165
5. ფუტკარაძე, შ. (1993) ჩვენებურების ქართული, აჭარის ბათუმი: ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა
6. ქამუშაძე, გ. (2015), სამეტყველო კოდთა შერევით გამოწვეული სემანტიკური თავისებურებანი ქართველ მუჰაჯირთა მეტყველებაში, მემკვიდრეობა, ტ. XIX, ქუთაისი: აწსუ გამომცემლობა
7. ქართველები, (2016), რედაქტორები: ბერიაშვილი, ლ. მელიქიშვილი, ლ., გამომცემლობა „პალიტრა L“. გვ.366
8. ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი – აჭარა, ბათუმი: „სამშობლო“, 2018
9. ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი , თბილისი, „მერიდიანი“ , 2011
10. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, https://www.ena.ge/explanatory-online

11. ჩელები, ფ. (2018), დუზჯეს მხარეში (თურქეთის რესპუბლიკა) მცხოვრები ქართველების მეტყველების თავისებურებანი, თბილისი, დისერტაცია
12. ძოწენიძე, ქ. (1974),ზემოიმერული ლექსიკონი, თბილისი: განათლება.
13. ჯიქია, მ. (2016), თურქული წარმომავლობის ნასესხობები ქართულში – მეშვიდე საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ.149-152.
14. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტ. ფუტკარაძის სახელობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრისა და საველე ექსპედიციის მასალები
15. http://www.nplg.gov.ge/gwdict/
16. https://ena.ge/explanatory-online
17. https://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php

TERMS OF KINSHIP IN HISTORICAL AND MODERN MESKHETI

(Comparative Analysis of Our Collected Materials)

DAVID SHAVIANIDZE
PhD in History,
Associate Professor at the Department of History and Archaeology, Akaki Tsereteli State University;
Researcher at Tariel Putkaradze Center for Kartvelology
E-Mail: David.shavianidze@atsu.edu.ge
ORCID: 0000-0002-0568-1226

LUIZA KHACHAPURIDZE
PhD in Philology.
Faculty of Philology, Department of Georgian Language and Literature, Associate Professor of Georgian Language Direction,
E-Mail: Luiza.khachapuridze@atsu.edu.ge
ORCID: 0000-0002-1991-2005

Abstract: The article investigates the linguistic structure of kinship terminology in the historical and geographical region of Meskheti, based on empirical data from the Adjarian and Imerkhevi dialects. The research aims to reveal linguistic, sociocultural, and semantic transformations within the kinship lexicon that reflect the ethnolinguistic dynamics of the region. The study employs descriptive, historical-comparative, and ethnolinguistic methodologies, relying on field materials collected during expeditions conducted between 1992 and 2024.

The analysis demonstrates that Meskhetian kinship terminology represents a synthesis of archaic Georgian lexical layers and external (primarily Turkish) influences. Borrowed terms such as kardashi, bibi, gelin, dede, hala, and kirve have been assimilated into the local linguistic system, frequently undergoing semantic adaptation. Particular attention is devoted to terms denoting clan and genealogical structures (gobegi, ch'ipi, motchdoma), which illustrate the continuity and resilience of the traditional Georgian family model.

The findings confirm that, despite external linguistic interference, the Meskhetian dialectal environment has preserved the essential semantic and cultural codes of the Georgian language. Consequently, kinship terminology functions not only as a linguistic category but also as a key marker of cultural memory and ethnolinguistic identity.

Key words: kinship terminology, Meskheti, Adjarian dialect, Imerkhevi speech, ethnolinguistics, Turkish borrowings, cultural memory.

* * *

Introduction: Like in all cultured nations, Georgian language, besides its native lexemes, contains vocabulary from various countries. The formal and semantic diversity of borrowed lexemes was determined by interactions with different ethnicities during various historical periods. Georgia could not be an exception, considering its political history.

In historical and modern Meskheti, this ancient region of Georgia where Turkish politics and ideology dominated for a long time, it is natural to find lexical units borrowed from Turkish. Verbal forms with Georgian affixes are also attested.

Review of Sources/Literature: Numerous researchers have addressed this issue (M. Jikia, M. Paghava...), and we also utilized materials collected during our various expeditions.

The primary sources for research in linguistics as a system, lexicology and lexicography, as well as ethnology, history, political, geographical, and other scientific directions are dictionary units. We have collected dozens of dictionary materials from various historical-ethnographic regions of Georgia since 1992.

This time, based on the conference content, we have compiled and present for discussion the kinship vocabulary recorded during our expeditions (Adjara, Adigeni):

For the future, we plan to study the ethnolinguistic vocabulary we have collected from different regions of Georgia at different times from both ethnological and linguistic perspectives.

Methodology: The paper employs descriptive and historical-comparative methods.

Discussion/Results: We note that for all terms and expressions we discuss, we present the latest ethnographic materials, and these materials will serve as reliable sources for various fields of science.

The analyzed material can be divided into 3 groups:

1. Lexemes found only in Adjarian and Imerkhevian dialects;
2. Lexemes that also appear in Meskhetian-Javakhian dialects;
3. Lexemes that are attested in other dialects according to dialectal dictionaries, and also appear in Sulkhan-Saba's dictionary and the explanatory dictionary.

1. Lexemes found only in Adjarian and Imerkhevian dialects:

Kardashi – The Taoans know about „blood brother"/**zurgmikudebeli dzmadnapitsi**: „Dzmadnapitsi is a person to rely on. My blood brothers are: Sherip, Mustafa, Nejat. Zurgmisakudebeli, they always need you, you hide them, but don't betray" (Bichak Chilari, Tao expedition, 2022).

For denoting „zurgmikudebeli dzmadnapitsi" in Tao, they use the dialectal form **kardash** of „kardeshi" which denotes a child of same parents. (kardeşi – Turkish. literally means taking an oath, sworn brother)

Dzudzunatsovnebi: „Mother went to the forest. She was late. I was crying and **Fatma khala** (/**bitsola**) breastfed me. She is my mother; her children are my brothers. A woman works, leaves child at home. Another breastfeeds and that's why there are more dzudzunatsovnebi" (**Khikhadziri-Tao**).

For comparison: A new member of the family (adopted, accepted for various reasons, „zedsidze". The sworn brother had unrestricted rights – „kerdzi"(Imereti, Racha)/"**kerdzmokete**"(Racha), „**kerdzmodjgire**" in Samegrelo – emphasis ours) was a full member of the inherited social unit in property-rights issues. They had inheritance rights to the immovable and movable property of the family and community where they would live. Adoption was also often a means of survival for the adopting family/household. For the adopting family, caring for an adopted child is a special duty.

Ethnographic material:

The Kheladzes of Zulukheli consider Evgeni Kheladze's adopted Janelidzes as relatives: „Not only adopted ones, but also those accepted into the family and zedsidze were not made to change their surnames. Simon Khavtasi (the surname must have existed in the form Khavtaisdze in the 13th century) raised his daughter's son Dukhuna and now there's a Bagdavadze household there"; „Revaz, Bruzhaki and Gusein Gujedjiani, who were left without parents from Cholashi, were raised by their aunt's family in Lemzagori"; A family of the Kordzadze surname, derived from the personal name „Kordzi" created based on physical characteristics, from Tsikhesulori raised a Nikoleishvili, kept their surname. Meliton Kordzadze raised his grandchild and today they are Tkeshelashvili at the homestead.

A daughter and son of dedia(/deida) are relatives. Only that they distinguish two forms of address: **moodar and maaman**. This maaman form is endearing and they use it more in childhood. Later a person (person, here meaning human-emphasis ours) won't say the endearing maaman, later **moodar**.

The second important circumstance. They only address this way to blood-related aunt and not to a woman who grew up with mother, a neighbor woman...

When discussing this term, it was revealed that **gagineba** in Fereidanian has two meanings: 1. Tell the truth; 2. Same as in Georgia, but only in extreme anger. For the second rule of Fereidanian cursing. Here, especially in lowland Georgia, cursing the mother and cursing-swearing about mother is still active. In Fereidanian Georgians, cursing a woman is forbidden, because she is namus, mother, is a man in the house (in the meaning of human-emphasis ours), is dedakatsi.

Ethnographic material:

"Gagineba is when you fight and not here when you curse in a fight, and don't say kral(/bad) word. Gagineba shows what culture is, how they respect each other. Not cursing woman, mother. Whoever curses woman will go to prison. Woman is your namus. Local namus is different, they curse often. In our place they only say namus about woman and girl, not about boy. Most important is namus, to be looked after. Respect namus, don't curse it, curse me, make me understand in a manly way. Wife is dedakatsi. They love very much because she is mother and man in house. Man, meaning mother is everything in house, one who pays attention to work. You're not there, she does manning too. Man sleeps at night, dedakatsi does everything. That Georgia stands on its feet is thanks to dedakatsi. How would there be warrior in our place, good man, if woman wasn't good. In our place because that's how they taught us, it's Georgian rule (accuracy of thought preserved. Speech not completely – emphasis ours) (Ibrahim Aslani. Giorgi Onikashvili, Fereidanian Georgian, recorded in Kutaisi. 13.09 2024.)

Gobegi – It is noted in scientific literature that in Upper Adjara „gobegi" (from Turkish gobek, meaning navel) is a term denoting generation. The names of family branches of Adjarian and Imerkhevian Georgians **„gobegi", „gonarigi",** are identical to **„gvarziebi", „motskdomi", „ancestral name", „antobi", „neki", „chipi"/"chipi dzmobi", „sabudebeli", „monatsveti"/"motskdomi", „family certificate"** attested in all historical-ethnographic units of Georgia, and the term documented by ethnologist Nugzar Mgeladze in the „Chveneburni" of Tao-Klarjeti.

Ethnographic material:

"The pre-Turkish **Chelebadze** (<-Cheleba) residents of Didachara became „Cheleboglu" during Turkish rule. Russian rule named all „jishi" and „gonarigi" living in the Chelebadze neighborhood district as Gobadze. **Chelebadze** was retained as the name of „gonarigi" (Shavianidze, 2009:.165).

Extended citation: Tao-Klarjetian settlement – **village** (in Turkish **koi**) united localized kinship – genealogical groups. Here we do not find surname expressed in classical meaning, but rather we had patronymic organization, which consisted of genealogical groups descended from one common ancestor. Today they are called by more common term **--"sulale",** and in Klarjeti also **„kebile"**. Alongside **sulale and kebile** in Klarjeti we documented Georgian term – **motskdoma** denoting small genealogical group of traditional patronymic organization, previously unknown to Georgian ethnology. „**Motskdoma**" carries the meaning of breaking off from something, segmentation from something, more precisely, the inner content of segmented branch and directly conveys the inner essence of genealogical branching of patronymic organization as a social union, writes N. Mgeladze (2024. p.121-134).

Ethnographic material:

"Branch is blood part of surname, both surname and branch are one motskdoma, one sabudebeli (narrator G. Kirkitadze. Mukhura. 1993).

"All 'turi' of surname came from foundation, nest of my surname, lives separately, maybe far away, but is yours (narrator Z. Gabelaia". Noghokha).

Chipi – In the explanatory dictionary of Georgian language this term means the place where seed is attached to fruit walls, in Upper Imerian it means a piece, fragment of newly made cheese (Dzotsenidze, 1974.)

In Upper Adjara they say: „People of one chipi“, **„chipi brothers“(/““blood brothers“),** meaning part of one. Absolutely similar, they are one, they'll tell you in Imereti, Samegrelo [(they are brothers of one **chipi**//**art chupash djimalep renia**;]{.underline} they are like that when they're together/**arto renani eperepi**/**arto mulani eperepi**), in Svaneti (“**samkhub mekhubaral**“/“**tsama lakhuba**“) and generally in Georgia; they'll also tell you that it's „**one monatsveti**“, „**tskeba**“ people“.

Compare, in Lechkhumi **motskebuli –** this is another tskeba, part but yours (https://www.ena.ge/explanatory-online)

According to the opinion expressed in scientific literature that should be shared, **„ganakari“, „branch families“** may live far from old house (Georgians, 2016: 366), however this doesn't mean distancing from „gonarigi“, „gamrigo“ „monatsdomi“ etc. „sabudebeli“, for the purpose of exclusion. Even living far away, member of „sakhlobi“ social unit is understood as part of „dziri“.

“Sakhli“, „**dzudzunatsovari**“, „**zurgmikudebeli**“

Being one „sakhli“, foundation(/““**dziri-sad**“) in Adjara Islamized by enemy and „Chveneburni“ cut off from Georgia is identical to Georgian traditional, national-cultural, way of living established by „**kora**“, rule of living undivided/**“jilagobi rule**“.

Ethnographic material:

“Sakhli is name of foundation's branches, dzmanishvili, blood relations and not just dwelling, it's mind and strength of all members of entire sabudebeli (narrator J. Katamadze. Dzuknuri 1995).

“**Sakhli**“ – „kor“ in Svan family speech is foundation of one grandfather **„khosha hoker“**, from which come several families. Denotes my blood and flesh, my character.

Bibi – Aunt, father's sister (bibi, hala). Found in Adjarian dialect, also carries same meaning in Imerkhevian, where its synonymous version appears as **bibila**.

Gelini – Daughter-in-law (gelin). Found in Adjarian dialect, used with same meaning in Imerkhevian dialect.

Dede – Grandfather (dede). Found in Adjarian dialect. In Shushana Putkaradze's dictionary it's noted that in Imerkhevian its first meaning is grandfather, papa; second meaning denotes ancestor; and third meaning is defined as sheikh of Shiite Muslims.

Khala – (hala – father's sister) Mother's sister. This word appears in both Adjarian and Tao-Imerkhevian dialects.

Taoan ethnographic material:

“Mother went to valley, I was wrapped in cradle. I got hungry started crying. Neighbor Fatma **khalai** came, breastfed me and her child is my dzudzunatsovari.

Taoan „**dzudzunatsovari“** and Tao-Imerkhevian „**zurgmikudebeli**“/blood brother, artificially acquired relative, friend, is identical to all-Georgian „dzmadnapitsi“, Svan **shikhlachd**/**zurgmisakudebeli**.

Shikhlachd – Someone to lean back on, reliable, standing by in sorrow-joy, while **shikhlachd kor** – back supporters, is of your house, with whom, as they say „we hold hand on one stick“. In Svan **eshkhu paus labrgad**.

Kirva – Godfather (kirve). Man who holds boy during circumcision. Analog of Christian godfather. Attested with same meaning in Imerkhevian.

2. Lexemes that also appear in Meskhetian-Javakhian dialects:

Balduzi – Wife's sister (baldiz). Found in Adjarian, Imerkhevian and attested with same meaning in Javakhian dictionary.

Bajanaghi – Brother-in-law (bacanak). Found in Adjarian dialect. Recorded with same meaning in Javakhian dictionary.

Kaini – (kayin). Wife's brother, brother-in-law. It's a Turkish word. This word is attested with same meaning in Javakhian dictionary.

3. **Lexemes that are attested in other dialects according to dialectal dictionaries, and also appear in Sulkhan-Saba's dictionary and the explanatory dictionary:**

Badishi – Grandchild. This word appears with same meaning in Adjarian, Gurian and Imerian dialects. This term is not found in I. Abuladze's Old Georgian Dictionary, but we have badeba, which means birth. We think it must be connected to this word.

Ethnographic material:

For example, my family's badishi are my sister's children! Länbäshna! (narrator Ts. Guledani. Lenjeri. 2024).

Baba – Father (baba). This word appears with equal meaning in Imerkhevian as well as Adjarian, Gurian, Imerian and Megrelian. In Adjarian it also appears in form „**baboi**".

Ethnographic material:

"You know my wedding? Stalin died and wedding was postponed because „**baboi**" died, they hung Stalin's picture and if wedding was on first, we had it on twentieth. It was like that everywhere. Baboi, they made everyone cry (narrator S. Putkaradze. Erdvati. 2018)". Appears in form „**babaia**" in Megrelian speech.

In Zurab Kiknadze's „Andrezi" word „mama" – besides parent, is defined as 1) branch of one surname, 2) one generation: „In their „mama" no one person will be lost who serves crosses"p. 85), „Our old surname is Gigauri, household surname by „mama" – Zviadauri"(p.123), „Person, will proclaim, will exile you with your „mama"-surname" (p.177) (Kiknadze, 2009)

Ana – Mother (anne). Word appears in Adjarian dialect, used with same meaning in Imerkhevian dialect. Attested in Sulkhan-Saba with following meanings: mother, parent, stepmother, queen, female, mother-in-law,...

Nene – Appears in Georgian language dictionary meaning mother. Also appears with same meaning in Gurian, Upper Adjarian and Imerkhevian. In Shushana Putkaradze nene is both mother and grandmother. In speech of muhajirs from Chakvi, Kobuleti, Khelvachauri means mother, in descendants of Upper Adjara muhajirs they call grandmother nene. **Ethnographic material**: „Big nenes" created names of many places, other men. Given meaning. Said name, they gave. Meaning of name not forgotten until now".

Conclusion: Based on presented research we can summarize:

1. Kinship terminology in historical and modern Meskheti is diverse and reflects the region's complex historical-cultural development.
2. Turkish language influence is especially evident in terms such as: kardashi, bibi, gelini, dede, khala, kirva and others. However, these terms are integrated into local cultural context and often acquire connotations different from original.
3. Particularly noteworthy are terms related to surname branches and kinship connections (gobegi, chipi, motskdoma), indicating vitality of traditional Georgian family system.
4. Research revealed that some terms (e.g., badishi, baba, ana, nene) have all-Georgian character and appear in various dialects, indicating unity of Georgian linguistic space.
5. Analysis of ethnographic material shows that kinship terms are not only linguistic but important socio-cultural phenomenon reflecting society's values and social relationships.
6. Research confirms that despite influence of foreign languages, Georgian linguistic and cultural traditions are preserved in Meskheti, which is especially well seen in kinship terminology.

References and Literature

1. Zedgenidze, G. (2014). *Javakhuri Dictionary*. Tbilisi: Saunje.
2. Kiknadze, Z. (2009). *Andrezebi*. Tbilisi: Ilia State University Press.
3. Mgeladze, N. (2024). *International Scientific Journal „Kartvelian Heritage"* (Vol. XXVIII, pp. 121–134). Kutaisi: Akaki Tsereteli State University Press.

4. Shavianidze, D. (2009). *Proceedings of the International Scientific Conference „Tbeloba“* (pp. 165).
5. Futkaradze, Sh. (1993). *Georgian Language of Our Region, Adjara*. Batumi: Journal-Gazette Publishing House.
6. Kamushadze, G. (2015). *Semantic Features Caused by the Mixing of Speech Codes in the Speech of Georgian Muhajirs*. *Heritage*, Vol. XIX. Kutaisi: Akaki Tsereteli State University Press.
7. *Georgians* (2016). Editors: Beriashvili, L. & Melikishvili, L. Tbilisi: Palitra L Publishing. (p. 366).
8. *Ethnological Dictionary of the Georgian People – Adjara*. Batumi: Samshoblo, 2018.
9. *Ethnographic Dictionary of Georgian Material Culture*. Tbilisi: Meridiani, 2011.
10. *Explanatory Dictionary of the Georgian Language*. Available at: https://www.ena.ge/explanatory-online.
11. Chelebi, F. (2018). *Peculiarities of the Speech of Georgians Living in the Düzce Region (Republic of Turkey)*. Tbilisi: Dissertation.
12. Dzotsenidze, K. (1974). *Upper Imeretian Dictionary*. Tbilisi: Ganatleba.
13. Jiqia, M. (2016). *Loanwords of Turkish Origin in Georgian*. Proceedings of the Seventh International Symposium on Kartvelian Studies. Tbilisi: Tbilisi University Press (pp. 149–152).
14. Materials of the T. Futkaradze Research Center and Field Expeditions of Akaki Tsereteli State University.
15. http://www.nplg.gov.ge/gwdict/
16. https://ena.ge/explanatory-online
17. https://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php

ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ანდაზები

თინა შიოშვილი
ფილოლოგიის დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი,
ელ-ფოსტა: tina.shioshvili@bsu.edu.ge
ORCID: 0000-0002-4745-9260

თამარ მაჭუტაძე
ფილოლოგიის დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მოწვეული მასწავლებელი,
ელ-ფოსტა: t.matchutadze@bsu.edu.ge
ORCID: 000-0002-5709-9764

აბსტრაქტი. ქართველ მუჰაჯირთა პირველმა თაობამ მშობელი ქვეყნიდან მოწყვეტით გამოწვეული უკიდეგანო სევდა-წუხილის აკუმულირება იმითაც შეძლო, რომ შთამომავლობას უძვირფასეს ნობათად დაუტოვა მათი იდენტობის ერთ-ერთი უტყუარი გამოხატულება – მშობელი ხალხის მიერ საუკუნეთა ტევრში გამოტარებული და ცხოვრების მკაცრი გაკვეთილებით დახვეწილ-ჩამოქანდაკებული ზეპირსიტყვიერება მისი მრავალრიცხოვანი ჟანრებით; ანდაზები სწორედ ფოლკლორისა და ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი სახეა. სტატიაში მოყვანილია კვლევები, რომელიც სამეცნიერო ექსპედიციას ეფუძნება. კვლევის შედეგად ვლინდება, რომ მუჰაჯირებმა ახალიც შექმნეს, ახალი საცხოვრისის სოციალურ გარემოსაც მოერგნენ, ბუნებით კაცთმოყვარე და ძმობა-მეგობრობისათვის მუდმივად შემართულნი, ცხოვრობენ, გააქვთ თავიანთი წილი ლელო წუთისოფელში, ერთმანეთშიც საუბრობენ მშობლიურ ენაზე და იმაზეც გულწრფელად წუხან, რომ ახალი თაობა ამას მათებურად ვეღარ ახერხებს, ძალიან ბევრი მიზეზის გამო.

საკვანძო სიტყვები. მუჰაჯირები, პარემია, ზეპირსიტყვიერება, ფოლკლორი.

* * *

შესავალი. ანდაზას ხალხის საუნჯესაც უწოდებენ, მართლაც ხალხური შემოქმედების არც ერთ სხვა ჟანრს არ შეუძლია ასე სხარტად, ასე ლაკონიურად გადმოსცეს ხალხის დიდი სიბრძნე, მისი საოცარი დაკვირვების უნარი, მისი სიტყვის ძარღვიანობა და მოქნილობა. ანდაზებში ხალხის ყოფაა ასახული, რაც კი უშუალოდ შეხებია ადამიანს, რაც კი განუცდია – სიხარული თუ მწუხარება, სიმწარე თუ სიტკბოება, სასოწარკვეთილება თუ აღმაფრენა, იმედი თუ უსახსრობა, ყველაფერი ეს ძალზე ოსტატურად ჩაუქსოვია მოკლე ფრაზაში.

მუჰაჯირთა შთამომავლების ფოლკლორული შემოქმედება, რომელიც 2012-2018 წლებში ჩაიწერა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის მუდმივმოქმედმა კომპლექსურმა ექსპედიციამ, მდიდარი და მრავალფეროვანია და, როგორც გოგლა ლეონიძე იტყოდა, „მშობელ მიწაში უდგას ფესვები“. ამ ზეპირსიტყვიერი საუნჯის ერთ-ერთი გამორჩეული ჟანრია ანდაზა, რომელსაც პროფესორმა ზურაბ კიკნაძემ მართებულად უწოდა სიბრძნის პოეზია (კიკნაძე, 2008: 324).

ანდაზა სრულიად ბუნებრივად და ლაღად არის ჩაწნულ-ჩაგრეხილი ენის წიაღში, მისი შემოქმედი ხალხის ცხოვრების თანამედროვეც არის, მომავლის წინამძღოლიც და წარსულის მემატიანეც; ანდაზა „ჭირსა შიგან გამაგრების“ ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორია და ყოველთვის, ყველა ეპოქაში ერთგული დამრიგებლისა და მოძღვრის ფუნქციას ასრულებს. ეს სენტენციები ქართველ

მუჰაჯირთა ახლანდელ თაობას წინაპართაგან ღირსსახსოვარ განძად ებოძა და, რასაკვირველია, მამა-პაპათა მსგავსად, ყურს უგდებენ მისეულ სიბრძნეს.

მეთოდები. კვლევისას გამოყენებულია აღწერითი, კრიტიკული ანალიზის, სინთეზის, ინდუქციისა და დედუქციის მეთოდები.

მსჯელობა. ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებულ ანდაზათა უმრავლესობას პარალელები ეძებნება საქართველოს სხვადასხვა კუთხეთა, განსაკუთრებით კი აჭარის, ზეპირსიტყვიერებაში.

სიბრძნის პოეზიის მუჰაჯირული ნიმუშები, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში გავრცელებული ანდაზების მსგავსად, ქადაგებენ ჰუმანურ იდეებს: ძმობა-მეგობრობას, კუთხე-მეზობლობას, ურთიერთგატანას, რადგანაც ქვეყნის განაპირა კუთხეში მცხოვრებთა კოლექტიურმა მეხსიერებამ კარგად შეისისხლხორცა ერთობის ძალის ფასი. ამის დასტურია ანდაზა – „ერთი ხელი რამე არაა, ორი ხელით ხმა იქნება“.

ჩვენმა წინაპრებმა ძველთაგანვე გაითავისეს ბიბლიიდან გადმოცემული სიბრძნე: „ბრძნად მეტყველება ვერცხლია, ხოლო დუმილი ოქროა რჩეული“; აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავლების საანდაზო მეტყველებაში ეს თეზა ამგვარად გამოითქმის: „სიტყვა გუმიშია (ვერცხლი), უხმიობა – ალთუნი (ოქრო)“.

ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ანდაზებში გულისტკივილიანი გამოძახილი პოვა იმ დიდმა საწუხარმა, რაც მშობლიურ ფესვებს მოწყვეტილთა მუდმივი თანამგზავრია; სამშობლოსა და თვისტომთა მონატრებაა ჩაქსოვილი ჩვენებურთა ანდაზაში „ქართველი იყოს და ტალახიანი იყოსო“; // „ჩვენებური იყოს და ტალახიანი იყოსო“.

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული ანდაზის – „როცა გშია, ზაქარია, ცივი მჭადიც შაქარია“ – სიბრძნე ქართველ მუჰაჯირებში ამგვარად ჟღერს: „შენ არ გშია, ზექერია, რომ შეგემშეს, ჰელვა გიგიხდება ცივი ჭადი“.

სიკეთისადმი სწრაფვას ზოგადქართულის მსგავსი („გაჲარე, ქვაზე დადე, გამოჲარე, წინ დაგხვდება“) ანდაზით გადმოსცემენ ჩვენებურები: „გავლაჲ ქვაზე დადეო, გამოვლაჲ დიგიხდებაო“.

ქართველ მუჰაჯირთა სიბრძნის პოეზიაში ძალზე პოპულარულია და მრავალ ვარიანტად დავაფიქსირეთ ქართული ხალხური ანდაზა „ავიფურთხე – ულვაშს მოხვდა, დავიფურთხე – წვერებსაო“: „ევფურტნე – ბუჲღას მოხვდა, დევფურტნე – წვერსაო“ („ზეით ავფურტნე, ულვაშზე მომხვდაო, ქვეით დევფურტნე, წვერზე მომხვდაო“; „ზეით ევფურტნე, ბუჲღია, ქვეით დევფურტნე, წვერიაო“). ეს ანდაზა იდენტური ლექსიკით გვხვდება აჭარის ზეპირსიტყვიერებაშიც.

წინდახედულობას, თავშეკავებულობას და წარმოსათქმელი სიტყვისადმი გონივრულ, ფხიზელ დამოკიდებულებას ქადაგებენ ჩვენებურთა ანდაზები: „იფიშმანო, იფიშმანო და ისე’და თქვა“; „ათჯერ’ნა დაზომო, ერთჯერ’ნა დაჭრა“; „ატეხვას თავის გატეხვა აქ“ და სხვა.

შრომა, შრომის სიკეთე და საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმის კეთების სურვილი ადამიანის უპირველეს მოვალეობად მიაჩნიათ ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებს. მათი საანდაზო მეტყველებისათვის დამახასიათებელია ხოტბა-დიდების შესხმა მშრომელი, დაუზარელი ადამიანებისათვის; საქმისადმი სერიოზული, დროული დამოკიდებულება გამოსჭვივის ანდაზებში: „აგორვებულ ქვას ჲონსული არ ექნება“ („გაგორვებული ქვა ხავს არ დეჲკავებს“); „ადრელაჲ ადგები, საქმეს მალე დალევო“; „ერთი დღის საქმე წინ’ნა მეჲგდოვო“; „საღამოს საქმეს დილის საქმე სჯობსო“.

შრომა-გარჯისადმი სწრაფვასა და სიყვარულზე მიუთითებს ჩვენებურთა ანდაზა: „დედაბერ საქმე დალევია, შალვარი უუნგრია, შუუკერია“. ამგვარ სენტენციათა გვირგვინად შეიძლება ჩავთვალოთ ანდაზა: „რვა დღის ომრითვინ ცხრა დღე’ნა ისაქმო“.

შრომისმოყვარეობასთან ერთად, ქართველ მუჰაჯირთა საანდაზო სიბრძნე სწორად დაგეგმილ, მიზანმიმართულ გარჯაზეც საუბრობს: „ღელი ქენერში სიმინდ დათესავ ღვარითვინაო“.

ქართველ მუჰაჯირთა სიბრძნის პოეზია, ზოგადქართულის მსგავსად, გმობს სიხარბეს, სხვათა ქონებაზე თვალის დაჭერას: „სხვის ვირზე რომ შეჯდები, მალე ჩამოხვალო“; „სხვის ცხენზე რომ

შეჟდები, სოფლის შუაში ჩამოხვალო“; „ღორი ყანაში რო შევა, გაძღომამდე ჭამსო“; „რაცხამდონი საბანი გაქ, იმდონე გაწვადე ფეხებიო“.

ზოგადკაცობრიული ჰუმანიზმის გამომხატველია ჩვენებურთა პარემია: „ღმერთის გაჩენილი არ მეჲკლებაო“.

ჩვენებურთა საანდაზო სიბრძნეს არც სიკვდილ-სიცოცხლის თემაზე კაცობრიობის ოდინდელი წუხილი გამორჩენია: სიკვდილის გარდუვალობა ასეა გადმოცემული: „შავი მორგვი სუნყველას კუჩხეში მიგორდება“; „რომ დღე დეგველევა, მოვკვდეთ უნდა“.

მუყაითი მშრომელისათვის ნაამაგარის მოფრთხილება, ყაირათიანობა თანდაყოლილი თვისებაა; კარგმა მეურნემ იცის, თუ რა დროს რა დასჭირდება; ამაზე მიუთითებს ანდაზა: „შეინახე ბზე, მუა მისი დრო“.

ტრადიციული ქართული ანდაზა „მულო, შენ გეუბნები და რძალო, შენ გაიგონეო“, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული საქართველოს ყველა კუთხეში, აჭარელ მუჰაჯირთა შორის ამგვარად შემონახულა: „გოგო, შენ გებნევი, გელინო, შენ გეჲგონე!“

უძველესი ქართული ხალხური საანდაზო სიბრძნე ტკბილმოუბრობის ყოვლისშემძლეობაზე, რომელიც შოთა რუსთაველის გენიალურ „ვეფხისტყაოსანში“ დიდებულად გაჟღერდა („გველსა ხვრელით გამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“) ჩვენებურთა ზეპირსიტყვიერებაში ამგვარად ჟღერს: „ლამაზი ენა გველს გამეჲყვანს ჲერიდანო“.

ქართული ხალხური საანდაზო სიბრძნე ყოველთვის გმობს მკვეხარობასა და ცრუპენტელობას, გულზვიადობას, ამხელს არაფრისმაქნის ადამიანს. ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ფართოდ გავრცელებული ანდაზა მკვეხარა ყორანზე, რომელიც თეთრი კვერცხის დადებაზე ოცნებობს, მუჰაჯირთა შთამომავლებშიც დავადასტურეთ: „ყორან უთქმია, აქზე შავ კვერცხ ვდეფო, გაღმაზე გავალო, თეთრ დავდეფო. გასულა და იქაც შავი დუუდვია“. ანდა: „ყორანსა უთხრობიაო, აქზე შავ კვერცხ ვდეფო, იქზე გავალ, თეთრ დავდეფო. ვერ უქნიაო“. ამ სიბრძნის შეჯამება კი ამგვარად გამოიხატა: „გონჯი ინსანი კაჲ არ გახდება“. თავმდაბლობას ქადაგებს ქართველ მუჰაჯირთა შორის გავრცელებული ანდაზაც – „ჭიაყელაჲ გველზე დაზმანებია, მიეწიო’ნაო, გაწიწულა, წელიდან გადაწყვეტილა“; ამ პარემიას პარალელები ზოგადქართულ ფოლკლორშიც ეძებნება.

უფროსი თაობის, განსაკუთრებით კი მშობლების, პატივისცემა ქართულ ხალხურ ანადაზათა აქტუალური და საპატიო თემაა. ჩვენებურთა სიბრძნის პოეზიაც გმობს ამპარტავან, ყოყლოჩინა, უმადურ შვილებს: „წაბლი ბუჯგიდან გამოვდაო, ბუჯგს აღარ კადრულობსო“; ანდა: „წაბლი ბუჯგიდან გამოვდა, ბურჯგელა არ მოეწონაო“; ან კიდევ: „წაბლი რომ გამოსულა, იშტე ბუჯგიდან, აღარ უკადრია“. ეს საანდაზო სიბრძნე მცირეოდენი ვარიაციული ფორმით ფართოდ არის გავრცელებული საქართველოს ყველა კუთხეში, განსაკუთრებით კი – აჭარაში.

უფროსების დაფასებას, მათი შესაძლებლობების რწმენას ქადაგებს, აგრეთვე, აჭარელ მუჰაჯირთა შორის გავრცელებული ანდაზა „ბერი ხარის რქამან მოხნისო“ („ბერი ხარის ქაც ხნისო“), რაც საქართველოს თითქმის ყველა კუთხის ზეპირსიტყვიერებაშია გავრცელებული და ასე ჟღერს: „ბებერი ხარისა რქანიც ხნავენო“, ანდა: „ბებერი ხარის რქანიც ეწევიანო“. უფროსისადმი მოკრძალება ჩვენებურთა ანდაზებში შემდეგნაირად არის წარმოჩენილი: „დიდი ილაპარიკებს, პაწაჲ უყურებს“.

ზოგადქართულ ზეპირსიტყვიერებაში ფართოდ გავრცელებული ანდაზა – „ავი ძაღლი არც თვითონ ჭამს და არც სხვას აჭმევს“ – ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებთან იდენტურად ჟღერს: „ძაღლმა არც მან შეჭამა, არც სხვას აჭამა“.

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ძალზე პოპულარული ანდაზა – „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახე“ – ჩვენებურების ზეპირმეტყველებამ ამგვარი ვარიანტებით შემოგვინახა: „დედას უნდა შეხედო, ციცაჲ ითხოვოო“; „ბასმას შეხედე, ძაფი ნახე, ნენეს შეხედე, ფაციაჲ ითხოვეო“; „ნენეს’ნა შეხედო, გოგო ისე ითხუო“.

“კარგი შვილი დედის გულის ვარდიაო“, – გვასწავლის ქართული ხალხური ანდაზა. აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავლებში ეს სიბრძნე ამგვარად გამოითქმის: „კარგი შვილი ნენესი გულია“.

კუთხე-მეზობლობა ძველთაგანვე დიდად ფასობს საქართველოში. აჭარიდან თურქეთის რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში ჩასახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლებს წინაპრებმა, სხვა მრავალ ჰუმანურ წეს-ჩვეულებებთან ერთად, მეზობლის სიყვარული და პატივისცემაც უანდერძეს,

რაც დიდებულად გამოიხატა საანდაზო სიბრძნეშიც: „შორ ბაბა-ნენესა ახლოს დუშმანი მეზობელი სჯობსო“; „მეზობელ რო ფუში ატკივდება, შენც ხელი’ნა მეჲსვაო“. ეს უკანასკნელი პარემია განზოგადოებულადაც გვხვდება, რაც ჩვენებურთა კიდევ უფრო ამაღლებულ კაცთმოყვარეობაზე მიანიშნებს: „სხვას მუცელი ატკივდება, შენც ხელი’ნა მეჲსვაო“.

ჩვენს ბრძენ წინაპრებს კარგად ესმოდათ ძირეული კავშირი წარსულს, აწმყოსა და მომავალს შორის; იცოდნენ, რომ ყველას და ყველაფერს თავისი წინაპირობა და მომავალი გააჩნია. ამ პრობლემასთან დაკავშირებული საქართველოს ყველა კუთხეში გავრცელებული ანდაზა – „ჭინჭრის ადგილზე ჭინჭარი ამოვა“ – მუჰაჯირთა შთამომავლებშიც დავაფიქსირეთ: „ჭინჭარი ძირიდან ჭინჭარი ამოვაო“, „ჯინჭართან ჯინჭარი ამუა“ და სხვა. არსებითად ამავე სენტენციისაა ანდაზა: „ცხემლის გადანაჭარზე ცხემლა ამუაო, აბა, ფთხმელა ხომ არ ამუაო!“

აჭარის ფოლკლორში ფართოდ გავრცელებული ანდაზა „ყველაჲ მისი ჭლიკით დეიკიდებაო“ თითქმის იდენტურად არის შემონახული აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაში: „ყველა მის ფეხიდან დეიკიდება“. ეს უდიდესი საკაცობრიო სიბრძნე ერთგვარი გაფრთხილებაც არის იმისა, რომ ადამიანმა მუდმივად სიკეთე თესოს, რადგან ყველა დაფარული ბოლოს დღის სინათლეზე გამოდის.

ქართველი კაცი ოდითგანვე მიელტვის ცოდნის შეძენას; სწავლა, წიგნი, სიბრძნე ქართული ხალხური საანდაზო მეტყველების განუყოფელი თემებია. აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავლებმა თავიანთი დამოკიდებულება ამ პრობლემის მიმართ გამოხატეს ანდაზით: „კაცმა, რომელმაც კითხვა არ იცის, ძროხასავეთაა“.

ზოგადქართული ზეპირსიტყვიერების დარად, ქართველ მუჰაჯირთა ფოლკლორში ხშირად ანდაზები ამა თუ იმ ჟანრის ლექსთა შემადგენელ ნაწილად (ძირითადად პარალელიზმისათვის) გამოიყენება; ამის დასტურია საქარიას (ადაბაზარი) პროვინციის გეივეს რაიონის სოფელ ნურუოსმანიეში მცხოვრებ აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავლის – 53 წლის ქალბატონის – გულიზარ ქოლათისაგან 2018 წლის 10 ივლისს ჩაწერილი სატრფიალო ლექსი:

გავლაჲ ქვა ქვაზე დადე,
გამოვლაჲ დიგიხდება;
შენი ლამაზი თვალზე
მაგ წარბები გიხდება!

ამგვარი საანდაზო ლექსები მრავლად გვაქვს საქართველოს ყველა კუთხის ზეპირსიტყვიერებაში.

დასკვნა. ანდაზებში გადმოცემულია ჩვენი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ყოფა-ცხოვრება თავისი დადებითი და უარყოფითი მოვლენებით. მათი შინაარსის გათვალისწინება მათივე წარმოქმნის ეპოქაზეც მიგვითითებს. ანდაზის არსი კარგად არის გაშლილი ლინგვოკულტუროლოგიურ ასპექტში იაკობ გოგებაშვილის სიტყვებით: „ხალხის მიერ დაგროვილი გამოცდილება, დაკვირვება, მთელი ერის ნაფიქრალი, ნაგრძნობი სიბრძნე, რწმენა, შეხედულება და ჭირ-ვარამი, ერის გონებამახვილობა, მისი ზნე, მისი ბუნება და ხასიათი ამ ერთწინადადებიან ნათქვამშია არეკლილი და დაკრისტალებული“ (გოგებაშვილი, 1990:12).

ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ხალხურ სიტყვიერებაში შემონახული ანდაზებიც ერთი მხრივ წინაპართა მიერ ნაანდერძევი სიბრძნეა, რომელიც ჩვენებურების ზნეობრივ-ეთიკური დონის მაჩვენებელია, მეორე მხრივ კი ერთგვარი სულიერი საგზალია თურქულ გარემოცვაში მცხოვრებ მუჰაჯირთა შთამომავლების „გურჯობის“ განსამტკიცებლად და შესანარჩუნებლად.

ბიბლიოგრაფია:

ბსუ-ს ქართველოლოგიის ცენტრის ექსპედიციის მასალები, 2018, ბათუმი;
გოგებაშვილი, ი.(1990). *ანდაზების შესახებ*, გამომცემლობა „თბილისი“.
კიკნაძე, ზ. (2008). *ქართული ფოლკორი,* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

სახოკია, თ. (1967). *ქართული ანდაზები.* თბილისი. გამომცემლობა „განათლება“
სახოკია, თ. (1979). *ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი.* თბილისი. გამომცემლობა „მერანი“.
ჩიქოვანი, მ. (1986)ა. *ანდაზების ისტორიისა და თეორიის საკითხები.* თბილისი. გამომცემლობა „მეცნიერება“.
ჩიქოვანი, მ. (1986)ბ. *ხალხური შემოქმედების ისტორიისა და თეორიის საკითხები.* თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

PROVERBS OF THE DESCENDANTS OF THE GEORGIAN MUHAJIRS

TINA SHIOSHVILI
PhD in Philology,
Professor at Batumi Shota Rustaveli State University,
E-Mail: tina.shioshvili@bsu.edu.ge
ORCID: 0000-0002-4745-9260

TAMAR MATCHUTADZE
PhD in Philology,
Invited Teacher at Batumi Shota Rustaveli State University,
E-Mail: t.matchutadze@bsu.edu.ge
ORCID: 0000-0002-5709-9764

Abstract: The first generation of Georgian emigrants experienced profound sadness and worry from their separation from their motherland. They bequeathed to their descendants a precious legacy: one of the most unmistakable expressions of their identity – oral traditions, including proverbs, which have been shaped and refined by the harsh lessons of life over the centuries. This article presents research based on a scientific expedition that reveals how the Muhajirs have created something new, adapting their cultural expressions to the social environment of their new home. Philanthropic by nature, they are deeply committed to brotherhood and friendship. They live fully in their communities, speak their native language, and express genuine concern that the new generation may struggle to do the same for various reasons.

Keywords: Muhajirs, paremia, word of mouth, folklore.

* * *

Introduction: Proverbs are often referred to as the treasure of a people, and rightly so. No other genre of folk creativity can so concisely and vividly convey a nation's wisdom, keen sense of observation, and the fluidity and flexibility of its language. Proverbs encapsulate the essence of a people's life – everything that has touched them directly, everything they have experienced – joy or sorrow, bitterness or sweetness, despair or elation, hope or helplessness. All of these emotions and experiences are masterfully distilled into brief yet powerful phrases.

The folklore of the descendants of the Muhajirs, documented between 2012 and 2018 by the permanent complex expedition of the Center for Kartvelology at the Faculty of Humanities of Batumi Shota Rustaveli State University, is both rich and diverse. As Gogla Leonidze would say, it „has roots in the motherland.“ Among the most distinctive genres of this oral tradition is the proverb, which Professor Zurab Kiknadze aptly described as the „poetry of wisdom“ (Kiknadze, 2008: 324).

The proverb is deeply rooted in the natural evolution of language, seamlessly woven into its twists and turns. Its creator is both a contemporary witness to the people's lives, a visionary of the future, and a chronicler of the past. Proverbs serve as a powerful force of inner resilience in times of adversity, consistently acting as a faithful guide and teacher throughout all eras. These maxims have been passed down as a precious legacy to the present generation of Georgian Muhajirs, who, like their fathers and grandfathers, continue to heed their wisdom.

Methods: The research used descriptive, critical analysis, synthesis, induction, and deduction methods.

Discussion: Most of the proverbs found in the oral traditions of Georgian Muhajir descendants have parallels in various regions of Georgia, particularly in Adjara. Like the proverbs passed down across different parts of Georgia, these Muhajir expressions of wisdom promote humane values such as brotherhood, friendship, neighborliness, and mutual tolerance. The collective memory of those living in remote corners of the country has deeply internalized the strength found in unity. A testament to this is the proverb: „ერთი ხელი რამე არაა, ორი ხელით ხმა იქნება“. ([erti kheli rame araa, ori khelit khma ikneba] „One hand is nothing; with two hands, it becomes a voice.“)

Our ancestors have long embraced the wisdom of the Bible: „Wise speech is silver, but silence is the preferred gold.“ In the proverbial language of the Adjarian Muhajir descendants, this idea is expressed as: „სიტყვა გუმიშია (ვერცხლი), უხმიობა – ალთუნი (ოქრო)“ ([sitkva gumishia, ukhmioba – altuni] „Words are like gumish (silver), silence is like altun (gold).“)

The proverbs of the Georgian Muhajir descendants also reflect the deep sorrow of those separated from their homeland – a constant companion of exile. The longing for one's native land and people is poignantly captured in the saying: „Let it be Georgian and be muddy“ or „Let it be ours and be muddy.“

The wisdom of the Georgian proverb „როცა გშია, ზაქარია, ცივი მჭადიც შაქარია“ ([rotsa gshia, Zakaria, tsivi mchadits shakaria] „When you are hungry, Zekeria, even a cold chadi (maize bread) is sugar“) takes on a slightly different form among the Georgian Muhajirs: „შენ არ გშია, ზექერია, რომ შეგემშეს, ჰელვა გიგიხდება ცივი ჭადი“ ([shen ar gshia, zekeria, rom shegemshes, helva gigikhdeba tsivi chadi] „You are not hungry, Zekeria; when you are hungry, you will eat cold chadi like halva.“)

The striving for goodness is expressed by Chveneburebi (Muhajirs) in a proverb similar to the general Georgian (“გაჲარე, ქვაზე დადე, გამოჲარე, წინ დაგხვდება“ [gaiare, kvaze dade, gamoiare, tsin dagkhvdebao]) (“Go, put it on a stone, come back, it will meet you“).

The Georgian folk proverb „I spat up – it hit my mustache, I spat down – it hit my beard“ is very popular in the wisdom poetry of the Georgian Muhajirs and we have recorded it in many variants: (“ზეით ავფურტნე, ულვაშზე მომხვდაო, ქვეით დევფურტნე, წვერზე მომხვდაო“ [zeit avpurtne, ulvashs mokxvdao, kveit devpurtne, tsverze momkhvdao]; „ზეით ევფურტნე, ბუიღია, ქვეით დევფურტნე, წვერიაო“ [zeit evpurtne, buigia, kveit devpurtne, tsveriao]). This proverb is also found in the oral language of Adjara with identical vocabulary.

Prudence, restraint, and a reasonable, sober attitude to the spoken word are preached by our proverbs: „იფიშმანო, იფიშმანო და ისე'და თქვა“ ([ipishmano, ipishmano da ise'da tkva] „first think and then say“); „ათჯერ'ნა დაზომო, ერთჯერ'ნა დაჭრა“ ([atjer'na dazomo, ertjer'na dachra] „Measure ten times, cut once“); „ატეხვას თავის გატეხვა აქ“ ([atekhvas tavis gatekhva ak] „If you don't stop, you'll lose your head“), and others.

The descendants of Georgian Muhajirs regard work, the virtue of labor, and the commitment to contributing to society as fundamental human responsibilities. Their proverbial speech frequently praises hardworking, tireless individuals, emphasizing the importance of a diligent and timely approach to work. This perspective is reflected in their proverbs: „აგორვებულ ქვას ჲონსული არ ექნება“ / „გაგორვებული ქვა ხავს არ დეჲკავებს“ ([agorvebul kvas ionsuli ar ekneba / gagorvebuli kva khavs ar deikavebs] „A rolling stone gathers no moss“); „ადრელაჲ ადგები, საქმეს მალე დალევო“ ([adrelai adgebi, sakmes male dalevo] „Rise early, finish your work sooner“); „ერთი დღის საქმე წინ'ნა მეჲგდოვო“ ([erti dgis sakme tsin'ns meigdovo] „Set the day's work before you“); „საღამოს საქმეს დილის საქმე სჯობსო“ ([sagamos sakmes dilis sakme sjobso] „Morning work is better than evening work.“).

The desire and love for hard work is indicated by the proverb of Chveneburebi: „დედაბერ საქმე დალევია, შალვარი უუნგრია, შუუკერია“. ([dedaber sakme dalevia, shalvari uungria, shuukeria] „Out of boredom, the old woman cut off her pants and sewed them back together“). The crowning glory of such sayings can be considered the proverb: „რვა დღის ომრითვინ ცხრა დღე'ნა ისაქმო“ ([rva dgis omritvin tskhra dge'na isaqmo] „You have to work nine days to live eight days.“)

Along with hard work, the proverbial wisdom of the Georgian Muhajirs also speaks of properly planned, purposeful work: „ღელი ქენერში სიმინდ დათესავ ღვარითვინაო“ ([geli kenershi simind datesav gvaritvinao] „You sow corn for the flood by the riverbank.“)

The wisdom poetry of the Georgian Muhajirs, like the general Georgian, condemns greed and coveting others' property: „სხვის ვირზე რომ შეჯდები, მალე ჩამოხვალო“ ([skhvis virze rom shejdebi, male chamokhvalo] „If you ride someone else's donkey, you will soon fall“); „სხვის ცხენზე რომ შეჟდები, სოფლის შუაში ჩამოხვალო“ ([skhvis tskhenze rom shejdebi, soplis shuashi chamokhvalo] „If you ride someone else's horse, you will fall in the middle of the village“); „ღორი ყანაში რო შევა, გაძღომამდე ჭამსო“ ([ghori kanashi ro sheva, gadzgomamde chamso] „When a pig enters a field, it will eat until it is full“); „რაცხამდონი საბანი გაქ, იმდონე გაწვადე ფეხებიო“ ([ratskhamdoni sabani gak, imdone gatsvade pekhebio] „Spread your legs as much as you have a blanket.“)

The expression of universal humanism is the proverb of Chveneburebi: „ღმერთის გაჩენილი არ მეჲკლებაო“ ([gmertis gachenili ar meiklebao] „What is born of God cannot be killed.“)

The proverbial wisdom of our ancestors has not overlooked humanity's eternal contemplation of life and death. The inevitability of death is expressed through sayings such as: „შავი მორგვი სუნყველას კუჩხეში მიგორდება“ ([shavi morgvi sunkvelas kuchkheshi migordeba] „A ball of black thread is rolled up in everyone's corner“); „რომ დღე დეგველევა, მოვკვდეთ უნდა“ ([რომ დღე დეგველევა, მოვკვდეთ უნდა] „When the day is over, we must die“).

For a skilled worker, attentiveness and precision are innate traits; a good farmer knows exactly what he will need and when. This wisdom is reflected in the proverb: „შეინახე ბზე, მუა მისი დრო“ ([sheinakhe bze, mua misi dro] „Take care of the shed, its time will come“. The traditional Georgian proverb, „მულო, შენ გეუბნები და რძალო, შენ გაიგონეო“ ([mulo, shen geubnebi da rdzalo, shen gaigoneo“] „Daughter-in-low, I'm telling you, and sister-in-law, you hear me“) which is widely known across Georgia, has been preserved among the Adjarian Muhajirs as: „გოგო, შენ გებნევი, გელინო, შენ გეჲგონე!“ ([gogo, shen gebnevi, gelino, shen geigone!]).

The ancient Georgian folk proverb about the power of sweet speech, magnificently expressed in Shota Rustaveli's masterpiece „The Knight in the Panther's Skin“ (“გველსა ხვრელით გამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“ [gvelsa khvrelit gamoikvans ena tkbilad moubari] „A tongue that is sweetly spoken will draw a snake out of a hole“), is preserved in the oral tradition of Chveneburebi as: „ლამაზი ენა გველს გამეჲყვანს ჲერიდანო“ ([lamazi ena gvels gameikvans ieridano].

Georgian folk proverbs consistently condemn hypocrisy and insincerity and expose those who merely pretend to act. The well-known Georgian saying about the crow dreaming of laying a white egg is also preserved among the descendants of the Muhajirs: „ყორან უთქმია, აქზე შავ კვერცხ ვდეფო, გაღმაზე გავალო, თეთრ დავდეფო. გასულა და იქაც შავი დუუდვია“ ([koran utkmia, akze shav kvertskh vdepo, gaghmaze gavalo, tetr davdepo. Gasula da ikats shavi dudvia] „The crow said, 'I will lay a black egg here, but over there, I will lay a white one.' Yet when it moved, the egg remained black“). Another version states: „ყორანსა უთხრობიაო, აქზე შავ კვერცხ ვდეფო, იქზე გავალ, თეთრ დავდეფო. ვერ უქნიაო“ ([korans utkhrobiao, akze shav kvertskh vdepo, ikze gaval, tetr davdepo. Ver ukniao“] The crow said, 'I will lay a black egg here, and a white one over there,' but it could not do so.“). This wisdom is concisely summarized in the saying: „გონჯი ინსანი კაჲ არ გახდება“ ([gonji insani kai ar gakhdeba] „A bad person will not become good“). Humility is also emphasized in a proverb common among Georgian Muhajirs: „ჭიაყელაჲ გველზე დაზმანებია, მიეწიო'ნაო, გაწიწულა, წელიდან გადაწყვეტილა“ ([chiakelai gvelze dazmanebia, mietsionao, gatsitsula, tselidan gadatskvetila] „The worm compared itself to the snake, liked it, stretched out, and split in half from the waist down“). Parallels to this saying can also be found in broader Georgian folklore.

Respect for the older generation, especially parents, is a central and honorable theme in Georgian folk proverbs. The wisdom of Chveneburebi also condemns arrogance and ingratitude in children. This sentiment is reflected in sayings such as: „წაბლი ბუჯგიდან გამოვდაო, ბუჯგს აღარ კადრულობსო“ ([tsabli bujgidan gamovdao, bujgs agar kadrulbso] „The chestnut came out of the husk and no longer deigns to acknowledge it“ or: „წაბლი ბუჯგიდან გამოვდა, ბურჯგელა არ მოეწონაო“ ([tsabli bujgidan gamovda, burjgela ar moewonao] „The chestnut that came out of the husk didn't like the husk itself“ or even: „წაბლი რომ გამოსულა, იშტე ბუჯგიდან, აღარ უკადრია“ ([tsabli rom gamosula, ishte bu-

jgidan, agar ukadria] „The chestnut that fell out of the husk, it no longer liked it.“ These proverbs, with slight variations, are widely spread across Georgia, especially in Adjara.

The appreciation of elders and belief in their wisdom is also reflected in the proverb „ბერი ხარის რქამან მოხნისო“ ([Beri kharis rkaman mokhniso/Beri kharis kats khniso] „Even the old bull's horn is plowing“), which is widespread in the oral traditions of almost all regions of Georgia and is expressed as: „ბებერი ხარისა რქანიც ხნავენო“ ([beberi kharisa rkanits khnaveno]), or „ბებერი ხარის რქანიც ეწევიანო“ [beberi kharis rkanits etseviano]. Modesty and respect toward elders are emphasized in the proverbs of our people, such as: „დიდი ილაპარიკებს, პაწაჲ უყურებს“ ([didi ilaparikebs, patsai ukurebs] „When the elder speaks, the younger listens.“)

The proverb widely spread in Georgian oral speech – „ავი ძაღლი არც თვითონ ჭამს და არც სხვას აჭმევს“ ([avi dzagli arts tviton chams da arts skhvas achmevs] „A bad dog neither eats itself nor feeds others“ – sounds identical to the descendants of Georgian Muhajirs: „ძაღლმა არც მან შეჭამა, არც სხვას აჭამა“ [dzaglma arts man shechama, arts skhvas achama].

A very popular proverb in Georgian oral tradition – „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახე“ ([deda nakhe, mama nakhe, shvili ise gamonakhe] „“Find the mother, find the father, find the child“) – has been preserved in our oral speech in various forms: „დედას უნდა შეხედო, ციცაჲ ითხოვოო“ [dedas unda shekhedo, tsitsai itkhovoo], „ბასმას შეხედე, ძაფი ნახე, ნენეს შეხედე, ფაციაჲ ითხოვეო“ [basmas shekhede, dzapi nakhe, nenes shekhede, patsiai itkhoveo], „ნენეს'ნა შეხედო, გოგო ისე ითხუო“ [nenes'na shekhedo, gogo ise itkhuo].

Georgian folk proverb teaches us „კარგი შვილი დედის გულის ვარდიაო“ [kargi shvili dedis gulis vardiao] „A good child is the rose of a mother's heart“. Among the descendants of the Adjarian Muhajirs, this wisdom is expressed in this way: „კარგი შვილი ნენესი გულია“ ([kargi shvili nenesi gulia] „A good child is the heart of a mother“).

Neighborhood has been highly valued in Georgia since ancient times. The ancestors of the descendants of the Muhajirs who settled in various regions of the Republic of Turkey from Adjara, along with many other humane customs, bequeathed love and respect for one's neighbor, which was magnificently expressed in proverbial wisdom: „შორ ბაბა-ნენესა ახლოს დუშმანი მეზობელი სჯობსო“ ([shor baba-nenesa akhlos dushmani mezobeli sjobso] „Better a neighbor near than a distant enemy“); „მეზობელ რო ფუში ატკივდება, შენც ხელი'ნა მეჲსვაო“ [mezobel ro pushi atkivdeba, shents kheli'na meisvao] „If your neighbor has a stomachache, you should rub your stomach too“). This last proverb is also found in a generalized form, which indicates an even higher level of philanthropy among our people: „სხვას მუცელი ატკივდება, შენც ხელი'ნა მეჲსვაო“ [skhvas mutseli atkivdeba, shents kheli'na meisvao] „When someone else's stomach hurts, you should rub your stomach too“).

Our wise ancestors understood well the fundamental connection between the past, present, and future; they knew that everyone and everything has its own prerequisites and destiny. The proverb common in all corners of Georgia, reflecting this idea – „ჭინჭრის ადგილზე ჭინჭარი ამოვა“ ([chinchartan chinchari amova] „In the place of a nettle, a nettle will grow“) – was also recorded among the descendants of the Muhajirs in variations such as: „ჭინჭარი ძირიდან ჭინჭარი ამოვაო“, „ჯინჭართან ჯინჭარი ამუა“ [chinchri dziridan chinchari amovao / chinchartan chinchari amua]. A proverb conveying a similar sentiment states: „ცხემლის გადანაჭარზე ცხემლა ამუაო, აბა, ფთხმელა ხომ არ ამუაო!“ ([tskhemlis gadanacharze tskhemla amua, aba, ptkhmela khom ar amuao] „The same tree will grow from the same root“).

The proverb widely spread in Adjara folklore, „ყველაჲ მისი ჭლიკით დეიკიდებაო“ ([kvelai misi chlikit deikidebao] „Everyone is hanging by his ankle,)“ has been almost identically preserved in the speech of the descendants of the Adjara Muhajirs as: „ყველა მის ფეხიდან დეიკიდება“ ([kvela mis pekhidan deikideba] „Everyone is hanging by his feet.)“ This profound human wisdom also serves as a warning – that one should always sow goodness, for everything hidden eventually comes to light.

The Georgian man has always longed for knowledge; learning, books, and wisdom are inseparable themes of Georgian folk proverbs. The descendants of the Adjarian Muhajirs expressed their attitude

toward this issue with the proverb: „კაცმა, რომელმაც კითხვა არ იცის, ძროხასავეთაა“ ([katsma, romelmats kitkhva ar itsis dzrokhasavetaa] „A man who doesn’t know how to read is like a cow“).

As part of the broader Georgian oral tradition, proverbs are frequently incorporated into the folklore of Georgian Muhajirs, often appearing within poems of various genres (primarily for parallelism). This is exemplified by a romantic poem written by Gulizar Kolati, a 53-year-old woman from the village of Nuruosmaniye, Geyve district, Sakarya (Adabazar) province, on July 10, 2018:

გავლაჲ ქვა ქვაზე დადე,
გამოვლაჲ დიგიხდება;
შენი ლამაზი თვალზე
მაგ წარბები გიხდება!

([gavlai kva kvaze dade,
Gamovlai digikhdeba;
Sheni lamazi tvalze
Mag tsarbebi gikhdeba!]

When passing, place a stone on a stone,
When leaving, it will meet you in front;
Those eyebrows suit
on your beautiful eyes!)

We have many such proverbial poems in the oral tradition of all corners of Georgia.

Conclusion. Proverbs encapsulate the centuries-old experiences of our people, reflecting both positive and negative events. Their content often reveals the era in which they were created. The essence of proverbs is profoundly expressed in both linguistic and cultural aspects through the words of Iakob Gogebashvili: „The accumulated experience, observations, thoughts, and wisdom of an entire nation – its beliefs, views, struggles, intelligence, morality, nature, and character – are reflected and crystallized within these concise sayings.“ [Gogebashvili, 1990:12].

The proverbs preserved in the folk language of the Muhajirs of the Georgian Muhajirs are, on the one hand, the wisdom bequeathed by our ancestors, which is an indicator of the moral and ethical level of our people, and on the other hand, they are a kind of spiritual guide to strengthen and preserve the „Gurjoba“ (Georgianness) of the descendants of the Muhajirs living in the Turkish environment.

References:

Materials of the expedition of the Center for Kartvelology of the BSU, 2018, Batumi;
Gogebashvili, I. (1990) On Proverbs, Publishing House „Tbilisi“.
Kiknadze, Z. (2008). Georgian Folklore, Tbilisi.
Sakhokia, T. (1967). Georgian Proverbs. Tbilisi. Publishing House „Ganatleba“
Sakhokia, T. (1979). Georgian Idiomatic Words-Sayings. Tbilisi. Publishing House „Merani“
Chikovani, M. (1986)a. Issues of the History and Theory of Proverbs. Tbilisi. Publishing House „Metsniereba“.
Chikovani, M. (1986)b. Issues of the History and Theory of Folk Creativity. Tbilisi: Publishing House „Metsniereba“.

ქართული ჰაგიოგრაფიის სათავეებთან

ეკა ჩიკვაიძე
ფილოლოგიის დოქტორი,
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო
უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული
ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
ელ-ფოსტა: chikvaidzeeka@gmail.com
ORCID: 0009-0002-4096-6427

აბსტრაქტი: საქართველოსა და ბიზანტიის ისტორიაში ჰაგიოგრაფიული (მოწამეობრივი) ლიტერატურის ჩამოყალიბება სხვადასხვა კონტექსტითაა ნაკარნახევი: თუკი I-IV საუკუნეებში წარმართულ რომში ტიპური იყო ქრისტიანთა დევნა, ქართულ რეალობაში ამ შინაარსით გვაქვს მხოლოდ ერთი ტექსტი, რომელიც კოლაელ ყრმათა მარტვილობას – მშობლების მიერ ქრისტიანობის გამო წამებულ ყრმათა ამბავს გადმოგვცემს – „კოლაელ ყრმათა წამება“ (მიუხედავად იმისა, რომ წმიდა შუშანიკ დედოფალი სპარსეთის პოლიტიკურმა მოკავშირემ, ვარსქენმა აწამა, ტექსტს მწვალებელთა ეპოქის ტიპურ ნიმუშად ვერ ჩავთვლით). ამავდროულად, ქართულ ლიტერატურაში მწვალებლობის წინააღმდეგ მებრძოლები არ არიან; განსხვავებულია ქართული ჰაგიოგრაფიის კონტექსტი. დამპყრობელი მტრის მიერ წამებული მოწამე დამახასიათებელია ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურისთვის (მაგალითად, აბო, მიქაელ-გობრონი, ევსტათი მცხეთელი, დავითი და ტარიჭანი...) ეს ქმნის დაპირისპირებულ წყვილს: გმირი-წმინდა და ანტიგმირი, არაქრისტიანი და არაქართველი დამპყრობელი მტერი. მაშასადამე, ქართული ჰაგიოგრაფიის გმირმა სხვა შინაარსი და იდეა შეიძინა: გარდა რელიგიის დაცვისა, მთავარი გმირი ეროვნული იდეების დამცველთან იყო დაკავშირებული (მაგ. აბო, მიუხედავად არაბული წარმოშობისა, მოწამეობრივი ადგილისა და ჰიმნოგრაფებისა და ჰაგიოგრაფების იდეოლოგიური მნიშვნელობის გამო თბილელს ან ისმაელყოფილს ეძახიან).

საკვანძო სიტყვები: აგიოგრაფიული ჟანრის ფორმირება; ქართული ჰაგიოგრაფია; ქართული ჰაგიოგრაფიის გმირი.

* * *

შესავალი: ჰაგიოგრაფია საეკლესიო ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე ადრეული და უდიდესი ჟანრია, რომელიც ყველა ქრისტიანული ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილია. ეს ლიტერატურული ჟანრი ავლენს ბიზანტიური ლიტერატურის გავლენას სხვა ქრისტიანული ქვეყნების ჰაგიოგრაფიულ წერილობით საკითხებზე. ის ასევე განსხვავებულ გამოწვევებს უყენებს, ერთი მხრივ, ბიზანტიელ ავტორებს და, მეორე მხრივ, ქართველ ჰაგიოგრაფებს. განსხვავება ეხება ჟანრის დამკვიდრებას, რადგან ბიზანტიურ ჰაგიოგრაფიაში ეს იყო წამების ქრონიკები, მოქმედების მარტივი ჩანაწერები, ბიოგრაფიები, ისეთივე ტიპისა, როგორიცაა პლუტარქეს ბიოგრაფიები, ენკომიები და თავად წმინდა წერილი. ქართული ჰაგიოგრაფიისთვის კი – ბიზანტიური ჰაგიოგრაფია და წმინდა წერილი.

წყაროების/ლიტერატურის მიმოხილვა: ჰაგიოგრაფიულ ტექსტთა შესწავლისას გამოყენებულია როგორც ქართველი, ასევე უცხოელ მეცნიერთა კვლევები. (ს. ევფიმიადისი, ავერინცევი, ლოსევი, ქ. ჰოგელი, კ. კეკელიძე, ბ. ბარდაველიძე, ბ. კილანავა, კ. დანელია და ე. გიგოლაშვილი, ნ. ვაშაკიძე, ე. ალექსეევა, ა. კისა და სხვა). მათი შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია ახალი კლასიფიკაციის მისადაგება და ტექსტთა შეფასება-სისტემატიზება რაც შესაძლებლობას მოგვცემს, ჩავუღრმავდეთ და პასუხი გავცეთ კითხვებს: რას ნიშნავს კიმენი და რომელ ტექსტებს ვუწოდებთ მათ? არის თუ არა კიმენური შუშანიკის, აბოს, ევსტათი მცხეთელის წამებები და თუ არა, რომელი ტერმინით უნდა მოვიხსენიოთ ქართული ჰაგიოგრაფიის უმეტესი ნაწილი?

მეთოდოლოგია: სტატიაში გამოყენებულია ანალიზური, კომპარატივისტული, ისტორიული, ინდუქციური და დედუქციური მეთოდები.

დისკუსია/შედეგები: ჰაგიოგრაფია, როგორც ლიტერატურული ჟანრი, ბიზანტიურიდან მოდის და ამიტომ სწორედ ბიზანტიური ტექსტები წარმოადგენენ სხვა ქვეყნების ჰაგიოგრაფიული ტექსტებისთვის ნიმუშებსაც. მაშასადამე, ქართველ ჰაგიოგრაფს არ სჭირდება კომპოზიციურ-სტრუქტურული მოდელის შემუშავება, რადგან ეს მოდელი ბიზანტიელმა ჰაგიოგრაფებმა შექმნეს (ეს ეხება ორივე ქვეჟანრს: წმინდანთა ცხოვრებასაც და მოწამეობასაც). ჩამოყალიბებული სტრუქტურულ-კომპოზიციური მოდელების მიღების შედეგად ქართული ჰაგიოგრაფია იმთავითვე შთამბეჭდავად გამოიყურება, თვით ისეთი ტექსტების ფარგლებშიც კი, რომელთაც კიმენურად, ანუ მარტივად, ლიტონად მოიხსენიებენ. აგიოგრაფიის სინკრეტული ბუნების გამო აგიოგრაფიული ტექსტი ისევე, როგორც თავად ამ ტექსტის პროტაგონისტი, როგორც წესი, სცდება კონკრეტული ერის დროსივრცულ ჩარჩოს და განზოგადდება. მაგრამ წმინდად ლიტერატურული თვალსაზრისით, ამ ტექსტებში ხშირადვე შეგვიძლია გამოვკვეთოთ ის მასაზრდოებელი ძარღვი თუ შენაკადები, რომლებიც მათ ფორმირებას და რაგვარობას უწყობს ხელს და ის ტენდენციებიც, რომლებიც მათგან მომდინარეობს ამა თუ იმ ქვეყნის საერთო კულტურულ ფონდში. შესაბამისად, აქ იკვეთება, ერთი მხრივ, აგიოგრაფიული ნარატივის წინაპირობათა რკალი (ბერძნული კულტურული სივრციდან ესაა ანტიკური ბიოგრაფიები და ენკომიები, იუდეველური სამყაროდან – ბიბლიური თხრობა, საერთო ქრისტიანულიდან თვით სახარება, საქმე მოციქულთა), ხოლო, მეორე მხრივ, ახლად ნაქადაგები ქრისტიანობის ზეპირი და წერილობითი გზით გავრცელების კვალი, რომელიც ხშირად (და, ჩვენი აზრით, მცდარად) პრექრისტიანულ ფოლკლორულ გადმოცემებად მოიაზრება ხოლმე. სწორედ ამ ჩამოთვლილ ნიშანთა ერთობლიობა გვიქმნის წარმოდგენას ქართული ორიგინალური აგიოგრაფიის საწყისსა და სათავეებზე. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, ფაქტოლოგიური მასალა, რომელიც გვაქვს საკუთრივ აგიოგრაფიულ თხრობაში, მეორე მხრივ, ლიტერატურათმცოდნეობითი ასპექტები, რომლებიც თავს იჩენს აგიოგრაფიის საწყის ეტაპზე (ვგულისხმობთ, მაგ. წმინდა ნინოს ავტობიოგრაფიული თხრობის ამსახველი ტექსტი ან კოლაელ ყრმათა წამების ბიოგრაფიული „ისტორიის“ მსგავს თხრობას, რომლებიც ტიპოლოგიურ კავშირს ავლენენ როგორც ანტიკურ ბიოგრაფიებთან, ისე მაკაბელთა ბიოგრაფიის ამსახველ ბიბლიურ ტექსტებთან). მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია ანტიკური და აგიოგრაფიაში ჩართული ენკომიების (მაგ. აბოს წამების მე-4 თავი) ტიპოლოგიური კავშირი და, მესამე მხრივ, ყურადღებას იქცევს ქართული ფოლკლორული ნაკადი, რომელიც წმინდა გიორგის, ათენოგენის, ბასილი დიდის, ბარბარეს, კვირიკეს, მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრებათა სხვადასხვა გახალხურებულ ეპიზოდს წარმოაჩენს. ეს დაკვირვება ცხად წარმოდგენას გვიქმნის ქართული აგიოგრაფიის, როგორც კულტურათა გზაშესაყარის ერთგვარი პროდუქტის, სათავეების რაგვარობაზეც.

ნარატოლოგიური თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია, რომ აგიოგრაფია თანადროულად ჩამოყალიბდა როგორც წამებათა აქტების დოკუმენტური ჩანაწერების სახით, ისე ლიტურგიკული დანიშნულების ტექსტებად. თუმცა მიუთითებენ, რომ მეორე პირველის საფუძველზე განვითარდა. რადგან ქრისტიანობა ბერძნულ სალიტერატურო სივრცეში გავრცელდა და ჩამოყალიბდა, ხოლო დანარჩენ ქვეყნებში მასზე გვიან და სწორედ ბიზანტიური კულტურიდან გადავიდა, თვით ქრისტიანული ლიტერატურაც (აგიოგრაფიაც მათ შორის) უკვე მზა ლიტერატურული ფორმით გავრცელდა სხვა ქვეყანათა ლიტერატურაში. ასევე მოხდა ქართულ ლიტურგიკულ და სალიტერატურო სივრცეშიც, ეს კი მრავალმხრივ მნიშვნელოვანი ფაქტორია, შესაბამისად, ბერძნული ლიტერატურისგან განსხვავებით, ქართველ აგიოგრაფებს არ სჭირდებოდათ შაბლონებზე, ნარატიულ ფორმებზე ფიქრი, რადგან ეს უკვე შემუშავებული სახით შემოვიდა როგორც თარგმანის, ისე, სავარაუდოდ, ზეპირი გადმოცემების სახით.

ფორმირების თავისებურებები: აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და ბიზანტიის ისტორიაში ჰაგიოგრაფიული (მოწამეობრივი) ლიტერატურის ჩამოყალიბება სხვადასხვა კონტექსტითაა ნაკარნახევი: I-IV საუკუნეებში ეს იყო ქრისტიანთა დევნა წარმართულ რომში, ქართულ რეალობაში მხოლოდ ერთი ტექსტი აღწერს წარმართთა მიერ ქრისტიანთა დევნას: „კოლაელ ყრმათა წამება“;

„შუშანიკის წამება“ კი აღწერს ცხოვრებას და მოწამებრივ აღსასრულს დედოფლისა, რომელიც მოკლა საკუთარმა მეუღლემ (პიტიახშმა, რომელიც იყო სპარსეთის პოლიტიკური მოკავშირე და რომელმაც მიიღო მაზდეანობა, ცეცხლთაყვანისმცემლობა). ამავდროულად, ქართულ ლიტერატურაში არ არსებობს მწვალებლობის წინააღმდეგ მებრძოლები; განსხვავებულია ქართული ჰაგიოგრაფიის კონტექსტი. დამპყრობელი მტრის მიერ წამებული მოწამე დამახასიათებელია ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურისთვის (მაგალითად, აბო, მიქაელ-გობრონი, ევსტათი მცხეთელი, დავითი და ტირიჭანი...), ეს კი ქმნის დაპირისპირებულ წყვილს: გმირი – წმინდანი და ანტიგმირი – არაქრისტიანი და არაქართველი დამპყრობელი მტერი. მაშასადამე, ქართული ჰაგიოგრაფიის გმირმა სხვა შინაარსი და იდეაც შეიძინა: გარდა რელიგიის დაცვისა, მთავარი გმირი ეროვნული იდეების დამცველთან იყო გაიგივებული (მაგ. აბო, მიუხედავად არაბული წარმოშობისა, მოწამეობრივი ადგილისა და გმირის ღვაწლის დატვირთვის გამო ჰიმნოგრაფებსა და ჰაგიოგრაფებთან თბილელად ან ისმაიტელყოფილად მოიხსენიება).

ბიზანტიურ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში ახალი ერა იწყება სვიმეონ მეტაფრასტის ტექსტების გადახედვითა და კორექტირებით. ამ პროცესის შედეგად განხორციელდა სამი მნიშვნელოვანი ცვლილება: 1. გასწორდა ერეტიკოსების მიერ დაზიანებული ტექსტები, 2. შეიცვალა ტექსტების სტრუქტურულ-კომპოზიციური მოდელი და 3. დაიხვეწა ენა. შესაბამისად გამოკვეთილია ბიზანტიური ჰაგიოგრაფიის პრემეტაფრასტული და მეტაფრასტული პერიოდები. უნდა აღინიშნოს, რომ მეტაფრასტული ცვლილების პროცესი ქართული ჰაგიოგრაფიისთვის იგივე არ იქნებოდა. ქართულ ჰაგიოგრაფიას (ანუ ქართულად თარგმნილს) მეტაფრასამდე და მის შემდეგ თავისებური გაგება სჭირდება. ტერმინი პრემეტაფრასტიკა არც კონტექსტით, არც ისტორიული მონაკვეთით და არც შინაარსით არ შეესაბამება ქართულ ტერმინ „კიმენს“. მიუხედავად იმისა, რომ პირველი პერიოდის არცერთი ჰაგიოგრაფიული ტექსტი არ არის მარტივი არც სტილისტური და არც კომპოზიციური მნიშვნელობით, ისინი, ცხადია, არ არის დაწერილი იმ ნორმებით, რომელთაც გამეტაფრასების პროცესში იყენებდნენ ჰაგიოგრაფები და, ცხადია, თავად სვიმეონ მეტაფრასი. თუმცა ჰაგიოგრაფიულ ტექსტთა უმეტესობა (შუშანიკის, ევსტათის, აბოს წამებები, გრიგოლ ხანძთელის, სერაპიონ ზარზმელის, ილარიონ ქართველის ცხოვრებანი და სხვ.) დახვეწილი სტილით, ჩამოყალიბებული სტრუქტურით და კომპოზიციით, თუ სახეობრივი სისტემით, ცხადია, სცდება ლიტონი, მარტივი ტექსტების ფორმატს. ე.ი. ეს ტექსტები უკვე აღარაა კიმენური, მაგრამ ჯერ არაა მეტაფრასული. ამიტომ მათ შესაფასებლად საუკეთესო ტერმინია პრემეტაფრასული. შესაბამისად, თუკი ვიმსჯელებთ ლიტონ კიმენურ ტექსტებზე, უპირველეს ნიმუშად „კოლაელ ყრმათა წამება“ გვესახება. კომპოზიციის სიმარტივით, ნარატივის უბრალოებით, ენის სისადავით სწორედ ეს ტექსტი უნდა ასახავდეს კიმენურ ლიტონ პერიოდს ქართული ჰაგიოგრაფიისა. და პირიქით, სვიმეონ მეტაფრასტის შესწორებული ტექსტების თარგმანების შემდეგ ვხვდებით უფრო გრძელ სტრუქტურულ და კომპოზიციურ თავისებურებებს. ამავდროულად, ბიზანტიური სივრცისგან განსხვავებით, კიმენური (ან კიმენურად წოდებული) ტექსტები ხშირად გამოიყენება მეტაფრასტულ ტექსტთა პარალელურად ქართულ ლიტერატურაში და ხშირად უცვლელადაც. მაშასადამე, ქართული ჰაგიოგრაფიის თავისებურება ისიცაა, რომ არც კიმენურად წოდებული და არც პრემეტაფრასული ჰაგიოგრაფია, ბიზანტიურისგან განსხვავებით, მეტაფრასულ პერიოდში უარყოფილი და დავიწყებული არ ყოფილა, რადგან არ არსებობდა ტექსტთა რევიზირების უპირველესი საფუძველი – წვალებათაგან შერყვნა-დაზიანება.

როგორია ჰაგიოგრაფიული კომპოზიციების სტრუქტურა და არის თუ არა ქართული ჰაგიოგრაფიული კანონი ზოგადი ჩარჩოს მსგავსი? ზოგიერთ სამეცნიერო ლიტერატურაში განასხვავებენ მოწამეების, ერების განმანათლებლების, იერარქების, ღვთისმოსავი მმართველების, წმინდა მამების, ქრისტესთვის ???სულელების ცხოვრებას ტიპოლოგიით და სტრუქტურით (T.R. Rudy). ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა აღწერს თითოეულის ცხოვრებას და მოწამეობას, მაგრამ სტრუქტურული თვალსაზრისით მხოლოდ წამებანი და ცხოვრებანი გამოირჩევა და ტექსტი მხოლოდ კომპოზიციურ ასპექტში ავლენს განსხვავებას. ყოველ შემთხვევაში ეს თემა ჯერ არ არის გამოკვლეული.

გარდა ცხოვრებისა (vita; βίος κα πολιτεία) და აქტებისა (acta ან gesta; πράξεις), რომლებიც თავისთავად ბიოგრაფიებია, ბიზანტიურ ლიტერატურაში განასხვავებენ ცხოვრებას ქებით, ენკომიებს (βίος σὺν ἐγκωμίῳ), რომლებიც ჩვეულებრივ ხასიათდება უფრო დიდი რიტორიკული ფორმებით. ქება, ანუ ენკომია (ἐγκώμιον) ბაძავს ზეპირ ან წმინდანის პატივსაცემად წარმოთქმულ ქადაგებებს და ყურადღებას ამახვილებს არა იმდენად ფაქტებზე, რამდენადაც საერთო წერტილებსა და მორალურ დასკვნებზე. ჰაგიოგრაფიულ ჟანრებს შორის საზღვრები არასდროს ყოფილა ძალიან მკაცრი, ამიტომ კონკრეტული ტექსტის სათაური ყოველთვის ადეკვატურად არ ასახავს მის ჟანრულ ბუნებას. ნებისმიერი სახის ჰაგიოგრაფიული წყაროებიდან ისტორიული ინფორმაციის მოპოვება ხშირად მოითხოვს ძალიან რთულ ანალიზს, რადგან ამ ტექსტების ავტორები მიზნად ისახავდნენ არა ინფორმაციის გადაცემას, არამედ გარკვეული სურათის შექმნას (დ. ე. აფინოგენოვი).

წმინდანთა ცხოვრება, ისევე როგორც ზოგადად ჰაგიოგრაფიული ტექსტები, ერთ-ერთი ყველაზე ფორმალიზებული ლიტერატურული ჟანრია, რომლის მთავარი მახასიათებელია კანონის მიმდევრობა, რომელიც ვლინდება ნაწარმოების ყველა სიბრტყეზე – სტრუქტურულ, სტილისტურ, იდეოლოგიურ და სიმბოლურ-თეოლოგიურ დონეზე. სტრუქტურულ დონეზე მხატვრული კანონის მიმდევრობა გამოიხატება ცხოვრების მკაცრი კომპოზიციური სქემის არსებობით; სტილისტურ დონეზე – გარკვეული პოეტური საშუალებების გამოყენებისას, მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია ჰაგიოგრაფიული თემა (ე.წ. საერთო ადგილები; loci communes; κοινο τόποι); იდეოლოგიურ და სიმბოლურ-თეოლოგიურ დონეზე კანონზე ორიენტაცია აისახება ასიმილაციის (imitatio) და წმინდა ნიმუშების მიმდევრობის პრინციპით.

ცხოვრებას, როგორც ქრისტიანული ლიტერატურის ჟანრს, აქვს მკვეთრი სპეციფიკა: ჰაგიოგრაფის მიზანია არა ისტორიულად ზუსტი ბიოგრაფიის ხელახლა შექმნა, არამედ წმინდანის ღვაწლის არსის და მარადიული შინაარსის გამოვლენა, რომლის მიწიერი ცხოვრება იყო გზა ღმერთისკენ. ამიტომ, ჰაგიოგრაფი ხშირად შეგნებულად ართმევს თავის გმირს ინდივიდუალურ, „მიწიერ“ თვისებებს და ტოვებს მხოლოდ ტიპურს და „ზეციურს“ მის გამოსახულებაში. ამით აიხსნება მნიშვნელოვანი რაოდენობის სტაბილური ლიტერატურული ფორმულების არსებობა, ასევე საერთო მოტივები, შეთქმულებები და სხვა სტრუქტურული ელემენტები სხვადასხვა ტექსტებისთვის, რომლებიც ტრადიციულია წმინდანთა ცხოვრებისათვის.

კანონის გათვალისწინება და ნიმუშებზე, როგორც ჰაგიოგრაფიული ტექსტის აგების ძირითად პრინციპებზე, ორიენტაცია განაპირობებს ხშირ სესხებას ცნობილი ერთგულების ცხოვრებიდან ახლად განდიდებული წმინდანთა ცხოვრების შექმნისას: ახალი წმინდანი ბაძავს თავის დიდ წინამორბედებს, ჰაგიოგრაფი მოწმობს გმირის სიწმინდეს. ამავდროულად, კანონზე ინსტალაცია, რომელიც ქრისტიანული ცნობიერების ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელია, გავრცელდა როგორც მხატვრულ რეალობაზე, ასევე ისტორიულზე.

ჰაგიოგრაფიაში გმირებისა და მოვლენების გამოსახულების განზოგადება არ ართმევს ცხოვრებას კონკრეტულ ისტორიულ მახასიათებლებს: ისინი აუცილებელი პირობაა წმინდათა შესახებ სანდო თხრობის შესაქმნელად, განსაკუთრებით სასწაულების განყოფილებაში.

საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ცხოვრების ამსახველი ტექსტების სრული სქემა გულისხმობს მასში სამი კომპონენტის – წინასიტყვაობის, ძირითადი ნაწილისა და დასკვნის არსებობას.

წინასიტყვაობა, როგორც წესი, მოიცავს უამრავ ტიპურ თემას, მოტივებსა და ფორმულებს, რომლებიც საერთოა ცხოვრების ჟანრის ძეგლების უმეტესობისთვის: ჰაგიოგრაფის მიერ ერთგვარი დასაბუთება წმინდანის ცხოვრების დაწერის აუცილებლობის შესახებ (იოანე საბანისძე სამოელ კათალიკოსის წერილს წარუმძღვარებს ჰაგიოგრაფიულ თხრობას, ხოლო გიორგი მერჩულე ღვაწლმოსილ მამათა ცხოვრების ასახვის აუცილებლობით ხსნის იმას, რომ წერას მიჰყო ხელი) (causae scriptndi), ავტორის თვითშეფასების ფორმულა (გიორგი მერჩულე ჩივის, ნაკლოვანება არ მაძლევს დუმილის შესაძლებლობასო), ჩივილი ყველა სათნოებისა და დაპირებების აღწერის შეუძლებლობაზე. pluribus pauca), სთხოვს მკითხველს, არ დაგმოს ავტორი დაშვებული შეცდომებისთვის (შეიძლება ასეთი აზრი იყოს დასკვნაშიც) და ა.შ. ხშირად უფრო ზოგად თემებს შეიძლება შეეხოს ცხოვრების შესავალში: ქრისტიანული დოგმატების დებულებები, წარსული დროის ერთგულთა განდიდება, ახლად განდიდებულ წმინდანთა წმინდანად შერაცხვის დასაბუთება და ა.შ.

წმინდანის ცხოვრების თხრობა არის ცხოვრებების ძირითადი ნაწილის შინაარსი, რომელიც ასევე აგებულია გარკვეული ნიმუშით, საერთო როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური ქრისტიანული ტრადიციებისთვის (რაც საერთოა როგორც ბიზანტიური, ასევე ქართული ჰაგიოგრაფიისთვის). წმინდანის ბიოგრაფია, როგორც წესი, იწყება მოთხრობით ღვთისმოსავი მშობლების შესახებ, ეტიკეტის მახასიათებლებით, რომლებითაც დაჯილდოებულნი არიან წმინდანის მამა და დედა, არა მარტო ქმნის გმირის ღვთისმოყვარე მშობლების გამოსახულებას, არამედ წინასწარმეტყველებს მის მომავალ სათნოებებს). გმირის დაბადებას ხშირად წინ უსწრებს ღვთაებრივი ნიშნები, რომლებიც მიუთითებს მის რჩეულობასა და ღვთისადმი ერთგულებაზე. წმიდანის ბავშვობისთვის დამახასიათებელია მდგრადი მოტივებიც: ჩვილობიდან ღვთიური ცხოვრებისკენ მისწრაფება, საბავშვო თამაშების უარყოფა, წერა-კითხვის ადვილად სწავლა, გვხვდება ღვაწლთა შესახებ თხრობა, ისევე როგორც წმინდანის სიცოცხლეში აღსრულებული სასწაულები, თხრობა ტრადიციულად მთავრდება ისტორიით გმირის მართალი გარდაცვალების შესახებ, რის შემდეგაც, როგორც წესი, აღწერილია გმირის სიკვდილის შემდგომი სასწაულები და სრულდება ქებით (ენკომიით, როგორც აბოს წამება). ზოგჯერ სასწაულების ისტორიები, ისევე როგორც წმინდანის ქება, რომელიც ამთავრებს ცოცხალ სქემას, შეიძლება გამოირჩეოდეს დამოუკიდებელ ნაწარმოებებად – წმინდანთა სადიდებელ სიტყვებად.

ცოცხალი ჟანრის ისტორიულმა განვითარებამ განაპირობა მისი სხვადასხვა ჟანრის შიდა განხრების ჩამოყალიბება. ასე რომ, ტრადიციულ ცხოვრებასთან ერთად გაჩნდა წმინდანთა „ხალხური“ ცხოვრებანი, რომელთა მთავარი მახასიათებელიც ლეგენდარული და ფოლკლორული მოტივების აქტიური გამოყენებაა. ასევე მნიშვნელოვანი და საყურადღებოა, რომ ქრისტეს მოწამეთა შესახებ თხრობა ჯერ ზეპირი, ხოლო შემდეგ წერილობითი სახით შემოვიდა ქართულ კულტურულ სივრცეში (ბასილი დიდი და ბასილა, კვირიკე და კვირია, ლაზარე და ლაზარე, ბარბარე და ბაბალე, ათენოგენი და ათენგენი).

მოწამეთა ცხოვრება. მოწამეობა არის შეგნებული და ნებაყოფლობითი სიკვდილი ქრისტეს ცხოვრების, მისი ერთგულებისა და ქრისტიანული სარწმუნოების დამოწმებისთვის. ქრისტეს ღვაწლის მიდევნება არის ის მოტივი, რომელიც შემდგომში იქცა ცხოვრებისეული ტექსტების ჟანრის იდეოლოგიურ-მხატვრულ დომინანტად (დასავლურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოიყენება ტერმინი imitatio Christi, რომელსაც ქართველი მკვლევრებიც იყენებენ). ასკეტის სიკვდილის ფრაზა ხშირად არის ლოცვა უფლისადმი მისი მტანჯველთა შენდობისთვის, რაც გვახსენებს ჯვარცმული ქრისტეს სიტყვებს: „მამაო, მიუტევე მათ, რამეთუ არ იციან, რას აკეთებენ“ (ლკ. 23. 34; შდრ. მთ. 5. 44). ბიბლიური მოდელი ასეთ ეპიზოდებში შეიძლება იყოს უმნიშვნელოვანესი. ჰაგიოგრაფიულ ტექსტებში ფართოდ გავრცელდა მაცხოვრის სიტყვები, რომლებიც წმინდანთა მიერ წარმოთქმული იყო სიკვდილის წინ: „მამაო, ჴელთა შენთა შევჰვედრებ სულსა ჩემსა. და ესე რაჲ თქუა, განუტევა სული“ (ლკ. 23. 46).

აგიოგრაფიული ლიტერატურა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარმოდგენილია თარგმნილი და ორიგინალური ნაწარმოებებით, შესრულებული მარტიროლოგიის (წამების) და ცხოვრების ჟანრებში. ნაწარმოებები შეიქმნა 3 რედაქციით: კიმენიკური (ორიგინალი), მეტაფრასტული (შესწორებული ორიგინალი ვერსია) და სვინაქსარული (მოკლე ვერსია წირვაზე წასაკითხად).

I. ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ორიგინალური მარტიროლოგიური ჟანრი რამდენადმე განსხვავება ბიზანტიური ორიგინალური წყაროსგან. ბიზანტიური მოწამეობა დაიბადა და განვითარდა რომის იმპერიაში ქრისტიანობასა და წარმართობას შორის შინაგანი დაპირისპირების შედეგად, რაც გამოიხატება ქრისტიანი მოწამეების მიერ სიკვდილით დასჯილთა ქმედებების აღწერაში. ისინი შეიქმნა ქრისტიანობის ბიზანტიის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე (IV საუკუნის I ნახევარი). ქართული მოწამეობა წარმოიშვა V საუკუნის II ნახევარში, საქართველოს ნათლობიდან 150 წლის შემდეგ, ქრისტიანობაში და არა წარმართულ გარემოში, ქართული ჰაგიოგრაფიის გმირები გახდნენ ზოროასტრიზმის (ირანი) და ისლამის (არაბული ხალიფატის) ბატონობის დროს წამებული ქრისტიანები. მხოლოდ ერთადერთ ტექსტში – „კოლაელ ყრმათა წამებაში“ გვაქვს წარმართ მშობელთაგან გაქრისტიანებულ შვილთა ჩაქოლვა, თუმცა ამ ტექსტშიც აღწერილია წარმართთა და ქრისტიანთა თანაცხოვრება და არა დაპირისპირება.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული მოწამეობა ბიზანტიური ლიტერატურის გავლენის ქვეშ იყო, იგი ჩამოშორდა ორიგინალური წყაროს სხვადასხვა ფორმულას და ასახავს ეროვნულ ქართულ თავისებურებებს. ქართული ჰაგიოგრაფიული (განსაკუთრებით მოწამეობრივი ჟანრის) ნაწარმოებები ქრისტიანული მცნებების უკომპრომისო დაცვასთან ერთად წარმოადგენს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის იდეას: ამ ნაწარმოებების გმირებისთვის ქრისტიანული სარწმუნოების დაცვა განუყოფლად არის დაკავშირებული ქვეყნის მთლიანობის დაცვასთან. ქართული მოწამეობა აქტუალურია ქრისტიანობის მიღების ისტორიის პირველი საუკუნიდან XVIII საუკუნემდე. ქართული მოწამეობის ტექსტურ რედაქციებს ბიზანტიურისგან განსხვავებით მეტაფრასული პარალელები არ გააჩნია.

ქართული მოწამეობა იყოფა 3 ჯგუფად: საქართველოში (VII საუკუნემდე) ზოროასტრული (მაზდეანური) ირანის ბატონობის პერიოდის მოწამეთა შესახებ შექმნილი შრომები; არაბული (VIII საუკუნის შემდეგ) და სპარსული (XVII-XVIII სს.) – ისლამი.

I ჯგუფში შედის წმიდა შუშანიკის († 475), რაჟდენ პირველმოწამის († 457), ევსტათი მცხეთელის († 589 წ.), აბიბოს ნეკრესელის წამებანი (VI საუკუნის მე-2 ნახევარი), შემონახული გვიანდელ ხელნაწერებში (X საუკუნის შემდეგ). ტექსტთა რევიზიის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ენობრივ ნორმათა ცვლაც იყო.

X საუკუნის II ნახევარში საქართველომ დაიწყო ქვეყნის გაძლიერების პროცესი. XI-XII საუკუნეებში ქართული სახელმწიფოებრიობის აყვავების პერიოდში მოწამეობრივი სიკვდილის არცერთი შემთხვევა არ ყოფილა. XIII საუკუნიდან და XIV-XVIII საუკუნეების განმავლობაში, როდესაც დაიწყო ქვეყნის დაქუცმაცებისა და ცალკეულ სამეფოებად და სამთავროებად დაყოფის პროცესი, განახლდა მაჰმადიანთა შემოსევები, რამაც გამოიწვია ქრისტიანთა წამების ახალი შემთხვევები. XVII-XVIII საუკუნეებში აღმოსავლეთ საქართველოში მაჰმადიანი სპარსელთა ბატონობის პერიოდში აწამეს ქართველი თავადები, მეფეები და დედოფლები: მეფე ლუარსაბი († 1622), ქეთევან დედოფალი († 1624 წ.), ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარი († 166). XVI საუკუნიდან ჰაგიოგრაფია, როგორც ჟანრი, ნელ-ნელა კარგავს თავის მახასიათებლებს, იმდენად, რამდენადაც მოწამეობა იწერება სხვადასხვა ლიტერატურული ფორმით (მაგალითად, თეიმურაზ მეფის მიერ ქეთევან დედოფლის წამება ლექსად დაიწერა).

II. ქართულ ჰაგიოგრაფიაში ცხოვრების ჟანრი წარმოიშვა საქართველოში ბერობის შემოსვლისთანავე (VI ს.). ადგილობრივი და ქრონოლოგიური პრინციპის მიხედვით, ნაწარმოებები იყოფა 3 ჯგუფად: აღმოსავლეთ საქართველოში ასურელი მამების (შიომღვიმე, გარეჯი, ალავერდი, ზედაზენი და სხვ.) ანაქორეტული (მარტომყოფ) ტიპის მონასტრებში შექმნილი ცხოვრებები; სამხრეთ საქართველოში ქართველი ბერების მიერ დაფუძნებულ კენობიტურ მონასტრებში შექმნილი ცხოვრებანი (ხანძთა, ოშკი, შატბერდი და სხვ.);

III. ჩვენ აღარ შევეხებით მე-10 საუკუნის II ნახევარში ბიზანტიურ კულტურაში ჩამოყალიბებულ მეტაფრასტულ ლიტერატურას, რომელიც თავისებურად აისახა ქართულ ჰაგიოგრაფიაში.

დასკვნა: მაშასადამე, რომ შევაჯამოთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1. ქართული ჰაგიოგრაფიული კანონი ჩამოყალიბდა ბიზანტიური შაბლონის მიხედვით; 2. წერილობითი სახით შემოსვლა-გავრცელებამდე შემოვიდა ზეპირი გზით და აისახა ქართულ ფოლკლორულ წარმოდგენებში; 3. ქართული ჰაგიოგრაფიული ტექსტები ისტორიული კონტექსტის სხვაობის გამო განსხვავდება ბიზანტიური შაბლონებისგან (არ გვაქვს ასახული წარმართული ქართლის ბრძოლა ქრისტეს მიმდევრებთან და ამ ნიადაგზე მოწამეობა); 4. ქართველ მოწამეთა ღვაწლი დასაწყის ეტაპზევე უკავშირდება აგრესორს, მტერს, რომელიც ქვეყნის დამოუკიდებლობას და სარწმუნოებას ებრძვის, შესაბამისად, სარწმუნოება და ქვეყნის ინტერესები ერთმანეთს გაუთანაბრდა; 5. კიმენურად მოხსენიებულ მარტივ ტექსტთაგან შეგვიძლია ამ ტერმინით მოვიხსენიოთ მხოლოდ „კოლაელთა მარტვილობა“; 6. რადგან ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლთა უმეტესობა გვიანი ხელნაწერითაა მოღწეული ჩვენამდე, უფრო მისადაგებული ტერმინი კიმენის ნაცვლად უნდა იყოს პრემეტაფრასული (რომელიც უკეთ გამოხატავს ტექსტთა სტრუქტურულ და ენობრივ სპეციფიკას); 7. ყველა ტექსტი, რომელთაც ჩვენამდე მოაღწიეს, პარალელურად თანაარსებობს და, რაც მთავარია, თანაარსებობს (გამოყენების ველი არ შეზღუდვია) საეკლესიო სივრცეში.

გამოყენებული ლიტერატურა:

Aland, B. (Ed.). (2003). *Literarische Konstituierung von Identifikationsfiguren in der Antike*. Mohr Siebeck.

ამირხანაშვილი, ი. (2011). სიტუაციის კომპოზიცია აგიოგრაფიაში. *სჯანი*, 12, 9–15.

ამირხანაშვილი, ი. (2012). აგიოგრაფიის სტილის საკითხები (თეორიული შენიშვნები). *სჯანი*, 13, 8-14.

კეკელიძე, კ. (1980). *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*. „მეცნიერება“.

ხინთიბიძე, ე. (1969). *ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობები*. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ხინთიბიძე, ე. (1982). *ქართულ-ბიზანტიური ურთიერთობების ისტორიისთვის*. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ფარულავა, გ. (1982). *მხატვრული სახის ბუნებისათვის ძველ ქართულ პროზაში*. თბილისი.

Pierer, H. A. (1859). *Pierer's Universal-Lexikon* (Vol. 7). Altenburg: H. A. Pierer.

სირაძე, რ. (1975). *ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები*. თბილისი.

ზარიძე, ხ. (1985, ივნისი 14). „ხოლო ნეტარმან ევსტათი განიცინნა“. *ლიტერატურული საქართველო*.

Aland, B. (Ed.). (2003). Literarische Konstituierung von Identifikationsfiguren in der Antike. Mohr Siebeck.

Amirkhanashvili, I. (2011). Situatsiis kompozitsia agiographiashi [Composition of situation in hagiography]. Sjani, 12, 9–15.

Amirkhanashvili, I. (2012). Agiograpiis stilis sakitkhebi (teoriuli nishvnebi) [Issues of hagiographic style (Theoretical notes)]. Sjani, 13, 8–14.

Kekelidze, K. (1980). Dzveli kartuli literaturis istoria [History of Old Georgian Literature]. Metsniereba.

Khintibidze, E. (1969). Bizantiur-kartuli literaturuli urtiertobebi [Byzantine-Georgian Literary Relations]. Tbilisi State University Press.

Khintibidze, E. (1982). Kartul-bizantiuri urtiertobebis istoriisatvis [On the History of Georgian-Byzantine Relations]. Tbilisi State University Press.

Pharulava, G. (1982). Mkhatvruli sakhis bunebisatvis dzvel kartul prozashi [On the Nature of the Artistic Image in Old Georgian Prose]. Tbilisi.

Pierer, H. A. (1859). Pierer's Universal-Lexikon (Vol. 7). Altenburg: H. A. Pierer.

Siradze, R. (1975). Dzveli kartuli teoretikul-literaturuli azrovnebis sakitkhebi [Issues in Old Georgian Theoretical-Literary Thought]. Tbilisi.

Zaridze, Kh. (1985, June 14). „Kho nertarman Eustati ganitsinina“ [Blessed Eustathius was mocked]. Literaturuli Sakartvelo [Literary Georgia].

AT THE ORIGINS OF GEORGIAN HAGIOGRAPHY

EKA CHIKVAIDZE
PhD in Philology, Researcher at
Shota Rustaveli literary Institute Tbilisi Ivane Javakhishvili State University,
E-Mail: chikvaidzeeka@gmail.com
ORCID: 0009-0002-4096-6427

Abstract: Formation of hagiographic (martyrdom genre) literature in Georgian and Byzantine history is dictated by different contexts: in the I-IV centuries it was the persecution of Christians in pagan Rome, in Georgian reality there is only one composition with this content – „The Martyrdom of the Children of Kola“, and „The Martyrdom of the Holy Queen Shushanik“ describes the story of queen who was martyred by her spouse (a man who was the political ally of Persia). At the same time, there are no fighters against heresy in Georgian literature; the context of Georgian hagiography is different. The martyr tortured by the conqueror enemy is typical for Georgian hagiographic literature (for example, Abo, Michael-Gobron, Eustathius of Mtskheta, David and Tarechan...) This creates the opposing pair: the hero-saint and anti-hero, a non-Christian and non-Georgian invader enemy. Therefore, the hero of Georgian hagiography has acquired another content and idea: except protecting a religion the protagonist was associated with the defender of national ideas (e.g. Abo, despite of Arab origin, is being called Tbileli or former Ismaelite, due to his martyrdom place and the ideological meaning by hymnographers and hagiographers as well) this detail distinguishes Georgian hagiographic matters from Byzantine not only by its content but functionally as well.

Key words: Formation of hagiographic genre; Georgian hagiography; hero of Georgian hagiography;

* * *

Introduction. Hagiography is one of the earliest and most significant genres of ecclesiastical literature and constitutes an integral part of the cultural heritage of all Christian nations. This literary genre reflects the influence of Byzantine literature on the hagiographic writing practices of other Christian countries. It also poses unique challenges for both Byzantine and Georgian hagiographers. A key distinction lies in the genre's formation: in Byzantine tradition, hagiography emerged as martyrdom chronicles, simple records of action, biographies akin to those of Plutarch, encomia, and Scripture itself. For Georgian hagiography, however, the foundations were primarily Byzantine hagiographic tradition and the Holy Scriptures.

Literature Review. In the study of hagiographic texts, both Georgian and foreign scholarship have been utilized (S. Euthymiadis, Averintsev, Losev, C. Høgel, K. Kekelidze, B. Bardavelidze, B. Kilanava, K. Danelia & E. Gigolashvili, N. Vashakidze, E. Alekseeva, A. Kisa, and others). Based on this research, it is possible to apply a new classification system to assess and categorize texts, allowing deeper inquiry into questions such as: What does „kimen“ mean and which texts fall under this term? Are the martyrdoms of Shushanik, Abo, and Eustathius of Mtskheta kimen texts? If not, what terminology should be applied to most Georgian hagiographic texts?

Methodology. The article employs analytical, comparative, historical, inductive, and deductive methods.

Discussion and Results. Hagiography, as a literary genre, originates from the Byzantine tradition, where established structural-compositional models served as templates for other cultures. Thus, Georgian hagiographers did not need to invent new narrative frameworks, as these were already

developed by their Byzantine counterparts for both lives of saints and martyrdoms. By adopting these established models, even the simplest Georgian texts – often labeled as *kimen* or „plain" – appear striking in literary terms. Given the syncretic nature of hagiography, such texts – and their protagonists – often transcend the temporal and national boundaries of their specific culture. Yet, from a literary standpoint, they frequently retain formative elements and influences traceable to broader cultural foundations.

These influences include: 1) Greek sources such as ancient biographies and encomia; 2) biblical narratives from the Judaic world; and 3) the Gospels and Acts from the broader Christian tradition. Simultaneously, the oral and written spread of Christianity introduced elements often mistakenly regarded as pre-Christian folklore. These features collectively provide insight into the origins of original Georgian hagiography.

Examples such as the autobiographical account of Saint Nino and the martyrdom narrative of the Kolan children show typological ties to both ancient biographies and biblical texts like the Maccabees. Furthermore, the presence of encomiastic elements – such as those found in the fourth chapter of the *Martyrdom of Abo* – and folkloric traditions reflecting popularized versions of saints' lives (e.g., George, Athenogenes, Basil the Great, Barbara, Kvirike, and Maximus the Confessor) underscore hagiography's cross-cultural and typological complexity.

Narratologically, hagiography emerged both as documentation of martyrdom and as liturgical texts. While the latter developed from the former, the genre's transmission into non-Greek-speaking cultures, such as Georgian, occurred in fully formed literary models via translations and possibly oral traditions. Consequently, unlike Byzantine authors, Georgian hagiographers were not burdened with devising narrative forms anew.

Formation Specificities. The development of hagiographic (martyr) literature in Georgia and Byzantium followed different contextual paths. While Roman pagan persecution defined I–IV century Byzantine texts, only one Georgian text (*Martyrdom of the Kolan Children*) describes persecution by pagans. In contrast, *The Martyrdom of Saint Shushanik* depicts martyrdom at the hands of her husband, a Zoroastrian Persian political ally. Georgian literature does not feature anti-heretical saints, revealing a distinct hagiographic context.

Typical Georgian hagiographic antagonists are foreign invaders – non-Christians and non-Georgians – opposed to the saintly protagonist (e.g., Abo, Michael-Gobron, Eustathius of Mtskheta, David and Tirichan). Hence, the Georgian saint often embodies not just religious piety but nationalistic ideals, becoming a defender of both faith and country.

In Byzantine tradition, a new hagiographic era begins with Symeon Metaphrastes, who revised texts in three key ways: correcting heretically damaged material, refining structure, and enhancing language. This reform marked the shift from *pre-metaphrastic* to *metaphrastic* phases. However, this classification does not neatly apply to Georgian literature. Most early Georgian hagiographic texts – despite being refined in style and structure – do not align with the stylistic conventions of Metaphrastes and thus cannot be classified as *kimen* (plain) or *metaphrastic*. They are best labeled as *pre-metaphrastic*, a transitional category.

If we consider truly *kimen* (plain) texts, *The Martyrdom of the Kolan Children* serves as a clear example, with its simplicity in composition, narrative, and language. Conversely, post-Metaphrastes Georgian translations exhibit greater structural complexity. Yet, unlike in Byzantium, Georgian literature continued to preserve and circulate both *kimen* and pre-metaphrastic texts, often without revisions, as there was no pressing need to correct them for heretical distortion.

Structure of Hagiographic Composition. Does Georgian hagiography conform to general canonical frameworks? Some scholars (e.g., T.R. Rudy) classify hagiographic lives into typologies based on subject (martyrs, hierarchs, rulers, fools-for-Christ, etc.). Georgian hagiography addresses each, but

structurally, only *Lives* and *Martyrdoms* present distinct compositional features. This area remains under-researched.

Beyond *vitae* and *acta*, Byzantine hagiography recognizes *lives with encomia*, characterized by rhetorical embellishment. Encomia imitate sermons or public orations honoring saints and emphasize moral themes over factual detail. Because genre boundaries are fluid, titles do not always reflect the text's nature accurately.

Hagiographic texts aim not to provide historical accuracy but to reveal the saint's spiritual essence. Consequently, authors often omit individual earthly traits in favor of idealized, heavenly images. This results in common motifs, formulae, and structures across texts. Canonical models and literary imitation guide hagiographic creation – new saints mimic prior ones, and hagiographers affirm the sanctity of their subjects through intertextual borrowing.

Nevertheless, generalization in character and plot depiction does not exclude specific historical features. These are vital for textual credibility, especially in sections describing miracles. A fully developed hagiographic narrative traditionally comprises three parts: prologue, main body, and epilogue. The prologue typically includes genre-specific themes, motives, and formulae – such as a justification for writing the life (e.g., John Sabanisdze's letter from Catholicos Samuel, or George Merchule's reasoning for writing about virtuous fathers), as well as authorial humility and self-assessment.

The Lives of the Martyrs. Martyrdom is the conscious and voluntary acceptance of death as a testimony to the life of Christ, faithfulness to Him, and devotion to the Christian faith. Following Christ's example became the ideological and artistic dominant of the hagiographic genre in subsequent literature. In Western academic literature, the Latin term *imitatio Christi* is often used, and this terminology has been adopted by Georgian scholars as well. The ascetic's final words are frequently prayers to the Lord for the forgiveness of their persecutors, echoing the crucified Christ's plea: „Father, forgive them, for they do not know what they are doing" (Luke 23:34; cf. Matt. 5:44). In such episodes, the biblical model serves as a foundational template. Hagiographic texts widely adopted the Savior's words spoken before death: „Father, into your hands I commit my spirit. Having said this, he breathed his last" (Luke 23:46).

As previously mentioned, hagiographic literature is composed of both translated and original works within the genres of martyrdom (*martyrologium*) and *vitae* (lives). These works were produced in three editorial versions: **kimenic** (original or plain), **metaphrastic** (revised), and **synaxarial** (shortened, for liturgical reading).

The Original Georgian Martyrological Genre. The original Georgian martyrological genre differs to some extent from its Byzantine counterpart. Byzantine martyrdom literature arose and developed amid the internal conflict between Christianity and paganism within the Roman Empire. These texts describe the actions of Christians executed before Christianity was declared the state religion of Byzantium (first half of the 4th century). By contrast, Georgian martyrdom emerged in the second half of the 5th century, approximately 150 years after the Christianization of Georgia, in a context already defined by Christianity rather than paganism. Georgian hagiographic protagonists were martyred under Zoroastrian (Iranian) and Islamic (Arab Caliphate) rule. Only one text – the *Martyrdom of the Kolan Children* – describes children converted to Christianity stoned by their pagan parents. Even here, the context is one of coexistence rather than direct conflict between pagans and Christians.

Despite the influence of Byzantine literature, Georgian martyrdom texts diverge from many of the original formulas and reflect national characteristics. These works – particularly those in the martyrdom genre – convey not only a commitment to Christian doctrine but also the idea of the struggle for national independence. For these protagonists, defending the Christian faith is inseparable from defending the territorial integrity of the homeland. Georgian martyrdom literature spans the first century after Georgia's conversion to Christianity through the 18th century. Unlike Byzantine literature, Georgian martyrdom lacks direct metaphrastic parallels.

Georgian martyrdom texts can be divided into three groups:

1. Martyrdoms related to Zoroastrian (Mazdean) Iranian rule in Georgia prior to the 7th century.
2. Martyrdoms under Arab Islamic rule (after the 8th century).
3. Martyrdoms under Persian Islamic rule (17th-18th centuries).

The first group includes the *Martyrdom of Saint Shushanik* (†475), *Razhden the Protomartyr* (†457), *Eustathius of Mtskheta* (†589), and *Abibos of Nekresi* (second half of the 6th century). These texts survive only in late manuscripts (after the 10th century). One of the main reasons for textual revision was the evolution of linguistic norms.

In the second half of the 10th century, Georgia began consolidating its political power. During the golden age of Georgian statehood in the 11th–12th centuries, there were no recorded cases of martyrdom. However, from the 13th century onward – especially during the fragmentation of Georgia into smaller kingdoms and principalities and the onset of new Islamic invasions – martyrdoms reappeared. In the 17th–18th centuries, during Persian Islamic rule in eastern Georgia, numerous Georgian nobles and royalty were martyred, including King Luarsab (†1622), Queen Ketevan (†1624), and nobles Bidzina Cholokashvili, Shalva, and Elizbar (†1660s). From the 16th century onward, hagiography as a genre began to lose its defining features, as martyrdoms were increasingly recorded in alternative literary forms (e.g., King Teimuraz's poetic version of Queen Ketevan's martyrdom).

II. The Genre of Lives in Georgian Hagiography

The *vita* (life) genre emerged in Georgian hagiography with the introduction of monasticism in the 6th century. Based on geographic and chronological criteria, these works can be grouped into three categories:

1. Lives written in anchoritic (hermit) monasteries in eastern Georgia founded by the Syrian Fathers (e.g., Shiomgvime, Gareja, Alaverdi, Zedazeni).
2. Lives written in cenobitic monasteries in southern Georgia established by Georgian monks (e.g., Khakhuli, Oshki, Shatberdi).
3. (This category was not elaborated in the original text.)

III. Metaphrastic Literature in Byzantine and Georgian Hagiography This study does not address in detail the metaphrastic literature that developed in Byzantium in the second half of the 10th century, although it influenced Georgian hagiography in specific ways.

Conclusion. To summarize:

1. Georgian hagiographic norms were established based on Byzantine templates.2. Before being disseminated in written form, hagiographic narratives were transmitted orally, influencing Georgian folklore.
2. Due to differing historical contexts, Georgian hagiography diverges from Byzantine models (e.g., it lacks depictions of martyrdoms resulting from pagan persecution in Kartli).
3. Georgian martyrdoms, from their inception, are tied to external aggressors who threaten both the nation's independence and its faith – thus equating national and religious identity.
4. Among the so-called *kimenic* (plain) texts, only the *Martyrdom of the Kolan Children* qualifies under this designation.
5. Given that most Georgian hagiographic texts survive only in late manuscripts, the term *pre-metaphrastic* is more appropriate than *kimenic*, as it better reflects the structural and linguistic features of these works.
6. All extant texts co-exist within the ecclesiastical space and remain in active liturgical use.

References:

1. Aland, B. (Ed.). (2003). *Literarische Konstituierung von Identifikationsfiguren in der Antike*. Mohr Siebeck.

2. Amirkhanashvili, I. (2011). Situatsiis kompozitsia agiographiashi [Composition of situation in hagiography]. *Sjani*, (12), 9–15.
3. Amirkhanashvili, I. (2012). Agiograpiis stilis sakitkhebi (teoriuli nishvnebi) [Issues of hagiographic style (Theoretical notes)]. *Sjani*, (13), 8–14.
4. Kekelidze, K. (1980). *Dzveli kartuli literaturis istoria* [History of Old Georgian Literature]. Metsniereba.
5. Khintibidze, E. (1969). *Bizantiur-kartuli literaturuli urtiertobebi* [Byzantine-Georgian Literary Relations]. Tbilisi State University Press.
6. Khintibidze, E. (1982). *Kartul-bizantiuri urtiertobebis istoriisatvis* [On the History of Georgian-Byzantine Relations]. Tbilisi State University Press.
7. Pharulava, G. (1982). *Mkhatvruli sakhis bunebisatvis dzvel kartul prozashi* [On the Nature of the Artistic Image in Old Georgian Prose]. Tbilisi.
8. Pierer, H. A. (1859). *Pierer's Universal-Lexikon* (Vol. 7). Altenburg: H. A. Pierer.
9. Siradze, R. (1975). *Dzveli kartuli teoretikul-literaturuli azrovnebis sakitkhebi* [Issues in Old Georgian Theoretical-Literary Thought]. Tbilisi.
10. Zaridze, Kh. (1985, June 14). „Kho nertarman Eustati ganitsinina" [Blessed Eustathius was mocked]. *Literaturuli Sakartvelo* [Literary Georgia].

1. *Aland, B. (Ed.). (2003). Literary constitution of identification figures in antiquity. Mohr Siebeck.*
2. *Amirkhanashvili, I. (2011). Composition of situation in hagiography [Situatsiis kompozitsia agiographiashi]. Sjani, (12), 9–15.*
3. *Amirkhanashvili, I. (2012). Issues of hagiographic style (Theoretical notes) [Agiograpiis stilis sakitkhebi (teoriuli nishvnebi)]. Sjani, (13), 8–14.*
4. *Kekelidze, K. (1980). History of Old Georgian literature [Dzveli kartuli literaturis istoria]. Metsniereba.*
5. *Khintibidze, E. (1969). Byzantine–Georgian literary relations [Bizantiur-kartuli literaturuli urtiertobebi]. Tbilisi State University Press.*
6. *Khintibidze, E. (1982). On the history of Georgian–Byzantine relations [Kartul-bizantiuri urtiertobebis istoriisatvis]. Tbilisi State University Press.*
7. *Pharulava, G. (1982). On the nature of the artistic image in Old Georgian prose [Mkhatvruli sakhis bunebisatvis dzvel kartul prozashi]. Tbilisi.*
8. *Pierer, H. A. (1859). Pierer's Universal Lexicon (Vol. 7). H. A. Pierer.*
9. *Siradze, R. (1975). Issues in Old Georgian theoretical–literary thought [Dzveli kartuli teoretikul-literaturuli azrovnebis sakitkhebi]. Tbilisi.*
10. *Zaridze, Kh. (1985, June 14). „Blessed Eustathius was mocked" ["Kho nertarman Eustati ganitsinina"]. Literary Georgia [Literaturuli Sakartvelo].*

სახისმეტყველება სხვაგვარი აზროვნებაა, თუ სხვაგვარი მეტყველება?

(პლატონის აპოლოგიისათვის)

ლევან ხალვაში

ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის
დეპარტამენტის ასოცირებული-პროფესორი;
ელ.ფოსტა :Levan.Khalvashi@bsu.edu.ge
ORCID: 0009-0002-6544-2021

აბსტრაქტი: ანტიკური სწავლებით ყოველგვარი შემეცნების საფუძველი იდეებია. პლატონის მთელი შემოქმედება შეიძლება დავიყვანოთ ერთ სიტყვამდე – ეიდოსები – მარადიული საზრისები. ემპირიზმზე დაფუძნებულმა პოზიტივისტურმა ფილოსოფიამ მიაკუთვნა ისინი პლატონისეულ მისტიკას, ფილოსოფიურ მეტაფიზიკას. მაგრამ ერთია აკრძალვა, სულ სხვაა აკრძალულის დაძლევა. როცა მე-20 საუკუნეში მ. ჰაიდეგერი ხელოვნების საუკეთესო ნიმუშს მიიჩნევს შეტყობინებად დაფარული ყოფიერიდან, ამით იგი აღიარებს საზრისების არსებობას უცნობ მარადისობაში. მ. ჰაიდეგერის კონცეფცია ამოდის პლატონის მეტაფიზიკური დაშვებიდან.

როგორ უკავშირდება ესთეტიკური ქმნილება ყველასთვის მიუწვდომელ უნივერსალურ საზრისებს? მე-20 საუკუნეშივე ფ. სოსიურისა და ჩ. პირსის მოღვაწეობით ჩამოყალიბებულმა სემიოტიკამ აღძრა მეცნიერული ინტერესი ნიშნების მიმართ. ნაშრომში სემიოტიკურ სისტემად განხილულია მხატვრული ტექსტის სახისმეტყველება. პლატონისა და შემდეგ ჰაიდეგერის თანახმად, უხილავ მარადისობასთან ფიზიკურ სინამდვილეს აკავშირებს ადამიანის სული. ხელოვნის შემოქმედების დროს ქვეშეცნეულად წარმოქმნილი მხატვრულ სახეთა სემიოტიკური სისტემა გვამცნობს უნივერსალურ საზრისებს. სამყაროს მხატვრული და მეცნიერული ასახვა მიმართული არიან უნივერსალური ჭეშმარიტებისკენ, პირველი გვაჩვენებს მას მხატვრული სახის შექმნით, მეორე გვიხსნის – კანონზომიერების ჩამოყალიბებით. ერთსა და იმავე საზრისს შეიძლება შეიცავდეს სხვადასხვა, მათ შორის განსხვავებული ჟანრის, ტექსტი. ჟ. ლაკანის ფსიქოლოგიურ-ფილოსოფიური კონცეფციის დედააზრი: „სიცოცხლე სიმბოლოთა ამოუხსნელი თამაშია“ სახეთა მეშვეობით ნაჩვენებია ჯ. ქარჩხაძის რომანში „ზებულონი“. იმავე შინაარსს გადმოსცემს სახისმეტყველება გალაკტიონის ლექსში „მთაწმინდის ღამე“.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნება, შემოქმედება, შემეცნება, ჭეშმარიტება, სახისმეტყველება, მხატვრული სახე, მშვენირების განცდა, უნივერსალური საზრისი, სემიოტიკური სისტემა.

* * *

შესავალი: ენის ზოგადი ბუნების შესასწავლად ლინგვისტიკამ უნდა გაავლოს ზღვარი ეთნიკურ ენასა და სხვა სემიოტიკურ სისტემებს შორის, ერთ-ერთი მათგანი არის მხატვრულ სახეთა სისტემა, რომელიც წარმოიქმნება ხელოვნის შემოქმედების დროს. სახედ წარმოჩენილი იდეა ხდება აღქმადი, მაგრამ ამოსაკითხიც. ოსტატურად შექმნილი იდეის ფიზიკური ფორმა იწვევს საზრისებს, სახისმეტყველება იქცევა ოსტატისგან დამოუკიდებელ სახეთა მეტყველებად.

პოზიტივისტურმა მეცნიერებამ უარყო მარადიული საზრისების არსებობა, ბ. რასელის თანახმად, ჭეშმარიტება განისაზღვრება მეცნიერული პარადიგმით და ამიტომ არ შეიძლება იყოს მარადიული (Рассел, 1997, p. 135). ასეთ შემთხვევაში მხატვრული სახის სემიოტიკური ფუნქცია შემოიფარგლება კონკრეტული ტექსტით.

თანამედროვე ესთეტიკა სახისმეტყველებას მიიჩნევს ხელოვანთა სხვაგვარი აზროვნების ფორმად. ამგვარ გაგებას ჰქონდა ფილოსოფიური წანამძღვარი. პლატონის სწავლებაში ცოდნასა და სრულყოფილებას აქვს ერთი სულიერი წყარო-ეიდოსი, მარადიული არსი. „ენეადებში“ პლოტინმა ეიდოსის ღვთაებრივი სრულყოფილება დაასახელა ფიზიკური საგნის მშვენიერების საზომად

(Плотин, 1995, p. 17). ამრიგად, მშვენიერების სრულყოფილება კავშირშია ცოდნასთან. ამიტომ ალეთეა (ძვ. ბერძ. ჭეშმარიტება) შეიძლება იყოს მშვენიერი და მშვენიერებაც – ალეთეური (ჰაიდეგერი, 1991, გვ. 84). მაგრამ ჭეშმარიტებისკენ მიმართული მეცნიერება თავს არ იწონებს მშვენიერებით, ხელოვნება, პირიქით, მიგვანიშნებს იდუმალ კავშირზე ჭეშმარიტებასთან, რადგან ამით ემიჯნება უაზრო, თუნდაც ლამაზ, გართობას. მეტიც, ხელოვნებას თავი მოაქვს ჭეშმარიტებასთან სიახლოვით: „ხელოვნება არის ჭეშმარიტების უშუალო ჭვრეტა, ანუ აზროვნება სახეთა მეშვეობით“ (Маймин, 1982, გვ. 55). ამრიგად, მეცნიერი მიდის ჭეშმარიტებასთან ობიექტის ლოგიკური მოაზრებით, ხელოვანს ჭეშმარიტება ეძლევა მშვენიერების შექმნით. მეცნიერისთვის ჭეშმარიტება მოცემულია აზრში, ხელოვნისთვის აღქმაში. ამიტომ მეცნიერი უხსნის სხვას ჭეშმარიტებას, ხელოვანი – აჩვენებს. ნამდვილი ხელოვნების ნიმუში შეიცავს კონცეპტუალურ (ფილოსოფიურ) აღმოჩენას. Sfumato პრინციპის უფაქიზესი გამოყენებით: ნახატზე ჩრდილისა და სინათლის ერთმანეთში თანდათანი გადასვლით ლეონარდო და ვინჩიმ სული ჩაჰბერა პორტრეტზე გამოსახულ სახეს და ჩვეულებრივ ფლორენციელ ქალში, ლიზა გერარდინში, ყველამ დაინახა ულეველი მშვენიერება, ქალის ბუნების მრავალსახა ბოლომდე ამოუცნობი სილამაზე. ლეონარდოს შედევრი ფასდაუდებელია არა ლამაზი ქალის, არამედ ქალის სილამაზის ჩვენებით. სულიერ ზეცაში ასვლით ხელოვანმა შეუცვალა ჭეშმარიტებას იდეის ფორმა და ფიზიკური სახით შემოიტანა იგი აღქმად სამყაროში. ალბათ, ამან აღიარებინა გალაკტიონს ხელოვნების უპირატესობა ყველაფერთან: „სხვას რას აქვს ფასი ქვეყნად, რომ არ იყოს ხელოვნება“ (გალაკტიონ, 1973, გვ. 16).

ხელოვნების მაგალითმა შეუქმნა საფუძველი ფსიქოლოგებს ლოგიკური აზროვნებისგან მენტალურად გაემიჯნათ მხატვრული: „ხატოვანი აზროვნება წარმოდგენებით აზროვნებაა, ისე როგორც ლოგიკური აზროვნება ცნებებით აზროვნებაა“ (ნათაძე, 1983, გვ. 213). აღნიშნული ბადებს კითხვებს: 1. შეიძლება მშვენიერების შექმნა იდეის (აზრის) გამოყენების გარეშე ? 2. არსებობს აზროვნება წარმოდგენებით ? 3. შეიძლება თუ არა ჩავწვდეთ ჭეშმარიტებას აზრის გაჩენის გარეშე მხოლოდ მშვენიერი ობიექტის აღქმით? ამთავითვე უნდა შევნიშნოთ, რომ ლოგიკური აზროვნება არ გამორიცხავს წარმოდგენების გამოყენებასაც, მაგალითად, გამონათქვამი „გივი მიდის სკოლაში“ ლოგიკურია იმით, რომ შეიცავს მტკიცებას, საკუთარი სახელი „გივი“ აღნიშნავს კონკრეტულ ადამიანს, რომელიც გონებაში აისახება წარმოდგენით. მტკიცებას შეიცავს მეტაფორული გამონათქვამიც „გივი მიფრინავს სკოლაში“ მნიშვნელობით „გივი სწრაფად მიდის სკოლაში“. მეორეც, „ხატოვანი (სახოვანი) აზროვნება“ გულისხმობს მხატვრულ სახეს, რომელიც არცერთ შემთხვევაში არ არის მხოლოდ წარმოდგენა (ხატი). წარმოდგენებით აზროვნების დაშვება ეწინააღმდეგება აზროვნების ბაზისურ დანიშნულებას ამოიცნოს ფიზიკური ობიექტის რაობა. პლატონის თანახმად, იდეათა გამოყენების გარეშე აზროვნება შეუძლებელია, რადგან მხოლოდ იდეა შეიცავს ცოდნას ფიზიკური საგნის შესახებ (პლატონი, 1966, გვ. 49,56). მასწავლებლის ამ მეტაფიზიკურ კონცეფციას არისტოტელე დაასაბუთებს ემპირიულად. მრავალი წინადადების ანალიზის შედეგად სტაგირელი დაადგენს აზრის რაობას, დანიშნულებას, სტრუქტურას (Аристотель, 1978, გვ. 93-95;119), აგრეთვე ცნებებისა და წარმოდგენების როლს მსჯელობის ჩამოყალიბებაში. თუ აზრი არ ასახავს ფიზიკურ სინამდვილეს, სუბიექტიცა და პრედიკატიც განყენებული ცნებებია: „სამი არის ორზე მეტი“; „სიქველე არის სიკეთე“. მაგრამ, თუ მოიაზრება ფიზიკური სამყარო, მაშინ სუბიექტის პოზიციაში გამოდის წარმოდგენა, რომელიც ასახავს ერთეულ ფიზიკურ საგანს, პრედიკატისა – ცნება: „სოკრატე არის ადამიანი“; „ეს არის წიგნი“; ამრიგად, არისტოტელე არ დაუშვებს მხოლოდ წარმოდგენებისგან შემდგარ აზრს, რადგან ერთეული ფიზიკური საგნის ამსახველ წარმოდგენას არ შეუძლია განსაზღვროს სხვა წარმოდგენისა თუ ცნების რაობა (Аристотель, 1978, გვ. 93-95;119). პრედიკატის პოზიციაში წარმოდგენა გვხვდება ოსტენსიურ წინადადებაში ცრუპრედიკაციით, მაგალითად: „ეს არის ნუნუ“, რომელიც გვატყობინებს საგნის მხოლოდ პერსონალურ სახელს და არა მის რაობას (ზოგად არსებით თვისებებს). ამავე პოზიციაში მხატვრული სახის გამოყენებით მიიღება სრულფასოვანი აზრი, მაგალითად, „ვანო ბერიძე არის თუთაშხია“ ორი დასაშვები მნიშვნელობით: 1. „ვანო ბერიძე ითამაშებს თუთაშხიას როლს“, 2. „ვანო ბერიძე არის რაინდი“. მოყვანილი ასაბუთებს იმ ფაქტს, რომ მხატვრული სახე შეიცავს კონცეპტს (იდეას), რაც ხდის შესაძლებელს მის გამოყენებას პრედიკატის პოზიციაში. ამგვარი გამონათქვამი გამოყენებული აქვს ერთ-ერთ

ინტერვიუში ჟანრი ლოლაშვილს: „ყველა ადამიანში არის ლუარსაბი“ (ლოლაშვილი, 2009, გვ. 31). კონცეპტები ხელოვნების ყველა დარგის უხილავი საფუძველია. მსახიობმა, რომელიც თამაშობს ნაპოლეონს, უნდა განასახიეროს ამ პიროვნების იდეა, მწერალმა რომელმაც დაწერა ნაპოლეონზე, ჩააქსოვა პერსონაჟში საკუთარი ხედვა (იდეა). მხატვარს გამოსახვით უნდა ამოეცნო ნაპოლეონის იდეა. მხატვრულმა სახემ უნდა გვაჩვენოს ჭეშმარიტება საგნის შესახებ. ამ მიზნით ხელოვანმა საგნის ამსახველ მრავალ სახეთა შორის ესთეტიკური ფორმის შექმნით უნდა იპოვოს დასაბამიერი – საგნის სულიერი არსი, ამ უკანასკნელის გაცნობიერება შეიძლება მხოლოდ აზრის ჩამოყალიბებით, ანუ კონცეპტუალიზაციით. ამრიგად, აზროვნება, მათ შორის ხელოვანთა, საჭიროებს იდეებს და არ სრულდება მხოლოდ წარმოდგენებით, ხატებით, სურათებით, ფერებით, ფიგურებით, ჰანგებით. მაშინ როგორ მოდის ჭეშმარიტება ხელოვანთან ლოგიკური მსჯელობის ავლით ?

არსებულის შემეცნება და მშვენირების განცდა ადამიანის სულის უნარებია. გამოქვაბულის კედლებზე აღმოჩენილი უძველესი პერიოდის პეტროგლიფები ადასტურებენ იმას, რომ პირველყოფილი ადამიანი არ სჯერდებოდა სომატურ დაკმაყოფილებას, რადგან ცხოველისგან განსხვავებით მას შეეძლო სამყაროს ფორმებით აღფრთოვანება. სამყარო რთავდა ადამიანში რეფლექსიას – აღქმულის ღრმა განცდა-მოაზრებას-შემოქმედების საფუძველს. ყოველგვარი შემოქმედება მიმართულია სრულყოფილი ნიმუშისკენ, რომელიც იდეალურია. ადამიანის სულიერ სწრაფვას სრულყოფილებისკენ კარგად გამოხატავენ სოკრატეს სიტყვები „ფედონში“ : „სიკვდილის წინ გედები მღერიან ისე ნაზად და წარმტაცად, როგორც არასდროს არ უმღერიათ და ეს სიმღერა სიხარულის სიმღერაა, მათ ახარებთ იმ ღვთაებისკენ მიქცევა, რომელსაც ემსახურებიან“ (პლატონი, 1966, p. 59). პლატონის პარადოქსულ ჭეშმარიტებას ასაბუთებს ხელოვნება, რომელიც მიქცეულია იდეალური სამყაროსკენ. მხოლოდ ამ პირობით ხელოვანს შეუძლია შექმნას ღირებულება, რომელიც გვანიჭებს ესთეტიკურ სიამოვნებას – არსებულითა და არსებობით ტკბობის განცდას. სულიერი ტკბობა სიცოცხლის მამოძრავებელი ძალაა. როცა ადამიანი ვეღარ ასხვავებს წესრიგსა და ქაოსს, სახოვანსა და უსახურს, მას აკლია თვით სიცოცხლე. ამ მხრივ ეროვნული პოეზია ერის სიცოცხლის უნარის გამომხატველია. ჩვეულ ფიზიკურ სინამდვილეში პოეტი აღმოაჩენს მშვენიერებას:

„ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი !
მდუმარებით შემოსილი შეღამების ქნარი
ქროლვით იწვევს ცისფერ ლანდებს და ხეებში აქსოვს
ასე ჩუმი, ასე ნაზი ჯერ ცა მე არ მახსოვს“
(გალაკტიონ, 1973, გვ. 64).

მშვენიერება ჭეშმარიტია, ამიტომ ნამდვილი ხელოვნებაც შემეცნებითია. პოეტური სამყარო სცილდება ფიზიკურს, მაგრამ შეიცავს ცოდნას ამ უკანასკნელის შესახებ. თუ მეცნიერი აღწევს ჭეშმარიტებას ლოგიკის დაცვით, პოეტი – ლოგიკის დარღვევით კონცეპტუალური აზროვნების ფარგლებში. ღამის მანათობელი არ შეიძლება იშვეს, იყოს წყნარი ისე, როგორც ჩუმი და ნაზი არ შეიძლება იყოს ცა. სიტყვათა ალოგიკური შეწყობა – მეტაფორები – მოყვანილ ლექსში გადმოსცემენ პოეტის სულის მდგომარეობას – მზადყოფნას სამყაროს სილამაზით ტკბობის საზღაურად მიიღოს გარდაუვალი „ღამეც“ (აღსასრული):

“და მეც მოვკვდე სიმღერებში ტბის სევდიან გედად,
ოღონდ ვთქვა, თუ ღამემ სულში როგორ ჩაიხედა,
თუ სიზმარმა ვით შეისხა ციდან ცამდე ფრთები,
და გაშალა ოცნებათა ლურჯი იალქნები“
(იქვე)

სახისმეტყველება, რომელშიც ღამე ახერხებს სულში ჩახედვას და სიზმარი გარეთ ფრთების შესხმას, იმ ჭეშმარიტების ხატოვანი აღიარებაა, რომ ადამიანისთვის სამყარო ამოუცნობია არა მხოლოდ მომავლის განუჭვრეტლობით, უკვე გამოცდილისა და განცდილის გასააზრებლადაც.

დღის შუქზე (ადრე ასაკში) გამოკვეთილი რაობით მოვლენილი და ამიტომ შეცნობილად მიჩნეული საგნები დაღამებისას (სიცოცხლის დასავალზე) „მთვარის მკრთალ შუქზე“ იქცევიან უცნობ ლანდებად. იშლება ზღვარი ფიზიკურსა და წარმოსახულს შორის. ჟ. ლაკანის კონცეფციით, სიზმარი მეტად თუ ნაკლებად მოცემულია ადამიანთა ცხად მდგომარეობაშიც, ესე იგი სინამდვილის აღქმაში. სიზმარიცა და სინამდვილეც წარმოადგენენ სიმბოლოთა თამაშს, მათგან პირველი სრულდება უფრო ბუნებრივი და საინტერესო ფორმით. ამიტომ სიცოცხლე მიმართულია სიზმრისკენ (Лакан, 2009, გვ. 44;110). პოეტურ ტექსტში ყველაზე უფრო ჩანს სამყაროს სიმბოლური ბუნება და ადამიანის სწრაფვა იდეალური სახოვანი ფორმისკენ. გალაკტიონთან „ღამეც“ (აღსასრულის სიმბოლო) მშვენიერია. აღქმაში მოცემული სიმბოლო შეიძლება იყოს მშვენიერი, მაგრამ თავისთავად იგი უცნობია ადამიანისთვის. ჟ. ლაკანთან ფაქტი სიმბოლოა, ამიტომ ცდილობს ჯ. ქარჩხაძის ერთ-ერთი რომანის გმირი ზებულონი ამოიცნოს მის თავს გარდამხდარი ფაქტები: რატომ დაიღუპა ნაძირლების ხელით მამა, სამართლიანი და სათნო კაცი? რა ძალამ აიძულა იგი მამის მკვლელებზე შურისძიების დროს დაეხოცა მათი ოჯახის წევრებიც? რატომ მოჰყვა მის სიყვარულს შედეგად მარტოობა? როგორ გაწირეს იგი მიუხედავად ერთგული სამსახურისა მეფემ და ხალხმა? სიცოცხლის მიწურულს ზებულონს ეხსნება მწარე ჭეშმარიტება: „რაც აქამდე სიმართლე ეგონა, ყველაფერი ტყუილი გამოდგა“ (ქარჩხაძე 220). სამყარომ კიდევ ერთხელ ცივად ჩაუღიმა უშიშარ მეომარს და წაართვა მის სიცოცხლეს ყოველგვარი აზრი.

სემიოტიკის თვალსაზრისით, სიმბოლო ნიშანია, რომლის ამოკითხვა საჭიროებს იდეას. თუ ფილოსოფიური ტექსტის ღირებულება განისაზღვრება უნივერსალური საზრისების ახსნით, მხატვრულისა – იმ სახეთა ჩვენებით, რომლებიც იწვევენ ცნობიერებაში აღნიშნულ საზრისებს. ამგვარად, ხელოვნის მიერ შექმნილ ინდივიდუალურ მხატვრულ სახეებს მივყავართ უნივერსალური ჭეშმარიტების გაგებამდე. ნაწარმოების კონტექსტი, როგორც წესი, ხელს უწყობს მკითხველს მეტაფორების ამოხსნაში. ასე, მაგალითად, კ. გამსახურდიას რომანს „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“ რეფრენად მოჰყვება ერთი შეხედვით შინაარსთან დაუკავშირებელი „მამალი ხოხბის“ მხატვრული სახე: „ვაჟკაცურად ებრძოდა წიწამურის ველზე მამალი ხოხობი ღამეს“ (გამსახურდია, 1959, გვ. 659). ისე, როგორც მათემატიკური თეორემა გამორიცხავს უფუნქციო ცნებას, ნამდვილი მხატვრული ტექსტიც ვერ ჰგუობს შემთხვევით სახეს. განსახილველ რომანში ვხვდებით შემდეგ პასაჟებს: „არავინ ისე არ იტანჯება მატერიის ქაოსის შემყურე, როგორც ხელოვანი ამქვეყნად“ (გამსახურდია, 1959, გვ. 575); „სხვა რა ევალება ოსტატს, თუ არ წამიერის მარადჟამულად ქცევა? სხვა რა ევალება ამქვეყნად ოსტატს, თუ არ ჭიდილი წარმავლობის ნისლთან ?“ (გალაკტიონ, 1973, გვ. 643). მამალი ხოხობი ებრძვის იმას, რაც ბნელია, ჰფარავს და ხდის უჩინარს არსებულს. ოსტატმა თავისი ქმნილებით საბურველი უნდა ახადოს ჭეშმარიტებას. ორივე, ხოხობიცა და ოსტატიც, ებრძვიან ღამეს, ერთი წიწამურის ველზე, მეორე – საკუთარ სულში. აღნიშნული მეტაფორა, ისე როგორც მთლიანი რომანი, ეძღვნება ხელოვნის დანიშნულებასა და ქალის არჩევანს. ხელოვანი არ სჯერდება მოჩვენებით მოცემულს და სხვებივით არ იდგამს ფესვს მასში, ამიტომ იგი მარტოსულია და მიუსაფარი წარმავლობაში. ხელოვანის ფესვი ზეცაშია, რომლის მადლით იგი ქმნის სხვებისთვის შეუძლებელს. საკუთარი ძალით მამალი ხოხობი ვერ მოერევა ღამეს. „ღამესთან მებრძოლი ხოხობი“ სახეა მამრის, რომელმაც შეუპოვარი მცდელობით თავი უნდა შეალიოს ქვისგან მშვენიერების შექმნას – წმინდა ნათლისთვის ააგოს სავანე. ოსტატის ამ აუხსნელ სულისკვეთებასა და ამქვეყნიურ დიდებას შორის თალაგვა კოლონკელიძის ასული აირჩევს პირველს, რადგან ქალის ბუნებაც თავის სიღრმეში შეიცავს მშვენიერს, ამ საზომით იგი უდგება სამყაროს. ამიტომ მხოლოდ ქალის გულს შეუძლია დაუდგინოს მამაკაცს მისი ნამდვილი ფასი.

დასკვნა: ამრიგად, მხატვრული შემოქმედება ისე, როგორც საერთოდ ადამიანის მოქმედება, განპირობებულია ცნობიერი და ქვეცნობიერი ფაქტორებით. სახისმეტყველება ხელოვნის შემოქმედების ქვეცნობიერი სფეროა, ამიტომ მხატვრული ქმნილებაც შინაარსით აღემატება ავტორის ნარატივს.

სახისმეტყველება სემიოტიკური სისტემაა, რომელიც საჭიროებს ავტორისა (ადრესანტი) და მკითხველის (ადრესატი) ერთობლივ შემოქმედებას. ხელოვნის შემოქმედებით შექმნილი სემანტი-

კური ველის ფარგლებში მკითხველმა შეიძლება გაახმოვანოს თვით ავტორისთვისაც ახალი საზრისი.

ხელოვნების ნიმუში არ წარმოიქმნება ავტორის მიერ გაუაზრებლად (მხოლოდ ქვეცნობიერებით). გააზრება კი საჭიროებს კონცეპტების გამოყენებას.

ყოველგვარი არტეფაქტი, მათ შორის მხატვრულიც, დაკავშირებულია შესაბამის საზრისებთან. მხატვრულმა ქმნილებამ (სახემ) შეიძლება გამოიწვიოს გონებაში უნივერსალური საზრისი (ჭეშმარიტება).

შეიძლება ვთქვათ, ხელოვნების სამყარო ბრუნავს საზრისების ირგვლივ: ხელოვნების ქმნილება იწყება, ცნობიერდება და ფასობს იდეით.

Bibliography:

გალაკტიონ, ტ. (1973). *რჩეული.* თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

გამსახურდია, ზ. (1959). *რჩეული თხზულებანი, ტ.11.* თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

ლოლაშვილი, ჟ. (2009). *ასავალ-დასავალი, 49*, 31.

ნათაძე, რ. (1983). *ფსიქოლოგიის მოკლე კურსი.* თბილისი: თსუ.

პლატონი. (1966). *ფედონი.* თბილისი: ნაკადული.

ქარჩხაძე, ჯ. (2016). *ზებულონი.* თბილისი: ქარჩხაძის გამომცემლობა.

ჰაიდეგერი, მ. (1991). *დასაბამი ხელოვნების ქმნილებისა.* თბილისი: „გონი“.

Аристотель. (1978). *Соч., в4т., т.2, .* Москва: Мысль.

Лакан, Ж. (2009). *Семинары, Книга 2.* Москва: Гнозис Логос.

Маймин, Е. (1982). *Эстетика-наука о прекрасном.* Москва: „Просвещение“.

Плотин. (1995). *Эннеады.* Киев: УЦИММ – Пресс .

Рассел, Б. (1997). *Почему я не христианин.* Москва: Полит.литра.

IS FACIAL EXPRESSION A DIFFERENT KIND OF THINKING, OR A DIFFERENT KIND OF SPEECH?

(For Plato's Apology)

LEVAN KHALVASHI
PhD in Philology, Associated Professor,
Department of Georgian Philology,
Batumi Shota Rustaveli State University;
E-Mail: Levan.Khalvashi@bsu.edu.ge
ORCID: 0009-0002-6544-2021

Abstract: According to ancient teaching, idea are the basis of all knowledge. All the work of Plato, can be reduced to one word – Eidos – eternal meanings. Empiricism based positivism brought them to the thing mysticism of Plato's philosophical metaphysics. But one thing is to ban another to overcome. When in the 20th century M.Heidegger best works of art is considered a message from an unknown to us being, he thereby acknowledges the existence of meaning in eternity. M.Heidegger concept arises from Plato's metaphysical assumption.

How is aesthetic creation related to universal concepts that are inaccessible to everyone? In the 20th century, semiotics, shaped by the work of F. Saussure and C. Peirce, aroused scientific interest in signs. The work discusses the representation of a literary text as a semiotic system. According to Platin and later Heidegger, the human soul connects physical reality with invisible eternity. The semiotic system of artistic forms, subconsciously formed during the creation of art, introduces us to universal concepts.The semiotic system of artistic forms, subconsciously formed during the creation of art, introduces us to universal concepts. Artistic and scientific depictions of the world are directed towards universal truths; the former shows it to us by creating an artistic image, and the latter explains it to us by establishing regularities. The same meaning can be contained in different texts, including texts of different genres. The essence of J. Lacan's psychological-philosophical concept: „Life is an inexplicable game of symbols", is shown through faces in J. Karchkhadze's novel „Zebulon". The same content is conveyed by the figure of speech in Galaktioni's poem „The Night of Mtatsminda".

Keywords: art, creativity, cognition, truth, imagery, artistic image, sense of beauty, universal meaning, semiotic system

* * *

To study the general nature of language, linguistics must draw a line between ethnic language and other semiotic systems, one of them is the system of artistic forms that arise during the creation of artist. An idea presented as a form becomes perceptible but also readable. The physical form of a skillfully created idea evokes ideas, and facial expressions become facial expressions independent of the master.

Positivist science denied the existence of eternal truths; according to B. Russell, truth is determined by the scientific paradigm and therefore cannot be eternal (Russell, 1997, p. 135). In such a case, the semiotic function of the artistic form is limited to a specific text.

Modern aesthetics considers facial expressions to be a different form of thinking for artists. This understanding had a philosophical precursor. In Plato's teaching, knowledge and perfection have one spiritual source – Eidos, the eternal essence. In the „Aeneids," Plotinus identified the divine perfection of Eidos as the measure of the beauty of a physical object (Plotinus, 1995, p. 17). Thus, The perfection of beauty is connected with knowledge. Therefore, aletheia (ancient Greek truth) can be beautiful, and beauty can be aletheic (Heidegger, 1991, p. 84). But science, directed towards truth, does not pride itself on beauty; art, on the contrary, hints at a mysterious connection with truth, because in this way

it distances itself from meaningless, even beautiful, entertainment.Moreover, art is characterised by its proximity to truth: „Art is the direct contemplation of truth, that is, thinking through forms“ (Maymin, 1982, p. 55). Thus, a scientist approaches truth through logical consideration of an object, while an artist attains truth through the creation of beauty. For a scientist, truth is given in thought; for an artist, in sensation. Therefore, a scientist explains truth to others; an artist demonstrates it. A true work of art contains a conceptual (philosophical) discovery. With an unparalleled use of the Sfumato principle: Through the gradual transition between shadow and light in the painting, Leonardo Da Vinci breathed life into the face depicted in the portrait and into the typical Florentine woman, In Lisa Gherardini, everyone saw an unearthly beauty, the multifaceted, yet completely unrecognizable beauty of female nature. Leonardo's masterpiece is invaluable not for its depiction of a beautiful woman, but for its depiction of female beauty! By ascending to spiritual heaven, the artist transformed truth from the form of an idea and brought it into the perceptible world in physical form. Perhaps this led Galaktion to recognize the superiority of art over everything else: „What else has value in the world if it is not art“ (Tabidze, Favorite, 1973, p. 16).

The example of art has provided a basis for psychologists to mentally separate artistic thinking from logical thinking: „Figurative thinking is thinking with representations, just as logical thinking is thinking with concepts“ (Natadze, 1983, p. 213). This raises the following questions: 1. Is it possible to create beauty without using an idea (thought)? 2. Is there thinking through representations? 3. Would it be possible to grasp truth without generating thought by simply perceiving a beautiful object? It should be noted at the outset that logical thinking does not exclude the use of representations. For example, the expression „Givi goes to school“ is logical in that it contains an assertion. The proper name „Givi“ refers to a specific person who is reflected in the mind through a representation. The assertion is also contained in the metaphorical expression „Givi flies to school“ with the meaning „Givi quickly goes to school.“ Secondly, „figurative (facial) thinking“ implies an artistic form, which in no case is just a representation (image). The assumption of thinking through representations contradicts the basic purpose of thinking, which is to recognize the nature of a physical object. According to Plato, thinking is impossible without the use of ideas, since only an idea contains knowledge about a physical object (Plato, 1966, pp. 49,56). Aristotle substantiates this metaphysical concept of the teacher empirically. As a result of the analysis of many propositions, the Stagirian will establish the nature, purpose, and structure of thought (Aristotle, 1978, pp. 93-95;119), as well as the role of concepts and representations in the formation of reasoning. If a thought does not reflect physical reality, both the subject and the predicate are debased concepts: „Three is more than two“; „Virtue is goodness“. But if the physical world is considered, then the subject takes the position of a representation that reflects a single physical object, and the predicate is a concept: „Socrates is a man“; „This is a book“; Thus, Aristotle does not allow a thought consisting only of representations, because a representation reflecting a single physical object cannot determine the essence of another representation or concept (Aristotle, 1978, pp. 93-95; 119). Representation in the predicate position is found in an ostensibly proposition with a false predicate, for example: „This is Nunu,“ which informs us only of the personal name of the object and not its essence (general essential properties). In the same position, the use of figurative language gives a full-fledged meaning, for example, „Vano Beridze is Tutashkhia“ with two permissible meanings: 1. „Vano Beridze will play the role of Tutashkhia“ 2. „Vano Beridze is a knight“. The above substantiates the fact that the figurative language contains a concept (idea), which makes it possible to use it in the predicate position. Such an expression was used in one of the interviews by Janri Lolashvili: „There is a Luarsab in every person“ (Lolashvili, 2009, p. 31). Concepts are the invisible foundation of all fields of art. An actor who plays Napoleon must embody the idea of this person, a writer who wrote about Napoleon, weaving his own vision (idea) into the character. The artist must recognize Napoleon's idea through his depiction. The artistic form must show us the truth about the subject. Therefore, the artist must find the source among the many forms depicting the subject by creating an aesthetic form – the spiritual essence of the subject, the realization of which can only be achieved through the formation of

thought, that is, through conceptualization. Thus, thinking, including that of artists, requires ideas and is not completed only with representations, images, pictures, colour, figures, melodies. How then does the truth come to the artist through logical reasoning?

The cognition of the existing and the feeling of beauty are abilities of the human spirit. The ancient petroglyphs found on the walls of the cave confirm that primitive man did not believe in somatic satisfaction, because unlike animals, he could admire the forms of the world. The world has awakened in man reflection – a deep feeling and reflection of what is perceived – the basis of creativity. All creativity is directed towards perfect patterns, which are ideal. The human spiritual aspiration towards perfection is well expressed by Socrates' words in the „Phaedo" : „Before death, swans sing as tenderly and melodiously as they have never sung before, and this song is a song of joy, for they rejoice in turning to the deity they serve" (Plato, 1966, p. 59). Plato's paradoxical truth is substantiated by art, which is directed towards an ideal world. Only under this condition can the artist create value that gives us aesthetic pleasure – a feeling of enjoyment of what exists and existence. Existential enjoyment is the driving force of life. When a person can no longer distinguish between order and chaos, the visible and the invisible, he lacks life itself. In this respect, national poetry is an expression of the nation's ability to live. The poet discovers beauty in ordinary physical reality:

My eyes have never seen the moon so lovely as tonight;
In silence wrapt it is the breathless music of the night.
Moonbeams embroider shadows with fine thread of silver light;
O, eyes have never seen the sky so lovely as tonight!
(Gal73p. 64)

Beauty is true; therefore, true art is also cognitive. The poetic world goes beyond the physical but contains knowledge about the latter. A scientist reaches truth by adhering to logic; a poet – by violating logic within the framework of conceptual thinking. The night luminary cannot be silent, be quiet, just as the sky cannot be silent and gentle. The illogical arrangement of words – metaphors in the above poem convey the state of the poet's soul – his readiness to accept the inevitable „night" (the end) as a reward for enjoying the beauty of the world:

"And I too shall die in songs like a sad swan on the lake,
but I will tell you how the night has looked into my soul,
if a dream has spread its wings from sky to sky
and spread its blue sails."
(Nearby)

The metaphor, in which the night manages to peer into the soul and the dream spreads its wings outside, is a figurative recognition of the truth that the world is unknowable to man not only due to the unpredictability of the future but also due to the inability to comprehend what has already been experienced. Things that were clearly visible in the light of day (in earlier ages) and therefore considered knowable become unknown illusions in the dim light of the moon at nightfall (at the end of life). The boundary between the physical and the imagined dissolves. According to J. Lacan's concept, dreams are more or less given in the manifest state of people, that is, in the perception of reality. Both dreams and reality are a play of symbols, the former of which is fulfilled in a more natural and interesting way. Therefore, life is directed towards dreams (Lacan, 2009, p. 44; 110). The poetic text most clearly shows the symbolic nature of the world and man's striving for an ideal facial form. The „night" (symbol of the end) is beautiful with Galaktion. A given symbol in perception may be beautiful to a person, but in itself it is unknown to the mind. For J. Lacan, a fact is a symbol; therefore, Zebulon, the hero of one of J. Karchkhadze's novels, tries to recognize the facts that have become his: Why did his father, a just and

virtuous man, die at the hands of scoundrels? What force compelled him to kill his father's killers while seeking revenge on their family members? Why did his love lead to loneliness? How did the king and people sacrifice him despite his loyal service? Towards the end of his life, Zebulon is confronted with a bitter truth: „Everything he thought was true until now turned out to be a lie" (Karchkhadze, 2016, p. 220). The world once again smiled down on the fearless warrior and robbed his life of all meaning.

From the point of view of semiotics, a symbol is a sign, the interpretation of which requires an idea. If the value of a philosophical text is determined by the explanation of universal concepts, then the value of an artistic text is determined by the presentation of those forms that evoke these concepts in consciousness. Thus, individual artistic forms created by the artist lead to the understanding of universal truths. The context of the work usually helps the reader decipher metaphors. For example, K. Gamsakhurdia's novel „The Right Hand of the Grand Master" is followed by the seemingly unrelated artistic image of a „male pheasant" as a refrain: „A male pheasant fought bravely at night on the Tsitsamuri field" (Gamsakhurdia, 1959, p. 659). Just as a mathematical theorem excludes a non-functional concept, a true literary text cannot tolerate a random appearance. In the novel under consideration, we find the following passages: „No one suffers as much from the chaos of matter as an artist in this world" (Gamsakhurdia, 1959, p. 575); „What else is the master responsible for, if not to make the momentary eternal? What else is the master responsible for in this world, if not to struggle with the mist of transience?" (Gamsakhurdia, 1959, p. 643). The male pheasant fights against what is dark, covering and making invisible what is present. The master must, through his creation, unmask the truth. Both the pheasant and the master fight the night, one in the field of red clover, the other in his own soul. This metaphor, like the entire novel, is dedicated to the purpose of the artist and the choice of a woman. The artist does not believe in the apparent and does not take root in it like others, therefore he is lonely and shelterless in the ephemeral. The artist's root is in heaven, and with this grace he creates the impossible for others. A male pheasant can not get involved the night on its own. „The Pheasant Fighting the Night" is the image of a male who, with relentless effort, must devote himself to creating beauty from stone – to building a dwelling for the Holy Light. Between this inexplicable spirit of the master and worldly glory, the daughter of Talagva Kolonkelidze chooses the former because a woman's nature also contains beauty in its depths, and by this measure, she stands before the world. Therefore, only a woman's heart can determine a man's true worth.

Thus, artistic creation, like human action in general, is conditioned by conscious and subconscious factors. Facial expression is a subconscious sphere of artistic creation; therefore, artistic creation also exceeds the author's narrative in content.

Facial expression is a semiotic system that requires the joint creation of the author (addressee) and the reader (addressee). Within the semantic field created by the artist's creativity, the reader can voice a new meaning even for the author.

A work of art is not created by the author without thinking (only subconsciously). Understanding requires the use of concepts.

All artifacts, including artistic ones, are associated with corresponding concepts. An artistic creation (an image) can evoke a universal concept (truth) in the mind.

We could say that the art world revolves around ideas: a work of art begins, is realized, and is valued with an idea.

Bibliography:

Aristotle. (1978). *Collection* (Vol. 4). Moscow: thought.

Gamsakhurdia, K. (1959). *Selected Works,* (Vol. 11). Tbilisi: „Soviet Georgia".

Heidegger, M. (1991). *The beginning of artistic creation.* Tbilisi: „Goni".

Karchkhadze, J. (2016). *Zebulun.* Tbilisi: Karchkhadze Publishing House.

Lacan, J. (2009). *Seminar 2* (Vol. 2). Moscow: The meaning of cognition.

Lolashvili, J. (2009). *Asaval-Dasavali, 49*.

Maymin, E. (1982). *Aesthetics – the science of beauty.* Moscow: „Education“.
Natadze, R. (1983). *Short course in psychology.* Tbilisi: TSU.
Plato. (1966). *Phaedo.* Tbilisi: Nakaduli.
Plotinus. (1995). *Enneads.* Kyiv: UCIMM – Press.
Russell. (1997). *Why am I not a Christian?* Moscow: Political literature.
Tabidze, G. (1973). *Favorite.* Tbilisi: Soviet Georgia.

აჭარიდან მიგრირებული მოსახლეობის ადაპტაციის საკითხები თანამედროვე ეტაპზე

ანა ბაგრატიონი
დოქტორანტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის
ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
ელ-ფოსტა: ana.bagrationi@bsu.edu.ge
ORCID: 0009-0005-0456-3833

აბსტრაქტი: საქართველოში შიდა მიგრაციული პროცესები საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა, რომელსაც სხვადასხვა მიზეზები წარმართავდა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში აჭარელი მოსახლეობის გადასახლების და მათი ინტეგრაცია-ადაპტაციის საკითხების შესწავლა მნიშვნელოვანი გამოწვევაა. აჭარიდან შიდა მიგრაციულ პროცესებს წარმართავდა ცალკეული მიზეზები, ძირითადად კი ეკოლოგიური კატასტროფები. ნაშრომში შესწავლილია აჭარელთა გადასახლების მიზეზები, ადგილზე არსებული პრობლემები, რასაც ადგილობრივებთან და ეროვნულ უმცირესობებთან ურთიერთობების დროს აწყდებოდნენ აჭარელი მიგრანტები. წარმოდგენილია უკუმიგრაციის მიზეზები, განხილულია სახელმწიფოს როლი და მნიშვნელობა პროცესის წარმატებით წარმართვაში.

საკვანძო სიტყვები: აჭარა; მიგრაცია; ადაპტაცია; გადასახლება.

* * *

თანამედროვე სამყაროში მუდმივად მიმდინარეობს ცვლილებები და თანამედროვე ადამიანს კი უწევს რომ ფეხი აუწყოს ამ გამოწვევებს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა მიგრაციაა, რომელიც მუდმივად მიმდინარეობს და ამ საკითხის კვლევა მეტად აქტუალური და მნიშვნელოვანია. საქართველოც, იმ გლობალური სამყაროს ნაწილია, სადაც მიგრაციული პროცესები ყოველდღიურად მიმდინარეობს. საქართველოს ცალკეული რეგიონებიდან ხდება მოსახლეობის გადინება, როგორც საზღვრებს გარეთ ასევე შიგნითაც, ამ მხრივ ჩემს საკვლევ საკითხს წარმოადგენს შიდა მიგრაცია, კონკრეტულად აჭარიდან მოსახლეობის მიგრაცია საქართველოში და გადასახლებული ადამიანების ადაპტაციის საკითხები.

აჭარიდან საქართველოს სხვა კუთხეებში ჩასახლებები ხდებოდა საუკუნეების განმავლობაში, განსაკუთრებული სახე მიიღო XIX საუკუნის II ნახევრიდან, აჭარიდან გადასახლების მიზეზები სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებული და სპეციფიკური გარემო პირობებიდან გამომდინარებდა.

აჭარიდან ჩასახლებული მოსახლეობა უცხო გარემოში აწყდებოდა თანაცხოვრებისა და ადაპტაციის ცალკეულ პრობლემებს, რასაც თან სდევდა უკუმიგრაციის პროცესები. ამ საკითხების შესწავლა მეტად აქტუალურია, ვინაიდან, მიუხედავად რამდენიმე ნაშრომისა, რომლებიც, ძირითადად, XIX-XX სს 80-იან წლებამდე პერიოდს ეხება, ამ თემაზე ერთად თავმოყრილი საფუძვლიანი კვლევა არ ჩატარებულა, შესაბამისაც ამ საკითხის კვლევა დაგვეხმარება ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი გახდეს აჭარიდან მიგრირებული მოსახლეობის ყოფის საკითხები, ასევე, გამოვლენილი და წარმოდგენილი იქნება აჭარიდან მიგრირებული და ადგილობრივი, არაქართველი მოსახლეობის ეთნოკულტურული გავლენები და ამ ურთიერთობების განვითარების ტენდენციები, რაც საინტერესო იქნება ქვეყანაში სწორი მიგრაციული პოლიტიკის და მიგრაციის მდგრადობის შენარჩუნებისთვის. კვლევას უფრო მეტ მნიშვნელობას სძენს საკითხის გარშემო მწირი ქართული და უცხოენოვანი მასალა, ჩვენი კვლევა იქნება მცდელობა ამ მასალების შევსებისა.

მეთოდოლოგია. ნაშრომის მიზანია აჭარიდან გადაადგილებულთა ინტეგრაციისა და ადაპტაციის პროცესების კომპლექსური ანალიზი თანამედროვე საქართველოში. თემის სპეციფიკისა და სიღრმისეული გაგების აუცილებლობიდან გამომდინარე, არჩეული იქნა ხარისხობრივი და კომბინირებული კვლევის დიზაინი, რომელიც იძლევა შესაძლებლობას, რომ განვიხილოთ როგორც ინდივიდუალური გამოცდილებები, ასევე სტრუქტურული ფაქტორები, რაც განსაზღვრავს მიგრანტთა ადაპტაციის ხარისხს.

ხარისხობრივი მეთოდის გამოყენება მდგომარეობს იმაში, რომ სოციალური ინტეგრაცია, იდენტობის ცვლილება და კულტურული ადაპტაცია რთულად შესაფასებელია მხოლოდ რაოდენობრივი მაჩვენებლებით. პიროვნული ნარატივი, სუბიექტური აღქმა და ისტორიული მეხსიერება წარმოადგენს შეუცვლელ რესურსს სოციალური ცვლილებებისა და ინტეგრაციის პროცესების ასახსნელად.

კვლევაში გამოყენებული ძირითადი მეთოდებია:

1. დოკუმენტური ანალიზი – შესწავლილი იქნა მიგრაციასთან დაკავშირებული სახელმწიფო და ადგილობრივი დოკუმენტები, ოფიციალური პოლიტიკა, ასევე საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები, რაც დაეხმარა მიგრაციული პოლიტიკისა და კანონმდებლობის როლების შეფასებას მიგრანტთა ადაპტაციაში.

2. შედარებითი ანალიზი – განიხილება ადაპტაციის პროცესები განსხვავებულ გეოგრაფიულ და ეთნოკულტურულ კონტექსტში: ტრადიციულ ქართულ გარემოში (მაგ. გურია) და ეთნიკურად მრავალფეროვან სივრცეებში (მაგ. ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი), რაც ამდიდრებს ინტეგრაციის პროცესების ღრმა გააზრებას.

მონაცემთა ანალიზი განხორციელდა ინდუქციური ლოგიკით, რაც შესაძლებელს ხდის ემპირიული მასალის საფუძველზე ზოგადი დასკვნების გამოტანას.

აჭარიდან მიგრაციული ნაკადების წარმოშობა ძირითადად უკავშირდება ეკოლოგიურ კატასტროფებს, თუმცა ადგილი აქვს სხვადასხვა ეკონომიკური თუ სოციალური მიზეზებით ადგილმონაცვლეობასაც. ბოლო პერიოდში აჭარიდან პირველი დიდი მიგრაციული ტალღა 1989 წლის მეწყერმა გამოიწვია, ამ სტიქიამ 5657 ოჯახი დააზარალა (ფუტკარაძე თ., 2006, გვ. 75) ეკოლოგიური მიზეზით მოსახლეობა სხვადასხვა ტერიტორიებზე ჩაასახლეს, ძირითადად საზღვრისპირა ადგილებში, ამ პერიოდში საბჭოთა კავშირი ჩამონგრევის პირას იყო, ქვეყანაში სრული ქაოსი და კორუფცია იყო გაბატონებული, ეკომიგრანტებისთვის განკუთვნილი სახლები, ისეთმა ოჯახებმა მიიღეს, რომლებიც არ იყვნენ დაზარალებულები, მსგავსი უსამართლობის გამო საცხოვრებელი სახლის გარეშე დარჩა ბევრი დაზარალებული, შესაბამისად ამას მოჰყვა უკუმიგრაცია, ეკომიგრანტების პრობლემების მოგვარებისთვის 1990 წლებიდან დიდი როლი ითამაშა მერაბ კოსტავას ფონდმა და რუსთაველის საზოგადოებამ, რომლებმაც ეკომიგრანტების ნაწილი საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყო (ტრიერი ტ, ტურაშვილი მ.„ 2007, გვ. 27) მიუხედავად ამისა, დღემდე არსებობს საცხოვრებელ სახლებთან დაკავშირებული პრობლემები, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან მნიშვნელოვანი ყურადღების ცენტრში უნდა იყოს.

თანამედროვე აჭარაში ბევრი პოტენციური მიგრანტი ცხოვრობს, რომელთაც სჭირდებათ უსაფრთხო გარემოში ცხოვრება. ცალკეული კვლევების შედეგად ირკვევა, რომ ხულოს მოსახლეობის საქმიანობის ძირითადი სფერო სოფლის მეურნეობაა, მოსახლეობა ძირითადად მეცხოველეობით, მიწათმოქმედებით და სხვადასხვა კულტურით არის დაკავებული. თუმცა, საკმარისი ფინანსური რესურსის არქონის გამო მათთვის პრობლემურია მოყვანილი პროდუქციის რეალიზაცია, ზემო აჭარის სოფლები განიცდის მცირემიწიანობას (მაღალმთიანი გურიისა და ხულოს მუნიციპალიტეტის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის ანალიზი)

აქედან გამომდინარე, მიგრაციის მოტივი მაღალია, ამას თუ დავამატებთ ეკოლოგიური კატასტროფების საშიშროებას, რაც განსაკუთრებით ხულოს სოფლების დაცარიელების მიზეზი ხდება. აღნიშნული პრობლემის მოგვარებისათვის და მიგრაციის ნაკადის შესამცირებლად სახელმწიფოს მიერ შემუშავებულია კანონი, მაგალითად საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის 16 ივლისს დაამტკიცა კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ. რადგან აჭარის ზოგიერთი სოფელი მეწყერსაშიშ ზონად ითვლება, იქ მცხოვრები მოსახლეობა კი პოტენციურ ეკომიგრანტებად,

განსაკუთრებით რთული მდგომარეობაა ვაშლოვანის და დეკანაშვილების სოფელში, ბოლო გამოკვლევა ჩატარდა 2016 წელს, „ეკომიგრანტები და პოტენციური ეკომიგრანტები საქართველოში“, რომლის შედეგადაც ხულოს რაიონის სოფლებში მცხოვრები ადამიანების ეკონომიკური მდგომარეობა საკმაოდ რთულია, ნაწილი დაზიანებულ სახლებში ცხოვრობს, სახლების ნაწილი დაბზარულია, ნაწილი სახლებისა არ ექვემდებარება რესტავრაციას (ნიადაგი ჩამორეცხილია), რთულ პირობებში უწევთ მიწის დამუშავება, რადგან ნიადაგი გამოფიტულია, უსაფრთხო პირობები არ აქვთ შექმნილი საცხოვრებლად. მოსახლეობას სჭირდება გარანტიები, რომ სხვაგან გადასახლებით სახლების გაუფორმებენ, რათა წალკაში გადასახლებულების ბედი არ გაიზიაროონ (ზურაბიშვილი თ., თავბერიძე გ., 18)

ჩასახლების ეტაპებზე სხვადასხვა სახის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-კულტურული პრობლემები ჩნდებოდა. თუმცა მთავარ პრობლემად რჩებოდა კულტურულ-რელიგიური ადაპტაციისა და ინტეგრაციის პრობლემები, რადგან აჭარლების – ჩასახლება ხდებოდა ზოგჯერ ისეთ გარემოში, სადაც მათგან ეთნიკურად და რელიგიურად განსხვავებულ მოსახლეობა ცხოვრობდა. არც აჭარელი და არც ადგილობრივი მოსახლეობა არ იყო სათანადოდ მომზადებული თანაცხოვრებისათვის, რაც წარმოშობდა კულტურული და რელიგიური ინტეგრაციის პრობლემებს.

აჭარიდან გადასახლებულ ადამიანებს უწევდათ კულტურულად და რელიგიურად განსხვავებულ გარემოში ცხოვრება, გადასახლებულთა დიდი ნაწილი მუსლიმი იყო, მათი ინტეგრაციის პროცესი განსაკუთრებით გართულდა ისეთ ტერიტორიებზე სადაც სხვა რელიგიური რჯულის ადამიანები ცხოვრობდნენ, მარტივად მოხდა მათი ინტეგრაციის პროცესი აზერბაიჯანლებით დასახლებულ თემში, ხოლო გურიაში, სამეგრელოში, ჯავახეთში და სხვადასხვა ტერიტორიებზე მათი ინტეგრაცია გართულდა, რასაც თან მოჰყვა უკუმიგრაციაც. რელიგიურ შეურაცხყოფად მიიღეს აჭარიდან გადასახლებულმა ასევე გურიის მუსლიმებმა გურიაში მეჩეთზე ღორის თავის ჩამოკიდება (მაღალმთიანი გურიისა და ხულოს მუნიციპალიტეტის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის ანალიზი 2) რელიგიური ნიშნით დაპირისპირების კიდევ რამდენიმე მაგალითი არის, რაც ხელს უშლიდა აჭარელი მუსლიმების სრულფასოვან ინტეგრაციას ადგილობრივ ქრისტიანებთან.[1]

აჭარიდან გადასახლებულ ადამიანთა ინტეგრაციის შესასწავლად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა ენობრივი ბარიერი, განსაკუთრებით ეს პრობლემა შეიმჩნევა ისეთ რეგიონებში, სადაც სომხური და აზერბაიჯანული თემი ცხოვრობს, რაც ართულებს მათ შორის კომუნიკაციას და ცალკეული პრობლემების გადაჭრას. (ტრიერი ტ, ტურაშვილი მ.„ 2007, გვ. 73) საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგიის 2025 წლის სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს საქართველოში სხვადასხვა სტატუსით მცხოვრები უცხოელებისათვის სახელმწიფო ენის შესწავლის ახალი პროგრამის პილოტირება, შექმნილია შესაბამისი სახელმძღვანელოებიც. (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2025)

უცხო გარემოში მყოფ აჭარელ ოჯახებს რთულ ეკონომიკურ პირობებში უწევდათ არსებობა, მაგ. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში გადასახლებული აჭარლების სახლების ნაწილი გაუფორმებელია, ბევრი გასარემონტებელია და რთულ საცხოვრებელ პირობებში უწევთ ცხოვრება, წალკის მუნიციპალიტეტში გადასახლებული აჭარლების ნაწილს არ აქვთ საცხოვრებელი და ქირით ცხოვრებს, შედარებით კარგი პირობები ჰქონდათ შექმნილი ლაგოდეხის ეკომიგრანტებს, რადგან უმეტესობა მათგანი საცხოვრებლით დააკმაყოფილეს, მიუხედავად ამისა, ისინი მაინც მიიჩნევენ, რომ ხელისუფლების დანაპირები არ შესრულდა სრულად (ზურაბიშვილი თ., თავბერიძე გ., 30)

საინტერესოა, რომ 2000-იანი წლებიდან წალკაში გადასახლებული აჭარელი მოსახლეობის მიზანი გარდა სხვა შემთხვევებისა, რომელიც ითვალისწინებდა დასახლებას უსაფრთხო გარემოში, ასევე ერთ-ერთი მოტივი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება იყო, ამიტომაც წალკის აჭარელი მოსახლეობის ინტეგრაციის პროცესი ბევრად სპეციფიკური იყო განსხვავებით ეკომიგრანტებისა. მათი სოციალურ-ფსიქოლოგიური ადაპტაცია საკმაოდ რთულად წარიმართა, აჭარიდან წალკაში გადასახლების ერთ-ერთი მიზეზი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა იყო. (ტრიერი ტ, ტურაშვილი მ.„ 2007, გვ. 60)

[1] ვრცლად იხილეთ სტატია – http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18032&lang=geo

უკეთესი ეკონომიკური მდგომარეობის შეცვლის იმედით წალკაში გადასულ აჭარელ მოსახლეობას ადგილზე მძიმე ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა დახვდა: სამუშაო ადგილების სიმცირემ, საცხოვრებელი სახლების პრობლემებმა, ინფრასტრუქტურის განუვითარებლობამ და კიდევ სხვა მიზეზებმა აიძულა ასობით ოჯახს წალკა დაეტოვებინა და ისევ მშობლიურ მხარეს დაბრუნებულიყო. მსგავსად წარიმართა სოფ. თხილვანადან გადასახლებული მიგრანტების ბედი მარნეულის ტერიტორიიდან, მძიმე პირობების გამო ბევრმა დატოვა იქაურობა. (ტრიერი ტ, ტურაშვილი მ.„ 2007)

წალკაში მცხოვრები მიგრანტების პრობლემების შესასწავლად, 2013 წელს ქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დავალებული ჰქონდა ადგილზე შეესწავლათ მიგრანტთა პრობლემები, კვლევისას შეისწავლეს მათი საცხოვრებელი ადგილები და ცალკეული პრობლემები აღმოჩნდა, რომ უმეტესობა მათგანს არ ჰქონდა საკუთრებაში სახლი (სპეციალურმა ჯგუფმა წალკაში მცხოვრები ეკომიგრანტების პრობლემა შეისწავლა, 2013)

იგივე პრობლემების წინაშე დგას პანკისის ხეობაში სოფელ ქორეთში მცხოვრები აჭარიდან გადასახლებული მოსახლეობა, რომელთა პრობლემაა საცხოვრებელი სახლების დაკანონება, ისინი აქ 2005 წელს გადასახლდნენ აჭარაში ჩამოწოლილი მეწყერის გამო, რამდენიმე ოჯახი ისევ აჭარაში დაბრუნდა, რთული საცხოვრებელი და ეკონომიკური პირობების გამო, თავს მესაქონლეობითა და მებოსტნეობით ირჩენენ.

2006 წელს შეიქმნა მონაცემთა ბაზა, რომელშიც შევიდოდა სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული და სახელმწიფოს მხრიდან მყისიერი დახმარების მოლოდინში მყოფი ოჯახები. შედეგად ბევრი ოჯახი გადავიდა საცხოვრებლად საქართველოს ცალკეულ რეგიონებში. (ლაილი ჯ. 6)

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ქვემო ქართლის აზერბაიჯანელი მოსახლეობა ბევრად უფრო მიმღები აღმოჩნდა ეკომიგრანტებთან, ვიდრე ჯავახეთში მცხოვრები სომხური მოსახლეობა, რაც გამოწვეული იყო ურთიერთობებით, რადგან ჯავახეთის სოფლები ძირითადად იზოლირებულია სხვა სოფლებისაგან და ქართულ და სომხურ მოსახლეობასთან კომუნიკაცია შემცირებულია, განსხვავებით ქართლის სოფლები შერეულია და მკვიდრი მოსახლეობა უფრო მეტად გამოცდილი და გახსნილია ახალი ურთიერთობებისთვის, ასევე ქვემო ქართლის მმართველ წრეებში ბევრი არის ქართველი, განსხვავებით ჯავახეთისგან, ამ ყველაფერს ემატება თვითონ სომეხი მოსახლეობის რადიკალიზმი აჭარიდან გადმოსახლებული მიგრანტების მიმართ, ეს ყველაფერი კი ქმნის ბარიერს აჭარელი მოსახლეობის სრულფასოვანი ინტეგრაციისათვის (ტრიერი ტ, ტურაშვილი მ.„ 2007, გვ. 59).

2004 წლიდან აჭარის მთიანეთიდან დაიწყო ჩასახლება ჯავახეთის რაიონ სოფელ გორელოვკაში, სადაც მოსახლეობის უმეტესობა ეთნიკურად სომეხია, გადმოსახლებულებს მტრულად შეხვდა დამხვედრი სომეხი მოსახლეობა, იყო ძალადობის ფაქტებიც. სომეხი მოსახლეობა მუსლიმ აჭარელს „თურქად“ თვლის აჭარელი ოჯახები განსახლდნენ დუხობორების ყოფილ სახლებში (ლაილი ჯ. 16).

აჭარიდან გადასახლებული მოსახლეობის ინტეგრაციისათვის მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ჩართულობა და ცალკეული ღონისძიებების ჩატარება მიგრანტების პრობლემების მოსაგვარებლად. მიუხედავად იმისა, რომ ეკომიგრანტთა დაკმაყოფილება ნამდვილად არის ხელისუფლების მხრიდან ზრუნვის საგანი, დახმარების გაწევის გზებიც დიფერენცირებულია, რთული სათქმელია რამდენად ახერხებენ ისინი ახალ საცხოვრებელ ტერიტორიაზე სოციალურ, ეკონომიკურ, ფსიქოლოგიურ ადაპტაციას და გრძელვადიან პერიოდში აქვს თუ არა ამგვარი ფორმის მიგრაციას ქვეყნისათვის, რეგიონისათვის დადებითი შედეგი დღევანდელი მძიმე ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით. საჭიროა რომ სახელმწიფომ შეიმუშავოს პროგრამა, რომელიც აუცილებლად უნდა მოიცავდეს საგანმანათლებლო, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული ინტეგრაციის ყველა ასპექტს, ყურადღება უნდა მიექცეს მკვიდრი მოსახლეობის მახასიათებლებს და კონსტიტუციის ჩატარების პრაქტიკა დაინერგოს, შესაბამისად ამ მიმართულებით კვლევის გაგრძელება მნიშვნელოვნად მიგვაჩნია.

Bibliography:

ზურაბიშვილი თ., თავბერიძე გ.,. (2016). *ეკომიგრანტები და პოტენციური ეკომიგრანტები საქართველოში.* კვლევის ანგარიში, თბილისი.

ლაილი ჯ. (2012). *ეკომიგრანტების განსახლება საქართველოში, განსახლების პოლიტიკაში მიმდინარე ცვლილებები, ტენდენციები, განხორციელება და აღქმები.* სამუშაო მოხსენება №53, ECMI.

მაღალმთიანი გურიისა და ხულოს მუნიციპალიტეტის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის ანალიზი. (2019). რ. მარგიშვილი (რედ.).-ში საქართველო: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი.

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია. (2025). მოპოვებული https://migration.commission.ge/files/ms–ap–2025—web–.pdf-დან

სპეციალურმა ჯგუფმა წალკაში მცხოვრები ეკომიგრანტების პრობლემა შეისწავლა. (2013 წლის 11 ივლისი). მოპოვებული https://netgazeti.ge/news/23588/-დან

ტრიერი ტ, ტურაშვილი მ.,. (2007). *ეკოლოგიური მიზეზებით ადგილმონაცვლე პირთა განსახლება, არსებული პრობლემების გადაწყვეტა თუ ახლის შექმნა, ეკომიგრაცია საქართველოში 1981-2006.*

ფუტკარაძე თ. (2006). *აჭარის მოსახლეობის მიგრაციის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები.*-ში „ბათუმის უნივერსიტეტი“.

ISSUES OF ADAPTATION OF THE POPULATION MIGRATING FROM AJARA AT THE PRESENT STAGE

ANA BAGRATIONI
PhD Student, Researcher at Niko Berdzenishvili Institute
of Batumi Shota Rustaveli State University
E-Mail: ana.bagrationi@bsu.edu.ge
ORCID: 0009-0005-0456-3833

Abstract: Internal migration processes in Georgia have persisted for centuries and are driven by various complex factors. Studying the resettlement of the Adjarian population across different regions of Georgia and their integration-adaptation presents a significant challenge. Specific reasons, predominantly ecological disasters, propelled internal migration processes from Adjara. This study examines the causes of Adjarian population displacement, investigating the ground-level challenges migrants encountered in their interactions with local communities and national minorities. The research presents the reasons for re-migration and critically analyzes the government's role and importance in successfully managing the resettlement process.

Key words: Ajara; migration; adaptation; resettlement.

* * *

The modern world is constantly changing and faces great challenges. One of the important challenges is migration, which is continuously ongoing, and the study of this issue is very relevant and important. Georgia is also a part of the global world, where migration processes take place daily. There is an outflow of population from certain regions of Georgia, both beyond the borders and inwards. In this regard, my research topic is internal migration, namely the migration of population from Adjara to Georgia, and the issues of adaptation of displaced persons.

Settlement from Adjara to other parts of Georgia has been taking place for centuries, taking a special form since the second half of the 19th century. At different stages, the reasons for displacement from Adjara stemmed from different and specific environmental conditions.

The population resettled from Adjara faced certain problems of coexistence and adaptation in a foreign environment, which were accompanied by processes of repeated migration. The study of these issues is very relevant, because despite several works, which mainly concern the period from the 19th to the 1980s, no comprehensive studies have been conducted on this topic. Accordingly, the study of this issue will help us to make the issues of life of the population migrated from Adjara known to the general public, as well as to identify and present the ethno-cultural influences of the population migrated from Adjara and the local, non-Georgian population and the trends in the development of these relations, which will be interesting for the conduct of proper migration policy and the sustainability of migration in the country. The study becomes even more important due to the scarcity of Georgian and non-Georgian language material on this issue, and our study will be an attempt to supplement this material.

Methodology: The aim of the study is to comprehensively analyse the processes of integration and adaptation of migrants from Adjara in contemporary Georgia. Given the specificity of the topic and the need for in-depth understanding, a qualitative and combined research design was chosen, which allows us to take into account both individual experiences and structural factors that determine the degree of adaptation of migrants.

The use of a qualitative method is because social integration, identity change, and cultural adaptation are difficult to assess only through quantitative indicators. Personal narrative, subjective percep-

tion, and historical memory are indispensable resources for explaining social change and integration processes.

The main methods used in the study were:

1. Document analysis – state and local documents related to migration, official policies, as well as studies conducted by international and local non-governmental organisations, were studied, which helped to assess the role of migration policy and legislation in the adaptation of migrants.

2. Comparative analysis – adaptation processes are examined in different geographical and ethno-cultural contexts: in traditional Georgian environments (e.g., Guria) and in ethnically diverse spaces (e.g., Kvemo Kartli, Samtskhe-Javakheti), which enriches a deeper understanding of integration processes.

The data were analysed using inductive logic, which allows general conclusions to be drawn from the empirical material.

The origin of migration flows from Adjara is mainly related to environmental disasters, although there are some movements for various economic or social reasons. Recently, the first major wave of migration from Adjara was caused by a landslide in 1989, which affected 5657 families (Putkaradze T., 2006, p. 75). For environmental reasons, the population moved to different territories, mainly to border areas. During this period, the Soviet Union was on the verge of collapse, the country was in complete chaos and corruption. Houses intended for ecomigrants were occupied by families who were not affected. Due to this injustice, many of the victims were left without a home, and this led to repeated migration. Since the 1990s, Merab Kostava Foundation and Rustaveli Society have played a major role in solving the problems of ecomigrants by providing some ecomigrants with housing (Trier T., Turashvili M., 2007, p. 27). Nevertheless, problems related to housing still exist. Which should be the centre of considerable attention from the state.

Modern Adjara is home to many potential migrants who need to live in a safe environment. As a result of separate studies, it becomes clear that the main sphere of activity of the population of Khulo is agriculture, and the population is mainly engaged in animal husbandry, farming, and various crops. However, due to the lack of sufficient financial resources, the realisation of the grown products is problematic for them. The villages of Upper Adjara suffer from landlessness (Analysis of the socio-political situation of the highland municipalities of Guria and Khulo, 2019)

Therefore, the motive of migration is big, if we add to this the danger of environmental disasters, which is especially the cause of the desertification of Khulo villages. To solve this problem and reduce the migration flow, the state has developed a law. For example, on 16 July 2015, the Parliament of Georgia approved the Law on the Development of Highland Regions. Since some villages in Adjara are considered landslide-prone zones and the population living there is potential eco-migrants, the situation is particularly dire in the villages of Vashlovani and Dekanashvili. The last study 'Ecomigrants and Potential Ecomigrants in Georgia' was conducted in 2016, as a result of which the economic situation of the people living in the villages of Khulo district is quite difficult, some live in damaged houses, some of the houses have cracks, some of the houses cannot be restored (the soil has been eroded), they have to cultivate the land in difficult conditions as the soil is depleted and they do not have safe living conditions. The population needs guarantees that they will be provided with housing elsewhere during resettlement, so that's way do not share the fate of displaced people in Tsalka (Zurabishvili T., Tavberidze G., 2016, p. 18).

Various socio-economic and political-cultural problems arose during the settlement stages. However, the main problem remained the problems of cultural and religious adaptation and integration, as the settlement of Adjarians sometimes took place in an environment with ethnically and religiously diverse populations. Neither the Adjarians nor the local population were adequately prepared for coexistence, which created problems of cultural and religious integration.

People displaced from Adjara had to live in culturally and religiously different environments, the majority of displaced persons were Muslims, their integration process was particularly difficult in areas inhabited

by people of other religious denominations, their integration process was easy in the community inhabited by Azerbaijanis, while in Guria, Samegrelo, Javakheti and various territories their integration was difficult, accompanied by repeated migration. Muslims in Guria, who were expelled from Adjara, also considered hanging a pig's head on a mosque in Guria a religious insult (Analysis of the socio-political situation of the municipalities of Mountainous Guria and Khulo, 2019, p. 2). There are several other examples of religious confrontation that prevented the full integration of Adjarian Muslims with local Christians.

One of the important problems in studying the integration of people expelled from Adjara is the language barrier; this problem is especially noticeable in regions where Armenian and Azerbaijani communities live, which makes it difficult to communicate between them and solve individual problems. (Trier T., Turashvili M., 2007, p. 73) One of the goals of the Action Plan of the Migration Strategy of Georgia for 2021-2030, 2025, is to pilot a new programme for learning the state language for foreigners living in Georgia with different statuses. Relevant textbooks have also been created. (Government Commission on Migration Issues, 2025)

Adjarian families living in a foreign environment have had to survive in difficult economic conditions. For example, some houses of Adjarians resettled in Lagodekhi municipality are not finished, many need repair, and they have to live in difficult housing conditions. Some of the Adjarians resettled in the Tsalka municipality have no housing and live on rent. Lagodekhi eco-migrants are in relatively good conditions, as most of them were satisfied with their housing. Despite this, they still believe that the government's promises have not been fully fulfilled (Zurabishvili T., Tavberidze G., 2016, p. 30)

Interestingly, the goal of the Adjarian population resettled to Tsalka since the 2000s, among other cases that included settling in a safe environment, was also to improve their economic situation, so the integration process of the Adjarian population of Tsalka was much more concrete, in contrast to the eco-migrants. Their socio-psychological adaptation was quite difficult; one of the reasons for resettlement from Adjara to Tsalka was the construction of the Baku-Tbilisi-Ceyhan oil pipeline. (Trier T., Turashvili M., 2007, p. 60)

The Adjarian population, who moved to Tsalka in the hope of changing the economic situation for the better, found a difficult economic and social situation on the spot: lack of jobs, housing problems, underdeveloped infrastructure, and other reasons forced hundreds of families to leave Tsalka and return to their homeland. The fate of migrants displaced from Thilwana village and Marneuli territory was similar; many left the area due to difficult conditions. (Trier T., Turashvili M., 2007)

To study the problems of migrants living in Tsalka, in 2013, the Ministry of Refugees and Accommodation of Georgia established a working group tasked with studying the problems of migrants on the ground. During the study, they examined the places where they lived and found that most of them did not have their housing (Task Force studied the problem of eco-migrants living in Tsalka, 2013)

The same problems are faced by the displaced population from Adjara living in the village of Koreti in the Pankisi Gorge, whose problem is the legalization of their houses. They moved here in 2005 due to a landslide in Adjara. Several families have returned to Adjara, but due to difficult living and economic conditions, they make a living by raising cattle and gardening.

In 2006, a database was created to include families affected by natural disasters and expecting immediate assistance from the state. As a result, many families moved to different regions of Georgia. (Lylee J., 2012, p. 6)

It is particularly noteworthy that the Azeri population of Kvemo Kartli has proven to be much more receptive to the eco-migrants than the Armenian population living in Javakheti due to family ties, as Javakheti villages are largely isolated from other villages and communication with the Georgian and Armenian populations is reduced, unlike Kartli villages, the villages are mixed and the indigenous population is more experienced and open to new relationships, and there are many Georgians in Kvemo Kartli's ruling circles, unlike Javakheti. Added to all this is the radicalism of the Armenian population itself towards the migrants resettled from Adjara, all of which creates a barrier to the full integration of the Adjarian population (Trier T., Turashvili M., 2007, p. 59)

Since 2004, settlement from the mountains of Adjara began in the village of Gorelovka in the Javakheti region, where mainly population is ethnic Armenian. The resettled Armenian population, which welcomed them, was hostile, and there were even cases of violence. The Armenian population considers the Muslim Adjarians as 'Turks'. Adjara families were resettled in former Dukhobor homes. (Liley J., 2012, p. 16)

To integrate the population resettled from Adjara, the involvement of the state and the implementation of separate activities to address the problems of migrants are important. While it is true that the satisfaction of eco-migrants is a concern of the government, and the ways of assistance are also differentiated, it is difficult to say to what extent they can adapt socially, economically and psychologically to their new territory of residence and whether this form of migration has a positive outcome for the country and the region in the long term, given the current difficult economic conditions. The state needs to develop a programme that should include all aspects of educational, socio-economic, and cultural integration, pay attention to the specificities of the indigenous population, and introduce practices to implement the constitution. Accordingly, we consider it important to continue research in this direction.

References:

Zurabishvili T., Tavberidze G.,. (2016). Eco-migrants and potential eco-migrants in Georgia. A research report, Tbilisi.

Lyle, J. (2012). Resettlement of eco-migrants in Georgia, current developments in resettlement policies, trends, implementation, and perceptions. Working Paper No. 53, ECMI.

Analysing the socio-political situation in the municipalities of mountainous Guria and Hulo. (2019). In R. Margishvili (ed.). Georgia: Georgian Foundation for Research on Strategy and International Relations.

Government commission on migration issues. (2025). Retrieved from https://migration.commission.ge/files/ms–ap–2025—web–.pdf

A special group studied the problem of ecomigrants living in Tsalka. (11 July 2013). Retrieved from https://netgazeti.ge/news/23588/

Trier T., Turashvili M., (2007). Resettlement of people displaced for environmental reasons, solving existing problems or creating new ones, ecomigration in Georgia, 1981-2006.

Putkaradze, T. (2006). Historical and ethnological problems of migration of the population of Adjara. Publisher – „Batumi University"

ტრადიციული მკურნალობა აჭარაში

(აიშე მჟავანაძის პრაქტიკიდან)

ნინო მინდაძე
ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის
მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
ელ-ფოსტა: nmindadze@gmail.com
ORCID: 0009-0000-6720-3310

საბა კალანდარიშვილი
კულტურული და სოციალური ანთროპოლოგიის მაგისტრი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსისტეტი
ელ-ფოსტა: sabakalnda@gmail.com
ORCID: 0009-0003-1815-9810

აბსტრაქტი: ტრადიციულ ქართულ ხალხურ სამედიცინო კულტურას უდიდესი ისტორია აქვს. საუკუნეების განმავლობაში იცვლებოდა, ვითარდებოდა და დღემდე შემორჩა მკურნალობის სხვადასხვა მეთოდი და საშუალება, რომლებსაც საკმაოდ დიდი როლი ეკავა სხვადასხვა საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში. ქართული ხალხური სამედიცინო კულტურა მრავალფეროვანია, რაც განპირობებულია გეოგრაფიული გარემოს, ისტორიული და სოციალ-ეკონომიკური თავისებურებებით.

თანამედროვე სამყაროში უფრო და უფრო აქტუალური ხდება უძველესი ხალხური მედიცინის შესწავლა, ვინაიდან, არაერთი კვლევა ამტკიცებს, რომ ხალხური მედიცინა უმკვლავდებოდა სხვადასხვა რთულ დაავადებას და რაც მთავარია, ეს ხდებოდა ძირითადად ორგანული საშუალებებით, და ბუნებასთან მაქსიმალური ადაპტაცის შედეგად.

გარდა ბუნებრივი მკურნალობის მეთოდებისა, უძველესი დროიდან სხვადასხვა ხალხში გავრცელებული იყო მაგიურ-რელიგიური მკურნალობის მეთოდები. ამგვარი მეთოდების გამოყენება გარკვეულ ეზოთერულ ცოდნას მოითხოვდა, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა და სწორედ ასე გრძელდებოდა მკურნალობის უწყვეტი ტრადიცია.

გამონაკლისი არ ყოფილა არც ქართველი ხალხი, რომლის ცხოვრებაშიც რელიგიას უძველესი დროიდან მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ისტორიული პროცესებიდან გამომდინარე ქართველთა ყოფაში დაილექა სხვადასხვა რელიგიური პლასტი, რომელთა შემჩნევა შესაძლებელია სწორედ მაგიურ-რელიგიურ საშუალებებში.

სტატიაში ეთნოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით შევეცდებით წარმოვაჩინოთ XX საუკუნის პირველ ნახევარში აჭარაში მოღვაწე სახალხო მკურნალი ქალის ყოველდღიური სამედიცინო პრაქტიკა და ავხსნათ მკურნალთა მიერ გამოყენებული მაგიურ-რელიგიური წარმოდგენების როლი იმ კონკრეტულ საზოგადოებაში.

საკვანძო სიტყვები: ხალხური მედიცინა, სამედიცინო ანთროპოლოგია, მკურნალობა, შელოცვები, აჭარა, ქობულეთი, ექიმბაში, სახალხო მკურნალი.

* * *

შესავალი: ხალხური მედიცინა სხვადასხვა ხალხის სამედიცინო კულტურის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილია. მას განსაკუთრებით აქტიურად იყენებდნენ ძველ საზოგადოებებში. ხალხური მედიცინა არის საზოგადოებების მიერ შემუშავებული სამკურნალო პრაქტიკა როგორც ფსიქიკური აშლილობების, ისე ფიზიკური დაზიანებების წინააღმდეგ.

ხალხურ სამედიცინო კულტურას, ტრადიციულად, ორ ნაწილად ყოფენ: ერთია, ემპირიულ-რაციონალური, რომელიც აერთიანებს ხალხურ საბუნებისმეტყველო შეხედულებებსა და ბუნებრივ სამკურნალო საშუალებებს, მეორე – მაგიურ-რელიგიური, რომელიც გულისხმობს დაავადებათა შესახებ არსებულ რწმენა-წარმოდგენებსა და მკურნალობის წეს-ჩვეულებებს (მინდაძე ნ. , ქართველი ხალხის ტრადიციული სამედიცინო კულტურა, 2013).

მკურნალობის ამგვარი პრაქტიკა გავრცელებული იყო ქართველებშიც, რომელთა ცხოვრებაშიც რელიგიას უძველესი დროიდან მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ჰერბალისტისების გვერდით საქართველოში ყოველთვის იყვნენ პირები, რომლებიც მაგიური საშუალებებით, ძირითადად შელოცვებით, მკურნალობდნენ. არსებობდა სხვადასხვა დაავადების სამკურნალო შელოცვები. სოფელს მუდამ ჰყავდა მინიმუმ ერთი ადამიანი, უმეტესწილად ქალი, ვინც ამ ტიპის მკურნალობას ეწეოდა. ხალხურ მკურნალს, ჭკვიან, ბრძენ ადამიანად მიიჩნევდნენ და მოსახლეობა მას განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდა. ითვლებოდა, რომ მას დაავადებების, დარღვევების, იდენტიფიცირების უნარი და განკურნების ძალა ჰქონდა.

არის მოსაზრება, რომ ხალხური, ემპირიული მედიცინა, მედიცინის განვითარების საწყისი ეტაპი, ადამიანთა ცალკეული საზოგადოების ზეპირი სამედიცინო ცოდნის კომპლექსია. შემდგომი განვითარების შედეგად ხალხური, ემპირიული მედიცინის ბაზაზე აღმოცენდა ტრადიციული მედიცინა, ტრადიციული მედიცინა ოფიციალური, პროფესიული მედიცინის ჩამოყალიბების შემდეგაც დამოუკიდებლად ვითარდებოდა და დღესაც განაგრძობს არსებობას (მინდაძე ნ. , ქართული ხალხური მედიცინა (აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), 1981).

ხალხურ სამედიცინო პრაქტიკას რეგიონალური თავისებურებები ახასიათებს, რაც განპირობებულია ბიოგეოგრაფიული გარემოს თავისებურებებით. სხვადასხვა რეგიონისთვის დამახასიათებელი იყო მკურნალობის განსხვავებული მეთოდები და საშუალებები. გარდა გეოგრაფიული და კლიმატური მიზეზებისა, ტრადიციულ სამედიცინო ცოდნის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა ისტორიულმა პროცესებმა. ვინაიდან ხალხური სამედიცინო ცოდნის გადაცემა უმეტესწილად ზეპირსიტყვიერი გზით ხდებოდა, საუკუნეებგამოვლილ ტრადიციულ სამედიცინო კულტურაში კარგად იკვეთება სხვადასხვა ისტორიული პროცესის ამსახველი ტერმინოლოგიური, შინაარსობრივი და რელიგიური შრეები.

ხალხური მკურნალობის ტრადიცია აჭარაში თანმდევია საერთო ქართული სამკურნალო პრაქტიკისა, ოღონდ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მას ახასიათებს გარკვეული თავისებურება. აჭარის მძიმე წარსულის ასახვა სხვადასხვა ყოფით სისტემებზე ეტაპობრივად ხდებოდა. რუსეთ-ოსმალეთის გამუდმებული ომები აჭარა-ქობულეთის მოსახლეობის სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე მძიმედ აისახებოდა. ფაქტობრივად, არ არსებობდა ადამიანის სოციალური დაცვის პირობები და სამედიცინო დაწესებულებები. აღნიშნული პრობლემები განსაკუთრებით სოფლის მოსახლეობას აწუხებდა, რომლებიც უგზოობისა და უსახსრობის პირობებში მოცილებულნი იყვნენ საქალაქო ცხოვრებას. ამგვარ ვითარებაში გაიზარდა მოთხოვნილება ტრადიციულ მკურნალობაზე. სახალხო მკურნალის, ე.წ. ექიმბაშის ინსტიტუტი უფრო მნიშვნელოვანი გახდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამკურნალო ცოდნისა და მეთოდების გადაცემა უმეტესწილად მემკვიდრეობით ხდებოდა. აჭარაში ცნობილი იყო რამდენიმე გვარი, რომელიც სახელგანთქმული იყო მკურნალობით, ესენი იყვნენ: გორგილაძეები, ხაბაზები, მიქელაძეები, გეგიძეები, დუაძეები და სხვა. მათგან ზოგი ქირურგიულ დაავადებათა, ზოგი კი (გორგილაძეები და გეგიძეები) შინაგან დაავადებათა მკურნალობაში იყვნენ დახელოვნებული (ჩირგაძე).

შინაგან დაავადებათა მკურნალობის პრაქტიკას აჭარაში უმეტესად ქალები ეწეოდნენ. ისინი, როგორც ადგილობრივი დასტაქრები, მკურნალობაში იშვიათი გამონაკლისის გარდა, გარკვეულ გასამრჯელოს იღებდნენ ნატურით ან ფულით, მაგრამ არადადგენილი ნიხრით (ჩირგაძე ნ. , მკურნალობის ხალხური საშუალებები აჭარაში, 2008)

ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა ქობულეთში მცხოვრები სახალხო მკურნალის აიშე მჟავანაძის სამკურნალო პრაქტიკის შესწავლა და ამის მაგალითზე სახალხო მკურნალთა და სამკურნალო მეთოდების გამოყენების ზოგადი სურათის ჩვენება.

აიშე მჟავანაძის შესახებ საინტერესო ბიოგრაფიულ ცნობებს გვაწვდიან მისი შვილიშვილები, რომლებიც ბავშვობიდან აკვირდებოდნენ მკურნალისა და პაციენტის ურთიერთობას, ბებიის მიერ სხვადასხვა სამკურნალო წამლების დამზადებასა და სამკურნალო მეთოდების გამოყენებას.

მეთოდოლოგია: წარმოდგენილი ნაშრომი ეფუძნება ზეპირსიტყვიერ და ფოლკლორულ მასალებს, შესაბამისად კვლევის პროცესში გამოვიყენეთ ინტერვიურების მეთოდი, აგრეთვე წერილების, პირადი დღიურებისა და სხვა წერილობითი დოკუმენტების თვისებრივი შესწავლით მოვიპოვეთ სტატიაში განხილული ეთნოგრაფიული მასალები.

მსჯელობა: აიშე მჟავანაძე, ქობულეთის რაიონ, სოფელ წყავროკაში მცხოვრები, 1865-70-იან წლებში დაბადებული განთქმული მკურნალი და თვითნასწავლი ბებიაქალი იყო, რომელმაც დაახლოებით 1500 მდე ქალი ამშობიარა და არცერთი ლეტალური შემთხვევა არ ჰქონია. სამკურნალო ცოდნა მან თავისი ბებიისგან მიიღო, ხოლო დღესდღეობით მისგან მიღებული ცოდნით სხვადასხვა უებარ მალამოებს ამზადებს მისი შვილიშვილი. ამგვარად, სამკურნალო ცოდნის გადაცემის ეს უწყვეტი ტრადიცია სულ მცირე 2 საუკუნეს ითვლის.

როგორც მისი შვილიშვილები იხსენებენ, ბებია მთელი ცხოვრება კლდე-ღრეში დადიოდა, აგროვებდა სამკურნალო მცენარეების ფესვებს, ბოლქვებს, ღეროებს, ფოთლებსა და ყვავილებს. იცოდა, რომელი მცენარე რას კურნავდა. დაკრეფილი მცენარეებისგან კი „მელხემს“ – მალამოს აკეთებდა, რომელიც უებარი იყო ჭრილობებისთვის და აუცილებლად ფრინველის ბუმბულით უსვამდა მას პაციენტს.

ტრადიციული სამკურნალო ცოდნის ეფექტურობას ადასტურებს უამრავი ფაქტი. იყო შემთხვევები, როდესაც ექიმები ავადმყოფს ვერ შველოდნენ, ექიმბაშის მკურნალობას კი, შედეგი ჰქონდა. ეთერ კალანდარიშვილი აიშე მჟავანაძის შესახებ იხსენებს: აიშეს ავადმყოფისთვის „მჭამელი“ – კანის კიბო მოურჩენია, მიუხედავად ამისა, ის დაუპატიმრებიათ, რადგან იმ დროს ხალხური მეთოდებით მკურნალობა აკრძალული იყო.

იგივე მთხრობელი იხსენებს, თუ როგორ გადაარჩინა აიშე მჟავანაძის მიერ ბალახებისგან დამზადებულმა მალამომ ახალგაზრდა ბიჭი ფეხის მოკვეთას. იგი რამდენიმე დღიანი მკურნალობის შემდეგ ფეხზე დადგა და კიდურიც შეუნარჩუნდა. ამგვარი სასწაულებრივი შემთხვევების გამო აიშე მჟავანაძე არა მხოლოდ სოფლის, არამედ რაიონის მასშტაბით გახდა ცნობილი.

იმდროინდელი სოციალ-ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე მკურნალს გასამრჯელოს ნატურის სახით უხდიდნენ. ეთერ კალანდარიშვილი იხსენებს, თუ როგორ ღებულობდა ბებია მკურნალობის სანაცვლოდ სხვადასხვა საჩუქარს, ძირითადად, საყოფაცხოვრები ნივთებს: საპონს, შაქარს, ლაჩაქს (მარლა) და იშვიათ შემთხვევაში ფულს. უფრო ხშირად კი, ის უანგაროდ ეხმარებოდა ხალხს და არჩენდა ჭრილობებს, კანის დაავადებებს, თიაქარს, რაქიტს, რევმატიზმს და ა.შ

საინტერესოა რიტუალი, რომელსაც აიშე მჟავანაძე რაქიტის[1] სამკურნალოდ იყენებდა. მკურნალობის დაწყებამდე, წინა დღით, დილაუთენია „უენოდ“, უბრად ადგებოდა და წავიდოდა წისქვილში, სადაც წისქვილის წყლიდან, დაახლოებით მუჭისოდენა, 7 ცალ ქვას ამოიღებდა (ამბობდა, „აქ რომ წყალი ჩამოდის 7 წისქვილის წყალია ზედ გადარებულიო“) და სახლში წამოიღებდა. ასევე მოკრეფდა სხვადასხვა სახის ბალახს, მოამზადებდა ჯაჭვს, ბუხარში დაანთებდა ცეცხლს, შიგ ჯაჭვს ჩააგდებდა და წისქვილიდან მოტანილ ქვებს ჩაყრიდა. ცეცხლზე ქვაბს დადგამდა, შიგ მოხარშავდა ბალახეულობას. შემდეგ ქვაბს გადმოდგამდა, თბილ ნაჭრებში შეხვეულ, ავადმყოფ ბავშვს ცხელნახარშიანი ქვაბის ზემოთ დაიჭერდნენ და ბავშვი ორთქლში გაეხვევოდა. როგორც კი ორთქლი შენელდებოდა მკურნალი მასში წისქვილიდან მოტანილ თითო-თითო გავარვარებულ ქვას ჩააგდებდა და ორთქლი კვლავ მოდიოდა. ასევე ქვაბში ნელ-ნელა ჩაუშვებდა გავარვარებულ ჯაჭვს და ბავშვს იმ ორთქლშიც „გამოხარშავდა“. შემდეგ ბავშვს კიბესთან მიიყვანდნენ, მიიტანდნენ გამოყენებულ ჯაჭვსაც და ბავშვს მასში გაატარებდნენ. იმავე რიტუალში მკურნალი იყენებდა ცულსაც, რომლითაც ბავშვის ფეხთან თითქოს ოდნავ კიბის საფეხურს ჩაჭრიდა. ასე გაატარებდა ბავშვს 7 საფეხურს. აღსანიშნავია

[1] რაქიტი, ეს არის დაავადება, რომელიც წარმოადგენს ძვლების დარბილებასა და დასუსტებას ბავშვებში.

ისიც, რომ ეს რიტუალი ტარდებოდა მაშინ, როდესაც ატმის ხე იყო შეფოთლილი. რიტუალის დასასრულს მკურნალი აკვანში ატმის ფოთლებს ჩააფენდა, შიგ შიშველ ბავშვს ჩააწვენდა და ზემოდან ისევ ატმის ფოთლებს დააფარებდა, შეახვევდა და ასე ბავშვს ისევ ოფლს მოადენდა. ეს რიტუალი სრულდებოდა სამჯერ, სავსე მთვარეზე. როგორც ამბობენ, ამ რიტუალის შემდეგ ბავშვი აუცილებლად გაივლიდა. რიტუალის შემადგენელი ნაწილი იყო შელოცვაც, თუმცა ეს შელოცვა არ შემორჩენილა. როგორც ჩანს, მნიშვნელოვანი იყო ატმის ფოთლის სამკურნალო თვისებები, რომელიც, როგორც ჩანს, კუნთების გამკვრივებას უწყობდა ხელს და ამის შესახებ მკურნალმაც კარგად იცოდა.

საინტერესოა ისიც, რომ მკურნალი რიტუალისთვის იყენებდა წისქვილის წყლიდან ამოღებულ 7 ქვას. ქრისტიანობაში რიცხვი 7 განიხილება, როგორც სრულყოფილების და სისრულის სიმბოლო. იგი ასევე დაკავშირებულია შექმნის შვიდ დღესთან და სულიწმიდის შვიდ ნიჭთან. სწორედ ამიტომ, არა არის გამორიცხული, რომ ეს რიცხვი ქრისტიანული რელიგიის გავლენით დამკვიდრდა ზემოთ აღწერილ სამკურნალო რიტუალში და სავსებით ლოგიკურად გამოიყენებოდა განუვითარებელი სხეულის სამკურნალოდ.

საინტერესოა კიდევ ერთი სამკურნალო მეთოდი, რომლითაც ის ხიდან ჩამოვარდნილებს ეხმარებოდა. თუ ვინმე ხიდან გადმოვარდებოდა, მკურნალი იმ ადგილზე სასწრაფოდ მიწას ამოთხრიდა და აუცილებლად იპოვიდა ნახშირს. ნახშირს გარეცხავდა, დანაყავდა, წყალში „გალესავდა“ (გახსნიდა) და უგონოდმყოფს დაალევინებდა, რომელიც უმალ გონს მოდიოდა.

„რევმატიზმის სამკურნალოდ ყოველ გაზაფხულზე ფაშა (აიშე) იყენებდა ბაიას ყვავილს. გარეცხავდა, პატარა კოლოფში დანაყავდა, შემდეგ ავადმყოფს წვივებზე მიადებდა და შეკონავდა. ეს დაწვავდა იმ ადგილს რამდენიმე დღეში, მერე მოაძრობდა. დამწვარ ადგილზე ჩნდებოდა წყლული, რომლიდანაც გამოდიოდა წყალი, შემდეგ წყლულზე თავის მალამოს წაუსვამდა და მოარჩენდა. „ეს ყველამ უნდა გაიკეთოს გაზაფხულზე და სირისტი (ნესტი) გამოიყვანოს ფეხებიდანო“ – იხსენებს აიშე მჟავანაძის შვილიშვილი.

გარდა ემპირიულ-რაციონალური საშუალებებისა, აიშე მჟავანაძე სამკურნალო პრაქტიკაში იყენებდა შელოცვებს, რომელიც სხვადასხვა დაავადებისთვის იყო განკუთვნილი. შვილიშვილის, მერი კალანდარიშვილის ძალისხმევით შემორჩენილი გვაქვს რამდენიმე შელოცვა.

აქვე კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, რომ იმდროინდელი ეთნოგრაფიული მასალებიდან ჩანს, თუ როგორ არის დამკვიდრებული ხალხის ყოფაში წარმართული, ქრისტიანული და ისლამური პლასტები. შელოცვები კი, შეიძლება ითქვას, სწორედ ის მნიშვნელოვანი ეთნოგრაფიული არტეფაქტებია, რომელშიც ჩანს სხვადასხვა რელიგიათა დროში მონაცვლეობა და მისი დანალექი ყოფითი კულტურის დონეზე.

ყველა ლოცვა იწყებოდა ასე:

„სახელითა ღვთითა,
მამითა ძითა,
სულითა წმინდითა...“

და ამთავრებდა ასე:

„დანის პირის განაჭარი,
დანას ტარად დიეგება,
ცულის პირის განაჭარი,
ცულის ტარად დიეგება,
წალდის პირის განაჭარი,
წალდის ტარად დიეგება,
ჩემი ლოცვა ლოცვა არის,
ამ ქალს/კაცს/ბავშვს, ერგება |სახელი და გვარი|
მე ვარ მლოცველი,
მარგებელია ღმერთი გამჩენი, ამინ!“

შელოცვა ნათვალევის / I ვარიანტი

სახელითა ღვთითა,
მამითა ძითა,
სულითა წმინდითა,
მე გილოცავ თვალისა-ნათვალევისა.
თეთრისა-თეთრფერვანისა,
შავისა-შავგრემანისა, წითურისა,
ტანმაღალისა, ტანდაბალისა,
შინაურისა, გარეულისა,
მოხუცისა, ახალგაზრდისა,
ქალისა, კაცისა, ბავშვისა,
მეზობლისა, ნათესავისა, მოყვარისა,
ღმერთო, ყველას ავი თვალისგან,
შურიანი თვალისგან,
შენ დაიცავი და შენ დასწერე ჯვარი
ქალს, კაცს, ბავშვს |სახელითა და გვარით|,
ამ წყალის დამლევსა და მომხმარებელს |როცა წყალს ულოცავენ|
ამინ!

შელოცვა ნათვალევის / II ვარიანტი

სახელითა ღვთითა,
მამითა ძითა,
სულითა წმინდითა,
მე გილოცავ თვალისა-ნათვალევისა.
მაწყენარი შენახედავი
ღაზო შენახედავი,
თვალმკვეთარი შენახედავი,
ღმერთო, შენ აშორე ამ |ქალს, კაცს, ბავშვს|
შენი ავი თვალის მცემელსა,
გასკდა რვალი,
დიეფსო თვალი,
გადიერო შხამი,
მუა შავი წყალი,
მუაქვს შავი გველი,
გადაჰკიდეთ ჭუვები,
გააგდებიეს წელები,
იგი მოჰკიდეს ეკლებზე, ქაცვებზე,
ისე დაღრა, დაჭკნა,
შენზე ავი თვალით, ავი სულით შემხედავი.
ამინ!

შელოცვა ყელმოსწრობილის (ყელჭირვება)

სახელითა ღვთითა,
მამითა ძითა,
სულითა წმინდითა,
მე გილოცავ ყელმოსწრებულისა.

ამდგარი მისდგომია
ყელსა და კისერსა,
შველო, ირემო, ყამუჩო,
ამ ბაღანას რად არჩობ.
იაგუნდის მარანუში
ქრისტე იდგა წირვაზე,
ქრისტემ უთხრა პეტრესა,
რად არა სჭამ პურსა,
რად არა სვამ წყალსა,
დაგიბერავ სულსა,
გაგაქროლებ წამსა.
ამინ!

შაკიკის შელოცვა

სახელითა ღვთითა,
მამითა ძითა,
სულითა წმინდითა,
მე გილოცავ შაკიკისა.
შაკიკი შემომეყარა
ორშაბათსა დილასა,
პრასას ვჭამდი კუშასა,
გადიეყარა წმინდა გიორგი
გააქროლა დილასა.
ამინ!

შელოცვა კუის |საქონლის ან მეძუძური ქალის|

სახელითა ღვთითა,
მამითა ძითა,
სულითა წმინდითა,
მე გილოცავ კუისა.
კუ, კუ, კურკუმელო,
კოჭდაბალო საქონელო,
არაზე ჯიხარ, რაზე ჯიხარ,
რას წამოგისხამს თავზე მაზარა,
აგჭრი ანითა, განითა,
ჭრელტანიანი დანითა,
გრძელტარიანი წალდითა,
ჩაგყრი რიონის ქოთანსა,
დაგუღებ, გაქაფქაფებ,
გაგადენ წყალსავითა,
გაგაქროლებ ქარსავითა.
ამინ!

შელოცვა შეჭრეტილის |კისრის არეში მასაჟით|

სახელითა ღვთითა,
მამითა ძითა,

სულითა წმინდითა,
მე გილოცავ შეჭრეტილსა.
ზღვაში ორი ხენი იდგა,
უძირო და ძირიანი,
ზეთა ორი მტრედი იჯდა,
უფრთო და ფრთიანი.
ადამმა გვერდი იმტკიცა,
ადამმა უთხრა ხესა,
ხემ უთხრა წყალსა,
წყალმა იდინა ზღვას შიერთო,
ზღვამ იდუღა ქაფსავით,
ღმერთო, გააქროლე,
შეჭრეტილი ქარსავით.
ამინ!

შელოცვა შეშინებულის

სახელითა ღვთითა,
მამითა ძითა,
სულითა წმინდითა,
მე გილოცავ შეშინებულისა.
გულო მოდი შინაო,
რამ შეგაშინაო,
კატამ შეგაშინაო,
ძაღლმა შეგაშინაო,
ძროხამ შეგაშინაო,
ცხენმა შეგაშინაო,
კაცმა შეგაშინაო,
ქალმა შეგაშინაო,
სულიერმა შეგაშინაო,
რამაც შეგაშინაო
იმან მოგარჩინაო.

ბუნებრივია, და დადასტურებული ფაქტიცაა, რომ სახალხო მკურნალის, აიშე მჟავანაძის ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითი არის ერთ-ერთი და არა ერთადერთი. თუმცა, საინტერესოა ის მიდგომები, რომლებიც განსხვავებულია, ყველგან არ გვხვდება და შეიძლება ჩაითვალოს სწორედ იმ თავისებურებად, რომელიც უკვე ვახსენეთ. საქართველოს ცალკეული რეგიონის ტრადიციულ მედიცინას გარკვეული თავისებურება ახასიათებს რაც აისახა ეთნომედიცინაში, ემპირიულ-რაციონალური საშუალებებით მკურნალობაში, მაგიურ-რელიგიური წარმოდგენებსა თუ წეს-ჩვეულებებში.

მიუხედავად იმისა, რომ ექიმბაშის ინსტიტუტი და ზოგადად ხალხური მკურნალობის მეთოდებით მკურნალობა ძველებურად აქტუალური აღარ არის, დღეს მას მაინც იყენებენ. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა, რომელიც უნდა დაისვას, არის ის, თუ რატომ მიმართავს ხალხი დღემდე ხალხურ სამკურნალო საშუალებებს, მიუხედავად ახალი ალტერნატივისა? ჩვენი მოსაზრებით, ძირითადად, ბუნებრივ-კულტურული კავშირების გამო, რომლებიც მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში. წეს-ჩვეულებების, ტაბუების, რელიგიური ღირებულებების გამო, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული გარემოსთან. ასევე არსებობს სხვა მიზეზები, რის გამოც ხალხი თანამედროვე ჯანდაცვის სისტემებს, ხალხურ სამკურნალო საშუალებებს ამჯობინებს. მაგალითად, ტრადიციული მკურნალობის დაუყოვნებლივი ეფექტის გამო, პაციენტის სქესის გამო და სხვა. უნდა ითქვას, რომ თანამედროვე სამედიცინო

პრაქტიკაში აქტიურად დგას ექიმისა და პაციენტის ურთიერთობის პრობლემა, განსხვავებით პაციენტისა და სახალხო მკურნალის ურთიერთობისგან. მიიჩნევა, რომ მკურნალთან კონტაქტის დამყარება თითქოსდა უფრო ადვილია. როგორც წესი, პაციენტები მიმართავენ ხალხურ მკურნალობას სხვადასხვა რთული და გრძელვადიანი პროცედურების თავიდან ასაცილებლად და რაც მთავარია იმიტომ, რომ მათი მკურნალობა ხშირად ეფექტურია.

დასკვნა: ტრადიციული მედიკამენტები და სამკურნალო სისტემები თაობების მანძილზე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქართველი ხალხის ყოფაში, განსაკუთრებით იმ საზოგადოებაში, რომელიც ქვეყნის ყველაზე შორეულ რეგიონებში ცხოვრობდა და თანამედროვე ჯანდაცვის სისტემისგან გარიყულად რჩებოდა. ამჟამინდელმა კვლევამ ყურადღება გაამახვილა აჭარაში, ერთ-ერთი სახალხო მკურნალის მაგალითზე ტრადიციული სამკურნალო პრაქტიკის მნიშვნელოვან ელემენტებზე. კვლევის შედეგად, ერთ-ერთი სახალხო მკურნალის მაგალითით, წარმოვაჩინეთ აჭარის ტრადიციული სამედიცინო კულტურის მხოლოდ მცირე ნაწილი. მომავალი კვლევა მიზნად ისახავს დეტალურად აღიწეროს იმდროინდელ აჭარაში გავრცელებული დაავადებების ტრადიციული სამკურნალო პრაქტიკა, მკურნალობის ბუნებრივი თუ ზებუნებრივი საშუალებები და მეთოდები, მათ შორის მცენარეები, მინერალები, შელოცვებით და სხვა, რაც ხელს უწყობდა სხვადასხვა, იმ დროისთვის განსაკუთრებით რთული დაავადებების განკურნებას. ვფიქრობთ, ძველი ეთნოსამედიცინო ცოდნა სათანადო გამოკვლევების შემდეგ უნდა დამკვიდრდეს თანამედროვე სამედიცინო პრაქტიკაში. დღეს მსოფლიოში დაავადებების ახალი ფორმები ვრცელდება, ამის ნათელი მაგალითია COVID-19. უძველესი ხალხური სამკურნალო პრაქტიკა უზრუნველყოფს პლატფორმას ტრადიციული მედიცინისა და პრაქტიკის გასაგებად და გასაძლიერებლად, რომელიც ფოკუსირებულია როგორც დაავადების განკურნებაზე, ასევე მის კონტროლზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

მინდაძე, ნ. (2013). *ქართველი ხალხის ტრადიციული სამედიცინო კულტურა*. თბილისი.

მინდაძე, ნ. (1981). *ქართული ხალხური მედიცინა (აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)*. თბილისი: მეცნიერება.

ჩირგაძე, ნ. (2008). *მკურნალობის ხალხური საშუალებები აჭარაში*. თბილისი: საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ტბელობა“, 2008 წლის ნოემბერი (მასალები).

TRADITIONAL HEALING IN AJARA
(Based on the Practice of Aishe Mjavandze)

NINO MINDADZE
PhD in History, Chief Researcher,
Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology
E-Mail: nmindadze@gmail.com
ORCID: 0009-0000-6720-3310

SABA KALANDARISHVILI
MA in Cultural and Social Anthropology,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
E-Mail: sabakalnda@gmail.com
ORCID: 0009-0003-1815-9810

Abstract: Traditional Georgian folk medical culture has a rich and ancient history. Over the centuries, it has evolved and changed, and to this day, various healing methods and remedies have been preserved, which have played a significant role in the daily lives of different communities. Georgian folk medical culture is diverse, shaped by geographical conditions, as well as historical and socio-economic particularities.

In the modern world, the study of ancient folk medicine is becoming increasingly relevant, as numerous studies confirm that folk medicine was capable of addressing various complex diseases – most importantly, primarily through organic means and by adapting closely to nature.

In addition to natural healing methods, magical-religious healing practices have been widespread among different peoples since ancient times. The use of such methods required specific esoteric knowledge, which was passed down from generation to generation, thus maintaining the continuity of healing traditions.

The Georgian people were no exception, as religion has held a significant place in their lives since ancient times. Due to historical processes, various religious layers have accumulated in Georgian everyday life, which can be observed precisely in magical-religious practices.

This article, based on ethnographic material, aims to present the everyday medical practices of a female folk healer active in Adjara in the first half of the 20th century and to explain the role of magical-religious beliefs used by healers within that specific community.

Keywords: folk medicine, medical anthropology, healing, incantations, Adjara, Kobuleti, healer,folk practitioner.

* * *

Introduction. Folk medicine constitutes one of the essential components of the medical culture of different peoples and was especially widespread in pre-modern societies. It represents a system of healing practices developed within local communities to address both psychological disorders and physical ailments.

Traditionally, folk medical culture is divided into two main types: the empirical-rational and the magico-religious. The first encompasses the naturalistic and empirical understanding of diseases and healing methods, relying on herbs and natural remedies; the second is grounded in beliefs, rituals, and magical-religious practices concerning illness and recovery (Mindadze, Traditional Medical Culture of the Georgian People 2013).

Among Georgians, as among many other peoples, both types were practiced. Religion has always occupied a central place in Georgian life, and alongside herbalists, there were individuals who healed through magical means-primarily incantations. Various charms were used to cure specific ailments, and almost every village had at least one such healer, typically a woman. Folk healers were regarded as wise and knowledgeable persons, highly respected by the community. They were believed to possess special abilities to identify disorders and restore health.

According to scholarly perspectives, empirical folk medicine may be viewed as the initial stage in the historical development of medicine-a complex of orally transmitted medical knowledge within specific communities. As medicine evolved, traditional healing developed further on its basis and continued to exist even after the establishment of formal, institutional medicine. In many contexts, it still functions today as an autonomous system (Mindadze, Georgian Folk Medicine (Based on the Ethnographic Materials of the Highlanders of Eastern Georgia) 1981).

Regional variations are one of the characteristic features of folk medical practice. These differences are conditioned by biogeographical and ecological factors, as well as by the historical and social development of particular communities. Consequently, healing methods and remedies differed from one region to another. Because the transmission of folk medical knowledge was primarily oral, traditional medical culture accumulated multiple layers-terminological, semantic, and religious-reflecting the historical processes through which it evolved.

The tradition of folk healing in Adjara forms part of the broader Georgian healing practice but also possesses specific local features. The region's turbulent history, shaped by continuous Russo-Ottoman wars, had a profound impact on the social and political life of the Adjarian population. The absence of social welfare and medical institutions particularly affected rural inhabitants, who lived in poverty and isolation. Under these conditions, the need for traditional healers grew, and the institution of the so-called ekimbashi-the folk doctor-acquired renewed significance.

As in many parts of Georgia, the transmission of healing knowledge and methods in Adjara generally occurred through inheritance. Several families were especially renowned for their healing traditions-among them the Gorgiladze, Khabazi, Mikeladze, Gegidze, and Duadze lineages. Some specialized in treating surgical conditions, while others (such as the Gorgiladze and Gegidze families) focused on internal diseases. (Chirgadze 2008)

In most cases, women practiced internal medicine. These local healers, functioning as dastakrebi (wise women or midwives), received modest compensation in kind or in money, but there was no fixed payment rate (2008) n.d.).

Our research focuses on the healing practice of Aishe Mjavandze, a traditional healer from Kobuleti, whose ethnographic case allows us to illustrate the broader picture of folk medicine in Adjara and the specific methods employed by local practitioners.

Methodology: The presented paper is based on oral and folkloric materials; therefore, the research process employed the method of interviews, as well as qualitative analysis of letters, personal diaries, and other written documents, through which the ethnographic data discussed in the article were obtained.

Aishe Mjavandze's Healing Practice

According to oral testimonies provided by her grandchildren, who as children closely observed her interactions with patients and the preparation of various remedies, Aishe Mjavandze was a renowned folk healer and self-taught midwife living in the village of Tskhavrokva, Kobuleti District. She was born approximately between 1865 and 1870 and assisted in the delivery of around 1,500 women throughout her lifetime, without a single recorded fatal case.

She inherited her medical knowledge from her grandmother, and today her granddaughter continues to prepare various curative ointments based on this transmitted knowledge. Thus, the lineage of healing practice within this family extends over at least three generations-spanning roughly three centuries.

According to family recollections, Aishe Mjavandze spent most of her life traversing the mountains and rocky terrain, collecting medicinal herbs-roots, bulbs, stems, leaves, and flowers. She possessed detailed knowledge of the curative properties of each plant. From these, she prepared melkhem-ointment-particularly effective for wounds. The ointment was always applied with a bird feather, an act symbolically associated with purity and softness in local folk belief.

Numerous cases attest to the effectiveness of such traditional treatments. There were instances when physicians were unable to help patients, yet the intervention of a folk healer produced positive results. As Eteri Kalandarishvili recalls, Aishe successfully treated a patient suffering from skin cancer-referred to locally as „mchameli“ (“the devourer“). Nevertheless, she was once arrested, as at that time healing through folk methods was officially prohibited.

Eteri Kalandarishvili also recounts how Aishe saved a young man from leg amputation. Using an herbal ointment she had prepared, she managed to restore the injured leg within several days, preventing its loss. Such cases contributed to her reputation, and she became widely known not only in her own village but throughout the Kobuleti region.

Given the socio-economic circumstances of the time, compensation for treatment was typically provided in kind. Patients brought everyday goods-soap, sugar, gauze, or occasionally money-as payment. However, in most cases, Aishe offered her help without charge, treating wounds, skin diseases, hernias, rickets, and rheumatism.

One particularly noteworthy ritual employed by Aishe Mjavandze was used to treat rickets (rakhiti). On the day before treatment, at dawn and in complete silence, she would walk to the mill and collect seven stones from the millstream-stones touched by „the waters of seven mills,“ as she described it. She then gathered various herbs and prepared a chain. At home, she lit a fire, placed the chain in the flames, and then added the collected stones. She boiled the herbs in a pot over this fire, and when the decoction was ready, the child to be treated was wrapped in warm cloths and held above the steaming pot. When the steam began to fade, Aishe would drop one of the glowing stones into the pot, releasing another wave of steam, and then gradually added the heated chain, allowing the child to „bathe“ in the vapor.

After the steaming, the child was taken to a staircase, through which Aishe performed a symbolic act: she would lightly strike the step with an axe near the child’s feet, then pass the child over seven steps, together with the chain used in the ritual. The rite was performed only during the period when peach trees had leaves. In conclusion, the healer placed peach leaves in a cradle, laid the naked child upon them, covered the child with more leaves, and wrapped them together so that the child would sweat. This ritual was repeated three times, on nights of the full moon. According to local belief, after this treatment the child would inevitably begin to walk. Although the incantation accompanying the ritual has not survived, the use of peach leaves clearly reflects an understanding of their therapeutic properties-possibly their effect on muscular strength and firmness.

Particularly striking is Aishe’s use of seven stones drawn from the millstream. In Christian symbolism, the number seven signifies completeness and perfection, associated with the seven days of creation and the seven gifts of the Holy Spirit. It is thus plausible that this numerical motif entered the ritual under the influence of Christian tradition and was interpreted as a means of restoring bodily wholeness.

Another healing method practiced by Aishe concerned injuries caused by falling from trees-a common occurrence in rural life. When someone fell, she would immediately dig into the earth at the site of the accident, locate pieces of charcoal, wash and crush them, dissolve them in water, and make the unconscious person drink the mixture, which, as witnesses report, would rapidly revive them.

For rheumatism, Aishe used baya flowers each spring. She washed and crushed the blossoms, placed them into a small box, applied the substance to the patient’s calves, and wrapped the area tightly. After several days, the skin burned and formed ulcers that released fluid. She then treated the wounds with her ointment until they healed completely. As her granddaughter recalled: „She said everyone must do this in the spring-to draw the dampness out of their legs.“

In addition to empirical remedies, Aishe Mjavandze also used incantations (shelotsvebi) for various ailments. Thanks to the efforts of her granddaughter, Meri Kalandarishvili, several of these incantations have been preserved.

As previously noted, Aishe Mjavandze employed not only empirical remedies but also magical-religious practices-incantations (shelotsvebi)-which were recited to cure a range of illnesses. The ethnographic material reveals a syncretic layering of pagan, Christian, and Islamic elements deeply embedded in everyday life. These charms thus represent valuable ethnographic artefacts that reflect the coexistence and gradual transformation of religious traditions over time.

All prayers and charms began with the invocation:

“In the name of God,
The Father, the Son,
And the Holy Spirit…“

and concluded with the formula:

“As the knife’s edge is cut,
So may the knife’s handle be joined;
As the Billhook’s edge is cut,
So may the Billhook’s handle be joined;
As the Billhook’s edge is cut,
So may the Billhook’s handle be joined;
My prayer is a true prayer,
Let it suit this woman/man/child [name and surname],
I am the one who prays,
Blessed be the Creator, Amen.“

Incantation against the Evil Eye (Version I)

In the name of God,
The Father, the Son,
And the Holy Spirit.
I pray against the evil of the eye-
Of the fair-skinned, the dark-haired, the red-haired,
The tall and the short,
The insider and the outsider,
The old and the young,
The woman, the man, the child,
The neighbor, the relative, the friend.
O Lord, protect them all
From the envious and malicious eye,
Bless with Your cross this woman/man/child [name and surname],
And whoever drinks or uses this blessed water,
Amen.

Incantation against the Evil Eye (Version II)

In the name of God,
The Father, the Son,
And the Holy Spirit.
I pray against the evil of the eye.
The one who harms, the one who glares,
The one whose gaze burns-
O Lord, remove from this person
The curse of the evil eye!
Let the bronze burst,
Let the gaze dissolve,
Let the venom retreat,
Let the black water and the dark serpent depart!
Let owls cry over it,
Let its shoulders grow weak,
Let it wither and vanish,
The one who has looked upon you with an evil spirit.
Amen.

Incantation for a Swollen Throat

In the name of God,
The Father, the Son,
And the Holy Spirit.
I pray for the one whose throat is afflicted.
The swelling has risen
Upon the neck and throat-
Deer and gazelle, why do you gnaw upon this child?
In the winepress of Yagund,
Christ stood at the altar;
Christ said to Peter:
“Why do you not eat bread,
Why do you not drink water?
I will breathe life into you,
I will drive away your pain.“
Amen.

Incantation for Migraine

In the name of God,
The Father, the Son,
And the Holy Spirit.
I pray for the one suffering from migraine.
Migraine came upon me
On a Monday morning-
I was eating leeks, bitter as gall,
Saint George appeared
And drove it away at dawn.
Amen.

Incantation for Milk Retention (of Cattle or Nursing Women)

In the name of God,
The Father, the Son,
And the Holy Spirit.
I pray for milk to flow freely.
O milk, O gentle creature,
Why do you not rise, why do you not flow?
What evil spell is upon you?
I will cut you with the dawn,
With a blade long-handled and bright,
I will cast you into the pot of the Rioni River,
I will boil you, I will froth you,
I will make you flow like water,
I will make you run like the wind.
Amen.

Incantation for a Stiff Neck (Performed with Massage)

In the name of God,
The Father, the Son,
And the Holy Spirit.
I pray for the one whose neck is stiffened.
Two trees stood in the sea-
One with roots, one without;
Two doves perched upon them-
One winged, one unwinged.
Adam strengthened his side,
He spoke to the tree,
The tree spoke to the water,
The water flowed into the sea,
The sea boiled like foam.
O Lord, drive it away,
Let the stiffness vanish like the wind.
Amen.

Incantation for the Frightened (Children or Adults Suffering from Shock)

In the name of God,
The Father, the Son,
And the Holy Spirit.
I pray for the frightened soul.
O heart, come home-
What has frightened you?
The cat has frightened you,
The dog has frightened you,
The cow has frightened you,
The horse has frightened you,
The man has frightened you,

The woman has frightened you,
A spirit has frightened you-
Whatever has frightened you,
May that very thing heal you.
Amen.

These incantations exhibit the deep intertwining of religious symbolism and folk cosmology within the healing tradition of Adjara. The coexistence of Christian formulae, nature imagery, and animistic motifs demonstrates the persistence of pre-Christian beliefs transformed through the moral and spiritual framework of later religious layers.

Conclusion. The case of Aishe Mjavandze, as documented through oral and ethnographic materials, is one of many examples of traditional folk healing in Adjara. Nevertheless, it is distinguished by several unique practices that are not widely encountered elsewhere and therefore constitute important local specificities within Georgia's ethnomedical tradition.

Traditional medicine in Georgia exhibits regional variation, shaped by ecological conditions, historical developments, and religious influences. In Adjara, the ethnomedical system combined empirical–rational approaches (such as the use of herbs and natural substances) with magico-religious elements, including ritual healing and incantations. These practices formed a complex therapeutic worldview in which the physical and spiritual dimensions of illness were inseparable.

Although the institution of the ekimbashi (folk healer) and the practice of traditional healing have lost their former prominence, they continue to exist today. A central question arises: why do people still turn to folk medicine despite the availability of modern medical alternatives?

From our perspective, several factors contribute to this continuity. First, there remain strong natural and cultural connections within communities that sustain traditional practices as integral aspects of daily life. Customary prohibitions, taboos, and religious beliefs-closely linked to the natural environment-continue to frame people's understanding of health and illness.

Second, many turn to folk medicine because of its immediacy and accessibility, as well as the perceived emotional closeness between healer and patient. Modern medical institutions often impose long and impersonal procedures, while folk healers offer a more personal and culturally resonant approach. Patients frequently report that communication with a traditional healer feels easier, more respectful, and spiritually grounded.

Furthermore, folk remedies are often sought to avoid invasive or prolonged medical interventions. The perceived efficacy of traditional treatments-particularly in cases where official medicine has failed-remains a powerful factor in their persistence.

Traditional pharmacology and healing systems have played a vital role in Georgian life across generations, especially in remote communities historically excluded from formal healthcare structures. This study, focusing on one healer from Adjara, reveals only a small fragment of the region's broader ethnomedical heritage.

Future research should aim to document more comprehensively the diseases treated by traditional methods in historical Adjara, the natural and supernatural means employed, and the materials-plants, minerals, and ritual practices-used in therapy. Such research can shed light on the mechanisms of knowledge transmission and the dynamic interplay between empirical and spiritual healing.

We believe that ancient ethnomedical knowledge, once properly studied and systematized, deserves to be integrated-where appropriate-into contemporary medical practice. In the modern world, new diseases continue to emerge, as exemplified by the global COVID-19 pandemic. Ancient folk medicine offers a valuable platform for understanding and enhancing traditional medical wisdom, emphasizing both the treatment and the prevention of illness.

Bibliography:

1. Mindadze, Nino. 2013. *Traditional Medical Culture of the Georgian People.* Tbilisi.
2. Mindadze, Nino. 1981. *Georgian Folk Medicine (Based on the Ethnographic Materials of the Highlanders of Eastern Georgia).* Tbilisi: „Metsniereba“ Publishing House.
3. Chirgadze, Nino. 2008. „Folk Healing Practices in Adjara .“ *International Scientific Conference 'Tbeloba'.* Adjara. 306.

სამზარეულო, როგორც ეთნომენტალური მარკერი თურქეთის ქართველთა ყოფაში

(ეთნოლინგვისტური ანალიზი)

თამილა ლომთათიძე
ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის
ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
ელ-ფოსტა: Tamila.lomtatidze@bsu.edu.ge
ORCID: 0000-0001-6163-5876

ნანული ნოღაიდელი
ფილოლოგიის მაგისტრი, ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის
ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული
ლიტერატურის კვლევის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი
ელ-ფოსტა: Nanuli.noghaideli@bsu.edu.ge
ORCID: 0009-0006-7688-4844

აბსტრაქტი: ტრადიციული სამზარეულო, რომელიც თავის თავში მრავალ შრეს აერთიანებს, ერთნაირად იწვევს ანთროპოლოგების, ფსიქოლოგების, სოციოლოგების, მედიკოსების ინტერესს და არაერთი ნაშრომიცაა შექმნილი მასზე. წარმოდგენილი ნაშრომი თურქეთში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველებთან მრავალწლიანი საველე მუშაობის შედეგის ანალიზის ცდაა და ეფუძნება რესპონდენტების მიერ მოწოდებულ მნიშვნელობებსა და მათ მიერ წარმოდგენილ კონტექსტს. სტატიაში სწორედ მათზე დაყრდნობითაა განალიზებული სამზარეულოსთან დაკავშირებული დისკურსები და გამოვლენილია მისი, როგორც ეთნომარკერის როლი ქართული იდენტობის შენარჩუნებაში.

საკვანძო სიტყვები: კულინარია, ტრადიცია, იდენტობა, მარკერი

* * *

შესავალი. სამზარეულო, რომელიც თავისთავში აერთიანებს გარკვეულ პროდუქტებს, მათი დამუშავების ტექნოლოგიას, კერძებს, ტრაპეზის ორგანიზების წესებს და კვების ეტიკეტის ნორმებს, სამზარეულოსთან დაკავშირებულ ტრადიციებსა და აკრძალვებს, ერთდროულად წარმოადგენს ერის მატერიალური კულტურის ელემენტსაც და მისი კულტურული იდენტობის ერთ-ერთ მარკერსაც, რომელიც ინახავს გარკვეულ მაიდენტიფიცირებელ კოდს, რადგან ეროვნული კერძები ბადებს განსაკუთრებულ დროსა და სივრცეს, რომელშიც ამ ერის წარმომადგენლები ცხოვრობენ. სამზარეულო მათთვის იქცევა ნაციონალური მითოლოგიის ნაწილად, ეროვნული საკვები კი „გემოდ“, რომელიც ერის წიაღში გაბრუნებს (ბარტი, 2015). ამიტომაც სამზარეულო, როგორც მეხსიერების მატარებელი სიმბოლო, მნიშვნელოვან როლს თამაშობს იდენტობის შენარჩუნებაში, განსაკუთრებით სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ეთნოსის ნაწილში, რომლისთვისაც სამზარეულო ეროვნულ ფესვებთან უწყვეტი კავშირის ერთგვარი სიმბოლო და საშუალებაა. ამიტომაც დღეს სამზარეულოს სულ უფრო და უფრო მეტ კვლევაში აკავშირებენ მეხსიერების საკითხებთან, განიხილავენ, როგორც მეხსიერების ერთგვარ საცავს, საკვებზე ორიენტირებულ მეხსიერებას (Holtzman, 2006, pp. 361-578). ამ კვლევის მიზანია წარმოვაჩინოთ ეროვნული სამზარეულო, როგორც მეხსიერების მატარებელი სიმბოლო.

მეთოდები. კვლევისას გამოყენებული იქნა მრავალგვარი მეთოდი და თეორიული მიდგომა. მონაცემთა მოკვლევისათვის გამოყენებული იქნა პრობლემაზე ორიენტირებული ინტერვიუს მეთოდი. ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუები ჩაიწერა როგორც წინასწარ შედგენილი, ასევე,

ველზე მუშაობის პროცესში წამოჭრილი კითხვარების საფუძველზე. ინტერვიუები განხორციელდა როგორც ჯგუფურად, ასევე ინდივიდუალურად. სიტუაციის შესაბამისად, გამოვიყენეთ თავისუფალი საუბრის მეთოდიც. ემპირიული კვლევითი მონაცემები შეჯერდა თეორიულ სამეცნიერო პოზიციებთან და სხვადასხვაგვარი მეთოდოლოგიების კომბინაციით მივიღეთ კვლევის საბოლოო შედეგები.

მსჯელობა. ტრანსნაციონალური მიგრაციების პირობებში, კულტურული მეხსიერების ფორმირებასა და იდენტობის შენარჩუნებაში სამზარეულოს განსაკუთრებულ როლს არაერთი მეცნიერი უსვამს ხაზს. კვლევები ადასტურებს, რომ საკვების მეშვეობით მიგრირებულები ინარჩუნებენ კავშირს წარსულთან და ხაზს უსვამენ საკუთარ იდენტობას (Sutton, 2001).

სამზარეულო გვევლინება ერთგვარ მარკერად, რომელიც ერთი მხრივ, გამოკვეთს საზღვარს „ჩვენსა“ და „სხვას“ შორის და, მეორე მხრივ, ყველაზე მეტად განიცდის გავლენებს უცხო გარემოში. მიუხედავად ამისა, მასში მაინც ყველაზე ფართოდაა შენახული ეროვნული, ტრადიციული შტრიხები, „ხაზები“ ხასიათები, ნიუანსები, მასთან ხალხი ყველაზე მეტად აიგივებს თავის ეროვნულ თავისებურებებს.

ტრადიციული სამზარეულოები საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა. ნაციონალურ სამზარეულომდე არსებობდა საკვების ასეთი დიქოტომია: საკრალური და პროფანული, მდიდართა და ღარიბთა, მაგრამ არა – ნაციონალური, ნაციის კუთვნილება. ნაციონალური სამზარეულოს შეთხვევაში კი საკვები ასე იყოფა: ჩვენი და სხვისი, მშობლიური და უცხო. სწორედ ამიტომ, „ნაციონალური სამზარეულო“ არტეფაქტია, ის ნაციონალიზმის ეპოქაში სპეციალურად შექმნილი კრებულია, ერისთვის მშობლიურ კერძთა ის სიაა, რომელიც ერს ერობისთვის სჭირდება (კუნჭულია, 2022).

სამზარეულოს ასეთი აღქმა განსაკუთრებით აქტუალურია თურქეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველებისთვის. ტრადიციული სამზარეულოს, როგორც ქართული კულტურის მნიშვნელოვანი კომპონენტის ერთგულება თითქოს ქმნის თავისებურ კულტურულ საზღვარს ეთნიკურად ქართველებსა და მათ თურქ მეზობლებს შორის. სამზარეულოში, ფართო გაგებით, ყველაზე უკეთ იჩენს თავს ის მიჯაჭვულობა, რაც ახასიათებთ თურქეთის ქართველებს ყველაფერი ქართულის მიმართ. ესაა არა მხოლოდ ქართული კულინარიისათვის დამახასიათებელი მრავალფეროვანი კერძების შემონახულობა, არამედ სუფრის ეტიკეტი და ტრაპეზის კულტურაც, რომლებსაც ისევე უფრთხილდებიან, როგორც ეროვნულობის განმსაზღვრელ სხვა სიმბოლიკებს. ამ მიჯაჭვულობის გამოვლინება ხდება სხვადასხვა ფორმით: ამაყობენ რომ შეინახეს სამშობლოდან ჩამოყოლილი ბევრი კერძი („მეც ფხალი ჭიჭვი მიყვარს, იქიდან მოტანილია, მემლექეთურია“); ამზადებენ ისეთ კერძებსაც, რომლის მომზადების ტრადიცია აჭარაში მოშლილია, მაგალითად, მოხრაკული, ზიფია... მეტიც, ძალზე უკვირთ, რომ ეს მამაპაპური კერძები აღარ მზადდება აჭარაში. თურქეთის ქართველების ყოფაში ბევრ ასეთ კერძს საკვებადაც ფართოდ იყენებენ და ხაზგასმული ერთობით და ზეიმურობით ამზადებენ. მაგალითად, ბექმეზი, რომელიც აჭარის კულინარიაში ძალზე ფართოდ გავრცელებული ტკბილეული იყო, დღეს ძალზე იშვიათად მზადდება, ისიც ერთეულ ოჯახებში, მაშინ, როცა ბექმეზი თურქეთის ჩვენებურებისთვის საუზმის აუცილებელი შემადგენელია შავშეთ-იმერხევის სოფლებში, განსაკუთრებით მთაზე საზაფხულო საძოვრებზე ყოფნის პერიოდში და მისი კოლექტიურად მომზადების წესიც შემონახულია. ისტორიული ტაო-კლარჯეთის სოფლებში ექსპედიციისას არაერთხელ გვინახავს თუთების ჩრდილში შეკრებილი ქალები როგორ ამზადებდნენ ერთად ცეცხლზე შემოდგმულ ვეება ქვაბებში ბექმეზს.

თურქეთელმა ქართველებმა არა მხოლოდ შეინარჩუნეს ტრადიციული სამზარეულოსთვის დამახასიათებელი კერძების მრავალფეროვნება, არამედ თურქულ სამზარეულოშიც შეიტანეს ქართული ელემენტები, რითაც ძალიან ამაყობენ. მაგალითად, ჩამოთვლიან საჭმელებს, რომელსაც ამზადებენ და დასძენენ: „ჩვენ გურჯებშია თამამ ასე, თურქებმა არ იციან ესენი“; „გურჯებმა ვიცით. თურქებმა გურჯებიდან დეისწავლეს“ ან „ახალწელზე ხაპ მოვხარშავთ, სიმინდ მოვხარშავთ, მადლიაო, იტყვიან. ეს ადეთი გურჯულია, თურქებმა მემრე დეისწავლეს“ (შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, I)

ბუნებრივია, ხანგრძლივი თანაცხოვრების პირობებში, ჩვენებურების სამზარეულომ შეითვისა თურქული კერძები, თუმცა მათაც ქართული გემოები მისცეს და ქართული ყოფისთვის უცხო დღესასწაულებსაც კი ქართული სუფრის ჩართვით ქართული ელფერი შესძინეს. ასეთი კერძებით მდიდარ სუფრებს ამზადებდნენ და საერთო ტრაპეზს მართავდნენ მუსლიმური დღესასწაულის ხიდირელეზის დროსაც: „ხიდირელეზზე ყუელამფერი ვიცით. ფილავებს გავაკეთებთ... ფილავებ მოკრეფენ, ერთად ჭამენ, ჯუმბუშობენ (მხიარულობენ)“ ან „ამ დღეს დედაბრები იტყვიან „ჭამონა კაიები, იარონა, იქეიფონა, რომ ასე დაგებედოსო“. თურქეთში მცხოვრები ჩვენებურები ამ დღეს ოცდაათამდე დასახელების კერძს ამზადებენ და თურქ მეზობლებს ეპატიჟებიან, რადგან თავად თურქების ეთნოგრაფიული ყოფისათვის დამახასიათებელი ხიდირელეზის დღესასწაული მხოლოდ ერთ-ერთი „ნაკრძალი დღეა“, როცა უქმობენ და სამიწათმოქმედო და სხვა სახის სამეურნეო სამუშაოებია აკრძალული და მისთვის არაა ნიშანდობლივი რიტუალური პურობა (ლომთათიძე, 2010).

თურქეთელმა ქართველებმა არა მარტო კერძები და გემოები შეინარჩუნეს, არამედ სამზარეულოსთან დაკავშირებული ტრადიციებიც. დევსქელის ხეობის არაერთ სოფელში დავაფიქსირეთ შესანახი პროდუქტების დამზადებისათვის ქალების ნადის მოწვევის ჩვეულება. განსაკუთრებით იაილებიდან წამოსვლის წინ. ქალები იკრიბებიან და მორიგეობით ყველა ოჯახში ამზადებენ ბარში წასაღებ რძის პროდუქტებს, ხმიადს და სინორის ფიდეებს (ფენებს): „ნადობაა, ნადი მაქვან. შოთ ვათხელებთ, სინორი ნა მოვჭრათ“. ასევე, შენარჩუნებული აქვთ საერთო სამეზობლო ტრაპეზების გამართვის ტრადიცია სხვადასხვა დღესასწაულებზე, განსაკუთრებით, ქორწილის დროს. მართალია, დღეს ახალგაზრდები ქორწილებს სპეციალურ დარბაზებში, ე.წ. სალონებში იხდიან, მაგრამ შემდეგ, განსაკუთრებით სოფლად, პურობას მამაპაპისეულ ოჯახებში აგრძელებენ, რადგან „ჩვენებური დუგუნის (ქორწილის)“ გადახდა ტრადიციადაა შემორჩენილი: „ქორწილ რომ ვიქთ, სულ გურჯულია, ქართულა არი ყველაფერი – სიმღერა, ლაპარაკი, ადეთი, ორ დღეს წინ-წინ დევიწყებდით მზადებას ფაციას (პატარძლის) მოყვანამდე. ყუელამფერ საჭმელს ვაკეთებთ.“

ზოგადად, სუფრას განსაკუთრებული როლი ენიჭება ეთნიკური იდენტიფიკაციისათვის, მითუმეტეს იმათთვის, ვინც არაქართულ რეალობაში ცხოვრობს. სუფრაზე ყველაზე უკეთ ავლენენ საკუთარ „ქართულ“ თვისებებს თურქეთის ჩვენებურებიც. მიუხედავად რელიგიური აკრძალვისა, აქ დასტურდება ღვინის სმისა და სადღეგრძელოს ტრადიციის არსებობა: „დუგუნში დალევდნენ რახს, ბირას და შარაფს“; „ბრინჯისაგან ვაკეთებდით რახს, ყარფუზიდან, ყურძნიდან. ყურძნიდან შარაფს ვაკეთებდით. ბირას ქერისაგან ვაკეთებდით“; „დუგუნში ზოგი სვამდა შარაფს. ახლაც სმენ, ტყუილს ვერ ვიტყვი, მოლას დუგუნში არ მოუშვებდით“; „ჩემი დედე ყურძნიდან რახს აკეთებდა“. ამ აკრძალვის დარღვევისთვის თავსაც იმართლებენ: „ლამაზი წვენია, გემრიელია, ვსვი და დევითვერიო“. მეტიც, დიდი რაოდენობით ღვინის სმა თავმოწონების საფუძვლადაც კია ქცეული: „სამი წლის წინ სინოპის სოფელში ჩემმა ნათესავებმა ორი მინიბუსი ღვინო გაათავეს“.

აქაური ქართველები სუფრებს მართავენ საერთო, კოლექტიური დღესასწაულების მიღმაც, ჩვეულებრივ დღეებში. ის გართობისა და კომუნიკაციის ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებას წარმოადგენს და შედარებით მცირე მასშტაბებით რეგულარულად ხორციელდება. სუფრა ეთნიკურ ქართველთა ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილია, ურთიერთობის, კომუნიკაციის საშუალებაა. სტუმარი თუ მოვიდა, ეძახიან სხვა ქართველ მეზობლებს. ქართველ სტუმარს განსაკუთრებული სიამოვნებით უმასპინძლდებიან და ცდილობენ მხოლოდ ქართული, ტრადიციული საჭმელები მოუმზადონ. სუფრაზე ჩანს მათი კავშირი ქართულ სამყაროსთან. განსაკუთრებით გახსნილი არიან ქართველების სტუმრობისას. ცდილობენ სრულიად ქართული წესით წარმართონ სუფრა: ირჩევენ თამადას, მღერიან, ჰყვებიან წინაპრების სახელოვან საქმეებზე, განსაკუთრებით, გამორჩეულ ადამიანებზე, თავს იწონებენ ქართველთა ხელგაშლილობით და დასცინიან თურქი მეზობლების ხელმომჭირნეობას. ანუ ფაქტიურად, სუფრაზე ხდება ქართული იდენტობის წარმოჩენა და ხაზგასმა.

ქართული სამზარეულოს მიმართ თურქეთის ქართველების დამოკიდებულება ნათლად ჩანს სტამბულში „ქართული კაფე“-ს დამფუძნებლის ეთნიკურად ქართველი უღურ ზუბოღლუს (ზუმბაძე) ისტორიაში. რადგან სოფლიდან სტამბულში ჩამოსულმა ქართული კერძები ვერსად ნახა, უღურმა გადაწყვიტა, თავად გაეხსნა კაფე, სადაც საკვების გარდა ქართველებს შეეძლებოდათ

ერთმანეთთან შეხვედრა. „ქართული კაფე“ უღურისთვის მხოლოდ ბიზნესი არ არის. ეს მისთვის ქართულ კულტურასთან, წარსულთან, ბავშვობასთან კავშირია: „ქართული სამზარეულო ჩვენი ცხოვრებაა. ენა, მუსიკა, კულტურაც შეიძლება დაიკარგოს, მაგრამ ყველაზე ძნელი დასაკარგი არის სამზარეულო.... სამზარეულოს დაკარგვა წარმომავლობის დაკარგვას ნიშნავს“ – აღნიშნავს ზუბოღლუ თავის ინტერვიუში და წუხს, რომ ქართველები, განსაკუთრებით ახალგაზრდები, ხშირად არ არიან მისი კაფეს სტუმრები (ნადირაშვილი, 2022). ზოგადად, ახალ თაობაში ქართული ეთნიკური იდენტობის მნიშვნელობა საგრძნობლად შემცირებულია. მაგრამ ისინი ზოგადი კუთვნილების განცდას ქართულ ეთნოსთან სწორედ სამზარეულოს მეშვეობით ინარჩუნებენ და, ამავე დროს, თავის ოჯახებთანაც კომუნიკაციას სწორედ სუფრით ამყარებენ. ხშირად ენა არ იციან, მაგრამ კერძები იციან და უყვართ. იქაც კი, სადაც დღეს ქართული არ ისმის, „ადამიანმა ლობიო იცის, მჭადი იცის“ – აღნიშნავს ზუბოღლუ. ამიტომაც აღმოჩნდა სამზარეულო საკუთარი ეროვნული იდენტობის დაცვის საშუალება, ის ერთ-ერთი მთავარი ღირებულება, რომლის გარშემოც და რომლის მეშვეობითაც არიან გაერთიანებული თურქეთელი ქართველები, რითაც ინარჩუნებენ მშობლიურ ეთნოსთან როგორც კულტურულ-ისტორიულ, ასევე, ემოციურ კავშირს.

სამზარეულოსადმი, როგორც ეთნიკური კუთვნილების განმსაზღვრელი ერთ-ერთი ეთნომარკერისადმი დამოკიდებულება თავს იჩენს ლექსიკაშიც, რომელიც ინახავს ტერმინოლოგიაში ასახულ გასტრონომიულ ისტორიას:

- იგრძნობა ძველქართული ტერმინების სიჭარბე, ასევე, საქართველოს სამხრული დიალექტებისთვის დამახასიათებელი ლექსიკური მასალები.
- შენახულია ბევრი ისეთი ტერმინი, მათ შორის ქართული სახელწოდება – მაგალითად, ფაფონი, რაც საქართველოში არაა შემონახული. ეს გარკვეული არქაულობის აღდგენის საშუალებას იძლევა.
- ძველქართულიდან შენახულია საკვების დღიურად განაწილების სახელები (ხევსი, ზარმელი...), ჭურჭლის სახელები (ბადია, კოკა, კოპე, ქოცი...), საკვების დამუშავება-დამზადების ტერმინები და კერძების სახელები.
- ჩანს უძველესი რწმენის გადმონაშთი. მაგალითად, ღომის ამოსაღებად ლაფერას – ხის ბრტყელპირიან კოვზს ჯერ წყალში ამოავლებენ და ამ პროცესს ამონათვლას ეძახიან (შდრ. წყალში ნათლობა).
- თურქეთის ქართველებში შენახული ენობრივი მასალა ზოგჯერ საქართველოში არსებული ზოგიერთი ტერმინის ახსნის საშუალებას იძლევა. მაგალითად, ტერმინი „სერისკუდი“, რაც ვახშმის შემდეგ საკვების მიღებას ნიშნავს, ინახავს ვახშმის ძველქართულ სახელწოდებას სერი//სერობა – ვახშმობა. თურქეთის ქართველების ლექსიკამ საკვების მიღების ამ ჯერის სახელი შემოინახა როგორც ვახშმის კუდი//ვახშმის კურწი//ვახშმის ყურწი (ყუნწი) (ნ. ნოღაიდელი).
- საკვებისადმი ჩვენებურების საკრალური დამოკიდებულება ჩანს დაფიცების ფორმულებში: „ჭადის მადლმა“, „პურის მადლმა“...
- თურქეთში მცხოვრები ძირძველი ქართველები ძალიან წუხან, რომ ნელ-ნელა იკარგება ქართული ტერმინები: „ანაი იტყვის „ბოსტნევლსა“, მე ვიტყვი „სებზვსა“. ანაი იტყვის „ბოსტანში ჩაი“, მე ვიტყვი „არსაში ჩაი“. გურჯი ენა მირჩევნია ყველასა, ჰამან, ნიეთი ისე მაქ, რა ვქნა“.

დასკვნა: ამგვარად თურქეთის ქართველების მიჯაჭვულობა ქართულ სამზარეულოზე, მათი დამოკიდებულება ქართული კერძების მიმართ, მათ მიერ ქართული კერძების ხაზგასმული დაჟინებით დამზადება არაქართულ დღესასწაულებზეც კი არის სწორედ „ერის წიაღში დაბრუნების“ ერთგვარი ნებაყოფლობითი აქტი (ბარტი), რომლითაც თურქეთის ქართველები თითქოს ერის კოლექტიურ იდენტობას უერთდებიან, რადგან ერის წიაღში ყველაზე ხშირად ეროვნული სასმელ-საჭმელი „გვაბრუნებს“. ერის „კოდი“, ეროვნული იდენტობის მარკერი განსაკუთრებული ემოციით ინახება სასმელ-საჭმელში, ამიტომაც მათ ისე ინახავენ და უფრთხილდებიან, როგორც სხვა ნაციონალურ სიმბოლიკას. ინტერკულტურული გავლენების მიუხედავად, ისინი ინარჩუნებენ ქართული ტრადიციული კულინარიის ისტორიულ საფუძვლებს, რითაც თითქოს გარკვეულ ემო-

ციურ კავშირს ამყარებენ წინაპართა ფესვებთან. ჩვენს გამოკითხვაში მონაწილე რესპონდენტთა პასუხების მიხედვით ნოსტალგიის მთავარი ობიექტი ქართული სამზარეულო, მისი გემო და არომატია. ამიტომაც სამზარეულო, როგორც ეთნიკურობის შემადგენელი ერთ-ერთი ელემენტი, დიდ ადგილს იკავებს სამშობლოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ქართველთა კოლექტიურ მეხსიერებაში და უმნიშვნელოვანესი ეთნომენტალური მარკერია მათი ეთნიკური იდენტიფიკაციისათვის. როგორც არაერთი კვლევა ადასტურებს, ეთნოსთან კავშირის გაწყვეტის მხოლოდ ბოლოსწინა საფეხური არის სრული ინდიფერენტულობა ეთნიკური წარმომავლობისადმი, ხოლო სულ ბოლოს კვების პროდუქტებისადმი ერთგულება კვდება (ბერძენიშვილი 64). ქართველებს მოჭარბებულად აქვთ ეს ერთგულება და იცავენ და უფრთხილდებიან ქართულ კულინარიულ ტრადიციებს.

მძიმე საკვების მიღების შემდეგ ჩვენებურები მაწონს, ხილს ან სხვა მსუბუქ ტკბილეულს დააყოლებენ და „გული გადამკაფა“ – გამინათა, შემიმსუბუქაო, იტყვიან. მათი ერთგულება და სათუთი დამოკიდებულება საკუთარი მამულის წარსულთან, ენასთან, კვების კულტურასთან, ყველაფერ ქართულთან ნამდვილად გულს „გადაგკაფავთ“ და დაგარწმუნებთ, რომ სანამ ასე ინახავენ და იცავენ ეთნომენტალურ მარკერებს, თურქეთის ქართველებში „გურჯიჯა არ დეიკარგვის“.

References

D.Holtzman, J. (Volume 35,2006). Food and Memory. *ANNUAL REVIEW OF ANTHROPOLIGY* , 361-378.

Holtzman, J. D. (2006). Food and Memory. *Annual Review of Antropology*, 361-378.

Sutton, D. E. (2001). *Remembrance of Repasts: An Anthropology of Food and Memory (Materializing Culture).* New York: Berg Publishing.

ბარტი, რ. (2015). *მითოლოგიები.* თბილისი: აგორა.

ბერძენიშვილი, ლ. (2005). პატრიოტიზმი, ნაციონალიზმი და იდენტობის სხვადსხვა დონე. *საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე*, 64.

კუნჭულია, ე. (2022). Retrieved from https://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/16/290/

ლომთათიძე, თ. (2010). თურქეთის ქართველებში შემონახული ერთი ქართული ტრადიციის შესახებ. *ტაო-კლარჯეთი, I.*

ნადირაშვილი, ე. (2022, ნოემბერი 14). *http://www.gurcuhaber.com/2022/11/14/eka-nadirashvili.* Retrieved from http://www.gurcuhaber.com/2022/11/14/eka-nadirashvili.

ნოღაიდელი, ნ. (2013). *ლექსიკური ძიებანი.* ბათუმი: შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ფუტკარაძე, შ. (1993). *ჩვენებურების ქართული, I.* ბათუმი: აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა.

CUISINE AS AN ETHNOMENTAL MARKER IN THE EVERYDAY LIFE OF GEORGIANS IN TURKEY

(An Ethnolinguistic Analysis)

TAMILA LOMTATIDZE
PhD in History, Chief scientific researcher at
Niko Berdzenishvili Institute of
Batumi Shota Rustaveli State University
E-mail: Tamila.lomtatidze@bsu.edu.ge
ORCID: 0000-0001-6163-5876

NANULI NOGAIDELI
MA in Philology, Researcher at the Department of Folklore,
Dialectologyand Immigrant Literature Studies of
Niko Berdzenishvili Institute of
Batumi Shota Rustaveli State University;
E-mail: Nanuli.noghaideli@bsu.edu.ge
ORCID: 0009-0006-7688-4844

Abstract: Traditional cuisine, which encompasses multiple layers, equally attracts the interest of anthropologists, psychologists, sociologists, and medical researchers, and numerous studies have been dedicated to it. The present paper attempts to analyze the results of long-term fieldwork conducted among ethnic Georgians living in Turkey and is based on the meanings provided by respondents and the context they themselves have presented. The article analyzes discourses related to cuisine based on these inputs and highlights its role as an ethnomarker in the preservation of Georgian identity.

Keywords: cuisine, tradition, identity, marker

* * *

Introduction: Cuisine, which encompasses specific ingredients, processing techniques, dishes, rules for organizing meals, norms of dining etiquette, as well as traditions and taboos related to food, simultaneously represents an element of a nation's material culture and a marker of its cultural identity. It preserves certain identifying codes, as national dishes evoke a specific time and space in which the members of that nation live. For them, cuisine becomes a part of national mythology, and traditional food becomes a kind of „taste" that leads them back to the heart of their nation (Bart, 2015). Therefore, cuisine, as a symbol bearing memory, plays a significant role in the preservation of identity, especially among ethnic groups living outside their homeland for whom cuisine serves as both a symbol and a means of maintaining an unbroken connection to their national roots. This is why, today, cuisine is increasingly being explored in relation to issues of memory and is considered a kind of repository of memory a food-centered memory (Holtzman, 2006, pp. 361-578) . The aim of this study is to highlight national cuisine as a symbol that carries memory.

Methods: A variety of methods and theoretical approaches were employed in the course of the research. For data collection, a problem-centered interview method was used. Biographical-narrative interviews were conducted based on both pre-designed questionnaires and questions that emerged during fieldwork. Interviews were carried out both in group settings and individually. Depending on the situation, the method of free conversation was also applied. The empirical research data was aligned with theoretical academic perspectives, and the final research findings were derived through a combination of diverse methodological approaches.

Discussion – Under conditions of transnational migration, numerous scholars emphasize the crucial role of cuisine in the formation of cultural memory and the preservation of identity. Research confirms that through food, migrants maintain a connection to the past and assert their identity (Sutton, 2001).

Cuisine emerges as a kind of marker that, on the one hand, defines the boundary between „us" and „them," and on the other, is especially susceptible to external influences in a foreign environment. Nevertheless, it continues to preserve national and traditional traits, features, and nuances most vividly, and it is through cuisine that people most closely associate with their national distinctiveness.

Traditional cuisines developed over centuries. Before the notion of a national cuisine, food was categorized dichotomously as sacred and profane, for the rich and the poor but not by national belonging. In the case of national cuisine, however, food becomes divided into „ours" and „theirs," „native" and „foreign." Thus, „national cuisine" is an artifact a deliberately constructed collection of native dishes created during the age of nationalism, serving as a symbolic repertoire that a nation uses to define itself (Kuntchulia, 2022) https://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/16/290/

The deep attachment of Georgians in Turkey to their historical homeland and Georgian ethnoculture is most vividly expressed through their relationship with Georgian cuisine. This attachment is not limited to preserving a wide variety of traditional Georgian dishes, it also includes strict observance of table etiquette and the broader culture of communal dining, which they value as much as other key symbols of national identity. This connection manifests in various forms. People take pride in having preserved many dishes brought from their homeland: „We only make mkhali when the vegetables are fresh and lush – that's how we love it, because that's how it's made back home." „I love phkali made with wild chervil – it's a dish brought from there, it's truly memleketuri (from our homeland)." They also continue to prepare dishes whose culinary traditions have faded even in regions like Adjara, such as mokhrakuli and zipia. What's more, they express surprise and even disappointment that these ancestral dishes are no longer made in present-day Adjara. Many of these traditional foods are still widely consumed in everyday life among Georgians in Turkey, and they are often prepared with a sense of unity and celebration. For example, bekmezi (a thick grape or mulberry syrup), once a popular sweet in Adjarian cuisine, is now rarely made – even in only a few households – while among Georgians in Turkey, especially in the villages of Shavsheti and Imerkhevi, it remains an essential part of breakfast, particularly during summer stays in the mountain pastures. The tradition of collective preparation has also been preserved. During fieldwork in the historical Tao-Klarjeti region, we often observed women gathered in the shade of mulberry trees, preparing bekmezi together in large cauldrons placed over open fires.

The diversity of distinctive dishes is not the only point of pride for Georgians in Turkey, they also take great pride in having introduced Georgian elements into Turkish cuisine. They frequently emphasize this in conversation, proudly distinguishing their culinary knowledge and traditions from those of their Turkish neighbors. Typical statements include: „We, the Gurjs (Georgians), know how to make this, Turks don't." „Among us Gurjs, this is common, Turks don't know these things." „We Gurjs know how to make this dish, the Turks learned it from us." „We know it, Turks copied it from the Gurjs." „On New Year's, we boil Pumpkin and corn, they say, 'what a grace!' That's how we Gurjs do it; the Turks learned it later" (Putkaradze, 1993).

These kinds of remarks highlight not only a sense of culinary continuity but also cultural pride. Food becomes a powerful space where memory, identity, and cultural distinctiveness are affirmed, especially in a diaspora context. Through their cuisine, Georgians in Turkey assert their identity and trace the contours of cultural difference, all while maintaining and reshaping their heritage.

Naturally, as a result of long-term cohabitation, the cuisine of Georgians in Turkey has incorporated Turkish dishes. However, even those borrowed dishes have been infused with distinctly Georgian flavors. Moreover, they have added a Georgian touch to holidays unfamiliar to traditional Georgian life – by integrating elements of the Georgian supra (feast table) even into Muslim celebrations. For instance, during the Hıdırellez festival, which is significant in Turkish tradition, Georgian communities organize rich feasts and communal meals. As one respondent explains: „Everyone knows about the Hyderelez.

We make pilaf... The pilaf is served, everyone eats together, there is dancing and fun.“ Another adds: „On this day, the older women say: ‘Let the food be abundant, let there be singing and joy, so that the year ahead will be just like this.’“ Georgians living in Turkey prepare as many as 30 different dishes for this day and proudly host their Turkish neighbors. In contrast, within the traditional Turkish ethnographic context, Hıdırellez is simply a „forbidden work day“ – a time when agricultural and household labor is paused, but it is not typically associated with ritual feasting or shared meals (Lomtatidze, 2010).

This transformation of the holiday into a festive occasion with abundant food and hospitality reflects the Georgian cultural imprint. It is a clear example of how diasporic Georgians preserve and express their identity: by reinterpreting and embedding their own traditions into new cultural frameworks – ensuring continuity, distinction, and pride in their heritage.

Georgians in Turkey have not only preserved traditional dishes and flavors but have also maintained the customs and traditions associated with cuisine. In many villages of the Devskele Valley, for instance, we observed the enduring practice of women organizing nadi – a communal gathering for food preparation, particularly before returning from the yaylas (summer pastures). Women gather and take turns preparing dairy products and sinori fidebi (pastry layers) for the families to take with them to the lowlands. The tradition of organizing communal neighborhood feasts has also been preserved for various celebrations, especially weddings. Although younger generations now often hold wedding ceremonies in modern banquet halls, known locally as salons, it is still customary – especially in rural areas, for the main wedding feast, or p’uroba, to take place in the ancestral home. This continuity reflects a strong adherence to traditional customs: „When we have a wedding, everything is Gurjuli (Georgian) – the songs, the speech, the rituals, the food.“ „When we throw a wedding, it’s all Georgian – everything is done in our way. We start preparations two days in advance before bringing the p’at’ari (bride). We cook all kinds of traditional dishes.“ These testimonies show that food traditions are deeply woven into the social fabric of Turkish Georgians’ lives, not only in terms of what is eaten, but how, when, and with whom it is prepared and shared. These culinary practices serve as powerful tools of cultural continuity, helping to maintain a sense of collective identity and belonging across generations and borders.

In general, the supra (feast table) holds a particularly significant role in shaping and expressing ethnic identity – especially for those living outside of Georgia. Among Georgians in Turkey, the feast table becomes a space where their „Georgian“ traits are most vividly expressed. Despite religious restrictions, the tradition of drinking wine and making toasts (sadegrdzelo) is still clearly present. Respondents shared: „At weddings, they would drink rakhi, beer, and sharaphi (wine).“ „We used to make rakhi from rice, watermelon, or grapes. We made wine from grapes, and beer from barley.“ „At weddings, some people would drink wine. They still do – I won’t lie. They wouldn’t allow the mullah to attend the wedding.“ „My grandfather used to make rakhi from grapes.“ They even justify violating the religious ban on alcohol by emphasizing its quality and taste: „It’s a beautiful drink, it’s delicious, I drank it and I prayed afterward.“ Drinking wine is not only normalized in some cases, but even becomes a point of pride. One example illustrates this cultural valorization: „Three years ago, at a wedding in a village in Sinop, my relatives finished two minivans full of wine.“ These examples reveal that for Georgians living in Turkey, the feast table is more than just a meal, it is a ritualized, symbolic performance of identity. Through wine, toasts, and feasting, they affirm their Georgianness, often contrasting it, explicitly or implicitly, with the surrounding cultural and religious norms. In this context, the feast table becomes both a social anchor and a cultural statement of belonging, resistance, and pride.

Georgians in Turkey organize feast tables not only for collective celebrations and holidays, but also during ordinary days, making them a regular and deeply ingrained aspect of daily life. The feast table serves as one of the primary forms of socialization and communication, taking place on a smaller scale, but frequently and meaningfully. The feast table is an inseparable part of everyday life for ethnic Georgians, a social space that fosters connection and interaction. If a guest arrives, they often call in other Georgian neighbors as well. When the guest is Georgian, the hospitality becomes even more elaborate: the hosts go to great lengths to prepare only traditional Georgian dishes. The feast becomes

a stage for reaffirming their connection to the Georgian world. These gatherings are especially open and heartfelt when fellow Georgians visit. The hosts strive to conduct the feast table in a fully traditional Georgian manner: A tamada (toastmaster) is chosen, Traditional songs are sung, Stories of ancestors and heroic deeds are told, particularly about notable individuals, They proudly highlight Georgian generosity, often contrasting it with the perceived frugality of their Turkish neighbors, sometimes even playfully mocking the latter. In essence, the feast table becomes a performative expression of Georgian identity. It is a space where cultural belonging is asserted, preserved, and celebrated, reinforcing a sense of shared heritage and distinctiveness in a non-Georgian environment. Through the rituals of the feast table, Georgians in Turkey visibly and intentionally maintain and display their ethnic identity.

The special relationship that Georgians in Turkey have with Georgian cuisine is vividly illustrated in the story of ethnic Georgian Ugur Zuboglu (Zumbadze), the founder of the „Georgian Café“ in Istanbul. After moving from his village to the city, Ugur was disappointed to find that he couldn't find any place serving traditional Georgian dishes. This motivated him to open his own café – not just as a business, but as a space where Georgians could connect, not only over food, but also with each other. For Ugur, the „Georgian Café“ is more than just a restaurant; it is a personal link to his culture, his past, and his childhood. In an interview, he explains: „Georgian cuisine is our life. Language, music, even culture might be lost, but cuisine is the hardest to lose. Losing cuisine means losing your origins.“ Yet he expresses concern that Georgians – especially the younger generation, often do not visit his café. (Nadirashvili, 2022)[Source: http://www.gurcuhaber.com/2022/11/14/eka-nadirashvili] In general, the importance of Georgian ethnic identity among the younger generation in Turkey has noticeably declined. However, many young people still maintain a sense of belonging to the Georgian ethnic group precisely through cuisine. Food continues to be a powerful bridge between generations. For some, even if they no longer speak the Georgian language, they still know, and love, the dishes. It is often around the feast table that they connect with their families, engage in cultural memory, and maintain a thread of identity in an otherwise assimilating environment. In this way, cuisine becomes both a medium of cultural continuity and a subtle, yet resilient, form of identity preservation.

This is precisely why cuisine has become a means of safeguarding national identity for Georgians in Turkey. It stands as one of the core values around which they unite and through which they maintain both a cultural-historical and emotional connection to their native ethnic roots. In the context of diaspora life, where language, traditions, and even communal structures may gradually fade, traditional food remains a tangible and emotionally charged link to the homeland. For many Georgian communities in Turkey, cuisine is not just nourishment; it is memory, belonging, and a living symbol of their identity.

The attitude toward cuisine as an ethnic marker, a defining element of ethnic belonging, is also vividly reflected in the lexicon preserved among Georgians living in Turkey, which stores layers of gastronomic history through terminology:

- There is a strong presence of Old Georgian terms, as well as vocabulary typical of Southern Georgian dialects.
- Many terms have been preserved that are no longer used in Georgia today. For example, „paphoni“ – a dish name forgotten in modern Georgia, offers a glimpse into archaic culinary traditions.
- Words from Old Georgian have survived in reference to: Daily food distributions (khevsis, zarmeli), Names of utensils (badia, koka, kope, kotsi), Terms for food preparation and processing, and Traditional dish names.
- Traces of ancient beliefs are also evident. For instance, when preparing ghomi (a cornmeal dish), the special flat wooden spoon known as lafera is first dipped in water, a ritual referred to as „amonatvla“ (which literally means „to baptize“), suggesting a sacral echo reminiscent of baptism.
- The linguistic material preserved by Georgians in Turkey even helps clarify certain forgotten Georgian terms. For example, the term „seriskudi“ (used to describe a light meal or snack after

dinner) preserves the old Georgian word for supper, seri/seroba. In this way, the Turkish Georgian dialect retains variants like „vakhshmis kudi“ or „kurtchi“ (tail or end of dinner), providing insight into lost terminology (Noghaidzeli, 2013).

- A sacred attitude toward food is evident in oath formulas such as: • „chadis madlma“ (by the grace of corn bread) • „puris madlma“ (by the grace of bread) These expressions elevate everyday food to the level of something to be sworn by – demonstrating its deep cultural and symbolic significance.
- However, many elder Georgian speakers in Turkey express sorrow that these unique Georgian culinary terms are slowly disappearing. The lexicon, once a living link to ancestral practices, is under threat, further highlighting the need for active cultural preservation through documentation, education, and use in daily life.

Conclusion. Thus, the attachment of Georgians in Turkey to Georgian cuisine, their attitude toward traditional Georgian dishes, and their insistence on preparing them, even during non-Georgian holidays, can be seen as a voluntary act of „returning to the bosom of the nation“ (Barth). Through this act, Georgians in Turkey symbolically rejoin the collective identity of the Georgian nation, as it is often food and drink that most powerfully reconnects people with their roots. The „code“ of the nation, its ethnic identity markers, is emotionally preserved in cuisine, and for this reason, they safeguard and cherish traditional Georgian foods just like any other national symbol. Despite intercultural influences, they continue to uphold the historical foundations of Georgian culinary tradition, which enables them to maintain an emotional connection with the roots of their ancestors. According to the responses gathered during our survey, the main object of nostalgia is Georgian cuisine, its flavors and aromas. Therefore, food, as one of the core components of ethnic identity, occupies a significant place in the collective memory of Georgians living outside the homeland and serves as a vital ethno-mental marker for their ethnic self-identification. As multiple studies confirm, the penultimate stage in breaking ties with an ethnic group is total indifference to one's ethnic origin; the very last stage is the loss of loyalty to traditional food. (Berdzenishvili, 2005, p.64) Georgians in Turkey remain highly devoted to Georgian cuisine, preserving and protecting these culinary traditions with exceptional care.

References:

D.Holtzman, J. (Volume 35,2006). Food and Memory. *ANNUAL REVIEW OF ANTHROPOLIGY* , 361-378.

Holtzman, J. D. (2006). Food and Memory. *Annual Review of Antropology*, 361-378.

Sutton, D. E. (2001). *Remembrance of Repasts: An Anthropology of Food and Memory (Materializing Culture).* New York: Berg Publishing.

Barti R., (2015). Mitologiebi. Tbilisi: Agora [*Mythologies.* Tbilisi: Agora.]

Berdzenishvili L., (2005). Patriotizmi, Natsionalizmi da identobis skhvadaskhva done. sakartvelo atastsleulis gasakarze, 64 [Patriotism, Nationalism, and Different Levels of Identity.“ Georgia at the Crossroads of Millennia, 64.]

Kuntchulia E., (2022). https://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/16/290/

Lomtatidze T., (2010). Turketis kartvelebshi shemonakhuli ertikartuli traditsiis shesakheb. Tao-klarjeti, I [On the Preservation of a Georgian Tradition among Georgians in Turkey.“ Tao-Klarjeti, I]

Nadirashvili E., (2022, November 14). *http://www.gurcuhaber.com/2022/11/14/eka-nadirashvili.* Retrieved from http://www.gurcuhaber.com/2022/11/14/eka-nadirashvili.

Noghaideli N., (2013). Leksikuri dziebani. Batumi: Shota Rustavelis Sakhelmtsipo Universiteti. [Lexical Research.“ Batumi: Shota Rustaveli State University]

Putkaradze Sh., (1993). [The Georgian Language of „Chveneburebi“ in Turkey, I. Batumi: Ajara Journal and Newspaper Publishing House]

მაჯუნი – იშვიათი კულინარიული კერძი ქობულეთიდან

(ისტორიულ-ეთნოლოგიური ასპექტები)

თემურ ტუნაძე
ისტორიის დოქტორი, აჭარის კულტურული
მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მეცნიერი თანამშრომელი
ელ-ფოსტა: tunadze@gmail.com
ORCID: 0009-0008-1502-7042

აბსტრაქტი: მაჯუნი ერთდროულად ტკბილი და მწარე გემოების მქონე, სადღესასწაულო დესერტია, რომელიც მხოლოდ ქობულეთის მოსახლეობამ შემოინახა. ტრადიციულად იგი საქორწინო სუფრის შემადგენელი აუცილებელი ელემენტი იყო. ქორწილში თავდაპირველად მას მეფე-პატარძალს მიართმევდნენ, ხოლო შემდეგ მექორწილეებს ჩამოურიგებდნენ. ზოგიერთი ინფორმაციით მაჯუნს მიცვალებულის დაკრძალვის შემდგომ გარდაცვლილის სულის მოსახსენიებელ დღეებშიც ამზადებდნენ.

სიტყვა „მაჯუნი“ არაბული წარმოშობისაა და გავრცელებულია სპარსულში – ძალ-ღონისა და აღგზნების მომცემ სამკურნალო ნაერთის მნიშვნელობით; თურქულში – საცხის, ყველა სახის კანფეტის მნიშვნელობით. ეს სიტყვა ოსმალურ წყაროებშიც დასტურდება, სადაც არაბულიდანაა შესული. აჭარულ დიალექტში მაჯუნი თაფლიანი ან შაქრიანი ბრინჯია. ამ სამედიცინო ტერმინის ქართულში დამკვიდრებას დაახლოებით X-XI საუკუნეებიდან ვარაუდობენ.

ქართული წერილობითი ძეგლებიდან სიტყვა „მაჯუნი“ ძირითადად სამკურნალო ხასიათის წიგნებში ფიქსირდება. მათში ტერმინი „მაჯუნი“ სამკურნალო საშუალებაა და რთული სახის ნაერთს აღნიშნავს. „მაჯუნი“ ღონის მომცემი და აღმგზნები ნაყენის დანიშნულებითაც გამოიყენებოდა.

თანამედროვეობაში ქობულეთის მოსახლეობაში მაჯუნის სხვადასხვა რეცეპტი დასტურდება. უხუცესთა მეხსიერებაში დაცული ინფორმაციით მაჯუნი აუცილებლად მრგვალკაკალა ბრინჯით მზადდება, შაქრიანი სიროფის გამოყენებით, თუმცა გვაქვს ისეთი ვარიანტები, სადაც მაჯუნის დატკბობას არა შაქრიანი სიროფით, არამედ თაფლით ახდენენ.

მაჯუნის სამზარეულო ხელოვნების ძირითად საიდუმლოებას მისი გემოვნება შეადგენს, კერძოდ სიტკბოსა და სიმწარით თანაბარი გემოვნებითი შეგრძნება. თანამედროვეობაშიც ყველა დიასახლისი ცდილობს აღნიშნული პრინციპი დაიცვას.

საკვანძო სიტყვები: ქართული კულინარია, ტრადიცია, რიტუალი.

* * *

სტატიის შესავალი. ქართულ ისტორიოგრაფიაში ხალხური კულინარიის კვლევას დიდი ხნის ისტორია აქვს. თუმცა მაჯუნი, როგორც ტრადიციული კერძი, ამ სტატიით სამეცნიერო ინტერესის ობიექტი პირველად ხდება. ამის მიზეზი შესაძლოა ისიც იყოს, რომ აღნიშნული კერძი, მხოლოდ ქობულეთის მოსახლეობის ტრადიციულმა ყოფამ შემოინახა და იგი სხვა ქართულ ეთნიკურ ჯგუფებში არ გვხვდება. საკუთრივ ლექსიკური ერთეულის – მაჯუნის შესახებ ძველ წერილობით წყაროებში, სამკურნალო კარაბადინებში, სხვადასხვა სალექსიკონო გამოცემაში მნიშვნელოვანი მასალები შემოინახა, რომლებიც ტერმინის არსის, ეტომოლოგიისა და წარმომავლობის შესახებ საინტერესო მასალებს შეიცავს. აღსანიშნავია, რომ სულხან-საბა ორბელიანი თავის ლექსიკონში სიტყვა მაჯუნის ქართულ შესატყვისსაც გვაწვდის, რაც მიუთითებს, რომ მაჯუნით აღნიშნული სამკურნალო რეცეპტი უძველესი დროიდან იყო ქართველი ხალხისათვის ცნობილი.

საკვლევი საკითხის კვლევა სიახლეა, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მის აქტუალობას. აღნიშნული იმითაცაა განპირობებული, რომ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ინიციატივით, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების მიზ-

ნით, მაჯუნთან დაკავშირებით მომზადდა შესაბამისი დოკუმენტაცია და წარედგინა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს.

კვლევის მიზანია მაჯუნთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის მასალების თავმოყრა და ერთობლიობაში გააზრება. წერილობით ძეგლებში დაცული ინფორმაციის საველე-ეთნოგრაფიულ მასალებთან შედარება-შეპირისპირება. აღნიშნული სტატია საკითხის კვლევის ერთგვარი დასაწყისია, სამეცნიერო მიმოქცევაში მისი ჩართვით მოსალოდნელია დაინტერესებულ პირთა გამოხმაურება, რაც საკითხის უფრო ფართო სპექტრით შესწავლის შესაძლებლობას მოგვცემს.

მეთოდები. სტატიაში შედარებით-ისტორიული მეთოდის გამოყენებით გაანალიზებულია მაჯუნის ისტორიული და თანამედროვე ფუნქციური ასპექტები. საკითხის დამუშავებისას გამოყენებულია პრობლემისადმი ინტერდისციპლინური მიდგომა. შესაბამისი მასალები ამოკრეფილია სამედიცინო, ლექსიკოლოგიური, ლიტერატურული და ისტორიულ-ეთნოლოგიური ხასიათის შრომებიდან. ნაშრომი დაფუძნებულია საკითხის ირგვლივ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურასა და საველე-ეთნოგრაფიულ მასალებზე.

მსჯელობა. ქართულ ხალხურ კულინარიაში მაჯუნი სპეციფიკურად გამორჩეული სადესერტო კერძია, რომელიც ცოცხალი სახით ბოლო დრომდე მხოლოდ ქობულეთის მოსახლეობაში შემოინახა. საველე-ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ტრადიციულად იგი საქორწინო სუფრის შემადგენელი აუცილებელი ელემენტი იყო. ქორწილში თავდაპირველად მას მეფე-პატარძალს მიართმევდნენ, ხოლო შემდეგ მექორწილეებს ჩამოურიგებდნენ. ზოგიერთი ინფორმაციით მაჯუნს მიცვალებულის დაკრძალვის შემდგომ გარდაცვლილის სულის მოსახსენიებელ დღეებშიც ამზადებდნენ.

მაჯუნის სხვადასხვა რეცეპტია ცნობილი, თუმცა ყველა შემთხვევაში მაჯუნი ტკბილი და მწარე გემოების მქონე ინგრედიენტების შეზავებაა. მაჯუნი ცივი სახით მიიღება. თანამედროვეობაში საამისოდ, გარდა თეფშისა, სპეციალურ, ჭიქისებურ ფორმებსაც იყენებენ.

ქართულ ლექსიკოლოგიურ გამოცემებში, ასევე ქართულ ხალხურ კარაბადინებში სიტყვა „მაჯუნის“ და მისი სხვა შესატყვისების შესახებ საინტერესო ინფორმაციაა დაცული.

სულხან-საბა ორბელიანთან „მაჯუნი – სხვათა ენაა, ქართულად დუბეიდი ჰქვია“, ხოლო საკუთრივ სიტყვა „დუბეიდი“ განმარტებულია, როგორც „მაჯუნი“ (ს.-ს. ორბელიანი 435). ამდენად სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით მაჯუნი და დუბეიდი ერთი და იგივეა. ვეფხისტყაოსნის 1841 წლის გამოცემას, რომელიც სანკტ-პეტერბურგში ზაქარია ფალავანდიშვილისა და დავით ჩუბინაშვილის მიერ დაიბეჭდა, თან ერთვის მცირე ლექსიკონი. აქ სიტყვები: „მაჯუნი“ და „დუბეიდი“ არ ჩანს, თუმცა აღნიშნულ ლექსიკონში საკვლევი საკითხის კონტექსტში გვხვდება ახალი სიტყვა „მუფარახი“. იგი განმარტებულია შემდეგნაირად „იაგუნდის მაჯუნი, დუბეიდი“ (რუსთაველი, 1841, გვ. 232). ცოტა მოგვიანებით, კერძოდ 1846 წელს, ისევ სანკტ-პეტერბურგში დაიბეჭდა დავით ჩუბინაშვილის მიერ შედგენილი რუსულ-ქართულ ლექსიკონი. აქ სიტყვები „მაჯუნი“ და „დუბეიდი“ მოხსენიებულია რუსულ სიტყვა «Кашка»-სთან, სადაც «Кашка лекарственная» შემდეგნაირადაა განმარტებული: „მაჯუნი, დუბეიდი, მუფარახი“ (ჩუბინაშვილი, 1846: 397).

ქართული წერილობითი ძეგლებიდან სიტყვა „მაჯუნი“ ძირითადად სამკურნალო ტიპის წიგნებში, კარაბადინებში ფიქსირდება. მაგალითად ესენია: XI საუკუნის ქანანელის „უსწორო კარაბადინი“ (უსწორო კარაბადინი 1940:501); XIII საუკუნის „წიგნი სააქიმოჲ“ (წიგნი სააქიმოჲ 1936:316); XVI საუკუნის „იადიგარ-დაუდი“ (იადიგარ-დაუდი 1938:713); XVI – XVII სს. „კარაბადინი კარგი და მარგებელი“ (ხელაია, 2009: 23,309-310); ამ ხელნაწერებში ტერმინი „მაჯუნი“ ფარმაკოლოგიურ საშუალებათა ერთ-ერთ ძირითად ფორმადაა წარმოდგენილი და რთული სახის ნაერთს აღნიშნავს. თითქმის ყველა მაჯუნში მედიკამენტები თაფლშია შეზელილი, სავარაუდოდ თხელი „ფაფის“ სახით, რათა მისი შესმა, დალევა იყოს შესაძლებელი (ხელაია, 2009: 23).

„კარაბადინი კარგი და მარგებელიას“ (XVI-XVII სს.) მიხედვით „მაჯუნი“ ფარმაკოლოგიურ საშუალებათა ერთ-ერთ ძირითად ფორმადაა წარმოდგენილი და რთული სახის ნაერთს აღნიშნავს.

კარაბადინში არაერთი მაჯუნია მოცემული და თითქმის ყველა მთგანში მედიკამენტები, სავარაუდოდ თხელი ფაფის სახით, თაფლშია შეზელილი (ხელაია, 2009: 23). ზოგიერთი მაჯუნი პილპილსაც შეიცავს, ხოლო თაფლი, როგორც აუცილებელი კომპონენტი, თითქმის ყველა მაჯუნის შემთხვევაშია დასახელებული, რომლის მეშვეობითაც სხვადასხვა წამლები თაფლის მეშვეობით შეიზილება და ხდება ერთი ნაერთი – მაჯუნად შექმნილი წამალი. გვაქვს მაჯუნის აღწერა, რომლის მოსამზადებლად სხვადასხვა დასახელების ელემენტი – წამალი ადუღებულ თაფლში უნდა ჩაიყაროს და შეიქმნება მაჯუნი (ხელაია, 2009: 87-89).

მაჯუნთან დაკავშირებით ანალოგიური ინფორმაციაა მოცემული „აბრამ მწერლის კარაბადინში“. აქაც მაჯუნი ნარევს გულისხმობს, რომელიც ზოგ შემთხვევაში ადუღებით ზადდება, ანუ მაჯუნად შექმნა დუღილის მეშვეობით. „აბრამ მწერლის კარაბადინში“ მაჯუნების სპეციალური კარია. მასში მაჯუნების ზოგადი ხასიათიცაა აღწერილი და ასევე, კონკრეტული მაჯუნებიცაა აღწერილი. აქაც თაფლი ყველგანაა დასახელებული, ხოლო ზოგ შემთხვევაში გვხვდება პილპილი. აღნიშნულ კარაბადინში შემდეგი სახელწოდების მაჯუნები გვხვდება: სტაფილოს მაჯუნი, მაჯუნი ქამუნია, მაჯუნი სვინტრისა მაჯუნი კამისა, მაჯუნი სიქანგუბინისა, მაჯუნი თვალმარგალიტისა, მაჯუნი ნარინჯისა, მაჯუნი აფილონისა, მაჯუნი გასახსნელი, ბიის მაჯუნი და ა.შ. (ხელაია, 2009: 112-174).

ერთი შეხედვით ჩანს, რომ მაჯუნი შედგენილი სახის ფაფისებური (?) ნარევია. აქ საინტერესო იქნება მოვიშველიოთ დავით ჩუბინაშვილისეული განმარტება სიტყვისა «Кашка лекарственная», რომელიც, როგორც ზემოთაც აღინიშნა, შემდეგნაირადაა ახსნილი: „მაჯუნი, დუბეიდი, მუფარახი“ (ჩუბინაშვილი, 1846: 397). მოცემულ შემთხვევაში „მაჯუნი“ სიტყვის მნიშვნელობისა და რაობის დასაზუსტებლად სიტყვა „ფაფა“ მაინც საეჭვოდ ჩანს. ჩვენი აზრით, მაჯუნად შექმნა არ უნდა ნიშნავდეს „ფაფად“ შექმნას, რადგან ზემოთ აღნიშნულ ოთხ კარაბადინში სხვადასხვა ინგრედიენტის ნაერთის აღსანიშნავად სიტყვათა წყობა „ფაფად შექმნა“ სხვა შემთხვევაშიცაა ნახსენები (ხელაია, 2009: 185). ანუ ერთი და იგივე კარაბადინი ცალკ-ცალკე ასახელებს პროცესებს: „მაჯუნად შექმნა“ და „ფაფად შექმნა“ ეს კი მიუთითებს, რომ შესაძლოა ისინი სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენებოდა და სხვადასხვა პროცესს ნიშნავდა.

ამდენად, ქართული კარაბადინების მიხედვით „მაჯუნად შექმნის“ პროცესში საგულისხმოა თაფლის მონაწილეობა. თაფლი იმდენად თვალშისაცემია, რომ შეიძლება დავუშვათ – მაჯუნი მხოლოდ თაფლით იქმნებოდა (?), თუმცა არის რამდენიმე გამონაკლისი, როცა მაჯუნად შექმნაში თაფლი არ მონაწილეობს. შედარებით მცირე შემთხვევაა, როცა მაჯუნად შექმნაში პილპილიცაა მოხსენიებული.

მაჯუნთან დაკავშირებით გარდა ზემოთ აღნიშნული ლექსიკოლოგიური და ხალხური სამკურნალო ხასიათის მასალებისა საყურადღებოა მისი ეტიმოლოგია.

ეტიმოლოგიური თვალსაზრისით, სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით სიტყვა „მაჯუნი“ არაბული წარმომავლობისაა. ქართული მაჯუნის ამოსავალია არაბული სიტყვა (ﻏﺎﻟﻴﺔ /÷ ağana), რომელიც შემდეგი მნიშვნელობისაა: 1. მალამო, საცხი; 2. სამკურნალო ნაერთი, ნარკოტიკის შემცველი სამკურნალო ბალახების ნარევი. სიტყვა „მაჯუნი“ ფიქსირდება არაერთ ძველქართულ – ორიგინალურ თუ ნათარგმნ ლიტერატურულ ძეგლში. მაგალითად, „ქილილა და დამანაში“ იგი ღონის მომცემი და აღმგზნები ნაყენია. თანამედროვე მაჯუნთან მიმართებაში საინტერესოა „რუსუდანიანში“ დაცული მასალები. სადაც მაჯუნის ზემოთ აღნიშნულ მნიშვნელობებს ტკბილეული ემატება. დუბეიდი, მურაბასავით გაკეთებული ღონის მომცემი წამალია დ. ჩუბინაშვილისა და ი. გრიშაშვილის ლექსიკონშიც (ქალაქური ლექსიკონი, 1997: 151). სიტყვა მაჯუნი არაბული წარმოშობისაა სპარსულ და თურქულ ლექსიკონებში. სპარსულში ძირითადად აქცენტი კეთდება ძალ-ღონისა და აღგზნების მომცემ სამკურნალო ნაერთზე, ელექსირზე, ხოლო თურქული macun – საცხის, ყველა სახის კანფეტის აღმნიშვნელია. ეს სიტყვა ოსმალურ წყაროებშიც დასტურდება, სადაც არაბულიდანაა შესული. აჭარულ დიალექტში მაჯუნი თაფლიანი ან შაქრიანი ბრინჯია (ღლონტი, 1984: 354). მკვლევარ სოფიო იმედაძის მიხედვით, სავარაუდოდ, ამ სამედიცინო ტერმინის დამკვიდრება ქართულში დაახლოებით X-XI საუკუნეებიდან უნდა მომხდარიყო (იმედაძე, 2014: 89-90)

ამდენად, ძველი ქართული სამკურნალო კარაბადინების მიხედვით მაჯუნი შედგენილი სახის წამალია, სხვადასხვა ინგრედიენტების ნაერთია, სადაც სიტკბო ან სიმწარე მისი უპირობო განმსაზღვრელი არაა, თუმცა იმავე კარაბადინებში მოცემულ მაჯუნებში თაფლით დატკბობა, თაფლით მაჯუნად შექმნა უფრო ჭარბობს.

ქობულეთის ძირძველი მოსახლეობის ტრადიციულ კულინარიაში მაჯუნი სადღესასწაულო კერძია. ერთგვარი დესერტია, რომლისთვის დამახასიათებელი ძირითადი სპეციფიკა ერთდროულად ტკბილ-მწარე გემოში გამოიხატება. ტრადიციულად იგი საქორწილო სუფრის შემადგენელი ნაწილი იყო, თუმცა საველე-ეთნოგრაფიული მასალებით, მცირე შემთხვევების სახით გვხვდება მაჯუნის განსხვავებული დანიშნულებაც. კერძოდ, მას მიცვალებულის დაკრძალვის შემდგომ, გარდაცვლილის სულის მოსახსენიებელ დღეებშიც ამზადებდნენ. ეს დღეებია: გარდაცვალებიდან მეორმოცე დღე, ანუ „ორმოცი“, „წლისთავი“ და გარდაცვლილის დაბადების დღე (ტუნაძე, 2024: 15).

საველე-ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ქობულეთის მოსახლეობაში მაჯუნის სხვადასხვა რეცეპტი დასტურდება. უხუცესთა მეხსიერებაში დაცული ინფორმაციით მაჯუნი აუცილებლად მრგვალკაკალა ბრინჯით მზადდება, შაქრიანი სიროფის გამოყენებით, თუმცა გვაქვს ისეთი ვარიანტები, სადაც მაჯუნის დატკბობას არა შაქრიანი სიროფით, არამედ თაფლით ახდენდნენ.

წიგნში „კულინარიული მოგზაურობა აჭარაში“ (ნოღაიდელი, 2024: 48-49), რომელიც აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტომ მოამზადა, მაჯუნის შემდეგი რეცეპტია მოცემული:

მაჯუნის მოსამზადებლად შემდეგი ინგრედიენტები იყო საჭირო: ბრინჯი 1 კგ. ან თეთრი ბოლოკი 150 გ; შაქარი 1 კგ; თაფლი 3 ს/ფ. კოვზი და წიწაკა 3 ჩ/კოვზი. მაჯუნის მოსამზადებლად მდუღარე წყალში ჩაყრილ ბრინჯს ფაფისებური მასის მიღებამდე ხარშავდნენ. შემდეგ უმატებდნენ შაქარს, თაფლს, შავ წიწაკას და 10 წუთით ნელ ცეცხლზე შემოდგამდნენ. შემდგომ აჩერებდნენ თავდახურულ ჭურჭელში და ჩოგნით ჩაზელდნენ. ბრინჯის ნაცვლად შეიძლებოდა თეთრი ბოლოკის გამოყენება. ასეთ შემთხვევაში თეთრ ბოლოკს გახეხავდნენ და თავისივე წვენში დაბალ ცეცხლზე ხარშავდნენ მანამ, სანამ არ ჩაიშლებოდა და ფაფისებულ მასად არ გადაიქცეოდა. შემდგომ უმატებდნენ შაქარს, თაფლს და შავ წიწაკას. ფერის მისაცემად უმატებდნენ დამწვარ შაქარს.

მაჯუნის სამზარეულო ხელოვნების ძირითად საიდუმლოებას მისი გემოვნება შეადგენს, კერძოდ სიტკბოსა და სიმწარის თანაბარი გემოვნებითი შეგრძნება. თანამედროვეობაშიც ყველა დიასახლისი ცდილობს აღნიშნული პრინციპი დაიცვას, თუმცა გვხვდება ისეთი შემთხვევები, როცა მაჯუნში მცირედ სიტკბო ან სიმწარე სჯობნის, რაც ინდივიდუალური კულინარიული მიდგომის შედეგია. ეთნოგრაფიულ ყოფაში ზოგიერთი უფრო ტკბილი გემოს მქონე მაჯუნს ამზადებს, ზოგს კი პირიქით, შეიძლება უფრო მომწარო გემოს მქონე მაჯუნი მოსწონდეს. ტრადიციულად კი, როგორც აღინიშნა, მაჯუნში სიტკბო და სიმწარე თანაბრად უნდა იგრძნობოდეს. ამ მიდგომას ქობულეთის მოსახლეობის უმრავლესობა ეთანხმება და იცავს.

წარსულში მაჯუნს ქორწილის წინა ღამეს – „წვეულ ღამეს“ აუცილებლად ამზადებდნენ. ქორწილის დღეს მას ჯერ მეფე-პატარძალს მიართმევდნენ, ხოლო შემდეგ ქორწილის წევრებს ჩამოურიგებდნენ. გადმოცემით ხელის გულში ჩაუდებდნენ კოვზით. ზოგიერთი ქალბატონი, თუ იგი ორსულად იყო იხუმრებდა კიდეც: „მე ორი ხისა მერგებაო“, ანუ მე ორი წილი მეკუთვნისო. თანამედროვეობაში მაჯუნთან დაკავშირებული აღნიშნული ტრადიცია მივიწყებულია.

მაჯუნს ახალი სიცოცხლე და პოპულარიზაცია შესძინა ქობულეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა, სადაც სხვადასხვა ღონისძიებებზე სტუმრებს პატარა ჭიქებით მაჯუნს სთავაზობენ, თან ამ კერძის ისტორიას და მასთან დაკავშირებულ ტრადიციებს უყვებიან.

დასკვნები. ამდენად, მაჯუნი, ქართულად დუბეიდი, ისტორიულად სამკურნალო ხასიათის წამალს წარმოადგენდა და ძველქართულ სამკურნალო ხელნაწერებში მისი მრავალი ვერსიაა შემონახული. შემდგომში მან დანიშნულება იცვალა და ჩვენს დრომდე მოაღწია, როგორც რიტუალურმა კერძმა და სადღესასწაულო სუფრის შემადგენელმა ნაწილმა. ზოგ შემთხვევაში იგი გააზრებულია, როგორც ენერგეტიკული საკვები. თანამედროვეობაში მაჯუნთან დაკავშირებული ტრადიციული კულტურა მივიწყებას ეძლევა და იგი მხოლოდ სადესერტო კერძის მნიშვნელობას ინარჩუნებს.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. გრიშაშვილი, ი. (1997). *ქალაქური ლექსიკონი.* თბილისი: სამშობლო.
2. იმედაძე, ს. (2014). *არაბული წარმოშობის ლექსიკა სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართულში“. დისერტაცია ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.* ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
3. ნოღაიდელი, ნ. ლომთათიძე, თ. ლორია, მ. ბაუჟაძე, ზ. გოგუაძე, ლ. (2024). *კულინარიული მოგზაურობა აჭარაში.* ბათუმი: ააიპ ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო.
4. ორბელიანი, ს.-ს. (1966). *ლექსიკონი ქართული* (ტომი I). თბილისი. მეცნიერება.
5. რუსთაველი, შ. (1841). *ვეფხისტყაოსანი.* სანკტ-პეტერბურგი: გამოიცა ზაქარია ფალავანდიშვილისა და დავით ჩუბინაშვილის მიერ.
6. ტუნაძე, თ. (2023). საველე-ეთნოგრაფიული დღიურები, ქობულეთი 2022-2023 წლები. ხელნაწერი, ინახება ავტორთან.
7. ღლონტი, ა. (1974). *ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, შემდგენელი ალ. ღლონტი*, I. თბილისი: განათლება.
8. ხელაია, ნ. (2009). *ოთხი ქართული სამედიცინო ხელნაწერი, XVI-XVIII სს. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ნანი ხელაიამ.* თბილისი.
9. Чубинашвили, Д. (1846). *Русско-Грузинский словарь составленный Давидом Чубиновым, I.* С-Пб.

"MAJUNI" – AN INFREQUENT CULINARY DISH FROM KOBULETI
(Historical-ethnological aspects)

TEMUR TUNADZE
PhD in History, Researcher at the Ajara
Cultural Heritage Protection Agency
E-Mail: tunadze@gmail.com
ORCID: 0009-0008-1502-7042

Abstract: „Majuni" is a festive dessert with sweet and bitter tastes, preserved only by the Kobuleti population. Traditionally, it was a crucial component of a wedding feast. At first, it was served for a groom and bride, and then – other guests. According to some sources, „Majuni" was prepared on souls' days after a funeral.

The word „Majuni" has an Arabic origin and is spread in the Persian language – with the meaning of a medical solution for strength and excitation; in the Turkish language – with the meaning of an ointment, all kinds of sweets. This word also appears in the Ottoman sources, and is borrowed from the Arabic language. In the Adjarian dialect, „Majuni" is a rice dish with honey or sugar. It is supposed that this medical term has entered into the Georgian language since the X-XI centuries.

Among the Georgian historical sources, the word „Majuni" is mainly fixed in medical books, with the meaning of a medical remedy, complex solution. „Majuni" also had a meaning of a solution for strength and excitation.

Nowadays, the Kobuleti population has various recipes for „Majuni". According to the elderly, „Majuni" was prepared with round-grain rice and sugar syrup or honey.

The main culinary secret of „Majuni" is its taste, namely, a balance of sweetness and bitterness. Today, all housewives try to keep that balance principle too.

Key words: Georgian culinary, tradition, ritual

* * *

Introduction. The study of folk cuisine has a long history in Georgian historiography. However, this article is the first time that Majuni, as a traditional dish, has become an object of scientific interest. The reason for this may also be that the mentioned dish was preserved only by the traditional way of life of the Kobuleti population and is not found in other Georgian ethnic groups. Important materials about the lexical unit itself – majuni – have been preserved in ancient written sources, mediæval medical handbook, and various lexical publications, which contain interesting materials about the essence, etymology, and origin of the term. It is noteworthy that Sulkhan Saba Orbeliani also provides us with the Georgian equivalent of the word majuni in his dictionary, which indicates that the medicinal recipe referred to as majuni has been known to the Georgian people since ancient times.

The research on the research issue is novel, which significantly increases its relevance. This is also due to the fact that, at the initiative of the Ajara Cultural Heritage Protection Agency, relevant documentation was prepared regarding Majuni and submitted to the National Agency for Cultural Heritage Protection in order to grant it the status of an intangible cultural heritage monument.

The aim of the research is to collect and understand various types of materials related to Majuni in a unified way, to compare and contrast the information preserved in written monuments with field-ethnographic materials. The represented article is a kind of beginning of the research on the issue; by including it in scientific circulation, it is expected that interested parties will respond, which will give us the opportunity to study the issue in a wider spectrum.

Methods. The article analyzes the historical and modern functional aspects of Majuni using the comparative-historical method. An interdisciplinary approach to the problem is used in the development of the issue. Relevant materials are selected from medical, lexicological, literary and historical-ethnological works. The work is based on the existing scientific literature and field-ethnographic materials surrounding the issue.

Discussion. In Georgian folk cuisine, Majuni is a particularly distinctive dessert dish, which until recently was preserved in its original form only among the population of Kobuleti. Judging by field-ethnographic materials, it was traditionally an essential element of the wedding celebration. At the wedding, it was initially served to the bride and bridegroom, and then distributed to the wedding guests. According to some information, Majuni was also prepared on the days of remembrance of the deceased after the funeral.

There are different recipes of majuni are known. However, in any case, Majuni is the mixture of the ingredients having sweet and bitter flavors. Majuni is served cold. In modern times, in addition to plates, special glass-like forms are also used for this purpose.

Georgian lexicological publications, as well as Georgian folk mediæval medical handbooks, contain interesting information about the word „majuni“ and its other equivalents.

According to Sulkhan-Saba Orbeliani, „Majuni is the language of others, in Georgian it is called Dubeydi“, while the word „Dubeydi“ itself is interpreted as „Majuni“ (Orbeliani, 1966, p. 435). Thus, according to Sulkhan-Saba Orbeliani the words „Majuni“ and „Dubeydi“ are the same. The 1841 edition of „The Knight in the Tiger's Skin“, printed in St. Petersburg by Zakaria Palavandishvili and Davit Chubinashvili, includes a small dictionary. The words „majuni“ and „dubeydi“ do not appear here, although in the above-mentioned dictionary, in the context of the research question, a new word „mufarakhi“ is found. It is explained as follows: „Jagundi majuni, dubeidi“ (Rustaveli, 1841, p. 232).

A little later, namely in 1846, a Russian-Georgian dictionary compiled by Davit Chubinashvili was printed again in St. Petersburg. Here the words „Majuni“ and „Dubeidi“ are mentioned together with the Russian word „Кашка“ (porridge), where „Кашка лекарственная“ (Medicinal porridge) is explained as follows: „Majuni, Dubeydi, mufarakhi“ (Chubinashvili, 1846: 397).

Among the Georgian written monuments, the word „majuni“ is mainly recorded in books of medical types – so-called karabadini. For example, these are: „Uneven Karabadini“ of the 11th century by Kananeli (Uqsiro Karabadini 1940:501); „Book of Medicine“ of the 13th century (Book of Medicine 1936:316); „Yadigar-Daud“ of the 16th century (Yadigar-Daud 1938:713); „Karabadin the Good and the Healing“ of the 16th-17th centuries (Khelaia, 2009: 23,309-310); In these manuscripts, the term „majuni“ is presented as one of the main forms of pharmacological agents and denotes a complex type of mixture. In almost all recipes of majuni, the medicines are rubbed into honey, presumably in the form of a „gruel“ (liquid „porridge“) so that it can be swallowed, drunk (Khelaia, 2009: 23).

According to „Karabadin the Good and the Healing“ (XVI-XVII c.c.) „majuni“ is presented as one of the main forms of pharmacological agents and denotes a complex type of mixture. There are numerous majunas given in Karabadin, and in almost all of them, medicines are probably in the form of a liquid porridge, rubbed into honey (Khelaia, 2009: 23). Some types of majuni also contain pepper, and honey is mentioned as an essential component in almost all majuni, through which various medicines are rubbed through honey and become one compound – a medicine turned into majuni. We have a description of Majuni, for the preparation of which various elements – medicines – must be added to boiled honey, and Majuni will be created (Khelaia, 2009: 87-89).

Similar information regarding majun is given in „The Karabadini of Abram the Writer.“ Here, too, majuni refers to a mixture that is sometimes prepared by boiling, i.e., it is created as majuni through boiling. There is a special chapter for the Majuni in „Abram the Writer's Karabadin“. It describes the general nature of the Majuni as well as specific Majuni. Here too, honey is mentioned everywhere, and in some cases, pepper is found. In the mentioned Karabadin, the following majuns are found: carrot

majun, majuni with Solomon's seal, majuni with dill, daisy majuni, bergamot orange majuni, quince majuni, miscible majuni, kamunia, sikangubinisa, and apilonisa (old Georgian terms for healing herbs) majuni, etc. (Khelaia, 2009: 112-174).

At first glance, it seems that majun is a porridge-like (?) mixture. Here it would be interesting to use Davit Chubinashvili's definition of the word „Кашка лекарственная" which, as mentioned above, is explained as follows "majun, dubeydi, mufarakhi" (Chubinashvili, 1846: 397). In this case, the word „porridge" still seems doubtful in order to clarify the meaning and nature of the word „majuni". In our opinion, making majuni should not mean making „porridge", because in the four Karabadins mentioned above, the word order „porridge" is mentioned in other cases as well to denote a combination of different ingredients (Khelaia, 2009: 185). That is, the same Karabadini names the processes separately: „creation of majuni" and „creation of porridge", which indicates that they may have been used in different meanings and meant different processes.

Thus, according to Georgian Karabadinis (mediæval medical handbook), the participation of honey in the process of „creation of majuni" is significant. The honey is so noticeable that we can assume that majuni was made only with honey (?), although there are several exceptions when honey is not involved in the recipes of majuni. There are relatively few cases when pepper is also mentioned in the recipes of making majuni.

In addition to the above-mentioned lexical and folk medicinal materials, its etymology is also noteworthy.

From an etymological point of view, according to special scientific literature, the word „Majuni" is of Arabic origin. The Georgian word majuni comes from the Arabic word (نجغ /÷ ağana), which has the following meanings: 1. ointment, cream; 2. medicinal compound, a mixture of medicinal herbs containing narcotics. The word „majuni" is recorded in a number of ancient Georgian literary monuments – original or translated. For example, in „Kilila and Damana" the word is used in the meaning of tincture that gives pleasure and excites. In relation to modern Majuni, the materials preserved in „Rusudanian" are interesting, where sweets are added to the above-mentioned meanings of Majuni. Dubeydi, a medicine that gives a feeling of well-being made like jam, is also mentioned in the dictionary of D. Chubinashvili and I. Grishashvili (City Dictionary, 1997: 151). The word Majuni is considered of Arabic origin in Persian and Turkish dictionaries. In Persian, the emphasis is mainly on the medicinal compound that gives strength, energy and excitement, the elixir, while the Turkish **„macun"[majun]** refers to all kinds of confectionery. This word is also confirmed in Ottoman sources, where it comes from Arabic. In the Adjarian dialect, majuni means rice with honey or sugar (Glonti, 1984: 354). According to researcher Sophio Imedadze, this medical term was probably introduced into Georgian around the 10th-11th centuries (Imedadze, 2014: 89-90).

Thus, according to ancient Georgian medicinal recipes, majuni is a compound medicine, a combination of various ingredients, where sweetness or bitterness is not its unconditional determinant, although in the majuni given in the same medicinal books, sweetening with honey, creating majuni with honey, is more prevalent.

In the traditional cuisine of the indigenous population of Kobuleti, Majuni is a festive dish. It is a kind of dessert, the main characteristic of which is expressed in its simultaneously sweet and bitter taste. Traditionally, it was an integral part of the wedding table, although field-ethnographic materials, in small cases, reveal a different purpose for majuni. In particular, it was also prepared after the funeral of the deceased, on the days of remembrance of the deceased's soul. These days are: the fortieth day after death, so-called „forty", after a year from the death or at the birthday of the deceased (Tunadze, 2024: 15)

According to field-ethnographic materials, various recipes for majuni are confirmed among the Kobuleti population. According to information preserved in the memory of elders, majuni is always made with round-grain rice, using sugar syrup, although we have variants where majuni was sweetened not with sugar syrup, but with honey.

The book „Culinary Journey to Adjara“ (Noghaideli, 2024: 48-49), prepared by the Tourism Products Development Agency of the Adjara Tourism Department, contains the following recipe for majuni:

The following ingredients were needed to prepare Majuni: 1 kg of rice or 150 g of white radish; 1 kg of sugar; 3 tablespoons of honey and 3 teaspoons of pepper. To prepare majuni, rice was poured boiling water and cooked until it became a porridge-like mass. Then, sugar, honey, and black pepper were added and simmered for 10 minutes over low heat. They were then placed in a covered container and pounded with a wooden spoon. Instead of rice, white radish could be used. In this case, the white radish was grated and boiled in its own juice over low heat until it collapsed and turned into a mushy mass. Then sugar, honey, and black pepper were added. Burnt sugar was added for color.

The main secret of the art of cooking majuni is its taste, namely the equal taste sensation of sweetness and bitterness. Even in modern times, every housewife tries to adhere to this principle, although there are cases when a little sweetness or bitterness in majun is preferable, which is the result of an individual culinary approach. In ethnographic life, some people prepare a sweeter-tasting majun, while others, on the contrary, may like a more bitter-tasting majun. Traditionally, as mentioned, sweetness and bitterness should be felt equally in majun. The majority of the Kobuleti population agrees with and adheres to this approach.

In the past, majuni was always prepared the night before the wedding – the „party night“. On the wedding day, the bride and bridegroom were the first to be served with majuni, and then it was distributed to the wedding guests. According to tradition, they would put it in the palm of their hand with a spoon. Some women, if they were pregnant, would even joke: „I have two „khisa““ meaning that two shares should be given to her. In modern times, the above-mentioned tradition related to Majun has been forgotten.

Majuni has been given new life and popularization by the Kobuleti Historical and Ethnographic Museum, where guests are offered small glasses of majuni at various events, while being told about the history of this dish and the traditions associated with it.

Conclusions. Thus, Majuni, known as Dubeydi in Georgian, was historically a medicinal herb, and many versions of it have been preserved in ancient Georgian medical manuscripts. Many versions of it have been preserved. Later, its purpose changed and has survived to our time as a ritual dish and part of the festive table. In modern times, the traditional culture associated with majun is being forgotten, and it retains only the function of a dessert dish.

References:

1. Grishashvili, I. (1997). *Kalakuri Leqsikoni*. Tbilisi: „Samshoblo“.
2. Imedadze, s. (2014). *Arabuli ċarmošobis leksiķa Sulxan-Saba Orbelianis „leksikono kartulši“.* Kutaisi: „Aķaķi Çeretlis saxelobis Universiṭeṭi“.
3. Nogaideli, N. Lomtatidze, T. Lori, M. Baujadze, z. Goguadze, L. (2024). *Ķulinariuli mogzauroba Aċaraši.* Batumi: „Ṭurisṭuli produktebis ganvitarebis saagenṭo“.
4. Orbeliani, S.-S. (1966). *leksikoni kartuli. I.* Tbilisi: „Mecniereba“.
5. Rustaveli, Sh. (1941). *Vepxisṭ̇qaosani*. Sanķt-Peṭerburgi: Gamoica Zaqkaria Palavadišvilisa da Davit Ć ubinašvilis mier.
6. Tunadze, T. (2023). *Savele-Etnograpiuli dġiurebi, Kobuleti 2022-2023*. Xelnaçeri inaxeba avṭortan.
7. Glonti, A. (1974). *Kartul ķilo-tqmata siṭ̇qvis ķona*. Shemdgeneli Al. Glonti, I. Tbilisi: „Ganatleba“.
8. Xelaia, n. (2009). Otxi kaqtuli samedicino xelnaçeri, XVI-XVIII. Tbilisi: Teqsti gamosacemad moamzada Nino Xelaiam.
9. Чубинашвили, Д. (1846). Russko-Gruzinski slovar, sostavlenni Davidom Chubinashvili, I. Sankt-Peterburg.

არტაანელთა მეხსიერებაში ასახული წარსულის ფურცლები კონსტანტინე ოდიშარიას (მარტვილელი) ჩანაწერების მიხედვით

ნაილა ჩელებაძე
ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი; საქართველოს
საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის
სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი
ელ-ფოსტა: naila.chelebadze@bsu.edu.ge
ORCID: 0009-0003-2451-1753

აბსტრაქტი: ნაშრომში წარმოდგენილია კ. ოდიშარიას მიერ 1913-1920 წლებში სტაციონარული კვლევით ჩაწერილი მასალების საფუძველზე არტაანის მხარის ისტორიული წარსულის ასახვის ცდა, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილია აპრობირებული ქართულ ისტორიოგრაფიაში. ამჟამად არტაანი დღევანდელი თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებშია მოქცეული, რაც კიდევ მეტად ზრდის მისი შესწავლის მნიშვნელობას.

ნაშრომში გამოკვლეული კ. ოდიშარიას მიერ ვრცლად წარმოდგენილი არტაანის მხარის რეალურ ისტორიასთან დაკავშირებული ამბები და მდიდარი სტატისტიკური მონაცემები – 600-მდე ტოპონიმი, ეთნიკური ვითარებისა და ტრადიციული ყოფა-ცხოვრების ასპექტები, ზედმიწევნით ზუსტად აღწერილი, ხშირად რისკის ფასად მოძიებული ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები თუ მათი ნაშთები, მათ შორის 40-მდე ქართული საისტორიო წარწერით შემონახული 500-მდე ეკლესია, ასზე მეტი ციხე-სიმაგრე, 8-ზე მეტი არხი და მილი (მათ შორის რძის სატრანზიტო მილი), 5 ხიდი და სხვა მრავალი, მეტ დამაჯერებლობას სძენს იმ გარემოებას, რომ არტაანის კულტურული მემკვიდრეობა ტრადიციული ქართული კულტურის ფესვებზეა დაფუძნებული.

ნაშრომში განხილულია რამდენიმე ისტორიული ფაქტი და მოვლენა ისტორიული მხარის ქართული მოსახლეობისგან მიღებული ინფორმაციების, თქმულება-გადმოცემების შედარებათა საფუძველზე. მაგალითად, გამოვლენილია საინტერესო ინტერპრეტაცია თამარ მეფის ანდერძისა თავისი შვილისადმი – ლაშა-გიორგისადმი. დაზუსტებულია „ვეფხისტყაოსნის“ ხალხურ ვერსიაში მთავარი გმირების მიერ თამარ მეფის ხსოვნისადმი პატივის მიგების – ღამით 30 აპრილს 1 მაისის გარიჟრაჟამდე ლოცვის თარიღისა და საეკლესიო კალენდრის 15 მაისს დაწესებული თამარ მეფის გარდაცვალების დღის იგივეობა. ასევე, მოცემულია ინფორმაცია ოთარ-ბეგ შერვაშიძის საოჯახო რელიქვიაში პერგამენტზე გადაწერილი 1436 წლით დათარიღებული „ვეფხისტყაოსნის“ უძველესი ხელნაწერის შესახებ.

არტაანის ისტორიის მატიანეს ავსებს კ. ოდიშარიას მიერ ფიქსირებული მრავალფეროვანი ტოპონიმები. სოფელ სინოდის სახელდება განხილულია როგორც რელიგიური ოიკონიმი, რომელიც შესაძლოა ჯავახეთში საკათალიკოსოს დროებითი რეზიდენციის არსებობას უკავშირდებოდეს. ასევე, სოფელი სინოდი ნავარაუდევია როგორც „ჯავახეთის კრების“ ჩატარების ადგილი.

არტაანულ ჩანაწერებში ასახულია თამარ მეფის გარდაცვალების შემდეგ განდგომილი განძის ათაბაგის წინააღმდეგ მისი მემკვიდრის – ლაშა-გიორგის მხედართმთავრებთან შეუთანხმებელი ლაშქრობის ამბავი, რასაც მათი აღშფოთება გამოუწვევია. სწორედ ამ ფაქტთანაა დაკავშირებული დიდებულების პროტესტის საპასუხოდ ლაშა-გიორგის მიერ სოფლისთვის ურჩის დარქმევის გადმოცემა.

დამაჯერებელია კ. ოდიშარიას მიერ „ვეფხისტყაოსნის“ მითოპოეტური სამყაროს ყველა გასაღების არტაანის მიდამოებში წარმოსახვა, **რომელიც ადგილობრივ ქართველთა წარმოდგენაში** რეალურად, ისტორიული გეოგრაფიის დონეზე არსებული ცალკეული ადგილების (ქაჯეთის ციხე, სასახლე, პალაკაციოს ტბის გვირაბი და სხვ.) საფუძველზეა გააზრებული. ქართულ ისტორიოგრაფიაში არაერთგვაროვნად განსაზღვრულ ქაჯეთის ციხის ლოკალიზაციის საკითხს და „ვეფხისტყა-

ოსნის“ ქაჯეთის ციხის პროტოტიპად მიჩნევას, კ. ოდიშარიასეული ციხის ვრცელი აღწერა მეტ სანდოობას სძენს. გარდა ამისა, მიგნებულია ჩილდირის ციხის სხვა სახელწოდებაც – მზე-ქალას ციხე და სხვ.

ამდენად, კ. ოდიშარიას ჩანაწერები იძლევა ქართული მატიანეებისთვის ზოგიერთი უცნობი ტოპონიმის, კულტურული მემკვიდრეობის მრავალი ძეგლის შესწავლის, ქართველოლოგიის არაერთი პრობლემის გადაჭრის რეალურ შესაძლებლობას, რაც უტყუარს ხდის არტაანული მასალების პირველწყაროდ გამოყენებისა და სამეცნიერო მიმოქცევაში მათი ჩართვის გარდაუვალობას.

საკვანძო სიტყვები: არტაანი, ისტორია, თქმულება-გადმოცემები, ტოპონიმები, „ვეფხისტყაოსანი“, თამარ მეფე, ციხე-სიმაგრეები, კულტურული მემკვიდრეობა.

* * *

საუკუნეების მანძილზე მშობლიურ საქართველოს ჩამოშორებული არტაანის მხარის მიმართ ქართველ მამულიშვილთა ინტერესი არასოდეს შენელებულა. 1878 წლამდე ოსმალეთის მფლობელობაში არსებული ეს კუთხე მოინახულეს და ფრაგმენტული, მაგრამ მეტად ფასეული ცნობები დაგვიტოვეს დ. ბაქრაძემ, გ. ყაზბეგმა, მოგვიანებით ნ. მარმა, ექვ. თაყაიშვილმა, კ. სადოვსკიმ, ალ. ფრონელმა, ს ბავრელმა, კოპტონაშვილმა და სხვ. ინფორმაციულობითა და სამეცნიერო ღირებულებებითაა გამორჩეული კონსტანტინე ოდიშარიას (მარტვილელი) მიერ 1913 წ. მიწურულიდან 1920 წლამდე არტაანის მხარეში მოძიებული დღემდე ნაკლებად ცნობილი ჩანაწერები, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო „წერილები სტამბოლის ქართულის სავანის“ მეორე ტომში.

ქართველი საზოგადო მოღვაწე, მწიგნობარი და მეცნიერი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, თბილისის განყოფილების მუდმივი წევრი კ. ოდიშარია XIX საუკუნის მიწურულს ქართული გაზეთების კორესპონდენტად მუშაობდა ბათუმში, სადაც იგი მხურვალე მამულიშვილად ყალიბდებოდა (სიხარულიძე, 1998:233; ფუტკარაძე შ., 2020:218-220). პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, როდესაც ქვეყანაში უმძიმესი ვითარება შეიქმნა, კ. ოდიშარიას, როგორც ქართული სამოქმედო საზოგადოების არტაანის განყოფილების გამგეობის წევრს, მინდობილი ჰქონდა ომით დაზარალებული არტაანისა და ჩილდირის (საპოლიციო ნაწილებში) უბნებში მაჰმადიანი ქართველების მდგომარეობის გამორკვევა. მას შესანიშნავად ესმოდა, რომ არტაანი კულტურის აკვანია და ამიტომაც ამ მხარის მოსანახულებლად ენერგია არ დაუზოგავს. კ. ოდიშარიას არტაანის მხარის აღწერის მეცნიერული ღირებულების, მოგზაურული ჟანრის დღიურები წერილების სახით ქვეყნდებოდა გაზ. „საქართველოში“, ნაწილი კი სხვადასხვა სიძველეთსაცავში ინახება. ნაწილი ძეგლისა, ავტორს გვიან, აკად. ს. ჯანაშიასთვის გადაუცია (სიხარულიძე, 1998:23; ფუტკარაძე შ., 2020:218-220, ფუტკარაძე ე., 2023:413-422).

არტაანის მხარეში მოღვაწეობის პერიოდში კ. ოდიშარიამ, ადგილობრივ ქართველთა გამოკითხვის საფუძველზე შედგენილ სიძველეთა სიაში, აღნუსხა 600-ზე მეტი ქალაქი და სოფელი, ადგილობრივ ქართველთა ყოფა-ცხოვრების ამსახველი ჩანაწერები, რომლებიც ავტორს მაჰმადიანი ქართველების სახელწოდებით ჰყავს შეყვანილი. შეუფასებელია კ. ოდიშარიას მიერ დაფიქსირებული არაერთი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლისა თუ მათი ნაშთების, ზოგჯერ სიცოცხლის რისკის ფასად მოძიებული დაწვრილებითი აღწერის მონაცემები, მათ შორის 500-მდე ეკლესიისა 40-მდე ქართული წარწერით, 8-ზე მეტი არხისა და მილის (მათ შორის რძის სატრანზიტო მილსადენები), 5 ხიდის, ასზე მეტი ციხე-სიმაგრისა და სხვ., რომელთა ნაწილი მოსახლეობისგან ჩაწერილი ისტორიული ამბებითა თუ თქმულება-გადმოცემებით არის წარმოდგენილი. აღნიშნული მასალების მნიშვნელობას კიდევ მეტად ზრდის ის გარემოება, რომ მათში დაფიქსირებული ზემო ქართლის გეოგრაფიული სახელწოდებანი ქართული მატიანეებისთვის ნაწილობრივ უცნობია, რაც უტყუარს ხდის არტაანული მასალების პირველწყაროდ გამოყენების სანდოობასა და სამეცნიერო მიმოქცევაში მათი ჩართვის გარდაუვალობას.

ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრებით, ქართველთა წარმომავლობა, მათი პირვანდელი სამშობლო – ა რ ი ა ნ ქართლი დაკავშირებულია იმ ადგილთან, საიდანაც დაირწა კაცობრიობის კულტურის აკვანი (ინგოროყვა, 1939; XXXI-XXXII). საქართველოს ამ შორეული წა-

რსულის ნაწილია არტაანის ისტორიაც, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით არის „ქუეყანა არტაანისა“ (ქ/ც., 1955:10,23), კ. ოდიშარიას მიერ საქართველოს ამ ერთ-ერთ უძველეს ისტორიულ მხარეში ჩაწერილი მოგზაურობის შთაბეჭდილებები განსაკუთრებულია იმითაც, რომ დღეს იგი მოქცეულია თურქეთის რესპუბლიკის ყარსის გუბერნიის (ვილაიეთში) შემადგენლობაში და ისტორიული მესხეთის მნიშვნელოვანი ნაწილის, აგრეთვე ჩილდირისა (აბოცი, პალაკაციო) და საკუთრივ არტაანის (არტაან-კოლა) ერთიობლიობას წარმოადგენს. ტერიტორია, რომელიც პოლიტიკური კატაკლიზმების კვალდაკვალ იცვლებოდა და სცილდებოდა ძველქართველურ ტომთა განსახლების თავდაპირველ არეალს, მკვეთრად ცვლიდა არტაანის პროვინციის ისტორიულ გეოგრაფიას თავისი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული მდებარეობის გამო, თუმცა ზოგად საზღვრებში თავად არტაანის გარდა, მისი სახელი და გავლენა მაინც წვდებოდა (შდრ. თაყაიშვილი, 1938:3). ოსმალეთის იმპერიის საზღვრებში მოქცეულ საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, 1878 წ. ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით, არტაანი დაუბრუნდა დედასამშობლოს, რომელიც XIX ს. ბოლო პერიოდიდან ფოცხოვთან, კოლასთან და ჩილდირთან ერთად ყარსის ოლქში შედიოდა (სადოვსკი,1886:236). რაც შეეხება საეკლესიო საზღვრებს, არტაანი, ტალაშოს ზეითი სულას ჩათვლით „კოლის საზღურამდინ“, ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძის მიხედვით, მოიაზრებოდა ერუშნელის სამწყსოს ეპისკოპოსის იურისდიქციის ფარგლებში (ბაქრაძე, 1987:77). 1914-1920 წლებში არტაანის მხარე რუსეთისა და თურქეთის საომარ ველს წარმოადგენდა. 1921 წ. 15 ოქტომბერს, ყარსის ხელშეკრულებით, ეს მხარე ოსმალეთის მფლობელობაში გადავიდა. სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება კ. ოდიშარიას ჩანაწერების ძირითადი ნაწილი, რომლის სანდოობაც არტაანში ავტორის ხანგრძლივად ყოფნამ და სტაციონარულმა საქმიანობამ უფრო მეტად განამტკიცა.

კ. ოდიშარიას რამდენიმეწლიანი მოგზაურობის დროს ზედმიწევნით ზუსტად შედგენილი ტოპონიმების სია ისტორიულ-კულტურული გზამკვლევია ნებისმიერი მკვლევარისათვის. მოგზაურობის ჩანაწერებიდან ნათლად იკვეთება ავტორის მცდელობა, სრულად გადმოეცა ადგილთა გეოგრაფიული, სტრატეგიული სურათი შესაბამისი ტოპონიმებითა და ისტორიებით. არტაანის მხარეში დაფიქსირებული 600-ზე მეტი ტოპონიმიდან ავტორი შეძლებისდაგვარად იძლევა მათი მნიშვნელობის ახსნას, რომელთა უმრავლესობა ძველ წყაროებში ნახსენები ტოპონიმების უძველესი ფონდის ანარეკლია. მოსახლეობის მეხსიერებაში საუკეთესოდ შემონახულ ტოპონიმთა ფართო ჩამონათვალი გვაძლევს მდიდარ მასალას არა მარტო საქართველოს ისტორიის სხვადასხვა ეპოქის შესახებ, არამედ იძლევა ისტორიული და დღევანდელი ტოპონიმების შედარების საშუალებასაც (ნიკოლაიშვილი..., 2021:95-96; ბაქრაძე, 1987:65; სადოვსკი, 1886:13,27,35-37,43; ფრონელი, 1914:137, ხუციშვილი.., 2021:529-591 და სხვ.).

თამამად შეიძლება ითქვას, რომ კ. ოდიშარიას მიერ შეკრებილი ტოპონიმები მოკლე ისტორიული ნარკვევია არტაანის მხარის წარსულის, XX ს. დასაწყისში არსებული მიგრაციის შედეგებით შეცვლილი დემოგრაფიული სურათის (ყარაფაფახები, ქურთები, სომხები, ბერძნები, აისორები და ა.შ.), სამეურნეო ყოფის თითქმის ყველა დარგის (ქობალი, მარცვალეთუბანი, საღომეთი, საბუღარი, საღორეთი, საიხვე, ღვინია, საკირე და ა.შ.), კულტურის დიდი ტრადიციების (ზედა და ქვედა ხელოვანი), თავდაცვითი სისტემის (ქაჯეთის, მგელციხე, მზე-ქალას და ა.შ.), ქრისტიანი წმინდანებია და სიწმინდეების (მერიემი-მარიამი, ნინო-ნუნისი, თამარი, სტეფანწმინდა, ზედაწმინდა, გიორგის-უბანი, მირიანი, პეტრე-პავლე, სინოდი და სხვ.), სახელოვანი მეფეებისა (თამარი, ლაშა-გიორგი) და სხვათა შესახებ.

სანიმუშოდ შევჩერდებით სოფელ ურჩის ტოპონიმთან დაკავშირებით, რომელიც უკავშირდება სოფლის სახელწოდებასა და მასთან დაკავშირებულ გადმოცემას, რომელიც არა მარტო ესადაგება ლაშა-გიორგის მეფობის აღნიშნულ ეპიზოდს, არამედ ამ ამბის თავისებურ ინტერპრეტაციასაც გვთავაზობს (ოდიშარია, 2020:113). ურჩი ური ყოფილა, ძველ ქართულ წყაროებში არტაანის ჰურად მოხსენიებული, სადაც ყველაზე უფრო ხანგრძლივად ყოფილან შემორჩენილი მაჰმადიანი ქართველები (ქავთარაძე, 2001:17; ბერძენიშვილი დ., 2009:104-105). ადგილობრივთა განმარტებით, სოფლისთვის ურჩის შერქმევის მიზეზი თამარ მეფის გარდაცვალების შემდეგ შექმნილი ვითარება გამხდარა, როდესაც განძის ათაბაგს საქართველოსთვის ხარკის გადახდა შეუწყვეტია, ხოლო ლაშა-გიორგის მხედართმთავრების შეუთანხმებლად გაულაშქრია მის წინააღმდეგ. მიუხედავად

იმისა, რომ ქართველმა მებრძოლებმა უკან დაახევინეს მტერს, მეფის ასეთი საქციელის საპასუხოდ აღშფოთებულ დიდებულებს განუცხადებიათ, რომ თუ კიდევ განმეორდებოდა მსგავსი რამ, ისინი უკან გაატრიალებდნენ თავიანთ ჯარს. ლაშა-გიორგის ბოდიში მოუხდია მათთვის, თუმცა დიდებულების პროტესტის საპასუხოდ სოფლისთვის ურჩი უწოდებიაო. ლაშა-გიორგის, როგორც თამარ მეფის თანამოსაყდრის სიახლოვე ამ მხარესთან იმითაც უნდა ყოფილიყო განპირობებული, რომ მის საუფლისწულო დომენს წარმოადგენდა ჯავახეთი, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით მოიცავდა ტერიტორიას „ფანავრითგან ვიდრე თავადმდე მტკურისა“, მათ შორის არტაანსაც (ქ/ც., 1955:4).

საყურადღებოდ გვეჩვენება, ასევე, სოფელ **სინოდის** სახელწოდება, რომელსაც ესაზღვრებოდა სოფლები თეთრი ქოში და შიგამელია (მარტვილელი, 2020:191). ამ ისტორიულ ოიკონიმს შესაძლოა საფუძვლად დასდებოდა „ჯავახეთის კრების“, ან კიდევ, მცხეთის საკათალიკოსოს „ქართველთა სამეფოში“ დროებით გადატანის ისტორიული ფაქტი, რაც არაბთა ბატონობის მძიმე პერიოდში ქართული პოლიტიკური ცენტრის სამხრეთში გადატანით, ასევე, სომხური ეკლესიის ამბიციებისა და პრეტენზიების გაძლიერებითა და ქართულ ოლქებზე შემოღწევით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი. მეუფე ანანიას მოსაზრებით, აღნიშნულ პერიოდში (მცხეთას) კათალიკოსი იჯდა არა მცხეთაში (ქალაქში), არამედ ჯერ გუარამ მამფალის „სამამფლოში“, რომელიც მოიცავდა სამცხეს, ჯავახეთს, თრიალეთს, არტაანს, ტაშირსა და აბოცს, ხოლო შემდგომ დავით კურაპალატის „ქართველთა სამეფოში“. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან ჩანს, რომ მის დროს ქართული ეკლესიის კრება, რომელსაც მრავალი ეპისკოპოსი ესწრებოდა, ჩატარდა არა მცხეთაში, არამედ ჯავახეთში. ამ კრებას ახალი კათალიკოსი უნდა გამოერჩია და ტახტზე დაესვა, ამიტომაც მოსალოდნელი იყო კრების მცხეთაში ანუ საკათალიკოსო ქალაქში ჩატარება, მაგრამ მცხეთელ კათალიკოსს ჯავახეთში ირჩევენ... IX ს. ქართლის სამხრეთ მიწებზე არსებობდა პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეული სამამფლოს სახელწოდებით ... ჩანს, რომ სამამფლო არის ის პოლიტიკური ოლქი, სადაც თავისუფლად მოქმედებს ქართული ეკლესია“ (ჯაფარიძე, 2009:662-663).

ქართული მოსახლეობისგან თითქმის დაცლილ არტაანის სოფლებში, კ. ოდიშარიასთვის საქართველოს ისტორია ცოცხლდებოდა თანამოძმეებთან შეხვედრით, მათთან საუბარში, ქართული სიტყვის გაგონებით, რადგან „თითოეული **ოქროპირი** მჭერმეტყველია ჩვენი რაობისა და ჩვენი კულტურის სიდიადისა“. იგი ერთგან სიამაყით წერდა, რომ „სოფ. ბადელიდან ჩილდირამდე – ქართველებია და თავიც ქართველად მოაქვთ!“-ო (მარტვილელი, 2020:186). სწორედ ეს აძლიერებდა მას და იმედებით აღვსილი ხშირად დიდი რისკის ფასად კვლავ აგრძელებდა ისტორიული მხარის ყოველი დეტალის მონახულებასა და ფიქსაციას.

კ. ოდიშარიას საერთო შთაბეჭდილებას არტაანის ქართველობაზე კიდევ მეტად განამტკიცებდა ის გარემოება, რომ ისინი დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ მამა-პაპათა სახელებს, წინაპართა ნაშთებს (მარტვილელი, 2020:192). სოფელ **გუგუბაში** ყოფნისას ავტორი აღაფრთოვანა იქაურმა მოხუცმა თეიმურაზ ყადირ-ოღლი წითლანაძემ, რომელიც ქართულად წმინდად ლაპარაკობდა, კარგად იცოდა წერა-კითხვა და საქართველოს ისტორია. საგულისხმოა, რომ მისთვის წერა-კითხვა პლატონ იოსელიანს თბილისში უსწავლებია და მისგანვე მიუღია საჩუქრად ვახუშტი ბაგრატიონის დიდი ფორმის ტყავის ყდიანი ხელნაწერი „საქართველოს ისტორია“, რომელიც ზანდუკში წითელ ფარჩაში გახვეული სათუთად ჰქონია შენახული. მოხუც თეიმურაზს გულწრფელად უღიარებია კ. ოდიშარიასთან, რომ **„დღეს ეს წიგნი შვილებს მირჩევნია“**-ო. (ოდიშარია, 2020:120). შესაძლოა თეიმურაზ ყადირ-ოღლი წითლანაძისა და პლ. იოსელიანის ასეთი მჭიდრო კავშირის შედეგად აღმოჩნდა საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო **„მესხური დავითნის ქრონიკა“** ანუ მესხური მატიანე ამ უკანასკნელის საკუთრებაში, რომელიც დიმიტრი ბაქრაძემ აღმოაჩინა ცნობილი მოღვაწის არქივში (სამხრეთ.., 1961:102).

არტაანელთა მეხსიერებაში ასახულ საისტორიო ამბებში განსაკუთრებული ადგილი სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეულ თამარ მეფეს უჭირავს. ქართველი ხალხი უამრავ ძველ ნაგებობას უკავშირებს მის სახელს – ციხე-სიმაგრეებს, კოშკებს, ეკლესიებს, მონასტრებს, გზებსა თუ ხიდებს. ამ კუთხით გამორჩეულია არტაანის ისტორიული მხარე, რომელსაც მეფე თამარი ხშირად სტუმრობდა თავის ამალასთან ერთად – „გაზაფხულ ... წარვიდიან კოლას, თავსა არტანისასა...“

(ქ/ც, 1955:100). კ. ოდიშარიას ჩანაწერებში დაფიქსირებულია თამარ მეფის სახელთან დაკავშირებული 16 „თამარის გზა“ და 19 სხვადასხვა ადგილი. მის მიერ ჩაწერილი არაერთი ცნობა არტაანელთა მეხსიერებაში თამარ მეფის სახელის უდიდესი თაყვანისცემის გამოხატულებაა. არტაანელთა რწმენით, თამარი „აღიყვანა (ანგელოზებმა) ცოცხლად ზეცაში და ჩვენ მის საფლავს აქ ვეძებთ“-ო (ოდიშარია, 2020:128). კ. ოდიშარიას არტაანის ტაძარში უნახავს თამარ მეფის მიერ საყურის შეწირვის ხატი, რომელიც ცნობილი გადმოცემის რეალობის ამსახველია (ოდიშარია, 2020:123). უცნობია სხვა მრავალ გადმოცემათაგან ისტორიის რომელ ამბავს ასახავდა ტოპონიმ „ოქროს ქოთანის“ თამარ მეფესთან დაკავშირება, ისევე როგორც ს. ბავრელის მეგზურის ნაამბობი, თვალუწვდენელ კლდეზე „ხის „ტახტის“ არსებობისა, სადაც თამარ დედოფალის საბჭო ადგილი ყოფილაო“ (ბავრელი, 1878:1).

ისტორიაში კარგად ცნობილი თამარ მეფის ანდერძის გარდა, არტაანელთა მეხსიერებაში შემონახულა ლაშა-გიორგისთვის ცალკე დანატოვარი ანდერძიც, რომლითაც მეფე თამარი შვილს შეახსენებდა, რომ „შევუქმენი ხანა ოქროსი ჩემს ერს“-ო (ოდიშარია, 2020:128).

არტაანელებს ზუსტად შემოუნახავთ ცნობა თამარ მეფის გარდაცვალების დღესთან დაკავშირებით. **„ვეფხისტყაოსნის“** ხალხურ ვერსიაში მთავარი გმირები დიდ პატივს მიაგებენ თამარ მეფის ხსოვნას, რომლებმაც შეჰფიცეს, „..ყოველ წელს აქ ჩამოსულიყვნენ და თამარისთვის ელოცათ – ღამით 30 აპრილს 1 მაისის გარიჟრაჟამდე (ოდიშარია, 2020:130). რეალურად ეს დღე ემთხვევა **საეკლესიო კალენდრით თამარ მეფის გარდაცვალების დღეს – 15 მაისს.** საგულისხმოა, რომ ქრისტიანული დღესასწაულებისადმი ხსოვნის შესახებ გვაუწყებს ს. ბავრელიც. თურმე სოფელ ველის თავზე, მაღლოსის მთაზე, ქრისტიანობის დროს ყველა მხრიდან შეკრებილი მოსახლეობა ამაღლებას დღესასწაულობდა. დღეობის შემდეგ კი ცხენებით ჯირითი და ჭიდაობა იმართებოდა (ბავრელი, 1878:2).

კ. ოდიშარიას შეფასებით, „შოთა რუსთაველი თავისი მძლავრის ნიჭით და მაღალის აზროვნებით მზეს წვდა ხელებით და ისიც XII საუკუნეში.“ სწორედ ამ გარემოებამ განსაზღვრა მისი მთავარი მიზანი – შოთა რუსთაველის მშობლიური კუთხის მოძიება, რომლის შესაძლებლობა უფრო მეტად განუმტკიცდა არტაანში მიღებული შთაბეჭდილებების გამო. იგი ამის შესახებ დაბეჯითებით მიუთითებდა 1937 წ. ჩანაწერშიც, რომ „...შოთა რუსთაველის ცხოვრებისა და ვინაობის გამოკვლევაში მკვლევარებს უფრო მეტი ნაყოფიერების მიღება არტაანის მხარის შესწავლით შეეძლოთ“ (მარტვილელი, 2020:211). საკაცობრიო კულტურის გვირგვინს – „ვეფხისტყაოსანს“ რომ ქართველი ერის გულში ხელთუქმნელი ძეგლი აქვს აღმართული, კ. ოდიშარიას ნათლად დაანახა ვეფხისტყაოსნური სიყვარულით აღსავსე ქართველობამ, სოფელ ორკიზში ტექსტის ზეპირად მცოდნე არტაანელმა ოთარ-ბეგ შერვაშიძემ და მისმა საოჯახო რელიქვიამ – პერგამენტზე გადმოწერილი 1436 წლით დათარიღებული „ვეფხისტყაოსნის“ უძველესი გამოცემის ხილვამ. აქვე შევნიშნავთ, რომ რამდენიმე წლის წინ კავკასიისა და ანატოლიის კვლევის ცენტრის დამაარსებელი, ცნობილი მეცნიერი, აწ გარდაცვლილი გიორგი ქავთარაძე სპეციალურად გაემგზავრა არტაანში კ. ოდიშარიას განცხადების გამო, თუმცა უშედეგოდ დამთავრდა „ვეფხისტყაოსნის“ ძიების ამბავი (ქავთარაძე, 2001:17).

„ვეფხისტყაოსნის“ ხილვამ კ. ოდიშარიას კიდევ უფრო გაუმძაფრა პოემის მითოპოეტური სამყაროს ყველა გასაღების არტაანის მიდამოებში მოძიების სურვილი. მართლაც, ამ დაუოკებელმა სწრაფვამ შეაძლებინა მას ცალკეული ნიუანსის დამოწმება ადგილობრივთა მეტყველებაზე დაკვირვებით, გმირთა საასპარეზო ადგილების მოძიებითა და მასთან დაკავშირებული გადმოცემების შეკრებით. ამ კუთხით მეტად საყურადღებოა ავტორის მიერ ციხე-სიმაგრეების საკითხის შესწავლა. ავტორის ცნობით, მოსახლეობის მეხსიერებაში ციხე-რაბათი წარმოდგენილია როგორც **მზე-ქალას ციხე** (მზე-ქალა კი ნესტან-დარეჯანთან ჰყავდათ გაიგივებული), ხოლო ქაჯთა სამფლობელო ესაა იმ გვირაბის წყალქვეშა სამყარო, რომელიც პალაკაციოდან (ჩილდირის ტბა) სოფელ ფიქრაშენის ტაძართან ამოდიოდა (ოდიშარია, 2020:125-127). **„ვეფხისტყაოსნის“** მისტიკა ამ ქალაქში იშლება მთელი სისავსით, რომელშიც ავტორმა უმნიშვნელოვანესი დატვირთვა შესძინა იმ სიმბოლოებს, რომლებიც ამ ქალაქის სამყაროსთვისაა დამახასიათებელი. კ. ოდიშარიამ შეძლო პალაკაციოს ტბის კუნძულის გვირაბის სიღრმეში მრავალსართულიანი დარბაზის მოძიება და მისი საკმაოდ დეტალური აღწერა (ოდიშარია, 2020:132-135). როგორც ცნობილია, პალაკაციო

ესაა მხარე ისტორიულ სამხრეთ საქართველოში, რომელსაც „ჩრდილის“ სახელით მოიხსენებდნენ. საგულისხმოა, რომ არტაანში ნანახი გამოქვაბული, მაღარო აღწერილია „ვეფხისტყაოსანში“, როგორც გადახვეწილი ტარიელის საცხოვრებელი ბინა. ასევე საინტერესოა **„მდევთა საჭურჭლე“** – ს საკითხი, რომელიც მდებარეობდა სოფ. სარძევედან 2 ვერსის დაშორებით (ოდიშარია, 2020:128).

არტაანელთა გადმოცემების მიხედვით, პალაკაციოს ტბაზე ძველად ქართველების აგებული ქალაქი ყოფილა, რომელიც წყალს დაუფარავს და შემდეგ იქ ქაჯებს დაუსადგურებიათ. ამ საინტერესო გადმოცემებს მეტ დამაჯერებლობას სძენს ციხის, ტარიელის, მზე-ქალასა და თამარ მეფის შესახებ ორ სხვადასხვა ადგილას ადგილობრივ ინფორმატორებთან – თარხნიშვილთან – სოფელ რაბათში და თემურ-როსტომ ბეგ ხიმშიაშვილთან (ოდიშარია, 2020:132-135) ჩაწერილი ლეგენდის ერთგვაროვნობა. ექ. თაყაიშვილის მიხედვით, კუნძული ნაპირებთან შეერთებული იყო ქვის ხიდით და მიუხედავად იმისა, რომ რეგიონში იყო ქაჯთა ციხე და თმოგვი, იგი მაინც უმნიშვნელოვანეს თავდაცვით ცენტრს წარმოადგენდა (თაყაიშვილი, 1909:45-117). მკვლევართა აზრით, კუნძულზე მდებარე ციხესიმაგრის ძველი, ავთენტური, ქართული სახელწოდებაა ტერმინი „თეთრციხე“ (თავაძე, 2018:27; არტაანის..,2018:31). სამეცნიერო კვლევებით, კუნძულის ტერიტორიაზე გამოვლინდა მრავალი უძველესი **ა რ ტ ე ფ ა ქ ტ ი.** მათ შორის ნეოლითური ხანის ძეგლები. ნაგებობებს შორისაა კრომლეხი (ნეოლითური მეგალითური ნაგებობა – ქვის ფილები წრიული ან ოთხკუთხა). ეჭვი არა არის, რომ აქედან უნდა ყოფილიყო ადრე ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი. დაფიქსირებულია ყორღანებიც. ჩრდილის ტბის რეგიონის შემთხვევაში, ასეთი გამაგრებული პუნქტები მეგალითური ციხესიმაგრეებია (თავაძე, 2018:46).

ინტერესს იწვევს კ. ოდიშარიას მიერ დახასიათებული სოფელი კუნძულეთი (შდრ. კუნძულეტი-არტაანის.., 2018:137), რომელიც რამდენიმე ნასოფლარისგან შედგებოდა. მაღალი სამეურნეო კულტურის გარდა, არტაანის სოფლებს შორის კუნძულეთს გამოარჩევდა სხვა ფაქტორი – აქ იზრდებოდნენ თურმე საუკეთესო ქართველი მეომრები და მამულიშვილები. არტაანის ამ ნაწილის გამორჩეული სამხედრო-ფიზიკური სამჭედლო (ოდიშარია, 2020:144) თითქოსდა მიმსგავსებულია რუსთველისეულ ქაჯეთის აღწერასთან, რომ ესაა საბრძოლო ხელოვნებით აღმატებული, სალ კლდეებში გამაგრებულ კაცთა კრებული, რომელთაც სწორედ ამის გამო ქაჯნი შეარქვეს (შდრ. ხინთიბიძე, 2011-13).

ასე, რომ კ. ოდიშარია არტაანის მხარის შესწავლამ დაარწმუნა, რომ სწორედ არტაანია **„ვეფხისტყაოსნის“** გმირთა სამოქმედო არეალი, რომელიც ადგილობრივ ქართველთა წარმოდგენაში რეალურად, ისტორიული გეოგრაფიის დონეზე არსებული ცალკეული ადგილების (სასახლე, ქაჯეთის ციხე, პალაკაციოს ტბის გვირაბი და სხვა) საფუძველზე აქვთ მოაზრებული. ასევე, მხატვრული სახეები აღქმულია როგორც რეალური პერსონაჟები, რომლებიც პოემაში გადარქმეული სახელებით მოიხსენება. აღნიშნულის დასტურად მოვიშველიებთ ალ. ბარამიძის შეხედულებას, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი რეალურ-ისტორიული სამყაროდან იღებდა თავისი დიდებული ნაწარმოების ასაგებად საჭირო საშენ მასალას“ (ბარამიძე, 1958:80).

საქართველოს გმირული ისტორიული წარსულის ნათელი გამოხატულებაა კ. ოდიშარიას მიერ არტაანის თავდაცვითი სისტემის – ციხე-სიმაგრეებისა თუ მათი ნაშთების დეტალური აღწერა და საკმაოდ სწორი კლასიფიცირება, რომელთა საერთო რაოდენობა 100-ს აღემატება. ციხე-სიმაგრეების შესახებ კ. ოდიშარიას მიერ ჩაწერილი ხალხური გადმოცემები დასტურია იმისა, რომ მათში „მოიპოვება არა მცირედი ცნობა მოსახლეობის ძველი ფენების შესახებ“ (შდრ. ჩიტაია, 2022:111).

განსაკუთრებით საინტერესოა ავტორის მიერ იმ რამდენიმე ციხის დახასიათება, რომელთა ლოკალიზაცია და სახელწოდებათა დაზუსტება-გამოვლენა დღემდე საკამათოა ქართულ ისტორიოგრაფიაში. ამ მხრივ გამორჩეულია ქაჯეთის ციხის საკითხი, რომელიც სავსებით შესაძლებელია ყოფილიყო **„ვეფხისტყაოსნის“ ქაჯეთის ციხის** პროტოტიპი, რასაც ჯერ კიდევ 1943 წ. **ლევონ მელიქსეთ-ბეგი** ვარაუდობდა. კ. ოდიშარიამ შეძლო ეჩვენებინა, რომ ქაჯეთის ციხის სახელწოდება არაა მთლად მეტაფორული შერქმევის შედეგი. ეს მართლა ქაჯის ციხე, შოთას არ მოუგონია (ბერძენიშვილი ნ., 1990:517; შდრ. ნოზაძე, 2024:577).

ქართულ ისტორიოგრაფიაში ქაჯეთის ციხის შესახებ გავრცელებული ვერსიებიდან, თუ რომელს ესადაგება კ. ოდიშარიას მიერ აღწერილი ქაჯეთის ციხე, შესადარებლად გათვალისწინებულია

არა მარტო ციხის გეოგრაფიული მდებარეობა, არამედ შემორჩენილი კომპლექსის სტრუქტურა და მასთან დაკავშირებული თქმულება-გადმოცემები. ყოველივე ამის საფუძველზე, კ. ოდიშარიას ჩანაწერებით ვლინდება მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს, სოფელ საბადურთან, არტაანის ნაქალაქევზე ქაჯეთის ციხის ლოკალიზაციის ავტორისეული ხედვის (ოდიშარია, 2020:138, მარტვილელი, 2020:178) თანხვედრა ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ შეხედულებებთან (ჯავახიშვილი, 1983:57, თაყაიშვილი, 1909:59; გურჯისტანის..,II, 1941:272; ჯიქია, 1958:402-404; კუდავა, 2003; ნიკოლაიშვილი, 2021:651).

კ. ოდიშარიას ცნობით, „ნანგრევების მიხედვით ირკვევა, რომ ქალაქი ძველად მტკვრის გამოღმა ყოფილა, მაგრამ 1878 წ. გადაუტანიათ მტკვრის გაღმა, რასაც ამტკიცებს თვით სახელწოდება – **ძველი და ახალი ქალაქი** (ოდიშარია, 2020:139). რაც შეეხება ციხის სტრატეგიულ მნიშვნელობას, ავტორი დასძენს, რომ ქალაქ არტაანის ციხეს თავისი მნიშვნელობით მთელს ოლქში **პირველი** ადგილი უკავია, თუმცა სხვა შემთხვევაში ციხეს მეორე ადგილსაც ანიჭებს. ავტორის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ციხე უპატრონოდაა დარჩენილი, დღესაც, ამ **უდიდესი მსოფლიო ბრძოლის ქარტეხილსაც,** ვერა დაუკლია რა მის ბუმბერაზ ციცაბოდ აღმართული კბილებიანი კედლებისათვის (ოდიშარია, 2020:140, მარტვილელი, 2020:179).

არტაანის მიუვალი ციხის შესახებ კ. ოდიშარიას მიერ ჩაწერილი მასალების წარმოჩენა, მნიშვნელოვნად გაამდიდრებს მისი შესწავლის წყაროთმცოდნეობით ბაზას. რაც შეეხება ციხის კომპლექსის აღწერის მონაცემთა გამეორებას, იგი ავტორის მიერ ციხის მრავალჯერადი დათვალიერებისა და დეტალური აღწერის ცდას არ უნდა გამორიცხავდეს. საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, გთავაზობთ ამონარიდებს ციხის აღწერებიდან:

„არტაანის ციხე ვაკეზე დგას. იგი გვერდობად მიდის ნახევარ ვერსის მანძილზე, საიდანაც მისი კედლები ეშვება ქვემოთ, მტკვრის კალაპოტის ღრმა ხევში და იქ მტკვრის პირად უერთდება მეორე კედელს, რომლის გარეთ, მტკვრიდან რამდენიმე ათეული საჟენის ზევით, ორთვალიანი გვირაბია. შიგნით გვირაბში მაღაროებია, რომლის ფართობი 15 კვ. ადლს აღემატება. ზემოდან გვირაბს ფართო, მაგრამ საშიშო გზა ჩამოუდის, რომლის თავი ქვეშ მტკვრის მიუვალ პირით ციხის კარს ადგება. გარეთ, მტკვრის ხეობაში, მრავალი ნანგრევებია ციხისა და სახლებისა, რომელთა მხოლოდ მაღალი კედლებიღა დარჩენილა.

მტკვრიდან ციხის მწვერვალამდე, მე მგონია, ორი ვერსი იქნება. შიგნით ეზო, როგორც ვთქვი, გვერდულად მიდის სამხრეთიდან აღმოსავლეთით და დაყოფილია მაღალი კედლებით რამდენიმე ათეულ ეზოებად. ეზოებში ყველგან მრავლადაა სახლები, ზოგი დანგრეულია და ზოგიც მთელი. ციხის წინ მდგარა დიდი ზომის ეკლესია, მაგრამ დანგრეულა და ნანგრევებიღაა. უკანა ეზოში მტკვრიდან წყლის ამოსაყვანი მილი მოკლე და წითელი თიხიდანაა გამომწვარი, რომელიც, კედლად ჩამოსულ მთას მიკრული, ჩადის მტკვარში და დღესაც დაუზიანებელია.

იქვე მშვენივრად გაშალაშინებული თეთრი დიდრონი ქვის ფიცრებით აგებული აბანოა აუზებით და მაზმაროებით, რომლების ახლოს მილია გაჭრილი ჭუჭყიანი წყლისათვის. ვაკედან ციხეში შესავალ დიდ რკინის კარებს ზევით ჩასმულია მარმარილოს ქვები **ხუცურის** წარწერებით. მაღლა ორი ქვაა მიკრული, ერთი – **არაბული** დამწერლობით, მეორე – **სომხური** წარწერით, რომელიც ახალს ჰგავს. ... აღმოსავლეთისკენ, ციხის ზემოთ, მრავალი ნანგრევია. იქვე მრგვალი, საჟენზე მეტი ფართობის თხელი ქვა გდია, რომელიც შუაზე არის გახვრეტილი. ეს ქვა ძალიან წააგავს წისქვილის ქვას. აქ ხშირად შეხვდებით კაცის ძვლებს. ციხეში შესავალი კარი გამოუშენებიათ. მის ზემოთ ადლიანი ზომის ქვაა ჩადგმული არაბული ასოებით შესრულებული წარწერით. ეს ქვა ... ალბათ ახალი ჩადგმულია“... იქვე, ხეობაში, მრავალი ციხე და სახლების ნანგრევებია, რომლის ზოგიერთი კედლები ეხლაცაა (მარტვილელი, 2020:178-179,190). არტაანის მტკვრის ხევი ორი ვერსის სიშორეზე, სოფ. საზარის ახლოს, თავდება დიდი ეკლესიით, რომლის ნანგრევი და კედლები ეხლაც ამაყად დგანან (მარტვილელი, 2020:190).

მართალია, კ. ოდიშარიას ჩანაწერებიდან ჩანს, რომ ქაჯეთის ციხე ეს არის არტაანის ციხე, თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ „ქაჯთა ქალაქებს“ (ციხეებით) და „გმირთა ნაკვეთებს“ ძველ საქართველოში ეძახდნენ უძველეს ცენტრებს, კერძოდ, ციკლოპურ ნაგებობებს, რომელთა ანალოგიებს ჩვენ იმავე ურარტუში ვპოულობთ“ (ჯანაშია, II, 1952:12,285). აქედან გა-

მომდინარე საფიქრებელია, რომ ქაჯთა ციხის სახელწოდებით შესაძლოა თვით არტაანშიც ყოფილიყო სხვა ციკლოპური ნაგებობაც. არტაანის რაბათის – ქაჯეთის ციხის უდიდეს გავლენაზე ისიც უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ადგილობრივთა ცნობით კ. ოდიშარიას არტაანის მხარეში უძლეველ, მიუვალ ქაჯეთის ციხის სახელწოდებით სოფელ მერდენექის მიდამოებში არსებული **ქ ო რ – ო ღ ლ ი ს ც ი ხ ე ც** (ნ.ჩ. ქოროღლი ანუ ბრმის შვილი) დაუფიქსირებია (ოდიშარია, 2020:154, მარტვილელი, 2020:190; შდრ. ხუციშვილი, 2021:72). შესაძლოა ამავე საფუძველზე ეწოდებინა ვახუშტი ბატონიშვილს ქაჯეთის ციხე ახლანდელი ციხისძირისთვის (ქობულეთი), თუმცა არ ჩანს ვახუშტისგან, არტაანში ანალოგიური სახელწოდების ციხის უარყოფა (შდრ. ბაქრაძე, 1987:21).

უკანასკნელი კვლევების მიხედვით მიჩნეულია, რომ „სამშენებლო ტექნიკითა და არქიტექტონიკით ციხე IX-X საუკუნეებში უნდა იყოს აგებული“ (არტაანის., 2018:34).

ძალზედ საინტერესოა კ. ოდიშარიას მიერ მოპოვებული მასალა ჩილდირის ციხის შესახებაც. ჩრდილი აბოცისა და პალაკაციოს ერთობლიობაა. ქალაქი ჩილდირი თურქეთში არტაანის პროვინციის ჩილდირის რაიონშია, რომელიც ატარებს იქვე არსებული ჩილდირის (ჩრდილის) ტბის სახელწოდებას. დასახლებული პუნქტის ძველი ქართული სახელწოდება იყო ძურძნა. ანალოგიურად, ზურზუნის – ძურძნის ახლოს და მის ჩრდილოეთით მდებარეობდა ს. ჯიქიას მიერ აღწერილი ჩილდირის ციხე, რაბათიც (გურჯისტანის... 1941:402-404). საგულისხმოა, რომ კ. ოდიშარიას, ქართული ისტორიისა და კულტურის დიდ ჭირისუფალს, შემოაქვს ამ ციხის სრულიად განსხვავებული სახელიც – **მზე-ქალას ციხე.** მთავარი მაინც ისაა, რომ აღნიშნულ ციხესთან დაკავშირებით, კ. ოდიშარიას მზე-ქალას ციხე წარმოდგენილი აქვს როგორც „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟების ერთ-ერთი მთავარი სამოქმედო არეალი.

კ. ოდიშარიას აღწერით დაბა ზ უ რ ზ უ ნ ა ს ზევით, მთის წვერზეა სოფელი რაბათი, სადაც თარხნიშვილები-გლეხები და თარხან-მოურავები ცხოვრობდნენ. „სოფელი რაბათი მაინცდამაინც არაფრითაა შესანიშნავი, მხოლოდ აქაა **ციხე მზე ქალად** წოდებული. გვირაბი შედის ციხეში – თეთრია, ხუროთმოძღვრული ხელოვნებით აშენებული. ქვეშ ციხეს სამი მდინარე ჩამოუდის: მტკვარი – არტაანიდან მარჯვნივ, წყაროსმანი და თეთრი წყარო. აქაა ძვირფასი აბანო წითელი მილებით. გალავნის კედელზე მიდგმული სახლები (4-5 საჟენ სიმაღლეზე) ალბათ ჯარის მეთაურთა საცხოვრებელი ბინები იყო. ეზოში თეთრი ორსართულიანი სახლი დგას... ეტყობა, ეს სახლი მეფის ან სპასალარის საცხოვრებელი უნდა ყოფილიყო. სამხრეთის კედელზე მიშენებულია სამსართულიანი სახლი, შიგნით ჩაყოლებულია 40 ოთხკუთხა უჯრებით“ (ოდიშარია, 2020:124-125). კ. ოდიშარიას ადგილობრივებისგან – თარხნიშვილისა და იბრაჰიმ-ბეგ სულხან მოურავისაგან ჩაუწერია გადმოცემა ციხის შესახებ, რომ როდესაც საქართველო დიდი იყო, ეს ციხე თამარს აუგია (ოდიშარია, 2020:126). თამართან ჩამოსულა თავისი ბიძაშვილი ტარიელი საცოლესთან – **მზე-ქალასთან** ერთად (ოდიშარია, 2020:124-130), რომელიც პალაკაციოს ტბის ქვეშ გვირაბში მცხოვრებ **ჯადოსან** ქაჯთა მეფეს მოუტაცნია და, რადგან, წყლის ქვეშ გვირაბში ადამიანი ვერ იცხოვრებდა, ამიტომ მზე-ქალა ფადიშაჰის სასახლეში გამოუკეტავს, რის გამოც რაბათის ციხეს შერქმევია **მზე-ქალას** სახელიო (ოდიშარია, 2020:124-125,127). არტაანელები სწორედ ამ მოვლენას უკავშირებენ თამარ მეფის გარდაცვალებას, რაც წარსულის ნათელი ფურცელია თამარ მეფის ხსოვნისადმი უსაზღვრო პატივისცემისა. კ. ოდიშარიას ჩანაწერებიდან ჩანს, რომ **„ვეფხისტყაოსნის“** მთავარი გმირები დიდ პატივს მიაგებენ თამარ მეფის ხსოვნას, რომლებმაც შეჰფიცეს, „...ყოველ წელს აქ ჩამოსულიყვნენ, ეკოცნათ მისი ნაკვალევი მიწა და თამარისთვის ელოცათ – ღამით 30 აპრილს 1 მაისის გარიჟრაჟამდე (ოდიშარია, 2020:130). როგორც ცნობილია, ქართულმა ეკლესიამ თამარი წმინდანად შერაცხა და მისი ხსენების დღედ 1 (14) მაისი დააწესა.

ამრიგად, კ. ოდიშარიას საქველმოქმედო საქმიანობის პარალელურად დასახული მიზანი, შოთა რუსთაველის მშობლიური ადგილის მოძიება, არტაანის მხარის კომპლექსური შესწავლის ფონზე წარიმართა. შოთა რუსთაველის მესხურ წარმომავლობაში ავტორს განსაკუთრებული დამაჯერებლობა შემატა „ვეფხისტყაოსნის“ უძველესი ტექსტის მოძიებამ, ადგილობრივთა მეტყველების თავისებურებამ, პოემის პერსონაჟთა სახელებისა და მათი სამოქმედო სამყაროს რეალურმა აღქმამ (ციხე, სასახლე, ტბა, გვირაბი, მაღარო). ამასთან, კ. ოდიშარიას ჩანაწერებში ნაჩვენები არტაანის ქართველთა ეროვნული ცნობიერება, საუკუნეების განმავლობაში ადგილობრივთა მეხ-

სიერებაში ღრმად ჩაბეჭდილი წარსულის არაერთი რეალური ისტორიის ხსოვნა, ისტორიულ პიროვნებათა-მეფე თამარის, ლაშა-გიორგის ცხოვრებასთან დაკავშირებული სიახლეები, საისტორიო ხასიათის წარწერები, ისტორიული გეოგრაფიის, უცნობი ქართული ტოპონიმების, მასთან დაკავშირებული თქმულება-გადმოცემების, რამდენიმე ახალი ისტორიულ-კულტურული ძეგლის, გზებისა და მაგისტრალების ფიქსაცია ხელს შეუწყობს არაერთი მნიშვნელოვანი საკითხის ახლებურად დანახვას, არტაანის მხარის შესახებ სხვადასხვა ტიპის გზამკვლევისა თუ ტოპოგრაფიული რუკის შედგენას, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი ტექსტის მოძიებას, საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობითი ბაზის გაფართოებასა და ეროვნული ისტორიოგრაფიის ცალკეული პრობლემის ახლებურად გაშუქებას. გარდა ამისა, კ. ოდიშარიას არტაანული ჩანაწერების გამოქვეყნება და მისი პოპულარიზაცია მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრებ ქართველებში ქართული კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-შენარჩუნების პასუხისმგებლობასა და მისი ადგილის სწორად გააზრების პრობლემას მულტიკულტურულ სამყაროში.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

1. არტაანის ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები („საფორტიფიკაციო, საკულტო, საკომუნიკაციო და საყოფაცხოვრებო არქიტექტურის ნიმუშები“), ავტორთა ჯგუფი – თამაზ ფუტკარაძე, შოთა მამულაძე, კახა ქამადაძე, ელგუჯა მაკარაძე, თემურ ავალიანი, ემზარ კახიძე, მერაბ ფუტკარაძე, ნოდარ შოშიტაშვილი, ნინო ოქროსცვარიძე, ციური ქათამაძე, ქეთევან ფუტკარაძე. გამომც., „უნივერსალი“, თბ., 2018
2. ბავრელი ს., პატარა შენიშვნები არტაანზედ (წერილი რედაქტორთან), გაზ. „დროება“, 20, ღვინობისთვე, 1878, №212
3. ბაქრაძე დიმიტრი, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, გამომც., „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი, 1987
4. ბარამიძე ალ., „შოთა რუსთაველი“, მონოგრაფიული ნარკვევი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი 1958
5. ბერძენიშვილი დ., ანდრია პირველწოდებულის ნაკვალევზე, „ანდრია პირველწოდებულის გზის მკვლევი ექსპედიციის'' სრული ანგარიში, გამომცემლობა „უნივერსალი'' თბ. 2009
6. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, გამომც. „მეცნიერება,“თბილისი, 1990
7. გურჯისტანის ვილაიეთის.., 1941: – „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“/ წიგნი II, თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო სერგი ჯიქიამ; თარგმანი. საქართველოს სსრ. მეცნიერებათა აკადემიის გამომც., თბილისი, 1941
8. თავაძე ლერი, თეთრციხე (ციხე-სიმაგრე და კოშკი), საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, შრომები, XIII, თბ., 2018
9. თაყაიშვილი, 1938: – თაყაიშვილი არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელი, პარიზი, 1938
10. თაყაიშვილი, 1909: Такаишвили Е., Материалы по археологии Кавказа собранные экспедициями Императорского Московского Археологического Общества, вып. XII, Москва, 1909
11. კუდავა, ბ. კუპატაძე, გ. საითიძე, ჯ. სამუშია. სამეცნიერო ექსპედიცია ართვინის, არდაჰანის, ყარსისა და არზრუმის ვილაიეთებში (2003 წლის 15-29 აგვისტო)
12. მარტვილელი კ., (კ. ოდიშარია), „არტაანის ქართველი მაჰმადიანები“/„კონსტანტინე ოდიშარიას წერილები გაზეთ „საქართველოდან“ (შენახულია სტამბოლის ქართული სავანის ბიბლიოთეკაში) (წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან) II, 2020:157-208), შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, 2020
13. ნიკოლაიშვილი დალი, სართანია დავითი, უჯმაჯურიძე ავთანდილი, კირთაძე დარეჯანი, კვეტენაძე მანანა, მესხეთი ოსმალური დავთრების მიხედვით, გამომც., „უნივერსალი“, თბ., 2021
14. ნოზაძე ვიკტორ, ტომი V, ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველება, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად (გურამ შარაძის საერთო რედაქციით), გამომც., „ფავორიტი სტილი“ თბილისი, 2024

15. ოდიშარია კ., არტაანის მხარე (ისტორიულ-გეოგრაფიული და სტატისტიკური მასალები), რვეული I-„კონსტანტინე ოდიშარიას დღიურები არტაანის მხარეში მოგზაურობის შესახებ (წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან II, 2020:110-156), შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, 2020
16. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, (XV-XVI სს.), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 1961
17. სიხარულიძე ფ., მასალები სამხარეთმცოდნეო ექსპდიციათა ისტორიისათვის (კონსტანტინე ოდიშარია (მარტვილელი) სამხრეთ საქართველოში მოგზაურობის ჩანაწერები), ბათუმის შ. რუსთაველის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი, შრომები II, ბათუმი, 1998
18. ფრონელი ალ., დიდებული მესხეთი, №5, ქ. გორი, ელექტრო-მბეჭდავი სტამბა „ქართლი“, 1914
19. ფუტკარაძე ე., მალაყმაძე რ., ფუტკარაძე შ., კ. ოდიშარიას არტაანში მოგზაურობის დღიურების მნიშვნელობა, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია -შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე,
20. ფუტკარაძე შ., კ. ოდიშარიას ცნობები ისტორიული ტაო-კლარჯეთის შესახებ, წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან, ტომი II, გამოც., „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2020
21. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, 1955
22. ქავთარაძე გიორგი, სამი ფურცელი ანატოლიური დღიურიდან, გაზ., „ლიტერატურული საქართველო“, 2001 წლის 2 და 9 ნოემბერი
23. ჩიტაია გ., შრომები (შრომები ხუთ ტომად), ტ. II, გამომც., „მერიდიანი“, თბ., 2022
24. ხინთიბიძე ე., „ისევ ვეფხისტყაოსნის ქაჯეთის შესახებ“, ჟურნალი „ქართველოლოგი“, – გამომცემელი “ქართველოლოგიური სკოლის ცენტრი“ (თსუ) – 2011-2013 წწ.)
25. ხუციშვილი, თეიმურაზ, გოზალიშვილი, ბებურ იმედაშვილი, ანა კოღუაშვილი, შალვა მაისურაძე, დავით წიქარიშვილი, ლევან. „ტაო-კლარჯეთის ძეგლების 2019 წლის საკვლევი ექსპედიციების ანგარიშები“ – გამომც., „კავკასიის უნივერსიტეტი,“ თბილისი, 2021
26. ჯავახიშვილი, ივ. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, გამომც., „მეცნიერება“, თბილისი, 1983
27. ჯანაშია, შრომები, II, 1952, გამომც., საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 1952
28. ჯაფარიძე ანანია, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, გამომც., „ალილო, თბ., 2009
29. ჯიქია სერგი, გურჯისტანის ვილაიეთის.., 1958: – „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, წიგნი III, გამოკვლევა: 1, ხელნაწერის აღწერილობა 2. შენიშვნები ტექსტის გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, საქართველოს სსრ. მეცნიერებათა აკადემიის გამომც., თბილისი, 1958
30. Садовский К. Посховский участок Ардаганского округа (Карской области). СМОМПК, Вып. V, Тифлис, 1886.
31. ინტერნეტ-რესურსები: ინგოროყვა; დავით სასუნცი, 1939-https://www.scribd.com/document/704025359/bagrationebigoogle.com/search?

EVENTS FROM THE PAST REFLECTED IN THE MEMORY OF THE ARTAANIANS ACCORDING TO THE RECORDS OF KONSTANTINE ODISHARIA (FROM MARTVILI)

NAILA CHELEBADZE
PhD in history, Senior Researcher at the Department of
Ethnology and Sociological Research, Niko Berdzenishvili
Institute, Batumi Shota Rustaveli State University; Professor
At St. Tbel Abuserisdze Teaching University of Georgian Patriarchate,
Email: naila.chelebadze@bsu.edu.ge
ORCID: 0009-0003-2451-1753

Abstract: The work presents an attempt to reflect the historical past of the Artaani region based on materials recorded by K. Odisharia during stationary research in 1913-1920, only a small part of which has been approved in Georgian historiography. Currently, Artaani is within the borders of the present-day Republic of Turkey, which further increases the importance of its study.

The work presents in detail the real history of the Artaani region, as researched by K. Odisharia, and rich statistical data – up to 600 toponyms, aspects of ethnic situation and traditional life, meticulously described, often at great risk, historical and cultural heritage monuments or their remains, including up to 500 churches preserved with up to 40 Georgian historical inscriptions, More than a hundred fortresses, more than 8 canals and pipes (including a milk transit pipe), 5 bridges and many others add further credence to the fact that Artaani's cultural heritage is based on the roots of traditional Georgian culture.

The work discusses several historical facts and events based on the comparison of information received from the Georgian population of the historical region, legends and traditions. For example, an interesting interpretation of Queen Tamar's will to her son – Lasha-Giorgi – is revealed. The similarity of the date of the main characters' homage to the memory of Queen Tamar in the folk version of „The Knight in the Tiger's Skin" – the prayer at night on April 30 until dawn on May 1, and the date of Queen Tamar's death, set on May 15 of the church calendar, is clarified. Information is also provided about Otar-Beg about the ancient manuscript of „The Knight in the Tiger's Skin" dated 1435, copied on parchment in the Shervashidze family relic.

The chronicle of the history of Artaani is supplemented by various toponyms recorded by K. Odisharia. The name of the village of Sinodi is considered as a religious oikonym, which may be associated with the presence of a temporary residence of the Catholicos in Javakheti. Also, the village of Sinodi is assumed to be the place where the „Javakheti Council" was held.

The Artaan records describe the story of the campaign of his successor, Lasha-Giorgi, against the apostate Atabag of Gandze after the death of Queen Tamar, which was not coordinated with the commanders of his successor, Lasha-Giorgi, which caused their indignation. It is precisely this fact that is related to the story of Lasha-Giorgi calling the village „Urchi" (disobedient) in response to the protest of the nobles.

It is convincing that K. Odisharia imagines all the keys to the mythopoetic world of „The Rider in the Tiger's Skin" in the Artaani region, which is based on individual places that actually exist in the imagination of local Georgians at the level of historical geography (Kajeti Fortress, Palace, Palakatsio Lake Tunnel, etc.). The issue of the localization of Kajeti Fortress, which is not uniformly defined in Georgian historiography, and the consideration of the Kajeti Fortress in „The Knight in the Tiger's Skin" as a prototype, is further supported by K. Odisharia's extensive description of the fortress. In addition, other names for Childiri Fortress – Mze-Kala Fortress and others have also been identified.

Thus, K. Odisharia's notes provide Georgian chroniclers with a real opportunity to study some unknown toponyms, many monuments of cultural heritage, and solve a number of problems of

Kartvelology, which makes the inevitability of using Artaani materials as primary sources and including them in scientific circulation undeniable.

Keywords: Artaani, history, legends and traditions related, toponyms, „The Knight in the Tiger's Skin", Queen Tamar, fortresses, cultural heritage.

* * *

For centuries, the interest of Georgian patriots in the Artaani region, which had been separated from their native Georgia, has never waned. This area, which was under Ottoman rule until 1878, was visited and fragmentary, but very valuable information was left to us by D. Bakradze, G. Kazbegi, later N. Marr, Eqvtime Takaishvili, K. Sadovsky, A. Froneli, S. Bavreli, Koptonashvili and others. The little-known records which were found in the Artaani region by Konstantine Odisharia (from Martvili) from the end of 1913 to 1920 are distinguished by their informativeness and scientific value, and an important place was devoted to them in the second volume of „The Georgian Residence of Istanbul".

Georgian public figure, scribe and scientist, a permanent member of the Tbilisi branch of the Society for the Promotion of Literacy among Georgians, K. Odisharia worked as a correspondent for Georgian newspapers in Batumi at the end of the 19th century, where he developed into an passionate patriot (Sikharulidze, 1998:233; Putkaradze Sh., 2020:218-220). During the First World War, when the country was in the most difficult situation, K. Odisharia, as a member of the board of the Artaani branch of the Georgian Action Society, was entrusted with finding out the situation of Muslim Georgians in the war-affected districts of Artaani and Childiri (in police units). He understood perfectly well that Artaani was the cultural cradle of Georgians, and therefore he spared no energy to visit this region. K. Odisharia's scientific value, travel-style diaries describing the Artaani region were published in the form of letters in the newspaper „saqartvelo" ("Georgia"), and some are kept in various antiquities repositories. Part of the monument was later transferred by the author to Academician S. Janashia (Sikharulidze, 1998:23; Putkaradze Sh., 2020:218-220; Putkaradze E., 2023:413:422).

During his work in the Artaani region, K. Odisharia, in a list of antiquities compiled based on a survey of local Georgians, recorded more than 600 cities and villages, records reflecting the life of local Georgians, which the author included under the names of Muslim Georgians. The detailed inventory of numerous historical and cultural heritage monuments or their remains, sometimes at the risk of life, recorded by K. Odisharia is invaluable, including up to 500 churches with up to 40 Georgian inscriptions, more than 8 canals and pipes (including milk transit pipelines), 5 bridges, more than a hundred fortresses, etc., some of which are represented by historical stories or legends recorded according to the stories of the population. The importance of the aforementioned materials is further enhanced by the fact that the geographical names of Upper Kartli recorded in them are partially unknown to Georgian chronicles, which makes the reliability of using Artaan materials as primary sources and the inevitability of their inclusion in scientific circulation undeniable.

According to the opinion expressed in Georgian historiography, the origin of the Georgians is connected with their original homeland – A r i a n Kartli, the place from which the cradle of human culture emerged (Ingorokva, 1939; XXXI-XXXII). Part of this distant past of Georgia is the history of Artaani, which, according to the „Life of Kartli", is the „land of Artaani" (K/Ts.,1955:10,23), The impressions of K. Odisharia's travels in this one of the oldest historical regions of Georgia are special in that today it is part of the Kars province (villayet) of the Republic of Turkey and represents a significant part of historical Meskheti, as well as Childiri (Abotsi, Palakatsio) and Artaani (Artaan-Kola) itself. The territory, which changed in the wake of political cataclysms and went beyond the original area of settlement of ancient Georgian tribes, dramatically changed the historical geography of the Artaani province due to its crucial strategic location, although its name and influence still extended beyond Artaani itself within its general borders (Takaishvili, 1938:3). Like other parts of Georgia within the borders of the Ottoman Empire, in 1878. By the decision of the Berlin Congress, Artaani returned to its homeland, which from the late 19th

century. was included in the Kars region along with Potskhov, Kola and Childir (Sadovski, 1886:236). As for the church borders, Artaani, including the Talasho Zeiti Sula „within the borders of the Koli“, according to the historian Dimitri Bakradze, was considered within the jurisdiction of the bishop of the Erusheti (Bakradze, 1987:77). In 1914-1920, the Artaani region was a battlefield between Russia and Turkey. On October 15, 1921, by the Treaty of Kars, this region passed into Ottoman possession. The main part of K. Odisharia's notes is related to this period, the reliability of which was further strengthened by the author's long stay and stationary activity in Artaani.

The list of toponyms, meticulously compiled during several years of travel by K. Odisharia, is a historical and cultural guide for any researcher. The travel notes clearly demonstrate the author's attempt to fully convey the geographical and strategic picture of the places with the corresponding toponyms and histories. Of the more than 600 toponyms recorded in the Artaani region, the author explains their meaning as much as possible, most of which reflect the ancient fund of toponyms mentioned in ancient sources. The extensive list of toponyms best preserved in the memory of the population provides us with rich material not only about different eras of Georgian history, but also allows us to compare historical and current toponyms (Nikolaishvili..,2021:95-96; Bakradze, 1987:65; Sadovski, 1886:13,27,35-37,43; Froneli, 1914:137, Khutsishvili..,2021:529-591...etc.).

It can be boldly said that the toponyms collected by K. Odisharia are a short historical essay about the past of the Artaani region, the demographic picture changed by the results of migration at the beginning of the 20th century (Karapafakhs, Kurds, Armenians, Greeks, Aysors, etc.), almost all branches of economic life (Kobali, Martsvaletubani, Sagometi, Sabughari, Sagoreti, Saikhve, Ghvinia, Sakire, etc.), great cultural traditions (Upper and Lower Khelovani), the defense system (Kajeti, Mgeltsikhe, Mze-Kala, etc.), Christian saints and relics (Meriemi-Mariam, Nino-Nunisi, Tamar, Stepantsminda, Zedatsminda, Giorgi-Ubani, Miriani, Peter-Paul, Synod, etc.), famous kings (Tamar, Lasha-Giorgi) and others.

As an example, we will focus on the toponym of the village of Urchi, which is connected to the name of the village and the associated tradition, which not only fits the aforementioned episode of the reign of Lasha-Giorgi, but also offers us a unique interpretation of this story (Odisharia, 2020:113). It was Urchi Ur, mentioned in ancient Georgian sources as Artaani Hur, where the longest-lived Muslim Georgians lived (Kavtaradze, 2001:17; Berdzenishvili D., 2009:104-105). According to the locals, the reason for the village being called „Urchi“ was the situation after the death of Queen Tamar, when the Atabag of the Gandza stopped paying tribute to Georgia, and Lasha-Giorgi's commanders went on a campaign against him without the consent with the Georgian commanders-in-chiefs. Although the Georgian warriors drove back the enemy, in response to the king's behavior, the enraged nobles declared that if something like this had happened again, they would have turned their army back. Lasha-Giorgi apologized to them, although in response to the nobles' protest, he called the village disobedient (Urchi in Georgian). Lasha-Giorgi's closeness to this side, as the co-regent of Queen Tamar, must have been due to the fact that his princely domain was Javakheti, which, according to the „Life of Kartli“, included the territory „from Fanavri to the Mtkuri River“, including Artaani (K/Ts., 1955:4).

It also seems noteworthy that the name of the village of Sinodi, which was bordered by the villages of Tetri Koshi and Shigamelia (Martvileli, 2020:191). This historical oikonym may have been based on the historical fact of the temporary transfer of the „Javakheti Council“, or rather, the Catholicosate of Mtskheta to the „Kingdom of the Georgians“, which was dictated by the transfer of the Georgian political center to the south during the difficult period of Arab domination, as well as the strengthening of the ambitions and claims of the Armenian Church and its penetration into Georgian regions.

According to Bishop Anania, during the mentioned period (of Mtskheta), the Catholicos was not seated in Mtskheta (the city), but first in the „Samamplo“ of Guaram Mampali, which included Samtskhe, Javakheti, Trialeti, Artaani, Tashir and Abotsi, and later in the „Kingdom of the Georgians“ of David Kurapalat. „It is evident from the life of Grigol Khandzteli that during his time the council of the Georgian Church, attended by many bishops, was held not in Mtskheta, but in Javakheti. This council was supposed to elect a new Catholicos and enthrone him, therefore it was expected that the

council would be held in Mtskheta, or the Catholicosate city, but the Catholicos of Mtskheta is elected in Javakheti... In the 9th century, a political-administrative unit called Samamplo existed in the southern lands of Kartli... It seems that Samamplo is the political district where the Georgian Church operates freely" (Japaridze,2009:662-663).

In the villages of Artaani, almost empty of Georgian population, for K. Odisharia, the history of Georgia came alive through meeting with fellow citizens, talking with them, and hearing the Georgian language, because each „fine orator is an eloquent speaker of our essence and the greatness of our culture". He once wrote with pride that „there are Georgians from the village of Badeli to Childira – and they behaved like Georgians!" (Martvileli, 2020:186). This is what strengthened him, and, filled with hope, he continued to visit and record every detail of the historical site, often at great risk.

K. Odisharia's overall impression of the Georgians of Artaani was further strengthened by the fact that they treated the names of their fathers and grandfathers, the remains of their ancestors, with great respect (Martvileli, 2020:192). While in the village of Guguba, the author was impressed by the local old man Teimuraz Kadir-ogli Tsitlanadze, who spoke Georgian fluently, knew how to read and write, and knew the history of Georgia well. It is noteworthy that Platon Ioseliani taught him how to read and write in Tbilisi, and he received from him as a gift a large leather-bound manuscript of Vakhushti Bagrationi's „History of Georgia," which he had carefully kept in a chest wrapped in a red cloth. The elderly Teimuraz honestly admitted to K. Odisharia that „today I prefer this book to my children" (Odisharia, 2020:120). Perhaps as a result of such a close connection between Teimuraz Kadir-ogli Tsitlanadze and Pl. Ioseliani, one of the important sources of Georgian history, the „Chronicle of Meskhi Davitni", or the Meskhi Annals, was found in the latter's possession, which Dimitri Bakradze discovered in the archive of the famous figure (Materials..,1961:102).

In the historical stories reflected in the memory of the people of Artaani, a special place is dedicated to Queen Tamar, who became a legend during her lifetime. The Georgian people associate her name with many ancient buildings – fortresses, towers, churches, monasteries, roads and bridges. In this regard, the historical part of Artaani is distinguished, which Queen Tamar often visited with her entourage – „Spring ... they pass by Kola, head of Artaani..." (K/Ts., 1955:100). K. Odisharia's records counts sixteen „Tamar's Way" and nineteen different places associated with the name of Queen Tamar. The numerous references he recorded are an expression of the great veneration of the name of Queen Tamar in the memory of the Artaani people. According to the Artaani people's belief, Tamar „was taken alive to heaven by (angels) and we are looking for her grave here" (Odisharia, 2020:128). K. Odisharia saw an icon of Queen Tamar donating an earring in the Artaani Temple, which is a depiction of the reality of a well-known tradition (Odisharia, 2020:123). It is unknown which historical story from the many other traditions was reflected by the toponymy linking the „Golden Pot" to Queen Tamar, as well as the story of S. Bavreli's guide, about the existence of a „wooden „throne" on a sheer cliff, where Queen Tamar's council was held" (Bavreli, 1878:1).

In addition to the will of Queen Tamar, which is well-known in history, the memory of the people of Artaani has also preserved a separate will for Lasha-Giorgi, in which Queen Tamar reminded her son that „I have created a golden age for my people" (Odisharia, 2020:128).

The people of Arta have preserved a precise account of the day of Queen Tamar's death. In the folk version of „The Knight in the Tiger's Skin", the main characters pay great respect to the memory of Queen Tamar, vowing to „come here every year and pray for Tamar – from the night of April 30 until the dawn of May 1" (Odisharia, 2020:130). In fact, this day coincides with the day of the death of Queen Tamar on the church calendar – May 15. It is noteworthy that S. Bavreli also informs us about the commemoration of Christian holidays. It turns out that during the Christian era, on the mountain of Maghlosi, above the village of Veli, the population gathered from all sides to celebrate the Ascension. After the holiday, horse racing and wrestling were held (Bavreli, 1878:2).

According to K. Odisharia, „Shota Rustaveli, with his powerful talent and lofty thinking, reached for the sun with his hands, and that too in the 12th century." It was precisely this circumstance that

determined his main goal – to find Shota Rustaveli's native land, the possibility of which was further strengthened by the impressions he received in Artaani. He also pointed out this in a 1937 note, stating that „...researchers could achieve greater fruitfulness in their study of Shota Rustaveli's life and identity by studying the Artaani region" (Odisharia, 2020:211). The fact that the crown of human culture – „The Knight in the Tiger's Skin" has an indelible monument in the heart of the Georgian nation was clearly demonstrated to K. Odisharia by the Georgians filled with love in the style of the immortal poem, by Otar-Beg Shervashidze from Artaani in the village of Orkiz, who knew the text by heart, and by his family relic – the sight of an ancient edition of „The Knight in the Tiger's Skin" dated 1435, copied on parchment. We would also like to note that several years ago, the founder of the Caucasus and Anatolia Research Center, the famous scientist, the now deceased Giorgi Kavtaradze, specially traveled to Artaani due to K. Odisharia's statement, although the story of the search for „The Knight in the Tiger's Skin" ended in vain (Kavtaradze, 2001:17).

After the cradle was specially prepared, a ritual of placing the baby into it for the first time was held. This ceremony was typically performed by the midwife or the elder woman of the household. During this first placement into the cradle, the infant would be blessed. A similar blessing was also given the first time the cradle was brought outside the home. The baby was always placed into the cradle during a full moon, as this was believed to bring happiness and good fortune in life. The day of the ritual also had to be carefully chosen. Tuesdays, Thursdays, and Saturdays were considered auspicious days. However, according to some respondents, there was hesitation about bringing the cradle on a Saturday, as it was traditionally regarded as a day associated with the deceased. Families often used Saturdays to prepare offerings – tabaki – for the souls of the deceased (Author's Field Ethnographic Diary, 2024). Various customs were performed during the ritual of placing the baby in the cradle for the first time. It was believed that a sleeping baby in the cradle should not be moved to another place to sleep, as it might cause the child to lose their ability to sleep well. For this reason, families always tried to keep the cradle close to the mother's bedroom.

The baby was placed in the cradle in a well-positioned, proper posture, with the arms and legs gently secured. The cloths laid over the mattress were tied around the baby's limbs, and the artakhebi (binding straps) were fastened – one across the chest and the other near the legs. A knee pillow was customarily placed to protect the baby's knee joints and to allow the legs to remain free and comfortable.The wraps and artakhebi were tied around both the baby and the cradle twice, with the ends knotted securely. The part of the cradle where the baby's head and neck would rest was slightly hollowed out to ensure proper support and alignment for the head and neck.

In Abkhazia, as in Samegrelo, there existed a superstition that a baby should not be taken outside. If it was necessary to do so, a cross would be drawn on the baby's forehead using ashes. To protect the child from the evil eye, according to folk customs, amulets and charms were hung on the cradle. The infant's clothing was never left outside overnight during the first year. To ward off evil spirits believed to target babies, people would place protective items such as scissors, a knife, or a piece of iron under the baby's head in the cradle. It was believed that these objects would drive away harmful forces. The

cradle was often adorned with various types of amulets for this purpose (Kapanadze, 1994, p. 51). A child typically remained in the cradle for three to four years.

Great attention was given to the proper nourishment of the child. The baby's main source of food was the mother's milk, which the infant was expected to consume for at least one year. Mothers would breastfeed their babies immediately after birth. In the first few days, before the mother's milk came in, the infant would be fed with diluted liquids (khseni). Breastfeeding with the mother's milk was considered essential for raising a healthy child. Supplementary food was introduced around the age of 4 to 5 months. Babies were gradually given a taste of nearly all types of locally available foods. (Mindadze, 2005, p. 8).

According to respondents, in the past, magical practices were also used to protect the newborn and the mother. It was believed that evil spirits especially targeted infants and women who had just given birth. These spirits were considered particularly dangerous at night, after sunset – the time associated with heightened activity of malevolent forces. For this reason, people tried to ensure the baby remained indoors after sunset and that none of the infant's clothing or belongings were left outside. On the night of Chiakokona (a traditional fire-jumping ritual), families were especially careful not to leave anything outdoors, most of all, anything belonging to a newborn. Even today, it is customary not to leave a baby's clothes outside overnight for the first year (Author's Field Ethnographic Diary, 2024). Various types of amulets were also hung on the baby's cradle, especially pieces of iron or iron-crafted figures, which were made silently by blacksmiths in a ritualistic manner. These cradle-bound amulets served different protective purposes – for example, to guard against the evil eye, sleep disturbances, or irritability. It was also common practice to place blessed charcoal, an iron knife with a black handle, a small dagger, or scissors under the baby's head. Some amulets were sewn directly onto the child's clothing. Despite the use of many amulets to protect the child from evil spirits, if the baby still fell ill, families would turn to a prayer woman (mlotsavi), who was typically an elderly woman. A common ritual included a prayer to ward off the evil eye. This is an incantation used against the evil eye. In cases of the „evil eye" – „tolish" – a blessing would be performed over the infant, and the written prayer or medicinal charm would be wrapped in cloth and either hung on the cradle or placed beneath the mattress. Various amulets could also be hung on the cradle or worn around the child's neck. The protection of infants from evil spirits is documented across different regions of Georgia as well (Kakabadze, 1914, pp. 18-19; Mamaladze, 1893, p. 92; Mashurko, 1894, p. 306; Stepanov, 1894, p. 81). The majority of these blessings and objects hung on the baby or the cradle were intended to frighten away or banish harmful spirits. Although cradles are no longer commonly used in modern times, people still often place certain protective items beneath the head area of a baby's bed to ward off evil spirits. It was also believed that there were lucky and unlucky cradles. Unlucky cradles were either placed under a tree or left by a church fence, while lucky cradles were passed on or lent out to other families (Machavariani, 1957, p. 275). It was strictly forbidden to rock an empty cradle, as, according to folk belief, this could lead to a child's illness or even death.

Until recent times in Georgia, the tradition of offering a cradle to a major shrine (salotsavi) was preserved. In cases of infertility or a child's illness, a small cradle would be offered to a sacred icon. These votive cradles were typically made from fertility-associated trees, such as pear or walnut. Before being presented to the icon, the cradle would first be hung from a sacred tree and gently rocked, symbolically invoking blessings. It was also known to offer miniature cradles made of silver. Such ceremonies have been documented in other regions as well (Kozlov, 1964, p. 129). Crafting a cradle from a sacred tree, hanging it on that very tree, and rocking it was considered a magical act based on the principle that „like produces like" (Bedukidze, 1973, p. 124). Lending out a lucky cradle was also customary, but only within the same family or lineage. Taking the cradle outside the clan was forbidden, as it was believed that doing so could transfer the family's fortune and destiny to another lineage.

Conclusion. For many years, the Georgians living in modern-day Abkhazia have been victims of aggression and displacement by both separatist forces and the Russian side. The local population

faces material and social hardship. Nevertheless, despite these challenges, elements of traditional life – including the cradle and the customs associated with it – have been preserved, albeit in altered forms. The use of the baby's bed – the cradle – is still observed in this region. However, it is important to note that these cradles are old, as there are no longer any cradle-makers in the area. Families now use inherited cradles – so-called „lucky cradles" – that have been passed down within kinship groups or preserved within the village. Since the late 20th century, ready-made European-style baby beds have begun to spread actively, with urban residents being their first users. However, today these beds have also reached rural areas and have become accessible to nearly all segments of the population. The tradition and phrase „arkvanish meyuafa" – meaning „bringing the cradle" – is still in use in modern life. However, nowadays, the bride's family brings a ready-made baby bed instead of a traditional cradle. A significant portion of the Georgian population in Abkhazia has preserved the cradle as an element of their ethnic culture to this day. This preservation has been made possible largely due to the enduring strength of historical memory.

References:

Author's Field Ethnographic Diary. (2024).

Abkhazskaia azbuka. (1892). Tiflisi.

Akaba, L. K. (1960). Об орнаменте резьбы по дереву у абхазов, Sukhumi.

Bakhia-Okrushvili, S. (2020). Explanatory Dictionary of Abkhaz-Georgian Ethnographic Terms. Tbilisi.

Bardavelidze-Lomia, V. (1953). Rituals Related to Childbirth in Mountainous Kartli. IV.

Bedukidze, L. (1973). Traditional Furniture in the Mountain Regions of Eastern Georgia. Tbilisi.

Bigvava, B. L. (1983). Современная сельская семья у абхазов. Tbilisi.

Dbar, S. A. (2000). Обычаи и обряды детского цикла у абхазов (вторая половина XIX – начало XX вв). Сухум.

Gvatua, N. (1997). Childbirth and folk traditions of infant care in Kvemo Kartli. Traditional Georgian Medical Culture, I.

https://sputnik-abkhazia.ru/20230920/kolybel-geroya-vystavka-k-yubileyupobedy-otkrylas-v-sukhume-1048087848.html. (n.d.).

Inal-Ipa, S. D. (2016). Этнография брачно-семейных и социальных отношений абхазов (Vol. I). Sukhum.

Kakabadze, S. (1914). Historical Description. Tiflisi.

Kapanadze, N. (1994). Georgian Folk Traditions of Child Rearing. Tbilisi.

Kozlova, K. (1964). Этнография народов Поволжья. Moskva.

Machavariani, E. (1957). Childcare and Upbringing Practices in Mtiuleti. Bulletin of the State Museum of Georgia, XIX-A and XIX-B.

Machavariani, N. (2010) Speech of Abkhazians in Batumi (Grammatical Analysis, Texts, Dictionary), Tbilisi.

Makalatia, S. (1930). Mtiuleti. Tbilisi.

Makalatia, S. (1941). History and Ethnography of Samegrelo. Tbilisi.

Mamaladze, M. (1893). Народные обычаи и поверья гурийцев,. СМОМПК, вып. XVII Отд. II .

Mashurko, J. (1894). Из области народной фантазии быта Тифлисской и Кутаисской губернии. СМОМПК, вып. XVIII Отд. III .

Mindadze, N. (2005). Georgian Folk Medical Traditions in Kakheti. Tbilisi.

Orbeliani, S.-S. (1993). Georgian dictionary. Tbilisi.

Stepanov, I. (1894). Приметы и поверья грузин Телавского уезда Тифлисской губернии. СМОМПК, вып. XIX Отд. II .

Varshalomidze, J. (1987). The Cradle and Related Customs in Adjara. Life and Culture of Southwestern Georgia, XIV.

ბიბლიური ჯეშმარიტების გამოვლინება ქობულეთის ისტორიიდან

ნაილა ჩელებაძე
ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი; საქართველოს
საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის
სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი
ელ-ფოსტა: naila.chelebadze@bsu.edu.ge
ORCID: 0009-0003-2451-1753

სულხან შაქარიშვილი
ისტორიის მაგისტრი, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა
ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი
Master of History, St. Tbel Abuseridze Teaching
University of the Georgian Patriarchate
ელ-ფოსტა: sulkhanshaqarishvili@gmail.com
ORCID: 0009-0008-9057-3203

აბსტრაქტი ზაქარია ჭიჭინაძის, დიმიტრი ბაქრაძის, სერგო ვარდოსანიძის, ბათუმი შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომების მიხედვით. შესწავლილია, ქრისტიანობის მდგომარეობა ოსმალეთის ოკუპაციისა და პოსტ-ოსმალურ პერიოდში, ქობულეთის ადმინისტრაციულ ერთეულში. სადაც გამოიკვეთა, რომ მიუხედავად დიდი ზეწოლისა და განსაცდელებისა ქრისტიანობა მაინც არ გამქრალა. ადგილობრივ მოსახლეობაში მინავლებული ნაკვერჩხალის სახით, მაინც იყო შემორჩენილი ქრისტიანული წარმოდგენები რის გაღვივებასაც ხელი შეუწყო გულანთებული მამულიშვილების აქტიურმა მოქმედებებმა.

საკვანძო სიტყვები: ქრისტიანობა; ქობულეთი; ოსმალური ოკუპაცია.

* * *

აჭარის სულიერი განვითარება პირველივე საუკუნეში ქრისტეს მოწაფეების – ანდრია პირველწოდებულის, მატათას, სვიმეონ კანანელისა და სხვათა მისიონერულ მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული, რომლებმაც ქრისტიანობა ზემო აჭარაში-დიდაჭარაში გაავრცელეს. ბუნებრივია, ეს პროცესი რამდენადმე უნდა ყოფილიყო დღევანდელი ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზეც, სადაც ადრექრისტიანული ხანის ძეგლების ნაშთები (ციხისძირ-ბობოყვათის) და სამარხები არის მიკვლეული (ინაიშვილი, 1993:43; ჭიჭინაძე, 2004:114). ოსმალთა ბატონობის პერიოდში ხანგრძლივი დროის მანძილზე ეს ძეგლები, ისე როგორც სხვა ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო კერები, ნადგურდებოდა, რომლის ნაცვლად დაარსებული მაჰმადიანური რელიგიური სალოცავები და სკოლები ადგილობრივთა გათურქების, ისლამის მტკიცედ დანერგვის ძლიერ საშუალებას წარმოადგენდა (სახოკია, 1985:234; ბაბილოძე, 1958:29; ყაზბეგი, 1960:88). მიუხედავად ამისა, ქობულეთის მოსახლეობამ შეინარჩუნა ქართული ცნობიერება, ქართული ენა და ქართული დამწერლობის „დედაბრული ხელიც“ (ბაქრაძე, 1987:47; სახოკია, 1985:125; ჩელებაძე, 2012:12; ხახუტაიშვილი, 2017:15).

აჭარაში ოსმალთა ბატონობის დროს გამაჰმადიანების საფრთხეს არაერთი სასულიერო პირი გაწირა, საეკლესიო ქონების გადარჩენილი ნაწილი კი გადაიტანეს მეზობელ რაიონებში (ბაქრაძე, 1987:112-125). მოსახლეობამ ისლამის მომძლავრების, მოგვიანებით კი ანტირელიგიური ბრძოლის

პერიოდშიც კი შემოინახა ქრისტიანული ძეგლებისადმი ხსოვნა და პატივისცემა, შეძლო ბიბლიური ცოდნის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების საფუძველზე ხალხური ვერსიების სახით მისი შენარჩუნება.

უფრო მწვავედ იდგა ქობულეთში, ისე როგორც მთელ აჭარაში, ქრისტიანული რწმენისათვის ბრძოლის საკითხი. როგორც ცნობილია, 1723 წლიდან ოსმალებმა ქობულეთის ზღვისპირა ტერიტორიები დაიკავეს. ადგილობრივ მოსახლეობას ბრძოლისუნარიანობა არ დაუკარგავს და თავდაუზოგავად ცდილობდა ოსმალთა უღელისგან განთავისუფლებას. ამ ბრძოლას სათავეში დარეჯან თავდგირიძე ედგა. 1737 წელს ქობულეთში სტუმრად მყოფი პატრიარქი დომენტი, ვახტანგ VI-ის ძმა, დარეჯან თავდგირიძეს შეხვდა და ოსმალთაგან ქობულეთის განთავისუფლების ბრძოლის მეთაურად იმერეთის მეფე, ალექსანდრე V აურჩევიათ (სდსინ, 2009:257). სამწუხაროდ, ეს გეგმა არ გამართლებულა და 1772 წ., როდესაც რუსეთის ჯარმა საქართველოს ტერიტორია დატოვა, ოსმალებმა შეძლეს ქობულეთის ტერიტორიის დაკავება. ამ დროს ხინოს ეპარქიის ეპისკოპოსი იოანე წუწუნავა გახლდათ, რომელიც იძულებული გახდა გასცლოდა ქობულეთს (სინ, 1973:659).

რაც შეეხება ქობულეთის მმართველ საგვარეულოს, მამუკა თავდგირიძე აკეთში გადავიდა. მისი შვილი მაქსიმე, უკვე გამაჰმადიანებული და სულეიმანად წოდებული, ქობულეთის ბეგად დაინიშნა. მე-18 საუკუნის 70-იან წლებში შექმნილი სირთულეების მიუხედავად, ქობულეთლები მაინც არ კარგავდნენ საბრძოლო სულისკვეთებას და იმედს იმერეთის მეფე სოლომონ პირველთან კავშირზე ამყარებდნენ. ამ სულისკვეთების გამოძახილი იყო 1784 წლის ნაჭისკრევის ბრძოლა. იმავე წლის მარტში სოლომონ პირველი ქობულეთისკენ დაიძრა და ადგილობრივ პატრიოტთა დახმარებით მოახერხა კიდეც ქობულეთის აღება, ჩაქვიც დაიბრუნა და ბათუმის მიმდებარე სოფლებიც, თუმცა, უკან დაბრუნებისას, 9 მარტს, ციხისძირის მიდამოებში ვერაგულად ჩასაფრებულმა მტერმა სამშობლოსთვის გულანთებული მეფე დაამარცხა. ამ მარცხის შედეგად, ქობულეთის მოსახლეობა XIX საუკუნეს ოსმალთა მფლობელობაში შეხვდა (ჩხატარაიშვილი, 1964:129).

იმდროინდელი სიტუაციის გადმოსაცემად საინტერესოა ტრაპიზონში ინგლისის კონსულ ჯიფორდ პალგრევის ჩანაწერები, რომელმაც 1862-1872 წლებში ფეხით შემოიარა მთელი ლაზისტანი: „ჩურუქ-სუ, სოფელი, რომელიც ოლქის სახელს ატარებს და ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენს... ჩურუქ-სუში 145 დუქანია, ხოლო სახლი – 75. გარდა ამისა, აქ არის: მეჩეთი, ძველი ყაზარმა 400 ჯარისკაცისათვის... ოლქში 17 სოფელია: სახლები, ანუ, უფრო სწორად, კომლი – 1445-ია; ორივე სქესის მცხოვრებთა რიცხვი (ბავშვებთან ერთად) – 7378-ს უდრის. ისინი წარმოშობით ქართველები, ხოლო რწმენით მაჰმადიანები არიან; მათი მოქცევა მოხდა გასული საუკუნის დასაწყისში. ყველანი ლაპარაკობენ მხოლოდ ქართულად...“ (პალგრევი, 2012:50-55).

პალგრევის ჩანაწერებიდან ჩანს, რომ ქობულეთის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი უკვე გამაჰმადიანებულია. აღნიშნულთან დაკავშირებით მეტად მნიშვნელოვანია ის ინფორმაცია, რომელსაც დიმიტრი ბაქრაძე გვთავაზობს თავის ცნობილ ნაშრომში „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“. ისტორიკოსმა ქობულეთში 1873 წელს იმოგზაურა, როდესაც ქალაქი ჯერ კიდევ ოსმალთა უღლის ქვეშ იმყოფებოდა. ხინოდან ეპისკოპოსის წასვლის შემდეგ ქრისტიანობის კრიზისზე და თითქმის საუკუნის შემდეგ ქობულეთში მაჰმადიანობის გავრცელების შედეგებს ავტორი შემდეგნაირად აღწერს:

„ჩურუქ-სუ სულ ერთიან გამუსლიმანებულია, თუმცა ქრისტიანობის კვალი ჯერ ჯიდევ შემორჩენილია: გზაში მაჩვენეს რამდენიმე ქრისტიანული ეკლესია, სახელდობრ სამებაში, ვარჯანულში, ხუცუბანსა და გვარაში. გვარას ტაძარი ცნობილია თეთროსანის სახელით და განსაკუთრებით განთქმულია ჩურუქ-სუსა და მთელ გურიაში. ჩურუქ-სუს ტაძრები ნანგრევებად ქცეულა, მაგრამ მაინცადამაინც ადგილობრივი მცხოვრებლები, ვერ ვიტყვი, პატივს სცემენო, უბრალოდ ეშინიათ: ჩვეულებრივ ავადმყოფობას, ყოველგვარ უბედურებას ოჯახში საქონლის გაწყდომას ისინი ხშირად მიაწერენ მათ მიერ მიტოვებული ტაძრებისა და მათი ხატების რისხვას. ამიტომ არის, რომ დროდადრო მათ სწირავენ ცხვრებს, ქათმებს და სხვა. განსაკუთრებით ბევრ მლოცველს იზიდავს თეთროსანის ღვთისმშობლის ხატი“ (ბაქრაძე, 1987:18-20).

დ. ბაქრაძე აღნიშნავს, რომ იმ დროს ქობულეთში 9592 ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობდა, რომლებიც მოსახლეობის 90%-ზე მეტს შეადგენდნენ (ბაქრაძე, 1987:18-20). თავისთავად ცხადია,

რომ მოსახლეობას დიდი მსხვერპლის ფასად მოუხდა საკუთარი სარწმუნოების დათმობა. როგორც 120 წლის აჭყვისთაველი ქამჯარიძე მოუთხრობდა ზაქარია ჭიჭინაძეს, ოსმალების გაბატონების შედეგად ქობულეთის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი გურიაში გადასახლებულა. საბოლოოდ, ოსმალებმა ცრუ დაპირებებით, რომ ქრისტიანობას არ შეეხებოდნენ, გურიასა და ქუთაისში გახიზნული ხალხი უკან დააბრუნა. მართლაც, თავდაპირველად ეკლესიებში წირვა-ლოცვა აღდგენილა და ოსმალები მხოლოდ ხარკის გადახდით დაკმაყოფილებულან, მაგრამ მცირე დროის შემდეგ, როცა ოსმალებმა შეამჩნიეს, რომ დაცლილი მოსახლეობა ისევ შეივსო, მაშინვე დაიწყეს მათზე ზეწოლა. ჩოლოქთან დიდი რაზმი დააყენეს და გურიის საზღვარი ჩაკეტეს, დანარჩენი ჯარისკაცები კი ქობულეთის სოფლებში ჩააყენეს. სამხედრო მობილიზაციის შემდეგ ქობულეთელი მამაკაცები ერთად შეკრიბეს და ყველას გამაჰმადიანება მოსთხოვეს. ადგილობრივების პირველი პასუხი მტკიცე და შეუდრეკელი აღმოჩნდა – „არ შეგვიძლია, ჩვენ არ გავმაჰმადიანდებით, დავიხოცებით და მაგას კი არ ვიზამთ“-ო. ოსმალები გამაჰმადიანებულ ქობულეთლებს აიძულებდნენ ადგილობრივებზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას, მაგრამ ამითაც ვერას გახდნენ. სოფელ ჭახათში გემის თოკით სახრჩობელა გაუკეთებიათ და იქ ძალიან ბევრი ქობულეთელი ჩამოუხრჩვიათ. სიკვდილით სჯიდნენ ყველას, ვინც ქრისტიანობას არ უარყოფდა. „რამდენიმე დღეს თოკით ეკიდნენ ხეებზე, დიდი აშლილობა მოხდა, დიდი სისხლის ღვრა, ოსმალები ქრისტიანებს კი არ აყენებდნენ და არც სხვაგან უშვებდნენ, ჩვენები კიდევ არ მაჰმადიანდებოდნენ და ამიტომ დღე და ღამე ხალხის ხოცვა იყო, დედაკაცებისა და ბავშვების ტირილი და დიდი უბედურება“. საქმე ისაა, რომ მშველელი არსაიდან არ ჩანდა. მიუხედავად სიმონ გურიელის მცდელობისა, ქობულეთლების ხოცვა მასიურად გრძელდებოდა. საბოლოოდ, ამან შედეგიც გამოიღო. მოსახლეობის დიდი ნაწილი გაწყდა, ხოლო ვინც ცოცხლად გადარჩა, მორალურად გატყდა და გამაჰმადიანდა. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივებმა სჯული შეიცვალეს, ისინი ეკლესიებსა და ხატებს მაინც პატივს სცემდნენ და ჩუმად ეკლესიებში ლოცულობდნენ. ეს რომ ოსმალებმა გაიგეს, ეკლესიების დანგრევასა და ჯამეებად გადაკეთებას მიმართეს. ასე დაუნგრევიათ სოფელ აჭყვის მთავარანგელოზის ეკლესიაც. მოსახლეობამ ტაძრის გადარჩენა რომ ვერ შეძლო, დანგრევამდე იქედან გამოტანილი ხატები, ჯვრები, წიგნები და სხვა ნივთები სახელდახელოდ გათხრილ ორმოში დამალეს. ოსმალები ახალგაზრდობას არწმუნებდნენ, რომ ქრისტიანები სამუშაოდ და მონობისთვის არიან გაჩენილები, მუსლიმანები კი – სალოცავადო, რომ მთავარია დღეში ხუთჯერ ილოცო და სარჩო საბადებელს ქრისტიანის ნამუშევრიდან აიღებო. მიდი, მოპარე ან წაართვი, ამაზე ღმერთი პასუხსაც კი არ მოგთხოვსო. გამაჰმადიანებულებს მუდამ ჩასჩიჩინებდნენ, რომ თუ ქრისტიანს დაუმეგობრდება ან ღვინოს დალევს, სიკვდილის შემდეგ პირში გველი ჩაუძვრება და თავს წელში ამოჰყოფსო. მიუხედავად ამდენი ხოცვა-ჟლეტისა, ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისა, ქობულეთში ქრისტიანობა მაინც ვერ მოუსპიათ. ზ. ჭიჭინაძესთან მოხუცი მჟავანაძის ნაამბობიდან ირკვევა, რომ ქობულეთში ჩუმად მაინც ინახავდნენ ქრისტიანობას. ხალვაშების და გორაძეების გვარში მღვდელი ჰყავდათ დამალული, რომელსაც სასულიერო კაბა გაეხადა და საერო ტანსაცმელი ჩაეცვა. როგორც მოგეხსენებათ, გურიის მხარე არ გამაჰმადიანებულა და ქობულეთლებიც, სიცოცხლის რისკის ფასად, ქრისტიანულ დღესასწაულებზე მეზობელ სოფლებში იპარებოდნენ სალოცავად. კერძოდ, აღდგომა დღეს გადადიოდნენ გურიის ნაწილში მოქცეულ ქაქუთის ეკლესიაში. დღესასწაულებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ადგილობრივები დაკრძალვასაც ქრისტიანული წესით ცდილობდნენ. ხან გურიაში მიჰყავდათ ჩუმად მიცვალებული და ხან, პირიქით, მღვდელი გადმოჰყავდათ გურიიდან. ისეთი შემთხვევებიც ყოფილა, რომ გურიაში მიცვალებულის ჩუმად გადასვენებისას ოსმალები ჭირისუფალს მკვდარს ართმევდნენ და იქვე გზაზე უპატრონოდ პირუტყვების საგლეჯ-საჩიჩქნად ტოვებდნენ (ჭიჭინაძე, 1915:104-113).

1876 წელს, სწორედ გარდაცვლილი ქობულეთელის წესის ასაგებად გადმოსული მღვდლის მკვლელობას მოჰყვა ადგილობრივების აჯანყება ნაილ-ბეგ ხაჯიშვილის მეთაურობით. 1876 წელს ბალკანეთის ნახევარკუნძულის ქვეყნებმა ოსმალეთის იმპერიას ომი გამოუცხადეს. რადგან ამ დროს ქობულეთშიც ოსმალთა იმპერია მძლავრობდა, ოსმალებმა ქობულეთლებიც ომში გაიწვიეს. ორი თვის შემდეგ ფრონტიდან ოთხი ქობულეთელი გამოპარულა და სამშობლოში ამბავი ჩამოუტანია, თუ როგორ ძაღლურად ექცევიან ოსმალები ომში ქართველებს. ამას დაემატა მეორე მნიშვნე-

ლოვანი მოვლენაც, კერძოდ, მღვდლის მკვლელობა. საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ გურიიდან, რომელიც რუსეთის იმპერიის საზღვრებში შედიოდა, მღვდლები ხშირად გადმოდიოდნენ ქობულეთში სამღვდელმსახუროდ და აქაურ ქართველებს ფარულად ნათლავდნენ. თუმცა, რახან იმ პერიოდში ომი მიმდინარეობდა, საზღვარზე სიტუაცია ძალიან დაძაბული იყო და გურული მღვდელიც, რომელიც დაკრძალვაზე მოდიოდა ქობულეთში, ოსმალებმა სიცოცხლეს გამოასალმეს. ამის საპასუხოდ ქობულეთლებმა ოსმალეთის იმპერიის შვიდი ჯარისკაცი (ალბანელები) მოკლა. ოსმალებმაც არ დააყოვნეს და სტამბოლიდან დახმარება ითხოვეს. გულხელდაკრეფილები არც ადგილობრივები დარჩენილან. ქობულეთის სოფელ მუხაესტატეში, ვინმე ხასანმა ოთხი თურქი ჯარისკაცი მოკლა. მალევე სხვა სოფლებიდანაც შეგროვდა ხალხი, მეთაურად კი ადგილობრივი ნაილ ბეგ ხაჯიშვილი აირჩიეს. ნაილ ხაჯიშვილმა მეამბოხეები ორ ჯგუფად გაყო. ერთ ჯგუფს ქობულეთის ციხე-სიმაგრეზე სამხრეთიდან უნდა შეეტია, რომელსაც ოსმალები აკონტროლებდნენ, მეორეს კი – ჩრდილოეთიდან. მეთაურმა ხალხი ზარბაზნების შესაძენადაც გააგზავნა და ოსმალთა ჯარში გაწვეულ ეროვნებით ქართველ ასკერებსაც დაუკავშირდა, რომლებიც ციხე-სიმაგრეში იყვნენ ჩაკეტილები. საბოლოოდ კი ქობულეთლებმა ციხე-სიმაგრე აიღეს. ნაილ ბეგმა დახმარება გურულებისგანაც ითხოვა და საპასუხო ბრძოლისთვის მოემზადა. ქართველები ოსმალთა შეტევას ზღვიდან ელოდნენ, თუმცა ოსმალებმა მოულოდნელად ჩაქვის მხრიდანაც შეუტიეს. მიუხედავად ოსმალთა რიცხობრივი უპირატესობისა, მათ პოზიციების დათმობა მოუხდათ. ამასობაში კი სახალხო მილიციის ფორმებში გურულებიც გამოჩენილან, რაც ოსმალებს რუსული არმიის მოსვლად აღუთქვამთ და შეშინებულებს უკან დახევა დაუწყიათ. ამ სახმელეთო შეტევის მოგერიების შემდეგ ქობულეთლებს დიდხანს არ დაუსვენიათ. ოსმალები ზღვიდანაც გამოჩნდნენ. აქ ნაილ ბეგ ხაჯიშვილმა იჭკვიანა და ციხე-სიმაგრიდან ოსმალთა დროშა არ მოახსნევინა, ასე ოსმალებს თავისიანები ვეგონებითო. მართლაც ასე მოხდა, ოსმალურ გემებს ქობულეთის სანაპიროს მშვიდობიანად მიდგომიან და ზღვაში ღუზა ჩაუშვიათ. ამით ნაილ ბეგს დრო უხელთებია და ზარბაზნის გასროლის ბრძანება გაუცია. სულ ორი გემი ჰყავდათ ოსმალებს. აქედან ერთი დაუზიანდათ. მიუხედავად ქობულეთლების სწორი ტაქტიკური სვლებისა, ოსმალთა რიცხობრივმა უპირატესობამ თავისი გაიტანა. საღამოს ცხრა საათზე ბრძოლა დასრულდა და ქობულეთელ მეამბოხეთა უმეტესი ნაწილი ბრძოლის ველზე გმირულად დაეცა. თავად ნაილ ბეგ ხაჯიშვილი კი ისე მძიმედ დაიჭრა, რომ ციხე-სიმაგრეში შესულ მტერს იგი მკვდარი ჰგონებია და სხვა გვამებთან ერთად პირდაპირ ზღვაში მოუსროლიათ. ნაილ ბეგთან ერთად ორი მეომარი გადარჩენილა, რომლებმაც რუსეთის ტერიტორიულ წყლებში გააღწიეს, სადაც გურულმა მეთევზეებმა იპოვეს. კიდევ უფრო საინტერესო ის არის, რომ ნაილ ბეგ ხაჯიშვილი 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომშიც კი იბრძოდა, როგორც გურული სახალხო რაზმის კაპიტანი (ლაბაძე, 2019).



ნაილ ბეგ-ხაჯიშვილი


ამდენად, მიუხედავად ოსმალთა ხანგრძლივი სისხლისმღვრელი ბატონობისა, ქობულეთის მოსახლეობის ერთმა ნაწილმა ფარულად შეძლო ქრისტიანული რწმენის შენარჩუნება. უფრო მეტიც, იყო შემთხვევები, როცა გამწარებული მოსახლეობა აჯანყებასა და სისხლისღვრასაც კი არ ერიდებოდა. მოსახლეობის მიერ ქრისტიანობის შემონახვა გამოიხატებოდა ზეპირი გადმოცემებისა და რწმენა-წარმოდგენების დონეზე. მაგალითად, თუკი რაიმე უბედურება მოხდე-

ბოდა, მოსახლეობა ამას ძველი სალოცავების მიტოვებას აბრალებდა, რაზეც ნათლად წერს იმდროინდელი ჟურნალისტი ალექსანდრე ფრენკელი: „ქრისტიანული გადმოცემები ძალუმად ცოცხლობს ქობულეთელთა მეხსიერებაში, როდესაც მას ეწევა რაიმე უბედურება ან ავადმყოფობა, ამას იგი თავისი წინაპრის მიერ დატოვებული ტაძრის (საყდრის) წყრომას მიაწერს... მიჰყავს შესაწირავად ქათამი, ცხვარი და სხვა. ქვეყანაში ახლაც არიან მალული ქრისტიანები“ (ფრენკელი, 2012:120).

როგორც ცნობილია, 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომი რუსეთის გამარჯვებით დასრულდა. ამ ომმა ქართველებისთვის, განსაკუთრებით ოსმალეთის უღელქვეშ მყოფი საქართველოს დიდ ნაწილს, მათ შორის აჭარას, დიდი გამარჯვება და სიხარული მოუტანა. ომისშემდგომი პროცესები, რუსეთის ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებები, ცხადია, შეეხო ქობულეთსაც. ქობულეთის მკვიდრთა დამოკიდებულებას ამ ფაქტის მიმართ სრულად გადმოსცემს თავის რაზმელებთან ერთად ქართულ ეროვნულ ჩასაცმელში გამოწყობილი გულო აღა კაიკაციშვილის შემდეგი სიტყვები: „ჩვენო ქართველებო, ჩვენო ძმებო, ნათესავებო, და ბიძაშვილებო, თქვენი ჭირიმე, თქვენი, რომ ჩემმა თვალებმა დღეს თქვენ – ჩვენი ძმები ქობულეთში დაგინახათ. ვმადლობ ღმერთს და პატივს ვცემ მის განგებას, რომ ჩვენი და თქვენი ნატვრა შესრულდა, ღმერთმა შეგვაერთა“.

მართალია, აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ რუსეთისთვისაც მომგებიანი იყო ქრისტიანობის აღდგენა-გავრცელება. ეს პროცესი ნელ-ნელა განიცდიდა აღმავლობას, თუმცა მას „მუჰაჯირობის“ ძალზედ მძიმე შედეგი მოჰყვა. სან-სტეფანოს 1878 3 მარტის ხელშეკრულების 21-ე მუხლის თანხამად, რუსეთის გამგებლობაში მყოფ მოსახლეობის ნაწილს სამი წლის განმავლობაში თავისუფალი მიგრაცია შეეძლო. მიუხედავად იმისა, რომ ეს დოკუმენტი ოფიციალურად 1878 წელს გაფორმდა, მუჰაჯირობის პროცესი უფრო ადრე, 1877 წლიდან დაიწყო და 1881 წ. შემდეგაც გრძელდებოდა. ცხადია, ოსმალთა ხანგრძლივმა ბატონობამ თავისი დაღი დაასვა ქობულეთის ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერებასაც. მოსახლეობის რელიგიური შეხედულებების ფორმირებას, ქრისტიანულ რწმენაში დაბრუნებას რომ დრო დასჭირდებოდა, ეს კარგად ესმოდა ადგილობრივი მოსახლეობის იმ ნაწილს, რომლის წარმომადგენელი ქობულეთელი ხასან ბეგ ბეჟანიძე შემდეგნაირად განმარტავდა: „თუკი ქობულეთში დარჩებოდა ადგილობრივი მოსახლეობა, დროთა განმავლობაში თავისთავად მიატოვებდა ისლამს და ქრისტიანობას მიიღებდა, რაც მათთვის მიუღებელი იყოო“. საგულისხმოა, რომ ქობულეთლები გადასახლების მიზეზს შემდეგნაირად ხსნიდნენ: „ჩვენ რუსებს და ქართველებს ახლოს ვერ მივეკარებით, მათი ადათი და წესი ჩვენი რჯულის წინააღმდეგია. ჩვენ ოჯახში შემოცვივდებიან და ყოველივეს წაგვიხდენენო“. ამ სიტყვებიდან ცხადად ჩანს, ქობულეთის მოსახლეობის ცნობიერების შელახვა, რასაც ოსმალთა აქტიური პროპაგანდა გამყიდველ ადგილობრივ თავკაცთა თანადგომით, სისტემატიურად ეწეოდა. გარდა ამისა, მოწმდება მოსახლეობის იძულებითი გადასახლების ფაქტებიც. მუჰაჯირთა რაოდენობა შემდეგნაირად აისახა ზ. ჭიჭინაძის მიერ შედგენილ სტატისტიკაში: ქაქუთი – 30 კომლი, ლეღვა – 25 კომლი, წყავროკა – 50 კომლი, კოხი – 40 კომლი, ჩეხედანა – 30 კომლი, აჭყვისთავი – 30 კომლი, ზენითი – 40 კომლი, ალამბარი – 100 კომლი, გვარა – 30 კომლი, ხუცუბანი – 50 კომლი, სოფელი ქობულეთი – 40 კომლი, კონდიდი – 20 კომლი, კვირიკე – 137 კომლი, დაგვა – 30 კომლი, სამება – 20 კომლი, ჭახათი – 10 კომლი, კეჭიეთი – 20 კომლი, ვარჯანული – 15 კომლი, ტყემაკარავი – 10 კომლი, ცხეუმანი – 10 კომლი, კობალაური – 40 კომლი, და სხვ. ამ მონაცემით ქობულეთიდან 1200 კომლი გადასახლებულა, თუმცა, ზ. ჭიჭინაძის შენიშვნით, ეს რიცხვი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ადგილობრივად გავრცელებული ცნობა ქობულეთიდან 2000 კომლის გადასახლების შესახებ, რასაც ავტორი ხსნის იმ გარემოებით, რომ მას არ აღუწერია პატარ-პატარა სოფლები (ჭიჭინაძე, 2013:51-65).

ყოველივე ამის შედეგად, ქობულეთში ძალზედ გაუარესდა დემოგრაფიული ვითარება (ფრენკელი, 2012:197), თუმცა, ქრისტიანობის გავრცელება სხვა ფაქტორმაც დააჩქარა. თურქეთიდან დაიწყეს ქრისტიანი ბერძნების გადმოსახლება, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეცვალეს ქობულეთში არსებული რელიგიური ვითარება. მაგალითად, ქობულეთის სოფელ დაგვაში 1881 წელს 21 ბერძენი ოჯახი დასახლებულა, 1907 წლის მონაცემებით კი მათი რიცხვი 602 ადამიანს შეადგენდა. ბერძნებს







აჭყვის წმინდა პეტრესა და პავლეს სახელობის ეკლესია.

კარგი აღმსარებლობითი სარბიელი შეექმნათ აწ უკვე ქრისტიანული რუსეთის დაქვემდებარებაში მყოფ ქობულეთის ტერიტორიაზე და ამან შედეგიც გამოიღო – ქობულეთში აშენდა არაერთი ბერძნული ეკლესია (ბადაშვილი, 2023:27). მაგალითად, ქობულეთის სოფელ კვირიკეში ჩასახლებულმა ბერძნებმა 1898-1910 წლებში ააშენეს წმინდა ელენესა და კონსტანტინეს სახელობის ეკლესია.

რუსი გენერლის სახელს უკავშირდება ქალაქ ქობულეთში პოსტოსმალურ პერიოდში აშენებული პირველი ეკლესია. მოსახლეობაში გავრცელებული გადმოცემით, ამ ეკლესიის აშენება წმინდა ნიკოლოზის სასწაულსაც უკავშირდება, რომელმაც მეზღვაურები შტორმისგან გადაარჩინა და ამ ეკლესიის ადგილას გამორიყა (შაქარიშვილი, დღიური №1). 1877-1878 წლის რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს ქობულეთის ფრონტზე გარდაიცვალა გენერალი შერმეტიევი, რომელიც ჯერ ძმათა სასაფლაოზე, ხოლო აქედან დაახლოებით ორ წელიწადში, დღევანდელი სასულიერო გიმნაზიის ეზოში ჯარისკაცებისგან განცალკევებით დაუკრძალავთ და მისი სულის საცხოვნებლად წმინდა ნიკოლოზის ეკლესია აუშენებიათ. ოსმალთა ბატონობის შემდეგ ქობულეთში მისიონერულ საქმიანობას არაერთი მოღვაწე სასულიერო პირი ეწეოდა. პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ ლეონიდე ოქროპირიძე, რომელმაც ზუსტად განსაზღვრა გამაჰმადიანებულ აჭარლებთან დაახლოებისა და ნდობის მოპოვების გზა – „მაშ, თუ გვსურს ეროვნულ-კულტურულად ქართულ მუსლიმანებთან დაახლოვება და მათთან განუყრელად შესისხლხორცება, უნდა პირიდან ლუკმა გამოვიღოთ, პერანგები გავიხადოთ და აჭარა-ქობულეთი მოვფინოთ ქართული მწიგნობრობით“ (წულაძე, 1991:137-138). ლეონიდე ოქროპირიძე რომ ადრიდანვე გასცნობია ქობულეთს და აუღია ჯვარი მისიონერობისა, კარგად ჩანს თავისი ბიძისადმი-ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძისადმი მიწერილი წერილის მიხედვით, და ამ ვარაუდს განამტკიცებს ის გარემოებაც, რომ 1888 წელს სკოლების ინსპექტორად დანიშნული, ქრისტიანობის აღმდგენელი ლეონიდე ოქროპირიძეს კონკრეტულად კი ქობულეთშიც უმოღვაწია. აღნიშნულ გარემოებას შეეხება 1888 წ. დათარიღებული მიმოწერა ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძისა ლეონიდესადმი: „მისიონერობას გიქადიან საინგილოში, ქობულეთ-აჭარაში და შავი ზღვის ნაპირებს და აბა რას იტყვი ამაზეო?“ ამის პასუხად იმ ხანად მღვდელმონაზონ ლეონიდეს ასე უპასუხნია: „მე ვიზრდებოდი სემინარიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების ხარჯით და, მაშასადამე, ჩემი ზნეობრივი მოვალეობა, რომ არ უმტყუნო მაგ საზოგადოებას, მისიონერობა, ღვთის განგებამ ჯერ კიდევ ბავშვობაში მქონია სახსოვარი. შე-

მდეგში ამავე ღვთის განგებამ მიჩვენა თვით ადგილიც ჩემი ღვაწლისათვის. ვინ არ მიხვდება, რომ ღვთის განგება და არა უბრალო შემთხვევა იყო, რომ მე თქვენთან ერთად ვიყავ ქობულეთში, ამ საგანზე მქონდა ლაპარაკი და თქვენთან ერთად ვნახე ძველი ეკლესიის ნანგრევი თეთროსანი! ის დრო ჩემთვის დაუვიწყარი იქნება და არის კიდეც. იმ დროსვე შემიყვარდა ქობულეთი, მაშინვე ვიგრძენი ქობულეთლების სიახლოვე და გეფიცები ღმერთსა, მასუკან ჩემი გული და სული აქ დარჩა“ (ვარდოსანიძე, 2014:12-13).

როგორც წერილიდან ირკვევა, ალესანდრე ოქროპირიძეს, რომელიც 1882-1885 წლებში გურიის ეპისკოპოსი იყო, უმოგზაურია ქობულეთში. ქართველებისთვის და, ზოგადად, ქრისტიანებისთვის გზა 1878 წლიდან გაიხსნა და ამ დროიდან დაიწყო აქ მისიონერობაც. თუკი ლეონიდე ოქრიპირიძე იგონებს, რომ ის ქობულეთში ბიძასთან ერთად ნამყოფია და უსაუბრია მისიონერობაზე, მაშინ ისინი აქ XIX ს. 80-იანი წლების დასაწყისში, უფრო ზუსტად კი 1884 წლამდე უნდა ყოფილიყვნენ, რადგან ამ პერიოდიდან მოყოლებული 1888 წლამდე ლეონიდე ოქროპირიძე კიევის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა. გარდა ამისა, 1887 წლამდე რომ ქობულეთის მხარეში, სმეკალოვკის ეკლესიაში, ნათლობის ჩასატარებლად და სხვა ქრისტიანული საიდუმლოებების აღსასრულებლად მღვდელი ბათუმიდან ჩამოჰყავდათ, ექიმ პანტიუხოვის ჩანაწერებითაც დასტურდება (პანტიუხოვი,1900:45). ასე, რომ მღვდელმონაზონ ლეონიდე ოქროპირიძეს ქობულეთში 1889 წლიდან უმოღვაწია, ხოლო 1891 წლიდან სამღვდელო მისია ბენიამინ ღლონტს გაუგრძელებია. ამ ფაქტს აკონკრეტებს ლეონიდე ოქროპირიძის 1915 წლის ჩანაწერი, სადაც შენიშნულია, რომ ქობულეთში უკვე 24 წელია რაც მისიონერი მღვდელი მოღვაწეობსო. როგორც თავად ეპისკოპოსი ლეონიდე ოქროპირიძე ახასიათებდა, ბენიამინ ღლონტი არ გამოირჩეოდა ბრტყელ-ბრტყელი ფრაზებითა და დემონსტრაციული გამოსვლებით. თუმცა მას იმდენად დიდ პატივს სცემდნენ აქაურები, რომ მეჩეთშიც ხშირად ეძახდნენ ჭკუის დასაკითხადო. ქალიშვილის ან ვაჟიშვილის ქორწილი არ ჩაივლიდა ქობულეთში ისე, რომ ბენიამინ ღლონტისთვის არ ეთხოვათ მათი დალოცვა და ხშირი ყოფილა სტუმრობებიც მის ოჯახში. თუკი დიმიტრი ბაქრაძე წერს, რომ გარეთ ვერ ნახავ ქობულეთელ ქალებსო, ახლა უკვე ლეონიდე ოქროპირიძე ხაზგასმით აღნიშნავს ადგილობრივი მუსლიმანი ქალების გულახდილ საუბრებს ამ ღვაწლმოსილ სასულიერო პირთან. იმავე პერიოდში ქობულეთში სამრევლო სკოლაც გახსნილა, რის შედეგად არაერთი ადგილობრივი გაქრისტიანებულა და მისმა სახელმა მეზობელ მუსლიმანებთანაც კი მიაღწიაო (შდრ. საეკლესიო-სამრევლო სკოლაში... 12 წლამდე ბავშვებს ასწავლიან (პანტიუხოვი, 1900:42). მაგალითად, ხულოში მცხოვრებმა ხოჯამ ლეონიდეს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ხულოელ ქართველ მაჰმადიანებს გაგებული გვაქვს, რომ თქვენ სწყალობთ ქობულეთელ მაჰმადიანებს, ქობულეთში ავრცელებთ ქართულ მწიგნობრობას, ხელს უწყობთ სასწავლებლის გახსნას და ეხმარებით იქაურ ჩვენს ძმებს მათი შვილების სწავლა-აღზრდაში. ჩვენც ქობულეთლების ძმები და მეზობლები ვართ, ჩვენც მათი სარწმუნოების მიმდევარნი და მათი ენით მოუბარნი ვართ, ვფიქრობდით, რომ აჭარაშიაც მობრძანდებოდით, აჭარლებსაც გაგვაგონებდით თქვენს ძმურ სიტყვას, ჩვენც გვიწინამძღოლებდით ჩვენი შვილების სწავლა-განათლების საქმეში; დავიღალენით ამდენს ხანს თქვენი გზისაკენ მზერით და აი ახლა პირადად ჩამოვედი თქვენთან სათხოვნელად, რომ ხულოში მობრძანდეთ და ქობულეთლებივით დაგვიახლოვოთო“. ეს სიტყვები ნათელს ფენს თუ რა მდგომარეობა უნდა ყოფილიყო იმ დროს ქობულეთში. როგორც ჩვენთვის ცნობილია, ქრისტიანობა მწიგნობრული რელიგიაა, მის გასავრცელებლად და უკეთ გასაგებად ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ქრისტიანული ლიტერატურის გავრცელებას. გამონაკლისი არც ქობულეთი ყოფილა. 1912 წელს ქობულეთელებს თავად მოუთხოვიათ ლეონიდე ოქროპირიძისთვის ქრისტიანული ლიტერატურის მიწოდება და ქართული სამკითხველოს დაარსება. ეს წერილი ეპისკოპოსისთვის ძალიან ამაღელვებელი აღმოჩნდა და სიხარულის ცრემლებითაც უტირია. წერილის მიწერიდან ერთ წელიწადში, 1913 წელს ქობულეთელთა სურვილი შესრულდა – ქალაქში პირველი ქართული ბიბლიოთეკაც გაიხსნა (ალიბეგაშვილი, 2019:5-6).

აქვე გვსურს წარმოგიდგინოთ საინტერესო ფოტოები ლუარსაბ ტოგონიძის ფოტო-არქივებიდან, რომლებიც მოგვაწოდა დეკანოზმა გაბრიელმა (ჟღენტი) და ისტორიკოსმა უჩა ოქროპირიძემ, რისთვისაც ძალიან დიდ მადლობას ვუხდით მათ.



ფოტო გადაღებულია ქობულეთში 1913 წელს, პირველი ბიბლიოთეკის გახსნის დღეს.
წინა ხაზში სხედან: მარცხნიდან მეორე – სკენდერ ეფენდი ცივაძე, მეოთხე – გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდე ოქროპირიძე, მის უკან დგას მწერალი დავით კლდიაშვილი. დგანან: მარცხნიდან პირველი – მღვდელი ბენიამინ ღლონტი და მესამე – გულო აღა კაიკაციშვილი.



მეორე ფოტოც ასევე ქობულეთშია გადაღებული. ცენტრში ზის მღვდელი ბენიამინ ღლონტი, რომლის ირგვლივ ადგილობრივი ახალგაზრდები არიან

მართალია, აღნიშნულ პერიოდში ქობულეთში ძალზედ მცირე იყო ქართული წერა-კითხვის მცოდნე, რაზეც შენიშნავდა ზაქარია ჭიჭინაძე, მაგრამ მოსახლეობაში შემონახული იყო დამწერლობის ძველი სახე „დედაბრული“ ხელის სახით. ადგილობრივი მოსახლეობა ქართულ მწერლობას და ქრისტიანულ ლიტერატურას მღვდელ ბენიამინ ღლონტისა და მისი შესანიშნავი მედავითნის დახმარებით ყოველდღიურად ეცნობოდა, რასაც ლეონიდე ოქროპირიძის წერილიდან ვგებულობთ. სასულიერო პირთა მისიონერული ღვაწლით გაიზარდა წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობა, ჩამო-

ყალიბდა მრევლი, რომელიც 30 კომლისგან შედგებოდა, რაც მინიმუმ 90 ადამიანს ნიშნავს (ალიბეგაშვილი, 2019:8). სავარაუდოდ, მრევლის მეტ რაოდენობაზე მიანიშნებს ექიმ პანტიუხოვის ინფორმაცია, რომლის მიხედვით 1887, 1889 და 1890 წლებში ჩურუქ-სუში დაბადებულა 230 მართლმადიდებელი ქრისტიანი, ხოლო 102 ადამიანი გარდაცვლილა (პანტიუხოვი, 1900:46).

რა თქმა უნდა, სასულიერო მოღვაწეთა ძალისხმევა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან მჭიდრო კავშირში წარიმართა. სწორედ ამ პერიოდიდან შეინიშნება ქართული მოწინავე საზოგადოებრიობის ინტერესის ზრდა აჭარის მიმართ. მუჰაჯირობის ტრაგედიით გამოწვეულ ტკივილს ნამდვილი ჭირისუფალივით თანაუგრძნობდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, სერგეი მესხი, იაკობ გოგებაშვილი, ზაქარია ჭიჭინაძე, გრიგოლ გურიელი, იოსებ იმედაშვილი და სხვ. დედაეკლესიასთან მათი მჭიდრო კავშირით, ქობულეთის მკვიდრი მოსახლეობის თანადგომით, დედასამშობლოსგან სამსაუკუნოვანი განშორების მიუხედავად, კვლავ გაჩნდა კულტურული განვითარების, სულიერი აღორძინების პერსპექტივა.

XIX საუკუნის 80-იან წლებში, როგორც ცნობილია, ქობულეთის მკვიდრნი აქტიურად დაუკავშირდნენ თბილისში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას," რომელიც 1879 წელს დაარსდა. XIX ს-ის 70-80-იანი წლების მიჯნაზე აღნიშნული საზოგადოების ძალისხმევით, ნაყოფიერი ნიადაგი შეიქმნა ქართული სახალხო სკოლების გახსნისათვის. ამ საქმეს ქობულეთში არაერთი პატრიოტი მამულიშვილი ემსახურებოდა. ესენი იყვნენ: ყურშუმ და მემედ ჭყონიები, რეჯებ და დედე-აღა ნიჟარაძეები, სკენდერ ცივაძე, ხუსეინ ბეჟანიძე, გულო-აღა კაიკაციშვილი და სხვ. უკვე, XIX ს. 70-იანი წლებიდან, აჭარაში იყო დაბალი ტიპის ორი სკოლა – ბერძნული და თურქული (სდსინ, 2009:531). არსებულ პირობებში, ქობულეთის მოსახლეობა მოითხოვდა სკოლების გახსნას და იქ ქართულის სავალდებულო სწავლებას. ამ მიზნით 1890 წელს იონა მეუნარგიამ, 1896 წელს კი ევტიქი მამინაშვილმა ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების წინაშე დააყენა სწავლა-განათლების გავრცელების საკითხი, მაგრამ მათი თხოვნა სკოლის გახსნაზე მხოლოდ მოგვიანებით დაკმაყოფილდა (ცივაძე, 1970:10;კომახიძე,II,2006,:8; მათზე.., 2010:172; ჩელებაძე, 2019:282-306;). სამწუხაროდ, XX საუკუნის 10-იან წლებში მიმდინარე პირველი მსოფლიო ომის გამო, აღმავლობით დაწყებული საქმე ზოგან სკოლების დახურვით დასრულდა (სდსინ, 2009:532;535).

როგორც ვხედავთ, XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში ქობულეთის მხარეში ვითარება პროგრესული იყო და ყველაფერი კარგად მიდიოდა, თუმცა საქმეს აფერხებდა სხვა პრობლემებიც. მღვდელი ბენიამინ ღლოტი, გარდა ქრისტიანობისა, ადგილობრივ მოსახლეობაში აქტიურად ეწეოდა ეროვნული სულისკვეთების გაღვივებას, რასაც დაუპირისპირდნენ ერთმორწმუნე იმპერიის მსახურები და აქტიურად დაიწყეს შესაბამისი ზომების გატარებაც. ისინი მოითხოვდნენ ქობულეთიდან მღვდელ ბენიამინ ღლონტის გაწვევას, რომელიც თითქოსდა რუსულ ენის არასაკმარისი ცოდნის გამო სათანადოდ ვერ ატარებდა წირვა-ლოცვას და ამიტომ რუსი მღვდლის მოყვანას მოითხოვდნენ. საბედნიეროდ, არ შესრულებულა მათი მოთხოვნა, მაგრამ აშკარად ჩანს, რომ ხშირი იქნებოდა ხელოვნურად პროვოცირებული ხელისშემშლელი გარემოებები და გარდა მუსლიმების წინააღმდეგობისა, ბენიამინ ღლონტს არც ერთმორწმუნე რუსების წინააღმდეგობები არ უნდა დაკლებოდა (ალიბეგაშვილი, 2019:8).

ამრიგად, ქობულეთის მოსახლეობამ საქართველოს სასულიერო პირთა თავდადებული ღვაწლითა და ქართველ მამულიშვილთა მხარდაჭერით შეძლო მართლმადიდებლური სარწმუნოებისთვის ნიადაგის მომზადება, რითაც ქობულეთში საბოლოოდ აღდგა წირვა-ლოცვა. ასე, რომ ქრისტიანული სარწმუნოების ისტორია ქობულეთში კიდევ ერთი მაგალითია უფლის სიტყვების ჭეშმარიტებისა – „ამას კლდესა ზედა აღვაშენო მე ეკლესიაჲ ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას" (მათე, 16,18) – რომლიდანაც ჩანს, რომ ეკლესია მუდმივ ბრძოლაში იქნება ბოროტებასა და ცოდვასთან, მაგრამ მას ჯოჯოხეთის ძალებიც კი ვერაფერს დააკლებენ.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ალიბეგაშვილი, 2019: – კონსტანტინე ალიბეგაშვილი, „ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქ ლეონიდე ოქროპირიძეს 100 წლის თავს ტახტზე აღსაყდრებიდან", თბილისი, 2019.

2. ახალი აღთქმა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, (მათე 16, 18)
3. ბაქრაძე, 1987: – დიმიტრი ბაქრაძე, „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“ , გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა „, 1987
4. ბაბილოძე, 1958: – გრიგოლ ბაბილოძე. სახალხო განათლება აჭარის ასს რესპუბლიკაში (1921-1957 წწ.). ბათუმი.
5. ბადაშვილი, 2023: – ბერძნები საქართველოში/Greeks in Georgia. (XIX საუკუნის II ნახევარი – XX საუკუნის დასაწყისი) თბილისი, საქართველოს ეროვნული არქივი
6. ვარდოსანიძე, 2014: – სერგო ვარდოსანიძე, „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი (1861 წწ.), გამომცემლობა „ნათლისმცემელი“, თბილისი, 2014.
7. ინაიშვილი, 1993, – ნინო ინაიშვილი. ციხისძირის ახ.წ. I – VII სს. არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“
8. მათზე წერდა აჭარა, 2010, – ბათუმი. გამომც., „აჭარა“.
9. სახოკია, 1985-თედო სახოკია. მოგზაურობანი. ბათუმი. „საბჭოთა აჭარა“.
10. სდსინ, 2009: – სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები – აჭარა, ტომი II, V საუკუნე – 1877 წელი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ბათუმი, 2009.
11. სინ, 1973: – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, რვა ტომად. ტომი II, გამომც., „საბჭოთა საქართველო“, თბილისი
12. ფრენკელი, 2012: – ნარკვევები ჩურუქ-სუ-ზე და ბათუმზე – ლექსიკონი და საძიებლები დაურთო რამაზ სურმანიძემ; თარგმნა აზიზ ახვლედიანმა. თბილისი, 2012.
13. ყაზბეგი, 1960 – გიორგი ყაზბეგი. სამი თვე თურქეთის საქართველოში. ბათუმი. გამომც. „საბჭოთა აჭარა“.
14. შაქარიშვილი, 2023: – სულხან შაქარიშვილი, საველე ექსპედიციის დღიური №1,2
15. ჩელებაძე, 2012: – ნაილა ჩელებაძე. „დედაბრული“ ხელის თავისებურების შესახებ, საერთაშორისო კონფერენცია – „საქართველო და თურქეთი: კულტურულ ურთიერთობათა ისტორია, დღევანდელობა და პერსპექტივები“. თბილისი.
16. ჩელებაძე, 2019: – ნაილა ჩელებაძე, განათლება და კულტურა ქობულეთის მუნიციპალიტეტში, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, XIV, (2019): ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ბათუმი
17. ჩხატარაიშვილი, 1964 – ქველი ჩხატარაიშვილი. გურიის სამთავროს პოლიტიკური ისტორიიდან (XVIII საუკუნის 70-80-იანი წლები), ჟ. „მაცნე“, №4, 1964
18. ცივაძე, 1970 – ეთერ ცივაძე. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის განვითარება აჭარის ასს რესპუბლიკაში. ბათუმი. „საბჭოთა აჭარა“.
19. ჭიჭინაძე, 1915 – ზაქარია ჭიჭინაძე. ვინ სწერა ქართველ მაჰმადიანთა შესახებ? ჟ. „თეატრი და ცხოვრება“, №26. თბილისი.
20. ჭიჭინაძე, 2004: – ზაქარია ჭიჭინაძე. ქართველთა გამუსლიმება სამხრეთ-დასავლეთ კავკასიაში (ზეპირი გადმოცემების მიხედვით). თბილისი.
21. ჭიჭინაძე, 2013 – ზაქარია ჭიჭინაძე. მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში. გამომც., „უნივერსალი,“ თბილისი
22. ხახუტაიშვილი, 2017 – მზია ხახუტაიშვილი. ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელი. თბილისი.
23. წულაძე, 1991 – აპოლონ წულაძე. ძმური სიტყვა. ბათუმი. „აჭარა“.
24. Пальгрев Джиффорд. Отчеть о провинциях Трапезондской, Сивасской,Кастамуниискрой и части Ангорской . ИКОИРГО, Т. 7, №2, 1882.
25. Д-рь Пантюхов. Кобулети как приморский курорт. Тифлис,1906.
26. ინტერნეტ-რესურსი: ლაბაძე, 2019: – ლაბაძე მიხეილ, „მაი ამბავი გურჯისტანში რომ არავინ იცოდეს, სირცხვილია...“ – ქობულეთელთა აჯანაყება ნაილ-ბეგ ხაჯიშვილის მეთაურობით, გაზ. „კვირის პალიტრა“, 2019 წლის 26 მარტი, https://kvirispalitra.ge/article/52009-qmai-amsbasvi-gursjisstansshi-rom-arasvin-icosdes-sirsckhvisliaq-qobulethel tha-ajanayeba-nail-beg-khasjishsvislis-methaurobith/

THE MANIFESTATION OF BIBLICAL TRUTH FROM THE HISTORY OF KOBULETI

NAILA CHELEBADZE
PhD in history, Senior Researcher at the Department of
Ethnology and Sociological Research, Niko Berdzenishvili
Institute of Batumi Shota Rustaveli State University;
Professor at of St. Tbel Abuserisdze
Teaching University of Georgian Patriarchate
E-mail: naila.chelebadze@bsu.edu.ge
ORCID: 0009-0003-2451-1753

SULKHAN SHAKARISHVILI
MA in History, St. Tbel Abuserisdze University
of the Georgian Patriarchate
E-mail: sulkhanshaqarishvili@gmail.com
ORCID: 0009-0008-9057-3203

Abstract: Based on the works of Zakaria Chichinadze, Dimitri Bakradze, Sergo Vardosanidze, Batumi Shota Rustaveli State University, and the Niko Berdzenishvili Institute, the state of Christianity during the Ottoman occupation and the post-Ottoman period has been studied in the administrative unit of Kobuleti. The research revealed that despite severe pressure and hardships, Christianity did not disappear. Christian beliefs, though dimmed, continued to exist among the local population like smoldering embers. Their revival was greatly supported by the dedicated efforts and active actions of patriotic individuals.

Key words: Christianity; Kobuleti; Ottoman occupation

* * *

The spiritual development of Adjara in the very first century is linked to the missionary activity of Christ's disciples – Andrew the Apostle, Matthias, Simon the Canaanite, and others – who spread Christianity in Upper Adjara (Didi Adjara). Naturally, this process must also have extended to the territory of the present-day Kobuleti Municipality, where remnants of early-Christian monuments (Tsikhisdziri-Bobokvati) and burial sites have been discovered (Inaishvili, 1993:43; Chichinadze, 2004:114). During the long period of Ottoman rule, these monuments, like other Georgian cultural and educational centers, were being destroyed. In their place, Muslim religious shrines and schools were established, serving as powerful tools for the Turkification of the local population and the firm implantation of Islam (Sakhokia, 1985:234; Babilodze, 1958:29; Kazbegi, 1960:88). Despite this, the residents of Kobuleti preserved Georgian national consciousness, identity, the Georgian language, and the „Dedabruli" writing style (Bakradze, 1987:47; Sakhokia, 1985:125; Chelebadze, 2012:12; Khakhutaishvili, 2017:15).

During Ottoman rule in Adjara, numerous clergymen averted the danger of Islamization, the surviving portion of church property was transferred to neighboring districts (Bakradze, 1987:112–125). Even amid the growing power of Islam and later during the period of anti-religious struggle, the population retained memory and respect for Christian monuments and managed, on the basis of centuries-old biblical traditions, to preserve them in folk versions.

The issue of fighting for the Christian faith was especially acute in Kobuleti, as in all of Adjara. As is known, from 1723 the Ottomans occupied the coastal territories of Kobuleti. The local population did not lose its fighting spirit and tirelessly sought liberation from the Ottoman yoke. Darejan Tavdgiridze led this struggle. In 1737, Patriarch Domenti – who was visiting Kobuleti and was the brother of Vakhtang

VI – met Darejan Tavdgiridze with whom he appointed the King of Imereti, Alexander V, as commander in the battle to free Kobuleti from the Ottomans (Sdsin, 2009:257). Unfortunately, this plan failed, and in 1772, when Russian troops left Georgian territory, the Ottomans managed to occupy Kobuleti. At that time, the bishop of the Khino Eparchy was Ioane Tsutsunava, who had been left with no choice apart from to fleeing Kobuleti (Sin, 1973:659).

As for the ruling dynasty of Kobuleti, Mamuka Tavdgiridze moved to Aketi. His son Maksime, already Islamized and renamed Suleiman, was appointed bey of Kobuleti. Despite the difficulties of the 1770s, the residents of Kobuleti did not lose their fighting spirit, placing their hope in a connection with Solomon I, King of Imereti. The mentioned spirit was echoed in the 1784 Battle of Nachiskrevi. In March of the same year, Solomon I marched toward Kobuleti and, with the help of local patriots, succeeded in taking Kobuleti, recapturing Chakvi and villages around Batumi. However, on the return march, on 9 March, the enemy – treacherously lying in ambush near Tsikhisdziri – defeated the patriot king. As a result of this defeat, the local people of Kobuleti entered the 19th century under Ottoman possession (Chkhataraishvili, 1964:129).

To illustrate the situation of that time, the notes of Gifford Palgrave, British consul in Trebizond, who walked the entire Lazistan region between 1862 and 1872, are of interest:

“Churuk-su, a village that bears the name of the district and serves as its administrative center… In Churuk-su there are 145 shops and 75 houses. Other than that, there is: a mosque, an old barracks for 400 soldiers… The district contains 17 villages: houses – or more accurately, households (families) – number 1,445; the total population of both sexes (including children) equals 7,378. They are Georgian by origin and Muslim by faith; their conversion occurred at the beginning of the past century. They all speak only Georgian…“ (Palgrave, 2012:50–55).

Palgrave’s records show that the majority of Kobuleti’s population had already been Islamized. In this regard, the information provided by Dimitri Bakradze in his famous work „Archaeological Journey through Guria and Adjara“ is significant. The historian traveled in Kobuleti in 1873, when the town was still under the Ottoman yoke. The author describes the crisis of Christianity after the bishop’s departure from Khino and the consequences of the spread of Islam in Kobuleti almost a century later:

“Churuk-su is completely Islamized, though traces of Christianity still remain: on the way they showed me several Christian churches, specifically in Sameba, Varjanuli, Khutsubani, and Gvara. The Gvara temple is known as Tetrosani and is especially famous in Churuk-su and all of Guria. The temples of Churuk-su have turned into ruins, yet the local inhabitants – though I cannot say they respect them – simply fear them: they often attribute illness, every kind of misfortune, the loss of livestock in the family to the wrath of the abandoned temples and their icons. For this reason, from time to time they sacrifice sheep, chickens and other animals. The icon of the Mother of God at Tetrosani especially attracts many worshipers.“ (Bakradze, 1987:18–20)

D. Bakradze notes that at that time 9,592 Georgian Muslims lived in Kobuleti, comprising more than 90% of the population (Bakradze, 1987:18–20). It is clear that the population had to abandon their own faith at the cost of great sacrifice. As 120-year-old Kamjaridze from Achkvistavi told Zakaria Chichinadze, as a result of Ottoman domination the majority of Kobuleti’s population had resettled in Guria. Ultimately, the Ottomans, with false promises that they would not interfere with Christianity, returned the people who had fled to Guria and Kutaisi. Indeed, at first church services were restored, and the Ottomans were satisfied with only the payment of tribute. But a short time later, when the Ottomans saw that the depopulated area had refilled, they immediately began putting them under duress. They stationed a large detachment at Choloki, closed the border with Guria, and quartered the remaining soldiers in Kobuleti villages. After military mobilization, they gathered all male residents of Kobuleti together and demanded that everyone convert to Islam. The locals’ first response was firm and unyielding: „We cannot; we will not become Muslims – we will die first rather than do that.“ The Ottomans forced Islamized inhabitants of Kobuleti to exert psychological pressure on the locals, but achieved nothing. In the village of Chakhati they built gallows with ship’s rope and hanged a great many people (local people

from Kobuleti) there. Everyone who refused to renounce Christianity was executed. „For several days they hanged them from trees with ropes; great chaos ensued, great bloodshed. The Ottomans neither let the Christians stay, nor let them go elsewhere; our people still would not convert, so day and night there was slaughter of people, crying of women and children, and great misery.“ The fact was that no help appeared from anywhere. Despite Simon Gurieli's attempts, the mass killing of Kobuleti residents continued. Ultimately, this had its results. A large part of the population was destroyed, and those who survived alive were morally broken and converted to Islam. Despite changing their faith, the locals still honored the churches and icons and secretly prayed in the churches. When the Ottomans figured this out, they turned to demolishing churches and converting them into mosques. This is how the Church of the Archangel in the village of Achkva was destroyed. Unable to save the temple, the population removed icons, crosses, books, and other items from it and hid them in a specially dug pit. The Ottomans convinced the youth that Christians were born to work and serve as slaves, while Muslims were born to worship, to pray; According to the Ottomans, the main thing was to pray five times a day and take one's livelihood from the labor of a Christian. Go, steal it, or take it away; God will not hold you accountable for it“ they said. They constantly nagged the Islamized that if one befriends a Christian or drinks wine with them, after death a snake will crawl into their mouth and poke its head out of their waist.

Despite all this massacre, physical and psychological violence, Christianity could still not be eradicated in Kobuleti. It is revealed from the narrative of the elder Mzhavanadze to Z. Chichinadze that Christianity was still secretly preserved in Kobuleti. In the Khalvashi and Goradze families, they had a hidden priest who had removed his clerical robe and wore secular clothing. As is known, the Guria region was not Islamized, and at the cost of their lives, the residents of Kobuleti would sneak into neighboring villages on Christian holidays to pray. Specifically, on Easter they crossed into the church of Kakuti, which was part of Guria. Not to mention holidays, the locals even tried to bury their dead according to Christian rites. Sometimes they secretly took the deceased to Guria, and sometimes, conversely, brought a priest from Guria. There were cases when, during the secret transfer of the deceased to Guria, the Ottomans would take the body from the mourners and leave it on the road to be scavenged by animals (Chichinadze, 1915:104–113).

In 1876, it was precisely the murder of a priest who had come from Guria to conduct the funeral rites for a deceased resident of Kobuleti that led to an uprising of the locals under the leadership of Nail-Beg Khajishvili. In 1876, the countries of the Balkan Peninsula declared war on the Ottoman Empire. Since the Ottoman Empire was dominant in Kobuleti at that time, the Ottomans also drafted the inhabitants of Kobuleti into the war. Two months later, four men from Kobuleti escaped from the front and brought news to their homeland about how brutally the Ottomans treated Georgians in the war. This was compounded by another significant event – namely, the murder of the priest. The matter was that priests from Guria, which was within the borders of the Russian Empire, often crossed into Kobuleti to perform services and secretly baptized the local Georgians. However, since war was ongoing at the time, the situation at the border was extremely tense, and the Ottoman soldiers killed the Gurian priest who had come to Kobuleti for the burial. In response, the residents of Kobuleti killed seven Ottoman soldiers (Albanians). The Ottomans did not delay requesting reinforcements from Istanbul. The locals did not sit idle either. In the village of Mukhaestate in Kobuleti, a man named Khasan killed four Turkish soldiers. Soon people gathered from other villages as well, and they chose the local Nail Beg Khajishvili as their leader. Nail Khajishvili divided the rebels into two groups. One group was to attack the Kobuleti fortress from the south, which the Ottomans controlled, the second from the north. The leader also sent men to purchase cannons and contacted ethnic Georgian askers (soldiers) conscripted into the Ottoman army who were trapped in the fortress. Ultimately, the people from Kobuleti captured the fortress. Nail Beg also requested help from Gurian residents and prepared for a counter-battle. The Georgians expected an Ottoman attack from the sea, but the Ottomans unexpectedly struck from the Chakvi side as well. Despite the Ottomans' numerical superiority, they were forced to concede their positions. Meanwhile, people from Guria appeared in the form of people's militia, which the Ottomans interpreted as the arrival of the

Russian army, frightening them into beginning a retreat. After repelling this land attack, the Ottomans also appeared from the sea. Here Nail Beg Khajishvili was cunning and did not order the Ottoman flag to be removed from the fortress, so that the Ottomans would think they were their own. Indeed, the Ottoman ships peacefully approached the Kobuleti coast and dropped anchor in the sea. Nail Beg seized the moment and ordered the cannon to be fired. The Ottomans had only two ships, one of which was damaged. Despite Kobuleti residents correct tactical moves, the Ottomans' numerical superiority prevailed. The battle ended at nine o'clock in the evening, and the majority of the rebels of Kobuleti fell heroically on the battlefield. Nail Beg Khajishvili himself was so gravely wounded that when the enemy entered the fortress, they thought he was dead and threw him straight into the sea along with the other corpses. Two warriors survived with Nail Beg, who managed to reach Russian territorial waters, where they were found by Gurian fishermen. Even more interestingly, Nail Beg Khajishvili fought in the 1877–1878 Russo-Turkish War as a captain of the Gurian people's detachment (Labadze, 2019).

Thus, despite the Ottomans' prolonged and brutal rule, one part of Kobuleti's population managed secretly to preserve the Christian faith. Moreover, there were cases where the embittered population did not shy away from rebellion and bloodshed. The population's preservation of Christianity was expressed at the level of oral traditions and beliefs. For example, if any misfortune occurred, the population blamed it on the abandonment of the old shrines, about which the journalist of the time, Aleksandre Frenkeli, writes clearly: „Christian traditions live powerfully in the memory of the Kobuleti people; when they are afflicted by some misfortune or illness, they attribute it to the wrath of the temple (shrine) abandoned by their ancestors... They bring a chicken, a sheep, and other offerings. There are still secret Christians in the country" (Frenkel, 2012:120).

As is known, the 1877–1878 Russo-Turkish War ended with Russia's victory. This war brought great victory and joy to the Georgians, especially to the large part of Georgia under the Ottoman yoke, including Adjara. The post-war processes and measures carried out by the Russian authorities naturally affected Kobuleti as well. The attitude of Kobuleti's inhabitants toward this fact is fully conveyed by the following words of Gulo Agha Kaikatsishvili, who, together with his detachment, was dressed in Georgian national clothes: „Our Georgians, our brothers, our relatives, our cousins, my dear – my eyes have seen you today, our brothers in Kobuleti. I thank God and honor His providence that our and your longing has been fulfilled; God has united us."




Nail Beg Khajishvili

It is true that, Although the restoration and spread of Christianity was also profitable for Russia after Adjara's return to the motherland, this process was slowly gaining momentum, but it was severely affected by the heavy consequences of „muhajirism" (migration). According to Article 21 of the San Stefano Treaty signed on March 3, 1878, a portion of the population under Russian administration had the right to free migration for three years. Although this document was officially signed in 1878, the muhajirism as a process began earlier, from 1877, and continued after 1881. Clearly, the Ottomans' long rule left its mark on the consciousness of Kobuleti's local population as well. It was understood by that part of the local proportion – whose representative, Khasan Beg Bezhanidze from Kobuleti, explained it as follows

– that time would be needed for the formation of religious views and a return to the Christian faith: „If the local population had remained in Kobuleti, over time they would naturally abandon Islam and accept Christianity, which was unacceptable to them“. Notably, Kobuleti inhabitants explained the reason for resettlement as follows: „We cannot get close to the Russians and Georgians; their customs and rules are against our faith. They will enter our families and destroy all that is ours.“ These words clearly show the damage to the consciousness of Kobuleti's population, which was systematically carried out by active Ottoman propaganda with the complicity of venal local leaders. In addition, facts of forced resettlement of the population are attested. The number of muhajirs is reflected in the statistics compiled by Z. Chichinadze as follows: Kakuti – 30 households, Leghva – 25 households, Tskavroka – 50 households, Kokhi – 40 households, Chekhedana – 30 households, Achkvistavi – 30 households, Zeniti – 40 households, Alambari – 100 households, Gvara – 30 households, Khutsubani – 50 households, the village of Kobuleti – 40 households, Kondidi – 20 households, Kvirike – 137 households, Dagva – 30 households, Sameba – 20 households, Chakhati – 10 households, Kechieti – 20 households, Varjanuli – 15 households, Tkemakaravi – 10 households, Tskheumani – 10 households, Kobalauri – 40 households, and others. According to these data, 1,200 households resettled from Kobuleti, though, as Z. Chichinadze notes, this number is far less than the locally reported information about the resettlement of 2,000 households from Kobuleti, which the author explains by the fact that he did not describe the small villages (Chichinadze, 2013:51–65).

As a result of all this, the demographic situation in Kobuleti deteriorated severely (Frenkeli, 2012:197), but the spread of Christianity was accelerated by another factor as well. Christian Greeks began to be resettled from Turkey, significantly altering the religious situation in Kobuleti. For example, in the village of Dagva in Kobuleti, 21 Greek families settled in 1881, and by 1907 their number had reached 602 people. The Greeks created great grounds in Kobuleti, at the time under Christian Russia, and this yielded results – several Greek churches were built in Kobuleti (Badashvili, 2023:27). For example, the Greeks who settled in the village of Kvirike in Kobuleti built the Church of Saints Helena and Constantine between 1898 and 1910.



In the village of Dagva, the settled Greeks built the Church of the Dormition of the Mother of God



In the village of Achkva, the settled Greeks built the Churches of Saints Peter and Paul, Saint Theodore Tyron, and Saint George



Church of Saints Peter and Paul in Achkva

The first church built in the town of Kobuleti in the post-Ottoman period is linked to the name of a Russian general. According to a tradition widespread among the population, the construction of this church is also connected to a miracle of Saint Nicholas, who saved sailors from a storm and washed ashore at the site of this church (Shakarishvili, Diary №1). During the 1877–1878 Russo-Ottoman

War, General Sheremetev died on the Kobuleti front; He was first buried in the brothers' cemetery, and about two years later he was reburied separately from the soldiers in the yard of the present theological gymnasium, and the Church of Saint Nicholas was built for the repose of his soul. After the Ottoman rule, numerous clergymen engaged in missionary activity in Kobuleti. First and foremost, we must name Leonide Okropiridze, who accurately defined the way to approach the Islamized Adjarians and gain their trust: „Well, if we want to approach the Muslim Georgians nationally and culturally and become inseparably blood-related to them, we must take the morsel from our mouths, take off our shirts, and cover Adjara-Kobuleti with Georgian literacy" (Tsuladze, 1991:137-138). The fact that Leonide Okropiridze became acquainted with Kobuleti early on and took up the cross of missionary work is clearly seen from a letter to his uncle, Bishop Aleksandre Okropiridze. This assumption is strengthened by the circumstance that in 1888, appointed as school inspector, the restorer of Christianity Leonide Okropiridze worked specifically in Kobuleti as well. This circumstance is addressed in correspondence dated 1888 from Bishop Aleksandre Okropiridze to Leonide: „They prophesy missionary work for you in Saingilo, Kobuleti-Adjara, and the Black Sea coast, and what do you say to that?" In response, Hieromonk Leonide replied: „I was educated in the seminary at the expense of the Society for the Restoration of Christianity, and therefore, my moral obligation not to fail that society – missionary work – was a memorial to me by God's providence even in childhood. Later, the same providence of God showed me the very place for my labor. Who would not realize that it was God's providence and not a mere coincidence that I was with you in Kobuleti, spoke about this subject, and saw the ruins of the old Tetrosani church with you! That time is, and will be unforgettable for me. I fell in love with Kobuleti at that time; I immediately felt the closeness of the people of Kobuleti, and I swear to God that my heart and soul have remained here ever since" (Vardosanidze, 2014:12-13).

As the letter reveals, Aleksandre Okropiridze, who was Bishop of Guria in 1882–1885, had traveled in Kobuleti. The path was opened for Georgians and Christians in general from 1878, and missionary work began from that time. If Leonide Okropiridze recalls being in Kobuleti with his uncle and discussing missionary work, then they must have been there in the early 1880s, more precisely before 1884, since from that period until 1888 Leonide Okropiridze studied at the Kiev Theological Academy. Moreover, the fact that until 1887 a priest was brought from Batumi to the Smekalovka church in the Kobuleti area to perform baptisms and other Christian sacraments is also confirmed by the notes of doctor Pantiukhov (Pantiukhov, 1900:45). Thus, the hieromonk Leonide Okropiridze worked in Kobuleti from 1889, and from 1891 the priestly mission was continued by Beniamin Ghlonti. This fact is specified in Leonide Okropiridze's 1915 note, where it is recorded that a missionary priest has already been active in Kobuleti for 24 years. As Bishop Leonide Okropiridze himself characterized him, Beniamin Ghlonti was not distinguished by empty phrases or demonstrative speeches. Yet the locals respected him so much that they often called him even to the mosque to seek advice. No wedding in Kobuleti passed without asking Beniamin Ghlonti to bless them. Also visits to his family were frequent. If Dimitri Bakradze writes that one could not see women from Kobuleti outside, now Leonide Okropiridze emphatically notes the candid conversations of local Muslim women with this dedicated cleric. In the same period, a parish school was also opened in Kobuleti, as a result of which many locals were converted to Christianity, and his name even reached neighboring Muslims (In the church-parish school… children up to 12 years old are taught (Pantiukhov, 1900:42). For example, Imam living in Khulo addressed Leonide with the following words: „We, the Muslim Georgians of Khulo, have heard that you show mercy the Muslim Georgians of Kobuleti, spread Georgian literacy in Kobuleti, facilitate the opening of schools, and help our brothers there with the education of their children. We are also brothers and neighbors of the people of Kobuleti, we follow their religion and speak their language, we thought that you would also come to Adjara, bring your fraternal word to the people of Adjara, and lead us in the education of our children. We are tired of looking towards your road for so long, and now I have personally come to you to ask you to come to Khulo and bring us closer, like the people of Kobuleti." These words clearly display what the situation must have been like in Kobuleti at that time. As we know, Christianity is a religion of literacy,



The photo was taken in Kobuleti in 1913, on the day of the opening of the first library.
In the front row sitting: from the left, second – Skender Efendi Tsivadze, fourth – Bishop of Guria-Samegrelo Leonide Okropiridze; standing behind him is the writer Davit Kldiashvili. Standing: from the left, first – priest Beniamin Ghlonti, and third – Gulo Agha Kaikatsishvili.



The second photo was also taken in Kobuleti. In the center sits priest Beniamin Ghlonti, surrounded by local youth

the spread of Christian literature is of great importance for its dissemination and better understanding. Kobuleti was no exception. In 1912, Kobuleti people themselves requested Leonide Okropiridze to supply Christian literature and establish a Georgian reading room. This letter was very moving for the bishop, and he even wept tears of joy. One year after the letter was written, in 1913, The wish of the residents of Kobuleti was fulfilled – the first Georgian library was opened in the town (Alibegashvili, 2019:5-6).

Here we also wish to present interesting photographs from the photo archives of Luarsab Togonidze, which were provided to us by Deacon Gabriel (Zhghenti) and historian Ucha Okropiridze, for which we thank them very much.

True, in the mentioned period the number of that literate in Georgian in Kobuleti was extremely small, as Zakaria Chichinadze noted, but among the population the old form of script, „Dedabruli" handwriting, was preserved. The local population became acquainted daily with Georgian literature and Christian texts with the help of priest Beniamin Ghlonti and his excellent chanter, as we learn from Leonide Okropiridze's letter. Thanks to the missionary labor of the clergy, the number of literate people grew, a parish was formed consisting of 30 households, which means at least 90 people (Alibegashvili, 2019:8). Probably a larger congregation is indicated by the information of doctor Pantiukhov, according to which in 1887, 1889, and 1890, 230 Orthodox Christians were born in Churuk-su, and 102 people died (Pantiukhov, 1900:46). The information from Dr. Pantiukhov likely hints at a greater number of parishioners, according to which 230 Orthodox Christians were born and 102 people died in Churuk-su in 1887, 1889, and 1890 (Pantiukhov, 1900:46).

Of course, the efforts of the religious figures were closely linked to the national liberation movement in Georgia. It is precisely from this period that an increase in the interest of the progressive Georgian society towards Adjara is noticeable. Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli, Vazha Pshavela, Sergey Meskhi, Iakob Gogebashvili, Zakaria Chichinadze, Grigol Gurieli, Ioseb Imedashvili, and others sympathized with the pain caused by the tragedy of muhajirism like true mourners. Through their close connection with the Mother Church, the support of the indigenous population of Kobuleti, and despite a three-century separation from the Motherland, the prospect of cultural development and spiritual revival re-emerged.

In the 1880s of the 19 th century, as is known, the residents of Kobuleti actively connected with the „Society for the Spreading of Literacy among Georgians" in Tbilisi, which was founded in 1879. At the turn of the 1870s and 1880s through the efforts of this society, fertile ground was created for the opening of Georgian public schools. Several patriotic individuals served this cause in Kobuleti. These were: Kurshum Chkonia, Memed Chkonia, Rejeb and Dede-Agha Nizharadze, Skender Tsivadze, Khusein Bezhanidze, Gulo-Agha Kaikatsishvili, and others. Already from the 1870s there were two low-level schools in Adjara – Greek and Turkish (SDSIN, 2009:531). Under the existing conditions, the population of Kobuleti demanded the opening of schools and the compulsory teaching of Georgian in them. For this purpose, Iona Meunargia in 1890 and Evtikhi Maminashvili in 1896 raised the issue of spreading education before the Society for the Restoration of Christianity, but their request for the opening of schools was satisfied only later (Tsivadze, 1970:10; Komakhidze, II, 2006:8; On them.., 2010:172; Chelebadze, 2019:282-306;). Unfortunately, due to the First World War in the 1910s, the work that started with momentum ended with the closure of schools in some places (SDSIN, 2009:532;535).

As we can see, the situation in the Kobuleti region was progressive at the end of the 19th century and the beginning of the 20th century, and everything was going well, but other problems also hindered the work. Priest Benjamin Ghvlonti, in addition to Christianity, was actively engaged in awakening the national spirit among the local population, which was opposed by the servants of the empire that shared the same religion, and they actively began to take measures. They demanded the recall of Priest Benjamin Ghlonti from Kobuleti, who allegedly could not properly conduct services due to insufficient knowledge of the Russian language, and therefore demanded the introduction of a Russian priest. Fortunately, their demand was not met, but it is clearly visible that there would have been frequent artificially provoked hindering circumstances, and besides the resistance of the Muslims, Benjamin Ghlonti must have also faced the resistance of the co-religionist Russians (Alibegashvili, 2019:8).

Thus, the population of Kobuleti, through the dedicated labor of the Georgian clergy and the support of Georgian patriots, managed to prepare the ground for the Orthodox faith, thereby finally restoring

services in Kobuleti. Thus, the history of the Christian faith in Kobuleti is another example of the truth of the Lord's words: „And I tell you that you are Peter, and on this rock I will build my church, and the gates of hell shall not prevail against it" (Matthew 16:18) – which shows that the church will be in constant struggle with evil and sin, but even the forces of hell will not be able to harm it.

References:

1. Alibegashvili, 2019: – Konstantine Alibegashvili, „Dedicated to the 100th anniversary of the enthronement of Catholicos Patriarch of All Georgia Leonid Okropiridze", Tbilisi, 2019.
2. The New Testament of our Lord Jesus Christ (Matthew 16:18)
3. Bakradze, 1987: – Dimitri Bakradze, „Archaeological Journey to Guria and Adjara", Publishing House „Soviet Adjara", 1987.
4. Babilodze, 1958-Grigol Babilodze. Public Education in the Autonomous Republic of Adjara (1921-1957). Batumi.
5. Badasvili, 2023: – Nino Badasvili. Greeks in Georgia. (THE SECOND HALF OF THE 19th CENTURY – THE BEGINNING OF THE 20th CENTURY). The National Archives of Georgia. Tbilisi
6. Vardosanidze, 2014: – Sergo Vardosanidze, „Catholic Patriarch of All Georgia, His Holiness and Beatitude (1861-), Publishing House „Baptist", Tbilisi, 2014.
7. Inaishvili, 1993, – Nino Inaishvili. Tsikhisdziri AD. I – VII centuries. Archaeological monuments. Tbilisi, Publishing House „Science"
8. Adjara wrote about them, 2010, – Batumi. Publisher: „Adjara".
9. Sakhokia, 1985-Tedo Sakhokia. Travels. Batumi. „Soviet Adjara".
10. SDSIN, 2009: – Essays on the History of Southwestern Georgia – Adjara, Volume II, 5th Century – 1877, Batumi Shota Rustaveli State University Publishing House, Batumi, 2009.
11. Sin, 1973: – Essays on the History of Georgia, in eight volumes. Volume II, published by „Soviet Georgia", Tbilisi
12. Frenkel, 2012: – Essays on Churukh-Su and Batumi – Dictionary and search terms added by Ramaz Surmanidze; translated by Aziz Akhvlediani. Tbilisi, 2012.
13. Kazbegi, 1960-Giorgi Kazbegi. Three months in Turkish Georgia. Batumi. Publisher: „Soviet Adjara".
14. Shakarishvili, 2023:-Sulkhan Shakarishvili, so-called Field Expedition Diary №1,2
15. Chelebadze, 2012 – Naila Chelebadze. On the peculiarities of the „mother-in-law" hand, International Conference – „Georgia and Turkey: History, Present and Perspectives of Cultural Relations". Tbilisi.
16. Chelebadze, Education and Culture in Kobuleti Municipality, Proceedings of the Niko Berdzenishvili Institute, XIV, (2019): Batumi State University Publishing House, Batumi, 2019.
17. Chkhataraishvili, 1964-Kveli Chkhataraishvili. From the political history of the Principality of Guria (1870s-1880s), Zh. „Matsne", №4, 1964
18. Tsivadze, 1970-EterTsivadze. Development of the General Education School in the Autonomous Republic of Adjara. Batumi. „Soviet Adjara".
19. Chichinadze, 1915 – Zakaria Chichinadze. Who wrote about Georgian Muslims? J. „Theater and Life", №26. Tbilisi.
20. Chichinadze, 2004: – Zakaria Chichinadze. The Islamization of Georgians in the South-West Caucasus (According to Oral Traditions). Tbilisi.
21. Chichinadze, 2013 – Zakaria Chichinadze. Muslim Georgians and their villages in Georgia. Publisher, „Universal," Tbilisi
22. Khakhutaishvili, 2017-Mzia Khakhutaishvili. Kobuluri-Adjarian Mother's Hand. Tbilisi.
23. Tsuladze, 1991-Apolon Tsuladze. Fraternal Word. Batumi. „Adjara".
24. Palgrave Gifford. Report on the Provinces of Trebizond, Sivas, Kastamuniska, and Part of Angora. IKOIRGO, Vol. 7, No. 2, 1882.

25. Dr. Pantyukhov. Kobuleti as a Seaside Resort. Tiflis, 1906.SDSIN, 2009: – Essays on the History of Southwestern Georgia – Adjara, Volume II, 5th Century – 1877, Batumi Shota Rustaveli State University Publishing House, Batumi, 2009.
26. Internet resource: Labadze, 2019: – Labadze Mikheil, „It's a shame that there is no history in Georgia...“ – led by the Kobuleti Ajanak Nail-Beg Khajishvili, Gaz. „Kviris Palitra“, March 26, 2019, https://kvirispalitra.ge/article/52009-qmai-amsbasvi-gursjisstansshi-rom-arasvin-icosdes-sirsckhvisliaq-qobuletheltha-ajanayeba-nail-beg-khasjishsvislis-methaurobith/

წმინდა ქეთევან დედოფალი და სულის სხეულზე გამარჯვების თეოლოგიური კონცეპტი

ნარი ჩხაბერიძე
თეოლოგიის დოქტორი,
დამოუკიდებელი მკვლევარი, საქართველოს
ბიზანტინოლოგთა ეროვნული კომიტეტი
ელ. ფოსტა: chkhaberidzenari@gmail.com
ORCID: 0009-0001-7011-4818

აბსტრაქტი: საკონფერენციო მოხსენება ეძღვნება XVIII-XIX სს მძიმე პოლიტიკურ-რელიგიურ ვითარებას ირანის, ოსმალეთისა და რუსეთის ურთიერთდაპირისპირების მსხვერპლად აღმოჩენილ საქართველოში, როცა ქვეყანა საარსებო ძალებს ძლივს ინარჩუნებდა. ათი წელი ჰყავდა მძევლად ქეთევან დედოფალი შაჰ-აბასს. როდესაც დედის გასათავისუფლებლად თეიმურაზ მეფემ რუსეთისათვის დახმარების თხოვნა გადაწყვიტა, პასუხად შაჰ-აბასმა უნდილაძეს ქეთევან დედოფლის გამაჰმადიანება უბრძანა. საზარელი ბრძანებით შეძრწუნებული უნდილაძე, დედოფალს ემუდარებოდა დათანხმებოდა და, მხოლოდ გარეგნულად მიეღო მუსულმანობა, ხოლო გულში ისევ ქრისტიანი დარჩენილიყო, მაგრამ დედოფალის პასუხი მტკიცედ მოტივირებული იყო: – ქართველები გულს კი ვერ დაინახავენ, არამედ მუსულმანობის პირით აღიარებას დაიჯერებენ და, რადგანაც დედოფალი სარკეა მთელი ერისა, ჩვენი ერიც გამუსულმანდებაო.

ამდენად, წმინდა ქეთევანს ნირიც არ შეუცვლია. წამების წინ, მხოლოდ ლოცვის უფლება ითხოვა. „უდრეკ იყო დედოფალი“ – ასე წერდნენ შემდეგში მასზე ირანის კარზე მყოფი ფრანგი კათოლიკე მისიონერები. ხალხზე განმაცვიფრებელი შთაბეჭდილება მოახდინა წმინდანის სულის სიმტკიცემ. არნახული სისასტიკით ნაწამები დედოფლის სხეული იმთავითვე უძვირფასეს განძს წარმოადგენდა თვითმხილველთათვის. ფრანგმა მისიონერებმა მოიძიეს მტრისგან სპეციალურად გადამალული წმინდა ნეშტი. ძვირფასი ნელსაცხებლით გაჟღენთილ ტილოში შეახვიეს და ისე წაიბრძანეს საფრანგეთში, საიდანაც ნაწილი თეიმურაზ მეფეს გამოუგზავნეს, თუმცა, ალავერდის ტაძარში დაკრძალული სიწმინდე 1723 წელს დაიკარგა. კურნების მადლით განთქმული დედოფლის წმინდა ნაწილები გატანილ იქნა ინდოეთში (გოას ტაძარში), რომში (წმ. პეტრეს ტაძარში), ბელგიაში (ნამიურის ტაძარში).

ქეთევან წამებულის გმირულ თავდადებას შედეგად საქართველოს გამოფხიზლება და თავისუფლების სულის არნახული აღზევება მოჰყვა. ამის დასტური მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლებია, სადაც სეფიანთა ირანის ჯარს, ფაქტობრივად ბრძოლისუნარიანობა დააკარგვინა წმინდანის შთაგონებით აღძრულმა ქართველთა გმირულმა მამაცობამ. დედოფლის მოწამეობამ იხსნა საქართველო და ჩაშალა შაჰ-აბასის გეგმა „გურჯისტანის“ სრულიად გამაჰმადიანებისა, რათა ის ონტოლოგიური საფუძველი გამოეცალა, ქრისტიანობის სახით რომ ჰქონდა ქვეყანას.

საკონფერენციო მოხსენებაში ვმსჯელობთ, თუ როგორი თეოლოგიური ფაქტორები უძღოდა წმინდანის გონს, ენითუთქმელი ტკივილები რომ დაეთმინა, რათა სულის სხეულზე საბოლოო გამარჯვება მომხდარიყო.

საკვანძო სიტყვები: წმინდა ქეთევანი; ქრისტიანობა; საქართველო.

* * *

საკონფერენციო მოხსენება ეძღვნება მსოფლიოში ცნობილ მოწამეობრივ ფაქტს, რომელმაც XVIII-XIX სს საქართველოს მძიმე პოლიტიკურ-რელიგიურ ვითარებაში არსებული ისტორიული სინამდვილე ქვეყნის სასიკეთოდ შეცვალა. კვლევის მიზანია, მიმოიხილოს და შეისწავლოს თუ რა ისტორიული და სოციალური გარემო პირობები უძღოდა წინ წმინდა ქეთევან დედოფლის თავგანწირვას; თუ რას გვაჩვენებს აღნიშნულ პროცესში ქრისტიანული ანთროპოლგია; თუ როგორ ყა-

ლიბდება კეთილ-გონიერ მორწმუნე ადამიანში სულის სხეულზე გამარჯვების თეოლოგიური კონცეპტი. ეს ყველაფერი კი ქმნის ისეთ ზოგადსაკაცობრიო ერთობას გადარჩენისთვის ბრძოლაში, ერთის თავდადებას რომ ათასების ხსნა შეუძლია და ამ დიდი სიკეთის ირგვლივ გასაერთიანებლად აღძრავს განსხვავებული კონფესიის ერებსაც კი.

ამ პერიოდის ირანის, ოსმალეთისა და რუსეთის ურთიერთდაპირისპირების მსხვერპლად აღმოჩენილი ჩვენი ქვეყანა საარსებო ძალებს ძლივს ინარჩუნებდა. ძლიერი სახელმწიფოები, საქართველოს დაცვის სანაცვლოდ, ერის იდენტობის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებლის – სარწმუნოების შეცვლას ითხოვდნენ ქართველებისგან, რაც ქვეყანას გადაგვარებით ემუქრებოდა. მაჰმადიანურ ოსმალეთსა და ირანს უცილობლად მიაჩნდათ ქართველების გამაჰმადიანება და ამავდროულად საქართველოს ტერიტორიების პროვინციებად შემოერთება; კათოლიკური რომი, მართალია მეგობრულ ურთიერთობებს გვთავაზობდა, მაგრამ ვატიკანს ამ ურთიერთობის პირობად მიაჩნდა ქართველების რომის ეკლესიაში გაერთიანება; მართლმადიდებლურ რუსეთს კი გუბერნიის უფლებით უნდოდა თავის შემადგენლობაში საქართველოს მიერთება (ცინცაბაძე, 2010: 39-40).

ერთმანეთის სისხლისღვრითა და სამეფო ძალაუფლების მოსაპოვებლად ძმისა და მამის მკვლელობამდე მისული გაურჯულოებული ქართველებით, ქვეყანა დაღუპვის პირას იყო მისული. ამგვარი მძიმე საშინაო და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის ქვეყანაში, დედოფალი – წმინდა ქეთევანი ახერხებს იყოს ბრძენი მონარქი და არსებულ პირობებში ყველაზე გონივრული გადაწყვეტილებების მიმღები მმართველი თავის სამეფოსი. ამის შესახებ ქართველ მემატიანეთა გარდა, საუბრობენ უცხოელი მკვლევრებიც.

ათი წელი ჰყავდა მძევლად ქეთევან დედოფალი შაჰ-აბასს. ეს დრო დედოფალმა, განსაკუთრებული ასკეტური ცხოვრებით – მარხვით, ლოცვით, ქვაზე წოლით ისე გაატარა, რომ ფაქტობრივად, დედოფლის სხეული განლევამდე იყო მისული. მიუხედავად ამისა, იგი მაინც მხნედ უვლიდა, ზრუნავდა და ზედ დაჰფოფინებდა მის გამგებლობაში მყოფ ოციოდე ქართველს. წმინდა ქეთევან დედოფლის მსახურთა შორის იყო მისი მოძღვარი მოსე და მღვდელი ვასილი, რომლებიც თითქმის ყოველდღიურად აღასრულებდნენ წირვებს, თითქოს ამზადებდნენო დედოფალს მოწამეობისთვის და თვითონაც ყოველდღიურად ელოდნენ ქრისტესთვის სიკვდილს. ისინი საქმით ასრულებდნენ პავლე მოციქულის შეგონებას – „ნუ მისცემთ თქვენს ასოებს ცოდვას უსამართლობის საჭურვლად, არამედ, როგორც მკვდრეთით აღმდგარმა, უძღვენით თავი ღმერთს, ხოლო თქვენი ასოები საჭურვლად – ღმერთის სიმართლეს“ (რომაელთა 6:13). ასეთ შემოქმედებით პროცესში ადამიანი უარყოფს საკუთარ თავს და ჰქმნის ახალ ადამიანს, მთლიანად ღმერთზე მინდობით, რასაც ასკეტური ღვაწლით შეუძლია რომ მიაღწიოს...

სწორედ ასკეზა იყო წარმოუდგენელი წამების დათმენის წინაპირობა წმინდა ქეთევანისა და მისი მოძღვრის – მამა მოსეს ცხოვრებაშიც. პიეტრო დელა ვალე აღწერს უცხოობაში თუ როგორ განამტკიცებდა წმინდა დედოფალს, თავისი მოძღვრის ღრმა სულიერება და მხურვალე სარწმუნოება, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ირანის სამეფო კარზე და თავიდან მოსაცილებლად რა აღარ დასწამეს კეთილმსახურ მღვდელს. ბოლოს კი შესთავაზეს – ქრისტე დათმე და სიცოცხლესთან ერთად პატივსა და ქონებასაც მიიღებო. როცა პასუხი სასურველი ვერ მიიღეს, სპარსელების გაავებულმა ბრბომ და მრისხანე ხანმა ქვებითა და დაშნებით ნაკუწ-ნაკუწ დაგლეჯილი ძირს დასცეს ქრისტეს შეუდრეკელი მხედარი... ეს ამბავი წმინდა დედოფლის წამებამდე ხუთი წლით ადრე მოხდა და ამან არათუ დააძაბუნა, წარმოუდგენლად განაძლიერა კახთა დედოფლის სარწმუნოება.

უნდა აღინიშნოს, რომ აბრაამისტული რელიგიის მიმდევარი შაჰ-აბასის ზღვარგადასული სისასტიკის მთავარი მიზეზი, სინამდვილეში, თეიმურაზისადმი მისი სიძულვილი უფრო იყო, და არა ქრისტიანული სარწმუნოებისადმი წინააღმდეგობა. მითუმეტეს, როცა მაჰმადიანთათვის ქრისტიანები მიჩნეული არიან, როგორც ღვთისგან ნაწყალობევი, მაგრამ დამახინჯებული „წერილის ადამიანებად“, რის გამოც ისინი უფრო მაღლა დგანან, ვიდრე წარმართები. ქეთევან დედოფლის მიმართ შაჰ-აბასის არაადამიანური სისასტიკე, იმ შურისძიებისა და სიძულვილის გამოვლინება იყო ბევრი რამის გამო რომ ამოძრავებდა თეიმურაზ მეფისგან გამომდინარე,

ჩვენი საკვლევი საკითხის ანალიზისთვის მნიშვნელოვანია იმ სიძულვილის შედეგი, რითაც შეპყრობილმა სამყაროს ერთ-ერთმა უძლეველმა მბრძანებელმა თავის უძლეველობის დასტურის ნა-

ცვლად – მარცხი განიცადა უმწეო დედოფალთან, რომელიც ოჯახისა და სამშობლოს სიყვარულით სავსე, ქრისტეს მინდობით იმარჯვებს შაჰის წინააღმდეგ. მან თავის წმინდა ცხოვრებით მოიპოვა ისეთი სიყვარული, რამაც სხეულით უმწეო დედოფალს, უძლიერეს, მაგრამ მძულვარე შაჰ-აბასზე გაამარჯვებინა.

საკითხის კვლევისას ვცდილობთ ასევე გავერკვეთ, თუ როგორი თეოლოგიური ფაქტორები უძღოდა წმინდანის ფსიქოლოგიასა და მთლიანად გონს, ენითუთქმელი ტკივილები რომ დაეთმინა, რათა სულის სხეულზე საბოლოო გამარჯვება მომხდარიყო. მეოცე საუკუნის ფროიდისტული ფსიქოანალიზის რეფორმატორი მიმდევრი, ფრანგი ფსიქოანალიტიკოსის – ჟაკ ლაკანის აზრით, ხსნა თავგანწირვას, როგორც ერთგვარ სახადს, ისე არ მოითხოვს, თუმცა ხსნის ნაწილია წარმოცალიერება, როგორც ეგოსგან დაცლა. (ვაიტსი, ტისდეილი, 2021).

ამგვარი ანალიზი უკავშირდება კენოზისს, Etym. ბერძ. kénosis (ნაწარმოებია სიტყვიდან kenoûn „დაცლა“) „დაცარიელება“ lt. Kénosi/kenotico ბიბლიურ-თეოლოგიურ ტერმინოლოგიაში აღნიშნავს განკაცებით ქრისტეს მიერ ღმერთთან თავის თანასწორობაზე უარის თქმას მამისადმი მორჩილების ნიშნად, რათა მსახურის, ადამიანის სახით წარმდგარიყო ადამიანთა წინაშე, თვით სიკვდილის მიღებამდე (ფილ. 2:6). კენოზისი სიყვარულის ღმრთაებრივ სახეს წარმოადგენს (ქრისტიანული ლექსიკონი). წმინდა ქეთევან დედოფლის კენოტიკური მიმართება ცხადია, როცა იგი ყოველგვარი ამქვეყნიური კეთილდღეობებისგან წარმოცალიერებული, თითქოს ქრისტეს მსგავსად მორჩილად წარსდგება ღვთის წინაშე და მთელ თავის არსებას უძღვნის მას. მაშინ, როცა შეეძლო ამქვეყნიური სიამტკბილობით ცხოვრებაზე დათანხმებოდა შაჰ-აბასს, როგორც განსაკუთრებული სილამაზით გამორჩეული დედოფალი, მისმა ღვთისნიერებამ სძლია, ვინაიდან, შაჰ-აბასისგან განსხვავებით, ისეთი სულისმიერი გონიერებითაც იყო გამორჩეული, ღვთის გზაზე გამარჯვებისთვის რომ არის აუცილებელი.

საქართველოში მცხოვრები მისიონერი იტალიელი მხატვარი დონ კრისტოფორო დე კასტელის აღწერით, იგი: „ძალიან მჭევრმეტყველი იყო და არაჩვეულებრივი ნიჭის პატრონი, მისი გარეგნობა თვით ანგელოზს შეშურდებოდა. ამასთანავე იგი სულიერად წმინდანივით ბრწყინავდა“. წმინდა ქეთევანის პიროვნების გასაოცარი ღვთისნიერებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით ბევრს წერდნენ მასზე ირანის კარზე მყოფი ფრანგი კათოლიკე მისიონერები. შირაზში ტყვედ ყოფნისას ქეთევან დედოფალს ურთიერთობა ჰქონდა ევროპელ მისიონერებთან. ხალხზე განმაცვიფრებელი შთაბეჭდილება მოახდინა წმინდანის სულის სიმტკიცემ. წმინდა დედოფლის წამება აღწერილი აქვს გრეგორიო ორსინის, პიეტრო დელა ვალეს, რომლის 1624 წელს დაწერილი თხზულების საფუძველზე, გერმანელმა დრამატურგმა ანდრეას გრიფიუსმა, 1646-47 წწ. შექმნა ტრაგედია „საქართველოს დედოფალი კატარინა“ (კეკელიძე, 1958: 496).

აღსანიშნავია ასევე, ქეთევან დედოფლისადმი მიძღვნილი ორი აგიოგრაფიული ხასიათის თხზულება: გრიგოლ დოდორქელის „წამებაი ყოვლადდიდებულისა მოწამისა დედოფლისა ქეთევანისაი, რომელი იწამა სპარსთა მეფისა შაჰაბაზ უსჯულოისა მიერ ქალაქსა შირაზისასა“ და ანტონ I კათალიკოსის „შესხმა და მითხრობა ღუაწლთა და ვნებათა წმიდისა დიდისა მოწამისა დედოფლისა ქეთევანისათა“. წამებული დედოფალი წარმოგვიდგება არა მხოლოდ როგორც მართლმადიდებლური სარწმუნოების ერთგულებისათვის წამებული ქრისტიანი, არამედ როგორც სამშობლოსათვის თავგანწირული პატრიოტი, მისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი პიროვნება, რომელმაც უყოყმანოდ მიიტანა თავისი სიცოცხლე სამშობლოს სამსხვერპლოზე (ნაჭყებია, 2024: 212).

სამშობლოსათვის თავდადება წმინდა დედოფლის უპირველესი საზრუნავი იყო ქრისტეს სიყვარულთან კავშირში. მისი გამაჰმადიანების საზარელი ბრძანებით შეძრწუნებული უნდილაძე, ემუდარებოდა დათანხმებოდა და მხოლოდ გარეგნულად მიეღო მუსულმანობა, ხოლო გულში ისევ ქრისტიანი დარჩენილიყო, მაგრამ დედოფალის პასუხი მტკიცედ მოტივირებული იყო: – გულს კი ვერ დაინახავენ, არამედ მუსულმანობის, პირით აღიარებას დაიჯერებენ და, რადგანაც დედოფალი სარკეა მთელი ერისა, ჩვენი ერიც გამუსულმანდებაო. ამდენად, წმინდა ქეთევანს ნირიც არ შეუცვლია. წამების წინ, მხოლოდ ლოცვის უფლება ითხოვა. ბერი დუშ ანჟუში, აღწერს დედოფლის საზარელ წამებას, შთამბეჭდავი სათაურით – „ქეთევან დედოფლის სახელოვანი წამება და მშვენი-

ერი სიკვდილი». მისი ნაამბობის მიხედვით, ბოლო უშედეგო მოლაპარაკების შემდეგ, როცა დედოფალმა თავად უთხრა შაჰის მოგზავნილებს, დროს ნუღარ კარგავთო, ჯვალათები შემოსულან და თან მოგიზგიზე ნაღვერდლით სავსე ორი მაყალი და ორი საზარელი მარწუხი შემოუტანიათ. როცა ღვთისმოსავი დედოფლისთვის ხელები ზურგს უკან უნდა შეეკრათ, მან შიშის ნაცვლად, ყველას განსაცვიფრებელად მხოლოდ ის ითხოვა – ხელებს უკან ნუ შემიკრავთ, წინ შემიკარით, როგორც ქრისტიანებს უკრავენ, რათა შემეძლოს ხელები მაღლა აღვაპყრო ჩვენი ღმერთისა და უფლისკენო… ჯვალათები გახურებული მარწუხებითა და ნაღვერდალით აწამებდნენ, ძირსდაცემულ ძალაგამოცლილ დედოფალს, მაგრამ მაინც ვერ წაართვეს სიცოცხლე. ბოლოს დამარცხების შიშით გამხეცებული ეცნენ და ხელებით დაახრჩვეს (გულბენკიანი, 1967: 39-40).

ორსავ თეძოზე მარწუხები ეკიდა ახლა,
მძიმე შანთები ძუძუებში ჩასჭიდეს მაღლა.
სისხლი სდიოდა ცეცხლს აქრობდა – ცეცხლსა და რკინას;
ხომ იყო მისი მაცხოვარი ასე ჯვარცმული,
ხელფეხშეკრული და შიშველი, განა ჩაცმული!
ჯაჭვით შებოჭეს და აწამეს ჯვარზე გაკრული,
ასე განშორდა ამ გლოვის ველს ქრისტეც ჩაგრული“
(გრიფიუსი, 1975: 194).

წმინდა დედოფლის ამგვარი სასწაულებრივი ძლიერება და გამძლეობა, სხვა პიროვნულ თვისებებთან ერთად მისი ასკეტური ცხოვრების დამსახურება იყო. ასკეტური ცხოვრების უმთავრესი თანმდევი პროცესია ლოცვა. ლოცვის სიტყვებს აქვს ზემოქმედების ისეთი ძალა, რომელიც მათ აღსრულებას ვალად გაკისრებს. ცნობილი ავტორი, მარკ პატერსონი, წერს: „ლოცვა წინასწარმეტყველებაა. ის თქვენი სულიერი მომავლის საუკეთესო წინასწარმეტყველია. ის, თუ ვინ გახდებით, განისაზღვრება იმით, თუ როგორ ლოცულობთ. საბოლოოდ, თქვენი ლოცვების ტექსტები თქვენი ცხოვრების სცენარად იქცევა“. სხვა სიტყვებით, ის არის თქვენი მომავალი მე. თქვენი ცხოვრებისეული გარემოებანი და თქვენი ხასიათი განისაზღვრება იმით, თუ რის შესახებ ესაუბრებით ღმერთს (ვაიტსი, ტისდეილი, 2021).

ბიბლიის თანახმად, ლოცვის ძალა, მარტივად რომ ვთქვათ, ღმერთის ძალაა, ვინც ისმენს და პასუხს სცემს ლოცვებს. წმინდანთა ცხოვრებაში მოთხრობილია ლოცვის მაგალითები, როცა საკუთარი მატერიალური სხეული, ლოცვისას ღმერთთან კავშირით, თითქოს უწონობის მდგომარეობამდე ისე მიუყვანიათ, თვით გრავიტაციული მუდმივას სასწაულებრივად გარღვევით, მიწიდან ამაღლებულან. როგორც ქეთევან წამებულის მრავალი მხილველნი გვიამბობენ, დედოფალი გამუდმებით ლოცვაში იყო. მისმა ასკეტურმა ცხოვრებამ განაპირობა ღმერთთან მისი პიროვნების ეგზისტენციალური კავშირი სრულად ყოფილიყო მისგან განჭვრეტილი და განცდილი.

შესაბამისად, მას უკვე შეეძლო წინასწარმეტყველებაც და იმ ტკბობამდე მისული სიამოვნების განცდა, რაც ღმერთთან ჭეშმარიტ ურთიერთობას შეუძლია მოჰგვაროს ადამიანს. დედოფალი იმდენად ამაღლებული იყო ყოველგვარ მატერიალურ წარმავალ ყოფიერებაზე, თვით საკუთარ სხეულზეც კი, რომ მისი ლოცვის ძალა ცას სწვდებოდა. მისი მატერიალურ სხეულზე სულიერი ამაღლება საყოველთაოდ თვალსაჩინო იყო, როცა წამებისას სხეულს უშანთავდნენ და ნაფლეთებად აქცევდნენ, იმდენად შეუდრეკელი იყო, თითქოს სხეული, როგორც ნახმარი ტანსაცმელი შეოიცილაო. ამგვარად აღესრულა დედოფალი „ვინაცა წარმავალისა დედოფლობისა წილ სუფევაჲ ზეცისა დაიმკვიდრა“ (ტროპარი).

რას შეიძლებოდა მსგავსი ძლიერება გამოეწვია წმინდა ქეთევანში, თუ არა მისი პიროვნების ქრისტესმიერ განღმრთობას, რაც ჯვარცმისა და აღდგომის მაგალითით ცხოვრების საზრისს შთააგონებს და ხსნის გზას უსახავს ადამიანებს. ქეთევან დედოფლის სამაგალითო გმირობაც შთაგონების წყარო გახდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მწერლებისა და ხელოვნებისთვის. თავად თეიმურაზ I-მა დაწერა პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“, სადაც იგი წარმოაჩენს ქეთევან დედოფლის ასკეტურ ღვაწლს, ქრისტიანულ სათნოებებსა და პოლიტიკურ მნიშვნელობას ქართველი

ერის ცხოვრებაში. თხზულებაში, გარდა ისტორიული სინამდვილისა, გადმოცემულია მარტვილი დედოფლისა და თავად ავტორის, თეიმურაზ მეფის სულიერი განცდები. აღსანიშნავია, რომ ნაწარმოების თეოლოგიური საზრისი, წმინდა სახარებისმიერ მოტივებზე აქვს მეფე თეიმურაზს გადმოცემული. კერძოდ, იგი სახარებისეულად ხაზს უსვამს ქრისტეს ჯვარცმის მსგავს მოწამოებას, როცა საყვედურობს თავის თავს, რომ დედოფლის წამებისას თვითონაც იქ არ იყო და მის მარჯვნივ არ ეცვა ჯვარს:

„მე ავაზაკი შემცოდე ახლოს არ ვიყავ, ვინანი,
მარჯვენით ჯვარსა არ ვეცვი,
ამად ვარ ცრემლთა მდინანი“.
(თეიმურაზი, 1934)

თეიმურაზი წამების ფაქტს დეტალურად აღწერს იმ მძიმე მდგომარეობის პარალელურად, რომლის დათმენაც უხდებოდა მრავალი წლის მანძილზე მის დედას. ქრისტეს ჭეშმარიტების მოსაპოვებლად ცხოვრების მოწამეობრივი დასასრული, ეს არის სულის უკვდავებისა და მომავალი მკვდრეთით აღდგომის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი დადასტურება და ჯვარცმული ქრისტეს მიბაძვით, მისი მკვდრეთით აღდგომასთან თანაზიარება. მოწამეობა მიიღწევა, როგორც ასკეტური ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მწვერვალი, რომელიც თავის თავში ერთობლივად მოიცავს ყოველგვარ ქრისტიანულ სათნოებებს, რასაც კი წმინდა წერილში ვეცნობით. მოწამე ადამიანი აღწევს იმ მდგომარეობას, როგორსაც პავლე მოციქული გადმოგვცემს: „მე უკვე აღარ ვცოცხლობ, არამედ ქრისტე ცოცხლობს ჩემში“ (გალატელთა 2:20).

განღმრთობილი მოწამეები იღებენ ქრისტეს ძალასა და სიცოცხლეს, მისით ხდებიან „მადლისმიერი ღმერთები“ და თვითონვე არიან ქრისტეები ქრისტეში. წმინდანობა არსობრივად ანხორციელებს ადამის მოდგმის შესაქმის საწყისში, ღვთის მსგავსობრიობაში დაბრუნებას. ყოველმა წმინდანმა რწმენითა და სიყვარულით განახორციელა თავის თავში ღმერთის მსგავსება. ქრისტე მოუწოდებს „ვისაც ვუყვარვარ, ის ჩემს სიტყვას დაიცავს და მამაჩემიც შეიყვარებს მას, ჩვენც მივალთ და მასთან დავიდებთ სავანეს“ (იოანე 14: 23). მოწამეობა იმ სრულყოფილი სიყვარულის განხორციელებაა, რომელიც შიშს განაგდებს იესო ქრისტეთი და მასთან ერთად შეუძლია მოკვდეს, რადგან იცის, რომ შემდეგ აღდგება ქრისტესთან ერთად მარადისობაში. სწორედ ასეთი ქრისტესმიერი სიყვარული იყო ის უდიდესი ძალა, რამაც წმინდა ქეთევანს, ქვეყნის ამაოხრებელ, მძვინვარე სიძულვილით სავსე შაჰ-აბასზე გაამარჯვებინა.

არნახული სისასტიკით ნაწამები დედოფლის სხეული იმდენად სასწაულმოქმედი კურნების ძალით აღივსო, რომ იმთავითვე უძვირფასეს განძს წარმოადგენდა წამების თვითმხილველთათვის. ფრანგმა მისიონერებმა მოიძიეს მტრისგან სპეციალურად გადამალული წმინდა ნეშტი. ძვირფასი ნელსაცხებლით გაჟღენთილ ტილოში შეახვიეს და ისე წააბრძანეს საფრანგეთში, საიდანაც ნაწილი თეიმურაზ მეფეს გამოუგზავნეს, თუმცა, ალავერდის ტაძარში დაკრძალული სიწმინდე 1723 წელს დაიკარგა. კურნების მადლით განთქმული დედოფლის წმინდა ნაწილები გატანილ იქნა ინდოეთში (გოას ტაძარში), რომში (წმ. პეტრეს ტაძარში), ბელგიაში (ნამიურის ტაძარში). ქეთევან წამებულის გმირულ თავდადებას შედეგად საქართველოს გამოფხიზლება და თავისუფლების სულის არნახული აღზევება მოჰყვა. ამის დასტური მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლებია, სადაც სეფიანთა ირანის ჯარს, ფაქტობრივად ბრძოლისუნარიანობა დააკარგვინა წმინდანის შთაგონებით აღძრულმა ქართველთა გმირულმა მამაცობამ.

დედოფლის მოწამეობამ იხსნა საქართველო და ჩაშალა შაჰ-აბასის გეგმა „გურჯისტანის“ სრულიად გამაჰმადიანებით, იმ ონტოლოგიური საფუძვლის გამოცლას რომ გვიქადდა ქრისტიანობის სახით რომ ჰქონდა ქვეყანას. აღსანიშნავია, რომ დედოფალი მართლმადიდებლებმაც და კათოლიკებმაც ერთნაირი პატივით აღიარეს, მიუხედავად იმისა, რომ ქეთევანს არასდროს უღიარებია კათოლიკური სარწმუნოება, რასაც მკაფიოდ და გარკვევით მიუთითებდა თვით ამბროზიო დუშ ანჟუში 1640 წელს რომში გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში: „სავარაუდოა, რომ დედოფალი ზეცაშია და ღვთის დიდებით ხარობს. მიუხედავად იმისა, რომ ბერძნულ წეს-ჩვეულებებს მისდევდა, იგი დიდი

სიყვარულით ეკიდებოდა წმინდა კათოლიკურ ეკლესიასა და ყველა ლათინელს“. უმნიშვნელოვანესია ქეთევან დედოფლის პიროვნული ის მიღწევებიც, რაც თვით მაღალიერარქებმა დღემდე ვერ შეძლეს თავისი მოღვაწეობით. კერძოდ, მიუხედავად კათოლიკე პაპებისა და მართლმადიდებელი პატრიარქების მხრიდან განხეთქილების განკურნების მცდელობისა, ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში შერიგებისკენ მიმავალი მხოლოდ მცირე პროგრესი მიიღწევა. წმინდა ქეთევან დედოფლის თავდადებამ კი შეძლო ქრისტიანული სამყაროს ამ ორი დიდი კონფესისგან პატივი ერთნაირად დაემსახურებინა.

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, წმინდა ქეთევანის მიერ უმაღლესი ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებათა სრულყოფილად ათვისებამ, და ამ საწუთისოფლო ცხოვრებაში მათმა სწორად განსაზღვრამ მიიყვანა ქეთევან დედოფალი მარადიული ცხოვრების გემოსხმევამდე, რაც გახდა საფუძველი ქრისტესთან ისეთი თავგანწირული ერთგულებით მეგობრობისა, საკუთარ თავთან ერთად ათასების ხსნა რომ შეძლო და ნეტარი მარადისობისკენ ქრისტესმიერ გაკვალულ გზას მთელი თავისი არსებით ეზიარა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბიბლია. /Bible./ (n.d.). ახალი აღთქმა (გიორგი მთაწმინდელისეული რედაქტ.; ბაჩანა ბრეგვაძის თარგმანი). Retrieved March 15, 2025, from http://www.orthodoxy.ge/tserili/gadasatseri/sarchevi.htm
2. გრიფიუსი, ა. /Gripius, A./ (1975). ქეთევან ქართველი ანუ გაუტეხელი სიმტკიცე: ტრაგედია ხუთ მოქმედებად. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
3. გულბენკიანი, რ. /Gulbenkiani, R./ (1987). ნამდვილი ცნობები საქართველოს დედოფლის ქეთევანის მოწამეობრივი სიკვდილის შესახებ. თბილისი: მეცნიერება.
4. ვაიტსი, კ., ტისდეილი, ტ. /Waites, K., & Tisdail, T./ (2021). მართლმადიდებლობა და ფსიქოანალიზი. The Orthodox Christian Studies Center. Retrieved April 15, 2025, from https://publicorthodoxy.org/ka/2021/11/24/10174/
5. კეკელიძე, k. /Kekelidze, K./ (1958). ქართული ლიტერატურის ისტორია: ძველი ქართული ლიტერატურა (ტ.–II, გვ. 496). თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
6. მაკარიოპოლელი, ნ. /Makariopoleli, N./ (2007). ღვთისმეტყველება და ღვთისშემეცნება. არჩევანი, 2, თბილისი: რელიგიური სკითხების შემსწავლელი ცენტრი.
7. ნაჭყებია, მ. /Nachkhebia, M./ (2024). ქეთევან წამებული XVII–XVIII სს ქართულ და ევროპულ მწერლობაში და ისტორიულ წყაროებში. თბილისი: შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.
8. თეიმურაზ I. /Teimuraz I./ (1994). თეიმურაზ პირველი: წამება ქეთევან დედოფლისა. თბილისი: კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
9. ცინცაბაძე, მ. /Cincabadze, M./ (2010). ქართველთა დიდმოწამე წმინდა ქეთევან დედოფალი. თბილისი: ალილო.

SAINT QUEEN KETEVAN AND THE THEOLOGICAL CONCEPT OF THE SOUL'S VICTORY OVER THE BODY

NARI CHKHABERIDZE
PhD in Theology,
Independent Researcher, Georgian
National Committee of Byzantinologists
E-Mail: chkhaberidzenari@gmail.com
ORCID: 0009-0001-7011-4818

Abstract: The conference report explores the tumultuous political and religious landscape of 18th -19th-century Georgia. This period is marked by the country's struggles for survival amidst the crossfire between Iran, the Ottoman Empire, and Russia. Queen Ketevan spent ten years as a hostage of Shah Abbas. When King Teimuraz resolved to seek assistance from Russia to free his mother, Shah Abbas in response, commanded Undiladze to force Queen Ketevan to convert to Islam. Undiladze, terrified by the terrible order, pleaded with the queen to outwardly convert to Islam while remaining Christian in her heart, however, the queen's response was firmly motivated: 'Georgians can't see into hearts, but they will accept the verbal confession of Islam, and because of the queen is a mirror of the nation, therefore nation will become Muslim.'

Consequently, St. Ketevan remained unwavering. Before her torture, she only asked for the right to pray. „The queen was steadfast," wrote the French Catholic missionaries at the Iranian court afterward. Her unyielding spirit left a profound impression on the people. The body of the queen, who had been tortured with unprecedented cruelty, was considered a priceless treasure by those who witnessed it. French missionaries found the holy relic, which had been specially hidden by the enemy. They wrapped it in a cloth soaked in precious ointment and took it to France, from where it was sent to King Teimuraz. However, the sacred relic, buried in the Alaverdi Monastery, was lost in 1723. The holy relics of the queen, renowned for their healing power, were taken to India (Goa Church), Rome (St. Peter's Basilica), and Belgium (Namur Church).

The heroic sacrifice of Saint Ketevan resulted in Georgia's awakening and a significant arousal of the spirit of freedom. This is evidenced by the battles of Martkopi and Marabda, during which the Safavid Iranian army struggled and was nearly defeated by the bravery of Georgians, inspired by the saint. The torture of the queen saved Georgia and disrupted Shah Abbas's plan to completely Islimize „Gx urjistan", which meant stripping the country of its ontological foundation, represented by Christianity.

In the conference presentation, we discuss the theological factors that guided the saint to endure unspeakable suffering, so that the soul might ultimately triumph over the body.

Keyword: Saint Ketevan; Christianity; Georgia.

* * *

This conference paper is dedicated to a globally recognized act of martyrdom that transformed the country's historical reality for the better during the difficult political and religious climate of the 18th-19th century Georgia. This study aims to examine the historical and social circumstances that preceded the self-sacrifice of Saint Queen Ketevan. It seeks to explore what Christian anthropology reveals in the context of this process, and how the theological concept of the soul's triumph over the body is formed in the mind of a faithful and spiritually wise adherent. Altogether, these elements constitute a universal human unity in the struggle for survival, where the devotion of one can lead to the salvation of thousands, inspiring even people of differing confessions to unite around this supreme act of goodness.

Caught in the crossfire of geopolitical rivalry between the Ottoman Empire, Russia, and Iran, Georgia struggled to retain its very existence. They deemed the Islamization of Georgians and the conversion of Georgian lands into provincial territories as necessary and inevitable steps. Catholic Rome, though extending a hand of friendship, saw Georgia's integration into the Roman Church as a non-negotiable condition for cooperation. At the same time, Orthodox Russia pursued Georgia's annexation by reclassifying it as a guberniya (a provincial district within the Russian Empire) (Tsintsabadze, 2010:39-40).

Amidst a nation on the brink of collapse, torn apart by internecine bloodshed and the unrelenting pursuit of royal power, where even fratricide and patricide became tools in the hands of marginalized Georgian nobles, Queen Saint Ketevan emerged as a wise and steadfast monarch. In the face of such dire internal and external political turmoil, she managed to govern her kingdom with remarkable prudence and to make the most reasonable decisions under the circumstances. This is not only acknowledged by Georgian chroniclers but also attested by researchers.

Queen Ketevan was held captive by Shah Abbas for ten years. During this time, she embraced a life of profound asceticism: fasting, praying, and lying upon bare stone, her body withered like a candle consumed by its flame. And yet, she remained steadfast and full of compassion, attentively caring for and watching over the twenty Georgians placed under her authority. Among Queen Saint Ketevan's attendants were her spiritual father, Mose, and the priest Vasili, who celebrated the Divine Liturgy nearly every day, as though they were preparing the Queen for martyrdom and themselves, too, awaiting death for Christ each day. In doing so, they embodied the exhortation of the Apostle Paul: „Do not offer any part of yourself to sin as an instrument of wickedness, but rather offer yourselves to God as those who have been brought from death to life; and offer every part of yourself to Him as an instrument of righteousness" (Romans 6:13). Within such a sacred process of transformation that a person denies the self and, with complete trust in God, begins to create a new self: one born through ascetic struggle and offered entirely to the Divine.

Asceticism became the foundation for the unimaginable torments endured by Saint Queen Ketevan and her spiritual father, Father Mose. Pietro della Valle recounts how, in the foreign land of captivity, the Queen drew strength from her confessor's deep spirituality and fervent faith – qualities that did not go unnoticed at the royal court of Iran. Seeking to eliminate him, they falsely accused the devout priest of various crimes. At last, he was offered life, honor, and riches – if only he would renounce Christ. When the desired answer did not come, the Persians, enraged, allowed a furious mob and a wrathful khan to tear to pieces the unyielding soldier of Christ, cutting him down with stones and blades. This happened five years before the martyrdom of the Holy Queen, and rather than weaken her, it became a source of unshakable strength, deepening her faith beyond measure.

It must be noted that Shah Abbas, though a follower of an Abrahamic religion, directed his extreme cruelty more out of personal hatred toward King Teimuraz than from any genuine opposition to the Christian faith itself. All the more so, in Islamic theology, Christians are regarded as „People of the Book" – a group seen as divinely favored, albeit believed to have distorted the original message, and therefore ranked above pagans. Shah Abbas's inhuman brutality toward Queen Ketevan was, in fact, a manifestation of deep resentment and vengeance, driven primarily by his animosity toward King Teimuraz.

To analyze our subject, it is essential to reflect on Shah Abbas's hatred, which consumed one of the most powerful rulers of his time and led to his defeat by a fragile queen. Saint Ketevan anquished Shah not with force but through her deep love for family and homeland and unwavering trust in Christ.

As we explore this subject, we also seek to understand the theological factors that shaped Saint Ketevan's psychology and consciousness, which enabled her to endure unspeakable suffering and attain the soul's final triumph over the body. According to Jacques Lacan, a reformist thinker in the tradition of 20th-century Freudian psychoanalysis, salvation does not demand self-sacrifice as an offering in exchange. Yet, it does include an act of renunciation, rejecting the ego.

This kind of analysis inevitably leads us to the concept of kenosis – from the Greek kénosis, derived from kenoûn, meaning „to empty.“ In biblical and theological language, the interpretation of kenosis has varied across theological traditions. One widely accepted understanding holds that Christ „emptied“ Himself not of divinity itself, but of personal will, becoming entirely receptive and obedient to the divine will of the Father, even unto death on the cross. Some theologians also interpret the concept as emphasizing the humanity of Christ, suggesting that, to fully experience the mortal condition, Jesus voluntarily refrained from the active use of His divine attributes. As Philippians 2:6 states, „though he was in the form of God, he did not consider equality with God something to be exploited,“ thus indicating that Christ did not use His divine status to bypass the suffering and limitations inherent to human life. Saint Queen Ketevan's life offers a deeply kenotic witness: stripped of every earthly comfort, she stood humbly before God, offering her entire being in obedience, much like Christ. Though she could have chosen a life of worldly pleasure as Shah Abbas had offered her, her God-centeredness prevailed. Unlike the Shah, she possessed a spiritual intelligence rooted in divine wisdom: the discernment required to walk the path of victory not by might, but by surrender.

According to the Italian missionary and painter Don Cristoforo de Castelli, who lived in Georgia, Queen Ketevan was „highly eloquent and gifted with extraordinary talents – her beauty could rival that of an angel. Moreover, she radiated the spiritual brilliance of a saint.“ Because of the astonishing piety that characterized her personality, Saint Ketevan drew particular attention from French Catholic missionaries at the Persian court, who wrote extensively about her. During her captivity in Shiraz, she was in contact with several European missionaries, who were deeply moved by the unshakable strength of her soul. Gregorio Orsini and Pietro della Valle recorded her martyrdom. The latter's 1624 account later inspired the German playwright Andreas Gryphius to compose the tragedy Catharina von Georgien (The Georgian Queen Catherine) in 1646–47. (Kekelidze, 1958:496)

It is also worth noting two hagiographic works dedicated to Queen Ketevan: The Martyrdom of the Most Glorious Martyr, Queen Ketevan, Who Was Martyred by the godless Shah Abbas, King of Persia, in the City of Shiraz by Grigol Dodorkeli, and An Encomium and Narrative of the Struggles and Passions of the Holy Great Martyr, Queen Ketevan by Catholicos Anton I. In both texts, the martyred queen is portrayed not only as a Christian who suffered for her unwavering loyalty to the Orthodox faith, but also as a patriot who gave herself wholly for her homeland, a figure who fought for its freedom and independence, and who firmly offered her life upon the altar of her nation. (Nachkebia, 2024: 212)

Devotion to her homeland was inseparably bound to Saint Queen Ketevan's love for Christ. When Shah Abbas issued the horrifying order for her forced conversion to Islam, Undiladze, deeply shaken, pleaded with the Queen to feign conversion, to outwardly accept Islam while secretly remaining Christian in her heart. Yet the Queen's response was firm and theologically grounded: „They will not see my heart, they will only hear the confession of my lips. And once the queen confesses Islam, they will believe the faith of the people has fallen.“

Devotion to her homeland was inseparably bound to Saint Queen Ketevan's love for Christ. When Shah Abbas issued the horrifying order for her forced conversion to Islam, Undiladze, deeply shaken, pleaded with the queen to outwardly convert to Islam while remaining Christian in her heart. However, the queen's response was firmly motivated: „ Georgians can't look into my heart, but they will only hear the verbal confession, and because the queen is a mirror of the nation, the nation will become Muslim.“

Thus, Saint Ketevan remained steady. Before her torture began, she asked only for permission to pray. Brother Dush Anjush describes the Queen's dreadful martyrdom under the powerful title: „The Glorious Martyrdom and Beautiful Death of Queen Ketevan.“ According to his account, after one final and fruitless attempt to persuade her, the Queen told the Shah's envoys not to waste more time. The executioners then entered, bringing with them two braziers filled with blazing coals and a pair of terrifying heated pincers. When they moved to bind her hands behind her back, the devout Queen, instead of trembling in fear, requested: „Do not bind my hands behind me. Bind them in front, as it is done to Christians, so that I may lift them in prayer to our God and Lord.“ The torturers scorched her flesh with red-hot iron and pressed burning coals against her body. Yet even when the Queen collapsed

from exhaustion, they could not take her life. At last, consumed with rage and fearing failure, they strangled her with their own hands. (Gulbekiani, 1967: 39-40).

Now hung at both her hips, the burning iron,
Two searing spears tore her breasts into shreds.
Her blood flowed in torrents, quenching flame and fire,
Was not her Savior thus nailed to the cross?
Bound hand and foot, naked, not adorned!
Chained in iron, tormented on the tree of pain
So too did Christ once part from this vale of tears.
(Gryphius, Catharina von Georgien, 1975, S. 194)

The holy queen's miraculous strength, endurance, and other remarkable personal qualities can be understood as the fruit of her ascetic life. At the heart of asceticism lies prayer. The words of prayer hold a transformative power so profound that they seem to impose a sacred obligation upon reality itself. As author Mark Batterson observes, „Prayer is prophecy. It is the best predictor of your spiritual future. Who you become is determined by how you pray. Ultimately, your prayers' transcript becomes your life's script.“ In other words, prayer is your future self. The circumstances of your life and the contours of your character are shaped by the things you dare to say to God (Waits & Tisdel, 2021)

According to Scripture, the power of prayer is, at its essence, the power of God, the One who listens and answers. In the lives of the saints, prayer often appears not merely as communion, but as transfiguration: a holy fervor so deep it carries the body beyond gravity's hold, lifting the soul, and even the flesh, into a realm where the material bends before the divine.

As many have witnessed, Saint Queen Ketevan dwelt continually in prayer. Her ascetic life carved a path toward a union with God so intimate and consuming that her entire being seemed to pulse with His presence. Through this sacred discipline, she was granted not only prophetic insight but the foretaste of that ineffable joy born only of divine closeness. Detached from all that is fleeting and perishable, even from her flesh, her spirit rose high. And when the hour of her martyrdom came, and cruel irons and flame broke her body, she did not waver. It was as though she had already shed her body like a garment grown old. Thus, she passed from this world, not as a queen of passing glory, but as the Bride who „in exchange for a temporal kingdom, inherited the Kingdom of Heaven“ (Troparion).

What else could inspire such unfathomable strength in Saint Queen Ketevan, if not the deification of her soul through Christ – a transformation rooted in the mystery of the Cross and Resurrection? Her life, transfigured by faith, reflects the meaning of suffering and opens a luminous path of salvation for all who seek truth in tribulation. Queen Ketevan's exemplary heroism inspired artists and writers far beyond Georgia's borders. Her sanctified image found its echo in hearts and minds across nations. Even King Teimuraz I, her relative and poet-king, composed The Martyrdom of Queen Ketevan, a solemn poetic tribute that captures the Queen's ascetic devotion, her radiant Christian virtues, and her political and spiritual significance in the life of the Georgian nation. More than a historical record, the poem unfolds the inner, mystical drama of the martyred queen and the grieving poet himself. Woven with Gospel allusions, Teimuraz imbues the text with theological depth, portraying her martyrdom as a mirror of Christ's Passion. In a particularly poignant moment, he laments his absence during her suffering, wishing he could have borne the cross beside her, standing at her right hand, crucified in shared sacrifice.

I, the sinful thief, was not nearby,
Not crucified – yet dared not ask why.
In sorrow drowned, my soul appears,
Repentant, flowing – a river of tears.
(Teimuraz I, 1934)

Teimuraz thoroughly describes the act of martyrdom, drawing a parallel to the heavy burden his mother had to endure for many years. The martyrdom that culminates in a life devoted to attaining the truth of Christ is one of the strongest affirmations of the soul's immortality and the future resurrection. It is through following Christ's example of crucifixion that one shares in His resurrection. Martyrdom is one of the highest peaks of ascetic life, embodying all Christian virtues in the Holy Scriptures. A martyr reaches the state described by the Apostle Paul: „I have been crucified with Christ. It is no longer I who live, but Christ who lives in me" (Galatians 2:20). Through their martyrdom, the saints receive the strength and life of Christ, becoming „graced gods" and are themselves Christ-like in Christ. Holiness fundamentally realizes the return to God's likeness, which was first intended in the creation of humanity. Through faith and love, every saint realized God's likeness within themselves. Christ calls, „Whoever has my commandments and keeps them, he it is who loves me. And my Father will love him, and we will come to him and make our home with him" (John 14:23). Martyrdom is the realization of perfect love, a love that casts out fear through Jesus Christ, and one that enables a person to die with Him, knowing that they will rise again with Christ in eternity. This Christ-like love endowed Saint Ketevan with the strength to triumph over Shah Abbas, who sought to devastate her nation with his ferocious hatred.

The body of the Queen, having endured torments of unspeakable cruelty, became so filled with the grace of miraculous healing that from the very first, it was accounted a most precious treasure by those who beheld her passion. By the labors of French missionaries, her sacred relic, hidden away by the enemy, was discovered. They wrapped it in a cloth steeped in fragrant and costly ointment and bore it unto France. Thence, a portion was sent unto King Teimuraz; yet the holy relic, once laid to rest in the great cathedral of Alaverdi, was lost in the year of our Lord 1723. The sacred remains of the Queen, renowned for their healing grace, were thenceforth borne unto distant lands – unto the temple in Goa of India, unto the Church of Saint Peter in Rome, and unto the Church of Namur in Belgium. The heroic sacrifice of Saint Ketevan awakened the soul of Georgia and exalted the spirit of liberty in measure hitherto unknown. This truth was manifest in the battles of Martqopi and Marabda, wherein the hosts of Safavid Persia were brought low by the valor of Georgians, whose hearts were kindled by the example of the holy martyr.

By the Queen's passion, Georgia was preserved, and Shah Abbas's design to utterly Islamize „Gurjistan" and to strip the nation of its very ontological foundation, which is Christ, was overthrown. Noteworthy is that Saint Ketevan was venerated alike by Orthodox and Catholics, though she never renounced her Orthodox confession. This is affirmed even by Ambrosio dos Anjos, who in a letter sent to Rome in 1640 wrote thus: „It is most probable that the Queen abideth now in heaven and rejoiceth in the glory of God. Though she adhered to Greek customs, she greatly loved the Holy Catholic Church and all the Latins."Of no small import are the personal attainments of Queen Ketevan, which even the most exalted hierarchs have scarcely attained. Though many Popes and Patriarchs have endeavored to heal the breach between East and West, little progress has been made in the past fifty years. Yet through her sacrifice, Saint Ketevan did merit equal honor from both great confessions of Christendom.

Thus, may we rightly conclude that by her perfect embrace of the highest universal virtues and her right discernment of their meaning in this earthly life, Queen Ketevan was led unto the foretaste of eternal life. Thereby did she attain a friendship with Christ so steadfast and sacrificial, that through her salvation, she became the means of deliverance for multitudes, and did wholly partake, in soul and body, of that blessed path which leadeth unto everlasting glory.

References:

1. The Bible. The New Testament – Revised by Giorgi Mtatsmindeli (in Old Georgian) and translated by Bachana Bregvadze (in Modern Georgian). Patriarchate of Georgia, Public Relations Office. Retrieved March 15, 2025, from http://www.orthodoxy.ge/tserili/gadasatseri/sarchevi.htm
2. Gryphius, A. (1975). Ketevan the Georgian, or Unyielding Fortitude: A Tragedy in Five Acts. Tbilisi: Soviet Georgia Publishing.

3. Gulbenkiani, R. (1987). Authentic Accounts of the Martyrdom of Queen Ketevan of Georgia. Tbilisi: Metsniereba.
4. Kekelidze, K. (1958). History of Georgian Literature: Old Georgian Literature (Vol. II, p. 496). Tbilisi: Tbilisi State University Press.
5. Makariopoleli, N. (2007). Theology and Knowledge of God. Selection, No. 2. Tbilisi: Center for the Study of Religious Issues.
6. Nachkebia, M. (2024). Saint Ketevan the Martyr in 17th–18th Century Georgian and European Literature and Historical Sources. Tbilisi: Shota Rustaveli Institute of Georgian Literature.
7. Teimuraz, (1934). 7. Teimuraz I. The Martyrdom of Queen Ketevan. Tbilisi: Korneli Kekelidze National Centre of Manuscripts.
8. Tsintsabadze, M. (2010). „Saint Ketevan the Great Martyr of the Georgians.“ Tbilisi: Alilo.
9. Weitz, K., & Teasdale, T. (2021). Orthodoxy and Psychoanalysis. Orthodox Christian Studies Center. Retrieved April 15, 2025, from https://publicorthodoxy.org/ka/2021/11/24/10174/

ქალაქ ბათუმის მოსახლეობის დამოკიდებულება სათამაშო ბიზნესისადმი

(სოციოლოგიური კვლევის ანალიზი)

ნუგზარ ჩხაიძე
ფილოსოფიის დოქტორი, ბათუმის
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
ელ-ფოსტა: nugzar.chkhaidze@bsu.edu.ge
ORCID: 0009-0007-2795-791X

აბსტრაქტი: საკვლევი თემის აქტუალობა, ძირითადად განპირობებულია იმ გარემოებით, რომ აზარტულმა თამაშებმა, ბოლო პერიოდში, საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ჩვენი მრავალი თანაქალაქელის ცხოვრებაში. ქ. ბათუმის მოსახლეობის დამოკიდებულება სათამაშო ინდუსტრიისადმი არაერთგვაროვანია, გამომდინარე ასეთი მოცემულობიდან, ჩვენი ემპირიული სოციოლოგიური კვლევის ძირითადი მიზანი იყო, შესაბამის ანკეტაში დასმულ კითხვებზე, რესპონდენტების მიერ გაცემულ პასუხებზე დაყრდნობით, გაკეთებულიყო ისეთი სახის დასკვნები, რომელთა ცხოვრებაში გატარება გაარკვევდა, ამ სფეროში არსებულ ვითარებას და გარკვეულწილად მოაგვარებდა აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების საჭირბოროტო საკითხს. სათამაშო ბიზნესთან დაკავშირებით, ძირითადად იკვეთება ხელისუფლების დამოკიდებულება ამ ბიზნესისადმი, მოსახლეობის აზრი კი სათამაშო ბიზნესისადმი თითქმის ყოველთვის იგნორირებულია. ამ ხარვეზის გამოსწორების მიზნით, ბათუმელი რესპონდენტების სოციოლოგიურ გამოკითხვაზე დაყრდნობით, ჩვენ, კომპლექსურად შევისწავლეთ და წარმოვაჩინეთ მათი სათამაშო სფეროსადმი დამოკიდებულების სხვადასხვა ასპექტი. აღნიშნულ სოციოლოგიურ კვლევაში ყურადღება გამახვილებული იქნა შემდეგ კონკრეტულ საკითხებზე: აზარტულ თამაშებში მონაწილეობის ინტენსიობა; რესპონდენტების მიერ აზარტული თამაშების მათთვის პრიორიტეტული სახეობების დაფიქსირება; აზარტულ თამაშებში მონაწილეობის ძირითადი მიზანი (მიზნები); სათამაშო ბიზნესში მონაწილეობის დაწყების ასაკი; აზარტულ თამაშებში მონაწილეობის პირველი რეკომენდატორი (სოციალური სტატუსი); გამოკითხულთა ვარაუდი ქ. ბათუმში აზარტულ თამაშებში ჩართულთა რაოდენობის თაობაზე; აზარტულ თამაშებში მონაწილეობის სიხშირე კვირის განმავლობაში; რა დრო ეთმობა საათობრივად აზარტულ თამაშებში მონაწილეობას; აზარტულ თამაშებში მონაწილეობისას, როგორია მოგება-წაგების ბალანსი; იწვევს თუ არა აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება (ლუდომანია) ასეთი ადამიანების ცხოვრების წესის შეცვლას; ინფორმაციის ძირითადი წყაროები) აზარტულ თამაშებში ჩართულ პირებისთვის; სათამაშო ბიზნესის სავარაუდო მფლობელები (უცხოელები, საქართველოს მოქალაქეები, ამ ბიზნესის წილობრივი მესაკუთრეები და ა.შ.); არალეგალური სათამაშო ბიზნესის არსებობის შესაძლებლობა; შედის თუ არა საკმაო თანხა საქართველოს ბიუჯეტში სათამაშო ბიზნესიდან; როგორია სათამაშო ბიზნესის განვითარების პერსპექტივები საქართველოში.

საკვანძო სიტყვები: სათამაშო ბიზნესი, ტოტალიზატორი, ლუდომანია, არალეგალური სათამაშო ბიზნესი, რეკლამა.

* * *

შესავალი: აზარტული თამაშები უძველესი დროიდან არსებობს. მეოცე საუკუნეში კი აზარტული თამაშები იქცა სათამაშო ბიზნესის ერთ-ერთ მთავარ სეგმენტად. მსჯელობა მის ავკარგიანობაზე უძველესი დროიდან მიდის, მაგრამ ერთი, საერთო აზრი, დღემდე არ ჩამოყალიბებულა.

აზარტულად ითვლება ისეთი თამაშები, რომელთა შედეგები მთლიანად ან ნაწილობრივ დამოკიდებულია შემთხვევითობაზე. ისინი ტარდება სხვადასხვა სათამაშო ინვენტარის მეშვეობით ან ონლაინ (დისტანციურ) რეჟიმში და მათში მონაწილეობა ფულადი მოგების შესაძლებლობას იძლევა. აზარტული თამაშების მოწყობის თავისებურებების მიხედვით, სათამაშო ბიზნესი ორგვარია: სტანდარტული და ელექტრონული. სტანდარტული აზარტული თამაშები ისეთი თამაშებია, რომელთა მოწყობისთვის აუცილებელია რეალური ობიექტის არსებობა, ხოლო ელექტრონული აზარტული თამაშები, იგივე ონლაინ სივრცის თამაშები, ეფუძნება ინტერნეტ-პლატფორმების გამოყენებას.

სათამაშო ბიზნესი, ბიზნესსექტორის სპეციფიკური შემადგენელი ნაწილია, რადგან ერთი მხრივ იგი ეყრდნობა სპეციფიკური მომსახურების – სათამაშო მომსახურების გაწევას, ხოლო მეორე მხრივ, ის არ არის ერთგვაროვანი სახის, რადგან მოიცავს საქმიანი აქტივობების განსხვავებულ ვექტორებს.

სათამაშო ბიზნესი (ინდუსტრია) ტევადი ტერმინია და მოიცავს ისეთ სეგმენტებს, როგორებიცაა სანაძლეო ინდუსტრია, სამორინე ბიზნესი, რიცხვითი თამაშების ინდუსტრია (ლატარია, ბინგო, ლოტო და სხვა), სათამაშო აპარატების ინდუსტრია (სლოტ-აპარატები, რეკრეაციული მანქანები, სათამაშო აპარატები და სხვა). ასევე, ონლაინ თამაშები, წამახალისებელი გათამაშებები და ა. შ.

სათამაშო ბიზნესის ბაზარი შეიძლება იყოს მკაცრად ან რბილად რეგულირებული, კონკურენტული ან მონოპოლიური (ძირითადად სახელმწიფოს მიერ). ამასთან ერთად, კანონმდებლობით აზარტული თამაშები კვალიფიცირდება ლეგალურ და არალეგალურ სახეობებად. ლეგალური აზარტული თამაშები არის ქვეყნის შესაბამისი საკანონმდებლო აქტით განსაზღვრული თამაშების სახეობები, რომლებიც დაშვებულია ამა თუ იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, ხოლო არალეგალური აზარტული თამაშები კი წინასწარ განსაზღვრული წესით არის აკრძალული.

მიუხედავად იმისა, რომ აზარტული თამაშების სფერო მაღალი რისკების შემცველია, მისი ზრდის დინამიკა როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოში საკმაოდ მაღალია.

ჩვენი კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენდა რესპონდენტთა სოციოლოგიური გამოკითხვის საფუძველზე გამოვლენილიყო ბათუმელთა თვალსაზრისები სათამაშო ბიზნესთან დაკავშირებით. მათი კრიტიკული ანალიზის საფუძველზე კი შემუშავებულიყო ისეთი რეკომენდაციები, რომლებიც გარკვეული სახით დაარეგულირებდა სათამაშო ბიზნესთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებს.

თემის აქტუალობის ერთ-ერთი მთავარი ასპექტია ის გარემოებაც, რომ ჩვენს ქალაქშიც გაიდგა ფეხი სათამაშო ბიზნესთან დაკავშირებულმა ისეთმა ნეგატიურმა მოვლენამ, როგორიც ლუდომანიაა (თამაშდამოკიდებულება). ამ ნეგატიურ მოვლენას, ეკონომიკურთან ერთად აქვს ფსიქოლოგიური მახასიათებლებიც, რომელთა გარკვეული სახით დაძლევა უმნიშვნელოვანესი საკითხია საზოგადოებისათვის.

ნაშრომი პირველი კვლევაა, სადაც სათამაშო ბიზნესთან დაკავშირებული საკითხები გამოკითხული მოსახლეობის (ბათუმელების) შეხედულებების მეცნიერული ანალიზის საფუძველზე იხილება, რაც წინგადადგმული ნაბიჯია ამ პრობლემის შესწავლის საქმეში.

მეთოდები: საკითხის აქტუალობა ჩვენს ქვეყანაში, ბოლო დროს სათამაშო ბიზნესის მასშტაბების მკვეთრი ზრდით არის განპირობებული. კვლევის მიზანი იყო ბათუმელი რესპონდენტების ანკეტური სოციოლოგიური გამოკითხვის საფუძველზე, დაგვედგინა ის განწყობები, რომლებსაც ამჟღავნებენ ბათუმელები სათამაშო ინდუსტრიის მიმართ და რომლებიც, რიგ შემთხვევაში არ ემთხვევა ოფიციოზის თვალსაზრისს ამ საკითხთან დაკავშირებით.

საკვლევი პრობლემატიკიდან გამომდინარე, ჩვენი ემპირიული სოციოლოგიური კვლევის სამიზნე ჯგუფად შეირჩა, ქ. ბათუმის ადმინისტრაციული ტერიტორიის ფარგლებში მცხოვრები საქართველოს ის მოქალაქეები, რომლებიც ამა თუ იმ ხარისხით დაინტერესებული არიან აღნიშნული პრობლემატიკით. კვლევის მიზნების გათვალისწინებით, შემუშავდა კვლევის რაოდენობრივი მეთოდი (ეს მეთოდი სოციოლოგიური კვლევის ფორმალიზებული მეთოდია, რომლის გამოყენებაც სტატისტიკურ კანონზომიერებებს ემყარება და მიზნად ისახავს გამოავლინოს ამა თუ იმ სოციალური ფენომენის გავრცელების მასშტაბები და მისი გამოვლენის სიხშირე).

კვლევა განხორციელდა კითხვარებით, პირისპირ ინტერვიუს მეთოდის გამოყენებით. გამოკითხული იქნა ორივე სქესის 200 რესპოდენტი.

აღნიშნული ემპირიული სოციოლოგიური გამოკითხვის მასალების გარდა, თემის სრულყოფილად წარმოჩენისათვის შესწავლილი იქნა სხვა სახის წყაროებიც.

მსჯელობა. ჩვენ მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევა ეფუძნება ქ. ბათუმის მკვიდრთა გამოკითხვას ქალაქში ბოლო დროს ძალიან მომძლავრებული სათამაშო ბიზნესისადმი მათ დამოკიდებულებასთან დაკავშირებით, რამაც შესაძლებელი გახადა ამ ინდუსტრიის გარკვეული ასპექტების დანახვა რიგითი ქალაქელის თვალით (ჩხაიძე, 2025).

რაც შეეხება სოციოლოგიურ ანკეტაში დასმულ შეკითხვებზე რესპონდენტების პასუხებს, ის შემდეგი სახისაა – შეკითხვაზე – გაქვთ თუ არა მონაწილეობა მიღებული აზარტულ თამაშებში? გამოკითხულთა 34,2% დადებითი პასუხი გასცა, ხოლო 65,2% უარყოფითი. რაც შეეხება აზარტული თამაშების სახეობებს, მათში მონაწილეობის სიხშირე შემდეგნაირია (რესპონდენტებს შეეძლოთ შემოეხაზათ პასუხის რამდენიმე ვარიანტი, ამიტომ პასუხთა ჯამი აჭარბებს 100%). ყველაზე მეტად გამოკითხულები დადიან სლოტკლუბებში (სათამაშო აპარატები) – 67,4%; თამაშობენ სპორტულ შედეგებზე ტოტალიზატორებში – 59,2%; მონაწილეობენ ე. წ. გამაზვაში (ხელზე ფულის თამაში) – 17,5%. რაც შეეხება სხვა სახის აზარტულ თამაშებს (მაგ. ონლაინ კაზინოებს და ა. შ.), გამოკითხულებს ასეთი ტიპის თამაშებში მონაწილეობა არ მიუღიათ.

შეკითხვაზე თუ რა მიზნით თამაშობენ ადამიანები აზარტულ თამაშებს, პასუხები შემდეგნაირია: 84,3% თამაშობს ფულის მოგების მიზნით, 5,7% გართობის მიზნით, ხოლო 10,0% თვლის, რომ აზარტულ თამაშებში ჩართულები თამაშდამოკიდებული პირები არიან.

შეკითხვაზე, თუ რამდენი წლის იყო თამაშის პრაქტიკის მქონე რესპონდენტი, როდესაც პირველად მიიღო აზარტულ თამაშებში მონაწილეობა, აღმოჩნდა რომ მათი საშუალო ასაკი 20,4 წელია. შეკითხვაზე თუ გაქვთ მონაწილეობა მიღებული აზარტულ თამაშებში, გთხოვთ გვითხრათ, ვისთან ერთად ითამაშეთ პირველად აზარტულ თამაშში? პასუხები შემდეგნაირია: 62,7% პირველად ითამაშა მეგობართან ერთად; 9,4% – მეზობელთან ერთად, 9,5% ნათესავთან ერთად; დამოუკიდებლად –10,9%; 7,5% – სხვა პირებთან ერთად.

გამოკითხულებს მიაჩნიათ, რომ ქალაქის მოსახლეობის დაახლოებით 6,7%, ამა თუ იმ სიხშირით მონაწილეობს აზარტულ თამაშებში (საშუალო მაჩვენებელი); კითხვაზე – თუ იღებთ მონაწილეობას აზარტულ თამაშებში, გვითხარით რა სიხშირით? – პასუხები ასეთია: 8,7% თამაშობს თითქმის ყოველდღე; 9,2% – კვირაში 1-2-ჯერ; 8,5% –კვირაში 3 და მეტჯერ; 54,9% ორ კვირაში ერთხელ; 18,7% – თვეში ერთხელ ან უფრო იშვიათად. კითხვაზე – თუ იღებთ მონაწილეობას აზარტულ თამაშებში, დღის განმავლობაში რამდენ დროს უთმობთ მას? – გაირკვა რომ, მოთამაშე რესპონდენტთა 15,7% საშუალოდ 1 საათზე ნაკლებ დროს უთმობს აზარტულ თამაშებს; 72,5% – 1-3 საათს; 11,8% – 4-5 საათს ან მეტს. კითხვაზე, თუ როგორია საშუალოდ მოგება-წაგების ბალანსი? – პასუხები შემდეგნაირია: 84,7% თვლის, რომ წაგების შანსი უფრო მეტია; 12,6% აზრით უფრო მეტად მოგების შანსია; 2,7% – კი უჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა.

შემდეგი ორი შეკითხვა კი ეხებოდა ისეთ მტკივნეულ საკითხს, როგორიცაა ლუდომანია (თამაშდამოკიდებულება). ჩვენ, ამ პრობლემის მნიშვნელობიდან გამომდინარე, რესპონდენტების პასუხების კვალდაკვალ, სტატიის შემდგომ ნაწილში შედარებით მეტ ყურადღებას დავუთმობთ ამ საკითხს. კითხვაზე – იწვევს თუ არა აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება (ლუდომანია) ამ ადამიანების ცხოვრების წესის შეცვლას? პასუხები შემდეგნაირია – 96,7% ადასტურებს ასეთ გარემოებას; 2,6% არ ადასტურებს ასეთ რამეს; 2,7% უჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეკითხვაზე – გთხოვთ დააფიქსიროთ თქვენი აზრი იმის თაობაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანი პრობლემაა ლუდომანია ჩვენი ქალაქისთვის? –პასუხები შემდეგნაირია: 15,6% აზრით ძალიან მნიშვნელოვანი; 62,4% ფიქრობს, რომ მეტნაკლებად მნიშვნელოვანი; 12,7% თვალსაზრისით – უმნიშვნელო; 9,3% კი უჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა.

შეკითხვაზე – თუ მონაწილეობთ აზარტულ თამაშებში, გვითხარით საიდან იღებთ ინფორმაციას? პასუხები ასეთნაირია: აზარტულ თამაშებში ჩართულთა 82,6% ინფორმაცია აქვს ინტერ-

ნეტის საძიებო სისტემებიდან; სმს შეტყობინებით 4,7%; სამეგობრო წრიდან – 12,7%. შეკითხვაზე – ვისი საკუთრებაა ჩვენს ქალაქში არსებული სათამაშო ბიზნესის ობიექტები? – პასუხები შემდეგნაირია: 9,2% ფიქრობს, რომ სათამაშო ბიზნესის მფლობელები მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები არიან; 43,7% აზრით, სათამაშო ბიზნესი ძირითადად უცხოელების ხელშია; 20,6% შეხედულებით სათამაშო ბიზნეს ერთობლივად ფლობენ საქართველოს მოქალაქეები და უცხოელები, ხოლო 26,5% უჭირს ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა.

შეკითხვაზე – არსებობს თუ არა ქ. ბათუმში, არალეგალური სათამაშო ბიზნესი? – გამოკითხულების 5,7% ფიქრობს, რომ არსებობს; 85,1% აზრით არ არსებობს, ხოლო 9,2% უჭირს პასუხის გაცემა. შეკითხვაზე – თუ მონაწილეობთ აზარტულ თამაშებში, გვითხარით საიდან იღებთ ინფორმაციას? პასუხები ასეთნაირია: აზარტულ თამაშებში ჩართულთა 82,6% ინფორმაცია აქვს ინტერნეტის საძიებო სისტემიდან; სმს შეტყობინებით – 4,7%; სამეგობრო წრიდან – 12,7%. აზარტული თამაშების რეკლამა ფსიქოლოგების მიერ მიჩნეულია სათამაშო ქცევის ჩამოყალიბების ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად. ამიტომ სახელმწიფოები ახორციელებენ რეკლამების შეზღუდვების სხვადასხვა ღონისძიებებს (მაგ. საქართველოში აზარტული თამაშების რეკლამირება აიკრძალა ტელევიზიებში და ბილბორდებით). შეკითხვაზე – ვისი საკუთრებაა ჩვენს ქალაქში არსებული სათამაშო ბიზნესის ობიექტები? – პასუხები შემდეგნაირია: 9,2% ფიქრობს, რომ სათამაშო ბიზნესის მფლობელები მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები არიან; 43,7% აზრით, სათამაშო ბიზნესი ძირითადად უცხოელების ხელშია; 20,6% შეხედულებით სათამაშო ბიზნეს ერთობლივად ფლობენ, საქართველოს მოქალაქეები და უცხოელები, ხოლო 26,5% უჭირს ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა.

შეკითხვაზე არსებობს თუ არა ქ. ბათუმში, არალეგალური სათამაშო ბიზნესი? –გამოკითხულების 5,7% ფიქრობს, რომ არსებობს; 85,1% აზრით არ არსებობს, ხოლო 9,2% უჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. საქართველოს ბიუჯეტში სათამაშო ბიზნესიდან შენატანი რესპონდენტთა 25,7% აზრით ძალიან მნიშვნელოვანია; 31,7% ფიქრობს, რომ საკმაოდ მნიშვნელოვანია; 5,7% – თვის უმნიშვნელო; გამოკითხულთა 36,9% კი ამ საკითხის თაობაზე არაფერი იცის. ამ საკითხს სტატიაში კიდევ შევეხებით და ვაჩვენებთ რომ რესპონდენტთა შეხედულებები მკვეთრად განსხვავდება რეალური ვითარებისგან.

ანკეტის ბოლო (ღია სახის) შეკითხვაზე თუ როგორ პერსპექტივას ხედავენ საქართველოში სათამაშო ბიზნესთან (აზარტულ თამაშებთან) დაკავშირებით, რესპონდენტებმა ტექსტურად გამოხატეს თავიანთი მოსაზრებები. ქვემოთ გთავაზობთ ზოგიერთი მათგანს:

ვეთანხმები მთავრობის გადაწყვეტილებას, არასრულწლოვნებისთვის აზარტულ თამაშებში მონაწილეობის აკრძალვის თაობაზე. აქ მთავარია მისი მკაცრი აღსრულება; აზარტული თამაშები დიდი ცოდვაა და ის უნდა კანონმდებლობით აიკრძალოს; სასურველია აზარტული თამაშები აიკრძალოს, ამით ავაცილებთ მატერიალურ დანაკარგებს და ფსიქოლოგიურ ტრავმას, როგორც აზარტულ თამაშებში ჩართულ პირებს, ასევე მათ ახლობლებს; მორწმუნე ადამიანი არ ითამაშებს აზარტულ თამაშებს. სხვებისთვის კი „მსუბუქი ფორმით“ თამაშებში მონაწილეობა დაშვებული შეიძლება იქნას, ოღონდ დიდი ფსონების დადება უნდა აიკრძალოს; აზარტული თამაშების აკრძალვა შედეგს არ მოიტანს, იმიტომ, რომ ადამიანები „აკრძალულ ხილს“ უფრო ეტანებიან; სათამაშო ბიზნესი ქალაქიდან მოშორებით უნდა გავიდეს (ნაკლებად დასახლებულ ტერიტორიაზე). მას უნდა დაუწესდეს ძალიან მაღალი გადასახადები, რათა შეიზღუდოს სათამაშო ბიზნესის მასშტაბები; საჭიროა სათამაშო ბიზნესის რეგულაციის კანონების გამკაცრება და მის აღსრულებაზე მკაცრი კონტროლის დამყარება, რადგან ამ ბიზნესის მესვეურები, პოულობენ რაღაც გზებს („შავ ხვრელებს“), რომ კანონს გვერდი აუარონ; უნდა შეწყდეს სათამაშო ბიზნესის ყოველგვარი რეკლამირება. პირიქით, როგორც თამბაქოსთან დაკავშირებით („მოწევა კლავს“), უნდა იყოს ანალოგიური შინაარსის რეკლამა აზარტულ თამაშებთან დაკავშირებით; სათამაშო ბიზნესის ასეთი ფართო გავრცელება კავშირშია ადგილობრივი ელიტების სწრაფი გამდიდრების დაუოკებელ სწრაფვასთან. ამ ბიზნესის უკან ეს ხალხი დგას. ისინი არცთუ იშვიათად კაზინოების მეშვეობით ათეთრებენ ფულს; აზარტული თამაშები საერთოდ უნდა აიკრძალოს, ის დაღუპვისთვის წირავს ქართველ ერს (ლუდომანია, სუიციდი, ოჯახის დანგრევა, კრიმინალი და ა.შ.); ონლაინ-კაზინოები საერთოდ უნდა აიკრძალოს, ხოლო რეალურ კაზინოში დაწესდეს ზღვრული (დაბალი) სათამაშო თანხის ლიმიტი;

საჭიროა სკოლიდან ჩავუნერგოთ ბავშვებს, რომ აზარტულ თამაშებში მონაწილეობა არ არის სასიკეთო საქმე. თამაშები უნდა დაიშვას მხოლოდ გართობის მიზნით, ყოველგვარი ფინანსური შემადგენლის გარეშე; ჩვენს ქვეყანაში აზარტულ თამაშებში მონაწილეობის უფლება უნდა მიეცეს მხოლოდ უცხოელებს; სათამაშო ბიზნესის მთლიანად აკრძალვა მიუღებელია, რადგან ის იატაკქვეშეთში გადავა; სათამაშო ბიზნესში სახელმწიფო უნდა ჩაერიოს მხოლოდ საგადასახადო კუთხით; რაც შეეხება ლუდომანიას, ამას სახელმწიფო ვერ უშველის, ყველამ თავის თავს უშველოს; სათამაშო ბიზნესი ყველა სახით უნდა გაუქმდეს, ხოლო მისი კუთვნილი ობიექტები, უნდა გადაკეთდეს სპორტულ დარბაზებად; აზარტული თამაშები სასწრაფოდ უნდა აიკრძალოს, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ მასში ძირითადად ღარიბები იღებენ მონაწილეობას, რაღაც სარგებლის მიღების იმედით, მაგრამ რეალობაში უკანასკნელ გროშებსაც კარგავენ, რაც არცთუ ისე იშვიათად მათი ოჯახების დანგრევის მიზეზი ხდება; სათამაშო ბიზნესი კი არ უნდა შეიზღუდოს ან აიკრძალოს, არამედ, პირიქით, მისი მასშტაბები უნდა გაიზარდოს, რადგან ის ხელს უწყობს ჩვენს ქვეყანაში ტურიზმის განვითარებას.

დასკვნები. სათამაშო ბიზნესი, მრავალასპექტიანი მოცემულობა და ფართო საზოგადოებრივი კონტექსტის ნაწილია. მეოცე საუკუნიდან დაიწყო აზარტული თამაშების ლეგალიზაცია და ის სათამაშო ბიზნესად ტრანსფორმირდა. სათამაშო ინდუსტრია გასცდა კონკრეტული ქვეყნის ფარგლებს და მასში ჩართული არიან, როგორც შიდა, ასევე გარე აქტორები. გამომდინარე ასეთი ვითარებიდან, შეიძლება ითქვას, რომ სათამაშო ბიზნესი ქვეყნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სოციალურ-ეკონომიკურ საკითხად იქცა.

სათამაშო ბიზნესის აღმავლობა საქართველოში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაიწყო. საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლამ ბიძგი მისცა სათამაშო ინდუსტრიის განვითარებას. რაც შეეხება ქ. ბათუმს, აზარტული თამაშების სფერო აქ დამოუკიდებლობის პერიოდშიც (1918-1921 წწ) და მანამდეც საკმაოდ განვითარებული იყო (არსებობს ამის დამადასტურებელი საარქივო მასალები). ამჟამად ქალაქში სათამაშო ინდუსტრია საკმაოდ მაღალ დონეზე ფუნქციონირებს.

ბათუმელებს, სათამაშო ბიზნესისადმი, არაერთგვაროვანი, ზოგჯერ დიამეტრალურად საპირისპირო დამოკიდებულება აქვს – მათი ნაწილის აზრით ეს ბიზნესი საერთოდ უნდა დაიხუროს, ნაწილის აზრით კი, მისი ფუნქციონირება ამა თუ იმ სახით შენარჩუნებული უნდა იქნას. აქედან გამომდინარე, სათამაშო ბიზნესის საკითხი არა მხოლოდ მოსახლეობის გარკვეული ჯგუფის, არამედ მთელი საზოგადოების ერთ-ერთი საკვანძო პრობლემაა.

თანამედროვე სათამაშო ბიზნესის მნიშვნელოვან წილს წარმოადგენს აზარტული თამაშების ბაზარი, რომლის სრული რეგულირება საკმაოდ ძნელია. აზარტული თამაშების მსოფლიო ინდუსტრია, თანამედროვე ეტაპზე უკანონო შემოსავლების ლეგალიზების მაღალი რისკის სეგმენტად ითვლება, ამიტომ რიგ ქვეყანაში (მაგ. ჩრდილოეთ კორეა) ის საერთოდ აკრძალულია.

რომ დავადგინოთ სათამაშო ბიზნესის გავლენა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე, აუცილებელია ყველა იმ ნეგატიური და პოზიტიური ფაქტორის დაფიქსირება, რომლებიც თან ახლავს ამ სახის ბიზნესის ფუნქციონირებას (სათამაშო ბიზნესის ზეგავლენით წარმოქმნილი ეფექტი შეიძლება იყოს როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი).

უარყოფით ფაქტორებს შორის, განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ლუდომანიის (თამაშდამოკიდებულების) საკითხს. ლუდომანია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „მოთამაშე ადამიანს“. ლუდომანია გულისხმობს აზარტულ თამაშების განმეორებით, პრობლემურ ქცევას. აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულ ადამიანს უჭირს გააკონტროლოს საკუთარი ქცევა აზარტული თამაშების მიმართ და განაგრძობს თამაშს, მიუხედავად თამაშით გამოწვეული სერიოზული ფსიქიკური პრობლემებისა. ლუდომანია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ აღიარებულია, როგორც იმპულსის კონტროლთან დაკავშირებული აშლილობა. აზარტული თამაშები ხშირად კავშირშია ჯანმრთელობის და სოციალური პრობლემების სხვადასხვა გამოხატულებასთან: დეპრესია, სუიციდი, ოჯახური კონფლიქტები, ფინანსური პრობლემები, კარიერული წინსვლის და განათლების შეფერხება, კრიმინალური ქცევა, ალკოჰოლის, ნარკოტიკული საშუალებების გამოყენება და სხვა. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების პრობლემა

განსაკუთრებით აქტუალურია მოზარდებში, მათი ნაწილის, თამაშის დაუოკებელი სურვილი გამოწვეულია იმით, რომ ისინი იმედოვნებენ, რომ ამ გზით ადრე თუ გვიან დიდ თანხას მოიგებენ. ასეთი გარემოებიდან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მათი მთავარი პრობლემა სიღარიბეა და აქედან გამომდინარე ის ილუზია, რომ თამაშის წყალობით როგორმე თავს დააღწევენ გაჭირვებას. აზარტულ თამაშებში ჩართული მოთამაშე, საკმაოდ ხშირად, მნიშვნელოვნად იცვლება ფსიქოლოგიურადაც და არასანდო ხდება გარშემო მყოფთათვის. ლუდომანია ახალგაზრდობის საკმაო ნაწილის მძიმე სენად იქცა. საქართველოში, ბოლო დროს, ახალგაზრდებში სუიციდის ერთ-ერთი მთავარი მიზეზიც ლუდომანიაა.

ჩვენი კვლევის მასშტაბი და ინფორმაციის სიმწირე არ გვაძლევს საშუალებას ზუსტად განვსაზღვროთ რამდენია ქ. ბათუმში თამაშდამოკიდებული მოთამაშე, თუმცა ვვარაუდობთ, რომ ეს მაჩვენებელი საკმაოდ მაღალი უნდა იყოს (საქართველოში დაუდასტურებელი მონაცემებით 400 000 ლუდომანია). გარკვეულ სტატისტიკურ მონაცემებს აზარტულ თამაშებთან დაკავშირებით ხვდებით ქართულ პრესაში, მაგ.. ჟურნალისტ ბ. დანელიას მიერ, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „ათასობით ქართველი „სიღარიბის გამო“ აზარტულ თამაშებს თავს ვერ ანებებს“ (დანელია), ვკითხულობთ, „...15 ათასი ადამიანია შეტანილი სპეციალურ სიაში, რომელთაც თამაში ეზღუდებათ, თუმცა საერთო მდგომარეობას ეს არ ეტყობა. ირკვევა, რომ საქართველოს ყოველი მესამე მოქალაქე, სხვადასხვა აზარტულ პორტალზეა რეგისტრირებული, ამასთან ერთად კანონით თამაში აკრძალული აქვს 1,5 მილიონ პირს“. ასევე, საინტერესო ინფორმაციაა მიწოდებული მკითხველისთვის ჟურნალისტ გ. გიგაურის მიერ გაზეთ „ასავალ-დასავალში“ (№51, 2019 წ.) გამოქვეყნებულ სტატიაში „კაზინო და ტოტალიზატორი გენოციდს გვიწყობს“: „აზარტული თამაშების კვლევისა და ლუდომანიის პრევენციის ცენტრის კვლევით, საქართველოში მოზარდების 48% შეეხება აქვს აზარტულ თამაშებთან! ამავე კვლევით, საქართველოში, საკუთარი სახლებიდან გამოსახლებული 300 000 ადამიანიდან, მესამედი, სწორედ ლუდომანიის მიზეზით დარჩა თავზე ჭერის გარეშე“ (გიგაური, 2019, გვ. 8).

სათამაშო ბიზნესთან დაკავშირებით, კრიტიკის საგანია ის მცირე შენატანი, რაც შედის საქართველოს ბიუჯეტში ამ სფეროდან. საქართველოს ბიზნესის მთელი ბრუნვა 2024 წელს 230 მილიარდ ლარამდეა, სათამაშო ბიზნესის 63 მილიარდი (ამ მაჩვენებლებით ის უსწრებს საბანკო სექტორს). ასეთი მაღალი დაბეგვრის ბაზის მიუხედავად, სათამაშო ბიზნესის გადასახადი მოგებიდან ბიუჯეტში მხოლოდ 700 მლნ. ლარს შეადგენს. თუ აზარტულ თამაშებს, ზოგიერთი ქვეყნისთვის დამატებითი სარგებელი მოაქვს, ჩვენთვის ეს სარგებელი მიზერულია (მაჩაიძე, 2024, გვ. 25).

ჩვენ არ ვემხრობით სათამაშო ბიზნესის ტოტალურ აკრძალვას, მაგრამ მხარს ვუჭერთ ამ სფეროში ისეთ პოლიტიკას, რომელიც სასარგებლო იქნება ჩვენი სახელმწიფოსთვის და მისი მოქალაქეებისთვის (აქ იგულისხმება მათი სიცოცხლის და სოციალური დანაკარგების პრევენციაც). საქართველოს მოქალაქეები, რომ დავიცვათ გაკოტრებისაგან, საჭიროა სათამაშო სახეობებზე დაწესდეს მაქსიმალური სათამაშო ლიმიტი, რომლის ფარგლებშიც მოთამაშე შეზღუდულია. მაგ. შეიძლება დაიდგას დაბალფსონიანი სათამაშო აპარატები ძალიან მცირე სათამაშო თანხით. ამ ქმედებით, ერთი მხრივ, თავიდან იქნება აცილებული მნიშვნელოვანი დანაკარგების რისკი, ხოლო, მეორე მხრივ, შემცირდება აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების ხარისხი. საჭიროა, ის პირები რომლებიც სისტემატურად აგებენ, ავტომატურად გაირიცხონ თამაშის პროცესიდან და აეკრძალოთ თამაში.

სათამაშო ბიზნესის ფუნქციონირება, დამოკიდებულია, ამა თუ იმ სახელმწიფოს მიერ გატარებულ სათამაშო ბიზნესის პოლიტიკაზე. ეს უკანასკნელი კი შეიძლება იყოს მეტად ან ნაკლებად რეგულირებადი. მეტად რეგულირებადი სათამაშო ბიზნესის პოლიტიკა გულისხმობს, ამა თუ იმ სახელმწიფოს მხრიდან მასზე მრავალმხრივი, ხისტი შეზღუდვების დაწესებას. ნაკლებად რეგულირებადი (ლიბერალური) სათამაშო ბიზნესის პოლიტიკა კი მინიმალურად ზღუდავს ამ ბიზნესს. არსებობს სათამაშო ბიზნესის რეგულირების შემდეგი მოდელები: ა) „პროჰიბიციონიზმი (კანონმდებლობით აზარტული თამაშების სრული აკრძალვა); ბ) რეგლამენტაცია (აზარტული თამაშების სამართლებრივი ბერკეტებით რეგულირება).

საქართველოს მთავრობის დადგენილებით აზარტული თამაშების სექტორის დაბეგვრის გადასახადი 10%-დან 15%-მდე გაიზარდა, მოქალაქეთა მიერ მოგებული თანხის გატანა კი 2%-იანი საშემოსავლო გადასახადის ნაცვლად 5%-ით დაიბეგრა. დადებითად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ 2024 წლიდან კანონში „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშების მოწყობის შესახებ“ შევიდა ცვლილებები, რომლის თანახმად უცხო ქვეყნის მოქალაქეები თავისუფლდებიან აზარტული თამაშების მოგებაზე 5%-იანი საშემოსავლო გადასახადისაგან. ასეთი ქმედების პოზიტიური სოციალური ეფექტი ვლინდება იმაში, რომ სათამაშო ბიზნესის სუბიექტები ქმნიან ახალ სამუშაო ადგილებს. ზოგიერთ ქვეყანაში კი სათამაშო ბიზნესი ტურიზმის ინდუსტრიის მნიშვნელოვანი მასტიმულირებელია. ბათუმისთვის სათამაშო ბიზნესის მნიშვნელობას კარგად ხსნის აკადემიკოსი ალექსანდრე თვალჭრელიძე სტატიაში „რა გავლენას ახდენს სათამაშო ბიზნესი ქვეყნის ეკონომიკაზე?“ – ის ამბობს – „მას შემდეგ, რაც ბათუმში პირველი კაზინოები გამოჩნდა, ეს ქალაქი იქცა ერთგვარ მექად ჯერ თურქებისათვის, შემდეგ – ებრაელებისა და არაბებისთვის. სწორედ სათამაშო ბიზნესის წყალობით დაიწყო ბათუმში 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების მშენებლობა. განვითარდა ინფრასტრუქტურა, გაიხსნა რესტორნები, კლუბები, ბარები, სავაჭრო და ესთეტიკური ცენტრები და სხვა. სათამაშო ინდუსტრია უზრუნველყოფს უცხოური ვალუტის და მდიდარი ტურისტების შემოდინებას რეგიონში, რომლებიც დაინტერესებული არიან არა მარტო სათამაშო პროცესით, არამედ, უძრავი ქონების შეძენით და არიან შოპინგცენტრების, კვების ობიექტების, საკურორტო, სამედიცინო და სხვა სერვისების აქტიური მომხმარებლები და ინვესტორები. აღნიშნული გარემოება რეგიონში ქმნის სამუშაო ადგილებს, ადგილობრივ მოსახლეობას აძლევს საშუალებას, განავითაროს მცირე და საშუალო ბიზნესი. ამიტომ ეჭვგარეშეა, რომ სათამაშო ბიზნესი პოზიტიურ როლს თამაშობს რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაში. გარდა ამისა, და ეს ძალიან მნიშვნელოვანია, სწორედ სათამაშო ინდუსტრიამ გარდაქმნა ბათუმი სეზონური ტურისტული ცენტრიდან უნისეზონურ ცენტრად, მათ შორის, უზრუნველყო სასტუმროების სრული დატვირთვა მთელი წლის განმავლობაში. დღეს სასტუმროებს, აღნიშნული გარემოებების წყალობით, აღარ უწევთ მომსახურე პერსონალის შემცირება შემოდგომიდან გაზაფხულამდე, რაც რასაკვირველია, აისახება მოსახლეობის შემოსავლებზე“ (თვალჭრელიძე, 2024).

ჩვენი აზრით, საჭიროა ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების გარკვეული ნაწილისთვის შეიზღუდოს აზარტულ თამაშებზე წვდომა, რადგან ბევრი მათგანისთვის ეს სავალალო შედეგებს იწვევს (ლუდომანია), ხოლო მეორე მხრივ კი უცხოელებისთვის არ უნდა იყოს რაიმე სახის აკრძალვები ნებისმიერ აზარტულ თამაშის ხელმისაწვდომობაზე. ასეთი რეგულირება გაზრდის უცხოეთიდან ტურისტული ნაკადების შემოსვლას ჩვენს ქვეყანაში და სათამაშო ბიზნესის სტაბილურ ფუნქციონირებას.

როგორც ვხედავთ, სათამაშო ბიზნესის ცალმხრივად შეფასება არცთუ ისე იოლი საქმეა, რადგან მას აქვს როგორც დადებითი, ასევე, უარყოფითი მხარეები. უარყოფითად შეიძლება შეფასდეს ის გარემოება, რომ აზარტულ თამაშებში ჩართული ჩვენი მოქალაქეების უმრავლესობა დაბალშემოსავლიან ფენას მიეკუთვნება. ამიტომ, თამაშის წაგების გამო, არცთუ ისე იშვიათად, ადგილი აქვს გაკოტრებას, ლუდომანიას, სუიციდს და სხვა ნეგატიურ ფაქტებს. აქედან გამომდინარე, საჭიროა ჩვენი თანამემამულეების აზარტულ თამაშებში მონაწილეობაზე მკაცრი რეგულაციების დაწესება: უნდა მოხდეს მოთამაშეთა ერთიანი ბაზის შექმნა, რითაც შეიქმნება შესაძლებლობა შემოსავლების მიხედვით მოთამაშის იდენტიფიცირებისა. ამასთან ერთად, კარგი იქნება, თუ ოჯახის რომელიმე წევრს მიეცემა უფლება ახლობელი მოთამაშე შავ სიაში შეიყვანოს მთელი ქვეყნის მასშტაბით; სკოლებში პერიოდულად უნდა ჩატარდეს ტრენინგები აზარტული თამაშების ანტირეკლამის კუთხით, საჭიროა სათამაშო ბიზნესს დაეკისროს სპეციალური გადასახადები, რომლებიც მიმართული იქნება ლუდომანების ფსიქორეაბილიტირებისთვის და ა.შ.

აზარტულ თამაშებში ჩართულთა საკითხი არ გადაიჭრება, თუ არ მოხერხდა მათი დასაქმება. ბათუმში 1992 წლამდე 46 ფაბრიკა-ქარხანა ფუნქციონირებდა, სადაც ქალაქის მოსახლეობის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი იყო დასაქმებული. ამიტომ, ჩვენი აზრით, მხოლოდ ინდუსტრიის განვითარებას შეუძლია აზარტომანიის საკითხის გადაჭრა, სხვანაირად ეს საკითხი პრობლემად დარჩება ჩვენი ქალაქისთვის.

კიდევ ერთ საჭირბოროტო საკითხზე მინდა გავამახვილო ყურადღება. 2017 წლიდან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ტოტალიზატორ „კრისტალბეტთან“ გააფორმა შეთანხმება და ეროვნულ საფეხბურთო ლიგის ჩემპიონატს „კრისტალბეტის“ სახელი დაანათლეს. ამგვარად, საქართველო ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც ეროვნულ საფეხბურთო ჩემპიონატს ტოტალიზატორის სახელი – „კრისტალბეტ – ეროვნული ლიგა“ ეწოდება. საჭიროა სპორტის მესვეურებმა დროზე ჩამოაცილონ ქართულ ფეხბურთს ეს სამარცხვინო ლაქა.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ხელისუფლების მხრიდან ბევრი გაკეთდა სათამაშო ბიზნესის რეგულირების კუთხით (აიკრძალა აზარტული თამაშების რეკლამირება ტელევიზიებში, ბანერების განთავსება ქუჩებში, თამაშის უფლების შეზღუდვა 1,5 მილიონი ადამიანისთვის, 25 წლამდე პირთათვის თამაშებში მონაწილეობის უფლების ჩამორთმევა და ა.შ.), ეს საკმარისის არ არის ინდუსტრიის ამ სფეროს ეფექტური რეგულირებისთვის, რაც დაადასტურა წარმოდგენილ ემპირიულ სოციოლოგიურ კვლევაში მონაწილე ბათუმელი რესპონდენტების პასუხებმა.

ბიბლიოგრაფია:

არ ითამაშო / DON'T GAMBLE – 114 ნაბიჯი აზარტული თამაშების ხაფანგისგან თავის დასაღწევად. (2021). თბილისი.

გამყრელიძე, ა., გიორგობიანი, შ., & გამყრელიძე, შ. (2011). *აზარტომანია – XXI საუკუნის ნარკომანია.* თბილისი.

გიგაური, გ. (2019, დეკემბერი). კაზინო და ტოტალიზატორი გენოციდს გვიწყობს. *გაზ. „ასავალ-დასავალი“ №51*, p. 8.

დანელია, ბ. (2024, ოქტომბერი №14). ათასობით ქართველი „სიღარიბის გამო“ აზარტულ თამაშებს თავს ვერ ანებებს. *საქართველოს რესპუბლიკა*, p. 8.

თვალჭრელიძე, ა. (2024, დეკემბერი 1). რა გავლენას ახდენს სათამაშო ბიზნესი ქვეყნის ეკონომიკაზე? *აჭარა*, p. 4.

მაჩაიძე, რ. (2024, ოქტომბერი №42). როგორ აპირებს „ლელო“ პენსიის გაზრდას 1000 ლარამდე?! *კვირის პალიტრა*, p. 25.

საქართველოს კანონი „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“. (2011, დეკემბრი 9). *№5448* .

ჩხაიძე, ნ. (2025). *ქ. ბათუმის მოსახლეობის დამოკიდებულება სათამაშო ბიზნესისადმი (სოციოლოგიური კვლევის ანალიზი – 10-15.05.2024).* ბათუმი: რაოდენობრივი ემპირიული სოციოლოგიური კვლევა (კვლევის მასალები ინახება ავტორთან).

ჯანიაშვილი, მ. (2020, თებერვალი 10). *აზარტული ბიზნესი – ქართული ეკონომიკის პარაზიტი.* Retrieved from REGIONAL DIALOQUE: https://regional-dialogue.com/gambling/

ATTITUDES OF BATUMI POPULATION TO GAMBLING BUSINESS

(Analysis of sociological research)

NUGZAR CHKHAIDZE
PhD in Philosophy, Senior scientific researcher at Niko Berdzenishvili Institute
of Batumi Shota Rustaveli State University
E-Mail: nugzar.chkhaidze@bsu.edu.ge
ORCID: 0009-0007-2795-791X

Abstract. The relevance of the research topic is mainly due to the fact that gambling has recently taken a very important place in the lives of many of our fellow citizens. The attitude of the population of Batumi towards the gaming industry is mixed. Based on such a situation, the main goal of our empirical sociological research was to make conclusions based on the questions asked in the applicable questionnaire and the answers given by the respondents, the implementation of which would clarify the current situation in this field and to some extent solve the problem of the pressing issue of gambling addiction. Regarding the gaming business, the government's approach to the business is largely distinct, and the opinion of the population towards the gaming business is almost always ignored. In order to find ways out of the failing, we complexly studied and presented various aspects of the attitudes of Batumi residents to gaming as such. In the mentioned sociological research, attention was focused on the following specific issues: Intensity of participation in gambling; Determination of priority types of gambling by the respondents; The main purpose (goals) of participation in gambling; Starting age of participation in gambling business; The first recommender who lead a participant to take part in gambling (his/her social status); The assumption of the interviewees regarding the number of people involved in gambling in Batumi; Frequency of participation in gambling during a week; How much time is devoted hourly to gambling; when participating in gambling, what is the profit and loss balance; Does gambling addiction (ludomania) lead to a change in lifestyle of those involved; Main sources of information for persons involved in gambling; Probable owners of gambling business (foreigners, citizens of Georgia, share owners of the business, etc.); The possibility of presence of an illegal gaming business; Is there noteworthy amount of money influx in Georgia budget from gaming business; What are the prospects for the development of gaming business in Georgia.

Keywords: gaming business, bookmaker (totalizator), gambling, illegal gaming business, advertising.

* * *

Introduction: Gambling has existed since ancient times. In the twentieth century, gambling became one of the main segments of the gaming business. Discussions about its harmfulness have been going on since old times, but one common opinion has not been formed to this day.

Games, whose results depend entirely or partially on chance, are considered gambling. They are carried out through various game equipment or online (remote) mode, and participation in them provides an opportunity for monetary profit. According to the peculiarities of gambling, there are two types of gambling business: standard and electronic. Standard gambling games are games that require a real build to be arranged, and electronic gambling, known as online-space games, is based on the use of Internet platforms.

Gaming business is a specific component of the business sector, because on the one hand it relies on the provision of specific services, – gaming services, – on the other hand, it is not of a uniform type, as it includes different vectors of business activities.

Gaming business (industry) is a capacious term and includes such segments as power industry, casino business, numerical game industry (lottery, bingo, lotto and others), gaming machine industry

(slot machines, recreational vehicles, gaming machines and others). Also, online games, incentive draws, etc.

The gaming business market can be strictly or mildly regulated, competitive or monopolistic (mainly by the state). In addition, gambling qualifies as legal and illegal by law. Legal gambling is a type of games defined by the relevant legal act of the country, which is allowed on the territory of this or that country, and illegal gambling is prohibited in a predetermined manner.

Despite the fact that the field of gambling contains high risks, the dynamics of its growth both in Georgia and in the world is quite high.

The main goal of our research was to identify the views of the people of Batumi regarding the gaming business based on the sociological survey of the respondents. Based on their critical analysis, such recommendations were developed that would regulate problematic issues related to gaming business in a certain way.

One of the main aspects of the relevance of the topic is the fact that such a negative event related to the gaming business as Ludomania (game addiction) has taken hold in our city. Along with economic, this negative event also has psychological characteristics, overcoming which in a certain way is the most important issue for society.

The work is the first study, where issues related to gaming business are discussed based on the scientific analysis of the views of the surveyed population (Batumi residents), which is a step forward in the study of this problem.

Methods: The relevance of the issue in our country is due to the recent sharp increase in the scale of the gaming business. The purpose of the research was to determine, based on the questionnaire sociological survey of Batumi respondents, the attitudes shown by the people of Batumi towards the gaming industry and which, in some cases, do not coincide with the official's point of view on this issue.

Based on the research problems, the target group of our empirical sociological research was selected those citizens of Georgia living within the administrative territory of Batumi who are interested in the mentioned problem to one degree or another. Taking into account the goals of the research, a quantitative research method was developed (this method is a formalized method of sociological research, the use of which is based on statistical regularities and aims to reveal the extent of the spread of this or that social phenomena and the frequency of its detection).

The research was carried out with the questionnaires, using the face-to-face interview method. 200 respondents of both sexes were interviewed.

In addition to the materials of the mentioned empirical sociological survey, other sources were also studied in order to fully present the topic.

Reasoning. Our sociological research is based on a survey of Batumi residents regarding their attitudes toward the rapidly growing gambling industry in the city in recent times, which made it possible to view certain aspects of this industry through the eyes of ordinary citizens (Chkhaidze, 2025).

According to the mentioned sociological research, which is based on the views of the residents of Batumi on gaming business, which has recently become very powerful in the city, made it possible to see certain aspects of this industry through the eyes of an ordinary city dweller.

As for the respondents' answers to the questions asked in the sociological questionnaire, they are of the following nature: to the question – Have you participated in gambling? 34.2% of the respondents gave a positive answer, and 65.2% gave a negative answer. As for the types of gambling, the frequency of participation in gambling is as follows (respondents could circle several answer options, so the sum of the answers exceeds 100%): most respondents go to slot clubs (gaming machines) – 67.4%; play on sports results in totalizators – 59.2%; participate in so called *'gamazva'* (money on hand) – 17.5%. As for other types of gambling (e.g. Online casinos, etc.), the interviewees did not participate in those typeьof games.

The answers to the question of why people gamble are as follows: 84.3% play for money, 5.7% for entertainment, and 10.0% believe that those involved in gambling are gambling addicts.

When asked how old the respondent started gaming practice, when he first took part in gambling, it was found that their average age is 20.4 years. When asked, when they have participated first in gambling, who was his/her first gambling partner he/she played with together, the answers distributed as follows: 62.7% played for the first time together with a friend; 9.4% with a neighbour, 9.5% with a relative; independently –10.9%; 7.5%– with some other persons.

The respondents believe that about 6.7% of the city's population participates in gambling with certain frequencies (average); to the question – If you participate in gambling, tell us how often? – The answers are as follows: 8.7% play almost every day; 9.2%– 1-2 times a week; 8.5% –3 or more times a week; 54.9% once every two weeks; 18.7% once or less often. To the question – If you participate in gambling, how much time of the day do you spend on it?– It turned out that 15.7% of the player respondents spend an average of less than 1 hour on gambling; 72.5%-1-3 hours; 11.8%-4-5 hours or more. To the question of what is the average profit-loss balance? – Answers are as follows: 84.7% believe that the chance of losing is higher; 12.6% think there is a greater chance of winning; 2.7% –are difficult to answer this question.

The next two questions were about such a painful issue as ludomania (game addiction). Based on the importance of this problem, following the answers of the respondents, we will pay relatively more attention to this issue in the next part of the article. To the question – Does gambling addiction (ludomania) cause these people to change their lifestyle? The answers are as follows – 96.7% confirm such a circumstance; 2.6% do not confirm such a thing; 2.7% find it difficult to answer this question. To the question – Please state your opinion about how important the problem of ludomania is for our city? – The answers are as follows: 15.6% think it is very important; 62.4% think it is more or less important; 12.7% in terms of – insignificant; 9.3% find it difficult to answer this question.

To the question – If you participate in gambling, tell us where you get the information from? The answers are as follows: 82.6% of those involved in gambling have information from Internet search engines; 4.7% by SMS message; – 12.7% from the circle of friends. To the question – Whose property are the gaming business facilities in our city? – The answers are as follows: 9.2% think that gaming business owners are only citizens of Georgia; According to 43.7%, gaming business are mainly in foreigners' hands.

According to 20.6%, the gaming business is jointly owned by Georgian citizens and foreigners, and 26.5% find it difficult to answer this question.

On the question – whether there exists in city of Batumi illegal gambling business? – 5.7% of respondents think it exists; 85.1% think it doesn't exist, and 9.2% find it difficult to answer. To the question – If you participate in gambling, tell us where you get the information from? The answers are as follows: 82.6% of those involved in gambling have information from the Internet search engine; SMS message – 4.7%; – 12.7% from the circle of friends. Gambling advertising is considered by psychologists to be one of the main factors in the formation of gambling behaviour. Therefore, states implement various advertising restrictions measures (e.g. In Georgia, gambling advertising was banned on television and billboards). To the question – Whose property are the gaming business facilities in our city? – The answers are as follows: 9.2% think that gaming business owners are only citizens of Georgia; According to 43.7%, gaming business is mainly in the hands of foreigners; 20.6% of the opinion is jointly owned by gaming businesses, citizens of Georgia and foreigners, and 26.5% find it difficult to answer this question.

On the question of whether there is in Batumi illegal gambling business? 5.7% of – respondents think it exists; 85.1% think it does not exist, and 9.2% find it difficult to answer this question. In the opinion of 25.7% of the respondents, the contribution from the gaming business to the budget of Georgia is very important; 31.7% think that it is quite important; insignificant for 5.7%; 36.9% of respondents do not know anything about this issue. We will touch on this issue again in the article and show that the views of the respondents differ sharply from the real situation.

To the last (open-ended) question of the questionnaire, what perspective do they see in Georgia regarding the gaming business (gambling), the respondents expressed their opinions in text. Below we offer some of them:

"I agree with the government's decision to ban minors from gambling. The main thing here is its strict enforcement; Gambling is a great sin and it should be prohibited by law; it is desirable to ban gambling, thereby avoiding material losses and psychological trauma, both to persons involved in gambling and to their relatives; a believer will not gamble. For others, participation in „light form" games may be allowed, but placing large bets should be prohibited; Banning gambling will not bring results, because people „prohibited fruits" more; Gambling business should go away from the city (in a less populated area). It should be subject to very high taxes to limit the scale of the gaming business; There is a need to tighten gaming business regulation laws and establish strict controls on its enforcement, as the managers of these businesses find some ways („black holes") to circumvent the law; Any advertising of the gaming business should be stopped. On the contrary, regarding tobacco (Smoking kills), there should be advertising of similar content in relation to gambling; such a wide spread of the gaming business is connected with the insatiable desire for rapid enrichment of local elites. These people are behind this business. They not infrequently launder money through casinos; Gambling should be banned altogether, it sacrifices the Georgian nation for death (ludomania, suicide, family destruction, crime, etc.); Online casinos should be banned altogether, and in a real casino, a limit of the low playing amount should be set; It is necessary to instil in children from school that participation in gambling is not a good thing. Games should be allowed only for entertainment purposes, without any financial components; In our country, only foreigners should be allowed to participate in gambling; Banning the gambling business as a whole is unacceptable, because it will go underground; The state should intervene in the gambling business only from a tax point of view; As for ludomania, the state cannot help it, everyone should help themselves; The gambling business should be abolished in all forms, and its facilities should be converted into sports halls; Gambling should be banned immediately First of all, because mostly the poor take part in it, hoping to get some benefit, but in reality they lose their last pennies, which not infrequently becomes the reason for the destruction of their families; The gambling business should not be restricted or banned, but, on the contrary, its scale should be increased, because it contributes to the development of tourism in our country."

Conclusions:

The gaming business is a multi-faceted context and part of a wider public context. Gambling began to be legalized in the twentieth century and transformed into a gambling business. The gaming industry has gone beyond the borders of a particular country and involves both domestic and foreign actors. Based on such a situation, it can be said that gaming business has become one of the most important socio-economic issues of the country.

The rise of gaming business in Georgia began after the collapse of the Soviet Union. The transition to a market economic system gave impetus to the development of the gaming industry. As for Batumi, the field of gambling was quite developed here during the period of independence (1918-1921) and before that (there are archival materials confirming this). Currently, the gaming industry in the city is functioning at a fairly high level.

The people of Batumi have a mixed, sometimes diametrically opposite attitude towards the gaming business – According to some of them, this business should be closed altogether, while according to some, its functioning should be maintained in one way or another. Therefore, the issue of gaming business is one of the key problems not only of a certain group of the population, but also of the entire society.

An important share of the modern gaming business is the gambling market, which is quite difficult to fully regulate. The world gambling industry is considered a high-risk segment for the legalization of illegal income at the modern stage, so in some countries (e.g. North Korea) it is banned altogether.

In order to determine the impact of gaming business on the socio-economic development of the country, it is necessary to identify all the negative and positive factors that accompany the operation of this type of business (the effect caused by the influence of gaming business can be both short-term and long-term).

Among the negative factors, special attention should be paid to the issue of ludomania (game addiction). Ludomania is a Latin word meaning „player person". Ludomania refers to repetitive, problematic gambling behaviour. A gambling addict finds it difficult to control his gambling behaviour and continues to play despite serious mental problems caused by gambling. Ludomania is recognized by the World Health Organization as an impulse control disorder. Gambling is often associated with various manifestations of health and social problems: depression, suicide, family conflicts, financial problems, career advancement and education delays, criminal behaviour, alcohol, drug use and others. It should be emphasized that the problem of gambling addiction is especially relevant among teenagers, some of them have an insatiable desire to play because they hope to win a lot of money sooner or later. Based on such circumstances, it can be assumed that their main problem is poverty, and therefore the illusion that thanks to the game they will somehow get rid of poverty. A gambler, quite often, changes significantly psychologically and becomes unreliable to those around him. Ludomania has become a heavy burden for a considerable part of the youth. Recently, one of the main causes of suicide among young people in Georgia is ludomania.

The scale of our research and the scarcity of information do not allow us to determine exactly how many game-dependent players are there in Batumi, although we assume that this figure should be quite high (according to unconfirmed data, there are 400,000 Ludo maniacs in Georgia). You can find certain statistical data regarding gambling in the Georgian press, e.g... Journalist B. Danelia wrote in the article published in the newspaper „Republic of Georgia: „thousands of Georgians 'due to poverty' cannot stop gambling"(Danelia, 2024). We read, „...15 thousand people are included in a special list, whose game is restricted, although that does not affect the general situation. It turns out that every third citizen of Georgia is registered on various gambling portals, and 1.5 million people are prohibited from playing by law. Also, interesting information is provided to the readers by journalist G. Gigauri in newspaper „Asaval-Dasavalsh"(№51, 2019) in the article „Casino and bookmaker organize our genocide": „According to the research of the Gambling Research Ludomania Prevention Centre, 48% of teenagers in Georgia are related to gambling! According to the same research, out of 300,000 people evicted from their homes in Georgia, a third of them were left without a ceiling due to ludomania"(Gigauri, 2019, p. 8).

Regarding gaming business, the small contribution that is paid in the budget of Georgia from this field is the subject of criticism. The total turnover of Georgian business in 2024 is up to 230 billion GEL, gaming business 63 billion (by these indicators it is ahead of the banking sector). Despite such a high taxation base, the gaming business tax is only 700 million from the profit in the budget. Amounts in GEL, if gambling brings additional benefits in some countries, for us, the benefit is meagre (Machaidze, 2024, p. 25).

We do not support a total ban on gambling business, but we support policies in this area that will be beneficial to our state and its citizens (this includes the prevention of their lives and social losses). In order to protect the citizens of Georgia from bankruptcy, it is necessary to set a maximum playing limit for gambling kinds, within which the player is limited. E.g. Low-stakes slot machines can be installed with very little gaming sum. With this action, on the one hand, the risk of significant losses will be avoided, and on the other hand, the degree of gambling addiction will be reduced. It is necessary to automatically exclude those persons who systematically lose from the game process and ban the game.

The operation of the gaming business depends on the gaming business policies pursued by this or that state. The latter can be more or less adjustable. A highly regulated gaming business policy implies the imposition of multilateral, rigid restrictions on it by one or another state. A less regulated (liberal) gaming business policy minimally restricts this business. There are the following models of gambling business regulation: a) prohibitions (total prohibition of gambling by law); b) Regulation (regulation with legal levers of gambling).

According to the resolution of the Government of Georgia, the taxation of the gambling sector increased from 10% to 15%, and the withdrawal of money won by citizens was taxed at 5% instead of 2% income tax. The fact that from 2024 the law on the organization of „lotteries, gambling and winning games has been amended, according to which citizens of foreign countries are exempted from 5% income tax on winning gambling games, can be considered positive. The positive social effect of such an action is manifested in the fact that gaming business entities create new jobs. In some countries, gambling business is an important stimulant of the tourism industry. Academician Aleksandre Giochrelidze explains the importance of gaming business for Batumi well in the article „What effect does gaming business have on the country's economy? „ – He says – „After the first casinos appeared in Batumi, this city became a kind of mecca first for Turks, then – for Jews and Arabs. It was thanks to the gaming business that the construction of 4 – and 5-star hotels in Batumi began. Infrastructure was developed, restaurants, clubs, bars, shopping and aesthetic centres and others were opened. The gaming industry ensures the influx of foreign currency and rich tourists to the region, who are interested not only in the gaming process, but also in the purchase of real estate and are active users and investors of shopping centres, catering facilities, resort, medical and other services. The mentioned circumstance creates jobs in the region, allows the local population to develop small and medium-sized businesses. Therefore, there is no doubt that the gaming business plays a positive role in the economic development of the region. In addition, and this is very important, it was the gaming industry that transformed Batumi from a seasonal tourist centre to an unseasonal centre, including providing a full load of hotels throughout the year. Today, thanks to the mentioned circumstances, hotels no longer have to reduce the number of service personnel from autumn to spring, which, of course, affects the income of the population"(Tvalchrelidze, 2024).

In our opinion, it is necessary to restrict access to gambling for a certain part of the citizens of our country, because for many of them it leads to unfortunate consequences (ludomania), and on the other hand, there should not be any kind of prohibitions for foreigners on the availability of any gambling. Such regulation will increase the entry of tourist flows from abroad into our country and the stable functioning of the gaming business.

As we can see, unilaterally evaluating the gaming business is not an easy task, because it has both positive and negative sides. The fact that the majority of our citizens involved in gambling belong to the low-income class can be evaluated negatively. Therefore, due to the loss of the game, not so rarely, there is bankruptcy, ludomania, suicide and other negative facts. Therefore, it is necessary to establish strict regulations on the participation of our compatriots in gambling: a unified base of players should be created, thus creating an opportunity to identify the player based on income. At the same time, it would be good if any family member is allowed to blacklist a closely related player throughout the country; Schools should periodically conduct trainings in terms of anti-gambling advertising, the gambling business should be charged special taxes aimed at the psycho-rehabilitation of gambling addicts, etc.

The issue of those involved in gambling will not be resolved if they are not employed. Until 1992, 46 factories operated in Batumi, where a significant part of the population was employed. Therefore, in our opinion, only the development of the industry can solve the issue of gambling, otherwise this issue will remain a problem for our city.

I would like to draw attention to another pressing issue. Since 2017, the Football Federation of Georgia has signed an agreement with the bookmaker (totalizator) „Crystalbet", and the name „Crystalbet" has been given to the National Football League Championship. Thus, Georgia is the only country in the world where the national football championship is called the bookmaker's name – „Crystalbet – National League". It is necessary for sports managers to remove this shameful stain from Georgian football in time.

In the end, it can be said that despite the fact that a lot has been done by the government in Georgia in terms of regulating the gaming business (banning advertising gambling games on television, placing

banners on the streets, restricting the right to play for 1.5 million people, depriving people under the age of 25 of the right to participate in games, etc.). That is not enough for the effective regulation of the field of industry that has been confirmed by the answers of Batumi respondents participating in the presented empirical sociological study.

Bibliography:

არ ითამაშო / DON'T GAMBLE – 114 ნაბიჯი აზარტული თამაშების ხაფანგისგან თავის დასაღწევად. (2021). თბილისი.

გამყრელიძე, ა., გიორგობიანი, შ., & გამყრელიძე, შ. (2011). *აზარტომანია – XXI საუკუნის ნარკომანია.* თბილისი.

გიგაური, გ. (2019, დეკემბერი). კაზინო და ტოტალიზატორი გენოციდს გვიწყობს. *გაზ. „ასავალ-დასავალი“ №51*, p. 8.

დანელია, ბ. (2024, ოქტომბერი №14). ათასობით ქართველი „სიღარიბის გამო“ აზარტულ თამაშებს თავს ვერ ანებებს. *საქართველოს რესპუბლიკა*, p. 8.

თვალჭრელიძე, ა. (2024, დეკემბერი 1). რა გავლენას ახდენს სათამაშო ბიზნესი ქვეყნის ეკონომიკაზე? *აჭარა*, p. 4.

მაჩაიძე, რ. (2024, ოქტომბერი №42). როგორ აპირებს „ლელო“ პენსიის გაზრდას 1000 ლარამდე?! *კვირის პალიტრა*, p. 25.

საქართველოს კანონი „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“. (2011, დეკემბრი 9). *№5448* .

ჩხაიძე, ნ. (2025). *ქ. ბათუმის მოსახლეობის დამოკიდებულება სათამაშო ბიზნესისადმი (სოციოლოგიური კვლევის ანალიზი – 10-15.05.2024).* ბათუმი: რაოდენობრივი ემპირიული სოციოლოგიური კვლევა (კვლევის მასალები ინახება ავტორთან).

ჯანიაშვილი, მ. (2020, თებერვალი 10). *აზარტული ბიზნესი – ქართული ეკონომიკის პარაზიტი.* Retrieved from REGIONAL DIALOQUE: https://regional-dialogue.com/gambling/

ბათუმის ურბანული განვითარების ზოგიერთი ასპექტი

მაია ჭიჭილეიშვილი
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ბათუმის
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის უფროსი
მეცნიერი თანამშრომელი; ბათუმის ხელოვნების
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი
ელ-ფოსტა: maia.chichileishvili@bsu.edu.ge
ORCID: 0009-0002-2030-9948

აბსტრაქტი: ბათუმის ტერიტორიაზე უძველესი დასახლების ნაშთები თანამედროვე ქალაქის ჩრდილოეთით მდებარე „ბათუმის ციხის“ ნანგრევებმა შემოგვინახა. ბათუმის ახალი, საქალაქო ტიპის განაშენიანების წარმოშობა XIX საუკუნიდან საზღვაო ნავსადგურის ჩრდილო-დასავლეთით – ყურის მიმართულებით გადანაცვლებასთანაა დაკავშირებული. ამ პერიოდიდან, ბათუმის ურბანული განვითარება, გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, რეგულარული დაგეგმარების პრინციპით წარიმართა. ბათუმის განაშენიანება არ ეფუძნებოდა წინასწარ შედგენილ გეგმებს. იგი განსაზღვრული იყო არა ერთიანი, მთლიანი მხატვრულ-ხუროთმოძღვრული განვითარების იდეით, არამედ, ზოგადად, იმპერიის ქალაქებისათვის დამახასიათებელი რეგლამენტაციის წესებითა და ნორმებით. ბათუმის ძველი უბნები ჩამოყალიბდა მოწესრიგებული კვარტალური სტრუქტურის მქონე პერიმეტრის ზოლზე განვითარებული ურბანული ქსოვილის სახით. ქალაქის გეგმიანი რეკონსტრუქციისა და განაშენიანების პროცესები საბჭოთა პერიოდს უკავშირდება. 1927, 1933, 1956, 1986 წლებში შედგენილი გეგმის პროექტები წარმოადგენდა ქალაქის განაშენიანებისა და კეთილმოწყობის ძირითად სახელმძღვანელო დოკუმენტებს. 2008 წლიდან ბათუმი სწრაფად ვითარდება. არქიტექტურა ტურიზმის პოლიტიკის ნაწილი გახდა, თუმცა ქალაქის კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაციისა და ახალი განაშენიანების „კონცეფცია“ წინააღმდეგობაში აღმოჩნდა ბათუმის რეგულირებადი გეგმარების, წესრიგის, ზომიერი მასშტაბის, კამერული სივრცისა და გარემოსთან შერწყმის ტრადიციულ პრინციპებთან.

ბოლო წლებში გამოიკვეთა ბათუმის ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულებები – საპორტო-სატრანზიტო ფუნქცია და ტურისტული სექტორი, რომელშიც ქალაქის ისტორიული ნაწილი ინარჩუნებს ტურისტული მიზიდულობის ცენტრის მნიშვნელობას და საჭიროებს განსაკურებულ ყურადღებას რეაბილიტაციისა და მოვლა-პატრონობის თვალსაზრისით. თანამედროვე მოდერნიზებული განაშენიანებისათვის კი მნიშვნელოვანია ლოკალური გეგმების, მასშტაბების, სიმაღლეებისა და სიმჭიდროვის შეზღუდვის რეგულაციების შემოღება. ქალაქის წინაშე ისევ დგას სივრცითი განვითარების სტრატეგიული ხედვის შემოთავაზების, ისტორიული ბირთვის შენარჩუნების, რეგულარული გეგმარების დაცვისა და დაბალანსებული, მხატვრულად გამომსახველი თანამედროვე არქიტექტურული გარემოს შექმნის ურთულესი ამოცანა.

საკვანძო სიტყვები: ბათუმი, არქიტექტურა, განაშენიანების გეგმა, გამოწვევები.

* * *

შესავალი: თანამედროვე ბათუმის ჩრდილოეთით, მდინარე ყოროლისთავის ზღვასთან შეერთების ადგილას მდებარე ე.წ. თამარის ციხის ნანგრევებმა დასახლების უძველესი კულტურული ფენები შემოგვინახა. ცხოვრება აქ I ათასწლეულის დასაწყისიდან ჩქეფდა, ხოლო ანტიკურ ხანაში

უკვე საქალაქო დასახლება არსებობდა. ციხე-სიმაგრის მდებარეობა ხელს უწყობდა საზღვაო და სახმელეთო გზების გაკონტროლებას, რის გამოც საფორტიფიკაციო ნაგებობა ფუნქციონირებდა შუა საუკუნეებშიც. ბათუმის „თამარის ციხის“ ნაშთები გაიგივებულია იმპერატორ იუსტინიანეს მიერ ლაზიკაში აგებულ ლოსორიონის სიმაგრესთან, რომელიც, პროკოპი კესარიელის (VI ს) ცნობის თანახმად, შავი ზღვის სანაპიროზე აფსაროსის ციხესა და პეტრას შორის მდებარეობდა. ამ ციხეს უნდა გადაეკეტა ლაზიკიდან სამხრეთი შავიზღვისპირეთისკენ მიმავალი გზა (Леквинадзе, 1967: 505-510; Леквинадзе 1973:169-186). მწირი ისტორიული ცნობებისა და არქეოლოგიური მონაპოვრის ანალიზის საფუძველზე არქეოლოგიურ-არქიტექტურული ძეგლი – „ბათუმის ციხე“ – ავლენს კავშირს უძველესი პერიოდის კოლხურ დასახლებასთან, რომაულ-ბიზანტიურ და შუა საუკუნეების ქართულ საფორტიფიკაციო-სასიმაგრო სისტემებთან. მრავალგზის გადაკეთების მიუხედავად, თვალსაჩინოა რომაული და ადრებიზანტიური სიმაგრეებისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი – სწორკუთხა გეგმარება, ქვისა და აგურის მონაცვლეობით შედგენილი კედლების წყობა და გვიანი შუა საუკუნეების კედლების გამაგრებისათვის გამოყენებული ნახევარწრიული კონტრფორსების სისტემა (ინაიშვილი, 2009:153-156). XIX საუკუნის მკვლევარ-მოგზაურთა (ა.დიუპრე, დ.ბაქრაძე, ა.ფრენკელი, ჟ.მურიე და სხვ.) ნაშრომების მიხედვით, ბათუმის ციხეს ამ დროისთვის არ ჰქონდა საფორტიფიკაციო დანიშნულება (ბაქრაძე, 1987:23; ფრენკელი, 2012:78-79,225).

XIX საუკუნის დასაწყისის ქალაქი კომპაქტურობას მოკლებული, მთავარი სავაჭრო ცენტრის – ბაზრის მქონე სოფლური ტიპის დასახლებაა. ბათუმის ახალი, საქალაქო ტიპის განაშენიანების წარმოშობა ჩრდილო-დასავლეთით – ყურის მიმართულებით საზღვაო ნავსადგურის გადანაცვლების პროცესთანაა დაკავშირებული.

მეთოდები: ნაშრომის კვლევის მეთოდები ემყარება საისტორიო წყაროების – პრესის, ფოტომასალების, სამეცნიერო ლიტერატურის, საარქივო დოკუმენტების ანალიზს, ქალაქის ავთენტური ნაწილის გრაფიკული მონაცემების შეჯერების შედეგებს.

მსჯელობა: XIX საუკუნის პირველ ნახევარში თურქეთის მხრიდან კოლონიზაციის მიზნით განხორციელებული პროექტები ბათუმის ყურის მიმდებარე ტერიტორიების ათვისებისაკენ იყო მიმართული. საუკუნის დასაწყისში, ჭაობების ამოშრობის მიზნით, გათხრილი იყო არხები, რომლითაც წყალი ზღვაში ჩაედინებოდა. 1861 წლის დასასრულს ქალაქ ბათუმში დაწყებულ იყო ხის ნავმისადგომის მშენებლობა (Yildiztaş, 2021: 289). 1863 წლის სულთნის ფირმანით დაგეგმილი იყო ახალი ქალაქის გაშენება ნავსადგურის ჩრდილო-დასავლეთით და ამისთვის 12 არშინის სიგანის (8,5 მ) ქუჩების გაჭრა, შუაში მეჩეთის, ხოლო ზღვის ზოლში კი ციხე-სიმაგრეების აგება. საქალაქო შენობების, მეჩეთისა და საპყრობილის ასაგებად გამოგზავნილ იქნა მშენებელი ოსტატი ჰაჯი დიმიტრი. ოსმალური მმართველობის დროს, XIX საუკუნის 60-70-იან წლების ახალდაარსებულ უბნებში – „აზიზიე“ და „ნურიე“, გამოიკვეთა რეგულარული დაგეგმარების ჩანასახი (ლილუაშვილი, 2019:158-160).

1878 წლიდან აჭარა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში გადადის. ამავე წლის გეგმის მიხედვით, ქალაქ ბათუმის საზღვრები მოიცავდა ტერიტორიას ამჟამინდელი ნ.ბარათაშვილის, ი.ჭავჭავაძისა და ი.გოგებაშვილის ქუჩებსა და სანაპირო ზოლს შორის. ფრაგმანტულად იყო დასახლებული ბარათაშვილის ქუჩის დასავლეთით მდებარე სივრცეები.

1888 წელს, ბათუმისათვის ქალაქის სტატუსის მინიჭების შემდეგ, ინჟინერ ნ.დაკიშევიჩის მიერ შედგენილ იქნა ქალაქის გენერალური გეგმა (1887-1889 წლები), რომლითაც გათვალისწინებული იყო ქუჩების გაფართოებისა და ტერიტორიების ზრდის ტენდენცია სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით (ამჟამინდელი ს.ხიმშიაშვილი, ა.პუშკინის, პ.მელიქიშვილის, გ.ბრწყინავლის, ა.გრიბოედოვისა და ი.ჭავჭავაძის ქუჩებს შორის მდებარე ტერიტორიებზე). ახალი განაშენიანება დაპროექტებული იყო შედარებით უფრო გამსხვილებული სწორკუთხა კვარტლების სახით, რაც, თავის მხრივ, ადასტურებდა, რომ დაუმტკიცებლობის მიუხედავად, ნ.დაკიშევიჩის გეგმის ზოგიერთი ასპექტი მომავალში მაინც იქნა გათვალისწინებული (კომახიძე, 2000:127-130). 1889 წელს გ.რჩე-

ულიშვილის მიერ, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის დავალებით შედგა ბათუმის განვითარების კიდევ ორი გეგმა, რომელიც სანაპიროსა და მთის ზოლის გარდა, მოიცავდა ტერიტორიებს მდინარე ყოროლისთავსა და მეჯინისწყალს შორის. ქალაქისა და გარეუბნების ამ გეგმაში, არქიტექტორ ვლადიმერ სიმონსონის მითითებით, გარკვეული ცვლილებები შევიდა, რაც არსებითად რამდენიმე ქუჩის დაგრძელებას, ქუჩების ერთმანეთთან შეერთებას ან გაფართოებას გულისხმობდა. ჩატარებული სამუშაოების მიუხედავად, ქალაქის აღნიშნული გეგმა არ იქნა დამტკიცებული. ასევე, რიგი უზუსტობების გამო, არ იქნა გაზიარებული 1895 წელს არქიტექტორ ა.კანდინოვის მიერ შედგენილი გეგმაც, რომელიც მოიცავდა ტერიტორიებს შავი ზღვის სანაპიროს, მდინარე ბარცხანას, სამხედრო გზატკეცილსა და მდინარე ანგისას შორის (კომახიძე, 2000:132-134). ამის შემდგომ უგულვებელყოფილ იქნა 1897-1900 წლებში მიწისმზომელ პიოტრ ლიპინსკისა და 1905 წელს მ.რიტელის მიერ შედგენილი გეგმებიც (ლილუაშვილი, 2019: 186).

აღნიშნული ფაქტები ადასტურებენ, რომ ბათუმის განაშენიანება არ ეფუძნებოდა წინასწარ შედგენილ გეგმებს. საქალაქო განაშენიანების პრინციპი ბათუმში განსაზღვრული იყო არა ერთიანი, მთლიანი მხატვრულ-ხუროთმოძღვრული განვითარების იდეით, არამედ, ზოგადად, იმპერიის ქალაქებისათვის დამახასიათებელი რეგლამენტაციის წესებითა და ნორმებით. ამ პერიოდის რეგულირების წესების მიხედვით, ქალაქის გეგმარების ერთადერთი სახელმძღვანელო პრინციპი რეგულარული კვარტლების შექმნა იყო. ფუნქციონალური და სოციალური ფაქტორებით განსაზღვრული სივრცული გარემო – უბანი შედგებოდა მეტ-ნაკლებად თანაბარი არქიტექტურული მნიშვნელობის მქონე ურბანული ელემენტებისაგან, რომელთა შორის დომინანტური მნიშვნელობა საკულტო ნაგებობს ენიჭებოდა. კვარტლების ქსელი და განაშენიანების თანაბარი რიტმული წყობა ხელშემწყობ პირობებს ქმნიდა ერთი ქუჩიდან მეორეზე შეუმჩნევლად გადაადგილებისა და სეირნობისათვის. ქალაქის არქიტექტურული სახის ჩამოყალიბებას, ზემოთ ჩამოთვლილ პრინციპებთან ერთად, განსაზღვრავდა ბათუმისათვის დადგენილი რეგლამენტაციის წესები, ინსტურქციები (Сборник деиствующих в гор. Батуми...), რომლის თანახმად, განაშენიანების ძირითად მოთხოვნას წარმოადგენდა ქუჩის წითელი ხაზების, შენობათა ფასადური წყობის, სიმაღლეებისა და სხვა რეგულაციების დაცვა. აქედან გამომდინარე, ბათუმის ძველი უბნები ჩამოყალიბდა მოწესრიგებული კვარტალური სტრუქტურითა და პერიმეტრის ზოლზე, ერთმანეთის მიჯრით განთავსებული ზომიერი მასშტაბის შენობებით (ჭიჭილეიშვილი, 2013:262-268). რეგულაციის წესებს იცავდნენ არა მარტო XIX-XX საუკუნეების მიჯნის, არამედ საბჭოთა პერიოდის ბათუმის არქიტექტურაშიც, განსაკუთრებით კი, XX საუკუნის პირველ ნახევარში ისტორიულ განაშენიანებაში ჩართული ახალი ნაგებობების მშენებლობისას.

1921 წლიდან დაისვა ქალაქების გეგმიანი რეკონსტრუქციისა და მასთან დაკავშირებით ახალი დაგეგმარების შედგენის საკითხები. 1925 წელს დადგინდა ქალაქ ბათუმის ახალი საზღვრები, რომელიც მოიცავდა ჩრდილოეთით – შავი ზღვის სანაპირო ზოლს, აღმოსავლეთით – მდინარე სკურკუბასა და სამხრეთით – ჟილინის არხს შორის მდებარე ტერიტორიებს. ამავე პერიოდიდან განიხილებოდა ახალი და ძველი კვარტლების გადანაწილების, მოსახლეობის რაციონალური განსახლების, ტრანსპორტის, ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობის, ადგილობრივი მრეწველობის, საცხოვრებელი სახლების მშენებლობის, ქალაქის სანიტარიულ-ტექნიკური პირობების გაუმჯობესების, სამრეწველო და საცხოვრებელი რაიონების ზონირების საკითხები (ჯანბერიძე, 1971:33-34; კომახიძე, 2000:147). 1927 წელს ინჟინერ დ. სვიშევსკის ხელმძღვანელობით შეიქმნა ქალაქის განვითარების დეტალური გეგმა, რომლის თანახმად, ბევრი საკითხი გადაწყვეტილ იყო რაციონალურად, რაც გულისხმობდა ქალაქის მოსახერხებელ განვითარებას სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, რკინიგზის სადგურისა და ნავთობის საწარმოთა ზღვასთან ახლოს გაშენების გამოვლენილი ტენდენციის უარყოფას. თუმცა, ეს მოსაზრება უკუგდებულ იქნა და ახალი ქარხნები მაინც აღნიშნულ ტერიტორიაზე გაშენდა, რითაც ქალაქმა კარგი საკურორტო ადგილები დაკარგა, ხოლო ახლომდებარე საცხოვრებელი რაიონები დაბინძურდა ნავთობგადამამუშავებელი პროცესების მავნე გამონაყოფით. მიუხედავად ამისა, აღნიშნული ახალი გეგმა მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა იმდროინდელ ქართულ საბჭოთა ქალაქთგეგმარებაში. ამ გეგმის მიხედვით განხორციელდა ტერიტორიების დაყოფა, გაყვანილ იქნა ახალი ქუჩები და მოინიშნა ბათუმის ნავთობ-

გადამამუშავებელი ქარხნის საცხოვრებელი კვარტლების გაშენება ზღვისპირა ტერიტორიაზე, ქარხანასთან ახლოს. უბნის განაშენიანება ითვალისწინებდა მწვანე ნარგავებში გაშენებულ საცხოვრებელ სახლებსა და პირველადი მომსახურების ობიექტებს. ამ გეგმის თანახმად, ბათუმისათვის ნიშანდობლივი რეგულარული დაგეგმარების სტრუქტურა და ქუჩების გამჭოლი განიავების პრინციპი გათვალისწინებული იყო როგორც ძველ, ასევე, ახალ უბნებშიც. იგეგმებოდა გამწვანებული სივრცეების ზრდა, ძირითადი მაგისტრალების გადაკვეთაზე კი ფართო მოედნების მოწყობა. ასევე, უნდა შეენარჩუნებინათ სანაპირო ზოლში არსებული ტბები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სანიაღვრო კანალიზაციის მოსაწყობად (კომახიძე, 2000:150-155). გასული საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში ქალაქის დაბალი სიმჭიდროვე განაშენიანების დაბალი პროცენტული მაჩვენებლით იყო განპირობებული. 1933 წელს ისევ შემუშავდა ბათუმის დაგეგმარების სქემა ცნობილი არქიტექტორების ბ.ლორთქიფანიძისა და ლ. სუმბაძის ხელმძღვანელობითა და რ.აგაბაბიანის, ნ.ფერემუზოვას, მ.ცეცხლაძისა და რ.იზაშვილის მონაწილეობით. გეგმა ითვალისწინებდა სამხრეთ დასავლეთით, მდინარე სტეფანოვკის მიდამოებში, საწარმოებისათვის ახალი ადგილების გამოყოფას, მთისძისრისა და ბაგრატიონის მაგისტრალური ქუჩების გაყვანას და აქ სამგზავრო და საბარგო-სარკინიგზო სადგურის მოწყობას, ახალი საცხოვრებელი რაიონების განვითარებას სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, მაგისტრალების, კვატლების გამსხვილებას, მწვანე მოედნების ზრდას, თუმცა აღნიშნული გეგმის დამტკიცება, მეორე მსოფლიო ომის დაწყების გამო, ვერ მოხერხდა (კომახიძე, 2000:158)[1]. 1956 წელს, ა.ნიკოლაიშვილის, ლ.სუმბაძის, ნ.ფერმუზოვას და კ.ჯავახიშვილის მონაწილეობით, კვლავ განახლდა მუშაობა ქალაქის გენერალური გეგმის შედგენაზე. დღის წესრიგში იდგა: ქალაქის ცენტრალური ნაწილიდან რკინიგზის სამგზავრო სადგურის გადატანის იდეა, საზღვაო ნავსადგურის რეკონსტრუქცია, საზღვაო ვაგზლის აშენება, ი.გოგებაშვილის ქუჩის რეკონსტრუქცია-გამწვანება, მცირე ზომის კვარტლების გაერთიანება, ქვეითებზე მორგებული ხეივნებითა და შიდა გადასასვლელებით. ამავე გეგმის მიხედვით, გათვალისწინებული იყო ი.ჭავჭავაძის, თბილისის, ნ.ბარათაშვილის ქუჩების გაფართოება ე.წ. ბულვარული გაშენებით. ქალაქის ისტორიულ ნაწილში ავარიული შენობების ხარჯზე გამოთავისუფლებულ ტერიტორიებზე კი შიდაკვატრალური მწვანე ეზოების მქონე საცხოვრებელი განაშენიანების მოწყობა იგეგმებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ გასული საუკუნის 70-იან წლებამდე, აღნიშნული პროექტი წარმოადგენდა ქალაქის განაშენიანებისა და კეთილმოწყობის ძირითად სახელმძღვანელო დოკუმენტს. მასში გათვალისწინებული იყო ბათუმის ძველი ნაწილის არქიტექტურული სტრუქტურა და ზღვის, როგორც წამყვანი ელემენტის ფაქტორი, რომლის სანაპირო ზოლი მწვანე მასივებს ეთმობოდა (კომახიძე, 2000:158-160; ბათუმის მიწათსარგებლობის გეგმა, 2008:43-44). 1986 წელს შედგა ბათუმის გენერალური გეგმის ახალი პროექტი, რომლითაც განიხილებოდა რკინიგზის სადგურის გადატანის, ნავსადგურის გაფართოების, ბათუმის აეროპორტის, ბათუმის საბაგირო გზის აშენების, ნაგავსაყრელის ადგილმდებარეობის, ზღვის ნაპირის გამაგრების საკითხები. თუმცა, აღნიშნული გეგმა, ამ საკითხების ირგვლივ არსებული ნაკლოვანებების გამო, არ იქნა დამტკიცებული (კომახიძე 2000:161).

XX საუკუნის მეორე ნახევარში, ქალაქის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი (ზ. გორგილაძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიები) გაშენდა უსახური, ტიპური პროექტებით ე.წ ხრუშჩოვკებით. მოგვიანებით, 1960-იანი წლებიდან, ქალაქს დაემატა ზღვისპირა უბანი ე.წ. სასროლეთი (ივ. ჯავახიშვილის. ტბ.აბუსერისძის, ი.კობალაძისა და ზღვის სანაპიროს შორის ტერიტორია). განაშენიანებამ ზურგი აქცია ზღვას, რადგან საკურორტო, სანაპირო და საცხოვრებელ ზოლში, ძირითადად, საწარმოები განთავსდა. ამ ახალი უბნების განაშენიანება, წინასწარ დაუგეგმავობის გამო, ხასიათდება ქუ-

[1] 1902-1907 წლებში დ.სვისშევსკის ბათუმის სამხედრო უწყების სამუშაოთა მწარმოებლისა და ქალაქის სამმართველოს ინჟინრის თანამდეობა ეკავა. იგი აქტიურად მუშაობდა ბათუმის რეკონსტუქციისა და განაშენიანების გეგმის შედგენაზე. დ.სვიშჩევსკიმ შეადგინა სანიაღვრო ფეკალური კანალიზაციის პროექტი, შეისწავლა აჭარის ზღვის ნაპირის ნგრევა-დაშლის მიზეზები. ის იყო ბათუმის ტრამვაის ხაზის, ბათუმი-ყარსის, ბათუმი-თავრიზის სარკინიგზო ხაზების განუხორციელებელი პროექტების ავტორი. დ. სვიშჩევსკის ეკუთვნოდა ქალაქის ცენტრში შემომავალი სარკინიგზო ვაგზლის მთისძირის ქუჩაზე გადატანის იდეა, რომელიც მაგისტრალებით დაუკავშირდებოდა ქალაქის ძირითად საკვანძო პუნქტებს.

ჩათა არარეგულარული ქსელური სტრუქტურით, მრავალსართულიანი სახლებისა და საყოფაცხოვრებო ობიექტების რამდენადმე უსისტემო განლაგებით (კომახიძე. 2000:164-167). XX საუკუნის შუა ხანებიდან, ასევე, წვრილი და არარეგულარული კვარტლების სახით ჩამოყალიბდა ე.წ. ჭაობის დასახლებაც. გასული საუკუნის 60-80-იანი წლებში, როგორც ცენტრში, ასევე, პერიფერიულ ზონებში ჩართული შენობები და ახლად გაშენებული უბნები (შ.ხიმშიაშვილისა და დ.აღმაშენებლის ქუჩების მიმდებარე ტერიტორიები), კონტრასტული მასშტაბებისა და უსახური არქიტექტურის გამო, შეუსაბამო აღმოჩნდა როგორც ისტორიული, ასევე, თანამედროვე ბათუმის იერსახესთან. ამ პროცესების განვითარებას წარმოადგენდა გასული საუკუნის 90-იან წლებში მიმდინარე უსისტემო და ქაოტური რეკონსტრუქციები – მიშენება-დაშენების პროცესები, რომლებმაც მნიშვნელოვნად დააკნინა საბჭოთა ბათუმის ისედაც უსახური სახე. საბჭოთა პერიოდში განუხორციელებელი დარჩა ქალაქის ძველი, მჭიდროდ დასახლებული უბნებისა და ამორტიზებული სახლების რეკონსტრუქციის იდეა, რამაც, თავის მხრივ, შემოინახა ისტორიული ურბანული ქსოვილი, მხატვრულად გამორჩეული და მოკრძალებული იერსახის მქონე ფონური შენობებით.

2008 წელს, კ.ამირეჯიბის, ვ.ფრანგიშვილისა და ვ.ვარდოსანიძის ავტორეობით შედგენილი იქნა ბათუმის ახალი გენერალური გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ქალაქის სივრცით-ფუნქციური განვითარების სტრატეგიულ შემოთავაზებებს. ქალაქის ახალ გამოწვევებს შორის აღნიშნული იყო ნავთობგადამამუშავებელი ობიექტების ადგილმდებარეობისა და ინფრასტრუქტურის საკითხები, ფუნქციური ზონირების ახალი ხედვა და ისტორიული ნაწილის შენარჩუნების ამოცანები. გეგმის თანახმად, ბათუმის ურბანული განვითარების პირველი ეტაპის ქალაქგეგმარებით ღონისძიებებს წარმოადგენდა: ქალაქის ადმინისტრაციული საზღვრების გაზრდა (ანგისის, ხელვაჩაურის ტერიტორიების შემოერთება, პლაჟისა და ბულვარის, შ.ხიმშიაშვილის ქუჩის გაგრძელება, ი.ჭავჭავაძისა და ტბელ აბუსერიძის ქუჩათა გაფართოება); ახალი სატვირთო-ტრანზიტული მაგისტრალის მოწყობა პ.ბაგრატიონის, მთისძირისა და ერისთავის ქუჩების გავლით; ინტეგრირებული სატრანსპორტო ცენტრის – პორტის, რკინიგზისა და ავტოსადგურის ფორმირება; ახალი მაღლივი მშენებლობების კომპოზიციურ ერთიანობაში მოყვანა; კანალიზაციის სისტემის, ნაგავსაყრელის ტერიტორიის მოწესრიგება, ჟილინისა და სხვა სადრენაჟო არხების რეაბილიტაცია, ნაპირდაცვითი სამუშაოების ჩატარება და სხვ. ამ გეგმის II ეტაპის ქალაქგეგმარებით ღონისძიებები შეიცავდა კონკრეტული ლოკაციების სივრცითი მოწყობის ამოცანებს, რომელთა ნაწილი არ განხორციელდა.[1] III რიგის ქალაქგეგმარებითი ამოცანები ითვალისწინებდა ახალი შემოვლითი ავტოტრასის დაგეგმვასა და მშენებლობას, „ხრუშჩოვკების“ და სხვა მრავალბინიანი ამორტიზებული საცხოვრებელი ფონდის დემონტაჟსა და ახალი კომპლექსების აგებას, ისტორიული ზონის არქიტექტურულ-მხატვრული რეაბილიტაციის საკითხებს და სხვ. (ბათუმის მიწათსარგებლობის გეგმა, 2008:97-98).

2008-2011 წლებში განხორციელდა ძველი ბათუმის ისტორიული უბნების (მ.აბაშიძის, ნ.დუმბაძის ქუჩები, ევროპის მოედანი, წმ.ნიკოლოზის ტაძრის მიმდებარე ტერიტორია, ი.გოგებაშვილისა და შოთა რუსთაველის ქუჩები) სხვადასხვა მონაკვეთების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია. თუმცა ეს პროცესი, ძირითადად, წარიმართა განაშენიანების მოდერნიზაციის, „განახლების“, ფუნქციური ადაპტაციისა და ავთენტურობის ნიველირების საფუძველზე (ჭიჭილეიშვილი, 2013:334-335). ბათუმის არქიტექტურის ახალი კონცეფცია გულისხმობდა წინარე პერიოდის სადა და კამერული ქალაქის გარდაქმნას ეკონომიკურად მზარდი, სწრაფად განვითარებადი, აქტიური, პრეტენზიული იერსახის მქონე ურბანულ ქალაქად. წინარე პერიოდის ბათუმის განახლების სურვილით იყო განპირობებული ძველი შენობების რეკონსტრუქცია ფსევდოისტორიზმისა და, უმეტესად, მოდერნისტული ინტერპრეტაციის პრინციპებით, რასაც მოჰყვა ქალაქის ისტორიული ნაწილის მასშტაბების ზრდა, ძველი და საბჭოთა პერიოდის ურბანული ქსოვილის შეცვლა ან ისტორიული ნიმუშების განადგურება. ქალაქის ტურისტული იმი-

[1] გათვალისწინებული იყო „ვარკვლავის“ მოედნის, ანგისის სპორტ-ზონის, ბათუმ-გორის სარეკრეაციო კომპლექსის, ყოფილი მეფრინველეობის ფერმის ტერიტორიაზე ახალი სპორტულ-სარეკრეაციო ცენტრის შექმნა, გემთმშენებელი ქარხნის ტერიტორიაზე ავტოსადგომებით უზრუნველყოფილი ახალი მეგამარკეტის მოწყობა, ახალი ადგილობრივი ავტოსადგურისა და სასურსათო ბაზრის ტერიტორიების ჩამოყალიბება და სხვ.

ჯის გასაზრდელად, უცხოელი არქიტექტორების ჩართულობით, ხელისუფლებამ განახორციელა ახალი პროექტები („ანბანის კოშკი“, სასტუმროები – „რედისონი“, „კემპინსკი“, „შერატონი“, ბათუმის იუსტიციის სახლის შენობა, ე.წ. ტექნოლოგიური უნივერსიტეტი და სხვ.), რომელთა ნაწილი გამოირჩევა ადგილის შეგრძნებითა და გარემოსადმი ჰარმონიული დამოკიდებულებით (ჭიჭილეიშვილი, 2014:316-324).

XXI საუკუნის 10-იანი წლებიდან არქიტექტურა ტურიზმის პოლიტიკის ნაწილი გახდა, თუმცა ქალაქის კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაციისა და ახალი განაშენიანების „კონცეფცია“ წინააღმდეგობაში აღმოჩნდა ბათუმის რეგულირებადი გეგმარების, წესრიგის, ზომიერი მასშტაბის, კამერული სივრცისა და გარემოსთან შერწყმის ტრადიციულ პრინციპებთან. გაზრდილი სიმჭიდროვით გამოწვეული მოთხოვნების, თანამედროვე ურბანიზაციის პროცესების შედეგად, მნიშვნელოვნად შეიცვალა ქალაქის ვიზუალური სახე. გამოიკვეთა ბათუმისათვის ტრადიციული ქუჩების რეგულარული ქსელის ნიველირებისა და მსხვილმასშტაბური, ქაოტური მშენებლობებით გამოწვეული პრობლემები (ქუჩათა უსისტემო განვითარება, პარკინგი, გამტარუნარიანობა, ინსოლაცია-აერაცია, ქალაქის წყალმომარაგება, კანალიზაცია, ნაგვის შეგროვება და გატანა, ქალაქის მომარაგება ბუნებრივი აირითა და ელექტროენერგიით და სხვ.), რომელთა მოგვარება, ბოლო წლებში აჭარის არ მთავრობისა და ბათუმის მერიის მიერ მიღებული რიგი დოკუმენტების მიუხედავად, ვერ ხერხდება.[1]

დამტკიცებული სამოქმედო გეგმების უმოქმედობის გამო, ბათუმის სახე ამ ბოლო წლებში მნიშვნელოვანად შეიცვალა, უხეში ჩარევების შედეგად, დაზიანდა, როგორც ისტორიული, ასევე, თანამედროვე ნაწილი. შენელებული ტემპით მიმდინარეობს ისტორიული ბათუმის კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ძეგლების რეაბილიტაცია-რესტავრაცია. მნიშვნელოვანად შემცირდა „ფონური“ ნაგებობების რიცხვი, რომლებიც, მხატვრულად გამორჩეულ შენობებთან ერთად, ქმნიდნენ ძველი ბათუმის ისტორიულ ურბანულ სახეს. ბოლო წლების მაგალითები გვიჩვენებს, რომ ბათუმში რთულად მიმდინარეობს ისტორიული ბირთვის დაცვის, რეაბილიტაციისა და ჯენტრიფიკაციის პროცესები.[2] ქალაქის ცენტრში ჩართული ახალი მაღლივი შენობები, მასშტაბების მკვეთრი ზრდისა და მხატვრულ-სტილისტურად გაუაზრებელი ეკლექტიკის გამო, მნიშვნელოვნად არღვევს ისტორიული ქალაქის ჰარმონიასა და გამომსახველობას.

სანაპირო ზოლში განვითარებული თანამედროვე ქალაქის მსხვილმასშტაბური შენობებით იკარგება ბათუმის იდენტობისათვის დამახასიათებელი ნიშანი – ზღვის სივრცისაკენ ორიენტირების პრინციპი. მაღლივი განაშენიანება აქ, თითქმის მთლიანად, ფარავს ზღვის პანორამას, რომლის დანახვა, წინარე წლებში, სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე განაპირა მთის ფერდობებიდანაც იყო შესაძლებელი. ისტორიული ზონის ფარგლებს გარეთ განვითარებულ განაშენიანებას გამოარჩევს ბათუმისათვის ტრადიციული ფაქტორის – ბადისებური ქსელის უგულვებელყოფა, რაც მოსახლეობის კერძო ნაკვეთებზე უსისტემოდ განვითარებული მაღლივი შენობების განთავსებითაა განპირობებული. ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ზიანის მომტანი ცვლილებების გამო, იკვეთება ქალაქის იდენტობის დაკარგვის საშიშროება, რაც, დეველოპერთა მოთხოვნებისა და ზეწოლის გამო, კოეფიციენტების დარღვევის, განაშენიანების ინტენსივობის ნორმატიული კ2 კოეფიციენტის 10-20-30-ჯერ გადაცილების ფაქტებითაა გამოწვეული (ნამგალაძე, 2025: 131-133). ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში წარმოდგენილი ინტენსიური განაშენიანება (შარტავას ქუჩის მიმდებარე ტერიტორიები), შემინული ზედაპირებისა და ღამის განათების ეფექტების მიუხედავად, სტილისტურად ერთფეროვნად გამოიყურება. შენობათა განლაგების ერთგვარი ქაოტურობა, აღქმის

[1] მხედველობაშია ისეთი ქალაქმშენებლობითი დოკუმენტები, როგორიცაა ბათუმის ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმა (2006 წ.), მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა – ნაწილი I, ბათუმის პერსპექტიული განვითარების ხედვა (2008 წ.), აჭარის სივრცითი მოწყობის სქემა (2012 წ.), ბათუმის ურბანული განვითარების სტრატეგიული გეგმა (2013 წ.), 2016-2021 წლების აჭარის არ სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი და სხვ.

[2] ისტორიული ბირთვის ნაწილში იკვეთება მთელი რიგი პრობლემები – შენობათა ამორტიზაცია, მძიმე სოციალური ფონი, ძეგლთა დაცვის სააგენტოს მხრიდან მოსახლეობის მოთხოვნათა ნიველირება, მინიმალური ფინანსური სახსრები ისტორიული ნაწილის რებილიტაციისათვის, ინვესტორების ნაკლები ინტერესი ამ უბნების მიმართ, ისტორიულ ნაგებობათა ლიკვიდაციის მცდელობები და სხვ.

პრინციპების ნიველირება, სივრცული ხედების გაუთვალისწინებლობა მიუთითებს, რომ ქალაქს არ გააჩნია ამ ნაწილის განვითარების ჩამოყალიბებული გეგმა. შენობათა უსაზღვრო მასშტაბებითა და მოცულობებით გამოწვეული გაზრდილი სიმჭიდროვის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს არსებული ინფრასტრუქტურა, რაც დისკომფორტს უქმნის როგორც ადგილობრივებს, ასევე, ტურისტებს.

ამ ბოლო წლებში მიმდინარეობს ახალმშენებლობათა ქალაქის სიღრმეში, მთისძირის ქუჩისაკენ გადანაცვლების პროცესი, თუმცა ეს უბნებიც გამოირჩევა ქუჩათა ქსელისა და კვარტლების რამდენადმე მოუწესრიგებელი, არასწორხაზოვანი სტრუქტურით, არსებულ გარემოსთან დისონანური დამოკიდებულებითა და მდარე არქიტექტურული იერსახით. მაღლივი, რამდენადმე უსისტემო განაშენიანების საწყისები თვალსაჩინოა ე.წ. ჭაობის დასახლებაში, რაც ქმნის გაუაზრებელი, უსისტემო და უსახური განაშენიანების წარმოქმის საშიშროებას.

ბათუმში თვალსაჩინოა სარეკრეაციო ზონების დეფიციტის, პარკებისა და სკვერების, საზოგადოებრივი სივრცეების განვითარების პრობლემა, ბათუმისთვის დამახასიათებელი, ბუნებრივ გარემოსთან ორგანულად დაკავშირებული, მოწესრიგებული გეგმარებისა და ჰარმონიული საქალაქო სივრცის იდენტობის დაკარგვის, ურბანული ქაოსის საფრთხე, რაც, სოციალურ-ეკონომიკურ პრიორიტეტებს დამყარებული ლოკალური უბნების ან, ზოგადად, ქალაქის განაშენიანების სტრატეგიული საყდენი გეგმების არარსებობითა და არსებული რეგულაციების გაუთვალისწინებლობით არის განპირობებული. ქალაქს არა აქვს განაშენიანების გამოკვეთილი პრიორიტებები, სტრატეგიული და ლოკალური გეგმები. განვითარების ახალ, გენერალურ გეგმაზე მუშაობა 2021 წლიდან კვლავ მიმდინარეობს, მაგრამ ჯერ კიდევ დამუშავების პროცესშია.

დასკვნა: ბოლო წლებში გამოიკვეთა ბათუმის ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულებები – საპორტო-სატრანზიტო ფუნქცია და ტურისტული სექტორი, რომელშიც ქალაქის ისტორიული ნაწილი ინარჩუნებს ტურისტული მიზიდულობის ცენტრის მნიშვნელობას და საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას რეაბილიტაციისა და მოვლა-პატრონობის, ფუნქციური ადაპტაციის თვალსაზრისით.

გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩამოყალიბებული უბნებისა და სანაპირო ზოლის ახალი, მოდერნიზებული განაშენიანებისათვის მნიშვნელოვანია ლოკალური გეგმების, მასშტაბების, სიმაღლეებისა და სიმჭიდროვის შეზღუდვის რეგულაციების შემოღება. ქალაქის მომავალი მისი იერსახის შენარჩენებასა და გაკეთილშობილებაზე, მოსახლეობის მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილებასა და ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესებაზე უნდა იყოს ორიენტირებული. ქალაქის წინაშე ისევ დგას სივრცითი განვითარების სტრატეგიული ხედვის შემოთავაზების, ისტორიული ბირთვის შენარჩუნების, რეგულარული გეგმარების დაცვისა და დაბალანსებული, მხატვრულად გამომსახველი არქიტექტურული გარემოს შექმნის ურთულესი ამოცანა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბაქრაძე, 1987: – არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი, 1987.
2. ინაიშვილი, 2009: – ინაიშვილი ნ., ბათუმი ადრებიზანტიურ ხანაში, „ბათუმი. წარსული და თანამედროვეობა“, I საერთაშორისო კონფერენციის მასალები, ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 153-156, ბათუმი;
3. ლილუაშვილი, 2019: – ლილუაშვილი, მ., ბათუმი, საქართველოს ქალაქების ურბანული განვითარება 1801-1918 წლებში, (დ. ხოშტარიას საერთო რედაქციით), თბილისი, 2019, გვ. 157-197;
4. კომახიძე, 2000: – კომახიძე თ. (2000), ქალაქ ბათუმის დაგეგმარებისა და განაშენიანების ისტორია, ბათუმი, გამომცემლობა „აჭარა“;
5. ნამგალაძე, 2025: – ნამგალაძე ზ., განსხვავებული ტენდენციების თანაარსებობა ქალაქ ბათუმის არქიტექტურაში და მისი განვითარების პერსპექტივები (საკვალიფიკაციო ნაშრომი დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2025;

6. ფრენკელი, 2012: – ფრენკელი ა. (2012), ნარკვევები ჩურუქ-სუსა და ბათუმზე, (რედაქტორი რ. სურმანიძე), თბილისი;
7. მიწათსარგებლობის გეგმა, 2008: – ქალაქ ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, ნაწილი I, ქალაქ ბათუმის პერსპექტიული განვითარების ხედვა“, თბილისი, 2008 (პროექტის ავტორები: კ. ამირეჯიბი, ვ. ფრანგიშვილი, ვ. ვარდოსანიძე). https://batumi.ge/ge/upload/docx/gengegma%20-2018.pdf
8. ჭიჭილეიშვილი, 2013: – ჭიჭილეიშვილი მ., XIX-XX საუკუნეების მიჯნის ბაუმის ურბანული სახე, „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“ – III, საერთაშორისო სამენციერო კონფერენციის მასალები, გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2013, გვ. 262-268;
9. ჭიჭილეიშვილი, 2013: – ჭიჭილეიშვილი მ., ძველი ბათუმის რეკონსტრუქციის ზოგიერთი ასპექტი, „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“ – IV, საერთაშორისო სამენციერო კონფერენციის მასალები, გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2013, გვ.334-342.
10. ჭიჭილეიშვილი, 2014: – ჭიჭილეიშვილი მ., ბათუმის თანამედროვე არქიტექტურული ტენდენციები, „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“ – V, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2014, გვ. 316-324;
11. ჯანბერიძე, 1971: – ჯანბერიძე ნ., (1971), ქართული საბჭოთა არქიტექტურა, თბილისი, გამომცემლობა „ხელოვნება“.
12. Леквинадзе, 1973: – Леквинадзе В., О постройках Юстиниана в Западной Грузии, „Византийский Временник“, 34, с. 169-186, Москва.
13. Сборник деиствующих в гор. Батуми объязательных постановлении, а также инструкции разным лицам и учереждениям, подведомственным Батумскому Городскому Общественному Управлению, Батум, 1902, с. 101-116;
14. Mumin Yildiztaş, Osmanlı arşıv kautlarında Gurjıstan ve Gurculer, Istanbul, 2021. მუმინ ილდიზთაში, საქართველო და ქართველები ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში, სტამბული, 2021.

SOME ASPECTS OF URBAN DEVELOPMENT OF BATUMI

MAIA TCHITCHILEISHVILI
PhD in Art History and Theory, Senior Researcher
At Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota
Rustaveli State University; Professor at
Batumi Art State University
E-mail: maia.chichileishvili@bsu.edu.ge
ORCID: 0009-0002-2030-9948

Abstract: The remains of the most ancient settlement on Batumi's territory have been preserved by the ruins of „Batumi Fortress" located north of the modern city. The origin of Batumi's new, urban-type development is connected to the process of relocating the seaport northwest – toward the bay – beginning in the 19th century. From this same period, Batumi's urban development, taking into account its geographical location, proceeded according to the principle of regular planning. Batumi's development was not based on pre-prepared plans; it was determined not by a unified, comprehensive artistic-architectural development idea, but rather by the regulations and norms characteristic of the empire's cities in general. Batumi's old neighborhoods were formed as urban fabric developed on a perimeter zone with an organized block structure. The city's planned reconstruction and development processes are connected to the Soviet period. The plan projects compiled in 1927, 1933, 1956, and 1986 represented the main guiding documents for the city's development and improvement.

From 2008, Batumi has been developing rapidly, with architecture becoming part of tourism policy, though the „concept" of cultural heritage rehabilitation and new development came into conflict with Batumi's traditional principles of regulated planning, order, moderate scale, intimate space, and harmony with the environment.

In recent years, the main directions of Batumi's economic development have emerged – port-transit function and the tourism sector, in which the city's historical part maintains the significance of a tourist attraction center and requires special attention in terms of rehabilitation and maintenance. For contemporary modernized development, it is important to introduce regulations limiting local plans, scales, heights, and density. The city still faces the most complex task of proposing a strategic vision for spatial development, preserving the historical core, protecting regular planning, and creating a balanced, artistically expressive contemporary architectural environment.

Keywords: Batumi, architecture, development plan, challenges.

* * *

Introduction: The ruins of the so-called „Tamari Fortress," located north of contemporary Batumi at the confluence of the Korolistavi River with the sea, have preserved the most ancient cultural layers of settlement. Life flourished here from the beginning of the 1st millennium, and in antiquity there was already an urban settlement. The fortress-castle's location facilitated control of sea and land routes, which is why the fortification structure functioned during the Middle Ages as well. The remains of Batumi's „Tamari Fortress," according to information from Procopius of Caesarea (6th century), are identified with the fortress of Losorion built by Emperor Justinian in Lazica, which was located on the Black Sea coast between the fortresses of Apsaros and Petra. This fortress was supposed to block the road leading from Lazica toward the southern Black Sea coast (Lekvinadze, 1967: 505-510; Lekvinadze 1973:169-186). Based on the analysis of scarce historical information and archaeological findings, the archaeological-architectural monument – „Batumi Fortress" – reveals connections with the most ancient

period Colchian settlement, Roman-Byzantine and medieval Georgian fortification-fortress systems. Despite multiple reconstructions, the characteristics typical of Roman and early Byzantine fortresses are evident – rectangular planning, wall construction with alternating stone and brick masonry, and the system of semicircular buttresses used for reinforcing late medieval walls (Inaishvili, 2009:153-156). According to the works of 19th-century researcher-travelers (A. Dupré, D. Bakradze, A. Frenkel, J. Mourier and others), Batumi fortress no longer had fortification function at this time (Bakradze, 1987:23; Frenkel, 2012:78-79,225).

The city of the early 19th century was a rural-type settlement lacking compactness, with a main commercial center – the bazaar. The origin of Batumi's new, urban-type development is connected to the process of relocating the seaport northwest – toward the bay.

Methods: The research methods of this work are based on the analysis of historical sources – press, photographic materials, scientific literature, archival documents, and the results of comparing the authentic part of the city with graphical data.

Discussion: In the first half of the 19th century, projects implemented by Turkey for colonization purposes were directed toward developing territories adjacent to Batumi Bay. At the beginning of the century, canals had been dug to drain swamps, through which water flowed into the sea. By the end of 1861, construction of a wooden harbor had begun in the city of Batumi (Yildiztaş, 2021: 289). According to the Sultan's firman of 1863, the construction of a new city was planned northwest of the harbor, which envisioned cutting streets 12 arshins wide (8.5 m), with a mosque in the center and fortress-castles in the coastal zone. Master builder Haji Dimitri was sent to construct urban buildings, the mosque, and prison. During Ottoman rule, in the newly established neighborhoods of the 1860s-70s – „Azizie" and „Nurie" – the outline of regular planning emerged (Liluashvili, 2019:158-160).

From 1878, Adjara became part of the Russian Empire. According to the plan of the same year, the boundaries of the city of Batumi encompassed the territory between present-day N. Baratashvili, I. Chavchavadze, and I. Gogebashvili streets and the coastal strip. The spaces located west of Baratashvili Street were fragmentarily populated. In 1888, after granting city status to Batumi, engineer N. Dakishevich compiled the city's general plan (1887-1889), which envisioned the expansion of streets and the tendency of territorial growth in the southwest direction (on territories between present-day S. Khimshiashvili, A. Pushkin, P. Melikishvili, G. Brtskinvale, A. Griboedov, and I. Chavchavadze streets). The new development was designed as relatively larger rectangular blocks, which, in turn, confirmed that despite not being approved, some aspects of N. Dakishevich's plan were nevertheless considered in the future (Komakhidze, 2000:127-130).

In 1889, G. Rcheulishvili, on the assignment of the Governor-General of Kutaisi, developed two more development plans for Batumi, which, in addition to the coastal and mountain zones, included territories between the Qorolistavi and Mejinistsqali rivers. In this plan of the city and suburbs, certain changes were introduced at the indication of architect Vladimir Simonson, which essentially meant the extension of several streets, connecting streets to each other, or their expansion. Despite the work carried out, this city plan was not approved. Similarly, due to a number of inaccuracies, the plan compiled in 1895 by architect A. Kandinov was not accepted, which covered territories between the Black Sea coast, the Bartskhana River, the military road, and the Angisa River (Komakhidze, 2000:132-134). Subsequently, plans compiled by surveyor Piotr Lipinski in 1897-1900 and by M. Riteli in 1905 were also invalidated (Liluashvili, 2019: 186).

These facts confirm that Batumi's development was not based on pre-compiled plans. The principle of urban development in Batumi was determined not by a unified, comprehensive artistic-architectural development idea, but generally by the regulations and norms characteristic of imperial cities. According to the regulatory rules of this period, the only guiding principle for city planning was the creation of regular blocks. The spatial environment – neighborhood or district – determined by functional and

social factors consisted of urban elements of more or less equal architectural significance, among which dominant importance was assigned to religious buildings. The network of blocks and the uniform rhythmic arrangement of development created favorable conditions for unnoticed movement from one street to another and for strolling. The formation of the city's architectural image, along with the above-mentioned principles, was determined by the regulatory rules and instructions established for Batumi (Сборник деиствующих в гор. Батуми...), according to which the main requirement for development was compliance with street red lines, building facade arrangements, heights, and other regulations. Consequently, Batumi's old neighborhoods were formed with an orderly block structure and buildings of moderate scale placed adjacent to each other along the perimeter zone (Chichileishvili, 2013:262-268). The regulatory rules were observed not only in the architecture of Batumi at the turn of the 19th-20th centuries but also in the Soviet period, especially in the first half of the 20th century when constructing new buildings integrated into historical developments.

From 1921, the issues of planned reconstruction of cities and related new planning were raised. In 1925, new boundaries of the city of Batumi were established, which included territories between the Black Sea coastal zone in the north, the Skurkuba River in the east, and the Zhilini Canal in the south. From this same period, the redistribution of new and old quarters, rational resettlement of the population, transportation, oil-processing industry, local industry, residential construction, improvement of the city's sanitary-technical conditions, and zoning of industrial and residential districts were considered (Janberidze, 1971:33-34; Komakhidze, 2000:147). In 1927, under the leadership of engineer D. Svishevski, a detailed development plan of the city was created, according to which many issues were resolved rationally, which implied convenient development of the city in the southwest direction, rejecting the identified tendency of building railways and oil enterprises close to the sea. However, this opinion was rejected and new factories were still built in the designated territory, whereby the city lost good resort areas, while nearby residential districts were polluted by harmful emissions from oil-processing processes. Despite this, the aforementioned new plan represented a significant event in Georgian Soviet urban planning of that time. According to this plan, territorial division was implemented, new streets were laid out, and the construction of residential quarters for Batumi's oil-processing plant was designated on coastal territory, close to the factory. The neighborhood development envisioned residential houses and primary service facilities built among green plantings. According to this plan, the regular planning structure characteristic of Batumi and the principle of through street layout were considered in both old and new neighborhoods. The growth of green spaces was planned, and the arrangement of wide squares at the intersection of main arteries. Also, the lakes existing in the coastal zone should have been preserved, which had great importance for setting up drainage canalization (Komakhidze, 2000:150-155). At the beginning of the 1930s, the low density of the city was caused by low percentage indicators of development. In 1933, a Batumi planning scheme was again developed under the leadership of well-known architects B. Lortkipanidze and L. Sumbadze, with the participation of R. Agababyan, N. Peremuzova, M. Tsetskhladze, and R. Izashvili. The plan envisioned the allocation of new sites for enterprises in the southwest, around the Stefanovka River, the laying out of Mtisdziri and Bagrationi arterial streets and the arrangement of passenger and freight railway stations there, the development of new residential districts in the southwest direction, the enlargement of arteries and quarters, the growth of green squares, although the approval of this plan could not be achieved due to the outbreak of World War II (Komakhidze, 2000:158) [1]. In 1956, work on compiling the city's general plan was renewed with the participation of

[1] In the years 1902-1907, D. Svishchevsky held the position of works manager of the Batumi Military Department and engineer of the city administration. He actively worked on creating a plan for the reconstruction and development of Batumi. D. Svishchevsky compiled a project for sewage and fecal canal drainage system, and studied the causes of erosion and destruction of the Adjara seashore. He was the author of unrealized projects for the Batumi tramway line, and the Batumi-Kars and Batumi-Tabriz railway lines. D. Svishchevsky's idea was to relocate the railway station entering the city center to Mthisdziri Street, which would be connected to the city's main hub points by major thoroughfares.

A. Nikolaishvili, L. Sumbadze, N. Fermuzova, and K. Javakhishvili. On the agenda was: the idea of relocating the railway passenger station from the central part of the city; reconstruction of the seaport, construction of a sea quay, reconstruction-greening of I. Gogebashvili Street, unification of small blocks with pedestrian-adapted walkways and internal passages; according to this same plan, the expansion of I. Chavchavadze, Tbilisi, and N. Baratashvili streets with so-called „boulevard developments" was envisioned. In the historical part of the city, on territories freed at the expense of dilapidated buildings, the arrangement of residential development with inner-block green courtyards was planned. It should be noted that until the 1970s, this project represented the main guiding document for the city's development and improvement. It took into account Batumi's old part's architectural structure and the factor of the sea as a leading element, whose coastal zone was dedicated to green massifs (Komakhidze, 2000:158-160; Batumi Land Use Plan, 2008:43-44). In 1986, a new project of Batumi's general plan was compiled, which considered issues of railway station relocation, port expansion, Batumi airport, Batumi cable road construction, landfill location, and sea shore reinforcement, although this plan was not approved due to deficiencies around these issues (Komakhidze 2000:161).

In the second half of the 20th century, the southwestern part of the city (territories adjacent to Z. Gorgiladze Street) was built up with unsightly, typical projects – so-called „Khrushchyovkas." Later, from the 1960s, the coastal neighborhood called „Sasroleti" (territory between Iv. Javakhishvili, Tb. Abuseridze, I. Kobaladze streets and the sea coast) was added to the city. The development turned its back to the sea because enterprises were mainly located in the resort coastal and residential zones. The development of these new neighborhoods, due to unplanned development, is characterized by an irregular network structure of streets and a somewhat unsystematic arrangement of multi-story buildings and household facilities (Komakhidze, 2000:164-167). From the mid-20th century, the so-called „Chaobi" settlement was also formed in the form of small and irregular blocks. In the 1960s-80s, both in the center and peripheral zones, integrated buildings and newly built neighborhoods (territories adjacent to Sh. Khimshiashvili and D. Aghmashenebeli streets) proved incompatible with both historical and contemporary Batumi's appearance due to contrasting scales and unsightly architecture. The development of these processes was represented by unsystematic and chaotic reconstructions in the 1990s – addition-construction processes, which significantly deteriorated the already unsightly appearance of Soviet Batumi. In the Soviet period, the idea of reconstructing the city's old, densely populated neighborhoods and amortized houses remained unrealized, which, in turn, preserved the historical urban fabric with artistically distinguished and modest-looking background buildings.

In 2008, a new general plan of Batumi was compiled by K. Amirejibi, V. Prangishvili, and V. Vardosanidze, which envisioned strategic proposals for the city's spatial-functional development. Among the city's new challenges were issues of oil-processing facilities location and infrastructure, a new vision of functional zoning, and tasks of preserving the historical part. According to the plan, the first stage urban planning measures for Batumi's urban development included: expansion of the city's administrative boundaries (incorporation of Angisia and Khelvachauri territories, extension of the beach and boulevard, Sh. Khimshiashvili Street, expansion of I. Chavchavadze and Tbel Abuseridze streets); arrangement of a new cargo-transit artery along P. Bagrationi, Mtisdziri, and Eristavi streets; formation of an integrated transport center – port, railway, and bus station; bringing new high-rise buildings into compositional unity; arrangement of the sewage system, landfill territory, rehabilitation of Zhilini and other drainage canals, coastal protection works, etc. The second stage urban planning measures of this plan included tasks for spatial arrangement of specific locations, part of which was not implemented.[1] Third-tier urban planning tasks envisioned planning and construction of a new bypass

[1] It was envisioned to create „Varskvlavi" (Star) Square", Angisi sports zone, Batum-Gori recreational complex, a new sports-recreational center on the territory of the former poultry farm, establishment of a new megamarket equipped with parking facilities on the territory of the shipbuilding factory, formation of territories for a new local bus station and food market, and others.

highway, dismantling of „Khrushchyovkas“ and other amortized multi-apartment residential stock and construction of new complexes, issues of architectural-artistic rehabilitation of the historical zone, etc. (Batumi Land Use Plan, 2008:97-98).

In 2008-2011, reconstruction-rehabilitation of various sections of old Batumi's historical neighborhoods (M. Abashidze, N. Dumbadze streets, Europe Square, territory adjacent to St. Nicholas Cathedral, I. Gogebashvili and Shota Rustaveli streets) and cultural heritage monuments was implemented. However, this process was mainly conducted on the basis of development modernization, „renovation,“ functional adaptation, and leveling of authenticity (Chichileishvili, 2013:334-335). Batumi's new architectural concept implied transforming the previous period's plain and intimate city into an economically growing, rapidly developing, active urban city with a pretentious appearance. The desire to renew previous period Batumi was conditioned by reconstruction of old buildings with principles of pseudo-historicism and mostly modernist interpretation, which was followed by scale growth of the city's historical part, change of old and Soviet period urban fabric, or destruction of historical specimens. To increase the city's tourist image, with the involvement of foreign architects, the government implemented new projects ("Alphabet Tower,“ hotels – „Radisson,“ „Kempinski,“ „Sheraton,“ Batumi House of Justice building, so-called Technological University, etc.), part of which is distinguished by sense of place and harmonious attitude toward the environment (Chichileishvili, 2014:316-324).

From the 2010s of the 21st century, architecture became part of tourism policy, although the „concept“ of cultural heritage rehabilitation and new development of the city conflicted with Batumi's traditional principles of regulated planning, order, moderate scale, intimate space, and harmony with the environment. As a result of increased density requirements and contemporary urbanization processes, the city's visual appearance significantly changed. Problems caused by leveling of regular street networks traditional to Batumi and large-scale, chaotic constructions emerged (unsystematic street development, parking, throughput capacity, insolation-aeration, city water supply, sewerage, garbage collection and removal, city supply with natural gas and electricity, etc.), whose resolution, despite a number of documents adopted by the Adjara AR and Batumi City Hall in recent years, is not being achieved.[1]

Due to the inactivity of approved action plans, Batumi's appearance has significantly changed in recent years, and both historical and contemporary parts have been damaged as a result of rough interventions. Rehabilitation-restoration of monuments with cultural heritage status in historical Batumi proceeds at a slow pace. The number of „background“ buildings, which together with artistically distinguished buildings created old Batumi's historical urban appearance, has significantly decreased. Recent years' examples show that processes of protecting, rehabilitating, and gentrifying the historical core are proceeding with difficulty in Batumi.[2] New high-rise buildings integrated into the city center, due to sharp scale increases and artistically-stylistically unreasoned eclecticism, significantly violate the harmony and expressiveness of the historical city.

With large-scale buildings of the contemporary city developed in the coastal zone, the characteristic sign of Batumi's identity – the principle of orientation toward sea space – is being lost. High-rise development here almost completely covers the sea panorama, which in previous years was also possible to see from the slopes of the coastal mountains located in the southeast. Development outside the boundaries of the historical zone is distinguished by the neglect of the traditional factor for Batumi – the grid network, which is caused by the unsystematic placement of high-rise buildings on private plots of the population. In the

[1] In consideration are such urban planning documents as Batumi's Historical-Cultural Reference Plan – 2006, General Land Use Plan – Part I, Batumi's Perspective Development Vision 2008, Ajara Spatial Planning Scheme – 2012, Batumi Urban Development Strategic Plan – 2013, the draft Strategic Development Plan for Ajara AR for 2016-2021, and others.

[2] In the part of the historical core, a whole range of problems emerge – building deterioration, difficult social background, disregard of population demands by the Monument Protection Agency, minimal financial resources for rehabilitation of the historical part, investors' limited interest in these areas, attempts to liquidate historical structures, and others.

southwestern part of the city, due to harmful changes, the danger of losing the city's identity is outlined, which is caused by facts of coefficient violations due to developer demands and pressure, exceeding the normative K2 coefficient of development intensity by 10-20-30 times (Namgaladze, 2025: 131-133). The intensive development presented in the southwestern part of the city (territories adjacent to Shartava Street), despite polished surfaces and night lighting effects, appears stylistically monotonous. A certain chaos in building placement, leveling of perception principles, and disregard for spatial views indicate that the city lacks a formed development plan for this part. The existing infrastructure cannot satisfy the increased density requirements caused by buildings' unlimited scales and volumes, which creates discomfort for both residents and tourists.

In recent years, the process of relocating new constructions toward the city's depth, toward Mtisdziri Street, is taking place, although these neighborhoods are also distinguished by a somewhat unorganized, irregular structure of street networks and quarters, dissonant attitude toward the existing environment, and poor architectural appearance. The beginnings of high-rise, somewhat unsystematic development is evident in the so-called „Chaobi" settlement, which creates the danger of forming unreasoned, unsystematic, and unsightly development.

In Batumi, problems of recreational zone deficit, development of parks and squares, public spaces are evident, as well as the threat of losing the identity of harmonious urban space and urban chaos organically connected with the natural environment, which is caused by the absence of strategic foundation plans for development of local neighborhoods or the city in general based on socio-economic priorities and disregard for existing regulations. The city lacks clear development priorities, strategic and local plans, and work on the new general development plan has been ongoing since 2021 and is still in the development process.

Conclusion. In recent years, the main directions of Batumi's economic development have emerged – port-transit function and tourism sector, in which the city's historical part maintains the importance of a tourist attraction center and requires special attention in terms of rehabilitation and care-patronage, functional adaptation.

For new, modernized development of neighborhoods formed from the second half of the last century and the coastal zone, the introduction of local plans, scales, height and density limitation regulations is important. The city's future should be oriented toward preserving its appearance and refinement, satisfying the growing demands of the population, and improving the ecological environment; the city still faces the most complex task of proposing a strategic vision for spatial development, preserving the historical core, maintaining regular planning, and creating a balanced, artistically expressive architectural environment.

References:

1. Bakradze, 1987: – Archaeological Journey in Guria and Ajara, Publishing House „Ajara", Batumi, 1987. (In Georgian);
2. Inaishvili, 2009: – Inaishvili N., Batumi in the Early Byzantine Period, „Batumi. Past and Present", Materials of the I International Conference, Batumi Shota Rustaveli University Press, pp. 153-156, Batumi. (In Georgian)
3. Liluashvili, 2019: – Liluashvili, M., Batumi, Urban Development of Georgian Cities 1801-1918 (under general editorship of D. Khoshtaria), Tbilisi, 2019, pp. 157-197 (In Georgian). ;
4. Komakhidze, 2000: – Komakhidze T. (2000), History of Planning and Development of the City of Batumi, Batumi, Publishing House „Ajara". (In Georgian);
5. Namgaladze, 2025: – Namgaladze Z., Coexistence of Different Tendencies in Batumi City Architecture and Perspectives of Its Development (Dissertation for obtaining the academic degree of Doctor), Tbilisi, 2025. (In Georgian) ;
6. Frankeli, 2012: – Frankeli A. (2012), Essays on Churuk-su and Batumi, (editor R. Surmanidze), Tbilisi. (In Georgian) ;

7. Land Use Plan, 2008: – General Land Use Plan of the City of Batumi, Part I, „Vision of Prospective Development of the City of Batumi“, Tbilisi, 2008 (project authors: K. Amirejibii, V. Frangishvili, V. Vardosanidze) (In Georgian). https://batumi.ge/ge/upload/docx/gengegma%20-2018.pdf
8. Chichileishvili, 2013: – Chichileishvili M., Urban Image of Batumi at the Turn of the 19th-20th Centuries, „Batumi – Past and Present“ – III, Proceedings of the International Scientific Conference, Publishing House „Batumi Shota Rustaveli State University“, Batumi, 2013, pp. 262-268. (In Georgian);
9. Chichileishvili, 2013: – Chichileishvili M., Some Aspects of Old Batumi Reconstruction, „Batumi – Past and Present“ – IV, Proceedings of the International Scientific Conference, Publishing House „Batumi Shota Rustaveli State University“, Batumi, 2013, pp. 334-342. (In Georgian).
10. Chichileishvili, 2014: – Chichileishvili M., Contemporary Architectural Tendencies of Batumi, „Batumi – Past and Present“ – V, Proceedings of the International Scientific Conference, Publishing House „Batumi Shota Rustaveli State University“, Batumi, 2014, pp. 316-324;
11. Janberidze, 1971: – Janberidze N., (1971), Georgian Soviet Architecture, Tbilisi, Publishing House „Khelovneba“ (Art) . (In Georgian).
12. Lekvinadze, 1973: – Lekvinadze V., On Justinian's Buildings in Western Georgia, „Byzantine Chronicle“, 34, pp. 169-186, Moscow. [Леквинадзе, 1973. Леквинадзе В., О постройках Юстиниана в Западной Грузии, „Византийский Временник“, 34, с. 169-186, Москва].
13. Collection of Mandatory Regulations in Effect in the City of Batumi, as well as Instructions to Various Persons and Institutions Under the Jurisdiction of Batumi City Public Administration, Batoum, 1902, pp. 101-116. [Сборник деиствующих в гор. Батуми объязательных постановлении, а также инструкции разным лицам и учереждениям, подведомственным Батумскому Городскому Общественному Управлению, Батум, 1902, с. 101-116];
14. Mumin Yildiztaş, Osmanlı arşıv kayıtlarında Gürcistan ve Gürcüler, Istanbul, 2021. Mumin Yildiztash, Georgia and Georgians in Ottoman Archival Documents, Istanbul, 2021 (In Turkish and Georgian).

მცირე და საოჯახო სასტუმრო ბიზნესის გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები საქართველოს რეგიონებში

მაია აზმაიფარაშვილი
ეკოლოგიის დოქტორი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ელ-ფოსტა: maiaazmaiparashvili@gmail.com
ORCID: 0000-0002-7868-5463

აბსტრაქტი: საქართველოს ტურიზმისა და მასპინძლობის სექტორში წლიდან წლამდე იზრდება საოჯახო სასტუმროების რიცხვი. საოჯახო სასტუმრო პატარა მასშტაბის საწარმოა, მაგრამ ისევე მნიშვნელოვანი და საჭირო როგორც დიდი სასტუმრო. საოჯახო სასტუმრო განთავსების საშუალებაა ნომრების მცირე რაოდენობითა და შეზღუდული მომსახურებით. ბევრი ქვეყანის პერიფერიების განვითარებაში მცირე საოჯახო ბიზნესს დიდი როლი აქვს. საქართველოს სასოფლო არეალებში დიდ პრობლემად რჩება სოფლების დაცლა. საოჯახო ბიზნესი ადგილობრივი თემების მდგრადი განვითარების უნიკალური შესაძლებლობაა. საოჯახო ტურიზმში მცირე სამეწარმეო საქმიანობა ამცირებს უმუშევრობას, ზრდის ცხოვრების ხარისხს, ხელს შეუწყობს ადგილობრივი ეკოლოგიური პროდუქტის რეალიზებას, რეკრეანტთა ბაზრის მოზიდვას, ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას, გარემოს დაცვას და მრავალი სხვა დადებითი ფაქტორი ახასიათებს საოჯახო სასტუმრო ბიზნესს. საოჯახო სასტუმრო თავისი ავთენტურობით, კულტურული ღირებულებით და ტრადიციებით რეგიონის ისტორიას გვიყვება. ნაშრომში გაანალიზებულია საოჯახო სასტუმრო ბაზრის განვითარების ტენდენციები ტურისტულ ბაზარზე და კავშირი ტურიზმის განვითარებასთან. კვლევის შედეგად გამოვლინდა გამოწვევები, რომელიც ეხება საოჯახო სასტუმრო ბიზნესში საგადასახადო პრობლემებს, მომსახურების ხარისხს, პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, მწვანე მეწარმეობას, საფასო პოლიტიკას, ეკოლოგიურ განთავსების საშუალებებს და ციფრული მარკეტინგის შესაძლებლობებს და ა.შ.

საკვანძო სიტყვები: საოჯახო სასტუმრო; მასპინძელი; ბიზნესი; საგადასახადო პრობლემები.

* * *

შესავალი: ტურიზმის ღირებულებათა ჯაჭვში განთავსების სექტორს უდიდესი როლი აქვს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. სექტორი ზრდის შემოსავლებს, ქმნის სამუშაო ადგილებს, იზიდავს უცხოურ ინვესტიციებს, ხელს უწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს სასტუმრო მომსახურებაში ბაზრის დინამიკურ ზრდას და მის პირდაპირ კავშირს ტურიზმის განვითარებასთან. დღეს იმ რეგიონებში, სადაც ტურიზმის განვითარება გარკვეულ საფეხურზე იმყოფება განთავსების საშუალებებს ძირითადად წარმოადგენს საოჯახო სასტუმროები და სასტუმრო სახლები. ქვეყნის მასშტაბით დასვენების, გართობისა და რეკრეაცის მიზნით ჩამოსული სტუმრების 43% ღამის გასათევად ირჩევს საოჯახო სასტუმროს, სასტუმრო სახლს ან ნაქირავებ ბინას (კაციტაძე, 2018).

2024 წლის მონაცემებით, საქართველოში რეგისტრირებულია 3,198 განთავსების საშუალების მიმწოდებელი, რომელთა უმეტესობა მდებარეობს სამეგრელო – ზემო სვანეთში (19%), თბილისსა (17%) და აჭარაში (15%). სასტუმროების ოთახების რაოდენობა 53,759; ხოლო საწოლი ადგილების რაოდენობა 128,015-ს შეადგენს. ქვეყანაში ყველაზე მეტი საოჯახო სასტუმრო ოპერირებს, რომელთა რაოდენობა 1281-ია. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით, საოჯახო სასტუმროები ჯამურად 8 167 ოთახით მუშაობენ და 21 677 საწოლ ადგილს აერთიანებს. 2024 წლის ივლისი-სექტემბრის პერიოდში საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო

ფასმა 180 ლარი შეადგინა, რაც 3%-ით არის გაზრდილი წინა წელთან შედარებით, 4-ვარსკვლავიან სასტუმროების ნომრის საშუალო ღირებულებამ 278 ლარი (+3%) შეადგინა, 5-ვარსკვლავიან სასტუმროებისამ – 574 ლარი (+12%), ხოლო რაც შეეხება საოჯახო სასტუმროების საშუალო ფასს 12%-ით შემცირდა და 113 ლარი შეადგინა (მღებრიშვილი, 2024). საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი 2024 წლის ოქტომბერში, 2023 წლის ოქტომბერთან შედარებით 9.8%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 8.8%-ით გაიზარდა, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 4.2%-ით გაიზარდა (პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფის კვლევა PMCG, 2024). ცხადია ჭარბი მიწოდებაა საქართველოს ტურისტულ ბაზარზე და სასტუმროების ფასებიც გაზრდილი. PMC კვლევითი ცენტრის მიმოხილვის მიხედვით, ფასების ზრდა ძირითადად საოჯახო სასტუმროებისა და 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების კატეგორიაში ფასების მატებით იყო გამოწვეული. საპირისპიროდ, წლიურად 2%-იანი კლება შეინიშნება 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასებში. ქვეყანაში მნიშვნელოვანი გამოწვევები დგას ადეკვატური საფასო პოლიტიკის განვითარებაში.

საკითხის აქტუალობას განაპირობებს უცხოეთის ქვეყნებში მსგავს სფეროში არსებული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება. კვლევის შედეგად იდენტიფიცირდა გამოწვევები, რომელიც ეხება საგადასახადო პოლიტიკას, რომელიც ხშირად წარმოშობს სერიოზულ პრობლემებს და გავლენას ახდენს ბიზნესის ეფექტურობასა და კონკურენტუნარიანობაზე. ქვეყანაში არსებული საგადასახადო პოლიტიკა გამოწვევაა საოჯახო სასტუმროს მდგრად განვითარებაში. ამ კატეგორიის სასტუმროების საგადასახადო ტვირთი საკმაოდ მაღალია. ასევე, სეზონურობა და ტურიზმზე დამოკიდებულება წარმოშობს საოჯახო სასტუმრო ინდუსტრიის სისუსტეს, რადგან სატბილურად ვერ ხდება სტუმრის მიღება და შესაბამისად სასტუმრო სეზონურად მუშაობს და წლიური დატვირთვის კოეფიციენტი დაბალია. როდესაც მაღალი და დაბალი სეზონურობის პროგნოზირება ძალიან რთულია, ამიტომაც სასტუმრო ბიზნესის შემოსავლებიც არ არის სტაბილური. სასტუმრო ბიზნესში მთავარი ამოცანა მომხმარებლის კმაყოფილება და შესაბამისად მოგების გაზრდაა.

მეთოდები: გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები, შედარებითი და სტატისტიკური ანალიზის მეთოდები. მომსახურების ხარისხის კვლევა განხორციელდა კითხვარების მეთოდით. მოხდა ღია წყაროებში წარმოდგენილი ანალიტიკური მასალის დამუშავება, ლიტერატურის, პუბლიკაციების, მონაცემთა თავმოყრა და მიგნებების განხილვა.

მსჯელობა: ევროპის ქვეყნებში მასპინძლობის ინდუსტრიის განვითარებაში საოჯახო სასტუმრო ბიზნესს საკმაოდ დიდი წილი აქვს. საერთო დასაქმებაც ამ ინდუსტრიაში საკმაოდ მაღალია. სასარგებლო და სასიამოვნო, ეს არის თვითდასაქმების უნიკალური შესაძლებლობა სხვა მცირე ბიზნესებთან შედარებით. საოჯახო მასპინძლობის ბიზნესში დიდი გავლენა აქვს ტურისტულ სეზონს, ცხელ სეზონს მოსდევს პასიური სეზონი, ამ დროს შემოსავალი კლებულობს, მაგრამ ოჯახი ამ დროს ბუნებრივ ძალებს იღდგენს ახალი სეზონისთვის. როგორც ბრენდული სასტუმროები ასევე მცირე საოჯახო ობიექტებიც საჭიროებს სწორ დაგეგმარებას, ოპერირებას, ცოდნას, პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, სასტუმრო მომსახურეობის სწორ ორგანიზაციას, აგრეთვე საჭირო შენობა-ნაგებობების დაგეგმარებას, ოთახების გაწყობას და ექსპლოატაციას და ა. შ. მსოფლიო პრაქტიკა აჩვენებს, რომ მცირე და საშუალო საოჯახო სასტუმრო ბიზნესი დომინირებს სოფლებში და პერიფერიებში. აქედან გამომდინარე, სასოფლო ტურიზმში ძირითადად საოჯახო ბიზნესია წარმოდგენილი. ამასთანავე, სულ უფრო იზრდება იმ ადამიანების რიცხვი, ვისაც ცხოვრების სტილიდან გამომდინარე საკუთარი ბიზნესის წამოწყება სოფლებში ან მთიან ზონაში პერიფერიებში ურჩევნიათ ინოვაციურობა და კრეატიულობა საოჯახო სასტუმრო ბიზნესში მნიშვნელოვანი ტენდენციაა. ინოვაცია არის სპეციალური საშუალება მეწარმეებისთვის, მისი მეშვეობით ისინი ნერგავენ სიახლეებს, რომელიც ახალი ბიზნესის ან ახალი პროდუქციისა და მომსახურების წამოწყების საშუალებას იძლევა (არღუთაშვილი, 2022).

ტურისტებისთვის მიმზიდველია არა მხოლოდ ბუნებრივი ლანდშაფტები, არამედ კონკრეტული ადგილებისთვის დამახასიათებელი ძველი ტრადიციული არქიტექტურა შენობა-ნაგებობები, მშე-

ნებლობის სტილი, რაც ხშირ შემთხვევაში, თითქმის არსად მეორდება. სოფლად კერძო საკარმიდამოზე, ტურიზმის ბიზნესს ექსკლუზიურს ხდის არა მარტო ასაკი და დანიშნულება, არამედ ისტორიული მოვლენები, რომლებიც მათ უკავშირდებათ. ამჟამად საქართველოშიც უამრავი სასტუმროა სოფლად, თითოეული მათგანი ისეთივე თვისების მატარებელია, რომელ კუთხესაც წარმოადგენს. ყველა კუთხეს თავისი დამახასიათებელი ნიშა აქვს. „საოჯახო სასტუმროს“, როგორც ტურსაწარმოს წარმატებულ ფუნქციონირებას დიდად განსაზღვრავს სასტუმროს მფლობელის (დიასახლისის), როგორც ინდმეწარმის და ბიზნესმენის, მეწარმული საქმიანობის სრულყოფილი ცოდნა (ქველაძე, 2011).

საქართველოში ოდითგანვე არსებობდა მცირე ზომის სასტუმროები, რომლებიც გზისპირას იყო განთავსებული. ეს სასტუმროები ემსახურებოდნენ მგზავრებსა და ვაჭრებს, რომლებსაც სჭირდებოდათ ღამის გასათევი და მოსასვენებელი ოთახები. მრავალი წლების განმავლობაში ვითარდებოდა საოჯახო ბიზნესი როგორც ოჯახების შემოსავლის წყარო.

ყოველი სასტუმრო საწარმო თავის ორგანიზაციულ სტრუქტურას უსადაგებს საკუთარ ამოცანებსა და მოთხოვნებს. საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა უნდა იყოს ცვალებადი და შეიძლება გადაიხედოს აუცილებლობის მიხედვით საქმიანი აქტივობის პირობებთან, ცვლილებასთან, კვალიფიკაციისა და შესაძლებლობების ზრდის გათვალისწინებით. ეფექტიანი ორგანიზაციული სტრუქტურა იქმნება ბაზარზე საწარმოს ფუნქციონირების მრავალწლიანი გამოცდილების შედეგად და დინამიკური სტრატეგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტად ითვლება (დოლოკაშვილი, 2021).

2024 წელი წარმატებული გამოდგა აჭარის რეგიონისთვის, სადაც დატვირთულობის მაჩვენებელმა 90%-ს გადააჭარბა. 20-25%-იანი მატება დაფიქსირდა თბილისის სასტუმროებში, კახეთის რეგიონში კი საშუალო ზრდა 15-20%-ია. საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაციის (STR global) მონაცემებით, 2025 წლის პირველ კვარტალში, ბრენდირებული სასტუმროების დატვირთვის კოეფიციენტი გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასები ყველაზე მაღალი რყევებით გამოირჩევა და მკვეთრად მატულობს ზაფხულის თვეებში, რაც სეზონზე მაღალ მოთხოვნას ააშკარავებს. ამის საპირისპიროდ, საოჯახო სასტუმროების ფასები ყველაზე დაბალი რყევებით ხასიათდება (სასტუმროს დანიშნულების ადგილის ანგარიში, 2024).

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ცნობით, საოჯახო-სასტუმრო სახლების წახალისებისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ახალი პროექტი „კარგი მასპინძელი“ დაიწყო. პროექტი ევროპული მოდელის „Good Host“-ის ანალოგია და მიზნად ისახავს, ქალაქგარეთ გამორჩეული სტუმართმასპინძლობის, ავთენტური გარემოს, ვიზუალის მქონე საოჯახო-სასტუმროების პოპულარიზაციასა და სტიმულირებას განავითარონ ტურისტული ბიზნესი. მთიან აჭარაში ორ საოჯახო-სასტუმრო სახლებს „სხალთა“ და „მოყვარე“, „კარგი მასპინძლის“ სტატუსი მიენიჭა. კრიტერიუმები საოჯახო სახლების ინტერიერის, ექსტერიერის, კვების, მომსახურების ხარისხისა და ინფორმაციული ხელმისაწვდომობის მიხედვითაა შედგენილი. მათი მინიმუმ 90%-ის დაკმაყოფილებაა საჭირო „კარგი მასპინძლის“ სტატუსის მოსაპოვებლად. პროექტი აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტომ ევროპის სოფლის ტურიზმის ფედერაციასა და ესტონეთის სოფლის ტურიზმის ორგანიზაციასთან თანამშრომლობით მოამზადა.

სტატუსი „კარგი მასპინძელი“ არის ერთგვარი ხარისხის ნიშანი, რომელიც ენიჭება ტურისტულ ობიექტს, სადაც სოფლის საოჯახო სასტუმროს მასპინძელი სტუმარს სთავაზობს მოწესრიგებულ ოთახებს, მაქსიმალურად იცავს მომსახურების სფეროში მიღებულ ყველა კრიტერიუმს, ქმნის დასვენებისთვის საჭირო პირობებსა და კომფორტულ გარემოს, უფრთხილდება იმ ადგილის ავთენტიკურობას, სადაც ცხოვრობს, უზრუნველყოფს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას და ამავდროულად მაქსიმალურად იხარჯება, რომ საუკეთესო კუთხით წარმოაჩინოს საკუთარი ოჯახი, სოფელი თუ ქვეყანა. აქედან გამომდინარე, სტატუსი „კარგი მასპინძელი“, საოჯახო სასტუმროების მეპატრონეებს ანიჭებს პრივილეგიას და ვიზიტორებში უფრო მეტ სანდოობას იწვევს. ეს არის ერთგვარი გარანტია იმისა, რომ სტატუსის მფლობელი საოჯახო სასტუმროს მასპინძელი მაქსიმალურად იცავს სტუმარმასპინძლობის პრინციპებს და ამავდროულად, მუდმი-

ვად ზრუნავს მომსახურების ხარისხის შენარჩუნებასა და განვითარებაზე. (ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო, 2024).

საქართველოს გრანტების პროგრამები ხელს უწყობს, მცირე და საოჯახო ბიზნესის განვითარებას. სსიპ „აწარმოე საქართველოში'' პირველი სახელმწიფო უწყებაა, რომლის ძირითად მიზანს სამეწარმეო გარემოს ხელშეწყობა წარმოადგენს, კერძო სექტორის განვითარება, საინვესტიციო ფონდების მოზიდვა და ექსპორტის განვითარების ხელშეწყობა. ორგანიზაცია „აწარმოე საქართველოში'' აერთიანებს სამ ძირითად კომპონენტს: ბიზნესს, ექსპორტსა და ინვესტიციებს. მიმართულების მიზანია საქართველოში ბიზნესის განვითარება, მეწარმის მხარდაჭერა, შექმნას ახალი სასტუმრო ან განავითაროს და გააფართოვოს არსებული სასტუმრო (საინვესტიციო კლიმატი და შესაძლებლობები საქართველოში, 2019). პროგრამის მიზანია მაქსიმალურად მოახდინოს და გაზარდოს სასტუმროს ბაზარი, რათა მოხდეს სხვადასხვა სერვისების განვითარება, და ამავდროულად ფინანსური ხელშეწყობა. წარმატებული პროექტია, მწერალ ოტია იოსელიანის სახლ-მუზეუმის ტერიტორიაზე არსებული კოტეჯები რომელიც ბოლო წლების განმავლობაში მასპინძლობს ვიზიტორებს. ადგილობრივ ინვესტიციებს შეუძლია გაზარდოს ადგილობრივი ტურისტული არეალი, შექმნას ახალი განთავსების ადგილი ისეთ რეგიონებში, სადაც შესძლებელია ტურისტული ბაზრის განვითარება, შექმნას ისეთი სასტუმრო კომპლექსი, რომელიც მორგებული იქნება ნებისმიერ ტურისტზე, რათა შემდგომში მოცემული ტურისტული ადგილი გახდეს ტურისტული ბაზრის და რეგიონის ეკონომიკის გაზრდის ხელშემწყობი, შესაძლებელი გახადოს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება, გაზარდოს ცნობადობა ადგილობრივი ღირსშესანიშნაობების.

მნიშვნელოვანია ჩვენმა ქვეყანამ გაითვალისწინოს ევროპის ლიდერი ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა. დღეისათვის საფრანგეთში სასოფლო/აგროტურიზმიდან შემოსავალი საერთო ტურიზმის 10%-ია. დღეისათვის იტალია აგროტურიზმის პოპულარობით ევროპის ლიდერი ქვეყანაა. ავსტრია, რომელიც თავისი სამთო კურორტების წყალობით, ტურისტულ მექად იქცა, დღემდე აქტიურად დებს ინვესტიციებს სასოფლო, აგრო და ეკოლოგიურ ტურიზმში. 2024 წლისთვის ავსტრიაში აგროტურიზმიდან შემოსულმა მოგებამ ათობით მილიარდი ევრო შეადგინა. დღეისათვის ფერმერების დაახლოებით 15% აქვს შესაძლებლობა, სტუმრებს სასტუმრო საკუთარ მეურნეობაში შესთავაზოს. საერთო ჯამში ავსტრიელი ფერმერები დღეში დაახლოებით 10 მილიონ ადამიანს მასპინძლობენ, რომელთა მეოთხედიც უცხოურ ტურისტებზე მოდის (მოგზაურობა, ტურიზმი და სტუმართმოყვარეობა. ტრენდული ფაქტები და ინფორმაცია, 2024).

„მწვანე სასტუმროები" გულისხმობს არა მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა გარემოს, არამედ მთელი მოხმარებული ელექტრო ენერგიის 70% პროცენტი წარმოებული იყოს განახლებადი ენერგიების გამოყენებით. მზის პანელების დაყენებისთვის ერთ-ერთი ყველაზე ხელსაყრელი ობიექტები სასტუმროები და რესტორნებია. სასტუმრო და რესტორანი იმ ბიზნესებს მიეკუთვნება, სადაც დიდი რაოდენობით ელექტრო და თბოენერგია იხარჯება. მზის პანელების დაყენებამ ყოველთვიური ხარჯები შეიძლება 70-80%-მდე შეამციროს. კვლევით ვლინდება, რომ რეგიონში მცირე რაოდენობით გვხვდება მხოლოდ საოჯახო ტიპის სასტუმროები მზის პანელებით. ჩვენს ქვეყანას მეტი შესაძლებლობები გააჩნია, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში 35% ეფეტურობის წილი ითვლება კარგად, საქართველოში კი 40%-ზე მეტის შესაძლებლობა არსებობს. თუ ჩავთვლით ასევე ჰიდრორესურსების პოტენციალს, ქვეყანას შესაძლებლობა აქვს, ენერგო დამოუკიდებელი და ექსპორტიორიც გავხდეთ.

ტურიზმის უარყოფითი შედეგების შესამცირებლად გარემოზე, მცირე და საოჯახო სასტუმროების მფლობელებმა უნდა შექმნან ეკოლოგიური საოჯახო სასტუმროები. კარგი მაგალითია ხორვატია, აქ არსებობენ, პატარა საოჯახო სასტუმროები, რომლებიც ატარებენ ეკო ეტიკეტს, მისი აღმნიშვნელი სპეციალური ლოგოთი, აღიარებულია რომ სასტუმორები საუკეთესოდ ზრუნავენ გარემოზე. ხორვატიაში ეკო სერტიფიკატი ადასტურებს, რომ ობიექტი არის ეკოლოგიურად სუფთა, მოიხმარს ნაკლებ ენერგიას, რათა მოხდეს ენერგის დანაკარგის თავიდან აცილება. სერტიფიკატი მოიცავს ასევე დახარისხებას ნარჩენების შეგროვებას, რომელიც წარმოიქმნება სასტუმროებში და შემდეგში ნარჩენის გადამუშავებას. ეკო ნიშანი მიუთითებს და ადასტურებს გარემოზე ზრუნვას და დაბინძურების შემცირებას. ეკოსასტუროები პირდაპირ გავლენას ახდენს დამსვენებელზე

ხელს უწყობს უკეთესი ხარისხის შექმნას, აძლიერებს და ამყარებს პოზიციებს ბაზარზე. ეკო ნიშანი განასხვავებს სხვა სასტუმროებისგან და პრიორიტეტს ანიჭებს ეკო პროდუქტს. ეკოლოგიურად სუფთა გარემოს, როგორც სხვა განვითარებად ქვეყნებში ასევე საქართველოშიც, ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დაბინძურების შემცირებას და ეკო პროდუქტის შექმნას. ნებისმიერი ტურისტული საქმიანობა, როგორიცაა საოჯახო სასტუმროები უნდა იცავდეს გარემოს დაცვით პრინციპებს: 1) დანახარჯების შემცირება, 2) გარემოს დაცვა და მის საქმიანობაში წვლილის შეტანა, 3) იმიჯის შექმნა და გაუმჯობესება.

დასკვნები: საქართველოში სასტუმროს სექტორის განვითარება აჩვენებს მუდმივ ზრდასა და დინამიკურობას, რაც თანმდევია ქვეყნის ტურისტული პოტენციალის ზრდასთან ერთად. საოჯახო სასტუმროს განვითარებაში მნიშვნელოვანი პრობლემები გამოვლინდა, აუცილებელია კომპლექსური მიდგომა, საყურადღებოა მომსახურების ხარისხის ამაღლება, რომელიც დიდ როლს აასრულებს საოჯახო სასტუმრო ბიზნესის წინსვლაში. პრაქტიკული უნარების განვითარება, ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განვითარება და ტრენინგის გაძლიერება. პრობლემებს ვხვდებით ეკოლოგიური საოჯახო სასტუმროების შექმნის მიმართულებით. საჭიროა დამატებითი სერვისების ცოდნა დამატებითი აქტივობები უფრო მიმზიდველს გახდის საოჯახო ბიზნესს, აუცილებელია შეთავაზებული იქნას სხვადასხვა დამატებითი ატრაქცია, დაგეგმილი ღონისძიებები, მასტერკლასები და სხვა. გამოწვევებია უსაფრთხოების საკითხებში, განსაკუთრებით მაღალმთიან ზონებში მდებარე საოჯახო ტიპის სასტუმროების პრობლემას წარმოადგენს სამედიცინო მომსახურების გაწევა.

საოჯახო სასტუმროებისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა საგადასახადო პოლიტიკა, მნიშვნელოვანი გამოწვევები დგას ადეკვატური საფასო პოლიტიკის განვითარებაშიც. როდესაც საოჯახო სასტუმროები მუშაობენ მხოლოდ სეზონურად და ფინანსური სიმყარე მხოლოდ გარკვეულ სეზონზე აქვთ, საოჯახო სასტუმროების დაბეგვრა ხდება მთლიანი წლის განმავლობაში, რაც ხშირ შემთხვევაში კრახით მთავრდება და საბოლოოდ ბიზნესი კოტრდება. მაღალი საგადასახადო განაკვეთები სასტუმროებისთვის ზრდის მათ ოპერაციულ ხარჯებს, რაც პირდაპირ აისახება მომსახურების ფასებზე. სხვადასხვა ტიპის გადასახადები, როგორიცაა დღგ (დამატებული ღირებულების გადასახადი), შემოსავლების გადასახადი და ადგილობრივი გადასახადები, აჩენს დამატებით ბიუროკრატიულ ტვირთს. მფლობელებს უწევთ საკუთარი კაპიტალის შეტანა სახელმწიფოს ხაზინაში. ან დამატებითი სახსრების მოძიება სესხის სახით. სასტუმროების მფლობელები ვერ ახერხებენ გრძელვადიან ფინანსურ დაგეგმვას, ვერ იწინასწარმეტყველებენ მომავალ საგადასახადო ტვირთს. გამოვლენილია, რომ სეზონურობა და ტურიზმზე დამოკიდებულება წარმოშობს საოჯახო სასტუმრო ინდუსტრიის სისუსტეს, რადგან სტაბილურად ვერ ხდება სტუმრის მიღება და შესაბამისად სასტუმრო სეზონურად მუშაობს და მიმდინარე ეტაპზე წლიური დატვირთვის კოეფიციენტი დაბალია. ამ პრობლემების გადაჭრა მოითხოვს რამდენიმე სტრატეგიულ ცვლილებას. საჭიროა საგადასახადო განაკვეთების შემცირება და გამარტივება, რაც შეამცირებს სასტუმროების ხარჯებს და გაზრდის მათ კონკურენტუნარიანობას. საგადასახადო სისტემის გაუმჯობესება და გამარტივება ხელს შეუწყობს საოჯახო მცირე ბიზნესის განვითარებას, გაზრდის მათ კონკურენტუნარიანობას და შექმნის კეთილგანწყობილ გარემოს. ეს ყოველივე მოითხოვს სახელმწიფოს და ბიზნეს სექტორის თანამშრომლობას, რათა შეიქმნას ეფექტური, მდგრადი საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს ეკონომიკის ზრდას და სექტორის განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

არღუთაშვილი, ვ. (2022). საოჯახო ბიზნესის მართვა ტურიზმში. თბილისი: თსუ.

დოლიკაშვილი, ლ. (2021). სასტუმროს მენეჯმენტი. თბილისი: სეუ.

file:///D:/pdf/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%AF%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98.pdf. წვდომის თარიღი: (12.04.2024).

კაციტაძე, ნ. (2018). სასტუმრო ბაზრის განვითარების ტენდენციები ტურიზმის ახალი მიმართულებების ფონზე. III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომების კრებული. გვ. 192-197.

მოგზაურობა, ტურიზმი და სტუმართმოყვარეობა. ტრენდული ფაქტები და ინფორმაცია. 2024. https://www.statista.com/markets/420/travel-tourism-hospitality/ წვდომა: (03.04.2025).

მღებრიშვილი, ვ. (2024). საქართველოს რომელ რეგიონშია ყველაზე მეტი სასტუმრო - რეიტინგი. https://bm.ge/news/saqartvelos-romel-regionshia-yvelaze-meti-sastumro-reitingi წვდომის თარიღი: (18.04.2025).

პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფის (PMCG). სასტუმროს საშუალო ფასები საქართველოში და სასტუმროს ფასების ინდექსი, 2024. https://www.pmcresearch.org/ https://research.pmcg-i.com/publications–file/8161672c73014a433.pdf წვდომის თარიღი: (15. 05. 2025).

საინვესტიციო კლიმატი და შესაძლებლობები საქართველოში, 2019. file:///C:/Users/user/Downloads/5cadb10264501-1-PRINT-Master-2019-small.pdf წვდომის თარიღი: (20.04.2025).

სასტუმროს სასიცოცხლო ციკლი, სასტუმროს დანიშნულების ადგილის ანგარიში, 2024. https://str.com/who-we-serve/hotels წვდომის თარიღი: (30.04.2025).

ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო, კარგი მასპინძელი, 2024. https://infoajara.com/ka/good-host. წვდომის თარიღი: (20.04. 2025).

ქველაძე, ქ. (2011). ტურსაწარმო „საოჯახო სასტუმრო“ საქართველოში. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, „სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრიორიტეტები“ თბილისი 2011 (28-29 ოქტომბერი). გვ. 481-483. თბილისის საუნივერსიტეტო გამომცემლობა. ISBN 978-9941-13-226-1.

CHALLENGES AND DEVELOPMENT PROSPECTS OF SMALL AND FAMILY HOTEL BUSINESS IN THE REGIONS OF GEORGIA

MAIA AZMAIPARASHVILI
PhD in Ecology, Associate Professor at
Gori State University
E-mail: maiaazmaiparashvili@gmail.com
ORCID: 0000-0002-7868-5463

Abstract: The number of family hotels in the Georgian tourism and hospitality sector is increasing year by year. A family hotel is a small-scale enterprise, but just as important and necessary as a large hotel. A family hotel is a means of accommodation with a small number of rooms and limited services. Small family businesses play a major role in the development of the peripheries of many countries. The depopulation of villages remains a major problem in rural areas of Georgia. Family business is a unique opportunity for the sustainable development of local communities. Small entrepreneurial activity in family tourism reduces unemployment, increases the quality of life, promotes the sale of local ecological products, attracts the recreational market, develops the local economy, protects the environment, and many other positive factors characterize the family hotel business. A family hotel tells the history of the region with its authenticity, cultural value, and traditions. The paper analyzes the trends in the development of the guest house market in the tourism market and its relationship with tourism development. The research identified challenges related to tax problems, service quality, practical skills, green entrepreneurship, pricing policy, ecological accommodation facilities, and digital marketing opportunities in the guest house business, etc.

Keywords: guest house; host; business; tax problems.

* * *

Introduction. The accommodation sector in the tourism value chain plays a major role in the development of the country's economy. The sector increases incomes, creates jobs, attracts foreign investments, and promotes the development of small and medium-sized businesses. World practice shows the dynamic growth of the hotel services market and its direct connection with the development of tourism. Today, in regions where tourism development is at a certain stage, accommodation facilities are mainly represented by guest houses and guest houses. 43% of guests arriving for leisure, entertainment, and recreation throughout the country choose a guest house, guest house, or rented apartment for the night (Katsitadze, 2018).

According to 2024 data, there are 3,198 accommodation providers registered in Georgia, most of which are located in Samegrelo-Zemo Svaneti (19%), Tbilisi (17%) and Adjara (15%). The number of hotel rooms is 53,759; and the number of beds is 128,015. The country has the largest number of family hotels, which number 1,281. According to the National Tourism Administration, family hotels operate with a total of 8,167 rooms and combine 21,677 beds. In July-September 2024, the average price of 3-star hotels in Georgia amounted to 180 GEL, which is an increase of 3% compared to the previous year, the average price of a room in 4-star hotels amounted to 278 GEL (+3%), 5-star hotels amounted to 574 GEL (+12%), and as for family hotels, the average price decreased by 12% and amounted to 113 GEL (Mghebrishvili, 2024). The hotel price index in Georgia increased by 9.8% in October 2024 compared to October 2023, including the price index of 3, 4 and 5-star hotels increased by 8.8%, and the prices of family hotels increased by 4.2% (Policy and Management Consulting Group PMCG, 2024).

There is clearly an oversupply in the Georgian tourism market and hotel prices have also increased. According to a review by the PMC Research Center, the price increase was mainly due to price increases

in the family hotels and 5-star hotel categories. In contrast, a 2% annual decrease is observed in the prices of 3-star hotels. The country faces significant challenges in developing an adequate pricing policy.

The relevance of the issue is determined by the sharing of knowledge and experience in similar fields in foreign countries. As a result of the research, challenges were identified regarding tax policy, which often causes serious problems and affects the efficiency and competitiveness of the business. The current tax policy in the country is a challenge in the sustainable development of family hotels. The tax burden of this category of hotels is quite high. Also, seasonality and dependence on tourism create a weakness in the family hotel industry, because it is not possible to receive guests consistently and, accordingly, the hotel operates seasonally and the annual load factor is low. When it is very difficult to predict high and low seasonality, the revenues of the hotel business are also not stable. The main task in the hotel business is customer satisfaction and, accordingly, increasing profits.

Methods. Quantitative and qualitative research methods, comparative and statistical analysis methods were used. The service quality study was conducted using the questionnaire method. Analytical material presented in open sources was processed, literature, publications, data were collected and findings were discussed.

Discussion. The family hotel business has a fairly large share in the development of the hospitality industry in European countries. The overall employment in this industry is also quite high. Useful and pleasant, this is a unique opportunity for self-employment compared to other small businesses. The tourist season has a great influence on the family hospitality business, the hot season is followed by the passive season, during which income decreases, but the family at this time gathers natural forces for the new season. Both branded hotels and small family facilities require proper planning, operation, knowledge, practical skills, proper organization of hotel services, as well as planning of the necessary buildings, room arrangement and exploitation, etc. World practice shows that small and medium-sized family hotel businesses dominate in villages and peripheries. Therefore, rural tourism is mainly represented by family businesses. In addition, the number of people who, due to their lifestyle, prefer to start their own business in villages or mountainous areas on the periphery is increasing. Innovation and creativity are significant trends in the guest house business. Innovation is a special tool for entrepreneurs, through which they introduce innovations that allow them to start a new business or new products and services (Argutashvili, 2022).

Tourists are attracted not only by natural landscapes, but also by the old traditional architecture, buildings and construction styles characteristic of specific places, which in many cases are almost never repeated. In rural areas, the tourism business on private homesteads is made exclusive not only by age and purpose, but also by historical events associated with them. Currently, there are many hotels in rural areas in Georgia, each of which has the same characteristics as the corner it represents. Every corner has its own characteristic niche. The successful functioning of a „family hotel“ as a tour operator is largely determined by the hotel owner’s (housewife’s) complete knowledge of entrepreneurial activity as an individual entrepreneur and businessman (Kveladze, 2011).

Since ancient times, small hotels have existed in Georgia, located along the roadside. These hotels served travelers and merchants who needed a place to stay and rest. Over the years, family businesses have developed as a source of income for families.

Each hotel enterprise adapts its organizational structure to its own tasks and requirements. The organizational structure of the enterprise should be flexible and can be revised as necessary, taking into account the conditions of business activity, changes, and the growth of qualifications and capabilities. An effective organizational structure is created as a result of many years of experience in the functioning of the enterprise in the market and is considered one of the important elements of a dynamic strategy (Dolokashvili, 2021).

2024 was a successful year for the Adjara region, where the occupancy rate exceeded 90%. A 20-25% increase was recorded in Tbilisi hotels, while the average increase in the Kakheti region was 15-20%. According to data from the international research organization (STR global), in the first quarter of 2025, the occupancy rate of branded hotels increased. It is noteworthy that the prices of 5-star hotels are characterized by the highest fluctuations and increase sharply in the summer months, which reflects high demand during the season. In contrast, the prices of family hotels are characterized by the lowest fluctuations (Hotel Destination Report, 2024.).

According to the Department of Tourism and Resorts of Adjara, a new project „Good Host" has been launched to encourage family-friendly hotels and improve the quality of service. The project is analogous to the European model „Good Host" and aims to popularize and stimulate family-friendly hotels with outstanding hospitality, authentic environment, and visual appeal outside the city and develop the tourism business. Two family-friendly hotels in mountainous Adjara, „Skhalta" and „Prongja", have been awarded the status of „Good Host". The criteria are based on the interior, exterior, food, service quality, and information accessibility of family-friendly hotels. At least 90% of them must be met to obtain the status of „Good Host". The project was prepared by the Tourism Product Development Agency of the Ajara Tourism Department in cooperation with the European Rural Tourism Federation and the Estonian Rural Tourism Organization.

The status of „Good Host" is a kind of quality mark awarded to a tourist facility, where the host of a rural family hotel offers guests well-kept rooms, maximally adheres to all the criteria accepted in the field of service, creates the necessary conditions for relaxation and a comfortable environment, takes care of the authenticity of the place where he lives, ensures the preservation of natural and cultural heritage, and at the same time makes every effort to present his family, village or country in the best possible light. Therefore, the status of „Good Host" gives the owners of family hotels a privilege and inspires greater trust among visitors. This is a kind of guarantee that the host of a family hotel holding the status maximally adheres to the principles of hospitality and, at the same time, constantly cares about maintaining and developing the quality of service. (Tourism Product Development Agency, 2024).

Georgia's grant programs support the development of small and family businesses. LEPL „Produce in Georgia" is the first state agency whose main goal is to promote the entrepreneurial environment, develop the private sector, attract investment funds and promote export development. The organization „Produce in Georgia" combines three main components: business, export and investment. The goal of the direction is to develop business in Georgia, support entrepreneurs, create a new hotel or open and expand an existing hotel (Investment Climate and Opportunities in Georgia, 2019). The program aims to maximize and increase the hotel market in order to develop various services, and at the same time provide financial support. A successful project is the cottages on the territory of the writer Otia Ioseliani's house-museum, which has been hosting visitors for the past few years. Local investments can increase the local tourist area, create new accommodation in regions where the development of the tourist market is possible, create a hotel complex that will be tailored to any tourist, so that the given tourist destination can subsequently become a contributor to the growth of the tourist market and the regional economy, enable employment of the local population, and increase awareness of local attractions.

It is important for our country to take into account the best practices of leading European countries. Today, in France, income from rural/agritourism is 10% of total tourism. Today, Italy is the leading European country in the popularity of agritourism. Austria, which has become a tourist mecca thanks to its mountain resorts, is still actively investing in rural, agro and ecological tourism. By 2024, the profit from agritourism in Austria amounted to tens of billions of euros. Today, about 15% of farmers have the opportunity to offer guests a hotel on their farm. In total, Austrian farmers host about 10 million people per day, a quarter of which are foreign tourists (Travel, Tourism & Hospitality, Trending Facts and Information. 2024).

"Green hotels" mean not only an environmentally friendly environment, but also that 70% of all consumed electricity is generated using renewable energy. One of the most favorable facilities for

installing solar panels is hotels and restaurants. Hotels and restaurants are among those businesses that consume a large amount of electricity and heat. Installing solar panels can reduce monthly costs by 70-80%. Research shows that there are only a few family-type hotels with solar panels in the region. Our country has more potential, in different countries of the world a 35% efficiency share is considered good, and in Georgia there is a possibility of more than 40%. If we also take into account the potential of hydro resources, the country has the opportunity to become energy independent and an exporter.

To reduce the negative impact of tourism on the environment, small and family hotels should create eco-friendly family hotels. A good example is Croatia, where there are small family hotels that carry the eco-label, a special logo that recognizes that the hotels take the best care of the environment. In Croatia, the eco-certification certifies that the facility is environmentally friendly, consumes less energy, and prevents energy loss. The certification also includes the sorting and collection of waste generated in hotels and subsequent recycling of the waste. The eco-label indicates and confirms care for the environment and the reduction of pollution. Eco-hotels have a direct impact on the guests, contribute to the creation of better quality, strengthen and consolidate their positions in the market. The eco-label distinguishes them from other hotels and gives priority to eco-products. An ecologically clean environment, as in other developing countries, also in Georgia, plays a very important role in reducing pollution and creating eco-products. Any tourist activity, such as family hotels, must adhere to the following environmental protection principles: 1) reducing costs, 2) protecting the environment and contributing to its activities, 3) creating and improving its image.

Conclusions. The development of the hotel sector in Georgia shows constant growth and dynamism, which is accompanied by the growth of the country's tourism potential. Significant problems have been identified in the development of family hotels, a complex approach is necessary, it is worth noting the improvement of the quality of service, which will play a major role in the advancement of the family hotel business. Development of practical skills, development of technological infrastructure and strengthening of training. We encounter problems in the direction of creating ecological family hotels. Knowledge of additional services is needed. Additional activities will make the family business more attractive, it is necessary to offer various additional attractions, planned events, master classes, etc. There are challenges in security issues, especially for family hotels located in high-mountainous zones, the provision of medical services is a problem.

An important issue is the taxation and pricing policy, when family hotels operate only seasonally and have financial stability only during certain seasons, family hotels are taxed throughout the year, which often ends in failure and ultimately the business collapses. High tax rates for hotels increase their operating costs, which is directly reflected in the prices of services. Various types of taxes, such as VAT (value added tax), income tax and local taxes, create an additional bureaucratic burden. Owners have to contribute their own capital to the state treasury. Or seek additional funds in the form of loans. Hotel owners are unable to make long-term financial planning, cannot predict the future tax burden. It has been revealed that seasonality and dependence on tourism create a weakness in the family hotel industry, as it is not possible to receive guests consistently and, accordingly, the hotel operates seasonally and at the current stage the annual load factor is low. Solving these problems requires several strategic changes. Tax rates need to be reduced and simplified, which will reduce the costs of hotels and increase their competitiveness. Improving and simplifying the tax system will support the development of small family businesses, increase their competitiveness and create a favorable environment. All this requires cooperation between the state and the business sector to create an effective, sustainable tax policy that will promote economic growth and development of the sector.

References:

Argutashvili, V. (2022). Family Business Management in Tourism. Tbilisi: TSU.

Dolikashvili, L. (2021). Hotel Management. Tbilisi: SEU.

file:///D:/pdf/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%AF%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98.pdf. Accessed (12.04.2024).
Investment Climate and Opportunities in Georgia, 2019.
file:///C:/Users/user/Downloads/5cadb10264501-1-PRINT-Master-2019-small.pdf
Accessed:(20.04. 2025).
Hotel life cycle, Hotel Destination Report, 2024.
https://str.com/data-solutions/hotel-destination-report.Accessed (30.04.2025).
Katsitadze, N. (2018). Trends in the development of the hotel market against the background of new directions in tourism. III International Scientific Conference, Challenges of Globalization in Economics and Business. Proceedings of Tbilisi State University. pp. 192-197.
Kveladze, K. (2011). Tour operator „Family Hotel“ in Georgia. Iv. Javakhishvili Tbilisi State University, International Scientific-Practical Conference, „Priorities of Sustainable Development of Agriculture„ Tbilisi 2011 (October 28-29). pp. 481-483. Tbilisi University Publishing House. ISBN 978-9941-13-226-1.
Mghebrishvili, V. (2024). Which region of Georgia has the most hotels – ranking.
https://bm.ge/news/saqartvelos-romel-regionshia-yvelaze-meti-sastumro-reitingi. Access date:(18.04. 2025).
Policy and Management Consulting Group (PMCG). Average Hotel Prices in Georgia and Hotel Price Index, 2024. https://www.pmcresearch.org/ Accessed: May 15, 2025
https://research.pmcgi.com/publications–file/8161672c73014a433.pdf
Travel, Tourism and Hospitality. Trending Facts and Information. 2024.
https://www.statista.com/markets/420/travel-tourism-hospitality/ (23. 04.2025).
Tourism Product Development Agency, Good Host, 2024.
https://infoajara.com/ka/good-host. Accessed (20.04.2025).

ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტები და საქართველო

ნიკო კვარაცხელია
ისტორიის დოქტორი, წმ. ანდრიას ქართული
უნივერსიტეტის პროფესორი
ელ-ფოსტა: niko.kvaratskhelia@sangu.edu.ge
ORCID: 0009-0001-7934-4652

აბსტრაქტი:

1. ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტების შექმნა, როგორც ევროინტეგრაციის შედეგი

ევროინტეგრაციის პროექტის არქიტექტორმა რობერტ შუმანმა (1886-1963 წწ), ჟან მონესთან თანამშრომლობით შეადგინა საერთაშორისოდ ცნობილი „შუმანის გეგმა“, რომელიც გამოაქვეყნდა 1950 წლის 9 მაისს. ეს არის ევროკავშირის დაბადების თარიღი. ევროპის საბჭო, რომელიც შეიქმნა 1949 წელს, განსაზღვრავს პროგრამების განხორციელების პოლიტიკას. იგი უძველესი საერთაშორისო ორგანიზაციაა ევროპაში და მოიცავს მთელ კონტინენტს.

ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტების პროგრამა, რომელიც შედეგია ამ იდეის განვითარებისა და რომელმაც დიდი როლი შეასრულა ევროპის ტურიზმის განვითარებაში, 1987 წელს დაიწყო. გაფართოებული წილობრივი შეთანხმება (EPA) კულტურული მარშრუტების შესახებ, რომელსაც ხელი მოეწერა 2010 წელს, ემყარება ევროპის საბჭოს პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებს, განსაზღვრავს პროგრამის სტრატეგიას და გასცემს „ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტის“ სერტიფიკატს.

2. საქართველოს მიერთება ევროპის საბჭოს კულტურულ მარშრუტებთან, როგორც მნიშვნელოვანი მოვლენა ევროინტეგრაციის გზაზე

საქართველო ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტების შესახებ გაფართოებული წილობრივი შეთანხმების (EPA) წევრი ქვეყანა გახდა 2016 წელს. 2021 წელს ქვეყანაში ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტებისადმი მიძღვნილი მე-10 ყოველწლიური საკონსულტაციო ფორუმი ონლაინ ჩატარდა. მისი ორგანიზატორი იყო საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, ქუთაისის მუნიციპალიტეტთან ერთად.

3. ახალი მარშრუტების ძიება და საქართველოს პერსპექტივები ევროპის საბჭოს კულტურულ მარშრუტებთან დაახლოების მიზნით

1984 წელს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო რეკომენდაცია 987 (1984) ევროპის საპილიგრიმო მარშრუტებზე და მოუწოდა მინისტრთა კომიტეტს გაეცოცხლებინა ეს გზები და დაეწყო ეს პროცესი **სანტიაგო დე კომპოსტელას** მიმართულებით მიმავალი ევროპული გზებით. სანტიაგო დე კომპოსტელას დეკლარაციით 1987 წლის ოქტომბრიდან ეს გზა არის სარეკომენდაციო და სამაგალითო ნიმუში მომავალი პროექტებისთვის.

მოხსენებაში შეთავაზებულია სიახლე: სანტიაგო დე კომპოსტელას დეკლარაციის გათვალისწინებით შეიქმნას სახმელეთო და საზღვაო კულტურული საპილიგრიმო მარშრუტი: „ანთიმოზ ივერიელის გზა“, რომელიც იყო რუმინეთის საეკლესიო და პოლიტიკური მოღვაწე, განმანათლებელი, მესტამბე, მწერალი. მისი ხელმძღვანელობით ვლახეთში 20-ზე მეტი ეკლესია-მონასტერი აიგო. 1992 წელს რუმინეთის ეკლესიამ ანთიმოზ ივერიელი წმინდანად შერაცხა და მისი ხსენების დღედ დააწესა 14 (27) სექტემბერი, წმინდანის გარდაცვალების დღე.

საკვანძო სიტყვები: ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტები; ევროპული საზოგადოება; რობერტ შუმანი; საქართველოს კულტურული მარშრუტები.

* * *

შესავალი. 2016 წლის 9 აგვისტოს საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივით, საქართველო ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტების გაფართოებული წილობრივი შეთანხმების (Enlarged Partial Agreement) 27-ე წევრი სახელმწიფო გახდა. პროგრამის ფარგლებში შემუშავდა შემდეგი კულტურული მარშრუტები: „ღვინის მარშრუტი“, „ებრაული მემკვიდრეობის ევროპული მარშრუტი“, „ისტორიული თერმული ქალაქების ევროპული მარშრუტი“, „პრეისტორიული კლდის ხელოვნება“, „ისტორიული ბაღების ევროპული მარშრუტი“, „გერმანული დასახლებები და არქეოლოგიური მემკვიდრეობა“, „ალექსანდრე დიუმას კვალდაკვალ საქართველოში“, „ისტორიული ბაღების ევროპული მარშრუტი“.

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება საქართველოს უახლეს ისტორიაში განხორციელებულ ინიციატივას – შეუერთდეს ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტების გაფართოებულ წილობრივ შეთანხმებას (EPA), რაც არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი ევროინტეგრაციის გზაზე.

კვლევის მეთოდები.

უპირატესობა ენიჭება მეორადი დოკუმენტის/დისკურსის ანალიზის მეთოდს (სამაგიდო კვლევა), რომელიც შესასწავლი ფენომენის უფრო თვალსაჩინო წარმოდგენის საშუალებას იძლევა. მნიშვნელოვანი იყო თანამონაწილეობითი დაკვირვების კვლევის მეთოდის გამოყენება თვისებრივი კვლევის მეთოდებიდან. ეს გულისხმობს **მკვლევრის აქტიურ მონაწილეობას ჯგუფში ან დასაკვირვებელ სიტუაციაში**. მტკიცებულება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან არსებული საქართველოს კულტურული მარშრუტების სტრატეგიული განვითარებისა და სერტიფიცირების საბჭოს სხდომაზე 2020 წლის 4 დეკემბერს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტის კანდიდატის სტატუსის მინიჭების შესახებ კულტურულ მარშრუტზე, რომელიც წარმოდგენილია საქართველოს წმინდა ანდრიას სახელობის უნივერსიტეტის სახელით. (https://sangu.edu.ge/?m=325&news–id=729)


მსჯელობა.

ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტები საქართველოში

2023 წლის მონაცემებით საქართველოში აღრიცხულია **13.274** კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. მათ შორის მატერიალური კულტურის 13.202 ძეგლებიდან მოძრავი ძეგლია – 5.260 და უძრავი 7.942 ძეგლი. არამატერიალური კულტურის ძეგლთა რაოდენობა არის – მხოლოდ 72. ბუნების ძეგლებიდან აღსანიშნავია საქართველოს შავიზღვისპირეთის ჭარბტენიანი ტერიტორიები: საქართველოში, კოლხური ტყეები და ჭარბტენიანი ტერიტორიების ეკოსისტემა

დაცულია კოლხეთისა და მტირალას ეროვნულ პარკებსა და კინტრიშისა და ქობულეთის დაცულ ტერიტორიებზე. ისინი გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციამ

(UNESCO) კოლხური ტყეები და ჭარბტენიანი ტერიტორიები მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შეიტანა. უცხოელ ტურისტებს შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს იუნესკოს მიერ აღიარებული საქართველოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა: ქართული მრავალხმიანობა (2001); ქვევრის ღვინო (2013); ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა (2016); ქართული ჭიდაობა (2018). რა აინტერესებს უცხოელ ტურისტს, რომელიც კულტურულ მარშრუტზე მოგზაურობას გეგმავს? ამ კითხვაზე ასეთი პასუხი აქვს ცნობილ გერმანელ მეცნიერს ალბრეხტ შტაინეკეს. იხილეთ სქემა „მოლოდინი ორგანიზებული კულტურული მოგზაურობიდან“.



მოლოდინი ორგანიზებული კულტურული მოგზაურობიდან.
წყარო: ალბრეხტ შტაინეკე: Culture – A Tourist Attraction: Importance – Expectations – Potential (https://www.researchgate.net/publication/237995618)

კულტურული განსხვავებებისადმი აღქმა და დამოკიდებულება და მათი გავლენა მასპინძლობისა და ტურიზმის ინდუსტრიაზე მჭიდრო კავშირშია ხალხის კულტურასთან და კომუნიკაციასთან. კარგი კომუნიკაცია და კულტურული განსხვავებების პატივისცემა, რომლებიც მთელ მსოფლიოში ჩნდება, შეიძლება გახდეს მნიშვნელოვანი ძლიერი ინსტრუმენტი საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის წარმატებისთვის.

2024 წელს ფუნქციონირებდა ევროპის საბჭოს 48 კულტურული მარშრუტი, ძალიან განსხვავებული თემებით, რომლებიც ასახავს ევროპულ მეხსიერებას, ისტორიას და მემკვიდრეობას და ხელს უწყობს დღევანდელი ევროპის მრავალფეროვნების ინტერპრეტაციას. (https://www.coe.int/en/web/cultural-routes/by-theme)

საქართველო ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტების შესახებ გაფართოებული ნაწილობრივი შეთანხმების (EPA) წევრი ქვეყანა გახდა 2016 წელს და განსაკუთრებით აქტიურია პროგრამის პოპულარიზაციაში. ქვეყანამ შექმნა საქართველოს კულტურული მარშრუტების სტრატეგიული განვითარებისა და სერტიფიცირების საკუთარი საბჭო, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს საკონსულტაციო ორგანო, ადგილობრივი კულტურული მარშრუტების განვითარების მხარდასაჭერად.

ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტების მე-10 ყოველწლიური საკონსულტაციო ფორუმი ონლაინ 2021 წლის 29 სექტემბრიდან 1 ოქტომბრის ჩათვლით გაიმართა. იგი მოეწყო საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან და ქუთაისის მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობით.

ევროპის საბჭოს 46 წევრი სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურებმა 2023 წელს რეიკიავიკში განაცხადეს: ჩვენ ვადასტურებთ ჩვენს ერთგულებას ევროპის ხალხებს შორის ურთიერთგაგების განვითარებასა და ჩვენი კულტურული მრავალფეროვნების და მემკვიდრეობის ურთიერთდაფასების მიმართ. (https://rm.coe.int/0900001680ab364c)

ამჟამად საქართველოს კვეთს ევროპის საბჭოს ხუთი სერტიფიცირებული კულტურული მარშრუტი, რომელიც მოიცავს მის ულამაზეს პეიზაჟებს და მდიდარ და მრავალფეროვან კულტურულ მემკვიდრეობას: ებრაული მემკვიდრეობის ევროპული მარშრუტი, იტერ ვიტისი, პრეისტორიული

კლდის ხელოვნების ბილიკები ისტორიული თერმული ქალაქების ევროპული მარშრუტი და ისტორიული ბაღების ევროპული მარშრუტი.

ებრაული მემკვიდრეობის ევროპული მარშრუტი

ებრაელი ხალხი ევროპული ცივილიზაციის განუყოფელი ნაწილია. ათასწლეულების მანძილზე მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ევროპული კულტურის განვითარებაში. ევროპის საბჭოს ებრაული მემკვიდრეობის მარშრუტი, დამოწმებული 2004 წელს, ასახავს ებრაელების მომხიბვლელ ისტორიას ევროპაში. საქართველო მარშრუტს 2017 წელს შეუერთდა.

ებრაული დიასპორა ერთ-ერთი უძველესია საქართველოში. ებრაელები საქართველოში მას შემდეგ ჩამოვიდნენ, რაც ნაბუქოდონოსორმა იერუსალიმი დაარბია და პირველი ტაძარი დაანგრია ძვ.წ 586 წელს. ქართულენოვანი ებრაელები მსოფლიოში ყველაზე მეტი ებრაული მემკვიდრეობის მქონე საზოგადოებაა. ქვეყნის მასშტაბით, ებრაული კულტურული მემკვიდრეობა მოიცავს სინაგოგებს, ებრაული მემკვიდრეობის ძეგლებს, მუზეუმებს, საფლავებს და არქეოლოგიურ არტეფაქტებს.

XI საუკუნის ქართული ისტორიული წყაროებიდან დანამდვილებით ვიცით, რომ ებრაელები პირველად გამოჩნდნენ და დასახლდნენ ქართლში, ნაბუქოდონოსორის მიერ პირველი ტაძრის დანგრევის შემდეგ (ძვ. წ. 586 წ.) და იერუსალიმიდან მათი დევნის შემდეგ. ქართლში ჩასვლა და დასახლება იოლი გზა არ იყო, მაგრამ როგორც ისტორიიდან ვიცით, ებრაელებს მთელ საქართველოში ხვდებოდნენ. მეორეც, ებრაელები დასახლდნენ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში, სოფლებსა და რაიონებში (მაგალითად: ონი, გორი, ქუთაისი, თბილისი, მცხეთა და ა.შ.). დღეს ჩვენ შეგვიძლია ვნახოთ და მოვინახულოთ ის ადგილები და ძველი სინაგოგები, რომლებიც აშენდა მიგრაციის პერიოდში. ეს წარმოუდგენელია, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ებრაელები და ქართველები ერთად ცხოვრობდნენ ერთ სოფელში ან ერთ უბანში, ისინი მაინც იზოლირებულები იყვნენ, სადაც ებრაელებს ჰქონდათ საკულტო სახლი-სინაგოგა სალოცავად. ქართველმა ებრაელებმა შეინარჩუნეს ებრაული ტრადიციები და თვისებები, რომლებიც დამახასიათებელია ნებისმიერი ებრაელისთვის. მესამე, საქართველო ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც ებრაელებს ეთნიკური ან რელიგიური ნიშნით დევნა არ ჰქონიათ. მეტიც, ქართველი მეფეები ებრაელებს დიპლომატიურ სამსახურში იყენებდნენ და ხშირად აგზავნიდნენ მოლაპარაკებებზე. მაგალითად, მე-12 საუკუნეში ებრაელ მეთაურთა მოვაჭრე ზანჯან ზორაბაბელმა საქართველოს პირველ ქალ მეფე თამარს ქმარი მოუყვანა, რაც დიდი დიპლომატიური წამოწყება იყო. ებრაელები ასევე მიდრეკილნი იყვნენ ვაჭრობისკენ და არ იმართებოდა ბაზრობები და ღონისძიებები, სადაც ისინი არ მონაწილეობდნენ. ასევე, მამაკაცების უმეტესობა სოფლის მეურნეობასა და ვაჭრობაში მუშაობდა. ქალების მოვალეობა იყო ბავშვებზე ზრუნვა და ოჯახზე ყურადღების მიქცევა; ასე რომ, ქართველებისა და ებრაელების ურთიერთობა ყოველთვის განსაკუთრებული იყო. ისინი ყოველთვის კარგი მეგობრები, მეზობლები იყვნენ და ერთმანეთის ოჯახს ჰგავდნენ. დღესაც, როცა ებრაელები ძველ ქართულ სოფლებში მოგზაურობენ, ხალხი იხსენებს და საუბრობს ებრაელებთან მათ ურთიერთობაზე, რაც დასაფასებელია. მეოთხე, ქართველი ებრაელები ითვლებოდნენ ეთნიკურად და კულტურულად განსხვავებულად მეზობელი მთის ებრაელებისგან. ისინი ასევე ტრადიციულად განცალკევებულნი იყვნენ საქართველოში რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ ჩამოსული აშკენაზი ებრაელებისგან. ეს ისტორიული მომენტიც ძალიან საინტერესოა მკვლევრებისთვის და შეიძლება მეცნიერებმა განავითარონ. (https://jewisheritage.org/jewish-heritage-cultural-routes-in-georgia)

იტერ ვიტისის მარშრუტი

მეღვინეობა და მევენახეობა ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნების კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილია. ღვინის წარმოება ყოველთვის იყო ევროპული იდენტობის სიმბოლო. 2009 წელს იტერ ვიტისი გახდა ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტი. საქართველო მარშრუტს 2017 წელს შეუერთდა.

მეღვინეობის უძველესი კვალი საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩნდა, საიდანაც იგი მთელ მსოფლიოში გავრცელდა და დიდი გავლენა იქონია სოფლის მეურნეობის და ზოგადად ცივილი-

ზაციების ჩამოყალიბებაზე. საქართველოში ღვინო უკვე დაახლოებით 8000 წლის წინ იწარმოებოდა.

საქართველომ, როგორც ღვინის სამშობლომ, 2017 წლიდან მოიპოვა პატივი ევროპის ღვინის გზაზე, ლათინური სახელწოდებით Iter-Vitis (ვაზის მოგზაურობა). მარშრუტის მიზანია ღვინის ბიომრავალფეროვნების დაცვა, მისი უნიკალურობის ხაზგასმა დღევანდელ გლობალურ სამყაროში, ხელი შეუწყოს ღვინის მასალისა და არამატერიალური კულტურის განვითარებას. ქართული ღვინის ისტორია და მემკვიდრეობა იტერ ვიტისის მარშრუტზე წარმოდგენილია მისი მრავალფეროვანი კულტურით, მათ შორის ვენახებით, ღვინის ქარხნებით, აგრეთვე ვაზთან და ღვინოსთან დაკავშირებული სხვადასხვა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებით, როგორიცაა ეკლესიები და მონასტრები, მუზეუმები ან არქეოლოგიური ადგილები. მარშრუტის წევრია საქართველოს ღვინის ტურიზმის ასოციაცია.

(https://mes.gov.ge/oldmes/content.php?id=9956&lang=eng)

პრეისტორიული კლდის ხელოვნების ბილიკები

პრეისტორიული კლდის ხელოვნება კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი უძველესი ფორმაა. პრეისტორიული კლდის ხელოვნების ნიმუშების დაახლოებით 40% კონცენტრირებულია ევროპის ტერიტორიაზე. ევროპის საბჭოს პრეისტორიული კლდის ხელოვნების ბილიკები სერტიფიცირებული იყო 2010 წელს. საქართველო ქსელს 2018 წელს შეუერთდა.

საქართველოში აღმოჩენილი უძველესი კლდეზე გამოსახული პეტროგლიფები აღიარებულია ევროპის მასშტაბით პრეისტორიული კლდის ხელოვნების ბილიკის ნაწილად, რომელიც ხაზს უსვამს ქვეყნის ტურისტულ მიმართულებებს. აღიარება მას შემდეგ მოხდა, რაც უძველესი ბილიკების საერთაშორისო ასოციაციამ მიიღო საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო მის სრულ წევრად 2017 წელს. საქართველო მერვე წევრი გახდა იტალიის, საფრანგეთის, ესპანეთის, პორტუგალიის, ირლანდიის, ნორვეგიისა და აზერბაიჯანის შემდეგ.

პრეისტორიული კლდის ხელოვნების მემკვიდრეობა საქართველოში წარმოდგენილია თრიალეთის (პატარა ხრამის) პეტროგლიფების კომპლექსით. თრიალეთის პეტროგლიფები მდებარეობს ქვემო ქართლში, ქალაქ წალკასთან. ეს პეტროგლიფები კლდეებზე პატარა პანელის სურათების სახით ჩნდება. ისინი ძირითადად წარმოადგენენ ადგილობრივი ფაუნისა და ჰიბრიდული ცხოველების გამოსახულებებს. გეომეტრიულ გამოსახულებებს შორის გამოსახულია კვადრატული ბადეები, ჯვრები და კაშკაშა მზე. თრიალეთის პეტროგლიფები არის გეომეტრიული გამოსახულებები, რომლებიც ამოკვეთილია კლდოვან წარმონაქმნებზე ექვს ცალკეულ ჯგუფად, რომლებიც მოიცავს დაახლოებით 50 მ სიგრძის.

გამოსახულებებში გამოსახული ფიგურები ასახავს ადგილობრივ ფაუნას, მათ შორის ცხენებსა და ირმებს, აგრეთვე გველების, ფრინველების და ჰიბრიდული ფორმების გამოსახულებებს. გეომეტრიული ფიგურები, მათ შორის მზე, ჯვრები და კვადრატული ბადეები ასევე უძველესი ნამუშევრების ნაწილია (https://georgianjournal.ge/discover-georgia/34005-georgias-ancient-rock-carvings-included-in-the-prehistoric-rock-art-trails.html).

ისტორიული თერმული ქალაქების ევროპული მარშრუტი

ცხელი წყაროების თერაპიული გამოყენება უძველესი დროიდან გავრცელებული იყო მთელ ევროპაში. პოლიტიკური და კულტურული წრეები, რომლებიც მოგზაურობდნენ ევროპის აბანოებში, ქმნიდნენ კულტურული გაცვლის ცენტრებს. ისტორიული თერმული ქალაქების ევროპული მარშრუტი 2010 წელს სერტიფიცირებული იყო და საქართველო მას 2017 წელს შეუერთდა.

იმერეთში სახელმწიფო წარმომადგენლის ადმინისტრაცია არის ევროპის ისტორიული თერმული ქალაქების ასოციაციის ასოცირებული წევრი. ისტორიული არქიტექტურით, ვენახებითა და ცხელი მინერალური წყაროებით მდიდარი იმერეთი დიდი ისტორიის მქონე რეგიონია. როგორც საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სპა ქალაქი ამ რეგიონში, წყალტუბო პოპულარულია არა მხოლოდ თავისი წყლების ხარისხით, არამედ ულამაზესი ნაშენებით, მწვანე პეიზაჟებითა და მომხიბლავი ადგილობრივი გამოქვაბულებით.

• **კურორტი საირმე** ევროპის სპა (ESPA) ასოციაციამ ოცი ევროპული ქვეყნის ასამდე სპას შორის ოფიციალურად აღიარა ინოვაციურ სპა ცენტრად. სამკურნალო, საპროფილაქტიკო, სარეაბილიტაციო, სარელაქსაციო პროცედურების მახასიათებლები და გამაჯანსაღებელი ეფექტი აუმჯობესებს ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციებს. უნიკალურს ხდის, როგორც ქვეყნის, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. საირმეს კურორტის სტატუსი 1930 წლიდან მიენიჭა, ხოლო სასტუმროები 1963-1970 წ. პერიოდში შენდებოდა. საირმის რეაბილიტაცია 2011 წელს დაიწყო, თუმცა სრული რეაბილიტაცია 2018 წელს განხორციელდა. პროექტის ფარგლებში სასტუმრო საირმე განახლდა და თანამედროვე დასასვენებელ კომპლექსად იქცა. განახლების მიუხედავად, დღემდეა შემორჩენილი ავთენტური ადგილები, რომელიც კიდევ ერთხელ ახსენებს აქ ჩამოსულ სტუმრებს შენობის უნიკალურ და საუკუნოვან ისტორიას. სასტუმროს ერთ-ერთ კედელზე გვხვდება ძველი ფრესკა. ასევე, ხელუხლებელია მოზაიკა, რომელიც გამოსახულია სასტუმროს კედელზე. სრულად განახლდა საირმის სკვერში მდებარე ბიუვეტები – მცირე ზომის შენობები, რომლებიც მინერალური წყლების მიწიდან ამოსვლის ადგილებზეა აშენებული. საირმის გამაჯანსაღებელი სპა და ველნეს ცენტრი ძველი შენობის თანამედროვე რეინკარნაციაა, მისი ინტერიერი და ექსტერიერი სრულად რეაბილიტირებულია. ულტრა-თანამედროვე, სარელაქსაციო, სამკურნალო სპა და ველნეს ცენტრი ერთ-ერთი წამყვანი გერმანული ფირმის – კრაფტის უახლესი ტექნიკითაა აღჭურვილი. დღეს აქ ორგანიზდება 80-მდე სამკურნალო-გამაჯანსაღებელი პროცედურა თერმული წყლით (https://sairmeresort.ge/static/chven-shesakheb).

• **წყალტუბო** მსოფლიო მნიშვნელობის კურორტია. იგი დასავლეთ საქართველოში მდებარეობს, ქუთაისიდან 7 კმ-ით არის დაშორებული, თბილისიდან – 250 კმ-ით, ხოლო შავი ზღვიდან – 70 კმ-ით, იგი ზღვის დონიდან 95-120 მ-ზე მდებარეობს. თუ კი სადმე მართლაც არსებობს ნამდვილი და არა ზღაპრული უკდავების წყარო – იგი აქ, წყალტუბოში ამოსჩქეფს დედამიწის გულიდან. აქ მოჰყავთ ადამიანები, რომლებიც იმდენად არიან შეპყრობილი დაავადებებით, რომ დამოუკიდებლად ნაბიჯის გადადგმაც კი არ შეუძლიათ. გაივლიან თუ არა სამკურნალო კურსს, რომელიც 25-30 აბაზანისგან შედგება, მათ ავიწყდებათ რომ წყალტუბოში საკაცით ჩამოიყვანეს.

წყალტუბოს სამკურნალო წყალი დიდი ხანია გახდა ჯანსაღი ცხოვრების სიმბოლო. ბუნების ამ უნიკალურ საჩუქარს ტყუილად როდი უწოდეს „უკვდავების წყარო“. ადამიანის ორგანიზმზე კურორტის წყლების ნაყოფიერი ზემოქმედება ცნობილია უხსოვარი დროიდან. დღეისათვის კი თანამედროვე სამკურნალო-სარეაბილიტაციო დანადგარები გვაძლევს მკურნალობის, პროფილაქტიკისა და ორგანიზმის ტონუსის ამაღლების საშუალებას.

კურორტ წყალტუბოში იყენებენ აბაზანის მიღების თავისებურ ტექნიკას. აბაზანის მიღების თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ მკურნალობა მიმდინარეობს **მუდმივად გამდინარე წყალში**, (ანუ მინერალური წყალი პროცედურის დასრულებამდე განუწყვეტლივ შემოედინება აბაზანაში და გადაედინება), **რითაც წყალი მუდმივად ინარჩუნებს ფიზიკო-ქიმიურ და სამკურნალო თვისებებს, ერთგვაროვნებასა და ტემპერატურას**.

კურორტ წყალტუბოს ძირითად სამკურნალო ფაქტორს წარმოადგენს **რადონული მინერალური წყალი**. მინერალური წყლის დებიტი, წლის პერიოდებიდან გამომდინარე, მერყეობს და შეადგენს 13-15 მილიონ ლიტრს 24 საათში (დღე-ღამეში). წყლის ბუნებრივი ტემპერატურა **(+33-35°C)** მისი წინასწარი შეთბობის გარეშე გამოყენების საშუალებას იძლევა. წყალი აბაზანებში პირდაპირ წყაროებიდან შემოედინება თვითდინებით, ტუმბოების გამოყენების გარეშე. მკურნალობა მიმდინარეობს მუდმივად გამდინარე წყალში, არ შეიცავს ტოქსიკურ ნივთიერებებს, შემადგენლობით არ არის აგრესიული. შესაბამისად, დამსვენებელთა ასაკიც შეუზღუდავია (4 წლიდან ხანდაზმულების ჩათვლით) (https://www.tskaltuboresort.ge/geo).

ისტორიული ბაღების ევროპული მარშრუტი

ისტორიულმა ბაღებმა დროთა განმავლობაში ჩამოაყალიბა ევროპული კულტურა და იდენტობა. ისტორიის სხვადასხვა მომენტში ჩამოყალიბდა ბაღის კულტურა და სხვადასხვა მცენარეები, პარტერების ფორმები და კულტივირების ჩვევები გახდა საერთო ევროპული კულტურის ცოცხალი

დადასტურება. ისტორიული ბაღების ევროპული მარშრუტი 2020 წელს გახდა ევროპის საბჭოს სერტიფიცირებული კულტურული მარშრუტი.

საქართველო ისტორიული ბაღების ევროპულ ქსელს 2019 წელს შეუერთდა. საქართველო წარმოდგენილია 5 ისტორიული ბაღით: თბილისის ბოტანიკური ბაღი, ბათუმის ბოტანიკური ბაღი, ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი, ქუთაისის ბოტანიკური ბაღი და წინანდლის ჭავჭავაძის ისტორიული ბაღი:

• **საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი,** ყოფილი თბილისის ბოტანიკური ბაღი მდებარეობს თბილისში, საქართველოს დედაქალაქში და მდებარეობს წავკისის-წყლის ხეობაში, სოლოლაკის ქედის (თრიალეთის ქედის ღელე) სამხრეთ მთისწინეთში. მას უკავია 161 ჰექტარი ფართობი და ფლობს 4500-ზე მეტ ტაქსონომიურ ჯგუფს. მისი ისტორია სამ საუკუნეზე მეტს მოიცავს. ბაღები ჩანს ჯოზეფ პიტონ დე ტურნეფორის (1701) ჩანაწერებში და თავად ვახუშტის (1735) თბილისის რუკაზე. ბაღი აღორძინდა მე-19 საუკუნის დასაწყისში და ოფიციალურად დაარსდა როგორც ტფილისის ბოტანიკური ბაღი 1845 წელს. 1888 წლიდან, როდესაც შეიქმნა ფლორისტიკის ცენტრი, იური ვორონოვი და რამდენიმე სხვა ცნობილი მეცნიერი მუშაობდნენ ბაღში. 1896-1904 წლებში ბაღი უფრო დასავლეთით გაფართოვდა. 1932-1958 წლებში ყოფილი მუსლიმური სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორია ბოტანიკურ ბაღში შედიოდა. თუმცა შემორჩენილია რამდენიმე საფლავი, მათ შორის გამოჩენილი აზერბაიჯანელი მწერლის მირზა ფათალი ახუნდოვის (1812-1878 წწ). ბაღის ცენტრალური შესასვლელი მდებარეობს ნარიყალას ციხის მთისწინეთში. მეორე, რომელიც კლდეში გრძელი გვირაბით იყო გაჭრილი 1909-14 წლებში, ფუნქციონირებდა 2000-იანი წლების შუა ხანებამდე, სანამ გვირაბი გადაკეთდა საქართველოს უდიდეს ღამის კლუბად „გვირაბი“ (https://tbilisilocalguide.com/tbilisi/tbilisi-botanical-garden/).

• **ბათუმის ბოტანიკური ბაღი** მდებარეობს ბათუმის ცენტრიდან 9 კმ-ის დაშორებით, უკავია მდინარე ჩაქვისწყლის შესართავსა და მწვანე კონცხს შორის მდებარე სანაპირო ზოლის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთის დაახლოებით 1 კმ ზოლის 108, 7 ჰექტარ ფართობზე, რომელიც გაშლილია 0-220 მეტრის სიგრძის კოლათის ტიპის სიმაღლეზე, რომელიც დაფარული იყო 0-220 მეტრის სიმაღლეზე. ტყე (წიფელი, წაბლი, ცაცხვი) და მარადმწვანე ქვეტყე. მსოფლიოში ფლორის ერთ-ერთი ყველაზე ფართო ჯიშის მქონე ბათუმის ბოტანიკური ბაღი დაარსდა 1912 წელს გამოჩენილი ბოტანიკოსისა და გეოგრაფის ანდრეი კრასნოვის მიერ. ბაღი 111 ჰექტარია და შეიცავს ცხრა ფიტო-გეოგრაფიულ ფლორას (https://bbg.ge/ge/home).

• **ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი:** ბოტანიკური ბაღის ისტორია დაკავშირებულია სამეგრელოს მმართველთა დადიანების რეზიდენციის აგების ისტორიასთან. მის გაშენებას საფუძველი ჩაეყარა დაახლოებით XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, ხოლო ეს ადგილები ჯერ კიდევ გაუვალი ტყეებით იყო დაფარული, რაც კოლხეთის ტერიტორიის უძველესი დროიდან ახასიათებს შავი ზღვის სანაპიროებიდან კავკასიონის კალთებამდე.

1840 წელს სამეგრელოს ხელმძღვანელმა დავით დადიანმა საფუძველი ჩაუყარა ევროპული სტილის დეკორატიულ ბაღს. დედოფალმა ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანმა შეუკვეთა საჭირო მასალა (თესლები და ნერგები) ვერსალის (პარიზი) და მილანის (იტალია) მეფის ლუი ფილიპის სასახლის ბაღიდან და ბაღის დასაგეგმად ტრიესტიდან (იტალია) მოიწვია ცნობილი სპეციალისტი მებაღე იოსებ ბაბინი. ფრანგული სიმეტრიული სტილისა და გაშენების იტალიური პრინციპის საფუძველზე ჯოზეფ ბაბინმა მოაწყო ევროპული სტილის დეკორატიული ბაღი ყვავილების საწოლებით, გაზონებით, ხელოვნური და ბუნებრივი პეიზაჟებით, ხეივნებით, კუნძულით, სანერგე მეურნეობითა და ორანჟერეით, რომელიც შეიცავს ეგზოტიკური მცენარეების იშვიათ ჯიშებს. მას შემდეგ დაიწყო საქართველოში აქამდე უცნობი იშვიათი მცენარეების სახეობების შემოტანა. 1869 წელს იწყება ბაღის განახლების მეორე ეტაპი, როდესაც დედოფალმა ეკატერინემ ფარეზედან (იტალია) მოიწვია მებაღე-დეკორატორი გაეტანო ზამბერლეტი (შემდგომში მისი ძმა – ჯოვანი). ბოტანიკური ბაღი ზუგდიდის ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილია, ეროვნული მნიშვნელობის კულტურული მემკვი-

დრეობის ნიმუში, რომელსაც აქვს საყურადღებო ისტორიული ღირებულება. ბაღმა მნიშვნელოვანი ისტორიული როლი ითამაშა ქალაქის უნიკალური იერსახის ჩამოყალიბებაში და ეგზოტიკური მცენარეების მდიდარი კოლექციის შექმნაში, ასევე დიდი საგანმანათლებლო ფუნქცია. იგი გახდა სამეგრელოში ძვირფასი მცენარეების შემოტანის კერა, საიდანაც ფართოდ გავრცელდა ასობით უცხო მცენარე მოსახლეობაში, გაშენდა მრავალი ბაღი, სკვერი და პარკი სამეგრელოს სოფლებში, ქალაქებსა და დასახლებებში. (https://www.europeanhistoricgardens.eu/en/zugdidi-botanical-garden)

• **წინანდლის ჭავჭავაძის ისტორიული ბაღი** გააშენა თავადმა ალექსანდრე ჭავჭავაძემ (1786-1846) XIX საუკუნის დასაწყისში, 1812 წლისთვის, მან მამის დანატოვარი თავდაპირველი ბაღის ადგილზე გააშენა პირველი რომანტიკული ბაღი საქართველოში. პრინცმა ალექსანდრემ სპეციალურად მოიწვია იტალიელი ლანდშაფტის დიზაინერები, რათა ხელახლა წარმოედგინათ საგვარეულო ბაღები რაღაც ევროპულად. მალე წინანდლის ბაღი ცნობილი გახდა მთელ კავკასიაში. სტუმრები მას კევისა და რიჩმონდის ბაღებს ადარებდნენ. წინანდლის ბაღმა საქართველოში ბაღის მშენებლობის ახალი ევროპული ტენდენცია დაამკვიდრა. სამწუხაროდ 1854 წელს წინანდლის მამული და ბაღი დაიწვა, შამილის ჯარების შემოსევის შედეგად. წინანდლის პარკი აღადგინეს რუსეთის იმპერატორის ბრძანებით 1886 წელს, მას შემდეგ რაც რომანოვების ოჯახმა მიიღო სასახლე და სამკვიდრო. საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ 1918 წელს ბაღი გახდა საჯარო სივრცე, მაგრამ 1921 წელს საბჭოთა რუსეთის ჯარებმა ბაღი და პარკი ძირფესვიანად შეცვალეს, მე-19 საუკუნის ორიგინალური ნიმუში თითქმის განადგურდა. მიუხედავად ამისა, 1987 წელს წინანდლის პარკი ეროვნული მნიშვნელობის პარკად იქნა აღიარებული. სსრკ-ს დაშლის შემდეგ პარკისთვის ყურადღება სახელმწიფოს არ მიუქცევია; მენეჯმენტი გადაეცა კერძო კომპანიას და მას შემდეგ წინანდლის პარკმა დაიწყო მე-19 საუკუნის პირვანდელი ნიმუშის დაბრუნება. დღეს ის ღიაა საზოგადოებისთვის, ყველას აქვს შესაძლებლობა დააკვირდეს ცვლილებას, რომელიც პარკმა განიცადა საუკუნეების მანძილზე. ამ სივრცეში გვერდიგვერდ თანაარსებობენ: რომანტიზმი, ინდუსტრიალიზმი და საბჭოთა მონუმენტალიზმი. ინფრასტრუქტურა მუდმივად იხვეწება და ის სულ უფრო მეტ ვიზიტორს იზიდავს ქვეყნისა და რეგიონის მასშტაბით (https://www.europeanhistoricgardens.eu/en/tsinandali-museum-garden№item-113).

მიუხედავად ასეთი თვალსაჩინო წარმატებებისა, საქართველოს მრავალფეროვანი კულტურა და მჭიდრო კავშირები აღმოსავლეთ ევროპის მართლმადიდებელ ქვეყნებთან იძლევა ევროპული მარშრუტების გამდიდრების საშუალებას. ერთერთი ასეთი მარშრუტი და შეთავაზება ევროპელებისათვის იქნებოდა სანტიაგო დე კომპოსტელას დეკლარაციის გათვალისწინებით შეიქმნას სახმელეთო და საზღვაო კულტურული საპილიგრიმო მარშრუტი: „ანთიმოზ ივერიელის გზა“, **ანთიმოზ ივერიელი** (1650-1716 წწ.), რუმინეთის ღვთისმეტყველი და სახელმწიფო მოღვაწე, განმანათლებელი, მწერალი და ტიპოგრაფი, ვლახეთის მიტროპოლიტი 1708 წ. სამოქალაქო ცხოვრებაში ანდრიას სახელით ცნობილი, დაიბადა საქართველოში. ბავშვობაში ის გაიტაცეს და წაიყვანეს სტამბოლში, სადაც იერუსალიმის პატრიარქმა მონობისგან იხსნა. მოზარდი საპატრიარქოში დარჩა. იქ კარგი განათლების მიღების გარდა, ანთიმოზი რამდენიმე ევროპულ და აღმოსავლურ ენას დაეუფლა. 1680-იან წლებში იგი მიიწვია ვლახეთის პრინცმა კონსტანტინე ბრანკოვეანუმ. ანთიმოზ ივერიელი დასახლდა რუმინეთში და თავისი ძალისხმევა, ცოდნა და გამოცდილება ჩადო რუმინული კულტურის, მისი ლიტერატურული ენისა და წიგნის ბეჭდვის გასაუმჯობესებლად. მან დიდი წვლილი შეიტანა რუმინეთის იმდროინდელი ევროპის ერთ-ერთ კულტურულ ცენტრად ჩამოყალიბებაში. ანთიმოზ ივერიელმა დააარსა სტამბები ბუქარესტში, რიმნიკში, ტირგოვიშტში და სნაგოვის მონასტერში სლავურ და არაბულ ენებზე. მან დანერგა რუმინული ენა ღვთისმსახურებაში, რამაც დიდი წვლილი შეიტანა რუმინული სულიერი და საერო ლიტერატურის განვითარებაში. ამავდროულად, ანთიმოზ ივერიელი იყო დახელოვნებული მხატვარი: ის ასახავდა და აფორმებდა წიგნებს. ანთიმოზ ივერიელმა დიდი წვლილი შეიტანა 1709 წელს თბილისში პირველი ტიპოგრაფიის დაარსებაში და ქართული სახარების გამოცემაში. მან და მისმა მიმდევრებმა დაამყარეს მჭიდრო კულტურული ურთიერთობა რუმინეთსა და საქართველოს შორის. 1992 წლის 21 ივნისს რუმინეთის მართლმადი-

ფართოდ გავრცელებული სახეობები ძირითადად აღმოსავლეთაზიური (41 სახეობა) ელემენტებითაა შექმნილი და მცენარეთა საერთო რაოდენობის 54%-ს შეადგენს. მეორე ადგილზეა ჩრდილოეთ ამერიკული წარმოშობის სახეობები 24%, სამხრეთ ამერიკული 13% და დანარჩენი ერთად 9% ია (ცხრილი 3, დიაგრამა 2).



დიაგრამა 2. სახეობათა სპექტრი წარმოშობის არეების მიხედვით %-ში

აღმოსავლეთ აზიურ სახეობათა სიმრავლე დამოკიდებულია არა მარტო დიასპორის გადატანა-გავრცელებაზე და სახეობის ადაპტაციის შესაძლებლობებზე, არამედ აღმოსავლეთ აზიისა და აჭარის სანაპირო ზოლის მსგავს ნიადაგურ-კლიმატურ პირობებზე.

რაც შეეხება ხმელთაშუაზღვისპირეთის წარმოშობის მცენარეებს, საბჭოთა და შემდგომი პერიოდის სამეცნიერო წყაროების მიხედვით, აჭარის ფლორისტულ რაიონში საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი. თანამედროვე მონაცემთა ბაზების (POWO, 2025; WFO, 2025) მიხედვით კი აღნიშნულ სახეობათა უმრავლესობაზე მშობლიურ არეალად ხმელთაშუაზღვისპირეთთან ერთად მითითებულია კავკასიის რეგიონი, ამიტომ ამ ეტაპზე ჩვენს კვლევაში ასეთი სახეობები არ შევიტანეთ.

დასკვნები.

აჭარის ფლორისტული რაიონი საქართველოს ერთ-ერთი უნიკალური რეგიონია, რომელიც მდიდარია ფლორითა და მცენარეულობით. ფლორისა და მცენარეულობის სიმდიდრეს, ადგილობრივ

მცენარეებთან ერთად, უცხო წარმოშობის მცენარეებიც განაპირობებენ, რომელთა გავრცელება უხსოვარი დროიდან დაიწყო.

ლიტერატურული წყაროებისა და ბოტანიკური ექსპედიციების საფუძველზე გამორჩეულია 75 სახეობა, რომლებიც ფართოდ არიან გავრცელებულნი ზღვისპირა აჭარაში.

აღწერილი 75 სახეობა ერთიანდება 27 ოჯახსა და 57 გვარში. სახეობათა სიმრავლით გამორჩეული ოჯახებია რთულყვავილოვანები და მარცვლოვნები 14-14 სახეობით.

გამორჩეულ სახეობათა უმრავლესობა მრავალწლოვანია. ერთწლოვანი მონოკარპები წარმოდგენილია 24 სახეობით, ორწლოვანი მონოკარპები 2 სახეობით, პოლიკარპები 28 სახეობითაა წარმოდგენილი. ხე მცენარეები, ბუჩქები და გამერქნებული ღეროს მქონე მცენარეები (ბამბუკები) წარმოდგენილია 21 სახეობით.

შესწავლილ სახეობათა ნახევარზე მეტი (54%) აღმოსავლეთ აზიური წარმოშობისაა.

ზღვისპირა აჭარაში აღწერილი ფართოდ გავრცელებული სახეობებიდან ზოგი ტიპური ინვაზიური სახეობაა. ზოგი წარსულში ერთეული ეგზემპლარებით იყო წარმოდგენილი, ბოლო პერიოდში კი ფართოდ გავრცელდა. ზოგი ბოლო პერიოდში შემოიჭრა და დაიმკვიდრა ადგილი, მაგ. დაკუთხული სიციოსი (*Sicyos angulatus*), კანადური ოქროწკეპლა (*Solidago canadensis*) და ბრაზილიური ვერბენა (*Verbena brasiliensis*).

კანადური ოქროწკეპლა (*Solidago canadensis*) და ბრაზილიური ვერბენა (*Verbena brasiliensis*) კოლხეთის დაბლობზე პირველად ფიქსირებულია XX ის 30-40-იან წლებში. აჭარის ფლორისტულ რაიონში გამოჩნდა გასული საუკუნის ბოლოს, ხოლო მასობრივი გავრცელება მოხდა ბოლო 2 ათეული წლის განმავლობაში, რაც ანთროპოგენური ზემოქმედებისა და გლობალური კლიმატური ცვლილებების შედეგი უნდა იყოს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია უცხო წარმოშობის სახეობათა მუდმივი მონიტორინგი და ეკოსისტემურ სერვისებზე ნეგატიური და პოზიტიური ზემოქმედების შეფასება.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

დავითაძე მ. (1974). აღმოსავლეთ აზიური ელემენტები აჭარის ადვენტურ ფლორაში. *ბათუმის ბოტანიკური ბაღის მოამბე*, 63-72.

დავითაძე მ. (1997). ადვენტური ფლოროგენეზი აჭარის ფლორაში. *ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*, 65-69.

დავითაძე მ. (1980). ანთროპოგენური ცვლილებები აჭარის მცენარეულობაში. *მცენარეული სამყაროს დაცვის პრობლემები*, 60-67.

დავითაძე მ. (2001). *აჭარის ადვენტური ფლორა.* ბათუმი, ბათუმის უნივერსიტეტის შრომები. 199 გვ.

დავითაძე მ. (2002). *აჭარის ადვენტური ფლორის ბიომორფოლოგიური ანალიზი.* ბათუმი, ბათუმის უნივერსიტეტის შრომები 215 გვ.

Dmitrieva A.A . (1990 a). *Key to the plants of Adjara. vol. 1.* Tbilisi: „Metsniereba“. 326p

Dmitrieva A.A. (1990 b). *Key to the plants of Adjara. vol. 2.* Tbilisi: „Metsniereba“. 278.

Kikodze D., Memiadze N., Kharazishvili D., Manvelidze Z. & Mueller Schaerer. (2010). *Alien flora of Georgia.* Fribourg, Switzerland.: 38.

Mikeladze I., Davitadze M., Bolkvadze G., Metreveli M., Chagalidze R. (2014). Life forms of invasive herbaceous plants of the South Colchis. *Modern Phyto morphology. V 6. Lvov.* 189-194.

Mikeladze I., Bolkvadze G., Metreveli M., Chagalidze R., Davitadze M. (2015). Sicyos angulatus L. new Alien Species in Souhtern Colkheti Flora. *Biological Forum-An International Journal. VOL 7(2)*, 266-268.

Mikeladze I.SH., Bolkvadze G.K., Metreveli M.V., Chagalidze R.N., Davitadze M.U., Sharabidze A.Sh. (2017). Brasilien Vervain (Verbena Brasiliensis) in Colkheti Flora. *Annals of Agrarian Science,Volume 15, Issue 2.* 198-200. https://doi.org/10.1016/j.aasci.2017.05.013.

Mikeladze I., Sharabidze A., Gvarishvili N., Davitadze M. (2018). Invasion of Foreign Origin (Alien) Woody Plants in Seaside Adjara . *Biological Forum – An International Journal 10(2)*, 109-113.

Mikeladze I., Sharabidze A., Gvarishvili N., Bolkvadze G. (2019). Foreign Origin Plants in the Flora of Ajara and Environmental Problems. *European Journal of Science and Research*, 74-82.

Mikeladze I., Sharabidze A. (2020). The invasive potential of Maclura tricuspidata in the Colkheti lowland (West Georgia). *The Scientific Heritage. Vol 2, No 52 (52)*, 3-7.

Mikeladze I., Bolkvadze G. (2021). New data about the distribution of Canadian goldenrod (Solidago canadensis L.) from Achara (Georgia) floristic region. *The scientific heritage, VOL 3, No 67 (67)*, 17-22.

Mikeladze I., Bolkvadze G., Shainidze G., Davitadze M. (2023). Lobelia urens (Campanulaceae), a new naturalized alien species in the flora of seaside Adjara (SW Georgia/Sakartvelo). *Ukrainian Botanical Journal, 80(6)*, 469−481. https://doi.org/10.15407/ukrbotj80.06.469.

Mikeladze I., Manvelidze Z., Tsiskaridze D., Shainidze G. (2023). Distribution and invasiveness of four non-native species of plants in ecosystems in Chorokhi Delta (SW GEORGIA). *European Journal of Environmental Sciences, Vol. 13, No. 2*, 80-89 https://doi.org/10.14712/23361964.2023.9.

POWO, 2023–onward. *Plants of the World Online.* Facilitated by the Royal Botanic Gardens, Kew: http://www.plantsoftheworldonline.org.

WFO, 2025–onward. *World Flora Online.* http://www.worldfloraonline.org.

CURRENT CONDITION AND BIOECOLOGICAL FEATURES OF WIDESPREAD ALIEN PLANTS IN SEASIDE AJARA (GEORGIA, SAKARTVELO)

IRAKLI MIKELADZE
PhD in Biology,
Institute of Phytopathology and Biodiversity,
Batumi Shota Rustaveli State University,
E mail: irakli.mikeladze@bsu.edu.ge
ORCID: 0000-0003-1200-6787

LAMZIRA ZOIDZE
Master of Biology
Biology teacher of Public School №8 of Batumi
E-mail: lamzozoidze@gmail.com
ORCID: 0009-0009-9941-9269

MARINE BAKURIDZE
PhD student, Faculty of Natural Sciences and Health Care,
Batumi Shota Rustaveli State University,
E-mail: bakuridzemarine@gmail.com
ORCID: 0009-0008-3733-7359

Abstract: Seaside Ajara, as a region with unique climatic and geographical conditions, is a favorable environment for the spread of alien plants. In recent decades, the spread of alien species has been observed in the region. Some species were not characterized by mass distribution in the past, but are now widespread.

Based on the conducted studies, 75 species of 27 families, 57 genera, are distinguished, which are widely spread in Seaside Ajara.

The families separated by the abundance of species are *Compositae* and *Poaceae* with 14 species each.

The majority of the described species are perennials. Annual monocarps are represented by 24 species, biennial monocarps by 2 species, and polycarps by 28 species. Trees, shrubs, and plants with woody stems are represented by 21 species.

More than half (54%) of the studied species are of East Asian origin.

Some of the widespread species described in coastal Ajara are typical invasive species. Some were present in very few specimens in the past, but have recently become widespread. Some have recently invaded and established themselves, e.g., Bur cucumber (*Sicyos angulatus* L.), Canadian goldenrod (*Solidago canadensis* L.), and Brazilian verbena (*Verbena brasiliensis* Vell.).

Canadian goldenrod (*Solidago canadensis* L.) and Brazilian verbena (*Verbena brasiliensis* Vell.) were first recorded on the Colchis Plain in the 30s-40s of the 20th century. They appeared in the Ajara floristic region at the end of the last century, and their mass spread occurred in the previous 2 decades, which must result from anthropogenic impact and global climate change.

Keywords: Foreign origin species; Alien species; Life form; Bioecology; Invasion.

* * *

Introduction. The appearance of an alien species in a local area does not always mean that it has already become established in a given habitat. It is possible that the plant will continue to exist in the

second, third or subsequent years after its appearance, but the existing soil and climatic conditions will not be favorable for it, it will not be able to reproduce and expand its distribution area, or the opposite will happen: it will reproduce, expand its distribution area, cause ecological, economic or human health problems and appear as an invasive and weedy species. This is especially noteworthy in the context of ongoing global climate change and extreme weather.

The spread of alien plants in the floristic region of Ajara has a long history. Since the beginning of the last century, significant transformations have taken place in the vegetation of Seaside Ajara. The ranges of many relict species have been greatly reduced, and some have disappeared entirely. This period coincided with the large-scale development of the Colchic forests and wetlands, as well as the expansion of subtropical crops – such as tea, citrus, tung, and bamboo plantations, which facilitated the introduction and establishment of alien plant species.

The introduction and spread of alien plants continue to this day.

According to the literature, alien species in Ajara were initially studied incidentally during the investigation of native flora. Among the early researchers are Shavrov (1910), Voronov (1916), and Grossheim (1916, 1929). Later, important contributions were made by Morozova (1957), Manjavidze and Matinian (1964), Dmitrieva (1967), and Memiadze (1971) (Davitadze, 2001).

Since the last decade of the last century, special studies by Davitadze have been devoted to the species and bio morphological composition of the adventitious flora of Ajara (Davitadze, 1974; Davitadze, 1980; Davitadze, 1997; Davitadze, 2001; Davitadze, 2002).

At the beginning of the current century, the study of alien species in Seaside Ajara was continued by researchers from the Institute of Phytopathology and Biodiversity of Shota Rustaveli State University of Batumi. In recent years, several additional alien species have been described (Mikeladze et al., 2014; 2015; 2017; 2018; 2019; Mikeladze & Sharabidze, 2020; Mikeladze & Bolkvadze, 2021; Mikeladze et al., 2021; 2023), and the invasive nature of certain species has been confirmed (Mikeladze et al., 2023).

According to both literature sources and our own investigations, the number of alien species in the floristic region of Ajara is close to 500, although not all are widely distributed. Some are recorded in databases but are rare in the field, while others that were previously sporadic are now widespread.

Based on all of the above, it is important to determine the current status of widely distributed alien species in Seaside Ajara.

Methodology. After processing literary sources and compiling relevant databases, traditional botanical expeditions and floristic surveys were conducted across Seaside Ajara. To determine species composition, background vegetation descriptions were carried out, with special attention paid to the most widely distributed alien plant species.

For species identification and the study of their bioecological characteristics, various taxonomic keys and scientific publications were used (Dmitrieva, 1990a; Dmitrieva, 1990b; Davitadze, 2002; Kikodze et al., 2010).

The classification and origin of species were determined based on global plant databases – *Plants of the World Online* (POWO, 2025) and *World Flora Online* (WFO, 2025).

Discussion. Based on the analysis of data obtained from fieldwork and literature, 75 widely distributed alien species have been identified in Seaside Ajara: *Ambrosia artemisifolia* L., *Acalypha australis* L., *Ailanthus altissima* (Mill.) Swingle., *Aleurites fordii* Hemsl., *Amaranthus albus* L., *Amaranthus caudatus* L., *Amaranthus lividis* L., *Artemisia vulgaris* L., *Bellis perennis* L., *Bidens bipinnata* L., *Bromus japonicas* L., *Catalpa speciosa* Warder., *Chenopodium ambrosoides* L., *Cinnamomum glanduliferum* Meissn., *Clerodendron bungei* Steud., *Commelina communis* L., *Crassocephalum crepidioides* (Bnth)., *Cyperus difformis* L., *Datura stramonium* L., *Deutzia scabra* Thunb., *Duchesnea indica* (Jacks.) Focke., *Eleusine tristachya* Kunth., *Elodea Canadensis* Michx., *Erigeron annus* (L.) Pers., *Erigeron canadensis* L., *Erigeron crispus* Pour., *Erigeron bonariensis* L., *Euphorbia maculata* L., *Galium ruthenicum* Willd.,

Gnaphalium affine D.Don., *Hydrangea macrophyla* (Thunb.) Ser., *Hydrocotyle ramiflora* Maxim., *Hydrocotyle vulgaris* L., *Juncus tenius* Willd., *Kyllinga gracillima* Miq., *Lespedeza juncea* (L.) DC., *Ligustrum japonicus* Thunb., *Lonicera japonica* Thunb., *Microstegium vimineum* (Trin.) A.Camus., *Microstegium japonicum* (Miq.)Koidz., *Miscanthus sinensis* Anderss., *Narcissius poeticus* L., *Oenthera biennis* L. (Onagra biennis L) Scop., *Ophiopogon japonicus* (L.f.) ker., *Oplismenus undulatifolius* (Ard.) Beauv., *Oxalis corniculata* (L.) Small., *O. violacea* L., *Paspalum dilatatum* Poir., *P. paspaloides* (Michx.) Scribn., *Perilla nankinensis* (Lour.) Decne., *Plectranthus scutellarioides* (L.) R.Br., *Phytolacca americana* L., *Phyllostachys edulis* (Carrière) J.Houz., *P. bambusoides* Siebold & Zucc., *Pleioblastus argenteostriatus* (Regel)Nakai/(*Pleioblastus pumilus*)., *Pseudosasa japonica* (Steud.) Makino., *Pseudosasa hindsii* (Munro) C.D.Chu & C.S.Chao., *Pseudosasa humilis* (Mitford)/Pleioblastus humilis., *Polygonum cuspidatum* Sieb et Zucc., *Reynoutria japonica* Houtt., *Polygonum thunbergii* Sieb et Zucc., (L.) H.Gross/Persicaria perfoliata L.. *Pueraria hirsuta* (Thunb) C.K. Schneid., *Quercus acutissima* carruth., *Q. myrsinaefolia* Blume., *Rhus javanica* L., *Robinia pseudoacacia* L., *Solanum carolinensis* L., *S. pseudocapsicum* L., *Solidago canadensis* L., *Spirea japonica* l.f., *Tagetes minuta* L.,*Verbena brasiliensis* Vell., *Viola prionantha* Bunge., *Vitex rotundifolia* L.f.,/V. trifolia subsp. *litoralis* Steenis., *Xanthium californicum* Greene., *X. spinosum* L., *X. strumarium* L.

These 75 species are distributed among 27 families and 57 genera (Table 1).

Table 1. Number of Species by Family

№	Family	Number of Species
1	Compositae	14
2	Poaceae	14
3	Amaranthaceae	4
4	Lamiaceae	4
5	Euphorbiaceae	3
6	Hydrangaceae	3
7	Leguminosae	3
8	Polygonaceae	3
9	Solanaceae	3
10	Araliaceae	2
11	Cyperaceae	2
12	Fagaceae	2
13	Oxalidaceae	2
14	Rosaceae	2
15	Simaroubaceae	2
16	Asparagaceae	1
17	Bignoniaceae	1
18	Caprifoliaceae	1
19	Commelinaceae	1
20	Oleaceae	1
21	Onagraceae	1
22	Juncaceae	1
23	Phytolaccaceae	1

24	Verbenaceae	1
25	Violaceae	1
26	Amaryllidaceae	1
27	Rubiaceae	1

The number of species in the families varies. The most numerous families are the *Compositae* and the *Poaceae* with 14 species each. The *Amaranthaceae* and the *Lamiaceae* are represented by 4 species each. These four families account for 48% of the described species, while the remaining 23 families account for 52% (Table 1, Diagram 1).




Figure 1. Spectrum of Species by Family

The distribution of alien plants, in addition to abiotic and biotic factors, depends on the bioecological features of each species. According to morphological, developmental, and reproductive characteristics, the studied species exhibit diverse life forms (Table 2).

Table 2. Number of Species by life form

№	Life Form	Quantity
1	Annual monocarp	24
2	Rhizomatous polycarp	10
3	Evergreen shrub	8
4	Tap-rooted polycarp	6
5	Deciduous tree	5
6	Creeping polycarp	5
7	Deciduous shrub	4
8	Evergreen tree	3
9	Climbing plants polycarpic	3
10	Biennial monocarp	2

11	Tuberous polycarp	2
12	Bulbous polycarp	1
13	Tightly grass polycarp	1
14	Semi-shrub	1

Among them, polycarpic perennials dominate with 28 species, represented by various growth forms: Rhizomatous polycarps (10 species): *Acalypha australis, Elodea Canadensis, Galium ruthenicum, Juncus tenuis, Kyllinga gracillima, Ophiopogon japonicus, Paspalum dilatatum, Polygonum cuspidatum, Solanum carolinensis, Solidago canadensis*; Tap-rooted polycarps (6 species): *Chenopodium ambrosoides, Duchesnea indica, Phytolacca americana, Artemisia vulgaris, Verbena brasiliensis, Viola prionantha*; Creeping polycarps (5 species): *Hydrocotyle ramiflora, H. Vulgaris, Microstegium japonicum*, *Oplismenus undulatifolius, Paspalum paspaloides*; Tightly grass polycarp (**1** species): *Miscanthus sinensis*; Bulbous polycarp (1 species): *Narcissus poeticus*. Tuberous polycarps (2 species): *Oxalis corniculata*, *O. violacea*. Climbing polycarps (3 species): *Lonicera japonica, Pueraria hirsute, Vitex rotundifolia L.f. /V. trifolia subsp. litoralis*)

The second most represented group consists of monocarpic plants (26 species), including 24 annuals: *Ambrosia artemisifolia, Amaranthus albus, Amaranthus caudatus, Amaranthus lividis, Bellis perennis, Bidens bipinnata, Bromus japonicas, Commelina communis, Crassocephalum crepidioides, Cyperus difformis, Datura stramonium*, *Erigeron annus, Erigeron canadensis, Erigeron crispus, Euphorbia maculata, Microstegium vimineum, Perilla nankinensis, Polygonum thunbergii, Polygonum perfolatum, Tagetes minuta, Xanthium californicum, Xsanthium spinosum, Xsanthium strumarium*, and 2 biennials: *Gnaphalium affine, Oenthera biennis*.

Woody plants, shrubs, and species with lignified stems (including bamboos) are represented by 21 species, of which 11 are evergreen and 10 deciduous.

Analysis of Species Origin

According to arealogical and florogenetic analysis, the widely distributed alien species in Seaside Ajara belong to several major geographical elements (Table 3).

Table 3. Spectrum of Species by Geographical Origin

№	Origin	Number of Species
1	East Asia	41
2	Atlantic Europe	2
3	South America	10
4	North America	18
5	Central and South America	2
6	Mediterranean region	2

The majority of species -41 taxa (54%) are of East Asian origin, forming the dominant floristic element in Seaside Ajara. North American species account for 24%, South American for 13%, while the remaining regions together represent 9% of the total (Table 3, Fig. 2).




Figure 2. Spectrum of Species by Origin (%)

The abundance of East Asian species depends not only on diaspora dispersal and the species' ability to adapt, but also on the similar soil and climatic conditions of the coastal zone of East Asia and Ajara.

As for Mediterranean-origin plants, Soviet and post-Soviet scientific sources indicate that they were once relatively abundant in the Ajara floristic region. However, according to current global plant databases (*POWO*, 2025; *WFO*, 2025), most of these taxa are now recognized as native to both the Mediterranean and the Caucasus region; therefore, such species were not included in the present analysis.

Conclusions. The floristic region of Ajara represents one of the most unique and species-rich territories of Georgia. Its biodiversity is determined not only by native flora but also by the presence of alien plant species that have been introduced and naturalized over various historical periods.

Based on literature review and field investigations, 75 alien plant species were identified as widely distributed across Seaside Ajara. These belong to 27 families and 57 genera, with *Compositae* (Asteraceae) and *Poaceae* being the most species-rich (14 species each).

Most of the recorded species are perennials. 24 species are annual monocarps, 2 biennial monocarps, and 28 polycarpic perennials. Woody plants, shrubs, and species with lignified stems (including bamboos) are represented by 21 species.

More than half (54%) of the studied alien species are of East Asian origin.

Some of the widespread species described in coastal Ajara are typical invasive species. Some were present in isolated specimens in the past, but have recently become widespread. Some have recently invaded and established themselves, e.g., Bur cucumber (*Sicyos angulatus*), Canadian goldenrod (*Solidago canadensis*), and Brazilian verbena (*Verbena brasiliensis*).

Solidago canadensis and *Verbena brasiliensis* were first documented in the Colchic Lowland in the 1930s–1940s, later appearing in the floristic region of Ajara by the end of the 20th century. Their rapid expansion during the past two decades is likely a result of anthropogenic pressure combined with global climate change.

In light of these findings, it is essential to maintain continuous monitoring of alien species and to evaluate both their negative and positive impacts on ecosystem services and regional biodiversity.

References:

Davitadze M. (1974). *East Asian Elements in the Adventive Flora of Ajara*. Bulletin of the Batumi Botanical Garden, 63–72.

Davitadze M. (1980). *Anthropogenic Changes in the Vegetation of Ajara*. Problems of Plant Protection, 60–67.

Davitadze M. (1997). *Adventive Florogenesis in the Flora of Ajara*. Proceedings of Batumi State University, 65–69.

Davitadze M. (2001). *Adventive Flora of Ajara*. Batumi: Batumi University Press. 199 pp.

Davitadze M. (2002). *Biomorphological Analysis of the Adventive Flora of Ajara*. Batumi: Batumi University Press. 215 pp.

Dmitrieva A.A . (1990 a). *Key to the plants of Ajara. vol. 1.* Tbilisi: „Metsniereba“. 326p

Dmitrieva A.A. (1990 b). *Key to the plants of Ajara. vol. 2.* Tbilisi: „Metsniereba“. 278.

Kikodze D., Memiadze N., Kharazishvili D., Manvelidze Z. & Mueller Schaerer. (2010). *Alien flora of Georgia.* Fribourg, Switzerland.: 38.

Mikeladze I., Davitadze M., Bolkvadze G., Metreveli M., Chagalidze R. (2014). Life forms of invasive herbaceous plants of the South Colchis. *Modern Phyto morphology. V 6. Lvov.* 189-194.

Mikeladze I., Bolkvadze G., Metreveli M., Chagalidze R., Davitadze M. (2015). Sicyos angulatus L. new Alien Species in Souhtern Colkheti Flora. *Biological Forum-An International Journal. VOL 7(2)*, 266-268.

Mikeladze I.SH., Bolkvadze G.K., Metreveli M.V., Chagalidze R.N., Davitadze M.U., Sharabidze A.Sh. (2017). Brasilien Vervain (Verbena Brasiliensis) in Colkheti Flora. *Annals of Agrarian Science,Volume 15, Issue 2.* 198-200. https://doi.org/10.1016/j.aasci.2017.05.013.

Mikeladze I., Sharabidze A., Gvarishvili N., Davitadze M. (2018). Invasion of Foreign Origin (Alien) Woody Plants in Seaside Ajara . *Biological Forum – An International Journal 10(2)*, 109-113.

Mikeladze I., Sharabidze A., Gvarishvili N., Bolkvadze G. (2019). Foreign Origin Plants in the Flora of Ajara and Environmental Problems. *European Journal of Science and Research*, 74-82.

Mikeladze I., Sharabidze A. (2020). The invasive potential of Maclura tricuspidata in the Colkheti lowland (West Georgia). *The Scientific Heritage. Vol 2, No 52 (52)*, 3-7.

Mikeladze I., Bolkvadze G. (2021). New data about the distribution of Canadian goldenrod (Solidago canadensis L.) from Achara (Georgia) floristic region. *The scientific heritage, VOL 3, No 67 (67)*, 17-22.

Mikeladze I., Bolkvadze G., Shainidze G., Davitadze M. (2023). Lobelia urens (Campanulaceae), a new naturalized alien species in the flora of seaside Ajara (SW Georgia/Sakartvelo). *Ukrainian Botanical Journal, 80(6)*, 469−481. https://doi.org/10.15407/ukrbotj80.06.469.

Mikeladze I., Manvelidze Z., Tsiskaridze D., Shainidze G. (2023). Distribution and invasiveness of four non-native species of plants in ecosystems in Chorokhi Delta (SW GEORGIA). *European Journal of Environmental Sciences, Vol. 13, No. 2*, 80-89 https://doi.org/10.14712/23361964.2023.9.

POWO, 2023–onward. *Plants of the World Online.* Facilitated by the Royal Botanic Gardens, Kew: http://www.plantsoftheworldonline.org.

WFO, 2025–onward. *World Flora Online.* http://www.worldfloraonline.org.

შავი ზღვის რესურსები და მისი მომავალი გამოყენების პერსპექტივები

ნაზიბროლა ფაღავა
გეოგრაფიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო
მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის
ასოცირებული პროფესორი
ელ-ფოსტა: nazibrola.phagava@bsu.edu.ge
ORCID: 0009-0000-5337-0353

ცირა ქამადაძე
გეოგრაფიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო
მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის
ასისტენტ-პროფესორი
ელ-ფოსტა: Tsira.kamadadze@bsu.edu.ge
ORCID: 0009-0009-8762-6033

ხათუნა ჭიჭილეიშვილი
გეოგრაფიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო
მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი
ელ-ფოსტა: Chichileishvili.khatuna@bsu.edu.ge
ORCID: 0009-0006-5038-2168

აბსტრაქტი: შავი ზღვის კლიმატი, რომელიც ხელსაყრელ პირობებს ქმნის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარებისათვის (საკურორტო-რეკრეაციული, თევზჭერის, სატრანსპოტო და ა.შ.), მნიშვნელოვანი სარესურსო პოტენციალის მქონეა. თუმცა გლობალური დათბობა გავლენას ახდენს ზღვის კლიმატზე და მის ჰიდროლოგიურ რეჟიმზე.

ბოლო 14 წლის განმავლობაში (2000-2014 წწ.) აჭარის ზღვის სანაპირო ზონის ზედაპირული წყლების თერმული რეჟიმის მასალების დამუშავებამ და ანალიზმა გვაჩვენა, რომ წლების განმავლობაში ზღვის ზედაპირული წყლის ტემპერატურის წლიური მსვლელობა და განაწილება ექვემდებარებოდა კანონზომიერებას. შედეგად, თებერვალ-მარტის თვეში აღინიშნებოდა ყველაზე დაბალი ტემპერატურა (+7^{o}c -ის ფარგლებში), ხოლო ივლისი – აგვისტოს თვეში ყველაზე მაღალი (+28, +29^{o}c). ზღვის ზედაპირული წყლის ტემპერატურის მსვლელობების მრავალწლიური რეჟიმის ნორმიდან გადახრა პირველად დაფიქსირდა 2010 წლის აგვისტოში და პიკმა +33^{o}c-ს მიაღწია (საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტის მონაცემთა ბაზა), რაც ძირითადად გლობალური დათბობის გავლენით მოხდა და რაც აისახა ზღვის ზედაპირული წყლის თერმულ რეჟიმზე. მსგავსი ტემპერატურული მსვლელობები დაფიქსირდა 2011-2014 წლებშიც.

საკვანძო სიტყვები: ზღვა; კლიმატი; რესურსი.

* * *

სტატიის შესავალი. შავი ზღვა ატლანტიკის ოკეანის აუზს განეკუთვნება. მიუხედავად იმისა, რომ შავი ზღვა მსოფლიოს სხვა ზღვებთან შედარებით ერთ-ერთი საკმაოდ კარგად შესწავლილი ზღვაა, მისი ცალკეული ეკოსისტემები, რესურსები და ლანდშაფტები მთლიანად მაინც ვერაა სათანადოდ შესწავლილი და დღესაც გრძელდება მისი შესწავლა ქართველი და უცხოელი მეცნიერების მიერ.

შავი ზღვა განსაკუთრებით მდიდარია ბუნებრივი პირობებითა და რესურსებით, როგორიცაა კლიმატური, ბიოლოგიური, სატრანსპოტო-ნავიგაციური, სასარგებლო წიაღისეული (ნავთობი, გაზი, მაგნეტიტური და ტიტანო-მაგნეტიტური, მაგზეზიტი, ქვანახშირი და სხვა), რეკრეაციული (პლაჟები, ბიოკლიმატი, მინერალური წყლები, ისტორიული ძეგლები და ღირსშესანიშნაობები) რესურსები.

კვლევის მიზანია შავი ზღვის კლიმატური რესურსების შესწავლა და მასზე თანამედროვე გლობალური დათბობის გავლენა აჭარის ზღვისპირეთის ტერიტორიაზე. კვლევის ამოცანას კი შეადგენს თანამედროვე გლობალური დათბობის გავლენის დადგენა ზღვის ჰიდრომეტეოროლოგიურ რეჟიმზე.

მეთოდები. კვლევაში გამოყენებულია და დამუშავებული არსებულ ლიტერატურულ წყაროები, კარტოგრაფიული მასალები და ონლაინ რესურსები.

ნაშრომში გამოყენებულია ზოგადგეოგრაფიული, კლიმატოლოგიური, კარტოგრაფიული, რეგრესიულ-სტატისტიკური კვლევის მეთოდები.

მსჯელობა. მოცემულ შრომაში ძირითადად ყურადღებას გავამახვილებთ შავი ზღვის კლიმატურ რესურსებზე, რომელიც ხელსაყრელ პირობებს ქმნის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარებისათვის (საკურორტო-რეკრეაციული, თევზჭერის, სატრანსპორტო და ა.შ.).

შავი ზღვის კლიმატის ფორმირებაში ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია მზის რადიაცია და ნათების ხანგრძლივობა (ცხრილი 1.)

ცხრილი 1. შავი ზღვის აუზის ძირითადი ჰიდრომეტეოროლოგიური მაჩვენებლები (Бондирев И.В. Джанджгава Т.С. – Тбилиси-1992).

დაკვირ. ვების პუნქტი	წლრ. ჯამ.რად. კკალ .სმ^2	მზის ნათ. ხანგრძ ლივობა	რადც. ბალნს კკალ (სმ)წლ	ნალექები მმ	საშ. ტემპერატურა)C			
					ჰაერის		წყლის	
					იანვარი	ივლისი	იანვარი	ივლისი
ბათუმი	119	1958	52,5	2665	6,2	2,0	10,4	19,4
ფოთი	130	2237	69,0	1623	5,7	20,3	9,7	19,4
სოხუმი	131	2089	58,1	1460	6,1	24,2	8,4	21,2
ოდესა	138	2013	52,7	450	-3,0	2,27	8,8	21,8
იალტა	120	2223	49,5	586	-0,7	24,1	1,0	19,8
ვარნა	130	2237	51,4	478	-1,0	22,3	2,2	24,0
სტამბოლი	140	2240	65,2	650	6,6	23,5	11,2	22,9

შავიზღვისპირეთში ზღვის წყლის ტემპერატურა მთელი წლის განმავლობაში ყველაზე მაღალია საქართველოს სანაპირო ზოლში და კერძოდ აჭარის სანაპიროებთან.

აჭარის ტერიტორია ჰაერის ტემპერატურის წლიური მსვლელობის მიხედვით ზღვიურ ტიპს მიეკუთვნება. აჭარაში ზღვის სანაპიროზე საშუალო წლიური ტემპერატურა 14^o-15^o. შავი ზღვის სითბური გავლენა განსაკუთრებით ზამთრის თვეების ტემპერატურებს ემჩნევა. საქართველოში აჭარის ზღვისპირეთი უთბილესი ზამთრით ხასიათდება. ზამთარში ყველაზე ცივი თვეა იანვარი და ტემპერატურა საშუალოდ მერყეობს 6,6^o და -1,0^o შორის. აჭარის სანაპირო მხარეში ზაფხული ზომიერად ცხელია, რომელიც განპირობებულია გაბატონებული ადგილობრივი ქარებით „ზღვის ბრიზებით“, რომელიც ჰაერის ტემპერატურას საგრძნობლად ანელებს. ზაფხულში ყველაზე თბილი თვეა აგვისტო და ჰაერის საშუალო ტემპერატურა 21.1^o-23.2^o შეადგენს.[1,2,4,7].

შავი ზღვის თერმული რეჟიმი ძირითადად განპირობებულია რეგიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებებით, რომელთაგან აღსანიშნავია: განედი, ბუნებრივი ზონა, ზედაპირის ხასიათი და ატმოსფერული ცირკულაცია. შავი ზღვის ზედაპირული წყლის თერმულ რეჟიმზე დიდ გავლენას ახდენს ატლანტიკის ოკეანის ციკლონური სერიები, რომლებიც გაბატონებულ ფორმატში მუდ-


მივად გადაადგილდებიან დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. აგრეთვე შავი ზღვის მდებარეობა შედარებით დაბალ განედებში, რის გამოც ის მზისგან ღებულობს, პირდაპირი რადიაციის სახით, სითბურ ენერგიებს, რომელიც დაახლოებით 2000 • 10^{12}კკალორიის ტოლია.

შავი ზღვის ზედაპირული წყლის თერმული რეჟიმი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძირითადად განპირობებულია მზის რადიაციით, გაბატონებული დინებებით, ზოგადი ცირკულაციით და ხასიათდება მარტივი მსვლელობებით. აჭარის შავიზღვისპირეთში ზედაპირული წყლის ტემპერატურის დღეღამური მსვლელობისას მაქსიმუმი გვაქვს 15-16 სთ-ზე, ხოლო მინიმუმი – მზის ამოსვლიდან 2 სთ-ის შემდეგ. დღეღამური ამპლიტუდა ძალზე უმნიშვნელოა და 0,2-0.5°-ის ფარგლებში მერყეობს. მარტივია წლიური მსვლელობაც და მაქსიმუმს აღწევს აგვისტოს თვეში, ხოლო მინიმუმს თებერვლის ბოლოს და მარტის დასაწყისში. ექსტრემუმები შავი ზღვის სხვადასხვა რეგიონებისათვის განსხვავებულია და საქართველოს ზღვისპირეთისათვის აგვისტოში აღწევს – 28°-ს, ხოლო მარტის დასაწყისისათვის 6-7°-მდე ეცემა, შესაბამისად წლიური ამპლიტუდა 20-22°-ის ფარგლებშია.

მრავალწლიური რეჟიმული დაკვირვების მასალებიდან გამომდინარე, შავი ზღვის ზედაპირული წყლის საშ. წლიური ტემპერატურის მსვლელობას შემდეგი სახე აქვს (ცხრ. 2, ნახ. 1.), [2]. ზღვის ზედაპირული წყლის ტემპერატურის წლიური მსვლელობისას 1996 წლამდე გვაქვს სეზონური პერიოდული რყევები, მაგრამ მთლიანობაში გარკვეული გადახრები, ან ტენდენცია ტემპერატურის მატებისა ან კლებისა არ შეიმჩნევა. საშ. წლიურის აბსოლიტური მაქსიმუმმა შეადგინა 15,4° (1987-91 წლებში), ხოლო მინიმუმმა – 13,6°, შესაბამისად ამპლიტუდამ შეადგინა 1,8°. ზედაპირული წყლის საშ. წლიურის მსგავსი.


ცხრილი 2. შავი ზღვის ზედაპირული წყლის საშ. წლიური ტემპერატურის მსვლელობა

წელი	T°C	წელი	T°C	წელი	T°C
1982	15,2	1989	14,3	1996	14,7
1983	14,8	1990	14,5	1997	13,9
1984	14,6	1991	15,4	1998	15,5
1985	13,9	1992	14,4	1999	15,5
1986	14,4	1993	13,6	2000	15,9
1987	15,4	1994	14,8	2001	14,8
1988	13,7	1995	15,1	2002	14,3



ნახ. 1. შავი ზღვის ზედაპირული წყლის საშ. წლიური ტემპერატურის მსვლელობა

ზედაპირული წყლის საშ. წლიურის მსგავსი მსვლელობები დაფიქსირდა ბათუმის და ფოთის ჰიდრომეტეო სადგურების რეჟიმული დაკვირვების მონაცემებით (ნახ. 2.) [2]. ზედაპირული წყლის საშ. წლიურის მსვლელობის რეჟიმი ბათუმისა და ფოთის პირობებში ანალოგიურია შავი ზღვის ზოგადი მსვლელობისა და სეზონური რყევების ხასიათი აღმოსავლეთ სანაპიროებზეც მეორდება.




ნახ. 2. შავი ზღვის ზედაპირული წყლის ტემპერატურის საშ. წლიურის მსვლელობა.

ბათუმის და ფოთის ჰიდრომეტეო სადგურების მონაცემებით: ბათუმში დაფიქსირდა მაქსიმალური საშ. წლიური ტემპერატურა 18°c, ხოლო მინიმუმი – 15.4°c. მათ შორის ამპლიტუდამ შეადგინა 2.6°c. შესაბამისად ფოთში დაფიქსირდა მაქსიმალური საშ. წლიური ტემპერატურა 17.5°c, ხოლო მინიმალური – 15.5°c მათ შორის ამპლიტუდამ შეადგინა 2°c. ხოლო


ზედაპირული წყლის ტემპერატურის საშ. წლიურის მსვლელობა შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში განსაკუთრებული რყევებით გამოირჩევა, რომელიც გამოწვეულია არქტიკული ჰაერის მასების და დასავლეთის ციკლონების ურთიერთმონაცვლეობის ზემოქმედებით, შესაბამისად ტემპერატურის საშ. წლიურ ექსტრემუმებს შემდეგი სახე აქვს: მაქსიმუმი დაფიქსირდა 2002 წელს 14.8°c , ხოლო მინიმუმი 1985 წელს 9.7°c.

გლობალურმა დათბობამ გავლენა მოახდინა ზღვის ზედაპირული წყლის თერმულ რეჟიმზეც. აჭარის ზღვის სანაპიროზე ზედაპირული წყლის თერმული რეჟიმის რყევა, ზღვის ჰიდროლოგიური რეჟიმის დინამიკის აქტიურ ფონზე, თითქოს არც უნდა გამოჩენილიყო, რომ არ დაფიქსირებულიყო ერთი უცნაური ფაქტი. 2010 წლის ზაფხულის თერმულმა რეჟიმმა აჭარის რეგიონში აქამდე არსებული ბევრი ექსტრემუმები შეცვალა: მეტეოროლოგიურ ელემენტზე დაკვირვების პერიოდში პირველად დაფიქსირდა აჭარის ზღვისპირა რეგიონში უწყვეტი უნალექო ამინდების ხანგრძლივობის მაქსიმუმი (3 თვეზე მეტი) და აჭარის სანაპიროზე ზღვის ზედაპირული წყლების ტემპერატურის მაქსიმუმი (33^{o}c). რამაც გამოიწვია მიდიების და ხამანწკების მასიური დაღუპვა.

ბოლო 14 წლის განმავლობაში (2000-2014 წწ.) აჭარის ზღვის სანაპირო ზონის ზედაპირული წყლების თერმული რეჟიმის მასალების დამუშავებამ და ანალიზმა გვაჩვენა, რომ წლების განმავლობაში (დაკვირვების დაწყებიდან 2009 წლამდე) ზღვის ზედაპირული წყლის ტემპერატურის წლიური მსვლელობა და განაწილება ექვემდებარებოდა კანონზომიერებას. შედეგად, თებერვალ-მარტის თვეში აღინიშნებოდა ყველაზე დაბალი ტემპერატურა (+7^{o}c -ის ფარგლებში), ხოლო ივლისი-აგვისტოს თვეში ყველაზე მაღალი (+28, +29^{o}c). გრაფიკული გამოსახულებებიდან კარგად ჩანს, რომ ზღვის ზედაპირული წყლის ტემპერატურის მსვლელობების მრავალწლიური რეჟიმის ნორმიდან გადახრა პირველად დაფიქსირდა 2010 წლის აგვისტოში და პიკმა +33^{o}c-ს მიაღწია (საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტის მონაცემთა ბაზა). მსგავსი ტემპერატურული მსვლელობები დაფიქსირდა 2011-2014 წლებშიც. 2011 წელს ზღვის ზედაპირული წყლის ტემპერატურის მაქსიმუმმა 30^{o}-ს მიაღწია ივლისის ბოლოს და გაგრძელდა აგვისტოს ბოლომდე, გაცილებით დიდხანს შენარჩუნდა ექსტრემალური მდგომარეობა ვიდრე 2010 წელს. მსგავსი ტენდენცია ზღვის ზედაპირული წყლის ტემპერატურის მატებისა დაფიქსირდა შავი ზღვის ჩრ/დას. რეგიონშიც (ნახ.3,4,) .




ნახ. 3. შავი ზღვის ზედაპირული წყლის ტემპერატურის წლიური მსვლელობა (ბათუმი)



ნახ. 4. შავი ზღვის ზედაპირული წყლის ტემპერატურის განაწილება წლების მიხედვით (ბათუმი)

საინტერესოა რამდენად ადეკვატურია ჰაერისა და ზედაპირული წყლის ტემპერატურის წლიური მსვლელობების რეჟიმი. ამისათვის განვიხილეთ ბათუმისა და ფოთის მეტეოსადგურის მონაცემები, მათმა დამუშავებამ და ანალიზმა შემდეგი სურათი მოგვცა (ნახ.5). როგორც ნახაზიდან ჩანს, ჰაერისა და ზედაპირული წყლის სითბური რეჟიმი ერთმანეთთან საკმაოდ მჭიდრო კავშირშია, მაგრამ წყლის ტემპერატურის მატება გაცილებით დამოკიდებულია ზაფხულის უღრუბლო, მზიანი დღეთა რაოდენობაზე.




ნახ. 5. ჰაერისა და ზღვის ზედაპირული წყლის საშ. წლიური ტემპერატურის მსვლელობები (ბათუმი)

2010 წლიდან მოყოლებით დღემდე ზაფხულში უნალექო, მზიანი ამინდების რაოდენობამ მკვეთრად იმატა და შედეგად მზის რადიაციის აქტიური ზემოქმედებით ზედაპირული წყლის ტემპერატურამ მოიმატა.

ფოთის ტერიტორიული წყლების ბათუმის აკვატორიულ წყლებთან სიახლოვის მიუხედავად საკმაოდ განსხვავებული ზედაპირული წყლის თერმული რეჟიმი მივიღეთ. გრაფიკული გამოსახულებებიდან (ცხრილი3., ნახ.6).[4,5].

ცხრილი 3. ზღვის ზედაპირული წყლის საშუალო წლიური ტემპერატურის მსვლელობა.

წელი / T°C	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
ფოთი	17	17,5	17	16,5	16,5	17	17,5	17,5	17	16	17	15,5	16,5	16	17
ბათუმი	14,2	14,1	16,3	15,6	15,7	15,9	16	16,5	16,4	17,4	17,9	16,6	17,6	17,4	17,5




ნახ. 6. შავი ზღვის ზედაპირული წყლის საშ. წლიური ტემპერატურის მსვლელობა.

კარგად ჩანს, რომ ბოლო თხუთმეტ წელიწადში საშ. წლიურის ტემპერატურის მსვლელობის სახე ბათუმსა და ფოთში განსხვავებულია: თუ ბათუმში აღმავალი ხასიათისაა, ფოთში პირიქით, ტემპერატურის დაცემა, ან იზოთერმია შეიმჩნევა (აღნიშნული პროცესი მდ. რიონის შესართავის ჰიდრომეტეოსადგურთან სიახლოვით და მდინარის შედარებით ცივი წყლის აღრევით არის გამოწვეული).

ბათუმისა და ფოთის შავი ზღვის ზედაპირული წყლის უცივესი და ყველაზე თბილი თვეების (თებერვალი და აგვისტოს) საშ. თვიურის მსვლელობების რეჟიმმა საკმაოდ საინტერესო დინამიკა გვაჩვენა (ცხრ. 4., ნახ. 7.).

ცხრილი 4. ზღვის ზედაპირული წყლის თებერვლის საშ. თვიური ტემპერატურის სეზონური ცვლილებების ცხრილი.

წელი / T°C	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
თებერვალი (ფოთი)	8,5	10	8	8,5	8	9	7,5	9	8	8	7	7,5	6,5	9	8,5
თებერვალი (ბათუმი)	8	8,5	8,5	9	7,5	8	7	8	8	10	9	8,5	7,5	10	9,5




ნახ. 7. შავი ზღვის ზედაპირული წყლის თებერვლის საშუალო თვიური ტემპერატურის სეზონური ცვლილების გრაფიკი.

თებერვლის საშ. თვიურის ტემპერატურის სეზონური ცვლილების გრაფიკიდან კარგად ჩანს, რომ ბათუმში ზამთარშიც შეიმჩნევა ტემპერატურის მატება, ხოლო ფოთში პირიქით შეინიშნება ტემპერატრის კლება, მაგრამ გარკვეული ტენდენცია უთბილესი თვის მსგავსად არ შეინიშნება და სეზონური რყევებით ხასიათდება.

თითქმის ანალოგიური სურათი მოგვცა უთბილესი თვის აგვისტოს საშ. თვიურის ტემპერატურის სეზონური ცვლილების გრაფიკმა (ცხრ. 5, ნახ. 8). თუ ბათუმის პირობებში 2010 წლიდან უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს აგვისტოს საშ. თვიური ტემპერატურის მაღალი ნიშნულის შენარჩუნება და 29°C-ს შეადგენს, ფოთის პირობებში მერყეობს და საშ. მრავალწლიურზეც დაბალია (2013 – 25,5°C).

ცხრილი 5. ზღვის ზედაპირული წყლის აგვისტოს საშ. თვიური ტემპერატურის სეზონური ცვლილების ცხრილი.

წელი / T°C	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
აგვისტო (ფოთი)	26,5	29	27,5	26	27	28	28	28	26	25	28	26,5	27	25,5	27,5
აგვისტო (ბათუმი)	25,5	27,5	25	25	25	27	27	27,5	27	26	29	28	29	27	29,5




ნახ. 8. შავი ზღვის ზედაპირული წყლის აგვისტოს საშუალო თვიურის ტემპერატურის სეზონური ცვლილების გრაფიკი.

ზღვის ზედაპირული წყლის თერმული რეჟიმის დინამიკა და გადახრის ტენდენცია უკეთესად გამოჩნდა მცოცავი ტემპერატურის რყევადობის გრაფიკულ გამოსახულებებზე (ცხრ. 6,7., ნახ. 9,10). როგორც ბათუმის ასევე ფოთის პირობებში აღნიშნული ტენდენციები მკვეთრად გამოიკვეთა.

ცხრილი 6. ზღვის ზედაპირული წყლის საშ. წლიური მცოცავი ტემპერატურის ცხრილი (ბათუმი)


წელი	ტემპერატურა
2000-2009	15,8
2001-2010	16,1
2002-2011	16,4
2003-2012	16,5
2004-2013	16,7
2005-2014	16,9



ნახ. 9. ზღვის ზედაპირული წყლის საშ. წლიურის მცოცავი ტემპერატურის გრაფიკი. (ბათუმი)

ცხრილი 7. ზღვის ზედაპირული წყლის საშ. წლიურის მცოცავის ტემპერატურის ცხრილი. (ფოთი)

წელი	ტემპერატურა
2000-2009	17
2001-2010	17
2002-2011	17
2003-2012	17
2004-2013	16,5
2005-2014	16,5



ნახ. 10. ზღვის ზედაპირული წყლის საშ. წლიურის მცოცავი ტემპერატურის გრაფიკი (ფოთი).

ზღვის ზედაპირული წყლის საშ. წლიურის მცოცავ ტემპერატურის გრაფიკზე ბათუმის პირობებში, კარგად გამოჩნდა წლების მიხედვით წყლის ტემპერატურის აღმავალი დინამიკა, ხოლო ფოთის ჰიდრომეტეოროლოგიური მონაცემების გრაფიკულმა გამოსახულებამ მოგვცა წლების განმავლობაში იზოთერმული, ანუ ტემპერატურული უცვლელობის მდგომარეობა და 2012 წლიდან უმნიშვნელო (0,5°c) ვარდნა, რომელიც დღესაც გრძელდება.

დასკვნები.

1. ბათუმისა და ფოთის მეტეოსადგურის მონაცემების დამუშავებამ და ანალიზმა გვიჩვენა, რომ ჰაერისა და ზედაპირული წყლის სითბური რეჟიმი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. აქვე აღსანიშნავია, რომ წყლის ტემპერატურის მატება გაცილებით უფრო დამოკიდებულია ზაფხულის უღრუბლო, მზიანი ამინდის დღეთა რაოდენობაზე, ვიდრე ჰაერის ტემპერატურაზე. მაგალითად: 2010 წელს პირველად დაფიქსირდა ზაფხულის უნალექო, მზიანი ამინდების რაოდენობის მკვეთრი მატება (თითქმის მთელმა ზაფხულმა უნალექოდ ჩაიარა) და შედეგად მზის რადიაციის აქტიური ზემოქმედებით ზედაპირული წყლის ტემპერატურამ მოიმატა.

2. ფოთის ტერიტორიული წყლების ბათუმის აკვატორიულ წყლებთან სიახლოვის მიუხედავად, საკმაოდ განსხვავებული ზედაპირული წყლის თერმული რეჟიმია დამახასიათებელი. ბოლო თხუთმეტ წელიწადში ტემპერატურის საშ. წლიურის მსვლელობები სახე ბათუმსა და ფოთში განსხვავებულია: თუ ბათუმში აღმავალი ხასიათისაა, ფოთში პირიქით, ტემპერატურის დაცემა, ან იზოთერმია შეიმჩნევა (აღნიშნული პროცესი მდ. რიონის შესართავის ჰიდრომეტეოსადგურთან სიახლოვით და მდინარის შედარებით ცივი წყლის აღრევით არის გამოწვეული).

3. ბათუმისა და ფოთის შავი ზღვის ზედაპირული წყლის უცივესი და ყველაზე თბილი თვეების (თებერვალი და აგვისტოს) საშ. თვიურის მსვლელობების რეჟიმიც საკმაოდ განსხვავებულია. თუ ბათუმში ზამთარშიც შეიმჩნევა ტემპერატურის მატება, ფოთში პირიქით შეინიშნება ტემპერატურის კლება, ხოლო აგვისტოში თუ ბათუმის პირობებში 2010 წლიდან უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს საშ. თვიური ტემპერატურის მაღალი ნიშნულის შენარჩუნება და 29°c-ს შეადგენს, ფოთის პირობებში მერყეობს და საშ. მრავალწლიურზეც დაბალია (2013 – 25,5°c). აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ შავი ზღვის ზედაპირული წყლის თერმული რეჟიმის დინამიკა გლობალური დათბობის ფონზე მთლიანობაში ერთნაირი არ არის და მათი რეჟიმი რეგიონების მიხედვით განსხვავებულია.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ელიზბარაშვილი ე. (2007) საქართველოს კლიმატური რესურსები. თბილისი.
2. ჭიჭილეიშვილი ხ., ხორავა ს., ელიზბარაშვილი ე., (2015) შავი ზღვის ჰიდროლოგიური რეჟიმის თანამედროვე დინამიკა (ბათუმის სანაპიროს მაგალითზე). შრომები. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის გამომცემლობა, ტომი – 121, თბილისი.
3. ნაზიბროლა ფაღავა., კლიმატის ცვლილებების თანამედროვე ტენდენციები და ბუნებრივი ლანდშაფტების ანთროპოგენური ტრანსფორმაცია აჭარის ტერიტორიაზე. სადოქტორო დისერტაცია. თელავი – 2016.
4. ჯავახიშვილი შ., (1988) საქართველოს ჰავის დახასიათება თვეების მიხედვით. თბილისი.
5. Бондирев И.В., Джанджгава Т.С., (1992) – Рациональное природопользование и природные ресурсы Черного Моря. Тбилиси.
6. Степанов В. Н., Андреев В., (1981) – Черное Море.
7. Nil Asherson (1996) – Black Sta. Los Angeles Times Book Prize Winner.

BLACK SEA RESOURCES AND PROSPECTS FOR THEIR FURTHER USE

NAZIBROLA PAGHAVA
PhD in Geographical Sciences,
Associate Professor of the Faculty of Natural Sciences and Medicine
of Batumi Shota Rustaveli State University
E-mail: nazibrola.phagava@bsu.edu.ge
ORCID: 0009-0000-5337-0353

TSIRA KAMADADZE
PhD in Geographical Sciences,
Assistant Professor of the Faculty of Natural Sciences and Medicine
of Batumi Shota Rustaveli State University
E-mail: Tsira.kamadadze@bsu.edu.ge
ORCID: 0009-0009-8762-6033

KHATUNA CHICHILEISHVILI
PhD in Geographical Sciences,
Assistant Professor of the Faculty of Natural Sciences and Medicine
of Batumi Shota Rustaveli State University
E-mail: Chichileishvili.khatuna@bsu.edu.ge
ORCID: 0009-0006-5038-2168

Abstract. The climate of the Black Sea, which creates favorable conditions for the development of various sectors of the national economy (resort and recreation, fishing, transport, etc.), has significant resource potential. However, global warming affects the marine climate and its hydrological regime.

Over the past 14 years (2000-2014), the processing and analysis of materials on the thermal regime of surface waters in the Adjarian coastal zone of the Black Sea have shown that the annual course and distribution of the temperature of surface waters in the sea by year are subject to patterns. As a result, the lowest temperatures were recorded in February-March (within +7ºC), and the highest – in July-August (+28, +29ºC). The deviation of the sea water surface temperature from the long-term regime was first observed in August 2010 and reached a peak of +33ºC (database of the Georgian Hydrometeorological Institute), which was mainly due to the influence of global warming and was reflected in the thermal regime of the sea surface waters. Similar temperature trends were observed in 2011-2014.

Keywords: sea; climate; resources.

* * *

Introduction. The Black Sea belongs to the Atlantic Ocean basin. Although the Black Sea is one of the most studied seas in the world, its individual ecosystems, resources and landscapes have not yet been fully examined and are still being explored by Georgian and foreign scientists.

The Black Sea is especially rich in natural conditions and resources, such as climatic, biological, transport and navigation, mineral and raw materials (oil, gas, magnetite and titanium-magnetic, magnesite, coal, etc.), recreational (beaches, bioclimate, mineral waters, historical monuments and attractions, etc.) resources.

The aim of the research is to study the climatic resources of the Black Sea and the impact of modern global warming on them in the coastal area of Adjara.

Methods. The study is based on the used and processed existing literary sources, cartographic materials and Internet resources.

The research has been done using general geographical, climatological, cartographic and regression-statistical research methods.

Discussion. The present work focuses on the climatic resources of the Black Sea, which, due to the climatic features of the sea, create favorable conditions for the development of various sectors of the national economy (resort and recreation, fisheries, transport, etc.).

One of the main factors that shape the climate of the Black Sea is solar radiation and the duration of sunshine (Table 1).

Table 1. Main hydrometeorological indicators of the Black Sea basin
(Bondirev I.V., Dzhandzhgava T.S. – Tbilisi-1992).

Observation point	Annual total radiation kcal.cm^2	Duration of sunshine	Radiation balance in kcal (cm)year	Precipitation mm	Average temperature (°C)			
					Air		Water	
					January	July	January	July
Batumi	119	1958	52,5	2665	6,2	2,0	10,4	19,4
Poti	130	2237	69,0	1623	5,7	20,3	9,7	19,4
Sukhumi	131	2089	58,1	1460	6,1	24,2	8,4	21,2
Odesa	138	2013	52,7	450	-3,0	2,27	8,8	21,8
Yalta	120	2223	49,5	586	-0,7	24,1	1,0	19,8
Varna	130	2237	51,4	478	-1,0	22,3	2,2	24,0
Istanbul	140	2240	65,2	650	6,6	23,5	11,2	22,9

The temperature of the Black Sea water is highest along the coast of Georgia throughout the year, and in particular off the coast of Adjara.

In terms of the annual course of air temperature, the territory of Adjara belongs to the coastal type. The average annual temperature on the coast of Adjara is 14º-15º. The thermal influence of the Black Sea is especially noticeable in the temperatures of the winter months. The coastal region of Adjara in Georgia is distinguished by its warmest winters. The coldest month of winter is January, with an average temperature ranging from 6.6º to -1.0º. Summer in the coastal region of Adjara is moderately hot, which is due to the prevailing local winds – „sea breezes", which significantly reduce the air temperature. The warmest month of summer is August, with an average air temperature of 21.1º – 23.2º[1,2,4,7].

The thermal regime of the Black Sea is mainly determined by the physical and geographical features of the region, including: latitude, natural zone, surface characteristics and atmospheric circulation. The thermal regime of the surface waters of the Black Sea is greatly influenced by the cyclonic series of the Atlantic Ocean, which in their predominant format constantly move from west to east. Also, the Black Sea is located in relatively low latitudes, due to which it receives thermal energy from the sun in the form of direct radiation, which is approximately equal to 2000 • 10^{12} kcal.

The thermal regime of the surface waters of the Black Sea, as mentioned above, is mainly determined by solar radiation, prevailing currents, general circulation and is characterized by simple processes. On the Black Sea coast of Adjara, the daily maximum of the surface water temperature occurs 15-16 hours after sunrise, and the minimum – 2 hours after sunrise. The daily amplitude is very insignificant and fluctuates within 0.2-0.5°C. The annual runoff is also simple and reaches a maximum in August, and a minimum – in late February – early March. Extremes vary for different areas of the Black Sea and for the coast of Georgia reach -28 °C in August, and by the beginning of March they drop to 6-7 °C, respectively, the annual amplitude is within 20-22 °C. According to the materials of long-term regime observations,

the average annual temperature of the surface waters of the Black Sea is as follows (Table 2, Fig.1) [2]: in the annual course of the temperature of the surface layer of sea water up to 1996, seasonal periodic fluctuations are observed; however, in general, certain deviations and trends of increase or decrease in temperature are not observed. The absolute maximum of the average annual temperature is 15.4° (in 1987-91), and the minimum is 13.6°, respectively; the amplitude is 1.8°, which is similar to the average annual indicator of surface waters.

Table 2. Average annual temperature of surface water in the Black Sea

year	T°c	year	T°c	year	T°c
1982	15,2	1989	14,3	1996	14,7
1983	14,8	1990	14,5	1997	13,9
1984	14,6	1991	15,4	1998	15,5
1985	13,9	1992	14,4	1999	15,5
1986	14,4	1993	13,6	2000	15,9
1987	15,4	1994	14,8	2001	14,8
1988	13,7	1995	15,1	2002	14,3




Fig. 1. The course of the average annual temperature of the Black Sea surface water.

ელ-ფოსტა: zubitashvilitamari@gmail.com
ORCID: 0009-0001-1698-7968

აბსტრაქტი: ისტორიულ-გეოგრაფიული და კლიმატური ფაქტორები მნიშვნელოვნად მოქმედებს საქართველოში კახეთის რეგიონის ტურისტულ რესურსებზე. ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე კახეთი გამოირჩევა უნიკალური და მრავალფეროვანი ლანდშაფტით, რომელსაც ჩრდილოეთით დიდი კავკასიონის მთები და მის გულში გამავალი ალაზნის ველი აყალიბებს. ამ გეოგრაფიულმა კონფიგურაციამ ისტორიულად ხელი შეუწყო განსხვავებული კულტურული პრაქტიკის, განსაკუთრებით მევენახეობის განვითარებას და უზრუნველყო სტრატეგიული ადგილმდებარეობა დასახლებებისა და გამაგრებული ნაგებობებისთვის. რეგიონის ეკლესია-მონასტრები, ციხეები თუ სხვა არქეოლოგიური ძეგლები, ეს ის კულტურული გადმონაშთია, რომლებიც სხვადასხვა ეპოქის ქმნილებებია, მათ შორის ადრეული ქრისტიანობის, საქართველოს ოქროს ხანისა თუ უცხოური მმართველობის პერიოდების, რომლებიც კახეთის კულტურული ტურიზმის შეთავაზების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს.

კლიმატურად, კახეთს ახასიათებს ნოტიო სუბტროპიკული კლიმატი ცხელი ზაფხულითა და რბილი ზამთრით. ალაზნის ველი ქმნის ხელსაყრელ მიკროკლიმატს ყურძნის მოსაყვანად, რაც რეგიონის, როგორც ღვინის ინდუსტრიას უდევს საფუძვლად. ტემპერატურისა და ნალექების სეზონური ვარიაციები პირდაპირ გავლენას ახდენს ტურისტულ აქტივობებზე. ზაფხული ვენახების მოწახულების, გარე დასვენებისა და ფესტივალების პიკური სეზონია, ხოლო შემოდგომა რთველისა და ღვინის დაყენების პერიოდია. გაზაფხული სასიამოვნო ტემპერატურას გვთავაზობს ისტორიული ადგილების დასათვალიერებლად და აყვავებული პეიზაჟებით ტკბობისთვის. ზამთარი, მიუხედავად იმისა, რომ ნაკლებად პოპულარულია ზოგადი ტურიზმისთვის, მთიან რაიონებში ზამთრის სპორტით დაინტერესებულ ვიზიტორებს იზიდავს და კულტურული მემკვიდრეობის შესასწავლად თუ მოსანახულებლად უფრო ხელსაყრელ საშუალებას აძლევს.

კახეთის გამორჩეული ისტორიულ-გეოგრაფიული გარემოსა და მისი ხელსაყრელი კლიმატის ურთიერთქმედებამ ტურისტული რესურსების მრავალფეროვანი და მიმზიდველი ნაკრები შექმნა. პირველ რიგში, ეს არის რეგიონის უნიკალური ისტორია, რომელიც მრავალი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლით არის აღბეჭდილი. ასევე მევენახეობისთვის იდეალურად შესაფერის კლიმატთან ერთად გამორჩეული სეზონური გამოცდილების შეთავაზებით, მისი ტურისტული მიმზიდველობის საფუძველს ქმნის, კულტურული და ისტორიული კვლევით დაწყებული და აგროტურიზმითა და გარე აქტივობებით დამთავრებული.

საკვანძო სიტყვები: კახეთი, სიღნაღი, წინანდალი, ალავერდის ტაძარი, შუამთის ტაძარი, ტურიზმი.

* * *

სტატიის შესავალი. გეოგრაფიულად, კახეთის მდებარეობა სტრატეგიულად მნიშვნელოვანია. ჩრდილოეთით დიდი კავკასიონის მთები და სამხრეთით-აღმოსავლეთით აზერბაიჯანი ესაზღვრება. რეგიონში დომინირებს ნაყოფიერი ალაზნის ველი, რომელიც უძველესი დროიდან სოფლის მეურნეობისა და დასახლებების სასიცოცხლო მნიშვნელობის წყაროა. ეს მრავალფეროვანი ტოპოგრაფია, რომელიც მოიცავს მაღალმთიანი მწვერვალებიდან და ალპური მდელოებიდან დაწყებული, ბორცვებითა და ვრცელი ვაკეებით დამთავრებული, განსაცვიფრებელ ფონს ქმნის ტურისტული გამოცდილების ფართო სპექტრისთვის, ლაშქრობიდან და ბუნების კვლევიდან დაწყებული, თვალწარმტაცი პეიზაჟებით ტკბობით დამთავრებული. მთების მიერ შექმნილმა გეოგრაფიულმა იზოლაციამ ასევე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ისტორიის განმავლობაში უნიკალური კულტურული ელემენტების შენარჩუნებაში.

ისტორიულად, კახეთი გამოირჩევა მდიდარი და მრავალშრიანი წარსულით, რომელიც განუყოფლად არის დაკავშირებული ქართული სახელმწიფოს განვითარებასა და მის კულტურულ იდენტობასთან. როგორც საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული რეგიონი, ის მნიშვნელოვანი მოვლენების მომსწრე იყო, ქრისტიანობის მიღებიდან თუ შუა საუკუნეების პერიოდიდან დაწყებული უცხოური შემოსევებისა და წინააღმდეგობის პერიოდებამდე. ეს გრძელი და რთული ისტორია ფიზიკურად აისახება რეგიონის მრავალრიცხოვან არქიტექტურულ საგანძურში, მათ შორის უძველეს ეკლესიებში, მონასტრებში, ციხე-სიმაგრეებსა და არქეოლოგიურ ძეგლებში, რომელთაგან თითოეული მოგვითხრობს წარსული ეპოქის ისტორიას და ფასდაუდებელ ინფორმაციას გვთავაზობს რეგიონის მემკვიდრეობის შესახებ.

გარდა ამისა, კახეთის კლიმატი მნიშვნელოვან როლს ასრულებს მისი ტურისტული მიმზიდველობის განსაზღვრაში. იგი ნოტიო სუბტროპიკული კლიმატით ხასიათდება, რეგიონს აქვს გამორჩეული სეზონები, რომლებიც გავლენას ახდენს როგორც სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკაზე, ასევე ტურისტულ აქტივობებზე. თბილი ზაფხული იდეალურია გარე საქმიანობისა და აყვავებული პეიზაჟებით ტკბობისთვის, ხოლო რბილი ზამთარი, განსაკუთრებით ხეობაში, საშუალებას იძლევა მთელი წლის განმავლობაში მივიდეთ მრავალ ადგილას. უმნიშვნელოვანესია, რომ კლიმატი, ალაზნის ველის ნაყოფიერ ნიადაგთან ერთად, მევენახეობისთვის იდეალურ პირობებს ქმნის, რაც კახეთს ქართული ღვინის წარმოების გულად აქცევს. ყოველწლიური ყურძნის რთველი კულტურული ფენომენია და ტურისტებისთვის მნიშვნელოვანი მიმზიდველი ადგილია, რაც ხაზს უსვამს კლიმატს, სოფლის მეურნეობასა და რეგიონულ იდენტობას შორის ღრმა კავშირს.

არსებითად, კახეთის ტურისტული რესურსები მისი ისტორიული ევოლუციის, უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობისა და განმსაზღვრელი კლიმატური მახასიათებლების პირდაპირი პროდუქტია. ამ ფაქტორებმა არა მხოლოდ ჩამოაყალიბეს ფიზიკური გარემო, არამედ ხელი შეუწყვეს კულტურულ განვითარებას, რომელიც ღრმად არის გადაჯაჭვული სოფლის მეურნეობასთან, განსაკუთრებით მეღვინეობასთან, და რეგიონული იდენტობის ძლიერ განცდასთან.

მეთოდები. კახეთის რეგიონის ტურისტულ რესურსებზე მოქმედი ისტორიულ-გეოგრაფიული და კლიმატური ფაქტორების შესასწავლად, გამოვიყენეთ შერეული მეთოდების მიდგომა, რომლებიც აერთიანებს თვისებრივი მონაცემების ანალიზს არსებული რაოდენობრივი ინფორმაციის სინთეზთან. კვლევის დიზაინი ისეა სტრუქტურირებული, რომ შევაგროვეთ და ინტერპრეტაცია გაუკეთეთ სხვადასხვა წყაროდან მოპოვებულ ინფორმაციას, რათა უზრუნველგვეყო ამ ფაქტორებსა და ტურიზმს შორის ურთიერთქმედების ყოვლისმომცველი გაგება.

მსჯელობა. ტურიზმის განვითარება საქართველოში და მის ცალკეულ რეგიონებში დამოკიდებულია ტურისტული რესურსების იმ პოტენციალზე, რომლებიც გააჩნია ამა თუ იმ რეგიონს. ტურისტული რესურსების პოტენციალი კი მნიშვნელოვნად განისაზღვრება ისტორიული, გეოგრაფიული და კლიმატური ფაქტორებით. ისტორიული ფაქტორების თვალსაზრისით, აუცილებელია განვიხილოთ თითოეული ტურისტული ობიექტის ისტორია და ამ ძეგლების მნიშვნელოვანი კულტურული ღირებულებები, ხოლო გეოგრაფიულ და კლიმატურ ფაქტორებში იგულისხმება

მზიან და უნალექო დღეთა რიცხვი, მზის ნათების ხანგრძლივობა, სითბოს განმსაზღვრელი ჰაერის ტემპერატურა, ქარის რეჟიმი და სხვა. ეს კლიმატური მაჩვენებლები მნიშვნელოვანია ტურიზმის ყველა სახეობის დაგეგმარებასა და განვითარებისათვის. მათ მიეკუთვნება შემეცნებითი ტურიზმი, რეკრეაციული ტურიზმი, სპორტული ტურიზმი, ეკოლოგიური ტურიზმი და ტურიზმის სხვა სახეობანი (ელიზბარაშვილი, საქართველოს კლიმატური რესურსები, (2007) .

კახეთი ცნობილია საინტერესო და მრავალფეროვანი ისტორიით, უძველესი ცივილიზაციების კერებით, რომლებიც თარიღდება კოლხური და იბერიული პერიოდებით. რეგიონში უხვადაა ისტორიული ადგილები, როგორებიცაა: უძველესი ეკლესიები, მონასტრები და ციხე-სიმაგრეები, რომლებიც იზიდავს ისტორიის მოყვარულებს და კულტურული ტურიზმით დაინტერესებულ ვიზიტორებს.

კახეთს ხშირად მოიხსენიებენ, როგორც საქართველოს „ღვინის რეგიონს“. რეგიონის ღვინის დაყენების ტრადიცია 8000 წელზე მეტია, რაც მას ღვინის წარმოების ერთ-ერთ უძველეს ადგილად აქცევს მსოფლიოში. ცნობილი ქართული მეღვინეობის ტრადიციული მეთოდი, კერძოდ, ღვინის ქვევრში დაყენების უძველესი მეთოდი, რაც უნიკალურია რეგიონისთვის და ტურისტებს მომხიბვლელ გამოცდილებას სთავაზობს.

რეგიონი წარმოდგენილია მრავალფეროვანი ქართული ფოლკლორით, მუსიკითა და ცეკვით. ადგილობრივი ფესტივალები და ტრადიციული დღესასწაულები დაუვიწყარ შთაბეჭდილებებს უქმნის მნახველებს.

კახეთის გეოგრაფიას ახასიათებს მრავალფეროვანი ლანდშაფტები, მათ შორის ნაყოფიერი ვაკეები, ბორცვები და მუდამ თოვლით დაფარული მთები. მდინარე ალაზნის ხეობა განსაკუთრებით გამოირჩევა ნაყოფიერი მიწებით, სადაც გაშენებულია ვენახები და თხილის პლანტაციები (ელიზბარაშვილი ე. ვარაზანაშვილი ო.) .

კახეთი შედარებით ახლოსაა თბილისთან, საქართველოს დედაქალაქთან, მთავარ დამაკავშირებელ კვანძს კი წარმოადგენს გომბორის უღელტეხილი, რომელიც წელიწადის ყველა დროს ულამაზესია და ბევრი ტურისტის შთაგონების წყაროც გამხდარა. მისი საშუალებით რეგიონი ადვილად ხელმისაწვდომია როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ტურისტებისთვის. ეს სიახლოვე კი რეგიონს კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის.

კახეთს აქვს შედარებით რბილი კლიმატი თბილი ზაფხულითა და გრილი ზამთრით. ეს კლიმატი ხელსაყრელია გარე აქტივობებისთვის მთელი წლის განმავლობაში (ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში, 2020).

ჩვენი მიზანია კახეთის რეგიონის ტურისტული რესურსების, კლიმატური ფაქტორების გამოკვლევა და ტურიზმის ძირითადი სახეობების განვითარების პერსპექტივების შეფასება.

მიზნის განსახორციელებლად შევარჩიეთ კახეთის რეგიონში არსებული შემდეგი ძირითადი ტურისტული ობიექტები:

1. ალავერდი – XI-XVII საუკუნეების არქიტექტურის ძეგლი, ალავერდის ტაძარი;
2. გრემი – XVI საუკუნის ციხე-სიმაგრეთა არქიტექტურული ანსამბლი;
3. ყვარელი – VI საუკუნის არქიტექტურის უძველესი ძეგლი. ი. ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმი. კ. მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმი;
4. სიღნაღი – XVIII საუკუნის ციხე-გალავანი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი;
5. შუამთა – V-VII, XI-XII და XVI საუკუნეების არქიტექტურული ძეგლები;
6. უდაბნო – VI-XVIII საუკუნეების არქიტექტურის ძეგლი;
7. წინანდალი – ა. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი, დენდროპარკი;
8. შილდა – VI-VIII სამონასტრო კომპლექსი და შილდის გალავანი (XVIII სს.)

ჩამოთვლილი ობიექტებისათვის შეფასებული იყო კლიმატის ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა მზიან დღეთა რიცხვი, მზის ნათების ხანგრძლივობა, ჰაერის საშუალო ტემპერატურა და უნალექო დღეთა რიცხვი (Elizbarashvili, 2011). ამ პარამეტრების შეფასებას საფუძვლად დაედო საცნობარო მასალა, თემატური ატლასები და სხვა ლიტერატურული წყაროები. კვლევაში გამოიყენებოდა კარტოგრაფიის და წრფივი ინტერპოლაციის მეთოდები. მიღებული შედეგები წარმოდგენილია ცხრილში.

ცხრილი. 1. ტურისტული რესურსების კლიმატური ფაქტორები (საშუალო წლიური მონაცემები)

ტურისტული პოტენციალი	კლიმატური ფაქტორი			
	მზიან დღეთა რიცხვი	მზის ნათების ხანგრძლივობა, სთ.	ჰაერის საშუალო ტემპერატურა	უნალექო დღეთა რიცხვი
ალავერდი	311	2150	11,6	215
გრემი	309	2200	12,5	235
ყვარელი	309	2200	12,5	235
სიღნაღი	309	2200	11,1	225
შუამთა	311	2250	11,0	225
უდაბნო	309	2300	10,4	265
წინანდალი	311	2250	12,1	225
შილდა	309	2200	12,5	235

მზიან დღედ ჩათვლილია ის დღე, როდესაც მზე ხანმოკლედ მაინც ასხივებდა, ანუ მთლიანად უმზეო დღე არ იყო.

როგორც ცხრილიდან ჩანს, კახეთის რეგიონის ტურისტული პოტენციალი ხასიათდება კლიმატური ფაქტორების კეთილსასურველი პირობებით (ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში და მსოფლიო გამოცდილება, 2016). აქ საკმაოდ ხანგრძლივია მზის ნათების წლიური დრო, ხშირია მზიან დღეთა რიცხვი, მაღლა ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა და ხშირია უნალექო დღეთა რიცხვი, რაც ხელს უწყობს ამ ფაქტორების რაციონალურად და ეფექტურად გამოყენებას ტურიზმის ყველა სახეობაში (ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში და მსოფლიო გამოცდილება, 2016).

თუ შევადარებთ ერთმანეთს ცალკეული ტურისტული ობიექტების კლიმატურ ფაქტორებს, დავრწმუნდებით, რომ მზიან დღეთა რიცხვის სიხშირითა და მზის ნათების ხანგრძლივობის თვალსაზრისით, უპირატესობა მიეკუთვნება ალავერდს, შუამთასა და წინანდალს, სადაც მზიან დღეთა რიცხვი უდიდესია (311 დღე), ხოლო მზე ყველაზე ხანგრძლივად ანათებს უდაბნოში (2300 სთ), შუამთაში (2250 სთ.) და წინანდალში (2250 სთ). უნალექო დღეთა რიცხვიც ყველაზე მეტი უდაბნოშია (265 დღე).

ტურისტული რესურსების გამოვლენილი კლიმატური და აგრეთვე გეოგრაფიული ფაქტორები საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ ტურიზმის ძირითადი სახეობების განვითარების პერსპექტივები ცხრილში წარმოდგენილი ტურისტული ობიექტებისათვის.

ალავერდისა და გრემისათვის დამახასიათებელი კლიმატური და გეოგრაფიული პირობები და აქ არსებული XI-XVII საუკუნეების არქიტექტურული ანსამბლები, საშუალებას იძლევა შემეცნებითი ტურიზმის ფართო განვითარებისათვის, რაც უმთავრესად ღირსშესანიშნაობების გაცნობას გულისხმობს. ამავე დროს ალავერდისა და გრემის ტურისტული პოტენციალი მოიცავს ეკოლოგიური ტურიზმის ისტორიულ-კულტურულ სექტორს (ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში და მსოფლიო გამოცდილება, 2016) .

დღეს, თანამედროვე კახეთის ორ მუნიციპალიტეტში შემეცნებითი ტურიზმის განვითარებისაკენ არის ორიენტირებული ყვარლისა და სიღნაღის ტურისტული პოტენციალები, იქ არსებული არქიტექტურული ანსამბლები და ძეგლები.

ტურიზმის სახეობების ფართო სპექტრის განვითარებაა შესაძლებელი შუამთაში. დაწყებული შემეცნებითი ტურიზმიდან, რაც გულისხმობს V-VII, XI-XII და XVI საუკუნეების არქიტექტურული ძეგლების თუ სხვა ღირსშესანიშნაობების, აგრეთვე შუამთის ულამაზესი ტყისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის გაცნობის (რეკრეაციული ტურიზმი-დასვენება ბუნებაში) დამთავრებული ეკოლოგიური და სპორტული ტურიზმით (ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში)

წინანდალის ტერიტორიული პოტენციალი, უპირველეს ყოვლისა, აკმაყოფილებს შემეცნებითი ტურიზმის მოთხოვნებს. არქიტექტურული ძეგლისა და ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის გაცნობა, ამავე დროს წინანდლის დეკორატიული პარკი პერსპექტიულია ეკოლოგიური ტურიზმის განვითარებისათვის, რადგანაც ის თემატურად თავის მხრივ კულტურულ-ისტორიულ პარკს წარმოადგენს.

შილდის ტურისტული პოტენციალი შეესაბამება შემეცნებითი ტურიზმის მოთხოვნებს. ამავე დროს მისი პოტენციალი პერსპექტიულია ეკოლოგიური, რეკრეაციული, სააგარაკო და აგროტურიზმის განვითარებისათვის.

ისტორიულ-გეოგრაფიული ფაქტორები:

მდებარეობა: კახეთის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა – კავკასიონის მთავარ ქედსა და ალაზნის ველს შორის – განაპირობებდა მის მნიშვნელობას ისტორიულად, როგორც სატრანზიტო გზა და სავაჭრო კვანძი. ეს ისტორიული წარსული აისახება რეგიონის კულტურულ მემკვიდრეობაში, მათ შორის მრავალრიცხოვან ციხე-სიმაგრეებში, ეკლესიებსა და მონასტრებში.

მეღვინეობა: კახეთი ცნობილია როგორც ქართული მეღვინეობის აკვანი. აქ ღვინის დაყენების ტრადიცია ათასწლეულებს ითვლის და უნიკალური ქვევრის მეთოდით გამოირჩევა. ეს ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობა კახეთს ღვინის ტურიზმის მნიშვნელოვან ცენტრად აქცევს. მრავალი მარანი, ღვინის ქარხანა და ოჯახური ტიპის მეურნეობა ღვინის მოყვარულებს საშუალებას აძლევს გაეცნონ ტრადიციულ ტექნოლოგიებს და დააგემოვნონ უნიკალური კახური ღვინოები.

მრავალფეროვანი ლანდშაფტი: რეგიონის გეოგრაფიული მრავალფეროვნება – მაღალი მთები, ნაყოფიერი ველები, მდინარეები და ტყეები – განაპირობებს ტურისტული აქტივობების მრავალფეროვნებას. შესაძლებელია ლაშქრობა მთებში, ცხენით გასეირნება ალაზნის ველზე, მდინარეების გასწვრივ მოგზაურობა და ბუნების თვალწარმტაცი ხედებით ტკბობა.

კულტურული ძეგლები: კახეთი მდიდარია ისტორიული და კულტურული ძეგლებით. შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრეები (მაგ. გრემი, ნეკრესი), ეკლესიები და მონასტრები (მაგ. ალავერდი, შუამთა) მოწმობენ რეგიონის მდიდარ ისტორიასა და არქიტექტურულ მემკვიდრეობას. ეს ძეგლები იზიდავენ ისტორიისა და კულტურის მოყვარულ ტურისტებს.

კლიმატური ფაქტორები:

ზომიერი კლიმატი: კახეთის კლიმატი ძირითადად ზომიერია, რაც ხელსაყრელია ტურიზმისთვის თითქმის მთელი წლის განმავლობაში. ზაფხული თბილია, მაგრამ არა გადამეტებულად ცხელი, ზამთარი კი რბილია, თოვლით მაღალ მთებში.

მზიანი დღეების სიმრავლე: რეგიონი გამოირჩევა მზიანი დღეების სიმრავლით, რაც განსაკუთრებით ხელსაყრელია ღვინის ტურიზმისა და გარე აქტივობებისთვის.

სეზონური მრავალფეროვნება: კახეთში თითოეული სეზონი თავისებურად მიმზიდველია. გაზაფხულზე ყვავის მინდვრები, ზაფხული იდეალურია გარე აქტივობებისთვის, შემოდგომაზე ხდება ყურძნის მოსავლის აღება და ღვინის ფესტივალები იმართება, ზამთარში კი შესაძლებელია მთებში თოვლით დაფარული პეიზაჟებით ტკბობა.

ამ ფაქტორების ერთობლიობა კახეთს აქცევს მრავალფეროვან და მიმზიდველ ტურისტულ ადგილად, რომელიც იზიდავს სხვადასხვა ინტერესის მქონე ტურისტებს – ღვინის მოყვარულებს, ისტორიისა და კულტურის მკვლევარებს, ბუნების მოყვარულებსა და აქტიური დასვენების მსურველებს.

კახეთის ტურისტული რესურსების შემდგომი განვითარება გულისხმობს ამ ისტორიულ-გეოგრაფიული და კლიმატური ფაქტორების ეფექტურად გამოყენებას, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და ტურისტული პროდუქტების დივერსიფიკაციას.

კახეთის რეგიონის ტურისტული რესურსების განვითარებაზე ბოლო წლებში მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა, თუმცა კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი რეგიონის სრული პოტენციალის გამოსაყენებლად.

რა არის გაკეთებული:

ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება: განხორციელდა საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რაც ხელს უწყობს ტურისტების გადაადგილებას რეგიონში. აშენდა და გარემონტდა სასტუმროები და საოჯახო ტიპის სასტუმროები, რაც ზრდის განთავსების შესაძლებლობებს.

ღვინის ტურიზმის განვითარება: განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ღვინის ტურიზმს. გაიზარდა მარნებისა და ღვინის ქარხნების რაოდენობა, რომლებიც სთავაზობენ ტურებს და დეგუსტაციებს. შეიქმნა ღვინის მარშრუტები და ტურები, რომლებიც ტურისტებს საშუალებას აძლევს გაეცნონ კახეთის ღვინის კულტურას.

კულტურული ძეგლების აღდგენა და პოპულარიზაცია: განხორციელდა მრავალი ისტორიული და კულტურული ძეგლის აღდგენა და კონსერვაცია (მაგ., გრემი, ნეკრესი). გაიზარდა ამ ძეგლების პოპულარიზაცია და მათ შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

ახალი ტურისტული პროდუქტების შექმნა: შეიქმნა ახალი ტურისტული პროდუქტები, მათ შორის ეთნოგრაფიული ტურები, გასტრონომიული ტურები, სათავგადასავლო ტურები (ლაშქრობა, ცხენოსნობა).

მარკეტინგი და პოპულარიზაცია: გააქტიურდა კახეთის, როგორც ტურისტული დესტინაციის, მარკეტინგი როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე, შეიქმნა საინფორმაციო მასალები, ვებგვერდები და სოციალური მედიის კამპანიები.

რა უნდა გაკეთდეს მომავალში, რეკომენდაციები:

ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება: საჭიროა ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება, განსაკუთრებით სოფლად, სადაც ჯერ კიდევ არის პრობლემები გზებთან, წყალმომარაგებასა და სანიტარიასთან დაკავშირებით (გარკვეულწილად გაკეთდა, მაგრამ დასახვეწია ამ მიმართულებით მუშაობა).

ტურიზმის დივერსიფიკაცია: მიუხედავად იმისა, რომ ღვინის ტურიზმი მნიშვნელოვანია, საჭიროა ტურიზმის დივერსიფიკაცია და სხვა მიმართულებების განვითარება, როგორიცაა ეკოტურიზმი, სათავგადასავლო ტურიზმი, აგროტურიზმი.

სეზონურობის შემცირება: საჭიროა ღონისძიებების და აქტივობების დაგეგმვა, რომლებიც ტურისტებს მიიზიდავს წლის სხვადასხვა დროს, რათა შემცირდეს სეზონურობა და ტურიზმის ნაკადი უფრო თანაბრად გადანაწილდეს.

კვალიფიციური კადრების მომზადება: საჭიროა ტურისტულ სექტორში დასაქმებული პირების კვალიფიკაციის ამაღლება, მათ შორის გიდების, სასტუმროს პერსონალის, მომსახურე პერსონალის (პასუხობდეს თანამედროვე მოთხოვნებს).

ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა: ტურიზმის განვითარება არ უნდა მოხდეს ბუნებრივი გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის დაზიანების ხარჯზე. საჭიროა მდგრადი ტურიზმის პრინციპების დანერგვა.

ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა: მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა ტურიზმის განვითარების პროცესში, რათა მათ ისარგებლონ ტურიზმიდან მიღებული სარგებლით და იყვნენ მოტივირებულნი ტურისტების მიღებაში (ამ მიმართულებით გარკვეულ ნაწილი ადგილობრივი მოსახლეობისა დასაქმებულია, მაგრამ უკეთესი იქნება მეტი ადგილობრივი ადამიანის დასაქმება).

მარკეტინგული სტრატეგიის გაუმჯობესება: საჭიროა უფრო მიზანმიმართული და ეფექტური მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება, რომელიც მიაღწევს სამიზნე ტურისტულ სეგმენტებს.

ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება: ტურისტული სერვისების გაუმჯობესებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდისთვის საჭიროა ციფრული ტექნოლოგიების უფრო ფართოდ გამოყენება (ონლაინ დაჯავშნა, მობილური აპლიკაციები, ვირტუალური ტურები).

კახეთის რეგიონს აქვს უზარმაზარი პოტენციალი ტურისტული განვითარებისთვის. ისტორიულ-გეოგრაფიული და კლიმატური ფაქტორები ქმნიან მყარ საფუძველს, მაგრამ წარმატებული მომავალი დამოკიდებულია სწორ დაგეგმვაზე, ინვესტიციებსა და მდგრადი განვითარების პრინციპების დაცვაზე.

დასკვნა. შევისწავლეთ ისტორიულ-გეოგრაფიული და კლიმატური ფაქტორების ღრმა და ურთიერთდაკავშირებული როლი კახეთის რეგიონის ტურისტული რესურსების ჩამოყალიბებაში. ანალიზი გვიჩვენებს, რომ კახეთის, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის მიმზიდველობა

არ არის იზოლირებული ელემენტების შედეგი, არამედ მისი ღრმა ისტორიული ფესვების, განმსაზღვრელი გეოგრაფიული მახასიათებლებისა და ხელსაყრელი კლიმატური პირობების სინერგიული შედეგია.

გეოგრაფიულად, კახეთის მრავალფეროვანი ტოპოგრაფია, რომელიც ხასიათდება დიდი კავკასიონის მთისწინეთითა და ალაზნის ველის ნაყოფიერი სივრცით, ფიზიკურ ასპარეზს ქმნის ტურისტული აქტივობების ფართო სპექტრისთვის. თავად ხეობა რეგიონის ცნობილი მევენახეობის გულია, რომელიც მისი აგროტურიზმისა და ღვინის ტურიზმის ქვაკუთხედს წარმოადგენს. მიმდებარე მთები ლაშქრობის, ბუნებით დატკბობისა და შესაძლოა, ზამთრის სპორტის შესაძლებლობებსაც გვთავაზობს კონკრეტულ ადგილებში. გეოგრაფიული მახასიათებლები ასევე გავლენას ახდენს ხელმისაწვდომობაზე, სატრანსპორტო მარშრუტების ფორმირებასა და ტურისტებისთვის რეგიონში ნავიგაციისა და გაცნობის სიმარტივეზე.

კლიმატურად, კახეთის ნოტიო სუბტროპიკული კლიმატი, განსაკუთრებით ალაზნის ველის მიკროკლიმატი, ფუნდამენტურია მისი, როგორც ღვინის რეგიონის იდენტობისთვის. ცხელი ზაფხული და რბილი ზამთარი, სეზონური ვარიაციებით, პირდაპირ გავლენას ახდენს ტურიზმის დროსა და ხასიათზე. ზაფხული ზოგადი ტურიზმისა და გარე აქტივობებისათვის პიკური სეზონია, ხოლო შემოდგომა, ყურძნის რთველის მოსავლით, ღვინის მოყვარულთათვის მნიშვნელოვნად მიმზიდველია. კლიმატი განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო კალენდრის რიტმს, რაც, თავის მხრივ, განსაზღვრავს რეგიონის ტურიზმის დიდი ნაწილის რიტმს.

კახეთის რეგიონის ტურისტული რესურსები მისი ისტორიული განვითარების, გეოგრაფიული მდებარეობისა და კლიმატური პირობების რთული ურთიერთკავშირის პირდაპირი პროდუქტია. ისტორიული ადგილები მიწაშია ფესვგადგმული, სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა განპირობებულია კლიმატით. ვიზიტორის გამოცდილებაზე გავლენას ახდენს ამ ფაქტორების ურთიერთქმედება. მდგრადი ტურიზმის განვითარებისა და ეფექტური მარკეტინგისთვის უმნიშვნელოვანესია ამ ფუნდამენტური კავშირის აღიარება და გამოყენება. იმის აღიარება, თუ როგორ ჩამოაყალიბა ისტორიამ კულტურული მდგომარეობა, როგორ განსაზღვრავს გეოგრაფია ფიზიკურ გარემოსა და აქტივობებს, როგორ მოქმედებს კლიმატი სეზონურობასა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე, საშუალებას იძლევა უფრო მიზანმიმართული მიდგომის შემუშავება კახეთის, როგორც დანიშნულების ადგილის, პოპულარიზაციისთვის, რომელიც მთელი წლის განმავლობაში გვთავაზობს კულტურული, ისტორიული და ენოლოგიური გამოცდილების მდიდარ ნაზავს. ამ ფაქტორებს შორის სპეციფიკური ურთიერთქმედებისა და მათი გავლენის შესახებ ტურიზმის განვითარებად ტენდენციებზე კვლევის გაგრძელება აუცილებელი იქნება ტურიზმის მომავალი წარმატებისთვის ამ ისტორიულად მნიშვნელოვან და კლიმატურად დალოცვილ რეგიონში.

ბიბლიოგრაფია:

(2020). *ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში.* თბილისი: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის კვლევებისა და დაგეგმვის სამმართველო.

(2016). *ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში და მსოფლიო გამოცდილება.* თბილისი: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის კვლევებისა და დაგეგმვის სამმართველო.

Elizbarashvili, E. (2011). Droughts in Easter Georgia. *11 international multidisciplinary scientific geoconference* , (გვ. 45-46). Bulgaria.

ელიზბარაშვილი ე. ვარაზანაშვილი ო. . (2008). *საშიში მეტეოროლოგიური მოვლენების სივრცობრივი სტრუქტურა საქართველოს ტერიტორიაზე.* თბილისი.

ელიზბარაშვილი, ე. ((2007). *საქართველოს კლიმატური რესურსები.* თბილისი.

HISTORICAL-GEOGRAPHICAL AND CLIMATIC FACTORS OF THE TOURISM RESOURCES OF THE KAKHETI REGION

MADONA KEBADZE
PhD in History, Associate Professor at
Iakob Gogebashvili Telavi State University, Georgia
E-mail: kebadze–madona@yahoo.com
ORCID: 0009-0002-5223-8259

TAMAR ZUBITASHVILI
PhD in Geography, Iakob Gogebashvili Telavi
State University
E-mail: zubitashvilitamari@gmail.com
ORCID: 0009-0001-1698-7968

Abstract. Historical-geographical and climatic factors significantly affect the tourism resources of the Kakheti region in Georgia. Located in the eastern part of the country, Kakheti is distinguished by its unique and diverse landscape, shaped by the Greater Caucasus Mountains to the north and the Alazani Valley running through its heart. This geographical configuration has historically facilitated the development of diverse cultural practices, especially viticulture, and provided a strategic location for settlements and fortified structures. The region's churches, monasteries, fortresses, and other archaeological sites are cultural relics from various eras, including early Christianity, the Golden Age of Georgia, and periods of foreign rule, and constitute a significant part of Kakheti's cultural tourism offering.

Climatically, Kakheti is characterized by a humid subtropical climate with hot summers and mild winters. The Alazani Valley creates a favorable microclimate for grape growing, which underpins the region's wine industry. Seasonal variations in temperature and precipitation directly affect tourism activities. Summer is the peak season for visiting vineyards, outdoor recreation, and festivals, while autumn is the time for grape harvest and winemaking. Spring offers pleasant temperatures for visiting historical sites and enjoying lush landscapes. Winter, although less popular for general tourism, attracts visitors interested in winter sports in mountainous areas and provides a more favorable opportunity to explore or experience cultural heritage.

The interaction of Kakheti's distinctive historical-geographical environment and its favorable climate has created a diverse and attractive set of tourism resources. First of all, it is the region's unique history, which is reflected in numerous cultural heritage sites. Also, the climate ideally suited for viticulture, along with the offer of distinctive seasonal experiences, forms the basis of its tourist appeal, starting from cultural and historical research and ending with agrotourism and outdoor activities.

Keywords: Kakheti, Sighnaghi, Tsinandali, Alaverdi Temple, Shuamta Temple, tourism.

* * *

Introduction to the article. Geographically, Kakheti's location is strategically important. It is bordered by the Greater Caucasus Mountains to the north and Azerbaijan to the southeast. The region is dominated by the fertile Alazani Valley, which has been a vital source of agriculture and settlement since ancient times. This diverse topography, which ranges from high mountain peaks and alpine meadows to rolling hills and vast plains, provides a stunning backdrop for a wide range of tourist experiences, from hiking and nature exploration to enjoying breathtaking landscapes. The geographical isolation created by the mountains has also played a significant role in preserving unique cultural elements throughout history. Historically, Kakheti is distinguished by a rich and multi-layered past, which is inextricably linked to the

development of the Georgian state and its cultural identity. As one of the historical regions of Georgia, it has witnessed significant events, from the adoption of Christianity and the Middle Ages to periods of foreign invasions and resistance. This long and complex history is physically reflected in the region's numerous architectural treasures, including ancient churches, monasteries, castles, and archaeological sites, each of which tells the story of a bygone era and offers invaluable information about the region's heritage.

In addition, Kakheti's climate plays a significant role in determining its tourist appeal. Characterized by a humid subtropical climate, the region has distinct seasons that influence both agricultural practices and tourist activities. Warm summers are ideal for outdoor activities and enjoying the lush landscapes, while mild winters, especially in the valley, allow for year-round access to many places. Most importantly, the climate, combined with the fertile soil of the Alazani Valley, creates ideal conditions for viticulture, making Kakheti the heart of Georgian wine production. The annual grape harvest is a cultural phenomenon and a major tourist attraction, highlighting the deep connection between climate, agriculture, and regional identity.

In essence, Kakheti's tourism resources are a direct product of its historical evolution, unique geographical location, and defining climatic characteristics. These factors have not only shaped the physical environment, but also facilitated a cultural development that is deeply intertwined with agriculture, especially winemaking, and a strong sense of regional identity.

Methods. To study the historical-geographical and climatic factors affecting the tourism resources of the Kakheti region, we used a mixed methods approach that combines the analysis of qualitative data with the synthesis of existing quantitative information. The research design is structured in such a way that we collected and interpreted information obtained from various sources to provide a comprehensive understanding of the interaction between these factors and tourism.

Discussion. The development of tourism in Georgia and its individual regions depends on the potential of tourism resources that a particular region has. The potential of tourism resources is significantly determined by historical, geographical and climatic factors. In terms of historical factors, it is necessary to consider the history of each tourist object and the important cultural values of these monuments, while geographical and climatic factors include the number of sunny and dry days, the duration of sunlight, the air temperature determining heat, the wind regime, etc. These climatic indicators are important for the planning and development of all types of tourism. These include cognitive tourism, recreational tourism, sports tourism, ecological tourism and other types of tourism (Elizbarashvili, 2007).

Kakheti is known for its interesting and diverse history, home to ancient civilizations dating back to the Colchian and Iberian periods. The region is rich in historical sites, such as ancient churches, monasteries, and fortresses, which attract history buffs and visitors interested in cultural tourism.

Kakheti is often referred to as the „wine region" of Georgia. The region's winemaking tradition dates back over 8,000 years, making it one of the oldest wine-making regions in the world. The region is famous for its traditional Georgian winemaking methods, in particular, the ancient method of winemaking in qvevri, which is unique to the region and offers tourists a fascinating experience.

The region is represented by a diverse range of Georgian folklore, music, and dance. Local festivals and traditional celebrations create unforgettable impressions for visitors.

Kakheti's geography is characterized by diverse landscapes, including fertile plains, rolling hills, and perpetually snow-capped mountains. The Alazani River Valley is particularly notable for its fertile lands, where vineyards and hazelnut plantations are cultivated (Elizbarashvili E. Varazanashvili O. , 2008).

Kakheti is relatively close to Tbilisi, the capital of Georgia, and the main connecting point is the Gombori Pass, which is beautiful at all times of the year and has become a source of inspiration for many tourists. It makes the region easily accessible to both domestic and international tourists. This proximity makes the region even more attractive.

Kakheti has a relatively mild climate with warm summers and cool winters. This climate is favorable for outdoor activities all year round (Prospects for Tourism Development in Georgia, 2020).

Our goal is to study the tourist resources, climatic factors of the Kakheti region and assess the prospects for the development of the main types of tourism.

To achieve this goal, we selected the following main tourist sites in the Kakheti region:

1. Alaverdi – an architectural monument of the 11th-17th centuries, Alaverdi Cathedral;
2. Gremi – an architectural ensemble of fortresses of the 16th century;
3. Kvareli – an ancient monument of architecture of the 6th century. I. Chavchavadze State Museum. K. Marjanishvili House-Museum;
4. Sighnaghi – an 18th-century fortress-wall, a museum of local lore;
5. Shuamta – architectural monuments of the 5th-7th, 11th-12th and 16th centuries;
6. Udabno – an architectural monument of the 6th-18th centuries;
7. Tsinandali – A. Chavchavadze House Museum, Dendropark;
8. Shilda – VI-VIII Monastery Complex and Shilda Wall (18th century)

For the listed objects, climate factors such as the number of sunny days, duration of sunlight, average air temperature and number of days without precipitation were assessed (Elizbarashvili, Droughts in Easter Georgia, 2011).

The assessment of these parameters was based on reference materials, thematic atlases and other literary sources. The research used cartography and linear interpolation methods. The results are presented in the table.

Table. 1. Climatic factors of tourism resources (average annual data):

Tourism potential	Climatic factor			
	Number of sunny days	Duration of sunlight, hours	Average air temperature	Number of days without precipitation
Alaverdi	311	2150	11,6	215
Gremi	309	2200	12,5	235
Kvareli	309	2200	12,5	235
Sighnaghi	309	2200	11,1	225
Shuamta	311	2250	11,0	225
Edabno	309	2300	10,4	265
Tsinandali	311	2250	12,1	225
Shilda	309	2200	12,5	235

A sunny day is considered a day when the sun shone for at least a short time, that is, it was not a completely cloudy day.

As can be seen from the table, the tourism potential of the Kakheti region is characterized by favorable climatic conditions (Prospects for Tourism Development in Georgia and World Experience, 2016).

The annual sunshine period here is quite long, the number of sunny days is frequent, the average annual air temperature is high, and the number of days without precipitation is frequent, which contributes to the rational and effective use of these factors in all types of tourism (Prospects for Tourism Development in Georgia and World Experience, 2016). If we compare the climatic factors of individual tourist facilities with each other, we will see that in terms of the frequency of sunny days and the duration of sunlight, the advantage belongs to Alaverdi, Shuamta and Tsinandali, where the number of sunny days is the largest (311 days), while the sun shines the longest in the desert (2300 hours), Shuamta (2250 hours) and Tsinandali (2250 hours). The number of dry days is also the largest in the desert (265 days).

The identified climatic and geographical factors of tourist resources allow us to assess the prospects for the development of the main types of tourism for the tourist facilities presented in the table.

The climatic and geographical conditions characteristic of Alaverdi and Gremi, as well as the architectural ensembles of the 11th-17th centuries, allow for the broad development of cognitive tourism, which mainly involves visiting the sights. At the same time, the tourist potential of Alaverdi and Gremi includes the historical-cultural sector of ecological tourism (Prospects for Tourism Development in Georgia and World Experience, 2016).

Today, the tourist potentials of Kvareli and Sighnaghi, the existing architectural ensembles and monuments there, are oriented towards the development of cognitive tourism in two municipalities of modern Kakheti.

A wide range of tourism types is possible to develop in Shuamta. Starting from cognitive tourism, which involves visiting architectural monuments of the 5th-7th, 11th-12th and 16th centuries or other sights, as well as getting to know the beautiful Shuamta forest and its surrounding area (recreational tourism – relaxation in nature) and ending with ecological and sports tourism (Prospects for Tourism Development in Georgia, 2020).

The territorial potential of Tsinandali, first of all, meets the requirements of cognitive tourism. Acquaintance with the architectural monument and the Al. Chavchavadze House-Museum, at the same time the Tsinandali Decorative Park is promising for the development of ecological tourism, since it thematically represents a cultural-historical park.

The tourist potential of Shildi meets the requirements of cognitive tourism. At the same time, its potential is promising for the development of ecological, recreational, country and agrotourism.

Historical-geographical factors:

Location: The favorable geographical location of Kakheti – between the main ridge of the Caucasus and the Alazani Valley – determined its importance historically as a transit route and trade hub. This historical past is reflected in the region's cultural heritage, including numerous fortresses, churches, and monasteries.

Winemaking: Kakheti is known as the cradle of Georgian winemaking. The tradition of winemaking here dates back thousands of years and is distinguished by the unique qvevri method. This historical and cultural heritage makes Kakheti an important center of wine tourism. Numerous wineries, wineries, and family-run farms allow wine lovers to learn about traditional technologies and taste unique Kakhetian wines.

Diverse Landscape: The geographical diversity of the region – high mountains, fertile fields, rivers and forests – determines the diversity of tourist activities. It is possible to hike in the mountains, ride horses in the Alazani Valley, travel along rivers and enjoy the breathtaking views of nature.

Cultural monuments: Kakheti is rich in historical and cultural monuments. Medieval fortresses (e.g. Gremi, Nekresi), churches and monasteries (e.g. Alaverdi, Shuamta) testify to the rich history and architectural heritage of the region. These monuments attract tourists who love history and culture.

Climatic factors:

Temperate climate: The climate of Kakheti is mainly temperate, which is favorable for tourism almost all year round. Summers are warm, but not too hot, and winters are mild, with snow in the high mountains.

Plenty of sunny days: The region is distinguished by its abundance of sunny days, which is especially favorable for wine tourism and outdoor activities.

Seasonal diversity: Each season in Kakheti is attractive in its own way. In spring, the fields bloom, summer is ideal for outdoor activities, autumn is the time for grape harvest and wine festivals, and in winter, you can enjoy the snow-capped landscapes in the mountains.

The combination of these factors makes Kakheti a diverse and attractive tourist destination, attracting tourists with different interests – wine lovers, researchers of history and culture, nature lovers, and those looking for active recreation.

Further development of Kakheti's tourism resources involves the effective use of these historical-geographical and climatic factors, improvement of infrastructure and diversification of tourism products.

Significant work has been carried out in recent years on the development of the tourism resources of the Kakheti region, however, much remains to be done to exploit the region's full potential.

What has been done:

Infrastructure Improvement: Road infrastructure has been improved, which facilitates the movement of tourists in the region. Hotels and family-type hotels have been built and renovated, which increases accommodation opportunities.

Wine tourism development: Special attention is paid to wine tourism. The number of wineries and wineries offering tours and tastings has increased. Wine routes and tours have been created, which allow tourists to get acquainted with the wine culture of Kakheti.

Restoration and popularization of cultural monuments: Restoration and conservation of many historical and cultural monuments have been carried out (e.g., Gremi, Nekresi). Popularization of these monuments and accessibility of information about them have increased.

Creation of new tourism products: New tourism products have been created, including ethnographic tours, gastronomic tours, adventure tours (hiking, horse riding).

Marketing and Promotion: Marketing of Kakheti as a tourist destination has been intensified both in the local and international markets, information materials, websites and social media campaigns have been created.

What needs to be done in the future, recommendations:

Further improvement of infrastructure: Further development of infrastructure is needed, especially in rural areas, where there are still problems with roads, water supply and sanitation (some work has been done, but work in this direction needs to be improved).

Tourism diversification: Although wine tourism is important, it is necessary to diversify tourism and develop other directions, such as ecotourism, adventure tourism, agrotourism.

Reduction of seasonality: It is necessary to plan events and activities that will attract tourists at different times of the year in order to reduce seasonality and distribute the flow of tourism more evenly.

Training of qualified personnel: It is necessary to improve the qualifications of those employed in the tourism sector, including guides, hotel staff, and service personnel (to meet modern requirements).

Protection of natural and cultural heritage: Tourism development should not occur at the expense of damaging the natural environment and cultural heritage. The principles of sustainable tourism need to be introduced.

Involvement of local populations: It is important to involve local populations in the tourism development process so that they can benefit from the benefits of tourism and be motivated to receive tourists (a certain part of the local population is employed in this direction, but it would be better to employ more local people).

Improving the marketing strategy: It is necessary to develop a more targeted and effective marketing strategy that will reach the target tourist segments.

Use of digital technologies: To improve tourism services and increase the accessibility of information, it is necessary to use digital technologies more widely (online booking, mobile applications, virtual tours).

The Kakheti region has enormous potential for tourism development. Historical-geographical and climatic factors create a solid foundation, but a successful future depends on proper planning, investments and adherence to the principles of sustainable development.

Conclusion. We have studied the deep and interconnected role of historical-geographical and climatic factors in the formation of the tourism resources of the Kakheti region. The analysis shows that the attractiveness of Kakheti as a tourist destination is not the result of isolated elements, but is a synergistic result of its deep historical roots, defining geographical features and favorable climatic conditions.

Geographically, Kakheti's diverse topography, characterized by the Greater Caucasus foothills and the fertile expanse of the Alazani Valley, provides a physical arena for a wide range of tourism activities. The valley itself is the heart of the region's renowned viticulture, which is the cornerstone

of its agrotourism and wine tourism. The surrounding mountains offer opportunities for hiking, nature enjoyment, and perhaps even winter sports in specific locations. Geographical features also influence accessibility, the formation of transport routes, and the ease of navigation and exploration of the region by tourists.

Climatically, Kakheti's humid subtropical climate, particularly the microclimate of the Alazani Valley, is fundamental to its identity as a wine region. Hot summers and mild winters, with seasonal variations, directly influence the timing and nature of tourism. Summer is the peak season for general tourism and outdoor activities, while autumn, with the grape harvest, is a major draw for wine lovers. Climate determines the rhythm of the agricultural calendar, which in turn determines the rhythm of much of the region's tourism.

The tourism resources of the Kakheti region are a direct product of the complex interplay of its historical development, geographical location, and climatic conditions. Historical sites are rooted in the land; agricultural practices are conditioned by climate. The visitor experience is influenced by the interaction of these factors. Recognizing and exploiting this fundamental connection is essential for the development of sustainable tourism and effective marketing. Recognizing how history has shaped cultural conditions, how geography determines physical environments and activities, and how climate affects seasonality and agricultural production allows for a more targeted approach to promoting Kakheti as a destination that offers a rich mix of cultural, historical, and oenological experiences year-round. Continued research into the specific interactions between these factors and their impact on emerging tourism trends will be essential for the future success of tourism in this historically significant and climatically blessed region.

Bibliography:

(2020). *Prospects for Tourism Development in Georgia.* Tbilisi: Research and Planning Department of the Georgian National Tourism Administration.

(2016). *Prospects for Tourism Development in Georgia and World Experience.* Tbilisi: Research and Planning Department of the Georgian National Tourism Administration.

Elizbarashvili E. Varazanashvili O. . (2008). *Spatial structure of hazardous meteorological events in the territory of Georgia.* Tbilisi.

Elizbarashvili, E. (2007). *Climatic Resources of Georgia.* Tbilisi: Institute of Hydrometeorology.

Elizbarashvili, E. (2011). Droughts in Easter Georgia. *11 international multidisciplinary scientific geoconference*, (pp. page 45-46). Bulgaria.